

გორის, კასპის,
მცხეთის,
ქარელის, ხაშურის
რაიონები

# 5
# საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა

თბილისი 1990

**რესპუბლიკური სარედაქციო საგამომცემლო სამეცნიერო საბჭო:**

ირაკლი აბაშიძე, ანდრია აფაქიძე, ვახტანგ ბერიძე, იულონ გაგოშიძე, რუსუდან გვერდწითელი, მალაქია დვალი, ვახტანგ დოლიძე, იაგო ვარდოსანიძე, პარმენ ზაქარაია, თენგიზ კვირკველია, სიმონ კინწურაშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, გიორგი მელიქიშვილი, როინ მეტრეველი, დავით მუსხელიშვილი, თამაზ სანიკიძე, ავთანდილ საყვარელიძე, უშანგი სიდამონიძე, რევაზ ღლონტი, ვახტანგ ცინცაძე, ირაკლი ციციშვილი, გიორგი ცქიტიშვილი, ლევან ჭილაშვილი, დურსუნ ხახუტაიშვილი, ოთარ ჯაფარიძე

**მეხუთე წიგნის რედკოლეგია:** ვახტანგ დოლიძე, სიმონ კინწურაშვილი, (ხელმძღვანელი), უშანგი სიდამონიძე, გიორგი ცქიტიშვილი

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციასთან თანამშრომლობით, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მეხუთე წიგნისათვის მასალები მოამზადეს:

ისტორიის ძეგლებისა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეოცე საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიისა და ისტორიულ ძეგლთა ნუსხის განყოფილებამ,

არქეოლოგიის ძეგლებისა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხის განყოფილებამ,

არქიტექტურისა და მონუმენტური ხელოვნების ძეგლებისა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ძეგლთა აღწერილობის განყოფილებამ

# რედაქციისაგან

თქვენს წინაშეა სამეცნიერო-საცნობარო, ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომიანი გამოცემის — *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის* პირველი წიგნი. ვფიქრობთ, ჩინებულია, რომ მრავალი სპეციალისტის, სამეცნიერო, აგრეთვე საგამომცემლო დაწესებულებათა ერთობლივი ნაღვაწის პირველი მონაკვეთის გასრულება დაემთხვა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმედიანი, სასიკეთო გზით წარმართვის დღეებს, წლებს.

ისიც ნიშანდობლივი უნდა იყოს, რომ *აღწერილობის* **პირველი დასტამბული ტომი — მეხუთე წიგნი, მიძღვნილია იმ რეგიონის ისტორიისა და კულტურის ძეგლებისადმი, სადაც ერთიანი ქართული ენის, ეროვნული თვითშეგნების, კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანი დაირწა.**

ოცი წელია საქართველოში მიმდინარეობს მიზანდასახული სამეცნიერო-კვლევითი და სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა *აღწერილობის* მომზადებისა და გამოცემისათვის. ბევრია თუ ცოტა ოცი წელი? პასუხის გაცემა გაგვიჭირდება. მხოლოდ გვინდა ერთი ირწმუნოთ — ჩვენ მუდამ გვჯეროდა, რომ ამ საშვილიშვილო საქმის არც ხელოვნურად დაჩქარება ივარგებდა და არც ნებსით თუ უნებლიეთ დამუხრუჭება იყო და არის სასურველი.

*აღწერილობის* გამოცემის იდეა დიდი ხანია არსებობდა საქართველოს სამეცნიერო და შემოქმედებით წრეებში. მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი — ადგილიდან დაძვრა ყოველი საქმისა, რომელშიც ეროვნული სულის გაღვივების პოტენცია იმალებოდა, „საკავშირო კურთხევის" გარეშე ძნელად მისაღწევი იყო.

1970 წლის 10 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება — „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მომზადების შესახებ". 1982 წლის 19 იანვარს, „სსრ კავშირის ხალხთა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის გამოცემის შესახებ" სკკპ ცკ-ის სამდივნოს დადგენილების მიღების შემდეგ, საქართველოს კპ ცკ-მა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს უკვე ერთობლივი დადგენილება — „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მომზადებისა და გამოცემის დაჩქარების საჭირო ღონისძიებების შესახებ".

აღნიშნული რესპუბლიკური დადგენილებები ითვალისწინებდნენ: *აღწერილობის* მომზადებისა და გამოცემის სამუშაოების კოორდინაცია უნდა ეთავა ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციას, სადაც ჩამოყალიბდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის სპეციალური რედაქცია; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, ამავე ინსტიტუტის რესპუბლიკურ არქეოლოგიურ ცენტრს, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს, აგრეთვე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტს დაევალათ, ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციასთან სათანადო ხელშეკრულებების საფუძველზე *აღწერილობის* მასალების მომზადება.

*აღწერილობის* მომზადებისა და გამოცემის საქმე ბევრ გაუთვალისწინებელ, ობიექტურ სიძნელეებს წააწყდა, რამაც გამოცემის შეფერხება გამოიწვია.

საქართველოში *აღწერილობის* გამოცემის მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვისათვის, დროისა და მოცულობის განსაზღვრისათვის ძეგლების რაოდენობა ყოველ არსებულ ადმინისტრაციულ რაიონში ნავარაუდევი იქნა საშუალოდ 100-120, გამონაკლის შემთხვევაში — 150 ერთეული. ვარაუდმა არ გაამართლა — ძეგლების რაოდენობა ორჯერ, სამჯერ, ზოგ რაიონში კი ხუთჯერ მეტიც კი აღმოჩნდა. ამან, ბუნებრივია, გამოიწვია სამეცნიერო-საძიებო სამუშაოების ტემპების გაუთვალისწინებელი შეფერხება, სახსრების უკმარისობა. ძეგლების რაოდენობის „ნამატი" გამოწვეული იყო მხოლოდ ერთი ფაქტორით — მაშინ არ არსებობდა (სამწუხაროდ არც ახლა გაგვაჩნია) ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საერთაშორისო მეთოდური მოთხოვნილების გათვალისწინებით გამართული, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აპრობირებული და დამტკიცებული სრული ნუსხა.

*აღწერილობის* მომზადებისა და დასტამბვის საქმეში იყო (და ჯერ კიდევ არის) სხვა გადასაწყვეტი, მოსაგვარებელი საკითხი.

* * *

საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი ინტერესი XIX ს-ის 30-40-იან წლებში ჩაისახა (მიხეილ ბარათაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი). იმავე საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო მუშაობა ისტორიის, ხელოვნების, არქიტექტურის ცალკეული ნიმუშების გამოვლენის, აღწერის, სისტემატიზაციის, დაცვისა და პროპაგანდის ხაზით. ამ საქმეს უძღვებოდნენ კერძო პირები, დაწესებულებები, საზოგადოებები: კავკასიის მუზეუმი (დაარსდა 1852 წ.), კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება (1873 წ.), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (1879 წ.), საეკლესიო მუზეუმი (1888), მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება (1901 წ.), საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოება (1907 წ.) და სხვ. უკვე XIX ს-ის ბოლო ათეულ წლებში და XX ს-ის დასაწყისში დაიწყო არქეოლოგიური გათხრები (აქ აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის ღვაწლი), ექსპედიციები, ქვეყნდებოდა ცალკეული მეცნიერული შრომები (ალექსანდრე ხახანაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე ცაგარელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, დ. გრიმი, ნიკოდიმ კონდაკოვი, ა. პავლინოვი, პრასკოვია უვაროვა და სხვ.), ქართული არქიტექტურული ძეგლებისა და კედლის მხატვრობის ცალკეული ნიმუშების ფიქსაცია (სიმონ კლდიაშვილი, ანატოლ კალგინი, ჰენრიხ პრინევსკი, ლადო გუდიაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, მიხეილ ჭიაურელი და სხვ.).

1918 წელს, ახლად ჩამოყალიბებულ თბილისის უნივერსიტეტთან გიორგი ჩუბინაშვილის თაოსნობით ჩამოყალიბდა ხელოვნების მეცნიერების კათედრა და კაბინეტი. აქ საფუძველი ჩაეყარა ძველი ქართული არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, საერთოდ ხელოვნების ნიმუშების მიზანდასახული სისტემატიზაციისა და მეცნიერული კვლევის საქმეს. ასევე უნივერსიტეტი იყო ქართულ ისტორიულ, არქეოლოგიურ (ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ნიორაძე), ეთნოგრაფიულ (გიორგი ჩიტაია) მეცნიერებათა განვითარების, ძველი ქართული დამწერლობის, ენისა და ლიტერატურის შესწავლის (იოსებ ყიფშიძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე) საწყისი კერა. შემდეგ ამ საქმემ ინტენსიური და ნაყოფიერი გაგრძელება ჰპოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის (1941 წ.) სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებში, რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, მუზეუმებში.

ასეთმა გეგმაზომიერმა და მრავალმხრივმა მეცნიერულმა შესწავლამ მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმეს, რაც ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი გახდა. მაგრამ იმავე 20-იან წლებში მთელ სსრ კავშირში და, კერძოდ საქართველოში წარმოებულმა ე.წ. ანტირელიგიურმა კამპანიამ, შესამჩნევი ზიანი მიაყენა ჩვენ სიძველეებს — ხელოვნების მრავალი შესანიშნავი ნიმუში, ისტორიულად ღირებული ძეგლი სამუდამოდ დაიკარგა. დაზარალდა არა მარტო ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, საკულტო ძეგლები. ზოგჯერ გაუაზრებელმა, ნაჩქარევმა ქალაქებისა თუ სოფლების, კურორტების ე.წ. სოციალისტურმა კეთილმოწყობამ და რეკონსტრუქციამ დიდი ზიანი მიაყენა ქალაქმშენებლობითი ხასიათის ძეგლებს, მოისპო ბევრი XIX ს-ისა და XX ს-ის დასაწყისში აგებული მხატვრულად ღირებული ნაგებობა. ამ ანტიეროვნულ მოქმედებას, მოძრაობას საბედნიეროდ წინ აღუდგა მოწინავე ქართველი სამეცნიერო და შემოქმედებითი საზოგადოებრიობა. სწორედ მათი ძალისხმევით მოხერხდა, რომ საბჭოური წლების მანძილზე საქართველოში ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმე სახელმწიფოებრივ დონეზე იმართებოდა.

საბჭოთა კავშირში ჩვენში პირველად შეიქმნა სპეციალური სარესტავრაციო სამეცნიეროსაწარმოო სახელოსნო (1949 წ., ამჟამად — გაერთიანება), კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საზოგადოება (1959 წ.) და გამოიცა კრებული „ძეგლის მეგობრის" პირველი კრებული (1964 წ.). ამჟამად რესპუბლიკაში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების ყველა სახის ღონისძიებას, „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის საფუძველზე (დამტკიცებულია 1977 წ. 29 დეკემბერს. ძალაშია 1978 წლის 1 აპრილიდან), მოწოდებულია უხელმძღვანელოს სპეციალურმა სამთავრობო დაწესებულებამ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ (1978 წ.).

ვიმეორებთ, იდეა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა სრული კატალოგიზაციისა დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ასეთი გამოცემის განხორციელება ვერ მოხერხდა. თუ არ ჩავთვლით წიგნს „საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე", რომელიც ორმოცი წლის წინ გამოვიდა (თბილისი, 1959. შემდგენელი — თეიმურაზ ბარნაველი, პასუხისმგებელი რედაქტორი — ვახტანგ ცინცაძე. წინასიტყვაობა — გიორგი ჩუბინაშვილისა). მასში აღნუსხულია მხოლოდ 1500-მდე, ძირითადად არქიტექტურული ძეგლი. მაგრამ ეს მაინც მხოლოდ ნუსხა იყო ძეგლებისა.

სულ სხვაა *აღწერილობის* მიზანი. ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საერთაშორისო მოთხოვნებით *აღწერილობაში* შეტანილი უნდა იქნეს არსებული სახელმწიფო საზღვრებით შემოსაზღვრული ამა თუ იმ ქვეყნის, სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიკვლეული უკლებლივ ყველა ძეგლი, ე.ი. უძრავი კულტურული ფასეულობა, რომელიც ამჟამად აყვანილია აღრიცხვაზე და დაცულია ან მომავალში იქნება აყვანილი აღრიცხვაზე და დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ.

რა ითვლება ძეგლად საერთაშორისო კანონმდებლობით? „იკომოს"-ის (ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა დაცვის საერთაშორისო საზოგადოება) წესდებაში ნათქვამია:

„ძეგლის ცნებაში ნაგულისხმევია არქიტექტურული და სხვა ობიექტები, რომლებიც წარმოადგენენ ინტერესს არქეოლოგიური, ისტორიული, ესთეტიკური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.

ზემოთ ნახსენები განსაზღვრებანი არ გულისხმობს:

1. ნივთებს, რომლებიც არიან არქიტექტურულ ძეგლებში და წარმოადგენენ სამუზეუმო კოლექციებს;

2. არქეოლოგიურ კოლექციებს, რომლებიც ინახება მუზეუმებში, აგრეთვე არქეოლოგიური გათხრებისა და ისტორიულ ადგილებზე გამართულ საცავებში" (ნაწილი II, § 3, პ.ა და ბ).

მაშასადამე, *აღწერილობაში* არ შედის „მოძრავი კულტურული ფასეულობანი", რომლებსაც აგროვებს და იცავს მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები და სხვა დაწესებულებები და რომელთა აღწერა მოცემულია სათანადო კატალოგებში.

ამასთან, *აღწერილობაში* შედის ხელოვნების ყველა ნიმუში, რომელიც უშუალო კავშირშია უძრავ ძეგლთან, წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (კედლის მხატვრობა, ქანდაკება, კანკელი და სხვ.).

*აღწერილობაში* არ შედის, აგრეთვე, უკვე არ არსებული ძეგლი. იგი წარმოდგენილია (ფოტო, ნახატი, ნახაზი, ისტორიული ცნობა) ან ნახსენებია რეგიონის, რაიონის, ქალაქის, სოფლის ან კომპლექსის შესავალ სტატიაში.

*აღწერილობაზე* მუშაობისას ვცდილობდით შეძლებისდაგვარად გვესარგებლა სხვა ქვეყნების გამოცდილებით.

ჩვენ ხელთ არსებული ყველა უცხოური გამოცემის და საბჭოურ სამეცნიერო ცენტრებში შემუშავებული მეთოდური ხასიათის შრომების ანალიზის საფუძველზე ჯერ კიდევ მუშაობის საწყის ეტაპზე ქართულ ენაზე გამოვეცით „მეთოდური მითითებები საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მომზადებისათვის" (თბილისი, 1971 წ.), რომელიც დაამტკიცა *აღწერილობის* რესპუბლიკურმა საგამომცემლო-სარედაქციო სამეცნიერო საბჭომ. საქმის კეთილად წარმართვისათვის სასარგებლო იყო, აგრეთვე, *აღწერილობის* მაკეტის გამოცემა (თბილისი, 1977 წ.) და მისი ფართო განხილვა სამეცნიერო და შემოქმედებით წრეებში.

რა ხასიათის, კატეგორიის ძეგლები უნდა იქნეს შეტანილი *აღწერილობაში?* ძირითადი კრიტერიუმია ძეგლის ისტორიული, კულტურული და სამეცნიერო მნიშვნელობის ერთიანობა. თვით ძეგლები ტიპოლოგიურად ხარისხდება შემდეგნაირად: ისტორიის ძეგლი, არქეოლოგიის ძეგლი, არქიტექტურის ძეგლი, მონუმენტური ხელოვნების ძეგლი.

ისტორიული ძეგლი — ადგილი, შენობა თუ სხვ., რაც დაკავშირებულია ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის თუ სოფლისათვის მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენასთან ან ცალკეული გამოჩენილი პიროვნების ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან;

არქეოლოგიის ძეგლი, ყველა გამონაკლისის გარეშე — გათხრებით გამოვლენილი და შესწავლილი თუ დაზვერვითი სამუშაოებით მიკვლეული და დაფიქსირებული;

არქიტექტურის ძეგლი (ძეგლების ყველაზე დიდი ჯგუფი) — ანტიკური ხანიდან ფეოდალური ხანის ჩათვლით ყველა სახის ნაგებობა, აგრეთვე XIX-XX სს-ების მანძილზე განხორციელებული საყოველთაოდ აღიარებული ობიექტი და კომპლექსი, ქალაქმშენებლობისა და ლანდშაფტური არქიტექტურის ნიმუში, ძველი ქალაქების, სოფლებისა და განაშენებიანების შემორჩენილი ნიმუში, ფრაგმენტი და სხვა;

მონუმენტური ხელოვნების ძეგლები — ანტიკურ და ფეოდალურ პერიოდებში და XIX-XX სს-ში შექმნილი, მუდმივი მასალით — ქვა, ბრინჯაო... შესრულებული ძეგლი, ფასადების რელიეფი და ჰორელიეფი, მოზაიკა, კედლის მხატვრობა, მონუმენტი, მემორიალი და სხვ.

როგორც საერთაშორისო პრაქტიკით არის მიღებული, *აღწერილობა* დგება ტერიტორიული პრინციპით, არსებული ადმინისტრაციული დაყოფის გათვალისწინებით. საქართველოს ამჟამად არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა (ძირითადი ბირთვი — რაიონი) ზოგჯერ ხელოვნურად არის შექმნილი, ზოგჯერ კი ზედმეტად დანაწევრებულია. რაიონების ანბანური რიგით წარმოდგენა მეტად ძნელი, შეუძლებელიც კი იქნებოდა, პირველყოვლისა მასალის მოპოვების თვალსაზრისით. საქართველოში ასო „ა"-ზე იწყება ერთმანეთს ტერიტორიულად მოწყვეტილი რაიონები — აბაშა და ახმეტა, ახალციხე და ამბროლაური... აქ ერთდროულად ექსპედიციების მოწყობა ძალზე გაძნელდებოდა და არაეფექტური იქნებოდა. ამასთან ერთი მეორის გვერდით განლაგდებოდა ძეგლების ჯგუფები სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სტილისტური მახასიათებლებით, რაც მკითხველთათვის გაუგებარი იქნებოდა.

არსებული ადმინისტრაციული დაყოფა *აღწერილობის* წიგნების დაგეგმვისას სხვა სიძნელეებსაც ქმნის. განსაკუთრებით ეს ეხება მოთხოვნას, რომ ცალკეული ავტონომიური წარმონაქმნები გააზრებულ იქნეს ერთ რეგიონად და მოთავსდეს ერთ წიგნში. რაიონები, რომლებმაც, მაგალითად, მეხუთე წიგნში მოიყარეს თავი, მოსაზღვრე ზნაურის, ლენინგორის, ცხინვალის, ჯავის რაიონებთან ერთად ისტრიულად და ძეგლთა სტილისტური მახასიათებლით ქმნიან ერთ, განუყოფელ შიდა ქართლის რეგიონს. ამიტომ უპრიანი იქნებოდა მათი ერთ რეგიონად გაერთიანება და ერთ ან ორ წიგნში მოთავსება. ასეთი მაგალითები სხვაც არის. აღნიშნული დაბრკოლებების მიუხედავად, არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დარაიონების და გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული და ძეგლების სტილისტური თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოს ამჟამინდელი ტერიტორია შევეცადეთ დაგვეყო მიახლოებით დასაშვებ მსხვილ რეგიონებად.

თითოეულ რეგიონს მიეძღვნება ერთი წიგნი (შესაძლებელია მასალის მოცულობის მიხედვით ორი ან სამი რეგიონის მასალა გაერთიანდეს ერთ წიგნში ან პირიქით წიგნი გაიყოს ორ ნაწილად). ყოველ წიგნს (უფრო სწორად, ყოველ რეგიონს) დასაწყისში წამძღვარებული ექნება შესავალი სტატია, რომელიც გვაცნობს რეგიონის ისტორიას, თავისებურებებს, მის წვლილსა და ადგილს საქართველოს ისტორიულ, მატერიალურ და კულტურულ ფასეულობათა შექმნაში.

* * *

*აღწერილობაში* მასალა გაწყობილია ანბანით: რეგიონში შემავალი რაიონები (მაგალითად, მეხუთე წიგნში — გორი, კასპი, მცხეთა, ქარელი, ხაშური), თვით რაიონში ჯერ ქალაქი (ქალაქები), ქალაქში, თუ არის, საქალაქო რაიონები, სოფლები. ყოველ რაიონს, ქალაქსა თუ სოფელს, საჭიროების მიხედვით და არსებული მასალიდან გამომდინარე, თან ახლავს მოკლე საცნობარო სტატია. ქალაქებში, ქალაქის რაიონებში, სოფლებში არსებული ძეგლები განლაგებულია აგრეთვე ანბანზე.

გარდა რეგიონისა, წიგნში ყოველ ერთეულს (რაიონი, ქალაქი, სოფელი, ძეგლი, კომპლექსი, კომპლექსში შემავალი ძეგლი...) აქვს საკუთარი ნომერი: რაიონს ლათინური ციფრი — I. გორის რაიონი; II. კასპის რაიონი და ა.შ., ხოლო ქალაქს, სოფელს, ძეგლს ან მთლიანად კომპლექსს — არაბული ციფრი. კომპლექსში შემავალ ცალკეულ ძეგლს ახლავს ასონიშანი—(ა), (ბ) და ა.შ. მოგვყავს მაგალითი, თუ როგორ იშიფრება ამა თუ იმ ძეგლის ინდექსი.

5.II.214(ბ) ნიშნავს — მეხუთე წიგნი (რეგიონი), კასპის რაიონი (II), სამთავისის ტაძრის კომპლექსი (214), მოხატულობა (ბ)...

ცალკეული ძეგლის, კომპლექსის შესახებ განმარტებითი სტატია დასათაურებულია ძეგლის ამჟამინდელი სახელწოდებით (მაგალითად ანტიოქია, ზაპესი, ამილახვრის ციხე-კოშკი და ა.შ.). პარალელურად ხმარებული ან ცნობილი ძველი სახელწოდება დაწერილია დაყოფით (მაგალითად: III. 007. არმაზციხე, ა რ მ ა ს ც ი ხ ე, ა რ მ ა ზ ი ს ც ი ხ ე... ან III. 011. ბებრის ციხე, ბ ე ლ ტ ი ს ც ი ხ ე... და ა.შ.).

თუ რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულია ე.წ. ცალკე მდგარი ძეგლი (მაგალითად ზედაზენი, შიომღვიმე...), რომლის „მიმაგრება" რეგიონის რომელიმე ადმინისტრაციულ ერთე-

ულთან ძნელდება ან არ არის სასურველი, მისი სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ მიღებული სახელი განლაგებულია ანბანით რაიონის სოფლების რიგში (მაგალითად, ზაპესი, ზ ე დ ა ზ ე ნ ი, ზემო ნიჩბისი... ან — ქსოვრისი, შ ი ო მ ღ ვ ი მ ე, ჩარდახი... და ა.შ.).

ძეგლის სათაური (სახელის) შემდეგ მოცემულია დეფინიცია — რა ტიპის, კატეგორიის ძეგლია (მაგალითად III. 037. სვეტიცხოვლის კომპლექსი, არქიტ., ისტ., არქეოლ., მონუმ. ხელოვნ. ძ. და სხვ. ჩამოთვლისას უპირატესობა ეძლევა ძეგლის მთავარ მახასიათებელს).

ძეგლის (კომპლექსის) უმეტესი ნაწილი ილუსტრირებულია დამახასიათებელი ნახაზებით (გენგეგმა, გეგმები, განაკვეთები, ფასადები, პერსპექტივა, აქსონომეტრია, აღდგენის ცდა) და ფოტოებით (შავთეთრი და ფერადი).

*აღწერილობის* გამოცემისათვის ყველა (თითქმის ყველა) არქიტექტურულ ძეგლზე სპეციალურად გამოცემისათვის ახლად ჩატარდა აზომვა-ფიქსაციის სამუშაოები ან მოხდა ძველი ანაზომების გადამოწმება-განახლება. ეს მასალა ინახება გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში ან ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციაში.

რეგიონის შესავალ სტატიას ახლავს ისტორიული რუკები, ხოლო ყოველი რაიონის დასაწყისში მოთავსებულ რუკა-სქემებზე დატანილია ძირითადი მდინარეები, შარა-გზები, რკინიგზები და ის დასახლებული პუნქტები, სადაც არის ისტორიისა და კულტურის ძეგლი, აგრეთვე ცალკე მდგომი ძეგლი.

ყოველ წიგნს თან ერთვის ანბანზე გაწყობილი და დანომრილი, მთლიანად რეგიონის, ცალკეული ძეგლის, კომპლექსის შესახებ არსებული ლიტერატურისა და პერიოდიკის, საარქივო მასალების ბიბლიოგრაფიული ცნობები. ცალკეული სტატიების ბოლოში, ადგილის ეკონომიის მიზნით მოცემულია ნომერი იმ ბიბლიოგრაფიული ერთეულისა, რომელიც აღნიშნულ სტატიას ეკუთვნის (მაგალითად, მეხუთე წიგნის გე. 198 — ბიბლ.: **44** თ: 27–28; **87**:147;**168**:198... აქ შავი რიცხვით აღნიშნულია რიგითი ნომერი ბიბლიოგრაფიულ ნუსხაში, კერძოდ — **44**. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ.; მომდევნო შავი ასოთი მითითებულია გამოცემის ტომი ან წიგნი — (თ):წგ. 8, 1975 (ე.ი. ამ წიგნის გამოცემის თარიღი); ორი წერტილის შემდეგ მოცემულია გვერდების ნომრები, სადაც ნახსენებია ძეგლი: 27 — 28 და ა.შ.).

ყველა წიგნს თან ერთვის ანბანზე გაწყობილი საძიებლები — პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელებისა, აგრეთვე ქრონოლოგიურად გაწყობილი ძეგლების ნუსხა.

* * *

მაინც რატომ დავიწყეთ *აღწერილობის* გამოცემა წიგნით, რომელიც მიეძღვნა მეხუთე რაგიონს? ჩვენს არჩევანს (მეხუთე რაგიონი) თითქოსდა მყარი არგუმენტი ჰქონდა — მივიჩნევდით, რომ არსებული ლიტერატურისა და გამოუქვეყნებელი მასალის მიხედვით ეს რეგიონი ყველაზე სრულად არის შესწავლილი და ფიქსირებული. იქმნებოდა შესაძლებლობა მოგვეგო დრო და დაგვეწყო მასალის მოგროვება და სისტემატიზაცია სხვა რეგიონების ძეგლებისა. ვარაუდი არ გამართლდა, ძეგლების დიდი უმრავლესობა ამ რეგიონშიც თავიდან მისაკვლევი; დასაფიქსირებული და აღსაწერი (შესასწავლიც კი) აღმოჩნდა.

მიუხედავად ჩვენი სურვილისა, რაც შეიძლება სრული მასალა იყოს შეტანილი აღწერილობაში, მკითხველს მაინც ვერ მივცემთ ამის გარანტიას — ალბათ გამოგვრჩა ძეგლი, მოვლენა და ა.შ. ვიმედოვნებთ, საზოგადოების, განსაკუთრებით რეგიონის, ცალკეული რაიონის, ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობის, კულტურის მოამაგეთა დახმარებით მასალა შეივსება და იგი შევა აღწერილობის საბოლოო სპეციალურ დამატებით წიგნში.

ამასთან, გვინდა აქვე აღვნიშნოთ ზოგიერთი ჩვენ მიერ უკვე შემჩნეული უზუსტობა ან გამორჩენილი ფაქტი და შეძლებისდაგვარად განვმარტოთ რატომ მოხდა ეს.

მეხუთე წიგნი ჩაბარებული იყო დასასტამბად 1984 წელს. მის დროულად გამოცემას ხელი შეუშალა სხვადასხვა (უფრო ხშირად ობიექტურმა) გარემოებამ. გასაგებია, რომ ამ ხნის განმავლობაში მოხდა ბევრი მოვლენა, რომლებმაც გამოიწვიეს წიგნში შინაარსობრივი კორექტივების შეტანის აუცილებლობა. უნდა ითქვას, რომ სტამბის მუშაკები ყოველთვის გაგებით ხვდებოდნენ ამის აუცილებლობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან, ხშირად ძნელად გასათვალისწინებელ შესწორების შეტანას ითხოვდა საქართველოში და მის გარეთ უკანასკნელი ორი—სამი წლის განმავლობაში მიმდინარე დინამიკური, სიმართლის ძიებისაკენ მიმართული პოლიტიკური მოვლენები. ამას დაემატა ისიც, რომ არქეოლოგიური ძიება, სარესტავრაციო სამუშაოები თუ საისტორიო კვლევა ად-

გილზე როდი იდგა. რედაქცია, ვიმეორებთ, გზადაგზა ცდილობდა ამ თვალსაზრისით წარმოებაში ჩაშვებულ მეხუთე წიგნის კორექტირებას.
მაგრამ ხოგიერთი რამ მაინც ვერ მოხერხდა ისე გაკეთებულიყო, როგორც ჩვენ გვსურდა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ძეგლების მიღებულ კლასიფიკაციის მიხედვით.

ი ს ტ ო რ ი ი ს ძ ე გ ლ ი, ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი.

გასაგები მიზეზებით ვერ ჰპოვა ასახვა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის წლებში მომხდარმა მოვლენებმა;
ვერც ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებული გარემოება არის სრულყოფილად გაშუქებული; ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ბოლო პერიოდისა და მკვლელობის გარემოებათა შემსწავლელი კომისიის ბოლო ცნობაშიც კონსტანტირებულია, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა, ობიექტური მიზეზების გამო „ილია ჭავჭავაძის ფარული ან პოტენციური მტრების თუ წამქეზებლების გამოაშკარავება, მათი ბოროტი ზრახვების აღმძვრელი მიზეზების ჩვენება ვერ მოხერხდა";
საერთოდ არაფერია ნათქვამი ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყვანის დაწყებასთან დაკავშირებით მშენებელთა მიერ რეგიონისათვის მიყენებული მატერიალური და სულიერი, ეკოლოგიური დანაკარგების შესახებ;
ვინაიდან ჩვენთვის სულ ბოლო ხანს გახდა ცნობილი ქ.გორის მკვიდრთა, კერძოდ 1921 წლის კოჯრის ბრძოლებში გმირულად დაღუპულ გენო ქარუმიძის ან გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს ალექსანდრე ნადირაძის სახელები, გასაგებია მათმა (შეიძლება სხვათა) ღვაწლმა ვერ ჰპოვა სათანადო ადგილი *აღწერილობაში.*

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი უ რ ი ძ ე გ ლ ე ბ ი.

გასული წლების მანძილზე ინტენსიურად მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები მცხეთის, დედოფლის მინდვრის, ციხიაგორის, ძალისის და რეგიონის სხვ. უბნებზე. ეს მასალები რედაქციაშია, მაგრამ მათი წიგნში ჩართვა ვერ მოხერხდა ტექნიკური მიზეზების გამო. ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც არის პირველად საქართველოს ტერიტორიაზე სოფლების ბებნისისა და ხელთუბნის მახლობლად ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების გამოვლენა, შევძელით მხოლოდ შესავალი სტატიის სქოლიოში აგვეღნიშნა (გვ. 13.).

ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ი ს ძ ე გ ლ ე ბ ი.

წიგნის წარმოებისათვის გადაცემის შემდეგ გაგრძელდა მუშაობა XIX-XX სს-ის საქალაქო საცხოვრებელი სახლების საყურადღებო ნიმუშების გამოსავლენად. მოხერხდა რამდენიმე ნაგებობის (განსაკუთრებით ქ.გორში) ფიქსირება. ეს მასალაც ხელთა გვაქვს, მაგრამ წიგნში მხოლოდ რამდენიმე ერთეულის შეტანა შევძელით (1.002. ამილახვრების სახლი; 1.023,ა. საცხოვრებელი სახლი; 1.023,გ. საცხოვრებელი სახლი და სხვ.).
ტირაჟის ბეჭდვა გასრულებული იყო, როდესაც მიღებულ იქნა მუხათგვერდის ატომური რეაქტორის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება. წიგნში ვერც ეს მოვლენა აისახა.

* * *

რედაქცია დარწმუნებულია, რომ, როგორც მეხუთე რეგიონისადმი მიძღვნილი წიგნი, ისე *აღწერილობის* გასრულებული გამოცემა, ხელს შეუწყობს არა მარტო სამეცნიერო კვლევისა და ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმის მომავალში სწორად დაგეგმვასა და წარმართვას, არამედ ჩვენი სულიერი კულტურის თვით საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ პროპაგანდის საშური საქმიანობის გაუმჯობესებას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა* თავის კეთილ მისიას შეასრულებს ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის, მისი ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების საქმეში.

## საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა

**წიგნი მეხუთე**
**გორის**
**კასპის**
**მცხეთის**
**ქარელის**
**ხაშურის რაიონები**



ქ. მცხეთა. მცხეთის ჯვარი (III . 024). საერთო ხედი



მცხეთის, კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონები წარმოადგენენ ნაწილს ისტორიული შიდა ქართლისა, რომელსაც ძველად ზენა სოფელი ეწოდებოდა. თვით ისტორიული ქართლი გეოგრაფიული მდებარეობისა და უმთავრესი მდინარის მტკვრის მიხედვით დანაწილებული იყო ზემო, შუა ანუ შიდა და ქვემო ქართლად.

შიდა ქართლი ვრცელდებოდა აღმოსავლეთით არაგვსა და თბილისამდე, ჩრდილოეთით — კავკასიონის ცენტრალურ ქედამდე, დასავლეთით — ლიხის ქედამდე, ხოლო სამხრეთით — თრიალეთის ქედამდე და ფარავნის ტბამდე (ჯავახეთი). შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილს გაღმამხარი ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი ისტორიული წყაროების მიხედვით ზოგჯერ არ შედიოდა შიდა ქართლში, მაშინ როცა მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა ყოველთვის შიდა ქართლში იგულისხმებოდა.

XVII-XVIII სს. შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს ზემო ქართლიც ეწოდებოდა. XVII ს. პირველი მეოთხედიდან, ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ისტორიული ზემო ქართლი (გვიანდელი სამცხე-საათაბაგო) დიდი ხნით ჩამოშორდა ქართლის სამეფოს და სახელწოდება გადაეიდა შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე. ამჟამად ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და დუშეთის რაიონში შედის.

ქართლის სამეფოს გერბი. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით



შიდა ქართლის ჩრდილოეთით და სამხრეთით კავკასიონისა და თრიალეთის მაღალი ქედებია, რომელთა მტკვრისაკენ დაშვებული განშტოებები ზეგნებს ქმნიან. გაღმამხარის მდინარეები — ძამა, ტანა, თეძამი და კავთურა ქვედა წელში მცირე ვაკეებს ქმნიან, ხოლო მტკვრის ჩრდილოეთით დოღლაურის, ტირიფონისა და მუხრანის ვრცელი ველებია, რომლებსაც სერავს მდინარეები: ფრონე, ლიახვი, ლეხურა, ქსანი და არაგვი. შიდა ქართლის მდინარეთა უმრავლესობა უძველეს დროიდანაა გამოყენებული სარწყავად.

მდინარე აღმოსავლეთ ფრონედან მდინარე არაგვამდე მტკვრის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ გაწოლილია კვერნაქის სერი (სიმაღლე 1114 მ-მდე). მისი სამხრეთი ფერდობის ფლატეებსა და ქარაფებში ხელოვნური გამოქვაბულებია. კვერნაქის სერის სამხრეთით, მტკვრის პირას მდებარეობს აშურიანის ველი, რომელსაც უძველესი დროიდან საზამთრო საძოვრად იყენებდნენ. შრომის გარკვეული ორგანიზაციის საფუძველზე შიდა ქართლის ვრცელი დაბლობები და საზაფხულო და საზამთრო საძოვრები ქმნიდნენ ინტენსიური მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების შესაძლებლობას. შიდა ქართლის ბუნებრივმა პირობებმა და მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრეს ის როლი, რომელიც ამ რეგიონმა შეასრულა ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში.

შიდა ქართლზე უძველესი დროიდან გადიოდა მნიშვნელოვანი გზები. ჩრდილოეთიდან მოემართებოდა დარიალის ანუ არაგვის გზა, რომელიც გადიოდა მცხეთაზე. ეს გზა მოქმედებდა ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან მაინც. დიდი იყო მისი როლი შემდგომ ხანებშიც. XIII ს-ში მონღოლთა ლაშქრობების შემდეგ ამ გზის ეკონომიკური მნიშვნელობა დაეცა; XVIII ს. II ნახევარში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაცხოველებამ კვლავ გამოაცოცხლა დარიალის გზა.

ანტიკური ხანის ავტორთა ცნობები და არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალები მოწმობენ, რომ ანტიკურ ხანაში ინდოეთისა და დასავლეთ ევროპის დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო გზის ერთი მონაკვეთი გადიოდა ამიერკავკასიაზე, კერძოდ, შიდა ქართლზე. ეს გზა მტკვრის ორივე სანაპიროს მიუყვებოდა. უპირატესობა ეძლეოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე გამავალ გზას. იგი გაივლიდა მცხეთას, მუხრანს, სამთავისს, გორს, ურბნისს, რუისს. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადიოდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც მცირე აზიიდან მოემართებოდა და მცხეთამდე აღწევდა. აქედან კი არაგვის ხეობით ჩრდილო კავკასიაში გადადიოდა.

მნიშვნელოვანი მაგისტრალი, ე. წ. „ცხვრის გზა", რომელიც საქართველოს დიაგონალურად ჰკვეთდა და კახეთ-ჰერეთს ტაო-კლარჯეთთან აკავშირებდა, თრიალეთის ქედის თხემს გასდევდა და მრავალი განშტოებით უკავშირდებოდა მის გარდიგარდმო მდებარე „ქვეყნებს". ამ უძველესმა გზამ გარკვეულ ისტორიულ პირობებში ხელი შეუწყო ზემოხსენებულ „ქვეყანათა" შერწყმას და, საბოლოოდ, საქართველოს გაერთიანებას.

შიდა ქართლი სამხრეთ საქართველოს უკავშირდებოდა მტკვრის, ძამის, ტანის, თეძმის, კავთურის, ნიჩბისისა და ძეგვის ხეობებზე გამავალი გზებით; დასავლეთ საქართველოს — ლიხის ქედზე მდებარე პერანგას, ზემოჯვარ-კორტოხის, დედაბერას, რიკოთის, სურამის, ციხისძირის უღელტეხილებით; ჩრდილოეთ კავკასიას კი, დარიალის გზის გარდა, ლიახვის ხეობით, სბისა და როკის უღელტეხილებით.

რეგიონში ადამიანთა ცხოვრების უძველესი კვალი აღმოჩნდა ლამისყანაში და მდინარეების კავთურასა და თეძამს შორის მოქცეულ ტერიტორია-

ზე, სადაც რამდენიმე ადგილას დადასტურდა პალეოლითური (მუსტიეს ხანა) იარაღები. ადრესამიწათმოქმედო არქეოლოგიური კულტურა ჯერ არ არის აღმოჩენილი*. შიდა ქართლის ტერიტორია ინტენსიურად იყო დასახლებული ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისი). მოსახლეობა ცხოვრობდა „გორებზე“ (ხიზანაანთ გორა, ქვაცხელები და სხვ.). შენობები წრიული ან ოთხკუთხა იყო, ნაგები სარებით, ლასტით და ალიზის აგურით. შუაში „დედაბოძი“ იდგა, მის წინ კი კერა იყო. სახლს ჰქონდა ან წრიული დერეფანი, რომელიც გარს ერტყა ოთახს, ან ოთხკუთხა, რომელიც ოთახს შესასვლელთან ჰქონდა მ იშენებული. ოთახსა და დერეფანს ბრტყელი გადახურვა ჰქონდა. იყო ნახევრად ოვალური აფსიდურკედლიანი სახლებიც, რომლებსაც სარიტუალო-საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ (გუდაბერტყა). მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. მიკვლეულია მარცვლეულის მრავალი სახეობა. ხიზანაანთ გორაზე დადასტურებულია ყურძნის წიპწები. უკვე ხმარობენ სახვნელ კავსა და ქევრს. განვითარებულია მესაქონლეობა და სპილენძის მეტალურგია. დაწინაურებულია კერამიკული წარმოება და ფეიქრობა.

ამ პერიოდში შეიმჩნევა ზოგიერთი სამოსახლოს გამსხვილება, თითქოს გარკვეული მიკრორაიონის ცენტრად გადაქცევის ტენდენცია. ეს სამოსახლოები (მაგალითად, გუდაბერტყა) გარემოზე გაბატონებულ სტრატეგიულ ადგილებშია განლაგებული და გამაგრებული. „გორაზე“ უკვე პატრიარქალური გვარი სახლობს.

ადრინდელ ბრინჯაოს ხანაში შიდა ქართლში ყალიბდება „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ორიგინალური ვარიანტი, რომელიც გავრცელებულია აგრეთვე ზემო იმერეთშიც. ადრინდელი ბრინჯაოს ხანის მიწურულისათვის „გორებზე“ ცხოვრება წყდება, ხოლო გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპიდან კვლავ ახლდება. ამის მიზეზი უნდა იყოს, ერთი მხრივ, წვრილფეხა მესაქონლეობის, საიალალო მეცხვარეობისა და ბრინჯაოს მეტალურგიის შემდგომი განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, ბარში პრიმიტიული მიწათმოქმედების კრიზისი, რასაც უნდა გამოეწვია მოსახლეობის ამოძრავება და სამეურნეო საქმიანობის სიმძიმის ცენტრის ბარიდან მთაში გადანაცვლება.

მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ძირითადი სამეურნეო საქმიანობაა მომთაბარული მესაქონლეობა. მთასა თუ ბარში იგი დროებით სადგომებში ცხოვრობს. ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ რაიონებში ნაკლებად გვხვდება, ხოლო სამაროვნები კი საკმაოდ ბევრია. ამ ხანის შიდა ქართლის ყორღანული სამარხების კულტურა გარკვეულ მსგავსებას პოულობს თრიალეთურ კულტურასთან. ზოგ ყორღანულ სამარხში (აშურიანი, მეტეხი) შეიმჩნევა შუა ბრინჯაოს ხანის კულტურიდან გვიანდელი ბრინჯაოს ხანის კულტურაზე გადასვლის ნიშნები.

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყება როგორც ძველი სამოსახლო „გორების“, ისე ახალი სამოსახლო ადგილების ათვისება. მოსახლეობა იზრდება, ფართოვდება მეურნეობა. „გორებზე“ ამ დროს კვლავ მიწათმოქმედი მოსახლეობა ცხოვრობს. გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში შიდა ქართლის ტერიტორიაზე ყალიბდება განსხვავებული არქეოლოგიური კულტურა, რომელზეც დიდ გავლენას ახდენს დასავლურ ქართული, კერძოდ. კოლხური კულტურა. შიდა ქართლის კულტურა მეზობელი კულტურებისაგან უმთავრესად განსხვავდება ფოთლისებრი სატევრებით, მასრაგახსნილი შუბისპირებით, თხელფირფიტოვანი ისრისპირებით, თავხვია საკინძებით.

შიდა ქართლი ის არეალია, სადაც ხდებოდა აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ კულტურათა შეხვედრა (გამდლისწყაროს, რენესა და სათოვლენაბაღრევის არქეოლოგიური ძეგლები).

გვიანდელი ბრინჯაოს–ადრინდელი რკინის ხანებში უკვე ყალიბდება შემდეგში საქართველოში ყველაზე გავრცელებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული — ხევი. ეს არის ცალკეულ სამოსახლო გორათა სისტემა, რომელთაგან ერთი მოწინავეობს და ჩუმულობს ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრის როლს. ქვეყნის ხევებად დაყოფას, რომელიც გეოგრაფიულ თვისებებზე იყო დამყარებული, საქართველოს ბარში სამეურნეო ფაქტორიც (ირიგაცია) განსაზღვრავდა. ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ხევხმელას ხეობაში მდებარე ხოვლეგორა, რომელიც ძვ. წ. XIV ს. ქვის გალავნით შემოზღუდული „გვარის“ სამოსახლოა. ძვ. წ. XII ს-დან იგი ბორცვთან ერთად მოიცავს ბორცვის ძირში გაჩენილ სოფელსაც, რომლისგან ბორცვზე დარჩენილი მოსახლეობა გამოყოფილია საგანგებო თხრილით და ქვის გალავნით. თვით ბორცვი კი საკულტო-თავდაცვითი ნაგებობაა. ეს მიუთითებს აქ მობინადრე გვარის გარკვეულ სოციალურ დიფერენციაციაზე, რაც ძვ. წ. IX-V სს.



სოფ. ურბნისი. ქვაცხელები, ტელეპია გორა (IV . 173). გეგმა



სოფ. ურბნისი. ქვაცხელები, ტელეპია გორა (IV . 163), შენობა 5, რეკონსტრუქცია ალ. ჯავახიშვილის მიხედვით

* უკანასკნელი წლების მანძილზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილია ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლები სოფლების ბებნისისა და ხელთუბნის მახლობლად.

კიდევ უფრო ღრმავდება. სოციალური თვალსაზრისით ეს უნდა იყოს სამხედრო დემოკრატიის სტადია.

ხოვლეგორაზე განვითარებული იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ხოლო განვითარების გვიანდელ ეტაპზე — მევენახეობაც. აქ გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პურის საცხობი ღუმელები, რომელთა მსგავსი აღმოჩნდა შიდა ქართლის მრავალ სხვა არქეოლოგიურ ძეგლზეც (ნაცარგორა, თრელიგორები, ხამთავრის ნასახლარები, ნარეკვავი, კავთისხევი, უფლისციხე), ხოლო ცალკეული პარალელები — სომხეთსა და ჩრდილო კავკასიაში.

ძვ. წ. VI ს-დან ხოვლეს შავად, ლეგად და წაბლისფრად გამომწვარი კერამიკის გვერდით ჩნდება „წითლად გამომწვარი“ ჭურჭელი, რომელიც არ ამჟღავნებს გენეტიკურ კავშირს წინამორბედთან და შემდეგ საუკუნეებში გაბატონებულ მდგომარეობას იძენს. ეს კერამიკა ვრცელდება ქვემო და შიდა ქართლში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახალი ფორმებისა და ტექნიკური ხერხების გაჩენა მოწმობს ახალი კულტურული დინების გავლენას, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ახალი ეთნიკური ელემენტების, შესაძლოა ურარტელების, კულტურულ ორბიტაში მოქცეული ქართველი ტომების შემოსვლასთან.

ადრინდელი ანტიკური ხანისათვის აღმოსავლეთ საქართველოში უნდა შექმნილიყო რამდენიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. ერთი მათგანი წარმოიშვა ზენა სოფელში (შიდა ქართლი). მისი ცენტრი უფლისციხის მიდამოებში უნდა ყოფილიყო. ძველი ქართული ქრონიკა, გარდა უფლისციხისა, რომელსაც ქალაქ კასპის ციხედ იხსენიებს, ამავე ხანის მნიშვნელოვან ცენტრებად ასახელებს სარკინეს თავისი „ციხე დიდით“, ურბნისსა და ოძრხეს.

ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე ფარნავაზის მეთაურობით შეიქმნა იბერიის (ქართლის) ერთიანი სამეფო, რომლის ცენტრიც მცხეთა იყო. მცხეთის გადედაქალაქებას გარკვეულად შეუწყო ხელი მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ — აქ თავს იყრიდა მნიშვნელოვანი მაგისტრალური გზები და შესაძლებელი იყო ერთმანეთთან დაკავშირებული ციხე-სიმაგრეების სისტემის შექმნა. მცხეთის დაწინაურებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა მუხრანის სამეურნეო რაიონის ეკონომიკურ ათვისებასაც. მცხეთის სამეურნეო რაიონი გაიზარდა მდ. ქსნამდე და დაიწყო მუხრანის ველის მთლიანად ათვისება, რასაც მოჰყვა მდ. ქსანზე დიდი საირიგაციო ნაგებობების მშენებლობა (დიდი რუ რუსხმულით, ნასტაკისის რუ, საგლახაო რუ).

მას შემდეგ, რაც ფარნავაზმა თავისი ხელისუფლება მთელ ქართლზე განავრცო და ეგრისიც შემოიერთა, ქვეყანა საერისთავოებად დაჰყო. შიდა ქართლი ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მოაქცია და სათავეში სპასპეტი ჩაუყენა. ფარნავაზმა ქართლის მთას გალავანი შემოავლო და მასზე არმაზის კერპი აღმართა. ფარნავაზის შთამომავლებმა აღმართეს აი-



ნინას და დანინას კერპები და გააგრძელეს არმაზციხის მშენებლობა. შემდგომში არმაზციხე აკროპოლისად და იბერიის მეფეთა რეზიდენციად იქცა. არქეოლოგიურმა გათხრებმა არმაზციხეში (ბაგინეთი) გამოავლინა თავდაცვითი და სასახლის ნაგებობათა დიდი კომპლექსი. არმაზციხის გარდა „დიდ მცხეთაში" მნიშვნელოვანი სიმაგრე იყო ზადენციხე (იგივე წიწამური-სევსამორა), სადაც იდგა ზადენის კერპი. წიწამურის მიდამოები ინტენსიურად ჩანს დასახლებული ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან (კამარახევის სამაროვანი). აქ გამოვლინდა ადრინდელი ელინისტური ხანის თავდაცვითი ნაგებობები და დასახლებათა ნაშთები.

აღმოჩენილია ადრინდელი ელინისტური ხანის ქალაქური ტიპის მნიშვნელოვანი დასახლებები — სამადლო, ნასტაკისი, აღაიანი, ციხიაგორა. აღნიშნული პერიოდისათვის ციხიაგორაზე ტაძარია. გამოვლენილია ელინისტური ხანის ფენები (სარკინესა და ურბნისის ნაქალაქრებზე, გორის ციხეზე).

არქეოლოგიურ აღმოჩენებთან ერთად ანტიკური ხანის შიდა ქართლში საქალაქო ცხოვრების განვითარებაზე მეტყველებს სტრაბონის ცნობაც: „იბერია კარგადაა დასახლებული მეტწილად როგორც ქალაქებად, ისე დაბებად; ისე, რომ, აქ გვხვდება კრამიტის სახურავები და ხუროთმოძღვრების წესით აგებული სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები". ამასვე უნდა მოწმობდეს მცხეთაში ხუროთმოძღვრისა და მხატვართუხუცესის თანამდებობის არსებობა, რაც დოკუმენტურად IV ს-შია დადასტურებული.

ძვ. წ. IV ს. მცხეთის არქეოლოგიურ მასალაში და სამთავროს სამაროვანზე შეიმჩნევა ქრონოლოგიური ლაკუნა.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე ელინისტური ხანის მრავალრიცხოვანი მონეტების აღმოჩენა მოწმობს იბერიის ინტენსიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას გარე სამყაროსთან. აქ ჭრიდნენ ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტების მინაბაძებს — იბერიულ სტატერებს (ნაპოვნია ჩრდ. კავკასიაშიც); აღმოჩენილია მაკედონელის ორიგინალური ოქროს სტატერი (მცხეთაში), ელინისტური ეგვიპტის მმართველის პტოლემე ფილოპატორის სპილენძის, სელევკიდების სირიის მეფეების სპილენძის, სინოპის საქალაქო, ტიგრან II-ისა და გვიანდელი ელინისტური ხანის პართიის მონეტები (შიდა ქართლის სხვადასხვა ადგილები).

ძვ. წ. I ს. რომსა და პონტოს სამეფოს შორის გამწვავებული ურთიერთობა ომში გადაიზარდა. მოახლოებული საფრთხის თავიდან ასაცდენად სომხეთის, ალბანეთისა და ქართლის მმართველებმა კავშირი დაამყარეს პონტოს სამეფოსთან, მაგრამ რომაელებმა დაამარცხეს პონტოს მეფის ლაშქარი და სომხეთში შეიჭრნენ. რომაელმა სარდალმა პომპეუსმა ალბანეთისა და ქართლის დამორჩილებაც გადაწყვიტა. ძვ. წ. 65 წ. გაზაფხულზე პომპეუსის ლაშქარი შემოიჭრა ქართლში. ქართლის მეფე არტაგი იძულებული გახდა არმაზციხე დაეტოვებინა, მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადასულიყო და მდინარეზე ხიდი დაეწვა. პომპეუსი მტკვრის მარჯვენა ნაპირს აჰყვა და ბრძოლით დაიმორჩილა ქართლის ეს მხარე, შემდეგ მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადაინაცვლა და კოლხეთში გადავიდა.

იბერიაში პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ რომსა და იბერიას შორის დამყარდა ურთიერთობა, რომელიც „მეგობრობასა" და „სამხედრო კავშირში" გამოიხატებოდა. ქართლის მეფეს ევალებოდა ჩაეკეტა ჩრდილო კავკასიიდან მომავალი გზები და ამით რომაელთა სამფლობელოები მომთაბარეთა შემოსევებისაგან დაეცვა, ვალდებული იყო სამხედრო დახმარება გაეწია რომაელებისათვის, რომლებიც ამ დროს აღმოსავლეთში ომობდნენ. I-III სს. იბერიის სამეფო კიდევ უფრო გაძლიერდა. რომის იმპერატორები ყოველმხრივ ცდილობდნენ ქართლთან „მეგობრობის" შენარჩუნებას.

რომაული ხანის შიდა ქართლის არქეოლოგიურ ძეგლთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. არადეთთან დედოფლის მინდორზე აღმოჩე-



სოფ. ნადარბაზევი. ხვეტის ნახატი-რეკონსტრუქცია. გ. ლეჟავას მიხედვით



მცხეთა. გალავნის კედლისა და ქალაქში შესასვლელის ნახატი-რეკონსტრუქცია. გ. ლეჟავას მიხედვით



სოფ. ძანი, ნასტაგისი, ნასტაკისი. სვეტის ნახატი-რეკონსტრუქცია (III . 190). გ. ლეჟავას მიხედვით

ნილი ძვ. წ. I ს. დიდი სატაძრო კომპლექსი, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით აქემენიდური ხანის სუზის და სელევკიდური ხანის პერსეპოლისის ტაძრების ანალოგიურია, მაგრამ მთელი რიგი თავისებურებებითაც ხასიათდება. კომპლექსი გეოგრაფიულად იბერიის ცენტრში მდებარეობს და მის ახლოს თავდაცვითი ნაგებობები არ არის, რაც ამ სამლოცველოს საერთო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე მიუთითებს. დედოფლის მინდორსა და ციხიაგორაზე ტაძრების აღმოჩენა სარწმუნოს ხდის მოსაზრებას, რომ ძველი ქართული თემი სატაძრო თემი იყო და ძველი ქართლის საზოგადოებრივი წყობილება ადრეულ ხანაში ძირითადად თეოკრატიულ ელფერს ატარებდა (სტრაბონი).

ამ ხანის ყველაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლებია — მცხეთის აკლდამა (I ს.), არმაზისხევის პიტიახშთა სამარხები და საცხოვრებელ-კომუნალური ნაგებობანი (II-III სს.), ზღუდერის სამარხები (II-IV სს.) და ნაქალაქარი ძალისი (I-IV სს.).

მცხეთის აკლდამის ქვის ნახევარცილინდრული კამარა უძველესია საქართველოში აღმოჩენილ ქვის კამარათა შორის. არმაზისხევში, ბაგინეთსა და ძალისში აღმოჩენილი აბანოები დაგეგმარებითა და აღნაგობით ემსგავსება წინა აზიის (დურაევროპოსი) და ყირიმის (ქარაქსი-აიტოდორი) გვიანდელი ანტიკური ხანის აბანოებს. არმაზისხევში აღმოჩნდა პიტიახშ-ერისთავთა მდიდრული სამარხები. ამავე რანგისაა ზღუდერის სამარხებიც. მათში ტორევტიკა ძირითადად ვერცხლის ჭურჭლით არის წარმოდგენილი. ვერცხლის ჭურჭელი გვხვდება მხოლოდ გამორჩეულად მდიდრულ სამარხებში. ამავე რანგისაა ზღუდერის სამარხებიც. ტორევტიკის ნიმუშები ძირითადად იმპორტულია, თუმცა ვხვდებით ადგილობრივ ნაწარმსაც (სავარძელტახტებისა თუ დასაკრძალავ სარეცელთა ხის ფეხების ვერცხლის გარსაკრავები და სხვ.). აღსანიშნავია ცხენისგამოსახულებიანი ვერცხლის პინაკები, რაც მიუთითებს ქართლის არისტოკრატიაში მითრაიზმის გავრცელებაზე. არმაზისხევის გათხრებმა მოგვცა არამეული დამწერლობის ადგილობრივი ნიმუშები, რომელიც მეცნიერებაში შევიდა „არმაზულის" სახელით. „არმაზული" დამწერლობა, ბერძნულთან ერთად, ანტიკური იბერიის ოფიციალური დამწერლობა იყო.

ნაქალაქარ ძალისში აღმოჩნდა დიონისესა და მის წრესთან დაკავშირებული მაღალმხატვრული მოზაიკური გამოსახულებანი.

გვიანდელი ანტიკური ხანის შიდა ქართლში დიდად იყო დაწინაურებული ოქრომჭედლობა. მცხეთის საოქრომჭედლო სახელოსნოთა ნაწარმი არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოშიც ვრცელდებოდა. ოქრომჭედლობის მეორე დიდი ცენტრი იყო ურბნისი.

იმდროინდელი შიდა ქართლის კერამიკა თითქმის ყოველთვის წითლად არის გამომწვარი, ხოლო ზოგჯერ წითლად შეღებილია და საერთოდ ადრეული პერიოდის კერამიკასთან შედარებით გაცილებით ნაკლებ მიმზიდველი, ერთფეროვანი და მხატვრული თვალსაზრისით მდარეა.

ამ დროს ქართლში ფართო ხმარებაში იყო საერთაშორისო ვაჭრობაში გავრცელებული მონეტები და მათი ადგილობრივი მინაბაძები. ქართლში ძლიერ იყო გავრცელებული რომაული და პართული ვერცხლის მონეტები — ავგუსტუსის დენარები, გოტარზის დრაქმები და მათი ადგილობრივი მინაბაძები. ნიშანდობლივია არქეოლოგიურ მასალაში იმპორტული საქონლის სიუხვე. ქართლთან სავაჭრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ ეგვიპტის სახელოსნო ცენტრებს (მძივები). აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოტანილ ძვირფას ქვებს ფართოდ იყენებდნენ ადგილობრივი ოქრომჭედლები. მრავლადაა რომაული გლიპტიკური ძეგლები, სირიული მინის ჭურჭელი, იტალიკური ბრინჯაოსა და ვერცხლის ჭურჭელი.

ქართული წარმართული პანთეონი უძველესი დროიდან იცნობდა მზის, მთვარისა და ვარსკვლავთა თაყვანისცემას. ქართულ სახელმწიფოებრიობის შექმნასთან ერთად ქართლში ინერგება მცირეაზიური (ხეთური) წარმოშობის არმაზისა და ზადენის ღვთაებათა თაყვანისცემა, რაც დაკავშირებულია შიდა ქართლში მესხური მოსახლეობის ტალღის შემოსვლასთან. ანტიკურ ხანაში იბერიაში

სარკინე, ნაქალაქარი. ორსვეტიანი ანტიკური ტაძრის ნახატი-რეკონსტრუქცია (III . 170). გ. ლეჟავას მიხედვით



ვრცელდება ზოროასტრიზმი და მითრას კულტი.

VII ს. სომხური ანონიმური გეოგრაფია, რომელიც ძირითადად IV-V სს. ვითარებას ასახავს, ქართლს კვლავ ხევებად დაყოფილს წარმოგვიდგენს და შიდა ქართლში (ზენა სოფელში) შემდეგ ხევებს ასახელებს: ტუნისხევი (ტანისხევი), დვანი, არაბეთისხევი, გვერდისძირი, საცხუმეთი, ქსნისხევი, ცხრაძმა, ბაზალეთი. აქ ჩამოთვლილი ზოგი ერთეული რამდენიმე ხევს აერთიანებს. ეს განსაკუთრებით ითქმის ტანისხევზე, რომელიც გვერდისძირთან ერთად მოიცავს თითქმის მთელ გაღმამხარს.

ანტიკური ქართლის სახელმწიფოში, რომელიც ადრეკლასობრივი ან პროტოფეოდალური ბუნებისა იყო, IV ს-დან ყალიბდება ფეოდალური ურთიერთობანი. ამ პროცესს ხელი შეუწყო IV ს. 30-იან წლებში ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ. ქრისტიანობამ საქართველოს შემდგომ კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა.

IV-V სს. მიჯნაზე რომსა და ირანს შორის გამწვავდა ბრძოლა ამიერკავკასიისათვის. ვახტანგ გორგასალის მეფობის დასაწყისში ქართლის სამეფო სასანური ირანის ვასალური სახელმწიფო იყო. გორგასალმა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო ერთ სამეფოდ გააერთიანა და დაიმორჩილა კავკასიის მთიანეთი. მან ქვეყანა დაჰყო ადმინისტრაციულ ერთეულებად — საერისთავოებად. მთელი შიდა ქართლი ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად — სასპასპეტოდ გაერთიანდა და მას სათავეში ჯუანშერ სპასპეტი ჩაუდგა. ვახტანგმა ჩაატარა საეკლესიო რეფორმა. ქართლის ეკლესიის სათავეში მან მთავარეპისკოპოსის მაგივრად კათალიკოსი დააყენა; შექმნა ახალი საეპისკოპოსოები. ვახტანგის დროს შიდა ქართლში შემდეგი საეპისკოპოსოებია: სამთავროს, წილკნის, სამთავისის, ურბნისის, რუისის, ნიქოზის. აღსანიშნავია, რომ საეპისკოპოსო კათედრალები განლაგებული იყო მტკვრის ჩრდილოეთით. რაც შეეხება გაღმამხარის სოფლებს, ისინი უშუალოდ შედიოდნენ მცხეთის საკათალიკოსო სენიორიაში.

V ს. შუა წლებში ვახტანგ გორგასალმა თბილისში ქალაქის შენება დაიწყო, ხოლო მისმა მემკვიდრე დაჩიმ VI ს. დამდეგს ქართლის სამეფოს დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა.

VI ს. დასაწყისიდან სპარსელებმა კვლავ გააძლიერეს შეტევა ქართლში ქართული წეს-ჩვეულებებისა და კულტურის აღმოსაფხვრელად. ისინი აღარ სჯერდებოდნენ ამიერკავკასიის ქვეყნების ვასალურ მდგომარეობას და მათ სპარსეთის ჩვეულებრივ პროვინციებად აქცევდნენ. ამასთან ძალით ავრცელებდნენ თავიანთ სარწმუნოებას. 523 წ. ქართლში იფეთქა



აჯანყებამ სპარსეთის წინააღმდეგ. აჯანყება დამარცხდა, რასაც ქართლში მეფობის გაუქმება და სპარსელთა მმართველობის დამყარება მოჰყვა. ქართლის სათავეში მდგომ მარზპანს დიდი სასამართლო და ადმინისტრაციული უფლებები მიენიჭა. ქართლის მნიშვნელოვან ქალაქებში დამპყრობლებმა ჯარები ჩააყენეს და ეს ქალაქები სპარსელ ციხისთავებს დაუმორჩილეს. მშრომელ მოსახლეობას სპარსელების ხარკი და სამხედრო ბეგარა მძიმე ტვირთად დააწვა. 571 წ. სომხეთსა და ქართლში ერთდროულად იფეთქა აჯანყებამ სპარსელების წინააღმდეგ. ქართველები სპარსთა ბატონობის მოსპობასა და სუვერენულ ხელისუფლების აღდგენას ისახავდნენ მიზნად. ხალხის გამარჯვებით ისარგებლეს აზნაურებმა და სახელმწიფოს სათავეში დააყენეს თავისი ინტერესების დამცველი მმართველი-ერისმთავარი. ერისმთავარ სტეფანოზ I პოლიტიკა აშკარად ანტისპარსული იყო. მისი მმართველობის დროს აშენდა მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი (586/87-604 წწ.). სტეფანოზის სახელით მოჭრილ მონეტაზე ჯვარი იყო გამოსახული.

VI ს. სირიიდან საქართველოში მოვიდა საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი ე.წ. „ასურელი მამები". მათგან შიდა ქართლში მოღვაწეობდნენ იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, თათე სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, იესე წილკნელი, ისიდორე სამთავნელი და მიქაელ ულუმბოელი. „ასურელმა მამებმა" მრავალი ეკლესია-მონასტერი ააგეს, ქრისტიანობა გაავრცელეს ქართლის წარმართულ მოსახლეობასა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში; ჩრდილოეთ კავკასიის მხარე ქართულ ეკლესიას დაუქვემდებარეს.

რეგიონის ტერიტორიაზე ნაპოვნი მონეტების ნიმუშები: 1. სასანიანი შაპურ I (მეფობის წწ. 242 — 273), ვერცხლი; 2. სასანიანი კავად (მეფობის წწ 488 — 531), ვერცხლი; 3. სასანიანი ხოსრო (მეფობის წწ. 590 — 628), ვერცხლი; 4. მეფე გიორგი III (მეფობის წწ. 1156 — 1184), სპილენძი; 5. მეფე თამარ (მეფობის წწ. 1184 — 1210), სპილენძი, 6. მეფე გიორგი III და თამარ (ერთობლივი, XIII ს.), სპილენძი; 7. მეფე თამარ და დავით სოსლანი (1200 წ.), სპილენძი; 8. დედოფალი რუსუდან (მეფობის წწ. 1223 — 1247), ვერცხლი; 9 ქართულ-ჰულაგუიდური (XIIIს-ის 80-იან წწ.), ვერცხლი; 10. მეფე დემეტრე II (მეფობის წწ. 1273 — 1289), სპილენძი.



საქართველოში, ისე როგორც ევროპასა და წინა აღმოსავლეთში, გავრცელებული იყო საეკლესიო ნაგებობათა ორი უმთავრესი სახეობა: წაგრძელებული უგუმბათო შენობები (ერთნავიანი-დარბაზული, ბაზილიკა და ე.წ. სამეკლესიიანი ბაზილიკა) და ცენტრალურ-გუმბათოვანი შენობები. ბაზილიკის ტიპი, რომელსაც პალესტინური ნიმუშების მიხედვით ნერგავდა ოფიციალური ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრებისათვის უცხო იყო. რაც შეეხება ქართულ ცენტრალურ-გუმბათოვან ტაძრებს, მის ბირთვს შეადგენს კვადრატი, რომელზეც აღმართულია გუმბათი და რომლის გარშემოც ვითარდება ჯვრისებრი გეგმა. კვადრატზე დამყარებული გუმბათის თემა გენეტიკურად უკავშირდება ანალოგიურ კომპოზიციას წინა აღმოსავლეთის ძველ ხუროთმოძღვრებაში და ქართული ხალხური არქიტექტურის ტრადიციებს (საცხოვრებელი სახლი „დარბაზი").

სამნავიანი და სამეკლესიიანი ბაზილიკების გვერდით, საქართველოში შემუშავდა უგუმბათო ნაგებობათა უმარტივესი სახე — ერთნავიანი ანუ დარბაზული ეკლესია, რომელმაც იარსება ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების განვითარების მთელ მანძილზე.

რეგიონში ბაზილიკური ეკლესიის ნიმუშებია ურბნისის ტაძარი (VI ს.), რკონის მონასტრის მთავარი ეკლესია და ატენის ხეობის ვერეს ეკლესია (VII ს.). სამეკლესიიანი ბაზილიკა — კატაულას წმ. გიორგის ეკლესია (VIII ს.) შემორჩენილია კავთისხევში.

გუმბათოვან ეკლესიათაგან ერთ-ერთი უძველესია ე.წ. „თავისუფალი ჯვრის" ტიპის ეკლესიები. რეგიონში აღსანიშნავია შიომღვიმის მონასტრის ძველი ეკლესია (VI ს. 50-60-იანი წწ.), იდლეთის ნათლისმცემლის ეკლესია (VI ს.), მეჯვრისხევის ღვთისმშობლის ეკლესია, თხოთის წმ. ნინოს ეკლესია (VII-VIII სს.). ასეთი ტიპის სრულყოფილი ნიმუშია სამწევრისის ეკლესია (VII ს.).

ადრინდელი ფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ძიებათა დამაგვირგვინებელი და ყველაზე სრულად განმასახიერებელი ნაწარმოებია მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი. მის არქიტექტურაში დასრულებული სახითაა წარმოდგენილი ქართული ადრინდელი ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტურობა, პროპორციების დახვეწილობა; დეკორატიული სისტემის და მორთულობის ძუნწი, ზომიერი მოხმარება; შიდა სივრცისა და გარეგნული სახის სრული მხატვრული შესატყვისობა; ორგანული შერწყმა გარე-

მოსთან. ჯვრის ტაძრის რელიეფები ქართულ ქანდაკებაში ადამიანის გამოსახულების ადრეული ნიმუშებია.

მცხეთის ჯვარმა სათავე დაუდო „ჯვრის ტიპის" (კუთხის ოთახებიანი ტეტრაკონქი) ძეგლებს საქართველოში (მარტვილის ტაძარი, ატენის სიონი, ძველი შუამთის დიდი ეკლესია).

VII ს. 30-იან წლებში აგებული წრომის ტაძარი შეიცავს ბევრ ახალ ნიშანს, რომელიც ქართული საეკლესიო არქიტექტურის განვითარების მომავალ ეტაპზე გვხვდება. ტაძარი გეგმით ე.წ. „ჩახაზული ჯვრის" ტიპს მიეკუთვნება. მანამდე აგებული ეკლესიებისგან განსხვავებით, გუმბათი აქ კედლებს კი არ ეყრდნობა, არამედ ოთხ ცალკე მდგომ ბოძს. აფსიდი მხოლოდ ერთია, აღმოსავლეთით, საკურთხევლისა. იგი შვერილს არ ქმნის და აღმოსავლეთის კედლის სწორი სიბრტყის უკანაა დაფარული. ფასადის მხარეს, იქ, სადაც საკურთხევლის აფსიდი ემიჯნება გვერდით სადგომებს, კედლის სისქეში ჩაწერილია ორი ღრმა ნიში ამ ხერხს კონსტრუქციული მნიშვნელობის გარდა, აქვს მხატვრული ეფექტიც: ეს ორი თაღოვანი ნიში, საკურთხევლის დიდ სარკმელთან ერთად, თავს უყრის და იქვემდებარებს მთელ ფასადს. სამკუთხა ნიშების მოტივმა დიდი ხნით მოიკიდა ფეხი ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში. ხოლო ჯვრის ოთხივე მკლავის, ე.ი. ოთხივე ფასადის შუა ნაწილების, ფრონტონით დაგვირგვინება წრომის შემდეგ საბოლოოდ დამკვიდრდა ქართულ არქიტექტურაში. წრომის საკურთხევლის კონქი ეკლესიის თანადროული მოზაიკით იყო შემკული, რომლისგანაც მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები გადარჩა.

ადრინდელი ფეოდალური ხანის სამოქალაქო არქიტექტურის ძეგლები შიდა ქართლში ნაკლებად არის შემორჩენილი. მათგან აღსანიშნავია კლდემაღალას ციხე და მთა-ქართლის ციხე ბაგინეთის მთების ხისტემის ყველაზე მაღალი მთის წვერზე. განაგრძობს არსებობას ანტიკური ხანის ქალაქი ურბნისი.

VI-VII სს. დაბა მცხეთისათვის შემოუვლიათ ალიზის ზღუდე-გალავანი კარიბჭითა და კოშკებით. VI ს. დასაწყისში დედაქალაქის თბილისში გადმოტანის მიუხედავად, მცხეთაში მაინც გრძელდება განვითარებული საქალაქო ცხოვრება. მცხეთა რჩება საქართველოს რელიგიურ ცენტრად.

საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური განვითარება VII ს. შუა წლებიდან არაბთა ბატონობამ შეაფერხა. მათ წინააღმდეგ მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო VIII ს. აჯანყებულთა დამორჩილება ხალიფამ სარდალ მურვანს დაავალა, რომელსაც ხალხმა სისასტიკის გამო „ყრუ" უწოდა. 736-738 წწ. მურვანყრუს ლაშქრობის შედეგად განადგურდა მცხეთა, მთა-ქართლი, კასპი, ურბნისი და მრავალი სხვა დასახლებული პუნქტი. არაბებმა ქართლში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. ქვეყნის სათავეში დააყენეს ამირა, რომელსაც დაუმორჩილეს ქართლის ერისმთავარი. მალე არაბებმა ქართლში ერისმთავრის ხელისუფლებაც გააუქმეს.

არაბთა ბატონობის მთელი სიმძიმე ქართლის შიდა რაიონებს დააწვა. საქართველოს განაპირა რაიონებში ხალხი შედარებით მშვიდად ცხოვრობდა. ასეთ პირობებში, VIII-IX სს. მიჯნაზე წარმოიქმნა ეკონომიკურად და კულტურულად შედარებით მომძლავრებული ახალი მსხვილი ფეოდალური სამეფო-სამთავროები: ეგრის-აფხაზეთის სამეფო, კახეთისა და პერეთის და ტაო-კლარჯეთის („ქართველთა სამეფო") სამთავროები. მალე სამეფო-სამთავროთა შორის დაიწყო ბრძოლა მიწა-წყლის გაფართოებისა და პირველობისათვის. ეს იყო იმავე დროს ბრძოლა ქართული მიწების გაერთიანებისათვის. იგი მიმდინარეობდა „ქართლსა ზედა" ანუ ქართლისათვის ბრძოლის ნიშნით. ქართლის კონსოლიდაციას აფერხებდა ერთი მხრივ არაბთა ბატონობა, ხოლო მეორე მხრივ ურთიერთმოქიშპე სამთავროები. ამის გამო ვერ ჩამოყალიბდა ქართლში ძლიერი პოლიტიკური ხელისუფლება და არაბთა ბატონობის უღლიდან განთავისუფლების (IX ს. II ნახევარი) შემდეგ ქართლის აზნაურები თავის ნებაზე განაგებდნენ ქვეყანას. X ს. „ქართველ აზნაურებს" შორის დაწინაურდა ტბელთა გვარი, რომლის უფროსი „ქართლის უფლად" ითვლებოდა. 904 წ. აფხაზთა მეფე კონსტანტმა დაიპყრო უფლისციხე და „ყოველი ქართლი". ივანე ტბელი მან თავის ვასალად, ერისთავად გამოაცხადა. კონსტანტი „ქართლის გამგებლად" იწოდებოდა და მისი რეზიდენცია უფლისციხე იყო.

ქართლის აზნაურებს შორის ზოგიერთი სხვებზე უფრო აღზევებული, რამდენიმე „ხევის" და მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრის მფლობელი უნდა ყოფილიყო (მაგალითად, X ს. II ნახევარში ძამის ციხის მფლობელი „ადარნასე ძამელი მთავარი" და კლდეკარის ერისთავი რატი, რომელიც ფლობდა ატენის ციხეს, მტკვრის სამხრეთით მდებარე ქვეყანას, თრიალეთს, მანგლისისხევსა და სკვირეთს).

მთისა და ბარის ურთიერთშერწყმის ტენდენციის შედეგად მტკვრის მარცხენა სანაპიროზე წარმოიქმნა ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა" ცენტრით უფლისციხეში, ხოლო

კედლის წყობის ნიმუშები:

ადრინდელი ელინისტური ხანა.



გვიანდელი ელინისტური ხანა.



ფეოდალური ხანა (გ. ლეჟავას მიხედვით).



მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მეორე „ქვეყანა“ — რატი ბაღვაშის საერისთავო, რომლის ცენტრი ატენში იყო. ამ პერიოდის შიდა ქართლის სხვა ფეოდალ-აზნაურები იყვნენ: საზუერელნი, მგდეურნი, ყანჩაელნი, კორინთელნი, სხვილსელნი, ფხვენელნი.

975 წ. დავით კურაპალატმა თავისი შვილობილი ბაგრატი ქართლის მეფედ გამოაცხადა. სამი წლის შემდეგ ბაგრატ III-მ (975-1014 წწ.) დასავლეთ საქართველოც შემოიერთა. ამით ჩაეყარა საფუძველი საქართველოს გაერთიანებას. 1010 წ. ბაგრატმა კახეთ-ჰერეთიც შემოიერთა.

უცხო დამპყრობთაგან ქვეყნის განთავისუფლება და საქართველოს ერთიან მონარქიად გაერთიანება დასრულდა დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) დროს. დავითის მრავალრიცხოვან გამარჯვებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1121 წ. დიდგორის ბრძოლას, როდესაც ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვანი კოალიციური ლაშქარი. 1122 წ. დავითმა შემოიერთა თბილისი, რომელიც იქცა სრულიად საქართველოს დედაქალაქად. დავით აღმაშენებლის დროსვე მოხდა გორის გაქალაქება.

დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების (დემეტრე I, გიორგი III, თამარი) დროს საქართველო წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო. ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას კვლავ შიდა ქართლი წარმართავდა. მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი სამეფო დომენად გადაიქცა. ქართლის ერისთავთა რეზიდენცია XII-XIII სს. სურამში იყო.

პერიოდი X ს-დან XIII ს. 20-იან წლებამდე ქართული კულტურის მძლავრი აღმავლობით ხასიათდება. ვითარდება საერო ლიტერატურა, ფილოსოფიური აზროვნება, ხუროთმოძღვრება, მონუმენტური მხატვრობა, ჭედურობა, ხელნაწერთა მხატვრული შემკობა, ქვაზე კვეთა.

საკულტო ხუროთმოძღვრებაში უმთავრეს ადგილს იჭერს გუმბათოვანი ტაძრის ტიპი მკაფიოდ ხაზგასმული გრძივი ღერძითა და მასებით, რომლებიც სივრცეში ჯვრის ფორმას ქმნის. ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილას აღმართულია მაღალყელიანი გუმბათი, რომელიც ოთხ ბოძს ეყრდნობა. თვალსაჩინოა ნაგებობების ზემოთკენ მისწრაფება. ამას ხელს უწყობს მრავალწახნაგა გუმბათის ყელის აზიდული პროპორცია და მისი სახურავის წვეტიანი პირამიდი. ფასადები დეკორატიული თაღების მთელი სისტემითაა მორთული. ლავგარდანი, კარსარკმელთა საპირეები და სათაურები შემკულია ქვაზე ნაკვეთი სახეებით, ფასადების კომპოზიციაში ჩართულია ჩუქურთმიანი ჯვრები, როზეტები, კვადრატები, ფიგურული რელიეფები.

ეპოქის უთვალსაჩინოესი ნაგებო-



ბაა მცხეთის საკათალიკოსო ტაძარი სვეტიცხოველი (1010-1029 წწ.), რომელიც გორგასლისეული ტაძრის (V ს.) ნანგრევებზე კათალიკოს მელქისედეკის თაოსნობით ააგო ხუროთმოძღვარმა არსუკისძემ.

სვეტიცხოვლის მახლობლად დგას სამთავროს ტაძარი (XI ს. I ნახევარი). მის გეგმაში თავს იჩენს მიდრეკილება უფრო კომპაქტური სივრცის შექმნისაკენ: გეგმა დამოკლებულია, ნაცვლად ოთხისა, დარჩენილია ორი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბოძი, პატრონიკე აღარ არის. ფასადები მდიდრულადაა მორთული. სამთავისის ტაძარი (1030 წ.) საყურადღებოა არა მარტო განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით — პროპორციათა პარმონიულობით, ვირტუოზულად შესრულებული მორთულობით, არამედ იმითაც, რომ აქ თავს იჩენს ზოგი თავისებურება, რომლებიც საფუძვლად დაედო ქართული ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებას. გეგმაში იგივე ტენდენცია ჩანს, როგორც სამთავროს ტაძარში: გამარტივება, დამოკლება. მართალია, აქ ჯერ კიდევ დატოვებულია გუმბათქვეშა ოთხი ბოძი, მაგრამ აღმოსავლეთის ორი ბოძი ძალიან მიახლოებულია საკურთხეველთან. მეტად მნიშვნელოვანია სამთავისის აღმოსავლეთ ფასადის მხატვრული დამუშავება, რომელმაც ხანგრძლივი გავლენა მოახდინა შემდგომი ხანის ქართულ ხუროთმოძღვრებაზე (იკორთა, კოჯრის კაბენი და სხვ.).

XII-XIII სს. მიჯნაზე რეგიონში აშენდა ისეთი მნიშვნელოვანი ნაგებობები, როგორიცაა ქვათახევისა და ყინწვისის ტაძრები. XIII ს. შუა წლებშია აგებული სოფ. მეტეხისა და ერთაწმინდის ეკლესიები. დარბაზულ ეკლესიათაგან მხატვრული მნიშვნელობით გამოირჩევა ხცისი (1002 წ.) და წინარეხის მაღალაანთ ეკლესია (XIII ს. I ნახევარი).

ეპოქის დამახასიათებელი საფორტიფიკაციო ნაგებობებია: ძამის ანუ ორთუბნის, სხვილოს, ვერეს, ცხირეთისა და სხვა ციხეები. თვალსაჩინო საინჟინრო ნაგებობაა 1199-1202 წწ. გაყვანილი სხალტბის წყალსადენი, რომელიც სასმელ წყალს აწვდიდა შიომღვიმის მონასტერს.

რეგიონის ხუროთმოძღვრული ძეგლების ინტერიერში შემორჩენილია ადრეული (ატენის სიონის თავდაპირველი დეკორის ფრაგმენტები, VII ს.), გარდამავალი ხანის (თელოვნის ეკლესია, VIII-IX სს.) და ქართული მონუმენტური მხატვრობის აყვავების პერიოდის (X ს. დასასრულიდან XIII ს. შუა ხანებამდე) ფრესკული მხატვრობის ნიმუშები. X-XII სს-ში ქართლში მცირე ეკლესიების მოხატვასთან ერთად მეფეთა ან მათთან დაახლოებულ პირთა დაკვეთით იქმნება დიდი პარადული ხასიათის მოხატულობა. გვხვდება როგორც ადგილობრივი ტრადიციებისათვის დამახასიათებელი თავშეკავებული ფერადოვანი გამა (იდლეთი, იკვი), ისე უფრო მდიდარი გამით (ლაჟვარდის გამოყენებით) შესრულებული ფრესკები. იგრძნობა ტაო-კლარჯეთის პარადული მხატვრობის გავლენა. მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია XI ს. II ნახევრის მოხატულობა ატენის სიონში.

ქართული მონუმენტური მხატვრობის მეორე ეტაპისათვის (იწყება XII ს. II ნახევრიდან) დამახასიათებელია ნახატის უფრო მეტი დეკორატიულობა და კომპოზიციის დინამიკურობა, რაც მკაფიოდ არის გამოვლენილი ფავნისის, იკორთისა და განსაკუთრებით ყინწვისის მხატვრობაში.

X-XI სს. შეიქმნა საშწევრისის, ზედაზნის, შიომღვიმის, ატენის, ხოვლეს კანკელთა რელიეფები.

VIII-IX სს. იქმნება ანგობირებული კერამიკული ნაწარმი. XI-XIII სს. თეთრადანგობირებული და მოჭიქული, ხატოვანი და ფერადოვანი კომპოზიციებით შემკული კერამიკა მოწმობს ქართველ მეთუნეთა მაღალმხატვრულ კულტურას.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში შიდა ქართლში დაწინაურდა მინის წარმოება, რაზეც მეტყველებს კარსანსა და ნატბეურში (სოფ. ნიჩბისი) აღმოჩენილი მინის სახელოსნოთა ნაშთები (მინის სალღობი ღუმელი), ნაირნაირი ჭურჭელი, დიდძალი წუნი და გადანაყარი.

XIII ს. შუა ხანებიდან საქართველოს პოლიტიკური ძლიერება ქვეითდება — ჯერ ჯალალედინი შემოესია, ხოლო შემდეგ მონღოლთა ურდოები, რომლებიც პირველად 1220 წ. გამოჩნდნენ. ქვეყანა საბოლოოდ გააჩანაგა თემურ-ლენგმა, რომელმაც XIV-XV სს. მიჯნაზე რვაგზის ილაშქრა საქართველოში. ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაქვეითებული ერთიანი ფეოდალური საქართველო XV ს. მიწურულს დაიშალა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ. თავის მხრივ სამეფოებში წარმოიშვა მცირე ერთეულები — სათავადოები (ფეოდალური სენიორიები), რომლებსაც საკუთარი ტერიტორია, ციხე-სიმაგრე, ეკლესია-მონასტერი ჰქონდათ და ლაშქარი ჰყავდათ. რეგიონში ქართლის საერისთავოს დაშლის შედეგად წარმოიშვა შემდეგი მსხვილი სათავადოები: არაგვის საერისთავო (XIV ს.), ქსნის საერისთავო (XIV ს.), საციციანო (XIV ს.), საამილახვრო (XV ს.), საჯავახო (XV ს.), სამუხრანბატონო (XVI ს.). მათ გვერდით XVII ს. გაჩნდა წვრილი სათავადოები: ფალავანდიშვილების, ფავლენიშვილების, ხერხეულიძეების, დავითაშვილების, ამირეჯიბების, ავალიშვილების, ხიდირბეგიშვილების, დიასამიძეების, შალიკაშვილების, სიამარდიშვილების, თაქთაქიშვილების, თარხნიშვილების.

XVI ს-დან ქართლის სამეფო დაიყო ოთხ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად — სადროშოდ (სასარდლოდ). აქედან სამი შიდა ქართლის ტერიტორიაზე იყო: II სადროშო — ქსნის დასავლეთით მდებარე მიწები ხეფინისხევამდე, III სადროშო — სამუხრანბატონო, არაგვი და ქსანი, IV სადროშო — გალმამხარი.

ოსმალთა სახელმწიფოს გაძლიერებისა და ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, საქართველო თითქმის მთლიანად მოწყდა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს. დაეცა ვაჭრობა, შემცირდა ქალაქების რაოდენობა. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში გორი, ალი, სურამი, ატენი, მძოვრეთი მცირე ქალაქებია.

XVI ს. II ნახევარში ოსმალეთი შიდა ქართლში გაბატონდა და საყრდენ ბასტიონად გორის ციხე აირჩია. ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლას ქართლში სათავეში ჩაუდგა სიმონ მეფე. 1599 წ. სისხლისმღვრელი ბრძოლის შედეგად ქართველებმა გორი გაათავისუფლეს.

XVII ს. ირანმა დიდი ხნით დაამყარა თავისი პოლიტიკური ბატონობა აღმ. საქართველოში. ირან-ოსმალეთის ომის დროს 1609 წ. საქართველოს ახალციხის მხრიდან მოულოდნელად შემოესივნენ ყირიმელი თათრები. ქართველთა ლაშქარმა გიორგი სააკაძის სარდლობით ცხირეთის ბრძოლაში მტერი სასტიკად დაამარცხა.

XVII ს. 30-იანი წლებიდან ირანი ქართლის სამეფო ტახტზე გამაპმადიანებულ ქართველ მეფეებს სვამდა. როსტომისა (1632-1658 წწ.) და ვახტანგ V (1658-1675 წწ.) მეფობაში ქართლში შედარებით მშვიდობიანობა დამყარდა და ქვეყანა სამეურნეო და კულტურული განვითარების გზას დაადგა. მეფე როსტომმა დააარსა ქართლის ახალქალაქი.

1723-35 წწ. ქართლში ოსმალური წესები ანუ „ოსმალობა“ დამყარდა. 1735 წ. „ოსმალობა“ შეცვალა „ყიზილბაშობამ“, რომელიც 1747 წლამდე გაგრძელდა. „ყიზილბაშობა“ მეტად მძიმე იყო. დაიბეგრა მთელი უძრავი და მოძრავი ქონება. ქართლ-კახეთში აჯანყებებმა იფეთქა. განსაკუთრებით ძლიერი იყო 1743-45 წწ. აჯანყება გივი ამილახვრის მეთაურობით, რომლის მთავარი დასაყრდენი იყო სურამის ციხე.

1744 წ. ირანის შაჰმა ქართლის მეფედ თეიმურაზ II, ხოლო კახეთის მეფედ მისი შვილი ერეკლე II დაამტკიცა. 1762 წ. თეიმურაზის გარდაცვა-

ლებიხთანავე ერეკლე II თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. აღმ. საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

XIV-XVIII სს. აშენდა ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიები, მნიშვნელოვანი სათავდაცვო ნაგებობანი, მრავალი დარბაზული სასოფლო ეკლესია. იმ სტილისტურმა ნიშნებმა (ეკლექტიზმის ელემენტები, ნაწარმოების ცალკეული შემადგენელი ნაწილების ორგანული მთლიანობის დაკარგვა, ხელოსნურობა), რომელთაც თავი იჩინეს XIII ს. ბოლოს, ახლა უფრო მოიკიდეს ფეხი.

ეპოქის მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობებია: გორის, სურამის, ალის, ქსნის (მტკვრის) ციხეები. თავდაცვით ნაგებობაში არსებითი ცვლილებები შეიტანა ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენამ და ფართოდ გავრცელებამ. ეს შეეხება XVII ს., განსაკუთრებით XVIII ს. ციხეებს. უპირატესობა ენიჭება წესიერ, შეძლებისდაგვარად სწორკუთხა მოხაზულობის გეგმას. კოშკები ჩართულია ციხის გარე კედლების ხაზში. ციხე-სიმაგრეებსა და ციხე-დარბაზებს უპირატესად აშენებენ არა ძნელად მისადგომ მაღლობებზე, არამედ ვაკე ადგილას, დასახლებული ადგილების მახლობლად, რათა მოსახლეობას საშუალება ჰქონოდა მოძრავ ქონებიანად დროულად შეეფარებინა სიმაგრისათვის თავი. კედლებში საგრძნობლად იზრდება სათოფურ-საზარბაზნეთა რაოდენობა. XVIII ს-დან სწორკუთხა კოშკების ნაცვლად თითქმის მხოლოდ მრგვალ კოშკებს აშენებენ, რადგან მრგვალი კოშკიდან ყველა მხარეს შეიძლება სროლა და რადიალური ნაკერებით შედგენილი კედლის წყობა უკეთ უძლებს არტილერიის დარტყმას.

რეგიონში ციხე-გალავნები შემორჩენილია მუხრანში, ქსოვრისში, ლამისყანაში. ფეოდალთა საცხოვრებელი ანსამბლების ნიმუშებია ქვემო ჭალაში (ამილახვრების), ნოსტეში (საავაძეების), სამწევრისში (ციციშვილების), წინარეხში (მაღალაძეების) არსებული არქიტექტურული კომპლექსები.

XIV-XV სს. მხატვრობა სტილისტურად უახლოვდება პალეოლოგთა ხანის ბიზანტიურ მხატვრობას. რეგიონში ამ სტილის საუკეთესო ნიმუშებია ნაბახტევის ეკლესიის მხატვრობა. XVI-XVII სს. ფრესკებში განსაკუთრებით საინტერესოა ისტორიულ პირთა — მეფეთა და ფეოდალთა ოჯახების წევრთა პორტრეტები. შესრულების ოსტატობით ისინი დიდად ჩამოუვარდებიან X-XIII სს. ფრესკებს, მაგრამ უშუალობა და თავისებური მეტყველი სახეები ამ პორტრეტებს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს. ამ ხანის საინტერესო ფრესკებია შემორჩენილი სვეტიცხოველში, სამთავროში, სამთავისში, მაღალაანთ ეკლესიის სამრეკლოში.

XIV-XVIII სს. მკვეთრად ქვეითდება კერამიკული წარმოების დონე. მზადდება მხოლოდ სამეურნეო საჭიროებისათვის გამოსადეგი მოუჭიქავი,



წითლადგამომწვარი უბრალო ჭურჭლეული. საზოგადოების ზედა ფენა ხმარობს ირანულ ფაიანსს.

1801 წელს რუსეთმა დაარღვია 1783 წლის გეორგიევსკის მფარველობითი ტრაქტატი და აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის იმპერიას შეუერთა. რეგიონის ტერიტორია ადმინისტრაციულად მოექცა ტფილისის გუბერნიის გორის და, ნაწილობრივ, დუშეთ-ანანურის მაზრებში.

XIX ს. 20-იან წლებში მთელი საქართველოს, კერძოდ რეგიონის, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში რიგი სასიკეთო ცვლილებები მოხდა: ქართლში გაუქმდა სათავადოები, აილაგმა ლეკთა თარეში, სათავადო და საეკლესიო აზნაურები გაათავისუფლეს ეკლესიისა და თავადების დამოკიდებულებისაგან, სამეფო და საუფლისწულო გლეხები კი გამოაცხადეს რუსეთის სახაზინო გლეხებად და სხვ. მოხდა ძვრები ეკონომიკაშიც.

ამასთან ხალხი ვერ ურიგდებოდა მეფის რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხდება სახალხო, კლასობრივი მღელვარებები, აჯანყებები. ამ მოვლენების ექო რეგიონსაც სწვდებოდა.

XIX საუკუნის 30-50-იან წლებში საქართველოში ყალიბდება კაპიტალისტური წყობა. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების, ვაჭრობის, მრეწველობის განვითარება იწვევდა ნატურალური მეურნეობის დაშლას. ეს ხელს უწყობდა გლეხთა კლასობრივ დიფერენციაციას. თანდათან ისპობა მიწის ფეოდალური საკუთრება, მას ბურჟუაზიული საკუთრება სცვლის. ამან თავის მხრივ გამოიწვია ფეოდალთა მხრივ გლეხთა ექსპლუატაციის გაძლიერება. საქართველოს გლეხობა 38 სახის სხვადასხვა გადასახადს იხდიდა. ეს მთავარი საბაბი იყო გლეხთა უკმაყოფილებისა.

ამავე დროს ისპობა ქალაქური ამქრული ხელოსნობა. ვითარდება როგორც წვრილი კაპიტალისტური, ასევე მსხვილი მანუფაქტურული წარმოება, ჩნდება მანქანური ტექნიკის ჩანასახები. ეს პროცესი კარგად ჩანს რეგიონშიც. მაგალითად, სოფ. ღვარებში (გორის მაზრა) თავადებმა ერისთავებმა მინის ქარხანა მოაწყვეს. ამ საწარმოში დაქირავებულ მუშებთან ერთად ყმებიც მუშაობდნენ.

რეგიონში კაპიტალიზმის განვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე ვაჭრობის განვითარება. 50-იან წლებში გორში საქმიანობდა 65 მსხვილი ვაჭარი, რომელთა ერთ ნაწილს რუსეთში და საზღვარგარეთაც კი გაჰქონდა საქონელი. ამავე ხანებში რეგიონში ვითარდება მეხილეობა-მებოსტნეობა, რაც განპირობებული იყო ქალაქების სწრაფი ზრდა-განვითარებით (თბილისი, გორი, სურამი). იზრდება რეგიონის მოსახლეობა.

გლეხთა მოძრაობა საქართველოში განსაკუთრებით გამწვავდა ბატონყმობის გაუქმების წინ. გლეხთა კლასობრივი ბრძოლა რეგიონში სხვადასხვა ფორმით — საჩივრების, მღელვარებისა და აჯანყების სახით ვლინდებოდა. გლეხთა მოძრაობამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შესახებ ხმების გავრცელებასთან დაკავშირებით.

1857-64 წწ. გლეხთა გამოსვლებიდან აღსანიშნავია ამილახვრების ყმების მღელვარება სოფ. ჭალაში. ყმებმა უარი თქვეს გადასახადებზე, თავს დაესხნენ მებატონის კარმიდამოს და ააოხრეს. 1858 წ. ამირეჯიბების წინააღმდეგ გამოვიდნენ აბისელი გლეხები. ამავე წელს ნოსტელმა გლეხებმა შეიარაღებული გამოსვლა მოაწყვეს მებატონე თარხნიშვილების წინააღმდეგ. 1860 წ. მებატონეებს ებრძოდნენ ფხვენისის, ბრეთის, ხვითის, კავთისხევის გლეხები. 1862 წ. ერისთავთა წინააღმდეგ გამოვიდნენ თეზის გლეხები. 1863-64 წწ. გლეხთა გამოსვლები მოხდა ბოშურში, დრეში, ბობნევში, ხოვლეში, დიცში, ტყვიავში, ქარელში, კეხიჯვარში, ცხრამუხაში.

ბატონყმობის საქმეში მეფის რუსეთის საერთო პოლიტიკისა და საქართველოში შექმნილი მწვავე კლასობრივი მდგომარეობის გამო რუსეთის მეფემ ალექსანდრე II 1864 წ. 13 ოქტომბერს ხელი მოაწერა თბილისის გუბერნიის გლეხთა ყმობისაგან განთავისუფლების დებულებას.

საგლეხო რეფორმის შემდეგ სოფლის მეურნეობა აღმავალი გზით ვითარდებოდა. მიმოსვლის გაუმჯობესების შემდეგ (შარაგზები, რკინიგზა) სოფლის მეურნეობის პროდუქცია ადვილად გადიოდა ბაზარზე. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრ-

*ვახუშტი ბაგრატიონი.* ქარტა ქართლისა. 1745 წ. (დედნის პირი, შემსრულებელი ნ. გამცემლიძე).



მაღებისა და სასაქონლო წარმოების გაფართოებასთან ერთად ხდებოდა სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაცია. რეგიონში შემდგომი განვითარება ჰპოვა სოფლის მეურნეობის ტრადიციულმა დარგებმა — მემინდვრეობამ, მეხილეობამ, მეეენახეობამ, მებოსტნეობამ, მეცხოველეობამ. რეგიონში შეიქმნა ბუნებრივი რესურსების დამამუშავებელი საწარმოები (ზეზემანის ხის სახერხი ქარხანა ატენში, მოგვიანებით, 1907 წ., ანჟელო ანდრეოლეტის კრამიტის ქარხანა ძეგვში და სხვ.).

რეგიონში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, გატარდა სასოფლო მმართველობის, სასამართლო და საქალაქო რეფორმები. 1876 წ. გორმა თვითმმართველობა, ხოლო 1881 წ. კი ქალაქის თავის არჩევის უფლება მიიღო.



გვ6ისი. არაყიაშვილების დარბაზი; მთავარი ფასადი. გუმისა და გადახურვის შეთავსებული ნახაზი (*ლ. რჩეულიშვილისა* და *ლ. სუმბაძის* მიხედვით).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ შექმნილმა მშვიდობიანი განვითარების პირობებმა ხელი შეუწყო ქართული ეროვნული კულტურის აღმავლობას.

XIX ს-ში საქართველოში გაიზარდა სკოლების რიცხვი: შეიქმნა ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო სპეციალური სასწავლებლები. რეგიონში სწავლა-განათლების ცენტრი იყო ქალაქი გორი. 1817 წ. აქ გაიხსნა სასულიერო, ხოლო 1830 წ. სამაზრო სასწავლებელი. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გორში ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის (1876 წ.), ქალთა პროგიმნაზიის (1881 წ.) გახსნა. 1883 წ ილია წინამძღვრიშვილმა სოფ. წინამძღვრიანთკარში დააარსა სასოფლოსამეურნეო სასწავლებელი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის სპეციალისტების აღზრდის საქმეში.

საქართველოში ეროვნულ ნიადაგზე სწავლა-განათლების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ (1879-1927 წწ.). მისი თაოსნობით რეგიონში რამდენიმე ადგილას გაიხსნა ქართული სკოლა, მათ შორის — წინარეხში (1882 წ.), ხელთუბანში (1884 წ.). საზოგადოება მატერიალურად ეხმარებოდა რუისისა და კავთისხევის სკოლებს. მრავალ ადგილას გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო. საზოგადოების ფილიალები შეიქმნა გორსა და ხაშურში. წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დიდად შეუწყო ხელი ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

XIX ს. ქართულმა არქიტექტურამ დაჰკარგა თავისი წამყვანი მდგომარეობა ხელოვნებაში, პირველობა დაუთმო სხვა დარგებს — დაზგურ ფერწერას, ქანდაკებას, დეკორატიული ხელოვნების სხვადასხვა სახეობას. XIX ს-შიც შენდება ერთნავიანი და გუმბათოვანი ეკლესიები, მაგრამ ისინი მოკლებული არიან მხატვრულ ღირებულებას. გორში, ისე როგორც საქართველოს ზოგიერთ სხვა პროვინციულ ქალაქში, ყალიბდება გეგმარებითი ხასიათით ქართული ხუროთმოძღვრების ძირეულ ტრადიციებთან მჭიდროდ დაკავშირებული ქალაქური საცხოვრებელი სახლის ვარიანტები. ამ სახლების არქიტექტურაში ჩნდება ახალი ელემენტები, რომლებიც ცხადყოფენ რუსული კლასიციზმის გავლენას (სვეტისთავები და ბაზისები, ცალკეული პროფილები). ქართლში აგრძელებს არსებობას ქართული გლეხური საცხოვრებელი სახლის ტიპი — „დარბაზი", რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ადგილობრივი ტრადიცია აქვს.

XIX ს. 60-80-იან წლებში ქართული საზოგადოებრივი აზრისა და მოძრაობის განვითარება განსაზღვრა „თერგდალეულთა" (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და სხვ.) მოღვაწეობამ. ისინი აყენებდნენ როგორც ეროვნულგანმათავისუფლებელ, ასევე პროგრესულ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური მეთაური იყო გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. საგურამოს ილიასეულ კარმიდამოში ყოველწლიურად 20 ივლისს ტარდებოდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა „ილიაობა". ეს დღესასწაული, რომელზეც თავს იყრიდა ფართო საზოგადოებრიობა, გამსჭვალული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთებით. აქ იმართებოდა მსჯელობა ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორიისა თუ სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო საკითხებზე.

რეგიონთან დაკავშირებული იყო აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (სოფ. ვარიანი); გორში სწავლობდა (საოსტატო სემინარიაში) და ერთხანს იქვე მოღვაწეობდა დიდი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა; სოფელ ხოვლესთანაა დაკავშირებული გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება.

რეგიონში განსაკუთრებით ფართო გაქანება ჰპოვა ხალხოსანთა მოძრაობამ, რომლის მთავარი ცენტრი იყო ქალაქი გორი. 1873 წ. გორში რუსეთიდან ჩამოსულმა სოფრომ მგალობლიშვილმა საფუძველი ჩაუყარა ხალხოსნურ ორგანიზაციას. ხალხოსანთა გორის ჯგუფი მიზნად ისახავდა თვითმპყრობელობისა და მემამულეთა მოსპობის გზით ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევას და გლეხობის დაბეჩავებული მდგომარეობის გაუმჯობესებას. გორის მაზრაში ხალხოსნები ავრცელებდნენ განმანათლებლურ, პოლიტიკურ ლიტერატურას და პროკლამაციებს, რომლებიც მრავლდებოდა სოფ. ტყვიავში მოწყობილ საიდუმლო სტამბაში.

XIX-XX სს. მიჯნაზე იწყება რეგიონის მუშათა კლასობრივი გამოსვლები ამიერიდან გლეხთა აგრარულ-რევოლუციური ხასიათის გამოსვლებსაც ძირითადად წარმართავს, პოლიტიკურ და ორგანიზებულ სახეს ანიჭებს მუშათა რევოლუციური მოძრაობა.

XX ს. დასაწყისში რეგიონში შეიქმნა პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები (გორში 1902 წ. გაზაფხულზე, ხაშურში 1903 წ. დასაწყისში); ცალკეული სოციალ-დემოკრატები ეწეოდნენ რევოლუციურ აგიტაციას. გორში მოდიოდა „ისკრისა" და „ბრძოლის" ნომრები, პროკლამაციები, რომლებიც იგზავნებოდა ქართლის სხვა ადგილებში. 1903 წ. მარტში

ტფილისში ჩატარებულ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების I ყრილობაში მონაწილეობდნენ გორისა და ხაშურის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების წარმომადგენლებიც.

1903 წ. 7 ივნისს გორში პირველად მოეწყო პოლიტიკური დემონსტრაცია. იმავე წლის 14 ივლისს დემონსტრაცია მოაწყვეს ხაშურის რკინიგზის გაფიცულმა მუშებმა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს ახლო სოფლების გლეხებმაც.

რეგიონის მშრომელები მონაწილეობდნენ რუსეთის 1905-07 წწ. რევოლუციაში.

1905 წ. იანვრის მეორე ნახევარში მღელვარება მოედო გორს, ხაშურს, ბორჯომს; თებერვალში კავთისხევსა და მეჯვრისხევში შედგა სოფლის საზოგადოებათა კრებები. 14 მარტს გორში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თაოსნობით მოეწყო დიდი დემონსტრაცია, რომელიც მთავრობის ჯარებმა სისხლში ჩაახშეს. იმართებოდა გლეხთა კრებები (შინდისი, სადგოლაშენი, არაბეთი, ხელთუბანი, მეჯვრისხევი, ქარელი, ვარიანი). 1905 წ აგვისტოში გორის მაზრის ადმინისტრაციამ დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები. ხდებოდა შეტაკება წითელრაზმელებსა და კაზაკებს შორის (ალაიანი, ქვემო ჭალა). ეწყობოდა გლეხთა მრავალრიცხოვანი მიტინგები (უფლისციხე, წინარეხი, ყარაღაჯი, ხოვლე, მეტეხი, დოესი, ხანდაკი, სასირეთი).

1905 წ. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ დაიწყო რევოლუციის უკანდახევისა და ცარიზმის იერიშზე გადასვლის პერიოდი. 1906 წ. იანვარში გორის მაზრაში შეიქმნა დამსჯელი რაზმები. გადაწვეს ხაშური; დაარბიეს სოფლები — ტყვიავი, ნიქოზი, ავნევი, ყორნისი, დგვრისი, დიცი, ულავი, მეჯვრისხევი, ხელთუბანი. 1906 წ. გაზაფხულზაფხულში გორის მაზრაში კვლავ გრძელდებოდა რევოლუციური ბრძოლები. მღელვარება გაგრძელდა 1907 წ გაზაფხულამდე.

1910 წლიდან რეგიონში კვლავ დაიწყო მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა. მუშათა მოძრაობით აღინიშნა 1910 წელი ხაშურში. 1912 წ აგრარულმა კანონმა ვერ შეამსუბუქა გლეხთა მდგომარეობა. რეგიონის სოფლებს გლეხთა მღელვარება მოედო.

1914 წ. პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. ომისათვის რუსეთი მოუმზადებელი აღმოჩნდა. ომმა დიდი სამეურნეო ზარალი გამოიწვია. არმიაში გაიწვიეს მწარმოებლური მოსახლეობის დიდი ნაწილი. ამან რეგიონის მეურნეობის წამყვან დარგებს საგრძნობი ზიანი მიაყენა. სასურსათო სიძნელეების გამო მოსახლეობა დაიშალა. ამის შედეგად უფრო გაძლიერდა აგრარული მოძრაობა, რომელიც რეგიონში სხვადასხვა ფორმით გამოიხატა.



ძველი ᲛᲪᲮᲔᲗᲐ. ერთ-ერთი ქუჩა. XIX ს-ის 80-ანი წლების ფოტო

XX ს. დასაწყისში და განსაკუთრებით რევოლუციის აღმავლობის წლებში რეგიონის ისტორიაში მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ხაშურში შეიქმნა სახალხო თეატრი. ქართული წიგნები იბეჭდებოდა გორში. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქართული სკოლები გახსნა საგურამოში (1909 წ.), ატენში (1912 წ.), ვარიანში (1914 წ.); 1910 წ. გორის ქალთა პროგიმნაზია გადაკეთდა გიმნაზიად, ხოლო 1915 წ გაიხსნა ვაჟთა გიმნაზია. გორში პირველად გამოვიდა ქართული გაზეთი „ქართლი" (1912-1913 წწ.), რომელიც ქალაქის ადმინისტრაციამ მალე დახურა. 1914-1915 წწ. გაზეთის გამოცემა განახლდა „ახალი ქართლის" სახელწოდებით. გაზეთის რედაქტორი იყო ცნობილი ქართველი მოღვაწე დ. კარიჭაშვილი.

1917 წ. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ სოფლად მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. რეგიონში გახშირდა გლეხების მიერ მემამულეთა მიწების მიტაცებისა და თვითნებური დამუშავების, მემამულეთა დაწიოკების, მკვლელობის, ტყეების უნებართვოდ გაჩეხვის შემთხვევები (სოფ. მუხრანი და სხვ.). 1917 წ. მარტში გორში ჩამოყალიბდა მუშათა დეპუტატთა საბჭო.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის (1917 წ., 25 ოქტომბერი) შემდეგ საქართველო საბჭოთა რუსეთს ჩამოსცილდა.

1918 წლის 26 მაისს აღდგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა — შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. იგი 1920 წლის 7 მაისს სცნო საბჭოთა რუსეთმა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ იარსება 1921 წლის თებერვლამდის, როდესაც რსფსრ-მ დაარღვია სამშვიდობო ხელშეკრულება და რესპუბლიკაში შემოიყვანა წითელი არმიის ნაწილები.

ᲡᲐᲒᲣᲠᲐᲛᲝ. ილიაობა საგურამოში. 20 მკათათვე (ივლისი), 1893 წ. (III, 162).





მუხათგვერდი. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მუხათგვერდის ატომური რეაქტორი (II, 141).

საქართველოში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

დაიწყო ახალი ხანა ქართველი ხალხის ისტორიაში. ქვეყნის ცხოვრებაში მოხდა ძირეული სოციალ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ცვლილებები.

რეგიონში ერთ-ერთი პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელი „ახალი ცხოვრება" შეიქმნა სამთავისში (1921 წ. მარტი). მის ბაზაზე 1924 წ. 6 ნოემბერს ჩამოყალიბდა პირველი სასოფლო-სამეურნეო კომუნა, რომელიც 1930 წ. კოლმეურნეობად გადაკეთდა.

რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტირიფონის სარწყავი არხის მშენებლობას (1924-34 წწ.), რომელმაც შესაძლებელი გახადა დამატებით ათეული ათასი ჰექტარი მიწის გამოყენება. სოფლის მეურნეობის ისეთი ტრადიციული დარგების გვერდით, როგორიცაა მემინდვრეობა, მეხილეობა-მევენახეობა, ვითარდება ახალი დარგი — მეჭარხლეობა (შაქრის ჭარხალი). 1931 წ. სოფელ აგარაში აიგო შაქრის ქარხანა.

რეგიონში დიდად ვითარდება საქალაქო ცხოვრება. ქ. გორის გარდა ქალაქის სტატუსი მიიღო დაბად ქცეულმა ქალაქებმა — მცხეთამ და კასპმა. 1921 წ. ქალაქად გამოცხადდა ხაშური.

სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებამ რეგიონში, ისე როგორც მთელ რესპუბლიკაში, გამოიწვია ქალაქებისა და სოფლების სწრაფი ზრდა. ახალმა ყოფამ, ახალმა სოციალურმა ურთიერთობებმა მოითხოვა ძველი ქალაქებისა და სოფლების ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების, საბინაო ფონდის, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის რეკონსტრუქცია, ძირეული გაუმჯობესება. ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაიწყო ზოგიერთი ქალაქისა და სასოფლო დასახლების რეკონსტრუქციისა და განვითარების პერსპექტიული გენერალური გეგმის პროექტების დამუშავება. ეს სამუშაოები გაგრძელდა სამამულო ომის შემდგომ წლებში და განსაკუთრებული გაქანება ჰპოვა უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში. ამჟამად დამტკიცებული გენერალური გეგმის პროექტები აქვთ ქალაქებს გორს (1971 წ.), კასპს (1973 წ.), მცხეთას (1973 წ.), ქარელს (1972 წ.), ხაშურს (1982 წ.) და სხვ. შედგენილია და დამტკიცებული რეგიონის რაიონული დაგეგმარების პროექტი. წარმოიშვა წინასწარ გააზრებული პროექტებით განაშენიანებული გორის ბამბეულის კომბინატის (1950-60-იანი წლები), კასპის ცემენტის ქარხნის მუშათა დასახლებები, მეჯვრისხევის (გორის რაიონი) მეფრინველეობის ფაბრიკის ექსპერიმენტული დასახლება (1970-იანი წლები), ახალი სოფელი გოსტიბე (1980-იანი წლები) და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გარკვეული ცვლილებები მოხდა რეგიონის კულტურულ ცხოვრებაში.

გაიხსნა სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, კინო-თეატრები, სამედიცინო-პროფილაქტიკური დაწესებულებები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრები და სხვ. რეგიონის კულ-

მცხეთა. საერთო ხედი



ტურულ ცენტრად რჩება ქალაქი გორი, სადაც მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მათ შორის აღსანიშნავია ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი (დაარსდა 1937 წ.) და გ. ერისთავის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრი (აშენდა 1939 წ.). 1955 წ. მცხეთის მახლობლად ამუშავდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მუხათგვერდის ატომური რეაქტორი.

გაიხსნა რამდენიმე მემორიალური სახლ-მუზეუმი. მათ შორის აღსანიშნავია ი. ჭავჭავაძისა საგურამოში, ი. სტალინისა გორში, ლ. კეცხოველის ტყვიავში, ი. გოგებაშვილის ვარიანში, ნ. ლომოურის არბოში, ი. ჯავახიშვილის ხოვლეში, ე. გაბაშვილის ახალქალაქში და სხვ.

რეგიონის მშრომელებმა ქმედითი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ხალხის 1941-45 წწ. დიდ სამამულო ომში გამარჯვების საქმეში.

საბჭოთა არმიის რიგებში გაწვეული იყო ქალაქ გორიდან და გორის რაიონიდან 12775 კაცი, აქედან ბრძოლებში დაიღუპა 3500, კასპის რაიონიდან გაიწვიეს 6428 კაცი, დაიღუპა — 3233; მცხეთის რაიონიდან — 4636 კაცი, დაიღუპა 1947; ქარელის რაიონიდან — 4075, დაიღუპა 2896; ხაშურის რაიონიდან — 8125 კაცი, დაიღუპა 5132. სამამულო ომის ფრონტებზე რეგიონის ბევრმა მკვიდრმა ისახელა თავი, მიიღო საბრძოლო ორდენები და მედლები. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭებული აქვთ ს. გალუსტაშვილს (გორის რაიონი), ი. ხმალაძეს, ს. ასლამაზაშვილს, გ. თვაურს (კასპის რაიონი), გ. სურამელაშვილს, შ. როსტიაშვილს (მცხეთის რაიონი), ს. კოზანოვს (ქარელის რაიონი), გ. სამხარაძეს, გ. პაპუაშვილს (ხაშურის რაიონი). ქალაქ გორში დაიბადნენ საბჭოთა კავშირის გმირები ბ. ზუმბულიძე, ნ. იუფეროვი, ვ. ნანეიშვილი.

სამამულო ომის წლებში რეგიონის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია თავდადებით შრომობდა — ფრონტი თუ ზურგი შეუფერხებლად იღებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს, ცემენტს, მრავალი სახის სამრეწველო საქონელს, ელექტროენერგიას. შრომითი თაოსნობა გამოიჩინეს ხაშურის რკინიგზის მუშებმა ძველი ვაგონების აღდგენისა და მოდერნიზაციის საქმეში.

რაიონების მშრომელები, დიასახლისები, მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ დიდ პატრიოტულ თაოსნობებში. მაგალითად — კასპის რაიონის მშრომელებმა სამამულო ომის წლებში თავდაცვის ფონდში შეიტანეს 44 მილიონი მანეთი.

რეგიონის მშრომელები მონაწილეობას იღებდნენ სატანკო კოლონის „ქართველი კოლმეურნე" და საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილიის, ხოლო გორის დრამატული თეატრის კოლექტივი სატანკო კოლონის „ხელოვნების მუშაკი" ასაგებად საჭირო თანხის შეგროვების საქმეში; გროვდებოდა და ფრონტზე იგზავნებოდა სხვადა სხვა სახის საჩუქრები. გამარჯვების აღსანიშნავად რაიონის ქალაქებში და სოფლებში აღმართულია დიდების მემორიალები, ხსოვნის სტენდები.

ისტორიული მიმოხილვა ცხადყოფს რეგიონის უდიდეს როლს საქართველოს ისტორიაში უძველესი დროიდან დღემდე.

*ჯონდო გვასალია*
*სიმონ კონწურაშვილი*
*უშანგი სიდამონიძე*

მუხრანი. გმირთა ხსოვნის მემორიალი (III, 143).



# I გორის რაიონი




● დასახლებული პუნქტი, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი



გორი. გამარჯვების მემორიალი (I, 005) და
გორის ციხე, ცხრაკარა[I, 010(ა)].



I. გორის რაიონი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. ახლანდელი გორის რაიონის ტერიტორია 1917 წლამდე შედიოდა ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში, 1917 წლიდან 1930 წლამდე — გორის მაზრაში, 1930 წლიდან ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია. ჩრდილოეთით ესაზღვრება სამხრეთ ოსეთის აო, აღმოსავლეთით — კასპის, სამხრეთით — ბორჯომისა და წალკის, დასავლეთით — ქარელის რაიონები. ფართობი 1375,9 კვ კმ, მოსახლეობა 79 ათასი (1984 წ.). რაიონული ცენტრია რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი გორი. რაიონში შედის 1 საქალაქო (გორი), 22 სასოფლო საბჭო (ატენი, ახალუბანი, ბერბუკი, ბოშური, დიცი, ვარიანი, ზეღდულეთი, კარალეთი, მერეთი, მეჯვრისხევი, მღებრიანი, ნიქოზი, საყავრე, სკრა, ტინისხიდი, ტირძნისი, ტყვიავი, ქვახვრელი, შავშვები, შინდისი, ძევერა, ხიდისთავი) და 143 სოფელი.

რაიონის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილს წარმოადგენს გორის ვაკე (ტერიტორიის დაახლოებით 39,7%, ზ.დ. 745 მ) და შუა მტკვრის ხეობის ძირის ვრცელი ტერასული ვაკეები, სამხრეთ ნაწილს — თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთა, კვერნაქის ქედი (უმაღლესი წერტილის სიმაღლე ზ. დ, 879 მ) და თრიალეთის ქედის მთისწინეთის ნაწილი. მთავარი მდინარეებია: მტკვარი, ლიახვი, ტანა, პატარა ლიახვი, მეჯუდა, თეძამი.

ჰავა გარდამავალია ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე. ზამთარი ზომიერად ცივია, ზაფხული — ცხელი. ჰაერის საშუალო ტემპერატურა: წლიური — ვაკეზე 10-10,9°C, მთიან ზონაში 7,7°C; იანვრისა — ვაკეზე — 1,2-1,7°C, მთიან ზონაში — 3,2°C; აგვისტოსი — ვაკეზე 22,5°C, დაბალმთიან ზონაში 18,6°C. ნალექების წლიური რაოდენობა: ვაკეზე 585 მმ, დაბალმთიან ზონაში 608 მმ. რაიონში მთელი წლის განმავლობაში ქრის დასავლეთის და აღმოსავლეთის ქარები (ჭარბობს დასავლეთის ქარი), მთიან სამხრეთ ნაწილში იცის მთახეობათა ქარები.

გავრცელებულია ალუვიური (ძველი ალუვიური), მდელოს კარბონატული და ალუვიური ყავისფერი კარბონატული, ტყის ყავისფერი და ყომრალი, გაეწრებული ტყის ყომრალი, კორდიანი და კორდიან-ტორფიანი ნიადაგები; გვხვდება სხვადასხვა ტიპის, ზოგან ძლიერ ჩამორეცხილი, მცირე სისქის სუსტად განვითარებული ნიადაგები.

რაიონის მთელი ფართობის 42,3% ტყე და ბუჩქნარია, 49% (68 ათ. ჰა) სავარგულებს უკავია.

რაიონში შემდეგი სამრეწველო დაწესებულებებია: გორის ბამბეულის და საკონსერვო კომბინატები, ღვინის ქარხანა (ატენის, ტყვიავისა და ხიდისთავის ღვინის საწარმოებით), ხის ტარის კომბინატი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, „საქსოფლტექნიკის" გორისა და ტყვიავის განყოფილებები, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, შინდისის რკინა-ბეტონის დამზადების პოლიგონი, წისქვილკომბინატი და ყველ-კარაქის ქარხანა. მოქმედებს ტირიფონჰესი.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: მეხილეობა, მებოსტნეობა-მებაღჩეობა. გავრცელებულია ვაზის საშამპანურე ადგილობრივი ჯიშები, ხილ-კენკრის მრავალნაირი ასორტიმენტი,. მარცვლეული კულტურებიდან — საშემოდგომო ხორბალი და სიმინდი. განვითარებულია მეცხოველეობა.

რაიონში არის 15 საბჭოთა მეურნეობა, 3 საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობისა და მეღორეობის ფერმა, 1 სამეურნეობათაშორისო მეურნეობა, 4 სახელმწიფო მეურნეობა.

რაიონის ტერიტორიაზე გადის ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალი, საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები. გორიდან ცხინვალამდე გაყვანილია რკინიგზის ხაზი (33 კმ).

რაიონში 72 ზოგადსაგანმანათლებლო და 3 სამუსიკო სკოლაა, 16 საბავშვო ბაგა-ბაღი, 25 საბავშვო ბაღი, 83 ბიბლიოთეკა, თეატრი, 10 კულტურის სახლი, 30 სასოფლო კლუბი, 24 კინოდარბაზი, 10 მუზეუმი. გამოდის რაიონული გაზეთი „გამარჯვება".

რაიონში 5 საავადმყოფოა, 25 ამბულატორია-პოლიკლინიკა, 19 საფერშლო-სამეანო პუნქტი, 8 აფთიაქი. არის ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები: გორიჯვარი და ბოშური.

გორის რაიონში ისტორიისა და კულტურის მრავალი ძეგლია. განსაკუთრებით აღსანიშნავია კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი უფლისციხე (ანტიკური ხანა-გვიანდელი ფეოდალური ხანა), ატენის სიონის ტაძარი (VII ს.) და სხვ.

# გორი

001. გორი, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი (1950 წ-დან), რაიონული ცენტრი, ისტ. ძ. მდებარეობს მდინარეების მტკვრისა და ლიახვის შესართავთან, ძირითად სატრანსპორტო გზების გზასაყარზე, თბილისიდან 76-ე *კმ*-ზე (რკინიგზით).

გორი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია საქართველოში. მას პირველად VII საუკუნის ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს ისტორიკოსი ჯუანშერი (XI ს.). გადმოცემის თანახმად, სტეფანოზ ერისმთავრის შეილმა არჩილმა მემკვიდრეობით მიღებული განძის ნაწილი დაფლა გორში. ჯუანშერის მიხედვით ამ სამალავს „ტონთიო“ — „ოქროს მთა“ ეწოდებოდა. ქალაქის სახელწოდებაც მასში აღმართული კლდოვანი გორაკისაგან წარმოდგება, რომელზედაც გაშენებულია ძველი ციხე-სიმაგრე (ძვ. წ. I ათასწლეულის უკანასკნელი საუკუნეები). არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ აქ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე უნდა არსებულიყო ქალაქური ტიპის დასახლება. ქალაქის ტერიტორიაზე უძველესი არქეოლოგიური ძეგლია ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი მტკვრის ნაპირას (ადგილი ლამბარეული. ნაპოვნი კერამიკა დამახასიათებელია ძვ. წ. III ათასწლეულის მტკვარ-არაქსის კულტურისათვის). 1946 წელს გორის ციხის ჩრდილოეთ ფერდობის ჩამოზვავების შედეგად გამოჩნდა ანტიკური ხანის კულტურული ფენა: ალიზის კედელი (ანალოგიურია ბაგინეთისა, წიწამურისა), თხელკეციანი ქვევრები, თიხის ჭურჭლის ნატეხები. ფენები ძვ. წ. I ათასწლეულის მიწურულითა და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით თარიღდება.

ზოგიერთი ისტორიული წყარო ქალაქის დაარსებას დავით აღმაშენებელს მიაწერს (XII ს. დასაწყისი). დავითმა ქართლისათვის გააძლიერა გორის მნიშვნელობა. გორმა უფლისციხის ადგილი დაიკავა. მოსახლეობის გაზრდის მიზნით დავით აღმაშენებელმა აქ ვაჭარ-ხელოსნური მოსახლეობა ჩაასახლა. გორი სამეფო ქალაქი გახდა. მას განაგებდა მეფის მოხელე — ქალაქის მოურავი. როგორც ფეოდალურ ქალაქს, გორს საკუთარი ციხის გარდა, ზღუდეც ჰქონდა შემოვლებული, რომელშიც დატანებული იყო ალაყაფის კარი. ზღუდეს თავის მხრივ თხრილი ჰქონდა შემოვლებული (სიღრმე 4 *მ*, სიგანე 5 *მ*).

XIII საუკუნიდან გორი და მისი ციხე ხდება საცილობელი პუნქტი დამპყრობლებსა და ქართველ მეფეებს შორის, ვინაიდან ქალაქი უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ და სავაჭრო გზათა გადაკვეთაზე მდებარეობდა და მისი დაუფლება ნიშნავდა პოლიტიკურ ბატონობას შიდა ქართლზე.

XIII საუკუნეში თათარ-მონღოლთა ბატონობის შედეგად დასუსტებულ საქართველოს კავკასიის მთების გაღმა მობინადრე ოსები შემოესივნენ და იერიში მიიტანეს ქართლზე. ხელთ იგდეს გორიც. დაარბიეს, გადაწვეს ქალაქი, ხოლო ციხე დაანგრიეს. მონღოლთა დახმარებით ისინი კარგა ხნით დამკვიდრდნენ აქ. ოსთა განდევნა მოხერხდა მხოლოდ XIV საუკუნის 20-იან წლებში, გიორგი V ბრწყინვალის დროს.

XV საუკუნეში (1477 წ.) საქართველოს დიდი ჯარით შემოესია აყ-ყოიუნლუს შაჰი უზუნ-ჰასანი, რომელმაც აიღო თბილისი და გორი. მაგრამ, 1479 წელს კონსტანტინე II-მ, სხვა ციხეებთან ერთად, გორიც დაიბრუნა და შიგ თავისი მეციხოვნეები ჩააყენა.

1509 წლის აგვისტოში იმერეთის მეფემ ალექსანდრე II-მ დაიპყრო გორი

*დონ კრისტოფორო დე კასტელი. გორის ციხე. XVII ს.*



გორი (1,00ჩ): ბამბეულის კომბინატი (002); 2. ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი (003); 3. ივანე გრიგორის ძე ზურაბოვის საფლავი (004). 4. გმირების მემორიალი (005). 5. გორის ბანკი (006); 6. გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი გიორგი ერისთავის სახელობისა (008); 7. გორის პედაგოგიური ინსტიტუტი ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობისა (007); 8. გორის ციხე (010); 9. ციხის ეკლესია [010(ა)]. 10. გორიჯვარი (012); 11. ერეკლეს აბანო (013). 12. კათოლიკური ეკლესია (014); 13. კამოს (სიმონ ტერ-პეტროსიანი) სახლ-მუზეუმი და ძეგლი (016); 14. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლი (017); 15. ნიკო ლომოურის ძეგლი და საფლავი (018); 16 საკონსერვო კომბინატი (020); 17. საოსტატო სემინარია, ამიერკავკ. სამასწავლებლო სემინარია (022); 18. სასულიერო სასწავლებელი (023); 19. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (009); 20. იოსებ ბესარიონის ძე სტალინის სახელმწიფო სახლ-მუზეუმი (024); 21. იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ძეგლი (025); 22. შაალსაქლენთი ქარხანა (026).



და ქართლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელიც დავით X-მ 1510 წ. დაიბრუნა.

1556 წ. გორი, რომელიც ლუარსაბ I-ის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა, ხელთ იგდო შაჰ-თამაზმა, მაგრამ ამავე საუკუნის 80-იან წლებში ქალაქს ოსმალები დაეპატრონნენ და გორის ციხეში თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს. 1599 წ. სიმონ I მოულოდნელად დაესხა თავს ქალაქს და გაათავისუფლა იგი.

1614 წელს შაჰი აბას I შემოესია საქართველოს, დაბანაკდა გორში და აქედან განაგებდა ქართლს.

გორისა და მისი ციხის მნიშვნელობა კარგად შეაფასა როსტომ მეფემაც, რომელმაც XVII ს. 30-იან წლებში განაახლა გორის ციხე და იქვე აიშენა სასახლეც.

XVII ს. მეორე ნახევარში გორი შესამჩნევად გაიზარდა. ვახტანგ VI დროს იგი საქართველოში ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო ქალაქი იყო. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენიც. გორი მიუჩინა რეზიდენციად ვახტანგ VI-მ თავის ძმას სიმონს, როდესაც თავად ირანში გაემგზავრა.

1723-34 წლებში ქალაქი ოსმალების ხელში იყო. მათ დაანგრიეს გორის სასახლე.

1735 წლიდან გორს სპარსელები დაეპატრონნენ ნადირ-შაჰის ბრძანებით გორის ციხე თითქმის დაანგრიეს.

XVIII საუკუნის 40-იან წლებში, თეიმურაზ II დროს, გორი დამპყრობელთაგან გათავისუფლდა. იგი მეორე ქალაქი გახდა თბილისის შემდეგ. მშვიდობიანმა ყოფამ თანდათან გამოაცოცხლა გორის საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება. ქალაქი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ფეოდალურ ხანაში იგი შეფენილი იყო გორის ციხის ფერდობებზე.

გორის ინტენსიური ზრდა იწყება XIX საუკუნიდან. გაჩნდა ახალი უბნები: ციხის უბანი, რუს უბანი, „პოსელენიე", სულუხი, გარე უბანი. ხელოსნობასა და ვაჭრობასთან ერთად, ქალაქის მოსახლეობა სოფლის მეურნეობასაც მისდევდა. გორი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერაც იყო. აქ, სხვადასხვა დროს, მოღვაწეობდნენ მწიგნობრები დავით ტულუკაშვილი, გიორგი გორელი, სტეფანე ფეშანგიშვილი, ავთანდილ, დიმიტრი, გიორგი თუმანიშვილები.

XIX საუკუნეში გორში დაარსდა სასულიერო და სამაზრო სასწავლებლები, სამასწავლებლო ანუ საოსტატო სემინარია, ქალთა პროგიმნაზია, ვაჟთა პროგიმნაზია და სხვ. 1911 წელს გორელ ქალთა ინიციატივით დაარსდა პროფსკოლა, რომელშიც ასწავლიდნენ ჭრა-კერვასა და ხელსაქმეს. 1919 წელს პროფსკოლამ ფილიალები გახსნა ხაშურსა და ახალქალაქში (წითელქალაქი).

XIX საუკუნის დასასრულისათვის გორი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. 70-იანი წლებისათვის აქ მოქმედებდა ხალხოსანთა მრავალრიცხოვანი წრე.

1905-07 წლებში ქალაქი საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი გახდა. გორში მრავალი ადგილია, რომლებიც დაკავშირებულია რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიულ მოვლენებთან. (ა) 1905 წლის 27 თებერვალს ყოფილ სამეფო ქუჩაზე (ახლანდელი ლენინის ქ.) მოეწყო მშრომელთა დემონსტრაცია. დემონტსრაციის ორგანიზატორები დააპატიმრეს. ამავე ქუჩაზე (ბ) 2-3 მარტს მოხდა მოსწავლეების, სკოლისგარეშე ახალგაზრდობისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის გამოსვლები. პოლიციამ მრავალი მონაწილე დააპატიმრა. ამ მღელვარებას მოჰყვა გორის ნოქრების გაფიცვაც. ნოქრებს ვაჭრებმაც დაუჭირეს მხარი და შეწყვიტეს მუშაობა. (გ) ამავე წლის 14 მარტს მემამულის მ. ამირაღოვის მიერ გორის საერთო სარგებლობის მიწების მითვისებით აღელვებულმა ხალხმა დაარბია მემამულის კარ-მიდამო. ამირაღოვს სასამართლოც უჭერდა მხარს. გორის სოციალ-დემოკრატთა ხელმძღვანელობით ქალაქში მოეწყო დემონსტრაცია. დემონსტრანტებს, რომლებიც არტილერიის მოედნისაკენ (ახლანდელი 26 კომისრების ქ. 1) მიემართებოდნენ, გზადაგზა ახალი ჯგუფები ემატებოდა. მოედანზე, გორის ციხის ძირში და ე. წ. ამილახვრიანთ ხიდთან მათ მეფის ჯარის ნაწილები დახვდათ. ჯარისკაცებმა დემონსტრანტებს ზურგიდან აუტეხეს სროლა. მოკლეს 3 კაცი (მათ შორის რევოლუციონერები ა. მუჩაიძე და დ. მურადოვი), დაჭრეს 11; დაჭრილთაგან რამდენიმე საავადმყოფოში გარდაიცვალა. რეპრესიებმა ვერ შეაჩერა რევოლუციური გამოსვლები. დახვრეტილთა დასაფლავება (16 მარტი) კვლავ გადაიქცა დიდ სახალხო დემონსტრაციად. შეტაკების ადგილას ამჟამად დგას სასტუმრო „ინტურისტი", რომლის სამხრეთ კედელზე მიმაგრებულია თეთრი მარმარილოს მემორიალური დაფა წარწერით.

(დ) იმავე დღეს ყოფილ საქალაქო სასწავლებლის მიმდებარე ქუჩასა და საარტილერიო მოედანზე (ახლანდელი ლომოურის ქ. 5, ახალგაზრდული ცენტრის შენობის ტერიტორია) გორის საქალაქო და სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეებმა წითელი დროშებით, რევოლუციური სიმღერებით და მეფის საწინააღმდეგო ლოზუნგებით მოაწყვეს დემონსტრაცია. მათ მხარი აუბეს ქალთა გიმნაზიის მოსწავლეებმა და ქალაქის მცხოვრებლებმა. საარტილერიო მოედანთან მთავრობის ჯარების ნაწილებმა დემონსტრანტებს სროლა აუტეხეს. მოკლეს ერთი ბავშვი, დაჭრეს 11 დემონსტრანტი (მათგან ორი გარდაიცვალა). სამხედრო

გორი. ქალაქის ერთ-ერთი უბანი. 1920 წ. ფოტო



პატრულმა სროლა აუტეხა მშრომელებს, რომლებიც ცდილობდნენ ჯარისკაცებისათვის თოფების წართმევას. მოკლეს ერთი მოქალაქე, ცხრა დაიჭრა. (ე) მეორე დღეს ქ ა ლ ა ქ გ ა რ ე თ (ადგილი დადგენილი არ არის) გაიმართა მიტინგი, რომელსაც 2000-მდე კაცი ესწრებოდა. დემონსტრანტებმა მოითხოვეს: 1. გორში ჩასულიყო კრიმ-გირეი (მეფის მოხელე, იმდროისათვის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე), 2. მის მოსვლამდე მთავრობას ნება მიეცა მოსახლეობისათვის კრებებზე თავმოყრისა, სადაც უნდა შეემუშავებინათ მოთხოვნები და აერჩიათ დეპუტაცია, 3. 14 მარტს დახოცილი მოქალაქეების დაკრძალვას არ დასწრებოდნენ მთავრობის მოხელეები. პოლიცია. ამ ამბებთან დაკავშირებით მთავრობამ გორში გაგზავნა კაზაკების ორი და ქვეითი ჯარის ერთი ასეული.

(ვ) 17 მარტს, ნაშუადღევს, ქალაქის ს ა მ ხ რ ე თ  უ ბ ა ნ შ ი, ეკლესიის ზარების ხმაზე დაახლოებით 2000 კაცი შეიკრიბა. გამოსული ორატორები სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე ლაპარაკობდნენ. თავშეყრის ადგილზე ჩაფრების თანხლებით გამოცხადდა მაზრის უფროსი. მათ კაზაკთა რაზმებიც მოჰყვნენ. ხალხი აღელდა, გაისმა მთავრობის საწინააღმდეგო შეძახილები.

(ზ) 1905 წლის 27 მარტს, გ ო რ ი ს ც ი ხ ი ს მახლობლად, რევოლუციურად განწყობილი ხელკეტებით შეიარაღებული მოსახლეობა თავს დაესხა ჯარისკაცთა რაზმს, რომელიც საპატიმროში მიდიოდა მცველთა რაზმის დასახმარებლად. თავდასხმის დროს ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს მოსახლეობას. მოკლეს 2 და დაჭრეს 7 კაცი.

(თ) 1-5 აპრილს ქალაქის ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა  კ უ თ ხ ე შ ი ჩატარდა ადგილობრივი მოსახლეობის კრებები, რომლებიც სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

(ი) 28 აგვისტოს რევოლუციურად განწყობილმა გლეხებმა (ადგილი დაზუსტებული არ არის) მოკლეს თავადი ლევან ციციშვილი. პოლიციამ ეჭვმიტანილი პირები დააპატიმრა.

(კ) ამავე წელს მოხდა კიდევ ერთი პოლიტიკური მკვლელობა — ქალაქის ც ე ნ ტ რ შ ი მოკლეს ბოქაული თავადი ავალიშვილი, პოლიციის უფროსი ოფიცრები ლიტვინენკო და ჩერკასოვი.

(ლ) 1905 წლის 23 ოქტომბერს, კვირა დღეს ყოფილ ს ა მ ე ფ ო  ქ უ ჩ ა ზ ე (ახლანდელი ლ ე ნ ი ნ ი ს  ქ.) ქალაქის მოსახლეობამ გამართა მთავრობის საწინააღმდეგო მანიფესტაცია, რომელიც მიმართული იყო სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. მონაწილეობდა 1500-მდე კაცი. შეკრებაზე წარმოთქვეს სიტყვები. მთავრობამ სცადა იარაღით დაეშალა მანიფესტაცია, მაგრამ ვერ შესძლო. პოლიციამ დააპატიმრა ეჭვმიტანილი 2 მოქალაქე.

(მ) მეორე დღეს გაიფიცნენ საქალაქო სასწავლებლის, საოსტატო სემინარიისა და ქალთა გიმნაზიის მოსწავლეები. საქალაქო სასწავლებლის გაფიცულმა მოსწავლეებმა მთავრობას წაუყენეს მოთხოვნები: უფროსკლასელთა დეპუტატებისათვის მიეცათ პედსაბჭოს კრებებზე დასწრების უფლება, შემოეღოთ მოსწავლეთა ამხანაგური სასამართლო, 25%-ით გაეზარდათ მთავრობის ხარჯზე მყოფ ღარიბ მოსწავლეთა რიცხვი, შემოეღოთ მშობლიურ ენაზე სწავლება. გიმნაზიის ხელმძღვანელობამ სასწავლებლიდან დაითხოვა 2 გაფიცული მოსწავლე. გაფიცვა სამ დღეს გაგრძელდა.

რევოლუციური გამოსვლები გრძელდებოდა 1906 წელსაც. (ნ) 20 ივნისს ქალაქში გაიფიცნენ ნოქრები. გაფიცვა ორ დღეს გაგრძელდა. იგი გადაიზარდა საერთო სახალხო გაფიცვაში.

(ო) 11 აგვისტოს, 12 საათზე, ყოფილი ტ ა ძ რ ი ს  ქ უ ჩ ა ზ ე (ქალაქის ცენტრში, ამჟამად აქ საცხოვრებელი სახლებია) რევოლუციონერები გ. ხმიადაშვილი და დ. ხაბელაშვილი თავს დაესხნენ ეტლით მიმავალ გორის მაზრის უფროსს კაპიტან ლეონტიევს და სამჯერ ესროლეს მას. ტყვია აცდა მიზანს. შემდეგ რევოლუციონერებმა ეტლს ესროლეს ყუმბარა, რომლის ნამსხვრევებმაც მსუბუქად დაჭრა თანმხლები პოლიციელი. შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ კაზაკები და ჯარის ნაწილები. მათ ალყა შემოარტყეს ახლომახლო სახლებს, მაღაზიებს, დაიწყეს ჩხრეკა, მაგრამ თავდამსხმელები ვერ დაიჭირეს.

(პ) 27 აგვისტოს, მოქალაქე ნატალია სტამბოლცევას სახლის ჩხრეკის დროს (ყოფილი მ ჭ ე დ ლ ე ბ ი ს  ქ უ ჩ ა გორის ციხის ძირში), პოლიციამ აღმოაჩინა დიდი რაოდენობის პროკლამაციები, რომელიც რუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ და ოსურ ენებზე იყო დაბეჭდილი, ფასიანი ქაღალდების წიგნი, ფულის შესაკრები დავთარი და სხვ. ბინაში დააკავეს ნოვოროსიის-



001. ხედი ქალაქზე გორის ციხიდან. XIX-XX სს-ის მიჯნა. ფოტო. დ. ერმაკოვისა

კის გიმნაზიის მე-7 კლასის მოსწავლე, ტამბოვის გუბერნიის ქ. ლიპეცკის მკვიდრი, 19 წლის პ. ვ. სერგეევი, რომელიც წინა დღეს ჯარისკაცებში პროკლამაციების გავრცელების დროს იყო შემჩნეული.

ქალაქი ძლიერ დააზიანა 1920 წლის მიწისძვრამ.

ამჟამად გორი კვლავ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრია. იგი სატრანსპორტო კვანძიცაა.

ქალაქის მრეწველობის მაპროფილებელი დარგებია საფეიქრო და კვების მრეწველობა. გორში ოცამდის სამრეწველო საწარმოა. აქ დამზადებული პროდუქცია (ბამბეულის ნაწარმი, ხელსაწყოები, რკინიგზის შპალები და სხვ.) იგზავნება სსრკ-ის სხვადასხვა რაიონებში და უცხოეთში.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მოხდა ქალაქის ძირეული რეკონსტრუქცია.

ქალაქის პირველი გენგეგმა დამტკიცდა 1950 წ. (არქიტექტორები ბ. ლოროქიფანიძე, ლ. სუმბაძე), მეორე კი 1971 წ. (არქიტექტორი ლ. სუმბაძე, თანაავტორი გ. გიგოლაშვილი).

გაფართოვდა ქუჩები, შეიქმნა მოედნები, აიგო საზოგადოებრივი შენობები: თეატრი (1935 წ., არქიტ-ები შ. თავაძე, მ. ჩხიკვაძე), ხიდი მდ. ლიახვზე (1938 წ., არქიტ. ს. სატუნცი), სასტუმრო „ინტურისტი" (1956 წ., არქიტ-ები ქ. ფორაქიშვილი — სოკოლოვა, ა. ქურდიანი), ი. ბ. სტალინის სახელმწიფო სახლ-მუზეუმი (1955 წ., არქიტ. ა. ქურდიანი), სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (1956 წ., არქიტ. მ. შავიშვილი, თანაავტორი ზ. ცქიტიშვილი), სამხატვრო სასწავლებელი (1972 წ., არქიტ. ვლ. ცინცაძე) და სხვ.

1947 წ. დაიწყო ბამბეულის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა დასახლების მშენებლობა (არქიტ. ლ. სუმბაძე), რომელიც დღესაც გრძელდება.

ქალაქში დაიდგა რამდენიმე მონუმენტური ქანდაკება.

ქალაქ გორის სივრცობრივ-კომპოზიციურ ცენტრს მუდამ წარმოადგენდა მტკვრისა და ლიახვის შესაყართან არსებულ ვრცელ დაბლობზე ტრაპეციულად ამოზიდული მაღალი გორაკი და მასზე გაშენებული გორის ციხე.



გორი. ქალაქის ხედი

გორში არაერთი სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. გამოდის საქალაქო და რაიონული გაზეთი „გამარჯვება", ბამბეულის კომბინატის მრავალტირაჟიანი გაზეთი „გორელი ფეიქარი", არის ახალგაზრდა მხატვართა გაერთიანება და სალიტერატურო საზოგადოება, რომელიც უშვებს ჟურნალ „ლიახვს".

ბიბლ.: 32; 40; 70; 98; 298; 303; 403: 1905 წ., 24 მარტი, № 40; 27 მარტი, № 43; 30 სექტემბერი, № 177; 9 ნოემბერი, 201; 16 ნოემბერი, № 207. 422: ფონდი 17, აღწ. 1, საქმე 9606, ფ. 11, 26, 152; საქმე 9607, ფ. 318 – 319.

*აფრ. გ., ე. შ.*

002. ამილახვრების სახლი, არქიტ. ძ. ლენინის ქ. № 47. აგებულია XIX ს. მიწურულში. სახეშეცვლილია: აივანი შემინულია, დაქუცმაცებულია ტიხრებით; აღარ არსებობს სადარბაზოს შესასვლელზე მიდგმული ლითონის პორტიკი, აგრეთვე ფასადის მარცხენა მხარეს ადრე არსებული ფართო შეისრული თაღი, რ-შიც ლითონის ორნამენტირებული ალაყაფის კარი ეკიდა. ა. ს. ერთსართულიანია, დგას ცოკოლზე. გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედია (36X18 მ), ნაშენია აგურით. შესასვლელი ორი აქვს — ქუჩიდან (სადარბაზო) და ეზოდან (ხისსვეტიან აივნიდან). გეგმა კორიდორული სისტემისაა. ერთმანეთისაგან იზოლირებული საცხოვრ. ოთახები გრძელი დერეფნის ორივე მხარესაა განლაგებული. დერეფნის ბოლოში დამხმარე სათავსებია. ეზოს მხარეს, შუაში — წაგრძელებული სადარბაზო ოთახია (დაახლ. 90 კვ მ), რ-იც აივანზე გადის. აივნის ორივე მხარეს, ერთმანეთის სიმეტრიულად თითო მეოთხედწრიული კიბეა. ინტერიერში საყურადღებოა შორენკეცებითა და თაბაშირის ორნამენტული დეტალებით მორთული ბუხარი (სადარბაზოში) და 3 ღუმელი. სარდაფში ჩასასვლელი ეზოდანაა. სარდაფის კიბის ორფერდა სახურავი ლითონის სხმულ, ორნამენტიან სვეტებს ეყრდნობა. შენობის მთავარი ფასადი არ-

002. გეგმა, მთავარი ფასადი





ქიტ. დეკორით (რთული პროფილები, ლავგარდანი, მაღალი პარაპეტი, შეერილი პილასტრები და ა. შ.) მდიდრულადაა მორთული. პილასტრები ფასადს არათანაბარ მონაკვეთებად ყოფს. შენობის ცენტრი მკვეთრად არის გამოყოფილი. მისი არე განიერია. პარაპეტზე დადგმულია ქონგურისებრი დეტალი, რ-შიც ადრე ჩასმული იყო საგვარეულო გერბის რელიეფური გამოსახულება. შენობის კედელი რუსტირებულია ნალესობაში გამოყვანილი ღარებით. პილასტრები დანაწევრებულია სხვადასხვა სირთულის პორიზ. პროფილებით, რ-ებიც განლაგებულია ცოკოლის, სარკმლების, ლავგარდნისა და პარაპეტის დონეზე. სარკმლებს მსგავსი მოჩარჩოება აქვს. მთელ ფასადს გასდევს ძლიერ შეერილი ლავგარდანი. *თ. დვ.*



003. საერთო ხედი

003. ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი, მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას ი. ჭავჭავაძის და ვ. ლენინის ქუჩების გადაკვეთაზე, სკვერში. მოქანდ. თ. ღვინიაშვილი, არქიტ. კ. ნახუცრიშვილი. გაიხსნა 1970 წ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბრინჯაოს ოთხმეტრიანი ქანდაკება დგას მუქი რუხი გრანიტის კვარცხლბეკზე (სიმ. 3,62 *მ*). მგოსანი მთელი ტანით არის წარმოდგენილი. ძ. შემოსაზღვრულია დაბალი პარაპეტით, რ-საც აწერია პოეტის დაბადებისა და გარდაცვალების წლები (1818-1845) და მისი ლექსის („ფიქრნი მტკვრის პირას") ფრაგმენტი.

ბიბლ.: 282. *შ. ი.*

004. იოანე გრიგორის ძე ბურცოვის საფლავი, ისტ. ძ. ა. წერეთლის სახ. სკვერი. რუსი დეკაბრისტი, რუსეთ-ირანის (1826-28 წწ.) და რუსეთ-თურქეთის (1828-29 წწ.) ომების სტრატეგიული გეგმების ავტორი, გენერალ-მაიორი ი. გ. ბურცოვი (1795-1829 წწ.) დაასაფლავეს 1829 წ. გორის ტაძარში (დაინგრა XIX ს-ში, მიწისძვრის დროს). საფლავის ქვაზე შემორჩენილია ი. ბურცოვის ბიოგრაფიული ცნობების შემცველი ვრცელი წარწერა და ეპიტაფია. *ვ. შ.*

005. გამარჯვების მემორიალი, მონუმ. ხელოვნ. ძ. აღმართულია გორის ციხის მახლობლად, მოედანზე. მოქანდ. ე. ამაშუკელი, არქიტ. ვ. დავითაია (ავტორებს 1982 წ. მიენიჭათ სსრ კავშირის სახელმწ. პრემია). გაიხსნა 1979 წ. 26 მაისს. ბრინჯაოს ქანდაკება (სიმ. 7 *მ*) დგას კირქვის ფილებით მოპირკეთებულ კვარცხლბეკზე (სიმ. 8 *მ*), რ-საც წაკვეთილი პირამიდის ფორმა აქვს. კვარცხლბეკის გრძივ მხარეზე წარწერაა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია". ქანდაკების კომპოზიციური ღერძია ლომის ზურგზე ამხედრებული ჭაბუკი, რ-იც ძლიერად ეყრდნობა ლომის ფერდებს. მხედარს განზე გაწეულ და იდაყვში მოხრილ მარცხ. ხელში ხმალი უჭირავს, რ-ზეც ვაზის ტოტია შემოხვეული. მარჯვ. ხელი წინ აქვს გაწვდილი. ქანდაკება საერთო წყობით, მონუმ. მასშტაბით მოედნის დომინანტია. ამავე დროს იგი ორგანულად ერწყმის გარემოს, გორის ციხეს.

ბიბლ.: 243. *დ. ფ.*

005,ა. იაკობ გოგებაშვილის ძეგლი, მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სტალინის პრ. და თელავის ქ. კუთხეში, სკვერში. ბიუსტი (0,7 *მ*) ბრინჯაოსია. ცილინდრული კვარცხლბეკი (165 *მ*) დგას დაბალ კვადრ. ბაზისზე. *კ. ს.*

006. გორის განძი, ქართული მონეტების განძი, არქეოლ. ძ. თარიღდება XV ს. ბოლო მეოთხედით. აღმოაჩინა მოქ. მ. ბიძინაშვილმა 1935 წ. შემთხვევით, მიწის დამუშავების დროს, მ. ცხაკაიას (ყოფ. სემინარიის) ქუჩასა და სასაფლაოს შორის. გ.გ. შეიცავს დაახლ. 10 000 ც (6 *კგ*) დაკნინებული წონის ბილონურ მონეტას. გ.გ-ის მეშვეობით მეცნიერებისთვის ცნობილი გახდა XV ს. ქართ. ნუმიზმატიკური ძ-ის მანამდე უცნობი უნიკალური ნიმუშები — ქართვ. მეფეთა და ფეოდალთა, კერძოდ, ალექსანდრე I (1412-43 წწ.), ვახტანგ IV (1443-46 წწ.), გიორგი VIII (1446-66; 1466-78 წწ.), ბაგრატ VI (1466-78 წწ.), ყვარყვარეს (1451-98 წწ.), კონსტანტინე II (1478-1505 წწ.) მიერ მოჭრილი მონეტები. გ.გ. შეიცავს XV ს-ის თურქული აყჩებისა და შირვანული თანგების მინაბაძებსა და გაურკვეველ ანეპიგრაფიკულ მონეტებსაც. ერთ-ერთ მონეტაზე (ადრიანოპოლში მოჭრილი თურქული აყჩეს მინაბაძი) გაირკვა თარიღი (წ. პ. 886-1481 წ.). მონეტების ნაწილი დაკარგულია, ნაწილი დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, ნაწილი — გორის მუზეუმში და ლენინგრადის სახელმწ. ერმიტაჟის ნუმიზმატიკურ ფონდში.

ბიბლ.: 121,279 305, 122. *დ. გ.*

007. გორის პედაგოგიური ინსტიტუტი ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობისა, ისტ. ძ. ი. ჭავჭავაძის ქ. 57. დაარსდა 1939 წ. სამასწავლებლო ინ-ტის (არსებობდა 1935 წ-დან) ბაზაზე. ინ-ტს აქვს ფაკ-ტები: ისტ.-ფილოლოგიის, ფიზიკა-მათემატიკის, გეოგრაფია-ბიოლოგიის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკის, საზ. პროფესიათა, საღრიცხვო ეკონომიკის; საღამოს და დაუსწრებელი განყ-ბები. ინ-ტში სწავლობს 2000-მდე სტუდენტი.

ბიბლ.: 40; 201 გ; 202. *ვ. შ.*

008. გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი გიორგი ერისთავის სახელობისა, ისტ., არქიტ. ძ. ი. ჭავჭავაძის ქ. 10. დაარსდა 1934 წ. (ახლანდ. შენობა აშენდა 1935 წ. არქიტ-ები შ. თავაძე, მ. ჩხიკვაძე). გორში თეატრის შექმნას ხელი შეუწყო ქალაქში არსებულმა ძველმა თეატრალურმა ტრადიციებმაც. გ. ერისთავის მიერ გასულ საუკუნეში შექმნილმა სცენის მოყვარეთა თეატრმა, რ-საც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ს. მგალობლიშვილი და ნ. შიუკაშვილი, პირველი საშინაო წარმოდგენა გამართა 1845 წ., საჯარო — 1865 წ. ქალაქში სცენისმოყვარეთა წრეები მუშაობდნენ რევოლუციამდე და 20-იან წლებშიც. თეატრის რეპერტუარშია ქართვ., სსრკ ხალხთა და საზღვარგარეთელ დრამატურგთა პიესები. სხვადასხვა წლებში გ. ს. დ. თ-ში მოღვაწეობდნენ ქართ. სცენის გამოჩენილი რეჟისორები (პირველი რეჟისორი იყო ა. ალაზნისპირელი) და მსახიობები.

ბიბლ.: 40; 55. *ვ. შ.*

009. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ისტ., არქიტ. ძ. ლომოურის ქ. 7. დაარსდა 1935 წ. აკად. ივ. ჯავახიშვილისა და პროფ. ს. მაკალათიას თაოსნობით. გაიხსნა 1938 წ. იგნ-ში. თავდაპირველად იწოდებოდა გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმად, 1943 წლიდან სახელმწ. ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმია. მუზეუმი მოთავსებულია ქართ. კათოლ. ეკლესიის მსახურთა ყოფ. საცხოვრებელში, რ-შიც სხვადასხვა დროს იყო სკოლა, გორის სამაზრო პიონერთა ორგანიზაცია. მუზეუ-

მის შენობა ნაგებია კირქვისაგან; ორსართულიანია, შედგება 10 ოთახისგან, აქედან 5 ექსპოზიციას აქვს დათმობილი. დაცულია 48100-ზე მეტი ექსპონატი. მუზეუმს აქვს საცავი და ბ-კა. ექსპონატთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ლითონწარმოების, კედლის მხატვრობის, მცირე ფორმის ქანდაკების, ჰერალდიკის, სახალხო სანახაობის ამსახველი მასალა, უნიკალური ვერცხლის კოლხური დიდრაქმა, დრაქმები, თამარ მეფისა და დავით ნარინის მონეტები, გორის შემოგარენის არქეოლ. გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთები (გორის განძი), ეპიგრაფიკული ძ-ები ქართ. და არაბულ ენებზე; ძვ. ქართ. ხელნაწერები, წიგნები, ისტ. დოკუმენტები, მწერლებისა და გამოჩენილ პიროვნებათა წერილები. გორის რევ. წარსულის და საბჭ. პერიოდის ამსახველი ექსპოზიცია უმეტესად ფოტოდოკუმენტებით არის წარმოდგენილი. მუზეუმი აწყობს არქეოლ. და ისტ.-ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს, სამეცნ. სესიებს; აქვეყნებს შრომებს არქეოლ., ისტ., ლიტ-რის საკითხებზე, სამეცნ. სესიების თეზისებს. მუზეუმის ფილიალებია: ა. ერისთავ-ხოშტარიას სახლ-მუზეუმი სოფ. დიდ მეჯვრისხევში, ნ. ლომოურისა სოფ. არბოში. *ბერძ. ც.*

010. ბორის ციხე, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ცენტრში, კლდოვან ბორცვზე. სიმაგრის დას. ბოლო მონაკვეთი გრძელდებოდა დღეისათვის მისგან ასეული მეტრით დაშორებული მდ-ების მეჯუდისა და ლიახვის შესართავამდე. ჩრდ. ფერდობზე შემორჩენილი ნანგრევები და არქეოლ. მონაცემები მოწმობს, რომ აქ ძვ. წ. I ათასწლ. უკანასკნელ საუკუნეებში ძლიერი სიმაგრე, მის გარშემო კი მოსახლეობა ყოფილა. ციხის მიწისზედა მნიშვნელოვანი ნაწილი განვით. ფეოდ. ხანას განეკუთვნება, ნაწილი — XVII ს. შუა ხანებს.

ბ. ც. პირველად მოხსენიებულია VII ს. ამბებთან დაკავშირებით (ჯუანშერი). იგი ნახსენებია გვიანდ. ფეოდ. ხანის მრავალ წყაროშიც. ციხე მნიშვნელოვანი სტრატეგიული სიმაგრე იყო. მისი დაუფლება ნიშნავდა პოლიტ. ბატონობას მთელ შიდა ქართლზე.

ბ. ც-ზე სარესტ. სამუშაოები 1951-55 წწ. ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (ავტორები: რ. გვერდწითელი, ა. გოგელია).

ბ. ც. შედგება ორი დიდი მონაკვეთისაგან: ზედა პლატოზე მდებარე ოვალური ციტადელისა (180 X 40 მ; კედლების სიმ. შიგნიდან 1-3 მ, გარედან 10 მ; კედლის სისქე საშუალოდ 2 მ) და დას-ით, ფერდობზე ნაგები „ცხრაკარასაგან". ციტადელის აღმ. მონაკვეთში მცირე ეკლესიის ნანგრევებია.

ციხე ძირითადად ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. ადრინდ. ფენებში თლილი ქვაა ნახმარი. აქა-იქ გამოყენებულია აგურიც. ნაგებობას ეტყობა მრავალჯერ გადაკეთების კვალი. ძირითადი ნაწილი აღდგენილია 1632-33 წწ. როსტომ მეფის მიერ. დღევანდელი სახე ციხემ 1774 წ. მიიღო, როცა იგი საფუძვლიანად შეაკეთა მეფე ერეკლე II-მ. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების (1801 წ.) პირველ წლებში ბ. ც. კიდევ ასრულებდა თავის ფუნქციას — აქ რუსეთის არმიის გრენადერთა ბატალიონი იდგა. შემდგომში მან დაკარგა სტრატეგიული მნიშვნელობა. 1920 წ. მიწისძვრამ დაანგრია ციხის ზედა ნაწილი და ეკლესია. ციხის შემორჩენილ ქვედა ყრუ კედლებს გასამაგრებლად სხვადასხვა დროს გარედან მიაშენეს კონტრფორსები. ციხის თავდაპირველი შესასვლელი არ ჩანს. XVII-XVIII სს-ში შესასვლელი სამხრ. კედლის შუაში იყო. აქ იდგა კოშკი, რ-ისგანაც შემორჩენილია მხოლოდ კამაროვანი ჭიშკარი. ციხეს დას-ით ჰქონდა გვირაბი მდინარიდან წყლის ამოსაზიდად და წყალსაცავი.

უკეთესად არის შემორჩენილი ციხის დას. მონაკვეთი — „ც ხ რ ა კ ა რ ა". (ა). იგი შედგება ორი პარალელური კედლისგან (მანძილი კედლებს შორის საშუალოდ 15 მ), რ-ებიც ფერდობს ჩაუყვება და ქვემოთ ნახევარწრედ იკვრება. ციხის ეს მონაკვეთი კედლებით შეიდ არათანაბარ ნაწილად



010. გეგმა: 1. ცხრაკარა, 2. ციხის ეკლესია



010(ბ). გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა

არის გაყოფილი, რ-ებიც ერთმანეთს უკავშირდება ამ კედლებში გარდიგარდმო დატოვებული გასასვლელებით, რაც აადვილებდა თითოეული ნაწილის ცალ-ცალკე დაცვას. გასასვლელებში, ფერდობის დაქანების გამო, საფეხურებია. „ცხრაკარას" გრძივი კედლები განსხვავებულია. ჩრდ-ის განიერი კედელი გამაგრებულია კონტრფორსებით. კედლის ზედა ნაწილში გასდევს საფეხურებიანი საბრძოლო ბილიკი. მოპირდაპირე მხარეს (სამხრ-ით) ორი სამსართულიანი ნახევარწრიული კონტრფორსებიანი კ ო შ კ ი დგას. კოშკების პირველი სართული საცხოვრებელია, კედლები ყრუა. მეორე სართული საცხოვრებელიც არის და საბრძოლოც. კედლებში გაჭრილია სათოფურები. მესამე სართული ქონგურებით შემოფარგლული საბრძოლო ბანია.

(ბ) ც ი ხ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას გ. ც-ის აღმ. მონაკვეთში. თარიღდება XI-XII სს-ით. ეკლ. დარბაზულია (12 X 7 მ), ნაგებია თლილი ქვით. შენობა დაზიანებულია: მთლიანად დანგრეულია კამარა და სამხრ. კედელი. შემორჩენილია აღმ., დას. და ჩრდ. კედლების ფრაგმენტები. 1956 წ. სპეც. სამეცნ.-სარესტ.-საწ. სახელოსნომ (ავტორი ა. გოგელია) ეკლესიის ჩრდ. კედელი შიგნით და გარეთ სწორკუთხა თლილი ქვით მოაპირკეთა.

ეკლესიას შესასვლელი ჩრდ. კედლის დას. ნაწილში აქვს. კარი გარედან სწორკუთხაა, შიგნიდან — თაღოვანი. შემორჩენილია ნახევარწრიული აფსიდის ჩრდ. ნაწილი და მისი ნახევარწრიული ნიში. ეკლ. გადახურული ყოფილა ცილინდრული კამარით, რ-ის საბჯენი თაღი ჩრდ-ით გრძივი კედლების წყვილ პილასტრებს ეყრდნობოდა. ამავე კედლებზე შემორჩენილია მაღალი დეკორატ. თაღის ფრაგმენტები.

*ბიბლ.:* 70; 100; 300. *ზ. პ., ნ. შ.*

011. გორი-ცხინვალის რკინიგზა, ისტ. ძ. გაიხსნა 1940 წ. 28 ივლისს. რკინიგზამ ქ. გორი დაუკავშირა ცხინვალს (რკინიგზის სიგრძე 33 კმ). 1960 წლიდან ხაზი ელექტროფიცირებულია.

*ბიბლ.:* 201 ზ. *ვ. შ.*

012. გორიჯვარი, არქიტ., ისტ. ძ. დგას მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, მთაზე. შემორჩენილია XVIII ს-ის გ ა ლ ა ვ ა ნ ი და გაურკვეველი დანიშნულების ნ ა გ ე ბ ო ბ ი ს ორი სართული. შენობა ნაგებია ნატეხი ქვით. იგი 1920 წ. მიწისძვრის დროს თითქმის მთლიანად დანგრეულა. გალავანი ორმაგია, მიჰყვება მთის რელიეფს და გამაგრებულია კონტრფორსებით. გალავნის კედლებში ორმაგი და ცალმაგი სათოფურებია. გაურკვეველი დანიშნულების ნ ა გ ე ბ ო ბ ი ს პირველ სართულზე რამდენიმე სარკმელი და სათოფურია, მეორეზე მხოლოდ სათოფურები.

(ა) 1904 წ. 11 აპრ. გ-ში რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა ჩაატარა გორის მაზრის მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ თ ა ყ რ ი ლ ო ბ ა. ესწრებოდა 25 კაცი. მიიღეს გადაწყვეტილება არალეგალური ლიტერატურის გავრცელებისა და პროპაგანდის მეშვეობით მემამულეთა და ხელისუფლების წინააღმდეგ გლეხების საბრძოლველად მომზადების შესახებ. *კ. ს.ზ. პ.*

013. ერეკლეს აბანო, არქიტ. ძ. რუსთაველის ქ. 41. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. აბანო გეგმით სწორკუთხაა (22 X 12,2 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. კონსტრ. ნაწილები — კედლების კუთხეები, შეისრული თაღები, ნახევარსფერული გუმბათები და სასინათლო ხვრელები აგურითაა ნაწყობი. სარესტ. სამუშაოები 1957-58 წწ. ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (ხელმძღ. ა. გოგელია). აღადგინეს დიდი სათავსის გუმბათი. 1983 წ. ჩატარდა შენობის კონსერვაცია (ხელმძღ. დ. ჭიკაიძე).

აბანო ორი სათავსისაგან შედგება. ორივე სათავსს შესასვლელი სამხ-დან ცალ-ცალკე აქვს. შენობის აღმ. კედელში მოგვიანებით კიდევ ერთი კარი გაუჭრიათ. თითოეული შესასვლელის მარჯვ. მხარეს დეკორატ. ნიშია (ამოშენებულია). სათავსები გადახურულია შეისრულ თაღებზე დამყარებული გუმბათებით. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათზე გადასვლა განხორციელებულია აფრების საშუალებით. შედარებით მოზრდილი აღმ. სათავსის გუმბათში გაჭრილია შვიდი წრიული ხვრელი, ხოლო დას-ისაში — ოთხი. სათავსებს შორის არსებულ თაღოვან მალში 1 მ-ის სიმაღლეზე ამოყვანილია გადამღობი კედელი, რ-შიც გაჭრილია ორი თაღოვანი და ერთი სწორკუთხა ხვრელი. ასეთივე ხვრელებია აღმ. სათავსის აღმ. კედელშიც. აბანოს კედლები შიგნიდან შელესილია. *ზ. პ.*

013. მთავარი ფასადი



013. განივი განაკვეთი, გეგმა





014. გიორგი ერისთავის ძეგლი, მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას გორის გ. ერისთავის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის ეზოში. მოქანდ. კ. მერაბიშვილი, არქიტ. მ. ჩხიკვაძე. დაიდგა 1950 წ. ბრინჯაოს ქანდაკების სიმაღლე 93 სმ-ია. გრანიტის კვარცხლბეკი წარმოადგენს ბაზისზე დაყრდნობილ მრგვალ სვეტს (სიმ. 1,96 მ). მწერალი გამოსახულია წელზევით, მხრებში გამართული, წიგნით ხელში. *მ. ღ.*

015. კათოლიკური ეკლესია, არქიტ. ძ. ლომოურის ქ. 7. აგებულია 1806-10 წწ. ამჟამად ეკლესიაში მოთავსებულია ქალაქის სამუსიკო ცენტრი.

კ. ე. ჯვარ-გუმბათოვანია (24 X 15,6 მ, სიმ. 25 მ), ნაგებია აგურით. შიგნიდანაც და გარედანაც შელესილია. 1920 წ. მიწისძვრამ შენობა დააზიანა. ეკლესიას მაღალი, განიერი და სწორკუთხა შესასვლელი დას-ით აქვს. შენობის გეგმა ჩაწერილი ჯვარია, რ-ის მკლავები აღმ-დან დას-კენაა წაგრძელებული. აღმ. მკლავი დასრულებულია ღრმა ნახევარწრიული აფსიდით, დანარჩენი მკლავები სწორკუთხაა. მკლავების გადაკვეთის ადგილას, თავისუფლად მდგარ ორ ბურჯზე და აფსიდის კუთხის პილასტრებზე გადაყვანილ ორსაფეხურიან ნახევარწრიულ თაღებზე დამყარებულია მაღალყელიანი 12-სარკმლიანი გუმბათი. გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება. აფსიდის მარცხნივ და მარჯვ-



015. ხედი სამხრ-იდან

ნივ მოთავსებულია სწორკუთხა სამკვეთლო და სადიაკვნე, რ-ებიც ბემაში გაჭრილი თითო გასასვლელით უკავშირდებიან აფსიდს, ხოლო დას-ით გაჭრილი თითო კარით — შენობის დანარჩენ ნაწილს. სამკვეთლოსა და სადიაკვნის თავზე მოთავსებულია თითო ნახევარწრიული თაღით გახსნილი პატრონიკე. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია აფსიდის კონქის ზედა სივრცეში მოწყობილი გადასასვლელით, რ-ში მოხვედრაც სადიაკვნის ჩრდ. კედელში დატანებული კიბით და ზედა ნაწილში გაჭრილი კარით შეიძლება. დას. მკლავის გვერდითი სათავსები ორი წყვილი ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი. ამ სათავსების გადახურვასა და სახურავს შორის სამალავებია. შენობას, დას. ნაწილში, მთელ სიგრძეზე, მეორე იარუსის დონეზე, მიჰყვება ღია პატრონიკე. ეკლესიის შესასვლელის ორივე მხარეს, კედელში დატანებულია პატრონიკეზე ასასვლელი კიბეები. შესასვლელის თავზე გაჭრილია სარკმელი. თითო განიერი და მაღალი, შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა სარკმელი სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლებშიცაა. ორ-ორი, შედარებით მცირე თაღოვანი სარკმლები დას-ის მკლავის გვერდით სათავსებშია. სამკვეთლოს და სადიაკვნეს აღმ-ით აქვს სარკმლები, პატრონიკეებს — ჩრდ-ით და სამხრ-ით. ყველა სარკმელი გარეთ ვიწროვდება.

ქ. ე-ს გარეგან ფორმებში, მასებსა და სახურავთა სისტემაში გამოვლენილია შიდა მოცულობები. ცენტრში აღმართული გუმბათის ქვეშ ორფერდასახურავიანი ჯვრის მკლავებია. დას. მკლავის გასწვრივ, ჩრდ-ის და სამხრ-ის მკლავებს შორის მოქცეულ სათავსებს ოდნავ დაბალი ცალფერდა სახურავი აქვთ. აფსიდის, სამკვეთლოსა და სადიაკვნის სახურავები კონუსისებრია. აფსიდის ორივე მხარეს, პატრონიკეების გადახურვებზე სამრეკლოებია აგებული.

აფსიდი და გვერდის სათავსები ტაძრის გარეგან მოხაზულობაში სამი არასრული ნახევარწრიული მრუდითაა გამოშვერილი. მათ შორის შუა, უფრო განიერი და მაღალი, საკურთხევლის აფსიდისაა. მის ცენტრში ორსაფეხურიან ცოკოლზე დგას პორტიკი, რ-ის პროფილირებულკაპიტელებიან მრგვალ სვეტებს ეყრდნობა რთული ლავგარდნით შემკული არქიტრავი.

გუმბათის ყელი მდიდრულადაა მორთული — 12 მოჩარჩოებულ თაღოვან ფანჯარას შორის, შეწყვილებული ნახევარსვეტების კონაზე გადაყვანილია დეკორატ. თაღები. სვეტებს სწორკუთხა ბაზისები აქვთ. არეები ფანჯრებსა და დეკორატ. თაღებს შორის შევსებულია რელიეფური წრეებით. დეკორატ. თაღების თავზე სიბრტყეთა მონაცვლეობით შექმნილია ფრიზის ზოლი. ფრიზსა და ლავგარდანს შორის ადგილი წრიული ვარდულებით არის შემკული. გუმბათის ყელს აგვირგვინებს კბილანებიანი რთულპროფილიანი ლავგარდანი. რთულპროფილიანი ლავგარდნითაა დასრულებული ეკლესიის ყველა ფასადი.

ეკლ. გადახურულია მოთუთიებული თუნუქით. ინტერიერი მოხატულია მე-19 ს. II ნახ-ში. 1950 წ. ინტერიერის კედლები შეუთეთრებიათ, რამაც დაფარა მხატვრობა.

ს ა მ რ ე კ ლ ო ე ბ ი რვაწახნაგაა, თითოეულს ოთხ-ოთხი თაღი აქვს. თაღებს შორის მოქცეულ სიბრტყეზე კაპიტელებიანი შეწყვილებული სვეტებია, მათ ზემოთ — რთულპროფილიანი ლავგარდანი. სამრეკლოები დასრულებულია ნახევარსფერული გუმბათებით. *კალმ. გ.*

017. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლი, მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას ვ. ი. ლენინის ქ., სკვერში. მოქანდ. ა. თოფურიძე, არქიტ. კ. ჩხეიძე. გაიხსნა 1956 წ. ბრინჯაოს ქანდაკება (სიმ. 3,5 *მ*) აღმართულია გრანიტის პოსტამენტზე (სიმ. 4.6 *მ*).

018. ნიკო ლომოურის ძეგლი და საფლავი, ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დ. გურამიშვილის ქ., ი. ბ. სტალინის სახ. კულტ. და დასვენების პარკი. მწერლის, პედაგოგისა და საზ. მოღვაწის ძ ე გ ლ ი (ა) დგას მის ს ა ფ ლ ა ვ ზ ე (ბ). მოქანდ. ა. შალუტაშვილი, არქიტ. ნ. პაპიაშვილი. გაიხსნა 1982 წ. 23 ოქტ. ქანდაკება (სიმ. 3,5 *მ*) ბეტო-

015. გეგმა



018(ა). საერთო ხედი



ნისაა, გადაკრული აქვს სპილენძი. დგას გრანიტისა და ბაზალტის კვადრ. კვარცხლბეკზე. პარკის საერთო სივრციდან გამოყოფილია გაზონებით და დიდი ზომის ბაქნით, რ-ზეც ქვის სამი ხკამი დგას. მწერალი სავარძელში ზის. მარცხ. ხელი მოხრილი აქვს, მარჯვ. სავარძლის სახელურზე გადაშლილ წიგნზე უდევს. ფეხი ფეხზე აქვს გადადებული. *დ. ფ.*

020. **საკონსერვო კომბინატი**, ისტ., არქიტ. ძ. შინდისის გზატკეცილი 5. კომბინატი პირველი საკონსერვო საწარმოა საქართველოში. ამუშავდა 1919 წ. პირველსავე წელს გამოუშვა 32 000 ქილა ნაწარმი. 1926 წ-დან დაიწყო კომბინატის ხელახალი მშენებლობა, რ-ის პირველი რიგი ამუშავდა 1928 წ. და გამოუშვა 140 ტონაზე მეტი პროდუქცია, მ. შ. სხვადასხვა კონსერვის 1,5 მლნ პირობითი ქილა. 1930 წ. ს.კ. 6 მლნ ქილა-კონსერვს უშვებდა. 1962 წლიდან დაიწყო კომბინატის მეორე რიგის მშენებლობა, რ-იც დამთავრდა 1967 წ. დღეისთვის ს.კ. უშვებს წელიწადში 50 მლნ პირობით ქილაზე მეტ კონსერვს. ს.კ-ის პროდუქცია იგზავნება სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონში და უცხოეთში.

*ბიბლ.:* 201 ზ *ვ. შ.*

021. **სამხედრო ქალაქი**, ისტ. ძ. ძნელაძის ქ. აქ 1942 წ. თებერვალში ჩამოყალიბდა 392-ე ქართ. მსროლელი დივიზია (მეთაური პოლკოვნიკი ი. სილაგაძე, სამხ. კომისარი კ. სიხარულიძე), რ-მაც მონაწილეობა მიიღო ჩრდ. კავკასიაში გერმანელ ფაშისტთა განადგურებისათვის წარმოებულ ბრძოლებში. აქვე 276-ე მსროლელი დივიზიის ბაზაზე შეიქმნა 276-ე ქართ. მსროლელი დივიზია (მეთაური პოლკოვნიკი ი. სევოსტიანოვი, სამხ. კომისარი პოდპოლკოვნიკი გ. ჩარგეიშვილი), რ-იც იბრძოდა ქ. ორჯონიკიძის მისადგომებთან ჩრდ. კავკასიის განთავისუფლებისათვის, უკრაინის I ფრონტზე — ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის; ორგზის დაჯილდოვდა საბრძოლო წითელი დროშის ორდენით, მიენიჭა ტემრიუკის საპატიო წოდება. *შაიშმ. ი.*

022. **საოსტატო სემინარია**, ამიერკავკ. სამასწავლებლო სემინარია, ისტ. ძ. მდებარეობდა ქალაქის ცენტრში (ახლანდ. სტალინის პრ. 32, ამჟამად აქ მოთავსებულია გორის № 9 საშ. სკოლა). გაიხსნა 1876 წ. იარსება 1918 წლამდე. ს. ს. ამზადებდა დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს. სწავლება სამწლიანი იყო. სწავლა ძირითადად მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. ცალკე საგნებად ისწავლებოდა ქართ., რუსული და აზერბაიჯანული ენები. სემინარიასთან არსებობდა ქართ., რუსული და აზერბაიჯანული დაწყებითი სკოლები, სადაც სემინარიელები პედ. პრაქტიკას გადიოდნენ; ორი საცხოვრ. პანსიონი—ქრისტიანი და მუსულმანი მოსწავლეებისათვის. ს. ს-ში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ეკატერინე-ფშაველა, ნიკო და თედო რაზიკაშვილები, ნიკო ჯანაშია, ლადო აღნიაშვილი, ჰ. ჰაჯიბეკოვი, ნ. ნარიმანოვი და სხვ.

*ბიბლ.:* 125. *ბერძ. ც.*

023. **სასულიერო სასწავლებელი**, არქიტ., ისტ. ძ. ლენინის ქ., 5. გაიხსნა 1817 წ. აქ ისწავლებოდა რუსული და ძველი სლავური გრამატიკა, არითმეტიკა, საეკლესიო გალობა, კატეხიზისი, ბერძ. და ლათ. ენები (პირველდაწყებითი კურსი), საღვთო სჯული და სხვ. ყურადღება ექცეოდა თარგმანს (ქართულიდან რუსულად და პირუკუ). სასწავლებელს ჰქონდა მდიდარი ბ-კა (ფონდი დაცულია ი. გოგებაშვილის სახ. სახალხო განათლების ბ-კაში). ს.ს-ში სხვადასხვა დროს სწაელობდნენ ი. გოგებაშვილი, ლ. კეცხოველი, ნ. ლომაური, ს. მგალობლიშვილი, ი. ჯულაშვილი და სხვ. გორის ს.ს. დაიხურა 1917 წ.

*ბერძ. ც.*



023. მთავარი შესასვლელი

023. გეგმა, მთავარი ფასადი



023,ა. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. ბუდიონის ქ., 1. აგებულია XIX-XX სს-ის მიჯნაზე. სახლი (18X11,4 მ) ერთსართულიანია, ნაშენია აგურით, გამოყენებულია თლილი ქვიშაქვაც. შესასვლელი ორი ჰქონდა: მთავარი ფასადის (ბუდიონის ქ.) ცენტრში (ამჟამად გაუქმებულია, მის წინ კიბეები მორღვეულია) და გვერდითი ფასადის ბოლოში (მოგვიანებით ამ მხარეს სახლს ერთი ოთახი მიაშენეს). ეზოს ფასადზე მიდგმულია ხის აივანი (შემინულია, სიგ. 2,8 მ). მთავარი შესასვლელით ვხედებოდით ვიწრო, მცირე ჰოლში, რ-ის ორივე მხარეს თითო ოთახი იყო. გრძივი მზიდი კედლის ეზოსკენ მიმართულ მონაკვეთშიც ორი ოთახი იყო, ერთი — საკმაოდ მოზრდილი, მეორე — მცირე. ახლა მარცხ. წინა ოთახი და დიდი ოთახი ტიხრებითაა გაყოფილი. ოთახები ნათდება ფართო, მაღალი სარკმლებით, თბებოდა ბუხრებით. მთავარი ფასადის ცენტრში, შესასვლელი კარის ორივე მხარეს, რუსტებიან პილასტრებში მოწყობილ ჯვრის მსგავს შეღრმავებებში ჩადგმულია არაპროფესიონალი ხელოსნის მიერ გამოქანდაკებული თითო ჰორელიეფი — სასულიერო პირისა (დაზიანებულია — მოტეხილია თავი) და მოხელის. რუსტირებული პილასტრებია აგრეთვე შენობის კუთხეებშიც. მთავარ ფასადზე ექვსი, გვერდით ქუჩის ფასადზე კი ოთხი სარკმელია. სარკმლების ქვეშ სწორკუთხა შეღრმავებებია. ნაგებობა დასრულებულია აგურის საფეხურებიანი მარტივი ლავგარდნით. სახურავი ოთხფერდაა, გამართულია ხის ნივნივებზე. სახლის ქვეშ სარდაფებია. *მ. გ.*

023,ა. მოხელის ქანდაკება



023,ბ. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. ნინოშვილის ქ., 3. აგებულია 1900 წ. ხურო-ხელოსანი გიგა ქორქაძე. სახლი ი. კახნიაშვილისაა. ს. ს. (14,7X11,9 მ) აგურითაა ნაშენი, სარდაფის კედლები — აგურითა და რიყის ქვით. შესასვლელი ნინოშვილის ქუჩიდანაა. ზედა სართულზე, შუაში გრძელი კორიდორია, რ-ის ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებულია ორ-ორი ოთახი. გამოირჩევა ქუჩის ფასადი. ამ ფასადზე კუთხეებში და სარკმლებს შორის პილასტრებია. სარკმლები ლილვებითაა მოჩარჩოებული და დასრულებულია სწორკუთხა ან თაღოვანი ფრონტონით. ასევეა შემკული შესასვლელი კარიც. ხის მასიური კარის ფრთების თაღოვანი ღიობები დაფარულია რკინის ცხაურით. პარაპეტის ზედა ნაწილს აგურის კბილანებიანი ლავგარდანი გასდევს. სახლს ეზოს მხარეს აქვს აივანი, რ-საც მოგვიანებით დამატებითი სათავსები მიაშენეს. სარდაფი ძირითადად სახლის გეგმას იმეორებს. სარდაფში ჩასასვლელი ეზოდანაა, სარდაფის კუთხის სათავსში — ქუჩის მხრიდან. *მ. გ.*

023,გ. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ჯორჯიაშვილისა (№24) და ოსტროვსკის ქუჩების გადაკვეთაზე აგებულია XIX ს. ს. ს. (15,3X9 მ) ერთსართულიანია, ნაშენია აგურით, სარდაფი — აგურითა და რიყის ქვით. სახლს თავდაპირველად 2 საცხოვრ. ოთახი და ორივე ქუჩისკენ გახსნილი სავაჭრო დუქანი ჰქონდა. ამჟამად ეს სათავსი გადაკეთებულია საცხოვრებელ ოთახად. ოთახებს შორის კორიდორია. მთავარი შესასვლელი ჯორჯიაშვილის ქუჩიდანაა, მეორე — ოსტროვსკის ქუჩიდან, აივნიდან. სახლის კუთხე გზაჯვარედინის მხარეს წაკვეთილია და აქ სარდაფში ჩასასვლელი თაღოვანი კარია გაჭრილი. სარდაფში, საცხოვრ. ოთახების ქვეშ, ორი დიდი სათავსია, აივნის ქვეშ — ერთი გრძელი სათავსი. სარდაფის კედლებში თაროებიანი თაღოვანი და სწორკუთხა თახჩებია. ჯორჯიაშვილის ქუჩის მხარეს, ფასადზე კარ-სარკმლები მოჩარჩოებულია აგურის წყობით. სარკმლების ქვემოთ სწორკუთხა შეღრმავებებია. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით. *მ. გ.*

023. გ. განივი განაკვეთი, გეგმა





023. გ. ფასადი

024. იოსებ ბესარიონის ძე სტალინის სახელმწიფო სახლ-მუზეუმი, ისტ., არქიტ. ძ. სტალინის პრ. 13. კომპლექსში შედის: სახლი, სადაც დაიბადა

024(გ). საერთო ხედი



და ბავშვობის წლები გაატარა ი. ბ. ჯუღაშვილმა (სტალინმა), ამ სახლის დამცველი პავილიონი და მუზეუმის შენობა. ი. ბ. სტალინის სახლი აღდგა და გაიხსნა 1937 წ. 10 ნოემბ. ამავე წელს აიგო დამცველი პავილიონიც.

(ა) სახლი ერთსართულიანია, ოროთახიანი. ნაგებია აგურითა და ალიზით. შესასვლელი ქუჩიდან, დასდან იყო (გაუქმებულია). ამჟამად სახლში მნახველები სამხრ-დან ხვდებიან, ქვის სამსაფეხურიანი კიბე ადის ვიწრო რიკულებიან ხის აივანზე, რ-ზეც გამოდის სახლის ორივე ოთახის კარები. პირველ ოთახს სამი სარკმელი აქვს, ორი — დას-ით, ერთი — სამხრით, აივნის მხარეს. აივანზე გამოდის მეორე ოთახის სარკმელიც. დანარჩენი კედლები ყრუა. შედარებით მოზრდილ დას. ოთახში გამოფენილია მემორ. ნივთები, ხოლო მეორე ოთახში ფოტოსტენდებია. დას. ფასადის კედელზე მიმაგრებულია მემორ. დაფა წარწერით: „აქ 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა ი. ბ. სტალინი. აქვე გაატარა თავისი ბავშვობა 1883 წლამდე". სახლის ნახევარსარდაფში, სადაც ჩადის აგურის კიბე, ბ. ჯუღაშვილის სახელოსნო იყო გამართული. სახლს შემოუყვება რიყის ქვის ქვაფენილი.

(ბ) დამცველი პავილიონი (არქიტ. მ. ნეპრინცევი) გეგმით კვადრატულია. პილონები შემოსილია ბოლნისის ქვით. რუხი მარმარილოთი მოპირკეთებული, ირიბად დაყენებული კვადრ. კვეთის კოლონები (დასით და აღმ-ით ექვს-ექვსი, სამხრ-ით და ჩრ-ით ოთხ-ოთხი) დასრულებულია დეკორატ. კაპიტელებით. პავილიონი გადახურულია მინით შევსებული დეკორატ. ცხაურით.

1939 წ. ი. ბ. სტალინის სახლის აღმ-ით, მის მახლობლად, ერთსართულიან შენობაში (ორ დარბაზში) გაიხსნა ი. ბ. სტალინის სახელმწ. სახლ-მუზეუმი (ექვემდებარებოდა ვ. ი. ლენინის ცენტრ. მუზეუმის თბილისის ფილიალს).

1957 წ. ი. ბ. სტალინის სახლის ჩრდ-ით აიგო (გ) მუზეუმის ორსართულიანი შენობა (არქიტ. ა. ქურდიანი). მუზეუმის ექვს დარბაზში გამოფენილია ი. ბ. სტალინის (1879-1953 წწ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები. (1985 წ. მუზეუმის ეზოში დადგეს (დ) ვაგონი, რ-იც ემსახურებოდა ი. ბ. სტალინს. ამჟამად მუზეუმი ექვემდებარება საქ. სსრ კულტ. სამინისტროს. *ვ. შ., კ. ს.*



026, ბ. საერთო ხედი

025. იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ძეგლი, მონ-მ., ხელოვნ. ძ. დგას სტალინის სახ. მოედანზე. მოქანდ. შ. მიქატაძე, არქიტ-ები ზ. და ნ. ქურდიანები. გაიხსნა 1952 წ. ბრინჯაოს ექვსმეტრიანი ქანდაკება დგას გრანიტის სამიარუსიან კვარცხლბეკზე (სიმ. 9 *მ*), რ-იც ამავე დროს ტრიბუნაცაა. ი. ბ. სტალინი მთელი ტანით არის წარმოდგენილი. აცვია სამხ. ტანსაცმელი.

*ბიბლ.:* 232. *მ. ი.*

026. შპალსაჟღენთი ქარხანა, ისტ. ძ. ორჯონიკიძის ქ. 40. ერთ-ერთი უძველესი საწარმო გორში. აშენდა 1893 წ. ეკუთვნოდა ფინელ მრეწველს ა. ზეზემანს. საწარმო ძირითადად მარაგდებოდა ადგილ. ნედლეულით. შპალების დაჟღენთვა მიმდინარეობდა ეულკანიზებული წესით. ქ-ნა წელიწადში უშვებდა 1000-1500 *კუბ მ* პროდუქციას. 1965 წლიდან აღიჭურვა ახ. ტექნიკით, რამაც საგრძნობლად გაზარდა ნაწარმის ხარისხი და რაოდენობა (წელიწადში 110-124 ათ. *კუბ მ*). განახლებული ქ-ნის ტერიტორია 15 ჰა შეადგენს. ნედლეულით ქ-ნას ძირითადად ამარაგებს კრასნოიარსკის ხე-ტყის ბაზა, საჟღენთი ნივთიერებით — დონეცკის ოლქის კოქსქიმიური ქ-ნა. შ.ქ. ემსახურება სარკინიგზო მეურნეობას და თავის პროდუქციას აწვდის როგორც სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებს.

*ბიბლ.:* 40:14 *ვ. შ.*

026, ბ. ხიდი, გორის ხიდი, არქიტ. ძ. გადებულია მდ. მტკვარზე. აიგო 1908 წ. საერობო სახსრებით (125 ათ. მან.). ინჟ. ა. გ. როტინოვი.

026, ბ. საერთო ხედი



ხ. რკინაბეტონისაა, სამმალიანი (მალების სიგრ. 41-50 მ), გენებეკის სისტემისა. ორივე ნაპირზე არქიტექტურულად მოწესრიგებული სანაპირო იყო. ხ-ის თავში, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე, განათების პილონებზე დამაგრებულია ლითონის სხმული სამშენ. სამახსოვრო დაფები (დაზიანებულია) რუსული წარწერით. *ქ. ს.*

## ავკეთი

(ქვახვრელის სოფსაბჭო)

027. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, ურულის ხეობაში, ტყიანი მთის ფერდობზე. თარიღდება XI-XII სს-ით. ე. დარბაზულია (16,8 X 13,7 მ), ნაგებია თლილი ქვით. საპირე ქვა ვარდისფერი და მწვანეა. ნაგებობის შიდა კედლები ამოყვანილია წვრილი ქვით. შენობა დაზიანებულია: შემორჩენილია მხოლოდ ე-ის და დას. სათავსების კედლების ქვედა ნაწილი; დანგრეულია ე-ზე ბევრად დაბალი და ვიწრო ეგვტერებიც, რ-იც ე-ს სამხრ-დან და ჩრდ-დან ეკვრის. ჩანს მხოლოდ მათი გ ე გ მ ი ს კონტურები.

ე-ის თავისებურებას მისი დას. ნაწილი — ეგეტერ-კარიბჭე წარმოადგენს. იგი ყრუ კედლით გაყოფილია ორად. ჩრდ. ნაწილში წაგრძელებული სათავსია, სამხრ-ისაში — მცირე ზომის ეგვტერი ჩრდ-კენ მიმართული აფსიდით. მასში შესვლა სამხრ. ეგვტერ-კარიბჭედან შეიძლებოდა.

ე-ს აქვს სამი განიერი შესასვლელი: დას. კედლის ცენტრში, ჩრდ. კედლის ალმ. ნაწილში და სამხრ. კედლის დას. ნაწილში. აფსიდი ნახევარწრიულია, განიერი. საკურთხევლის წინ იდგა მწვანე ქვის მოჩუქურთმებული კ ა ნ კ ე ლ ი (დაცულია საქ. სსრ ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმში). დარბაზის გრძივი კედლები დანაწევრებულია წყვილი პილასტრით, რ-ებსაც ეყრდნობა კამარის საბჯენი თაღი. კედლებზე აქა-იქ შერჩენილია შელესილობისა და კედლის მხატვრობის კვალი. აფსიდში ერთი, სამხრ. კედელში კი ორი სარკმლის კვალი შეიმჩნევა.

ე-ის ფასადების საპირე ქვები უმეტესად ამოვარდნილია. ჩრდ., დას. და სამხრ. ფასადების ცენტრში შერჩენილია შეერილი თაროს რამდენიმე ფრაგმენტი. თარო სარტყელივით გასდევს ფასადებს. მას ეყრდნობა ეგვტერ-კარიბჭეების კამარები. კედლებს ზოგ ადგილას ატყვია ფხვიერი ხსნარით შესრულებული გვიანდ. შეკეთების კვალი. *ქ. თ.*

027. გეგმა



## არაშენდა

(ვარიანის სოფსაბჭო)

028. მთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-ალმ-ით, მთაზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,2 X 5,3 მ), ნაგებია რიყის ქვით. შენობის კუთხეები, პილასტრები, კარ-სარკმლის საპირეები, ლავგარდანი და თაღები თლილი ქვისაა. გარედან სწორკუთხა,

028 სამხრ. ფასადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა







შიგნიდან თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო სარკმელია, მის მარცხ. მხარეს — თაღოვანი ნიში. აფსიდის სარკმლის ქვეშ სატრაპეზო ქვა დგას, საკურთხევლის







029. ალმ. ფასადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა

წინ — ქვის კ ა ნ კ ე ლ ი, რ-საც თაღოვანი შესასვლელი აქვს. მისგან მარცხნივ შეისრული ფორმის ნიშია. სამხრ. და დას. კედლებში შიგნიდან სწორკუთხა და გარედან თაღოვანი სარკმლებია. კამარის საბჯენი თაღი გრძივი კედლების წყვილ ორსაფეხურიან პილასტრებს ეყრდნობა. ეკლ. შიგნით შელესილია.

სამხრ. ფასადზე, შესასვლელის არქიტრავზე, გამოსახულია ტოლმკლავებიანი ჯვარი. ალმ-ის ფასადის ფრონტონის თავზე ქვისგან გამოკვეთილი ცხვრის თავი დგას. შენობას შემოვლებული აქვს თაროსებრი ლავგარდანი. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ქვის ფილებით. *ნ. ფ.*

029. ფერისცვალების ეკლესია, ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ალმ-ით, ხასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,1 X 5 მ), ნაგებია რიყის ქვითა

და აგურით. სარკმლები მთლიან თლილ ქვაშია გამოკვეთილი. დაზიანებულია შენობის კედლები, ლავგარდანი ნაწილობრივ ჩამონგრეულია, კრამიტი ჩამოცვენილია. თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. უსწორო ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო თაღოვანი სარკმელია, სარკმლის ორივე მხარეს — სწორკუთხოვანი ნიშები. ჩრდ. ნიშის ქვემოთ ქვით ნაგები ტუმბაა. სარკმლები დას. კედლის და სამხრ. კედლის აღმ. ნაწილშიცაა. აგურის ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი გრძივი კედლების კრონშტეინებს ეყრდნობა. ეკლ. შიგნით შელესილია. აღმ. ფასადის კეხში ჩადგმულია ქვა ჯვრის რელიეფით. ეკლესიას შემოვლებული აქვს აგურის ორი რიგისაგან შედგენილი ლავგარდანი.

*კალმ. გ., ნ. შ.*

**ღვთისმშობლის ეკლესია**, იხ. ფ ე რ ი ხ ც ვ ა ლ ე ბ ი ს ე კ ლ ე ს ი ა.

## არბო

(დიცის სოფსაბჭო)

030. **ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი**, გორის ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალი, ისტ. ძ. დგას შუა სოფელში. სახლი ერთსართულიანია, ოროთახიანი. ერთ ოთახში გამოფენილია მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალა, მემორ. ნივთები, მეორეში სოფლის ბ-კაა. გამოჩენილი ქართვ. მწერალი, პედაგოგი და საზ. მოღვაწე დაიბადა ამ სახლში 1852 წ, 19 თებ. და ცხოვრობდა 1860 წ-მდე. *ყაზ. ლ.*



030,ა. საერთო ხედი. XX ს-ის დასაწყისის ფოტო

030,ა. **საცხოვრებელი სახლი**, არქიტ. ძ. დგას წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდ-ით, აგებულია XX ს-ის დასაწყისში. არქიტ. სიმონ კლდიაშვილი. სახლი ი. მაქარაშვილს ეკუთვნოდა. ს. ს. (17,4X16,6 მ) ორსართულიანია, ნაგებია აგურით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია ზედა სართულის ჩრდ. აივანი, ქვედა სართულის აივნის მნიშვნელოვანი ნაწილი; სამხრ. აივნების ჭვირულორნამენტიანი მოაჯირები შეცვლილია მთლიანი ხის მოაჯირით; დაზიანებულია სახლის სახურავიც. შესასვლელი სამხრ-იდანაა, I სართულის აივნიდან. აივანს შუაში ქვის კიბე აქვს I სართულზე 6 მომიჯნავე ოთახია — 3 სამხრ-ით, 3 ჩრდ-ით. ჩრდ-ით მთელ სიგრძეზე ს. ს-ს ხის ღია აივანი ჰქონდა მიშენებული. II სართულზე ასასვლელი ამ აივნიდან იყო. II სართული, პირველთან შედარებით, ვიწროა. აქ ორი თითქმის თანაბარი ოთახია, რ-ებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია განიერი კარით. სახლს აქვს სარდაფი, რ-შიც ჩრდ. მხარეს მარანია საწნახლითა და ქვევრებით. მარნის კედლებში თაღოვანი და სწორკუთხა ღრმა ნიშებია. სარდაფის სამხრ. ნაწილიც სამეურნეო დანიშნულებისაა. სარდაფში ჩასასვლელი ს. ს-ის ჩრდ. ნაწილშია. სახლის ფასადებიდან გამორჩეულია სამხრ-ის ფასადი. მისი ქვედა ნაწილი განიერია, II სართულზე გადასვლა ხდება I სართულის ცალფერდა სახურავებით. II სართულის სახურავი ორფერდაა. ფასადზე სართულები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ორსაფეხურიანი სარტყელით. *მ. გ.*

030,ბ. **ანტონ ფურცელაძის სახლი**, არქიტ. ძ. დგას გუმბათიანი ეკლესიის მახლობლად. აგებულია 1899 წ. ეკუთვნოდა მწერალ ა. ფურცელაძეს (1839-1913 წწ.). ს. ს. (22,6X12,2 მ) ორსართულიანია, ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვით. შენობა სახეშეცვლილია: მთლიანად მონგრეულია ჩრდ-ის აივანი, რ-იც მთელ სიგრძეზე გასდევდა სახლს. I სართულზე აივნის ნაცვლად გრძელი სათავსებია მიშენებული. სახლში შესასვლელი სამხრ-იდანაა, ცალ მხარეს გახსნილი აივნიდან. I სართულზე პოლი და სხვადასხვა ზომის 4 ოთახია. ერთი ოთახის კარი აივანზე გამოდის. ოთახებში ბუხრებია. პოლიდან ხის კიბე II სართულზე ადის, ხოლო ამ სართულის პოლიდან — სხვენში. II სართული I სართულის გეგმას იმეორებს. სარდაფის უმეტესი ნაწილი მარანს უჭირავს. აღმ-ით კიდევ ერთი დამოუკიდებელი სათავსია. მარანში ზედა სართულის კაპიტალური კედლის საყრდენი აგურის ბურჯები და მასიური თაღებია. სვეტებსა და გარე კედელს შორის აგურის ორი საწნახელია. იატაკში ჩადგმულია სხვადასხვა ზომის 36 ქვევრი. მთავარი ფასადის მხარეს მარანში ჩასასვლელი ქვის კიბეა.

სამხრ. ფასადზე ორივე სართულის აივანი და სიმეტრიულად განლაგებული ფლიგელები დასრულებულია აგურის პარაპეტით, რ-ის კუთხეებში მცირე დეკორატ. კოშკურებია. სართულშუა გადახურვები მოწყობილია ხის კოჭებზე. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით. *მ. გ.*

031. **წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში, ნ. ლომოურის სახლ-მუზეუმის ჩრდ.-აღმ-ით. საეარაუდოდ თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,3 X 5,9 მ), ნაგებია რიყის ქვით. კუთხეები, სარკმლები და ლავგარდანი თლილი ქვისაა. თლილი ქვითაა მოპირკეთებული აღმ. ფასადიც. შენობა დაზიანებულია: დანგრეულია სამხრ. და დას. მინაშენები და წრიული კოშკი. ეკლესიას შესასვლელი ორი აქვს: ერთი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია, მეორე — დას. კედელში. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო სარკმელია. თითო ვიწრო სარკმელი აფსიდის ორივე მხარეს არსებულ მაღალ თაღოვან ნიშებშიცაა. ორი სარკმელი სამხრ. კედელშია, ერთი — დას-ისაში. კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობა გრძივი კედლების წყვილ ორსაფეხურიან პილასტრებს. გრძივ კედლებზე დეკორატ. თაღებია.

აღმ. ფასადის სარკმელთან, ქვაში გამოკვეთილია ხარის თავი. *ნ. შ.*

031,ა. **წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. (21,8X14,8 მ) ჯვარ-გუმბათოვანია, ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვით. შესასვლელი დას-იდან (კარიბჭიდან) და სამხრ-იდანაა. აფსიდში ერთი გა-



031. დას. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



031,ა. დას. ფასადი

ნიერი სარკმელი და ორი თაღოვანი ბრტყელი ნიშია. აფსიდი დარბაზის იატაკიდან ორი საფეხურითაა ამაღლებული. აფსიდის წინ ბემაა, ბამაში ქვის სატრაპეზო დგას. ბემას სამხრ. კედელში გაჭრილი კარი სადიაკვნეში გადის, ჩრდ. კედელში გაჭრილი — სამკვეთლოში. ორივე სათავსი მხგავსია: აღმ-ის კედელში თითო სარკმელია, გრძივ კედლებში — ნიშები, ხოლო დას. კედელში გაჭრილი კარით ორივე ეკლესიის დარბაზს უკავშირდება. სამკვეთლოსა და სადიაკვნის თავზე მცირე სათავსებია. ამ სათავსებში ასასვლელი აგურის კიბე გარე კედლებშია ჩატანებული. ეკლესიის ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებში, ზემოთ, სხვადასხვა სიმაღლეზე, ხუთ-ხუთი სარკმელია. გუმბათის ყელი ორ თავისუფლად მდგომ ჯვაროვანი კვეთის ბურჯსა და აფსიდის მხრებს ეყრდნობა. ყელი დაბალია, გადახურვა — ბრტყელი.

ფასადებზე გამოყოფილია ფრონტონით დასრულებული ძირითადი ნავი. სარკმლები მოჩარჩოებულია სადად, აგურის ერთსაფეხურიანი წყობით. საკურთხევლის სარკმელს ქვიშაქვის განიერი საპირე აქვს. კედლები დასრულებულია აგურის მრავალსაფეხურიანი ლავგარდნით. ეკლ. გადახურულია თუნუქით.

ეკლესიის დას. კედელს მთელ სიგრძეზე ეკვრის კ ა რ ი ბ ჭ ე, რ-ის I სართული სამი მონაკვეთისაგან შედგება: შუა — ეკლესიაში შესასვლელია, ხოლო გვერდებზე თაღებით გახსნილი, გეგმით მსგავსი, თითო სათავსია. სათავსების გარე კედლებში (ერთ შემთხვევაში სამხრ-ის, მეორეში — ჩრდ-ის), შუაში, ბუხარია. ბუხრის გვერდებზე, სწორკუთხა ნიშებში თითო მცირე სარკმელია გაჭრილი.

ეკლესიის დას. კედელში ჩატანებული აგურის კიბე კარიბჭეზე დაშენებულ სამრეკლოში და გვერდით სათავსების თავზე განლაგებულ ოთახებში ადის. სამრეკლო იარუსებიანია. I იარუსი გეგმით კვადრ. დახურული სათავსიაპ, რ-ის დას. კედელში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. II იარუსი დას-ით თაღითაა გახსნილი. III იარუსი ოთხივე მხარეს თაღებით იხსნება. სამრეკლოს ფანჩატური კირვათაღიანი ლიობია. ფანჩატურს ბოლქვისებრი გუმბათი აქვს. *მ. გ.*

## ატენი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

032. ატენი, ისტ. სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. ტანის ხეობაში, გორიდან 10 *კმ*-ზე. ა. როგორც მნიშვნელოვანი დასახლებული ადგილი, ცნობილია VII ს-დან, ატენის სიონის ტაძრის აგების შემდეგ. ამ დროისათვის იგი ქალაქად ჯერ კიდევ არ იწოდებოდა. ა. ერთხანს კლდეკარის ერისთავთერისთავს რატი ბაღვაშს ეკუთვნოდა. 989 წ. საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლმა მეფე ბაგრატ III დაიმორჩილა რატი და ატენის ციხესაც დაეპატრონა. ატენის სიონის ტაძრის წარწერის თანახმად მეფე ბაგრატ IV-ის ბრძანებით ქალაქი აუშენებია ატენის ციხისთავს (დაახლ. XI ს-ის 60-იანი წლები). აქედან მოყოლებული ქალაქი ა ქართველ მეფეთა საკუთრება იყო. დავით აღმაშენებელს ა-ში ხამეფო საჭურჭლეც კი ჰქონია. ა-ის გაქალაქება განაპირობა მისმა მოხერხებულმა გეოგრ. მდებარეობამ და ეკონ. მდგომარეობამ. ქალაქი გაშენებული იყო ა-ის სიონის ტაძრის მიდამოებში და ვრცელდებოდა მდ. ტანისა და მისი მარჯვ. პატარა შენაკადის შესართავამდე. ამ ხეობაში შესანიშნავი პირობები იყო მიწათმოქმედებისათვის. ტანის ხეობაზე გადიოდა უმოკლესი გზა, რ-ითაც შიდა ქართლი სამხრ. საქართველოს უკავშირდებოდა.

XI ს. შუა ხანებში ბიზანტიისაგან ზურგმომაგრებულმა ბაგრატ IV-ის ნახევარძმამ დემეტრემ და ძლიერმა ფეოდალმა ლიპარიტ ლიპარიტის ძემ სცადეს ატენის ციხის აღება, მაგრამ ბაგრატ IV ერთგულმა პირებმა ისინი დაამარცხეს. XIII ს-ში აბაღა ყაენმა ა. ქართლის სხვა სოფლებთან ერთად უწყალობა დავით ულუს. დემეტრე II-ის დროს ა-ისა და „მისი ქვეყნის“ მფლობელია რაჭის ერისთავი კახაბერი, მაგრამ იგი მალე ღალატისათვის სიკვდილით დასაჯეს. ა. კვლავ მეფეთა საკუთრებად იქცა. XVI ს. დასაწყისში ქართლის მეფე დავით X კახეთის მეფემ ავგიორგიმ ატენის ციხეში გამოამწყვდია. ბრძოლა რამდენიმე დღეს გაგრძელდა, მაგრამ ავგიორგიმ ციხე მაინც ვერ აიღო. სპარსეთის გამგებელმა შაჰ-თამაზმა 1556 წ. იერიში მიიტანა ატენის ციხეზე, სადაც შეხიზნულები იყვნენ ქართლის მეფის ლუარსაბის დედა ნესტან-დარეჯანი, მეფის და და სხვა ქართველ დიდებულთა ოჯახის წევრები. ატენის ციხე საკმაოდ გამაგრებული იყო, მაგრამ ღალატის გამო ციხე დაეცა. XVII ს. 30-იან წლებში ქართლის მეფეს როსტომს აუჯანყდნენ ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის მომხრე დიდგვაროვანი ფეოდალები. შეთქმულებმა ატენის ციხეს შეაფარეს თავი. როსტომმა აიღო ციხე და დაანგრია. ამის შემდეგ ციხეს აღარ შეუსრულებია რაიმე მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის პოლიტ. ცხოვრებაში.

XVIII ს-ში ლეკთა განუწყვეტელმა შემოსევებმა დააკნინა და დააქვეითა ქალაქი. როგორც სოფელი და პატარა სავაჭრო პუნქტი, ა. არსებობას განაგრძობს XIX ს-მდე.

XX ს-ის დასაწყისში ა-ში რამდენიმე რევ. გამოსვლა მოხდა. (ა) 1902 წ.

5 თებ. გაიფიცნენ ფინელი მრეწველის ა. ზეზემანის სახერხი ქარხნის მუშები. მათი მღელვარება გამოიწვია ხელფასის დაგვიანებამ. მუშები ქარხნის ეზოში შეგროვდნენ. ზეზემანის თხოვნით ბოქაულმა ა-ში ჩაფრები გაგზავნა. მუშებსა და ჩაფრებს შორის მოხდა შეტაკება. გაფიცვის მოწყობისათვის პოლიციამ დააპატიმრა მოთავეები და ქარხნის 25 მუშა.

(ბ) 1905 წ. 2 მარტს სოფლის მაშინდელ ცენტრში (ამჟამად აქ საცხოვრ. სახლებია) გლეხების თავყრილობამ შეადგინა მთავრობისათვის გასაგზავნი „თხოვნა", რ-შიც გლეხობა მოითხოვდა ტყით და საძოვრებით სარგებლობის უფლებას, ბეგარის შემცირებას.

თანამედროვე ადმ. დაყოფით სოფელი გაყოფილია ორად — დიდ ატენად (მდ. ტანის მარცხ. ნაპირას) და პატარა ატენად (მდ. ტანის ორივე ნაპირზე).

*ბიბლ.:* 26; 79; 86; 220ა,ბ: 255 ბ, 268 ბ; 422: ფონდი 17, აღწ. 1, საქმე 4650, ფ.2-5: საქმე 9606, ფ.28-29; ფონდი 31, აღწ. 1, საქმე 4652, ფ. 161.

*ანთ. ი., აფრ. გ., ე. შ.*

**ატენის სიონი**, იხ. სოფ. დიდი ატენი, ატენის სიონი.

033. **ატენის ციხე**, საცივის ციხე, ორბელიანის ციხე, არქიტ. ძ. დგას მდ. ტანის მარცხ ნაპირას, მაღალი მთის ქიმზე. სავარაუდოდ თარიღდება X ს-ით. ნაგებია ნატეხი ქვით. ციხე ძლიერ დაზიანდა 1920 წ. მიწისძვრის დროს. მისი გეგმის და მასების თავდაპირველი სახით დადგენა შეუძლებელია. ნაგებობა (38,4 X X 17,2 *მ*) ძირითადად ორი მონაკვეთისგან შედგება. ჩრდ-ის მონაკვეთი შედარებით პატარაა. დიდი და მთავარი მონაკვეთი მდებარეობს სამხრ-ით. შესასვლელი ჩრდ-ითაა. ბურჯებით გამაგრებული გალავნის შიგნით მეციხოვნეთა სადგომები, წყალსაცავი და სხვ. ნაგებობებია. ციხე იცავდა შიდა ქართლიდან სამხრ. საქართველოსაკენ მიმავალ გზას.

*ბიბლ.:* 99, 220 ა,ბ. *ზ. ქ.*

**ორბელიანის ციხე**, იხ. ატენის ციხე.

**საცივის ციხე**, იხ. ატენის ციხე.

034. **წეროს ეკლესიის კომპლექსი**, არქიტ. ძ. მდებარეობს წეროს ხევის თავში, ატენის სიონის ჩრდ.-დას-ით, 2 *კმ*-ზე. კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ეკლესია, დარბაზული ეკლესია და რამდენიმე შენობის ნანგრევი.

(ა) ღვთისმშობლის ეკლ. ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (10,4 X 9,3 *მ*). სავარაუდოდ თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ნაგებია თლილი ქვის კვადრებით. შენობა ძლიერაა



034(ა). განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა

დაზიანებული: მთლიანად დანგრეულია ჩრდ. და დას. კედლები. შიგნიდან თაღოვანი და გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელები დას-ით და ჩრდ-ითაა. თითო სარკმელი ოთხივე კედელშია. აფსიდის გვერდებზე სწორკუთხა სამკვეთლო და

034(ბ). გეგმა



სადიაკვნეა. ორივე სათავსს აღმ-ით თითო სარკმელი აქვს. გუმბათქვეშა თაღები აღმ-ით აფსიდის კედელს ეყრდნობა, დას-ით — ცალკე მდგარ ორ ბურჯს, რ-ებიც შენობის კედლებს კონსოლებზე დაყრდნობილი თაღებით უკავშირდებიან. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება. გუმბათის ყელში ოთხი დიდი სარკმელია. გუმბათი შიგნით წრიულია. გუმბათის ყელს შიგნიდან, ფუძესთან, ლილვი შემოუყვება. საკურთხეველში შემორჩენილია აგურით ნაგები მოხატული კანკელის სამხრ. თაღის ნახევარი. ეკლესიის შიდა შელესილობა ჩამოცვენილია. შენობის სამხრ. კედელზე ნუსხა-ხუცური წარწერაა, რ-შიც მოხსენიებულია „როსტევან" (ეკლესიის შემკეთებელი და კანკელის დამდგმელი?).

შენობა დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე. მისი აღმ. ნაწილი ამოყვანილია მაღალ საყრდენ კედელზე. საკურთხევლის სარკმელს რელიეფური ნალისებრი თავსართი აქვს.

(ბ) დარბაზული ეკლესია (10 X 5 *მ*) სავარაუდოდ თარიღდება ფეოდ. ხანით. ნაგებია შირიმისა და ნატეხი ქვით. შენობა დაზიანებულია: ჩანგრეულია გადახურვა და კედლის ზედა ნაწილი. შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევრად ელიფსური აფსიდის ღერძზე სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. ეკლესიას ჩრდ-ით მიშენებული აქვს სწორკუთხა ეგვტერი, რ-საც კარი დას-ით აქვს, სარკმელი — აღმ-ით. ეგვტერის ჩრდ. კედელი ამოკვეთილია კლდეში. ეკლესიის დარბაზი ეგვტერს ჩრდ. კედელში გაჭრილი კარით უკავშირდება.

ეკლესიის სამხრ. ფასადის დას ნაწილში მიშენებულია კარიბჭე. შემორჩენილია მხოლოდ კედლების ნაწილი.

ეკლესიის მახლობლად, წყაროსთან, ძე. სას.-სამ. ხელოვნური ტერასები და წყალსაცავი ჯებირია.

*ბიბლ.:* 145. *ქ. თ.*

## აძვი

(ახალუბნის სოფსაბჭო)

035. სოფლის განაპირას, 1743 წ. 21 ივნ. მოხდა ბრძოლა აჯანყებულ ქართველებსა და ყიზილბაში სარდლების აჯი-ხანისა და ალი-ხან ავლანის. მრავალრიცხოვან ჯარს შორის. აჯანყებულებს სათავეში ედგა გივი ამილახვარი. ბრძოლა დამთავრდა ქართველთა გამარჯვებით.

*ბიბლ.:* 72; 186. *ქ. ქ.*

036. **წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ამაღლებულ ადგილზე, „წმინდა მუხის" ტყეში. აგებულია VIII-IX სს. ეკლ.

დარბაზულია (6,8 X 5 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. წყობაში შერეულია ბრტყელი აგურიც. კარის წირთხლები და შენობის კუთხეები ამოყვანილია შირიმის კვადრებით. ეკლ. დაზიანებულია: ჩამონგრეულია სახურავი და კუთხეები, აღმ. ფასადის ნახევარი დაფარულია მიწით, სამხრ-ის მინაშენისგან ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ეკლესიას სამხრ-ით თაღოვანი კარი აქვს. საკურთხევლის აფსიდი თითქმის სწორკუთხაა (მომრგვალებული აქვს მხოლოდ კუთხეები). საკურთხევლის ჩრდ. კედელში პატარა ოთხკუთხა ნიშია, სამხრ-ით — ასეთივე ფორმის სარკმელი (სავარაუდოა, თავდაპირველად აქ ნიში იყო). აფსიდის ღერძზე, კედელზე, მიდგმულია სატრაპეზო ქვა. აფსიდის კონქი, სატრიუმფო თაღი და დარბაზის კამარა არაწესიერი ფორმისაა. ეკლესიას სამხრ-ით, აღმ-ით და დას-ით თითო ვიწრო სარკმელი აქვს. ეკლ. შიგნიდან შელესილი ყოფილა.

სამხრ-ისა და აღმ-ის ფასადების კედლების შუა არეში ჰორიზონტალურად ჩასმულია ფიქალის გრძელი ფილები, რ-ებიც აღიქმება თავისებურ დეკორატ. აქცენტებად.

*მგ. მ., ს. თ.*

037. ᲬᲛ. ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. აგებულია XIX ს. ეკლ. დარბაზულია (12,5 X X 6,95 მ), ნაგებია აგურით. ზოგან გამოყენებულია ნატეხი ქვაც. თითო თაღოვანი შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. საკურთხევლის კედელში ორი თაღოვანი ნიშია. აღმ-ით, სამხრ-ითა და დას-ით თითო სარკმელია, ჩრდ-ით — ორი. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით. კამარის აღმ-ის საბჯენი თაღი მასიურ კაპიტელებიან პილასტრებს ეყრდნობა, დას-ისა — მძლავრ კონსოლებს. კონსოლები და კაპიტელები პროფილირებულია. ეკლ. შიგნიდან შელესილია. შელესილობის ნაწილი ჩამოცვენილია. შენობის სამხრ. შესასვლელის თავზე ჩასმულია მარმარილოს პატარა კვადრ. ფილა მხედრ. წარწერით (არ იკითხება). ამავე შესასვლელზე მიშენებულია თაღებით გახსნილი ორსართულიანი აგურის კარიბჭე-სამრეკლო, რ-ის ნახევარსფერულ გუმბათს პირამიდული სახურავი აქვს. ეკლესიის აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ აგურით გამოყვანილია მოზრდილი ჯვარი. შენობას თლილი ქვის ლავგარდანი აქვს.

*მგ. მ., ს. თ.*

## ᲐᲮᲐᲚᲓᲐᲑᲐ

(ცარიანის ხოფსაბჭო)

038. ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში, ადგილ მღვდლის სახლთან. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. აღმოჩნდა შენობების საძირკვლების გაჭრისა და საკარმიდამო ნაკვეთების მოწყობის დროს. ნ-ზე გამოვლინდა წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ქვევრის ფრაგმენტები, შენობების საძირკვლის ნაშთები, რ-ებიც ნაგებია რიყის ქვით.

*ნ. ა.*

039. ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს ადგილ ვირიტაფაზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. გამოვლინდა და განადგურდა მოქალაქე გ. ქებაძის სახლის საძირკვლის გაჭრის დროს. გადმოცემით ს-ში მიცვალებული ესვენა ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდ.-დას-კენ. ს-ში აღმოჩნდა შავად გამომწვარი სხვადასხვა ზომის რამდენიმე თიხის ჭურჭელიც, შავადვე გამომწვარი, უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები.

*ნ. ა.*

040. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფელში, შემაღლებულ ადგილას. თარიღდება X ს-ის დასაწყისით ეკლ. დარბაზულია (9,7 X 7,2 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. შენობის კუთხეები ნაწყობია ტუფის ქვით, კამარა, საბჯენი თაღი და კონქი — აგურით. შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელი დას. კედელშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. საკურთხევლის ორივე მხარეს მდებარე მაღალი თაღოვანი შესასვლელები მას აკავშირებენ კედელში მოქცეულ მცირე ზომის სათავსებთან — სამკვეთლოსა და სადიაკვნესთან. სამხრ. სათავსი აღმ-ით დასრულებულია ყრუ აფსიდით, ჩრდ-ისას აღმ-ის შეზნექილ კედელში პატარა სარკმელი აქვს. კონქში, სათავსებში შესასვლელების თავზე, ჩასმულია თითო რეზონატორი (ქვევრი). საკურთხევლის წინ, ჩრდ. კედელთან, ჩამაგრებულია ბუდიანი ქვის ბაზისი. აქვე ჩანს კანკელის კვალი. დარბაზის სამხრ. კედელში ორი თაღოვანი სარკმელია (ორივე ამოშენებულია). კამარის საბჯენი თაღები გრძივი კედლების პილასტრებს ეყრდნობა.

აღმ. ფასადზე, ფრონტონის არეში, გამოსახულია გლუვზედაპირიანი რელიეფური ჯვარი. სარკმლების არეები მორთულია სადად, ლავგარდანი განახლებულია აგურით. შენობის ჩრდ.-აღმ-ისა და ჩრდ.-დას-ის კუთხეები გამაგრებულია წაკვეთილი კონუსის ფორმის მძლავრი კონტრფორსებით.

*დვ. თ.*

040. აღმ. ფასადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა



041. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, ტყის პირას. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,8 X 4,6 მ), ნაგებია ქვიშაქვის მოზრდილი კვადრებითა და რიყის ქვით. შენობის კუთხეები, შესასვლელის გვერდები და არქიტრავი მუქი ღვინისფერი პორფირიტისაა, საბჯენი თაღები, კამარა და ლავგარდანი — აგურის. ეკლ. დაზიანებულია: ჩამოცვენილია სამხრ. კედლის ზედა ნაწილის საპირე წყობა, ფასადების შელესილობა, სახურავის კრამიტები. თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. შიდა თაღი შეისრული ფორმისაა, გარეთა — ნახევარწრიული. ნახევარწრიული აფსიდის ჩრდ. გვერდი ოდნავ ნალისებრია. აფსიდის ღერძზე შიგნიდან თაღოვანი, გარედან კი სწორკუთხა სარკმელია. სარკმლის ქვემოთ, კედელთან ქვით ნაწყობი სატრაპეზოა. აფსიდის ჩრდ. კედელში მცირე ნიშია. საკურთხევლის იატაკი ეკლესიის მიწის იატაკისაგან ამაღლებულია ერთი საფეხურით (შემორჩენილია დას. კედლის ძირში). დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრია. დას-ის კედელს კუთხის პილასტრები აქვს. პილასტრები და აფსიდის მხრები დამთავრებულია ორნაწევრიანი იმპოსტებით (ჩრდ-ის იმპოსტი დიდი ზომისაა). სამხრ-ის კედლის აღმ. ნაწილში შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა სარკმელია. ეკლესიის სარკმლები შიგნიდან გარეთ მკვეთრად ვიწროვდება. შენობა შიგნიდან შელესილია.

აღმ-ის ფასადის სარკმლის გვერდები და ძირი ერთ ქვაშია გამოკვეთილი. სარკმლის ორივე გვერდზე ქვაში ჩაკვეთილია ერთხაზოვანი სამი ნახევარწრე. ზედა წრეზე დაფუძნებულია ქვაში ნაკვეთი მცირე ჯვარი. ამავე ფასადის სამხრ.-აღმ. კუთხეში ამოკვეთილია წყვილი ხაზით მოჩარჩოებული ჯვარი. მეორე ჯვარი ფრონტონის არეშია. შენობას ღარიანი კრამიტის ორფერდა სახურავი აქვს. *კალმ. გ.*

## ახალუბანი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

042. ახალი ჯვრის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ.-აღმ-ით, ამაღლებულ ადგილზე. თარიღდება XIX ს-ით. ეკლ. დარბაზულია (7,15 X 4,75 *მ*), ნაგებია აგურით, გამოყენებულია აგრეთვე ნატეხი და რიყის ქვები, ფიქალი. ეკლ. დაზიანებულია: აღმ-ის ფასადზე ჩამონგრეულია საკურთხევლის ფანჯრის წიბოები, დაზიანებულია ნაგებობის კუთხეები, ზოგან ამოცვენილია აგურები.

ეკლესიის მაღალი და განიერი თაღოვანი კარი სამხრ-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე, კედელზე, მიდგმულია ოთხკუთხა სატრაპეზო ქვა. აღმ-ით, დას-ითა და სამხრ-ით თითო სარკმელია. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო მასიური ერთსაფეხურიანი პილასტრია, რ-საც ეყრდნობა ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი. პილასტრებს მარტივპროფილიანი კაპიტელები აქვს. ეკლ. შიგნიდან შელესილია. იგი გარედანაც ყოფილა შელესილი. ლავგარდანი აგურის სამი რიგისაგან შედგება. ორფერდა სახურავი კრამიტისაა. დას-ის ფრონტონის კეხზე დგას ს ა მ რ ე კ ლ ო — თაღებით გახსნილი ოთხბოძიანი ფანჩატური. *მგ. მ., ს. თ.*

## ახრისი

(ახალუბნის სოფსაბჭო)

043. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,8 X 5,7 *მ*). ნაგებია რიყის ქვით. კუთხეები, კარისა და სარკმლის საპირეები ნაწყობია მოწითალო ქვის კვადრებით. შენობას ატყვია გადაკეთების კვალი — აღმ. ფასადის ზედა ნაწილი გვიანდ. ფეოდ. ხანაში აგურით განუახლებიათ. თაღოვანი შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში, მარცხნივ, ნიშია, ცენტრში დგას 1 *მ* სიმაღლის მთლიანი ქვის სატრაპეზო. აფსიდში, სამხრ. და დას. კედლებში თითო სარკმელია. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო პილასტრია, რ-საც ეყრდნობა ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი. აღმ. ფასადის სარკმლის თავზე აგურით გამოყვანილია რელიეფური ჯვარი. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით. მის აღმ. ნაწილში აგურის ოთხსვეტიანი ს ა მ რ ე კ ლ ო დგას. *გვას. ჯ.*

## ბერბუკი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

044. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. კ. ცილინდრულია (დიამ. 7,7 *მ*), სამსართულიანი, ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. დაზიანებულია: დანგრეულია პირველი სართულის სამხრ. კედელი, მეორე სართულის კედლების ზედა და მესამე სართულის კედლების უმეტესი ნაწილი. კ-ში შესასვლელი მეორე სართულზეა, ჩრდ-ით. პირველი სართულის აღმ. კედელში კვადრ. აგურის თაღოვანი ბუხარია, ჩრდ.-აღმ-ით — ორი ორმაგი თახჩიანი სათოფური. სამხრ-ის კედელში დატანებულია მეორე სართულზე ასასვლელი კიბე. სართული შელესილია. მეორე სართულის ჩრდ. კედელში, კარის ორივე მხარეს, თითო ორმაგი თახჩიანი სათოფურია. ასეთივე სათოფურები სამხრ. და აღმ. კედლებშიცაა. სართული შელესილი ყოფილა. შენობას შემოვლებული აქვს თევზიფხურად ნაწყობი რიყის ბრტყელი ქვის სარტყლები. *ნ. ა.*

045. მთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით. აგებულია 1830 წ. ეკლ. დარბაზულია (11,7 X 7,5 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. კუთხეები, კარი და სარკმლები ამოყვანილია აგურით. ეკლესიის არქიტრავით გადახურული შესასვლელი ჩრდ. კედელშია. ნახევარწრიული აფსიდის თაღოვანი სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. სამხრ-ის კედელში ორი სწორკუთხა სარკმელია, ჩრდ-ისაში — ერთი. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილი პილასტრია. კამაროვანი გადახურვა ემყარება დარბაზის შუა საბჯენ, დას. კედლისა და აფსიდის მარტივპროფილიან იმპოსტებზე დაყრდნობილ თაღებს.

აღმ-ის ფასადზე, სარკმლის თავზე, მარმარილოს პატარა დაფაა მხედრ. სამშენ. წარწერით (დაზიანებულია), რ-ის თანახმად ეკლესიის აღმშენებლები გიგაურები ყოფილან. დას-ის ფასადზე გამოსახულია აგურის სამი მოზრდილი ჯვარი. შენობას შემოვლებული აქვს აგურით ნაწყობი თაროსებრი ლავგარდანი და რამდენიმე სარტყელი. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. *ნ. ა.*

## ბერშუეთი

(ზეღდულეთის სოფსაბჭო)

046. სოფელში სხვადასხვა დროს რამდენიმე საინტერესო ისტ.-რევ. მოვლენა მოხდა.

(ა) 1863 წ. მებატონე ამილახვრებმა გლეხებს ნატურალური გადასახადის გარდა 2423 მან. ფულადი გადასახადი შეაწერეს. ამან გლეხების მღელვარება გამოიწვია. გლეხები შეიკრიბნენ ს ო ფ ლ ი ს ც ე ნ ტ რ შ ი, სადაც ამჟამად ს ა შ. ს კ ო ლ ი ს შ ე ნ ო ბ ა ა. ბერშუეთელთა გამოსვლას ფართო ხასიათი რომ არ მიეღო, მეფის მოხელეები შეეცადნენ მშვიდობიანი გზით დაეშოშმინებინათ გლეხები, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. სოფელში ეგზეკუცია ჩააყენეს. გლეხები ტყეში გაიხიზნენ. ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერით მებატონეებმა რამდენიმე გლეხის ოჯახი მკაცრად დასაჯეს, დაარბიეს და ააწიოკეს. გლეხების წინააღმდეგობა საბოლოოდ დაძლეულ იქნა.

(ბ) 1903 წ. 18 ნოემბ. ბოქაულმა ჩაფრებთან ერთად ჩამოუარა სოფელს და ექიმის ფული მოითხოვა. სოფლის ყრილობამ გადაწყვიტა უარი ეთქვა ამ გადასახადზე, რადგან ექიმი მხოლოდ შეძლებულებს ემსახურებოდა, გლეხებს იშვიათად მკურნალობდა და მათგან დიდ გასამრჯელოსაც იღებდა. ბოქაულმა ჩაფრებს უბრძანა გლეხებისათვის იძულებით გადაეხდევინებინათ ფული. გლეხებმა ბოქაული და მისი ჩაფრები გააძევეს სოფლიდან. საღამოს ბოქაული 50 კაზაკის თანხლებით გორიდან კვლავ ბერშუეთში ჩავიდა გლეხების დასარბევად. გლეხებმა ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს კაზაკებს და უკუაქციეს. მეორე დღეს სოფელში ჩავიდა გორის მაზრის უფროსი ჯარისკაცთა სამი ასეულით, დაარბია სოფელი, რამდენიმე გლეხი დააპატიმრა და გადასახადი იძულებით აკრიფა.

(გ) 1906 წ. თებ. დამდეგს გლეხებს მთავრობამ წითელრაზმელების გაცემა მოსთხოვა, რაზედაც გლეხებისაგან მტკიცე უარი მიიღო. მამასახლისმა ჩაფრების დახმარებით ყინვიან დღეს გლეხები მ დ ი ნ ა რ ე შ ი ჩარეკა, შემდეგ სველტანსაცმლიანები საბძელში დაამწყვდია და სიკვდილით დაემუქრა. გლეხებმა მაინც არ გასცეს რაზმელები. მოგვიანებით წითელრაზმელებმა შური იძიეს და მოკლეს ბერშუეთის მამასახლისი.

ბიბლ.: 20; 266; 406; 1905 წ. 25 იანვარი, № 5-6. *ვ. შ., ჩ. თ.*

047. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. კ. ცილინდრულია (დიამ. 7,3 *მ*), სამსართულიანი, ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. დაზიანებულია: ჩანგრეულია პირველი სართულის გადახურვა, მესამე სართულის კედლების უმეტესი ნაწილი; შემორჩენილია კარის მხოლოდ ქვედა მონაკვეთი. პირველი სართული შიგნიდან სწორკუთხაა. მის კედლებში ნიშებია, რ-ებშიც გაჭრილია ერთმაგი და ორმაგი თახჩიანი სათოფურები. შემორჩენილი საძელე ფოსოების მიხედვით

ირკვევა, რომ ამ სართულს ბრტყელი გა-
დახურვა ჰქონია. სამხრ.-აღმ. კედლის
დას. ნაწილში დატანებულია ზედა
სართულებზე ასასვლელი კიბე. მეორე
სართული წრიულია. კარი სამხრ.-დას-
ით აქვს. კარის ორივე მხარეს თითო
ორმაგი, ხოლო სამხრ-ის კედელში
ერთი ერთმაგი თახჩიანი სათოფურია.
გადახურვა გუმბათოვანია (ნაწყობია
კვადრ. აგურით). ძ-ს შემოვლებული
აქვს რიყის ბრტყელი ქვის თევზიფხუ-
რად ნაწყობი სარტყლები. *ნ. ა.*

048. ეთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თა-
რიღდება XIX ს-ით. ეკლ. დარბაზუ-
ლია (17,6 X 13,2) ნაგებია რიყის ქვი-
თა და კვადრ. აგურით. შესასვლელი
სამხრ. კედლის დას. ნაწილშია კარი
ორივე მხრიდან გადახურულია არქიტ-
რავით. ნახევარწრიული აფსიდის თა-
ღოვანი სარკმლის ორივე მხარეს თითო
ოთხკუთხა ნიშია. სამხრ. და დას. კე-
დელში თითო თაღოვანი სარკმელია.
დარბაზის გრძივ კედლებზე თითო პი-
ლასტრია, რ-ებსაც ემყარება კამარის
საბჯენი თაღი. გარდა ამისა, კამარა
ემყარება დას. კედლის მიმდებარე და
აფსიდის მარტივპროფილიან იმპოს-
ტებზე დაბჯენილ სატრიუმფო თაღებ-
საც. ფასადები და ინტერიერი შელე-
სილია. ფასადებს შემოვლებული აქვს
კვადრ. აგურით ნაწყობი თაროსებრი,
დაკბილული ლავგარდანი. სახურავი
ორფერდაა, გადახურულია ღარიანი
კრამიტით. *ნ. ა.*

049. სამების ეკლესია, არქიტ. ძ.
დგას სოფლის ჩრდ-ით 2 *კმ*-ზე. თა-
რიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ.
დარბაზულია (8,3 X 5,7 *მ*), ნაგებია
რიყისა და ნატეხი ქვით. ჩანგრეულია
შენობის კამაროვანი გადახურვის დი-
დი ნაწილი და დას. კედლის ორივე
კუთხის პილასტრების ზედა ნაწილები.
ეკლესიის არქიტრავით გადახურული
კარი სამხრ. კედელშია. აფსიდის თა-
ღოვანი სარკმლის ორივე მხარეს თითო
ოთხკუთხა ნიშია. დარბაზის გრძივ კე-
დლებზე კაპიტელებიანი წყვილი პი-
ლასტრია. შენობის სამხრ. კედლის
დას. ნაწილზე მიშენებულია კ ა -
რ ი ბ ჭ ე (4,5 X 4,5 *მ*). მის სამხრ. კე-
დელში კარია, დას-ისაში — თახჩა.
კარიბჭეც ძლიერაა დაზიანებული.
ჩრდ. და სამხრ. ფასადებზე შემორჩე-
ნილია შირიმის ქვით ნაწყობი თარო-
სებრი ლავგარდანი. *ნ. ა.*

049. გეგმა



## ბნავისი

(ატენის სოფსაბჭო)

050. ნასახლარი და ქვაყუთი, არქე-
ოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში,
კ. პავლიაშვილის სახლის უკან,
ვიწრო ტერასაზე. აღმოჩნდა 1960 წ.
შემთხვევით, მიწის დამუშავების
დროს. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს
ხანით. ნ ა ს ა ხ ლ ა რ ზ ე (ა) გა-
მოვლინდა ნაცრისა და დამწვარი
მიწის ფენა, ნაცრისფრად და აგუ-
რისფრად გამომწვარი კერამ. ჭურ-
ჭლის ორნამენტიანი ფრაგმენტები
და ქ ვ ა ყ უ თ ი, რ-იც შედგენილი
იყო დიდი ზომის ფილაქვებისა-
გან. ქ ვ ა ყ უ თ შ ი (ბ) აღმოჩნდა
უხეშად გამომწვარი უხეშკეციანი
რამდენიმე თიხის ჭურჭელი, ბრინ-
ჯაოს რგოლები და სხვ. მასალა
დაცულია გორის მხარეთმც. მუზეუმში.
ბიბლ.: 211. *ბ. ე., გვ. ჯ.*

051. ნასოფლარი და ეკლესია, არ-
ქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის
სამხრ-ით, ადგილ ვალიაანთუბნიდან
1 *კმ*-ზე, ადგილ კოტის მახლობლად,
ტყეში, თარიღდება გვიანდ. ფეოდ.
ხანით.

(ა) ნ ა ს ო ფ ლ ა რ ზ ე შემორჩენი-
ლია ფერდობზე შეფენილი რამდენიმე
ნასახლარის ნაშთი, რ-ებიც ნაგებია
რიყის და ნატეხი ქვით. უხვად
იპოვება წითლად გამომწვარი უხეშ-
კეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევე-
ბი და დიდი ზომის ქვევრის ფრაგ-
მენტები.

(ბ) ე კ ლ ე ს ი ა დარბაზულია (9 X
4,3 *მ*), ნაგებია ძირითადად ნატეხი
ქვიშაქვით. შენობა ძლიერ დაზიანე-
ბულია: ჩანგრეულია კამარა, კონქი
და კედლის ზემო ნაწილები; დაზიანე-
ბულია ფასადებიც. გარედან სწორკუთ-
ხა, შიგნიდან თაღოვანი თითო შესას-
ვლელი დას. და ჩრდ. კედლებშია. ნა-
ხევარწრიული აფსიდის თაღოვანი
სარკმლის ორივე მხარეს თითო თა-
ღოვანი ნიშია დარბაზის გრძივ კედ-
ლებზე თითო მარტივი პილასტრია.
*დვ. თ., ჯ. გ.*

## ბოზნევი

(ბოშურის სოფხაბჭო)

052. 1862 წ. მებატონე ერისთავმა სოფ-
ლის გლეხებს ფულადი გადასახადები
გაუდიდა და 2000 *მან.* და 45 კაპ. შეა-
წერა. გლეხებმა გადასახადების გა-
დახდაზე უარი განაცხადეს და 1863 წ.
მაისში აუჯანყდნენ მებატონეს. მმარ-
თველობის ადგილ. ორგანოების ბრძა-
ნებით სოფელში ეგზეკუცია ჩააყენეს,
დაარბიეს გლეხების სახლ-კარი და აი-
ძულეს ისინი დამორჩილებოდნენ მე-
ბატონეს.
ბიბლ.: 21. *ჩ. თ.*

053. ბიისის ეკლესია, არქიტ. ძ.
დგას სოფლის სამხრ-ით, ადგილ ბი-
ისში, ამაღლებულ ბორცვზე, სასაფლა-
ოზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხა-
ნით. ეკლ. დარბაზულია (8,1 X 5,1 *მ*),
ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზია-
ნებულია: ჩანგრეულია კამარა და დას.
კედელი, სამხრ. და ჩრდ. კედლების
ზედა ნაწილი; დაზიანებულია აღმ.
კედელიც. შესასვლელი სამხრ. კედ-
ლის დას. ნაწილშია (შემორჩენილია
მხოლოდ ქვედა ნაწილი). ნალისებ-
რი აფსიდის ღერძზე ვიწრო თაღოვა-
ნი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს
სწორკუთხა ნიშებია. აფსიდის ცენტრ-
ში დგას სატრაპეზო ქვა. *ნ. შ.*

053. აღმ., სამხრ. ფასადები, გეგმა



054. იოანე ნათლისმცემლის ეკ-
ლესია, კ ო შ კ ე ბ ი ს ე კ ლ ე ს ი ა,
არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სოფ-
ლის განაპირას, სამხრ-ით, მდ. ტანის
მარცხ. ნაპირზე. აშენებულია 1661-83



054. საერთო ხედი, გეგმა

წწ. სამხრ. ფასადზე და ფრესკებზე შემორჩენილი დაზიანებული წარწერებით ირკვევა, რომ ეკლ. ააგო და მოახატვინა მიტროპოლიტმა იოსებ თბილელმა (სააკაძემ).

ეკლ. დარბაზულია (7,9 X 5,8 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო ნიშია. სარკმლის ქვეშ დგას სატრაპეზო ქვა. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით.

ეკლ. შიგნიდან მ ო ხ ა ტ უ ლ ი ა (ა). კამარის ცენტრში ექვსფრთედებსა და წინასწარმეტყველთა შორის გამოსახულია ქრისტე-პანტოკრატორი. საკურთხევლის მოხატულობა დაყოფილია სამ რეგისტრად. პირველ რეგისტრში გამოსახულია *ვედრება*, მეორე რეგისტრში — *მოციქულთა ზიარება*, მესამე რეგისტრში — *ეკლესიის მამანი*. სარკმლის ქვემოთ მაცხოვრის წელზედა გამოსახულებაა. მხატვრობა დასრულებულია ორნამენტული ზოლით (დაშვებული ფარდა). დარბაზის მოხატულობა ოთხ რეგისტრად იყოფა. სამხრ. კედელზე, პირველ რეგისტრში, აღმ-დან დას-კენ, გამოსახულია *ლაზარეს აღდგინება, იერუსალიმს შესვლა, ჯვარცმა;* მეორე რეგისტრში — *მაცხოვრის გამოცხადება მარიამის წინაშე, მიძინება, ფერისცვალება;* მესამე რეგისტრში მარტვილთა ბიუსტებია მედალიონებში; მეოთხე რეგისტრში გამოსახულია *სამნი ჭაბუკნი სახმილსა შინა, მოსე სინას მთაზე.* კედლის დას. მონაკვეთში იოსებ თბილელის გამოსახულებაა (აქვეა ეკლესიის მოხატვის თარიღისა და კტიტორის ვინაობის შემცველი წარწერის ფრაგმენტები). კარის აღმ. წირთხლზე მთავარანგელოზის ფიგურაა, დას. კედელზე, პირველ რეგისტრში, გამოსახულია *ხარება*, მეორეში წმ. დედანი, მათ შორის, ცენტრში კონსტანტინე და ელენეა ჯვრით ხელში. მომდევნო ორი რეგისტრი დათმობილი აქვს ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებებს (მედალიონებში და მთელი ტანით). ამავე კედლის სარკმლის ჩრდ. წირთხლზე გამოსახულია წმ. კოზმა, ჩრდ. კედელზე, აღმ-დან დას-კენ: პირველ რეგისტრში — *სულიწმიდის მოფენა, ამაღლება, ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა;* მეორე რეგისტრში *ნათლისღება, შობა, მირქმა;* მესამე რეგისტრში — იოანე ნათლისმცემელი, *იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა,* წმინდანთა ბიუსტები მედალიონებში; მეოთხე რეგისტრში — *ორმოცი სებასტიელი მოწამე* და ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებები. დარბაზის მთელ სიგრძეზე მხატვრობას დაუყვება ორნამენტული ზოლი (ფარდა). წმინდანებს ახლავს დაზიანებული წარწერები ქართ. და ბერძ. ენებზე. მხატვრობა გვიანდ. ფეოდ. ხანის ტიპური ნიმუშია. მასში განსაკუთრებით იჩენს თავს გვიანპალეოლოგოსთა ხელოვნების ტრადიცია. მოხატულობის კოლორიტში გაბატონებულია მკვეთრი ცისფერი, რ-იც აცოცხლებს მღვრიე და მუქ ფერებს (მუქი ლურჯი, მონაცრისფრო-ყვითელი, ყავისფერი, ნაცრისფერი, მოწითალო-ყავისფერი). შენობის ორფერდა სახურავი გადახურული იყო კრამიტით. *დ. ფ. ზ. პ.*

055. ᲙᲕᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, აღმ-ით. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,8 X 8 *მ*), ნაგებია რიყის ქვით.კუთხეები, სარკმლის საპირეები, პილასტრები, სატრიუმფო თაღი, დას-ის შესასვლელის გარე თაღი შირიმის ქვისაა. ნაგებობა დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა და კედლების ზედა ნაწილები.



055. გეგმა

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს. სამხრ-ის შესასვლელი შიგნიდან თაღოვანია, გარედან გადახურულია მძლავრი არქიტრავით. დას-ის შესასვლელი შიგნიდან სწორკუთხოვანია, გარედან — თაღოვანი. ნახევარწრიული აფსიდის თაღოვანი სარკმლის ქვემოთ, კედელთან, მიდგმულია ქვით ნაწყობი სატრაპეზო. აფსიდის ორივე მხარეს, კედლის სისქეში, მოწყობილია მცირე ზომის სწორკუთხა სამკვეთლო და სადიაკვნე. ორივე სათავსის შესასვლელების თავზე ქვის ფილებით გადახურული თითო სწორკუთხა ნიშია. სადიაკვნეს აღმ-ით მცირე სარკმელი აქვს. ეკლესიის დას. და სამხრ. კედლებშიც თითო სარკმელია (ძლიერ დაზიანებული). დარბაზის გრძივ კედლებზე ორი წყვილი პილასტრია. შენობას სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში ეკვრის ძლიერ დაზიანებული მ ი ნ ა შ ე ნ ი, რ-საც აღმ-ით მცირე ზომის სარკმელი აქვს, დას-ით — შესასვლელი. *კალმ. გ.*

056. ᲙᲕᲘᲠᲐᲪᲮᲝᲕᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, დას-ით, შემაღლებულ ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,9 X 5,8 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, კუთხეები შირიმის ქვისაა. შიგნიდან სწორკუთხა, გარედან თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის

056. გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, რ-იც შიგნიდან შეისრული ფორმისაა, გარედან — სწორკუთხა. სარკმლის ქვემოთ, კედელთან, მიდგმულია რიყის ქვით ნაწყობი სატრაპეზო. აფსიდის გვერდებზე, თითო ღრმა, სწორკუთხა, ფიცრით გადახურული ნიშია. საკურთხევლის იატაკი ერთი საფეხურითაა ამაღლებული. ეკლესიის სამხრ. კედელში თაღოვანი სარკმელია. დას. კედლის სარკმელი დაბალი და განიერია, შიგნიდან სწორკუთხაა, გარედან თაღოვანი. კამარის საბჯენი თაღი გრძივი კედლების პილასტრებს ეყრდნობა. შენობა გადახურული ყოფილა ღარიანი კრამიტით. *კალმ. გ.*

კოშკების ეკლესია, იხ. ი ო ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა.

057. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, მთის შევაკებულ ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (5,25 X 3,4 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. გამოყენებულია შირიმის ქვაც. ეკლ. დაზიანებულია: ჩანგრეულია ცილინდრული კამარა და კონქი, დანგრეულია სამხრ-ის და დას-ის კედლების უმეტესი ნაწილი. შესასვლელი სამხრ-დანაა (შემორჩენილია კარის დას. წირთხლი). ღრმა აფსიდის ღერძზე შიგნიდან სწორკუთხა, გარედან თაღოვანი სარკმელია. აფსიდის ჩრდ. კედელში სამი პატარა ნიშია (ორი ნიში შეწყვილებულია). აფსიდის ჩრდ. მხართან შირიმის იმპოსტებია. ეკლესიის ეზოს შემოვლებული აქვს რიყის ქვის გ ა ლ ა ვ ა ნ ი, რ-იც ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილი სამხრ. კედლის სიმაღლე 2,5-3 *მ*-მდეა. ამ კედელში დატანებულია ოთხკუთხა ნიშები. *კალმ. გ.*



057. გეგმა

## ბროწლეთი

(ტირძნისის სოფსაბჭო)

058. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სასაფლაოზე. წარმოადგენს ერთმანეთზე მიდგმულ ორ დარბაზულ ეკლესიას.

(ა) ს ა მ ხ რ-ი თ მდგარი ეკლ. (7,4 X 4 *მ*) თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ჩრდ-ისა (7,9 X 5,5 *მ*) გვიანდ. ფეოდ. ხანისაა. შენობები ერთმანეთს უკავშირდება კარით, რ-იც საერთო გრძივი კედლის დას. ნაწილშია. ორივე ეკლესიის აღმ. და დას. კედლები ერთმანეთს აცდენილია. ეკლესიები ნაგებია რიყის ქვით, კუთხეებში გამოყენებულია კარგად გათლილი ღვინისფერი ტუფის დიდი ზომის ქვები. კედლები შიგნიდან და გარედან შელესილია. ადრინდ. დანგრეული ეკლ. შეუკეთებია, აღუდგენია და ახალი, მეორე ეკლ. აუშენებია (?) თავად მანუჩარ თუმანოვის (თუმანიშვილის) ასულს სალომე სულხანოვისას (სულხანიშვილისა). ეკლ. მოგვიანებით სოფლის მცხოვრებლებსაც შეუკეთებიათ.



058. დას. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა

(ა) ჩ რ დ - ე კ ლ. უკეთაა შემონახული. აქვს ორი შესასვლელი. დას-ით, კედლის შუაში მთავარი შესასვლელია, რ-იც გარედან მოჩარჩოებულია სწორკუთხა, ოდნავ ჩაწეული სიბრტყით. სიბრტყეს კუთხით დალაგებული აგურის ერთი რიგი ამთავრებს, თაღი კედლის სისქეში ჩადის. მეორე, ჩრდ-ით თაღოვანი, სამხრ. ეკლესიის მხარეს სწორკუთხა შესასვლელი სამხრის კედლის დას. ნაწილში, პილასტრთანაა. ორივე შესასვლელს აქვს ნაოთხალები. ოდნავ ნალისებრი აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, აფსიდის ჩრდ. და სამხრ. კედლებში — თაღოვანი წრიული ნიშები. აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია ორსაფეხურიანი კაპიტელებით დასრულებული მხრებით, რ-ებსაც ებჯინება სატრიუმფო თაღი. აფსიდის იატაკი დარბაზისაგან ერთი საფეხურითაა ამაღლებული. ჩრდ-ის და დას-ის კედლებში თითო სარკმელია. ჩრდ. სარკმელი ორივე მხრიდან თაღოვანია. შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა დას-ის სარკმელი გვიანდელია. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრებია. დას-ის კედელზე კუთხის პილისტრებია. პილასტრები მთავრდება ორსაფეხურიანი იმპოსტებით, რ-ებზედაც გადაყვანილია კამარის საბჯენი თაღები. დას. ფასადზე, სარკმლის თავზე აგურის წყობით გამოყვანილია საფეხუროვან პირამიდაზე დაფუძნებული ჯვარი. ამ ფასადზევეა ჩადგმული წარწერიანი ქვა, რ-იც გვამცნობს აღმდგენლის (აშენებლის?) ვინაობას.

(ბ) ს ა მ ხ რ . ე კ ლ. სანახევროდ დანგრეულია (კედლები შემორჩენილია 2,5 *მ* სიმაღლეზე). ჩრდ. ეკლესიის აშენების შემდეგ ასრულებს მინაშენის ფუნქციას. გეგმით ჩრდ. ეკლესიის მსგავსია. შიგნიდან სწორკუთხა, გარედან თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედელში, პილასტრის დას-ითაა. აფსიდში შემორჩენილია ორი ღრმა სწორკუთხოვანი ნიში. გრძივი კედლები ერთსაფეხურიანი პილასტრებით ორ ნაწილად იყოფა. დას-ის კედელზე კუთხის პილასტრებია. ამჟამად ეკლესიის ჩრდ. კედლის პირი მთელ სიგრძეზე ჩამალულია ჩრდ. ეკლესიის კედლის წყობაში, რ-შიც ჩაშენებულია ამ კედლის პილასტრებიც. სამხრ. ფასადზე, ტიმპანის ქვაზე, რელიეფური ჯვარია, რ-ის ორივე მხარეს გამოკვეთილია ცხოველთა ფიგურები. აღმ-ით ასომთ. წარწერაა. *კალმ. გ., ნ. თ.*

## ბაიჩაანთუბანი

(ბოშურის სოფსაბჭო)

059. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში, ბორცვზე. სტილისტ. ანალიზით თარიღდება XIX ს. ეკლ. დარბაზულია (ზომები მინაშენებიანად — 21 X 15 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის კარგად გათლილი მოგრძო კვადრებით. გადმოცემით, აუშენებიათ ბერძენ ოსტატებს. დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა და კონ-



059. აღმ. ფასადი, გეგმა

ქი, მორღვეულია სამხრ. და დას. კედლების ზემო ნაწილები, დაშლილია ხის კ ა ნ კ ე ლ ი (ფრაგმენტები აწყვია საკურთხევლის წინ); შემორჩენილია მინაშენების ნანგრევები. ეკლესიას ოთხი შესასვლელი აქვს — სამხრ-ით, დას-ით და ორი ჩრდ-ის კედლის განაპირა ნაწილებში (ორივე ამოშენებულია). სამხრ-ის და დას-ის შესასვლელები შიგნიდან თაღოვანია, გარედან სწორკუთხოვანი. დას-ის შესასვლელს გარედან დეკორატ. თაღი აგვირგვინებს. აფსიდის ღერძზე დიდი ზომის თაღოვანი სარკმელია, გვერდებზე — თითო სწორკუთხა, ღრმა ნიში. აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით, რ-ებზედაც დაბჯენილი იყო სატრიუმფო თაღი. დარბაზის გრძივ გლუვ კედლებს უშუალოდ ეყრდნობა კამარა. ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, კედლის მთელ სიგრძეზე კედლის სისქის შემცირებით შექმნილია საფეხური, რ-საც ეყრდნობა სამხრ-ის სწორკუთხოვანი მ ი ნ ა შ ე ნ ი ს კამარა. მინაშენში, ეკლესიის შესასვლელის ღერძზე, განივი კედლებით გამოყოფილია განიერი სწორკუთხოვანი კ ა რ ი ბ ჭ ე, რ-იც წინიდან მთელ სიგანეზე იყო გახსნილი. კარიბჭე განივ კედლებში გაჭრილი თითო კარით უკავშირდებოდა მინაშენის დას. და აღმ. სათავსებს. ეკლესიას ჩრდ-ითაც აქვს სწორკუთხოვანი მ ი ნ ა შ ე ნ ი. ორივე მინაშენის აღმ. კედელში თაღოვანი სარკმელია, ეკლესიის აფსიდის მხარეს კი, კედლის სისქეში, დიდი თაღოვანი ნიში. ეკლესიას შემოვლებული აქვს გ ა ლ ა ვ ა ნ ი, რ-საც შესასვლელი სამხრ-ის კედლის აღმ. ნაწილში აქვს. *კალმ. გ., ნ. თ.*

**გალისხევის ეკლესია**, იხ. ხ კ რ ი ს ხ ე ო ბ ა, გ ა ლ ი ს ხ ე ვ ი ს ე კ ლ ე ს ი ა.

## გარდატენი

(ატენის სოფსაბჭო)

**აზრატის ციხე**, იხ. ვ ე რ ე ს ც ი ხ ე.

**ბერეს ციხე**, იხ. ვ ე რ ე ს ც ი ხ ე.

**060. დანახვისის წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 7 *კმ*-ზე, მთის წვერზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6 X 3,6 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: მთლიანად ჩანგრეულია კამარა და კონქი, ჩამორეცხილია შელესილობა. შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრ-ითაა. ნალისებრი აფსიდის ღერძზე შიგნიდან თაღოვანი და გარედან ოთხკუთხა სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. ერთი ოთხკუთხა სარკმელი სამხრ. კედლის ზედა ნაწილშიცაა. ეკლესიას სამხრ-ით მთელ სიგრძეზე ეკვრის მ ი ნ ა შ ე ნ ი, რ-ის დას. ნაწილში შემორჩენილია კამაროვანი გადახურვის კვალი. მინაშენის შესასვლელი (შემორჩენილია მხოლოდ ქვედა ნაწილები) სამხრ-ითაა, ეკლესიის შესასვლელის პირდაპირ. ეკლესიას სამხრ-ით და აღმ-ით მცირე ზომის ხელოვნური ბაქანი აქვს. დას. ფასადზე, კედლის გასამაგრებლად, მიშენებულია ოვალური კონტრფორსი. *გრძ. ე.*



060. გეგმა

**დიდი გარდატენის ღვთისმშობელი**, იხ. ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა.

**061. ვერეს ღვთისმშობლის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან 5,5 *კმ*-ზე, მდ. ვერეს ხეობის მარცხ. ნაპირზე, ტყეში. თარიღდება VI ს-ით, გადაკეთებულია XI ს-ში. შენობა სამნავიანი ბაზილიკაა (10,7 X 7,5 *მ*), შიგნიდან და გარედან მოპირკეთებულია წითელი და რუხი ფერის ქვით, გამოყენებულია შირიმის ქვაც. ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამაროვანი გადახურვა და კედლების ზედა ნაწილები. მთლიანად მიწაშია ჩაფლული სამხრ-ის ეგვტერი და დას-ის კ ა რ ი ბ ჭ ე. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს — ჩრდ-ით, სამხრ-ითა და დას-ით. აფსიდში და დას. კედელში თითო სარკმელია, გრძივ კედლებში — ორ-ორი. თითო სარკმელი სადიაკვნისა და სამკვეთლოს აფსიდებშიცაა. მაღალი შუა ნავი ბემითა და ნახევრადოვალური აფსიდით მთავრდება. აფსიდის გვერდებზე სამკვეთლო და სადიაკვნეა. მათ შესასვლელები გვერდის ნავებიდან აქვთ. შუა ნავი გვერდის ნავებისაგან გამოყოფი-



061. გეგმა



061. გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, განივი განაკვეთი ალმ-კენ

ლია ორ წყვილ დაბალ და მასიურ რვაწახნაგა ბურჯზე დაყრდნობილი თაღებით (ამ თაღებზეა დაშენებული შუა ნავის გრძივი კედლები), ხოლო ბემა თავის მხრივ შუა ნავისგან გამოყოფილია ვიწრო და დაბალი თაღებით. ბურჯებზე დაყრდნობილია გრძივი კედლების პილასტრები, რ-თა პროფილირებულ კაპიტელებს ეყრდნობა შუა ნავის კამარის საბჯენი თაღები. აფსიდში და დას. კედლის კუთხეებში შემორჩენილია მოხატულობის კვალი.

ალმ-ის ფასადი ერთ სისტემაში გაერთიანებული დეკორატ. შეწყვილებული ნახევარსვეტებით ხუთ მალად არის დაყოფილი. მაღალი და ფართო შუა მალი მართკუთხაა. მის მარჯვნივ და მარცხნივ მდებარე დეკორატ. თაღედში სამკუთხა ღრმა ნიშებია. საკურთხევლის სარკმელი მოჩარჩოებულია მართკუთხა ფართო ორნამენტიანი საპირით. ეკლესიის ჩრდ.-დას-ის კუთხეში შემორჩენილი ლავგარდნის ნაწილები პროფილირებულია. ალმ. სარკმლის ჩარჩოზე არსებულ ასომთ. წარწერაში მოხსენიებულია ატენის ციხისთავი გრგნელი, რ-საც ეკლ. XI ს. 60-იან წლებში აღუდგენია და ჩუქურთმებით მოურთავს.

სამხრ-იხა და დას-ის ფასადების გაყოლებით ჩანს მ ი ნ ა შ ე ნ ი ს კვალი.

ბიბლ.: 239. *ქ. თ.*

062. ვერეს ციხე, ა ზ რ ა ტ ი ს ც ი ხ ე, ბ ე რ ე ს ც ი ხ ე (ი. ჯავახიშვილის აზრით), არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-ალმ-ით, სამიოდე კმ-ზე, მდ. ტანის ხეობაში, მდ. ვერეს ნაპირას, ძნელად მისადგომ ქედზე. ციხეს სტრატეგიულად მოხერხებული მდებარეობა აქვს. აქედან მოჩანს ტანის ხეობა და გორი მისი მიდამოებით. ნაგებობა თარიღდება IX-X სს-ით. ვ. ც. და მისი შემოგარენი თბილ. საამიროში შედიოდა. იგი, ატენის ციხესთან ერთად, მონაწილეობდა ქართლის შემოერთებისათვის წარმოებულ ბრძოლაში. X ს-ის მიწურულიდან ციხე კლდეკარის ერისთავთერისთავების — ბაღვაშთა გამგებლობაში გადავიდა. XI ს-დან XVI ს. შუახანებამდე ვ. ც-ის მიდამოები საქართვ. სამეფო სახლის განკარგულებაში იყო. 1554 წ. ზაფხულში შაჰ თამაზმა აიღო ვ.ც. და გზა გაიხსნა ატენის ციხისკენ, სადაც ქართლის მეფის ლუარსაბ I -ის დედა და ქართლის თავადაზნაურთა ოჯახები იდგნენ. XVII-XVIII სს. ციხე თავად ციციშვილთა ხელში გადავიდა და ამ ხაგვარეულოს მნიშვნელოვან საყრდენ პუნქტად იქცა. 1638 წ. ვ.ც-ში გამაგრდა როსტომ მეფის წინააღმდეგ აჯანყებული ქართლის თავადთა მეთაური ნოდარ ციციშვილი. მეფემ ალყა შემოარტყა ციხეს. აჯანყებულმა ციციშვილმა გაქცევით უშველა თავს. როსტომ მეფემ ვ.ც. აიღო და გაანადგურა.

ციხე გეგმით წაგრძელებულია (სიგრ. 44,6 მ, სიგ. ალმ-ით 14,8 მ, დას-ით 6 მ), ნაგებია რიყის ქვით. ნაგებობა დაზიანებულია — ფერდობებზე კედლები შემორჩენილია 4-5 მ სიმაღლეზე. ციხის ალმ. და დას. მხარეები მთავრდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის კ ო შ კ ე ბ ი თ. ალმ-ის კოშკიდან გადარჩენილია მხოლოდ კონტური; დას-ის კოშკი გეგმით უსწორო-ელიფსურია. ქვედა სართული ცილინდრული კამარით გადახურული გრძელი სათავსია, რ-იც ციხის ეზოს განიერი თაღოვანი კარით უკავშირდება. ციხის ეზოში, გალავნის სამხრ. კედელთან, დიდი წ ყ ა ლ ს ა ც ა ვ ი ა.

ბიბლ.: 72; 79: 215-216; 201 ღ; 220.

*ბ. გ., ზ. პ., კ. კ.*

063. მწვანე საყდარი, ფ ე რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ი ს ს ა ყ დ ა რ ი, არქიტ. ძ. დგას ხოფლის ალმ-ით, 1 კმ-ზე. აგებულია X-XI სს-ში. ეკლ. დარბაზულია (14,2 X 7,1 მ), ნაგებია ნატეხი ქვით, მოპირკეთებულია ნატეხი და მომწვანო ფერის ტუფის ქვით. შენობა ძლიერ დაზიანებულია: მთლიანად დანგრეულია გადახურვა და დას-ის კედელი, ნაწილობრივ სამხრ-იხა. ნახევარწრიული აფსიდის ორივე მხარეს მცირე ზომის სათავსებია. დარბაზის გრძივი კედლების ორ წყვილ პილასტრზე გადადიოდა სამ-სამი დეკორატ. თაღი. *გვას. ჯ.*

064. ორსაყდრის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის




062. გეგმა: 1. გალავანი, 2. ალმ. კოშკი, 3. დას. კოშკი, 4. წყალსაცავი



062. სამხრ. ფასადი

აღმ-ით 2 *კმ*-ზე, მდ. ვერეს მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (11,8 X 6,9 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით. გამოყენებულია შირიმიც. დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა, ჩამოცვენილია აღმ. და სამხრ. ფასადის საპირე ქვები. ეკლესიას ორი თაღოვანი შესასვლელი აქვს: სამხრ. კედლის დას. ნაწილში და დას. კედლის ცენტრში (გაუქმებულია). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. აფსიდის კედელს, ქვემოთ, ქვის განიერი საფეხური გასდევს. საკურთხევლის იატაკი ეკლესიის იატაკიდან ამაღლებულია ერთი საფეხურით. აფსიდის ორივე მხარეს მცირე ზომის სათავსებია (ჩრდ. სათავსი ამოქოლილია). დარბაზის გრძივი კედლები წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. დას. კედელთან და აფსიდის მხართან ორსაფეხურიანი კუთხის პილასტრებია. დას. კედლის ზედა ნაწილში ერთი თაღოვანი სარკმელია, სამხრ. კედელში – ორი. *კ. მ.*

ᲬᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲘ, იხ. მწვანე საყდარი.

065. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, დიდი გარდატენის ღვთისმშობელი, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, მდ. ტანის ხეობაში, თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,2X4,7 *მ*), ნაგებია თლილი ქვიშაქვის კვადრებით. დაზიანებულია შენობის სახურავი, შემორჩენილია ქვის ლორფინების ფრაგმენტები. შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრ-ითაა. აფსიდის თაღოვანი სარკმლის ორივე მხარეს თახჩებია, ჩრდ. კედელში ერთი ფართო ოთხკუთხა ნიშია. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-საც შეკეთების კვალი ეტყობა. საკურთხევლის წინ დგას XIX ს. ხის კანკელი, რ-ზეც შემორჩენილია ზეთის საღებავებით შესრულებული მოხატულობის (ა) ფრაგმენტები (წარწერებიანი). ინტერიერის მოხატულობისაგან შემორჩენილია მხოლოდ ფერადი ლაქები. ჩრდ. კედელზე შინდისფერი მელნით შესრულებული წარწერის კვალი ჩანს, რ-იც პალეოგრაფიული ნიშნებით XII ს. შეიძლება მიეკუთვნოს. აღმ-ის ფასადის სარკმლის სათაურზე გამოსახულია მარტივი ტოლმკლავა ჯვარი, მის ორივე მხარეს – თითო ფრინველი. ნაგებობას წრეთარგისა და ლილვისაგან შედგენილი გლუვი ლავგარდანი აქვს.

ეკლესიის სამხრ-ით მოზრდილი მინაშენისაგან შემორჩენილია აღმ. და დას. კედლები. აქვე, მასიური ქვის ბაზისზე დადგმულ თლილი ქვის ფილაზე ასომთ. წარწერის კვალია. *მგ. მ.*



065. აღმ. სარკმელი



065. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

066. ᲬᲔᲓᲘᲡᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ და ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, კლდოვანი მთის თხემზე. აგებულია არაუგვიანეს X ს-ისა. შედიოდა მდ. ტანის ხეობაში განლაგებული ციხეების სისტემაში.

(ა) ციხე გეგმით ტრაპეციის მსგავსია, მისი გალავანი მიჰყვება მთის ფერდს ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია – აქა-იქ შემორჩენილია მხოლოდ 4-5 *მ* სიმაღლის კედლები (სისქე 2 *მ*-მდე). ციხის აღმ-ის მონაკვეთის სამხრ. ნაწილი უჭირავს დიდ ბურჯს, რ-იც რამდენიმესართულიანი უნდა ყოფილიყო. ციხის შიგნით, მის დას. მონაკვეთში, დგას გადაკეთებული სასახლე, რ-იც ორი ან სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. სასახლეს კარი სამხრ-ით, პირველ სართულზე აქვს. იგი გარედან არქიტრავითაა გადახურული, შიგნით ტიმპანიანია.

ციხის ცენტრში დგას გვიანდ. ფეოდ. ხანის დარბაზული ეკლესია (ბ), რ-ის კედლები წყობით ჰგავს ციხის კედლებს, მაგრამ უფრო დაუდევრად არის ნაგები. ეკლესიას შესასვლელი სამხრ-დან აქვს. შესასვლელზე მიშენებული ყოფილა კარიბჭე. აფსიდი ნახევარწრიულია, აღმ-ით, დას-ითა და სამხრ-ით თითო სარკმელია. კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის მცირე ფრაგმენტები. ნაგებობას უფორმო კონქი და კამარა აქვს.

ეკლესიისათვის მოგვიანებით სამხრ-ით და დას-ით მიუშენებიათ გარსშემოსასვლელი, რ-ის კამარა და კედლების ზედა ნაწილი ჩამონგრეულია. ეკლ. გადახურული ყოფილა კრამიტით. *ზ. პ.*

067. ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფელში, მახაანთ უბანში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,65 X 5,6 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით (წყობა ირეგულარულია). ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია: ნაწილობრივ ჩანგრეულია კამარა და კონქი, ჩამოცვენილია კედლების საპირე წყობა, ინტერიერში აქა-იქ შემორჩენილია შელესილობის ფრაგმენტები. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ. კედლის დას. ნაწილში და ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში. ორივე შესასვლელი სწორკუთხაა, გარედან გადახურულია არქიტრავით. ნახევარწრიული აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მცირე შვერილი მხრებითა და ქვის კანკელით. აფსიდის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ქვემოთ, კედელთან, ქვით ნაწყობი სატრაპეზო დგას. სარკმლის ორივე მხარეს მცირე სწორკუთხა ნიშებია. ეკლესიის სამხრ. კედელში კიდევ ერთი სარკმელია, რ-იც ორივე მხრიდან დახურულია ბრტყელი ქვის ფილით. ეკლესიას სამხრ-ით და ჩრდ-ით მინაშენები ჰქონია. *კ. მ.*

068. ᲯᲔᲑᲘᲠᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის დასაწყისში, ჯებირაანთ უბანში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,5X5,6 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით. წყობა ირეგულარულია. ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა, კონქი და აღმ. კედლის დიდი ნაწილი, სანახევროდ დანგრეულია ჩრდ. კედელიც. გარედან არქიტრავით გადახურული სწორკუთხა შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მცირე შვერილი მხრე-

ბით. აფსიდის ღერძზე სარკმელია (შემორჩენილია მხოლოდ ქვედა ნაწილი). აფსიდის ჩრდ. და სამხრ. კედლებში ნახევარწრიული, ღრმა ნიშებია. დარბაზის გრძივი კედლების შუა ნაწილში, კამარის ქუსლთან, თაროა, რ-საც კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობოდა. დას. კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია, რ-იც ორივე მხრიდან ბრტყელი ქვითაა გადახურული. სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში, ქვევით, მცირე, სწორკუთხა ნიშია. სამხრ. ფასადზე შემორჩენილია ბრტყელი ლავგარდანი. ამ მხარეს ეკლესიას მ ი ნ ა შ ე ნ ი ჰქონია. *კ. მ.*



068 გეგმა

# ᲓᲘᲓᲘ ᲐᲢᲔᲜᲘ

(ატენის სოფსაბჭო)

069. ᲐᲢᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲝᲜᲘ, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სოფლიდან მოშორებით, ქ. გორიდან 12 *კმ*-ზე, მდ. ტანის მარცხ. ნაპირას, ფრიალო კლდის კიდეზე, საყრდენი კედლით გამაგრებულ ბაქანზე. თარიღდება VII ს-ის I ნახ-ით.

1968-75 წწ. საეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ შეაკეთა და გაამაგრა ტაძრის ფასადების ქვედა მონაკვეთები (ხელმძღვ. არქიტ. ლ. ხიმშიაშვილი), გუმბათის სახურავი (ხელმძღვანელები არქიტ. რ. გვერდწითელი თ. ნემსაძე). 1983 წ. კი შენობა გადაიხურა ქვის ლორფინებით (ხელმძღვ. რ. გვერდწითელი), გაიწმინდა და გამაგრდა მოხატ. (ხელმძღვ. გ. ჭეიშვილი, კ. ბაკურაძე).

ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (24 X 19 *მ*: სიმაღლე 22 *მ*), ტეტრაკონქის ტიპის, ნაგებია მომწვანო-მონაცრისფრო ქვიშაქვის თლილი კვადრებით, გამოყენებულია სხვა ფერის ქვებიც. შესასვლელები სამხრ-ით და ჩრდ-ითაა. ტაძრის გეგმის საფუძველია ტეტრაკონქი, რ-ის წამყვან კომპოზიციურ ბირთვს წარმოადგენს გუმბათქვეშა კვადრატი. მასზე აღმართულია სფერული გუმბათის რვაწახნაგა, ოთხსარკმლიანი ყელი, რ-იც აფსიდების შვერილებს ეყრდნობა. გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა კონუსური ფორმის, სამ წყებად განლაგებული ტრომპების საშუალებით ხდება. გუმბათის სფეროში გამოსახულია რელიეფური ჯვარი. გუმბათქვეშა სივრცე ოთხმხრივ გახსნილია აფსიდებით — ისინი გეგმაში ჯვარს ქმნიან. ჯვრის მკლავებს შორის, ყოველ კუთხეში, თითო ოთახია, რ-ებიც მცირე, წრის სამი მეოთხედი მოხაზულობის სათავსებით უკავშირდებიან ტაძრის ცენტრ. სივრცეს. საკურთხევლის აფსიდის მიმდებარე ოთახები სამკვეთლო და სადიაკვნეა, ხოლო დანარჩენი ორიდან სამხრ.-დას-ისა საქალებოა. ამ სათავსს დამოუკიდებელი შესასვლელი ჰქონდა სამხრ.-დან. გუმბათქვეშა საბჯენი თაღები ოდნავ ნალისებრია. საკურთხეველი ამაღლებულია ორი საფეხურით. აღმ. აფსიდის შუა სარკმლის ქვეშ დგას სატრაპეზო ქვა, რ-ის ორივე მხარეს დასაჯდომი საფეხურებია კულტის მსახურთათვის. საკურთხეველში სამი სარკმელია, სამხრ-ის, ჩრდ-ისა და დას-ის კედლებში — თითო, რვაწახნაგა კამარით

069. საერთო ხედი





069. აღმ. ფასადი



069. განივი განაკვეთი აღმ-კენ

გადახურულ სამკვეთლოში — ორი, ჯვაროვანი კამარით გადახურულ კუთხის ოთახებში კი თითო. საკურთხევლისა და დას. აფსიდის წინ ბემებია, რის გამოც შენობის აღმ.-დას-ის ღერძი უფრო გრძელია, ვიდრე სამხრ.-ჩრდ-ისა.

ტაძრის კედლებზე შემორჩენილია სხვადასხვა დროის ქართ. ასომთ. უნიკალური წ ა რ წ ე რ ე ბ ი და მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი, რ-ებშიც მოხსენიებული არიან ისტ. და სხვ. პირები, მოცემულია თარიღები და ცნობები. წარწერები საყურადღებოა ენისა და დამწერლობის თვალსაზრისითაც; ისინი მდიდარ მასალას გვაძლევენ საქართვ. ისტ., კულტ., ენისა თუ პალეოგრაფიის მთელი რიგი საკითხების კვლევისათვის.

მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ა (ა). ა.ს-ის ინტერიერში, ბათქაშის ჩამოცვენის შედეგად, ქვის ზედაპირზე გამოვლინდა უძველესი დეკორის ფრაგმენტები: წითელი საღებავით შესრულებული არქიტ. წყობის იმიტაცია აფსიდების კონქებში, თაღებში, ასეთივე საღებავით შემოხაზული რელიეფური ჯვარი გუმბათში. ტაძარში გაირჩევა აგრეთვე პირველ ფენასთან ქრონოლოგიურად ახლო მდგომი, უფრო გვიანდელი დეკორი, რ-იც არაუგვიანეს VIII ს. I ნახ-ს განეკუთვნება, — აფსიდის 8 შვერილზე და სამსხვერპლოს კარის ზემოთ, ნაცრისფერი ბათქაშით დაფარულ კედელზე, თეთრი და წითელი საღებავებით გამოსახულია „დამცველობითი ფუნქციის" განედლებული ჯვრები.

ტაძრის ინტერიერი მთლიანად მოიხატა XI ს. II ნახ-ში. წერის მანერის და ტექ. ხერხების მიხედვით გაირჩევა რამდენიმე მხატვრის ხელი. მიუხედავად ამისა, მხატვრობის იკონოგრაფიული და მხატვრული ჩანაფიქრი ერთიანია. მოხატულობის იკონოგრაფიული სქემა ძვ. ქართ. ტრადიციას მისდევს და ნაწილობრივ იმითაც განისაზღვრება, რომ ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა. გუმბათის მხატვრობა შემორჩენილია ფრაგმენტულად: გუმბათის კამარაში — ჯვარი, გუმბათის ყელში — წინასწარმეტყველები, ტრომპებზე — მახარებლები, ტრომპების ნახევარწრეებში სამოთხის 4 მდინარის პერსონიფიკაციებია. აფსიდებში დამოუკიდებელი იკონოგრაფიული ციკლებია შემორჩენილი. საკურთხევლის აფსიდის კონქში გამოსახულია *ღვთისმშობელი ნიკოპეა*, ბემის კამარაზე — *ქრისტე ყოვლისმპყრობელი* და 4 წინასწარმეტყველი, აფსიდის კედლებზე — 12 მოციქული, ცენტრში — პატარა ჯვარი. ბემის კედლებზე *ზიარების* ორნაწილიანი სცენაა; ქვემო რეგისტრში ეკლესიის 10 მამის გამოსახულებაა, შუა სარკმლის წირთხლებზე — 2 მესვეტის, აფსიდის შვერილებზე — 2 დიაკვნისა.

სამხრ. აფსიდი იყოფა ოთხ რეგისტრად. ზედა რეგისტრში გამოსახულია მთავარანგელოზი და აპოკრიფული სცენები ღვთისმშობლის ცხოვრებიდან, კონქის ალმ. ნაწილში — *ძღვენის უარყოფა, ყვედრება იოაკიმესგან ანასი, ანას ხარება, იოაკიმეს ხარება*. მეორე რეგისტრში — *შეხვედრა ოქროს კარიბჭესთან, ღვთისმშობლის დაბადება, ღვთისმშობლის შვიდი ნაბიჯი, ტაძრად მიყვანება*; მესამეში — *ხარება, მარიამის და ელისაბედის შეხვედრა, ღვთისმშობლის წყლით მხილება, იოსების სიზმარი*; მეოთხეში — *შობა და ღვთისმშობლის მიძინება*.

ჩრდ. აფსიდიც ოთხ რეგისტრად იყოფა და აქაც ზედა რეგისტრში მთავარანგელოზია გამოსახული; კონქში — *მირქმა და ნათლისღება*; მეორე რეგისტრში — *ფერისცვალება, ლაზარეს აღდგინება, იერუსალიმში შესვლა*; მესამეში — *საიდუმლო სერობა, ჯვარცმა, ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა, მენელსაცხებლე დედანი*; მეოთხეში — *ამაღლება, სულიწმიდის მოფენა*.

დას. აფსიდი მთლიანად უჭირავს *განკითხვის დღის* რთულ კომპოზიციას. ბემის თაღში გამოსახულია *ანგელოზი, რომელიც ცის კამარას ახვევს*; აფსიდის პირველ რეგისტრში — *ვედრება* მოციქულებით და ანგელოზებით (ნაწილი ფიგურებისა ბემში გადადის), მეორე რეგისტრში, ფანჯრის ზემოთ — *პეტიმასია*; აფსიდის სამხრ. კედელზე, ორ რეგისტრში გამოსახულია *სამოთხე* წმინდანთა გუნდებით, ჩრდ. კედლის ამავე რეგისტრებში კი *ჯოჯოხეთის* სცენების ფრაგმენტებია შემორჩენილი; ქვედა რეგისტრში წარმოდგენილნი არიან წინასწარმეტყველები. მოპირდაპირე მხარეს ქვედა რეგისტრის გაგრძელებაზე ქტიტორთა პორტრეტებია (წარწერები ძალიან დაზიანებულია და გამოსახულ პირთა ვინაობა სადაოა).

მეორე ფენის მხატვრობის კომპოზიციები მკაცრი და მონუმენტურია. კოლორიტი აგებულია ცისფრის სხვადასხვა ტონებზე — ბაცი მონაცრისფროდან სუფთა კობალტამდე და ამ ფერების მოვერცხლისფრო მწვანესთან, წითელსა და იისფერთან შეხამებაზე. სახეები მოდელირებულია ბაცი, ოდნავ მოყავისფრო ტონის ფართო მონასმებით. ა.ს-ის მოხატ. ქართ. მონუმ. მხატვრობის მნიშვნელოვანი ნიმუშია.



069. ჩრდ. ფასადი



069. გეგმა



069. დას. ფასადი, რელიეფი — ნადირობა

ტაძარი ორსაფეხურიან იმპოსტზე დგას, რ-ის ქვეშ ფართო და დაბალი ცოკოლია. ტაძრის გარეგნული ფორმები ნათლად გამოხატავს შიგა სივრცის ორგანიზაციას. შენობის ძირითადი მასები გუმბათქვეშა კვადრატიდან საფეხურებად იშლება. შიგნიდან მომრგვალებულ აფსიდს გარეთ შეესატყვისება სამწახნაგოვანი შვერილი, რ-საც ბრტყელი თაღოვანი ნიშებით უკავშირდება კუთხის ოთახების გლუვი კედლები. გუმბათი ფართო და დაბალია, გუმბათის ყელი — მასიური. გუმბათქვეშა კვადრატის ფუძეს საკმაოდ ამაღლებული კუთხეები აქვს. კვადრატის კუთხის კედლები არასწორადაა ამოყვანილი — ზევით ვიწროვდება (ჩანს შეკეთების კვალი). კვადრატის ყელის მეტი ნაწილი თავიდანაა ამოყვანილი და თანაც ამაღლებულია ერთი კვადრით. სახურავის სამხრ.-აღმ. და სამხრ.-დას. კუთხეებში ცხვრის თავის გამოსახულებებია, ხოლო ჩრდ.-აღმ. კუთხეში მინიატურული ტაძრის გუმბათი. გუმბათის ყელი და საერთოდ მთელი შენობა მასიურობისა და სიმძიმის შთაბეჭდილებას ქმნის.

განსაკუთრებით მორთულია აღმ. და სამხრ. ფასადები. აღმ-ის ფასადის წინ ვიწრო გასასვლელია დატოვებული, რაც აძნელებს სარკმლების ზემოთ მოთავსებული სკულპტურული გამოსახულებების აღქმას. სარკმლები შემკულია დეკორატ. რელიეფური სათაურებით. საკურთხევლის სარკმლებს ზემოთ კომპოზიციურად ერთმანეთთან დაუკავშირებელი შვიდი რელიეფური გამოსახულებაა. აღმ. ფასადის შუა წახნაგზე გამოსახულია ქრისტე დასალოცად აწეული ხელით, გვერდით წახნაგებზე — ორ-ორი ფრონტალურად მდგომი ფიგურა, ხოლო ქვემოთ, გვერდებზე — ცხოველები და ფრინველები.

ტაძრის მთავარი სამხრ-ის შესასვლელი (აქ კარიბჭე მდგარა) მორთულია ორმაგი ბურთულებიანი კაპიტელებით, ბაზისებით და დეკორატ. ნახევარსვეტებით. სამხრ. ფასადზე რელიეფური ფიგურებია გამოსახული, ფასადის აღმ. ნიშში ამოკვეთილია სომხური ასომთ. წარწერა („მე თოდოსაკ მაშენებელი ამ წმიდა ეკლესიისა“), რ-იც მიჩნეული იყო სამშენ. წარწერად. ახალი გამოკვლევის მიხედვით (გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე) წარწერა გვიანდ. უნდა იყოს. ჩრდ. ფასადზე, შესასვლელის ტიმპანზე, გამოსახულია ორი ირემი, აფსიდის გვერდის ლავგარდნის ქვეშ—წმინდანი და მის წინ მდგომი კტიტორი, ხოლო მარცხ. ნიშში ორი რელიეფური სცენაა წარწერებით: დავით გარეჯელის მოწაფე ლუკიანე ირემს წველის და სამსონის ლომთან შებრძოლება. დას-ის ფასადზე შეკეთების შედეგად რელიეფებს შეცვლილი

069(ა). წინაწარმეტყველები



აქვთ ადგილი. ფასადის მარცხ. ნაწილში, სარკმლის ქვემოთ, შემორჩენილია რელიეფური კომპოზიციები: სამსონის ლომთან შებრძოლება, წინასწარმეტყველი აბაკუმი ანგელოზს მიჰყავს ორმოში მყოფ დანიელთან, ნადირობის სცენა და სხვ.

გუმბათის ყელის აღმ. ფასადზეც რელიეფური გამოსახულება და ქართ. ასომთ. წარწერაა. გუმბათის ყელის სარკმლების სათაურებიც ორნამენტირებულია. პროფილირებული სადა ლავგარდნები გვიანდელია.

ბიბლ.: 1:66; 2:30; 3; 12; 13გ:130; 26; 35:108, 67:50-60; 234; 239: 128-136; 278. *ანდღ. ნ., მ. ი.*

070. ქვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის მესამე უბნის დასახლების დას. ნაწილში, სასაფლაოზე. თარიღდება განვით. და გვიანდ. ფეოდ. ხანით. 1980 წ. საეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანებამ შეაკეთა შენობა (ხელმძღვ. დ. ჭიკაიძე, გ. ჭეიშვილი). ეკლ. დარბაზულია (7 X 5 *მ*), ნაგებია არაწესიერი ფორმის თლილი ქვით, ლავგარდნისთვის გამოყენებულია აგურიც. ლავგარდანი ნაწილობრივ დაზიანებულია, სახურავზე ბევრგან აყრილია კრამიტი. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: ჩრდ-ით და დას-ით. ორივე გარედან სწორკუთხაა, შიგნიდან — თაღოვანი. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში, ერთი ვიწრო თაღოვანი სარკმელი და ორი პატარა კვადრ. ნიშია. დანარჩენ კედლებშიც თითო თაღოვანი სარკმელია. სამხრ. სარკმელი მოგვიანებით გაუფართოებიათ და გადაუკეთებიათ. აფსიდის ორივე მხარეს, კედელში, პატარა აფსიდიანი სამკვეთლო და სადიაკვნეა. ორივეს აღმ-ით თითო ვიწრო სარკმელი აქვს. დას. შესასვლელის გვერდებზე და ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში თითო ოთხკუთხა ნიშია. საკურთხევლის ბაქანი დარბაზის იატაკიდან ორი საფეხურით არის ამაღლებული. დარბაზში და საკურთხეველში იატაკი კვადრ. აგურისაა. ეკლ. გადახურულია შეისრული კამარით. სახურავი კრამიტისაა, ორფერდა.

070. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან, გეგმა





აღმ. კედლის ფრონტონის თავზე დაშენებულია გეგმით კვადრ., ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილი პირამიდულსახურავიანი აგურის სამრეკლო. ეკლესიის ეზოს შემოვლებული ჰქონია სწორკუთხა გალავანი (შემორჩენილია ფრაგმენტები). *ნ. შ.*

071. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის გარეთ, აღმ-ით, მდ. ტანის მარცხ. ნაპირას, კლდეზე. თარიღდება XVI ს-ით. კ. გეგმით უსწორო ოთხკუთხედია (7,2 X 4,8 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. კარის წირთხლებზე გამოყენებულია თლილი ქვა. კ. დაზიანებულია: ჩაქცეულია სართულშუა ხის გადახურვები. შემორჩენილია სამი სართული. შესასვლელი პირველ სართულზეა. კ-თან მისასვლელად კლდეში ამოკვეთილია საფეხურები. პირველი სართულის დას. და სამხრ. კედლებში ორ-ორი სათოფურია, აღმ-ისაში — ერთი. მეორე სართულის სამი კედელი ყრუა. მეოთხეში, აღმ-ისაში, ორი სათოფურია. მესამე სართულის გრძივ კედლებში ორ-ორი სათოფურია, განივში — თითო. *ზ. პ.*

072. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 0,5 *კმ*-ზე, მდ. ტანის მარცხ. ნაპირზე, კლდეზე. თარიღდება XVI-XVII სს-ით. კ. ოთხკუთხაა (7 X 4 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. დაზიანებულია — ჩანგრეულია სართულშუა გადახურვები. შემორჩენილია მხოლოდ ორი სართული. კ-ს შესასვლელი ჩრდ-ით აქვს. მეორე სართულის აღმ., დას. და სამხრ. კედლებში ორ-ორი სათოფურია. *გვას. ჯ.*

073. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ ძ. დგას ატენის სიონის მოპირდაპირე მხარეს, მდ. ტანის მარჯვ. ნაპირზე, მთის ტყიან ფერდობზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანის გარდამავალი პერიოდით. 1980 წ. საეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანებამ შეაკეთა



073. გეგმა

შენობა (ხელმძღვ. დ. ჭიკაიძე), გაამაგრა ეკლესიის მოხატულობა (ხელმძღვ. გ. ჭეიშვილი). ეკლ. დარბაზულია (7,3 X 4 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია დას-დან მოგვიანებით მიშენებული მცირე სამლოცველო (შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. და დას. კედლები) და ინტერიერში კედლის მოხატულობა. მცირე კვალიღაა გადარჩენილი ჩრდ. მინაშენისაგან. ეკლესიის თაღოვანი შესასვლელები სამხრ-ით (ნახევრად ამოქოლილია) და დას-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში ვიწრო სარკმელია. ასეთივე სარკმელია დას. კედელში. აფსიდში მოგვიანებით გაჭრილი ვიწრო თაღოვანი შესასვლელი (ამოქოლილია) ეკლესიას ჩრდ. მინაშენთან აკავშირებდა. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. ლავგარდანი თაროსებრია, აღმ. და დას. ფასადებზე პირიზ. შემონაკეცები აქვს.

ეკლ. მთლიანად იყო მოხატული (ა). ფერადოვანი ლაქები შეიმჩნევა კამარაში, სარკმლის ჭრილში, შესასვლელის ლუნეტში. მოხატულობის ფრაგმენტები შემორჩენილია საკურთხეველში და დარბაზის კედლებზე. საკურთხევლის მოხატულობა სამ რეგისტრად იყოფა. პირველ რეგისტრში (კონქში) წარმოდგენილი *ვედრების* კომპოზიცია გაურკვეველი სქემისაა:

მთავარი პერსონაჟების გარდა, გამოსახულია ექვსფრთედები და ანგელოზები. მეორე რეგისტრში წარმოდგენილია მოციქულები. მესამე რეგისტრში გაირჩევა ეკლესიის მამათა მოწითალო-აგურისფერი აბრისები. საკურთხევლის სარკმლის წირთხლები შემკულია მცენარეული ორნამენტით. დარბაზის კედლებზე დარჩენილია სიუჟეტურ კომპოზიციათა ფრაგმენტები: სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთზე – *ბარება*; ჩრდ. კედლის აღმ. მონაკვეთში, პეიზაჟის ფონზე – ანგელოზის ფიგურა. კამარაში კომპოზიციები გაყოფილია ვიწრო ორნამენტული ზოლით. კოლორიტში ჭარბობს ლაჟვარდოვანი ცისფერი, მოწითალო-აგურისფერი, მოწითალო-ყავისფერი და ოქროსფერი ოქრა. ამჟამად წმინდანთა სახეების და ფონის ტონი ჩამუქებულია. *დე. თ., დ.ფ.*

ორბელიანების ეკლესია, იხ. ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს მ ც ი რ ე გ უ მ ბ ა თ ო ვ ა ნ ი ე კ ლ ე ს ი ა.

074. ოქროიანთ საყდარი, არქიტ. ძ. დგას ატენის სიონის ტაძრის ჩრდ.-დას-ით, მისგან 150 *მ*-ის დაშორებით, კლდის ქიმზე. შედგება ორი, ერთმანეთზე მიდგმული ეკლესიისაგან. ეკლესიები თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ორივე ეკლ. ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, კედლების ზედა ნაწილები, არ შემორჩენილა ლავგარდანიც. თავდაპირველად ააგეს სამხრ-ით მდგარი დარბაზული ეკლ. (3,9 X 2,7 *მ*). შენობის სწორკუთხა შესასვლელი ჩრდ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ჩრდ-ით პატარა ნიშია. სატრიუმფო თაღი ნახევარწრიული ფორმისაა. მოგვიანებით კლდის ქიმი ხელოვნური ბაქნით გაზარდეს და სამხრ-ის ეკლესიას ჩრდ-დან მიუშენეს მეორე დარბაზული ეკლ. (5,3 X 3,8 *მ*), რ-ის შებრტყელებული ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. სარკმლის ორივე მხარეს, სხვადასხვა სიმაღლეზე, სამ-სამი ნიშია, სატრიუმფო თაღი ისრული ფორმისაა. *კ. მ.*

074. განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



075. ღვთისმშობლის მცირე გუმბათოვანი ეკლესია, ო რ ბ ე ლ ი ა ნ ე ბ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. სტილისტ. ანალიზით თარიღდება VII-IX სს-ით. ჯვარ-გუმბათოვანი ეკლ. (7,2 X 7,9 *მ*) გეგმით წარმოადგენს მარტივ თანაბარმკლავიან ჯვარს. ნაგებია რიყის ქვით, ფასადებზე ზოგან გამოყენებულია მწვანე ტუფის ქვაც.

შესასვლელები სამხრ-ით და დას-ითაა. ეკლესიის სამი მკლავი სწორკუთხაა, მეოთხე, აღმ-ისა, აფსიდით მთავრდება. გარედან მკლავების კედლები ქმნიან არათანაბარგვერდებიან ტრაპეციას. ყოველ მკლავში თითო სარკმელია, რვაწახნაგიანი გუმბათის ყელში – ოთხი. გუმბათის ყელის სიგანე, ჯვრის მკლავებთან შედარებით, ერთნახევარჯერ მეტია, რაც ზრდის გუმბათქვეშა კვადრატის სივრცეს. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა ტრომპების ორი რიგით ხდება. აღმ-ის ფასადზე საკურთხევლის ფანჯარა დასრულებულია თლილ ქვაში ამოკვეთილი ნალისებრი თაღით. სამხრ. ფასადის ფრონტონზე, სარკმლის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, ორი საკმაოდ ღრმა ნახევარწრიული ნიშია. კარის დეკორირებულ ტიმპანში და ნიშებში მოგვიანებით მომწვანო ქვები ჩაუსვამთ. ქვებზე ამოკვეთილი წარწერები დაზიანებულია და მათი წაკითხვა შეუძლებელია. დას-ის ფასადის კარის ტიმპანზე ამოკვეთილია რელიეფური კომპოზიცია და ასომთ. წარწერა: „ქრისტე ადიდე ორსავე ცხოვრებასა აქა ხორციელებრ და წინაშე შენსა სულიელებრ რატ ერისთავი ძე იგი ლიპარიტ ერისთავისაი რომელმან აღაშენა ესე სახლი ღმრთისაი და ბჭეი ცათაი წმიდაი ეკლესიაი, სალოცველად ხულისა მათისა". საფიქრებელია, რომ რატი ერისთავმა X ს-ში განაახლა „სახლი ღმრთისაი" და თავისი თავი აღმშენებლად გამოაცხადა. ამავე საუკუნეში გუმბათის ყელი მოუპირკეთებიათ მომწვანო ტუფით და ზედ წარწერაც ამოუკვეთიათ. გუმბათი გადახურულია კარგად გამოყვანილი ქვის ლორფინებით.

დას-ის მ ი ნ ა შ ე ნ ი (5,7 X3,9 *მ*), სამხრ-ის კარის არქიტრავზე მოთავსებული მხედრ. წარწერის თანახმად, 1870 წ. აუგია მღვდელს დავით დავიდოვს.

ბიბლ.: 195. *გვას. ჯ., მ. გ.*

076. წმ. ბარბარეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, მაღალ მთაზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (5,7 X 4,2 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია – მთლიანად ჩანგრეულია კამარა. სწორკუთხა შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნალისებრ აფსიდში ვიწრო სწორკუთხა სარკმელი და ორი ასეთივე ნიშია. სამხრ. კედელშიც სწორკუთხა სარკმელია. *ნ.შ.*

076. განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



077. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ძველ უბანში. ასომთ. წარწერის მიხედვით აგებულია 1060-72 წწ. ეკლ. დარბა-



077. გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

ზულია (7,45 X 4,5 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. დაზიანებულია ფასადები, სახურავი და ლავგარდანი. თაღოვანი შესასვლელი სამხრ-ითაა. აფსიდის ღერძზე სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. სარკმელი სამხრ. კედლის აღმ. ნაწილშიცაა. აფსიდის იატაკი, დარბაზის იატაკთან შედარებით, სამი საფეხურით მაღალია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. სატრიუმფო თაღი თაროსებრ კაპიტელებს ეყრდნობა. კედლებს შიგნით გასდევს ქვის საფეხური. ეკლ. შელესილი ყოფილა. აღმ. ფასადის სარკმელს ტუფის ქვის ნახევარწრიული თავსართი და სწორკუთხა არშია აქვს. ქვაზე ამოკვეთილია რამდენიმე ასომთ. ასო. დას. ფასადის ფრონტონში ჩასმულ ქვაზე კი შვიდსტრიქონიანი, ძლიერ დაზიანებული, ასომთ. წარწერაა, რ-ის მიხედვით ეკლ. აგებული უნდა იყოს ბაგრატ IV მიერ. ჩრდ.-დას. კუთხეში შემორჩენილია თავდაპირველი თაროსებრი ლავგარდნის გადანაკეცი, ხოლო სამხრ. ფასადზე — ორი ლილვითა და წრეთარგით შედგენილი, გვიანდ. ლავგარდნის ფრაგმენტები. გადარჩენილია სახურავის რამდენიმე კრამიტის ნატეხი.

ბიბლ.: 28:83-89. ბ. ქ.

# დიდი გარეჯვარი

(კარალეთის სოფსაბჭო)

078. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6,3 X 4,2 მ), ნაგებია რიყის ქვით, კუთხეები, კარი და სარკმლები ამოყვანილია აგურით. ნაგებობა დაზიანებულია: ჩანგრეულია სახურავი. ეკლესიის სამხრ. კედელში არქიტრავით გადახურული კარი და თაღოვანი სარკმელია. თითო ასეთივე სარკმელი აღმ. და დას. კედლებშიცაა. ნახევარწრიულ აფსიდში ორი ოთხკუთხა ნიშია. გადახურვა კამაროვანი იყო. სამხრ. ფასადზე აგურის წყობით გამოსახულია მაღალი ჯვარი, მის გვერდებზე — ჩაღრმავებული რომბები. ნ. ა.

# დიდი მეჯვრისხევი

(მეჯვრისხევის სოფსაბჭოს ცენტრი)

079. დიდი მეჯვრისხევი, სოფელი, ისტორიული მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ი, ისტ. ძ. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, გორიდან 20 კმ-ზე, მდ. მეჯუდის მარცხ. ნაპირზე. სოფელი უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული, რასაც მოწმობს მის ტერიტორიაზე ნაპოვნი ბრინჯაოს ცულები, შუბები და სხვ. სამეურნეო თუ საბრძოლო დანიშნულების იარაღი. იგი მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარეობდა და V-XVII სს-ში აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის პოლიტ. და ეკონ. ცხოვრებაში. მეჯვრისხევი ქართლის რეგიონში განთქმული იყო მოჭიქული თიხის ჭურჭლის წარმოებით. ჭიქურის დასამზადებლად იყენებდნენ სოფლის მიდამოებში არსებულ კვარცის ქვიშას. მეჯვრისხევში 1605 წ. საზაფხულოდ იდგა და მოულოდნელად გარდაიცვალა ქართლის მეფე გიორგი X. XVIII ს. დასაწყისში აქ ლეკებთან ბრძოლაში დამარცხდა და დაიღუპა ოსმალთა გარნიზონის სარდალი გორის ფაშა. ლეკების ალაგმვა შესძლო მხოლოდ ძლიერმა ფეოდალმა გივი ამილახვარმა, რ-მაც ქართველთა ლაშქრით სოფელთან ბრძოლა გაუმართა მტერს და სასტიკად დაამარცხა იგი. XIX ს-ის 80-იან წწ. მეჯვრისხევი წარმოადგენდა ახლომდებარე სოფლების ცენტრს და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამ მხარის საზ., ეკონ. და კულტ. ცხოვრებაში. აქ სისტემატურად იმართებოდა ბაზრობები, ჩამოყალიბებული იყო ადგილ. თეატრალური წრე.

სოფელი გარკვეულ როლს თამაშობდა რევ. მოძრაობაში. (ა) 1905 წ. 20 მარტს აქ თავი უნდა მოეყარათ მახლობელი სოფლების გლეხებს. ბოქაულმა გზები შეკრა და სხვა სოფლის გლეხებს მეჯვრისხევში ჩამოსვლის საშუალება არ მისცა. სოფლის ს ა ს ა ფ ლ ა ო ზ ე მაინც შეგროვდა 4000-მდე კაცი. გადაწყდა მოეთხოვათ: დროებითი ვალდებული გლეხების დაუყოვნებლივ გათავისუფლება, გლეხებისათვის ტყითა და საძოვრებით სარგებლობის უფლება, ღალის ერთ მეათედამდე შემცირება, მღვდლის გადასახადის მოსპობა, სახელმწ. ხარჯზე სწავლის შემოღება და სხვ. გლეხებმა ფიცი დასდეს, რომ იბრძოლებდნენ მოთხოვნების განხორციელებისათვის.

(ბ) იმავე წლის 2 აპრ. გორის მაზრის პოლიციამ რევ. მოძრაობაში მონაწილეობისათვის დააპატიმრა სოფ. მეჯვრისხევში მცხოვრები ხუთი გლეხი.

(გ) 1919 წ. 9 ნოემბ. გორის მაზრის აჯანყებულმა გლეხებმა სოფელში შეკრეს გზები, დააპატიმრეს ადგილ. ხელისუფლების მეთაურები, გამოაცხადეს საბჭ. ხელისუფლება.

(დ) 1921 წ. 18 ოქტ. მეჯვრისხევში ჩამოყალიბდა საქართველოში ერთ-ერთი პირველი შ რ ო მ ი თ ი ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა „მ შ ე ე ლ ე თ ი". ამხანაგობაში გაერთიანდა ადგილ. თემის გლეხობა. დამფუძნებელ კრებაზე აირჩიეს გამგეობა, მიიღეს წესდება და დაამტკიცეს წევრების სია.

ამჟამად სოფელში არის კოლ-ბა (მეხილეობა, მევენახეობა); მეფრინველეობის ფ-კა, რ-ის მუშა-მოსამსახურეებისათვის აშენდა ექსპერიმენტული დასახლება ყველა სახის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებით (გენერალური გეგმისა და განაშენიანების ავტორები არქიტ-ები ი. მარგიშვილი, დ. მორბედაძე, ლ. მჭედლიშვილი, თ. კვერცხიშვილი, ნ. ქურდიანი. 1970-იანი წწ.).

ბიბლ.: 4ե 112; 190; 201ა,ე; 422: ფონდი 17, აღწ. 1, საქმე 9607, ფ. 302-303, 306-308. ვ. შ., კ. ქ.

080. ერისთავების საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. სტალინის ქ. თავდაპირველი ნაგებობა თარიღდება XVII-XVIII სს-ით, გვიანდ. — XIX ს-ით. სახლი რამდენჯერმე გადაკეთებული: სამხრ-დან ორ სართულად მიშენებულია ოთახები და დარბაზი (სააქტო), მეორე სართულზე ოთახები გატიხრულია, რამდენიმე სარკმელი გადაკეთებულია კარად. გარედან მთავარი ფასადის მხარეს მიდგმულია ხის კიბე.

შენობა (17,5 X 15 მ) შედგება ორი ნაწილისაგან. შესასვლელი აღმ-ითაა. დას. ნაწილში, პირველ სართულზე, მარანია, აღმ. ნაწილში (გვიანდ.) — ვესტიბიული და კუთხის ოთახები. ვესტიბიული მეორე სართულთან დაკავშირებული იყო ორი მასიური კიბით. მეორე სართულზე, ვესტიბიულის თავზე, ხისსვეტებიანი ღია ლოჯია და კუთხის ოთახებია. ამ სართულზე კიდევ რამდენიმე საცხოვრ. ოთახია.

(ა) მ ა რ ა ნ შ ი (10,4 X 15,5 მ) მოხვედრა ამჟამად ვესტიბიულიდან შეიძლება. მისი შეისრულთაღიანი შესასვლელის ორივე მხარეს თითო სარკმელია, რ-ებსაც ლითონის გეომეტრიული გისოსები აქვთ. სამხრ. კედელში ხის სარტყლის ნაშთია, კედლებში სხვადასხვა ზომის სწორკუთხა და თაღოვანი ნიშებია. რამდენიმე ნიშში სათოფურია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შენობის ეს ნაწილი თავდაპირველად სამეურნეო და თავდაცვითი დანიშნულებისა იყო. მარანი რვაწახნაგა აგურის სვეტებით ორ ნა-



080. გეგმა

წილად იყოფა. სვეტების გასწვრივ, ალმ., სამხრ. და ჩრდ. კედლებზე კუთხეებჩაკვეთილი პილასტრებია. მარნის დას. ნაწილი, თავის მხრივ, ორი სვეტითა და მათზე გადაყვანილი თაღებით ორ ნაწილადაა გაყოფილი. სვეტებისა და პილასტრების საფეხურებიან კაპიტელებზე გადაყვანილია ნახევარწრიული თაღები. დას-ის ყრუ კედელს მთელ სიგრძეზე გასდევს ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი , რ-საც წინ მაღალი საფეხური აქვს. მარნის გადახურვა ხისაა, კოჭოვანი. დას. ფასადის მეორე სართულზე გამოდის საცხოვრ. ოთახების ფანჯრები. სახლის მთავარი, ალმ. ფასადი სიმეტრიულია. პირველი სართულის ცენტრ. ნაწილი გახსნილია მაღალი და განიერი თაღით, რ-შიც ჭიშკარი იყო ჩასმული, ხოლო მეორე ორსვეტიანი ღია ლოჯიაა. შესასვლელის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. ფასადის კედლები დანაწევრებულია ფრონტონიანი სარკმლებით. ნაგებობის ყველა კედელი, მარნის გარდა, შელესილია. *ნ.თ.*

081. მირმანოზ ერისთავის ციხე-სასახლე, არქიტ., ისტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. კომპლექსი შედგება ციხე-გალავნისა და სასახლისაგან. განირჩევა მშენებლობის სამი პერიოდი: 1. XVII-XVIII სს-ში აგებულია ციხე-გალავანი, კარიბჭე და ცილინდრული კოშკები; 2. XVIII ს-ის შუა წლებში ციხის კარიბჭეზე, მისი სამხრ. კედლის ნაწილზე ეზოდან მიუშენებიათ ორსართულიანი სასახლე; 3. XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე სასახლე გაუფართოებია და გადაუკეთებია მირმანოზ ერისთავს (მანანა ორბელიანის მამას). საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ სასახლეში სოფლის საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობა მოთავსდა. ამ დროს გაიტიხრა ოთახები, კოშკის მიმდებარე ოთახის გვერდით ჩააშენეს კიდევ ერთი ოთახი. ამჟამად ნაგებობა დაზიანებულია: ჩანგრეულია სამხრ-დან მიშენებული თაღნარის ერთი თაღი, აივნისგან შემორჩენილია რამდენიმე სვეტი. ჩანგრეულია აივნის იატაკი. შენობას აღარა აქვს სახურავი და კარ-ფანჯრების ალათები. სარდაფის სამი ოთახი გამოყენებულია საწყობად.

(ა) ც ი ხ ე - გ ა ლ ა ვ ნ ი დ ა ნ შემორჩენილია სამხრ.-ალმ-ის კოშკი, კარიბჭე და მათ შორის მოქცეული გალავნის კედლის ქვედა ნაწილი. გალავნის შემორჩენილი ნაწილი გადაკეთებულია მომდევნო მშენებლობის დროს (გაჭრილია სარკმლები). სათოფურები პირვანდელი სახით შემორჩენილია მხოლოდ ერთ-ერთი კედლის შუა ნაწილში.

(ბ) კ ო შ კ ი ცილინდრულია (დიამ. 7 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. შემორჩენილია მხოლოდ ორი სართული. პირველი სართულის გადახურვა გუმბათოვანია. გუმბათის ქუსლის დონესთან ორი მცირე თაღოვანი სარკმელია. კედლებში ოთხი ნიშია სათოფურებით. მეორე სართულზე ასასვლელი კიბე კედელშია დატანებული. მეორე სართული გადაკეთებულია (განგრეულია კედლები, შექმნილია დიდი ღიობები, გაუქმებულია სათოფურები).

უკეთ არის შემონახული კ ა რ ი ბ ჭ ე (გ). იგი სამხრ-დან ჩრდ-კენ წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა. გადახურვა ბრტყელი აქვს. კარიბჭის შეისრულთაღიანი შესასვლელის გვერდებზე ნახევარწრიული თაღოვანი ნიშებია. ნაგებობა თაღით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ჩრდ. ნაწილის კედლებში შეისრულთაღიანი შესასვლელებია (ალმ-ის შესასვლელი გვიან მიშენებული სასახლის პირველი სართულის ოთახში გადის).

(დ) ადრე აშენებული ს ა ს ა ხ ლ ი ს (32 X 10 *მ*) სარდაფის სართულში, კარიბჭის გარდა, ხუთი სათავსია, რ-თაგან ოთხს დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს ჩრდ-დან. კარიბჭის მხრიდან პირველი ორი სათავსის კედლებში მცირე თაღოვანი ნიშებია. სათავსების სამხრ-ის კედელში მცირე სწორკუთხა სარკმლებია, რ-ებიც გარეთკენ ვიწროვდება. ალმ-ის კედელზე მეორე სართულზე ასასვლელი ქვის კიბეა მიდგმული.

მირმანოზ ერისთავმა ძვ. სასახლის ღიობები გაადიდა და მათი წირთხლები ამოიყვანა აგურით. კოშკს დას-დან მიადგა ორსართულიანი ნაგებობა, გალავნის (სახლის სამხრ. კედლის) წინააგო აგურის თაღნარი, რ-ზედაც ხის სვეტებიანი აივანი მოაწყო. ასე-

081. I სართულის გეგმა





081. მთავარი ფასადი

თივე აივანი მიაშენა მეორე სართულსაც ჩრდ-დან. ამ აივნით სასახლე უკავშირდება კოშკზე მიდგმულ ოთახს. მეორე სართულზე ექვსი ოთახია. თითოეულს ჩრდ-ითა და სამხრ-ით მაღალი და განიერი ფანჯრები აქვს. შესასვლელი აღმ-დანაა. *ნ.თ.*

082. ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სახლ-მუზეუმი, გორის ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალი, ისტ. ძ. სოფლის ცენტრი აშენებულია XIX ს-ში. ამჟამად აქ მოთავსებულია საშ. სკოლა. სკოლის ერთი ოთახი დათმობილი აქვს მუზეუმს, სადაც გამოფენილია ქართვ. მწერლისა და საზ. მოღვაწის ა. ერისთავ-ხოშტარიას (1869-1951 წწ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალა. *ბერძ.ც.*

083. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, აღმ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით ეკლ. დარბაზულია (5 X 3,2 მ), ნაგებია რიყის ქვით, კონსტრ. ნაწილები შირიმისაა. ძლიერ დაზიანებულია. შესასვლელი სამხრ-ის კედელშია (მისი ზედა ნაწილი ჩამონგრეულია). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ერთი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს სწორკუთხა ნიშებია. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია პილასტრებზე დაყრდნობილი სატრიუმფო თაღით. საბჯენი თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა. ჩრდ. კედლის ცენტრში სწორკუთხა ნიშია. დას. ფასადის ფრონტონში მთლიანი შირიმის ქვისგან გამოკვეთილი ჯვარია. *მ.ქ.*

084. უსანეთის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. დას. ფასადზე, მარმარილოს ფილაზე არსებული წარწერის თანახმად ეკლ. 1851 წ. აუშენებია ივანე ზაქარიას ძე ხახუტაშვილს. ეკლ. დარბაზულია (12 X 7 მ), ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. ნაგებობა დაზიანებულია. შესასვლელები სამხრ-ითა და დას-ითაა, თითო სწორკუთხა სარკმელი — ოთხივე მხარეს. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის გვერდებზე ორ-ორი სწორკუთხა ნიშია, შენობის გრძივ კედლებზე თაროსებრკაპიტელებიანი პილასტრებია. პილასტრებს შორის დეკორატ. თაღები გადადის. აგურის ჯვაროვანი კამარა საბჯენ თაღებს ეყრდნობა. დარბაზის დას. ნაწილმი ხის პატრონიკეა. ეკლ. შიგნით შელესილი და შეთეთრებულია. ეკლესიაზე დას-ით მიშენებული იყო კვადრ . სამრეკლო (შემორჩენილია ორი სვეტი). თითქმის დანგრეულია სამხრ-ის კარიბჭეც. ჩრდ-ით და აღმ-ით სამეურნეო დანიშნულების შენობებია მიდგმული. *მ.ქ.*





084. გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა

085. გეგმა



085. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ჩალხისუბანში. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. (8, 2 X 8 მ) ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა. ნაგებია რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია მხოლოდ საკურთხევლის სარკმელი, ჩრდ. და სამხრ. კედლების აღმ. ნაწილი, აფსიდის კონქს აკლია ზედა ნაწილი, მთლიანადაა დანგრეული ეკლესიის დას. მხარე. აღმ. მკლავში ნახევარწრიული აფსიდია, მის წინ — მოკლე ბემა. აფსიდის კონქის ქუსლი ნაწყობია თლილი ქვის ერთი რიგით. დანარჩენი მკლავები სწორკუთხა უნდა ყოფილიყო. *მ. გ.*

086. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, ძველ სასაფლაოზე. თარიღდება IX-X სს. ეკლ. დარბაზულია (9,35X5,35 მ), ნაგებია ქვიშაქვის დიდი ქვებით. სატრიუმფო და საბჯენი თაღები გათლილი შირიმისაა. შიგნიდან არქიტრავიანი, გარედან თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია.

086. გეგმა





086. ალმ. ფასადი

აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია; საკურთხეველი ქვემოთ სწორკუთხაა, ზემოთ კი კონქის საფუძვლის ნალისებრ ფორმაში გადადის. ამის გამო საკურთხევლთან მიმდებარე პილასტრები ზემოთკენ თხელდება და გარკვეულ სიმაღლეზე აფსიდის კედლის სიბრტყეს უსწორდება. სამხრ. კედელში ორი სწორკუთხა სარკმელია. სატრიუმფო თაღი თაროსებრ იმპოსტებს ეყრდნობა, ცილინდრული კამარა — პილასტრებზე დაყრდნობილ საბჯენ თაღს. დას. კედლის შეკიდული საბჯენი თაღი შეტეხილი ფორმისაა. ეკლ. შიგნით შელესილია. ალმ. ფასადზე სარკმელს ზემოდან შემოელებული აქვს გლუვი ლილვი, რ-იც ქვემოთ პორიზ. გადანაკეცით მთავრდება. ლილვს ზემოთ რელიეფური ჯვარია. ეკლესიას თაროსებრი ლავგარდანი აქვს. სახურავი ორფერდაა. *დვ. თ*

087. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,9 X 5,13 *მ*), ნაგებია ქვიშაქვითა და რიყის ქვით. სატრიუმფო და საბჯენი თაღები ნაწყობია კარგად გათლილი შირიმით. შენობა ძლიერაა დაზიანებული. შესასვლელი დას. კედელშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს წრიული ნიშებია. ნიშებს ზემოთ, კონქში ჩასმულია სწორკუთხა რეზონატორები. დას. კედელში ერთი ოთხკუთხა სარკმელია, სამხრ. კედლის ალმ. ნაწილში — სწორკუთხა ნიში. საბჯენი თაღი გრძივი კედლების პილასტრებს ეყრდნობა. მ.ქ.

088. წმ. გიორგის ნიში, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-ალმ-ით, მთის ფერდობზე, ადგილ ლომისაში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (5,9 X 3,95 *მ*), ნაგებია ქვიშაქვითა და დიდი რიყის ქვით. ნაგებობის კედლები შემორჩენილია დაახლოებით 1 *მ*-ის სიმაღლეზე. შესასვლელი დას-ითაა. დარბაზი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. მ.ქ.

## დიდი წერეთი

(მლებრიანის სოფსაბჭო)

089 კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, ხეობაში, ძველ ნ ა ს ა ხ ლ ა რ ე ბ თ ა ნ , ეკლესიის ახლოს. თარიღდება XIV-XV სს-ით (აგებულია ცეცხლსასროლი იარაღის შემოღებამდე). კ. ცილინდრულია (შიდა დიამ. 3,5 *მ*, კედლის სისქე 1,4 *მ*), ზევით ოდნავ ვიწროვდება, ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია ოთხი სართული და მეხუთე სართულის (თუ ბანის) კედლების მცირე ფრაგმენტები. ჩანგრეულია სართულშუა ხის გადახურვები. შესასვლელი სამხრ-ით, მეორე სართულზეა, მიწიდან ოთხიოდე *მ*-ზე. კარი სწორკუთხაა. ამ სართულს აქვს ერთი სარკმელი და ხის აივანი. კ-ის პირველი სართული ნანგრევებით არის სავსე. მესამე სართულზე, სამხრ-ით და ჩრდ.-ალმ-ით თითო პატარა სარკმელია. მეოთხე სართულს ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებული ოთხი სარკმელი აქვს (ერთი სანახევროდ დანგრეულია). ზ.პ.

090. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, ეკლესიის ნანგრევებთან. სავარაუდოდ თარიღდება XIV-XV სს-ით. კ. პირამიდულია, გეგმით კვადრატული. ნაგებია ნატეხი ქვით. დაზიანებულია — ჩანგრეულია ზედა ნაწილი, სამხრ. კედელი, სართულშუა ხის გადახურვები. შემორჩენილი კედლების მიხედვით კ. სამსართულიანი უნდა იყოს. ზ.პ.

091. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში. თარიღდება XIV-XV სს. ეკლ. დარბაზულია (12,5 X 7,5 *მ*), გარე კედლები ნაგებია თლილი ქვით, შიგა — ნატეხი ქვით, კონსტრ. ნაწილები — თლილი შირიმით. ნაგებობა დაზიანებულია: ჩანგრეულია სახურავი. გარედან არქიტრავით გადახურული, შიგნიდან ტიმპანიანი შესასვლელი სამხრ-ითაა. აფსიდში ერთი სარკმელია, სამხრ-ის კედელში — ორი. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო პატარა ნიშია; ცენტრში დგას სწორკუთხა ვიწრო სატრაპეზო ქვა. კედლები მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა (ჩანს საღებავის კვალი). ზ.პ.

## დიდი ხურვალეთი

(შავშვების სოფსაბჭო)

092. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ალმ-ით 0,5 *კმ*-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6,4 X 4,4 *მ*), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. ეკლესიას სამხრ-ით არქიტრავით გადახურული კარი და თაღოვანი სარკმელი აქვს, ალმ-ით და დას-ით — თითო ასეთივე სარკმელი. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. დარბაზის დას. კედლის კუთხეების პილასტრებზე გადადის შირიმის ქვის თაღი, აფსიდის მარტივპროფილიან იმპოსტებზე — აგურით ნაწყობი ოდნავ შეისრული თაღი. თაღებს, ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებს ეყრდნობა კამარა. აგურის კამარა. ეკლესიას აგურის თაროსებრი ლავგარდანი აქვს. ნ.ა.



092. გეგმა

093. მამაცაშვილის სახლი (ამჟამადაც საცხოვრ. სახლია), ისტ. ძ. 1905 წ. 15 აგვ. აზნაურ მამაცაშვილის სახლს ალყა შემოარტყეს წითელრაზმელებმა და შეეცადნენ განეიარაღებინათ იქ დამალული შავრაზმელები. შეტაკების დროს მოკლეს ერთი წითელრაზმელი. შავრაზმელებმა გაქცევით უშველეს თავს. კ.კ.

094. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 3 კმ-ზე, ადგილ ძუკათაში, მდ. ხურვალეთის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (10,8 X 5,9 *მ*), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით, პილასტრები, კარისა და სარკმლების საპირეები ამოყვანილია შირიმის ქვით. ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია: ჩანგრეულია სახურავი, კედლებისა და შესასვლელების ზედა ნაწილი.

შესასვლელები სამხრ-ით და ჩრდ-ითაა. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ორივე მხარეს — თითო ოთხკუთხა ნიში. ეკლესიის ჩრდ. კედელზე, მთელ სიგრძეზე მიდგმულია სწორკუთხა ს ა თ ა ვ ს ო (10,8 X 3,3 *მ*), რ-იც ალმ-ით ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. აფსიდში თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო ოთხ-

კუთხა ნიშია. ზუსტად იმავე ზომის სათავსია მიშენებული ეკლესიის სამხრ. კედელზე. მას კარი სამხრ-ით აქვს. სათავსების სახურავი და კედლის ზედა ნაწილები ჩანგრეულია. *ნ.ა.*

095. ყველაწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,3 X 5,5 *მ*), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. შენობის კუთხეები, კარი და სარკმლები ამოყვანილია ნატეხი ქვისა და კვადრ. აგურის თანაბარი წყობით. ეკლესიას სამხრ-ითა და დას-ით არქიტრავით გადახურული შესასვლელები აქვს. აღმ-ის, დას-ისა და სამხრ-ის კედლებში თაღოვანი სარკმლებია. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. კამაროვანი გადახურვა დარბაზის შუა საბჯენ და დას. კედლის თაღებსა და ორსაფეხურიან იმპოსტებზე დაყრდნობილ სატრიუმფო თაღს ეყრდნობა. დას-ის ფასადზე ჯვრის ორი რელიეფური გამოსახულებაა. ლავგარდანი აგურისაა, სახურავი — ფილაქვის. *ნ.ა.*



095. გეგმა

096. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 3 კმ-ზე. სავარაუდოდ თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,5 X 5 *მ*), ნაგებია დიდ ზომის ნატეხი ქვით. დაზიანებულია იატაკი, სახურავი, ინტერიერში ჩამოცვენილია კედლების შელესილობა. სამხრ-ითა და დას-ით შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელებია. აღმ-ით, ღრმა ნახევარწრიულ აფსიდში, ერთი თაღოვანი სარკმელია, მის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. აფსიდის გვერდებზე, კედელში, მცირე ზომის სწორკუთხა სამკვეთლო და სადიაკვნეა, რ-ებიც კარით უკავშირდება აფსიდს. ორივე სადგომს აღმ-ით თითო მცირე სარკმელი აქვს. დარბაზის სამხრ. კედელში ორი სარკმელია, დას-ისაში — ერთი. სარკმლები თაღოვანია და გარეთკენ ვიწროვდება. გრძივ კედლებზე წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა კამარის საბჯენი თაღები. პილასტრები დასრულებულია კაპიტელებით. თაღები შირიმის ქვისაა. ეკლესიას შირიმის ქვის თაროსებრი ლავგარდანი და ლორფინის ორფერდა სახურავი აქვს. სარკმლების საპირეც შირიმის ქვისაა. ეკლესიაზე დას-ით მიდგმულია სწორკუთხა კარიბჭე (5 X 2,5 *მ*), რ-ისგანაც შემორჩენილია წყობის ქვედა რიგები. კარიბჭეს კარი დას-ით ჰქონდა. *ნ.ა.*



096. გეგმა

# დიცი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

097. 1905 წ. 14 მარტს სოფელში მოხდა გლეხთა მღელვარება. გლეხებმა დაარბიეს სოფლის კანცელარია, გაანადგურეს იქ დაცული საბუთები.

*ბიბლ.:* 403:1905 წ. 27 მარტი, № 43. *ვ. შ.*

098. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-დას-ით, სასაფლაოზე. სავარაუდოდ თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (10,7 X 6,1 *მ*), ნაგებია რიყის ქვით, კედლის კუთხეები და სარკმლები თლილი ქვისაა. შესასვლელები სამხრ-ით და დას-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. ორი სარკმელი სამხრ. კედელშია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. ეკლ. შიგნით და გარეთ შელესილია. დას. კედლის ფრონტონის თავზე მოგვიანებით დაუშენებიათ ოთხივე მხარეს სწორკუთხა ღიოდებით გახსნილი სამრეკლო, რ-საც პირამიდული სახურავი აქვს. სამრეკლო ამჟამად გადახურულია თუნუქით. ეკლესიის ორფერდა სახურავი ღარიანი კრამიტისაა. შემორჩენილია ეკლესიის სამხრისა (სარკმლისა და გადახურვის ფრაგმენტები) და დას-ის მინაშენების ნანგრევები. *ნ.შ.*

# დრე

(ატენის სოფსაბჭო)

099. დრე, სოფელი, ისტ. ძ. გორიდან 21 *კმ*-ზე, წერეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. გარკვეულ როლს ასრულებდა ქართლ. ხალხის მიერ გარეშე მტრის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში, იცავდა ატენს მტრის შემოსევებისაგან.

(ა) XIX ს. 40-იან წწ. დ-ში მოქმედებდა ანდრეევსკის ტყავის ქარხანა.

(ბ) 1863 წ. მაისში მებატონე ერისთავებმა დ-ს გლეხებს ფულადი გადასახადი გაუდიდეს, შეაწერეს 2000 *მან.* და 45 *კაპ.* გლეხებმა უარი განაცხადეს გადასახადის გადახდაზე. მთავრობამ სოფელში ეგზეკუცია ჩააყენა, ააწიოკა გლეხები და აიძულა ისინი დამორჩილებოდნენ მებატონეს.

*ბიბლ.: 201 ე; 220 გ. კ. კ., ჩ. თ.*

# ერგნეთი

(ტირძნისის სოფსაბჭო)

100. 1904 წ. 2 აგვ. სოფლის ცენტრში, დუქანთან შეიკრიბა სოფლის გლეხობა. შეკრებაზე სიტყვით გამოვიდნენ სოფ. ნულიდან ჩამოსული რევოლუციურად განწყობილი გლეხები. მათ შეკრებილებს მოუწოდეს აღარ გადაეხადათ გადასახადი მონასტრის მსახურებისა და მემამულისათვის. კრების შემდეგ გლეხობამ დაარბია სოფლის ეკლესია და მისი შემოგარენი.

*ბიბლ.:* 422: ფონდი 153, აღწ. 2, საქმე 348, ფ. 47-50. *კ. კ.*

# ვარიანი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

101. ვარიანი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ლიახვის მარჯვ. ნაპირზე, გორი-ნიქოზი-ცხინვალის საავტ. გზაზე, გორიდან 12 კმ-ზე. ვ. უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო დასახლებული. ფეოდ. ხანაში სოფელი და მისი

შემოგარენი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქართლის ეკონ. და პოლიტ. ცხოვრებაში. აქ განვითარებული იყო სოფ. მეურნეობა. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ვ. წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს საქართველოში შემოსული მტრის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. ფეოდალების, ბატონიშვილებისა და მეფის მოხელეებისგან შევიწროებულმა ვარიანელმა გლეხებმა 1789 წ. საჩივრით მიმართეს ერეკლე II-ს.

ბიბლ.: 201 დ. 220 გ. *ქ. ქ.*

102. იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, ისტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, გორი-ნიქოზის გზის მარცხ. მხარეს. შენობა ქვითკირისაა, ორსართულიანი, ღიააივნიანი. ააგეს სოფლის მღვდელმა ს. გოგებაშვილმა და მისმა ვაჟმა ანდრიამ. იაკობ გოგებაშვილის ძმამ ზაქარიამ სახლს მიუმატა ერთი ოთახი. შემდგომში სახლს კიდევ მიაშენეს ორი ოთახი და გახსნეს სკოლა (1930 წ.). საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით (1958 წ. 14 დეკ.) ამ შენობაში გაიხსნა პედაგოგის, საბავშვო მწერლისა და საზ. მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის (1840-1912 წწ.) სახლ-მუზეუმი. იგი შედგება სამი დარბაზისაგან. პირველი დათმობილი აქვს მწერლის ბავშვობის, სტუდენტობისა და მასწავლებლად მუშაობის ამსახველ სურათებსა და ექსპონატებს. მეორე დარბაზში მოთავსებულია ი. გოგებაშვილის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები და მწერლის მოთხრობების სიუჟეტზე შექმნილი მხატვრული ტილოები. მესამე მემორიალურია — გამოფენილია მწერლის პირადი ნივთები. *ბერძ. ც.*

102. ი. გოგებაშვილის ბიუსტი



103. კოშკი და ნასოფლარი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, 0,4-0,5 *კმ*-ზე, საბჭ. მეურნეობის ხეხილის ბაღში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. (ა) კ ო შ კ ი ცილინდრულია (დიამ 6,7 *მ*), საცხოვრებელ-სათავდაცვო. ნაგებია რიყის ქვით. სართულშუა გადახურვებში და კარ-სარკმლების წირთხლებში გამოყენებულია აგური. ნაგებობა დაზიანებულია: აქა-იქ შემორჩენილია პირველი და მეორე სართულის გუმბათოვანი კამარის ქუსლის ნაწილები, თითქმის მთლიანად ჩამოცვენილია სამხრ. კედლის საპირე ქვები, დანგრეულია მესამე სართულის უმეტესი ნაწილი.

კოშკს შეისრულთაღიანი შესასვლელი აღმ-ით, მეორე სართულზე აქვს. კარი გარედან მოქცეულია ირიბად შეჭრილ სწორკუთხა შეღრმავებაში, რ-იც დასრულებულია აგურის საფეხურიანი ფრიზით. პირველი სართული შიგნიდან წრიულია (ამჟამად ნანგრევებითაა სავსე), მეორე—სწორკუთხა. კედელში, შესასვლელის გვერდებზე, თითო ფართო შეისრული ნიშია, რ-ებშიც თითო მცირე სწორკუთხა სარკმელია; მათ ქვემოთ თითო სათოფურია. დას. კედლის ცენტრში, ნახევარწრიულ ბუხარში გაჭრილია ერთი სარკმელი-სათოფური. ბუხრის ორივე მხარეს თითო სათოფურიანი და შეისრული თაღით დასრულებული ნიშია. ჩრდ. კედლის ცენტრში იატაკიდან იწყება დიდი შეისრულთაღიანი ნიში, რ-შიც მცირე სწორკუთხა სარკმელია. სარკმლის ქვემოთ მცირე ნიშია. შეისრულთაღიანი და სათოფურიანი თითო ნიში ამავე კედლის კიდეებშიცაა, ხოლო ერთი შეისრულთაღიანი და შეწყვილებულსათოფურიანი ნიში — სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში. ამავე კედელშია დატანებული მესამე სართულზე ასასვლელი კიბე. მესამე სართული წრიულია. შემორჩენილ კედლებში შეისრულთაღიანი სამი სარკმელი (საზარბაზნეები), ერთი ნახევარწრიული ბუხარი და რამდენიმე სათოფურიანი ნიშია. კოშკის შესასვლელის ზემოთ, აგურის წყობაში გამოსახულია შეღრმავებული ჯვარი. ყველა სართული გადახურული იყო გუმბათოვანი კამარით.

კოშკის მახლობლად, ადგილ ლელისთავებში, ნ ა ს ო ფ ლ ა რ ზ ე (ბ) შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები შენობების საძირკვლის ნაშთები. იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლისა და დიდი ქვევრის ნამტვრევები და სხვ. გადმოცემით მოსახლეობა აქედან ლეკთა შემოსევების დროს (XVIII ს.) აყრილა.

*დვ. თ., ნ.ა.*

104. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 1 *კმ*-ზე, ადგილ წყაროსთავებში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე შემორჩენილია რამდენიმე სახლის ნანგრევი. საძირკვლის ნაშთები ნაგებია რიყის ქვით. უხვად გამოვლინდა გვიანდ. ფეოდ. ხანისათვის დამახასიათებელი წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ქვევრები და სხვ. გადმოცემით, მოსახლეობა აქედან ლეკთა შემოსევების დროს (XVIII ს.) აყრილა. XIX ს. II ნახ-ში ამ ადგილებში დასახლდნენ რაჭიდან წამოსული კერესელიძეები, რ-ებიც საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოფ. ვარიანში გადავიდნენ საცხოვრებლად. *ნ.ა.*

105. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. სამშენ. წარწერის თანახმად აგებულია 1835 წ. ამჟამად გამოყენებულია ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის საწყობად. ეკლ. დარბაზულია (13,9 X 7,5 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრ-დანაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა სარკმელია. სარკმლის მარცხ. მხარეს ორი სწორკუთხა საშუალო ზომის, ხოლო მარჯვ. მხარეს ერთი სწორკუთხა მაღალი ნიშია. შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა ორ-ორი სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშიცაა. დარბაზის გრძივი კედლების აღმ. მონაკვეთში მდებარე სარკმლების ქვემოთ თითო შეისრული ნიშია. ამ ნიშებსა და აფსიდის მხრებს შორის შელესილობით გამოყვანილია თითო ხატის ჩასასმელი. გრძივ კედლებზე პილასტრებია, რ-საც ეყრდნობა ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღები. შენობის დას. მონაკვეთში გამართულია ხის პატრონიკე. პატრონიკეში ასასვლელი კიბე დატანებულია დას. კედელში. ეკლ. შიგნიდან და გარედან შელესილია. სამხრ. ფასადზე თაღოვანი შესასვლელი ჩასმულია სწორკუთხა შეღრმავებაში და დასრულებულია სამსაფეხურიანი აგურის ფრიზით. შესასვლელის ზემოთ აგურის წყობით გამოყვანილია შეღრმავებული ჯვარი. ამ ჯვარსა და შესასვლელს შორის ქვიშაქვაზე ამოკვეთილია სამშენ. წარწერა. ფასადებზე სარკმლები დასრულებულია ფრონტონებით. აღმ. სარკმლის ფრონტონზე გა-

105. გეგმა



მოსახულია ჯვარი. ეკლესიის სახურავზე, დას-ით დგას ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილი აგურის პატარა ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-საც აგურის პირამიდული სახურავი აქვს. *დე.თ.*

106. ღვთისმშობლის ეკლესია და ნასოფლარი, არქიტ., არქეოლ. ძ. ეკლ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ადგილ ფუტუროებში, სასაფლაოზე, თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ნასოფლარი გვიანდ. ფეოდ. ხანისაა. (ა) ე კ ლ ე ს ი ა დარბაზულია (12,3 X 6,8 *მ*), ნაგებია დიდი ზომის რიყის ქვით, კონსტრ. ნაწილები მოყავისფრო შირიმის ქვისაა. ნაგებობა დაზიანებულია: ჩანგრეულია კამაროვანი გადახურვა, დაზიანებულია კონქი და აფსიდი, დანგრეულია დას-ისა და სამხრ-ის კედლების დიდი ნაწილი, დარღვეულია იატაკის დონე. ეკლესიას სამი შესასვლელი ჰქონდა. ჩრდ. კედლის დას. ნაწილში ტიმპანით გადახურული თაღოვანი კარია. სამხრ-ის და დას-ის შესასვლელების მხოლოდ წირთხლებია შემორჩენილი. ნალისებრი აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. მეორე სარკმელი სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთშია. აფსიდის ორივე მხარეს, კედელში, დაახლოებით 2,5 *მ* სიმაღლეზე, აფსიდიანი სამკვეთლო და სადიაკვნეა, რაც ეკლესიის თავისებურებას წარმოადგენს. აფსიდებში ვიწრო თაღოვანი სარკმლებია. სადიაკვნეში სწორკუთხა ნიშია. დარბაზის ორსაფეხურიანი პილასტრების პირველ საფეხურებზე კედლის თაღები გადადის. აღმ. ფასადზე შემორჩენილია საკურთხევლის სარკმლის მარცხ. ორნამენტირებული საპირე და სადა სათაური ქვა, აგრეთვე მარცხ. მცირე სარკმლის რელიეფურ-თავსართიანი სათაური ქვა. საკურთხევლის სარკმლის მსგავსი ორნამენტირებული საპირეთი იყო მოჩარჩოებული სამხრ-ის სარკმელიც, რ-ისგანაც ქვედა ნაწილებიღაა შემორჩენილი. ჩრდ. კარის ტიმპანის ძლიერ დაზიანებული ასომთ. წარწერა X-XI სს. მიეკუთვნება.

(ბ) ნ ა ს ო ფ ლ ა რ ზ ე გამოვლინდა წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ქვევრის ფრაგმენტები და სხვ. ჩანს რამდენიმე რიყის ქვით ნაგები შენობის საძირკვლის ნაშთები. *დე. თ., ნ. ა.*

106. აღმ. ფასადი, გეგმა





## ზარდიანთკარი

(მერეთის სოფსაბჭო)

107. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 0,3 *კმ*-ზე, განმხოლოებულ გორაზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს — ადრინდ. რკინის ხანით. გორა (50 X 20 *მ*) დაყოფილია სამ ტერასად. იპოვება თიხის ჭურჭლის ნატეხები. *ჯ.გ.*

## ზემო ბოშური

(ბოშურის სოფსაბჭო)

108. 1863 წ. მებატონე ერისთავებმა სოფლის გლეხებს გაუდიდეს ფულადი გადასახადი — შეაწერეს 2000 *მან.* და *45* კაპ. უკმაყოფილო გლეხებმა თავი მოიყარეს სოფლის ე კ ლ ე ს ი ი ს ე ზ ო შ ი და უარი განაცხადეს

106. გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ



ფულის გადახდაზე. მთავრობამ სოფელში ეგზეკუცია ჩააყენა. დამსჯელმა რაზმმა დაარბია გლეხების სახლკარი და აიძულა ისინი დამორჩილებოდნენ მებატონეს. *ჩ.თ.*

**მარიამწმინდის ეკლესია**, იხ. სოფ. **ფ ე ტ ვ ი ს ხ ე ვ ი, მ ა რ ი ა მ წ მ ი ნ დ ი ს ე კ ლ ე ს ი ა.**

# ზემო ნიქოზი

(ნიქოზის სოფსაბჭო)

109. **მთავარანგელოზის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება X ს-ით. ნაგებობა ჯვარგუმბათოვანია (8,5 X 5,3 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავული შესასვლელები სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ითაა. სწორკუთხა დარბაზი შვერილი აფსიდით მთავრდება (აფსიდის შვერილი 1,7 *მ*), აფსიდში ერთი სარკმელია, აფსიდის გვერდებზე — მომცრო უბეები, რ-ებიც, თავის მხრივ, სარკმლიანი აფსიდებით მთავრდება. ეკლესიის სამხრ-ის, ჩრდ-ისა და დას-ის მკლავები სწორკუთხაა. დას-ის მკლავი შედარებით გრძელია და გვერდებზე ოთხკუთხა უბეები აქვს. გუმბათი გრძივი კედლებიდან გამოწეულ პილონებს ეყრდნობა. აფრებზე ტრომპის მსგავსი ნიჟარისებრი თაღებია, ზემოთ — გუმბათის საყრდენი ლილვები. გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია. ეკლესიის სამივე შესასვლელის წინ მდგარა ღია თაღოვანი **კ ა რ ი ბ ჭ ე**. შემორჩენილია კარიბჭეების კრონშტეინები და მოჩუქურთმებულკაპიტელებიანი და ბაზისიანი ცილინდრული პილასტრები. შენობის ჩრდ. ფასადზე, კარის მარცხნივ, გველეშაპთან მებრძოლი ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგის რელიეფური გამოსახულებაა. გუმბათის ყელზე, ჩრდ-ით, სამი ლომია გამოსახული. გამოსახულებები სქემატურია. ფასადებზე ზოგან ჩუქურთმიანი ქვებია ჩართული. გუმბათის ყელს გრეხილლილვებიანი უწყვეტი თაღი შემოუყვება. გუმბათის ლავგარდანი მოჩუქურთმებულია. ეკლესიის ლავგარდანი შედგება სხვადასხვა დროის ფრაგმენტებისაგან. შენობა გადახურულია ლორფინებით. ეკლესიის ჩრდ. ფასადზე არსებული ასომთ. წარწერების თანახმად ეკლ. ვინმე მიქაელ ეპისკოპოსს აუგია. დაზიანებული წარწერები სხვა ფასადებზე და გუმბათის ყელზეც არის. *ზ.პ.*



109. სამხრ. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

110. **ღვთაების ეკლესიის კომპლექსი**, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში, მდ. ლიახვის მარჯვ. ნაპირზე. კომპლექსში შედის სამი სხვადასხვა დროის ნაგებობა: ღვთაების ეკლ., სამრეკლო და ეპისკოპოსის სასახლე. შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტებიც.

(ა) **ღ ვ თ ა ე ბ ი ს ე კ ლ ე ს ი ა** კომპლექსის ცენტრში დგას. პირველი სამშენ. ფენა თარიღდება V-VI სს-ით. ეკლ. რამდენიმეჯერ ისეა გადაკეთებული, რომ სამშენ. ფენების დადგენა გაძნელებულია. მემატიანე ჯუანშერის ცნობით იგი ვახტანგ გორგასალის დაკვეთით აუგიათ. ნაგებობა თავდაპირველად სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა. მისგან შემორჩენილია აფსიდი, სამკვეთლო და სადიაკვნე, ნალისებრი კბილანა ლავგარდნის ფრაგმენტები (აღმ-ით და სამხრ-ით). ეკლ. ამჟამად ჯვარ-გუმბათოვანია (16,7 X 11,15 *მ*), შიგნით და გარეთ შემოსილია თლილი ქვით. შესასვლელი დას-ით, სამხრ-ითა და ჩრდ-ით (ამოქოლილია) აქვს. აღმ-ისა და დას-ის მკლავი დანარჩენებთან შედარებით დაგრძელებულია. ოთხივე მკლავში თითო სარკმელია. საკურთხევლის აფსიდის გვერდებზე სამკვეთლო და სადიაკვნეა. ორივე სათავსი სწორკუთხაა, გადახურულია კამარით, დას-ით შესასვლელი აქვთ, აღმ-ით — თითო სარკმელი. აფსიდის წინ ღრმა ბემაა, რ-იც გვერდებზე დიდი თაღებითაა გახსნილი. დას-ის მკლავი კამარით გადახურულ გვერდის ნავებს უკავშირდება შეისრული თაღით. გუმბათი აღმ. კედლის კუთხეებსა და დას. კედლის დიდ შვერილ პილონებს ეყრდნობა. გუმბათქვეშა თაღები შეის-

110(ა). დას. ფასადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა



რული ფორმისაა. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება. გუმბათის ყელში რვა სარკმელია. იატაკი ნატეხი ქვისა და აგურისაა. ეკლ. შიგნიდან მოგვიანებით შეულესიათ.

შენობა გადახურულია ლორფინით. მარტივპროფილიანი ლავგარდანი გვიანდელია. აღმ. ფასადის სარკმელი XIX ს-ის ბოლოს გაუუქმებიათ და მის ნაცვლად მაღალი და განიერი სარკმელი გაუჭრიათ. გაუქმებული სარკმლისაგან შემორჩენილია თაღები და თაღებზე აღმართული ჯვარი. სარკმლის თაღი სხივისებრად ნაწყობი ქვებითაა მიღებული. მასაც დეკორატ. თაღებით დამუშავებული თავსართი აქვს. გაგანიერებულია სამკვეთლოსა და სადიაკვნის სარკმლებიც. ფასადის მაღალ სარკმელს შემოუყვება ლილვებში მოქცეული არშია, რ-იც გარედან შეწყვილებული ლილვითაა მოჩარჩოებული. ლილვის კაპიტელები და ბაზისები ორნამენტირებულია. სარკმელთან სამი გირჩი და წრეში ჩასმული ჯვარია. დაბალი ცილინდრული გუმბათის ყელი გაწყობილია დეკორატ. თაღედით. შენობისათვის ოთხივე კეხზე მოგვიანებით ქვის ცხერის თავები დაუდგამთ. ფასადებზე ძნელად გასარჩევი ასომთ., ნუსხური და მხედრ. წარწერებია. მოგვიანებით არის აგებული ეკლესიის სამხრ-ისა და დას-ის კარიბჭეებიც. მათ შესასვლელებს წვრილ ლილვებში ჩასმული ჩუქურთმიანი არშია გასდევს. გარედან შეწყვილებულ ლილვებზე წყვილი თაღი გადადის. კაპიტელები და ბაზისები ორნამენტირებულია. სამხრ. კარიბჭის მარცხნივ ეკლესიის რელიეფური გამოსახულებაა, თაღის ზემოთ ამოკვეთილია ჯვარი წარწერით — „1889 წელი“.

(ბ) სამრეკლო დგას გალავნის ჩრდ.-დას. კუთხეში. თარიღდება XVI-XVII სს-ით. ნაგებობა ორსართულიანია (5,45 X 5,35 მ), ფასადები შემოსილია რუხი ფერის თლილი ქვით. სამრეკლოს პირველი სართული ჭიშკარია, რ-საც ორივე მხრიდან შემოუყვება შეწყვილებულლილვიანი თაღები. დას-ის კედელზე ჯვრის სამი გამოსახულებაა. ფასადებზე რამდენიმე ძნელად წასაკითხი ასომთ. წარწერაა. ზოგიერთ წარწერაში სამრეკლოს მშენებელი „გალატოზნი“ არიან მოხსენიებული. ნახევარწრიული კამარა ეყრდნობა სამ თაღს. მეორე სართული (5,35 X 5,45 მ) ზარების ჩამოსაკიდი ფანჩატურია. სართული ოთხივე მხარეს გახსნილია ორ-ორი შეისრული თაღით. თაღებს შორის დაბალი კოლონაა მარტივპროფილიანი კაპიტელებით და ბაზისით. სართულებს აკავშირებდა ხის კიბე.

სამრეკლო გადახურულია კამარით. ოთხივე ფასადი მთავრდება ფრონტონით, რ-თა კეხზე ცხერის თავის ქვის გამოსახულება დგას. სამრეკლოს ორივე მხრიდან ებჯინება მოგვიანებით აგებული გალავნის კედლები.

(გ) ეპისკოპოსის სასახლე დგას გალავნის გარეთ, სამხრ.-აღმ-ით. თარიღდება X-XI სს-ით. სასახლე გეგმით სწორკუთხაა (11,2 X 21 მ), ორსართულიანი, ნაგებია რიყის ქვით და აგურით. კონსტრ. ნაწილები აგურისაა. შენობა ნახევრად დანგრეულია: არ შემორჩენილა სახურავი და სართულშუა გადახურვა. სასახლის შესასვლელები ჩრდ-ით (მთავარი) და დას-ითაა. პირველი სართულის სამხრ. კედელში მოზრდილი სარკმელი და დიდი ბუხარია. ბუხრის ცენტრში პატარა ნიშია, ხოლო სარკმლის გვერდით — ოთხკუთხა ნიში. ამ ნიშთან, კედელში, დატანებულია დიდი ზომის კერამ. მილები. დას. კედლის მარცხ. კუთხეში ტრაპეციული ღრმა ნიშია, რ-იც მეორე სართულზეც გრძელდებოდა. ნიშის სამხრ-ით მცირე სარკმელია, ხოლო იქვე, ახლოს — ოთხკუთხა ნიში. დას-ის კარის მარჯვენივაც სარკმელია, ჩრდ-ის კარის გვერდებზე — თითო ნიში. მეორე სართულზე, სამხრ. კედელში, შემორჩენილია ბუხარი, ჩრდ-ისა და დას-ის კედლებში კი თითო ნიშის თუ სარკმლის ფრაგმენტები. ჩრდ. კარის თაღოვანი ნაწილი ჩამოწეულია. გარეთა, გამოწეული ნაწილის გვერდებზე დაბალი კოლონებია გამოყვანილი. ზემოთ ხუთი მცირე კბილანა თაღია.







110(ბ). სართულების გეგმები, მთავარი ფასადი, განაკვეთი

ბიბლ.: 220ა; 247; 318.

ზ. პ.

## ზემო სოზისი

(ზედდულეთის სოფსაბჭო)

112. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ.

დარბაზულია (4,9 X 3,5 *მ*), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. დას. კედელში არქიტრავით გადახურული კარი და თაღოვანი სარკმელია, აღმ-ითა და დას-ით თითო ასეთივე თაღოვანი სარკმელია. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. კამაროვანი გადახურვა გრძივ კედლებს და აფსიდის მარტივპროფილიან იმპოსტებზე დაყრდნობილ სატრიუმფო თაღს ემყარება. ინტერიერი შელესილი იყო. *ნ.ა.*

113. ნასოფლარი სობისი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ადგილ კვანრიკასეულებში. თარიღდება ფეოდ. ხანით. აქ დადასტურდა ნასახლართა ბუდეები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, დიდი რაოდენობით გამოვლინდა ბრტყელი და ღარისებრი წითელი კრამიტის ნატეხები. *კვ. რ.*

114. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,5 X 5,2 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრ-ითაა, კარს გათლილი ქვის წირთხლები აქვს. აფსიდი ნახევარწრიულია. აღმ-ით, სამხრ-ითა და დას-ით თითო სარკმელია. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი. აღმ. ფასადზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი. აღმ-ისა და სამხრ-ის სარკმლებს ლილვებიანი საპირე აქვთ. შენობა შიგნით და გარეთ შელესილია. ორფერდა სახურავი გადახურულია კრამიტით. *გვას.ჯ.*

## ზემო ქსოვრისი

(ხიდისთავის სოფსაბჭო)

115. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის თავში, საქორეთის მთის კალთაზე. დაუთარიღებელია ეკლ. დარბაზულია (6,25 X 4,2 *მ*), ნაგებია ქვის დიდი ზომის კვადრებით. შესასვლელი სამხრ-ითაა. აღმ. კედელში ერთი სარკმელია, სამხრისაში — ორი. *ქ.თ.*

116. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან 1 *კმ*-ზე, ტყეში, სკრის ხეობისა და ნალიანის ხევის შესართავთან. დაუთარიღებელია. ეკლ. დარბაზულია (12,5 X 5,75 *მ*), ნაგებია დიდი ზომის ნატეხი ქვით. შენობა დაზიანებულია: ჩანგრეულია აგურის კამარა და კონქი. შესასვლელი სამხრ-ითაა. დარბაზს აღმ-ით ღრმა აფსიდი აქვს. აფსიდში ერთი სარკმელია. დარბაზის კამარის საბჯენი თაღი პილასტრებს ეყრდნობა. პილასტრების კაპიტელები კარგად არის დამუშავებული. შენობა შიგნით შელესილია. ეკლესიას დას-ით ეკვრის სათავსი რ-ში მოხვედრაც



116. გეგმა

ეკლესიის დას. კედელში გაჭრილი კარით შეიძლება. სათავსის დას. კედელში ერთი სარკმელია. მოგვიანებით ეკლესიისათვის ჩრდ-დან მიუშენებიათ სათავსი (დანგრეულია). ეკლესიის ჩრდ. კედელში გაჭრილი ამ მინაშენისა და დარბაზის დამაკავშირებელი კარი ამოშენებულია. ეკლესიის გარშემო შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობისა და გალავნის ნანგრევები. *ქ.თ.*

## ზემო ხვითი

(ნიქოზის სოფსაბჭო)

117. 1859 წ. სოფელში, მდ. ლიახვის მარჯვ. ნაპირზე მოხდა მემამულე თაქთაქიშვილის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლა. *ქ.ქ.*

118. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით 1 *კმ*-ზე, ადგილ გალავნებში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. კ. ცილინდრულია (დიამ. 7,5*მ*), ნაგებია ნატეხი ქვით და კვადრ. აგურით. შემორჩენილია პირველი სართული, რ-ის გადახურვა გუმბათოვანი ყოფილა. კ-ში შესასვლელი ჩრდ.-დას-ითაა. კარის ზედა ნაწილები ჩამონგრეულია. შესასვლელის გვერდზე, აღმ-ით, კედელში დატანებულია მეორე სართულზე ასასვლელი კიბე. კარის დას-ით ღრმა თაღოვანი თახჩაა. კ-ს სამხრ-ით ორი ორმაგი, ხოლო აღმ-ითა და დას-ით თითო ერთმაგი გარეთ შევიწროებული, თახჩიანი სათოფური აქვს. შენობა შიგნით შელესილია. *ნ.ა.*

119. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ.-დას-ით. სავარაუდოდ თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6 X 4,5 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, შენობის კუთხეები, კარი, სარკმლის საპირეები და ლავგარდანი ტუფის ქვისაა. ეკლესიის სამხრ. კედლის დას. ნაწილში ორივე მხრიდან არქიტრავით გადახურული კარია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. სამხრ. და დას. კედლებში თითო თაღოვანი სარკმელია. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი. სამხრ. ფასადზე, კარის თავზე ამოკაწრულია ასომთ. სამშენ. წარწერა (ძნელად იკითხება). ეკლესიას კვადრ. აგურით ნაწყობი სახურავი აქვს, სახურავის დას. ნაწილში მოგვიანებით დაუშენებიათ ოთხივე მხრიდან თაღებით გახსნილი სამრეკლო, რ-იც ასევე კვადრ. აგურითაა ნაგები. *ნ.ა.*

120. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, აღმ-ით. სავარაუდოდ თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (12,2 X 7,2 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. შენობის კუთხეები, კარის და სარკმლის საპირეები ტუფის ქვისაა. ეკლესიის სამხრ. კედლის დას. ნაწილში ორივე მხრიდან არქიტრავით გადახურული კარია. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. ორი თაღოვანი სარკმელი სამხრ. კედელშიცაა, ერთი დას-ისაში. გრძივ კედლებზე პილასტრებია, რ-ებსაც ეყრდნობა ნახევარწრიული კამარის საბჯენი და სატრიუმფო თაღები. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. ეკლესიაზე დას-ით მიდგმულია კვადრ. აგურით ნაშენი ორიარუსიანი, ოთხ სვეტზე დაყრდნობილი სამრეკლო. *ნ.ა.*

## ზერტი

(მეჯვრისხევის სოფსაბჭო)

121. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება XIX ს-ით. ეკლ. სამნავიანი ბაზილიკაა (16,7 X 9,5 *მ*), ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვიშაქვით. სარკმლებისა და შესასვლელების წირთხლები ღვინისფერი პორფირიტისაა. დაზიანებულია ეკლესიის სახურავი, კამარა, ჩამონგრეულია აღმ. ფასადის კუთხეები, განივი ფასადების ლავგარდანი. თითო თაღოვანი შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. დას. კარი ამოქოლილია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე განიერი თაღოვანი სარკმელია, რ-ის ქვემოთ მოგვიანებით გაუჭრიათ კარი. აფსიდის იატაკი ოთხი საფეხურითაა ამაღლებული. აფსიდის გვერდებზე მცირე ორსართულიანი სწორკუთხა სამკვეთლო და სადიაკვნეა. აფსიდი სამკვეთლოს ჩრდ.-აღმ. კუთხეში გაჭრილი კარით უკავშირდე-



121. გეგმა

ბა. სამკვეთლოსა და სადიაკვნის აღმ. კედელში მცირე თაღოვანი სარკმლებია. ორივე სათავსი დას-ით გახსნილი თაღებით უკავშირდება გვერდის ნავებს. სათავსების პირველი სართულები კამარითაა გადახურული. სადიაკვნის პირველი სართული მეორეს უკავშირდება სარკმელთან, კედელში დატანებული ხვრელით. სამკვეთლოს სართულები ერთმანეთს გარედან უკავშირდებიან. მეორე სართულზე დას. კედლის ზედა ნაწილში სწორკუთხა პატარა ღიობია.

ეკლესიის შუა ნავი გვერდის ნავებისგან გამოყოფილია წყვილი განიერი ნახევარწრიული ორთაღედით. თაღები შუაში ოთხკუთხა ბურჯებს ეყრდნობა, ხოლო ბურჯებიდან გადასული თაღები — აფსიდსა და ეკლესიის დას. კედელს. შუა ნავის კამარა უერთდება კონქს. ეკლესიაში კიდევ ხუთი განიერი თაღოვანი სარკმელია, ორ-ორი — სამხრ. და ჩრდ. კედლებში, ერთი — დას. კედლის ზედა ნაწილში. ბურჯების დას. მხარეს, ჩრდ. და სამხრ. კედლების აღმ. ნაწილში მდებარე სარკმლების ძირში წყვილი თაღოვანი ნიშია. ინტერიერი შელესილია.

აღმ. ფასადზე, სარკმლის თავზე, ჩასმულია მცირე ზომის ჯვარი. აღმ. და დას. ფასადების ფრონტონები ამაღლებულია აგურის წყობით. ეკლესიას შემოვლებული აქვს აგურის სამი რიგისაგან შედგენილი ლავგარდანი. სახურავი კრამიტისაა. *ნ.თ.*

122. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, სასაფლაოზე. აგებულია 1839 წ. ეკლ. დარბაზულია (11 X 7 მ), ნაგებია რიყის ქვით. გამოყენებულია აგური, ნატეხი და შირიმის ქვაც. შენობა დაზიანებულია: დაბზარულია კედლები, სამხრ.-დას-ით ჩამოშლილია წყობა. შიგნიდან სწორკუთხა, გარედან თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას-ითაა. ოდნავ ბრტყელი, ნალისებრი აფსიდის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს მოზრდილი ნახევარწრიული ნიშებია. ნიშები გადახურულია კონქით. საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკიდან (მოფენილია ბრტყელი აგურით) ერთი საფეხურითაა ამაღლებული. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრებია, რ-თა იმპოსტებზე გადაყვანილია კამარის საბჯენი თაღი. სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლებში შიგნიდან სწორკუთხა, გარედან თაღოვანი სარკმლებია, დას-ის კედელში — ორივე მხრიდან თაღოვანი. ამ სარკმლის წირთხლი აგურისა და შირიმის ქვის მონაცვლეობითაა ნაგები. კედლები შიგნიდან შელესილია. სამხრ. ფასადზე, შესასვლელის თავზე, აგურის წყობით გამოყვანილია განედლებული ჯვარი, რ-ის ზედა მკლავი წაგრძელებულია. ჯვარსა და შესასვლელის თაღს შორის სწორკუთხა ნიშია. ნიშში ჩასმულია წარწერიანი ფილა: „ჩყლთ წელსა აღაშენეთ ეკლესია ესე წმ. გიორგისა ჩვენ ზერტი მცხოვრებელთ ერთობით ქართველთა და სომეხ სასაფლაოთა ჩვენის მუშაკობითა შემწეობითა". შენობას შემოვლებული აქვს აგურის სამი რიგისაგან შედგენილი ლავგარდანი. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. *ნ.თ.*

122. სამხრ. ფასადი, გეგმა





123. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (11,4 X 7,3 მ), ნაგებია რიყის ქვით. ეკლ. დაზიანებულია: დაბზარულია კედლები, აქა-იქ ჩამოშლილია

123. სამხრ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა







საპირე ქვები. სწორკუთხა, ნათხალებიანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნათხალები განიერია. ნალისებრი აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მცირე შვერილი მხრებით, რ-ებსაც ეყრდნობა სატრიუმფო თაღი. აფსიდის ღერძზე შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა სარკმელია (გაუქმებულია). აფსიდის სამხრ კედელში სწორკუთხა ნიშია. ჩრდ. კედელზე მიდგმულია ქვის ტუმბო. ეკლესიის გრძივი კედლები წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. დას-ის კედელზეც კუთხის ორსაფეხურიანი პილასტრებია. შუა პილასტრების მარტივ იმპოსტზე გადაყვანილია კამარის საბჯენი თაღი. ეკლესიის დას. და სამხრ. კედლებში თითო სარკმელია. დას-ის სარკმელი შიგნიდან ამოშენებული და შელესილია, გარეთ დარჩენილია მცირე ოთხკუთხა ნიში. სამხრ-ისა (გაჭრილია კედლის აღმ. ნაწილში) გვიანდელი უნდა იყოს. იგი ორივე მხრიდან ამოშენებულია აგურით. აღმ. ფასადზე, სარკმლის ზევით, მოზრდილი სწორკუთხა ნიშია. ეკლესიას თარაზულად შემოვლებული აქვს აგურის სამი რიგისაგან შედგენილი ლავგარდანი.

XVIII ს. ეკლ. გადააკეთეს საბრძოლო კოშკად, რის გამოც მისი კედლები 1 მ-ით გააგანიერეს (ახლა კედლის სიგ. 1,8-2 მ-ია) და თავზე ბანიანი საბრძოლო კოშკი დააშენეს. ნაგებობის კუთხეები მომრგვალებულია. კედლებს მცირე ენტაზისი აქვს. კოშკის ზედა ნაწილები ჩამონგრეულია. მოგვიანებით ეკლ. აღადგინეს. ორფერდა სახურავის მოხაწყობად აამაღლეს განივი ფასადების ფრონტონები. ამჟამად ეკლ. გამოყენებულია მაღაზიის საწყობად. *ნ.თ.*

## ზედდულეთი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

124. ნასოფლარი ზედდულეთი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით. თარიღდება ფეოდ. ხანით. ნასოფლარზე გამოვლინდა ნასახლართა ბუდეები, თონეები, ქვევრები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. *კვ.რ.*

125. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (10,2 X 5,2 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია. აღმ-ით გარედან შვერილი ხუთწახნაგოვანი, შიგნით ნახევარწრიული ღრმა აფსიდი აქვს. აფსიდის გარეთა წახნაგები და სარკმლები მოპირკეთებულია შირიმის ქვით. ეკლესიის დას. კედელში კარი და თაღოვანი სარკმელია. სამი ასეთივე სარკმელი აღმ. კედელშია, ორი — სამხრ-ისაში. დარბაზის გრძივი კედლები წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრით დაახლ. სამ ტოლ ნაწილადაა გაყოფილი. გადახურვა კამაროვანი იყო. დას-ის ფასადზე, კართან, კირქვაზე ორი ვარდულია ამოჭრილი. ჩრდ. კედლის აღმ. კუთხეში, დაბლა, ქვაზე ასომთ. წარწერაა, რ-იც არ იკითხება. *ნ.ა.*

126. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (11,8 X 7,5 მ). დგას ნატეხი და რიყის ქვის განიერ ცოკოლზე. ნაგებია კვადრ. აგურისა და ნატეხი ქვიშაქვის მონაცვლეობით (ნატეხი ქვის წყობა ირეგულარულია). ეკლესიას დაზიანებული აქვს სახურავი, ჩრდ. კედლის ზედა ნაწილი და ცოკოლი. შიგნიდან სწორკუთხა, გარედან თაღოვანი შესასვლელი სამხრ. და დას. (გაუქმებულია) კედლებშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე განიერი სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს განიერი თაღოვანი ნიშებია. აფსიდის ჩრდ. კუთხესთან კიდევ ერთი მცირე ზომის თაღოვანი ნიშია. საკურთხევლის ბაქანი დარბაზის იატაკიდან ერთი საფეხურითაა ამაღლებული. გრძივი კედლები წყვილ-წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრით სამ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრების მარტივპროფილიან კაპიტელებზე დაყრდნობილია კამარის საბჯენი თაღები. სატრიუმფო და საბჯენი თაღები შეისრული ფორმისაა. ჩრდ. კედელში, აფსიდთან, ერთი სარკმელია. ორი შიგნიდან და გარედან თაღოვანი სარკმელი სამხრ-ის კედლის განაპირა მონაკვეთებშია. ინტერიერი შელესილია. იატაკი აგურისაა. ეკლესიის ფასადები დეკორირებულია შეღრმავებული სიბრტყეებით. აღმ. და დას. ფასადების შუა, განიერი, სწორკუთხოვანი არე დასრულებულია ზემოთ აზიდული ვიწრო თაღოვანი მოხაზულობით. განაპირა, გაცილებით ვიწრო შეღრმავებებიც თაღოვანია. სამხრ. და ჩრდ. ფასადები დანაწევრებულია ოთხ-ოთხი სწორკუთხა შეღრმავებული სიბრტყით. დას. შესასვლელს ფასადის მხრიდან შემოვლებული აქვს აგურის ორმაგი, შეისრული ფორმის თაღი. კარის თავზე, კედლის სიბრტყეში შეღრმავებული, საფეხურიან ბაზისზე დაფუძნებული ჯვარია. შენობას შემოვლებული აქვს აგურის ხუთი რიგისაგან შედგენილი ლავგარდანი. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ბრტყელი კრამიტით. *კალმ.გ., ნ.თ.*

126. აღმ. ფასადი, გეგმა



## თედოწმინდა

(ტინისხიდის სოფსაბჭო)

127. სოფელში 1724 წ. ქართველებსა და ოსმალებს შორის მოხდა ბრძოლა, რ-იც ქართველების დამარცხებით დამთავრდა.

*ბიბლ.:* 112. *აფრ. გ.*

128. გარსევანიშვილების კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება XVIII ს-ით. კოშკი ცილინდრულია (დიამ. 7,2 მ), ნაგებია რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ პირველი სართული და მეორე და მესამე სართულების დას. მხარის ნაწილი. პირველ სართულს ერთი კარი (სამხრ.-დას-ით) და ოთხი სარკმელი აქვს. მეორე სართულის კედელში ოთხი სათოფურია. პირველსა და მეორე სართულს გუმბათოვანი გადახურვა ჰქონია. *გვაძ.ჯ.*

129. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით 1 კმ-ზე, მთაზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები რამდენიმე შენობის საძირკველი. მრავლად იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ქვევრის პირგვერდის ფრაგმენტები და სხვ. *ნ. ა.*

130. წმ. თევდორეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (8,2 X 5 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით, კუთხეებში გამოყენებულია ქვიშაქვაც. ძლიერ დაზიანებულია: გადაწოლილია სამხრ. კედლის დიდი ნაწილი, აღმ. კედლის ზედა ნაწილი, კამარა და კონქი, დაზიანებულია ჩრდ. კედელიც. ჩრდ.-დას. და ჩრდ.-აღმ. კედლების (თითქმის მთლიანად მოცილებულია ძირითად კორპუსს) კუთხეებში გამჭოლი ბზარებია. ნათოხალებიანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ქვემოთ, კედელთან, ქვით ნაგები სატრაპეზოა. აფსიდში, ორივე მხარეს განიერი და ღრმა ნიშებია. სარკმელსა და ჩრდ. ნიშს შორის მცირე თახჩაა. დარბაზის კამარა ეყრდნობა სატრიუმფო თაღს და გრძივი და დას. კედლების საბჯენ თაღებს. თაღები დაფუძნებულია მარტივ თარო-იმპოსტებზე. დას-ის კედელში ერთი შეისრულთაღიანი სარკმელია, ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში — დიდი ზომის, შეისრულთაღიანი ნიში. ეკლ. გარედან შელესილი იყო. აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, შემორჩენილია აგურის საფეხუროვანი რიგის მცირე ფრაგმენტები. შენობას შემოვლებული აქვს აგურის ოთხი რიგისაგან შემდგარი ლავგარდანი. სახურავი ღარიანი კრამიტისა იყო. ·კალშ.გ.

## ᲗᲝᲠᲢᲘᲖᲐ

(ბერბუკის სოფსაბჭო)

131. თინა ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, ისტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, სახლი ქვითკირისაა, ერთსართულიანი. დიდი სამამულო ომის (1941-45 წწ.) მონაწილე გმირი ქალი თ. იოსებიძე ამ სახლში ცხოვრობდა 1920-41 წწ. ჯ.ზ.

132. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-დას-ით. თარიღდება XIX ს-ით. ეკლ. დარბაზულია (14 X 7,8 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. სამხრ-ით და დას-ით არქიტრავით გადახურული შესასვლელები და თაღოვანი სარკმლებია. ნახევარწრიული აფსიდის თაღოვანი სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო წყვილი პილასტრია. კამაროვანი გადახურვა ეყრდნობა შუა საბჯენ, დას-ის კედლის მიმდებარე და აფსიდის მარტივპროფილიან იმპოსტებზე დაყრდნობილ თაღებს. სახურავი ღარიანი კრამიტისაა. ფასადებს კვადრ. აგურის დაკბილული ორსაფეხურიანი ლავგარდანი აქვს. ნ.ა.

133. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 1 კმ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,5 X 5,3 მ), ნაგებია რიყის ქვითა და ქვიშაქვით. შენობის კუთხეებში, კარისა და სარკმლების



133. გეგმა

წირთხლებზე გამოყენებულია კვადრ. აგურიც. სამხრ-ის კედელში არქიტრავით გადახურულ კარი და თაღოვანი სარკმელია. თითო ასეთივე სარკმელი აღმ-ისა და დას-ის კედლებშიცაა. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. კამაროვანი გადახურვა დარბაზის შუა საბჯენ, დას. კედლის მიმდებარე და აფსიდის ორსაფეხურიან იმპოსტებზე დაყრდნობილ თაღებს ემყარება. დას. ფასადზე აგურის წყობით გამოსახულია ჯვარი. შენობას აგურისავე თაროსებრი ლავგარდანი აქვს. სახურავი კვადრ. აგურისაა; დას-ით ეკლესიას აგურის ოთხსვეტიანი ს ა მ რ ე კ ლ ო ადგას. ნ.ა.

## ᲙᲐᲠᲐᲚᲔᲗᲘ

(სოფსაბჭოს ცენტრი)

134. ᲙᲐᲠᲐᲚᲔᲗᲘ, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, გორიდან 8 კმ-ზე. ქ-ში მიკვლეულია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის სამოსახლო გორა. სოფლის ძვ. სახელია ნაჭარმაგევი. ვახუშტის ცნობით „ნაჭარმაგევი იყო ხადგური მეფეთა და კეთილხანადირო; და აწ კარალეთად წოდვილი, ადგილი ტურფა, ჭალიან-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველიანი". XI-XII სს. ნაჭარმაგევი შიდა ქართლის პოლიტ. ცენტრი იყო. 1110 წ. დავით აღმაშენებელი თავისი ტაძრეულით იდგა ნაჭარმაგევს და იქიდან აწარმოებდა ბრძოლებს თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. ნაჭარმაგევს იხსენიებს გიორგი III-ის და თამარის ისტორიკოსიც. XVIII ს. სოფელს დიდი ზიანი მიაყენა ლეკთა თარეშმა. მათ ერთ-ერთი შემოსევის დროს აიღეს კარალეთის ციხე, ხელთ იგდეს ტყვე და საქონელი.

სოფ. ქ. ქართლში რევ. მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი იყო. (ა) 1902 წ. აპრ. ერისთავსა და გლეხებს შორის ატყდა დავა საძოვრების თაობაზე. გლეხებმა სოფლის ც ე ნ ტ რ შ ი მოიყარეს თავი. გორის მაზრის უფროსმა დააპატიმრა რამდენიმე გლეხი. მათ გასათავისუფლებლად სოფლის გლეხობამ თბილისში, მთავარმართებელთან თხოვნით გაგზავნა დეპუტაცია. დაპატიმრებული გლეხები რუსეთის შორეულ გუბერნიაში გადაასახლეს.

(ბ) 1905 წ. 7 მარტს, 12 საათზე, სოფლის კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ა ს თ ა ნ თავი მოიყარა მეზობელი სოფლების — ხელთუბნის, თორტიზის, დიდი და პატარა გარეჯვრების მოსახლეობამ. მათ, ხელთუბნელების თაოსნობით, მოაწყვეს მსვლელობა წითელი დროშებით, დაარბიეს და დაანგრიეს კანცელარიის შენობა. (გ) 13 მარტს სოფლის ც ე ნ ტ რ შ ი კვლავ ათასამდე კაცმა მოიყარა თავი. შეკრებაზე გლეხებმა მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები წარმოთქვეს, თავად ერისთავისაგან მოითხოვეს ნაცვლის გადასახადისაგან გათავისუფლება, ტყითა და საბალახოთი სარგებლობის უფლება, მღვდლისა და სოფლის მოხელეთა თვითნებობის ალაგმვა. მიტინგი მღელვარებაში გადაიზარდა. ამბოხებულებმა დაანგრიეს სამრევლო სკოლა, ჩამოხსნეს ეკლესიის ზარი. საღამოს ეკლესიის ეზოში შეკრებილებმა დასახეს ბრძოლის გეგმა.

(დ) 1905 წ. 20 მარტს თავად ე რ ი ს თ ა ვ ი ს ს ა ხ ლ ს (ახლა ამ ადგილზე ს ო ფ ლ ი ს კ ლ უ ბ ი ს შ ე ნ ო ბ ა ა) ალყა შემოარტყა 600-მდე კაცმა. მათ გასაფანტავად გაიგზავნა პოლიცია. თავადმა დემონსტრაციის ხელმძღვანელთა გადასახლება მოითხოვა. მთავრობამ იმავე წლის სექტემბერში სოფელში კაზაკების რაზმი ჩააყენა, რამაც დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა სოფლის მოსახლეობას.

ბიბლ.: 46; 186; 220 ა, ბ, გ: 422: ფონდი 17, აღწ. 1, საქმე 9606, ფ. 51, 64; საქმე 9607, ფ.239: 403: 1905 წ. 10 მარტი, № 22; 413: 1905 წ. 16 მარტი, № 2772; 41; 1905 წ. 15 მარტი, № 21. აფრ. გ., ვ. შ.

135. ᲜᲐᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში, გორაზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანით. ნ-ზე აღმოჩნდა კაჟის ლამელა, ბრინჯაოს მძივის ნატეხი, სარდიონის კასრისებრი მძივი, შავად

და წითლად გამომწვარი, ლეგაპრიალა ჭურჭლის ნატეხები, რ-ებიც შემკულია ირიბი შტრიხების სარტყლით, რელიეფური ხაზებითა და წვერებით გადაბმული რომბებით. *ბ.ე.*

136. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,9 X 5,3 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია შენობის კედლები, თლილი ქვის ლავგარდანი და კრამიტის სახურავი. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო სწორკუთხოვანი, ხოლო დას. კედელში შედარებით განიერი სარკმელია. საკურთხევლის წინ, ზემოთკენ გაგანიერებული სატრაპეზო ქვა დგას. აფსიდის მხრებიდან წინ გამოწეული, შეკიდული სატრიუმფო თაღი კედლის იმპოსტებს ეყრდნობა, ცილინდრული კამარა — გრძივ კედლებს. *ნ. შ.*

## კარბი

(მერეთის სოფსაბჭო)

137. სოფ. კარბში 1068 წ. დაბანაკდა თურქ-სელჩუკთა სულთანი ალფ-არსლანი, რ-იც თავის ლაშქრით შემოესია ქართლის სოფლებს. XVI ს. II ნახევარში ქ., რ-იც კასპთან ერთად მითვისებული ჰქონდა ბარძიმ ამილახვარს, უკან დაიბრუნა სიმონ მეფემ.

*ბიბლ.:* 220 ა,ბ,გ. *აფრ. გ.*

138. გნოლიძეების ციხე, კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, გნოლიაანთ უბანში. თარიღდება XVII-XVIII სს-ით. კოშკი ცილინდრულია (დიამ. 7,5 *მ*, კედლის სისქე 1,5 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. დაზიანებულია — შემორჩენილია პირველი და, ნაწილობრივ, მეორე სართული. შესასვლელი პირველ სართულზე, სამხრ.-დას-ით იყო, ამჟამად დას-ითაა. პირველი სართული შიგნით სწორკუთხაა (4,8 X 4,4 *მ*). მის ჩრდ. კედელში დატანებულია ბუხარი, რ-ის ორივე მხარეს თითო ცალმაგი სათოფურია. აღმ. კედელში თითო დიდი და პატარა ნიშია. დიდში ორმაგი სათოფურია, პატარაში—ცალმაგი. ამ სათოფურის თავზე პატარა სარკმელია. დას. კედელში სამი ნიშია ორმაგი სათოფურებით. სამხრ. კედელში სამი სათოფური და მცირე სარკმელია. სართული გადახურულია აგურის ცილინდრული კამარით. სართულები ერთმანეთს უკავშირდება აღმ. კედელში დატანებული კიბით. სანახევროდ დანგრეულ მეორე სართულზე აქა-იქ შემორჩენილია სათოფურების კვალი. *გვას.-ჯ.*

139. დავითაშვილების ციხე, კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება XV-XVI სს-ით. კოშკი ოთხკუთხაა (6,7 *მ* X 5 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. შემორჩენილია ხუთი სართული. სართულშუა ხის გადახურვა და სახურავი ჩანგრეულია. შესასვლელი აღმ-ით, მეორე სართულზე ჰქონდა. ამჟამად კარი აღმ-ით, პირველ სართულზეა. ეს სართული სანახევროდ ამოვსებულია მიწით. ჩრდ-ის კედელზე მიდგმულია კონტრფორსი. კონტრფორსში, მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე, დატანებულია ბუხრები. უფრო მომცრო კონტრფორსები კოშკის სხვა კედლებზეც არის მიშენებული. მესამე და მეოთხე სართულების კედლებში ცალმაგი სათოფურებია. *გვას.-ჯ.*

140. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. სავარაუდოდ თარიღდება XVII-XVIII სს-ით. ქ. ოთხკუთხაა, პირამიდული (7,9 X 9,4 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. დაზიანებულია — ჩამონგრეულია ზედა ნაწილი, სახურავი და სართულშუა ხის გადახურვები. მოღწეულია ქ-ის სამი სართული და მეოთხე სართულის კედლების ფრაგმენტები. ნაგებობას სამი შესასვლელი აქვს: ერთი — დას-ით (ამოშენებულია) პირველ სართულზე, მიწიდან 1 *მ* სიმაღლეზე, დანარჩენი ორი მეორე სართულზეა. ქ-ის კედლებზე გარედან მიშენებულია თითო ნახევარწრიული კონტრფორსი, რ-თაგან სამში შიგნით დატანებულია სამეურნეო დანიშნულების ნიშები. აღმ-ის კონტრფორსის ნიში ღრმაა, სამხრ-ისა — განიერი, ჩრდ-ისა — განიერი და უფრო ღრმაც. იგი მეოთხე სართულამდე აღწევს. მეოთხე სართულის აღმ. კედელში მოზრდილი ხვრელობია (შესაძლოა შეერილ აივანზე გამავალი კარი ან სარკმელი იყო). ყველა სართულის კედლებში ცალმაგი სათოფურებია.

*ბიბლ.:* 32: 176; 302. *ზ. პ.*

140. გეგმა



141. კოშკი (პირველი, სამხრ-ის), არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. ნაწილში. თარიღდება XVIII ს. შუა ხანით. ქ. გარედან ცილინდრულია (დიამ. 7,8 *მ*), შიგნით — სწორკუთხა, ნაგებია რიყის ქვით. შიგა, კონსტრ. ადგილებში გამოყენებულია აგურიც. აქა-იქ შემორჩენილია შელესილობის კვალი. ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია (ძნელდება სართულების რაოდენობის დადგენა). ქ. საცხოვრებელიც იყო და საბრძოლოც. შესასვლელი სამხრ-ითაა, პირველ სართულზე. ნაგებობის

141. განაკვეთი, სართულების გეგმები



პირველი სართული მიწის ზედაპირიდან 1,5 მ-ზეა, მის კედლებში დატანებულია სხვადასხვა ზომის თაღოვანი ნიშები, ბუხარი, რამდენიმე თაღოვანი სათოფური. სართული გადახურულია შეისრული კამარით. მცირე ზომის ნიშები და ბუხარი მეორე სართულზეც არის. ამ სართულის კედლები დასერილია ცალმაგი და ორმაგი სათოფურებით. სართულები ერთმანეთს ალმ. კედელში დატანებული კიბით უკავშირდება.

*ბიბლ.:* 302. ზ. პ.

142. კოშკი (მეორე, ჩრდ-ის), არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. ნაწილში. თარიღდება XVIII ს. შუახანით. კ. ცილინდრულია (დიამ. 8 მ), ნაგებია რიყის ქვით. კედლების შიდა პირზე, კამარებზე და თაღებზე გამოყენებულია აგურიც. ნაგებობა დაზიანებულია (ძნელდება სართულების რაოდენობის დადგენა). შემორჩენილია ორი სართული. კ. საცხოვრებელიც იყო და საბრძოლოც. თაღოვანი შესასვლელი პირველ სართულზეა. შესასვლელის პირდაპირ, კედელში, ბუხარია, გვერდებზე — სამეურნეო დანიშნულების ნიშები და სათოფურები. მეორე სართულის კედლებშიც მრავალი სათოფურია. ზოგი მათგანი თაღოვან ნიშშია მოქცეული. აქაც შესასვლელის პირდაპირ თაღოვანი ბუხარია. სართულები ერთმანეთს უკავშირდება კედელში დატანებული კიბით. ორივე სართულის კედლებში გაჭრილია პატარა ზომის, კვეთით ზემოთ მიმართული, სარკმლები. კედლები შელესილია. სართულები გადახურულია შეისრული ჯვარედინა კამარებით.

*ბიბლ.:* 302. ზ. პ.

143. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,3 X 4,8 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შემორჩენილია თითქმის პირვანდელი სახით. შესასვლელი სამხრ-ითაა. სწორკუთხა საკურთხეველში, შუაში, ერთი სარკმელია, სამხრ.-ალმ-ით — მცირე ზომის სწორკუთხა, ხოლო ჩრდ-ით უფრო დიდი თაღოვანი ნიშია. ალმ. კედელთან, კუთხეში, ტრომპისმაგვარი კონსტრუქციაა. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. ალმ. ფასადზე, სარკმლის თავზე, ნალისებრი დეკორატ. თაღია, რ-ხაც ქვის რელიეფური ჯვარი ადგას. სახურავი კრამიტისაა, ორფერდა. სახურავზე, დას-ით, აგურის მცირე ოთხსვეტიანი სამრეკლო დგას. გვას. ჯ.

143 გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა



144. წმ. მარინეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით, მდ. პატარა ლიახვის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება XVIII-XIX სს. მიჯნით. ეკლ. დარბაზულია (6,7 X 4,6 მ), ნაგებია რიყის ქვით. შესასვლელი ორი აქვს — სამხრ-ით და დას-ით. სწორკუთხა აფსიდში ერთი სარკმელი და ორი სწორკუთხა ნიშია. საკურთხევლის სარკმლის ქვეშ ოთხკუთხა სატრაპეზო ქვა დგას. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით. ასეთივე ფორმისაა აფსიდის კონქიც. სახურავი კრამიტისაა, ორფერდა. ზ. პ.

144. გეგმა



145. წმ. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით. თარიღდება XVI-XVII სს-ით. ეკლ. დარბაზულია (დაახლ. 8 X 11 მ). ფასადები შემოსილია წითელი ტუფის თლილი კვადრებით. ჩრდ-ის ფასადის ქვები ნაკლებადაა დამუშავებული. შესასვლელი სამხრ-ითაა. ალმ-ით ერთი სარკმელია, სამხრ-ით — ორი. აფსიდი საკმაოდ ღრმაა. მაღალი დარბაზის გრძივი კედლები წყვილი პილასტრით გაყოფილია ორ ნაწილად. ეკლესიის შიდა კედლები მოგვიანებით შეულესავთ. ალმ-ის ფასადზე, სარკმლის თავსართის ზემოთ, წრეში ჩასმულ ჯვარს ირგვლივ შემოვლებული აქვს გრეხილი. სამხრ-ის ფასადზე, მარცხ. სარკმლის თავზე, ამოკვეთილია ჯვარი. დას-ით, მაღლა, ქვაზე ქტიტორის რელიეფური გამოსახულებაა, რელიეფის ზემოთ — ასომთ. წარწერა. რელიეფიც და წარწერაც გამოფიტულია და ცუდად იკითხება. შენობას მარტივპროფილიანი ლავგარდანი აქვს. სახურავი ორფერდაა, გადახურულია თუნუქით (თავდაპირველად ჰქონია კრამიტის სახურავი). XIX ს-ის ბოლოს ეკლესიის დას. კედელზე დაუდგამთ ოთხსვეტიანი ფანჩატური-სამრეკლო. ზ. პ.

146. ხუბაშვილების ციხე, კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, ხუბაანთ უბანში. თარიღდება XVII-XVIII სს-ით. კ. ცილინდრულია (დიამ. 7,7 მ, კედლის სისქე 1,5 მ), ნაგებია რიყის ქვით. დაზიანებულია — შემორჩენილია სამი სართული. შესასვლელი ჩრდ-ით, პირველ სართულზეა. პირველი სართული ოთხკუთხაა (4,4 X X3,9 მ); ოთხივე კედელში დიდი და პატარა თახჩებია. მეორე სართული კვადრატულია (4,2 X 4,2 მ). ალმ. კედელში ჩაშენებულია ბუხარი. მის ორივე მხარეს სათოფურებიანი თახჩებია, მარჯვნივ ცალმაგი სათოფურია, მარცხნივ — ორმაგი. ჩრდ. კედელში თითო დიდი და მცირე თახჩაა სათოფურებით. სამხრ. კედელში მაღალი თახჩაა ორმაგი სათოფურით. სათოფურის ორივე მხარესაც თითო სათოფურია, ზევით კი სარკმელია გაჭრილი. პირველი და მეორე სართულები გადახურულია აგურის ცილინდრული კამარით. მესამე სართულის კედლები სანახევროდ დანგრეულია. სართულები ერთმანეთს უკავშირდება კედელში დატანებული კიბით. გვას. ჯ.

# კვარხითი

(მეჯვრისხევის სოფსაბჭო)

147. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-ალმ-ით. სავარაუდოდ თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6,5 X 5,1 მ), ნაგებია რიყის ქვით. დაზიანებულია: გადახდილი აქვს სახურავი, მორღვეულია შესასვლელისა და ალმ. სარკმლის სამხრ. გვერდის საპირე წყობა. სწორკუთხა შესასვლელი სამხრ. კედელშია. ნახევარწრიული აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მცირეშვერილიანი მხრებით, რ-ებიც თაროიმპოსტით მთავრდება. იმპოსტზე ქვის სატრიუმფო თაღია გადაყვანილი. აფსიდის ღერძზე შიგნიდან სწორკუთხა, გარედან თაღოვანი სარკმელია (ამოქოლილია), რ-ის ქვემოთ, კედელთან, ქვით ნაწყობი სატრაპეზოა. აფსიდის სამხრ. კედელში მცირე სწორკუთხა თახჩაა, ჩრდ. კედელზე ქვით ნაშენი ტუმბოა მიდგმული. თითო სარკმელი ეკლესიის ჩრდ-ის (სანახევროდ ამოშენებულია) და სამხრ-ის კედელშიცაა. დაახლ. XVIII ს. ეკლესიის კედლები 0,5 მ-ით გააგანიერეს და შენობას

:

ბანიანი ს ა ბ რ ძ ო ლ ო კ ო შ კ ი დააშენეს. ეკლესიის კამარაში, ჩრდ.-დას. კუთხეში დატანებულია კოშკში ასასვლელი ხვრელი. კოშკის აღმ და დას. კედლის შუაში თაღოვანი ნიში-ბუხრებია. აღმ. კედელში, ბუხრის ორივე ზედა მხარეს ვიწრო და მაღალი სარკმლებია. დას. კედლის ჩრდ. მხარეს სათოფურია. კოშკის კედლების ზედა ნაწილები ჩამონგრეულია. ამჟამად ეკლესიის შენობა მაღაზიის საწყობად არის გამოყენებული.

*კალმ. გ.*



147. გეგმა



150. გეგმა

# კირბალი

(ზედდულეთის სოფსაბჭო)

148. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება XVIII-XIX სს-ით. ეკლ. დარბაზულია (12,8 X 7 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, მოპირკეთებულია შირიმის ქვით. შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი დიდი სარკმელია. თითო ასეთივე სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშიცაა. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. სამხრ. ფასადზე, კარის თავზე ჩასმულია მარმარილოს წარწერიანი ფილა (წარწერა წაშლილია).

*გვას.ჯ.*

149. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ადგილ ქედებში. თარიღდება ფეოდ. ხანით. ს-ზე გამოვლენილია რამდენიმე ყინვენტარო ქ ვ ა ყ უ თ ი.

*კვ. რ.*

150. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან დას-ით, 2 *კმ*-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (10,6 X 6,2 *მ*), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. შენობას სამხრ-ით არქიტრავით გადახურული კარი და თაღოვანი სარკმელი აქვს. თითო ასეთივე სარკმელია აღმ. და დას. მხარესაც. სწორკუთხა აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. დარბაზის განივი კედლები წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრით თითქმის ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. კამაროვანი გადახურვა ემყარება დარბაზის შუა საბჯენ, დას-ის კედლის მიმდებარე და აფსიდის მარტივპროფილიან პილასტრებზე დაყრდნობილ თაღებს. სახურავი ორფერდაა, ფილაქვის.

*ნ.ა.*

# კლიკის ჯვარი,

იხ. სოფ. მ ღ ე ბ რ ი ა ნ ი, კ ლ ი კ ი ს ჯ ვ რ ი ს ე კ ლ ე ს ი ა.

# კოშკები

(სკრის სოფსაბჭო)

151. ეკლესია ს ა წ ყ ა ლ ი, არქიტ. ძ. დგას შალიკაანთ უბანში, მთის ფერდზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,5 X 4,7 *მ*), ნაგებია ქვიშაქვით, სარკმლის თავსართები შირიმისაა. აღმ-ის კედელი დაშენებულია კლდეზე. შენობა დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა, კედლების ზედა ნაწილი გამოფიტულია. სამხრ.-აღმ. კუთხეში ბუდიდან დაძრულია საპირე ქვები. ორივე მხრიდან თაღოვანი, ტიმპანიანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს მცირე ზომის სწორკუთხა ნიშებია. ერთი თაღოვანი სარკმელი დარბაზის დას. კედელშია, ჩრდ. კედელში სწორკუთხა სარკმელია. კამარა ეყრდნობოდა დას. კედლის საბჯენ თაღს და გრძივი კედლების შუაში მოთავსებულ იმპოსტებს. იმპოსტები აქვთ საკურთხევლის მხრებსა და დას-ის კუთხის პილასტრებსაც. დარბაზი შელესილია.

*კალმ.გ.*

152. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-ით, მდ. სკრის მარჯვ. ნაპირას, ფერდობზე. თარიღდება XVII ს-ით. მიეკუთვნება ე. წ. ზურგიანი კოშკების ტიპს. პირით მდინარისაკენ დგას, ზურგით — მთისკენ (6,8 X 8,1 *მ*; სიმ. 16,5 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. ქვები კედლების ქვედა ნაწილში დიდი ზომისაა და შედარებით უკეთ არის დაწყობილი. ძ. ძლიერ დაზიანებულია, არ ხერხდება სართულიანობის დადგენა (მოღწეულია ექვსი სართული); თითქმის მთლიანად დანგრეულია სამხრ. და აღმ. კედლები; ძლიერ დაზიანებულია დას. კედელი. ყველაზე უკეთ შემორჩენილია ჩრდ. კედელი. შესასვლელი დას-ითაა, მეორე სართულზე, ხეობის მხარეს. პირველი სართული დამხმარე სათავსია და მას ერთი სარკმელი აქვს. ზედა სართუ-

152. გრძივი განაკვეთი, გეგმა





ლები სათავდაცვო და საცხოვრებელია. მეორე სართულზე, კარის გარდა, ორი სარკმელიცაა, მესამეზე ბუხარი და ცალმაგი სათოფურებია, მეოთხე სართულზე — სათოფურები და ერთი ხარკმელი, მეხუთე სართულზე — სათოფურები და, დას-ის სწორ კედელში, შეერილ აივანზე გასასვლელი კარი. მეექვსე სართულის კედლებში სათოფურები და განიერი სარკმელია. სართულშუა გადახურვა ყველგან ხის იყო, კოჭოვანი.

ბიბლ.: 102:204-207. ზ. პ.

საწყალი, იხ. ე კ ლ ე ს ი ა ს ა წ ყ ა ლ ი.

153. ტყუპის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სკრის ხეობაში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (ó,8 X 5,1 მ), ნაგებია ქვით. შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიულ საკურთხეველში და დას. კედელში თითო სარკმელია. ქვის კ ა ნ კ ე ლ შ ი სამი ნიშია. დარბაზი გადახურულია კამარით, რ-იც სამ საბჯენ თაღს ეყრდნობა. შენობა შიგნით შელესილია. ქ. თ.

153 გეგმა



154. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. სკრის მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება X ს. II ნახ-ით. ეკლ. დარბაზულია. შიდა კედლები ნაგებია მცირედ დამუშავებული ქვით, კონსტრ. ნაწილები და ფასადები — კარგად გათლილი კვადრებით. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — დას-ითა (ამოქოლილია) და სამხრ-ით. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, მის ქვეშ სატრაპეზო ქვა დგას. ქვის ორივე მხარეს თითო ნიშია. სამხრ-ითა და დას-ით თითო სარკმელია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-იც საბჯენ თაღს ეყრდნობა. გრძივ კედლებზე დეკორატ. თაღებია, რ-თა პილასტრების სვეტისთავები შემკულია ორნამენტებითა და რელიეფებით. კედლებზე შემორჩენილია გვიანდ. პერიოდის მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები. ფასადებზე მორთულობა (ჩუქურთმები და ჯვრის გამოსახულებები) ძირითადად განლაგებულია კარ-სარკმლის ირგვლივ. აღმ. სარკმლის თავზე ორიარუსიანი დეკორია, იქვე, მარცხნივ, ადამიანის წელზედა გამოსახულებაა (ქტიტორი?). სარკმლის ზემოთ, ქვაზე, ამოკვეთილია დაქარაგმებული ასომთ. წარწერა.

ბიბლ.: 102. ზ. პ.

155. შალიკაშვილების ეკლესია, ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, მაღალი მთის ფერდობზე. თარიღდება X-XI სს-ით. ეკლ. დარბაზულია (12,8X 7,6 მ), შიდა კედლები ნაგებია მცირედ დამუშავებული ქვით, ფასადები შემოსილია სხვადასხვა ზომის თლილი ქვით. 1920 წლის მიწისძვრას ეკლ. თითქმის მთლიანად დაუნგრევია. შესასვლელი დას-ით, სამხრ-ითა და ჩრდ-ით ჰქონია. აღმ-ით, დასითა და ჩრდ-ით თითო სარკმელია, სამხრ-ით — ორი. დარბაზი გადახურული იყო საბჯენ თაღებზე დაყრდნობილი ცილინდრული კამარით. აფსიდ-

155. სამხრ. ფასადი, გეგმა



ში ორი ნიშია. შემორჩენილია გვიანდ. მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები და ამავე პერიოდის აგურის კ ა ნ კ ე ლ ი, რ-საც შუაში თაღოვანი კარი ჰქონდა.

ეკლესიაზე სამხრ-ით მიშენებულია ე გ ვ ტ ე რ ი. შენობის დას-ის კარის თავზე არსებული მხედრ. წარწერის თანახმად ეგვტერი, კარიბჭე და სამრეკლო (არ შემორჩენილა) 1708 წ. აუშენებია ედიშერ შალიკაშვილს. ეგვტერი დარბაზულია (7.4 X 4,6 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. ლავგარდანი და კონსტრ. ნაწილები თლილი ქვისაა. შესასვლელი დას-ითაა. ალმ-ით და სამხრ-ით თითო სარკმელია. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც ეყრდნობა საბჯენ თაღს. სარკმლები ფასადების მხრიდან მცირედ დეკორირებულია. ეგვტერს დას-დან მიშენებული აქვს გეგმით კვადრატული, სფერული კამარით გადახურული კ ა რ ი ბ ჭ ე, რ-იც სამხრ-დან და დას-დან გახსნილია თაღებით. კარიბჭე ჩრდ-ით დაკავშირებულია ეკლესიის სამხრ. შესასვლელთან. კარიბჭის ოთხივე კუთხის საყრდენები თლილი ქვისაა. მათი კაპიტელები და ბაზისები მორთულია. ზ.ჯ.

## მარანა

(ტყვიავის სოფსაბჭო)

156. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, თარიღდება XVII ს-ით. ქ. (8,2 X 7,8 მ) ნაგებია რიყის ქვით. შემორჩენილია ნაგებობის სარდაფი (ამოვსებულია ნანგრევებით) და სამი სართული. შესასვლელი სამხრ-ით, მეორე სართულზეა. პირველი სართულის ალმ. და სამხრ. კედელში თითო სარკმელია. ალმ. კედელში ხამი სათოფურია, მოპირდაპირე კედელში — ერთი. ჩრდ. კედელი ყრუა. პირველი სართული მეორეს უკავშირდება ქვის კიბით, რ-იც ალმ. კედელს მიჰყვება. მეორე სართულის ჩრდ. კედელიც ყრუა. დანარჩენებში გაჭრილია რამდენიმე ცალმაგი და ორმაგი სათოფური. ძ-ში, იქ, სადაც კედელი სქელია, სათოფური არ არის, ზოგან კი სათოფურების მოსაწყობად კედელში საგანგებო ნიშებია ჩაშენებული. კედლებს სამი მხრიდან მიშენებული აქვს კონტრფორსები. მესამე სართულის კედლები თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ დაკიდულ აივანზე გასასვლელი კარი. სართულებსშუა გადახურვა ხის იყო, კოჭოვანი. ფ. ჯ.

157. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. ნაწილში, თარიღდება XVII-XVIII სს. მიჯნით. ნაგებობა გეგმით კვადრატულია (9,6 X 9,6 მ), ნაგებია



156. განაკვეთი, სართულების გეგმები

157. გეგმა



რიყის ქვით. კედლების შიდა პირზე და კამარაზე გამოყენებულია აგური. ქ. საცხოვრ. და საბრძოლოა. ძლიერ დაზიანებულია, შემორჩენილია მხოლოდ ორი სართულის კედლების ფრაგმენტები. შესასვლელი ალმ-ითაა, პირველ სართულზე. ამ სართულის ცენტრში ერთი დახურული კვადრ. სათავსია. კარის პირდაპირ მოზრდილი ბუხარია, გვერდებზე — ღრმა და მაღალი ნიშები. მომცრო ნიშები დანარჩენ სამ კედელშიცაა. სათავსი ჩრდ. და სამხრ. კედლებში გაჭრილი კარით გადის ტალანებში, რ-ებიც ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული. ტალანების კედლებში ცალმაგი და ორმაგი სათოფურებია. სათავსი გადახურულია ჯვაროვანი გუმბათით. შესასვლელის მარცხნივ მდებარე კიბით პირველი სართული უკავშირდება მეორეს. მეორე სართულიდან შემორჩენილია ალმ. კედლის მცირე ნაწილი, კედელში რამდენიმე სათოფურია.

ბიბლ.: 32:177; 297. ზ. ჯ.

## მერეთი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

158. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ.-ალმ-ით, სასაფ-

158. გეგმები



ლაოზე. აშენებულია 1818 წ. ეკლ. დარბაზულია (12 X 6,7 მ), ნაგებია რიყის ქვით, კუთხეები თლილი ქვისაა, ლავგარდანი — აგურის. შესასვლელები სამხრ-ით და დას-ითაა. სამხრ-ის შესასვლელი სწორკუთხაა, გარედან დასრულებულია დეკორატ. ტიმპანით. დას-ისა თაღოვანია და გარედან სწორკუთხა ჩარჩოშია ჩასმული. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე განიერი თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. ორ-ორი თაღოვანი სარკმელი ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებშია. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა შეისრული კამარის საბჯენი თაღი. დას-ით, შესასვლელის თავზე, კედელშივიწრო პატრონიკეა. მასზე ასასვლელი კიბეც იმავე კედელშია დატანებული. პატრონიკეს დას-ით პატარა სარკმელი აქვს, ხოლო დარბაზის მხარეს — საკმაოდ განიერი თაღოვანი ღიადი. ე-ის კედლები შიგნით და გარეთ შელესილია. დას. ფასადის ფრონტონის ქვეშ, აგურის წყობაში, გამოყვანილია საკმაოდ დიდი ჩაწეული ჯვარი. სამხრ. ფასადის დას. კუთხეში, 1,8 მ-ის სიმაღლეზე ჩასმულია დიდი ზომის თლილი ქვა წარწერით, რ-იც გვამცნობს ძეგლის აშენების თარიღს. ეკლესიის ლავგარდანი სამსაფეხურიანია. ორფერდა სახურავის კრამიტი მოგვიანებით თუნუქის ფურცლებით შეუცვლიათ.

*ნ. შ.*

159. ანტონ ᲬᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘ, ისტ. ძ. სოფლის სასაფლაო. გამოჩენილი ქართვ. მწერლის საფლავი შემოღობილია ლითონის მესრით. საფლავზე დადგმულია მარმარილოს დაფა, რ-საც აწერია მწერლის გვარი, სახელი, დაბადებისა და გარდაცვალების წლები (1 ნოემბერი 1839 წ. — 4 ნოემბერი 1913 წ.) და ეპიტაფია.

*ყაზ. ლ.*

160. ისაია ᲬᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘ, ისტ. ძ. სოფლის კოლ-ბის ტერიტორია, ადგილი ხაშილაურები. ერთ-ერთი პირველი ქართვ. საბჭ. აგრონომისა და საზ მოღვაწის ი. ი. წურცელაძის საფლავი შემოღობილია ლითონის მესრით. საფლავის ბაზალტის ქვაში ჩასმულია თეთრი მარმარილოს ფილა წარწერით: „აგრონომი წურცელაძე ისაია იოველის ძე 1851-1924". *ჩ. თ.*

161. ᲩᲐᲡᲐᲠᲑᲔᲜᲘ ᲪᲘᲮᲔ, კ ო შ კ ი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 1 კმ-ზე, მდ. ლიახვის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება XVII-XVIII სს-ის მიჯნით. კოშკი ცილინდრულია (გარე დიამ. 9,8 მ, სიმ. 8,7 მ), ნაგებია რიყის ქვით. დაზიანებულია — შემორჩენილია ორი სართული. ინტერიერში, კედლებიდან აქა-იქ ქვებია ამოვარდნილი. ყველა სართულს კარი სამხრ-ით ერთ ხაზზე აქვს, კედლებში ბუხარი და ღრმა ნიშებია ორმაგი სათოფურებით. სართულები გადახურულია კონუსური გუმბათით. გუმბათის ძირში კეთით ოდნავ ზევით მიმართული სარკმლებია. სართულები ერთმანეთს უკავშირდება აღმ. კედელში დატანებული კიბით.



161. განაკვეთი, სართულების გეგმები

*ბიბლ.:* 302.

*ზ. პ.*

## ᲛᲔᲦᲕᲠᲔᲙᲘᲡᲘ

(ტირძნისის სოფსაბჭო)

162. ᲘᲝᲐᲜᲔ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანფ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,8 X 6,3 მ), ნაგებია რიყის ქვით. კარის ჩარჩო, კუთხეები და ზედა სარტყელი მოპირკეთებულია რუხი ქვით. სამხრ-ით კარი და ორი სარკმელია, აღმ-ითა და დას-ით — თითო სარკმელი. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. ეკლესიას სამხრ-ითა და დას-ით მ ი ნ ა შ ე ნ ე ბ ი აქვს.

*გვას. ჯ.*

163. ᲙᲝᲨᲙᲘ, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას. ნაწილში. თარიღდება XVII-XVIII სს-ით. კ. ცილინდრულია (დიამ. 7 მ, კედლის სისქე 1,3 მ), ორსართულიანი, ნაგებია რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია: ჩანგრეულია მეორე სართულის გადახურვა. შესასვლელი ჩრდ-ითაა, მეორე სართულზე. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია კედელში დატანებული კიბით. პირველი სართული გადახურულია აგურის გუმბათით. მეორე სართულის კედელში სათოფურებია.

*გვას. ჯ.*

## ᲛᲔᲯᲕᲠᲘᲡᲮᲔᲕᲘ

იხ. სოფ. დ ი დ ი და პ ა ტ ა რ ა მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ი.

## ᲛᲦᲔᲑᲠᲘᲐᲜᲘ

(სოფსაბჭოს ცენტრი)

164. ᲙᲚᲘᲙᲘᲡ ᲯᲕᲠᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან 1 კმ-ზე, მდ. თეძმის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება VII-VIII სს-ით. ნაგებობა სამეკლესიიანი ბაზილიკაა (10,5 X 10 მ), ნაგებია ნატეხი ქვით, კონსტრ. ნაწილები (ტრომპები, პილასტრები, კონქი, თაღები, კარისა და სარკმლის წირთხლები და შუა ეკლესიის გარე კუთხეები) — შირიმის ქვის კარგად დამუშავებული კვადრებით. ნაგებობა დაზიანებულია: არ არის შემორჩენილი შუა ეკლესიის გადახურვა და კედლების ზედა ნაწილი, საბჯენი თაღები, ჩრდ-ისა და სამხრ. ეკლესიის კედლები შემორჩენილია 1-2 მ სიმაღლეზე. ნაგებობა შედგება შუა ეკლესიისა და მის სამხრ-ით და ჩრდ-ით, მთელ სიგრძეზე მოგვიანებით მიშენებული ორი უფრო დაბალი ეკლესიისაგან. შესასვლელი სამხრ-ის მინაშენშია. შუა ეკლესიის გრძივ კედლებში გაჭრილია გვერდით სათავსებში გასასვლელი კარები. სამივე ეკლესიის აფსიდები სწორკუთხაა. შუა ეკლესიის აღმ., დას. და სამხრ. კედლებში, სხვადასხვა სიმაღლეზე, თითო სარკმელია. გვერდის ეკლესიების აღმ. კედლებშიც თითო სარკმელია. შუა სათავსის ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლები პილასტრებით ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრებზე დაყრდნობილი თაღებითაა შემოსაზღვრული კედლის ბრტყელი ნიშები. პილასტრებით არის გამოყოფილი დარბაზისაგან ღრმა საკურთხეველიც. ამ პილასტრებზე და აღმ-ის კედელზე დაყრდნობილი თაღები საკურთხეველში ქმნის ღრმა ნიშს. კონქზე გადასვლა ხდება თაღებს ზე-

მოთ ხამხრ.-აღმ-ისა და ჩრდ.-აღმ-ის კუთხეების ტრომპებისა და მათ თავზე მოთავსებული ხუთი წახნაგის ხაშუალებით. შუა ეკლ. სატრიუმფო და ხაბჯენ თაღებზე და დას-ის კედელზე დაყრდნობილი ცილინდრული კამარით (ჩანგრეულია) იყო გადახურული.

ბიბლ.: 349. *მ. გ.*

164. აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



## ნადარბაზევი

(მავშვების სოფსაბჭო)

165. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, 3 კმ-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (11,75 X 6 მ), ნაგებია ძირითადად მოყვითალო ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის მოზრდილი პირმოსწორებული ქვებით. ნაგებობის სამხრ. კედლის დას. ნაწილში სწორკუთხა შესასვლელია. აღმ-ით, ნახევარწრიულ შვერილ აფსიდში ერთი თაღოვანი სარკმელი (ამოქოლილია) და ერთი სწორკუთხა ნიშია. სარკმლის ქვეშ სატრაპეზო ქვა დგას, საკურთხევლის წინ — ხის კ ა ნ კ ე ლ ი . თითო სწორკუთხა სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშიცაა. დარბაზის გრძივი კედლები დანაწევრებულია თაღოვანი მალებით. ნახევარწრიული კამარით გადახურულ დარბაზს თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს — შელესილია



165. გეგმა

და შეღებილია მწვანე ზეთის საღებავით. ჩრდ. კედელში გაჭრილი სწორკუთხა შესასვლელით (ამოქოლილია) ეკლ. უკავშირდებოდა აფსიდიან ს ა თ ა ვ ს ს, რ-ისგანაც შემორჩენილია აფსიდისა და დას. კედლის მცირე ნაწილები. მოგვიანებით ადგილ. მოსახლეობას ეკლესიისათვის ჩრდ. მხრიდან მიუშენებია ბეტონის სათავსი, რ-იც გადახურულია შიფერით. ნაგებობას თაროსებრი ლავგარდანი აქვს. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით. *დვ.თ.*

## ნაჭარმაგევი

იხ. სოფ. კ ა რ ა ლ ე თ ი

## ოთარშენი

(ტინისხიდის სოფსაბჭო)

166. ამილახვრიანთ კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, მდ. ლიახვის მარჯვ. ნაპირზე, შემაღლებულ ბექობზე. თარიღდება XVIII ს. ბოლოთი. კ. ცილინდრულია (დიამ. 10,5 მ), ნაგებია რიყის ქვით. კედლების შიდა პირზე ზოგან გამოყენებულია აგურიც. აგური გასდევს ზოლებად ფასადებსაც. კ-ს შესასვლელი მეორე სართულზე აქვს. პირველი სართული დამხმარე სათავსია. აქ ერთი სარკმელია. მეორე სართულის კედლების ფრაგმენტებში, კარის გარდა, ერთი სარკმელი და რამდენიმე სათოფური ჩანს. მესამე სართულის შემორჩენილ ნაწილში მხოლოდ ორი სათოფურია. კ-ის სართულშუა გადახურვა ჩანგრეულია. *ზ.კ.*

167. ნასოფლარი და კოშკი, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ. აღმოჩნდა შემთხვევით, სკოლის მშენებლობის დროს. ნ-ზე გამოვლინდა დიდი ქვევრები, წითლად გამომწვარი, უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, რამდენიმე ნასახლარის ნაშთი და სხვ. შემორჩენილი საძირკვლები ნაგებია რიყის ქვით. ნ. ზიანდება ტერიტორიის დასახლების გამო. აქვე დგას გვიანდ. ფეოდ. ხანის ნახევრად დანგრეული ცილინდრული კ ო შ კ ი, რ-იც ნაგებია რიყის ქვით. შემორჩენილი აქვს შესასვლელი კარი, სათოფურები. *ნ.ა.*

168. წმ. გიორგის ნიში, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ამილახვრიანთ კოშკის მახლობლად, ბორცვზე. თარიღი დაუდგენელია. ეკლ. დარბაზულია (3,8 X 3,2 მ), ნაგებია რიყის ქვით. შენობა დანგრეულია, კედლები შემორჩენილია 0, 7 მ სიმაღლეზე, გადარჩენილია მხოლოდ შესასვლელის სამხრ. წირთხლის ორი ლეინისფერი შირიმის ქვა. შესასვლელი დას-ითაა. საკურთხეველი სწორკუთხაა. *დვ. თ.*

## ოლოზი

(ატენის სოფსაბჭო)

169. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, მდ. ათრეულას მარჯვ. ნაპირზე. ეკლ. დარბაზულია (6,9 X 10,8 მ). სტილისტ. ანალიზით თარიღდება X-XI სს. ნაგებია შირიმის ქვის თლილი კვადრე-

169. გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა



ბით. დაზიანებულია: ჩანგრეულია საბჯენი თაღები, კამარა, აფსიდის კონქი, დანგრეულია კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — სამხრ-ით (ნაშთი შემორჩენილია კედლის დას. ნაწილში) და დას. კედლის სამხრ. ნაწილში (შედარებით მცირე ზომისაა, შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავიანი). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. თაღში სინგურისფერ ფონზე ყავისფერი ხაზით შესრულებული მცენარეული ორნამენტის ფრაგმენტია. სარკმლის ქვემოთ, კედლიდან მოცილებით დგას შირიმის ქვის სატრაპეზო. აფსიდის ჩრდ-ით და სამხრ-ით მცირე სწორკუთხა სათავსებია, რ-ებიც დიდი ზომის ბრტყელი ქვებითაა გადახურული. სათავსებში აღმ-ით მცირე თაღოვანი სარკმლებია. აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია განიერი, მარტივი კაპიტელით დასრულებული მხრებით, რ-ებსაც ეყრდნობოდა სატრიუმფო თაღი. დარბაზის გრძივი კედლები წყვილი პილასტრით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. აღმ. ფასადის ფრონტონის ცენტრში მუქი ღვინისფერი ქვებით ჯვარია გამოსახული. ჩრდ.-აღმ-ით, კუთხეში, შემორჩენილია თარო-ლავგარდნის ფრაგმენტი.

ეკლესიას სამხრ-ით და დას-ით მ ი ნ ა შ ე ნ ე ბ ი (გარშემოსავლელი) აქვს, კედლები შემორჩენილია 0,5-0,7 მ სიმაღლეზე დას. მინაშენის კედლები დაფარულია მიწით, სამხრ-ისა ჩახერგილია ქვებით. ქვებში შერეულია შესასვლელის (სამხრ-ით უნდა ყოფილიყო) თაღის ქვა, სარკმლის წირთხლის და საბჯენი თაღის ქვები, ბრტყელი კრამიტი. სამხრ. მინაშენის აღმ. მონაკვეთში, ბოლოში, მცირე ზომის სათავსია, რ-ის ჩრდ. კედელზე შემორჩენილია ეკლესიის კედელში ჩადგმული კრონშტეინი. კრონშტეინს ეყრდნობოდა კამარის საბჯენი თაღი.

*კალმ. გ., ნ. თ.*

170. წმ. გიორგის ეკლესია. არქიტ. ძ. დგას სოფლის დასაწყისში, მთის ფერდობზე. დაუთარიღებელია. ეკლ. დარბაზულია (6,2X4,2 მ), ნაგებია ქვიშაქვით, გამოყენებულია შირიმისა და რიყის მოზრდილი ქვებიც. ძლიერ დაზიანებულია. ჩანგრეულია კამარა, კონქი და კედლების ზედა ნაწილები. შიგნიდან არქიტრავიანი, გარედან თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მცირე მხრებით. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს ღრმა, თაღოვანი ნიშებია. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრია. სახურავი კრამიტისა იყო. *ნ. თ.*

170. გეგმა



## ორმოცი

(ბოშურის სოფსაბჭო)

171. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სასაფლაოზე. აგებულია XIX ს. მიწურულში. ეკლ. დარბაზულია (9X5,5 მ), ნაგებია დიდი ზომის ნატეხი ქვით. გამოყენებულია აგურიც. თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ეკლესიის უსწორო ნახევარწრიული აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია ვიწრო მხრებით. აფსიდის ღერძზე ერთი განიერი თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს მცირე ზომის თაღოვანი ნიშებია. აფსიდის იატაკი ეკლესიის ხის იატაკიდან ერთი საფეხურითაა ამაღლებული. დარბაზის დას. კედელში ერთი სარკმელია. კამარა სატრიუმფო და გრძივი კედლების კრონშტეინებზე დაფუძნებულ საბჯენ თაღებს და დას. კედელს ეყრდნობა. დარბაზი შელესილია. აღმ. და დას. ფასადების სარკმლების თავზე აგურის წყობით გამოყვანილია საფეხურიან კვარცხლბეკზე დაყრდნობილი ჯვრები. ლავგარდანი აგურის ორი რიგისაგან შედგება. სახურავი თუნუქისაა. *კალმ. გ.*

171. აღმ. ფასადი, გეგმა





## პატარა გარეჯვარი

(კარალეთის სოფსაბჭო)

172. წმ. გიორგის ეკლესია. არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,3X4 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. სამხრ. კედელში არქიტრავით გადახურული კარია. ნახევარწრიული აფსიდის თაღოვანი სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა. თითო თაღოვანი სარკმელი დას-ის და სამხრ-ის კედლებშიცაა. დარბაზის კამაროვანი გადახურვა ემყარება დას. კედლის პილასტრებზე დადგმულ თაღს და აფსიდის მარტივპროფილიან იმპოსტებზე დაყრდნობილ სატრიუმფო თაღს. ეკლესიას აგურის თაროსებრი ლავგარდანი აქვს. ორფერდა სახურავი კადრ. აგურისაა. *ნ. ა.*

## პატარა მეჯვრისხევი

(მეჯვრისხევის სოფსაბჭო)

173. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, ხომასურიძიანთ უბანში. აშენებულია 1819 წ. ხომასურიძეების მიერ. ეკლ. დარბაზულია (8,8 X 5,3 მ), ნაგებია რიყის ქვით. შესასვლელი სამხრ-ით აქვს. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და ორი მოზრდილი ნიშია. აფსიდზე მიშენებულია აგურის სატრაპეზო. თითო სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშია. დარბაზი გადახურულია აგურის ცილინდრული კამარით. დას. ფასადზე აგურის წყობით გამოყვანილია შეღრმავებული ჯვარი, ხოლო სამხრ. ფასადზე, კარის თავზე — რელიეფური ჯვარი. კარის მარცხნივ, ზევით ჩასმულია ქვის ფილა მხედრ. საშენ. წარწერით. კრამიტის ორფერდა სახურავი დაზიანებულია.

*მეას. ჯ.*

174. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით 0,5 *კმ*-ზე, სახაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7X4,7 *მ*), ნაგებია რიყის ქვით და აგურით თაღოვანი შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და ორი ღრმა ნიშია. სარკმლის ქვემოთ ოთხკუთხა სატრაპეზო ქვა დგას. დას. და სამხრ. კედელში თითო სარკმელია. სამხრ. კედლის სარკმელი ამოშენებულია. დარბაზის გრძივ კედლებზე პილასტრებია, რ-ებსაც ეყრდნობა ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი. სამხრ. ფასადზე, კარის ორივე მხარეს, აგურით გამოყვანილია დეკორატ. რომბები. დას. ფასადზე შემორჩენილია შირიმის ლავგარდნის ფრაგმენტები. სახურავი ორფერდაა, კრამიტის. ეკლესიას სახურავზე, დას-ით, ადგას აგურის სამრეკლო. *გვას. ჯ.*

## საორბისის წმ. გიორგის ეკლესია,

იხ. სოფ. ფიცესი, საორბისის წმ. გიორგის ეკლესია.

## საქაშეთი

**(ვარიანის სოფსაბჭო)**

175. 1784 წ. 23 მარტს სულეიმან ფაშამ ქართლს სამი ათასი ლეკი შემოუსია. მთლიანად აიკლო სოფ. საქაშეთი, დაარბია სოფლები თეალთუბანი და ლელისთავი.

1905 წ. 18 ნოემბ. სოფლის მოედანზე ჩატარდა მიტინგი, რ-საც მეზობელი სოფლების (ფხვენისის, შინდისის, ყელქცეულის, ვარიანის, არაშენდის, ძლევიჯვრის და სხვ.) გლეხობაც ესწრებოდა. მიტინგის გადაწყვეტილებებში შეიტანეს მოთხოვნები: საპატიმროებიდან გაეთავისუფლებინათ პოლიტ. პატიმრები; სარატოვის, ჩერნიგოვის, ტამბოვის და სხვა გუბერნიებში, პოლონეთის სამეფოსნაცვლოში გაეუქმებინათ სამხ. წესები; გაეყვანათ სოფლებიდან კაზაკებისა და ჯარის ნაწილები; მოეწვიათ სრულიად რუსეთისა და განაპირა მხარეების დამფუძნებელი კრებები; გადაეცათ გლეხებისათვის სახ. მფლობელობაში მიწა; დაესაჯათ თანამდებობის პირები, რ-ებმაც ააწიოკეს და ააოხრეს გორის მაზრის სოფლები.

*ბიბლ.:* 46:219; 122:156.

*ბერძ. ც., ე. შ.*

176. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება XVIII ს-ით. შესასვლელის თავზე, მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი მხედრ. წარწერის თანახმად, კ. 1792 წ. აუგია გორის ციხის გარნიზონის უფროსს (მინბაშს) დიმიტრი დიასამიძეს. კ. ცილინდრულია (დიამ. 7,6 *მ*), ოთხსართულიანი, ნაგებია რიყის ქვით, კედლები შიგნით შელესილია, გარეთ მობათქაშებული. დაზიანებულია, განსაკუთრებით, მეოთხე სართული. შესასვლელი ჩრდ.-დას-ითაა, მეორე სართულზე. პირველი სართული დამხმარე სათავსია. მის კედლებში ორი სარკმელი და სამი სათოფურია. მეორე და მესამე სართულები საბრძოლო და საცხოვრებელია. ყოველ სართულზე, სარკმლებისა და სათოფურების გარდა, ნიშებიც არის. მესამე სართულის კამარაზე დეკორატ. რომბებია გამოყვანილი. სათავსი უფრო ნათელია. კ-ის სამივე სართული გადახურულია კონუსური კამარებით. მეოთხე სართული მაღალკედლებიანი საბრძოლო ბანი იყო. მის კედლებში სათოფურები, სალოდეები და საზარბაზნეებია გაჭრილი. სართულები ერთმანეთს უკავშირდება კედელში დატანებული კიბით.

*ბიბლ.:* კ92. *ზ. კ.*

177. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ადგილ გორანაში (იგივე ჩაკირულები). თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. აღმოაჩინეს შემთხვევით, მიწის დამუშავების დროს. სამარხში მიცვალებული დაკრძალული იყო ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდ.-დას-კენ. ს-ის ტერიტორიაზე იპოვება შავად გამომწვარი, უხეშკეციანი სხვადასხვა ზომის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. *ნ. ა.*

178. სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ადგილ ცოცხებში, სოფლის სასაფლაოზე. თარიღდება ანტ. ხანით. აღმოაჩინეს 1973 წ. შემთხვევით, მიწის დამუშავების დროს. მიცვალებულის დაკრძალვის პოზა გაურკვეველია. გამოვლინდა წითლად გამომწვარი წმინდა თიხის პრიალაზედაპირიანი ყურმილიანი სასმისი (დაცულია ქარელის რ-ნის სოფ. ცერონისის საშ. სკოლის მხარეთმც. კუთხეში). *ნ. ა.*

179. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება XVIII ს-ით. ეკლ. დარბაზულია (12,6X8,3 *მ*), ნაგებია რიყის ქვისა და აგურის რიგების მონაცვლეობით. კუთხეებში გამოყენებულია მოწითალო ქვის კვადრები. ქვით არის ამოყვანილი თაღოვანი კარის საპირეებიც. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და ორი მოზრდილი ნიშია. ორორი მოზრდილი სარკმელი სამხრ. და ჩრდ. კედლებშია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. ეკლესიას ლურჯი ღარიანი კრამიტის ორფერდა სახურავი აქვს. დას. კედელზე მიშენებულია აგურის სამრეკლო. *გვას. ჯ.*

180. ყორღანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, ადგილ. გორაკაზე. აღმოჩენილია 1961 წ. შემთხვევით, მიწის დამუშავების დროს. თარიღდება ბრინჯაოს ხანით. დაზიანებულია. გადმოცემით, ყ-ში დაკრძალული ყოფილა რამდენიმე მიცვალებული. დაკრძალვის წესი გაურკვეველია. მიცვალებულის ძვლებთან აღმოჩნდა შავად გამომწვარი სხვადასხვა ზომის თიხის ჭურჭელი (დაკარგულია). *ნ. ა.*

181. ყორღანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ადგილ ხატინათხაზე. თარიღდება ბრინჯაოს ხანით. ყ. ქვაყრილიანია (დიამ. 40 *მ*, სიმ. 2 *მ*). ყ. ცუდად არის დაცული. *ნ. ა.*

182. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, 1 *კმ*-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6,9X X5,1 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. კარი სამხრ-ით აქვს. აღმ., სამხრ. და დას. კედლებში თითო სარკმელია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. სახურავი ორფერდაა. *გვას. ჯ.*

## საყავრე

**(სოფსაბჭოს ცენტრი)**

183. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით. საშშენ. მხედრ. წარწერის მიხედვით 1460 წ. აუგია ვინმე ვახტანგ ჯავახიშვილს. ეკლ. დარბაზულია (9,4X7,9 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. აფსიდში ერთი სარკმელია, რ-ის გვერდებზე თითო სამკუთხა ნიშია. სამხრ-ის და დას-ის კედლებშიც თითო სარკმელია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. აღმ. ფასადზე, საკურთხევლის სარკმლის ზემოთ, ჩასმულია ყვითელი ქვიშაქვა, რ-ზეც ამოკვეთილია საშშენ. წარწერა. ფასადები დასრულებულია საფეხურებად ნაწყობი აგურის ლავგარდნით. შენობის სამხრ-ით და დას-ით თითო მინაშენია. დას. მინაშენი სწორკუთხაა (შემორჩენილია მხოლოდ ქვედა ნაწილი), სამხრ-ისა (კარიბჭე?) სცილდება ეკლესიის სამხრ. კედელს და დას-ის მინაშენზე გადადის. სამხრ-ის მინაშენის თაღოვანი შესასვლელი ეკლ. შესასვლელის პირდაპირაა. ინტერიერში სამხრ. კედელზე ორი პილასტრია. გადახურვა ჩანგრეულია. *მ. გ.*

184. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, საშ. სკოლის მახლობლად. თარიღდება IX-X სს-ით. ეკლ. დარბაზულია (9,7X5,6 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის მოზრდილი ქვებით. არქიტრავიანი შესასვლელი სამხრ-ითაა. აფსიდში, სარკმლის მარცხნივ, სამკვეთლოსთან დამაკავშირებელი შესასვლელია, მარჯვნივ — მცირე ზომის სწორკუთხა ნიში. აფსიდს გასდევს დაბალი საფეხური. საკურთხეველი დარბაზისაგან

გამოყოფილი იყო კ ა ნ კ ე ლ ი თ (შემორჩენილია ორნამენტირებული ქვები). ეკლესიის დას-ისა და სამხრ-ის კედლებში თითო სარკმელია, დარბაზის გრძივ კედლებზე — თითო პილასტრი. დას. კედელზე კრონშტეინებზე დაყრდნობილი დეკორატ. თაღია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-იც შუაში ეყრდნობა საბჯენ თაღს. დარბაზის კედლებს გასდევს ერთი საფეხური. ინტერიერი თავდაპირველად მთლიანად ყოფილა მოხატული. შემორჩენილი ფრაგმენტები შეჭვარტლულია. მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ა (ა) გაირჩევა მხოლოდ საკურთხეველში. იგი ორ რეგისტრადაა დაყოფილი. კონქში გამოსახულია *ვედრება*, ქვემოთ — ეკლესიის მამები, სარკმლის გვერდით წმინდანთა წელზედა გამოსახულებებია. უფრო ქვემოთ მხატვრობა საკმაოდ დაცილებულია იატაკიდან და მოჩარჩოებულია ორნამენტული ზოლით (მოტივი გაურკვეველია). ორმაგი ორნამენტული ზოლის ნაშთები შეიმჩნევა დარბაზის კედლებზეც. მხატვრობა შესრულებულია გაწაფული ხელით. წმინდანთა გამოსახულებები საკურთხეველში ხასიათდება მონუმენტურობით, დახვეწილი პროპორციებით, ოსტატური ნახატით.



184. აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა

ეკლესიის სამხრ. კედლის შელესილობის ქვედა ფენაზე შემორჩენილია სხვა ქრონოლოგიური ფენის პრიმიტიული გამოსახულებები. მათი ნაწილი (ირემი, ადამიანი, ხელის მტევანი, ცალკეული გეომეტრიული ფიგურები) ამოკაწრულია კედლის აღმ. მონაკვეთში. აქვე შეიმჩნევა წითური ოქრას მკრთალი ლაქები. კედლის დას. მონაკვეთში იმავე ფერის კონტურით შესრულებული დიდთვალებიანი ადამიანის თავია. გამოსახულებათა უშუალობა, ცოცხალი ნახატი მიუთითებს, რომ ქვედა ფენის მხატვრობა შესრულებულია გაცილებით უფრო ადრე (სავარაუდოა X ს.), ვიდრე ზედა ფენისა.

შენობის ფასადებს გასდევს ცერად წაკვეთილი პროფილის ლავგარდანი. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით. ეკლესიისათვის დას-დან და სამხრ-დან გვიანდ. ფეოდ. ხანაში მიუშენებიათ ე გ ვ ტ ე რ ი და ს ა თ ა ვ ს ი. ეგვტერი სამხრ. კედელზეა მიშენებული (დას. სათავსზე რამდენადმე უფრო ადრე) ნახევარწრიული თაღედით. შესასვლელი სამხრ-დანაა. კარის ზემოთ და აფსიდში თითო სარკმელია. ეგვტერი გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-იც ებჯინება თაროსებრ კრონშტეინებზე დაყრდნობილ ორ თაღს. დას. კედელში დატანებული კარით ეგვტერი უკავშირდება დას. სათავსს, რ-საც უკავია ეკლესიისა და ეგვტერის მთელი დას. ფასადი. სათავსიც ეკლესიის დას. კედელზე სვეტებზე დაყრდნობილი შეისრული თაღედითაა მიშენებული. სათავსის დას-ის და სამხრ-ის კედლებში თითო სარკმელია. გადახურულია არაწესიერი ფორმის კამარით, რ-იც აგებულია თავდაპირველი კამარის ნაცვლად. ძვ. გადახურვიდან შემორჩენილია ერთი საბჯენი თაღი, რ-იც თაროსებრ კრონშტეინებს ეყრდნობა. დას. კედელზე შემორჩენილია ერთი კრონშტეინი. *დ. ფ., მ. გ.*

## სვენეთი

(ბერბუკის სოფსაბჭო)

185. გუდაბერტყას ნამოსახლარი, ც ი ხ ი ა გ ო რ ა ს ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, სამხრ.-დას-ით, გორი-თბილისის საავტ. გზის მარჯვ. მხარეს, განმხოლოებულ ბორცვზე. ნამოსახლარი 1957-63 წწ. შეისწავლა გორის ისტ.-ეთნ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღ. ს. ნადიმაშვილი, კონსულტანტი აკად. შ. ამირანაშვილი). ნამოსახლარი რამდენიმე კულტ. ფენას შეიცავს. უძველესი ფენა ძვ. წ. III ათასწლ. I ნახ-ს, ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნება. ზედა ფენები გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანისაა. ნამოსახლარის უძველეს ფენაში გამოვლინდა ნასოფლარი, სადაც მოპოვებული არქეოლ. მასალის მიხედვით, მიწათმოქმედ მოსახლეობას უცხოვრია. მიკვლეულია შენობების ნაშთები. შენობები მოგრძოა, სწორკუთხა, კუთხეებმომრგვალებული. სახლები ლასტურია, ძელურწნული, რიყის ქვის საფუძველზე. სახლების კედლები ორივე მხრიდან თიხით ყოფილა შელესილი. შემორჩენილია პოლიქრომული მხატვრობის კვალი. იატაკი თიხატკეპნილია. შუაში დედაბოძი დგას. მის წინ წრიული კერაა. ნასოფლარის ცენტრში, შენობებში, გამოვლინდა სამეურნეო (მარცვლის შესანახი) ორმოები. სოფელი გამაგრებული ყოფილა — მიკვლეულია ალიზის აგურით ნაგები ზღუდის ნაშთები. ნასოფლარს ატყვია ძლიერი ხანძრის კვალი. განათხარ ტერიტორიაზე აღმოჩნდა საილენძის, ქვის, ძვლის ნივთები, მრავალფეროვანი კერამ. ნაწარმი. არქეოლ. მასალა მოწმობს, რომ მაცხოვრებელთა ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება ყოფილა, მისდევდნენ მესაქონლეობასაც: ოსტეოლოგიურ ნაშთებში ძირითადად ჭარბობს წვრილფეხა საქონლის ძვლები. განვითარებული ყოფილა მეტალურგია-მეთუნეობა. გამოვლინდა რქადატოტვილი ირმის გამოსახულებები, თიხის საბეჭდავი, მინიატურული სამშვერილიანი საკურთხეველი.

ნამოსახლარის სამხრ-ით 0,2 *კმ*-ზე ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი და დიდი ზომის ყ ო რ ღ ა ნ ი ა (შეუსწავლელია).

ბიბლ.: 177. *ნ. ა.*

186. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით. სავარაუდოდ თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,5X5 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. შენობა ძლიერ დაზიანებულია: მთლიანად დანგრეულია დას. ნაწილი, ჩანგრეულია გადახურვა. შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში სარკმელია. თითო სარკმელი დას-ით და სამხრ-ითაა. ეკლ. შიგნიდან შელესილი ყოფილა. *კ. რ.*

187. ღვთისმშობლის ეკლესია, არ-

ქიტ. ძ. დგას ხოფლის ალმ. მონაკვეთში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,6X5,8 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. შენობის კუთხეები, კარისა და სარკმლის გარეთა პირები ნაწყობია ნატეხი ქვითა და კვადრ. აგურით. ეკლ. დაზიანებულია: სახურავი ჩანგრეულია, ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებზე შემორჩენილია ნახევარწრიული კამარის ნაწილი, დას-ის კედლის ორივე კუთხეში — პილასტრები. ინტერიერში ჩამოცვენილია შელესილობა. ეკლესიას სამხრ-ით არქიტრავით გადახურული კარი და თაღოვანი სარკმელი აქვს. თითო ასეთივე სარკმელია ალმ-ით (აფსიდში) და დას-ით. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. ჩრდ-ისა და სამხრ-ის ფასადებზე შემორჩენილია კვადრ აგურით ნაწყობი თაროსებრი ლავგარდანი. *ნ. ა.*

188. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, სახაფლაოზე. საერაუდოდ თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ დარბაზულია (5,4X3 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით, ზოგან გამოყენებულია აგურიც. შენობა ძლიერ დაზიანებულია. ალმ. კედელში შეიმჩნევა ნახევარწრიული აფსიდისა და სარკმლის კვალი. *კვ. რ.*

ციხიაზორას ნამოსახლარი, იხ. გ უ დ ა ბ ე რ ტ ყ ა ს ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი.

## სკრა

(სოფსაბჭოს ცენტრი)

189. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, ვაკეზე. თარიღდება XVIII ს-ით. კ. ცილინდრულია (დიამ. 10,6 მ, სიმ. 8,2 მ, კედლის სისქე 2,4 მ), ორსართულიანი, ნაგებია რიყის ქვით. კარსა და სარკმლებზე გამოყენებულია თლილი ქვაც. ნაგებობას აკლია მხოლოდ ბანის კედლების ზედა ნაწილები. კ-ს შესასვლელი ჩრდ-ით, მეორე სართულზე აქვს. პირველი სართული დამხმარე სათავსია. ამ სართულზე კედლებში დატანებულია სამეურნეო დანიშნულების ოთხი ღრმა ნიში და ორი მცირე, კვეთით მაღლა მიმართული სარკმელი. მეორე სართული საბრძოლო დანიშნულებისაა. მისი კედლები დასერილია ღრმა ნიშებში გაჭრილი ცალმაგი და ორმაგი სათოფურებით. კარის მოპირდაპირე კედელში ჩაშენებულია ბუხარი. მეორე სართული კედელში დატანებული კიბით უკავშირდება პირველ სართულს და ბანს. კიბის უჯრედის გარე კედელშიც რამდენიმე სათოფურია გაჭრილი. ორივე სართული თითქმის კონუსური გუმბათოვანი კამარით არის გადახურული. კ-ის კარი, სარკმლები და სათოფურები ყველგან თაღოვანია. შენობის ბანი საბრძოლო დანიშნულებისაა — მის სქელ კედელში, მებრძოლთა ჩასადგომად, დატოვებულია 1,5 მ სიღრმის გარსშემოსავლელი.

ბიბლ.: 102:202-204. *ზ. პ.*



189. ფასადი, განაკვეთი, II სართულის გეგმა

190. მეხილეობის საცდელი სადგური, საქ. სსრ სას.-სამ. წარმოების სახელმწ. კომიტეტის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მეხილეობის სკრის საცდელი სადგური, ისტ. ძ. მ. ს. ს. მეხილეობის ერთ-ერთი პირველი სამეცნ. დაწესებულებაა საქართველოში. მდებარეობს სოფლის მახლობლად, ქ. გორიდან 9 კმ-ზე, სამანქანო გზის მარცხ. მხარეს. 1931 წ. თბილისში დაარსდა ამიერკავკ. მეხილეობის საცდელი სადგური, რ-იც 1932 წ. გადაკეთდა საქართვ. მეხილეობის საცდელ სადგურად და გადატანილ იქნა სოფ. სკრაში. სადგური მუშაობს სოფ. სკრის საბჭ. მეურნეობის ბაზაზე. შენობა ორსართულიანია, აგებულია ტუფის ნათალი ქვით, გადახურულია შიფერით. სადგურის ტერიტორიაზე არის აგრეთვე ტექ. ლაბორატორიები, სხვადასხვა დამხმარე სათავსი, სასადილო, კლუბი, სპორტ. დარბაზი.

1956 წლიდან საცდელი სადგურის მუშაობას ხელმძღვანელობს საქ. სსრ სას.-სამ. წარმოების სახელმწ. კომიტეტის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. სადგურს აქვს მეხილეობის აგროტექნიკის, სელექციის, ჯიშთმცოდნეობის, მცენარეთა დაცვის, მევენახეობის, ფიზიოლოგიის განყოფილებები, აგროქიმიური და ტექნოლოგიური ლაბორატორიები.

ბიბლ.: 54:18. *ჩ. თ.*

191. სკრის ბრძოლა, ისტ. ძ. ბრძოლა მოხდა 1756 წ. ახლანდ. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ს კ რ ა ს თ ა ნ. ყვარლის ციხესთან დამარცხების შემდეგ (1755 წ.) ნურსალ-ბეგის (ავარიის ხანის) მრავალრიცხოვან რაზმებად დაშლილი ლაშქარი ქართლის სოფლებში დათარეშობდა. ერთ-ერთ ასეთ სამათასიან რაზმს სოფ. ნიჩბისთან შეება ქართვ. მეფეების თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მეწინავე რაზმი. გაქცეულმა მტერმა აიღო კარალეთის ციხე. ქართველთა მეწინავე რაზმი ლეკებს სკრასთან დაეწია და გაუმართა ბრძოლა, რ-იც ქართველების გამარჯვებით დამთავრდა.

ბიბლ.: 201დ:627-628. *კ. კ.*

## სკრის ხეობა

192. ბნელეთის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფ. სკრის სამხრ-ით, 8-9 კმ-ზე, მდ. სკრის ერთ-ერთი განშტოების მარცხ. ნაპირას, ტყეში, მაღალ ფერდობზე. თარიღდება IX-X სს-ით. ნაგებობა სამეკლესიიანი ბაზილიკაა (11,5X10,2 მ), ნაგებია ნატეხი ქვით, პერანგი შირიმის ქვისაა. ეკლ. ახლა თითქმის მთლიანად მიწაშია ჩამჯდარი. თავდაპირველად აქ ერთი ეკლ. მდგარა. შემდეგ მისთვის ჩრდ-ით და სამხრ-ით მთელ სიგრძეზე თითო უფრო დაბალი, აფსიდიანი ეკლ. (ეგვტერი?) მიუშენებიათ. შესასვლელი სამხრ. კედელშია, აქედან შეიძლება ეკლესიის სამივე ნაწილში მოხვედრა. შუა დარბაზი მოზრდილია. აქ სარკმლები ალმ-ით, დას-ით და სამხრ-ითაა. გადახურვა კამაროვანია. დარბაზში შემორჩენილია მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები. აფსიდის კონქის მხატვრობა განადგურებულია. შემორჩენილია მომდევნო ორი რეგისტრი. პირველში გამოსახულია 12 მოციქული ფრონტალურად, მთელი ტანით, მეორეში ეკლესიის მამა-



192. გეგმა

თა 12 ფიგურაა. ყველა ფიგურა მოჩარჩოებულია დეკორატ. თაღით. ჩრდ. კედლის დას. მონაკვეთში *სულიწმიდის მოფენის* ძნელად გასარჩევი ფრაგმენტებია, ხოლო მის ქვემოთ — 6 წმინდანის ფრონტალური ფიგურა. დას. კედლის ქვედა ნაწილში წარმოდგენილია 10 წმინდანის დიდი ფრონტალური ფიგურა, რ-ებიც ქვემოდან შემოსაზღერულია ორმაგი ორნამენტული ზოლით. ძირითადად შემორჩენილია მოწითალო ფერის კონტურები. ფრაგმენტებზე გაირჩევა სუფთა ცისფერი, უნაბისფერი, ყვითელი ფერი. მხატვრობა სტილისტ. ნიშნებით XII-XIII სს-ით თარიღდება.

დარბაზის ჩრდ-ის კედელში გაჭრილი კარი გადის ჩრდ. ეკლესიაში, რ-საც სარკმლები აღმ-ითა და დას-ით აქვს. სამხრ. ეკლ. უკეთაა შემონახული. აქ სარკმლები აღმ-ით, დას-ით და სამხრ-ითაა.

ფასადებზე სარკმლები მოჩარჩოებულია. აღმ. ფასადზე სარკმლის გვერდით შემორჩენილია წარწერიანი ქვა (გამოფიტულია და არ იკითხება).

*ზ. პ., მ. ი.*

**193. ბალისხევის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სკრის ხეობის მარცხ. მხარეს, ნასოფლარ გალისხევის თავში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,5X5,15 *მ*), ნაგებია ფიქალი ქვით. არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრ-ითაა. აღმ. და დას. კედლებში თითო სარკმელია. დარბაზის სწორკუთხა აფსიდი კუთხეებში მომრგვალებულია. შენობას კამაროვანი გადახურვა აქვს. ეკლესიის გარშემო შემორჩენილია გ ა ლ ა ვ ნ ი ს ნანგრევები.

*ბიბლ.:* 107:64.

*ქ. თ.*

**194. გომარეთის წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სკრის ხეობის ბოლოში, გორაკზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. 1920 წ. მიწისძვრამ შენობა ძლიერ დააზიანა. შემორჩენილია სამხრ.-აღმ-ისა და ჩრდ.-დას-ის კუთხეები. ეკლ. დარბაზულია (10,85X8,5 *მ*), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა, სარკმელი — აღმ-ით, საკურთხეველში. შენობის კამაროვანი გადახურვა აგურისაა. ეკლესიის გარშემო გ ა ლ ა ვ ნ ი ს ა და შ ე ნ ო ბ ე ბ ი ს ნანგრევებია.

*ბიბლ.:* 107.

*ქ. თ.*

**195. ელენთის წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სკრის ხეობის ბოლოს, მის მარჯვ. მხარეს, გორაკზე. თარიღდება XVIII ს-ის ბოლოთი და XIX ს-ის დასაწყისით. ეკლ. დარბაზულია (6,6X5,25 *მ*), ნაგებია მცირე ზომის ქვებით. შენობის კამარა, კონქი და კედლების ზედა ნაწილი ჩამონგრეულია, არ არის შემორჩენილი სამხრ.-აღმ. კედლის კუთხე. ეკლესიას შესასვლელი სამხრ-ითა აქვს, სარკმლები — აღმ-ით და დას-ით.

*ბიბლ.:* 107:59-60.

*ქ. თ.*

## ტინისხიდი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

**196. ნასოფლარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს ადგილ. გრძელეებში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები ნასახლარები, შენობათა საძირკვლის ფრაგმენტები. აქვე ზედაპირულად იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ქვევრებისა და თონეების ფრაგმენტები და სხვ.

*ნ. ა.*

**197. ტირიფონის არხი**, ტირიფონის საირიგაციო არხი, სარწყავ-საინჟინრო სისტემა, ისტ. ძ. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკის აღმ. ნაწილში, ტირიფონის ველზე, აშენდა 1924-34 წწ. ნაგებია რკინა-ბეტონით. არხის სიგრძე 41,8 *კმ*-ია, ატარებს 15 *კუბ მ* წყალს, რწყავს 28000 *ჰა*. არხი იწყება ქ. ცხინვალთან და თავდება სოფ. დიდ ხურვალეთში. თავდაპირველად დაიწყო ხელოვნურ საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობა, 1926 წ. 1 ოქტ. — მაგისტრალური არხის გაყვანა. არხი იკვებება მდ. დიდი ლიახვის წყლით და რწყავს სამხრ. ოსეთის (არცევი), გორის რ-ნის (შავშვები, ნადარბაზევი, სვენეთი, დიცი, ქვეში, ხელთუბანი, დიდი და პატარა მეჯვრისხევი, ზეღდულეთი, ზერტი, კირბალი, ბერშუეთი, დიდი ხურვალეთი) სოფლებს.

1940 წლიდან არხზე დაიწყო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რ-იც შეწყდა დიდი სამამულო ომის დაწყების გამო. მშენებლობა განახლდა 1947 წ. და დამთავრდა 1950 წ. 1957 წლიდან დაიწყო ტირიფონის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია. დღეისათვის დამთავრებულია რეკონსტრუქციის ორი რიგის სამუშაოები, გრძელდება მესამე რიგის სამუშაოები.

*ბიბილ.:* 201ზ:572, 589; 202:729.

*ვ. შ., ჩ. თ.*

**198. ქვაყუთები**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში, ადგილ ჭანდაგორასთან, „მაწუკაანთ ვენახის“ გვერდით. თარიღდება ფეოდ. ხანით. ძ. შედგენილია დიდი ზომის ფილაქვებისაგან. თითოეულ მათგანში ქრისტ. წესით დაკრძალულია თითო მიცვალებული. სამარხეული ინვენტარი არ აღმოჩნდა.

*ნ. ა.*

## ტირძნისი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

**199. სოფ. ტირძნისში** მშრომელთა რამდენიმე რევ. გამოსვლა მოხდა. (ა) ახლანდ. ს კ ო ლ ი ს ტერიტორიაზე 1902 წ. სექტ. სოფლის გლეხობამ მოაწყო თავდასხმა სასამართლოს აღმასრულებელზე და პოლიციის ბოქაულზე, რ-ებიც, მემამულე ნ. სულხანიშვილის მოთხოვნით, სოფლის მშრომელებს მსხვილფეხა საქონელს ართმევდნენ. დააპატიმრეს 10 გლეხი, რ-ებსაც გორის საოლქო სასამართლომ სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა.

(ბ) მემამულე სულხანიშვილი მშრომელებს წლების განმავლობაში ავიწროებდა,ართმევდა მათ კუთვნილ მიწებს, ახდევინებდა დიდ გადასახადებს. ამან გლეხობაში მღელვარება გამოიწვია. გლეხებმა მებატონეს დაუნგრიეს სამეურნეო ნაგებობები, გადაუწვეს პურის ყანები. მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა 1905 წ. გაზაფხულზე, როდესაც გლეხებმა მემამულეს უარი უთხრეს გადასახადის გადახდაზე. სულხანიშვილის თხოვნით, მეფის მთავრობამ სოფელში კაზაკების რაზმი (50 კაცი) გამოგზავნა. შეტაკება გლეხებსა და კაზაკებს შორის მოხდა 16 აპრილს (მოკლეს 7, დაჭრეს 10 გლეხი). შეტაკება განახლდა სოფლის ც ე ნ ტ რ შ ი 28 მაისს (დააპატიმრეს რამდენიმე გლეხი). კაზაკების რაზმი სოფელში დიდხანს იდგა და აწიოკებდა მოსახლეობას. 27 ნოემბ. შეიარაღებული გლეხები კვლავ დაესხნენ თავს კაზაკებს (მოკლეს 2 გლეხი). მეამბოხე გლეხების ხსოვნის პატივსაცემად სოფელში დაიდგა მ ე მ ო რ ი ა ლ უ რ ი დ ა ფ ა წარწერით.

ბიბლ.: 46:48; 403:1905 წ. 21 აპრილი. № 56. *ბერძ. ც., ვ. შ., ჩ. თ.*

200. დედაღვთისა, ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ.-ალმ-ით, დემურაანთ უბანში, სასაფლაოზე. აშენებულია 1872 წ. ეკლ. დარბაზულია (9.3X5,9 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით, კუთხეები, სარკმლის საპირეები და სამსაფეხურიანი ლავგარდანი აგურისაა. დაზიანებულია ლავგარდანი და სახურავი. შესასვლელი დას. კედლის ცენტრშია. ნახევარწრიულ აფსიდის ღერძზე განიერი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. ორ-ორი სარკმელი ჩრდ. და სამხრ. კედლებშია. სარკმლები შიგნიდან თაღოვანია, გარედან შეისრულთაღიანი და ტიმპანიანი. დარბაზის გრძივ კედლებზე ორი წყვილი პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა ცილინდრული კამარის საბჯენი თაღები. დას. ფასადის ფრონტონის ქვეშ ჩაღრმავებული ჯვარია, რ-ის ქვემოთ ოთხკუთხა ნიშია. ასეთივე სამი ჯვარი სიმეტრიულად განლაგებულია სამხრ. ფასადზეც. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. *ნ. შ.*

201. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-დას-ით. აშენებულია 1886 წ. ეკლ. დარბაზულია (7,3X5,3 მ), ნაგებია რიყის ქვით, კუთხეები, სარკმლის საპირეები და ლავგარდანი აგურისაა. ეკლესიის კედლები შიგნიდან და გარედან შელესილია. შენობას დაზიანებული აქვს ორსაფეხურიანი ლავგარდანი და სახურავი. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. კუთხეშია. მის თავზე ოთხკუთხა სარკმელია. თითო სარკმელია არაღრმა რკალური აფსიდის ღერძზე, დას-ის და სამხრ-ის კედლებში. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. დარბაზის ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი გრძივი კედლების კრონშტეინებს ეყრდნობა. შენობის იატაკი მიწის ზედაპირზე დაბალია. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით. *ნ. შ.*



201. გეგმა



202. ხედი სამხრ.-ალმ-იდან

202. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ.-ალმ-ით. აშენებულია 1892 წ. ეკლ. დარბაზულია (8,6X5,6 მ), ნაგებია რიყის ქვით. კუთხეები, სარკმლის საპირეები და ლავგარდანი თლილი ტუფის ქვისაა. დაზიანებულია სახურავი და სამსაფეხურიანი ლავგარდანი. ეკლესიას შესასვლელი სამხრ-დან აქვს. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, თითო სარკმელი დას. და სამხრ. კედლებშია. ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი დას. კედლისა და გრძივი კედლების პილასტრებს ეყრდნობა. დას. ფასადის სარკმლის თავზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. ფრონტონის წვერზე დგას ეკლესიის ქვაში გამოკვეთილი მაკეტი. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. *ნ. შ.*

203. ციხე-გალავანი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში, მდ. პატარა ლიახვის მარჯვ. ნაპირზე, ვაკეზე. ც.-გ-ის არქიტ. კომპლექსში შედის: ც.-გ. კოშკებით, ეკლესია და სამრეკლო. ც.-გ. თარიღდება XVIII ს. II ნახ-ით. ნაგებობა გეგმით კვადრატულია (40X30 მ), ნაგებია რიყის ქვით. გალავნის კუთხეებში რამდენიმე ცილინდრული კ ო შ კ ი მდგარა. ორი მათგანი ადრეა დანგრეული, სამხრ.-ალმ-ით მდგარი XX ს-ის 40-იან წლებში დაინგრა. შედარებით უკეთ არის შემონახული ჩრდ.-დას. კ ო შ კ ი. იგი ორსართულიანია, საბრძოლობანიანი. ორივე სართულს ცალკე შესასვლელი აქვს ეზოდან. პირველი სართულის კედლებში რამდენიმე, კვეთით ზევით მიმართული სარკმელია. მეორე სართულის კედლებში, სარკმლებს გარდა, ცალმაგი და ორმაგი სათოფურებიცაა. სართულები გადახურულია გუმბათოვანი კამარით.

ც.-გ-ის კედლები ორიარუსიანია (სიმ. 5-6 მ). ქვედა იარუსი ყრუა. ზედაზე ხის საბრძოლო ბილიკი და სათოფურები იყო.

გალავნის შიგნით დგას რიყის ქვით და აგურით ნაგები დარბაზული (ა) ე კ ლ ე ს ი ა (10X8 მ). სამრეკლოს დას. კედელზე არსებული წარწერის თანახმად, ეკლ. და სამრეკლო ერთად 1830 წ.

203(ა). ხედი ჩრდ.-დას-იდან



აუგია დავით სულხანოვს (სულხანიშვილს). ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — დას-ით და სამხრ-ით, სარკმლები — აღმ-ით, დას-ით და სამხრ-ით. დარბაზი გადახურულია კამარით. აღმ-ის ფასადზე აგურის დიდი ჯვარია გამოსახული. სახურავი ორფერდაა, გადახურულია თუნუქით. შენობაზე სამხრ-ით კ ა რ ი ბ ჭ ე ა მიშენებული. კარიბჭის სარკმელს წვრილი ლილვი აქვს შემოვლებული.

ეკლესიაზე დას-ით მიდგმულია ორსართულიანი ს ა მ რ ე კ ლ ო. მისი პირველი სართული კარიბჭეა, მეორე — ზარების ჩამოსაკიდი ფანჩატური. *ზ. პ.*

## ტყვიავი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

204. (ა) 1903 წ. 12 მაისს სოფელში გლეხებმა განიხილეს ქუთაისის გუბერნიის გლეხთა რევ. მოძრაობის საკითხი. გადაწყვიტეს უარი ეთქვათ მამასახლისის მიერ დაწესებული გადასახადის გადახდაზე.

(ბ) 1905 წ. 16 დეკ. რევოლუციონერების ჯგუფმა განაიარაღა სოფლის პ ო ლ ი ც ი ი ს ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ თ ა ს ა გ უ შ ა გ ო. ტყვიავის მოსახლეობამ არ აცნობა ხელისუფლებას მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. ამის გამო ტყვიავის მაზრის მოსახლეობა მთავრობამ 500 მანეთით დააჯარიმა.

*ბიბლ.:* 46:87; 126:77; 422: ფონდი 17, აღწ. 1, საქმე 9613, ფ. 37.

*ბერძ. ც., ე. შ.*

205. არალეგალური სტამბა, ისტ. ძ. სოფლის ცენტრი. დაარსდა 1905 წ. სტამბაში იბეჭდებოდა პოლიტ. შინაარსის პროკლამაციები. მუშაობას ხელმძღვანელობდა მღვდელი ვ. სამადაშვილი.

*ბიბლ.:* 201ე·603. *ბერძ. ც.*

206. ლადო კეცხოველის სახლ-მუზეუმი, ისტ. ძ. სოფლის ცენტრი, სასოფლო საბჭოს მახლობლად. სახლ-მუზეუმი გაიხსნა 1972 წ. 20 მაისს. იგი XIX ს. დასასრულს აუშენებია ლ. კეცხოველის მამას ზ. კეცხოველს. შენობა დღესაც პირვანდელი სახით არის შემორჩენილი. მემორ. დაფაზე წარწერაა: „აქ 1878 წლის აგვისტოდან 1883 წლის დეკემბრამდე მუდმივად, ხოლო 1883-1899 წლებში დროგამოშვებით ცხოვრობდა ვლადიმერ (ლადო) ზაქარიას ძე კეცხოველი".

მუზეუმის შენობა ერთსართულიანია. სართულზე ოთხი ოთახია მთელ სიგრძეზე აივნით; მარცხნივ აღმ. ოთახია. დანარჩენ სამ ოთახში მუზეუმის ექსპონატებია ძოთაკსებული. ორი მათგანი ნაწილობრივ აღდგენილია ისე, როგორც ლადო კეცხოველის ბავშვობის დროს იყო. ერთ ოთახში, კედელთან, მთელ სიგრძეზე დიდი ტახტია, აქვეა ლადოს ბავშვობის დროინდელი, შინ დამზადებული



206. საერთო ხედი

ჭურჭლის კარადა, მაგიდა, დასაკიდი სარკე, საწერი მაგიდა, ლამფა, კიდობანი, სკამები, კედლებში დატანებულია განჯინა და წალო. საექსპოზიციო განყოფილების მასალა მოგვითხრობს პროფესიონალი რევოლუციონერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე თბილისში, კიევსა და ბაქოში. ცალკე ვიტრინაშია გამოფენილი ლადოს მიერ თარგმნილი და დაბეჭდილი რევ. ბროშურები. ექსპოზიციაში წარმოდგენილია აგრეთვე უნიკალური ექსპონატი — რუსეთის სოციალ-დემოკრ მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის მიერ 1903 წ. 17 აგვ. ლ. კეცხოველის მკვლელობასთან დაკავშირებით არალეგალურად გამოცემული ბროშურა: „ლადო კეცხოველი. მისი ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა".

სარდაფში მარანი და დამხმარე სათავსებია.

*ბიბლ.:* 419. *ბერძ. ც.*

207. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქარელაანთ უბანში. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანის დასაწყისით. ეკლ. დარბაზულია (10,3X6,5 *მ*), ნაგებია რიყის ქვით (წყობა ირეგულარულია), გამოყენებულია ღვინისფერი თლილი კვადრებიც. დაზიანებულია. ჩამონგრეულია ჩრდ. კედლის დეკორატ. თაღი და ლავგარდანი, ჩამოცვენილია შიდა შელესილობა; აღმ. კედლის ზოგიერთ ნაწილში ჩანს აგურის გვიანდ. ჩანართები. ეკლესიას ორი თაღოვანი შესასვლელი აქვს: ერთი დას-ით (ამჟამად გაუქმებულია: ქვები ჩატანებულია ეკლესიაზე მიშენებულ სადურგლო საამქროს კედელში), მეორე — სამხრ-ის კედლის დას. ნაწილში. ამ შესასვლელის თაღში ჩადგმულია ტიმპანის მთლიანი ქვა. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-იც შიგნიდან გარეთ მკვეთრად ვიწროვდება (აფსიდის სხვა კომპონენტები ჩაშენების გამო არ გაირჩევა). ეკლესიის გრძივ კედლებზე წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრია პილასტრების კრონშტეინებს ეყრდნობა კედლის დეკორატ. თაღები, რ-ებიც ოდნავ გამოწეულია კედლის სიბრტყიდან. პილასტრის კაპიტელების და კრონშტეინების დანაწევრება ერთნაირია (შუბლი, ლილვი და სწორხაზოვანი ზოლი). პილასტრების კაპიტელებს საბჯენი თაღი ეყრდნობა. დარბაზის სამხრ-ის კედელში შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა სარკმლებია (ეტყობათ გადაკეთების კვალი). მათგან დას-ის კედლის სარკმელი უფრო განიერია. ერთი სწორკუთხა მცირე სარკმელი დას-ის კედლის ზედა ნაწილშიცაა. ეკლესიის ფასადები მცირედ დეკორირებულია. აღმ-ის სარკმელს თაღოვან თავსართად შემოვლებული აქვს ქვაში ამოკვეთილი შეწყვილებულგრეხილიანი ლილვი გადანაკვეცებით. ლილვზე დაფუძნებულია დიდი ზომის ტოლმკლავებიანი ჯვარი. ასეთივე, მხოლოდ მცირე ზომის ჯვარია გამოსახული სამხრ-ის სარკმლის თავსართის ქვაზე. დას. ფასადზე შემორჩენილია კვადრ. აგურის ორი რიგისაგან შედგენილი ლავგარდანი. ეკლ. გადახურულია ღარიანი კრამიტით. 1940-იან წლებში შენობა გამოიყენეს პურის საცხობად (აფსიდის წინ შემორჩენილია ღუმელი და ბაქანი). ამჟამად სოფლის მაღაზიის საწყობია. ეკლესიის ტერიტორიაზე სადურგლო საამქროა. *კალმ. გ., ნ. თ.*

208. ციხე-დარბაზი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, ვაკეზე. თარიღდება XVIII ს-ით. შედგება სხვადასხვა დროს აშენებული ოთხი კოშკისაგან. ნაგებია რიყის ქვით; დიდ, წაკვეთილი ელიფსის ფორმის ჩრდ-ის კ ო შ კ-

ში (6,8X5,7 მ) გამოყენებულია აგური. კომპლექსი შეიქმნა ლეკების შემოსევების დროს — იყო ფეოდალის ოჯახის თავდასაცავი და ამავე დროს საცხოვრ. ნაგებობა. ც.-დ. ძლიერ დაზიანებულია. თავდაპირველად აგებულია მოგრძო, რვაგვერდა კოშკი (11,3X8,2 მ). კოშკიდან ნაწილობრივ შემორჩენილია ორი სართული. სავარაუდოა, რომ იგი ოთხსართულიანი მაინც იყო. ნაგებობის შემორჩენილ კედლებში მრავალი ცალმაგი და ორმაგი სათოფურია. ყოველ სართულზე თითო ბუხარია. ც.-დ-ის კედლებზე არსებული მხედრ. წარწერების თანახმად, ციხის მეპატრონეს — თამაზ ქარელს — 1754 წ. რვაგვერდა კოშკისთვის დას-დან და ჩრდ-დან მიუშენებია თითო წაკვეთილი ელიფსის ფორმის კოშკი, 1758 წ. კი ჩრდ.-აღმ-ით — მეოთხე კოშკიც. დას-ით მიშენებული ცილინდრული კოშკიდან (3,9X4,9 მ) შემორჩენილია ოთხი სართული, მეორე კოშკიდან კი სამი. შესასვლელი თითოეულ კოშკს ჩრდ-ით, მეორე სართულზე აქვს. ყოველ სართულზე ბუხრები, სათოფურები და სარკმლებია. არის სამეურნეო დანიშნულების ნიშებიც. მეოთხე კოშკიდან (5,4X7,6 მ) სამი სართულია შემორჩენილი. შესასვლელი კოშკს პირველ სართულზე აქვს. კედლებში მრავალი სათოფურია. კართან ახლოს არის ჭა. სართულშუა გადახურვა ყველგან ხისა იყო.

*ბიბლ.:* 302. *ზ. პ.*





208. ხედი დას-იდან, გეგმა

209. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ.-აღმ-ით. თარიღდება XVII-XVIII სს-ით. ეკლ. დარბაზულია (5,83X4,2 მ), ნაგებია რიყის ქვით, კუთხეები, სარკმლის საპირეები და ორსაფეხურიანი ლავგარდანი აგურისაა. ლავგარდანი და სახურავი ძლიერაა დაზიანებული. თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. კუთხეშია. მცირე სიღრმის რკალური აფსიდის ღერძზე ვიწრო სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. ასეთივე სარკმელია დას. კედელშიც. ცილინდრული კამარა გრძივ კედლებს ეყრდნობა. სახურავი ორფერდაა, დარიანი კრამიტის. *ნ. შ.*

210. ხარის გორა, ყორღანულ სამარხთა კომპლექსი, არქეოლ. ძ. მდებარეობს საშ. სკოლის დას-ით, ყოფ. ზოლოტნიცკის მამულში, ე.წ. ხარის გორაზე, მდ. პატარა ლიახვის მარჯ. ნაპირზე. თარიღდება ადრინდ. ბრინჯაოს ხანით, ძვ. წ. 2500 წ. კომპლექსი შეისწავლა გორის ისტ.-ეთნ. მუზეუმის 1938-40 წწ. არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღ. ს. მაკალათია). გაითხარა 3 ყორღანული სამარხი. ყველა სამარხი ქვაყრილიანია, მხოლოდ II და III სამარხია გაერთიანებული. ერთიანი ქვაფენილით. სამარხების ზომები განსხვავებულია: I ყორღანის დიამ. 20 მ-ია, ქვაყრილის ცენტრ. ნაწილის სიმ. — 1,1 მ; II ყორღანი პირველთან შედარებით ოდნავ პატარაა; III ყორღანის დიამ. 12 მ-ს უდრის, ქვაყრილის ცენტრ. ნაწილის სიმ. 0,4 მ. I ყორღანში, ქვაყრილის სხვადასხვა დონეზე, 42 ორმოსამარხია, II და III-ში — თითო. მიცვალებულები დაკრძალულია სხვადასხვა წესით: გულაღმა, გაშოტილი, გვერდზე, მოკუნტული. ზოგ სამარხში მხოლოდ თავის ქალაა დამარხული. ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ომაიანების დინასტიის 741-42 წწ. ვერცხლის ფული. სამარხებში გამოვლინდა თიხის ჭურჭელი: უმეტესად შავზედაპირიანი და წითელსარჩულიანი, სქელკედლიანი, უორნამენტო ორყურა ჯამები; ლითონის ნივთები: ორმაგი ხვეული ბოლოებგახსნილი სასაფეთქლე ხვეები (3 ცალი), ჯვარედინი ხაზებით შემკული მავთულის რგოლისებრი ბეჭედი და სხვ., ობსიდიანისა და კაჟის საჭრისები, საფხეკები, ყუნწიანი ისრის პირები და სხვ. მასალა დაცულია გორის ისტ.-ეთნ. მუზეუმში.

*ბიბლ.:* 152. *ირ. შ.*

## უფლისციხე

(ქვახვრელის სოფსაბჭო)

211. ბამბების ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს უფლისციხის (კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარის) დას-ით, 0,5 *კმ*-ზე, კვერნაქის ქედის სამხრ-ით, ადუანთხევის მარჯ. მხარეს, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე, ადგ. ბამბებში. ნამოსახლარის დიდი ნაწილი დანგრეულია მდ. მტკვრის ნაპირების ჩამოშლისა და ნიადაგის ეროზიის გამო. იგი შედგება 4 კულტ. ფენისაგან, რ-იც მოიცავს პერიოდს ძვ. წ. IV ს-დან ახ. წ. III ს-მდე. კიდევ უფრო ადრეულ ხანას მიეკუთვნება აქ აღმოჩენილი ჩანგზე დამკვრელის თიხის ფიგურა.

ბ.ნ-ის I ფენაში გამოვლინდა ძვ. წ. IV ს-ის სამაროვანი, რ-იც შედგება პატარა სწორკუთხა ორმოსამარხებისაგან. მიცვალებულები ასვენია ძლიერ მოკრუნჩხული, თავით ჩრდ-კენ. აღმოჩნდა წელშეზნექილი სამაჯურები, მინის მრავალწახნაგა საბეჭდავი მძივები, ფარაკიანი ბეჭდები, სახელოსნო იარაღები, მოხატული, შეღებილი და გაპრიალებული თიხის ჭურჭელი.

ბ.ნ-ის II ფენა ძვ. წ. III-II სს. მიე-

კუთვნება. აქ გამოვლინდა მედაბურთა სამოსახლოები — საცხოვრ. სახლები, მარანი, საკუჭნაო და დამხმარე ნაგებობები. ზოგიერთ საცხოვრ. სახლში არის ე.წ. ხოვლური ტიპის ღუმელი. სახლები და ღუმელები ნაგებია ხითა და თიხით. იატაკი თიხატკეპნილია. რამდენიმე საცხოვრ. სახლის იატაკით გადახურულია ნამოსახლარის I ფენის სამარხები. ზოგ ადგილას აღმოჩნდა კვერის კოხები, ვაზის სასხლავი დანები, მოხატული, შედებილი, გაპრიალებული და სადა თიხის ჭურჭელი. გვხვდება მოხატული ქვევრები და ყავისფერკეციანი კოლხური ამფორა, თიხის ქანდაკებები და ა.შ.

III ფენას შეადგენს ძვ. წ. I ს. ნამოსახლარი და სამაროვანი. ზოგიერთი ორმოსამარხის იატაკი გამართულია II ფენის ნაგებობათა იატაკზე და ზოგჯერ აზიანებს კიდეც მას. მიცვალებულები აქაც მოკრუნჩხული, თავით ჩრდ-კენ ასვენია. გვხვდება წელშეზნექილი სამაჯურები, მოხატული ჭურჭლის გვიანდ. ვარიანტი. პირველად გამოჩნდა პართული მონეტები. III ფენის ნამოსახლარის საკარმიდამო კომპლ. II ფენის ნამოსახლარის მსგავსია. შეიცავს საცხოვრ. ნაგებობას, მარანს, საკუჭნაოს და სხვ. დამხმარე სათავსებს. საცხოვრ. კომპლექსისათვის დამახასიათებელია შუაკერა და „ხოვლური ღუმელი“.

IV ფენაში I-III სს-ის სამაროვანი და ნამოსახლარის ნაკვალევია. ორმოსამარხის ინვენტარიდან აღსანიშნავია რომაული მონეტები.

*ბიბლ.:* 258; 259; 260 ა-ბ. *ხ. დ.*

212. კიკილაანთ ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, 0,5 *კმ*-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6,5X4,2 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიულ, ოდნავ ნალისებრ აფსიდში ერთი სარკმელი და ორი მცირე ნიშაა. ერთი სარკმელი დას. კედელშია. გადახურვა არ არის შემორჩენილი. *გვას. ჯ.*

213 კლდის ფარეხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, ე.წ. ადუაანთხევის სათავეებთან. თარიღდება ფეოდ. ხანით. შეისწავლა უფლისციხის 1957-63 წწ. არქეოლ. ექსპედიციამ (უფროსები: თ. ქარუმიძე, დ. ხახუტაიშვილი). ძ.შ. შედგება ორრიგად განლაგებული კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულებისაგან. ზედა სართული სახიზარი იყო, ქვედა — მშვიდობიანი დროის საცხოვრებელი, მოგვიანებით გამოუყენებიათ ფარეხად. სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. *ხ. ნ.*

214. კლდის წყაროს ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, 3 *კმ*-ზე, კვერნაქის ქედის სამხრ. ფერდობზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ნამოსახლარი შეისწავლა უფლისციხის 1957-63 წწ. არქეოლ. ექსპედიციამ (უფროსები: თ. ქარუმიძე, დ. ხახუტაიშვილი). ნამოსახლარისაგან შემორჩენილია შენობების მიწისქვეშა ნაწილის კვალი და წყარო, რ-იც „კლდის წყაროს“ სახელით არის ცნობილი. *ხ. ნ.*

215. ლალაანთხევის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე, კლდეში ნაკვეთი ქალაქის გარეუბანში, უფლისციხიდან 3 *კმ*-ზე. თარიღდება ანტ. ხანით. ლ. ნ. შეისწავლა უფლისციხის 1963-69 წწ. არქეოლ. ექსპედიციამ (უფროსები: თ. ქარუმიძე, დ. ხახუტაიშვილი).

*ბიბლ.:* 260 ა. *ხ. ნ.*

216. ლაშეთხევის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე, ლაშეთხევის (მლაშე ხევის) მდ. მტკვართან შეერთების ადგილას, ხევის მარჯ. მხარეს, ბორცვზე. შეისწავლა უფლისციხის 1963-69 წწ. არქეოლ. ექსპედიციამ (უფროსები: თ. ქარუმიძე, დ. ხახუტაიშვილი). ნამოსახლარი რამდენიმე კულტ. ფენისაგან შედგება. უძველესი ფენა ძვ. წ. III ათასწლ. I ნახევრით თარიღდება, ყველაზე გვიანდ. — ანტ. ხანით. ლაშეთხეველთა მეურნეობაში წამყვანი ყოფილა მიწათმოქმედება, მისდევდნენ მეთუნეობასა და ხელოსნობის სხვა დარგებსაც. სარწყავად იყენებდნენ „ავაზნების წყაროს“, რ-იც ნამოსახლარიდან ჩრდ-ით 1,5 *კმ*-ზე იღებს სათავეს. ლ. ნ. თავისი უძველესი ფენით მტკვარ-არაქსის ადრინდ. ბრინჯაოს ხანის კულტურას მიეკუთვნება.

*ბიბლ.:* 260 გ. *ხ. ნ.*

217. სალიზვარის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს კლდეში ნაკვეთი ქალაქის აღმ-ით, 0,5 *კმ*-ზე. მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირას. თარიღდება ფეოდ. ხანით. შეისწავლა უფლისციხის 1957-63 წწ. არქეოლ. ექსპედიციამ (უფროსები: თ. ქარუმიძე, დ. ხახუტაიშვილი). სალიზვარი, ე. ი. „კლდის ვენახი“, უფლისციხის გარეუბანი და ერთ-ერთი სას.-სამ. უბანია. აქ აღმოჩენილია კლდეში ნაკვეთი საწნახლები, რ-ებიც თარიღდება XII-XIII სს-ით. ვენახები, როგორც ჩანს, მდ. მტკვრის ჭალაში იყო გაშენებული და კლდეში გამოყვანილი რუს წყლით ირწყვებოდა.

*ბიბლ.:*257; 260 ა; 259. *ხ. ნ.*

218. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, 150 *მ*-ზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ეკლ. (3,5X2,9 *მ*) გამოკვეთილია კლდეში, მასთან მისასვლელი საფეხურებიც კლდეშია ამოჭრილი. შესასვლელი დას-ით აქვს. შესასვლელის თავზე პატარა სარკმელია. აღმ-ით ღრმა ნალისებრი აფსიდია. რ-ის ღერძზე ამოკვეთილია ოდნავ ჩაღრმავებული თაღოვანი ნიში; ქვემოთ დგას კლდეშივე გამოკვეთილი სწორკუთხა სატრაპეზო ქვა. ჩრდ. კედელში განიერი თაღოვანი ნიშაა. აფსიდს გასდევს მაღალი ბაქანი შუაში ორსაფეხურიანი კიბით. აფსიდის ბრტყელი კონქი კუთხეებში ეყრდნობა პილასტრებს, რ-ებსაც თაროსებრი კაპიტელი და ასეთივე ბაზისი აქვთ. ეკლესიის ჭერი ბრტყელია და გრძივ კედლებზე წრეთარგის ფორმით გადადის. *ნ. შ.*



218. წინხედი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა

219. ჭათლანისხევის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, 1,5 *კმ*-ზე, მდ. მტკვრის მარცხ ნაპირზე. კვერნაქის ქედის სამხრ-ით. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს-ანტ.

ხანით და ადრინდ. ფეოდ. ხანით. ნამოსახლარი, ძირითადად მისი სამხრ. მხარე, დაზიანებულია ეროზიის შედეგად. შეისწავლა უფლისციხის 1957-63 წწ. არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვანელები: თ. ქარუმიძე, დ. ხახუტაიშვილი). ნამოსახლარი შეიცავს რამდენიმე კულტ. ფენას, მ.შ. უძველესია ე.წ. ყათლანისხევი I, რ-იც დაცულია განაპირა ბორცვებზე და თარიღდება ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ-ის დამდეგით. შემდეგი ფენა – ყათლანისხევი II ფარავს პირველს და განეკუთვნება ძვ. წ. XIII-IX სს. იგი ნაყოფიერების წარმართულ ღვთაებათა სამლოცველო ყოფილა, რ-იც ძლიერ ხანძარს გაუნადგურებია. გადარჩენილა 4 სამლოცველო სენაკისა და ხატის ბეღლის ნაშთები. სალოცავში შემორჩენილია ხარისა და მოზვრის თავის თიხის მოდელები, ქალღმერთის თიხის რელიეფური გამოსახულება, ასტრალური ნიშნები და სხვ.; აგრეთვე ხატისათვის შეწირული ნივთები: კევრის კოხები, კაჟის ნამგლის ჩასართები, ხელსაფქვავები, ცხოველთა თიხის ფიგურები და ა.შ. სავარაუდოა, რომ სამლოცველო რომელიღაც მტრული თემის შემოსევის დროს განადგურდა, რის შემდეგაც მის გარშემო დასახლებული თემი აქედან აყრილა.

ნამოსახლარის შედარებით ახალი დასახლებები განლაგებულია მდ. მტკვრის პირას, ყათლანისხევის ორივე მხარეს. თარიღდება ანტ. ხანითა და ადრინდ. შუა საუკუნეებით შემორჩენილია როგორც ნამოსახლარები, ისე სამარხები. უძველესია ყათლანისხევის მარცხ. ნაპირის ნამოსახლარი, რ-იც ბამბების ნამოსახლარის სინქრონულია. აქვეა ამავე დროის სამაროვანი, რ-შიც მიცვალებული კევრზეა დასვენებული. ნამოსახლარში გამოვლინდა მოხატული, შეღებილი, გაპრიალებული და სადა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, კერამ. ჭურჭლისა და ქვევრების ნატეხები. მომდევნო ფენას შეადგენს გვიანდ. ანტ. ხანის ნასახლარი, სადაც აღმოჩნდა სასანური ხანის თიხის ბულა ფალაური წარწერით. ყათლანისხევის მარჯვ. მხარეს გამოვლინდა ახ. წ. I-III სს. ნამოსახლარი და ორუბნიანი სამაროვანი. ხევის პირას რიგითი მედაბურების სამარხებია, მდ. მტკვრის პირას კი – მდიდარი მედაბურების. ნაპოვნია ამავე ხანის რკინის სახნისი და წერნაქით შეღებილი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტები.

ყათლანისხევის ორივე მხარეს ახ. წ. I ს-ში უფლისციხის (კლდეში ნაკვეთი ქალაქის) გარეუბნის ერთ-ერთი თემი სახლობდა.

ყათლანისხევის თემების მეურნეობებში წამყვანი ყოფილა სოფ. მეურნ. ისინი ძვ. წ. II ათასწლეულიდანვე იცნობდნენ სოფლის მეურნეობის ისეთ ინტენსიურ დარგს, როგორიცაა მევენახეობა. IV ს-ში ყათლანისხევში დაქვეითების ძლიერი ნიშნები შეინიშნება, ხოლო X ს-ისათვის მოსახლეობის არავითარი კვალი აღარ ჩანს.

*ბიბლ.:* 260 ა; 259. *ხ. დ., ხ. ნ.*

220. ყვავის საყდარი და ნამოსახლარი. არქიტ., არქეოლ. ძ. ეკლ. დგას უფლისციხის (კლდეში ნაკვეთი ქალაქის) აღმ-ით, 6 *კმ*-ზე, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე, ლაშეთხევის (მლაშე ხევის) სათავესთან, მთაზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლესია (ა) დარბაზულია (10,6X5,7 *მ*). ნაგებია მწვანე და მოყვითალო დიდი თლილი ქვებით. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილი კედლების სიმ. 1,5-4 *მ*-ს არ აღემატება. საყდრის ირგვლივ მიწით დაფარული კედლების ნანგრევებიცაა. საყდარს შესასვლელი სამხრ-დან აქვს. ნახევარწრიულ აფსიდში ორი სარკმელია. გრძივი კედლები დანაწევრებულია წყვილი პილასტრით.

ნაგებობის მახლობლად მისივე სახელწოდების ძვ. ნამოსახლარია (ბ), რ-იც თარიღდება XI-XIII საუკუნეებით. შეისწავლა უფლისციხის 1957-63 წწ. არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვანელები: თ. ქარუმიძე, დ. ხახუტაიშვილი). *ქ. თ., ხ. ნ.*

211. ჩანგზე დამკვრელი. თიხა



219. ქალღმერთი. თიხა



# უფლისციხე

ნაქალაქარი

222. უფლისციხე, კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი, არქიტ., არქეოლ., ისტ. ძ. მდებარეობს ქ. გორის აღმ-ით 20 *კმ*-ზე, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე. გამოკვეთილია კვერნაქის ქედის სამხრ. ფერდობზე, ადვილად დასამუშავებელ ქვიშაქვის მასივში. ფართობი 9,5 *ჰა*. უ. შედგება სამი უბნისაგან და შეიცავს ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ანტ. ხანის შიდა ქალაქისათვის (ციტადელისათვის) დამახასიათებელ კომპონენტებს: ზღუდეს, თხრილს, რამდენიმე შესასვლელს, გვირაბს, წყალსადენს, წყალსაწრეტი არხების ქსელს. უ-ის კომპლექსში შედის: გრძელი ნაგებობა, დასავლეთის ეკლესია, დიდესოიანი და ერდოიანი სახლები, ერთსვეტიანი და კესონებიანი დარბაზები, კოხტა სახლი, მაღალტახტიანი ოთახის კომპლექსი, მთავარი ქუჩის თავში მდებარე ნაგებობა, მიუვალი ნაგებობა, სადა ოთახი, მოხატულოთახიანი სახლი, ორსვეტიანი და ოთხსვეტიანი დარბაზების (მთავარი ტაძრის) კომპლექსი, უფლისწულის ეკლესია, ქარაფისპირა სახლი, ქუჩისპირა ბაქანი, შეწყვილებულკოჭებიანი დარბაზი, წითელი ოთახის კომპლექსი და ა.შ. (ცალკეული ოთახების, დარბაზებისა და კომპლექსების სახელწოდებები პირობითია).

უ-ის შესახებ ცნობები წერილობით წყაროებში პირველად VII ს. გვხვდება. საყურადღებოა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა: „აშურიანს ზეით არს უფლისციხე, კვერნაქის გამოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკურის კიდესა, რომელი აღაშენა პირველად უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ჩინგისამდე, აწ არს შემუსვრილი. არამედ შენობა უცხო კლდისგან გამოკუეთილი; პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებულნი კლდისგანვე; გვირაბი ჩახვრეტილ-ჩაკაფული მტკურამდე, დიდი. დასავლით აქუს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამო-

კუეთილნი ქუაბნი მრავალ-დიდნი, არამედ აწ შეუალ არს. აქა... გამოსული იხილვების სპა-ლაშქარნი შუბოსან-მშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშკრებულნი, ნიშვნენ მისნობად და უწოდებენ უფლისციხეს".

უ-ის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ძირითადი ეტაპები გაირკვა არქეოლ. კვლევა-ძიების შედეგად, რ-საც მეოთხედი საუკუნეა აწარმოებს საქართვ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ИАЭ ინტ-თან ერთად. 1976 წ-მდე ექსპედიციებს ხელმძღვანელობდა შ. ამირანაშვილი; უფროსი იყო თ. ქარუმიძე (1982 წ-მდე). 1976 წ-დან ექსპედიციას ხელმძღვანელობს თ. სანიკიძე; 1982 წ-დან უფროსია პ. ჯაში; კვლევის დაწყებიდან დღემდე არქეოლოგიური ჯგუფის უფროსია დ. ხახუტაიშვილი. ძ-ზე ჩატარებული კვლევის და განათხარი მასალები ინახება საქართვ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმში. არქეოლ. კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა მისი რთული ცხოვრების ზოგადი ისტორიის გარკვევა, თავდაპირველი მშენებლობის დროის, არქიტექტურის დადგენა, მისი შემდგომი აღდგენისა და მრავალრიცხოვანი გვიანდ. გადაკეთებათა სამშენ. ფენების გამოყოფა. მოპოვებული მასალები მოგვითხრობს უფლისციხელთა კავშირზე ურარტუს, ირანის, სომხეთის, მცირე აზიისა და ბერძნულ-რომაული სამყაროს სხვა რეგიონების კულტ. ცენტრებთან.

ნაქალაქარის შესწავლაში გვეხმარება უ-ის მიდამოებში გათხრილი მრავალი საინტერესო არქეოლ. ძ. — თანამედროვე სოფ. უფლისციხის მახლობლად მდებარე ბამბების, ლაშეთხევის ნამოსახლარები, ყათლანისხევის, გორის წარმართული სალოცავის ნანგრევები, სოფ. უფლისციხის ანტ. ხანის რამდენიმე სამაროვანი, ფეოდ. ხანის ნასოფლარები, სამაროვნები, სახიზრები და ა. შ.

უ-ისა და მისი გარეუბნის მეურნეობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს არქეოლ. გათხრებით გამოვლენილი აგრარული კულტების სალოცავი, კლდეში ნაკვეთი საწნახლები, ვაზის სასხლავი დანები, რკინის სახნისი, კევრები, რიტუალური დანიშნულების ნივთები, ოქროს, ვერცხლის, რკინის, ბრინჯაოს, ქვის, თიხის სამკაულები, ქანდაკებები და სხვ. ხელოსნური ნაწარმის სიმრავლე, მრავალფეროვნება და მხატვრული სინატიფე უ-ს უძველესი დროის ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვან ცენტრად წარმოადგენს.

უ-ის არქიტ. ანსამბლი ქართვ., რუსი და უცხოელი მკვლევრების ყურადღებას იქცევდა. აღსანიშნავია, რომ შვეიცარიელი მეცნიერი დიუბუა დე მონპერე უ-ს წინა ქრისტ. ხანის ძ-ად მიიჩნევს.

ძვ. წ. II და I ათასწლ. მიჯნაზე უ-ის მიდამოების დაბათა ერთ-ერთ ძლიერ თემს არსებული ბუნებრივი გამოქვაბულები საცხოვრებლად გამოუყენებია, გაუმართავს და სამოსახლოც სათანადოდ გაუმაგრებია.

ადრინდ. რკინის ხანაში (ძვ. წ. X-VI სს.) უ. შიდა ქართლის გაბატონებული თემის საცხოვრისი და სატომო გაერთიანების ბელადის (უფლის) ციხეა. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს შეერქვა მას უფლისციხე („უფლის", „ბელადის" ციხე-ქალაქი).

უ-ის თემს თანდათან დაუმორჩილებია ირგვლივ მდებარე დაბების მოსახლეობა. ძვ. წ. VI-V სს. უ. შიდა ქართლის ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტ., ეკონ. და კულტ. ცენტრი და დიდხანს სამეფო ქალაქიც იყო.

ძვ. წ. III-I სს. უ. ტიპური ელინისტ. ქალაქია, თავისი ციტადელით, ქალაქითა და სას.-სამ. გარეუბნით, მეურნეობით, სოციალური იერით, ალებმიცემობით, ხელოსნური წარმოებით და ა.შ. იგი საკმაოდ დიდი რეგიონის სამეურნეო ცხოვრების ცენტრია და ფართოდაა ჩაბმული საერთაშორისო სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობაში.

ახ. წ. I-III ს. უ. კვლავაც მნიშვნელოვანი საქალაქო და სამხ.-სტრატეგიული ცენტრია, ამავე დროს წარმართული საკულტო ადგილიც.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწ. რელიგიად გამოცხადების შემდეგ (IV ს. 30-იან წლებში) უ-ში საქალაქო ცხოვრება დაქვეითდა, მაგრამ ფეოდ. ხანაში იგი მაინც დარჩა უძლიერეს ციხე-სიმაგრედ. VIII ს-დან უ. ქართლის ქალაქებს შორის პირველობდა და საქართველოს არაბებისაგან გათავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი ფორპოსტი იყო.

IX-X სს. ციხე-ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა. აქ გაბატონებისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ ქართვ. ბაგრატიონები, კახეთის მთავრები და სომხეთის მეფეები. ფეოდ. საქართველოს პოლიტ. გაერთიანების შემდეგ უ-მ თანდათან დაკარგა მნიშვნელობა. მონღოლთა შემოსევების (XIII ს.) პერიოდში იგი ძლიერ დაზიანდა. XV ს-ში კი უ. საბოლოოდ დაეცა, ხოლო გვიანდ. ფეოდ. ხანაში დაიცალა მოსახლეობისაგან. შემდეგ უ-ს თავს აფარებდა მტრისგან აწიოკებული ახლო სოფლების მოსახლეობა.

ნაქალაქარში შემორჩენილია სხვადასხვა დროს კლდეში ნაკვეთი დარბაზები, სათავსები და ცალკეული ნაგებობები.

ანტ. ხანის კლდეში ნაკვეთი დარბაზები და ნაგებობები გამოირჩევა დიდი ზომებით, გეგმარებისა და არქიტ. ფორმების გეომეტრიული სიზუსტით, მორთულობის მაღალმხატვრული შესრულებით. კლდე რკინის იარაღით არის ნაკვეთი. ანტ. ხანის ოსტატები კლდის ზედაპირს განსაკუთრებული გულმოდგინებით ამუშავებდნენ და ამიტომაც მას იარაღის კვალი არ ეტყობა. ფეოდ. ხანის დარბაზები შედარებით დაუდევრად არის გამოკვეთილი. მათ აშკარად ეტყობათ დამუშავებისა და საკვეთი იარაღის კვალი.

უ-ში, გარდა კლდეში ნაკვეთი დარ-



222. საერთო ხედი

ბაზებისა. შემორჩენილია ჩვეულებრივი წესით ნაშენ ნაგებობათა ნაშთებიც. მ. შ. ანტ. ხანის შენობები ნაგებია კარგად გათლილი და დამუშავებული კირქვის მოზრდილი კვადრებით. წყობა მშრალია. კვადრები ერთმანეთთან დაკავშირებულია მერცხლის კუდის ფორმის ფოსოებში ჩასმული ლითონის სოლებით. ფეოდ. ხანის ნაგებობათა უმეტესობა ნატეხი ქვით არის ნაგები. ნაქალაქარის ტერიტორიაზე შემორჩენილია აგურისა და ალიზის შენობებიც.

კლდოვან ფერდობზე მდებარე ქალაქს სამხრ-დან და დას-დან კარგად იცავდა მაღალი ციცაბო ქარაფი, ჩრდ-დან და აღმ-დან — კლდეში ამოკაფული თხრილი (სიღრმე დაახლ. 10 მ, სიგ. 10-15 მ). თხრილი მიღებულია ბუნებრივი ღრმულების ხელოვნურად გაფართოების შედეგად. მისი ნაპირები ძლიერ დამრეცია. თხრილის შიგა კიდეს გასდევს მაღალი და განიერი (სიგ. 3-4 მ) ზღუდე, რ-შიაც მრავალსართულიანი, კრამიტით გადახურული კოშკია ჩაშენებული. ზღუდეც და კოშკიც ძლიერ დაზიანებულია.

ქალაქს რამდენიმე შესასვლელი ჰქონდა. მათგან ჩრდ-ით მდებარე მთავარი შესასვლელი ანუ „დიდი კლდეკარი“ („კლდი ორღობე“) წარმოადგენს კლდეში ამოკაფულ თავგახსნილ გვირაბს (სიგრ. 150 მ, სიგ. 2,5 მ, სიმ. ზოგან 10 მ-მდე). თარიღდება ძვ. წ. IV-III სს-ით. აქ გადიოდა ის უძველესი სავაჭრო-სატრანსპორტო ტრასა, რ-იც შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზებს ერთმანეთთან აკავშირებდა. ნაქალაქარში გზას მთელ სიგრძეზე დღესაც ეტყობა ბორბლიანი ტრანსპორტის კვალი. ქალაქის სამხრ.-დას. ნაწილში მდებარეობს უ-ის „მცირე კლდეკარი“. იგი მთლიანად კლდეშია ჩაკვეთილი (სიგრ. 60 მ, სიგ. 1,5 მ) და წარმოადგენს შიდა ქალაქის ძირითად შესასვლელს. ქალაქს ჰქონდა საიდუმლო შესასვლელიც — სამხრ-ით მდებარე გვირაბი (დიამ. 3 მ), რ-იც მტკვრის ნაპირზე გადის. ალყის დროს ქალაქი აქედან მარაგდებოდა წყლით.

„მცირე კლდეკარის“ ბოლოს იწყება უ-ის შიდა ქალაქის მთავარი ქუჩა. იგი ჩრდ-კენ მიემართება და ქალაქის ცენტრში მდებარე მოედანს უერთდება. ამ მაგისტრალიდან გვერდებზე გადის უფრო ვიწრო ქუჩები, რ-თა გაყოლებით სხვადასხვა დანიშნულების მრავალი ხუროთმოძღვრული კომპლექსი, დარბაზი და ნაგებობაა შემორჩენილი. მთავარი ქუჩის ზედა მონაკვეთი მიჰყვება ღრმა ხევს, რ-იც საცხოვრებლად იყო გამოყენებული. ხევში, 10 მ-ის სიღრმეზე, აღმოჩნდა სახელოსნოს ნაშთები და არქეოლ. განძი. ხევის კიდეზე ქუჩას გასდევს კლდეში ამოღარული ქვის ფილებით დახურული წყალსაწრეტი არხი. ხევი და მთავარი ქუჩა ქალაქს ყოფს ორ არათანაბარ ნაწილად, რ-თაგანაც დას-ისა უფრო დიდია და უფრო მნიშვნელოვანიც.

ქალაქის გეგმა განპირობებულია რთული რელიეფით. კლდე, სადაც ანსამბლია გამოკვეთილი, დას-კენ ამაღლებულია, სამხრ-ით ვერტიკალურად ჩაჭრილია მტკვრის ნაპირამდე. უ-ის კლდეში ნაკვეთი საცხოვრ. და საზ. დანიშნულების სათავსები ტერასისებურად არის განლაგებული. ტერასა ჩრდ-დან სამხრ-კენ ეშვება, რაც იწვევს ქვაბულთა ორიენტაციას ძირითადად სამხრ-კენ, იშვიათად — აღმკენ. თითოეული მათგანის წინ ხელოვნურად მოსწორებული ქუჩა ან მოედანია. ანტ. ხანის ყველა დარბაზი ერთსართულიანია. ფეოდ. ხანის ნაგებობებში ეს პრინციპი დარღვეულია. ამიტომაც ამ პერიოდში სართულებად გამოკვეთილი ქვაბულების მეტი ნაწილი ჩამონგრეულია.

უ-ის კლდეში ნაკვეთი კომპლექსები ერთმანეთთან დაკავშირებულია

222. გენგეგმა: ა. ჩრდ-ისა და აღმ-ის თხრილები; ბ. ქალაქის ზღუდის ნარჩენები; გ. ქალაქის სამხრ.-აღმ-ის კარი; დ. ქალაქის სამხრ.-დას-ის კარი; ე. ქალაქის ჩრდ-ის კარი; ვ. გვირაბი; ზ. მთავარი ქუჩა; 1. ქულბაქები; 2. კხონებიანი დარბაზი (229); 3. ორსვეტიანი (თამარის) დარბაზი (236(ა)), 4. ოთხსვეტიანი დარბაზი (235); 5. უფლისწულის ეკლესია (238); 6. მაყვლიანი (232), 7. დიდი ნაგებობა (226). *რ. მეფისაშვილისა* და *ვ. ცინცაძის* მიხედვით.



გზა-ბილიკებით. მათ მკაფიო დაგეგმარება აქვთ. დარბაზების წინ მცირე ზომის ეზო-მოედნებია. დარბაზები განლაგებულია ეზოს ერთ ან სამ მხარეს. ეზოში გამოდის კამაროვანი ან არქიტრავიანი პორტიკი, რ-იც აერთიანებს არქიტექტურულად მასზე დაქვემდებარებულ, შედარებით მცირე ზომის ქვაბულებს. კომპლექსების უმეტესობას აქვს საკუთარი სამეურნეო დანიშნულების სათავსები.

დარბაზები გამოკვეთილია ჩვეულებრივი, ზედაპირული სამშენ. წესების დაცვით და არქიტექტურულად სათანადოდ გააზრებული ინტერიერი და ფასადებიც აქვთ. კლდის დარბაზების მორთულობაში ვხედებით როგორც ქვის არქიტექტურისათვის დამახასიათებელ დეკორს, ასევე ხის ნაგებობათა ელემენტების იმიტაციებსაც.

კლდეში ნაკვეთ ქალაქში მდებარეობით, ნაგებობათა სიდიდით, არქიტ საზეიმო ხასიათით გამოირჩევა შიდა ქალაქის შუა უბანი.

ქვემო, სამხრ-ის, და ზემო, ჩრდ-ის, უბნები ბევრად მცირეა და, როგორც ჩანს, უფრო სამეურნეო დანიშნულებისაა.

საფიქრებელია, რომ ციტადელის გარეთ, მის აღმ. და ჩრდ. მხარეს, ზღუდისა და თხრილის გადაღმა, კლდეში გამოკვეთილ მოზრდილ ტერასებზე აგებული იყო ქვისა და ხის სახლები, სადაც შუა უბნის მცველები და მსახურები ცხოვრობდნენ.

შუა უბანს უჭირავს ქალაქის უმეტესი და უმაღლესი ნაწილი. უბანს ორ არათანაბარ ნაწილად ყოფს მის ცენტრში გამავალი მთავარი ქუჩა. მთავარი ქუჩიდან დას. მაღალ ნაპირამდე, ბაქნებზე და განივ ქუჩებზე ტერასულად განლაგებულია ნაგებობები, რ-ებიც ერთმანეთს უკავშირდება კიბეებით. სწორედ ესენია ყველაზე მნიშვნელოვანი კლდეში ნაკვეთი ნაგებობები. თითოეული მათგანი შორიდანვე ჩანს და ერთად შთამბეჭდავ ანსამბლს ქმნიან.

პირველ, განივ ქუჩაზე სადა ოთახების მწკრივია, რ-საც მოსდევს შეწყვილებულკოჭებიანი დარბაზი. ქუჩის ბოლოში კესონებიანი დარბაზის კომპლექსია. პირველი ქუჩის კუთხესა და მთავარ ქუჩას შორის ორი მცირე სადა ოთახი და დიდი საცხოვრ. სახლია. სახლის ეზოს სიღრმეში, ქუჩის პირდაპირ, კამარით გახსნილი დარბაზია, დარბაზის უკან — დახურული ოთახი. ეზოს ორივე მხარეს კი ორ-ორი ოთახია. ამ სახლის გვერდზე შემორჩენილია დიდი დარბაზის იატაკი და ორი კედელი. დარბაზის ზევით, ვერტ. კუთხოვანი კლდის სიბრტყეში, მცირე, გამოქვაბულივით გახსნილი ოთახია. შუა უბნის მთელ სიგანეზე ხელოვნურად მოსწორებული დიდი ბაქანია, რ-ზეც აღმართულია ორსვეტიანი და ოთხსვეტიანი დარბაზების რთული კომპლექსი. დარბაზებს შორის მთავარი ქუჩისკენ ფართოდ გაშლილი სამკუთხა ეზოა. ბაქნის დასით, ქარაფის პირას, ჩაქცეული დარბაზის დიდი თაღია შემორჩენილი. ბაქნის სამხრ. ნაწილში რამდენიმე დარბაზის კედლის ძირი და ქუჩაა. ბაქნის სამხრ. ნაპირიდან სანახაობათა კომპლექსის ფრონტონამდე, აქედან კი ღია დარბაზის ეზომდე, გაჭრილია კიბეებიანი მოკლე კლდეკარი. ღია დარბაზის ბანი სატაძრო დიდი ბაქნის სამხრ.-დას. კუთხეა.

ოთხსვეტიანი დარბაზის ბანის დონეზე, ხელოვნურად მოსწორებულ ბაქანზე, ერთსვეტიანი დარბაზი და ალიზის მოხატულოთახიანი სახლია, ქარაფის პირას კი — XIII-XIV სს. ეკლესიები. ბაქნის ჩრდ.-აღმ. კუთხეში მთავარი ქუჩიდან ამოსასვლელი კიბეა, ჩრდ.-დას. კუთხეში — ციტადელის უმაღლეს ადგილზე ასასვლელი კიბე. აქ დგას კოხტა სახლი. მის გვერდით ოთხკუთხა ბაქანია, რ-ზეც ირგვლივ ამოკვეთილია ხის სვეტების ჩასადგმელი ფოსოები.

მთავარი ქუჩის ბოლოში მდებარეობს მაღალტახტიანი ოთახის კომპლექსი. ქუჩა კი თითქოს შედის მის თავში მდებარე დიდი ნაგებობის წინა, ღია დარბაზში. დიდი ნაგებობის მეზობლად, ქუჩის პირას, აღმ-ით მდებარეობს წითელი ოთახის კომპლექსი.

დიდი ეზოს ჩრდ. მხარეს ორი ოთახია, მათ წინ — ღია დარბაზები. სამხრ. მხარეს კი დგას ქრისტ. ეკლესია, რ-ის ქვეშ ჩანს კლდეში ნაკვეთი ძვ. ნაგებობის ნაწილები. ზემოდან მეორე ტერასაზე გრძელი ნაგებობაა, რ-საც ფასადის ცენტრში ბურჯი აქვს. ამ ტერასიდან იწყება ღრმად ჩაჭრილი ღელეს (სიღრმე 10,2 *მ*) ვიწრო სათავე. ღელე თანდათან განიერდება, აღმ-ით უხვევს, ზღუდის ქვეშ გადის და ფერდობზე იშლება. ღელეს ნაპირის გაყოლებით მთავარი ქუჩაა. გათხრამდე ღელეს ადგილას იყო ბორცვი. ღელე ამოვსებულია ფეოდ. ხანის მშენებლობის რამდენიმე პერიოდის ნანგრევებით. ღელეს ჩრდ. ნაწილში აღმოჩნდა ანტ. ხანის კლდეში ნაკვეთი დიდი დარბაზის ჩრდ. ნაწილის იატაკი და კედლები. დარბაზი მთლიანად კლდეში არ უნდა იყოს გამოკვეთილი. გადახურვისათვის და ნაწილობრივ კედლებისთვისაც სხვა მასალაც უნდა იყოს გამოყენებული. იატაკში ამოჭრილი ბუდეები და ხის ნარჩენები მოწმობენ, რომ დარბაზს ხის გადახურვა ჰქონდა, ხოლო თხრილში და, საერთოდ, შიდა ქალაქში ნაპოვნი ანტ. კრამიტის ნატეხები გვაფიქრებინებს, რომ სახურავი კრამიტისა იყო. დარბაზის გადახურვა მთავარ ქუჩამდე აღწევდა. სავარაუდოა, რომ აქ იყო სასახლის რთული კომპლექსი, რ-შიც, ამ დარბაზის გარდა, შედიოდა მისი მომიჯნავე, მთლიანად კლდეში ნაკვეთი ნაგებობები: საკულტო ტაძარი მაყულიანი და ღრმა სახლი.

შუა უბნის ფერდობზე, ღელედან ზღუდის კედლამდის, კიდევ რამდენიმე ნაგებობის ნაწილებია შემორჩენილი. ნაგებობებს კლდის ცოკოლები ჰქონდათ, კედლები კი სხვა მასალისა იყო. შუა უბნის სამხრ.-აღმ. კუთხეში მდებარეობს ამ უბნის კარიბჭე. განიერი პანდუსი კლდის ძირიდან ამოდის შუა უბნის ქვემო ბაქანზე. ფეოდ. ხანაში აქ სახლები ჩაუშენებიათ, რასაც დაუზიანებია პანდუსი. კარიბჭისკენ მიემართება განიერი, მოაჯირით შემოსაზღვრული გზა, რ-იც თხრილის გაღმა მდებარე კლდეშია ამოკვეთილი.

ციტადელის ტერიტორიაზე კლდეში ამოჭრილია არხების ხშირი ქსელი. გათხრების დროს ნაპოვნია ანტ. კერამ. მილები, ხოლო უ-დან 4 *კმ*-ზე, კვერნაქის ქედის ფერდობზე, „ავაზნების" წყაროსთან — სათავე. ყოველივე ეს ადასტურებს უ-ში წყალსადენის არსებობას. ეზოებში ამოკვეთილი მცირე ღრმულები ქანობისაკენ გაჭრილი არხით, აგრეთვე კლდეკარში და მთავარ კარიბჭეში ამოჭრილი ღრმა არხები მოწმობს წყალსაწრეტი სისტემის არსებობასაც. ორივე ქსელი უმთავრესად გაყვანილი იყო ქუჩებში. სავარაუდოა, რომ არხს თლილი ქვის ფილა ეფარა და ქუჩის ზედაპირი არ იყო დარღვეული. შუა უბანი ქვემო უბნიდან გამოყოფილია მთავარი კარიბჭის კედლით და დაბალი კლდით.

ქვემო უბნის აღმ. ნაწილის მთელ სიგანეზე, შიდა ქალაქის ყველაზე დაბალ ადგილას, ხელოვნურად მოსწორებული, ჩრდ-დან და დას-დან კლდით შემოსაზღვრული მოედანია. მოედანზე მდ. მტკვრის ნაპირიდან ამოდის ვიწრო კლდეკარი, რ-იც კლდეში ღრმად არის ჩაჭრილი, შიდა ქალაქის სამხრ.-დას. კუთხეში იწყება, აღმკენ მიემართება და ამოდის მოედანზე. მოედნის ჩრდ.-დას. კუთხეში, შუა უბანთან, ფერდობზე შემორჩენილია კლდეში ნაკვეთი ნაგებობების კედლების ქვედა ნაწილები. სავარაუდოა, რომ აქ თავდაპირველად კლდეში ამოკვეთილი იყო მხოლოდ ცოკოლები, კედლები კი სხვა მასალით იყო აშენებული. ქვემო უბანში მხოლოდ სამი, მთლიანად კლდეში გამოკვეთილი ნაგებობაა. ფერდობის ზედაპირიდან ჩაღრმავებული უბნის დას. მონაკვეთში, ქარაფის პირას, ეზოიანი სახლია.

სახლის ბანის დონეზე ამოჭრილია შუა უბანთან დამაკავშირებელი მეორე გასასვლელი. უბნის ჩრდ. მონაკვეთში, მოედნის პირას, გაჭრილია ქუჩა, რ-იც დას-კენ მიემართება. ქუჩის ორივე მხარეს, 1 *მ* სიმაღლეზე ჩა-

მწკრივებულია მცირე, დაბალი სათავსები, რ-ებიც გადახურული ყოფილა კამარებით, არა ჰქონიათ წინა კედელი, ისინი დახლების შთაბეჭდილებას ახდენენ. უბნის სამხრ. მონაკვეთში დიდი დარბაზია, მას ფაქიზად თლილი კიბე აქვს. ამ დარბაზიდან იწყება მდ. მტკვარზე ჩასასვლელი გვირაბი.

ზემო უბანი შუა უბანზე განიერია. იგი საცხოვრებლად ყოფილა განკუთვნილი. უბნის დას. მონაკვეთში შემორჩენილია ნაგებობათა ნაშთები. აღმ-ით, მიწით დაფარულ ფერდობზე, ჯერ მხოლოდ ხამი ხახლია გათხრილი.

კლდეში ნაკვეთი ქალაქის მთელი კომპლექსის მშენებლობაში ნათლად გამოიყოფა ორი ძირითადი სამშენ. პერიოდი: თავდაპირველი პერიოდი, რ-ისთვისაც დამახასიათებელია კლდის ანსამბლის რაციონალური გამოყენება, მრავალოთახიანი ეზოიანი სახლების გეგმის დახვეწილი ორგანიზაცია, დიდი ოთახები, და მეორე სამშენ. პერიოდი, რ-იც შიდა ქალაქის ნაწილობრივი ნგრევის, რამდენჯერმე გადაკეთებისა და მთელი ტერიტორიის კაპიტ. რეკონსტრუქციის შედეგია. ამ პერიოდში განსხვავებულია სამშენ. მასალა, კონსტრუქცია, წყობის, შესრულების ხასიათი, კლდის ზედაპირის დამუშავება.

ანტ. ხანის ყველა ღია დარბაზი ხის კოჭოვანი კონსტრუქციით გაყოფილია ორ სართულად. ქვედა ნაწილი გადაკეთებულია მთავარ ოთახად. მისი ფართობი გაზრდილია ქვის კედლებით. ამ ოთახის ბანზე, ღია დარბაზის სიერცეში მოწყობილია ლოჯია, მის წინ კი აივანი. ოთახების გაფართოების მიზნით უხეშად არის ჩაჭრილი კლდეში ნაკვეთი საზეიმო არქიტექტურა. კედლები დამახინჯებულია უსწორო თახჩებით, ბუხრებითა და ხვრელებით. იატაკში მრავალი ხამეურნეო, ხაწარმოო და ხამშენ. ორმო, ბუდე და თონე-კერაა ამოჭრილი. მთავარი ოთახის წინ დამხმარე ხათავსების ახაშენებლად გამოყენებულია კლდექვევით, ველზე, კლდეში ამოკვეთილია საწნახლები და სამეურნეო სათავსები.

უფრო გვიანდ. ხამშენ. ფენები შიდა ქალაქის მთელ ტერიტორიაზე არ ვრცელდება და მათ შემთხვევითი, არაორგანიზებული ხასიათი აქვთ.

ა) უფლისციხის (კლდეში ნაკვეთი ქალაქის) ერთ-ერთ ქვაბულში 1882 წ. გორის ხალხოსნების — „ხემინარისტების" (ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის 80-იან წწ.) წრის წევრებმა (მ. კერესელიძე, ნ. ლომოური, ა. ფურცელაძე და ხხვ.) ჩაატარეს საიდუმლო კრება. ხალხოსნებმა გლეხები მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად განაწყვეს; განიხილეს მემამულეთა მიწის კონფისკაციის, გლეხთა კავშირების მოწყობის და სხვა საკითხები. კრებაზე სიტყვით გამოვიდა ვაჟა-ფშაველა.

ბიბლ.: 13გ:90-99; 100:13-15; 135: 7-8, ტაბ. I-XXXII; 200; 259; 316 ა, ბ; 350. *კუც. კ., ს. თ., ქ. თ.*

223. ბრძელი ნაგებობა, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის შუა უბნის ცენტრში, ხაგანგებოდ მოსწორებულ ტერასაზე. დამხრობილია სამხრ-კენ. თარიღდება ელინისტ. ხანის დასაწყისით. როგორც არქიტ. თემით, ისე ყოველი დეტალით, მიეკუთვნება უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ანსამბლის ძირითად სამშენ. პერიოდს; ამავე დროს გამოირჩევა ფასადის ორიგინალური კომპოზიციით და ზოგიერთი არქაული ელემენტით. სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ 1968 წ. ბეტონით ნაწილობრივ აღადგინა ცენტრ. ბურჯი.

ბ.ნ. შედგება მწკრივად განლაგებული ოთხი ნაწილისაგან. თითოეული მათგანი წარმოადგენს უფლისციხის ანსამბლის შენობებისათვის მიღებული გეგმარების უმარტივეს ვარიანტს — წინ ღია დარბაზია, მის უკან კი უფრო მცირე და დაბალი ოთახი. სათავსების ეს მარტივი განლაგება შეკრულია ერთიან, რთულ არქიტ. კომპოზიციად. მასში ჩართულია ნაგებობის წინ მდებარე მოედანიც.

ბ.ნ. მხოლოდ ერთი ფასადითაა გამოვლენილი. იგი მთლიანად ამოკვეთილია კლდეში (შიდა ზომები 25,5X10 მ; სიმ. 7,5 მ; ზომები ეზოთი — 28,75X 22,5 მ); შენობა დაზიანებისა და მრავალჯერ გადაკეთების შედეგად სახეშეცვლილია, გამოფიტულია. სრულიად დანგრეულია აღმ-ის განაპირა დარბაზი, მის უკან მდებარე ოთახის წინა კედელი, დას-ის განაპირა ღია დარბაზსა და ბრტყელჭერიან დარბაზს შორის მდებარე განივი კედელი; ფრონტონის აღმ. ნაწილი დაზიანებულია. ეს ადგილი შესუსტებულია XVI-XVII სს. გაჭრილი საკვამლე მილითაც. ამავე საუკუნეებში ბ. ნ. საცხოვრებლად გამოუყენებიათ და ოთახების კედლებში ამოუკვეთიათ თაროები, იატაკში კი — სხვადასხვა დანიშნულების ორმოები, დას-ის განაპირა ღია დარბაზის განივ კედლებში ამოუჭრიათ კოჭების ჩასადგმელი ბუდეები. უხეში თლით საგრძნობლად არის ამაღლებული კამარა, რ-შიც თახჩებია გამოკვეთილი. ღია დარბაზები გაყოფილია ორ სართულად. ქვემოთ დიდი ოთახია, რ-იც ღია დარბაზის ფასადის წინ გამოდის. მის გადახურვაზე (კამარის ფარგლებში) ლოჯიაა წინ აივნით. ამავე ხანაშია ამოშენებული საფასადო კედელიც, ბ. ნ-ის ცენტრში მდებარე ღია, ბრტყელჭერიანი დარბაზები. მოგვიანებით არის აშენებული რამდენიმე ოთახი (შემორჩენილია კედლების ფრაგმენტები).

შენობის კომპოზიციის ცენტრს წარმოადგენს ორი განიერი ბრტყელჭერიანი ღია დარბაზი (დაახლ. 4X6 მ), რ-თა ორივე მხარეს ღია კამაროვანი დარბაზებია. ოთხივე ღიადს აერთიანებს მძიმე ფრონტონი. ფრონტონის კეხის ქვეშ ოთხკუთხა კვეთის ბურჯი ყოფს ბრტყელჭერიან დარბაზებს და წარმოადგენს ფასადის კომპოზიციის ცენტრ. ვერტიკალს. მთელ კომპოზიციას ჰკრავს ეზოს შუა ნაწილი — შემაღლებული ბაქანი. ბრტყელჭერიანი დარბაზი გაშლილ მოედანზეა აღმართული, კამაროვანი დარბაზების იატაკი და ეზოები უფრო დაბალია. მოედანსა და ვიწრო ეზოს ფაქიზად თლილი საფეხურები აკავშირებს, ამგვარადვე დამუშავებული ცოკოლი გას-



223. წინხედი, გრძივი განაკვეთი



223. გეგმა

224. გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, განივი განაკვეთი აღმ-კენ; გეგმა



დევს კამაროვანი დარბაზების ფასადებსა და ეზოების გარეთა კედლებსაც. დას. ეზოში შემორჩენილია კლდეში ამოკვეთილი წყალსაწრეტი ღარის სათავე, რ-იც ანტ. ხანაში თლილი ქვის ფილებით იყო გადახურული. სამეურნეო თუ საოჯახო საქმიანობისათვის განკუთვნილი სხვა ადგილები ზ. ნ-ის ეზოებსა და სათავსებში არ არის. ცენტრ. დარბაზების უკან მოთავსებულია მცირე ზომის (4,4 და 3,8 *კვ. მ*) უფორმო, გამოქვაბულის მსგავსი სათავსები. სათავსების კედლებთან კლდეში ამოკვეთილია „ტახტები", რ-ებიც კიდევ უფრო ამცირებენ იატაკის ფართობს. სათავსების იატაკი ღია დარბაზების იატაკიდან რამდენიმე საფეხურითაა ამაღლებული. კამაროვანი დარბაზების უკან ზუსტი გეომეტრიული ფორმის მოზრდილი ოთახებია, რ-ებსაც კარგად გამოყვანილი კუთხეები, გლუვად დამუშავებული ბრტყელი ჭერი და კედლები აქვთ. კედლებში ღრმა, საწოლად გამოსადეგი ნიშები და მცირე თახჩებია ამოკვეთილი. ნაგებობის ბანზე ქრისტ. ეკლესია დგას. *ქ. თ.*

224. ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის დას-ით, ქარაფის შუაწელზე. ეკლ. უშუალოდ არ უკავშირდება შიდა ქალაქს. ნაგებობასთან მისასვლელი ბილიკი კლდის მასივის დას-ით, სოფ. უფლისციხიდანაა. დ. ე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით (სავარაუდოა, რომ ეკლესიად გადაკეთებულია ელინისტ. ხანის ნაგებობა).

კლდეში ნაკვეთი მცირე ზომის ეკლ. (3,4X2,8 *მ*, სიმ. 3 *მ*) გარედან არ არის გამოვლენილი. ოთხკუთხა, თაღოვანი კარი დას-ითაა. კარის თავზე მრგვალი სარკმელია. დარბაზი განიერი და მოკლეა (2,8X1,75 *მ*). აფსიდი აღმ-კენ ფართოვდება. აფსიდის აღმ. კედელი სწორხაზოვანია, კუთხეები — მომრგვალებული. კედელიც და კუთხეებიც გაფორმებულია სწორხაზოვანი, სადა ბაზისებით და კაპიტელებით. კარის პირდაპირ, აფსიდის აღმ. კედლის ცენტრში ამოკვეთილია მაღალი (1,25 *მ*) სწორკუთხა საკურთხეველი, რ-ის იატაკი დარბაზის იატაკიდან ამაღლებულია 0,75 *მ*-ით. საკურთხევლის ზემოთ, მთელი საკურთხევლის სიგანეზე, თაღოვანი ნიშია. მეორე ნიში ჩრდ. კედელშია. საკურთხეველი, აფსიდის იატაკი, მისი საფეხური, ბაზისები და თახჩები კარგად არის დამუშავებული, მათი ზედაპირი გლუვია. კაპიტელები და ეკლესიის დანარჩენი ნაწილები არასწორ-

ხაზოვანია, ზედაპირი უხეშადაა დამუშავებული. ექლ. გადახურულია ბრტყელი კამარით. ნაგებობის წინ კლდის უსწორმასწორო, ვიწრო ბაქანია, რ-იც XX ს. დასაწყისში გადაუხურავთ. *ქ. თ.*

225. დიდეზოიანი სახლი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის შუა უბნის ცენტრში, მთავარი ქუჩის დას. კიდეზე, თარიღდება ელინისტ. ხანის დასაწყისით. დ. ს-ის (30X20,5 მ) ოთახების სამივე ჯგუფი მთლიანად კლდეშია ამოკვეთილი. იგი წარჩინებულთა საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო. შენობა დაზიანებულია: გამოფიტულია კედლებისა და გადახურვის ზედაპირი. არ შემორჩენილა ეზოს სამხრ-ით და ჩრდ-ით მდებარე ოთახების წინა კედელი, ჩრდ. ოთახის გამყოფი კედლები, სამხრ. ოთახების აღმ. კედელი და გადახურვა, ეზოს სამხრ.-აღმ. კუთხე მთლიანად, ღია დარბაზისა და მის უკან მდებარე ოთახის გამყოფი კედელი. ნაგებობას ეტყობა მრავალი გადაკეთებისა და შეკეთების კვალი. XVII ს. ჩატარებული გადაკეთებით შენობა იქცა სოფლის ოჯახის საცხოვრებლად. მიუხედავად მრავალი სახეცვლილებისა კომპლექსს მაინც აქვს შენარჩუნებული ძირითადი არქიტ. სახე.

დ. ს-ის ოთახები განლაგებულია დიდი ეზოს სამ მხარეს და ასიმეტრიულია ეზოს და შენობის მთავარი ღერძის მიმართ. კომპლექსის წამყვანი ელემენტია ღია დარბაზი (4,8X3,85 მ), რ-იც აღმ-ით, ქუჩიდან ეზოში შესასვლელის პირდაპირ მდებარეობს. იგი საზეიმო თუ სარიტუალო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო. დარბაზი შედგება მაღალი კამაროვანი ოთახისგან. ოთახს ფასადის კედელი არა აქვს და გახსნილია თაღოვანი ღიობით, რ-ის ორივე მხარეს, ეზოს კუთხეებში, ამოყვანილია მაღალი, კონქით გადახურული ნიშები. დარბაზის ცენტრში ამოკვეთილია გულდასმით დამუშავებული წრიული ფორმის ორმო (დიამ. 1,95 მ, სიღრმე 0,15 მ), რ-იც სარიტუალო დანიშნულებისა უნდა იყოს. გადაკეთების დროს ღია დარბაზი ხის სართულშუა გადახურვით გაუყვიათ ორ სართულად (გრძივ კედლებზე შემორჩენილია კოჭების ჩასადგმელი ოთხ-ოთხი ბუდე). პირველ სართულზე გაუკეთებიათ დიდი ოთახი (7X7,4 მ), რ-ის ფართობის გადიდების მიზნით შეუღრმავებიათ დარბაზის გრძივი კლდის კედლები და დარბაზის ფასადის წინ გადაუტანიათ ქვით ნაშენი კედელი. მეორე სართულზე, ღია დარბაზის ფარგლებში, ლოჯიაა, ლოჯიის წინ — ღია აივანი.

ღია დარბაზის უკან მასზე დაბალი, ბრტყელჭერიანი კვადრ. ოთახია (4,85X4,75 მ), რ-იც დარბაზს კარით უკავშირდებოდა (შემორჩენილია კარის წირთხლის კვალი). ოთახის ჭერი წარმოადგენს კლდეში ამოკვეთილი ხის კოჭოვანი გადახურვის მიბაძვას. ოთახს სიგანეზე ორად ყოფს თავხე, რ-ზედაც, გრძივი ღერძის მიმართულებით, გამოკვეთილია მოკლე კოჭების წყობა. ოთახის ოთხივე კედელზე ამოკვეთილია პროფილირებული შემკვრელი ლავგარდანი, რ-ზედაც „კოჭების" ბოლოები აწყვია.

ეზოს სამხრ-ით და ჩრდ-ით ორ-ორი ოთახია. ისინი უფრო დაბლებია, ვიდრე ღია დარბაზი. ჩრდ. მხარის, ერთიმეორის გვერდით განლაგებულ ოთახებს შესასვლელი ეზოდან აქვთ. აქედან დას-ისას კიდევ აქვს ღია დარბაზთან დამაკავშირებელი კარი (დარბაზის ჩრდ.-აღმ. კუთხეში). ორივე ოთახი კლდეში ნაკვეთი კამარითაა გადახურული. სამხრ. მხარის ოთახებიდან ერთ ოთახს (დას-ისას) აქვს ეზოდან შესასვლელი. მეორე (სამხრ-ის) ოთახში, პირველ ოთახთან დამაკავშირებელი კარის გარდა, კიდევ არის ერთი კარის კვალი აღმ. კედელში. ორივე მხარის ოთახების კლდის დანგრეული კედლები XVII ს. აღუდგენიათ წყობილი ქვით. ჩრდ. მხარის დას. ოთახში ჩაუდგამთ ექვსი ღვინის ქვევრი, რ-იც კირის ხსნარითაა გამაგრებული. ეზო ქუჩიდან კლდის ღობით იყო შემოღობილი. ეზოს ირგვლივ, კედლებთან, ამოკვეთილია განიერი ცოკოლი-სკამი. კომპლექსის მთელ ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს ამოკვეთილი მრავალი ორმო (თონეების, ქილების, საქსოვი დაზგების ჩასადგმელი) და ბუდეა (ხის ბოძებისა და ღობის სარების ჩასამაგრებელი). *ქ. თ.*

225. განაკვეთი



226. დიდი ნაგებობა, მთავარი ქუჩის თავში მდებარე ნაგებობა, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის შუა უბანში, მის ჩრდ-ით და კეტავს მთავარ ქუჩას. თარიღდება ელინისტ. ხანის დასაწყისით. მასში გაორკეცებულია ამ დროს მიღებული არქიტ. კომპოზიცია (ფასადის მხარეს გახსნილი დარბაზია, მის სამივე მხარეს კი უფრო მცირე და დაბალი დახურული ოთახები).

უფლისციხის ნაგებობათა შორის დ. ნ. (16,2X18,5 მ) გეგმით ყველაზე რთულია. კომპლექსი სიმეტრიულადაა განვითარებული. შენობის გარეთა მასები მხოლოდ სამხრ. ფასადითა და ბანით არის გამოვლენილი. გეგმის გაორკეცების გარდა, ამ ნაგებობის თავისებურებას წარმოადგენს მის წინ მდებარე ბაქანი, რ-იც გვერდებიდან შემოსაზღვრულია კლდეში ნაკვეთი განიერი კედლებით. ნაგებობაც მთლიანად ამოკვეთილია კლდეში. შენობა გამოფიტული და დაზიანებულია — შემორჩენილი გვიანდ. ქვის კედლების მაქს. სიმ. 1,2 მ-ია; საავარიო ბზარებია გაჩენილი გვერდის ოთახების გადახურვაში, დანგრეულია ნაგებობის ფასადი, მთავარი დარბაზის გადახურვა; დარბაზის სამივე მხარეს განლაგებული ოთახების წინა კედლებს, უკანა ოთახების შესასვლელებს დაკარგული აქვთ პირვანდელი სახე, კედლების ქვედა ნაწილი განზრახ ამოტეხილია. შემორჩენილია ელინისტ. ხანაში დამუშავებული კედლებისა და ჭერის მცირე ფრაგმენტები. დ. ნ. ფეოდ. ხანაში მრავალჯერ გადაუკეთებიათ: შენობაში ჩაშენებული სხვადასხვა წყობის ქვის კედლები ნაგებობას პატარა ოთახებად ყოფს. კლდის კედლები ჩათლილი და შეღრმავებულია. გაჭრილია ბუხრის საკვამლე მილები, თახჩები და გადახურვის კოჭების ბუდეები. იატაკი გაცვეთილია. მასში ამოკვეთილია თონეების, ქვევრებისა და დაზგების ჩასადგმელი ორმოები.

დ. ნ-ის ცენტრს წარმოადგენს სწორკუთხა ღია დარბაზი (8,1X10,4 მ, სიმ. 5,5 მ). დარბაზის ფასადისაგან შემორჩენილი რამდენიმე დეტალი ადასტურებს, რომ იგი გახსნილი იყო გრძელი და დაბალი არქიტრავით გადახურული ღიადით (სიგ. 10,4 მ, სიმ. 2,35 მ), რ-საც უთუოდ ექნებოდა შენობის ღერძის მიმართ სიმეტრიულად განლაგებული ორი საყრდენი. ფასადის ასეთი გადაწყვეტაც ამ ნაგებობის თავისებურებას წარმოადგენს. დარბაზის განივი ღერძის დას. ბოლოში, მოგვიანებით აშენებული ქვის კედლის ქვეშ, გამოჩნდა იატაკიდან ამოწეული კლდის მასივი, რ-იც გადახურვის საყრდენის ძირი უნდა იყოს.



226. გეგმა

უნდა ვიფიქროთ, რომ ღერძის აღმ. ბოლოშიც ასეთივე საყრდენი იყო. ფასადის განაპირა კუთხეებთან, კედელში ერთიმეორის პირდაპირ ამოკვეთილია ღრმა, ოთხკუთხა, ბრტყელჭერიანი ნიშები ღია დარბაზში გადახურვის შემორჩენილი ნაწილების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მისი გადახურვაც ბრტყელი ყოფილა. აღმ. ოთახის ჭერის ვიწრო მალის მიმართულებით ჩანს ერთმანეთთან ახლოს განლაგებული ბრტყელი, ორსაფეხურიანი „კოჭები" და კედლის შემკვრელი ლავგარდანი. სწორკუთხა პროფილის ლავგარდანს შუა ნაწილში გასდევს ლილვი.

ფასადის წინ, კლდეში, ჩაკვეთილია განიერი ღრმული (ამჟამად სახეშეცვლილია); შესაძლებელია აქ ქუჩიდან ნაგებობასთან მისასვლელი საფეხურები იყო.

ღია დარბაზის სამივე მხარეს უფრო მცირე და დაბალი სწორკუთხა ოთახებია. უკანა ოთახის სამივე მხარესაც მცირე და დაბალი სათავსებია. მათ შორის დას-ისას ნახევარსფერული ჭერი აქვს და გეგმით წრიულია. დანარჩენი ოთახების ჭერი ბრტყელია.

დ. 6-ის ბანი წარმოადგენს შიდა ქალაქის ზედა უბნის ტერასას, რ-ზეც კლდეშივე ნაკვეთი სახლის ნაწილებია შემორჩენილი. *ქ. თ.*

**227. ერდოიანი სახლი**, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის შუა უბნის აღმ-ით, ფერდობზე, აგურით ნაგებ ეკლესიასთან. თარიღდება ფეოდ. ხანით. ნაგებობა დაზიანებულია — დანგრეულია დერეფნის კედლის (0,5 მ) მნიშვნელოვანი ნაწილი, აკლია ამაღლებული საფეხურის სამხრ. მონაკვეთი.

კლდეში ამოკვეთილი ე. ს-ის გეგმა არაწესიერი ფორმისაა. შედგება მცირე ზომის მოგრძო ოთახისა (3,9X3,2 მ) და მცირე დერეფნისაგან (მთლიანი ზომები 6,8X4 მ). კლდის კედლები უხეშად არის დამუშავებული. ოთახს შესასვლელი დერეფნიდან აქვს. შესასვლელის წინ (0,67 მ-ზე) გულდასმით დამუშავებული მსხლის მოყვანილობის ჩაღრმავებული ადგილია. იატაკში გაჭრილია ვიწრო ღარი, რ-იც აღმ. კედელში ამოკვეთილ მრგვალ ხვრელამდის გრძელდება. დერეფანი ოთახს აღმ-ით გაჭრილი კარით უკავშირდება. კარების ჩრდ-ით, კედელში, გაჭრილია მრგვალი საკვამური. კედლებში ამოკვეთილია მცირე თახჩებიც, იატაკში — გვიანდ. ფეოდ. ხანის სასულიანი თონე და სხვადასხვა დანიშნულების მცირე ორმოები. ოთახის დას. მონაკვეთში გადაკეთებულია რთული კონტურის კარგად დამუშავებული ბაქანი, რ-იც იატაკიდან 0,2 მ-ითაა ამაღლებული. ბაქანზე რამდენიმე მცირე ორმოა ამოჭრილი. ე. ს. გადახურულია არაწესიერი ფორმის კამარით, რ-იც იატაკიდანვე იწყება. გადახურვის ცენტრში ამოკვეთილია გულდასმით დამუშავებული ერდო, რ-იც შიგნიდან წრიულია, ბანის მხარეს — სამკუთხა ფორმის. *ქ. თ.*

**228. ერთსვეტიანი დარბაზი**, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის შუა უბნის დას. მონაკვეთში, ხელოვნურად მოსწორებულ ტერასაზე. თარიღდება XIII-XIV სს-ით. სავარაუდოა, რომ იგი ანტ. ხანის ნაგებობიდან არის გადაკეთებული, რასაც მოწმობს აქ შემორჩენილი ზოგიერთი დეტალი.

ოთხკუთხა დარბაზი (შიდა ზომები ნიშის გარეშე 6.25X5 მ) ამოკვეთილია კლდეში. მისთვის დამახასიათებელია ინტერიერის გეგმის, გადახურვის, დეკორატ. ელემენტების უსწორმასწორობა, კლდის ზედაპირის უხეში დამუშავება. განსხვავებულია სამხრ. და აღმ. ფასადები, ბანი და ინტერიერის გადახურვის ზოგიერთი ადგილი. რ-თაც სწორხაზოვნება და ზედაპირის გლუვი დამუშავება ახასიათებთ. ნაგებობა დაზიანებულია: დიდი ნიშის წინ ჩანგრეულია იატაკი; დარ-

227. გეგმა



ბაზის სამხრ. მონაკვეთი გამოფიტულია და დასერილია ნაპრალებით; არ შემორჩენილა ჩრდ.-დას. კუთხის პილასტრი, გათხელებულია (0,1-0,15 მ-ით) ჭერის სამხრ. მონაკვეთი. დარბაზს შესასვლელი აღმ. კედლის ბოლოში აქვს. კარი სწორკუთხაა, შემოვლებული აქვს სადა არქივოლტი. შესასვლელთან, ჩრდ. კედელში დიდი ზომის გულდასმით დამუშავებული ნიშაა, რ-იც აფართოებს დარბაზს. ნიშს აქვს ბრტყელი გადახურვა, რ-იც შეწყვილებული ფესტონებით გადადის გვერდით კედლებზე. დარბაზის ინტერიერი გაფორმებულია რთულად — ქვის კონსტრ.-დეკორატ. ელემენტების იმიტაციით. შენობის შიგნით აღმართულ ერთადერთ სვეტზე გადაყვანილი თაღები დარბაზის სივრცეს ოთხ არათანაბარ ნაწილად ყოფს. სვეტიდან ოთხივე კედელზე გადადის კამარის შემკვრელი ორმაგი თაღები, რ-ებიც პილასტრებს ეყრდნობიან. მხოლოდ აღმ. თაღი ეყრდნობა პილასტრის ზემოთ მოთავსებულ კონსოლს. შუა პილასტრიდან კუთხეების პილასტრებზე გადაყვანილია კედლის მოსართავი თაღები. სვეტისა და პილასტრების კვეთი შეესაბამება მათზე დაყრდნობილი თაღების კვეთს. კაპიტელების პროფილს შეადგენს ლილვი და ჩაკვეთილი თარო. კუთხეების პილასტრების კაპიტელები გამარტივებულია. იგი სწორკედლიანი, დაუდევრად ამოყვანილი თაროა. დარბაზის სამხრ. კედელში ამოკვეთილია ორი სარკმელი. სარკმლები შიგნით ოთხკუთხაა, გარეთ ვიწროვდება და გადახურულია კამარით.

დარბაზი ჩრდ. კედელში გაჭრილი კარით უკავშირდება მცირე ზომის (1X1,6 მ) ბნელ სათავსს, რ-ის იატაკში ამოჭრილია გაურკვეველი დანიშნულების მცირე ბაქნები და ღარები. დარბაზს აქვს აღმ. და სამხრ. ფასადები და ბანი. მთავარი (აღმ.) ფასადის ცენტრში ფაქიზად ამოკვეთილი თახჩაა, რ-საც უჭირავს ფასადის ერთი მესამედი. თახჩა კლდის ვერტიკალური ტიხრით ორად იყოფა. დარბაზს ოთხივე ნაწილში ამოკვეთილი სხვადასხვა სახის გადახურვა აქვს. წინა ორ ნაწილში ბრტყელი კამარაა, ჩრდ.-დას. მონაკვეთში — შეკრული აფრების მსგავსი. სამხრ.-დას-ის ნაწილი სახეშეცვლილია ბუხრით, რ-იც მოგვიანებით გადაკეთების დროს გამოუჭრიათ.

დარბაზი მოგვიანებით გამოუყენებიათ საცხოვრებლად. საუკუნეთა მანძილზე კედლებში ამოუჭრიათ უსწორო ფორმის თახჩები, იატაკში — თონეებისა და საქსოვი დაზგების ჩასადგმელი ორმოები. სამხრ. კედლის ბოლოში გაუმართავთ ბუხარი, ჭერში ამოკვეთილი საკვამლე მილით. აღმ. ფასადის პარაპეტში ამოუჭრიათ კოჭების ბუდეები. სავარაუდოა, რომ დარ-



228. განაკვეთი



228. გეგმა

ბაზის წინ ხისგადახურვიანი აივანი იყო.

დარბაზის აღმ. ფასადის წინ მოზრდილი ეზოა (6,25X10,75 *მ*), რ-საც აღმ-ით კლდის სწორხაზოვანი, გლუვი კედელი საზღვრავს, ჩრდ-ით, 3,5 *მ*-ით დაბლა, ემიჯნება მაღალტახტიანი ოთახის კომპლექსი, სამხრ-ით შემორჩენილია განვით. ფეოდ. ხანის ქვით ნაგები კედლის ფრაგმენტი, რ-ის ქვეშაც ჩანს ანტ. ხანაში დამუშავებული კლდის ნაწილი. *ქ. თ.*

229. კესონებიანი დარბაზი, ცენტრალური კომპლექსი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს ნაქალაქარის სამხრ.-დას. კიდეზე. თარიღდება ახ. წ. I ს-ით. დარბაზის შუა, დიდი (დაახლ. 4,5X4,5 *მ*), საზეიმო დარბაზი სამხრ-კენ მთლიანად ღიაა, გადახურულია ნახევარწრიული კამარით. კამარის გარეთა პირი დასრულებულია ზუსტად გამოყვანილი ორფერდა ფრონტონით, შიდა პირი კი, რომაული არქიტექტურის ძეგლების მსგავსად, შემკულია რვაწახნაგა რელიეფური კესონებით. კესონებს შორის კვადრატებია ჩასმული. დარბაზი სამი მხრიდან გასასვლელებით უკავშირდება მცირე ზომის სადა დამხმარე სათავსებს. კომპლექსის წინ ერთი საფეხურით დაწეული პატარა ეზოა, რ-იც კიდევ უფრო დაბალ ეზოში ჩადის. პატარა ეზოს აღმ. კიდეზე და სამხრ-ით, ხრამის გაყოლებაზე, კლდეში ამოკვეთილია პარაპეტი ღრმა და დაბალი ჩამოსაჯდომით. *დოლ. ქ.*

230. კოხტა სახლი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის შუა უბანში, მის ჩრდ.-დას. კუთხეში, ქარაფისპირა ტერასაზე. თარიღდება ადრინდ. ანტ. და ელინისტ. ხანის მიჯნით. 1967 წ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. ხაწ. სახელოსნომ კლდის გადახურვის ჩამოგლეჯილი და დაცურებული წინა ნაწილი რკინა-ბეტონის უწყვეტი კოჭით გაამაგრა.

ქ. ს. (11,15X6,5 *მ*) მთლიანად კლდეშია ამოკვეთილი. შენობა უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ანსამბლის თვალსაჩინო ნაგებობაა. კომპლექსში დაცულია ანსამბლის ძირითადი ნაგებობისათვის დამახასიათებელი ყველა მხატვრული და არქიტ.-გეგმარებითი პრინციპი. ნაგებობა დაზიანებულია. შემორჩენილია ღია დარბაზის გვერდითი კედლების ქვედა ნაწილები, გადახურვის კამარის ჩრდ.-დას. კუთხე, წინა ოთახის ფასადის კედლის ზედა კუთხეები; კედლები ჩამოტეხილი და გამოფიტულია. შემორჩენილი ფრაგმენტებიც დაზიანებულია. ქ. ს. მრავალჯერ გადაუკეთებიათ: ოთახის კედლებში ამოუკვეთიათ უსწორო თახჩები, ოთახების იატაკსა და ეზოში ამოუთხრიათ სხვადასხვა დანიშნულების ორმოები (თონეების, საქსოვი დაზგების და ქილების ჩასადგმელი) და ხის ბოძებისა და ძელების ჩასადგმელი ბუდეები.

ქ. ს. შედგება ღია დარბაზისა და ორი ოთახისაგან. სამივე სათავსი განლაგებულია ერთ ღერძზე, ერთმანეთის უკან. კლდის ზედაპირი დამუშავებულია კარგად. ღეკორად გამოყენებულია ხისა და ქვის კონსტრუქციების იმიტაცია. შენობა უფლისციხის

229. გრძივი განაკვეთი, საერთო ხედი





ანსამბლის ნაგებობათა შორის გამოირჩევა გარეგანი იერით. იგი მარტივი კუბის ფორმისაა, რასაც ქმნის მთავარი ფასადის თაღის ღიობი, დანარჩენი ფასადების სადა სიბრტყეები და ბანური გადახურვა.

ღია დარბაზი უკანა ოთახებზე ბევრად მაღალი, სწორკუთხა, წაგრძელებული მოხაზულობის ყოფილა, რაზეც მიგვითითებს კედლებისა და კამარის შემორჩენილი ნაწილები. დარბაზის თაღის ღიობი საზეიმო იერს აძლევს წინა ხედს. შენობის დანარჩენი ფასადები დამუშავებულია გლუვად. დარბაზის უკან მდებარე ორივე ოთახი ერთმანეთს შენობის ღერძზე გაჭრილი კარით უკავშირდება. წინა ოთახი მოგრძო სწორკუთხედია (6,3X3,2 მ), უკანა — თითქმის კვადრატულია (3,9X3,8 მ). ორივე ოთახის ჭერი ბრტყელია. წინა ოთახის ჭერი კლდეში ამოკვეთილი ხის კოჭოვანი გადახურვის კონსტრუქციის იმიტაციაა. კედლებს ზემოდან გასდევს პროფილირებული ლავგარდანი, რ-ზედაც ორსაფეხურიანი „კოჭებია" „დალაგებული". ოთახის აღმ. და დას. კედლებში ამოყვანილია თახჩები. ჩამონგრეულ სამხრ. კედლის ზედა ნაწილზე შემორჩენილია ღია დარბაზიდან ოთახში შესასვლელის წირთხლის კვალი. ქ.ს-ის წინ კლდეში ჩაჭრილი მოხწორებული მოზრდილი ეზოა, რ-იც ქარაფის პირას შემოსაზღვრული იყო პარაპეტით. *ქ. თ.*

231. მაღალტახტიანი ოთახის კომპლექსი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის შუა უბანში, მთავარი ქუჩის დასაწყისში, მის დას. ნაპირას. თარიღდება ელინისტ. ხანის დასაწყისით. კომპლექსი ხუთი ოთახისაგან შედგება. მათ შორის მთლიანად კლდეში გამოკვეთილია მხოლოდ (ა) მაღალტახტიანი ოთახი, რ-საც შემორჩენილი აქვს პირვანდელი სახე. დანარჩენი ოთახების კედლები ნაწილობრივ კლდისაა და სხვადასხვა სიმაღლეზეა შემორჩენილი. ჩანგრეული აქვთ გადახურვებიც. შენობა პირველად ანტ. ხანაშივე გადაუკეთებიათ. ფეოდ. ხანაში ნაგებობა საცხოვრებლად გამოუყენებიათ და შემორჩენილი კლდის კედლები ქვის წყობით აღუდგენიათ, ზოგან კი ჩამოუთლიათ და შიგ ტლანქად ამოუჭრიათ კოჭების ბუდეები და თახჩები. იატაკში ამოუკვეთიათ ბოძების, ქვევრების, თონეებისა და ჩარხების ჩასადგმელი ორმოები.

მაღალტახტიანი ოთახი კვადრატულია (4,5X4,52 მ, სიმ. 3,35 მ), სწორკუთხა, მაღალი და განიერი შესასვლელი (2,25X1,5 მ) აღმ. კედლის ცენტრშია. შიგნიდან შესასვლელის წირთხლები ჩაკვეთილია ირიბად, რაც აფართოებს ღიობს. ფასადის მხრიდან შესასვლელი თაღოვანი, შეწეული, სადა ტიმპანით მთავრდება. ოთახის ბრტყელი ჭერი მორთულია ორმაგად პროფილირებული კესონებითა და პროფილირებული ლავგარდნით. გრძივ კედლებთან გამოკვეთილია მაღალი ტახტები. მათი ნაპირები ლილვითაა მორთული. ინტერიერს ახასიათებს ყველა ზომისა და ხაზის სიზუსტე, სიბრტყეების ფაქიზი დამუშავება. იგი უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ანსამბლის ძირითადი სამშენ. ხანისათვის დამახასიათებელი ნაგებობის ნიმუშია.



230 გეგმა

მაღალტახტიანი ოთახი გამოვლენილია ფასადითა და ბანით. ფასადი წარმოადგენს კლდის სადა სიბრტყეს. მასში გაჭრილი კარი კომპლექსის წინა (მეორე) ოთახში გადის.

(ბ) წინა (მეორე) ოთახი მაღალტახტიანზე უფრო განიერია (5, 25X7 მ), წაგრძელებულია აღმ-კენ. წინა ოთახის ჩრდ-ით შემორჩენილია კლდის კედლის ძირი, რ-ის დას. ბოლოში ჩრდ. ოთახში გასასვლელი კარია გაჭრილი. ეს კედელი მოგვიანებით ქვის წყობით აღუდგენიათ. სამხრ. კედელი კლდისაა, მის აღმ. ბოლოში ამოჭრილია გრძელ, ვიწრო და პატარა სათავსში (აუზი?) ასასვლელი ერთი საფეხური. სათავსის კედელში შემორჩენილია კამაროვანი გადახურვის ნაწილები. (გ) ჩრდ. (მესამე) ოთახი მეორის ჩრდ-ით მდებარეობს და მასზე უფრო მოკლეა (5,5X5 მ). ოთახის დას. ნაწილში იატაკი ერთი საფეხურით შემაღლებულია. დას. კედელში ამოკვეთილია ერთი ნიში. ორივე ოთახს თანაბარი დონის იატაკი აქვს. მათი საერთო, აღმ. კლდის კედელი დაბალი (0,4 მ) და მოსწორებულია. მასში ორივე ოთახიდან გამოკვეთილია აღმ-ით, შედარებით დაბალ დონეზე მდებარე სათავსში ჩასასვლელი. არც ერთი ჩასასვლელი კარის ხვრელი არ უნდა იყოს. იგი უფრო აბანოს საცეცხლურს — ღუმელს ჰგავს. სამხრ. ოთახის იატაკში, ამ ჩასასვლელის წინ, ამოჭრილია ოთხკუთხა ორმო (სიღრმე 2 მ), რ-იც აღმ. ოთახის იატაკამდე ჩადის. ორმოს საფეხურე-

ბი არა აქვს და აქედან ოთახში შემოსელა შეუძლებელია. ჩრდ. ოთახის იატაკში კი, ჩასასვლელის წინ, ძაბრისებრი ღრმულია. ისიც უსაფეხუროა. ორივე ორმო საცეცხლური უნდა იყოს. სამხრ. ოთახის საცეცხლური ამოშენებულია ანტ. დროის ალიზით. როგორც ჩანს, იგი გააუქმებიათ და ახალი საცეცხლური გაუმართავთ ჩრდ. ოთახში.

ამ ოთახების აღმ-ით მდებარე (დ) ქ უ ჩ ი ს პ ი რ ა ს ა თ ა ვ ს ი ს (მეოთხე ოთახი) იატაკი 2 მ-ით დაბალია. მისი სრული გეგმის აღდგენა მრავალჯერ გადაკეთების გამო შეუძლებელია. დას. კედლის ზედაპირი, რ-შიც საცეცხლურებია ამოკვეთილი, გამომწვარია. სამხრ. კლდის კედელი დაფარულია ჭვარტლის სქელი ფენით. სათავსის სამხრ. ნაწილში აღმოჩნდა ნაცრის მკვრივი და სქელი ფენა, რ-შიც ფეოდ. ხანაში ჩაუდგამთ ქვევრები.

(ე) მ ე ხ უ თ ე ო თ ა ხ ი მცირე ზომისაა. მდებარეობს კომპლექსის ჩრდ.-დას. კუთხეში. სამ მხარეს შემორჩენილი აქვს კლდის კედელი და ბოძების ჩასადგმელი ოთხი ბუდე. ოთახს წინა (აღმ.) კედელი არა აქვს.

კომპლექსის სამხრ.-აღმ. კუთხეში, ქუჩისპირას, ამოჭრილია (1,2 მ-ზე) წყალსაწრეტი ღრმა ღარი.

სათავსების ურთიერთგანლაგება, მათი დონეების სხვაობა, არქეოლ. გათხრის დროს მოპოვებული წყალსადენის თიხის მილები, გადამწვარი აგურები, დიდი, პირაკეცილი კრამიტისა და ჰიდრავლიკური ხსნარის ნატეხები საფუძველს გვაძლევს კომპლექსი ჰიპოკაუსტების სისტემის მქონე ა ბ ა ნ ო დ მივიჩნიოთ. *ქ. თ.*





231. გეგმა. გრძივი განაკვეთი

232. მაყვლიანი, წ ა რ მ ა რ თ უ ლ ი ტ ა ძ ა რ ი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს ნაქალაქარის შუა უბანში. თარიღდება ელინისტ. ხანით. გამოკვეთილია კლდეში. სამხრ. კედლის ერთი ნაწილი უხეშად დაკუთხული ნატეხი ქვისაა. შემორჩენილი აქვს თავდაპირველი ნალესობის ფრაგმენტები. მ. შედგება მთლიან ორგანიზმად გაერთიანებული ათი უჯრედისაგან (საერთო ფართობი 240 *კვ მ*). გამოირჩევა სირთულით და მაღალი ხუროთმოძღვრული ღირსებებით. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. მონაკვეთშია. კარი საგანგებოდ არის აცდენილი დარბაზის სიმეტრიის ღერძიდან. გადის მოზრდილ მოედანზე, რ-იც თავდაპირველად გვერდზე (აღმ-ით) მდებარე ამავე ტიპის, მაგრამ უფრო მცირე ტაძართან ყოფილა საზიარო. მ-ის მთავარი ნაწილია მაღალ ბაქანზე აღმართული კამაროვანი პორტიკი. პორტიკს აღმ-ით, დას-ით და ჩრდ-ით უერთდება ორ-ორი ოთახი. მათგან ჩრდ. პირველი ოთახის ჭერი კვადრ. კესონებითაა მორთული. აღმ. და დას. ოთახების ჩრდ. კედლების სიღრმეში ორი სამალავი-სალაროა წრიული შესასვლელებით. პორტიკიდან 8-საფეხურიანი საზეიმო კიბე ჩადის ერცელ თავვახსნილ გვირაბში, რ-საც აღმ-ით და დას-ით ორსაფეხურიანი ჩამოსაჯდომი (კულტის მსახურთათვის) გასდევს. სარიტუალო დანიშნულებისაა ტაძრის ახლოს, მოედნის კედლებში გამოკაფული მცირე სათავსებიც. *ს. თ.*

233. მიუვალი ნაგებობა, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის სამხრ.-დას. მიუვალ ქარაფზე (ქარაფის ძირიდან 52 მ-ზე). კომპლექსში მოხვედრა მხოლოდ ალპინისტური ჩაშვების წესით შეიძლება. ნაგებობა თარიღდება ელინისტ. ხანის დასაწყისით. მართალია, მ. ნ. იზოლირებულია შიდა ქალაქისაგან, მაგრამ საერთო არქიტ. ფორმების და მხატვრული პრინციპის მიხედვით იგი შიდა ქალაქის არქიტ. ანსამბლის ერთ-ერთი ტიპური ნაგებობაა. მ. ნ-ის კომპლექსი დამხრობილა ხამხრ-კენ. შედგება ფასადის მხრიდან თაღით გახსნილი, კამაროვანი დარბაზის (3X3,6 მ), მის წინ არსებული ეზოსა და დარბაზის უკან მოთავსებული უფრო დაბალი, სწორკუთხა, ბრტყელჭერიანი ოთახისაგან (3,7X2,9 მ; სიმ. 2,5 მ). კომპლექსი კლდეშია ამოკვეთილი, დაზიანებულია: გამოფიტულია ნაგებობის კლდის ზედაპირი, აკლია ეზოს დიდი მონაკვეთი და ღია დარბაზის ეზოს მხრის ნაწილი, დანგრეულია ოთახის წინა კედლის შუა ნაწილი, ჩამოცვენილია ოთახის ჭერის დეკორის უმეტესი ნაწილი, მთლიანად ჩამონგრეულია ნაგებობასთან მისასვლელი გზა. უგზოობამ კომპლექსს პირვანდელი სახე შეუნარჩუნა.

მ. ნ-ის ხათავსებიდან საყურადღებოა უკანა ოთახი, რ-საც შესასვლელი ღია დარბაზიდან აქვს. კარი გაჭრილია ნაგებობის გრძივ ღერძზე (შემორჩენილია ჩრდ. წირთხლის ნაწილი). ოთახის იატაკი ღია დარბაზის იატაკის დონესთან შედარებით 0,15 მ-ით მაღალია. ჭერზე ამოკვეთილია ხის კოჭებით გადახურვის იმიტაცია. გა[illegible]ი ღერძის მიმართულებით ამოყ-



233. საერთო ხედი

ვანილი „მზიდავი კოჭი" ორად ყოფს გადახურვის მალს. კოჭზე და კედლებზე, გრძივი ღერძის მიმართულებით, „გადებულია" მცირე კვეთის „კოჭები". ოთახის ჩრდ. კედელში ამოჭრილია ორი თახჩა. ნაგებობის თავისებურებას წარმოადგენს შესასვლელის პირდაპირ, ოთახის უკანა კედელთან, თითქმის მთელ სიგანეზე, კედელში ამოკვეთილი ორსაფეხურიანი, განიერი სავარძლის მსგავსი გაურკვეველი დანიშნულების „ტახტი" (სიმ. 0,6 მ). „ტახტის" ზედა საფეხურზე მცირე ღრმულია ამოკვეთილი.

კომპლექსის კონტური და სიბრტყეები გეომეტრიულად ზუსტია. კლდის ზედაპირიც გლუვად არის დამუშავებული. ცხადია, რომ მ. ნ. თავდაპირველი ანსამბლის განაშენიანებაში იყო ჩართული, ამიტომ სავარაუდოა, რომ შიდა ქალაქი, ჩადაბლებული ტერასებით და ქუჩებით, დას-კენ ვრცელდებოდა.

ბიბლ.:4:28-34. *ქ. თ.*

**234. მოხატულოთახიანი სახლი,** არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს უფლისციხის შიდა ქალაქის შუა უბანში, ხელოვნურად მოსწორებულ ტერასაზე. ტერასა-ბაქანს დას-ით კლდის კედელი ხაზღვრავს. ბაქნის ჩრდ. ნაწილი უჭირავს ერთსვეტიან დარბაზს თავისი ეზოთი. სამხრ.-აღმ. ნაწილი ოთხსვეტიანი დარბაზის ბანი იყო (ჩანგრეულია). სამხრ-ით, ამავე ბაქნის დონეზე, ღრმა და ვიწრო გასასვლელით მოკვეთილი ორსვეტიანი დარბაზის ბანია გაშლილი. მთავარი ქუჩიდან ბაქანზე ასასვლელად ამჟამად 13 საფეხურია ამოკვეთილი, თავდაპირველი ასასვლელი არ შემორჩენილა.

მ. ს. თარიღდება ფეოდ. ხანით. შემორჩენილია ელინისტ. ხანის კლდეში ნაკვეთი ნ ა გ ე ბ ო ბ ი ს სწორკუთხა, სწორხაზოვანი, საფეხურად ჩაღრმავებული ფრაგმენტები (სახლის ჩრდ. ოთახის ქვეშ და სამხრ. ოთახის გარეთ), რ-იც, კლდის მაღალ დას. კედელთან ერთად, ქმნის ნაგებობის სწორკუთხა კონტურს. კლდის ქანის კონფიგურაცია გვიჩვენებს, რომ ნაგებობის მხოლოდ დას. და ჩრდ. კედლები იყო კლდეში ნაკვეთი. დანარჩენი კედლები სხვა მასალითაა ნაშენი.

ამავე კონტურის შიგნით ამოკვეთილია ბოძების ჩასადგმელი ბუდეები, ჩრდ.-დას. კუთხეში — გაურკვეველი დანიშნულების ოთხკუთხა ორმო, მის პირზე — ღარები და სწორკუთხა ღრმული. იატაკის კონტურის გარეთ, ჩრდ-ით, წყალსაწრეტი ღარის სათავეა.

შემორჩენილი ფრაგმენტების ზუსტი გეომეტრიული ფორმა, კლდის ზედაპირის ფაქიზი დამუშავება და წყალსაწრეტი ქსელის მოწყობა ამტკიცებს, რომ ნაგებობა უფლისციხის პირვანდელ მშენებლობას ეკუთვნის.

მ. ს. სწორკუთხაა (23X8,6 მ), შედგება სამი ერთიმეორის გვერდით მოთავსებული ოთახისაგან. შემორჩენილი კვალი გვაფიქრებინებს, რომ მ.ს. გრძელდებოდა ტერასის ჩრდ. კედლის მიმართულებით (ერთსვეტიანი დარბაზისა და მისი ეზოსკენ). ნაგებობის დას. და ჩრდ. კედლები კლდეშია ნაკვეთი, დანარჩენი ალიზისაა. ეს არის ჯერჯერობით ერთადერთი ალიზის საცხოვრ. სახლი უფლისციხის ანსამბლში. შენობა დაზიანებულია (შემორჩენილი კედლების სიმ. 0,6-1,3 მ-ია), იგი მრავალჯერ არის გადაკეთებული და შეკეთებული: განსხვავებულია საშენი მასალა და კედლის კონსტრუქციები, ორმოებზე და თონეებზე კედლებია დაშენებული, ამოქოლილია ძვ. შესასვლელები, სანაცვლოდ გაჭრილია ახლები.

მ.ს. არ იმეორებს ძვ. ნაგებობის კონტურებს. არც დას-ით მდებარე კლდეა გამოყენებული კედლად. სამხრ. ოთახში კლდის უსწორმასწორო ზედაპირი გასწორებულია ალიზის წყობით, ჩრდ. ოთახის დას. კედელიც, კლდის მასივიდან მოშორებით, ალიზითაა ამოყვანილი. (ა) ს ა მ ხ რ. ო თ ა ხ ი სწორკუთხაა (3,7X6,2 მ). ოთახის ჩრდ. და სამხრ. კედლებში გაჭრილი კარები ამოშენებულია. სამხრ-ის კარი გადიოდა კლდის მცირე ბაქანზე, რ-ის გადახურვა კლდეში ნაკვეთ ბუდეებში ჩასმულ ბოძებს ეყრდნობოდა. უკანასკნელად ოთახის შესასვლელი ჩრდ. კედლის დას. მონაკვეთში გაუჭრიათ. აღმ. კედელში ბუხარი და თახჩაა, ჩრდ. კედელში — სამი თახჩა. იატაკი თიხატკეპნილია. გადახურვა ხისა ყოფილა, კოჭოვანი (ფრაგმენტები ნაპოვნია იატაკზე). აღმ. კედლის ჩრდ. კუთხე მოგვიანებითაა აღდგენილი ქვით, აგურის ნატეხებითა და ტალახით (წყობა ირეგულარულია). შიგნით აღსადგენად გამოყენებულია ალიზი. ამ წყობის ქვეშ აღმოჩნდა XVI ს. სასულიანი თონე, რ-იც უფრო ადრინდ. ხანის ორმოში იყო ჩადგმული. აღმ. კედელს გარედან მიშენებული აქვს ალიზისა და აგურის ნატეხებით ამოშენებული კედელი, რ-ის ნაწილია შემორჩენილი. არქეოლ. გათხრების დროს სამხრ. ოთახში აღმოჩნდა ძე. შელესილობის მოხატული ნატეხები: გადახლართულ ფოთლებსა და ყვაეილებს შორის გამოსახულია ადამიანების, ცხოველებისა და ფრინველების მცირე ზომის ფიგურები. მოხატულობა მუქი აგურის ფერისაა. ფონი ოდნავ ჩაწეულია ვარდისფერ შელესილობაში და არ არის შეღებილი, ან პირიქით, ფონი შეღებილია, გამოსახულება კი არა. გვხვდება ისეთი ფრაგმენტებიც, სადაც გამოსახულება ამოკაწრულია და მთლიანადაა გადაღებილი. კედლის მხატვრობის ფრაგმენტები ფეოდ. ხანის

234. გეგმა



ქართ. საერო ნაგებობის მოხატულობის უძველესი ნიმუშია.

(ბ) ჩ რ დ . ო თ ა ხ ი კვადრატულია (7,5X7,5 მ) და ბევრად განიერია სამხრეთისაზე. შესასვლელი აღმ. კედელშია, რ-იც წინ არის წამოწეული. აღმ-ის და კლდეზე მიყრდნობილი ჩრდ. კედლები ქვისა და ტალახის უხეირო წყობით არის ამოყვანილი. დას. კედელი კი გაურკვეველი ფორმის ალიზითა თუ ბელტითაა ნაგები. კედლის ცენტრში ამოყვანილია ბუხარი. ყველა კედელი შელესილია.

ჩრდ. კედლის მხარეს კარგად არის შემორჩენილი კლდეში ნაკვეთი ნ ა გ ე ბ ო ბ ი ს (გ) კლდის კედელი, რ-იც ოთახის კედლად არ გამოუყენებიათ. ალიზის კედელსა და კლდის კედელს შორის ვიწრო გასასვლელია (1,75 მ), რ-იც ორი კარით უკავშირდება ჩრდ. და შუა ოთახებს. გასასვლელის ჩრდ-ით, ბოლოში, ანტ. ხანის გაურკვეველი დანიშნულების ორმოა, სამხრ-ით — ფეოდ. ხანის ორი, ერთმანეთში ჩადგმული თონე. თონეებზე დაშენებულია კედლები და გაუქმებულია. თონის ზევით ოთახის კედლები უფრო გვიანდელია.

სახლის შ უ ა ო თ ა ხ ი (დ) მცირე მოცულობისაა. მის დას. კედელში ბუხარია. უკანა კედელი, რ-იც კლდეს ეყრდნობა, ალიზითაა აშენებული. შერჩენილი აქვს შელესილობის კვალი. *ქ. თ.*

235. ოთხსვეტიანი დარბაზის კომპლექსი, დარბაზი (360 *კვ მ*) გეგმით ქრისტ. ბაზილიკის მსგავსია. იგი განკუთვნილი იყო წარმართული ხანის საზეიმო საკულტო ცერემონიისათვის. გამოკვეთილია კლდეში. ნაგებობა დაზიანებულია, გამოფიტულია. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. კედელი და მცირე სათავსი, აღმ. და დას. კედლების ქვედა ნახევარი, სამხრ. კედლის ცოკოლი. ეტყობა მრავალჯერ გადაკეთების კვალიც. დას. კედლის ბოლო ნაწილი, დიდი ნიშის გაყოლებაზე, ამოშენებულია ადრინდ. ფეოდ. ხანაში. ამ კედლის ქვეშ დარბაზში ჩასასვლელი ანტ. ხანის ორი საფეხურია; შემორჩენილია გვიანდ. ფეოდ. ხანის ქვითკირის კედელი. ამავე საუკუნეებში ქვითკირის კედლებით შემოუზღუდავთ და ეკლესიად უქცევიათ სამხრ-ის აფსიდიანი სათავსი, დაუვიწროებიათ ანტ. ხანის შესასვლელები. დარბაზი მოგვიანებით საცხოვრებლადაც გამოუყენებიათ. შუა აფსიდის ჩრდ. მონაკვეთში მოჭრილია ცოკოლის საფეხური, გაღრმავებულია კედელი, იატაკში ჩაჭრილია სამი სასულიანი თონე; დარბაზის ჩრდ. ნაწილში ოთხი თონეა. ჩრდ.-დას. კუთხის კედლებში ამოჭრილია გადახურვის კოჭების ჩასადგმელი ბუდეები.

(ა) დარბაზის ინტერიერს ქმნის კლდის დამუშავებული კედლები, რ-ებსაც ფასადები არა აქვთ. ოთხსვეტიანი დარბაზის დას. მონაკვეთი განიერი და მოკლეა. მის ცენტრში ოთხი ბურჯის ოთხკუთხა ბაზისებია გამოკვეთილი. ბაზისების მდებარეობა დარბაზის ღერძის მიმართ ასიმეტრიულია. დარბაზის ჩრდ. კედელი, ბაზისების შესატყვისად, დანაწევრებულია არათანაბარი ზომის სამი დეკორატ. თაღით. ნაწილობრივ შემორჩენილია პილასტრისა და თაღების კლდეში ჩაჭრილი პროფილი. დას. პილასტრზე კაპიტელის კუთხეა, რ-იც წარმოადგენს ლილვიან თაროს. ამავე პილასტრის თავზე შემორჩენილია კამარაზე გადასვლის ფრაგმენტი, რაც მოწმობს, რომ დარბაზის ჩრდ. „ნავს" სამ სეგმენტად დანაწევრებული „გადახურვა" ჰქონია. დას. კედელზე მაღალი ცოკოლი და ჩრდ. პილასტრია. ამ კედლის სამხრ. ნაწილში, იატაკიდან 1 მ სიმაღლეზე, დარბაზის შიდა სივრცისაკენ გახსნილი დიდი ნიშია, რ-საც შემოსასვლელი გარედან, სამხრ-ის მხრიდან ჰქონია.

დარბაზს აღმ-ით იატაკიდან ერთი საფეხურით ამაღლებული და საკმაოდ ღრმა ნალისებრი აფსიდი აქვს. მასში მაღალი საკურთხეველი და დახაჯდომად გამოუსადეგარი ორსაფეხურიანი ხარისხია. აფსიდის ცენტრში ამოკვეთილია ოთხი კვადრ. ბუდე, რ-ებიც ამოვსებულია ქვის ნატეხებითა და კირის ხსნარით. საფიქრებელია, რომ ბუდეებში კიბორიუმის (შეწირულებათა საცავის) სვეტები იყო ჩადგმული. ერთი სვეტის ნაწილი შემორჩენილია აფსიდის წინაც, სვეტი ამოკვეთილია კლდეში, ღრმა და განიერი ორმოს ძირში.

ჩრდ. აფსიდსა და კონქს შორის სადა რელიეფური სარტყელია, აფსიდის ორივე მხარეს — მცირე სათავსები. ჩ რ დ. ს ა თ ა ვ ს ს (ბ) შემორჩენილი აქვს კლდეში გამოკვეთილი კამაროვანი ჭერი. მის ჩრდ. კედელში ორი ოთხკუთხა ღრმა ნიშია. აღმ. ნიშის კონქში შემორჩენილია სხივური გაფორმების კვალი. ამ სათავსს შესასვლელები საკურთხევლიდან და დარბაზიდან აქვს.

(გ) ს ა მ ხ რ. ს ა თ ა ვ ს ი მოკლეა. სათავსში შემორჩენილია აფსიდი და ცოკოლის განიერი საფეხური. *ქ. თ.*

236. ორსვეტიანი დარბაზის (თ ა მ ა რ ი ს ტ ა ძ რ ი ს) კომპლექსი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის შუა უბნის ცენტრში, ხელოვნურად მოსწორებულ ტერასაზე, მის ჩრდ. მონაკვეთში. თარიღდება ანტ. ხანით. როგორც არქიტ. თემით, ისე ყველა დეტალით მიეკუთვნება უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ანსამბლის ძირითად ნაგებობათა რიცხვს.

ო. დ. ქ., მისგან ჩრდ-ით მდებარე თანადროული ოთხსვეტიანი დარბაზის კომპლექსთან ერთად, საქართველოში (მ. შ. უფლისციხის შიდა ქალაქის ნაგებობათა შორისაც) ანტ. ხანის ყველაზე ღირსშესანიშნავი, თავისებური და რთული არქიტ. ანსამბლია. იგი განკუთვნილი იყო წარმართული ხანის საზეიმო საკულტო ცერემონიისთვის. კომპლექსის გამაგრებასა და კონსერვაციას აწარმოებს სპეც. სამეცნ.-სარესტ. სახ. გაერთიანება (ხელმძღ. თ. იაქაშვილი).

ო. დ. ქ. შედგება ორსვეტიანი ცენტრ. დარბაზის, მის ორივე მხარეს მდებარე სათავსების, ამაღლებული და ღია ბაქნებისა და ეზო-კარიბჭისაგან.

(ა) ო რ ს ვ ე ტ ი ა ნ ი დ ა რ ბ ა ზ ი (თ ა მ ა რ ი ს დ ა რ ბ ა ზ ი) კვადრატულია (9,15X9,1 მ; სიმ. 5,6 მ). გეგმით ემსგავსება ცეცხლის ტაძარს. გამოკაფულია კლდეში. გამოელენილია ოთხივე ფასადით და ბანით. კედლები ფაქიზადაა მოსწორებული. ნაგებობა დაზიანებულია: შემორჩენილია დარბაზის აღმ. კედლის ნაშთი (1-1,5 მ), ბურჯების რვაწახნაგიანი ბაზისები და მათი კაპიტელის ბალიშის კვადრატის კონტური „მზიდი კოჭის" სიბრტყეზე, პილასტრიანი ოთახის ჩრდ. კედელი და დანარჩენი კედლების ცოკოლები, აღმ. ფასადის სამხრ. ნაწილში ტრომპის მსგავსი პატარა დეტალი, რ-ის ცენტრიდან ქვევითკენ მიემართება მკვეთრი ვერტ. ღარი (დეტალის ზედა ფორმა, კედლების გამოფიტვის გამო, გაურკვეველია), სამხრ. ფასადის მომიჯნავე სათავსის კვალი (ამჟამად მის ადგილას ფეოდ. ხანის ორმოები და თონეებია); სამხრ. სათავსის ბოლოში ნანგრეულია გადახურვა.

დარბაზი საუკუნეთა მანძილზე, მისი საცხოვრისად გამოყენების დროს, მრავალჯერ გადაუკეთებიათ. ჩამოუტეხიათ ჭერის, ჩრდ. გვერდითი სათავსის, დას-ის ამაღლებული ბაქნის კლდის ზედაპირი, აგრეთვე დას. თაღებისა და სარკმლების ტიმპანები, რაც ამახინჯებს ინტერიერის არქი-

236. გეგმა



ტექტურას. ყველა კედელში ამოკვეთიათ ულაზათო თაროები და თახჩები; ჩრდ. სათავსში და სამხრ. სათავსის იატაკში ამოუღიათ ქვევრების, თონეებისა და კერის ჩასადგმელი ორმოები; აღმ. ფასადის ჩრდ. მხარეს და შენობის ჩრდ.-დას. კუთხეში ამოუჭრიათ ვერტ. ფორმის საკვამლე მილები, რის გამოც მოუტეხიათ ფასადის ნაწილები. ფეოდ. ხანაში დარბაზს უკვე აღარ ჰქონია წინა კედელი და სვეტები; დარბაზისა და ეზო-კარიბჭის იატაკი 1,5 *მ*-ზე მიწითა და ნანგრევებით ყოფილა დაფარული. ამას მოწმობს შემორჩენილ ფასადზე ამ დონეზე გამართული უფრო განიერი შესასვლელი და ორივე ადგილის ხელუხლებელი იატაკი. ფეოდ. ხანაში კარიბჭის ცოკოლზე აუშენებიათ მაღალი ქვითკირის კედლები; მოუჭრიათ დარბაზის ბაქნიდან დიდ ეზოში ჩასასვლელი განიერი ოთხსაფეხურიანი კიბის დიდი ნაწილი.

ორსვეტიან დარბაზს შესასვლელი აღმ. ფასადის ცენტრში აქვს. შესასვლელი თაღოვანი ყოფილა. მის ორივე მხარეს, კედლის ქვედა ნაწილში, ნიშებია ამოკვეთილი. დას. კედელში, შესასვლელის პირდაპირ, ორი ტიმპანიანი თაღოვანი სწორკუთხა ღიადია, მის უკან — ამაღლებული დაბალჭერიანი ბაქანი. ამ კედლის ჩრდ. ნაწილში სარკმელია, რ-იც კედელს უკან მოთავსებულ სათავსს ანათებს. დას. კედლის ღიადებსა და სარკმლებს თაღები სხვადასხვა დონეზე აქვთ. სარკმლები დარბაზის გრძივ კედლებშიცაა, ორი — სამხრ-ისაში, სამი — ჩრდ-ისაში. ყველა სარკმელი ოთხკუთხაა, აქვს თაღი და ტიმპანი. გრძივ კედლებში გაჭრილი სარკმლები გადის დარბაზის ორივე მხარეს მდებარე სათავსებში, რ-ებიც დარბაზს მხოლოდ ამ სარკმლებით უკავშირდებიან. პროფილირებულია პილასტრებისა და თაღების კაპიტელები. პილასტრების კუთხეები კარგადაა გამოკვეთილი. ჭერი ძელური გადახურვის იმიტაციაა. განივი ღერძის მიმართულებით გამოკვეთილია მძლავრი „მზიდი კოჭი", რ-იც ორად ყოფს გადახურვის გრძელ მალს. „მზიდი კოჭის" ორივე მხარეს „გადებულია" მცირე კვეთის, ბრტყელი „კოჭები". კედლებზე გამოწეულია „შემკვრელი ლავგარდანი". „კოჭები" და „ლავგარდანი" პროფილირებულია. „მზიდი კოჭი" ეყრდნობა ორ სვეტს.

23ბ. ინტერიერი, რეკონსტრუქცია (გ. ლეჟავას მიხედვით), ზედხედი (ვ)







დარბაზის გვერდის სათავსებს (ბ) შესასვლელები აღმ. კედელში აქვს. ჩრდ. მცირე სათავსის შესასვლელი კი ცალკეა, დას. კედელში სათავსების იატაკი 1,25 *მ*-ით მაღალია დარბაზის იატაკზე, უსწორდება სარკმლების ქვედა დონეს. სათავსებისა და დას. ბაქნის ჭერი დანაწევრებულია კვადრ. მონაკვეთებად. თითოეულ მონაკვეთში გამოკვეთილია ორფერდა გადახურვა.

დას. ბაქანსა და ჩრდ. სათავსს შორის (გ) მცირე სათავსია (3,65X3,4 *მ*), რ-საც შესასვლელი ბაქნიდან აქვს, დარბაზს კი უკავშირდება სარკმლით (დ) სამხრ. განაპირა სათავსი დარბაზის მხოლოდ დას. თაღოვან კედელს აღწევს. ამ სათავსიდან დარბაზის სამხრ. კედლის ბოლომდე პილასტრიანი ოთახი (ვ) ყოფილა.

დარბაზის წინ (ვ) ეზო-კარიბჭეა, რ-იც მის ირგვლივ მოსწორებული ბაქნიდან 0,6 *მ*-ით ჩაღრმავებულია. იგი გადახურული უნდა ყოფილიყო, რასაც ამტკიცებს ვერტიკალურად ჩაჭრილი ეზო-კარიბჭის ცოკოლი, საიდანაც სამი წყვილი პილასტრია გამოწეული (სავარაუდოა, რომ პილასტრებზე მსუბუქი გადახურვისათვის ქვის სვეტები იყო აღმართული). ეზოს ცენტრში ამოკვეთილია ფართო წრე (დიამ. 1,42 *მ*; სიღრმე 0,11 *მ*), რ-იც, შესაძლოა, რიტუალური დანიშნულებისა იყო.

ეზოსა და სამხრ. სათავსის წინ ღია ბაქანია (ზ). იგი, ეზოსთან ერთად, დამხრობილია ჩრდ-კენ—მთის აღმართისაკენ, რაც ერთადერთი

შემთხვევაა შიდა ქალაქში. ბაქნის აღმ. ნაწილში ხის სვეტების ჩასადგმელი სამი მოზრდილი ორმო და ვარცლის მსგავსი ღრმა აუზებია. ბაქნის ქვეშ, ქუჩის პირას, გამოქვაბულის მსგავსი უფასადო სათავსია. ეზოსა და ბაქანს სხვადასხვა სიგრძის, კარგად ნაკვეთი ოთხი კიბე აქვს, რ-ებიც დაბლა, მთავარი ქუჩის დონეზე მდებარე ეზოში ჩადის. ეზო დიდია, სამკუთხა. ეზოს ჩრდ. მხარეს, კიბეების პირდაპირ, ერთსაფეხურიანი ჩასასვლელებია, რ-ებიც Ო.Დ.Ქ-ს ოთხსვეტიანი დარბაზის კომპლექსთან აკავშირებენ. *ქ. თ.*

237 **სადა ოთახი**, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის შუა უბნის ჩრდ. საზღვარზე. თარიღდება ელინისტ. ხანით. ს.ო. მიეკუთვნება კლდეში ნაკვეთი ანსამბლის ძირითად ნაგებობებს. შედგება ორი ნაწილისაგან: ღია, კამაროვანი დარბაზისა (6X5,8 მ, სიმ. 6 მ) და მის უკან მდებარე დაბალი, ბრტყელჭერიანი ოთახისაგან (5X5 მ; სიმ. 3,3 მ). ნაგებობა მთლიანად კლდეშია ამოკვეთილი. დაზიანებულია: დანგრეულია ფასადი, დარბაზის კამარის მნიშვნელოვანი ნაწილი და ოთახის სამხრ. კედელი. დარბაზის გადარჩენილი ნაწილები დაბზარული და გამოფიტულია. შენობა მრავალჯერ გადაუკეთებიათ: კლდის კედლებში უხეშად ამოუკვეთიათ თაროები და თახჩები, იატაკში — სხვადასხვა დანიშნულების ორმოები და ბუდეები, სხვადასხვა დროს ჩაუშენებიათ ქვის კედლებიც. XVI-XVII სს. ნაგებობა საფუძვლიანად გადაუკეთებიათ. რეკონსტრუქციის დროს ს.ო-ის ღია დარბაზი ორ სართულად გაუყვიათ, რისთვისაც დარბაზის განივ კედლებში ამოუკვეთიათ ხის კოჭების ჩასადგმელი ბუდეები. ქვევით, კლდიდან გამოწეული საფასადო კედლებით გაუმართავთ ოთახი, მეორე სართულზე კი — ლოჯია და აივანი.

237. გრძივი განაკვეთი, გეგმა



ნაგებობისათვის დამახასიათებელია ფორმების გეომეტრიული სიზუსტე, კლდის ზედაპირის ფაქიზი დამუშავება, სისადავე. გარედან იგი მხოლოდ დარბაზის ღია კამარითაა გამოვლენილი, მისი მოცულობა კი კლდის მასივშია შეტანილი.

კამაროვანი დარბაზი დამხრობილია სამხრ-კენ. დგას ეზოს პირას. ეზო საერთოა სადა ოთახის მომიჯნავე წითელი ოთახისა და მათ პირდაპირ მდებარე ამჟამად დანგრეული კომპლექსისათვის. ეზო ჩაღრმავებულია, შემოსაზღვრულია კლდის კედლებით, რ-საც გასდევს ფაქიზად დამუშავებული, დასაჯდომად განკუთვნილი ცოკოლი. ეზოში შესვლა შეიძლებოდა მთავარი ქუჩიდან, მოკლე კლდეკარის გავლით.

ნაგებობის კომპლექსში დაცულია უფლისციხის კომპლექსისათვის ერთერთი მეტად მნიშვნელოვანი დეტალი — ფასადის დას. მხარეს არქეოლ. გათხრების დროს გამოვლენილი ყვითელი ქვის პროფილირებული ბაზისი (იგი დევს თავდაპირველ ადგილას — ცოკოლში, მისთვის განკუთვნილ კუთხეში), რაც გვაფიქრებინებს, რომ ღია დარბაზების ფასადები მოპირკეთებული ყოფილა ყვითელი ქვით და მორთული მონუმ. არქიტ. ფორმებით. *ქ.თ.*

238. **უფლისწულის ეკლესია**, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის შუა უბანში, თვალსაჩინო ადგილას, ამაღლებულ კლდის მასივზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. უ.ე. აშენებულია ძვ. წარმართული ტაძრის ადგილზე, რასაც მოწმობს ეკლესიის დას. ფასადის ქვეშ შემორჩენილი კლდეში ნაკვეთი ანტ. დროის ნაგებობის ნაშთები, სამხრ. ფასადის კლდის ცოკოლი და მის აღმ. ბოლო-

238. საერთო ხედი



ში, შესასვლელთან გაცვეთილი იატაკი, აგრეთვე, წარმართული დროის შესასვლელი აღმ. ფასადის ცენტრში. სადაც ახლა კლდეში ჩაღრმავებული ადგილი ქვის ცოკოლით მოსწორებულია და გამოყენებულია ეკლესიის ფუძედ.

ნაგებობა სამეკლესიიანი ბაზილიკაა (18,5X13,8 მ), ნაგებია აგურით. შენობა მრავალჯერ არის გადაკეთებული. XI-XII სს-ს მიეკუთვნება სარკმელი და მისი ქვის ჩარჩოს ორნამენტიანი ფრაგმენტი, პროფილირებული ლავგარდნის ქვები და მწვანე ქვის კანკელის ნატეხები, რ-ებიც არქეოლ. გათხრების დროს იპოვეს ეკლესიის ქვემოთ, ფერდობზე და XVII ს. სახლის კედლის წყობაში. შენობა შემდეგშიც რამდენჯერმე გადაუკეთებიათ. XVIII ს. სამხრ. შესასვლელის თავზე დაუშენებიათ ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილი მცირე გუმბათოვანი სამრეკლო, რ-იც ნაგებია მცირე ზომის აგურით.

238. ჩრდ. და აღმ. ფასადები, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



ე.ე-ის შესასვლელი ამჟამად სამხრ. კედლის ცენტრში არსებულ ნიშშია. აღმ., დას. და ჩრდ. კედლებში ჩანს პირვანდელი შესასვლელების (ამოშენებულია) კვალი. აფსიდი ნალისებრია. გრძივი კედლები დანაწევრებულია სამ-სამი ღრმა (0,5-0,65 მ) მაღალი სართავი თაღით, რ-ებშიც კიდევ უფრო ღრმად შეწეული ბრტყელი ნიშებია. ისინი უსწორო ფორმისაა, სადა, კამარამდე აღწევს და შიდა სივრცეს სიმაღლესა და ხალვათობას მატებს. დას. კედელშიც სამი შეღრმავებული შედარებით დაბალი თაღია. სამხრ. კედლის სამივე თაღში, ჩრდ. კედლის აღმ. თაღში და აფსიდში გაჭრილია სარკმლები (სულ ხუთი). სარკმლები შიგნიდან განიერი და მაღალია, გარეთ ვიწროვდება, ნალისებრია, ზემოთ შეტეხილი. ასეთივე ფორმა აქვს ნიშების თაღებსაც. აფსიდის სარკმლის ქვეშ ქვის ე გ ვ ტ ე რ ი ა. სავარაუდოა, რომ ეკლესიის აშენების დროს აქ კლდის მასივი არ იყო. ეკლესიის კედლებს შიგნით კლდეში ნაკვეთი ცოკოლი გასდევს. კლდეშივე ნაკვეთი ნალისებრი ცოკოლია აფსიდშიც. ეკლესიის იატაკზე მოგებულია XVIII ს. აგური. აგურისავეა სოლეას საფეხური ადსავლის კარის წინ.

შენობის ყველა ფასადი შელესილია თეთრად. აღმ. ფასადის ფრონტონში აგურით შეღრმავებული ჯვარია გამოსახული, ლავგარდანიც აგურისაა, დაკბილული. სახურავი ღარისებრი კრამიტისაა. მათ შორის რამდენიმე მწვანედ და ფირუზისფრად არის მოჭიქული.

ეკლესიას სამი მხრიდან ეკრის მასზე დაბალი აგურით ნაგები მ ი ნ ა შ ე ნ ე ბ ი.

ე.ე-ის სამხრ-ით მდებარე სათავსი — კ ა რ ი ბ ჭ ე ეკლესიის სიგრძისაა და მასზე ბევრად დაბალია. მინაშენის ნალისებრი აფსიდი გადახურულია კამარით და კონქით. თაღიც ნალისებრია. სათავსის სამხრ. კედელში, ეკლესიის კარის პირდაპირ, აგურისთაღიანი შეწყვილებული შესასვლელებია. შესასვლელებს შორის აგურის წყობაში მოქცეულია კლდეში ნაკვეთი მრგვალი სვეტი. სავარაუდოა, რომ იგი ადრინდ. ფეოდ. ხანის ეკლესიას ეკუთვნოდა და შეწყვილებული გასასვლელის თაღების შუაბოძი — საყრდენი იყო. სათავსის კედლები შელესილია. იატაკი XVII ს. აგურისაა.

ჩ რ დ. მ ი ნ ა შ ე ნ ი ც ეკლესიის სიგრძისაა და მასზე ბევრად დაბალია. ეკლესიასთან დაკავშირებული არ არის შესასვლელით. მინაშენში შემორჩენილ თხელი ფენის შელესილობას ატყვია მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს მკრთალი კვალი. სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში ქვით ამოშენებული ღიობია, რ-იც, შესაძლოა, ეკლესიაში გადიოდა. სათავსის იატაკი ეკლესიის იატაკზე მაღალია, კლდისაა და მოსწორებულია მიწით. ჩრდ. მინაშენის ფასადს აქვს წვრილი ქვის ცოკოლი, რ-შიც ჩაყოლებულია შავი ბაზალტის ოთხი დიდი კვადრი. სათავსი გადახურულია კამარით. იგი განივი კედლით იყოფა გრძელ და მოკლე სათავსებად. გამყოფ კედელში გაჭრილია კარი. ორივე სათავსი სწორკუთხაა, უაფსიდო. გრძელი სათავსის აღმ. კედელში ერთი სარკმელია. მოკლე სათავსის ჩრდ. კედელში გარედან შემოსასვლელი კარია, ხოლო დას. კედელში დატანებული კარით სათავსი დას. მინაშენს უკავშირდება.

დ ა ს. მ ი ნ ა შ ე ნ ი მთელ სიგანეზე ეკვრის ეკლესიას. სათავსი სწორკუთხაა. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ით აქვს. აღმ. კედლის ჩრდ. კუთხეში გაჭრილი კარით იგი ჩრდ. მინაშენს უკავშირდება. ამ კედლის ცენტრში ქვის წყობით ამოშენებულია ღიობი, რ-იც ეკლესიის დას. კედლის შუა ნიშს ემთხვევა და მისივე ზომისაა. ამავე კედლის სამხრ. ბოლოში დარღვეულია აგურის წყობა, რაც აქ ძველად კარის არსებობაზე მიგვითითებს. იატაკი კლდისაა, უსწორმასწორო, მაღლდება ჩრდ-კენ.

*ქ. თ.*

239. ქარაფისპირა სახლი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის ქვემო უბნის ჩრდ.-დას-ით, ქარაფის პირას. თარიღდება ელინისტ. ხანის დასაწყისით. ნაგებობა კლდეშია ნაკვეთი. შედგება სამხრ-კენ დამრობილი ღია დარბაზისა და მის უკან მოთავსებული უფრო დაბალი, ბრტყელჭერიანი ოთახისაგან (8,5X4 მ). ქ.ს-ს აქვს მხოლოდ ერთი, კამარით გახსნილი ფასადი, რ-ის წინ კლდის კედლებით შემოსაზღვრული მოზრდილი ეზოა (8,75X9,5 მ). სახლი ძლიერ დაზიანებულია: დანგრეულია ღია დარბაზის კამაროვანი გადახურვა; ორივე სათავსის ჭერს, კედლებს, იატაკსა და ეზოს ატყვია მრავალგზის გადაკეთების კვალი; მოგლეჯილი და ნაპრალში ჩავარდნილია ეზოს დას-ით მდებარე ოთახი (თუ ოთახები?), რ-ის შესასვლელი ეზოს პირასაა, ჩანს სხვადასხვა დროის ჩაშენებული ქვით ნაგები კედლებიც. სათავსების იატაკში გათხრილია სხვადასხვა დანიშნულებისა და დროის ორმოები, მცირე ბაქნები.



239. გეგმა

ნაგებობას შესასვლელი აღმ-ით, ქვემო უბნის განივი ქუჩის ბოლოდან აქვს. ღია დარბაზი საკულტო და სარიტუალო დანიშნულების უნდა იყოს, ხოლო დახურული ოთახები საცხოვრებელი. შემორჩენილი ნაწილების საფუძველზე, საცხოვრ. სახლის ცენტრ. ბირთვი ეზო უნდა ყოფილიყო. იგი რამდენიმე ნაგებობას აერთიანებდა. ეზოს იატაკი, კედლები და ცოკოლი ფაქიზად არის დამუშავებული. *ქ. თ.*

**240. ქუჩისპირა ბაქანი**, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის შუა უბნის ცენტრში, მთავარი ქუჩის პირას, მის დას. მხარეს, საგანგებო დანიშნულების ნაგებობებს შორის. თარიღდება ელინისტ. ხანით. ქ.ბ. ოთხკუთხაა (12,3X10,75 *მ*), აღმ-ის მხრიდან საფეხურებით უკავშირდება ქუჩას. სამხრ-ით მას ესაზღვრება დიდეზოიანი სახლი, ჩრდ-ით და დას-ით — კლდეში ნაკვეთი კედლები (სიმ. 4,5 *მ*), რ-ებიც მიეკუთვნება ანსამბლის ძირითად შენობებს. ჩრდ. კედელი პირვანდელი სიგრძით არის შემორჩენილი დას. კედელს აკლია სამხრ. კუთხე. კედლები ელინისტ. ხანისაა და მოწმობს, რომ აქ ერთი დიდი (მინიმალური ფართ. — 100 *კვ მ*) ორსვეტიანი დარბაზი უნდა მდგარიყო. ასეთი დიდი და განცალკევებით მდგარი დარბაზი გამონაკლისს არ წარმოადგენს უფლისციხის ანსამბლისთვის. დარბაზის განსხვავებული მდებარეობა და ხიდიდე გვაფიქრებინებს, რომ ნაგებობას საერთო კომპოზიციაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა. მითუმეტეს, რომ ქუჩის მეორე მხარეს ტერასები გაცილებით დაბლაა განლაგებული და ბაქანზე აღმართული ნაგებობის ფასადს წინ არაფერი ეფარებოდა.

ქ.ბ-ის გარშემო არსებული ნაგებობები და კლდის აღდგენილი ბუნებრივი ფორმა გვაფიქრებინებს, რომ დარბაზის სამხრ. და აღმ. კედლები, აგრეთვე გადახურვა, კლდეში კი არ იყო ამოკვეთილი, არამედ სხვა მასალით იყო აშენებული. ამას მოწმობს უფლისციხეში არქეოლ. გათხრების დროს მოპოვებული მაგარი ქვის არქიტ. დეტალებიც — კაპიტელები, სვეტის ნაწილები და სხვ., რ-ებიც კლდეში ნაკვეთი ანსამბლის ძირითადი სამშენ. პერიოდისაა.

დარბაზის დანგრევის შემდეგ, ფეოდ. ხანაში მისი კედლები და იატაკი გამოუყენებიათ საცხოვრ. სახლებისათვის. შემორჩენილია სახლის აღმ. კედელი (ნაგებია ქვით), კედლებში დატანებულია შესასვლელის წირთხლი და ხის კარის ნარჩენები. იატაკში, მესერის ჩასადგმელად, ამოჭრილია მცირე დიამეტრის ბუდეები. ეს გვაფიქრებინებს, რომ ბაქანზე ყოფილა თიხით შელესილი, წნულით გადა-

240. გეგმა



ხურული ხუთი ოთახი. სახლის გეგმა ნათლად არ იკითხება. იატაკში სხვადასხვა დროს ამოკვეთილია სამეურნეო დანიშნულების ორმოები (ძირითადად თონეების, ქვევრების, საწარმოო ჩარხების ჩასადგმელად), რ-თაგან ელინისტ. ხანისაა ჩრდ.-დას. კედელთან ამოჭრილი ღრმა ორმო. შენობის გადახურვა დაბალი ყოფილა. კედლებში შემორჩენილია გადახურვის კოჭების ბუდეები. *ქ. თ.*

**241. შეწყვილებულკოჭებიანი დარბაზი**, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის შუა უბნის დას. ნაწილში, განივი (ქვემოდან პირველი) ქუჩის პირას, კესონებიანი დარბაზის კომპლექსის ალმ-ით. თარიღდება ელინისტ. ხანის დასაწყისით. როგორც არქიტ. თემით, ისე ყველა დეტალით, მიეკუთვნება უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ანსამბლის ძირითად სამშენ პერიოდს. დაუდგენელია ნაგებობის თავდაპირველი დანიშნულება (შესაძლებელია, კესონებიანი დარბაზის კომპლექსის შემადგენელი ნაწილი იყო).

ნაგებობა შედგება ორი სწორკუთხა ოთახისაგან. წინა ოთახი უფრო დიდია და მაღალი (7,95X4,75 *მ*), გაგრძელებულია ფასადისკენ, უკანა ოთახი (4,75X4,75 *მ*) კი სიღრმისკენაა მიმართული. შენობა მთლიანად კლდეშია ამოკვეთილი. გარედან გამოვლენილია სამხრ. ფასადით. დაზიანებულია: დარღვეულია შესასვლელების პირვანდელი ფორმა (რითაც შესუსტებულია გადახურვის საყრდენი), დანგრეულია სამხრ. ფასადის კედელი, რ-ის არსებობას ადასტურებს ინტერიერის მხრიდან დაცული ჭერისა და იატაკის კუთხეები. ფასადის თალისებრი ღიადის კონტურით იგი უფლისციხისათვის დამახასიათებელი ღია დარბაზის შთაბეჭდილებას ქმნის. შენობა დაბზარულია. ბზარებით გახლეჩილია წინა ოთახის სამხრ.-დას. კუთხე, ფასადის ალმ. კუთხე და გადახურვის ნაწილი. დაბზარულია მეორე ოთახის უკანა კედელი, ჭერი, იატაკი. ნაგებობა ფეოდ. ხანაში საცხოვრებლად გამოუყენებიათ. კედლებში დაუდევრად ამოუკვეთიათ თახჩები და ბუდეები; უხეშად ჩამოუთლიათ კედლების ქვედა ნაწილები; წინა ოთახის ჭერში, ფასადის კედელთან, ამოუკვეთიათ ბუხრის საკვამლე.

ოთახები ერთმანეთს უკავშირდება კედლებში გაჭრილი კარით. (ა) წ ი ნ ა   ო თ ა ხ ი ს განივ კედლებში მომიჯნავე კომპლექსებში გასასვლელი კიდევ თითო კარია. დას. კარი კესონებიანი დარბაზის კომპლექსს უკავშირდება. ორივე ოთახის ჭერი ბრტყელია. (ბ) უ კ ა ნ ა   ო თ ა ხ ი ს სადაა, გლუვი, წინა ოთახისა კი მორთულია კლდეში გამოკვეთილი ხის კონსტრუქციის იმიტაციით — ექვსი მომრგვალებული შეწყვილებული კოჭითა და ორსაფეხურიანი ლავგარდნით. ნაგებობის ინტერიერი ხასიათდება კლდის ზედაპირის ფაქიზი, გლუვი დამუშავებით. დარბაზის ბანი ქუჩისპირა, ორ დანარჩენ კომპლექსის ბანთან ერთად, ქმნის ზედა ბაქანს — ტერასას, რ-ზეც არაეითარი ნაგებობის კვალი არ ჩანს. ნაგებობას არა აქვს ეზო. *ქ. თ.*

241. „კოჭების" რეკონსტრუქცია (გ. ლეჟავას მიხედვით), გეგმა



**242. წითელი ოთახის კომპლექსი**, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს შიდა ქალაქის შუა უბნის განაპირას, ჩრდ-ით, შიდა ქალაქის მთის სამხრ. ფერდობზე, მთავარი ქუჩის პირას, დიდ ეზოში. ეზოს ჩრდ-ით, ერთმანეთის გვერდით, წითელი და სადა ოთახებია, სამხრ-ით — ორი სათავსი, კედლების ნაწილები და კლდე, რ-ზეც აღმართულია აგურით ნაგები ქრისტ. ეკლესია. კომპლექსში შედის საკუთრივ წითელი ოთახი, მის წინ მდებარე ღია დარბაზი (სადა ოთახი) და ეზოს სამხრ-ით მდებარე ნაგებობა. კომპლექსი თარიღდება ელინისტ. ხანის დასაწყისით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია ოთახისა და ღია დარბაზის წინა კედლები, ღია დარბაზის



242. განივი განაკვეთი, გეგმა

კამარის ნაწილი, ჩამოთლილია წითელი ოთახის სამხრ.-დას. კედლის დეკორი და ღია დარბაზის კედლების სიბრტყეები, გამოფიტულია დარბაზის საფასადო მხარე; შემორჩენილი კედლები და კამარაც დაბზარულია. ყველა კედელში უხეშად ამოკვეთილია თახჩები და ბუდეები. შემდგომი გადაკეთებების დროს ეზოსა და ოთახებში ჩაშენებულია ცუდად ნაგები ქვის კედლები (1959 წ. საქ. სსრ ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ ნაგებობის დროებითი დაცვის მიზნით ამოაშენა წითელი ოთახის სამხრ. კედელი). იატაკში ამოჭრილია სხვადასხვა დანიშნულებების და სახის ორმო-ბუდეები, აგრეთვე XVI-XVII სს. სამარხები — ერთი წითელი ოთახის ღია დარბაზის წინ, ათი სამხრ. ნაგებობის დიდი დარბაზის ალმ. კედელთან, ეკლესიის კედლის ძირში. სამხრ. ნაგებობის მხოლოდ ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი. ქუჩიდან ეზოში შესასვლელი კლდის კედელში ამოუკვეთიათ მოგვიანებით.

(ა) წ ი თ ე ლ ი   ო თ ა ხ ი გრძივ ღერძზე განლაგებული ორი სათავსისაგან შედგება: დაბალი, დახურული ოთახისა და მის წინ მოთავსებული,

უფრო დიდი და მაღალი ღია დარბაზისაგან. ნაგებობა მთლიანად კლდის მასივშია გამოკვეთილი, გარედან გამოვლენილია მხოლოდ დარბაზის აზიდული თაღით. ოთახი თითქმის კვადრატულია (5X4,7 მ), მასში შესასვლელი ღია დარბაზის უკანა კედლის აღმ. ნაწილშია. ოთახი გამოირჩევა არქიტ. გაფორმებით. კედლები დანაწევრებულია მაღალ ცოკოლზე შემდგარი პილასტრებით, რ-ებიც რთულად პროფილირებული კაპიტელებით მთავრდება. ოთახს ირგვლივ მიუყვება სამმაგი „შემკვრელი" ლავგარდანი, რ-საც „ეყრდნობა" ბრტყელ ჭერზე ამოკვეთილი რთული „კონსტრუქციის" ხის კოჭოვანი გადახურვის იმიტაცია. „გადახურვის" მალს (5,1 მ) ორად ყოფს განივი, „მზიდი" კოჭი, რ-ზედაც „გადებულია" გრძივი „კოჭების" შიგა ბოლოები. გარეთა ბოლოები პილასტრებს შორის არის მოქცეული, რაც არღვევს წითელი ოთახის „კონსტრ". სისტემის სიზუსტეს.

ოთახის აღმ. და ჩრდ. კედლებში (შესასვლელის პირდაპირ) ამოკვეთილია მცირე ზომის თაღიანი თახჩები. აღმ. კედლის სამხრ. კუთხეში კიდევ ერთი ოთხკუთხა თახჩაა (შენიღბული საგანძურის შესასვლელი). თახჩის პირზე ამოკვეთილია ფოსო, რ-შიც იდგმებოდა შესანიღბი ფილა. ოთახი შემურულია. მურის ფენის ქვეშ ჩანს წითლად შეღებილი ჭერი და კედლები.

წითელი ოთახის წინ არსებული ღია დარბაზის, (ბ) ს ა დ ა ო თ ა ხ ი ს (11X5,1 მ) ფასადის მხრიდან მთლიანად გახსნილი კამაროვანი სათავსია, დამხრობილია სამხრ-კენ. სადაა, მის სამივე კედელს გასდევს მხოლოდ ფაქიზად დამუშავებული ცოკოლი. ფასადის დას. კედლის ცოკოლში შემორჩენილია ყვითელი ქვის პროფილირებული კუთხის ბაზისი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ღია დარბაზის ფასადი მოპირკეთებული ყოფილა ყვითელი ქვით. დარბაზის წინ ამოჭრილია ერთი სამარხი.

ნაგებობის ამგვარი კომპოზიცია (ოთახი წინ ღია დარბაზით) უფლისციხის მშენებლობაში მიღებული არქიტ. თემის უმარტივესი ვარიანტია. წითელი ოთახი როგორც არქიტ. თემით, ისე ყველა დეტალით მიეკუთვნება უფლისციხის კედელში ნაკვეთი ანსამბლის ძირითად ნაგებობათა რიცხვს.

ეზოს სამხრ-ით მდებარე (გ) ნ ა გ ე ბ ო ბ ა შედგება ორი ნაწილისაგან: ეზოსპირა, აღმ-კენ წაგრძელებული მცირე სათავსისა (9X4,1 მ) და მის უკან, სამხრ-ით მდებარე დიდი დარბაზისაგან (10X10,5 მ). დარბაზის სამხრ. კედლის ნაწილი და დას. კედლის სამხრ. ბოლო დანგრეულია. შემორჩენილი კედლების ფრაგმენტების სიმაღლე 2,1 მ-ია. სამხრეთ ნაგებობა მრავალჯერ გადაუკეთებიათ. მოგვიანებით მცირე სათავსის განივი კედელი და დარბაზის ჩრდ. კედელი სხვადასხვა ჯიშის ქვითა და მიწის ხსნარით ამოუშენებიათ. დიდი დარბაზის აღმ. კედელთან, ეკლესიის კედლის ძირში ამოჭრილია ათი სამარხი (XVI-XVII სს). რამდენიმე სამარხთან კედელში ამოკვეთილია ნიშები.



242. რეკონსტრუქცია (გ. ლეჟავას მიხედვით)

სამხრეთ ნაგებობის (დ) მ ც ი რ ე ს ა თ ა ვ ს ი კომპლექსის დერეფანი უნდა იყოს. მის დას. კედელში მთავარი ქუჩიდან ვიწრო კლდეკარია გაჭრილი. შემორჩენილი ცოკოლი გვაფიქრებინებს, რომ დერეფანი ეზოსაკენ, ღია დარბაზის პირდაპირ იყო გახსნილი და ეზოში შესვლა ქუჩიდან მხოლოდ დერეფნის გავლით შეიძლებოდა. ანტ. ხანის სხვა შემოსასვლელი ეზოს არა აქვს. დერეფანი ეზოდან გამოყოფილი იყო გლუვად დამუშავებული კლდის კედლით (სიგ. 14 მ), მის დას. ბოლოში გასასვლელი (2,65 მ) მდებარეობს. ეზოს ცოკოლი უხვევს ამ გასასვლელში და შედის დერეფნის ინტერიერში.

(ე) დ ი დ ი დ ა რ ბ ა ზ ი ოთხკუთხაა. შემორჩენილ სამხრ. კედელში ამოკვეთილია კარის ფოსო (დაუდგენელია ანტ. ხანისაა იგი თუ გადაკეთების დროს არის ამოკვეთილი). იატაკში ამოკვეთილია ოთხი ბუდე. ფორმათა სიზუსტით და ზედაპირის გლუვი დამუშავებით ისინი ანტ. ხანას მიეკუთვნებიან. იატაკში ამოკვეთილია აგრეთვე წყალსაწრეტი ღარის სათავე. ღარი ეკლესიის ტერასაზე ჩამოდის.

სამხრეთ ნაგებობის იატაკი ეზოს დონეზეა. ეს დონე გრძელდება სამხრ-კენ და დიდი დარბაზის წინ ქმნის ტერასა-ბაქანს. ტერასიდან მთავარ ქუჩამდე ჩამოდის განიერი კიბე. დარბაზის გარეთა მოცულობა მთლიანად (ოთხივე ფასადით) ყოფილა გამოვლენილი. ამჟამად არ ჩანს აღმ. ფასადი, რადგან აღმ. კედლის გადარჩენილი ქვედა ნაწილი გამოყენებულია ქრისტ. ეკლესიის დას. კედლის საძირკვლად. სავარაუდოა, რომ დიდი დარბაზის გაგრძელებაზე კიდევ მდებარეობდა ნაგებობა, რ-იც ეკლესიის ქვეშაა მოქცეული.

კომპლექსის ცენტრს წარმოადგენს აღმ-კენ წაგრძელებული ოთხკუთხა ტერასა-ეზო (16,2X9,2 მ), იგი ქუჩების დონესთან შედარებით ჩაღრმავებულია (2,2 მ-ით). ეზო იზოლირებულია. მის ორივე მხარეს (ვ) ს ა თ ა ვ ს ე ბ ი ა. მათი განივი მხარეები შემოსაზღვრულია ჩაჭრილი კედლებით. ფაქიზად დამუშავებულ ეზოს შემოვლებული აქვს თლილი კლდის ცოკოლი, რ-იც დას-ით იმდენად განიერია (2,65 მ), რომ ტახტად (ამაღლებულ ბაქნად) გამოდგებოდა. „ტახტი" ორია, გაყოფილია კედლით. ეზოში არ არის ანტ. დროისათვის დამახასიათებელი სამეურნეო და საოჯახო საქმიანობისათვის განკუთვნილი ადგილი.

*ქ. თ.*

## ფეტვისხევი

(ბოშურის სოფსაბჭო)

243. მარიამწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას მდ. ტანის ხეობაში, სოფ-



243. გეგმა



243. განაკვეთი სამხრ.-კენ

ლიდან ჩრდ.-დას-ით, 3 კმ-ზე, ტყეში („შვეტყე"). თარიღდება IX-X სს. ეკლ. დარბაზულია (12,25X11,1 მ), ნაგებია ძირითადად ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-ითაა. აღმ-ით და დას-ით თითო სარკმელია, სამხრ-ით — ორი. ღრმა ნახევარწრიულ აფსიდს მაღალი დასაჯდომი გასდევს. აფსიდის ცენტრში დგას ქვით ნაშენი ხატრაპეზი. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-იც მძლავრად გამოშვერილ ერთსაფეხურიან პილასტრებსა და თლილი ქვის საბჯენ თაღებს ეყრდნობა. აფსიდის სამხრ. კედელზე შემორჩენილია მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს (ა) ფრაგმენტები, რ-იც ხტილისტ. ნიშნებით XII-XIII სს. განეკუთვნება. საკურთხეველი დარბაზის იატაკიდან ორი საფეხურით არის ამაღლებული, აქ იდგა XV-XVI სს. ხის კ ა ნ კ ე ლ ი (ამჟამად ინახება საქართვ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმში). კანკელის არქიტრავის ასომთ. წარწერაში მოხსენიებულია ზაქარია ფანასკერტელი, რაც მოწმობს, რომ გვიანდ. ფეოდ. ხანაში ეკლ. და მისი მიდამოები ამ გვარის ფეოდალთა საუფლო იყო. ჩრდ-ისა და სამხრ. კედლების მთელ სიგრძეზე ეკლესიის თანადროული ორი მ ი ნ ა შ ე ნ ი ა. ორივე მინაშენი აღმ-ით ეკლესიის აფსიდის კედლებში ღრმა ნიშით არის შეჭრილი. ეკლესიის აღმ. კედლის ჩრდ. კუთხეში გვიანდ. ფეოდ. ხანაში მიუშენებიათ დარბაზული (ბ) ე კ ლ ე ს ი ა, რ-საც კარი სამხრ-ითა აქვს, სარკმლები — აღმ-ითა და სამხრ-ით.

*მგ. მ.*

# ფიცესი

(საყავრის სოფსაბჭო)

244. სარობისის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სოფლის სამხრ. გარეუბანში, მდ. თეძმის მარცხ. ნაპირას, მაღალ კლდოვან ბორცვზე. აგებულია 1152 წ. 1962 წ. საეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ნაგებობა ნაწილობრივ აღადგინა, გადახურა და შეაკეთა ფასადები. ეკლ. დარბაზულია (17X12,5 მ), ნაგებია ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებით. ეკლესიას შესასვლელი სამხრ-ით, სამხრ.-დას-ის მინაშენიდან აქვს. შენობის ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და ორი ნიშია. თითო სარკმელი ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებშია. ძლიერ დაზიანებული, ოსტატურად ნაკვეთი კ ა ნ კ ე ლ ი საკურთხეველს დარბაზიდან ყოფს. შენობის თანადროულია მის შიგნით კედლებზე შემორჩენილი (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები. საკურთხევლის კონქში *ვედრების* კომპოზიციაა. ჩანს მაცხოვრის მარჯვ. ტერფი, რ-ზეც შერჩენილია ოქროსფერი ოქრას სარჩული და ყავისფერი კონტურის ნაშთი, მოწითალო-ყავისფერი ქიტონის ფრაგმენტი და კვადრ. ფორმის, სწორკუთხედებად დაყოფილი ტახტის ფეხი. იქვე, ჩრდ-ის მხარეს ექვსფრთედის ფრაგმენტია. საკურთხევლის მეორე რეგისტრში ეკლესიის მამათა ექვსი ფიგურაა. გამოსახულებები ფრონტალურია. შედარებით უკეთესადაა შემონახული სარკმლის წირთხლების მოხატულობა. ასომთ. წარწერის მიხედვით აქ ორი დიაკონია წარმოდგენილი: წმ. სტეფანე და წმ. გერმანოზი. წმინდანების შარავანდები ხხვადასხვა ფერისაა: ეკლესიის მამებისა ყვითელია, დიაკვნებისა — მონაცრისფრო-იისფერი. ჩრდ-ის კედლის აღმ. მონაკვეთში წარმოდგენილია *იერუსალიმს შესვლა* (შემორჩენილია მხოლოდ ცხენისა და მაცხოვრისკენ მიმართული ბავშვის გამოსახულების ფრაგმენტები). ამავე კედლის დას. ნაწილში ორი მოწამის წელზედა გამოსახულება გაირჩევა (ერთი მათგანი მეომარია). სამხრ-ის კედლის აღმ. მონაკვეთში შემორჩენილია *წმ. გიორგის ბრძოლა გველეშაპთან* (დაზიანებულია). ცხენი წითური ფერისაა. შემოსასვლელის ტიმპანში გამოსახულია მაცხოვრის თავი. შემოსასვლელის თავზე, მისგან მარჯვნივ (დას-ით) და დას-ის კედელზეც ცალკეულ სცენათა ნაშთებია შერჩენილი, რ-თა გარჩევა ამჟამად არ ხერხდება. სამხრ-ის კედლის სარკმლის წირთხლები მოხატულია მცენარეული ორნამენტით — სამფურცლიანი ყვავილებით, ყვითელი ყლორტებითა და შავ ფონზე მტევრიანებით, რაც დამახასიათებელია XI-XII სს. ქართ. მონუმ. მხატვრობისათვის. მხატვრობის კოლორიტი თავშეკავებულია. უმთავრესად გამოყენებულია მოწითალო-აგურისფერი, ოქროსფერი ოქრა, ცისფერი, მოწითალო-ყავისფერი და ნაცრისფერი. ფიგურები სტატიკურია, გამოირჩევა სიმკაცრით.

შენობა მაღალ ცოკოლზე დგას. ეკლესიის დას. ფასადი კლდოვან ფერდს გადაჰყურებს. აღმ-ისა და სამხრ-ის სარკმლების განიერი საპირეები შემკულია კარგად ნაკვეთი მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით. აღმ.

243. აღმ. ფასადი





244. აღმ. ფასადი, სამხრ. ფასადი (მარცხნივ), გრძივი განაკვეთი სამხრ.-კენ, გეგმა

ფასადზე, ფრონტონის წვერში, ამოკვეთილია თანაბარმკლავიანი ჯვარი. ამავე ფასადზე, სარკმლის თავზე, კედელში ჩასმულ ფილაზე ასომთ. წარწერაა, რ-იც გვამცნობს ეკლესიის აშშენებლის ვინაობას (კახა ერისთავთ-ერისთავი) და აგების თარიღს. ეკლესიის ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებზე მიდგმულია გ ა ლ ა ვ ა ნ ი, რ-შიც სამხრ.-დას-ით გაჭრილია კარი.

ბიბლ.: 343. *ანდღ. ნ., მ. ი. შ. ტ.*

## ფლავი

(ტყვიავის სოფსაბჭო)

245. ᲘᲝᲐᲜᲔ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრით 1 *კმ*-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (11X6,5 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით, კუთხეები ამოყვანილია მოწითალო ფერის ნატეხი ქვის კვადრებით. შენობის ნახევარწრიულ აფსიდში სარკმელია, მის ორივე მხარეს — თითო ღრმა ნიში. თითო სარკმელი სამხრ-ის და დას-ის კედლებშია. გრძივი კედლების თითო პილასტრზე გადადის საბჯენი თაღი, რ-საც ეყრდნობა ცილინდრული კამარა. კედლებზე დეკორატ. თაღებია. აღმ ფასადზე, სახურავის ქვევით, კედელში ჩასმულ მოწითალო კლდის ქვაზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი.

ეკლესიას სამხრ-ით მ ი ნ ა შ ე ნ ი (სიგ. 1,8 *მ*) აქვს, რ-ის ექვსი სვეტი შენობის სამხრ. კედელზეა მიდგმული. სვეტებზე გადადის თაღები. კამარა ცილინდრულია. მინაშენის სამხრ-ით გეგმით ოთხკუთხა კ ა რ ი ბ ჭ ე ა. *გვან. ჯ.*

246. ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის თავში, ადგილ ბატონის საყდრის ძირში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს — ადრინდ. რკინის ხანით. აღმოჩენილია 1929 წ. მიწის დამუშავების დროს. მასალა (თიხის შავი ჭურჭელი და ყურიანი ქოთანი) დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ბიბლ.: 153. *ირ. შ.*

## ფლავისმანი

(ტყვიავის სოფსაბჭო)

247. 1905 წ. გაზაფხულზე სოფ. ფ ლ ა ვ ი ს მ ა ნ ი ს ც ე ნ ტ რ შ ი, ყ ო ფ. ე კ ლ ე ს ი ი ს გვერდით მემამულე გ. ერისთავის მოქმედებით აღშფოთებულმა გლეხებმა მოკლეს იგი და გადაწვეს მისი სახლ-კარი. მოთავეებმა მახლობელ ტყეს შეაფარეს თავი. მთავრობამ სოფელში ჩააყენა ეგზეკუცია და შემოიღო სამხ. წესები.

ბიბლ.: 46:125. 153; 201 ვ. *ჩ. თ.*

248. ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ ᲒᲝᲮᲘᲡ ᲒᲝᲠᲐ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, სარწყავი არხის პირას, განმხოლოებულ გორაზე. თარიღდება ადრინდ. ბრინჯაოს, გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანით. გორა ოვალური ფორმისაა. დამხრობილია აღმ-დან დას-კენ. ჩრდ-დან, აღმ-დან და სამხრ-დან შემოვლებული აქვს ტერასისაგან გამომყოფი თხრილი, რ-ის სიგანე 40 *მ*-ია, სიღრმე 20 *მ*. გორის თხემი წარმოადგენს დიდ მოვაკებულ მოედანს (65X25 *მ*). ნ-ზე გამოვლინდა ორი კულტ. ფენა. პირველში გვხვდება ადრინდ. ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კერამ. ჭურჭელი: პირგადაშლილი და მუცელგამობერილი ქოთნები, პირგადაშლილი ჯამები, რ-თა უმეტესობა სქელკეციანია. თხელკეციანი ჭურჭელი ცოტაა. კერამიკა ხასიათდება თიხის არაერთგვაროვნებით, გამომწვარია შავად და წითლად. გვხვდება ორმხრივ შავზედაპირიანი, ორმხრივ წითელზედაპირიანი, აგრეთვე წითელზედაპირიანი შავსარჩულიანი და შავზედაპირიანი წითელსარჩულიანი ჭურჭელი.

ნ-ს მეორე კულტ. ფენის კერამ. ჭურჭელი ხასიათდება თიხის ერთგვაროვნებით, გამომწვარია შავად, წითლად. ლეგაფრად. მათი კეცი პრიალაზედაპირიანია. გვხვდება დაბალყელიანი. პირგადაშლილი ქოთნები, პროფილირებულპირიანი ჯამები, დიდი და მცირე ზომის ბადიები, ბრტყელძირიანი, მრგვალი და ოვალურგანივკვეთიანი ყურების ქონე დერგები, ამოღარულქუსლიანი სასმისის ნატეხები. ჭურჭელთა უმეტესობა შემკულია ტალღისებრი, ჭდეული, საფარცხლისებრი, თევზიფხური ორნამენტით. გვხვდება პრიალა ხაზებისგან შედგენილი რომბული ბადეებიც. ჭურჭელი უმთავრესად ჩარხზეა დამზადებული. მასალა გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანით თარიღდება.

გორის ჩრდ-ისა და სამხრ-ის მხარეს, თხრილის გარეთ, ტერასაზე აღმოჩნდა ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი, აქაც ორი კულტ ფენა გამოვლინდა. I ფენის. ადრინდ. ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკა გამოირჩევა მრავალგვაროვნებით, გამომწვარია შავად, წითლად. ორკეციანია. გვხვდება შავზედაპირიანი წითელსარჩულიანი და წითელზედაპირიანი შავსარჩულიანი ჭურჭელი. პირგადაშლილი ქოთნები. ჯამების ნატეხები, რ-თა შემორჩენილი ყურის ნაწილი მიერთებულია ჭურჭლის ან ჯამის პირთან.

ნამოსახლარის II ფენაში დადასტურდა ორი ლეგაფრად გამომწვარი პატარა ნატეხი. ერთი მათგანის ზედაპირი დაფარულია წერილი ღარებით, მეორისა შემკულია თევზიფხური ორნამენტით. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანით. *ოქ. ფ.*

249. ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, ქ ვ ა ყ უ თ ი, არქეოლ. ძ. მდებარეობს კ. გიუნაშვილის სახლის ეზოში. მიეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანას. აღმოაჩინეს შემთხვევით, 1924 წ., მიწის დამუშავების დროს. ქვაყუთი დაზიანებული იყო. არქეოლ. მასალა არ არის აღრიცხული, დაკარგულია.

ბიბლ.: 153. *ირ. შ.*

250. **ძვაჟუთი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მისასვლელთან, ჩრდ.-აღმ.-ით. მიეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანას. აღმოაჩინეს შემთხვევით, 1924 წ., ტირიფონის არხის გაყვანის დროს. ძ. მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 2 *მ* სიღრმეზე და წარმოადგენდა კოლექტიურ სამარხს. ძ-ის დაზიანების გამო დაკრძალვის წესი ვერ დადგინდა. მოპოვებული არქეოლ. მასალიდან აღსანიშნავია თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ნივთები: თავხვია საკინძი, მასრაგახსნილი შუბისპირი, მოკლე ორპირი მახვილი სატარეზე ორი სამანჭვლე ნახვრეტით. მასალა დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

*ბიბლ.:* 153. *ირ. მ.*

## ფხვენისი

**(შინდისის სოფსაბჭო)**

251. (ა) სოფ. ფ ხ ვ ე ნ ი ს შ ი 1860 წ. მოხდა უმაყოფილო გლეხების გამოსვლა. გლეხები შეგროვდნენ სოფლის ც ე ნ ტ რ შ ი, წმ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ი ს ე ზ ო შ ი და მემამულეებს ავალიშვილებს, ამილახვრებს, ერისთავებსა და მაჩაბლებს უარი განუცხადეს გადასახადის გადახდაზე. გლეხებმა დაიწყეს მემამულეთა კარმიდამოების დარბევა. საფრთხე შეუქმნეს ამილახვრის სიცოცხლეს. მოითხოვდნენ ბატონყმობისაგან განთავისუფლებას. მთავრობამ დააწესა ახალი გადასახადები, სოფელში ჩააყენა ეგზეკუცია და დააპატიმრა გამოსვლის მოთავეები.

(ბ) 1905 წ. 23 ივნ. ს ო ფ ლ ი ს თ ა ვ შ ი (ამჟამად აქ ს ა ყ ო ფ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ო მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ი ს შ ე ნ ო ბ ე ბ ი ა) მებატონე ამილახვრის თავგასულობით შეწუხებულმა გლეხებმა მისივე სახლის ახლოს, გზაზე მოკლეს იგი. პოლიციამ მკვლელი ვერ აღმოაჩინა.

*ბიბლ.:* 21:162. *ე. შ., ჩ. თ*

252. **ამილახვრის ციხე-კოშკი**, არქიტ. ძ., დგას სოფლის სამხრ. ნაწილში მთავარი გზის პირას. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. კოშკი ცილინდრულია (დიამ. 10 *მ*, კედლის სისქე 2 *მ*). ძირითადად ნაგებია რიყის ქვით, პირველი სართულის გუმბათოვანი კამარა, ნიშების წირთხლები და თაღოვანი გადახურვები აგურისაა. შენობა დაზიანებულია – თითქმის მთლიანად დანგრეულია მეორე სართულის კედლები. კოშკის პირველი სართული წრიულია. გადახურულია გუმბათოვანი კამარით. თაღოვანი შესასვლელი სამხრ.-დას.- დან აქვს. სართული ნათდება ორი ვიწრო, მაღალი, სწორკუთხა სარკმლით. სარკმლების გადახურვა საფეხურებიანია და შიგნიდან გარეთ მაღლდება. კედელში ორი ფართო, ღრმა, თაღოვანი, სათოფურიანი ნიშია. გარდა ამისა, ამ სართულზე კიდევ სამი პატარა ნიში, ერთი ბუხარი და ორი სათოფურია. პირველი სართული მეორეს უკავშირდება შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს კედელში დატანებული კიბით. კიბე ნათდება ერთი სწორკუთხა სარკმლით. მეორე სართული სწორკუთხაა. შემორჩენილია მხოლოდ ბუხრის, ფართო ნიშების და შესასვლელის წირთხლების კვალი. *დე. თ.*

253. **დიდი რუ**, სარწყავი არხი, არქეოლ., ისტ. ძ. მდებარეობს სოფ. ფხვენისსა (სათავე) და სოფ. ბებნისს შორის. თარიღდება ფეოდ. ხანით. არხი რწყავს სოფლების: საქაშეთის, შინდისის, სასირეთის, ბებნისის მიწებს. არხში მოედინება მდ. ლიახვის წყალი. გადმოცემით, იგი თამარ მეფის დროს აუგიათ. არხის გასწვრივ გამოვლენილია ფეოდ. ხანისათვის დამახასიათებელი წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. არხის ნაწილი ამჟამადაც მოქმედებს. *ნ.ა*

254. **კოშკი**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. კ. ცილინდრულია (დიამ. 6,8 *მ*). ორსართულიანი, ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. შიგნიდან შელესილია. შენობა დაზიანებულია: ჩამონგრეულია კედლების ზედა ნაწილი. ნაგებობას შესასვლელი სამხრ.-დას.-ით, პირველ სართულზე აქვს. კარის ორივე მხარეს თითო ორმაგი სათოფურია. ჩრდ.-ის კედელში ჩაშენებულია ოთხკუთხა ბუხარი, რ-ის გვერდებზე ორმაგი სათოფურებია. აღმ. კედელში მეორე სართულზე ასასვლელი კიბეა. მეორე სართულს აღმ.-ით ერთი ერთმაგი, დანარჩენ სამ მხარეს კი თითო ორმაგი სათოფური აქვს. ყველა სათოფური თახჩიანია. ნაგებობას შემოვლებული აქვს რიყის ბრტყელი ქვის თევზიფხურად ნაწყობი სარტყლები. შენობის გადახურვა გუმბათოვანია, ნაწყობია კვადრ. აგურით. *ნ.ა.*

255. **ნათლისმცემლის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,9 X 5,4 *მ*), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით, კუთხეები, კარი და სარკმლები ამოყვანილია შირიმისა და ტუფის ქვით. არქიტრავით გადახურული კარი სამხრ-ითაა, თაღოვანი სარკმლები — აღმ-ით, დას-ითა და სამხრ-ით. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო ორსაფეხურიანი პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა კამაროვანი გადახურვის საბჯენი თაღი. ჩრდ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, მაღალი ჯვარია გამოსახული, დას. ფასადის სამხრ. კუთხეში — ვარდული. შენობას შემოვლებული აქვს ტუფის ქვის ლავგარდანი. გადახურულია ღარიანი კრამიტით.

ეკლესიის დას-ით, ქვიშაქვის ოთხ სვეტზე დგას კვადრ. აგურით ნაგები ს ა მ რ ე კ ლ ო. ეკლესიის ჩრდ. კედლის მთელ სიგრძეზე მიშენებულია სწორკუთხა ს ა თ ა ვ ს ი, რ-საც აღმ.-ით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. ეკლ. სათავსს ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში გაჭრილი კარით უკავშირდება. კარს არქიტრავული გადახურვა აქვს. ეკლესიის სამხრ. კედელზეც ასეთივე ს ა თ ა ვ ს ი ა მიდგმული, რ-ის სამხრ. კედლის დას ნაწილში გაჭრილია კარი. სათავსების სახურავი და კედლის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია. *ნ.ა.*

256. **ნასოფლარი ფხვენისი**, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით. თარიღდება ფეოდ. ხანით. ნასოფლარზე გამოვლინდა ფეოდ. ხანის ეკლესიის საძირკველი, რ-შიც ჩატანებული იყო ამილახვრის(?) საფლავის ქვა. ნაეკლესიარის გარშემო შეინიშნება ნასახლარები. იქვეა ამილახვარის ციხე-კოშკი. *კე. რ.*

257. **ღვთისმშობლის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, 0,5 *კმ*-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,1 X X 5,3 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. კუთხეებში გამოყენებულია მოწითალო ფერის ნატეხი ქვა. შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, სამხრ. კედელში — ორი. გრძივ კედლებზე პილასტრებია, რ-ებსაც ეყრდნობა ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი. სამხრ. ფასადზე, კარის თავზე ჩასმულ მოწითალო ქვაზე ამოკვეთილია განედლებული ჯვარი. ასეთივე ჯვარია აღმ. ფასადის სარკმლის თავზეც. აღმ. სარკმელი ფასადის მხრიდან ორნამენტირებულია. დას. სარკმლის თავზე ჩასმულ მოწითალო ქვაზე X ს-ის ასომთ. წარწერაა: „ქრისტე, ადიდე ბეშქენ სტე-



257. დეტალი

ფანოზის ძე". სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. სახურავზე, დას-ით, დგას ეკლესიის ქვის მოდელი, ხოლო აღმ-ით — ქვისგან გამოკვეთილი ცხვრის თავი.

*გვაბ. ჯ., ნ. ა.*

259. **წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. სამხრ. ფასადის მხედრ. წარწერის თანახმად ეკლესიის მშენებლობა დასრულებულა 1835 წ. 15 მაისს. ეკლ. დარბაზულია (9 X 5 მ), ნაგებია რიყის ქვით, კუთხეებში გამოყენებულია ნატეხი ქვა. შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია. თითო სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშია. ეკლ. გადახურულია ცილინდრული კამარით. სახურავს დას. ნაწილში ადგას აგურის ოთხსვეტიანი სამრეკლო. *გვაბ. ჯ.*

## ქვახვრელი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

260. **ქვახვრელის გამოქვაბულების კომპლექსი**, ისტ., არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, კლდეში ნაკვეთი ქალაქის უფლისციხის სამხრ-ით, 2 კმ-ზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ანტ. ხანაში იგი უფლისციხის სას.-სამ. გარეუბანი იყო. ისტ. წყაროებში ქვახვრელი პირველად მოხსენიებულია XI ს. ფეოდ. საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლის პერიოდში. ქვახვრელი მნიშვნელოვანი დასახლება ყოფილა. ძე. სოფელი ნაწილობრივ გადაფარულია თანამედროვე დასახლებით.

ქ.გ.ქ. ქვიშაქვის ფრიალო კლდეშია გამოკვეთილი. კომპლექსში შედის: სამრეკლო, კორიდორები, ეკლესია, დაბალი და ერდოიანი სადგომები.

(ა) სამრეკლოს, რ-იც გამოქვაბულების კომპლექსის შესასვლელზე მოგვიანებითაა მიშენებული, არაწესიერი სწორკუთხედის ფორმა აქვს (4,2 X 2,7 მ, სიმ. 1,6 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. სამრეკლოს თაღოვანი შესასვლელი, რ-იც სიმეტრიის ღერძიდან ოდნავ დას-ითაა გადაწეული, ჩრდ. კედელშია. განივ კედლებში თითო სწორკუთხა სარკმელია. ნაგებობა დასრულებულია გუმბათით, რ-იც დაბალი, შიგნით და გარეთ გეგმით წრიული ცილინდრული ყელისა და კონუსისმაგვარი სახურავისაგან შედგება. გუმბათქვეშა სწორკუთხედიდან გუმბათის ყელზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპისმაგვარი (იმიტაცია) კონსტრუქციით. ყელის ჩრდ. მონაკვეთში ხუთი თაღოვანი, ქვემოთ რამდენადმე გაფართოებული სარკმელია. სამრეკლოს გუმბათოვანი კამარა ძაბრისმაგვარი მოხაზულობისაა. კამარის კედლებში ჩასმულია სამი პატარა ქვევრი. მათ ზემოთ შემორჩენილია ზარის ჩამოსაკიდებელი ძელის ორი ბუდე.

(ბ) კორიდორები. სამრეკლო უკავშირდება ბნელ კორიდორს (სიგრ. 19 მ, სიგ. 2 მ, სიმ. 2,5 მ), რ-ის ღერძი ჩრდ-დან სამხრ-კენაა მიმართული. კორიდორის აღმ. კედლის ცენტრში გაჭრილია ეკლესიის შესასვლელი. ამ შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს გამოკვეთილია რამდენიმე საფეხურით ამაღლებული ერდოიანი სადგომი, რ-იც უკავშირდება ღია კორიდორს (III). I კორიდორის ბოლოს, მარცხნივ, მიემართება II კორიდორი, რ-იც უკავშირდება დამხმარე სადგომს. III კორიდორი დანარჩენ კორიდორებს უერთდება მათი გადაკვეთის ადგილთან (ამჟამად ამოქოლილია).

(გ) ეკლესია კომპლექსის სხვა სადგომებთან შედარებით უფრო დიდია (10 X 4,5 მ; სიმ. 7,6 მ). მას ორი სწორკუთხა კარი აქვს. ერთი, ფართო კარი გაჭრილია ჩრდ. კედლის შუა ნიშში და წარმოადგენს დარბაზის განათების ძირითად წყაროს. მეორე სამხრ.




260 გეგმა: I. ბნელი კორიდორი; II. კორიდორი. III. ღია კორიდორი; ა. სამრეკლო; ბ. ეკლესია; გ. ერდოიანი სადგომი; დ. დაუმთავრებელი სადგომი; ე. დამხმარე სადგომი



260. ეკლესიისა და ერდოიანი სადგომის განაკვეთი სამხრ.-კენ, საერთო ხედი (ჩანახატი)

კედლის აღმ. მონაკვეთშია. ეს კარი II კორიდორში გადის. ეკლესიას აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. საკურთხეველი დარბაზის იატაკის დონიდან 1 *მ*-ითაა შემაღლებული. საკურთხეველში ორი თაღოვანი ნიშია. უფრო ფართო სამხრ. ნიშში გაჭრილია დამხმარე სადგომში ჩასასვლელი ვიწრო თაღოვანი გასასვლელი. საკურთხევლის კონქის ჩრდ. ნაწილში პატარა სწორკუთხა სარკმელია. ამ ადგილას კლდის მასივი გახსნილია და ქვის წყობითაა დასრულებული. საკურთხეველი *კანკელით* ყოფილა გამოყოფილი, რ-ის კლდეში ნაკვეთი მცირე ნაწილები შემორჩენილია აფსიდის გვერდებთან. ეკლესიის კედლები დანაწევრებულია თაღოვანი ნიშებით, რ-ებიც იატაკიდან 4,5 *მ* სიმაღლეზე იწყება. სამ-სამი ნიში გრძივ კედლებზეა, ხოლო ორი — დას-ისაზე. გრძივ კედლებზე, თაღოვანი სარკმლის ქვეშ, ერთმანეთთან სიმეტრიულად ამოკვეთილია სამ-სამი ბუდეც. რ-საც ხარაჩოების გასამართავად იყენებდნენ.

(დ) *სადგომები*. *დამხმარე სადგომი* სწორკუთხაა. მის ცენტრში მოწყობილია პატარა საკურთხეველი. სადგომის გადახურვა ბრტყელია. ეკლესიის შესასვლელის პირდაპირ გამოკვეთილია თითქმის წრიული მოხაზულობის *ერდოიანი სადგომი*. სადგომის კედელზე ამოკვეთილია რამდენიმე ნიში, დას-ის ნაწილში ღია კორიდორში (III) გასასვლელი სწორკუთხა კარია. სადგომი გადახურულია გუმბათოვანი კამარით. კამარა რთული მოხაზულობისაა და წვერში ოვალური ხვრელობი (ერდო) აქვს. ერდოიანი სადგომის ახლოს, მის დას-ით, კიდევ ერთი ერდოიანი სადგომის გამოკვეთა დაუწყიათ (არ არის დამთავრებული).

გამოქვაბულის კედლებზე მოგვიანებით ამოუკვეთიათ ჩვიდმეტი ხაჩკარი· თხუთმეტი — I კორიდორის აღმ. კედლებზე, ხოლო ორი — ეკლესიის საკურთხეველში. ზოგიერთზე საფლავის სომხური შაბლონური წარწერებია დაცული. პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერები XVIII ს. მიეკუთვნება. ხაჩკარების გამოყენება დაკავშირებულია სომეხი მოსახლეობის მიგრაციასთან, რ-იც ამ რეგიონში XVIII ს-ში მოხდა.

ბიბლ.: 220ა; 259; 315:208-218.

*დვ. თ.*

## ქვემო ნიქოზი

(ნიქოზის სოფსაბჭოს ცენტრი)

261. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ მონაკვეთში, ზემო უბანში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8 X 5,5 *მ*), ნაგებია რიყისა და ტუფის ქვით. შენობა ძლიერ დაზიანებულია. ჩანგრეულია კამაროვანი გადახურვა, დანგრეულია სამხრ. და დას. კედლების ზედა ნაწილი, დარღვეულია იატაკის დონე. ზოგან შემორჩენილია შირიმის ქვის თაროსებრი ლავგარდანი. არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრ-ითაა, თაღოვანი სარკმლები — აღმ-ით, დას-ითა და სამხრ-ით. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. გრძივი კედლები დანაწევრებულია ქვით ნაწყობი პილასტრებით. აღმ-ის ფასადზე, სარკმლის თავზე, დიდ ტუფის ქვაზე სამმაგი რელიეფური წრეები, მათ ზემოთ კი ჯვარია გამოსახული *ნ.ა.*

262. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-

ალმ-ით. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,5 X 6 მ), ნაგებია რიყისა და ტუფის ქვით. შენობა ძლიერ დაზიანებულია: ჩანგრეულია კამაროვანი გადახურვა, დანგრეულია ჩრდ. და სამხრ. კედლების ზედა ნაწილი, დარღვეულია იატაკის დონე. არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრ-ითაა, თაღოვანი სარკმლები — აღმ-ით, სამხრ-ითა და დას-ით. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. დარბაზის გრძივი კედლები შირიმის ქვით ნაწყობი პილასტრებით დაახლოებით ორ ტოლ ნაწილადაა გაყოფილი. პილასტრებს ტუფის კაპიტელები აქვთ, იმპოსტებზე ვარდულებია ამოკვეთილი. აღმ-ის ფასადზე, ტუფის ქვაზე, გამოსახულია რელიეფური მაღალი ჯვარი. მის ქვემოთ დაზიანებული ასომთ. წარწერაა (არ იკითხება). ეკლესიას შემოვლებული აქვს შირიმის ქვით ნაწყობი თაროსებრი ლავგარდანი. *ნ.ა.*

## ქვემო რიეთი

(სკრის სოფსაბჭო)

263. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, ბორცვზე. თარიღი დაუდგენელია. ე. დარბაზულია (6,3 X 4,4 *მ*), ნაგებია დიდი ზომის ლოდებისაგან. 1920 წ. მიწისძვრამ შენობა ძლიერ დააზიანა. შესასვლელი სამხრ-ითაა, ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია. დარბაზი გადახურულია კამარით.

*ბიბლ.:* 107:64. *ქ. თ.*

263. გეგმა



264. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ქვემოთ, სკრის ხეობის მარჯვ. ნაპირზე. ე. თაყაიშვილის ცნობით, ეკლესიის დას. ფასადიდან ჩამოვარდნილი ქვის (დაკარგულია) მხედრ. წარწერაში მოხსენიებულია კტიტორი შალიკაშვილი. ამ ცნობის საფუძველზე ნაგებობა XVIII ს. დასაწყისით თარიღდება. ეკლ. დარბაზულია (8,65 X 7,75 *მ*), ნაგებია აგურით. 1920 წლის მიწისძვრამ შენობა ძლიერ დააზიანა. შემორჩენილია ჩრდ-ის, აღმ-ისა და სამხრ. კედლების ქვედა ნაწილები და აფსიდი. შესასვლელები სამხრ-ით და დას-ითაა. შეისრული ფორმის სარკმელი მხოლოდ საკურთხეველშია შემორჩენილი.

*ბიბლ.:* 107:63. *ქ. თ.*

## ქვემო ხვითი

(შინდისის სოფსაბჭო)

265. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან სამხრ.-აღმ-ით, 1 *კმ*-ზე, ადგილ გალავნებში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. კ. ცილინდრულია (დიამ. 7,5 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. შენობა დაზიანებულია: შემორჩენილია პირველი სართული. კ-ში შესასვლელი ჩრდ.-დას-ის მხარესაა. მის დას-ით ღრმა, თაღოვანი თახჩაა, ხოლო აღმ-ით, კედელში დატანებულია მეორე სართულზე ასასვლელი კიბე. სამხრ-ის, აღმ-ისა და დას-ის კედლებში თითო ერთმაგი და ორმაგი თახჩიანი სათოფურებია. კ. შიგნით შელესილია. პირველი სართულის გადახურვა გუმბათოვანი იყო. *ნ.ა.*

266. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ.-დას-ით. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6 X 4,5 *მ*), ნაგებია რიყის ქვით, კუთხეები, კარი და სარკმლები ამოყვანილია ნაცრისფერი ტუფის ქვით. სამხრ-ით არქიტრავით გადახურული კარი და სარკმელია. თითო ასეთივე სარკმელია აღმ-ითა და დას-ით, აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. დარბაზის გრძივი კედლები წყვილი პილასტრით დაახლოებით ორ ტოლ ნაწილადაა გაყოფილი. კამაროვანი გადახურვა ეყრდნობა შუა საბჯენ, დას. კედლის თაღებსა და აფსიდის მარტივპროფილიან იმპოსტებზე დამყარებულ სატრიუმფო თაღს. სამხრ. ფასადზე, კარის თავზე ასომთ. წარწერაა (იკითხება ნაწილობრივ). ეკლესიას შემოვლებული აქვს ტუფის ქვის თაროსებრი ლავგარდანი.

მოგვიანებით ეკლესიის დას. ნაწილში, სახურავზე დაუშენებიათ ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილი სამრეკლო, რ-იც ნაგებია კვადრ. აგურით. *ნ. ა.*

267. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (11,8 X 7,3 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. დაზიანებულია: მნიშვნელოვანი ბზარია გაჩენილი კამარის შუაში, ეკლესიის მთელ სიგრძეზე, აფსიდის კონქში და აფსიდის კედლის ღერძზე იატაკამდის; ჩამოშლილია ჩრდ-ის ფასადის საპირე წყობა და ლავგარდანი; ჩამორღვეულია ჩრდ.-აღმ-ის კუთხეც. დაზიანებული ეკლ. შეუკეთებიათ კვადრ. აგურით. დას-ის შესასვლელის ზღურბლში გამოყენებულია ორი ჩუქურთმიანი ქვა. ორივე მხრიდან შეისრულთაღიანი შე-





267. აღმ. ფასადი, გეგმა

სასვლელები დას. კედლის შუაში და სამხრ. კედლის (ამოქოლილია) დას. მონაკვეთშია. ორივე შესასვლელი გარედან თაღოვან შეღრმავებაშია მოთავსებული. შიგნიდან, შეღრმავების თაღის ქუსლების დონეზე, არქიტრავებია ჩადგმული. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. აფსიდის ჩრდ-ით კონქით დახურული ნიშია, სამხრ-ით — მცირე თაღოვანი ნიში. შიგნიდან შეისრული, გარედან ნახევარწრიული თაღოვანი სარკმლები — თითო დას-ით, შესასვლელის თავზე და ჩრდ-ით კედლის შუა ნაწილშია, ორი — სამხრ-ით შუა და აღმ. ნაწილში. დარბაზის გრძივი კედლები წყვილ-წყვილი ორსაფე-

ხურიანი პილასტრით და დას. კედლის კუთხის პილასტრით სამ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრების პირველ საფეხურზე გადადის კედლის დეკორატ. შეისრული თაღები. პილასტრები და აფსიდის მხრები დახრულებულია იმპოსტებით (თარო და ირიბად ჩაჭრილი სიბრტყე), რ-ებზეც დაბჯენილია კამარის აგურით ნაწყობი საბჯენი თაღები. დარბაზის იატაკი კვადრ. აგურითაა გაწყობილი. აღმ. ფასადის სარკმლის თავსართზე გამოსახულია განედლებული ჯვარი, რ-საც ნახევარწრიული მოჩარჩოება აქვს. სამხრ. კარის თავზე ჩადგმულია მოზრდილი წარწერიანი ფილა. შენობას გასდევს აგურის ოთხ რიგად ნაწყობი ლავგარდანი. სახურავი ორფერდაა, გადახურულია მიჭიქული ცისფერი კრამიტით.

ეკლესიის დას. ფრონტონის კეხზე დგას აგურის სამრეკლო, რ-იც სწორკუთხა შეღრმავებაში მოთავსებული, ოთხივე მხრიდან ნახევარწრიული თაღებითაა გახსნილი. სამრეკლოს გუმბათოვანი გადახურვა და აგურის პირამიდული სახურავი აქვს. *კალმ. გ, ნ. თ.*

268. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, აღმ-ით. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (12,2 X 7,2 *მ*), ნაგებია რიყის ქვით, კუთხეები, კარი და სარკმლები ამოყვანილია ტუფის ქვით. არქიტრავით გადახურული შესასვლელი დას-ითაა, თითო თაღოვანი სარკმელი — აღმ-ითა და დას-ით, ორი — სამხრ-ით. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო ოთხკუთხა ნიშია. დარბაზის გრძივ კედლებზე ორი წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრია. კამაროვანი გადახურვა ემყარება დარბაზის შუა საბჯენ და დას. კედლის თაღებს და აფსიდის ორსაფეხურიან იმპოსტებზე დაყრდნობილ სატრიუმფო თაღს. ეკლესიაზე დას-ის მხრიდან მიდგმულია ოთხ სვეტზე დაყრდნობილი კვადრ. აგურით ნაგები ორსართულიანი ს ა მ რ ე კ ლ ო. *ნ. ა*

## ᲥᲘᲬᲜᲘᲡᲘ

(ძველის ხოფხაბჭო)

269. ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,2X 5,9 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით, კუთხეები, სარკმლის საპირეები და ხამსაფეხურიანი ლავგარდანი აგურისაა. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიულ აფსიდში სამი თაღოვანი სარკმელია, თითო ასეთივე სარკმელი სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლებშიცაა. დარბაზის გრძივი კედლების წყვილ პილასტრს ეყრდნობა კამარის საბჯენი თაღი. აღმ. ფასადზე, სარკმლის თავზე გამოსახულია დიდი ჩაღრმავებული ჯვარი. შენობა შიგნით და გარეთ შელესილია. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. *ნ. შ.*

270. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-დას-ით, სასაფლაოზე. თარიღდება XIX ს-ით. ეკლ დარბაზულია (11,2 X 6,8 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. არაღრმა, ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო სარკმელია, რ-ის მარცხნივ სწორკუთხა ნიშია. დას-ისა და სამხრ-ის კედლებში თითო ვიწრო თაღოვანი სარკმელია. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილი პილასტრია, რ-საც ეყრდნობა აგურის კამარის საბჯენი თაღი. გრძივი კედლები დეკორატ. თაღებით არის დამუშავებული. ჩრდ-ის კედელში მცირე სწორკუთხა ნიშია. შენობა გარეთ და შიგნით შელესილია. ეკლესიას შემოვლებული აქვს აგურის ლავგარდანი, სახურავი ორფერდაა, გადახურულია თუნუქით. დას. კედლის ფრონტონის თავზე დაშენებულია ექვსი სწორკუთხა თაღით გახსნილი, აგურის წრიული ს ა მ რ ე კ ლ ო. მას კონუსური სახურავი აქვს. *ნ.შ.*

270. სამხრ. ფასადი, გეგმა .



271. ᲧᲕᲔᲚᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ. დას-ით, ძვ. სასაფლაოზე. აგებულია 1895 წ. ეკლ. დარბაზულია (9 X 4,9 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შენობა ძლიერ დაზიანებულია. ჩანგრეულია კამარა და ლავგარდანი. თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. დას-ის და სამხრ-ის კედლებში თითო სწორკუთხა სარკმელია, ჩრდ-ისაში — თაღოვანი ნიში. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილი განი-



271. აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა

ერი პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა კამარის საბჯენი თაღი. დას. ფასადზე, სარკმლის ქვეშ, კედელში დატანებულია დიდი თლილი ქვა, რ-ის მხედრ. წარწერა ეკლესიის აშენების თარიღს გვაუწყებს.

დას. კედლის ფრონტონის თავზე დაშენებულია სწორკუთხა, ოთხივე მხრიდან დამრეცი თაღებით გახსნილი სამრეკლო, რ-საც აგურისსახურავიანი გუმბათი აქვს. *ნ. შ.*

## ქორდი

(დიცის სოფსაბჭო)

272. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, მდ. ლიახვის მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება XVIII ს. შუა ხნით. კ. ცილინდრულია, ორსართულიანი (დიამ. 8,4 მ), ნაგებია რიყის ქვით, გამოყენებულია აგურიც. შენობა დაზიანებულია. სავარაუდოა ადრე საბრძოლო ბანიც ჰქონდა. კ-ს შესასვლელი ჩრდ-ით, მეორე სართულზე აქვს. კარის მარცხნივ, კედელში, ორი კიბეა, ერთი პირველ სართულზე ჩადის, მეორე ბანზე ადის. პირველი სართული დამხმარე სათავსია, შიგნიდან წრიულია. გუმბათში გაჭრილია სამი სარკმელი გადახურვა ნახევარსფერულია. მეორე, რვაგვერდა სართული საცხოვრებელი იყო, ჰქონდა თავდაცვითი ელემენტები. გუმბათში ხუთი სარკმელია, კედლებში — ბუხარი და სხვადასხვა ზომის ცალმაგ და ორმაგსათოფურიანი ნიშები. სათოფურები კ-ის წიბოებშიცაა. ფასადზე, სწორკუთხედში, ჩასმული თაღიანი კარის თავზე, გამოსახულია მოზრდილი ჯვარი, რ-ის გვერდებზე ორ რიგად რომბებია ჩამწკრივებული. რომბების თითო რიგი კარის ძირამდე ჩამოდის. მეორე სართულის გადახურვა რვაგვერდა პირამიდისებრია. *ზ. კ.*

273. მთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, აღმ-ით. თარიღდება XVI-XVII სს-ით. ეკლ. დარბაზულია (7 X 5 მ), ფასადები წითელი ქვისაა. სახურავი დაზიანებულია. შენობა შიგნიდან შელესილი ყოფილა. ეკლესიის სამხრ. კედელში გაჭრილია შესასვლელი და ერთი სარკმელი, აღმ-ისა და დასისაში — თითო სარკმელი. დარბაზის გრძივ კედლებზე პილასტრებია, რ-ებსაც ეყრდნობა შეისრული კამარის საბჯენი თაღი. კონქიც შეისრული ფორმისაა ფასადებზე სარკმლების სათაურები დეკორირებულია. აღმ. ფასადის კეხის ქვეშ ჩაშენებულია აქ ადრე მდგარი ეკლესიის (XI-XII სს.) კანკელის ფრაგმენტები. აღმ-ის სარკმლის ზემოთ გამოსახულია დიდი რელიეფური ჯვარი, მარჯვნივ ადამიანის ფიგურაა, რ-საც მარცხ. ხელში მოზრდილი ჯვარი უჭირავს. ეკლესიაზე სამხრ-ით მიდგმულია კარიბჭე, რ-საც სამხრ-ით შეწყვილებული ლილვებით მორთული შესასვლელი აქვს. ნაგებობას ბრტყელი, შვერილი ლავგარდანი აქვს შემოვლებული. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით. *ზ. კ.*

274. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით, მდ. ლიახვის მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება XVI-XVIII სს-ით. ეკლ. დარბაზულია (5 X 8 მ), ნაგებია რიყის ქვით, კონსტრ. ნაწილები, კუთხეები და კარ-სარკმლის წირთხლები თლილი ქვისაა. კამაროვანი გადახურვა ჩანგრეულია. შენობის ნახევარწრიული, ტიმპანებიანი შესასვლელები სამხრ-ითა და დას-ითაა. აღმ-ით ერთი სარკმელია, სამხრ-ით — ორი. დარბაზის გრძივ კედლებზე ორ-ორი ნახევარწრიული თაღია. საკურთხეველი, რ-იც თავდაპირველად ერთი საფეხურით ყოფილა აწეული, შემდეგში კიდევ უფრო აუმაღლებიათ და აქ აგურისა და ქვის ორკარიანი კანკელი დაუდგამთ. აღმ-ის ფასადზე, კეხის ქვემოთ, მომწვანო ქვაზე დაბალრელიეფიანი ჯვარია გამოსახული. დანარჩენ ფასადებს მარტივი ფორმის გრეხილი გასდევს. დას-ის კედელზე სამსტრიქონიანი ასომთ. წარწერაა. იკითხება პირველი სტრიქონი: „ქრისტე შეიწყალე გიორგი". მოგვიანებით ეკლესიისათვის სამხრ-ისა და დასის მხრიდან მიუშენებიათ სწორკუთხა სათავსები, რ-ებიც ნაგებია რიყის ქვით სამხრ-ის მინაშენს, რ-იც ეკლესიის სამხრ. სარკმლებს ფარავდა, შესასვლელი სამხრ-ითა აქვს, დასისას — დას-ით. *ზ. კ.*

275. წმ. ბარბარეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით.



274. გეგმა

თარიღდება XVI-XVII სს-ით. ეკლ. დარბაზულია (5,76 X 3,68 მ), ნაგებია რიყის ქვით. სარკმლის საპირეები და ლავგარდანი თლილი ქვისაა. შენობა ძლიერ დაზიანებულია, ჩანგრეულია კამარა. შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე მცირე ზომის სარკმელია, რ-ის ქვეშ სამი თაღოვანი ნიშია. თითო სარკმელი დას-ისა და სამხრ-ის კედლებშია. *ნ. შ.*



## ღვარები

(ატენის სოფსაბჭო)

276. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში, მთის ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,86 X 5 მ), ნაგებია ბაზალტის მოზრდილი ქვებით. კედლების ზედა ნაწილში გამოყენებულია შირიმის მომცრო კვადრებიც. ძლიერ დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა, კონქის ნახევარი, ჩამოშლილია კედლების ზედა ნაწილები; შემორჩენილი კედლები გამოფიტული და დაბზარულია. შიგნით და გარეთ დაზიანებულია შელესილობა. შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა, არქიტრავიანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე, მაღლა, შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს ბრტყელი ქვით გადახურული სწორკუთხა ნიშებია. აფსიდის წინ შემორჩენილია კანკელის ხის კოჭი. აფსიდის იატაკი წამოწეულია (1,2 მ-ით) წინ და დარბაზის იატაკიდან ამაღლებულია ერთი

276. აღმ. ფასადი, გეგმა



დაბალი საფეხურით. ეკლესიას თითო სარკმელი დას. და სამხრ. კედლებშიც აქვს. დას-ის სარკმელი სწორკუთხაა. სამხრ-ისა შიგნიდან თაღოვანია, გარედან სწორკუთხა. აღმ. ფასადის ზედა ნაწილში ორი ჯვარია გამოსახული: ერთი — ფასადის სამხრ. ნაწილში, მეორე — ფრონტონის ძირში. ჩრდ-ის ფასადზე შირიმის ლავგარდნის ფრაგმენტებია შემორჩენილი. *ნ. თ.*

## ყელქცეული

(შინდისის სოფსაბჭო)

277. სოფ. ყ ე ლ ქ ც ე უ ლ შ ი, ყოფ. კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ი ს ე ზ ო შ ი 1905 წ. 2 დეკ. გაიმართა გლეხების კრება. ისინი მოითხოვდნენ პოლიტ. პატიმრების გათავისუფლებას, სამხ. წესების გაუქმებას, რუსეთის ყველა გუბერნიის სოფლებიდან ჯარების გაყვანას, მშრომელი გლეხებისათვის მიწების გადაცემას. 11 კაცისაგან შემდგარმა დელეგაციამ ეს მოთხოვნები გორის მაზრის უფროსს წარუდგინა. გლეხები მკაცრად დასაჯეს.

ბიბლ.: 46. *ჩ. თ.*

278. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ქვემო უბანში. თარიღდება XVIII-XIX სს-ით. ეკლ. დარბაზულია (13 X 7,6 *მ*), ნაგებია აგურით, გამოყენებულია რიყის ქვაც. შესასვლელები სამხრ-ით და დას-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო მოზრდილი ნიშია. კონქში რვა სარეზონატორო ქვევრია ჩატანებული. ხის კ ა ნ კ ე ლ ზ ე შემორჩენილია XIX ს. მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა. სამხრ. კედელში ორი სარკმელია, დას-ისაში ერთი, ჩრდ-ისაში — სამი. დარბაზის გრძივ კედლებზე პილასტრებია, რ-ებსაც ეყრდნობა ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით. დას. კედელზე მიშენებულია აგურის სამსართულიანი ს ა მ რ ე კ ლ ო. *გვას. ჯ.*

## შავშვები

(სოფსაბჭოს ცენტრი)

279. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 1 კმ-ზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (12,1 X 5,7 *მ*). ნაგებია კირქვის კვადრებით. 1920 წ. მიწისძვრამ შენობა ძლიერ დააზიანა. კედლები 2 მ-მდე შემორჩენილი შესასვლელი ჩრდ-ითაა. აფსიდი ნახევარწრიულია. *გვას. ჯ.*

## შინდისი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

280. სოფ. შ ი ნ დ ი ს ი ს გლეხებმა, რ-ებსაც სისტემატურად ატყუებდნენ სოფლის მამასახლისი, მომრიგებელი და შუამავალი, 1905 წ. 13 მარტს დაარბიეს კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ი ს შ ე ნ ო ბ ა (ამჟამად აქ ს ა ც ხ ო ვ რ. ს ა ხ ლ ე ბ ი ა). *ვ. შ.*

281. იარაღის საწყობი (ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი), ისტ. ძ. 1905 წ. ნოემბერში სოფელში პოლიციამ აღმოაჩინა რევოლუციონერების იარაღის საწყობი. ამის გამო შინდისში და მეზობელ სოფლებში (ფხვენისში, ნიქოზში და სხვ.) ჩააყენეს ჯარი.

ბიბლ.: 403:1905 წ. 9 ნოემბერი, № 201. *ვ. შ.*

282. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 0,8 *კმ*-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება X-XI სს-ით. ეკლ. დარბაზულია (8,96 X 5,4 *მ*), ნაგებია რიყის ქვით, გარედან მოპირკეთებულია მოწითალო ქვის კვადრებით. შესასვლელები სამხრ-ით და დას-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და ორი პატარა ნიშია. აფსიდის კედლიდან 0,5 *მ*-ის დაშორებით დგას მონოლითური ქვის სატრაპეზო. სამხრ-ით ორი სარკმელია, დას-ით — ერთი. დარბაზის გრძივ კედლებზე პილასტრებია, რ-ებსაც ეყრდნობა ნატეხი ქვისაგან შედგენილი ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი. გრძივ კედლებზე ორ-ორი დეკორატ. თაღი გადადის. აღმ. და დას. ფასადის სარკმლებს თლილი ქვის ბრტყელპროფილიანი დეკორატ. თავსართი აქვთ. *გვას. ჯ.*

282. აღმ. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



283. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 1 *კმ*-ზე. თარიღდება X-XI სს-ით. ეკლ. დარბაზულია (10,5 X 6 *მ*), ნაგებია რიყის ქვით, სვეტებზე, თაღებზე, სამხრ-ის კარის წირთხლზე და აღმ. ფასადის სარკმელზე გამოყენებულია თლილი მოწითალო ქვა. ეკლესიას შესასვლელები სამხრ-ით, დას-ითა და ჩრდ-ით აქვს. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და სამი ნიშია. ნიშებს ქვის თაღები აქვს. სამხრ. კედელში ორი სარკმელია, დას-ისაში — ერთი. ჩრდ. კედელში, იატაკიდან 1,5 *მ* სიმაღლეზე, პატარა სარკმელი და კარია, რ-იც ჩრდ. მინაშენში გადის. დარბაზის გრძივ კედლებზე ორსაფეხურიანი პილასტრებია, რ-ებსაც ეყრდნობა ცილინდრული კამარის საბჯენი თაღები. გრძივ კედლებზე გადადის ორ-ორი დეკორატ. თაღი. აღმ. ფასადის სარკმლის თავზე, ქვაზე, რელიეფური ჯვარია გამოსახული. ეკლესიის სახურავი ორფერდაა. ჩრდ-ით მიშენებული ნ ა გ ე ბ ო ბ ი ს სიგანე 1 *მ*-ია. მის აღმ. და ჩრდ. კედლებში თითო სარკმელია. გადახურვა ცილინდრულია. *გვას. ჯ.*

284. სტეფანწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 0,8 *კმ*-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება X-XI სს-ით. მოგვიანებით გადაუკეთებიათ. ნაგებია რიყის ქვით. ნაგებობის კუთხეებში გამოყენებულია მოწითალო თლილი ქვის ბლოკები. ეკლესიას შესასვლელი სამხრ-ით აქვს. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და ორი პა-

284. აღმ. ფასადი





284. გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ. გეგმა



285. ალმ. ფასადი

ტარა ნიშია. აფსიდის კედლიდან 0,5 მ-ის დაშორებით დგას მონოლითური ქვის სატრაპეზო. სამხრ. კედელში ორი სარკმელია, დას-ისაში — ერთი. დარბაზის გრძივ კედლებზე ორსაფეხურიანი პილასტრებია, რ-ებსაც ეყრდნობა აგურის ცილინდრული კამარის საბჯენი თაღები. სამხრ. ფასადის სარკმლებს მოწითალო ქვის საპირეები აქვთ. სარკმლის თავზე, თლილ ქვაზე ამოკვეთილია ბრტყელპროფილიანი დეკორატ. თაღი. ასეთივე თაღი აქვს ალმ. ფასადის სარკმელსაც. თაღის თავზე რელიეფური ჯვარია. ეკლესიას აგურების ოთხი რიგით შედგენილი ლავგარდანი და კრამიტის ორფერდა სახურავი აქვს. სახურავის ალმ. კიდეზე ცხენის თავის ქვის ქანდაკება დგას. სამხრ-ითა და დას-ით მ ი ნ ა შ ე ნ ე ბ ი ა (6 X 3 მ და 5 X 3 მ), რ-ებიც ნაგებია ნატეხი ქვით და გადახურულია ცილინდრული კამარით. სამხრ. მინაშენს ცალფერდა, ხოლო დას. მინაშენს ორფერდა სახურავი აქვს.

გვაძ.ჯ.

285. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,64 X 6,96 მ), ნაგებია ძირითადად აგურითა და რიყის ქვით, კონსტრ. ნაწილები და გარე კუთხეები — თლილი ტუფით. შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. მის მარჯვ. მხარეს ერთი

285. გეგმა



ღრმა, სწორკუთხა ნიშია, ხოლო მარცხ. მხარეს—აგურის თითო სწორკუთხა და წრიული ნიში. თაღოვანი სარკმლები დას. კედელში და სამხრ. კედლის ალმ. ნაწილშიცაა. საკურთხეველში დგას სატრაპეზო სწორკუთხა ქვა. საკურთხევლის წინ აგურით ნაწყობი ნახევრად დანგრეული კ ა ნ კ ე ლ ი ა. დარბაზის გრძივ კედლებზე პილასტრებია, რ-ებსაც ეყრდნობა ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი. სამხრ. კედელში, კამარის ქუსლის დონეზე ორი, ხოლო აფსიდის კონქის გვერდებზე თითო რეზონატორია. მოგვიანებით კამარის ალმ. ნაწილში აყვანილია აგურის საკვამური. ალმ. ფასადზე, თლილი ქვით მოჩარჩოებული სარკმლის თავზე, გამოსახულია ტოლმკლავებიანი რელიეფური ჯვარი, სარკმლის ღერძზე, ფრონტონის წვეროში — შეღრმავებული ჯვარი. სახურავის ქიმზე ქვისაგან გამოკვეთილი ცხერის თავი დგას. შენობას შემოვლებული აქვს აგურის თაროსებრი ლავგარდანი. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით.

დვ.თ.

286. ᲪᲘᲮᲔ-ᲒᲐᲚᲐᲕᲐᲜᲘ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. ნაწილში, ვაკეზე. სავარაუდოდ თარიღდება XVIII ს. II ნახ-ით. ციხე (67,5 X 49,6 მ) ნაგებია რიყის ქვით. შიდა კედლებზე და კამარაზე ზოგან გამოყენებულია აგურიც. ციხის კუთხეებში — ჩრდ.-ალმ-ით, ჩრდ.-დას-ით, სამხრ.-ალმ-ით და სამხრ.-დას-ით — დგას ცილინდრული კ ო შ კ ე ბ ი. ნაგებობა დაზიანებულია.

ჩრდ.-ალმ-ის კოშკი თითქმის მთლიანად დანგრეულია. სამხრ.-ალმ-ის კოშკისგან ნაწილობრივ გადარჩენილია სამი სართული. პირველი სარ-

თულის კედლები ყრუა. მეორე და მესამე სართულს შესასვლელი ეზოდან ცალ-ცალკე აქვს. მეორე სართულის კედლებში ცალმაგი და ორმაგი სათოფურებია. სართული გადახურულია აგურის დაბალი სფერული კამარით. მესამე სართულის კედლებშიც სათოფურებია. სართულები ერთმანეთს უკავშირდებოდა კედელში დატანებული კიბით. ჩრდ.-დას. კოშკიდან შემორჩენილია მხოლოდ სამი სართული. კოშკს შესასვლელი ეზოდან პირველ და მეორე სართულზე ცალ-ცალკე აქვს. პირველი სართულის კარის პირდაპირ ისრული თაღით გადახურული ბუხარია, გვერდებზე — სათოფურებიანი ნიშები. კამარის ქვემოთ ორი პატარა სარკმელია. სართულის გადახურვისათვის კოჭების მაგივრად გამოყენებულია 0.6-0,8 მ სისქის ფიცრები, რ-ებზეც, სავარაუდოა, ეწყო ჩელტები და მასზე დატკეპნილი იყო თიხა. კოშკის მეორე სართულზე ბუხარი და სარკმლები ისევე განლაგებული, როგორც პირველზე. კედლებში დატანებულია ცალმაგი და შეწყვილებული სათოფურები, ოთხი სალოდე; ჩანს საზარბაზნის კვალი. სამხრ.-დას. კოშკსაც მსგავსი არქიტ. გადაწყვეტა აქვს. ციხის გალავანიც ძლიერ დაზიანებულია. იგი ორიარუსიანია. ქვედა იარუსი ყრუა. ზედას ხის საბრძოლო ბილიკი გასდევს. გალავნის ზედა ხაზი აღჭურვილია ორმაგი სათოფურებით. გალავანი მთავრდება ნახევარწრიული ქონგურებით. ზ. პ.

287. ᲬᲛ. ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 2 კმ-ზე, ნასოფლარ თვალადუბანში. თარიღდება გვიანფ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8 მ X 5,4 მ), ნაგებია რიყის ქვით, კუთხეებში გამოყენებულია თლილი ქვის ბლოკები. შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში სარკმელია. თითო სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშია. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი. აღმ. ფასადის სარკმლის თავზე, მოწითალო ქვაზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი. სახურავი ორფერდაა. გვაძ ჯ.

# ძევერა

(სოფსაბჭოს ცენტრი)

288. ᲘᲝᲐᲜᲔ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მინდორში. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7 X 10 მ), ნაგებია თლილი ქვიშაქვით და რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა, კედლების ზედა ნაწილი და ლავგარდანი, ჩრდ.



288. ხედი აღმ-იდან, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

კედელი მთლიანად, აღმ. კედელი სარკმლის გასწვრივ, მთელ სიმაღლეზე; მონგრეულია კუთხეები, დაზიანებულია შენობის სამხრ.-დას. კედელი კუთხესთან. შემორჩენილია შელესილობის ფრაგმენტები. შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრ-ითაა. აღმ-ით, სამხრ-ითა და დას-ით თითო თაღოვანი სარკმელია. სამხრ. და დას. ფასადების სარკმლის ძირი ნახევარწრიულია, ამოკვეთილია ერთ ქვაში. მომრგვალებულკუთხეებიანი საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით. დარბაზის გრძივი კედლები წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრების პირველ საფეხურს ეყრდნობა კედლის დეკორატ. თაღები, მეორე საფეხურს და დას. კუთხის პილასტრებს — კამარის საბჯენი თაღები. აღმ. ფასადის სარკმლის ორივე მხარეს, კედელზე, შემორჩენილია ქვის თითო სწორკუთხა ბუდე. გადმოცემით, ამ ქვებზე წარწერები ყოფილა. კ.მ.

289. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება IX-X სს-ით. შენობა მოგვიანებით შეუკეთებიათ: აუმაღლებიათ იატაკი, ლავგარდნისათვის დაუმატებიათ აგურის რამდენიმე რიგი. ეკლ. დარბაზულია (9,7 X 6,2 მ), ნაგებია მომცრო რიყის ქვით (წყობა ირეგულარულია), კუთხეები, სარკმლები, შესასვლელები, პილასტრები, საბჯენი თაღები და ლავგარდანი — ღვინისფერი ტუფის მოზრდილი კვადრებით. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — დას-ით (ამოქოლილია) და სამხრ-ით. ორივე გარედან თაღოვანია, შიგნიდან სწორკუთხა. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ჩრდ-ით განიერი თაღოვანი ნიშია. საკურთხევლის ბაქანი ამაღლებულია ერთი საფეხურით. ორი თაღოვანი სარკმელი სამხრეთ კედელშია. დარბაზის გრძივი კედლები წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. დას-ის კედელთან გამოყოფილია კუთხის პილასტრები. პილასტრები და აფსიდის მხრები დამთავრებულია თარო-იმპოსტით, რ-საც ეყრდნობა ნატეხი ქვით გამოყვანილი კამარის საბჯენი თაღები. აღმ-ის ფასადზე სარკმლის თავსართი შედგენილია ქვაში ჩაკვეთილი გადანაკვეცის მქონე ორი წვრილი ხაზისაგან. თავსართის თაღის წვეროში ჩასმულ მედალიონში ამოკვეთილია ტოლმკლავებიანი ჯვარი. მის ორივე მხარეს როზეტებიანი მედალიონებია. სამხრ. ფასადის ორივე სარკმლის თავსართზე გამოსახულია წრეში ჩასმული ჯვრები. ფასადები დასრულებულია თაროსებრი ლავგარდნით (შემორჩენილია გრძივ კედლებზე). სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით.

289. სამხრ. ფასადი, გეგმა



სახურავზე, დას-ით დაშენებულია აგურის ოთხთაღიანი ს ა მ რ ე კ ლ ო. *კ.მ.*

## წედისი

(ატენის სოფსაბჭო)

290. **ნასოფლარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს საავტ. გზის პირას, წისქვილის მახლობლად. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე იპოვება უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, წითლად გამომწვარი დიდი ზომის ქვევრის ფრაგმენტები. შემორჩენილია ნასახლართა ბუდეები, რიყის ქვით ნაგები შენობების საძირკვლის ნაშთები. *ბ.ე.*

291 **ღვთისმშობლის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, მთის ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,4 X 5,2 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით (წყობა ირეგულარულია) ძლიერ დაზიანებულია· ჩანგრეულია კამარა, კონქი და კედლების ზედა ნაწილები, არ შემორჩენილა ლავგარდანიც. არქიტრაეიანი შესასვლელი სამხრ. კედელ-

291. გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



შია. ნახევარწრიული აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მცირე მხრით. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს სწორკუთხა, ბრტყელი ქვით გადახურული ღრმა ნიშებია. ეკლესიის კამარა გრძივ კედლებს ეყრდნობა. დას. კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია. *ნ.თ.*

292. **ხევდელას ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფელში, საავტომობილო გზის პირას. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6,4 X 4,5 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის მოზრდილი კვადრებით, გამოყენებულია შირიმიც. დაზიანებულია: ჩანგრეულია გადახურვა, შემორჩენილია ლავგარდნის მხოლოდ ორი ქვა, აქა-იქ ამოცვენილია საპირე ქვებიც. შესასვლელი (დაზიანებულია) სამხრ-ითაა. აფსიდის ღერძზე შიგნიდან სწორკუთხა, გარედან თაღოვანი სარკმელია. აფსიდში, სხვადასხვა სიმაღლეზე, სწორკუთხა ნიშებია. ორი — ჩრდ. მხარეს, ერთი — სამხრ-ით. ერთი სარკმელი დას. კედლის შუაშიცაა. დარბაზის კამარა ეფუძნება წყვილ კრონშტეინზე დაყრდნობილ საბჯენ თაღს. ჩრდ-ით, სარკმლის გასწვრივ დიდი ნიშია (სამსხვერპლო?). *ნ.თ.*



292 აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა

## წითელწყარო

(საყავრის სოფსაბჭო)

293. **მთადეკეულის წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ., დგას მდ. თეძმის მარცხ. ნაპირზე, ნასოფლარ მთადეკეულის ცენტრში, შემაღლებულ ადგილას. სტილისტ. ანალიზით თარიღდება IX ს-ით. ეკლ. დარბაზულია (4,9 X 7,5 *მ*), ნაგებია დიდი ზომის ნატეხი ქვით (წყობა ირეგულარულია), ძლიერ დაზიანებულია: ჩანგრეულია გადახურვა, სანახევროდ დანგრეულია კედლები. აღმ-ის და დას-ის კედლები შემორჩენილია 2 *მ* სიმაღლეზე. შესასვლელი სამხრ-ითაა. აღმ. კედელში სარკმელია, ჩრდ. კედელში — მცირე ნიში. *მ. თ.*

294. **ნათლისმცემლის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, შემაღლებულ ადგილას. სტილისტ. ანალიზით თარიღდება XI ს-ის დასაწყისით. ეკლ. დარბაზულია (7,1 X 10,6 *მ*), ნაგებია ქვიშაქვითა და მოყავისფრო შირიმის ქვით. ფასადები მოპირკეთებულია გათლილი ქვით. შიგნიდან თაღოვანი და გარედან სწორკუთხა შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო თაღოვანი ნიშია. სარკმლის ქვეშ, კედელთან დგას სატრაპეზო ქვა. თითო თაღოვანი სარკმელი სამხრ.

294. სამხრ. ფასადი, გეგმა





294. აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ

კედლის აღმ. ნაწილში და დას. კედელშია. გრძივ კედლებზე პილასტრებია, რ-ებსაც ეყრდნობა შეისრული კამარის საბჯენი თაღები. აღმ. ფასადის სარკმლის ოდნავ ამოზნექილი, მოჩუქურთმებული საპირე ვიწრო ლილვებითაა მოჩარჩოებული. მოჩუქურთმებულია სარკმლის სათაურიც, რ-საც მოკლე გადანაკეცები აქვს. გადანაკეცებზე აღმართულია თითო პატარა გლუვხედაპირიანი ჯვარი. დაახლოებით ასევეა მორთული სამხრ. ფასადის სარკმელიც (ჯვრების გარეშე). კარის არქიტრავზე გამოკვეთილია რელიეფური, მოჩუქურთმებული თაღი. არქიტრავის ქვის მარცხნივ ადამიანისთავიანი ცხოველის სკულპტურული გამოსახულებაა, მარჯვნივ — გუმბათიანი ეკლესიის მოდელი. ეკლესიას შემოვლებული აქვს ქვის თაროსებრი ლავგარდანი. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. *გოგ.თ., დე.თ.*

295. ჭიათას ეკლესია, არქიტ. ძ., დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მდ. თეძმის მარცხ. მხარეს, ნასოფლარ ჭიათის ჩრდ.-აღმ-ით. თარიღდება IX ს-ით. ეკლ. დარბაზულია (6,4 X 4,5 მ), ნაგებია რიყის ქვით. შენობა დაახლოებით 1 მ სიღრმეზე მიწაშია ჩამჯდარი. დაზიანებულია: ჩამგრეულია შესასვლელი. შემორჩენილია ქვის კ ა ნ კ ე ლ ი ს ფრაგმენტი, მოხატულობის მცირე კვალი. შესასვლელი სამხრ-ითაა. აფსიდში სარკმელია, სარკმლის ქვეშ, კედელზე, მიდგმულია სატრაპეზო ქვა. სარკმლის ორივე მხარეს ორი მცირე ნიშია. მცირე სარკმელი სამხრ. კედელშიცაა. ეკლ. გადახურულია ცილინდრული კამარით. *მ.თ.*

## ხელთუბანი

(ბერბუკის სოფსაბჭო)

296. სოფ. ხ ე ლ თ უ ბ ა ნ შ ი მშრომელთა რამდენიმე რევ. გამოსვლა მოხდა. (ა) 1905 წ. 23 მარტს სოფელში კაზაკებმა დააპატიმრეს 8 გლეხი. მათ არეულობისა და მღელვარების მოთავეობას სდებდნენ ბრალად. პატიმრები გორის სატუსაღოში მოათავსეს. ხელთუბნელი გლეხები დაირაზმნენ პატიმართა გამოსახსნელად. გ ო რ ი ს მ ი ს ა ს ვ ლ ე ლ თ ა ნ მათ დახვდნენ კაზაკები, რ-ებმაც გლეხებს სცემეს და უკან გააბრუნეს.

(ბ) 1906 წლის იანვ-ში ხელისუფლებამ სოფელში ჩააყენა საარტილერიო დამსჯელი რაზმი. რაზმმა გადაწვა პროგრესულად მოაზროვნე ადგილ. მასწავლებლის თ ე დ ო რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს (ვაჟა-ფშაველას ძმა) ს ა ც ხ ო ვ რ. ს ა ხ ლ ი. თვით თ. რაზიკაშვილი ჯარის ნაწილებს გაექცა და დაიმალა. იმავე სოფელში მათ გადაწვეს ორი სხვა რევოლუციონერის სახლიც.

(გ) 1906 წლის 28 ივნისს სოფ. ხელთუბნის ც ე ნ ტ რ შ ი (ამჟამად აქ კოლმეურნეების ს ა ც ხ ო ვ რ. ს ა ხ ლ ე ბ ი ა) სოფლის რევოლუციურად განწყობილმა ჯგუფმა მოაწყო თავადის მიხეილ (ევსტაფი) თუმანიშვილის მკვლელობა. მათი შეპყრობა მთავრობის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს.

*ბიბლ.*: 422; ფონდი 17, აღწ. 1, საქმე 9613, ფ. 42 *ე. შ.*

297. აბიას საყდარი და ნასოფლარი. არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 1 *კმ*-ზე (ა) ეკლ. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით, ნასოფლარი — ფეოდ. ხანით. ა. ს. დარბაზულია (6,8 X 4,5 მ), ნაგებია რიყის ქვით. ჩამოცვენილია შენობის ინტერიერის შელესილობა. ორივე მხრიდან არქიტრავით გადახურული შესასვლელი დას. კედლის ცენტრშია. ნახევარწრიულ აფსიდში თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. თითო თაღოვანი სარკმელი ეკლესიის სამხრ. და დას. კედლებშია. დარბაზის კამაროვანი გადახურვა ემყარება გრძივ კედლებს, დას-ის კედლის მიმდებარე პილასტრებზე დაყრდნობილ თაღსა და აფსიდის მარტივპროფილიან იმპოსტებზე დაყრდნობილ სატრიუმფო თაღს. ეკლ. გადახურულია ღარიანი კრამიტით. შენობის სამხრ. კედლის დას. ნაწილში მიდგმულია რიყის ქვით ნაშენი, დას-ის მხრიდან გახსნილი, ოთხკუთხა ს ა ნ ა თ ლ ა ვ ი ნ ი შ ი (2,3 X X 1,6 მ).

საყდართან ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი ა (ბ). ამ ადგილზე ყოფილა ძვ. სოფ. ხელთუბანი, რ-საც თავდაპირველად უწოდებდნენ ხ ე ვ თ უ ბ ა ნ ს. სოფელი, უწყლობის გამო, ქვევით, ახლანდ. ხელთუბნის ადგილას ჩამოსახლებულა. ნასოფლარზე იპოვება თიხის ჭურჭლის ნატეხები. *კვ. რ., ნ. ა.*

გორაკების მიწები, იხ. ყ ო რ დ ა ნ უ ლ ი ვ ე ლ ი.

თანდიწყარო, იხ. ყ ო რ დ ა ნ უ ლ ი ვ ე ლ ი.

298. პეტრე მოციქულის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (25 X 15,8 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. დანგრეულია ეკლესიის დას-ისა და სამხრ-ის კედლები. ეკლესიის თაღოვანი კარი ჩრდ. კედელშია, ნახევარწრიული აფსიდის სარკმელი თაღოვანია. სარკმლის ორივე მხარეს წყვილი ოთხკუთხა ნიშია. საკურთხევლის გვერდებზე აფსიდიანი სამკვეთლო და სადიაკვნეა, რ-ებიც დარბაზს კარებით უკავშირდებიან. მათ თავზე, დარბაზის მხარეს, ღია სამალავებია. სამკვეთლოსა და სადიაკვნის აფსიდებს თაღოვანი სარკმლები აქვთ. სარკმლების ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. ეკლესიის შეისრული სატრიუმფო თაღი კვადრ. აგურითაა ნაგები. *ნ.ა.*

299. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. აშენებულია 1806 წ. ეკლ. (14 X 7 მ) გუმბათოვანი ნაგებობაა, ნაშენია აგურით. კარსარკმლის საპირეები თლილი ქვისაა (გვხვდება რიყის ქვაც). ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — სამხრ-ით და დას-ით. აღმ-ით, სწორკუთხა საკურთხეველში განიერი, სწორკუთხა სარკმელია. სამხრ-ის შესასვლელის თავზე, ერთმანეთთან ახლოს, სამი სარკმელია, მათ შორის შუა უფრო განიერია. ერთი განიერი სარკმელი ჩრდ. კედელშია. დარბაზის განივი კედლები ორი წყვილი მძლავრი პილასტრით სამ ნაწილად იყოფა. შუა ნაწილი კვადრატულია და გუმბათი დგას თავზე. განაპირა ნაწილები ვიწრო, ტოლი ოთხკუთხედებია, გადახურულია ცილინდრული კამარით. გუმბათქვეშა კვადრატი პილასტრებზე გადაყვანილი თაღებითა და გრძივი კედლების თაღების გადაკვეთით იქმნება. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა ხდება აფრების საშუალებით. გუმბათის ყელი შემოსაზღვრულია დაბალი სწორკუთხა

ყრუ კედლებით და გადახურულია კრამიტის ოთხფერდა სახურავით, რ-ის წვერზე მცირე ზომის პირამიდულსახურავიანი აგურის ნ ა გ ე ბ ო ბ ა დგას. აღმ. ფასადის სარკმლის თავზე, ფრონტონის ქვეშ, დიდი ზომის ჩაღრმავებული ჯვარია გამოსახული. აღმ-ისა და ჩრდ-ის სარკმლების გვერდებზე ვიწრო დეკორატ. სარკმლებია. დას. შესასვლელის თავზე, სპილენძის სწორკუთხა ფირფიტაზე ამოკვეთილი ასომთ. წარწერა დაზიანებულია. წარწერა გვაუწყებს ეკლესიის აგების თარიღს (დამკვეთის ვინაობა არ იკითხება). ფასადებს შემოვლებული აქვს სამსაფეხურიანი აგურის ლავგარდანი. ნაგებობა გადახურულია ბრტყელი კრამიტით. *ნ.შ.*

300. ყორღანული ველი, არქეოლ. ძ. სავარაუდოდ თარიღდება ძვ.წ. III ათასწლ. II ნახ-ით. შედგება ორი ჯგუფისაგან, ე.წ. გორაკების მიწებისა და თანდიწყაროსაგან.

(ა) გ ო რ ა კ ე ბ ი ს მ ი წ ე ბ ი ს (ადგილ. მოსახლეობა ამ ადგილს ზეიანებს და შამპანურებსაც უწოდებს) ყორღანების ჯგუფი მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, სოფ. ხელთუბანსა და სოფ. კვარხითისაკენ მიმავალ სასოფლო გზას შორის.

(ბ) თ ა ნ დ ი წ ყ ა რ ო ს ჯგუფი სოფლის სამხრ.-აღმ-ით 1 *კმ*-ზეა, ამავე სახელწოდების წყაროს მახლობლად, ქვემო ახალსოფლისაკენ მიმავალ გზასა და მეღორეობის ფერმას შორის. მთელი ყ.ვ. მოხნულია. ყ.ვ.-ზე სამი სახის ყორღანებია: ქვამიწაყრილიანი, ქვისზღუდიანი მიწაყრილიანი და ქვაყრილიანი. ყრილები თითქმის მიწასთან არის გასწორებული. შედარებით კარგად შემონახული ხუთი ყორღანის დიამეტრი მერყეობს 15-დან 40 *მ*-მდე, სიმაღლე — 0,8–3 *მ*-მდე.

ველზე გაითხარა ორი ყორღანი (გორაკების მიწების ჯგუფი). № 4 ყ ო რ ღ ა ნ ი , რ-იც მდებარეობს სოფლიდან 0,5 *კმ*-ზე, თარიღდება ძვ. წ. XXIV-XXII სს-ით და უნდა ჩაითვალოს თრიალეთის ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ყორღანების თანადროულად. გათხრის დროს ერთ-ერთ ყორღანს უკვე აღარ ჰქონდა ყრილი. მის არსებობაზე მიგვანიშნებდა რიყის ქვის ძლიერ დეფორმირებული წრიული სარტყელი (17 X 14 მ) და ცენტრ. ნაწილში რიყის ქვების სიჭარბე. ს ა მ ა რ ხ ი ო რ მ ო (3 X 2,5 *მ*, ფსკერთან — 2,5 X 2 *მ*, სიღრმე 1,2 *მ*) ამოჭრილი ყოფილა დაახლ. ყრილის ცენტრში. იგი დამხრობილი იყო სამხრ.-აღმ-დან ჩრდ.-დას-კენ. სამარხი კუთხეებმომრგვალებულია, ოდნავ რკალურგვერდებიანი, ფსკერთან შევიწროებულია. ფსკერზე, ჩრდ.-აღმ-ის და სამხრ.-დას-ის კედლების



299. აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, სამხრ. ფასადი, გეგმა



განწერივ. ურმის თვლებისათვის ამოღებულია 0.2-0.25 მ სიღრმისა და ამავე სიგანის თხრილები (ურემი შემონახული არ არის). სამარხი ძლიერ დაზიანებულია. ალბათ გაძარცულიც. ვერ დადგინდა მიცვალებულის დაკრძალვის პოზა. ნაპოვნია ერთი ტუფოგენური ქვის სანაყი და ხუთიოდე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. აღდგა მხოლოდ ერთი ჭურჭელი. სამარხის თავზე უნდა ყოფილიყო მცირე ქვაყრილი, შემდეგ კი – მიწაყრილი, რ-იც 1,5-2 მ სიგანის რიყის ქვის სარტყლით იყო შემოზღუდული. მეორე ყორღანი მდებარეობს წინა ყორღანის ჩრდ.-აღმ-ით 150 მ-ზე. თარიღდება დაახლ. ძვ. წ. XXIII-XXI სს-ით, რასაც ადასტურებს სამარხეული კერამ. ნაწარმის ერთგვარი მსგავსება მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულისა და ე. წ. ალაზან-ბედენური პერიოდის მასალებთან. რადიონახშირბადის დათარიღების დღეისთვის არსებული შესწორებული მნიშვნელობების გათვალისწინებით კი შეიძლება ძვ. წ. XXVII-XXVI სს-ს მივაკუთვნოთ. ეს ყორღანიც მთლიანად იყო გადასწორებული. დასაკრძალავი ორმო მდებარეობდა ყორღანის ცენტრში. ორმო ძელებით გადაუხურავთ. მასზე ჯერ ქვაყრილი (8 X 6 მ), შემდეგ კი მიწაყრილი (დიამ. 23მ) აღუმართავთ. მიწაყრილისთვის, ჩამორეცხვისა და გაფანტვის თავიდან ასაცილებლად, შემოუვლიათ რიყის ქვის (სიგ. 1,5 მ) სარტყელი. სარტყლის ჩათვლით ყორღანის დიამეტრი 26 მ-ია. სამარხი ორმო (ზედაპირთან 4 X 3,25 მ, ფსკერთან 3,55 X X 2,50 მ) სამხრ.-აღმ-დან ჩრდ.-დასავლეთისკენაა წაგრძელებული და ამორფული ოთხკუთხედის ფორმა აქვს. მისი სიღრმე მიწდერის ძველი ზედაპირიდან 2,25 მ-ია. სამარხი დაზიანებულია. დამტვრეული და ერთმანეთში არეულია სამარხეული ინვენტარი (თიხის ჭურჭელი, სარდიონის (4), თეთრი მინის იოტა მძივები, ნიჟარა, ბრინჯაოს მრგვალი ღერო, ოთხწახნაგა, მოკლე, პირამიდულწვერიანი, ბოლოგათხელებულღეროიანი ისრისპირი). სამარხეული მასალა თითქმის მთლიანად თავმოყრილი იყო ორმოს სამხრ.-აღმ. ნაწილში. სამარხის სამხრ.-დას. კუთხეში აღმოჩნდა ტალახითა და ქვით საგანგებოდ ნაგები მცირე ბაქანი (0,8 X 0,8 X 0,6 მ), რ-იც ფარავდა ამ კუთხეში სამარხის ფსკერთან არსებულ მომცრო (0,6X0,4 მ)







300(ბ). ყორღანი № 2, გეგმა, განაკვეთები

300(გ). ყორღანი № 4, განაკვეთები, გეგმა

ხერელს (ქვაბულს). ხვრელი ცარიელი იყო. სამარხი ინაუმაციურია. დაკრძალვის წესი გაურკვეველია. დასაკრძალავ რიტუალში გამოყენებული ყოფილა ოთხთვალა ურემი თუ საზიდარი, რასაც ადასტურებს სამარხის ჩრდ.-აღმ. კედელზე ურმის ერთი თვლის ანაბეჭდი და სამარხის ჩრდ-აღმ-ით და სამხრ.-დას-ით ორმოს ფსკერზე გავლებული ორი პარალელური თხრილი-ღარი. *მინდ. გ.*

301. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (5,8 X 4,2 *მ*), ნაგებია რიყის ქვით, კუთხეები, კარი და სარკმლები ამოყვანილია ნატეხი ქვით. ჩამოცვენილია შენობის შიდა კედლების შელესილობა. არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრ-ითაა, თაღოვანი სარკმლები — აღმ-ით, სამხრ-ითა და დას-ით. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. კამაროვანი გადახურვა ემყარება დას. კედლის პილასტრებზე დადგმულ თაღსა და აფსიდის მარტივპროფილიან იმპოსტებზე დაყრდნობილ სატრიუმფო თაღს. სახურავი ორფერდაა. *ნ.ა.*

# ხიდისთავი

**(სოფსაბჭოს ცენტრი)**

302. 1905 წლის აპრილის დამდეგს სოფ. ხ ი დ ი ს თ ა ვ ი ს გლეხობის მღელვარება გამოიწვია სოფელში კაზაკების ასეულის ჩაყენებამ. აჯანყებულებმა სოფელში დაკეტეს ყველა საფრო, გარეკეს თავადების შინამოსამსახურეები, მოითხოვეს სოფლიდან კაზაკების გაყვანა. გლეხების დასამორჩილებლად სოფელში გორის მაზრის პოლიციამ ახალი, მაშველი ძალა ჩაიყვანა.

*ბიბლ.:* 422: ფონდი 17, აღწ. 1, საქმე 9607, ფ. 309, 313. *ე. შ.*

303. ღვინიანთ საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, 3 *კმ*-ზე, ადგილ ღვინიანთეულებში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (10,8 X 7,7 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. ნახევრად დანგრეულია. ეკლესიას შესასვლელები სამხრ-ით და დას-ით ჰქონდა, თითო სარკმელი — ოთხივე მხარეს. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო მოზრდილი ნიშია. ეკლ. გადახურული იყო ცილინდრული კამარით. *გვას.-ჯ.*

# ჯარიაშენი

**(ახალუბნის სოფსაბჭო)**

304. წმ. გიორგის ეკლესია. არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება XIX ს-ით. ეკლ. დარბაზულია (10,2 X 6,2 *მ*), ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, მის ორსავე მხარეს — თითო ღრმა ნიში. თითო სარკმელი სამხრის, ჩრდ-ისა და დას-ის კედლებშიცაა. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. სამხრეთ ფასადზე აგურის წყობით გამოყვანილია შეღრმავებული ჯვარი. სახურავი კრამიტისაა. *გვას.-ჯ.*

# II. კასპის რაიონი




● დასახლებული პუნქტი, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი

■ ცალკე მდგომი ძეგლი



სოფ. ქვემო ჭალა. სხვილოს ციხე (II.234),
საერთო ხედი



II. კ ა ს პ ი ს რ ა ი ო ნ ი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, მდინარე მტკვრის ორივე მხარეს. 1917 წლამდე შედიოდა ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში, 1917 წლიდან 1930 წლამდე — გორის მაზრაში, 1930 წლიდან ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია. აღმოსავლეთით ესაზღვრება მცხეთის, დასავლეთით — გორის, სამხრეთით — თეთრიწყაროსა და წალკის, ჩრდილო-აღმოსავლეთით — დუშეთისა და ლენინგორის რაიონები. ფართობი 805,2 *კვ კმ*, მოსახლეობა 55 ათასი (1984 წ.). რაიონული ცენტრია ქალაქი კასპი. რაიონში შედის ერთი საქალაქო საბჭო (კასპის), 16 სოფსაბჭო (აღაიანი, ახალქალაქი, ახალციხე, გომი, დოესი, ზემო ხანდაკი, კავთისხევი, კოდისწყარო, ლამისყანა, მეტეხი, ოკამი, სამთავისი, ქვემო ჭალა, ყარაღაჯი, წინარეხი, ხოვლე) და 71 სოფელი (1980 წ. აღდგა სოფელი გოსტიბე).

რაიონის მნიშვნელოვანი ნაწილი მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე. ჩრდილოეთით მას აკრავს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ განშტოებანი, სამხრეთით — თრიალეთის ქედი, რომელიც მთავარი ოროგრაფიული ერთეულია (უმაღლესი მწვერვალი — ობოლკლდე 2 083 *მ* ზ. დ). მისი ჩრდილო კალთა რაიონის ფარგლებშია. აგებულია ინტენსიურად დანაოჭებული ზედაცარცული (კარბონატული შუა კალთაზე) და მესამეული ასაკის ქანებით (თიხები, ქვიშაქვები, მერგელები ალაგ-ალაგ ვულკანოგენური წყობით). გაბატონებულია მკვეთრად დანაწევრებული საშუალო სიმაღლის მთა-ხეობათა რელიეფი. მთების კალთებზე კარგადაა გამოხატული საფეხურებად განლაგებული მოვაკებული ზედაპირები, ხოლო დაბლა სერებიან-ბორცვებიანი მთისწინეთია. ვაკის ჩრდილოეთით სუბგანედურად აზიდულია კვერნაქის სერი მწვ. წლევი, (1097 *მ*. ზ. დ.), რომელსაც კვეთს ლეხურისა და ქსნის ხეობები. ხშირია ხევ-ხრამები. თხემზე შემორჩენილია მოეაკებული ზედაპირები და ტერასები. კვერნაქის ჩრდილოეთით მდებარეობს ტირიფონისა და მუხრანის ვაკეები. მთავარი მდინარეებია: მტკვარი, ქსანი, ლეხურა, კავთურა, თეძამი.

ჰავა ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია. ვაკე ნაწილში ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ჰავაა. ზამთარი ზომიერად ცივი და ხანგრძლივია, ზაფხული — თბილი. ჰაერის საშუალო ტემპერატურაა 11,4°C (კასპში), იანვრის 0,5°C, აგვისტოსი 23°C. ზაფხული გვალვიანი იცის. გაბატონებულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები. რაიონის დაბლობ ზონაში ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 400-500 *მმ* არ აღემატება, მთის ფერდობებზე 1000 *მმ* აღწევს.

რაიონში გავრცელებულია მდელოს ყავისფერი და ტყის ყავისფერი ნიადაგები: გვხვდება ყომრალი და ალუვიური ნიადაგებიც. უმთავრესი წიაღისეულია მერგელები (რ-ის ბაზაზე მუშაობს კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი), თეძმის ტუფი, ბენტონიტური თიხები (ხოვლეს მიდამოებში), სააგურე და საკრამიტე თიხები (მდ. ქსნის ქვემოთში და მეტეხთან), გოგირდწყალბადიანი წყაროები (ხოვლესთან). ხშირი ტყეებია რაიონის სამხრეთ ნაწილში, ტყეს უკავია მთების კალთებიც (ტყე-ბუჩქნარის საერთო ფართი 29,4 ათასი ჰა).

რაიონში შემდეგი სამრეწველო დაწესებულებებია: კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი, მეტეხის საშენ მასალათა კომბინატი, კავთისხევის საკარიერო სამმართველო, ქარხანა „ელექტროაპარატი", კასპის სამეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა, წარმოება „საქცეოლითი", საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, კავთისხევის რკინა-ბეტონის ქარხანა. რაიონის სამრეწველო პროდუქციის 1/3 მოდის კვების მრეწველობის საწარმოებზე (ღვინისა და უპექტინო ხილის წვენების ქარხნები, ღვინისა და საკონსერვო ქარხნები, ხილკენკროვანი ღვინოების საწარმო), წვრილი საკედლე ბლოკის ქარხანა და სხვ.)

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეჭარხლეობა, სარძევე მეცხოველეობა. მოჰყავთ მარცვლეული. რაიონში არის 7 საბჭოთა მეურნეობა, 1 სახელმწიფო (კასპის სატყეო სამონადირეო) მეურნეობა, 7 კოლმეურნეობა.

რაიონს აღმოსავლეთიდან დასავლეთით კვეთს რესპუბლიკის მთავარი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები. ქ. კასპი კეთილმოწყობილი გზებით დაკავშირებულია სოფლებთან და მეზობელ რაიონებთან. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების საერთო სიგრძე 196 *კმ*-ია.

რაიონში არის 21 საშუალო, 11 რვაწლიანი, 23 დაწყებითი სკოლა, 19 საბავშვო ბაღი, საღამოს საშუალო სკოლა და ინდუსტრიული ტექნიკუმი, პროფტექნიკური სასწავლებელი, სამუსიკო სასწავლებლები და სპორტსკოლები; რაიონში 28 კლუბია, 7 კულტსახლი, 56 ბიბლიოთეკა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ი. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი ხოვლეში. ლამისყანის სოფლის ისტორიის მუზეუმი. გამოდის რაიონული გაზეთი „განთიადი".

რაიონში 3 საავადმყოფო, 14 საექიმო უბანი, 16 საფერშლო-საბებიო პუნქტი, რაიონული პოლიკლინიკა, სანეპიდსადგური, ცენტრალური აფთიაქი, 4 ჯანმრთელობის პუნქტი და 5 საუბნო აფთიაქია.

არქეოლოგიური მასალა და მატერიალური კულტურის ძეგლები მოწმობს, რომ რაიონის ტერიტორიაზე ადამიანი უწყვეტად ცხოვრობს ქვის ხანიდან დღემდე.

001. ᲙᲐᲡᲞᲘ, ქალაქი (1959 წლიდან), რაიონული და საქალაქო საბჭოს ცენტრი, ისტ. ძ. გაშენებულია მდ. ლეხურის ხეობაში, იქ, სადაც მდინარე კვეთს კვერნაქის სერს და გამოდის ვაკეზე. რკინიგზის სადგური (თბილისიდან 48 კმ).

თანამედროვე ქალაქის ტერიტორია დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში. მემატიანე ლეონტი მროველი (XI ს.) ქალაქის დაარსებას მითური მცხეთოსის ძეს ეთნარქ უფლოსს მიაწერს. კასპი იხსენიება უძველეს ქართულ ქალაქებთან (სარკინე, ურბნისი, ოძრხე) ერთად.

ბუნებრივი პირობები და გეოგრაფიული გარემო თავიდანვე პირობებს ქმნიდა ამ ადგილზე ქალაქის ტიპის დასახლების წარმოქმნისათვის. „მოქცევაი ქართლისაის" მიხედვით ძე. წ. I ს-ში მეფე არსუკმა „კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო". კასპი იხსენიება ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებითაც 337 წელს.

კასპი განსაკუთრებით V ს-ში დაწინაურდა. როგორც ირკვევა, ქალაქს დიდი სამხედრო-სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა, ჰყავდა საკუთარი სპასალარი და წარმოადგენდა გარკვეული სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის — „კასპის სასპასალაროს" ცენტრს კასპში იზრდებოდა ვახტანგ გორგასალის და მირანდუხტი მემატიანის გადმოცემით, კასპი ოსებს დაულაშქრავთ, ხოლო სამი წლის მირანდუხტი ტყვედ წაუყვანიათ. V-VIII სს-ში კასპი კვლავ ინარჩუნებდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრის როლს ქართლში. VIII ს-ის 30-იან წლებში არაბთა სარდალმა მურვან-ყრუმ ქალაქი ისე ააოხრა, რომ მასში საბოლოოდ ჩაკვდა საქალაქო ცხოვრება. „და იყო ქალაქი ყრუმდე, ხოლო აწ არს დაბა დიდი" — აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი (იხ. ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ი  კ ა ს პ ი).

ქალაქის ტერიტორიაზე მიკვლეული არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებენ, რომ კასპი შემდეგ ხანაშიც პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა (ყურადღებას იქცევს XII ს-ის მოჭიქული კერამიკა ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით). კასპი და მისი შემოგარენი საქართველოს ერთიანი ფეოდალური სამეფოს არსებობის პერიოდში (XI-XV სს.) ადმინისტრაციულად ქართლის საერისთავოს შემადგენლობაში იყო. საქართველოს ერთიანი ფეოდ. სამეფოს დაშლისა და სათავადოთა სისტემის წარმოქმნის შემდეგ (XVს-ის II ნახ.-XVIII ს.) იგი ქართლის სამეფოს მსხვილი ფეოდალების, თავად ამილახვართა სამფლობელოში შედიოდა ერთ ხანს, კერძოდ XVI ს-ის II ნახევარში, ირანის შაჰის ტყვეობიდან განთავისუფლებულმა ქართლის მეფე სიმონ I-მა კასპი ბარძიმ ამილახვარს ჩამოართვა და სვეტიცხოველს შესწირა. XIX ს. კასპი სოფლის ტიპის დასახლებას წარმოადგენდა. XX ს. დამდეგიდან კასპში იწყება მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლები.

(ა) 1902 წ. 16 აპრილს კასპის გლეხობა, თანახმად ქვემოჭალის სასოფლო სამმართველოს მიწერილობისა, უნდა გამოცხადებულიყო მეჯერისხევის უბანზე გზებისა და ხიდების მშენებლობაზე. გლეხობამ პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა სამუშაოდ გასვლაზე.

(ბ) იმავე წლის 18 სექტემბერს გაიფიცნენ კასპის რ კ ი ნ ი გ ზ ი ს  ს ა დ გ უ რ ი ს მუშები, რომლებმაც სადგურის მესვეურთ მოსთხოვეს ხელფასის მომატება, ჯარიმების მოსპობა და სხვ.

(გ) 1903 წ. 24 აგვისტოს მოხდა გლეხთა გამოსვლა. გლეხებმა უარი თქვეს მემამულეთა მორჩილებაზე, მოიწვიეს კრება და შეადგინეს მოთხოვნები.

(დ) 1904 წ. 3 სექტემბერს კასპის გლეხობამ მოაწყო გამოსვლა თავად ჭავჭავაძის წინააღმდეგ. გლეხებმა ხელთ იგდეს მემამულის საძოვრები და იქ თავისი საქონელი მირეკეს. გლეხთა გამოსვლამ სერიოზული ხასიათი მიიღო, ამიტომ გორის მაზრის უფროსმა კასპში გაგზავნა კაზაკთა გაძლიერებული რაზმი. დააპატიმრეს მოთავე გლეხები.

(ე) 1905 წ ნოემბრის პირველ რიცხვებში კ ა ს პ ი ს  ს ა დ გ უ რ შ ი  და მ ი ს  შ ე მ ო გ ა რ ე ნ შ ი რევოლუციურად განწყობილმა გლეხთა შეიარაღებულმა რაზმმა განაიარაღა მთავრობის მოხელენი და მემამულენი. გლეხთა რაზმები თავს დაესხნენ აგრეთვე ამ რაიონში გაგზავნილ დამსჯელ რაზმებს და გაფანტეს ისინი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თანდათან შეიცვალა კასპის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სახე.

(ვ) 1922 წლის 24 აპრილს შედგა სასოფლო-სამეურნეო მშრომელ-მწარმოებელთა ამხანაგობის დამფუძნებელი კრება, რომელზეც გადაწყდა შ რ ო მ ი თ ი  ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ი ს დაარსება. ამხანაგობას ეწოდა „შ რ ო მ ა". კრებამ დაამტკიცა ამხანაგობის წევრთა სია, აირჩია გამგეობა და მიიღო წესდება.

1927 წ. საფუძველი ჩაეყარა ცემენტის ქარხნის მშენებლობას.

1930 წლიდან დაბა კასპი ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ცენტრია.

(ზ) 1934 წ. 22 ოქტ. საქ. კპ (ბ) XVII ყრილობის დადგენილების საფუძველზე, კასპის რაიონში ჩატარდა რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს  მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე თ ა  კ ო ნ კ უ რ ს ი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს 8 სოფსაბჭოს (ქვემო ჭალის, წითელქალაქის, ახალციხის, ზემო ხანდაკის, კავთისხევის, წინარეხის, ალაიანისა და ლამისყანის) წარმომადგენლებმა.

ᲙᲐᲡᲞᲘ. ქალაქის ცენტრალური უბანი



გაიმარჯვეს ქვემო ჭალის. ახალციხისა და წითელქალაქის სოფსაბჭოებმა.

1959 წ. ივნისიდან კასპი რაიონული დაქვემდებარების ქალაქია. 1960 წ. გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუზეუმს აქვს ფილიალები. მუზეუმთან 1969 წლიდან არსებობს ივ. ჯავახიშვილის სახ. სახალხო უნივერსიტეტი. 1970 წ. 22 ნოემბერს ცენტრალურ მოედანზე გაიხსნა დიდი ქართველი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის ძეგლი და სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა მემორიალი; 1972 წ. დაიდგა ვ. ი. ლენინის ძეგლი. ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულია მრავალი სამრეწველო, კულტსაგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულება. ბევრი გაკეთდა ქალაქის კეთილმოწყობისა და განაშენიანებისათვის. შედგენილია და დამტკიცებული ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის პროექტი (1973 წ., ავტორი გ. თოთიბაძე).

ბიბლ.: 71ბ:232; 173:51-53, 174, 194, 203; 201ა:436, 620-625, 635, 637, 643; 201ვ:180; 201ზ:585; 201თ:116, 124, 315, 434, 889, 1033; 220ა:17, 109, 143, 145; 220ბ:372, 524; 220გ:86, 101, 348,352,364-366,412; 252:81; 421: ფონდი 284; აღწ. 1, ტ. 2, საქ. 2790, ფ.9-10, ფონდი 288, აღწ.1, ტ. 1, საქ. 503, ფ. 2-10; 422:ფონდი 48, აღწ. 3, საქ. 2337, ფ. 73-75, ფონდი 153, აღწ. 1, საქ. 353, ფ. 103-104, ფონდი 153, აღწ. 2, საქ. 449, ფ. 17-18, ფონდი 549, აღწ. 9, საქ. 793, ფ. 3.

*გვ. ჯ., კ. კ.*

001, ა. აკლდამები, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს ქ. კასპის დას-ით 1 კმ-ზე, მტკვრის ხეობაში. წარმოადგენს 10-15 მ სიმაღლის კირქვის კონცხებში გამოკვეთილ ძლიერ დაზიანებულ გამოქვაბულთა ცალკეულ ჯგუფებს. შემორჩენილია თითქმის სრულად 4 აკლდამა, მ. შ. 3 კლდის ერთ მასივშია გამოკვეთილი, 1 — აღმ-ით ორასიოდე მ-ზე. აკლდამები მიწის ზედაპირიდან 3-5 მ-ითაა შემაღლებული; გამოკვეთილია ლითონის ოთხწახნაგა იარაღით, საკმაოდ სუფთად. მათი სტრუქტურა ძირითადად ტიპურია.

001(ა). გეგმები, განაკვეთები



აკლდამა № 1 (2,5X2,3 მ, მაქს. სიმ. 1,96 მ) და აკლდამა № 2-ის (2,4X2,3 მ, მაქს. სიმ. 1,6 მ) სამარხი კამერები გეგმით კუთხეებმომრგვალებულ კვადრატს უახლოვდება; ჭერი შეისრული კამარისებურია. ორივე სათავსის დას. და ჩრდ. კედლებში 0,1-0,5 მ სიმაღლეზე გამოკვეთილია მიცვალებულის დასასვენებელი კუთხეებმომრგვალებული ნიში-თაროები (სიგრ. 1,6-1,75 მ, სიღრმე 0,55-0,6 მ, სიმ. 0,65-0,7 მ). კამერების წინ ღია კარიბჭეებია (1,2X0,75 მ), რ-ებშიც გაჭრილია კარი (სიმ. 0,65-0,9 მ, სიგ. 0,5-0,6 მ). შესასვლელები გარედან მარტივად ჩაჭრილ დეკორ. ჩარჩოშია ჩასმული. ასეთივე კარიბჭე აქვს № 3 აკლდამასაც (2,5X2,5 მ, დაფერდებული ბრტყელი ჭერის სიმ. 1,4-1,6 მ). ამ აკლდამაში ნიში-თაროები არ არის. № 4 აკლდამას (1,6X1,32 მ, ბრტყელი ჭერის სიმ. 1,8 მ) კარიბჭე არა აქვს. კარი 1,25 მ-ის სიმაღლიდან შევიწროებულია. შესასვლელის მოპირდაპირე და მარჯვ. კედლებში გამოკვეთილია ნიში-თაროები (სიგრ. 1,75-1,8 მ, სიგ. 0,6-0,9 მ).

ა-ში ნიში-თაროების დამხრობა ნებისმიერია, რაც დამარხვის არაქრისტიანულ წესზე მიგვანიშნებს. მსგავსი აკლდამები საქართველოში ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. მათი პროტოტიპები ახლო აღმოსავლეთის უძველეს სახელმწიფოთა (ურარტუ) კლდის აკლდამები უნდა იყოს. ა. სტრუქტურით ოდნავ განსხვავდება აქემენიდური, პართული და სასანური ხანის ირანული აკლდამებისაგან. შეისრული ჭერი და კვეთის ტექნიკა საერთოს პოულობს გვიანდ. ანტ. (უფლისციხე), აგრეთვე ადრინდ. ფეოდ. ხანის ქართ. კლდის ხუროთმოძღვრების ტრადიციებთან. პარალელური მასალისა და ისტ. ფაქტების გათვალისწინებით ა. თარიღდება გვიანდ. ანტ. ხანით ან IV-VI სს.

*ბ. ნ.*

არსენას ციხე, იხ. კლდემადალას ციხე.

002. ეკლესია შუბნიშანი, არქიტ. ძ. ყაზბეგის ქ. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6,5X X5 მ), ნაგებია მოყვითალო ფერის უხეშად დამუშავებული ქვის დიდი კვადრებით, გამოყენებულია ნატეხი ქვა და აგურიც. ეკლ. ძალიან დაზიანებულია: კამარა მთლიანად ჩანგრეულია, შემორჩენილია კონქის ნაწილი, კედლები დაბზარულია, ლავგარდანი აღარა აქვს, დაზიანებულია დას-ის შესასვლელი, იატაკი დაფარულია მიწითა და ჩამონაშალი ქვით, ეკლესიის გარშემო მიწის დონე აწეულია. შესასვლელი დას-დანაა. საკურთხევლის ქვედა ნაწილი სარკმლის ძირამდე სწორკუთხაა, შემდეგ — ნალისებრი. აფსიდი კონქითაა გადახურული, საკურთხეველში დგას სატრაპეზო ქვა, ჩრდ-ით



002 გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

ორი ნიშია, სამხრ-ით — ერთი. სატრიუმფო თაღი იმპოსტებს ეყრდნობა დას. კედლის სამხრ. ნაწილში ერთი სარკმელია. დას. ფასადზე, კარის თავზე აგურის წყობით გამოყვანილია პატარა ჯვარი.

*შ. ი.*

003. თეთრახევის მამების მონასტრის ეკლესია და სამაროვანი, არქიტ., არქეოლ. ძ. ეკლ. დგას ქ. კასპის ჩრდ.-დას-ით 6-7 კმ-ზე, მთის ფერდობზე, კოწახურასა და საყდრიანის ხევის თავში. ადრე აქ მამათა მონასტრის მთელი კომპლექსი ყოფილა. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

(ა) ეკლ. დარბაზულია (11,2X6,5 მ), ნაგებია ნატეხი ქვით, კამარა და აფსიდის კონქი — აგურით. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია, ამოვსებულია ნანგრევებითა და მცენარეულობით, არ ჩანს საკურთხევლის ბაქანი და დარბაზის იატაკი, ლავგარდნის კვალი, კამარა ჩაქცეულია, ფასადების ქვები ამოცვენილია. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია (შემორჩენილია აღმ. წირთხლი, რ-იც პილასტრის ფართო სიბრტყის გაგრძელებას წარმოადგენდა). ღრმა ნახევარწრიული აფსი-

003(ა). სამხრ. ფასადი





003(ა). განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა

დის ღერძზე ფართო სარკმელია, რ-იც შიგნიდან სწორკუთხაა (ქვის ფილითაა გადახურული) და გარეთკენ ძლიერ ვიწროვდება. სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა, ასევე ქვის ფილებით გადახურული ნიშია. უფრო მაღლა, აღმ-ით, კედელში წაგრძელებული სამალავებია მოწყობილი. აფსიდის მხრების წინ ბემაა. ჩრდ. მხარის ბემას შემორჩენილი აქვს მარტივი, თაროსებრი კაპიტელი, რ-საც გრძივი კედლების მიმდებარე თაღის ქუსლი ეყრდნობა. გრძივი კედლების შუა ნაწილში თითო ერთსაფეხურიანი პილასტრია, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღისა და კედლის მიმდებარე თაღების ქუსლები ეყრდნობოდა. დას კედელი, რ-იც მთელ სიმაღლეზეა შემორჩენილი, სრულიად გლუვია. სამხრ. კედელში სარკმლის კვალი ჩანს. დარბაზი გადახურული იყო ცილინდრული კამარით. ინტერიერი შელესილი ყოფილა (კვალი შემორჩენილია აფსიდის კონქში). უკეთაა შემორჩენილი დას. ფასადი. ფასადის შუა ადგილზე შეიმჩნევა კარის კვალი (ამოშენებულია). ამავე ფასადზე შემორჩენილი ფრონტონის ნაწილი შეკეთების დროს აგურით ამოუშენებიათ. ეკლ. გადახურული ყოფილა ბრტყელი და ღარიანი კრამიტით. ეკლესიას სამხრ-იდან მთელ სიგრძეზე ეკვრის მ ი ნ ა შ ე ნ ი. ეკლესიის დას. ნაწილში ორსართულიანი ს ა მ რ ე კ ლ ო ა, რ-ის პირველი სართული ეკლესიის კამაროვან კარიბჭე-გასასვლელს წარმოადგენს და სამხრ-ით თაღითაა გახსნილი. იგი ეკლესიისგან განსხვავებული წყობითაა ნაგები (გამოყენებულია მცირე ზომის ქვები). კარიბჭე ჩრდ. კედელში გაჭრილი კარით უკავშირდება ეკლესიას, ხოლო აღმ. კარით — სწორკუთხა მ ი ნ ა შ ე ნ ს, რ-ისგანაც კედლის წყობის რამდენიმე რიგიღაა შემორჩენილი. მეორე სართული, ს ა მ რ ე კ ლ ო, მთლიანად აგურისაა. შემორჩენილია სამი ბურჯის ფრაგმენტი. მათი განლაგების მიხედვით ჩანს, რომ სამრეკლოს ფანჩატური ოთხივე მხრიდან ღიობებით იყო გახსნილი.

(ბ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი, მდებარეობს მამების მონასტრის ტერიტორიაზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. აქ დადასტურდა მცირე ზომის ქვაყუთები.

*ბერ. ც., ბჟ. ჯ., დე. თ.*

**004. კასპის გორა,** არქეოლ. ძ. მდებარეობს ქ. კასპის ცენტრში, აღმ-იდან და დას-იდან ესაზღვრება მშრალი უსახელო ხევები, სამხრ-ით დამრეცად ეშვება მტკვრისპირა ვაკისკენ. გორაზე ამჟამად დგას სკოლის შენობა. ძ. გ. მიეკუთვნება განმხოლოებულ გორათა კატეგორიას. მისი თხემი სწორი და ფართოდ გაშლილია (ფართ. 1 ჰა). თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის და გვიანდ. ფეოდ. ხანით. კულტ. ფენების ერთი ნაწილი ჩამორეცხილი და განადგურებულია. ძ.გ-ზე აღმოჩენილი რიყის ქვით და ფიქალის ლოდებით ნაგები კედელი (სისქე 0,55-0.85 მ) გორის ზღუდეს უნდა წარმოადგენდეს. მიკვლეულია ფიქალთიხის იატაკის ფრაგმენტი (4X4 მ). ზღუდესთან და იატაკზე აღმოჩნდა კერა და უხეში მარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული ჭურჭლის ნამტვრევები, რ-თა შორის აღსანიშნავია მოზრდილი ბრტყელბაკოიანი ქვევრის პირ-ყელი, ქოთნის, ქილისა და დერგის ნატეხები. აქვეა მოყავისფროდ გამომწვარი, ყელჩაღარული, პირგაშლილი, ბირთვისებურმუცლიანი და ბრტყელძირიანი კოჭობი. იატაკის ქვეშ, ფეოდ. ხანის კერამ. ნაწარმში აღმოჩნდა გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ჩარხზე დამზადებული წვრილმარცვლოვანი თიხის მურა-მონაცრისფრო ჭურჭლის ფრაგმენტები. *ბ. მ.*

**005. კასპის სამაროვანი,** არქეოლ. ძ. აღმ-ით ესაზღვრება მდ. ლეხურა, დას-ით — ქ. კასპის რკ.-გზ. სადგური, ჩრდ-ით — კასპის რ-ნული საბჭოს ეზო, სამხრ-ით — რკ.-გზ. ხაზი. მიეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის ხანას. ძვ. წ. XIV-XIII სს.

ძ. ს. 1962-63 წწ. გათხარა მაე-ის კასპის რაზმმა (ხელმძღვ. ა. კალანდაძე, რაზმის უფროსი მ. ბარამიძე). ძეგლი ცუდად არის დაცული. გათხრილი ქვაყუთები ძირითადად ორი ტიპისაა: ქვაყრილიანი და მიწაყრილიანი; სწორკუთხა (1,5X1 მ) ან ოვალური ფორმის ორმოსამარხები უმეტესად გადახურულია ხის ძელებით და მიწით ან ქვით არის მოზვინული. დადასტურდა, რომ ორი ორმოსამარხი თიხაფიქალის ქვებით იყო გადახურული. სამარხები ძირითადად ინდივიდუალურია. გვხვდება წყვილადიც. ჩონჩხი ასვენია ხელფეხმოხრილი, მარჯვ. გვერდზე მამაკაცები, მარცხ. გვერდზე — ქალები. როგორც გამონაკლისი, გვხვდება ქალების მარჯვ. გვერდზე ან გაშოტილად დაკრძალვის შემთხვევაც. მიცვალებული უმეტესად დამხრობილია ჩრდ-დან სამხრ-საკენ. ზოგიერთ სამარხში ჩატანებულია წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ნაწილები. გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ადრინდ. ეტაპის (ძვ. წ. XIV-XIII სს-ის დასაწყისი) სამარხებში აღმოჩნდა უმთავრესად ჩარხზე დამზადებული კერამიკა (დერგები, ქოთნები, ქილები, ლანგრები, ხასმისები და სხვ., აგრეთვე პირმოყრილი ჭურჭელი და წვრილი კონცენტრული ღარებით ძირშემკული ქოთნები), იარაღ-საჭურველი (ბრინჯაოს ფოთლისებური ყუნწიანი ან უყუნწო სატევრები, მასრაგახსნილი ჭედური ხელშუბისპირები), სამკაული (თავხეია, სადა ან გრეხილტანიანი მრგვალგანივკვეთიანი ოთხი კოპით შემკული მრგვალთავა საკინძები, სარდიონის ნაპობი მძივები და სხვ.).

საკუთრივ გვიანდ. ბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. XIII-XII სს.) ხასიათდება კერამ. ფორმების სიმრავლით და დახვეწილობით: იარაღიდან აღსანიშნავია „კახური" სატევარი, რელიეფურსალტეებიანი შუბისპირი და სხვ. მომდევნო, ბრინჯაოდან რკინისაზე გარდამავალი ხანის (ძვ. წ. XI-X სს.) სამარხებში აღმოჩნდა: ბრინჯაოს მთლიანსხმული მახვილები, ორნამენტით შემკული, ყალიბში ჩამოსხმული შუბისპირები, მრგვალგანივკვეთიანი, მრგვალთავიანი საკინძები. გვხვდება რკინის პატარა ნივთებიც (დანისპირი, რგოლი, აბზინდა), ხოლო კერამ. ნაწარმიდან — ლითონის ჭურჭლის მიბაძვით დამზადებული სასმისები და მილიანი მოზრდილი ბადიები. ადრინდ. რკინის ხანის (ძვ. წ. IX-VII სს.) სამარხებში აღმოჩნდა: რკინის მასრაგახსნილი შუბისპირები, ოვალური და გრძელი სწორკუთხაყუნწიანი სატევრები, მოხრილი დანები; ბრინჯაოს გრძელყუნწიანი ორფრთიანი ისრისპირები, ბოთლისებურთავიანი, წვერისაკენ სიმეტრიულად შევიწროებული და სხვაგვარი საკინძები. მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *ბ. მ.*

**006. კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი,** ინტ.ძ. მდებარეობს კასპის რკ.-გზ. სადგურთან. საბჭ. საქართველოს და ამიერკავკასიის ცემენტის



006 ერთ-ერთი საწარმოო ეზო

მრეწველობის პირველი საწარმო (1978 წ-მდე ეწოდებოდა კასპის ცემენტის ქ-ნა). მშენებლობა დაიწყო კასპის კირქვიხა და თიხის საბადოების ბაზაზე. ქარხანას საფუძველი ჩაეყარა 1927 წ. 10 ივნისს საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების 10 წლისთავზე დასრულდა ქარხნის მშენებლობა და 1931 წ. 25 თებ. მოეწყო მისი საზეიმო გახსნა. პირველი ქართ. ცემენტი გამოუშვეს 1930 წ., შიფერის წარმოება კომბინატმა აითვისა 1945 წ. საკედლე ბლოკებისა — 1960 წ. 1947 წ. დაიწყო კომბინატის გაფართოება. კომბინატის მზა პროდუქცია ძირითადად რესპუბლიკის შიგნით მოიხმარება. 1968 წ-დან 400 მარკის ცემენტს გზავნიან საზღვარგარეთ.

007. კვირაცხოველის ეკლესია, არქიტ. ძ. ყაზბეგის ქ. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (16.65X7,3 მ), ნაგებია სხვადასხვა ფორმისა და ზომის რუხი ფერის დამუშავებული ქვით, გამოყენებულია აგური, შირიმისა და რიყის ქვაც. ძლიერ დაზიანებულია: დანგრეულია კამარა და საბჯენი თაღები, კედლების ზედა ნაწილი, სამხრ. პილასტრების ქვედა ნაწილი, სამხრ კარის ხვრელი, სამხრ. კედლის დას. სარკმლიდან გადარჩენილია მხოლოდ მარჯვ. წირთხლის ნაშთი; დას. შესასვლელი ამოშენებულია. ლავგარდანი აღარა აქვს. ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-იდანაა. ნახევრად ოვალური ღრმა აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის სამხრ-ით — ერთი პატარა ოთხკუთხა ნიში. კამარის საბჯენი თაღები უჩვეულო ფორმის (ზემოთ ოდნავ გამოწეულია კედლიდან, ქვემოთ — მეტად) ორ წყვილ პილასტრს ეყრდნობა. სატრიუმფო თაღის იმპოსტების დონე დარბაზის ქუსლის დონეზე დაბალია. სამხრ. კედლის აღმ. და დას. ნაწილში გაჭრილი ყოფილა თითო თაღოვანი სარკმელი ·კ. ბ.



007. გეგმა

008. კლდემაღალას ციხე, არსენას ციხე, არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს ქ. კასპის ჩრდ-ით 5 კმ-ზე, მდ. ლეხურის მარჯვ. მხარეს, მაღალ მთაზე თარიღდება V-VI სს-ით, გვიანდ. ფეოდ. ხანით. კ. ც. მთელ ლეხურის ხეობას გადაჰყურებდა, კეტავდა ლეხურის ხეობით მომავალ ვიწრო გზას ჩრდ-ით და სამხრ-ით და იცავდა ციხე-ქალაქ კასპს მტრის შემოსევებისაგან. ციხის ძველი სახელწოდება დავიწყებულია. ახლა ხალხი მას არსენას ციხეს უწოდებს. „კლდემაღალას" სახელით იგი აღარ იხსენიება ვახუშტისთანაც. „მას ზეით (იგულისხმება თეთრახევის მამების მონასტერი) არს ციხე, სათიდგან გამოიყვანეს ოვსთა გორგასლის დაი". V ს. კასპის სპასპეტისათვის აღსაზრდელად მიუბარებიათ ვახტანგ გორგასალის და — მირანდუხტი. ოს ბაყათარს მირანდუხტი ამ ციხიდან გამოუყვანია. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ V ს. ეს ციხე უკვე არსებობდა.

კ. ც. ძლიერ დაზიანებულია. დანგრეულია ერთადერთი შემორჩენილი ნაგებობის ოთხსართულიანი კოშკის აღმ. და ჩრდ. კედლები, დას. კედლის დიდი ნაწილი და ნაწილობრივ სამხრ. კედელიც. ჩანგრეულია ხის სართულშუა გადახურვა. პირველი სართულის ქვედა ნაწილი ამოვსებულია მიწით. კოშკი (კედლების სიგრ. — 7,6 მ, სიმ — 11 მ, სისქე 2 მ) ნაგებია რუხი და მოყვითალო ნატეხი ქვით. გარე კუთხეები ოდნავ მომრგვალებულია. სართულშუა ხის გადახურვების საყრდენად კედლის სისქის შემცირებით მიღებული საფეხური იყო გამოყენებული. შერჩე-





008. დას. ფასადი, გეგმა

ნილია სქელი მორების ბუდეები. პირველი სართულის სამხრ. კედელში ერთი მაღალი და ვიწრო სარკმელია. ამავე სართულზე სამკუთხედად გადახურული ნიშები ყოფილა (ერთი კარგადაა დაცული). სათოფურების კვალი მხოლოდ მეოთხე სართულზე შეიმჩნევა. ეს სართული წყობით და მასალით განსხვავდება კოშკის ქვედა

ნაწილისაგან იგი მოგვიანებით უნდა იყოს დაშენებული.

*ბიბლ.*: 151:15; 220ა:100, 365. *მენ. მ. შ. ი.*

009. ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ, მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას კასპის № 1 საშ. სკოლის ეზოში მოქანდ. ო. ფარულავა, არქიტ. გ. ბერიძე. საერთო სიმ. 7,4 *მ*, ბრინჯაოს ქანდაკების 3,7 *მ*, კურსების გრანიტით მოპირკეთებული კვარცხლბეკისა — 3,7 *მ*. ძეგლი დგას ბაზალტის ფილებით მოპირკეთებულ ბაქანზე. კვარცხლბეკი სადაა, ოთხკუთხა, ზემოთკენ ოდნავ დავიწროებული. ფიგურა წარმოდგენილია ფრონტალურად, მთელი ტანით.

*დ. ფ.*

010. ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მდ. ლეხურის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,93X5 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის მოყვითალო ფერის ნატეხი ქვით, გამოყენებულია რიყის ქვა და აგურიც. დაზიანებულია. სახურავზე კრამიტი მთლიანად აყრილია, დაშლილია შესასვლელის არქიტრავის წყობა და ფიცრითაა შემაგრებული, ლავგარდანი მთლიანად მონგრეულია, ეკლესიის გარშემო მიწის დონე აწეულია და ეკლესიაში ჩასვლა შესაძლებელია სამსაფეხურიანი კიბით. შესასვლელი ჩრდ-დანაა. კარი შიგნიდან და გარედან სწორკუთხაა. ნახევარწრიულ აფსიდს წინ არდაბაგი აქვს. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ჩრდ-ით თაღოვანი ნიშია, სამხრ-ით — სწორკუთხა. საკურთხევლის კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა. დარბაზის დას. კედელში სწორკუთხა სარკმელია. კამარა საბჯენ თაღს ეყრდნობა, თაღი — წყვილ პილასტრს. გრძივ კედლებს მთელ სიგრძეზე ერთსაფეხურიანი ჩამოსაჯდომი გასდევს.

*კ. ბ.*



010 გეგმა



011. აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა

011. ᲔᲗᲐᲕᲐᲠᲐᲜᲒᲔᲚᲝᲕᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას ქალაქის სამხრ.-დას-ით 3 *კმ*-ზე, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (10.7X5 *მ*), დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე, ნაგებია სხვადასხვა ფორმისა და ზომის რუხი ფერის, ნატეხი ქვით, გამოყენებულია შირიმის ქვაც. სარკმლის საპირეები მოცისფრო ქვისაა. ეკლესიას დაზიანებული აქვს სარკმლის წირთხლები, ლავგარდანი ნაწილობრივ მონგრეულია, სახურავზე კრამიტი აცვენილია. შესასვლელი სამხრ-დანაა. კარი შიგნიდან არქიტრავულია, გარედან — თაღოვანი. ნალისებრი აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ჩრდ-ით ორი ნიშია, სამხრ-ით ერთი. კამარა ეყრდნობა ორსაფეხურიან პილასტრებზე დადგმულ საბჯენ თაღს. პილასტრები დასრულებულია სადა იმპოსტებით. პილასტრების პირველ საფეხურებს კედლის მიმდებარე დეკორატ. თაღები ეყრდნობა. სამხრ. კედელში გაჭრილია ორი ფართო თაღოვანი სარკმელი. ეკლ. შიგნიდან მთლიანად შელესილია. შემორჩენილია (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები.

აღმ. ფასადზე სარკმლის საპირე მორთულია წრეში ჩაწერილი ჯვრებით. სათაურის რუქურთმა დაზიანებულია. სარკმლის თავზე იყო რელიეფი, რ-იც ბათქაშითაა დაფარული. ეკლესიას თაროსებრი ლავგარდანი აქონია.

ეკლესიაზე სამხრ-დან მიშენებულია ოთხსართულიანი (ბ) კ ო შ კ ი (9,9X X3,35 *მ*), რ-იც უფრო მცირე ზომის ქვებითაა ნაგები, ვიდრე ეკლესია. ძლიერ დაზიანებულია სამხრ. კედლის შუა ნაწილი, ჩანგრეულია სართულშუა ხის გადახურვები, მეოთხე სართულის კედლებიდან მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი. კოშკის პირველი სართული ეკლესიის სამლოცველოს წარმოადგენს. შესასვლელი (დაზიანებულია) სამხრ-დანაა, მეორე სართულის დონეზე. ნახევარწრიულ აფსიდში ორი თაღოვანი სარკმელია, აღმ-ის სარკმელი ვიწროა, დას-ისა — უფრო ფართო. სართული გადახურულია საბჯენ თაღებზე დაყრდნობილი კამარით. კოშკის ზედა სართულები საცხოვრებელი და სათავდაცვო დანიშნულებისაა. მეორე და მესამე სართულის კედლებში სათოფურები, ფართო ოთხკუთხა სარკმლები და ორ-ირი ბუხარია. მეოთხე სართული, რ-იც გაერთიანებული იყო ეკლესიაზე დაშენებულ სათავსთან, წარმოადგენდა გახსნილ საბრძოლო ბანს.

*ბიბლ.*: 116:255-259; 151:16-17. *კ. ბ.*

012. ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲔᲑᲘ ᲜᲐᲛᲑᲐᲚᲐ ᲒᲝᲠᲐ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲕᲘᲐ ᲒᲝᲠᲐ, არქეოლ. ძ. მდებარეობენ კოწახურას ხევის დას-ით 700-800 *მ*-ზე. ორივე ნასახლარი თარიღდება ადრინდ. რკინის ხანით. ზედაპირულად იპოვება შავად გამომწვარი, ჭდეულორნამენტიანი კერამიკის ფრაგმენტები. *მვ. ჯ.*

013. ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ ᲜᲐᲪᲐᲠᲒᲝᲠᲐ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფ. კავთისხევისკენ მიმავალი გზის პირას. თარიღდება ადრინდ. რკინის ხანით. კულტ. ფენები განადგურებულია. ფერდობებზე იპოვება შავად და ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები. ამჟამად ნამოსახლარზე დგას კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის საბავშვო ბაღი. *ბ. მ., მვ. ჯ.*

014. ᲜᲐᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქ. კასპის დას-ით 3 *კმ*-ზე.

მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე, მთავარანგელოზის ეკლესიის ახლობლად. თარიღდება ადრინდ. და გვიანდ. ფეოდ. ხანით. შეიმჩნევა ნასახლართა ბუდეები ორ ფენად: ზედა ფენას მიეკუთვნება მრგვალი თონეები, მოჭიქული კერამიკა, ხოლო ქვედა ფენას — ოდნავ პირგადაშლილი პირბაკობრტყელი ქოთნები და ქვაბ-ქოთნები. *გვ. ჯ.*

015. ნასახლარი, არქეოლ. ძ. სტალინის ქ. 116. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. აქ დადასტურებულია მარანი, რ-შიც სამ რიგად ჩადგმულია 9 ქვევრი. *გვ. ჯ.*

016. ნასახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქ. კასპში, მდ. ლეხურის მარცხ. ნაპირზე, რკ.-გზ. ხაზთან. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ზედაპირულად იპოვება ყელწიბოიანი დოქის წითელკეციანი წითლად შეღებილი კერამიკის ფრაგმენტები. *გვ. ჯ.*

017. ნასახლარი და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს კასპის ცემენტის კარიერის დას-ით 4 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, წყალსაქაჩთან. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. (ა) ნ ა ს ა ხ ლ ა რ ზ ე აღმოჩენილი იქნა რელიეფურსარტყლიანი დოქები, ქვევრები მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში. იქვე, ნასახლარის დას-ით, ხევის გაღმა, 50 მ-ზე არის (ბ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი. *გვ. ჯ.*

018. ნაქალაქარი კასპი და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქ. კასპის დას-ით, ქალაქის ცენტრიდან 2 კმ-ზე. დას-ით ესაზღვრება კოწახურას ხევი, სამხრ-ით — კასპი-მეტეხის საავტ გზა, ჩრდ-ით — ძლევის ქედის და საზღვარა გორას კლდოვანი ფერდობები, აღმ-ით — ავტოსამეურნეო კანტორის საავარგულები. ფართ. 60 ჰა. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრებსა და არქეოლ. კვლევას ატარებს პპს (ხელმძღვ. გ. ცქიტიშვილი).

018(ა). გეგმა



(ა) განათხარი უბანი თარიღდება IV-V სს-ით. გაითხარა ქალაქის ერთი ნაწილი — სწორხაზოვანი ქუჩა (სიგრ. 19 მ, სიგ. 1,8 მ) და მის ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებული ნაგებობები. ქუჩა მოგებულია უსწორმასწორო ქვის ფილებით. მის დას. მხარეზე გაიწმინდა 6 სათავსი, აღმ-ისაზე — 4. შენობები ნაგებია ნატეხი ქვითა და ტალახით. ნაგებობების ძირითადი კედლების სისქე 0,8 მ-ია, სათავსებს შორის კედლებისა — 0,4 მ. იატაკი ზოგ (საცხოვრებელ) სათავსში ქვის ფილებითაა მოგებული, ზოგში (სამეურნეოში) თიხატკეპნილია. ერთ-ერთ სათავსში აღმოჩნდა ორრიგად ჩადგმული 6 დიდი ზომის ქვევრი, რ-ებსაც ქვისაგან გამოთლილი სარქვლები ეხურათ. სახლები გადახურული ყოფილა როგორც კრამიტით, ისე ბანურად გაუთხრელ უბნებზე უხვად იპოვება კრამიტის, ქვევრებისა და წვრილი ჭურჭლის ნატეხები, დანგრეული კედლების ქვები, დამწვარი ნაცროვანი ფენები და ა. შ. საცდელი თხრილებით დაიფარა თითქმის მთელი ნაქალაქარი და ყველგან გამოვლინდა შენობათა ნანგრევები. განათხარ ფართობზე იპოვება სამტუჩა და ყელწიბოიანი დოქები, ორყურა ჭურჭელი, ქოთნები, ბრტყელი და ღარისებრი, წითლად შეღებილი კრამიტი და სხვ.

(ბ) ნაქალაქარის სამხრ. ნაწილში, კოწახურას ხევის აღმ-ით 800 მ-ზე, კასპი-მეტეხის საავტ. გზის მარჯვ. მხარეს, გზიდან 50 მ დაშორებით მდებარეობს ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი, რ-იც თარიღდება III-IV სს-ით. სამაროვანზე გაითხარა 11 ქვაყუთი. ისინი დამხრობილია აღმ-დან დას-საკენ. ქვაყუთების გრძივი კედლები ამოყვანილია უხეშად დამუშავებული ორ-ორი ქვით, განივი — თითო ქვით, სახურავად ორი ან სამი ქვა ადევთ. ყველა ქვაყუთი საოჯახოა. თითოეულში ორიდან ოთხამდე მიცვალებულია დაკრძალული ქრისტ. წესით. ინვენტარიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს ანთიმონნარევი სარკე, მინის გვერდებშეზნექილი სანელსაცხებლე, ოქროსა და გიშრის მძივები. სამარხთა მეორე ჯგუფი მცირე ზომის (1X0,5X0,15 მ) ქვაყუთებისაგან შედგება. მათი ყოველი გვერდი თითო ქვით არის აგებული. ქვებზე ამოყვანილია ნარიმანდები. მიცვალებულები დაკრძალული არიან ხელფეხმოხრილი. სამარხში აღმოჩნდა მხოლოდ მავთულის საყურეები და გიშრის მძივები.

*ბიბლ.:* **89; 134; 272.** *გვ. ჯ.*

019. გიორგი სააკაძის ძეგლი და დიდ სამამულო ომში დაღუპულ

**გმირთა მემორიალი**, მონუმ. ხელოვნ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრ. მოედანზე, რკ.-გზ. სადგურის წინ. გაიხსნა 1970 წ. 22 ნოემბ. მოქანდ. მ. ბერძენიშვილი, არქიტ. გ. ჯაფარიძე.

(ა) გამოჩენილი ქართვ. მხედართმთავარი და სახელმწ. მოღვაწე გიორგი სააკაძე გამოძერწილია ცხენზე ამხედრებული, სატევარმომარჯვებული (ბრინჯაოს ქანდაკების სიმ. 8,5 *მ*). ცხენი და მხედარი ქმნიან ერთიან შეკრულ დინამიკურ კომპოზიციას. ქანდაკება დგას რუხი გრანიტით მოპირკეთებულ მაღალ კვარცხლბეკზე (სიმ. 5 *მ*), რ-იც აღმართულია ბაზალტის ფილებით გაწყობილ ფართო მოედანზე.

(ბ) მოედნის მარცხ. მხარე ფლანკირებულია რუხი გრანიტით მოპირკეთებული დაბალი კედლით, რ-ზედაც მიმაგრებულია ლითონის ჩირაღდნის სკულპტურული გამოსახულება. აქ ანთია მარადიული ცეცხლი. ჩირაღდნის მარჯვნივ, კედელზე წარწერაა: „დიდება გმირებს!"

ამ ძეგლისათვის მოქანდაკე მ. ბერძენიშვილს მიენიჭა 1975 წლის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია.

*მ. ი.*

020. **სამაროვანი**, არქეოლ. ძ. კოსმონავტების ქ., ადგილი შილხანაანთ ვენახი. თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ით. 4 *მ* სიღრმეზე მიწაში განლაგებულ, სამხრ.-დას-იდან ჩრდ.-აღმ-ით დამხრობილ ქვაყრილ სამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი და სარდიონის ექვსწახნაგა მძივები. მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში.

*გვ. ჯ., მირ. ნ.*

021. **ღვთისმშობლის ეკლესია**, არქიტ. ძ. ყაზბეგის ქ. 19, ეკლ. კვირაცხოველის ჩრდ.-აღმ-ით 150 *მ*-ზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,85X4,97 *მ*), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. თაღები ამოყვანილია აგურით. დაზიანებულია: სახურავზე კრამიტი აცვენილია, ამოსულია მცენარეები, კამარა ჩანგრეულია, ლავგარდანი მთლიანად მონგრეულია, ჩრდ. და დას. კედლები დაბზარულია, ჩამონგრეულია კედლების ზედა ნაწილი. შიგნიდან და გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელი დას-ითაა. ნალისებრი აფსიდის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია, მის გვერდებზე — ნახევარწრიული ნიშები. დარბაზის კამარა ეყრდნობა საბჯენ თაღს. დარბაზის დას. კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია.

*კ. ბ.*

022. **წმ. თევდორეს ეკლესიის კომპლექსი**, არქიტ. ძ. ყაზბეგის ქ. თარიღდება ფეოდ. ხანით.

(ა) ეკლ. დარბაზულია (13,4X6,3 *მ*), ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვით, ფასადებზე გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ყვითელი და მოყავისფრო თლილი ქვა. დაზიანებულია: აფსიდი სარკმლის ძირამდე მიწითაა ამოვსებული. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — დას-დან და სამხრ-დან. დას. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან — არქიტრავული. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ერთი თაღოვანი სარკმელია. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით. ორსაფეხურიან პილასტრებზე გადადის თაღი, რ-იც დას. კედელთან ვიწროვდება და ეყრდნობა კრონშტეინებს. დას-ით და სამხრ-ით თითო დიდი სარკმელია. სამხრ-ის სარკმელი თაღოვანია, დას-ისა —



019. საერთო ხედი

სწორკუთხა. ინტერიერი შელესილია. აღმ. ფასადზე სარკმელი აგურითაა ამოყვანილი. აგურისაა ეკლესიის გვიანდ. ლავგარდანიც. სამხრ. ფასადის აღმ. კუთხესთან, ქვაზე ამოკვეთილია მცირე ჯვარი. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით.

ეკლესიას ორი მ ი ნ ა შ ე ნ ი აქვს: ჩრდ-ისა (ნაწილობრივაა შემორჩენილი) და სამხრ-ისა, რ-იც ზედ ეკლესიის კედელზეა მიშენებული. სამხრ. მინაშენში შესასვლელი დას-დანაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო თაღოვანი სარკმელია. მინაშენი გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-იც ჩრდ. კედლის ორ თაღს ეყრდნობა.

(ბ) ეკლესიას ჩრდ-დან გ ა ლ ა ვ ა ნ ი აქვს მიშენებული თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით, ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით (შემორჩენილი კედლის სიგრ. 17,55 მ, სიმ. დაახლ 5,3 მ). გალავანი დაზიანებულია: შემორჩენილია მხოლოდ აღმ. კედლის ნაწილი. ჩრდ. კედლის ქვედა ნაწილი, მონგრეულია ქონგურები. მოგვიანებით ჩრდ. კედლის გადარჩენილ ქვედა ნაწილზე სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები დაუშენებიათ. გალავნის კედელში გაუჭრიათ კარი (ამჟამად ამოქოლილია) და ფართო სარკმლები. გალავანში ორრიგად დატანებულია რვა წყვილი სათოფური. ქვედა რიგის სათოფურები დიდი ზომისაა.

(გ) გალავნის ჩრდ.-აღმ. კუთხეში ც ი ლ ი ნ დ რ უ ლ ი კ ო შ კ ი დგას (დიამ. 3,8 მ, კედლის სისქე 1 მ), ნაგებია რიყის ქვით. კოშკი ძლიერ დაზიანებულია: შეიმჩნევა სამი სართულის ნაშთი. ქვედა სართულები მიწითაა ამოვსებული. სამი სათოფურიდან ერთი ჩამოშლილია. კოშკში შესასვლელი არა ჩანს. კედელში დატანებულია სართულების დამაკავშირებელი კიბის საფეხურები. ფასადებზე ჩანს სართულშუა გადახურვის ხის ძელების ფრაგმენტები. *შ. ი.*

022 გენგეგმა: 1. გალავანი, 2. წმ. თევდორეს ეკლესია, 3. ეკლესიის სამხრ. მინაშენი, 4. ცილინდრული კოშკი. აღმ. ფასადი




# ალაიანი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

023. ალაიანის ველი, ისტ. ძ. 1625 წ. გაზაფხულზე შაჰ-აბას I-ის ბრძანებით კახელების გასანადგურებლად მოსული სპარსთა ლაშქარი ყარჩიხა-ხანის სარდლობით ალაიანის ველზე დაბანაკდა. განზრახვის განსახორციელებლად ყარჩიხა-ხანმა კახელთა დიდი ჯარი დაიბარა იმერეთში სალაშქროდ. შემოტყუებულ კახელებს შეპირდნენ მოძმე იმერლების წინააღმდეგ საბრძოლველად არ წაგიყვანთ, იარაღი ჩაგვაბარეთ, საჩუქრები მიიღეთ და შინ დაბრუნდითო. კახელები „საჩუქრების" მისაღებად მოშორებით მდგარ კარავში უნდა შესულიყვნენ. აქ მათ სიკვდილი ელოდათ. კახელებმა შეიტყვეს ყიზილბაშების განზრახვა, მოახტნენ ცხენებს და კახეთისაკენ ხმლით გაიკაფეს გზა. ალაიანის ველზე რამდენიმე ასეული კახელი გაწყდა.

**ბიბლ.: 201; 270:125-126.** *აფრ. გ.*

024. ალაიანის კომუნა, ისტ. ძ ა. ქ. ჩამოყალიბდა 1926 წ. 25 აპრ. ამ დროისათვის ალაიანის თემში შედიოდა სოფლები — ალაიანი, საქადაგიანო, ოკამი, ლამისყანა, თეზი და ფერმა. კომუნის დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო რევოლუციონერი ფიდა (ფრიდონ) ქიტას ძე დვალიშვილი (1893-1962 წწ.). კომუნაში გაერთიანებული იყო 20 ოჯახი. 1926-27 წწ. სოფელში აშენდა კომუნის ბინები. კომუნა 1930 წ-მდე იარსება. ა. კ-ის ორი შენობა დღესაც დგას სოფელში, ე. წ. კომუნის უბანში. ორივე მოძველებულია. ერთი შენობა ერთსართულიანია, მეორე — ორსართულიანი, ნაგებია წითელი აგურით. *ხ. ც.*

025. თხოთის მთა, თ ო ხ ა თ ი ს მ თ ა, ისტ ძ. მდებარეობს სოფ. ალაიანის სამხრ.-აღმ-ით 2 *კმ*-ზე. ჰყოფს მდ. მტკვრის ხეობას და მუხრანის დაბლობს. მისი აღმ. კალთები მდ. ქსნისაკენ ეშვება.

ისტ. წყაროების თანახმად ქართლის მეფე მირიანი მუხრანის მიდამოებში ნადირობდა. თხოთის მთაზე რომ ფეხი შედგა, „დაბნელდა მზე მათსა ზედა და იქმნა ვითარცა ღამე ბნელი, უკუნი... დაშთა მეფე მარტო, და იარებოდა მთათა და მაღნართა შეშინებული და შეძრწუნებული". იგი ამაოდ შესთხოვდა შველას თავის ღმერთებს, მაშინ მეფე შეჰვედრებია „ღმერთსა ნინოსა". მოხდა „სასწაული" — მზე გამოჩნდა, ცა მოიწმინდა. მირიანმა აღუთქვა ნინოს: „რამეთუ შენ მიხსენ მე ჭირისაგან და განმინათლე ბნელი ჩემი, ამას ადგილსა აღემართო ძელი ჯუარისა, რომელითა იდიდებოდეს სახელი შენი და იხსენებოდის საქმე ესე სასწაული უკუნისამდე". ნინოს ბრძანებით თხოთის მთაზე (ისე როგორც უჯარმასა და მცხეთაში) აღმართეს ხის ჯვარი.

თხოთის მთის წვერზე, უკვე ქრისტიანობის მიღების პირველსავე საუკუნეებში აღუმართიათ ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ი ს ე კ ლ ე ს ი ა.

**ბიბლ.: 88:63.** ანდღ. ნ.

026. თხოთის მთის სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ალიანის სამხრ-ით, თხოთის მთის დაბლა კალთებზე, თბილისი-გორის გზის მარცხ. მხარეს, ტერასებზე. თარიღდება IV-V სს-ით. ს. მ. ს. 1975 წ. გათხარა ნაე-მ (ხელმძღვ. ა. ბოხოჩაძე). გამოვლინდა 25 სამარხი. სამარხები ოთხი ტიპისაა: თიხის სარკოფაგები, აგურით ნაგები და მუხის ძელით გადახურული სამარხები, კატაკომბური სამარხები და ორმოსამარხები.

თ ი ხ ი ს ს ა რ კ ო ფ ა გ ე ბ ი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისგან, გამომწვარია მოწითალოდ, არათანაბრად. მათ წაგრძელებული ოვალის ფორმა აქვთ (სიგრ. 1,5-2,1 მ, სიგ. 0,6-0,7 მ. კედლის სიმ. 0,32-0,4 მ, სისქე 0,01-0,02 მ), ახურავთ თიხისავე ბრტყელი სახურავი, რ-ის გადმოკეცილი ნაპირები კარგად ჯდება სარკოფაგის კედლის წიბოზე. ძირზე დატანებული აქვთ 8-10 ნახვრეტი. სარკოფაგებს დგამდნენ ორმოში, ხოლო ზევიდან გარდიგარდმო აფარებდ-

ნენ ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილ მუხის რ-მ ძელს (სიგრ. საშუალოდ 1,3-1,4 მ, დიამ. 0,3-0,4 მ), რ-ებსაც რიყის მოზრდილი ქვებით ამაგრებდნენ.

აგურით ნაგები და მუხის ძელით გადახურული სამარხი მხოლოდ ერთი აღმოჩნდა. სამარხის გრძივი კედლები შედგენილი იყო სამი, ხოლო განივი კედლები თითო კვადრ. აგურით (0,29X X0,29X0,4 მ), სახურავად გამოყენებული იყო ხის ძელი (სიგრ. 1,4 მ, სიგ. 0, 3 მ).

კატაკომბური სამარხებისათვის მიწა ამოღებულია 1,2-1,5 მ სიღრმეზე. მის ჩრდ. კედელში სამარხის ძირთან გამოთხრილია დამატებითი ორმო, რ-შიც შესვენებულია მიცვალებული. ამ ორმოზე აფარებულია თავბოლოშექცევით ცერად დაყენებული 3-6 ბრტყელი კრამიტი, ხოლო პირველი ორმო ამოვსებულია მიწით. მიცვალებულს მიწა არ აყრია.

გათხრილი სამარხების დიდ უმრავლესობას ორმოსამარხები შეადგენენ. დასაკრძალავი ორმოები უმეტეს შემთხვევაში ოვალური ფორმისაა (სიგრ. 1,2-1,8 მ). ორმოსამარხები სამი სახისაა – მუხის ძელებით გადახურული, ქვის ფილებით გადახურული და მიწაყრილიანი. უფრო მეტია მიწაყრილიანი სამარხები. გამოვლენილი ყველა სამარხი დამხრობილია ჩრდ.-ალმ-დან სამხრ.-დას-საკენ. მიცვალებულები ასვენია სხვადასხვა პოზაში. დაკრძალვის გაბატონებული წესის დადგენა თუნდაც ერთი პერიოდის, IV ან V სს სამარხების მიხედვით ვერ მოხერხდა. სამარხების დიდ უმრავლესობაში დადასტურებულია მიცვალებულის ზურგზე, გაშოტილი დაკრძალვა, ზოგ შემთხვევაში მიცვალებულებს ფეხები მუხლებში აქვთ მოხრილი, ზოგჯერ ხელები გულმკერდზე ან მუცელზე უწყვიათ, ხშირად გაჭიმული აქვთ ტანის გასწვრივ და ხელის მტევნები მენჯის ქვეშ აქვთ ამოდებული და ა. შ. დაკრძალვის ერთიანი წესი შეინიშნება კატაკომბურ სამარხებში, სადაც მიცვალებულები ძირითადად ზურგზეგაშოტილი წვანან, ფეხები მუხლებში აქვთ მოხრილი, ხოლო ხელები ტანის გასწვრივ უწყვიათ. რამდენიმე წყვილად სამარხში ერთი მიცვალებული დაკრძალულია წარმართული, ხოლო მეორე – ქრისტ. წესით.

Ო. მ. ს-ზე დაკრძალვის წესისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით გამოიყოფა ორი ქრონოლ. ჯგუფი: IV ს-ისა (1), რ-იც შეიცავს მდიდრულ ინვენტარს – ოქროს სამკაულის ნაწარმსა და მონეტებს; და V ს-ისა (2), რ-იც შედარებით ღარიბულია ინვენტარით ან სრულიად არ შეიცავს სამარხეულ ინვენტარს.

*ბიბლ.:* **47; 167; 169; 170.** *მირ. ნ.*

026 სამარხთა ტიპები: 1. აგურით ნაგები. 2. კატაკომბური, 3. ორმოსამარხი, 4. თიხის სარკოფაგი




027. ალმაკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, გელხაურების ეზოში. თარიღდება XVIII ს-ით. ძ. ხუთსართულიანია, ცილინდრული (დიამ. 9,7 მ), ზემოთკენ ოდნავ ვიწროვდება. ნაგებია რიყის ქვით. კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია აგური. დაზიანებულია – ზემოთა ნაწილები ჩამონგრეულია, პირველი სართული სანახევროდ ნანგრევებითაა ამოვსებული. სწორკუთხა შესასვლელი პირველი სართულის სამხრ. ნაწილშია. სართულშუა გადახურვა ხის ძელებზე ყოფილა გამართული. აღმ. ნაწილში სარკმელია, რ-ის ძირი შიგნიდან გარეთ მაღლდება. ამ სართულზე დას. და ჩრდ. მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია თითო შეწყვილებული სათოფურით. მეორე სართული გადახურულია გუმბათოვანი კამარით, რ-იც ძირითადად აგურითაა ნაწყობი. კამარის აღმ. ნაწილში მესამე სართულთან დამაკავშირებელი მრგვალი ხვრელია (დიამ. 0,7 მ-მდე). სართულის ქვედა ნაწილში, ოთხ ფართო თაღოვან ნიშში თითო შეწყვილებული სათოფურია. სართულის აღმ. ნაწილშიც ასეთივე ნიშია, რ-იც მოგვიანებით ამოუქოლიათ. კარი ჩრდ. ნაწილშია. იგი შიგნიდან სწორკუთხაა, გარედან თაღოვანი და სწორკუთხა შეღრმავებაშია ჩასმული კარის პირდაპირ ნახევარწრიული ბუხარია. გუმბათის ნახევარსფეროში საფეხუროვანი გადახურვით დასრულებული ორი სარკმელია, ორივე სარკმლის ძირი შიგნიდან გარეთ მაღლდება. მეორედან მესამე სართულზე ასასვლელი კიბე კედელშია დატანებული. შესასვლელთან ახლო. კიბის უჯრედში (სიგ. 0,6 მ-მდე) ორი სათოფური და ერთი სწორკუთხა სარკმელია. მესამე სართულის კედლებში ოთხი ფართო თაღოვანი ნიშია, რ-თა თაღები, ძ-ის სხვა ნიშების თაღებისაგან განსხვავებით, რიყის ქვი-

თაა ნაწყობი. ისინი შესაბამის წირთხლებს უშუალოდ კი არ ერწყმიან, არამედ რამდენადმე შეწეულია და თაღების ქუსლებთან ქმნიან პატარა საფეხურებს, რ-ებსაც, როგორც ჩანს, ქარგილის გასამართად იყენებდნენ. ყოველ ნიშში თითო შეწყვილებული სათოფურია. კოშკის მესამე სართულის აღმ. ნაწილში, სწორკუთხა შეღრმავებაში, ნახევარწრიული ბუხარია. ბუხრის პირდაპირ, ერთმანეთთან ახლოს, კიბის უჯრედებში გაჭრილია შესასვლელები, ხოლო მათ შორის, კედლის სისქეში, მოწყობილია საპირფარეშო (დანგრეულია). მეოთხე სართული ოდნავ შეისრული ღრმა თაღოვანი ნიშების სიმრაველით გამოირჩევა. სართულის ჩრდ. ნაწილში პატარა ბუხარია, რ-ის პირდაპირ ბაქანზე ასასვლელი კიბე იწყება. ბუხრის მომიჯნავე ნიშებში თითო ფართო სარკმელია, დანარჩენ ნიშებში — თითო სათოფური. სართულზე კიდევ ერთი სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ძირი შიგნიდან გარეთ მაღლდება. კოშკის მეხუთე, ბანის სართული მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი კედლების სიმ. 0,4-0,5 *მ*-ს არ აღემატება. ძ-ის ფასადზე მეორე სართულის შესასვლელის თავზე აგურის წყობით გამოსახულია შეღრმავებული ჯვარი. *დვ. თ.*

027. განაკეთი, გეგმა



**028. ნამოსახლარი I**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ზემოთ, თხოთის მთის ჩრდ. ფერდობზე, თბილის-გორის გზის მარცხ. მხარეს. გორის ზედაპირზე და კულტ. ფენაში იპოვება ადრინდ. ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები. *გვ. ჯ.*

**029. ნამოსახლარი II**, არქეოლ. ძ. მდებარეობს თბილის-გორის გზის მარცხ. მხარეს, გზიდან 100 *მ*-ზე, სოფლის ახალ სასაფლაოსთან. გორის ზედაპირზე იპოვება ძვ. წ. I ათასწლ., გვიანდ. ანტ. ხანისა და ადრინდ. ფეოდ. ხანისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები. *გვ. ჯ.*

**ნაქალაქარი**, იხ. ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი  დ ა  ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ი.

**030. ნინოწმინდის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას თხოთის მთაზე, სოფლის სამხრ.-აღმ-ით 2 კმ-ზე. VII-VIII სს. ჯვარგუმბათოვანი ეკლესია IX-X სს. მიჯნაზე გადაუკეთებიათ დარბაზულად. პირვანდელი ეკლესიის შემორჩენილი კედლები (2-2,5 *მ*) ნაგებია კარგად გათლილი მოყვითალო-ოქროსფერი კვადრებით, წყობაში ნახმარია მომწვანო ტუფი, გვხვდება აგურიც. გადაკეთებისას ეკლესიისთვის გარედან ჯვრული გეგმა შეუნარჩუნებიათ, მხოლოდ გუმბათის ნაცვლად გადაუხურავთ ცილინდრული კამარით, რ-იც ხუთ საბჯენ თაღს ეყრდნობა. გეგმაში თითქმის უცვლელადაა დატოვებული აფსიდი და დას. მკლავი. თავდაპირველი ჯვრის ჩრდ. და სამხრ. მკლავები შიგნიდან ამოშენებულია. გარედან აღმ-დან დას-კენ წაგრძელებული ცენტრ. ნაწილი გადახურულია ორფერდა, ხოლო ჩრდ. და სამხრ. შვერილები — ცალფერდა სახურავით. ეკლესიაში შესასვლელი (არქიტრავული გადახურვით) ჩრდ. მკლაეიდანაა, სამხრ. მკლავში შესასვლელი გაუქმებულია. ამავე მკლავის დას. მხარეს მდებარე შესასვლელი გვიანდელია. ერთი სარკმელი ნახევარწრიულ აფსიდშია, მეორე — სამხრ. კედელში. ჩრდ. მკლავში ვიწრო და თაღოვანი დერეფანია. სამხრ-საში კი ნიშია ჩამოსაჯდომი შვერილით.

(ა) საკურთხეველში შემორჩენილია მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ა  და წარწერის ფრაგმენტები. კონქში გამოსახულია ტახტზე მჯდომი ქრისტე. მოხატ. ნაშთი შემორჩენილია საკურთხევლის სარკმლის წირთხლებშიც და სატრიუმფო თაღის სამხრ. კაპიტელთან. სტილისტ. ნიშნებით მხატვრობა თარიღდება X ს. დასასრულითა და XI ს. I მეოთხედით.

გარედან ეკლესიის მასები მკაფიოდ გამოხატავენ ჯვარს. აღმ. მკლავის ფასადზე სარკმელი თაღოვანი სათაურითაა შემკული, მის ზემოთ თავდაპირველი ეკლესიის ქვებიდან შედგენილია ჯვარი. სამხრ-ის ფასადის სარკმელი მორთულია თაღოვანი რელიეფური სათაურით, ხოლო შესასვლელი რელიეფური კომპოზიციის ტიმპანით. ამ შესასვლელს XVI ს-ში აგურით ნაგები თაღოვანი მინაშენი — კონტრფორსი მიადგეს. სამხრ. ფასადზე X-XI სს. სამსტრიქონიანი ასომთ. წარწერაა. დას. ფასადზეც მოგვიანებით მძლავრი კონტრფორსი მიუშენებიათ. აგურის კბილანა ლავგარდანი გვიანდელია. *ანდღ. ნ., ჭ. გ.*

**031. სამაროვანი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, ლეინის ქ-ნიდან 0,5 *კმ*-ზე, თბილის-გორის გზის მარცხ. მხარეს. ფართ. 3 *ჰა*. თარიღდება ძვ. წ. XI ს-ით, გვიანდ. ბრინჯაოდან რკინის ხანაზე გარდამავალი პერიოდით. მოპოვებული მასალის ნაწილი (ბრინჯაოს ბრტყელი ცული, შუბისპირი, ირმის ქანდაკება, მილები, საკინძები) დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, ნაწილი (ბრინჯაოს მახვილი, რგოლი, ბალთა და კერამიკა) კასპის მხარეთმც. მუზეუმში.

*ბიბლ.:* **24.** *ბ. მ.*

**032. სამაროვანი და ნაქალაქარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, ე. წ. რიყიანების ველზე. თარიღდება გვიანდ. ელინისტ., გვიანდ. ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანით.

სამაროვანი პირველად 1975 წ. გათხარა ნაე-მ (ხელმძღვ. ა. ბოხოჩაძე). სამარხთა უმეტესი ნაწილი გაითხარა 1977-78 წწ. გამოვლენილია თიხის სარკოფაგი, ორმოსამარხები (19) და ქვევრსამარხი (2).

(ა) თ ი ხ ი ს  ს ა რ კ ო ფ ა გ ი  აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,6 *მ* სიღრმეზე. გამოვლენილი ინვენტარის მიხედვით იგი თარიღდება ძვ. წ. I ს-ის II ნახ-ით. წაგრძელებული სწორკუთხა ფორმის (1,4X0,46 *მ*) სარკოფაგი ზემოთკენ თანდათან ფართოვდება. კედლების სისქე 0,25 *მ*. კუთხეები დანითაა ჩათლილი. სახურავი ბრტყელია, ოდნავ ამოზნექილი. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისაგან. მიცვალებული ესვენა მარჯვ. გვერდზე, ძლიერ ხელფეხმოხრილი. პირში ედო ოქროს მონეტა — ლიზიმაქეს სტატერის ტიპის მონეტის მინაბაძი. ხელში ეჭირა პართიის მეფის ოროდე II-ის ვერცხლის დრაქმა (ძვ. წ. 58-57/38-37 წწ.). გულზე ედო ვერცხლის თასი, მარჯვ. ხელის მაჯაზე ეკეთა ვერცხლის ბოლოებგადახვეული სამაჯური, რ-ის მოძრავად

დამაგრებულ თვალბუდეს მინის ინტალიო ამკობდა. ფეხებთან ედგა წითლად ანგობირებული თიხის ხელადა. სამარხში აღმოჩნდა კიდევ ოთხი ვერცხლის მონეტა: სინატრუკის დრაქმა (ძვ. წ. 77-70 წწ.) და რომის რესპუბლიკის დენარები (ძვ. წ. 87, 60 და 29 წწ.).

(ბ) ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ე ბ ი სამაროვანზე უმრავლესობას შეადგენს. აქ მოპოვებული დიდძალი მასალის მიხედვით თარიღდება ძვ. წ. I ს-ის შუა ხანითა და ახ. წ. I ს-ის დასასრულით. ორმოსამარხებს წაგრძელებული ფორმა აქვთ, ყველა მიწაყრილიანია და დამხრობილია სამხრ.-დასავლეთ ჩრდ.-აღმ.-საკენ. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, ძლიერ ხელფეხმოხრილი. აქ აღმოჩნდა მაღალმხატვრული ადგილ. კერამიკა: წითლად და შავად გამომწვარი, წითლად ანგობირებული, წითლად მოხატული ხელადები, ჯამები და კოჭობები, ოქროსა და ვერცხლის სამკაულები (სამაჯურები, ბეჭდები, საყურე რგოლები და საკიდები), ვერცხლის ჭურჭელი (თასები და კოვზები), ვერცხლისავე მოთვალული ღილები და სხვ.: ბრინჯაოს ნაწარმი — ჭურჭელი (იტალიური სურა და ჩამჩა) და სამკაულები (ბეჭდები, საკიდები, ზარაკები, აბზინდები და სხვ.); მრავალფეროვანი რკინის ნაწარმი (სამფეხა შანდალი, რომაული ცალუღელა სასწორი, სხვადასხვა ფორმის დანები, წალდი და სხვ.). შედარებით იშვიათი იყო მინის ჭურჭელი (ხუთიდან ოთხი სირიის სახელოსნოების პროდუქცია). გლიპტიკა წარმოდგენილი იყო მინისა და სარდიონის გემებით (ყველა ინტალიო). ჭარბობდა ღვთაებათა (ჰერმესი, ათენა, ისიდა და სერაპისი) გამოსახულებები. შედარებით იშვიათი იყო ადამიანის, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებები. სამაროვანზე გამოვლინდა დიდძალი ნუმიზმატიკური მასალა, ოქროსა და ვერცხლის 120-მდე მონეტა: რომის, პართიის, პონტოს, კაპადოკიისა და სომხეთის ვერცხლის მონეტები, კოლხეთისა და იბერიის ოქროს მონეტები (ლიზიმაქესა და ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ტიპის მონეტების მინაბაძები) მრავალფეროვნებით გამოირჩევა სხვადასხვა მასალიდან დამზადებული ადგილ. თუ იმპორტული მძივები და საკიდები.

(გ) ქ ვ ე ვ რ ს ა მ ა რ ხ ი აღმოჩნდა მიწიდან 1,3 *მ* სიღრმეზე. თარიღდება ახ. წ. I ს-ით. სადაზედაპირიანი, მოვარდისფროდ გამომწვარი ქვევრი დამზადებულია მცირემინარევებიანი თიხისაგან. მას განიერი ცილინდრული ყელი, კვერცხისებრი ტანი და ვიწრო, ბრტყელი ძირი აქვს ქვევრი ჩადგმული იყო თითქმის ჰორიზონტალურად. მიცვალებული ესვენა მარჯვ. გვერდზე, ძლიერ ხელფეხმოხრილი. სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს ყურძნის მტევნის გამოსახულება-საკიდი და ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული ცილინდრული მძივი.

(დ) ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ი მდებარეობს სამაროვნის აღმ-ით სამასიოდე მ-ზე. ჯერჯერობით გათხრილი ნაწილი თარიღდება გვიანდ. ელინისტ. და გვიანდ. ანტ. ხანით (ძვ. წ. I და ახ. წ IV სს.). რიყიანების ველის ზედა ფენა (სისქე 0,6-0,7 *მ*) მრავალჯერაა გადახნული და ამიტომ არეულია მის ქვეშ არსებულ კულტ. ფენაში იპოვება კრამიტის, ბათქაშის, თიხის ჭურჭლისა და წყალგაყვანილობის თიხის მილის ფრაგმენტები.

1,3 *მ* სიღრმეზე აღმოჩნდა ერთი პირი რიყის ქვით მოგებული საძირკვლის ნაწილი, რ-ზეც 0,1-0,15 *მ*-ზე შემორჩენილი იყო ალიზის აგურის ნაშთები. ინტენსიური მშენებლობის კვალი შეიმჩნეოდა საკმაოდ მოზრდილ ნაკვეთზე, ამიტომ გასათხრელმა ტერიტორიამ 7000 *კვ მ* მიაღწია. სხვადასხვა სიღრმეზე გამოვლინდა კრამიტყრილები, რ-ის აკრეფის შემდეგ დაფიქსირდა ანტ. ხანის ხუთი სამშენ. დონე. ანტ. ხანის ნაგებობათა საძირკვლები ერთი პირი რიყის ქვისაა მათზე ალიზის აგურით ამოყვანილია კედლები, რ-ებიც კარგად ყოფილა შელესილი და შეღებილი, ზოგჯერ — მოხატულიც. გათხრებისას აღმოჩნდა მუქი წითელი საღებავით შესრულებული მოხატულობის რამდენიმე ათეული ფრაგმენტი. ყველა ნაგებობა გადახურული იყო წითლად შეღებილი კრამიტით (უმრავლესობას ეტყობა კუთხეების ჩათლა-ჩასწორების კვალი, ხშირია ხელოსანთა ნიშნებიც). დიდი რაოდენობით იყო აგურები (0,29X0,29X0,04 *მ*) და ნახევარაგურები (0,29X0,14X0,04 *მ*), თიხის მილების, კალორიფერების და აბანოს მოსაპირკეთებელი ფილების ნატეხები. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი კერამიკა, გამონაკლისის გარეშე, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და გამომწვარია თანაბრად. აქ დიდი რაოდენობით იპოვება სარკმლის მინისა და მინის ჭურჭლის ნატეხები, რკინის ლურსმნები. მეორე სამშენ. ფენის სვეტებიანი სათავსის იატაკზე აღმოჩნდა ვერცხლის რკალშეზნექილი სამაჯურის ფრაგმენტები და ავგუსტუსის დენარი (ძვ. წ. 2-ახ. წ. 4 წწ.).

ნაქალაქარზე გამოვლენილი მასალის მრავალფეროვნება, ნაგებობათა არქიტექტურა, დიდძალი იმპორტული თუ ადგილ. მაღალმხატვრული ნაწარმი, დიდი რაოდენობის მონეტები მიგვანიშნებს, რომ ქალაქის ეს უბანი ძირითადად ვაჭარ-ხელოსანთა ფენით უნდა ყოფილიყო დასახლებული.

*ბიბლ.:* **47; 167; 168; 169; 170.** *მირ. ნ*

033. **სამარხი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ახალ უბან ახალსოფელში, გ. მახარაშვილის ეზოში. თარიღდება IV-V სს-ით. 1928 წ. სოფელში შემთხვევით აღმოაჩინეს თიხის სარკოფაგი. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა ოქროს სამკაულები და ორი ცალი ოქროს ფული: კონსტანტინე დიდისა და რომაულ-ბიზანტიური სოლიდის უხეში მინაბაძი.

*ბიბლ.:* **147:81.** *ჯ. გ.*

034. **წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება XIX ს-ით. ეკლ. დარბაზულია (11,8X7,6 *მ*). ნაგებია რიყის ქვით, კუთხეებსა და კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია კვადრ. აგური (0,2X0,2 *მ*). შიგნიდან და გარედან სწორკუთხა შეღრმავებაში ჩასმული თაღოვანი შესასვლელები დას-ით (ამოქოლილია) და სამხრ-ითაა. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. საკურთხევლის ბაქანი დარბაზის იატაკიდან ორი საფეხურითაა ამაღლებული და დარბაზისაგან გამოყოფილია ხის კ ა ნ კ ე ლ ი თ, რ-ის კვალიღაა შემორჩენილი დარბაზის თითქმის შუა ნაწილში ნახევარწრიული კამარის შეკიდული საბჯენი თაღია, რ-ის მიმართ სიმეტრიულად, ქვემოთ, საფეხურით შეღრმავებული ორი თაღოვანი სათავსია. აღმ. სათავსში შიგნიდან თაღოვანი,



032(დ). წყალსადენი

გარედან სწორკუთხა სარკმელია. ეკლესიის დას. კედელში, იატაკიდან 3 მ სიმაღლეზე, ერთმანეთთან ახლოს, სამი თაღოვანი ნიშია. შუა ნიშში, რ-იც დანარჩენებზე ფართოა, გაჭრილია კონქის ზედა სამალავში შესაძრომი ვიწრო ღიობი. ეკლესიის ფასადები შელესილია. აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, აგურის წყობით გამოყვანილია შეღრმავებული ჯვარი. მის გვერდებზე თითო შეღრმავებული რომბია. კედლები დასრულებულია აგურის საფეხურიანი ლავგარდნით.

მოგვიანებით ეკლესიისათვის დას. მხრიდან მიუშენებიათ აგურის კარიბჭე (3,8X2,8 მ), რ-ის კუთხეებში მდგომ სწორკუთხა ბოძებს საბჯენი თაღები ეყრდნობა. კარიბჭეს კრამიტის ორფერდა სახურავი აქვს. კარიბჭეზე დაშენებულია პატარა სამრეკლო, რ-ის ექვს ბოძზე დაყრდნობილი, თაღებით გახსნილი ფანჩატური გადახურულია აგურის ექვსწახნაგა პირამიდული სახურავით. *დვ. თ.*

034. გეგმა



## ახალქალაქი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

035. ახალქალაქი, მეფის ქალაქი, ძვ. წითელქალაქი, ისტ. ძ. მდებარეობს თეძმის ხეობაში. ეს ადგილები იშვიათი კლიმატური პირობების გამო, ვახუშტის სიტყვით, „ვენახ-ხილით ნაყოფიერ" სააგარაკო ადგილს წარმოადგენდა. აქ გადიოდა თრიალეთ-მანგლისისა და შიდა ქართლის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი გზა. ისტ. წყაროებში ა. პირველად იხსენიება XVII ს. დასაწყისში 1609 წ. ქართლში ყირიმელ თათართა შემოჭრასთან დაკავშირებით. ამ დროს იგი არ იყო ქალაქი. ა-ის გაქალაქება დაკავშირებულია ქართლის მეფე როსტომის (1632-58 წწ.) სახელთან. ახალქალაქის ღვთისმშობლის ეკლესიის კედელზე შემონახული წარწერის თანახმად, ირანში შაჰ-სეფის (1629-42 წწ.) ყაენობის დროს როსტომსა და მის თანამეცხედრეს მარიამ დედოფალს თეძმის ნაპირას გაუშენებიათ ქალაქი და მისთვის „მეფის ქალაქი" უწოდებიათ. ქალაქშივე აუშენებიათ საყდარი და მონასტერი. მეორე წარწერაში ქალაქის დაარსება-განაშენიანების მოთავედ დასახელებულია მეფის კარის მდივანი მერაბ ყორღანაშვილი. ა-ის მოურავები თარხნიშვილები (გიორგი სააკაძის ჩამომავლები) იყვნენ. საშეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ ისინი მთლიანად დაეპატრონნენ ქალაქს. XIX ს-ის დასაწყისიდან ისტ. წყაროებში ა. ქალაქად აღარ იხსენიება.

ა-ში არის მშრომელების რევოლუციურ გამოსვლებთან დაკავშირებული ადგილები.

(ა) 1905 წ., 9 მარტს, სოფლის ცენტრში, მოედანზე თავი მოიყარა ადგილ. და მეზობელი სოფლის — მეტეხის 3000-მდე გლეხმა. გლეხობამ პირველ რიგში მოითხოვა კრებიდან მამასახლისის, სასულიერო პირებისა და ჩაფრების გაძევება, რწმუნებულ გლეხთა ხელშეუხებლობის გარანტია. კრებამ იქ ჩასულ კავკ მმართველობის ჩინოვნიკს, ტფ. მაზრის უფროსსა და მაზრის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს წაუყენა შემდეგი მოთხოვნები: უსასყიდლოდ გადაეცათ გლეხებისათვის ნადელები, საბატონე, სახაზინო და საეკლ. მიწები, გაეუქმებინათ გადასახადი სარწყავ წყალზე, მთლიანად შეეცვალათ მმართველობის არჩევის წესი, გაეუქმებინათ პოლიციის ორგანოები, სოფელში გაეხსნათ სკოლები, სადაც 16 წლამდე ქალ-ვაჟებისათვის სწავლა უფასო და სავალდებულო იქნებოდა, სკოლებში შემოეღოთ სასოფლო-სამეურნეო და ტექ. სწავლება, გაეძევებინათ სკოლებიდან მღვდლები და სხვ., მოითხოვეს სიტყვის, ბეჭდვის, კრებისა და კავშირების თავისუფლება.

(ბ) 1918 წ. 11 მაისს ადგილ. მოსახლეობამ თვითმმართველობა გამოაცხადა და გამოსვლა მოაწყო მთავრობის წინააღმდეგ. ტფ. გუბერნიის კომისრის ტელეფონოგრამაში ნათქვამია: „... გორის უეზდის სოფ. ახალქალაქში, როგორც ჩანს, ბოლშევიკური აგიტაციის ზეგავლენით, სოფლის მოსახლეობამ გამოაცხადა თვითმმართველობა და აირჩია ახალი ხელისუფლება, მათ არ სცნეს ამიერკავკასიის მთავრობა. წესრიგის აღდგენის მიზნით ჩემს მიერ სოფ. ახალქალაქში გვარდიელთა რაზმის გარდა, გაგზავნილი იქნა ე. წ. „მფრინავი რაზმები" 1500 კაცის ოდენობით".

(გ) 1919 წ. ივნ. სოფ. ახალქალაქში მოხდა გლეხთა გამოსვლა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. მასში მონაწილეობდნენ მეზობელი ახალსოფლის, თეძმისხევისა და სხვა სოფლების გლეხებიც. *აფრ. გ., ქ. ქ.*

036. ეკატერინე გაბაშვილის სახლი, ისტ. ძ. დგას გაბაშვილის ქუჩაზე. სახლი ეკუთვნოდა ცნობილ ქართვ. მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ეკატერინე გაბაშვილს (1851-1938 წწ.) მწერალი ყოველ ზაფხულს სოფლად ატარებდა. სახლი ერთსართულიანია. შედგება ოთხი ოთახისაგან. ერთ-ერთ ოთახში დგას მწერლის საწერი მაგიდა, საწოლი, კედელზე კიდია სურათები. *ბერძ. ც.*

037. ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. კომპლექსში შედის: ეკლესია, სამრეკლო, ციხე-გალავანი

(ა) ეკლესია დარბაზულია (17,3X6,55 მ), ნაგებია ნატეხი ქვით, გამოყენებულია აგურიც. შესასვლელი სამხრ-ითაა. აღმ-ით, დარბაზის იატაკიდან 0,7 მ-ით ამაღლებული ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ოთხკუთხა სარკმელი ამოშენებულია. სარკმლის გვერდებზე თითო სწორკუთხა და თითო თაღოვანი ნიშია. აფსიდის ორივე მხარეს ვიწრო და ბნელი სათავსებია, რ-ებსაც აღმ-ით პატარა

037(ა). აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ





მრგვალი სარკმლები აქვს სათავსები თაღოვანი გასასვლელებით უკავშირდება საკურთხეველს ჩრდ. კედელში სანათლავი ნიშია. დარბაზის გრძივი კედლების ორ წყვილ მასიურ პილასტრს ეყრდნობა კამარის საბჯენი თაღები.

ალმ. ფასადის მხედრ. წარწერის თანახმად ეკლ. თავდაპირველად ქართ სალოცავი ყოფილა. XIX ს. მისთვის დას-დან მიუშენებიათ სათავსი (8,7X8,8X6,15 მ) და სომხურ ეკლესიად გადაუკეთებიათ. ეკლესიას მიშენებულ სათავსთან აერთიანებს ძვ. ეკლესიის დას. კედელში გაჭრილი დიდი თაღი. სათავსის მთელი დას. ნაწილი ეკავა ხის პატრონიკეს, რ-ისგანაც მხოლოდ თაღოვანი კარია შემორჩენილი დას კედელში.

ფასადებზე კარ-სარკმლებს თლილი ქვის საპირეები აქვს. მინაშენის სამხრ. ფასადზე აგურის წყობით გამოყვანილია ორი დეკორატ. ჯვარი. ფასადები შელესილი ყოფილა (უკეთესად შემორჩენილია აღმ. ფასადზე). ნაგებობას აგურის სამი რიგისაგან შედგენილი ლავგარდანი აქვს.

(ბ) სამრეკლო (5,9X4,9 მ) ეკლესიაზე მიშენებულია ჩრდ-დან. იგი ორსართულიანია, ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით (ფანჩატური). პირველ სართულზე მხოლოდ ეკლესიიდან შეიძლება მოხვედრა. ეს სართული გადაკეთებულია სამლოცველოდ (ამაღლებული საკურთხევლის ცენტრში დგას მასიური სატრაპეზო ქვა). მას თავდაპირველად ორი კარი ჰქონია — დას-ით და ჩრდ-ით, ორივე სარკმლებადაა გადაკეთებული. აღმ-ით ერთი ვიწრო სარკმელია. ოთხივე კედელზე თითო დეკორატ. თაღია. ჩრდ. კედელში მოზრდილი ნიშია. ორი ნიში სამხრ. კედელშია. სამრეკლო გადახურულია აფრებზე ოსტატურად ამოყვანილი აგურის გუმბათით. მეორე სართული რვამალიანი, თაღებით გახსნილი აგურის ფანჩატურია. ფასადის მხრიდან თაღებს ლილვი აქვს

037(ა). გეგმა

037(გ). I სართულის გეგმა



037(ბ).(გ). საერთო ხედი



შემოვლებული. სამრეკლოს პირამიდული სახურავი აქვს. დას. ფასადზე შესასვლელის თლილი ქვის საპირეები მორთულია ფოთლოვანი ორნამენტით. ამავე ფასადზე, სარკმლის თავზე, ქართ. მხედრ. წარწერაა (არ იკითხება).

(გ) ეკლესიის დას-ით, ათიოდე მ-ზე, შემორჩენილია ნატეხი ქვითა და რიყის ქვით ნაგები, გეგმით უსწორო ოთხკუთხედის ფორმის ციხე-გალავანი, რ-ის ყოველ კუთხეში თითო ცილინდრული კოშკია. კოშკები ერთმანეთისაგან მხოლოდ ზომებით განსხვავდებიან. ყველაზე უკეთესად შემონახულია ჩრდ.-აღმ-ის ოთხსართულიანი კოშკი (შიდა დიამ. 2,85 მ, კედლის სისქე — 0,8 მ). პირველი სართული სამეურნეო დანიშნულების სათავსია. შესასვლელი ეზოს მხრიდანაა. ამ შესასვლელით საბრძოლო ბილიკებზე შეიძლებოდა გასვლა. სართულებზე, კედლებში დატანებულია დიდი და მცირე ზომის სათოფურები. შესასვლელის პირდაპირ ბუხრებია. მეოთხე სართული საბრძოლო ბანია. შემორჩენილია ქონგურების ფრაგმენტები და ხის კოჭების ბუდეები. *მგ. მ., ძ. ლ.*

**038. ᲬᲛ. ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ**, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას. ნაწილში. თარიღდება XIX ს-ით. ეკლ. დარბაზულია (15,2X7,7 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით, კონსტრ. ნაწილები ამოყვანილია თლილი კვადრებით. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს — დას-ით, ჩრდ-ითა და სამხრ-ით. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ფართო სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს ნიშებია. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-იც ერთსაფეხურიან პილასტრებზე ამოყვანილ საბჯენ თაღებს ეყრდნობა. ნაგებობის დას. ნაწილში ყოფილა ხის პატრონიკე (არ შემორჩენილა). გრძივ კედლებში გაჭრილია ორ-ორი ფართო თაღოვანი სარკმელი. ფასადებზე კარ-სარკმლების საპირეები და ნახევარწრიული თაღები თლილი ქვისაა და ამოწეულია კედლის საერთო სიბრტყიდან. მორთულობაში შეიმჩნევა კლასიცისტური ელემენტები. თლილი ქვით არის ამოყვანილი ეკლესიის კუთხეებიც, რაც ქმნის რუსტიკის იმიტაციას.

ეკლესიის დას. კარს მიშენებული აქვს სამ მხარეს ნახევარწრიული თაღებით გახსნილი სვეტებიანი პორტიკი, რ-ის რვაწახნაგა ქვის სვეტებს მარტივი პროფილის ბაზისები და კაპიტელები აქვს. პორტიკი გადახურულია პირამიდული კამარით. პორტიკის ზევით, ეკლესიის ფასადზე საგანგებოდ მორთული პორტალია, რ-იც პატრონიკეში გადის (აქ ალბათ ხის კიბით ადიოდნენ). ნაგებობის გა-

ნივი ფასადების ფრონტონები ძლიერ მახვილკუთხოვანია. ფრონტონების ძირში, მათი ქვედა დონის გასწვრივ, გრძივ ფასადებს გასდევს თლილი ქვის სარტყლები. მის ზევით დაშენებულია კიდევ ერთი საფეხური (ატიკის სართულის იმიტაცია), რ-იც ბრტყელი პილასტრებითაა დანაწევრებული. ეკლესიას შემოულებული აქვს თლილი ქვის, თაროსა და წრეთარგისაგან შემდგარი, ვიწრო ლავგარდანი. ორფერდა სახურავი გადახურულია კრამიტით. *მგ.ქ.*

# ახალშენი

(ქვემო ქალის სოფსაბჭო)

039. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სახნავ მიწებში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით ნ-ზე გამოვლინდა წითლად გამომწვარი უხეშკეციანი ჭურჭლის ნამტვრევები. რამდენიმე ქვევრის ნამტვრევს გარედან შემორჩენილი აქვს კირის ნალესობის კვალი, რაც მოწმობს, რომ ქვევრები ჩაკირული ყოფილა. ნ-ის ტერიტორია ამჟამად იხვნება. *კვ. რ.*

040. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7.8X4,3 *მ*), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარის დას. მონაკვეთი, კედლების ზედა ნაწილები; ეკლ. 1 *მ*-ის სიმაღლეზე ნანგრევებითა და მიწითაა ამოვსებული. არქიტრაული შესასვლელი სამხრ-ითაა. აფსიდის ღერძზე ერთი სარკმელია, რ-ის ორივე გვერდზე თითო ოთხკუთხა ნიშია. სარკმლის ქვემოთ კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა. საკურთხევლის კონქი და თაღი პროფილირებულ კაპიტელებს ეყრდნობა, ხოლო დარბაზის შეისრული კამარა — საბჯენ თაღს. სამხრ. კედელში ერთი სარკმელია. დარბაზი შელესილი და მოხატული ყოფილა. *ზ. პ.*

040. გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



# ახალციხე

(სოფსაბჭოს ცენტრი)

041. ახალციხის განძი, არქეოლ. ძ. აღმოჩნდა სოფლის სამხრ.-დას-ით 0,5 *კმ*-ზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ადრინდ. ხანით, ძვ. წ. XIV-XIII სს-ით. ა. გ. აღმოჩნდა სამაროვანზე. განძს შეადგენს ბრინჯაოს ნივთები: სხვადასხვა ზომის 4 ფოთლისებური სატევარი, მასრაგახსნილი ხელშუბისპირი, წვერისკენ სიმეტრიულად შევიწროებული ბოთლისებური ფორმის საკინძი. ა. გ. ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *ბიბლ.:* 23:58. *ბ. მ.*

042. ახალციხის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფ. ახალქალაქიდან მისასვლელი გზის პირას, მარცხ. მხარეს. შესასვლელის მარცხ. წირთხლზე ამოკვეთილი მხედრ. წარწერის თანახმად აგებულია 1868 წ. ახალციხელების მიერ. ეკლ. დარბაზულია (15,2XX8,7 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის არასწორად გათლილი ქვიშაქვის ქვებით, გამოყენებულია აგურიც (პილასტრების კაპიტელები, მათი დამაკავშირებელი ზოლი და ოთხი ნიში). შიგნიდან სწორკუთხა, გარედან თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის ცენტრშია. ნახევარწრიულ (გარედან ხუთწახნაგა) საკმაოდ ღრმა აფსიდში სამი თაღოვანი სარკმელი და ორი ნიშია. დარბაზის გრძივი კედლები და ნალისებრი კამარა დანაწევრებულია ორი წყვილი პილასტრით და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღებით. კამარა ეყრდნობა აგრეთვე სატრიუმფო თაღის და დას. კედლის კუთხის პილასტრებსაც. პილასტრებს მრავალპროფილიანი კაპიტელები აქვს. გრძივი კედლების აღმ. ნაწილში თითო თაღოვანი სარკმელია, ერთი სარკმელი დას. კედელშია. ამავე კედლის სამხრ. ნაწილში სწორკუთხა ნიშია. ეკლესიის დას. ნაწილში მოწყობილია ხის პატრონიკე, რ-საც ხის ვიწრო კიბე აქვს. ინტერიერი მთლიანად შელესილია. ფასადების ქვედა ნაწილში ორ და სამრიგად ნაწყობი აგურის სარტყლებია. ზედა, ორრიგიანი სარტყელი შენობას ირგვლივ შემოუყვება, ხოლო ქვედა, სამრიგიანი მხოლოდ დარბაზის კორპუსს. აგური გამოყენებულია ორსაფეხურიანი ლავგარდნის, შესასვლელისა და სარკმლის თაღების წყობაში, აგრეთვე შესასვლელის პორტალის დეკორატ. სისტემაში: აგურის წყობითაა გამოყვანილი შეღრმავებული ჯვარი დას. ფასადის სარკმლის თავზეც. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. *გ. კ.*

043. ზედაჯვრის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 1,5 *კმ*-ზე, პატარა ბორცვზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (19,5X5 *მ*), ნაგებია ქვიშაქვით, გამოყენებულია ტუფიც. გარედან და შიგნიდან ტიმპანიანი არქიტრაული შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ორი საფეხურით შემაღლებული ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის გვერდებზე — სწორკუთხა ნიშები. საკურთხევლის წინ იდგა წითელი ტუფით ნაწყობი ორნამენტიანი კანკელი. აფსიდში დგას ქვიშაქვის სატრაპეზო ქვა, რ-ზედაც ჯვარია ამოკვეთილი. სატრიუმფო თაღი სწორკუთხა ქვის კაპიტელებს ეყრდნობა. გრძივი კედლები დანაწევრებულია პილასტრებით. დარბაზი გადახურულია ნატეხი ქვის ცილინდრული კამარით. აფსიდში შემორჩენილია ეკლესიის თანადროული (ა) მოხატულობის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები. მოხატ. მოწითალო-მოყავისფრო ხაზით ორ რეგისტრადაა დაყოფილი. კონქში გაირჩევა ტახტზე მჯდომარე მაცხოვრის ფეხები, ორი ექვსფრთედი და მარგალიტებით შემკული, ორი ერთმანეთზე შედგმული, დიდი ზომის ფეხსადგამი. ქვედა რეგისტრში, მედალიონებში წარმოდგენილია ოთხი მოციქულის წელზედა გამოსახულება. სარკმლის ჩრდ. მხარეს გამოსახულ წმინდანს ხელში წიგნი უჭირავს. წმინდანთა ფიგურებს შორის დატოვებული თავისუფალი მონაკვეთები შევსებულია მცენარეული ორნამენტით. ქვემოთ გეომეტრიული ორნამენტის ზოლი გასდევს. მხატვრობის კოლორიტს ქმნის მოწითალო-ყავისფერი, ცისფერი, ნაცრისფერი, მწვანე და ყვითელი ფერები.

ეკლესიის სამხრ. ფასადზე სარკმლებს ტუფის ქვის საპირეები აქვს. დას. ფასადზე, 1 *მ* სიმაღლეზე ჩასმულია წარწერიანი ქვა. აღმ. ფასადზე სარკმლის თაღი ერთ დიდ მწვანე ტუფის ქვაშია გამოკვეთილი და ზედ ჯვრის რელიეფია. ეკლესიას სამხრ-ით ჰქონია მინაშენი. *გ. კ., დ. ფ.*

კვირაცხოვლის ეკლესია, იხ. ნასოფლარი ორბეთი.

044. ნამოსახლარი და ციხე, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს შუა სოფელში, ამოზიდულ გორაზე, სამხრ-იდან ესაზღვრება ახალციხის ხევი, ჩრდ-იდან — წყარო.

(ა) ნამოსახლარზე დადასტურდა ადრინდ. ბრინჯაოს, გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანის კულტ. ფენები.

(ბ) ნამოსახლარზე დგას ციხე (38,1X23,3 *მ*), რ-იც თარიღდება XVIII ს-ის შუა წლებით. ნაგებია ნატეხი ქვით. ციხის სამხრ.-აღმ. მხარე ოდნავ მორკალულია. შესასვლელი დას. კე-



044(ბ). გენგეგმა

დელ'შია. გალავანში ჩართულია ხუთი ცილინდრ'ული კ ო შ კ ი: ჩრდ.-აღმ., ჩრდ.-დას. და სამხრ.-დას. კუთხეებში, დას. კედლის შუა ნაწილში და სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთში.

ყველაზე დიდია დას-ის კოშკი, ყველაზე პატარა — სამხრ.-დას-ისა. არქიტ.-კონსტრუქ. გადაწყვეტით კოშკები მსგავსია. სართულები ძირითადად საბრძოლო დანიშნულებისაა, მაგრამ, ჩანს, საცხოვრებლადაც იყენებდნენ. შესასვლელი ყველა კოშკს ეზოდან აქვს. სართულიანობის დადგენა ძნელია, რადგან ზედა ნაწილები ჩამონგრეულია. ბუხარი ყველა სართულზე კარის მოპირდაპირე კედელშია დატანებული. გალავნისა და კოშკების კედლებში ჩართულია ცალმაგი და ორმაგი სათოფურები. საბრძოლო ბილიკი ციხის მხოლოდ სამხრ. და ჩრდ. კედლებს გასდევს.

ციხის ტერიტორიაზე, სასაფლაოზე, ზოგიერთ საფლავის ქვაზე შემორჩენილია გუთნეულის, ურმის, მწყემსის და სხვ. გამოსახულებები (XIX ს., XX ს-ის დასაწყისი). ზ. პ.

045. ნასოფლარი ზედაჯვარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 1 კმ-ზე. 6 ზ-ზე გამოვლინდა გვიანდ. ფეოდ. ხანის თიხის ჭურჭლის (წითლად გამომწვარი უხეშკეციანი ქვევრის, დოქისა და სხვ.) ფრაგმენტები, აგრეთვე ნასახლართა რიყის ქვით ნაგები საძირკვლის ნაშთები და ნატეხი ქვით ნაგები დარბაზული წ მ. ჯ ვ ა რ ი ს ე კ ლ ე ს ი ი ს ნანგრევები. ეკლესიის საკურთხეველში სატრაპეზო ქვაზე გამოსახულია ჯვარი, რ-ის ზედა და მარჯვ. მკლავს ირიბად გასდევს მხედრ. წარწერა: „ქრისტე, შეიწყალე მიქელა". აღმ. სარკმელზე შემორჩენილი წარწერა არ იკითხება. კვ. რ.

046. ნასოფლარი ორბეთი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 1 კმ-ზე, ცხირეთულას ხევის მარჯვ. ნაპირზე. მიეკუთვნება ფეოდ. ხანას. იპოვება კერამ. ჭურჭლის ნამტვრევები. ნ. ო-ზე დგას რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები დარბაზული კ ვ ი რ ა ც ხ ო ვ ე ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა. კვ. რ.

წმ. ჯვრის ეკლესია, იხ. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი ზ ე დ ა ჯ ვ ა რ ი.

## ბარნაბიანთკარი

(მ.ტეხის სოფსაბჭო)

047. მთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, შემაღლებულ ადგილზე. თარიღდება XVIII-XIX სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (11,2X7 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ დას. კედელი, სამხრ კედლის დას. ნაწილი, აღმ. და ჩრდ. კედლები 0,8 მ სიმაღლეზე და აგურის კამაროვანი გადახურვის მცირე ნაწილი. შესასვლელი სამხრ-დანაა, კარი დაზიანებულია, გადახურვის ფორმა გაურკვეველია. დარბაზის გრძივ კედლებზე ორი წყვილი განიერი პილასტრია, რ-თა შორის აღმ. წყვილი საკურთხეველს გამოჰყოფს. სამხრ. კედლის დას მონაკვეთში ერთი სარკმელია. მისი თაღი ნაწყობია აგურით. მეორე სარკმელი დას. კედლის ცენტრშია. მას შირიმის თლილი ქვის თაღი აქვს. ეკლესიის სამხრ. და დას. კედლებზე შემორჩენილია ორსაფეხურიანი თაროსებრი ლავგარდნის ფრაგმენტები. ეკლესიაზე დასავლეთიდან მიშენებული სამსართულიანი ს ა მ რ ე კ ლ ო (1.7X1,7 მ) ნაგებია კარგად გათლილი ლეინისფერი ქვით. სამივე სართული ყოველ მხარეს გახსნილია დაბალი თაღებით. პირველი და მეორე სართულის თაღები შენობის კუთხეებში მდგომ კვადრ. ბოძებს ეყრდნობა, ხოლო მესამე სართულის თაღები მრგვალ სვეტებზეა გადაყვანილი. ყოველი ზედა სართული ქვედაზე ვიწროა და გადახურულია აგურით ნაწყობი ჯვრული კამარით. სამრეკლოს ქვის პირამიდული სახურავი აქვს. პირველი სართულის დას. ფასადზე, თაღის ზემოთ ამოკვეთილია პატარა ჯვარი. დვ. თ.

048. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება XVIII-XIX სს-ით. ადგილ. მოსახლეობას ეკლ. შეუკეთებია, რის გამოც იგი ძალზე სახეშეცვლილია. ეკლესიას აქვს კამარა და ფანჯრის ბრტყელი ჭერი. ეკლ. დარბაზულია (6,5X4,9 მ). შესასვლელი დას. კედელშია. სწორკუთხოვან საკურთხეველში ერთი სწორკუთხა სარკმელია. დარბაზის კედლები შელესილი და შეთეთრებულია. იატაკი კვადრ. აგურისაა. ფასადები შელესილია ცემენტის ხსნარით. ღარიანი კრამიტის ორფერდა სახურავი გამართულია ხის ნივნივებზე. ეკლესიის დას. ფრონტონზე დაშენებული იყო აგურის ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-ის მხოლოდ ძირია შემორჩენილი. დვ. თ.

## გამდლისწყარო

(ქვემო ჭალის სოფსაბჭო)

049. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 0,5 კმ-ზე, ტორტლას ხევის მარცხ. ფერდზე, ადგილ ხოდაბუნებში. მიეკუთვნება ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისს. ს-ზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნივთი, რ-ზეც გამოსახულია ფარეხი, მწყემსები და ძაღლები. გვ. ჯ.

## ბარიყულა

(ახალქალაქის ხოფსაბჭო)

050. ბოლგარსკის სახლი-აგარაკი, არქიტ. ძ. ე. გაბაშვილის ქ. აგებულია XIX ს. 90-იან წლებში. სახლი დგას ეზოში. ნაგებია აგურითა და რიყის ქვით სახლის სამხრ.-აღმ-ით ერთსართულიანი სამეურნეო ნაგებობებია. შესასვლელი მთავარი, ჩრდ. ფასადის ღია აივნიდანაა. თავდაპირველი ასიმეტრიული ფასადის აღმ. კედელში წინ გამოწეულია ფანჩატურით დასრულებული კიბის უჯრედის კოშკური მოცულობა, რ-საც დასავლეთიდან ორსართულიანი ლიაივნიანი შენობა ეკვრის. პოლი პილასტრებზე დაყრდნობილი თაღით ორ ნაწილად იყოფა, აღმ. ნაწილში ზედა სართულზე ასასვლელი ოთხმარშია-

050. განივი განაკვეთი





050. მთავარი ფასადი, სართულების გეგმები

ნი კიბეა. გეგმით აგარაკის ორივე სართული ერთგვარია. დას. ნაწილში დიდი დარბაზია, რ-იც ღია აივანზე გადის. ჰოლის სამხრ-ით პატარა ბუხრიანი ოთახია. ერთი ოთახი კიბის უჯრედის სამხრ. ნაწილშიცაა. პირველ სართულზე სამივე ოთახში თითო განჯინაა. მეორე სართულის კედლები უფრო თხელია და ოთახების ფართობიც შესაბამისად დიდია. აქ განჯინა მხოლოდ ბუხრიან ოთახშია. მესამე სართულზე ერთი პატარა ოთახი და კიბის ბოლო მარშია. ამ სართულზე გარედან მიდგმულია ხის კონსოლებზე დაყრდნობილი თუნუქის სახურავით გადახურული კიბე-აივანი. მეოთხე სართული თორმეტ სვეტზე დაყრდნობილი პირამიდისებრსახურავიანი ფანჩატურია. შენობის წაგრძელებული ორსართულიანი ნაწილი გადახურულია კრამიტით. დას. მხარეს, დიდი დარბაზისა და აივნის ქვემოთ სარდაფია.

შენობის კუთხეები და სარდაფის ფასადი მთლიანად რუსტებითაა ნაწყობი. ფასადებიდან აღსანიშნავია ჩრდ-ისა: კიბის უჯრედის წინ წამოწეული კოშკური კიბე-აივანი, კარვისებური სახურავით დასრულებული ფანჩატური, აივნების ხის რიკულებიანი მოაჯირი — ამ ფასადს დასამახსოვრებელ იერს ანიჭებს. დას-ის აივნიან ფასადს მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი სახე. XX ს-ში შენობას აღმ-დან გეგმით დაგრძელებული, არქიტექტურულად უმნიშვნელო ორსართულიანი სახლი მიაშენეს.

სახლის სამხ.-აღმ-ით ერთსართულიანი სამეურნეო ნაგებობებია. მათი მთავარი ფასადი გვიანდ. მინაშენითაა სახეშეცვლილი.

*მ. გ.*

051. თარხნიშვილების სასახლე, მარშლიანთ სასახლე, არქიტ. ძ. დგას მთის ფერდის გავაკებულ ადგილზე და ახალქალაქის ქვედა უბანს გადაჰყურებს. აგებულია XIX ს. 30-იან წლებში. კომპლექსში შედის სასახლე და აბანო.

(ა) სასახლე (14 X 18,9 *მ*) ორსართულიანია, პირველი სართული ნაგებია რიყის ქვით, მეორე — აგურით. აგურისაა სწორკუთხა კარსარკმლების წირთხლები, თაღები, სვეტები, ტიხრები და შენობის კუთხეები. მთავარი შესასვლელი ჩრდდანაა. ამ მხარეს, პირველ სართულზე, შენობის შუა ნაწილში თაღებით გახსნილი ლოჯიაა, რ-შიც გვერდის ოთახებისა და დიდი დარბაზის (68 *კვ მ*) კარები გამოდის. დარბაზის ირგვლივ შედარებით მცირე ზომის შვიდი ოთახია. დას-ისა და სამხრ-ის შუა ოთახები კარით უკავშირდება დიდ დარბაზს. კარით არის დაკავშირებული ზოგი ოთახი მომიჯნავე ოთახთან, ზოგს გარეთ გასასვლელი კარიც აქვს. რამდენიმე ოთახში, კედლებში დატანებულია ბრტყელი ნიშები და თაღოვანი ბუხრები. აღმის შუა ოთახში მეორე სართულზე ასასვლელი სამმარშიანი კიბეა. მეორე სართულს ლითონის სვეტებზე დაყრდნობილი გვიანდ. რკინა-ბეტონის აივანი უვლის გარშემო. საზეიმო დარბაზი (99 *კვ მ*) კედლის შვერილებზე დაყრდნობილი თაღით ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა. მის ჩრდ.-აღმ. კუთხეში ორნამენტით შემკული ბუხარია. დარბაზი და მის გარშემო განლაგებული ოთახები ერთმანეთთან კარითაა დაკავშირებული. ამ სართულზეც კედლებში ბრტყელი ნიშები და ბუხრებია.

(ბ) ეზოში, სასახლის ჩრდ-ით, ნახევრად მიწაში ჩამჯდარი აგურით ნაგები აბანო დგას. აბანო ძლიერ დაზიანებულია: მთლიანად დანგრეულია წყლის სათბობი და კალორიფერების იატაკქვეშა სისტემები. კედლები გარედან შელესილია. აბანო შედგება ორი, გეგმით კვადრ. გუმბათოვანი სათავსისაგან — გასახდელისა და სააბაზანოსაგან. სათავსები ერთმანეთს კარით უკავშირდება. ორი-

ეე ოთახის კედლებზე თაღები გადადის. გუმბათის ყელზე გადასვლა ხდება აგურის აფრების საშუალებით. კედლები განსაკუთრებით კარგადაა ნაწყობი გასახდელ ოთახში. ორივე სათავსის გუმბათის წვერში ხვრელია დატანებული. საბაზანო ოთახში გუმბათის ფუძეს აგურის წყობით გამოყვანილი რომბისებური დეკორი ამკობს

1965 წ. სასახლე გადაეცა თბილ. სამხატვრო აკადემიას, რ-იც მას შემოქმედებით ბაზად იყენებს. რამდენიმე უპროექტო გადაკეთებისა და შეკეთების შედეგად სასახლემ და აბანომ ძალზე იცვალა პირვანდელი სახე. თავდაპირველი სახით შემორჩა მხოლოდ საზეიმო ოთახის ჭერი, კედლები (გ) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ნაშთებით და თაბაშირის სტალაქტიტებით მორთული ფრიზი.



051(ა). პირვანდელი სახის აღდგენის ცდა. მხატვარი გ. ნავერიზაშვილი. 1985 წ.



051(ა). I სართულის გეგმა

051(ბ). განივი განაკვეთი. გეგმა



ჩრდ. და სამხრ. ფასადები ორივე სართულზე ბრტყელი პილასტრებით სამ ნაწილადაა დაყოფილი. ორივე ფასადის მეორე სართულის თაღოვანი კარ-სარკმლები გადაკეთებულია, თაღოვანი ნაწილი შელესილია და ხის ნაწილები ახლითაა შეცვლილი. ჩრდ. ფასადის პირველი სართულის შუა ნაწილი ლოჯიის თაღედს უკავია, გვერდით ნაწილებში სამ-სამი ვიწრო სარკმელია. თაღოვანი ლოჯიის სვეტებს შორის აგურის მოაჯირია. ფასადებს აღარა აქვს ქონგურებით დასრულებული ლავგარდანი, იგი შეკეთების დროს ამოუვსიათ და ფასადები მთლიანად შეულესიათ. სასახლე გადახურულია ხის ნივნივებზე დაყრდნობილი თუნუქის ორფერდა სახურავით. რკინა-ბეტონის აივანი და კიბე გვიანდელია. დ. ც., ზ. გ.

052. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 3 კმ-ზე, მდ. თეძმის მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება XVIII ს. შუა წლებით. ნაგებია ნატეხი ქვით. ძ. ცილინდრულია (დიამ. 8 მ-მდე), ოთხსართულიანი. დაზიანებულია. შესასვლელი მეორე სართულზეა, ჩრდ.-აღმ-იდან. პირველ სართულს ხის გადახურვა ჰქონია. კედლებში დატანებულია ნიშები და სათოფურები. მეორე სართული, დანარჩენებისაგან განსხვავებით, გადახურულია სფერული კამარით, რ-ის ძირას ორი სარკმელია. ბუხარი სამხრ-ითაა. მესამე სართულსაც ხის კოჭოვანი გადახურვა ჰქონია ( ამჟამად ჩამონგრეულია). კედლებში ღრმა ნიშებია ორ-ორი სათოფურით. სათოფურებია ნიშების გარეთაც. სართულები ერთმანეთს კედელში დატანებული კიბით უკავშირდებოდა. მეოთხე სართული მაღალკედლებიანი საბრძოლო ბანი ყოფილა.

იქვე ახლოს მდგარა მეორე ანალოგიური კ ო შ კ ი. შემორჩენილია ნანგრევები. ზ. ძ.

მარშლიანთ სასახლე, იხ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ს ა ს ა ხ ლ ე.

053. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, გარიყულას ხევის მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. აღმოჩნდა რამდენიმე ქვაყუთი, დიდრონი, უხეშად ნათალი ფილაქვებით შედგენილი ინდივიდუალური სამარხები. მიცვალებულები დაკრძალულია უინვენტაროდ, გაშოტილი, თავით დას-კენ. ბ. ე.





054. აღმ. ფასადი, გეგმა

054. ფაშნისის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სოფ. გარიყულას მაღალ ბორცვზე, გარეუბნის ძველ სასაფლაოზე. თარიღდება IX-X სს-ით. 1957 წ. ძეგლის სახურავი შეაკეთა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ. ეკლ. დარბაზულია (12,4 მ X 10,8 მ), ნაგებია ქვიშაქვითა და ნატეხი ქვით, გამოყენებულია ტუფიც. შესასვლელი სამხრ. კედელშია. აფსიდის ღერძზე ერთი სარკმელია. გვერდებზე ორი სწორკუთხა ნიში. საკურთხეველში შემორჩენილია კ ა ნ კ ე ლ ი ს ფრაგმენტი. სამხრ. კედელში ორი სარკმელია. დარბაზის გრძივი კედლები დანაწევრებულია პილასტრებით, რ-ებზეც ეყრდნობა საბჯენი თაღები. პილასტრებს მარტივი პროფილის თაროსებრი კაპიტელები აქვთ. ეკლესიის კედლები შელესილია, გაირჩევა (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ორი ფენა. ქვედა ფენა ეკლესიის თანადროულია. ამ ფენიდან შემორჩენილია ფერადი ლაქები ჩრდ. კედლის პირველ რეგისტრში და შარავანდიანი ხელგაშლილი მამაკაცის ფიგურა სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთზე. მოხატულობის მეორე ფენა XII ს. II ნახ-ს მიეკუთვნება. კამარაში, ეკლესიის ჩრდ. და სამხრ. კედლებზე მოხატულობის დიდი ნაწილი ჩამოცვენილია. შედარებით უკეთესადაა დაცული საკურთხევლისა და დას. კედლის მოხატულობა.

ეკლესიის მოხატულობაში წარმოდგენილია *საუფლო დღესასწაულთა* ციკლი; წმ. გიორგის ცხოვრების ეპიზოდები და კტიტორთა პორტრეტები. საკურთხევლის კონქში გამოსახულია *ვედრება*. შუა რეგისტრში თორმეტი მოციქულის წელზედა გამოსახულებაა, ქვემოთ — ათი ეკლესიის მამისა და ორი დიაკენის ფიგურა. საკურთხევლის სარკმლის თავზე მედალიონში ჩასმული ჯვარია გამოსახული, ქვემოთ — *ხატი მანდილისაი*. დარბაზის მოხატულობაც სამ რეგისტრად არის დაყოფილი: ერთი კამარაშია, ორი — კედლებზე. სახარების ციკლიდან, ძირითადად ზედა ორ რეგისტრში, შემორჩენილია: ჩრდ. კედელზე — *ხარება, ესაია, იერუსალიმს შესვლა*, დას. კედელზე — *მირქმა, დედანი მაცხოვრის საფლავთან, ჯოჯოხეთის წარტყვევნა*. ამ ციკლის უკანასკნელი სცენა — *ღვთისმშობლის მიძინება* წარმოდგენილია ქვედა რეგისტრში, სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთზე. ეკლესიის მფარველის, წმ. გიორგის ცხოვრების ამსახველი ხუთივე სცენა მო-

054(ა). საკურთხევლის მოხატულობის სქემა





054(ა). ჩრდ. კედლის მოხატულობის სქემა

054(ა). სამხრ. კედლის მოხატულობის სქემა



ხატულობის ქვედა რეგისტრშია: სამხრ. კედლის დას. მხარეს — *წმინდისა გიორგის ურმის თვალს შესჯლა და წმინდისა გიორგისი ფოცხით ხვეტა*, აქვეა *სარკინოზის სასწაული*, დას. კედელზე — *ყრმის ტყვეობიდან დახსნის სასწაული*. ამ კედლის ჩრდ-ით დარჩენილ ვიწრო მონაკვეთზე გამოსახულია მეომრები წმ. დემეტრე და წმ. თევდორე. შემდეგი სცენა *ლასია ქალაქის მოქცევა* ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია, საკურთხევლთან; ამავე კედლის დას. მონაკვეთზე, შესასვლელი კარის პირდაპირ, საერო პირთა პორტრეტებია, კარის ლუნეტში წმ. ივლიტას და წმ. კვირიკეს წელზედა გამოსახულებებია. აფსიდისა და ეკლესიის კედლების მოხატულობის ქვემოთ, იატაკიდან 1,5 *მ* სიმაღლეზე, ფართო ორნამენტული ზოლია.

ფაენისის ეკლესიის მოხატულობას არ ახასიათებს მკაცრი არქიტექტონიკური აგება: რამდენადმე შესუსტებულია რეგისტრის ხაზის მაორგანიზებელი მნიშვნელობა, მას ჰკვეთენ ფიგურები, იგრძნობა სცენათა შერწყმის ტენდენცია. მხატვრობისათვის დამახასიათებელია ფორმათა მოქნილი ნახატი და დახვეწილი ფერადოვანი გამა (ოქროსფერი ოქრა, ვარდისფერი, მკვეთრი ცისფერი, იისფერი, წითელი, მოწითალო-ყავისფერი).

აღმ. ფასადზე, სარკმლის ორივე მხარეს, წრეში ჩასმულია ორნამენტიანი ჯვრები. სარკმლის ზემოთ, ფრონტონის სიბრტყეში მოთავსებულ დიდი ზომის ქვიშაქვის სწორკუთხა ფილაზე გამოსახულია წრე და გველი. ფასადებზე კარ-სარკმლის საპირედ ქვიშაქვის გათლილი ქვებია გამოყენებული. ფასადების ლავგარდანი შედგენილია თაროსა და ლილვისაგან. ეკლ. გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით. ჩრდ. კედელზე გასამაგრებლად ქვის საკმაოდ განიერი კედელია მიშენებული. სამხრ. ფასადზე, მთელ სიგრძეზე მიშენებულია დაბალი, ცილინდრული კამარით გადახურული ე გ ვ ტ ე რ ი (ძლიერ დაზიანებულია), რ-საც ერთი სარკმელი ჰქონდა. აქ შემორჩენილი მოხატულობის ნაშთები მიეკუთვნება XIII ს-ის II ნახ-ას.

*ბიბლ.: 323.* *დ. ფ., მგ. მ.*

## გომი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

055. მარიდაანთ კოშკი-წისქვილი, არქიტ. ძ. დგას მარიდაანთ უბანში. ნაგებია რიყის ქვით. XVII-XVIII სს. საბრძოლო კოშკი XIX ს-ში გადაუკეთებიათ წისქვილად. ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია: პირველი სართულის ცილინდრული კამარა ჩანგრეულია, სართული მიწითაა ამოვ-

სებული: მეორე სართულზე ჩრდ. კედელი გამონგრეულია; აღარ არსებობს მეორე და მესამე სართულების ხის გადახურვა; მესამე სართულის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.

კოშკი გეგმით სწორკუთხაა (5,2X X 6,95 *მ*). შესასვლელი პირველი სართულის დას. კედელშია. აღმ. კედელში ორი სათოფურია, სამხრ-ისაში — ბუხარი და ორი სათოფური. ჩრდ. კედელში დატანებულია მეორე სართულზე ასასვლელი ქვის კიბე. მეორე სართულზე. სამხრ. კედელში ჩაშენებულია ბუხარი. მის ორივე მხარეს, ბრტყელ ნიშებში სათოფურებია. ასეთივე სათოფურებია აღმ. და სამხრ. კედლებშიც. კოშკის დას. ფასადზე ჩასმულია ქვიშაქვის ფილა მხედრ. წარწერით. წარწერა დაზიანებულია; იკითხება მხოლოდ ამშენებლის გვარი — „შაქარაშვილი". *მ. გ.*

056. მარიდაშვილების მარანი, არქიტ. ძ. მდებარეობს მარიდაანთუბანში. ვარდენ მარიდაშვილის ბაღში. თარიღდება XVIII-XIX სს-ით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა (სავარაუდოა, ხის კოჭებს ეყრდნობოდა), ჩრდ. კედლის ზედა ნაწილი და თაროები მაღალ ნიშებში; იატაკი მიწითაა დაფარული, მიწითაა ამოვსებული საწნახელიც.

მარანი (9,1 X 4,75 *მ*) ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. ერთადერთი თაღიანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. შენობის დას. ნაწილში, მთელი კედლის სიგრძეზე, მისგან 1,4 *მ* დაცილებით დაბალკედლებიანი (სიმ. 1 *მ*) ყურძნის საწური აუზია მის დას-ით, მთელი კედლის სიმაღლეზე, ღრმა ხისთაროებიანი ნიშია, აღმ-ით სამი შედარებითი პატარა ნიშია. სამხრ. კედელში კი — ორი დიდი ხისთაროებიანი ნიში. ასეთივე ნიში დას. კედელშიცაა. ნიშებს აგურის თაღი აქვს. შენობის დას. და ჩრდ. კედლები გარედან მიწაშია ჩამჯდარი. აღმ. კედელი ყრუა. *მ. გ.*

057. სოფიო მარიდაშვილის სახლი, ისტ. ძ. მარიდაშვილის ქ., 2. აგებულია 1934 — 35 წწ. ეკუთვნოდა სოციალისტური შრომის გმირს, მეჭარხლე სოფიო მარიდაშვილს (1908 — 71 წწ.).

სახლი ორსართულიანია. პირველ სართულზე მარანია, მეორე სართულზე — ორი ოთახი. სამხრ-ით პატარა აივანია. *ბეგ. ლ.*

## გომისჯვარი

(წინარეხის სოფსაბჭო)

058. იოანე მახარებლის ეკლესია, იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია, წითელი ეკლესია. არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-დას-ით. ლევან ბატონიშვილის თარიღიანი წარწერის (დაცულია კასპის მხარეთმც. მუზეუმში) თანახმად, თარიღდება XVII ს-ის ბოლო ათეული წლებით.

ეკლ. დარბაზულია (9,1 X 5,7 *მ*). ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით, კონსტრ. ნაწილებში და ფასადებზე, დეკორატ. ელემენტების წყობაში, გამოყენებულია აგური. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარის დას. ნაწილი და კონქი, თითქმის მთლიანადაა დანგრეული დას. კედელი, მონგრეულია სარკმლების წირთხლები, ფასადებზე საპირე ქვები ბევრგან ჩამოცვენილია, არა აქვს სახურავი. შესასვლელის კვალი არა ჩანს. ეკლესიის შიდა სივრცე თავისებურადაა გადაწყვეტილი: სწორკუთხოვან საკურთხეველში სხვადასხვა ზომის შეისრულთაღოვანი ნიშებია. საკურთხეველი დარბაზისგან გამოყოფილია ფართო მხრებით, რ-ებსაც ეყრდნობა შეისრული ფორმის სატრიუმფო თაღი შეისრული ფორმისაა კამარაც. საკურთხევლის სარკმელი ჩასმულია მაღალ შეისრულ შეღრმავებაში დარბაზის გრძივ კედლებში თითო ფართო შეისრული შეღრმავებაა, რ-ებშიც თითო სარკმელია გაჭრილი. ფასადების შემორჩენილი ნაწილების ქვის წყობა ირეგულარულია. აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ აგურის წყობით გამოყვანილია მაღალი შეღრმავებული ჯვარი, რ-ის გვერდებზე თითო შეისრული ნიშია. ორივე ნიშს შემოვლებული აქვს კედლებზე ნალესობით გამოყვანილი სადა მოჩარჩოება. ნიშები, ისე როგორც ჯვრის შეღრმავებული ნაწილი, მოწითალო ფერის საღებავითაა შეფერილი.

*ბიბლ.: 37.* *დვ. თ.*

058. აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია, იხ. იოანე მახარებლის ეკლესია.

059. კოშკი, არქიტ. ძ. დგას ნასოფლარის სასაფლაოზე. ადგილ. მოსახლეობის გადმოცემით, თარხნიშვილებს ეკუთვნოდა. სტილისტ. ნიშნებით განეკუთვნება XVII ს. ძ. დაზიანებულია: პირველი სართული სანახევროდ მიწითაა ამოვსებული, სართულშუა გადახურვა და სახურავი ჩანგრეულია, აივნები აღარა აქვს (დარჩე-

059. საერთო ხედი





059 სართულების გეგმები

ნილია აივნების კოჭების ბუდეები), მეოთხე სართულის აივანზე გასასვლელი კარი ამოშენებულია შვიდსართულიანი კვადრატული ძ. (7,15 X X7,15 მ; სიმ. 16,6 მ, კედლის სისქე 1,5 მ) ნაგებია რიყის ქვით, გამოყენებულია ნატეხი ქვაც. ძ. ზემოთ თვალსაჩინოდ ვიწროვდება. შესასვლელი დას-ითაა, 3,5 მ სიმაღლეზე, მეორე სართულის დონეზე. ამ სართულის ოთხივე კედელში ორ-ორი სათოფურია, ჩრდ.-აღმ-ისა და სამხრ.-დას. კედლებში ნიშებიცაა, ხოლო სამხრ.-აღმ-ისაში — ბუხარი. სულ ზემოთ, აღმ. და დას. მხარეს თითო ნისკარტისებრი სალოდეა. სართულები ერთმანეთს ხვრელობებით და მისადგმელი კიბეებით უკავშირდებოდა.

ბიბლ.: 32. მ. ბ.

060. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. თარიღდება ფეოდ. ხანით. შემორჩენილია რამდენიმე ნასახლარი ბუდე, მიწაში ვერტიკალურად ჩადგმული რამდენიმე დიდი ზომის ქვევრი. იპოვება გვიანდ. ფეოდ. ხანისათვის დამახასიათებელი, მოწითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. ნ-ის აღმ. განაპირას ჩანს ფილაქვებით ნაგები, აღმ-დან დას-ისაკენ დამხრობილი რამდენიმე (ა) ქვაყუთი. ნ-ზე თავდაპირველად ყოფილა (ბ) კოშკი (უკეთაა შემონახული), ერთმანეთისგან ათიოდე მ-ით დაშორებული (გ) 4 დარბაზული ეკლესია (დღეისათვის მხოლოდ ორია შემორჩენილი), (დ) სასახლე (ნანგრევებიღაა) და თაღით გადახურული (ე) აუზიანი წყარო. ერთ-ერთი (იოანე მახარებლის) ეკლესიის წარწერის თანახმად აქ ლევან ბატონიშვილის (XVII ს.) რეზიდენცია იყო. კვ. რ.

წითელი ეკლესია, იხ. იოანე მახარებლის ეკლესია

061. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-დას-ით, სასაფლაოზე. თარიღდება XVI-XVII სს-ით. ადგილ. მოსახლეობა ერკემალს უწოდებს. ძლიერ დაზიანებულია: დაბზარულია შენობის გვერდის კედლები და კონქი, ჩანგრეულია შეკიდული საბჯენი თაღები, ფასადებზე ბევრგან ჩამოცვენილია საპირე ქვები, მონგრეულია ლავგარდანი.

ეკლ. დარბაზულია (8,7X5,5 მ), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით, კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია კარგად გათლილი შირიმის ქვები, ხოლო ფასადების მოსართავად და შესასვლელის წირთხლებისა და ნიშების თაღების წყობაში — კვადრ. აგური. ეკლესიას შესასვლელი სამხრ-დან აქვს. შემორჩენილი ნაწილების მიხედვით, მას თაღოვანი გადახურვა ჰქონია. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე შეისრულთაღიანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო შეისრული ნიშაა. თითო სარკმელია სამხრ. და დას. კედლებში. ნახევარწრიული კამარის შუა მონაკვეთში და დას. კედელთან შეკიდული საბჯენი თაღებია, რ-ებიც შირიმის მთლიანი ქვის იმპოსტებს ეყრდნობა. ფასადებს გასდევს ოთხი რიგი აგურისაგან შემდგარი ორი ფართო ჰორიზ. ზოლი. ჩრდ. ფასადზე შემორჩენილია ქვიშაქვის ლავგარდნის ორი ქვა, რ-ის პროფილს თარო და ცერად ჩამოკვეთილი სიბრტყე შეადგენს.

ბიბლ.: 32; 37:56. დვ. თ.

061. აღმ. ფასადი, გეგმა



## გორაკა

(ქვემო ჭალის სოფსაბჭო)

062. ნამოსახლარი ნიშის გორა, წითელაბატონების ნიში, მელიების გორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ლეხურის ხეობაში, სოფლების გორაკასა და ქვემო ჭალის საზღვარზე, მიეკუთვნება ბრინჯაოს ხანას. ნამოსახლარი ამოზიდული ტიპის, აღმ-დან დას-კენ წაგრძელებული გორაა (სიმ. 20 მ, თხემის ფართ. 30X25 მ). აქ დადასტურდა ადრინდ. ბრინჯაოს (შავზედაპირიანი და ვარდისფერსარჩულიანი, შავპრიალა, წაბლისფერი და რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭლის ნატეხები), გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანის (შავად და ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ქუსლიანი ბაკოგადმოკეცილი ჯამები და ქოთნები, მოწაბლისფროდ გამომწვარი ორყურა დერგები) და სხვა კულტ. ფენები. ოქ. გ.

მელიების გორა, იხ. ნამოსახლარი ნიშის გორა

063. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლების გორაკასა და ქვემო ჭალის მიჯნაზე, შაქრო ფოლადაშვილის ეზოსთან. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. ს-ზე დადასტურდა ორი ორმოსამარხის ნაშთი. სამარხის ინვენტარიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი, ბრინჯაოს მსხვილი მავთულის თავებგახსნილი სამაჯურები, საკინძურები, ნასიპი ზოლებით შემკული შავი თიხის ჯამი და სხვ. მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში. გვ. ჯ.

წითელაბატონების ნიში, იხ. ნამოსახლარი ნიშის გორა.

## გოსტიბე

(ახალქალაქის სოფსაბჭო)

064. ქაბერის მცირე ეკლესია. არქიტ. ძ. დგას სოფ. გოსტიბესაკენ მიმავალ გზასა და მდ. გოსტიბესწყალს შორის, ფერდობზე, გზიდან 100 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ძალიან დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა და კონქის ნაწილი, სამხრ. და ჩრდ. კედლის ზედა ნაწილები. დარბაზი 1 მ სიმაღლეზე ამოვსებულია ნანგრევებით. ეკლ. დარბაზულია (5,3X3,1 მ). ნაგებია დიდი თლილი ქვებით. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. გადახურვა სატრიუმფო თაღს და კედლებს ეყრდნობა. *მ. დ.*

065. ქაბერის ნასოფლარი და წმ. გიორგის ეკლესია, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 1 კმ-ზე, გზის პირას. მიეკუთვნება ფეოდ. ხანას.

(ა) ნ ა ს ო ფ ლ ა რ ზ ე იპოვება განვით. ფეოდ. ხანისთვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები. შემორჩენილია ამავე ხანის ნასახლარები და წ მ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა.

(ბ) წ მ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა დგას ტყ. სასაფლაოზე, გზიდან 20-30 მ-ზე. ასომთ. სამშენ. წარწერის თანახმად ეკლ. აგებულია 1014-27 წწ. დაზიანებულია: კამარა ჩანგრეულია, გადარჩენილია მხოლოდ კონქი და დას. კედელი, ლავგარდანი აღარა აქვს. ეკლ. დარბაზულია (12,7X11,9 მ). ნაგებია არათანაბარი ზომის უხეში რუხი ფერის ქვით; ინტერიერის კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია კარგად დამუშავებული კვადრები, ხოლო კედლები ამოყვანილია წვრილი ქვით და შელესილია. შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ოდნავ შემაღლებული ნალისებრი აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, გვერდებზე — სწორკუთხა ნიშები. კამარა ეყრდნობოდა ქვემოთკენ მომრგვალებულ კონსოლებზე შეყიდულ საბჯენ თაღებს. გადარჩენილი სატრიუმფო და დას. კედლის თაღები ოდნავ შეისრული ფორმისაა. სამხრ. კედელში გაჭრილია ორი სარკმელი. დარბაზის ჩრდ. კედლის დას. ნაწილში ს ა რ კ ო ფ ა გ ი ა. ეკლესიის კედლებზე შემორჩენილია (გ) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები.

აღმ. ფასადის კედელს განსაკუთრებულ მხატვრულ იერს ანიჭებს მოსაპირკეთებელი ქვების წყობა. აქ სარკმლის სათავეზე გამოსახულია სამი რელიეფური ჯვარი. დას. ფასადის ცენტრში ჩადგმულია ღია ყვითელი ფერის ოთხკუთხა ქვა, რ-საც შემოვლებული აქვს ამობურცული განიერი ლილვი. ქვაზე შვიდსტრიქონიანი ასომთ. სამშენ. წარწერაა, რ-შიც გარდა ეკლესიის აშენების თარიღისა და აღმშენებლის ასად სანიადაჯის ძისა ნახსენები არიან გიორგი მეფე და მელქისედეკ კათალიკოსი, სოფრონ ბედიელი მთავარეპისკოპოსი. წარწერიანი ქვის გასწვრივ, ვიწრო სწორკუთხა ყვითელ ქვაზე ამოკვეთილია შეღრმავებული ჯვარი. ასეთივე ჯვარია ფასადის ქვედა ნაწილის მარჯვ. კუთხეში, მოზრდილ ქვაზე. ლავგარდანი შედგენილი იყო ირიბად ჩაკვეთილი სიბრტყისა და ვიწრო თაროსაგან.

ეკლესიას ორი მ ი ნ ა შ ე ნ ი აქვს: ჩრდ-ით — სამკვეთლო, სამხრ-ით — ეგვტერი. ს ა მ კ ვ ე თ ლ ო ეკლესიას უკავშირდება სამხრ. კედელში გაჭრილი კარით. ოდნავ შემაღლებულ ნალისებრ აფსიდში ერთი სარკმელი და ორი სწორკუთხა ნიშია. სარკმელს ვიწრო თავსართი აქვს. სამკვეთლოში იატაკი აყრილია და საფლავის ქვები ჩანს. ე გ ვ ტ ე რ ი ეკლესიის სამხრ. კედლის მთელ სიგრძეზე მოგვიანებით მიუშენებიათ. მას აღარა აქვს კამარა და კედლების ნაწილი. თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია, ეკლესიის კარის პირდაპირ. აფსიდი ნახევარწრიულია. ეგვტერის კამარის ქუსლს ქმნის ეკლესიის სამხრ. კედლის გასწვრივ აგებული ქვიშაქვის დაბალი ხუთმალიანი თაღედი.

065(ბ). აღმ ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



*ბიბლ.:* 317:46-63. *დვ. თ., კვ. რ., მ. დ., ჭ. მ.*

066. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, აღმ-ით, მთის ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. კ. (8,3X9,1 მ) ოთხსართულიანია, კუთხეები მომრგვალებული აქვს. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. დაზიანებულია: გადახურვა მთლიანად ჩანგრეულია, პირველი სართული მიწითაა ამოვსებული. შესასვლელი მეორე სართულზე, დას. კედელშია. პირველი სართული ყრუა. მესამე, საცხოვრებელი სართულის აღმ. კედელში ბუხარია, ჩრდ-ისაში — ორი სათოფური, ხოლო სამხრ. და დას. კედლებში — პატარა სწორკუთხა სარკმლები. მეოთხე სართულზე, დას. და სამხრ. კედლებში, ორ-ორი შეწყვილებული სარკმელია. სართულშუა გადახურვები ხისა ყოფილა. სართულები ერთმანეთს ხვრელობებით უკავშირდებოდა. *მ. ქ., დვ. თ.*

067. ნასოფლარი და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. გოსტიბესწყლის მარჯვ. ნაპირზე. ნასოფლარზე შეიმჩნევა ნასახლარი ბუდეები, იქვე დგას ოთხკუთხა კ ო შ კ ი და ე კ ლ ე ს ი ა.

(ა) ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი ს ტერიტორიაზე იპოვება უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

(ბ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მრავალფენიანია. ზოგადად თარიღდება ძვ. წ. XI და ახ. წ. III სს-ით. დადასტურდა სამი ქრონოლ. ჯგუფის სამარხები: პირველს მიეკუთვნება შემთხვევით აღმოჩენილი ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი, რ-შიც აღმოჩნდა ბრინჯაოს ხელშუბის პირი, ბრინჯაოს სატევარი და ორი თი-

067(ბ) ვერცხლის თასი



ხის ჯამი. სამარხი თარიღდება ძვ. წ. XI-VII სს-ით. მეორე ჯგუფში ერთადერთი სამარხია (გაითხარა 1948 წ., ხელმძღ. ტ. ჩუბინიშვილი). სამარხი დამხრობილი იყო აღმ-დან დას-კენ. ინვენტარიდან აღსანიშნავია: გველისთავებიანი ბრინჯაოს სამაჯური, ბრინჯაოს საწვივე რგოლები, ვერცხლის სასაფეთქლე რგოლი, შავი თიხის ჯამი და დოქი. სამარხი თარიღდება ძვ. წ. VI-V სს-ით. მესამე ქრონოლ. ჯგუფს მიეკუთვნება 1982 წ. შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი. მასში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ვერცხლის ფეხიანი თასი, რ-ზეც ხაზებით გამოყვანილია ოთხი თხა, ხოლო წერტილებით — რვა ყურძნის მტევანი, აგრეთვე ბრინჯაოს ჭვირული ბალთა, ბრინჯაოს ზარაკი და მძივები. თარიღდება II-III სს.

*ბიბლ.:* **192; 241.** *გვ. ჯ., კვ. რ.*

068. სალომიის ლომისის საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, ნამოსახლარ გორაზე, სალომიასწყლის მარჯვ მხარეს. თარიღდება განვით. ფეოდ ხანით. ძლიერ დაზიანებულია, გადარჩენილია მხოლოდ აღმ. ფასადი საკურთხევლით. ეკლესიის მახლობლად არის (ა) ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი, რ-ზედაც შემორჩენილია ბაზალტის ზეთსახდელები — გ ე ლ ა ზ ე ბ ი. გადმოცემით, აქ ლომისობა იმართებოდა. *ხაჭ. ო.*

069. წმ. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ნასოფლარ გოსტიბეს საფლაოზე, სამშენ. წარწერის მიხედვით თარიღდება X-XI სს-ით. ეკლ. დარბაზულია (11,5X5,9 *მ*), ნაგებია დიდი ზომის ტლანქად დამუშავებული მომწვანო-მოყვითალო ქვის კვადრებით (წყობის ხაზების ჰორიზონტალობა არ არის დაცული). დაზიანებულია: ჩანგრეულია კამაროვანი გადახურვა, ფასადებზე მოსაპირკეთებელი ქვები ბევრ ადგილას ამოვარდნილია, ლავგარდნის მხოლოდ ფრაგმენტია შემორჩენილი, დარღვეულია იატაკის დონე, დარბაზი 1 *მ* სიმაღლეზე ამოვსებულია ნანგრევებით.

069. აღმ. ფასადი, გეგმა



ეკლესიაში შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ჩრდ კედელში, საკურთხეველთან ახლოს გაჭრილი კარი ამოქოლილია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. დარბაზის გრძივ კედლებზე ორსაფეხურიანი პილასტრებია. რ-ის პირველ საფეხურს კედლის დეკორატ. თაღები ეყრდნობა. მეორე საფეხურს ეყრდნობა კამარის საბჯენი თაღი. იმპოსტებს აქაც და სატრიუმფო თაღთანაც თაროს ფორმა აქვთ, წაკვეთილი ქვედა ნაწილით. კედლები შელესილი ყოფილა. შელესილობის ქვეშ, დას. და სამხრ. კედლებზე, ქვაზე წითელი საღებავით დახატული ჯვრები ჩანს. ჩრდ. პილასტრზე ამოკვეთილია წრეში მოქცეული სწორმკლავა ჯვარი.

აღმ. ფასადზე სარკმელს რელიეფური, ზემოთ აგრეხილბოლოებიანი თავსართი აქვს. თავსართზე გამოსახულია პატარა ჯვარი. სარკმლის გარშემო კიდევ ოთხი ჯვარია, ხოლო მეხუთე მოთავსებულია მათგან მოშორებით, სარკმლის ზემოთ. ყველა ჯვარი, თაღის ჯვრისაგან განსხვავებით, ჩაღრმავებულ ფონზეა ამოკვეთილი. ზოგიერთი ჯვრის ბოლოები დამთავრებულია ღილაკებით, სამ ჯვარს შემოვლებული აქვს წრე. ფასადის შუა ნაწილში ერთრიგად ამოკვეთილია ექვსი ერთმანეთის მსგავსი ჯვარი. მეშვიდე ასეთივე ჯვარი მოთავსებულია ქვედა რიგში. ამ ფასადის ფრონტონში გამოსახულია წაგრძელებული ფორმის, მაღალი რელიეფით ამოკვეთილი კიდევ ერთი ჯვარი, რ-იც აღმ. კედლის სარკმლის თავსართის ჯვართან ერთად თაედაპირველი მშენებლობის ხანას მიეკუთვნება, დანარჩენები კი გვიანდელია. დას. ფასადის ჩრდ. კუთხეში ერთ-ერთ ჯვარზე ოთხსტრიქონიანი ასომთ. წარწერაა.

ეკლესიის ჩრდ.-აღმ. კუთხეში მიწაზე დევს მონოლითი (0,62X0,72 *მ*), რ-ზეც გამოსახულია წრეში ჩასმული ჯვარი, ისეთივე, როგორიც აღმ. და დას. ფასადებზეა. მის ზედა არეზე შემორჩენილია ნაწილობრივ დაზიანებული ოთხსტრიქონიანი ასომთ. წარწერა, რ-შიც მოხსენიებულია მშენებელი „დავით გალატოზი".

მოგვიანებით ეკლესიისთვის სამხრდან მიუშენებიათ სწორკუთხა ს ა თ ა ვ ს ი, რ-ისგანაც მხოლოდ კონტურია შემორჩენილი. *გ. კ., ჭ. მ.*

# ბრაკალი

(დოესის სოფსაბჭო)

070. ბრაკალი, სოფელი, ძვ. ქართულ წყაროებში „გარკალი", ისტ. ძ. მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, კასპიდან 22 *კმ*-ზე. დასახლებული ყოფილა უძველესი ხანებიდანვე, რასაც ადასტურებს აქ მიკვლეული შუა და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის სამარხები სოფ. ბ. დას. და აღმ. საქართველოს დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობდა და უძველესი ქართ. სახელმწიფოებრივი გაერთიანების წარმოქმნიდანვე, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბარის საქართველოს სოციალურ-ეკონ. და პოლიტ. ცხოვრებასთან. ქართ. წერილობით წყაროებში ბ. პირველად XIII ს. შუა წლებში, კერძოდ 1260 წ., იხსენიება რკონის ღვთისმშობლის მონასტრისადმი კახა თორელის დაწერილ ანდერძში, საიდანაც ირკვევა, რომ უფრო ადრეულ ხანებშიც იგი თორელთა საძვალე მონასტრის — რკონის კუთვნილება ყოფილა. სოფელი დიდად დაზარალებულა თემურ-ლენგის შემოსევების დროს XIV ს-ში. პოლიტ. ასპარეზიდან თორელთა საგვარეულოს გაქრობისა და საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის ხანებიდან (XV-XVI სს. მიჯნა) სოფ. ბ. კუთვნის რკონის მონასტერს. იგი XVI-XVIII სს-ში ამილახვართა კუთვნილებაა. გვიანდ. ფეოდ. ხანაში, ადმ.-ტერ. დაყოფით, სოფ. ბ. შიდის ზემო ქართლის მემარჯვენე სადროშოში, რ-საც ამილახვრები სარდლობდნენ. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, როცა XIX ს. 30-იან წლებში ამილახვართა სათავადოც მოიშალა, სოფელი ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში შევიდა.

(ა) 1905 წ. 27 დეკ. 19 საათზე. რ კ ი ნ ი გ ზ ი ს ს ა დ გ უ რ გ რ ა კ ა ლ ი დ ა ნ 1,5 *კმ*-ზე წითელრაზმელებმა სროლა აუტეხეს მატარებელს. რ-ითაც მიემგზავრებოდა ლეიბგვარდიელთა მე-13 პოლკის დამსჯელი ნაწილები. *ქ. ქ.*

071. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას რკ.-ის სადგურთან, სასაფლაოზე, თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (3,6X3 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა, კედლები შემორჩენილია 1,7 *მ* სიმაღლეზე. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. დაზიანების გამო, გადახურვის ფორმა გაურკვეველია. აფსიდის ღერძზე ვიწრო სწორკუთხა სარკმელია, ხოლო

სამხრ. კედელში — პატარა სწორკუთხა ნიში. *დვ. თ.*

072. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას რკ.-გზ. სადგურთან ახლოს, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (4,6X3,3 მ). ნაგებია დიდი ზომის ნატეხი ქვით. დაზიანებულია. დას. კედელი მთლიანად დანგრეულია. შესასვლელის კვალი არა ჩანს. კუთხეებში ოდნავ მომრგვალებული სწორკუთხა საკურთხევლის აღმ. კედელში გაჭრილია ერთადერთი სარკმელი, მის გვერდის კედლებში სამი სწორკუთხა ნიშია. საკურთხევლის კედლები უშუალოდ უერთდება დარბაზის გრძივ, სრულიად გლუვ, კედლებს. დარბაზი გადახურული ყოფილა ნახევარწრიული კამარით.

ეკლესიას ჩრდ-ით აქვს მ ი ნ ა შ ე ნ ი. ამ პატარა სათავსის დას. ნაწილი დანგრეულია, აღმ. კედელში გაჭრილია ვიწრო სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის მარცხნივ, აფსიდის ჩრდ. კედლის ქვემო ნაწილში მოთავსებულია ქვიშაქვის ფილა, რ-ზეც გამოსახულია ჩარჩოში ჩასმული რელიეფური ჯვარი. ჩარჩოზე შეიმჩნევა წარწერის კვალი. მინაშენი გადახურული ყოფილა დამრეცი კამარით, რ-ის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამონგრეულია. *დვ. თ.*

073. ყორღანული ველი, არქეოლ ძ. მდებარეობს აშურიანის ველის დას. ბოლოში, მდ. მტკვრის მარცხ. ტერასაზე, სოფ. გრაკლის გასწვრივ. თარიღდება შუა ბრინჯაოდან გვიანდ. ბრინჯაოზე გარდამავალი ხანით. 1965 წ. გათხარა ივა ინ-ტის კაე-მ (ხელმძღვ. ზ. მატბერაშვილი) გაითხარა რამდენიმე სხვადასხვა ზომის (დიამ. 10-20 მ) ყორღანი. ზოგ მათგანს ირგვლივ ნატეხი ქვა აქვს შემოწყობილი.

(ა) ყ ო რ ღ ა ნ ი I მდებარეობს სოფლის მიდამოებში. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ-ით. წარმოადგენს დაბალ, კონუსის მოყვანილობის რიყის ქვის ყრილს, რ-ის დასაკრძალავი ორმოს (2,1X1,9X2 მ) იატაკი ორ საფეხურადაა მოწყობილი. სამარხში აღმოჩნდა სხვადასხვა ზომისა და ფორმის, ძირითადად სადა, შავად გამომწვარი გაპრიალებული თიხის ჭურჭელი (23 ც.). ზოგ შავ ჭურჭელს აგურისფერი სარჩული აქვს. გამოირჩევა სამი ორნამენტიანი ჭურჭელი შემკული კოპებით, სავარცხლისკბილისებრი ნაჭდევითა და ნაპრიალები სახეებით. აღმოჩნდა აგრეთვე ჯიხვის მთლიანი ჩონჩხი, რ-საც თავთან ედო ობსიდიანის მოზრდილი უფორმო ანატკეცი — შესაწირავი საქონლის დასაკლავი რიტუალური „დანა" (ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში).

(ბ, გ, დ) ყ ო რ ღ ა ნ ე ბ ი II, III, IV დაბალი კონუსის ფორმის ქვაყრილებია, რ-ებსაც ირგვლივ (დიამ. 10-15 მ) ცალპირად შემოწყობილი აქვთ ნატეხი ქვები. სამარხი ორმოები ოთხი ტიპისაა. სამარხებში აღმოჩნდა ე. წ. ბაიბურთის ტიპის მსგავსი კერამ. მასალა (ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში). *შ. ზ.*

# გუდალეთი

(კავთისხევის სოფსაბჭო)

074. გუდალეთის ტაძრის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფელში, ამაღლებულ ადგილზე, მდ. გუდალურას მაღალი ხევის პირას. კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ტაძარი და კოშკებიანი ციხე-გალავანი.

(ა) ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ტ ა ძ ა რ ი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, აგებულია XIII-XIV სს. მიჯნაზე, ნაშენია თლილი ქვით, გამოყენებულია რიყის ქვა და აგურიც. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: გუმბათი და კამარები ჩაქცეულია, სამხრ. და ჩრდ. კედლები 1-2 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი; დანგრეულია მეორე სართული (სადიაკვნისა და სამკვეთლოს თავზე), არ შემორჩენილა გუმბათქვეშა ბოძები და თაღები; ეკლესიის დას. კარიბჭის სამხრ. კედელი მთლიანად დანგრეულია. შედარებით უკეთესად არის შემონახული აღმ. და დას. ფასადები.

ტაძარს სამი შესასვლელი აქვს — დას-დან, სამხრ-დან და ჩრდ-დან. სამივე შესასვლელი თაღოვანია. აღმ-ით ღრმა ბემიანი აფსიდი ნახევარწრიულია. მის ორივე მხარეს თითო აფსიდიანი სათავსი — სამკვეთლო და სადიაკვნეა. მათ თავზე არსებული სათავსები ინტერიერს სწორკუთხა გასასვლელით უკავშირდებოდა. აქედან საკურთხევლის კონქის თავზე გამართულ სამალავშიც შეიძლებოდა მოხვედრა. აფსიდის სარკმლის ქვეშ სწორკუთხა, ხოლო მის ორივე მხარეს თითო ნახევარწრიული ნიშია. თითო სარკმელი ყოფილა აღმ. და დას. კედლებში. მცირე ზომის თითო მრგვალი სარკმელი აქვს სამკვეთლოს, სადიაკვნესა და მათ თავზე მოთავსებულ სათავსებს. გუმბათი ეყრდნობოდა აფსიდის კედლებსა და დას-ით ორ თავისუფლად მდგომ ბოძს. აღმ. ფასადის კუთხეებთან პატარა, მრგვალი, საგანგებოდ მოჩარჩოებული სარკმლების ორი რიგია, ამ ფასადს მარტივპროფილიანი სადა ლავგარდანი აქვს. დას. ფასადზე, განიერი თაღოვანი შესასვლელის ზემოთ სარკმელი ჩუქურთმიან საპირეში ჩასმული. ეკლესიის სამივე შესასვლელი თაღოვანი ლილვებით, ბურთულებითა და ფესტონებით ყოფილა მორთული.

(ბ) ც ი ხ ე-გ ა ლ ა ვ ა ნ ი. ღვთისმშობლის ტაძარს შემოვლებული აქვს ხუთკუთხა გალავანი (28X30 მ), რ-იც აგებულია XVIII ს. II ნახ-ში, ნაშენია რიყის ქვით. მოსწორებულ ადგილზე ნაგები ციხე-გალავნის ყოველ კუთხეში თითო ცილინდრული (ზემოთკენ შევიწროებული) კოშკი დგას. გალავანი ძლიერ დაზიანებულია. დანგრეულია კედლების ზედა მონაკვეთები (განსაკუთრებით აღმ. მხარეს), ჩამონგრეულია კოშკების ზედა ნაწილები, სართულშუა გადახურვები, თახჩები, სათოფურები და სარკმლები ბევრგან გაგანიერებული

074. გენგეგმა 1 გალავანი, 2 კოშკები, 3 ღვთისმშობლის ტაძარი





07.1(ა). გრძივი განაკვეთი სამხრ.-კენ

ან ჩამოშლილია. გალავნის სამხრ.-დას. მხარეს აღარაა ხის საბრძოლო ბილიკი და მისი სამაგრი კოჭები. გალავნისა და კოშკების ქონგურები ჩამონგრეულია. გალავნის კედელზე ამჟამად სკოლის ხის შენობაა მიდგმული. თაღოვანი, ვიწრო და მაღალი ჭიშკარი სამხრ. კოშკის პირველ სართულზეა. კოშკების ყოველ სართულს ცალკე თაღოვანი შესასვლელი აქვს ეზოს მხრიდან. სართულებზე მისადგმელი კიბით ადიოდნენ. ჩრდ.-აღმ. კოშკის პირველ სართულზე ორმაღიანი შესასვლელია. ეს კოშკი დანარჩენებზე რამდენადმე დიდია. ყველა კოშკის მეორე სართულზე, მარჯვ. მხარეს მცირე ზომის სათავსი — საპირფარეშოა, რ-საც ცალკე სწორკუთხა შესასვლელი აქვს ეზოს მხრიდან. სამხრ.-დას და ჩრდ.-დას. კოშკებში ეს სათავსები უფრო მოზრდილია, ფასადიდან გამოწეულია და გალავნის კედელსა და კოშკს შორის არის ჩამოკიდებული. ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-აღმ. კოშკები უფრო პატარაა და გალავნის კედელშია მოქცეული. კოშკების ყოველი სართულის კედლებში გაჭრილია სათოფურები, სარკმლები და სხვადასხვა ზომის თახჩები და ნიშები, მეორე და მესამე სართულებზე შესასვლელების პირდაპირ (ერთმანეთის თავზე) ბუხარია. კოშკების ფასადებზე ოდნავ შესამჩნევ აქცენტებს ქმნის სათოფურებისა და სარკმლების ვიწრო ხვრელობები. გალავნის კედლები ორიარუსიანია: ქვედა ყრუა, ზედაში კი სათოფურები და თახჩებია. სათოფურებს ქვემოთ საბრძოლო ბილიკის საყრდენი ხის კოჭების ჩასამაგრებელი ფოსოებია. გალავნის დას. კედელზე, ჩრდ.-დას. კოშკთან, მეორე იარუსის სიმაღლეზე ორი ბუხარია. მათ შორის თახჩებია. აქვე შემორჩენილია საცხოვრ. ნ ა გ ე ბ ო ბ ი ს (სავარაუდოა ფეოდალის სასახლის) ნაშთები, რ-იც კოშკს საბრძოლო ბილიკით უკავშირდებოდა. გალავნის სამხრ. კედელზე, მის აღმ. მონაკვეთში,



07.1(ა). აღმ. ფასადი



07.1(ბ). აღმ. ფასადი. განაკვეთი აღმ.-კენ



074(ა). დას. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ

ეზოს მხრიდან ნიშის მაგვარი ორი მაღალი ხვრელობია. აქ, ფასადის მხარეს. კედლიდან გამოწეული სათოფურის მაგვარი შვერილები ყოფილა. გალავნისა და კოშკების კედლებში ორი ტიპის სათოფურია: ცალმაგი და ორმაგი (აღმ-ის კედელში მხოლოდ ცალმაგი სათოფურებია. სათოფურები გვხვდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნიშებში და დას. კედლის მცირე სათავსებშიც). როგორც გალავნის, ისე კოშკების კედლებში საცეცხლე არის გასადიდებლად ზოგი სათოფური დახრილია. გალავანი დასრულებული იყო ნახევარწრიული ქონგურებით (ამჟამად მონგრეულია).

*ბიბლ.:* 150. *ანდღ. ნ.*

075. ᲙᲐᲪᲘᲐᲐᲜᲗ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით 1,5 *კმ*-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: გადახურვა, კონქის მნიშვნელოვანი ნაწილი და სამხრ.-დას. კუთხე ჩამონგრეულია, აღმ. ფასადს მთელ სიგრძეზე ბზარი გასდევს. ეკლესია დარბაზულია (9,2X X5,5 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის დიდი ზომის ლოდებით. შესასვლელი ორი აქვს — ჩრდ-დან და სამხრ-დან. ერთი სარკმელი ნახევარწრიულ, არასწორი მოყვანილობის აფსიდშია, ორი (საკმაოდ მაღალი) — სამხრ. კედელში, ერთი — ჩრდ-ისაში. კამარა ეყრდნობა მარტივპროფილიან იმპოსტებზე დადგმულ სატრიუმფო, საბჯენ და დას. კედელთან მდებარე თაღებს. სამხრ-ით და ჩრდ-ით ეკლესიაზე, მთელ სიგრძეზე, მიშენებულია ეგვტერები. ჩრდ. მინაშენს ორი შესასვლელი ჰქონია — ერთი ჩრდ-დან, ეკლესიის შესასვლელის პირდაპირ, მეორე — დას-დან (ამოშენებულია).

აღმ. ფასადზე, მაღლა, მწვანე ტუფის ფილაზე გამოსახულია წრე, ხოლო დას. ფასადზე, ასევე მაღლა, მწვანე ტუფის ქვაზე — ჯვარი. *გ. ქ.*



075. გეგმა

076. ᲙᲕᲘᲠᲐᲪᲮᲝᲕᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, სერზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით, ნაგებია რიყის ქვით. სახურავი კირის ხსნარით და ფიქალის ქვითაა ნაწყობი. *ხატ. ო.*

077. ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ ᲕᲐᲠᲯᲐᲐᲜᲘ და ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 1 *კმ*-ზე.

(ა) ნასოფლარზე დადასტურდა ოთხი ქრონოლ. ფენა: თიხის ჭურჭლის ნამტვრევები ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანას განეკუთვნება; განვით. ფეოდ. ხანისაა (ბ) მთავარანგელოზის ეკლესია და (გ) სამაროვანი; გვიანდ. ფეოდ. ხანისა — უინვენტარო (დ) ქვაყუთი, რ-შიც ადამიანის ჩონჩხი ესვენა.

მთავარანგელოზის ეკლესია დარბაზულია (8X4 *მ*), ნაგებია საშ. და დიდი ზომის ნატეხი ქვით, გამოყენებულია ქვიშაქვაც. შესასვლელი სამხრ-დანაა. ნალისებრი აფსიდის ღერძზე მოზრდილი სარკმელია, რ-ის ქვეშ კედელზე სატრაპეზო ქვაა მიდგმული. ეკლესიაში ყოფილა მოჩუქურთმებული ხის კანკელი (ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში). სამხრ. და ჩრდ. კედლებზე წყვილი სამსაფეხურიანი პილასტრია, რ-ზეც გადადის კამარის საბჯენი თაღი. სამხრ. კედელში ორი სარკმელია. ეკლ. შელესილი და მოხატული ყოფილა.

აღმ. ფასადზე სარკმლის ზემოთ ჩასმულია ცისფერი ტუფის ფილა. ლავგარდანი შირიმისაა. ეკლესიის სახურავი ორფერდაა. ეკლესიას სამხრ-ით ჰქონია მინაშენი, რ-საც შესასვლელი სამხრ-ით აქვს. ეკლესიას შემოღობებული ჰქონია ქვის ოთხკუთხა გალავანი (შემორჩენილია ფრაგმენტები). *ქვ. რ.*

078. ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს თაგვიანთ უბანში. თარიღდება ფეოდ. ხანით. ს-ზე დადასტურდა აღმ-იდან დას-ისაკენ დამხრობილი ქვაყუთები. *ქვ. რ.*

079. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, თაგვიანთ უბანში. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,2X4,5 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. დაზიანებულია: გადახურვა და კედლების ზედა ნაწილი ჩამონგრეულია. არქიტრავული შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. შვერილი აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. მის გვერდებზე თითო ოთხკუთხა ნიშია. თითო თაღოვანი სარკმელი სამხრ. და დას. მხარესაა. ყველა სარკმელი გარეთკენ ვიწროვდება. აფსიდის სარკმელში შემორჩენილია შელესილობა, რ-ზეც მოხატულობის კვალი ჩანს. *ნ. ა.*



079. გეგმა

080. ᲬᲛ. ᲔᲡᲢᲐᲗᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, ტყის პირას. თარიღდება X ს-ით. ეკლ. დარბაზულია (9X5,5 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და ნატეხი ქვის კვადრებით. დაზიანებულია: ჭერი ჩაქცეულია, აღმ. ფასადი შუა ადგილზე გარღვეულია. შესასვლელი ჩრდ-დანაა. კარი სქელი მუხის მერქნისაა. ეკლესიას ადრე შესასვლელი სამხრ-დან ჰქონია. აღმ-ის სარკმელი ამოშენებულია. ეკლ. გადახურული ყოფილა ღარიანი კრამიტით.

ეკლესიას სამხრ-ით და ჩრდ-ით ორი მინაშენი ჰქონია. სამხრ. მინაშენის მხოლოდ ერთი კედელია შემორჩენილი, ჩრდ-ისა ნახევრად

დანგრეულია. გ ა ლ ა ვ ნ ი ს მხოლოდ საძირკველია გადარჩენილი. *ხატ. ო.*

081. **ᲬᲛ. ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ**, არქიტ. ძ. დგას ხოკერაანთ უბანში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია, მცირე ზომისა. ნაგებია რიყის ქვით. შემორჩენილია ნანგრევები შესასვლელი სამხრ. კედელშია. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს ნიშებია. *ხატ. ო.*

082. **ᲬᲛ. ᲛᲐᲠᲘᲜᲔᲡ ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲘ**, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ხოკერაანთ უბანში. თარიღდება ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (11,5X6,4 *მ*), ნაგებია უხეშად გათლილი საშ. და მოზრდილი ქვებით. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარა და კონქი, ჩამონგრეულია კედლების ზედა ნაწილი, აღმ. ფასადი გაბზარულია; ეკლ. ქვა-ღორღითაა ამოვსებული. სოფლის მოსახლეობას სამხრ. კედელთან, მისგან 1,5 *მ* დაშორებით, ჩამოშლილი ქვებისგან მშრალი წყობით კედელი აუგია. ეკლესიაში შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. იგი ორივე მხრიდან სწორკუთხაა და გადახურულია არქიტრავით. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია, მის ორივე მხარეს — ღრმა სწორკუთხა ნიშები. აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მცირე მხრებით, მისი იატაკი ერთი საფეხურით ამაღლებულია. *კალმ. გ.*

083. **ᲙᲝᲢᲘᲡᲣᲑᲜᲘᲡ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ**, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 6 *კმ*-ზე, ბორცვზე. თარიღდება X ს-ით. ეკლ. დარბაზულია, ნაგებია დიდი ზომის ქვის ბრტყელი ფილებით. ძლიერ დაზიანებულია: მთლიანადაა ჩანგრეული სახურავი და კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი; მხოლოდ აღმ. კედელს აქვს შემორჩენილი პერანგის ნაწილი და ერთი პატარა სარკმელი. ეკლესია ამოვსებულია მიწითა და ნანგრევებით. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. კარის არქიტრავზე ხუთსტრიქონიანი წარწერაა, რ-იც ძნელად იკითხება. მასში მოხსენიებულია ეკლესიის მშენებელი ვინმე გაბრიელ გალატოზი. წარწერის ორივე მხარეს გამოსახულია ჯვრები, რ-თა მხრები და თავი წყვილბოლოიანია და სტილიზებული ფრთების გამოსახულებითაა დასრულებული. მეორე, შედარებით მცირე ზომის დაზიანებულწარწერიანი ქვა დარბაზის ჩრდ. კედელშია ჩატანებული.

*ბიბლ.:* 172. *ბ. ლ.*

## ᲓᲝᲔᲡᲘ

(სოფსაბჭოს ცენტრი)

084. 1904 წ. 16 აგვ. სოფ. დ ო ე ს შ ი, მ ო ე დ ა ნ ზ ე შეიკრიბა გლეხობა. მათ უარი განაცხადეს თავად ციციშვილისთვის ლალის გადახდაზე. აჯანყებულთა „დასაწყნარებლად" გამოიწვიეს გორის მაზრის უფროსი ცხენოსანთა რაზმით. დააპატიმრეს ხუთი მოთავე გლეხი.

*ბიბლ.:* 422:ფონდი 153, აღწ. 1, საქ. 436, ფ. 48-49. *ქ. ქ.*

085. **ᲓᲝᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ**, ისტ. ძ. მდებარეობს მცხეთა-ძეგვ-ხიდისთავ-გორის საავტ. გზაზე, კასპიდან 25 *კმ*-ზე. XVII ს-ის 30-იან წლებში როსტომსა და თეიმურაზ I შორის ქართლის სამეფო ტახტისათვის მწვავე შინაპოლიტიკური ბრძოლების დროს თეიმურაზის მომხრე ფეოდალებმა არაერთხელ მოუწყეს შეთქმულება გამაპმადიანებულ ტახტის მფლობელს. მათი გამოხდომები მარცხით მთავრდებოდა. 1638 წ. თეიმურაზ I მომხრეებმა — ნოდარ ციციშვილმა, იოთამ ამილახვარმა, ზაალ არაგვის ერისთავმა და ქართლის კათალიკოსმა ევდემოზ დიასამიძემ მორიგი შეთქმულება მოაწყვეს. თეიმურაზ I სთხოვეს ქართლში გადმოსვლა და ტახტის დაჭერა. შეიკრიბა ლაშქარიც, რ-იც ნოდარ ციციშვილის სარდლობით დოესის მინდორზე დაბანაკდა. თავის მხრივ, როსტომიც დოესისაკენ გამოემართა. ციციშვილმა გადამწყვეტ ბრძოლას თავი აარიდა. როსტომს მხოლოდ იმერელი თავადები — ძმები ჩხეიძეები შეებრძოლნენ, რ-ებიც დამარცხდნენ და ტყვედ ჩაუვარდნენ როსტომს.

*ბიბლ.:* 89:342, 441; 201დ:375-376. *ქ. ქ.*

086. **ᲧᲝᲠᲓᲐᲜᲘ**, არქეოლ. ძ. მდებარეობს რკ.-გზ. სადგ. გრაკლიდან 2 *კმ*-ზე, სოფ. ხოვლესკენ მიმავალი საავტ. გზის მარჯვ. მხარეს, მისგან ორასიოდე *მ*-ზე, სოფლის სახნავ მიწებში. თარიღდება ადრინდ. ბრინჯაოს გვიანდ. საფეხურით. სამარხი 1974 წ. გათხარა ᲘᲐᲔ ინ-ტის ᲑᲐᲔ-მ და ᲙᲐᲔ-მ (ხელმძღვ. გ. ცქიტიშვილი). ყ. (სიმ. 2 *მ*; დიამ. 30 *მ*) წარმოადგენს მიწაყრილიან სამარხს, რ-საც შემოვლებული აქვს უსისტემოდ ჩაყრილი რიყის ქვის „ჯაეშანი". ყ-ის ცენტრში ნატეხი ქვით ნაგები აკლდა-

086. სამარხის გეგმა



მაა, რ-შიც ესვენა ჩონჩხი, მარცხ. გვერდზე, ხელფეხმოხრილი, ჩრდ-იდან სამხრ-კენ დამხრობილი. მიცვალებულს თავთან ედო ორყურა შავზედაპირიანი ბადია. მოპოვებული მასალა დაცულია კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *ირ. შ., შ. ზ.*

087. **ᲬᲔᲠᲝᲐᲐᲜᲗ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲘ**, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 2,5 *კმ*-ზე, მთის ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. საყდრის აღმ-ით უცხოვრიათ წერუაშვილებს (აქედან მომდინარეობს საყდრის სახელწოდება), ხოლო დას-ით ყოფილა დასახლება აგარა, საიდანაც ბატონს ხალხი ახლანდ. სოფ. აგარაში (ქარელის რ-ნი) გაუსახლებია. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: გაურკვეველია გეგმა, შემორჩენილია საძირკვლის კვალი და აღმ. კედლის ნაწილი (სიგრ. 4,1 *მ*). ეკლ. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. გადმოცემით, საყდარს შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონია, გადახურული ყოფილა კრამიტით. საყდრის ჩრდ-ით აღმოჩნდა თ ი ხ ი ს მ ი ლ ე ბ ი. *ბეგ. ლ.*

088. **ილია ᲮᲛᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ**, ისტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. აგებულია 1905 წ. ამ სახლში დაიბადა და აღიზარდა საბჭოთა კავშირის გმირი ილია ხმალაძე (1916-43 წწ.). სახლის ორივე სართულზე ხის მოხარატებული აივანია. პირველ სართულზე ოთხი ოთახია, მეორეზე — სამი. სახლის წინ პატარა ეზოა. *ბეგ. ლ.*

## ᲔᲖᲐᲢᲘ

(კაეთისხევის სოფსაბჭო)

089. **ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ**, არქიტ. ძ. დგას ჩიეაანთ უბანში, ამაღლებულ ადგილზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (12,2X4,85 *მ*), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. გაირჩევა ორი სამშენ. ფენა. XIX ს. დასაწყისში ნაგებობა შეუკეთებიათ — შემოუქლიათ ოთხი რიგისაგან შედგენილი ლავგარდანი და დას-დან მოზრდილი სათავსი მიუშენებიათ, ეკლესიის სამხრ. კედელში არსებული შესასვლელი ამოუქოლავთ და მინაშენის სამხრ. კედელში ნახევარწრიული თაღით დასრულებული მაღალი და ფართო კარი გაუჭრიათ. ეკლესიის ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილი სარკმელი ამოშენებულია. ორივე ნაგებობა ერთიანი ნახევარწრიული კამარითაა გადახურული. მ ი ნ ა შ ე ნ ს ჩრდ-ით ორი სარკმელი აქვს, დას-ით და სამხრ-ით — თითო. ინტერიერში შემორჩენილია შელესილობის ფრაგმენტები. მინაშენის დას. ფასადზე, ცენტრში აგურის წყობაში გამოყვანილია დიდი ჯვარი (დეფორმირებულია). ამავე ფასადის ფრონ-

...ნის კიხზე დგას აგურის ოთხბოძიანი სამრეკლო. ეკლესიის ორფერდა სახურავზე კრამიტი დაზიანებულია. *მ. ე. მ.*

## ერთაწმინდა

(ახალქალაქის სოფსაბჭო)

090. ბარბარი. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 1.5 *კმ*-ზე, საავტ. გზის მარცხ. მხარეს. თარიღდება ფეოდ. ხანით. ნასოფლარზე დასტურდება ნასახლარი ბუდეები, არის ეკლესიაც. ჩრდ.-დას-ით 250 *მ*-ზე ალმ-იდან დას-ისკენ დამხრობილი გორაა (25X15 *მ*). მას სამხრ-ით ტერასა გასდევს. მისგან დას-ით. მინდორზე ქვაყუთის ფილები ყრია. *კვ. რ.*

091. ბარბარის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ნასოფლარ გარგარის სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (4.1X6,25 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კედლების ზედა ნაწილი და ცილინდრული კამაროვანი გადახურვა. არქიტრაველი შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში თაღოვანი სარკმელია. ერთი სწორკუთხა სარკმელი დარბაზის სამხრ. კედლის ზედა ნაწილშია. ინტერიერში შემორჩენილია შელესილობის ფრაგმენტები. მოგვიანებით ეკლესიისათვის სამხრ-იდან მიუშენებიათ სათავსი, რ-ის მხოლოდ კონტურია შემორჩენილი. *მ. დ.*

ერთაწმინდის ტაძრის კომპლექსი, იხ. წმ. ესტატეს ტაძრის კომპლექსი.

092. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 1 *კმ*-ზე, გორაზე, ახალციხის ხევის მარცხ. მხარეს. გორა გეომორფოლოგიურად ამოზიდული ტიპისაა. ნ-ზე დადასტურდა ორი კულტ. ფენა — ადრინდ. რკინის ხანისა და ანტ. ხანის. *ცქ. გ.*

093. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით სამიოდე *კმ*-ზე, ადგილ გვეაზურში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე ზედაპირულად იკრიფება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, შემორჩენილია რამდენიმე ნასახლარი ბუდე, თიხის ხსნარითა და რიყის ქვით ნაგებ შენობათა საძირკვლები. აქვეა ნატეხი ქვით ნაგები დარბაზული (ა) ეკლესიის ნანგრევები, რ-ის ალმ. ფასადზე, კედლის წყობაში კარგად გათლილი ქვიშაქვების რამდენიმე კვადრია ჩართული. *კვ. რ.*

094. ცუცუბნის წმ. თევდორეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან 1,5-2 *კმ*-ზე, ცხირეთისკენ მიმავალ გზაზე, ე. წ. ცუცუბანში. ადგილ. მცხოვრებთა გადმოცემით ამ ადგილს ადრე ხუცუბანს უწოდებდნენ. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კედლების ზემოთა ნაწილები, დაკარგულია ლავგარდნის ყველა ქვა. ჩრდ.-ალმ-ის კუთხე გარეთ გადაწოლილია, კედლები 1 *მ* სიმაღლეზე მიწითაა დაფარული.

ეკლ. დარბაზულია (8,2 X 4,5 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომისა და ფერის ქვებით. ერთადერთი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. იგი დიდი ზომის (2,15 X 0,95 *მ*) რუხი ფერის არქიტრავითაა გადახურული. ნახევარწრიულ აფსიდის ღერძზე ერთი სარკმელია. ინტერიერში შემორჩენილია შელესილობის ფრაგმენტები. საკურთხეველში მოხატულობის კვალი ჩანს.

ფასადების კედლები ნაწყობია რუხი ფერის ფილაქვით, პორიზ. რიგები ყველგან დაცულია. კუთხეები საგანგებოდ არის გამოყვანილი მოშწვანოფირუზისფერი კვადრებით. ასეთივე ფერის ქვები გამოყენებულია ალმ. ფასადის ფრონტონზე. *კედ. ს.*

095. წმ. ესტატეს ტაძრის კომპლექსი, ერთაწმინდის ტაძრის კომპლექსი, არქიტ. ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას შუა სოფელში. კომპლექსში შედის: ტაძარი, გალავანი, სამრეკლო, სამონასტრო და სამეურნეო ნაგებობების ნაშთები. სახელწოდება „ერთაწმინდა" დაკავშირებულია წმ. ესტატეს სახელთან. „ესტატე წმინდა" დროთა განმავლობაში ხალხის გამოთქმაში ქცეულა „ერთაწმინდად". სოფლის ძველი სახელწოდებაც — ესტაწმინდაა. XVIIს. დამდეგისათვის სოფელი და ტაძარიც თარხნიშვილთა ფეოდ. საგვარეულოს ეკუთვნოდა. ერთაწმინდის

095(დ). ალმ. ფასადი



ტაძარში (ა) საკაძეების საძვალეა. აქაა დამარხული გიორგი სააკაძის (ბ) ვაჟის პაატას მოკვეთილი თავი. იქვე ეგვტერში (გ) დაკრძალულია მწერალი სეზმან ალექსის ძე ბატკუაშვილი (ერთაწმინდელი, 1890-1944 წწ).

(დ) წმ. ესტატეს ტაძარი კომპლექსის დომინანტს წარმოადგენს. თარიღდება XIII ს-ის I ნახ-ით. XIX ს. II ნახ-ში ტაძარი კაპიტალურად შეაკეთეს: აღადგინეს ოთხივე ფასადის მნიშვნელოვანი ნაწილი, სამხრ. პორტალი, ლავგარდნის ნაწილი (უჩუქურთმოდ). 1951 წ ძეგლზე სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა საქც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ. აღდგენილ იქნა გუმბათი

ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (22,2X14,3 მ), ნაშენია კარგად გათლილი მოყვითალო ფერის ქვით. დაზიანებულია: ბევრგან ჩამონგრეულია სარკმლებისა და პორტალების მოჩუქურთმებული საპირეებისა და ლილვების ნაწილები, თითქმის მთლიანად დანგრეულია დას. კარიბჭე. ტაძარს სამი შესასვლელი აქვს — დას-დან, სამხრ-დან და ჩრდ-დან გარედან სამივე კარი სწორკუთხაა, შიგნიდან დას. და ჩრდ. შესასვლელებს დიდი და ღრმა ყრუ ლუნეტები აქვს. ძირითადი ჯვრის მკლავები კუთხის ნაწილებთან შედარებით რამდენადმე ამაღლებულია. გარედან გუმბათის კვადრატის საფუძველი მკლავების ფრონტონების წვეროთა დონეზეა. კომპოზიცია დასრულებულია გუმბათით, რ-იც თავდაპირველად მნიშვნელოვნად ვიწრო და მაღალი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ახლანდ. გუმბათია. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა ხორციელდება აფრებით. გადამხურავ კონსტრუქციებს ტაძარში საყრდენი თაღებით შემაგრებული ცილინდრული კამარა და სფერული კონქი წარმოადგენს. ზოგი თაღი შეისრულია. გუმბათი აღმ-ით საკურთხევლის ბემის კედელთან შერწყმულ ბურჯებს ეყრდნობა, ხოლო დას-ით ორ თავისუფლად მდგომ ბოძს. ჩრდ. და სამხრ. მკლავები მცირე სიღრმისაა. საკურთხეველი და გვერდის ოთახები ერთი საფეხურით შემაღლებულია. საკურთხევლის აფსიდს ღრმა ბემა ერწყმის. ამიტომ ორ სართულად განლაგებული კუთხის სათავსები წაგრძელებული ფორმისაა. აღმ-ით მათ აფსიდები აქვთ. საკურთხევლის აფსიდში მოჩუქურთმებული საპირით შემკული ნიშია. დას. მკლავი კუთხის მონაკვეთებთან დაკავშირებულია ოდნავ შეისრული თაღებით, რ-ებიც პილასტრებსა და რთულპროფილიან იმპოსტებს ეყრდნობა. მრავალპროფილიანია პილასტრების ბაზისებიც. დას. მკლავში თავისებური პატრონიკეა, რ-ში მოხვედრა დას. კედლის სარკმელში გაკეთებული ხვრელობით შეიძლება. ტაძარს ბევრი სარკმელი აქვს. ისინი თითქმის ყველა თაღოვანია. აღმ-ით მდებარე სარკმლები ორ რეგისტრადაა განლაგებული. ქვედა რეგისტრის სარკმლები თანაბარი სიმაღლისა და ერთ დონეზე განლაგებულ ნიშებშია გაჭრილი, ზედა რეგისტრში მცირე ზომის შეწყვილებული სარკმლებია შეწყვილებული სარკმლები სამ დანარჩენ მკლავშიც არის. სამხრ-ით და ჩრდ-ით შედარებით მცირე ზომის სარკმლებს ქვედა წყვილიც ემატება. ამის გარდა, თაღოვანი და მრგვალი სარკმლები დატანებულია აღმ. კუთხის სათავსში და მკლავებშორის, ბემის კედლებთან. ორი მრგვალი მცირე ზომის სარკმელი აღმ-ით კონქში გაჭრილ გასასვლელსაც აქვს. ჩრდ. კედლის მონაკვეთში გაჭრილი თაღოვანი სარკმელი გვიანდელია. თავდაპირველად გუმბათის ყელში თორმეტი სარკმელი ყოფილა, ახლა რვაა.

(ე) ინტერიერში კედლების დიდი ნაწილი შელესილია. ტაძრის ჩრდ. მკლავის ჩრდ. კედელზე გაიხსნა (1960-70 წწ.) მოხატულობის სამი რეგისტრი. მხატვრობა შესრულებულია არა უადრეს XVII ს-ისა. ზედა რეგისტრში გამოსახულია ნადირობიდან დაბრუნებული წმ. ესტატე, რ-იც თავის ცოლს უმჟღავნებს სასწაულის ამბავს. აქვეა მათი ორი შვილი ისინი სუფრასთან სხედან. მეორე რეგისტრში წმ. ესტატე თავისი ოჯახით მღვდელმთავრის წინაშე დგას. მესამე რეგისტრის კომპოზიცია საზეიმო ხასიათისაა. სადა ფონზე გამოსახულია ფრონტალურად მდგომი ოთხი წმინდანი. ეს რეგისტრი მთავრდება ორნამენტული ზოლით (ფარდის იმიტაცია). მხატვრობა ხასიათდება წერის მშრალი, სქემატური მანერით. მომწვანო ფერის სარჩულზე ორ ფენად დატანილ თეთრას გაღიაფერებას მკვეთრად უპირისპირდება მუქი ყავისფერი ზოლი (ჩრდილი). კონტურები მეტწილად შავია. მხატვრობის კოლორიტში გაბატონებულია მუქი და მღვრიე ფერები (მონაცრისფროთეთრი, ლურჯი, ყვითელი, ყავისფერი, შავი). შარავანდებისათვის გამოყენებულია ოქრო.

ტაძრის ფასადები მდიდრულადაა მორთული. დეკორი XIII ს. I ნახ-ით თარიღდება. მოჩუქურთმებულია კარსარკმელთა საპირეები და ლავგარდანი. ოთხივე ფასადზე შეწყვილებული სარკმლების კომპოზიციაა, შუაში ჯვრით. ყველაზე საზეიმოდ და გულმოდგინედაა შემკული აღმ-ის ფასადი. მისი სიბრტყე სამნაწილიანია. ცენტრ. აპოზიდულ, ფრონტონით დასრულებულ მონაკვეთს გვერდის ფრთები ერწყმის. ცენტრ. არე გვერდის მონაკვეთებისაგან მაღალი მდიდრულად მორთული ნიშებით არის გამოყოფილი. ფასადის ცენტრ. ღერძზე, საპირეებით შემკულ შეწყვილებულ სარკმლებს შორის, ჩასმულია დეკორატ. ჯვარი, რ-იც ქვედა მკლავის დამასრულებელი როზეტით უშუალოდ ერწყმის დიდი, ცენტრ. სარკმლის საპირეს. სარკმელი თავისი მორთულობით ლილვებით შედგენილ ღეროზეა შეკვენებული. ტაძრის კედლებს (გარდა დას-ის ფასადისა) შემოვლებული აქვს პორიზ. დეკორატ. სარტყელიფრიზი, რ-იც წიბოებზე აყოლებულ





095(დ). განივი განაკვეთი აღმ-კენ. გეგმა

დეკორატ. ლილვებთან ერთად ერთ მთლიან მხატვრულ სახეს ქმნის. უხვი დეკორით გამოირჩევა პორტალები და აღმ. ფასადის ნიშების სარკმლები. ტაძრის ფასადების დეკორი მრავალსახიანია როგორც ხასიათით, ისე შესრულების მანერით. შეიმჩნევა რამდენიმე ოსტატის ხელი. დახვეწილი გემოვნებით შესრულებული ნახატის გვერდით ხელოსნური ნამუშევარიცაა. გვხვდება წრეების, წრე-რომბების, ოთხყურების. კალათისებრი წნულისა და მათში ჩართული ფოთლოვანი ორნამენტის კომპოზიციების მრავალგვარი ვარიანტი. თავისი ხუროთმოძღვრებითა და მორთულობით ტაძარი ენათესავება XII-XIII სს. მიჯნის, XIII ს-ის I ნახ-ის ძეგლებს (ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი, წუღრუღაშენი, ახტალა, მაღალაანთ ეკლესია, გუდარეხი, დმანისის სიონი).

(ვ) გალავანი განვით. ფეოდ. ხანის გვიანდ. პერიოდს განეკუთვნება. ნაგები ყოფილა ძირითადად ბრტყელი ნატეხი ქვით, ჰქონია შეიდი კოშკი. დას-ით შემორჩენილია ორი კოშკის ნაშთი. სამხრ-ის კოშკი თითქმის მთლიანად დანგრეულია. ადრე გალავანი იმდენად მაღალი ყოფილა, რომ მხოლოდ ტაძრის გუმბათიღა მოჩანდა. შემონახულია სათოფურებიც — მცირე ზომის ოთხკუთხა ხვრელობები. სამხრ. კედლის გასწვრივ რამდენიმე შენობის კვალი ჩანს (სამონასტრო და სამეურნეო შენობები).

(ზ) სამრეკლო გალავნის ჩრდ.-აღმ. ნაწილშია ჩართული, თავდაპირველი სახით არ არის შემორჩენილი. ადგილ. მცხოვრებთა გადმოცემით, იგი რამდენიმე ათეული წლის წინათ დაუნგრევიათ, რადგან ძველ სამრეკლოში ახალი ზარი ვერ ჩატეულა, და ძველის ადგილზე ანალოგიური ფორმის, ოღონდ უფრო ფართო, ორსართულიანი სამრეკლო აუგიათ. ამჟამად სამრეკლოს პირველი სართული თითქმის მთლიანად დაფარულია მასზე მიდგმული გვიანდ. შენობებით. სამრეკლოს ზედა სართული მრგვალია. მას ოთხი თაღოვანი ხვრელობი აქვს. თაღის ქუსლებს ზემოთ კედელი აგურისაა. თაღების შეერთების ადგილზე გამოყვანილია ბრტყელი აფრები. ამგვარად შექმნილ წრეს ეყრდნობა გუმბათის აგურის სფერული კამარა. ლავგარდანი შედგენილია ოდნავ შვერილი ქვების ერთი მწკრივისაგან. კონუსისებრი სახურავი დაფარულია დუღაბით.

*ბიბლ.:* 78. *გ. ი., დ. ფ.*

## ვაკე

(ქვემო ჭალის სოფსაბჭო)

096. გიორგი ბრწყინვალის (მეფობის წლები 1314-46 წწ.) მიერ ქვეყნის გაერთიანებისა და სამეფო ხელისუფლების გაძლიერების შემდეგ სამეფო კარი ცდილობდა ბოლო მოეღო შინაბრძოლებისათვის. 1342 წ. დავით უფლისწულმა სოფელ ვაკის მიდამოებში დააზავა ცხრაზმისხეველები და არაგველები.

*ბიბლ.:* 201გ:239-240; 220ბ:445-446. *კ. კ.*

## ზემო რენე

(კოდისწყაროს სოფსაბჭო)

097. ზემო რენეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 1,5 *კმ*-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (განივი ზომა 4,4 *მ*), ნაგებია ზედაპირმოსწორებული ქვიშაქვით. ძალიან დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ აღმ. ნაწილი, ხოლო დას. ნაწილის გეგმის კონტური არ გაირჩევა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილია შიგნიდან თაღოვანი და გარედან სწორკუთხა სარკმელი. მის ორივე მხარეს სწორკუთხა ნიშებია. *დე. თ.*

098. ნამოსახლარი გორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 2 *კმ*-ზე, მთის თხემზე. ნ. გ-ზე დადასტურებულია ადრინდ. რკინის, გვიანდ. ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანის ფენები. ზედაპირზე იპოვება შავად და ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. *ცქ. გ.*

099. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 700-800 *მ*-ზე, ტერასაზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე ზედაპირულად იპოვება წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის (დერგი, დოქი, ჯამი და სხვ.) ფრაგმენტები. მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *ირ. შ.*

100. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, უსახელო მშრალი ხევის ნაპირას, მსხვილფეხა საქონლის ფერმის ტერიტორიაზე. თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ით. ს. 1974-75 წწ. გათხარა იაე ინ-ტის კაე-მ (ხელმძღვ. გ. ცქიტიშვილი). გაითხარა 8 სამარხი. ყველა ინჰუმაციურია. თიხნარ ნიადაგში, 1,2-1,4 *მ* სიღრმეზე გათხრილია გეგმით სწორკუთხა, წაგრძელებული, ხის ძელებით ან ტოტებით გადახურული ორმოსამარხები (1,2 X 0,8; 1,3 X 0,9 *მ*). სამარხები დამხრობილია სამხრ-იდან ჩრდ-კენ ან სამხრ.-აღმ-იდან ჩრდ.-დას-კენ. მიცვალებულები დაკრძალულია ხელფეხმოხრილი, მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, თავით ჩრდ-ის ან ჩრდ.-დას-კენ. მოპოვებული მასალიდან აღსანიშნავია სამზარეულოს და სამეურნეო დანიშნულების შავად ან ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი (დოქი, ფიალა, ჯამი, კოჭობი, დერგი, სადღვებელი და სხვ.), რ-იც შემკულია ამოღარული ირიბი ნაჭდევი და ნაპრიალები ხაზებით, ტალღური და თევზიფხური სახეებით, რელიეფური სარტყლებით, ცხოველის თავის სტილიზებული გამოსახულებით. სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს იარაღი და სამკაული: კახური ტიპის სატევარი, ფოთლისებური და ალისებური სატევრისპირები, მასრაგახსნილი ხელშუბისპირები, ცენტრ. ამიერკავკ. ტიპის ცულები და სხვ.; სატეხი, ბრტყელი ცული და ნამგალი; სასაფეთქლე ხვიები, საკინძები, სამაჯურები, მინისა და პასტის მძივები და სხვ.; ცხენის აღკაზმულობა: ლაგმები, საყბეურები და სხვ. ს-ზე აღმოჩნდა აგრეთვე ინსიგნიები: ბრინჯაოს კოპებით მოჭედილი ირმის რქის ძირის კვერთხი, ბრინჯაოს გრავირებული ცული ბრინჯაოსავე ტარითა და ყუაზე ძაღლის სკულპტურული გამოსახულებით. ცულის პირი და ტარი მორთულია მრავალფეროვანი ორნამენტით, რაც ცულის სარიტუალო-რელიგიურ დანიშნულებაზე მეტყველებს, ხოლო ტარის პროპორციების მიხედვით იგი საბრძოლო იარაღიც უნდა იყოს. მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში.

*ბიბლ.:* 115:64-66. *ირ. შ.*

## ზემო ჩოჩეთი

(ახალქალაქის სოფსაბჭო)

101. თოიძეანთ კოშკი, არქიტ. ძ. დგას თოიძეანთ უბანში. თარიღდება XIV-XV სს-ით. დაზიანებულია, ზედა ნაწილი ჩამონგრეულია, არ შემორჩენილა სართულშუა გადახურვები. კოშკი (8,2 X 7,4 *მ*) საბრძოლოა. მისი კედლები ზემოთკენ ვიწროვდება, წიბოები მომრგვალებულია, ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი მეორე სართულის დას. კედელშია. შესასვლელის პირდაპირ ბუხარია. სართულები ერთმანეთს სართულშუა გადახურვაში დატანებული ხვრელებით უკავშირდებოდა. შემორჩენილია სართულშუა გადახურვის ხის კოჭები. მესამე სართულის ოთხივე კედელში ორ-ორი წყვილი სათოფურია. *გ. ქ.*

102. მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ოკაანთ უბანში. თარიღდება XVIII-XIX სს. ეკლ. დარბაზულია (17,4 X 11, 7 *მ*), ნაგებია აგურით. შესასვლელი ორი აქვს — დას-ით და სამხრ-ით. აფსიდის ღერძზე ვიწრო სარკმელია, გვერდებზე — პატარა ბრტყელი ნიშები. თითო განიერი სარკმელი ჩრდ. და სამხრ. კედლებშია, ერთი ვიწრო სარკმელი — დას. კედელში. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილი მასიური პილასტრია, რ-ებზეც გადადის კამარის საბჯენი თაღი. წყვილი პილასტრითა და მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღებით ორად იყოფა დარბაზის დას. კედელი, აქ ყოფილა ხის პატრონიკე, სა-

იდანაც ფანჩატურში ადიოდნენ. მოგვიანებით ფანჩატური გაუუქმებიათ და ეკლ. გადაუკეთებიათ. ეკლ. შიგნიდან შელესილი და შეთეთრებულია. ეკლესიას ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში ორსართულიანი **სამრეკლო** აქვს მიშენებული. სამრეკლოს პირველი სართული გეგმით სწორკუთხაა, კედლები შეისრული თაღებითაა დასრულებული, კუთხეებში აფრებია. აღმ. კედელში ერთი სარკმელი ყოფილა, დას-ისაში — ორი. მეორე სართული რვაწახნაგა ფანჩატურია, რ-საც წახნაგებში შეისრული თაღით დასრულებული ღიობები აქვს. სამრეკლო გადახურულია აგურის გუმბათითა და კრამიტის პირამიდული სახურავით.

ეკლესიის აღმ. ფასადზე და სამრეკლოს დას. კედელში ჩასმულ ქვიშაქვის ქვებზე შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული წარწერები. ეკლ. სომხურია. *მ. გ.*

103 ოსეფაანთ კოშკი, არქიტ. ძ. დგას ოსეფაანთ უბანში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. კოშკი გეგმით სწორკუთხაა (8,3 X 7,3 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია ორი სართული და მესამე სართულის ქვედა ნაწილი. კოშკს აღმ-დან მიშენებული აქვს საცხოვრებელი სახლი, სამხრ-დან — საპირფარეშო. კოშკში შესასვლელი სამხრ-ით, მეორე სართულის დას. კუთხეშია. კარს გარედან ტიმპანიანი არქიტრავი აქვს, ხოლო შიგნიდან თაღოვანია. ეს სართული გადახურულია ცილინდრული კამარით. ორი სარკმელია კამარის სამხრ. ნაწილში,

103. სამხრ. ფასადი, განაკვეთი





103. სართულების გეგმები

ერთი — აღმ. კედელში. ოთხივე კედელში ექვსი თაღოვანი ნიშია. პირველი სართული მეორეს დას. კედელში დატანებული კიბით უკავშირდებოდა. მეორე სართულს ხის კოჭებზე მიწყობილი გადახურვა ჰქონია. ამ სართულზე კედლის სისქის შესამცირებლად დიდი ზომის ნიშებია დატანებული. ნიშების უმეტესობა თაღოვანია და თითოეული სამ-სამი სათოფურითაა აღჭურვილი. ჩრდ. კედელში ბუხარია. მეორე სართული მესამეს სამხრ. კედელში დატანებული კიბით უკავშირდებოდა. *მ. გ., შ. ი.*

104. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, ტორიკაანთ უბანში. თარიღდება X ს. დასასრულით. ეკლ. დარბაზულია (11,3 X 5,9 *მ*), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით, კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია თლილი ქვა. შესასვლელი სამხრ-იდანაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ორივე მხარეს — თითო მაღალი ნახევარწრიული, თაღოვანი ნიში. მარცხ. ნიში მარჯვენაზე უფრო მოკლეა და ქვემოთ სწორკუთხა ღიობი აქვს (გვიანდ. გადაკეთება). აფსიდის სარკმლის წინ ხატრაპეზო ქვა დგას. აფსიდი, კედლები და ტიმპანი შელესილია. გადაკეთებულია აფსიდის კონქიც. აფსიდის მხრები სამსაფეხუროვანია: პირველ საფეხურს გრძივი კედლების მიმდებარე თაღების ქუსლები ეყრდნობა, ხოლო დანარჩენი ორი საფეხური მაღლა გრძელდება და ერთიანდება კონქის ქუსლის დონეზე, საიდანაც სატრიუმფო თაღის ქუსლი იწყება. აფსიდის მხრების წინ საკურთხევლის ბაქანია, რ-საც ცენტრში ნახევარწრიული არდაბაგი ეკვრის. გრძივი კედლები ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი ხამსაფეხურიანი პილასტრებით. პილასტრების სათანადო საფეხურებზე კედლის მიმდებარე თაღები და ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი გადადის. დას. კედელთან კუთხის ორსაფეხურიანი პილასტრებია, რ-თა სათანადო საფეხურებზე გრძივი და დას. კედლების მიმდებარე თაღებია გადაყვანილი. გრძივი კედლების პილასტრებს კამარის ქუსლის დონეზე რთულპროფილიანი კაპიტელები აქვს. შედარებით მარტივი კაპიტელებია კედლის მიმდებარე თაღების ქუსლებთან. ამასთანავე აღმ. კედლის მიმდებარე თაღი დას-ისაზე გაცილებით მაღალია, მაგრამ კაპიტელები აქ ერთ საერთო უფრო დაბალი თაღის ქუსლის დონეზეა გაკეთებული. სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რ-იც გვიან გაუქანიერებიათ. ასეთივე სარკმელია დას. კედელში, ცოტა მაღლა. დარბაზის კედლები შელესილი და **მოხატული** ყოფილა — მხატვრობის სუსტი კვალი შეიმჩნევა ჩრდ. კედლის შელესილობის მეორე ფენაში.

ფასადების კედლის სიბრტყე სხვადასხვა ფორმისა და ფერის ქვითაა ნაწყობი. კუთხეებში დიდი ზომის ქვებია გამოყენებული. აღმ. ფასადის სარკმელს ერთ ქვაში გამოკვეთილი

104. გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ. გეგმა



სათაური აქვს. სათაურზე შემორჩენილია ბრტყელი საპირის თაღოვანი ნაწილი, რ-იც წარმოადგენს ნახევარწრიულ ლილვებშორის მოქცეულ უწყვეტად გადაბმული რვიანების ორნამენტს და ზემოდან ხერხისებური გლუვზედაპირიანი ორნამენტითაა შემოფარგლული. სამხრ. ფასადზე შესასვლელს დიდი მწვანე ქვებით ნაწყობი საპირეები აქვს და დასრულებული იყო რთულპროფილიანი არქივოლტით (ამოვარდნილია), რ-ითაც მოჩარჩოებული იყო კარის ტიმპანი. ამავე ფასადზე გადაკეთებული სარკმლის მწვანე ქვით ნაწყობი საპირე ვერტიკალურად დანაწევრებული ელემენტებით იყო მორთული და ორნამენტიანი სათაურით დაგვირგვინებული. დას. ფასადზე მაღლა. მოურთველი სარკმლის ორივე მხარეს ჩასმულია წარწერიანი ქვები (დაზიანებულია). სარკმლის ქვემოთ ორი ქვაა, რ-ებზეც წითლად შეღებილ ფონზე ტოლმკლავებიანი ჯვრებია გამოსახული. ეკლესიას თაროსებრი ლავგარდანი ჰქონია. განივ ფასადებზე ფრონტონის ლავგარდანს ქვემოთ პორიზ. გადანაკეცები აქვს. ეკლ. გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით. *ბერ. ც., ღვ. თ.*

105. ᲬᲛ. ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას ძვ. სასაფლაოზე. თარიღდება IX-X სს-ით. ეკლ. დარბაზულია (7.5X4,7 *მ*), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით, კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია მოზრდილი გათლილი ქვები. შესასვლელი სამხრ. კედლის შუა ნაწილშია კარი შიგნიდან თაღოვანია და ტიმპანითაა დასრულებული. ოდნავ ნალისებრი ფორმის აფსიდში სწორკუთხა სარკმელია, რომც გარეთკენ ძლიერ ვიწროვდება. მის გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშია. მეორე სწორკუთხა სარკმელი დას. კედელშია. სატრიუმფო თაღის იმპოსტის პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს, ხოლო დას. კედელთან შეკიდული საბჯენი თაღის კრონშტეინების პროფილს — თარო და ნათხალი ლილვი აფსიდის კონქი სარკმლის ზემოთ გარღვეულია ფრონტონის კედლის სიბრტყემდე. აღმ. ფასადზე, ფრონტონის ზემოთა ნაწილში სწორკუთხა შეღრმავებაა. ხაკურთხევლის თაღოვანი სარკმელი გარედან მოწითალო ტუფის მოზრდილი ქვებითაა ნაწყობი. თაღოვანი ნაწილი ერთ ქვაშია ამოკვეთილი. სამხრ. ფასადის კედლის წყობაში გამოირჩევა შესასვლელი, რ-იც მთლიანად ამოყვანილია გათლილი ქვებით. ეკლესიის კედლები დასრულებულია სქელი ფიქალის ფილებით ნაწყობი თაროსებრი ლავგარდნით, რ-საც გვერდითი ფასადების ფრონტონებზე პორიზ გადანაკეცები აქვს. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, გადახურული ყოფილა კრამიტით. *ბერ. ც., ღვ. თ.*

105. სამხრ ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ. გეგმა



# ზემო ხანდაკი

**(სოფსაბჭოს ცენტრი)**

106. სოფ. ზ ე მ ო ხ ა ნ დ ა კ შ ი 1925 წ შეიქმნა ამხანაგობა „ახალი ცხოვრება". ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა სოფლის მკვიდრი მიხეილ გოგიბედაშვილი. ამხანაგობის წევრებმა გადაწყვიტეს მიწის დამამუშავებელი მანქანის შეძენა. ცნობილი მეცნიერის კონსტანტინე ამირეჯიბის დახმარებით მათ შეძლეს ბანკიდან სახელმწ. კრედიტის მიღება და უცხოური „პოლტის" მარკის ტრაქტორის შეძენა. ტრაქტორი სოფ. ზემო ხანდაკში ჩამოიყვანა ინსტრუქტორ-მექანიკოსმა ივანე ლუკიანოვმა. მისი თანაშემწე იყო სერგო კელაპტრიშვილი, შემდგომში ერთ-ერთი პირველი ქართველი ტრაქტორისტი. ეს მოვლენა დიდი ზეიმით აღნიშნეს ზემო ხანდაკისა და მისი მეზობელი სოფლების მეტეხის, ახალქალაქისა და სხვათა მცხოვრებლებმა. *ქ. ქ.*

*ბიბლ.:* 421:ფონდი 288, აღწ. 1 ტ. 2, საქ. 1112, ფ. 2-4.

107. ᲙᲐᲚᲝᲑᲐᲜᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით 2 *კმ*-ზე, მთის ბორცვზე. თარიღდება XVII-XVIII სს-ით. ეკლ. დარბაზულია (8,2 X 7,4 *მ*), ნაგებია ტუფით, ქვიშაქვითა და აგურით. ეკლ ძალზე დაზიანებულია, მთლიანად შემორჩენილია მხოლოდ აღმ-ის ფასადი, რ-საც ნათლად ეტყობა გადაკეთების კვალი. სატრიუმფო თაღთან შემორჩენილია ცილინდრული კამარის ფრაგმენტები დაზიანებულია სამხრ. კედლის მნიშვნელოვანი ნაწილიც. ეკლესიას ორი შესასვლელი ჰქონია: დას-დან და ჩრდ-დან. დას-ისა მთლიანად დანგრეულია. დას. კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია. აღმ ფასადზე შემორჩენილია აგურის ფრონტონი და აგურისსაპირიანი სარკმლის ნაწილი. შეკეთებისდროინდელია ფრონტონის შუა ნაწილში აგურის წყობით გამოყვანილი თანაბარმკლავებიანი ჯვარი. ფასადებს აგურის თაროსებრი ლავგარდანი შემოუყვება. XIX ს-ში ეკლესიისათვის ჩრდ-დან მიუშენებიათ პატარა ს ა თ ა ვ ს ი, რ-შიც შესვლა ეკლესიის ჩრდ. კედელში გაჭრილი კარით შეიძლება. *ღვ. თ., ჯობ. გ.*

108. ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან 2-3 *კმ*-ზე, მოშიშვლებულ ბორცვზე თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით ეკლ. დარბაზულია (8,15 X 5,75 *მ*), ნაგებია ნატეხი რიყის ქვითა და ქვაფიქალით. გარედან არქიტრავული, შიგნიდან თაღოვანი შესასვლელი სამხრ-ითაა. კარის ხვრელობი დაბალია. არაღრმა აფსიდის ღერძზე გაჭრილია სწორკუთხა

108. განივი განაკვეთი აღმ-კენ. გეგმა



სარკმელი. მის ორივე მხარეს მცირე ნიშებია. სარკმლის ქვეშ მთლიანი ქვის სატრაპეზო დგას. ერთი სარკმელი დას. კედელშია. დარბაზის ცილინდრული კამარის ქუსლები გრძივ კედლებს ეყრდნობა. აღმ. ფასადი საკმაოდ განიერია და მეტისმეტად მაღალი ფრონტონი აქვს. *ანდღ. ნ.*

109. **საწარმო**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. აქ აღმოჩნდა ბრინჯაოს ფოთლისებრი ვიწროქუდიანი სატევრის პირები, ფართომხრიანი მოზრდილი თოხი და ბრინჯაოს ზოდი (3 *კგ*), რაც ადასტურებს აქ მეტალურგიული საწარმოს არსებობას. *ბ. მ.*

110. **წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება XIX ს-ით. ეკლ. დარბაზულია (15,7 X 7, 8 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, რიყის ქვითა და აგურით, კუთხეები ნაწყობია თლილი ქვით. დას-ით შესასვლელია, რ-საც შიგნით და გარეთ აგურით ნაწყობი დამრეცი თაღი აქვს. აფსიდის ღერძზე ფართო, მაღალი თაღოვანი სარკმელია, მის გვერდებზე — ორი სწორკუთხა ნიში. აფსიდი მცირე მხრებითაა გამოყოფილი დარბაზისაგან. კარის თავზე ერთი ფართო და მაღალი თაღოვანი სარკმელია. ორი ასეთივე სარკმელი ჩრდ. კედელშია. ამავე კედლის შუა ნაწილში ერთი მარტივი პილასტრია. თითო პილასტრი შემორჩენილია დას. კედლის კუთხეებშიც. მათ კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობოდა. *ნ. შ.*

110. დას. ფასადი, გეგმა



111. **წმ. თევდორეს ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან 1 *კმ*-ზე, სოფ. ხოვლისკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, მთის ფერდობზე. თარიღდება XIV-XVI სს-ით. ეკლ. დარბაზულია (13 X 7 *მ*), ნაგებია შაბიამნისფერი თლილი ტუფითა და ქვიშაქვის დიდი კვადრებით. ეკლესიას არქიტრაეით გადახურული ორი შესასვლელი აქვს — სამხრ-ით და დას-ით. არქიტრავებზე ამოჭრილია ტიმპანები, რ-ებიც მოჩარჩოებულია არქივოლტით. აფსიდში ერთი სარკმელია. საკურთხევლის წინ შემორჩენილია ქვის კანკელის ნაშთი. დარბაზის ცილინდრული კამარა პილასტრებზე დადგმულ, ტუფის კარგად დამუშავებული დიდი ქვებით ნაწყობ თაღებს ეყრდნობა. პილასტრებს მარტივი პროფილის კაპიტელი აქვს. სამხრ. კედელში, საკმაოდ მაღლა გაჭრილია ორი სარკმელი.

ინტერიერში შემორჩენილია გვიანდ ფეოდ. ხანის (ა) მოხატულობის ფრაგმენტები. კონქში გაირჩევა ტახტზე მჯდომი ქრისტე და ორი მთავარანგელოზი. ქრისტეს ტახტი და ნაცრისფერი შარავანდის კიდე შემკულია ძვირფასი ქვებით. ქვემოთ კონქის კომპოზიცია მოჩარჩოებულია ფართო ორნამენტული ზოლით (გახსნილი რვიანის მსგავსი ლენტოვანი წნული), მცენარეული მოტივებითაა მორთული ქრისტეს ფეხსადგამის წინაპირი. გამოსახულებათა ქვედა რიგი (წმინდანთა ფიგურები) თითქმის მთლიანად ჩამორეცხილია. საკურთხევლის სარკმელში შერჩენილია ყავისფერი და მონაცრისფრო-შავი საღებავით შესრულებული მცენარეული ორნამენტის ფრაგმენტი. მოხატ. ხასიათდება შესრულების ხაზოვნებითა და სიხისტით. კონტურები უმთავრესად შავია. წმინდანთა ტანსაცმლის გალიაფერებას სრულიად სქემატური, გეომეტრიული ნახატის სახე აქვს. მოხატულობის კოლორიტი უმთავრესად მონაცრისფრო-თეთრი, მუქი მოწითალო-ყავისფერი, შავი, მღვრიე ყვითელი, მონაცრისფრო-შავი და მომწვანო ოქრას ფერებისაგან შედგება.

ეკლესიის აღმ. ფასადზე, სარკმლის ქვიშაქვის სათაურზე გამოსახულია ჯვარი და არშია. მარტივპროფილიანი ლავგარდნის ფრაგმენტები შემორჩენილია სამხ. და ჩრდ. ფასადებზე. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, გადახურული ყოფილა კრამიტით.

მოგვიანებით ეკლესიისათვის სამხრ-დან კარიბჭე, ეგვტერი და პატარა სათავსი მიუშენებიათ, დას-დან კი მთელ სიგრძეზე — ვიწრო სათავსი (შემორჩენილია ნანგრევები), რ-იც ეკლესიისგან მასიური პილასტრებითა და თაღით იყო გამოყოფილი. კარიბჭიდან შეიძლებოდა შესვლა ეკლესიაში, ეგვტერსა და მცირე სათავსში, აქედან კი — დას. მინაშენში. კარიბჭე ცილინდრული კამარით იყო გადახურული. ეგვტერიც (7,2 X 3,6 *მ*) გადახურულია ცილინდრული კამარით. ეგვტერში აფსიდის ღერძზე ერთადერთი სარკმელია, სამხრ. კედელი ყრუა, ჩრდ-ით თაღედია, რ-იც ეკლესიის კედელს ეკვრის.

*ბიბლ.:* 149. *დ. ფ., მ. გ.*

**თავკავთის კომპლექსი**, იხ. სოფ. წინარეხი.

## თეზი

(ოკმის სოფსაბჭო)

112. **კვირაცხოვლის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, სასაფლაოზე, შემაღლებულ ადგილზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (5,5X4,3 *მ*), ნაგებია რიყის ქვით, ძლიერ დაზიანებულია. შესასვლელი სამხრ-დანაა. იგი არქიტრაეით ყოფილა გადახურული (შემორჩენილია ბუდეები). ოდნავ შებრტყელებული ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია, მის გვერდებზე — თითო ნიში. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია სატრაპეზო ქვა. აფსიდის მოხაზულობისაა სატრიუმფო თაღიც. საკურთხეველი გადახურულია ნახევარწრიული დაბეტონებული კამარით. აფსიდიდან კამარაზე გადასვლა განხორციელებულია აფსიდის კედლის თანდათანობით გათხელებით. ინტერიერი შელესილია. ფასადების კედლები დასრულებულია იყო თაროსებრი ლავგარდნით. ეკლ. გადახურული იყო ბრტყელი კრამიტით, რ-ის ანაბეჭდები შემორჩენილია გადახურვის დუღაბზე.

ეკლესიის ეზო შემოზღუდულია რიყის ქვით ნაგები წრიული გალავნით, რ-იც ამჟამად ძლიერ დანგრეულია — კედლები მხოლოდ 1 *მ* სიმაღლეზეა შემორჩენილი. გალავანში შესასვლელი (შემორჩენილია ერთი წირთხლი) ჩრდ.-დას-დან იყო. *დე. თ.*

113. **წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება XIX ს-ით. ეკლ. დარბაზულია (7,6 X 4,1 *მ*), ნაგებია რიყის ქვით, კონსტრ. ნაწილებში (კამარა, საყრდენი თაღი,

კონქი) გამოყენებულია აგური. 1978წ. სოფლის მოსახლეობას ეკლ. თავისი სახსრებით შეუკეთებია, განუახლებია ეკლესიისა და გალავნის კედლები. ეკლ. მოხატული ყოფილა. ამჟამად ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია. ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-დანაა. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო სწორკუთხა სარკმელია. მის გვერდებზე — თითო პატარა ნიში. სარკმლის ქვემოთ, კედელზე სატრაპეზო ქვაა მიდგმული. ჩრდ. ნიშსა და სარკმელს შორის პატარა საჭურჭლეა. დარბაზის გრძივი კედლები წყვილი პილასტრით ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა. აღმ. მონაკვეთი უფრო ფართოა. პილასტრებზე დაყრდნობილია ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი. სამხრ. კედელში ერთი ფართო სწორკუთხა სარკმელია (გაჭრილია შეკეთების დროს). აღმ. ფასადის ფრონტონის წვერზე დგას გუმბათიანი ეკლესიის მოდელი კედლები დასრულებულია აგურის საფეხურებიანი ლავგარდნით. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, გადახურული ყოფილა ღარიანი კრამიტით (შემორჩენილია ნაშთი).

დას. ფასადის ფრონტონზე დაშენებულია აგურით ნაგები პატარა სამრეკლო — ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილი ფანჩატური, რ-იც გადახურულია აგურის პირამიდული სახურავით. ეკლესიას სამხრ-დან ეკვრის გალავნით შემოზღუდული პატარა სწორკუთხა ეზო, რ-შიც ორი საფლავია. *დვ. თ.*

## თელათგორი

(წინარეხის სოფსაბჭო)

114. სოფ. თელათგორის მიდამოებში 1728 წ. ქართველთა ლაშქარმა დაამარცხა ლეკები და ოსმალთა ჯარი.

ბიბლ.: 89:512; 186:71-72. *აფრ. გ.*

115. ნაქალაქარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, სამხრ.-დას-ით, ახალქალაქ-წინარეხის გზის გასაყართან. კომპლექსი შედგება ნამოსახლარი გორის, ნაქალაქარისა და სამაროვნისგან.

(ა) ნამოსახლარი გორა ამოზიდული ტიპისაა. ადგილ. მოსახლეობა მას „საფუზრების გორას" უწოდებს. ნამოსახლარზე ზედაპირულად იპოვება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინისა და ანტ. ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები.

(ბ) ნაქალაქარი ნამოსახლარს ეკვრის სამხრ-დან (ფართ. დაახლ. 15 ჰა). ნაქალაქარზე დასტურდება ორი კულტ. ფენა (ძვ. წ. III-II და ახ. წ. I-III სს.). ორივე ფენაში გამოვლინდა სახლების ნაშთები, რ-ებსაც იატაკი თიხატკეპნილი ჰქონიათ, ხოლო სახურავი კრამიტისა. ნასახლარებთან, ქვედა ფენაში დიდი რაოდენობით იპოვეს წითლად მოხატული ქვევრები, ასევე წითლად შეღებილ-მოხატული ჭურჭელი. ნაქალაქარზე უხვადაა წითლად შეღებილი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტები და ანტ. ხანისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები. ჭურჭლის მოხატულობაში ჭარბობს გეომეტრიული სახეები, სიუჟეტური ნახატი. ზედა ფენაში ძირითადად სადაზედაპირიანი ჭურჭელია. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლინდა I-III სს. კერამ. წარმოების ნაშთი. გვიანდ. ანტ. ხანაში ქალაქის ტერიტორია მცირდება.

(გ) ძვ. წ. III-II სს-ის ნასახლარებში გამოვლინდა I-III სს. სამაროვანი. აქვე, ელინისტ. ხანის სახლების ნაშთების ქვეშ, აღმოჩნდა გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ერთი ორმოსამარხი. მიცვალებული ესვენა მოკუნტული, მარცხ. გვერდზე, თავით დას-კენ ინვენტარიდან აღსანიშნავია ფოთლისებრი სატევრისპირი. აქვე იყო ადრინდ. რკინის ხანის კიდევ ერთი ორმოსამარხი. დამარხვის წესი აქაც ანალოგიურია. ინვენტარიდან აღსანიშნავია კონუსურთავიანი საკინძები. I-III სს. სამაროვანზე ერთდროულად ერთმანეთის გვერდით გვხვდება ორმოსამარხი, კრამიტსამარხი და ქვევრსამარხი. ყველა ტიპის სამარხში დამარხვის წესი ერთგვარია, მიცვალებული ასვენია ხელფეხმოხრილი, მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, თავით სამხრ-კენ ან სამხრ.-აღმ-კენ. ინვენტარიც იდენტურია — წვრილი სუფრის ჭურჭელი და ბრინჯაოსა და რკინის სამკაულები. კრამიტსამარხში აღმოჩნდა ავგუსტუსისა და გოტარზის ვერცხლის მონეტები *კვ. რ.*

116. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ბოლოს, სამხრ.-აღმ-ით, თრიალეთის ქედის ჩრდ. განშტოებაზე. თარიღდება ადრინდ. რკინის ხანით. ადგილი ძალზე დახრამულია, ხშირია მეწყერიც, რ-ის დროსაც ელინდება ცალკეული ნივთები. სამარხში აღმოჩნდა თიხის ჯამი, ბრინჯაოს ორი ბოთლისებურთავიანი საკინძი, ბეჭედი და თიხის 4 ხელადა. მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *ბ. მ.*

117. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, შემაღლებულ ადგილზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. შეკეთებულია 1982 წ. ეკლ. დარბაზულია (7,25X4,8 *მ*), ნაგებია უხეშად გათლილი საშ. ზომის ქვიშაქვის კვადრებით, წყობაში ჩართულია დიდი ქვებიც. შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავული შესასვლელი (ამოშენებულია) სამხრ. კედლის დას. ნაწილში ყოფილა. შესასვლელის თავზე მცირე ზომის



117. აღმ. ფასადი, გეგმა

სწორკუთხა ნიშია. ნახევარწრიული აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია მცირე მხრებით. საკურთხევლის იატაკი ერთი საფეხურით ამაღლებულია. აფსიდის ღერძზე შიგნიდან სწორკუთხა, გარედან თაღოვანი სარკმელია. მის ქვემოთ, კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა. ორი სწორკუთხა სარკმელი ეკლესიის სამხრ. და დას. კედლებშია. სამივე სარკმელი შიგნიდან გარეთ ვიწროვდება. დარბაზის გრძივი კედლები და კამარა დანაწევრებულია წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრით და მათზე დაბჯენილი თაღით. აღმ. ფასადზე, საკურთხევლის სარკმლის თავზე ჩადგმულია ჯვრიანი ქვა. ეკლესიისთვის მოგვიანებით შემოუშენებიათ თაროსებრი ლავგარდანი. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით.

ეკლესიას დას-ით აქვს სწორკუთხა მინაშენი (5,5X4,8 *მ*). იგი წმ. თევდორეს სახელს ატარებს. მინა-

შენიც ნაგებია ქვიშაქვით, მხოლოდ უფრო მცირე ზომის ქვებით, ვიდრე ეკლესია. მინაშენი ეკლესიას უკავშირდება ეკლესიის დას. კედელში გაჭრილი განიერი სწორკუთხა ღიობით. მინაშენში შესასვლელი სამხრ. კედლის აღმ. ნაწილშია, ამავე კედლის დას. ნაწილში სწორკუთხა სარკმელია. მინაშენი შიგნიდან გადახურულია ხის კოჭებზე მოწყობილი ნივნივებით. მინაშენიც ღარიანი კრამიტითაა გადახურული. *კალმ. გ.*

# თეალადი

**(კავთისხევის სოფსაბჭო)**

118. ქავთის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში, დაბალ ბორცვზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (10.5X4,9 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. გარედან თაღოვანი შესასვლელი სამხრ-ითაა. ღრმა ნახევარწრიული ფართო აფსიდის ღერძზე სარკმელია, მის გვერდებზე — ღრმა სწორკუთხა ნიშები. ორი შედარებით მცირე ნიში ჩრდ. კედლის ქვედა ნაწილშია. დარბაზის გრძივ კედლებში თითო სარკმელია (სამხრ-ით მეორეც უნდა ყოფილიყო). საკურთხევლის წინ აგურის კ ა ნ კ ე ლ ი მდგარა (შემორჩენილია ფრაგმენტები). საკურთხევლის იატაკზე მოგებულია ბრტყელი აგური. ეკლ. XIX ს. შეულესავთ. ფასადების კედლები დასრულებულია აგურის სამი რიგისაგან შედგენილი ლავგარდნით. *მგ. მ., ს. თ.*

119. ქავთის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას გორაკზე, ღვთისმშობლის ეკლესიისგან 5 *კმ*-ზე (ადგილ. მცხოვრებთა გადმოცემით, ორივე ეკლ. თაქავთის წმ. გიორგის ეკლესიის „მისალოცს" წარმოადგენდა). თარიღდება XIX ს-ით. ეკლ. დარბაზულია (15,6X7,2 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, რიყის ქვითა და აგურით, კონსტრ. ნაწილები ამოყვანილია თლილი ქვით. შესასვლელი სამხრ-დან და დას-დანაა. ღრმა ნახევარწრიულ აფსიდში სამი დიდი სარკმელია. ასეთივე წყვილი სარკმელია გრძივ კედლებში. აფსიდის კედლებში რამდენიმე სხვადასხვა ზომის ნიშია. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-საც ერთსაფეხურიან პილასტრებზე გადაყვანილი ორი საბჯენი თაღი აქვს. საკურთხეველი დარბაზის იატაკის დონიდან ამაღლებულია ერთი საფეხურით. იატაკზე მოგებულია ფიქალის დაუმუშავებელი ნატეხები. კედლები შელესილი (შელესილობა ჩამოცვენილია) და შეთეთრებული ყოფილა. აღმ. ფასადზე ხუთწახნაგა შეჭრილი აფსიდის თაღოვანი სარკმლები დეკორატ. სწორკუთხედებშია ჩასმული. ეკლესიას ვიწრო თაროსებრი ლავგარდანი და ორფერდა კრამიტის სახურავი აქვს. დას. ფასადზე მიშენებულია აგურის კ ა რ ი ბ ჭ ე-ს ა მ რ ე კ ლ ო — თაღებგახსნილი, ორსართულიანი ნაგებობა, რ-ის მეორე სართული (სამრეკლო) მთლიანად დანგრეულია. ქვედა, ნახევარწრიული კამარით გადახურული სართული ეკლესიაში შესასვლელია. *მგ. მ.*

120. მეფეთსადგომის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას. კიდეში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8X5,9 *მ*), ნაგებია თლილი ქვით, კამარის საბჯენი თაღი აგურისაა, ხოლო კამარა — რიყის ქვის. შესასვლელი ორია: ერთი, შიგნიდან და გარედან დამრეცთაღიანი, — დას. კედლის ცენტრში, მეორე, შიგნიდან თაღოვანი და გარედან სწორკუთხა, — ჩრდ. კედლის დას. ნაწილში. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ორივე მხარეს — სწორკუთხა ნიშები. თითო სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშია. დარბაზის კამარის საბჯენი თაღი გრძივი კედლების წყვილ მარტივ პილასტრს ეყრდნობა. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. *ნ. შ.*

120. სამხრ. ფასადი, გეგმა





121. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის კლუბის უკან, ფერდობზე. თარიღდება XIX ს. ეკლ. დარბაზულია (7,6X5,1 *მ*), ნაგებია ნატეხი და უხეშად დაკუთხული ქვებით, წყობაში ურევია რიყის ქვაც. ოდნავ შეისრული ფორმის თაღიანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ერთი შესასვლელი ჩრდ. მხრიდანაცაა. ნახევარწრიული, მცირე სიღრმის აფსიდის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია, თითო ასეთივე სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშია. აფსიდის სამხრ. ნაწილში პატარა ნიშია. დარბაზთან შედარებით აფსიდი საგრძნობლად დაბალია. აფსიდის კონქის ზევით მოწყობილი ყოფილა სამალავი (დანგრეულია). დარბაზის კედლები შელესილია. შეისრული ფორმის ყოფილა კირხსნარითა და ნაყარი ქვებით დაბეტონებული კამარა. *მგ. მ.*

122. გიორგი შატბერაშვილის სახლი, ისტ. ძ. დგას შატბერაანთ უბანში, ამაღლებულ ბორცვზე. ეკუთვნოდა ქართვ. მწერალსა და საზ. მოღვაწეს გიორგი შატბერაშვილს (1910-65 წწ ). სახლი ნაგებია ქვით, ორსართულიანია, აქვს ღია აივნები, გადახურულია კრამიტით. პირველი სართულის ორი ოთახი სამეურნეო დანიშნულებისაა. მეორე სართულზე ორი დიდი ოთახიდან (თითოეული 35 *კვ მ*) ერთი სამუშაო კაბინეტი იყო. აქ დგას მწერლის საწერი მაგიდა, სკამი და წიგნების კარადა. ამ სახლში დაწერა მწერალმა მრავალი ლექსი, მოთხრობა, აქ შეაგროვა მასალა წიგნისათვის „თეალადური ქართული ჭაშნიკი". სოფელში მწერლის ხშირი სტუმრები იყვნენ რუსი და ქართვ. მწერლები. *ბერძ. ც.*

123. ნიკო ცხვედაძის სახლი, ისტ. ძ. მდებარეობს მონასელიანთ უბანში. აგებულია 1814 წ. ეკუთვნოდა ცნობილ ქართვ. პედაგოგსა და საზ. მოღვაწეს ნიკო ცხვედაძეს (1845-1911 წწ.). სახლი დგას ყორეშემოვლებულ ეზოში. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრ-დან აქვს. შენობა სამხრ-დან ორსართულიანია, ჩრდ-დან — სამსართულიანი. მესამე სართული მოგვიანებით დაუშენებია ნ. ცხვედაძის სიძეს, ცნობილ ქართვ. მეცნიერ-ეკონომისტს ფ. გოგიჩაიშვილს. შენობას დას. და ჩრდ. მხარეს ჰქონია გალერეა (ამჟამად ამოშენებულია). პირველ სართულზე სიგრძივ ოთხი ოთახია, წინ დერეფნით, მეორე სართულზე — სამი. შენობის სახურავი ღარიანი კრამიტისაა.

ნ. ცხვედაძესთან ზაფხულობით სოფელში ხშირად ჩადიოდნენ სტუმრად გამოჩენილი პედაგოგები და საზ. მოღვაწეები. მისი უახლოესი მეგობარი იაკობ გოგებაშვილი ჭაბუკობიდანვე სოფ. თეალადში, ნ. ცხვედაძის დედის ოჯახში, ისვენებდა. ნ. ცხვედაძის სახლში მას ცალკე ოთახი ჰქონია დასასვენებლად და სამუშაოდ. ამ ოთახს „იაკობის ოთახს" ეძახდნენ. აქ დაწერა ი. გოგებაშვილმა „კონა" და „იავნანამ რა ჰქმნა". ამჟამად ნ. ცხვედაძის სახლში კავთისხევის რვაწლიანი სკოლაა.

*ბიბლ.:* 110ა:282, 334, 346. *ყაზ. ლ.*

124. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ონოფრიანთ უბანში, ვანო ზაქარიაშვილის ეზოში. თარიღდება XIX ს-ით. ადგილ. მცხოვრებთა გადმოცემით, ეკლ. თავკავთის წმ. გიორგის ეკლესიის (მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, მთებში) „მისალოცს" წარმოადგენს. ეკლ. დარბაზულია (9,4X6,1 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით, ზოგან კედლების წყობაში, სარკმლებისა და კარის თაღებზე გამოყენებულია აგური. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია. ორივე მხარეს თაღოვანი შესასვლელი სამხრ-ითაა. უჩვეულოდ ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია. აფსიდის კედლებში სამი სწორკუთხა ნიშია (ორი — სარკმლის გვერდებზე, სიმეტრიულად, ერთი — სარკმელთან ახლოს). თითო სარკმელია ეკლესიის დანარჩენ სამ კედელში. დას. კედლის სამხრ. ნაწილში გაურკვეველი დანიშნულების ორი ღრმა ნიშია. (ა) ეკლ. შიგნით შელესილი და მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა (აქა-იქ შემორჩენილია ფერადი ლაქები, ძირითადად მუქი შინდისფერი). დარბაზი კამარით ყოფილა გადახურული. ფასადებზე კარ-სარკმლის თაღები კარგად არის გამოყვანილი. *მგ. მ.*

125. წმ. ნიკოლოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას მექანარიანთ უბანში, ამაღლებულ ადგილზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,1X6,25 მ), ნაგებია დიდი ზომის უხეშად დაკუთხული და პირმოსწორებული ქვებით. ოდნავ გაბრტყელებულ ნახევარწრიულ აფსიდში თაღოვანი სარკმელია, მის გვერდებზე — თითო სწორკუთხა ნიში. აფსიდის სატრიუმფო თაღი აგურითაა ამოყვანილი. თითო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი ეკლესიის დას. და სამხრ. კედლებშიც. ეკლესიას ორი, გარედან არქიტრავული და შიგნიდან თაღოვანი, შესასვლელი აქვს: დას. კედლის ცენტრში და ჩრდ. კედლის დას. მონაკვეთში. დარბაზი გადახურულია წვრილი ქვით ნაშენი ნახევარწრიული კამარით, რ-იც ერთსაფეხურიან პილასტრებზე დაბჯენილ თაღს ეყრდნობა. კედლები შელესილი ყოფილა. ფასადების კედლები დასრულებულია მარტივი პროფილის ლავგარდნით. დას. ფასადის ცენტრში ცისფრად მოჭიქული აგურით გამოყვანილია დიდი ზომის ჯვარი (დაზიანებულია). *დვ. თ., მგ. მ.*

## ითხოთის მთა,

იხ. სოფ. ა ღ ა ი ა ნ ი, თ ხ ო თ ი ს მ თ ა.

## იგოეთი

(თემის სოფსაბჭო)

126. ნაქალაქიანთ ხევი, არქეოლ. ძ. მდებარეობს იგოეთ-ლამისყანის გზიდან 1 კმ-ზე, ხელმარცხნივ. თარიღდება გვიანდ. ანტ. ხანით. თხრილში იკრიფება კერამიკა. *მკ. ჯ.*

127. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფ. იგოეთთან. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის ხანით. გამოვლინდა თბილის-გორის საავტ. გზის მშენებლობის დროს. რამდენიმე სამარხი დაზიანდა, რის გამოც მიცვალებულთა დაკრძალვის წესის დადგენა ძნელდება. ს-ში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი — ჯამი, სურა, ქოთანი, სადღვებელი და სხვ., აგრეთვე რკინის ლაგამი, შუბისწვერი, ბრინჯაოს ბრტყელი ცული და სხვ. მოპოვებული მასალა დაცულია გორის ისტ.-ეთნ. მუზეუმში.

*ბიბლ.:* 23. *მკ. ჯ.*

128. ფუნაგისის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, ფერდობზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,1X4,8 მ), ნაგებია უხეშად დაკუთხული და პირგათლილი მოზრდილი ლოდებით. წყობაში ურევია რიყის ქვა და აგური. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა და კედლების ზედა ნაწილები. შესასვლელი სამხრ-იდანაა. გარედან კარის ზედა ნაწილი ჩამონგრეულია, შიგნიდან კარს 2,15 მ სიგრძის არქიტრავის გათლილი ქვა ადევს. ნახევარწრიული აფსიდის კონქი გაბრტყელებულია. მას მარტივ კონსოლებზე დაყრდნობილი ასეთივე ფორმის სატრიუმფო თაღი აქვს. ნახევარწრიული კამარით გადახურული დარბაზი შელესილი და მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა (გაირჩევა ფერადი ლაქები). *მგ. მ.*

129. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, გორაკზე, სასაფლაოსთან. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (5,85X4 მ), ნაგებია უხეშად დაკუთხული და პირგათლილი მოზრდილი ლოდებით, წყობაში გამოყენებულია რიყის ქვაც. შესასვლელი სამხრ-იდანაა. მცირე სიღრმის ნალისებრი აფსიდის ღერძზე ვიწრო სწორკუთხა სარკმელია, მის ორივე მხარეს — თითო სწორკუთხა ნიში. კონქი ნაგებია რიყის ქვით. სატრიუმფო თაღი რიყის ქვისავე კონსოლებს ეყრდნობა. (ა) ინტერიერი შელესილი და მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა (შემორჩენილია ფერადი ლაქები). შეკეთების დროს სატრიუმფო თაღი კრამიტით ამოუყვანიათ (შემორჩენილია მისი სამხრ. ნაწილი). *მგ. მ.*

130. მარიამ ჩადუნელის სახლი, ისტ. ძ. დგას შუა სოფელში, გზის მარცხ. მხარეს. სახლი ეკუთვნოდა ერთ-ერთ პირველ მეჭარხლე ქალს, 1937 წ-დან კოლ-ბა „გლეხის იმედის" თავ-რეს მარიამ ჩადუნელს (1901-72 წწ.). აშენებულია 1934-35 წწ., ორსართულიანია. თავდაპირველად პირველ და მეორე სართულზე ორ-ორი ოთახი იყო. ახლა სახლი ნაწილობრივ გადაკეთებულია. *ბეგ. ლ.*

131. წითელი საყდარი. არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, თბილის-გორის გზის პირას, ქ. კასპის გადასახვევიდან 150 მ-ზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. 1983 წ. ძ-ზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანებამ (რესტავრაციის ავტორი ნ. ზაზუნიშვილი).— გადაიხურა ეკლ. და სამხრ. მინაშენი. ეკლ. დარბაზულია (10X6,15 მ), ნაგებია ძირითადად მუქი წითელი ფერის აგურით (აქედან მომდინარეობს ძეგლის სახელწოდება), წყობაში ჩართულია ნატეხი და რიყის ქვებიც. შესასვლელი დას-იდანა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ფართო სარკმელია, მის ორი-

131 ხედი აღმ-იდან (აღდგენამდე), ხედი სამხრ.-აღმ-იდან (აღდგენის შემდეგ), გეგმა





ეე მხარეს — თითო ღრმა თაღოვანი ნიში. ორი სარკმელი სამხრ. კედელშია, ერთი — დას-ისაში, კარის თავზე. დარბაზის გრძივი კედლები დანაწევრებულია ორსაფეხურიანი მასიური პილასტრებით, რ-ებსაც ცილინდრული კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. პილასტრებს თაროსებრი კაპიტელები აქვს. ჩრდ. ფასადის ზედა ნაწილში, აგურის წყობაში ჩართულია თლილი კვადრების მწკრივი.

ეკლესიის სამხრ. მ ი ნ ა შ ე ნ ი ს გ ა ნ მხოლოდ კონტურებია შემორჩენილი. მას შესასვლელი სამხრიდან ჰქონია. *გ. კ., მგ. მ.*

## ႨႣႪႤႧႨ

(წინარეხის სოფსაბჭო)

132. ႨႣႪႤႧႨႱ ႬႠႧႪႨႱႫႺႤႫႪႨႱ ႤႩႪႤႱႨႠ, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ალმ-ით, გაევაკებულ ფერდობზე. თარიღდება VI ს. I ნახ-ით. ეკლ. ჯვარ-გუმბათოვანია (7,5X7 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის დიდი ლოდებით. ნაგებობის გეგმა თანაბარმკლავიან ჯვარს წარმოადგენს. შესასვლელი დას-დანაა. აღმ. მკლავში ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდში და სამხრ. მკლავში თითო სარკმელია. აფსიდში, სარკმლის ქვეშ, კედელზე მყარად მიმაგრებულია მოზრდილი სატრაპეზო ქვა. გუმბათის ყელის საბჯენი თაღების ქუსლებთან, კუთხეებში მასიური თაროებია დაყოლებული. თაროების დონეზე საბჯენი თაღები 0,12-0,14 *მ*-ით მკლავის სიღრმეშია შეწეული, რითაც უფრო ფართო კვადრატი წარმოიქმნება. ამ კვადრატზე აღმართულია გუმბათის ყელი. გუმბათის ყელის ოთხივე კუთხეში ტრომპებია. მათ საბჯენი თაღები არა აქვთ და ამოყვანილია ქარგილებით. გუმბათის კამარის ქუსლამდე გრძელდება ტრომპებზე აყვანილი

132. ალმ. ფასადი





132. გეგმა

სიბრტყეები, რ-თა თავზე იქმნება სამკუთხოვანი თაროები. აქედან კამარის წვერამდე გუმბათს ოთხი ნაკერი გასდევს. გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია: აღმ-ისა შედარებით ფართო და თაღოვანია, დანარჩენი სამი — სწორკუთხა. გუმბათის ყელის კუბური სივრცე გადახურულია ოთხი სეგმენტით შეკრული კამარით. გუმბათი ზევითკენ ვიწროვდება და ოთხივე კუთხე ჩამოთლილი აქვს.

(ა) ეკლ. შიგნით შელესილი და მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა. შემორჩენილია შელესილობისა და XII ს. მხატვრობის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები. გუმბათში გაირჩევა *ამაღლების* კომპოზიცია თორმეტი მოციქულით. საკურთხევლის კონქში *ვედრების* ფრაგმენტია, ქვემოთ, საკურთხევლის კედლებზე — ეკლესიის მამათა ექვსი ფიგურა. საკურთხევლის სარკმელი შემკულია ორი ორნამენტული ზოლით (კიბისებრი და უსასრულო ღეროს მოტივი). სამხრ. მკლავის სამხრ. კედელზე გამოსახულია *ჰეროდეს ნადიმის* სცენა, აღმ. კედელზე *ნათლისღების* ფრაგმენტია. ჩრდ. მკლავის კამარაში ჩანს წმინდანის აბრისები. მოხატულობის განაწილება კედლებზე, ზოგ შემთხვევაში, არ არის ისე ზუსტად შეფარდებული არქიტ. ფორმებთან, როგორც ეს დამახასიათებელია XI ს. მხატვრობისათვის (გუმბათის ყელში მოციქულთა ფიგურები ტრომპების ჩაზნექილ ზედაპირზე გადადის). ნახატი მკაცრი და ამავე დროს მოქნილია, ფერადოვანი ზედაპირის დამუშავება გრაფიკული ხასიათისაა. მოხატულობის კოლორიტი მოწითალო-ყავისფრისა და ნაცრისფრის შეხამებაზეა აგებული. ეკლესიის გუმბათის ყელზე გამოსახულია სამი რელიეფური ჯვარი: ერთი — სამხრ. წიბოზე, სარკმლიდან მარჯვნივ, ორი — ჩრდ. წიბოზე. დას. ფასადზე შესასვლელის არქიტრავი თითქმის მთელ დას. მკლავს მიჰყვება.



132. განივი განაკვეთი აღმ-კენ

დას. მხრიდან ეკლესიისათვის მოგვიანებით მიუშენებიათ სათავსი — ე. წ. ს ა ქ ა ლ ე ბ ო. გეგმით სწორკუთხა ნაგებობის სამხრ. და ჩრდ. კედლებზე ამოყვანილია სამი წყვილი მასიური პილასტრი, რ-თა თავზე ცილინდრული კამარის საბჯენი თაღები გადადის. შესასვლელი ჩრდ. და სამხრ. კედლებშია, ერთადერთი სარკმელი — დას. კედელში, საქალებოს აშენების დროს ეკლ. შეუკეთებიათ და მისთვის ლავგარდანი შემოუყოლებიათ.

იდლეთის ნათლისმცემლის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ოთხკუთხა დაბალი გუმბათი, რაც გამონაკლისია ფეოდ. ხანის ქართულ არქიტექტურაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ეკლესიას ერთადერთი კარი აქვს დას. მკლავში (გვხვდება აგრეთვე იყალთოსა და შიომღვიმის მცირე ეკლესიებში).

ბიბლ.: 90:11-12; 245:1-10. *დ. ფ., დფ. თ., მ. გ.*

133. ႵႥႨႰႠႺႾႭႥႪႨႱ ႤႩႪႤႱႨႠ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, ბექობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ., განსაკუთრებით მისი

ჩრდ. მხარე, ღრმადაა მიწაში ჩაშვდარი. ეკლ. დარბაზულია (4,45X3,85 *მ*), ნაგებია დიდი ნატეხი ქვით, გამოყენებულია რიყის ქვა და აგურიც. შესასვლელი დას-დანაა. სწორკუთხა საკურთხეველში და დას. კედელში თითო ვიწრო სარკმელია. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით. ეკლ. გადახურული ყოფილა ბრტყელი ლოდებით, რ-ებიც ამავე დროს თაროსებრ ლავგარდანს ქმნიდა. აღმ-ით ლავგარდნის ორიოდე ქვაა შემორჩენილი. დას. კარის თავზე ჩასმულია რელიეფური ქვაჯვარი, რ-ის კიდეებზე ორ სვეტად სომხური წარწერაა. ეკლ. სომხურია. *მგ. მ.*

133. ხედი სამხრ.-დას-იდან



134. **მიქალ-გაბრიელის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (15,15X5,8 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, გამოყენებულია აგური და რიყის ქვაც. თავდაპირველად ეკლ. მცირე ზომისა ყოფილა. მოგვიანებით მისთვის დას-დან მოზრდილი სათავსი მიუშენებიათ. შესასვლელი დას. კედლის ცენტრშია, ჩრდ. კარი ამოშენებულია. საკურთხეველში ერთი სარკმელია. საკურთხეველი დარბაზის იატაკის დონიდან საკმაოდ ამაღლებულია და სამსაფეხურიანი კიბე აქვს. საკურთხევლის გვერდებზე ვიწრო სათავსებია. ეკლესიის გრძივი კედლები ორი წყვილი პილასტრითაა დანაწევრებული (აღმ. პილასტრები უფრო მასიურია). ისრული კამარა საბჯენ თაღებს ეყრდნობა. ეკლესიის დანარჩენ სამ კედელშიც თითო სარკმელია. ჩრდ. სარკმელთან სანათლავი ნიშია. დას. ფასადზე, ფრონტონის ქვეშ გამოსახულია პატარა რელიეფური ჯვარი. ეკლესიას თაროსებრი ლავგარდანი აქვს. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით (დაზიანებულია).

ფრონტონის კეხზე დგას აგურით ნაგები ს ა მ რ ე კ ლ ო — ოთხბოძიანი თაღებით გახსნილი ფანჩატური, რ-საც პირამიდული სახურავი აქვს. *მგ. მ.*

135. **სამაროვანი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 1 *კმ*-ზე, მდ. კავთურის მარჯვ. ნაპირზე, ადგილ აკლდამის ველზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. *გვ. ჯ.*

## იკვი

136. **იკვის წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ., ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას მდ. მაბწყალას მარჯვ. ნაპირზე, ტყით დაფარულ მთებში. სამხრ.-დას. თაღის ქვეშ, ნიშის მარცხნივ ფილაზე აყვავებული ჯვრის რელიეფური გამოსახულება და ასომთ. წარწერაა, რ-შიც ნახსენებია ქტიტორი მამამთავარი არსენ. წარწერის პალეოგრაფიული და ნაგებობის სტილისტ. ანალიზით ეკლ. თარიღდება XI ს. I ნახ-ით. 1939-40 წწ ეკლესიაზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნ. საქმეთა სამმართველომ (რესტავრაციის ავტორები: ნ. ჩუბინაშვილი და ე. წილოსანი). აღადგინეს ფასადები და გუმბათის ყელი, ნაგებობას სამხრ-ით შეუქმნეს სუბსტრუქცია, ჩრდ-ით მთის ფერდობი კედლით გაამაგრეს. ეკლ. ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (9X7,2 *მ*), ნაშენია ნატეხი ქვით. ფასადების მოსაპირკეთებლად, თაღებზე, სვეტებზე და სხვ. კონსტრ. ნაწილებზე გამოყენებულია თლილი ქვა. შესასვლელი ორი აქვს: დას-დან და სამხრ-დან (უფრო განიერია). ცენტრ. სივრცე იქმნება ჯვრის ოთხი მკლავით, რ-თაგან სამი მოკლე და სწორკუთხაა, ხოლო მეოთხე აღმ-ით ღრმაა და აფსიდით მთავრდება. აფსიდის ღერძზე სარკმელია, გვერდებზე ნიშები. საკურთხეველში ოთხკუთხა სატრაპეზო ქვა დგას. კ ა ნ კ ე ლ ი თაღოვანი იყო, შუაში აღსავლის კარით. აფსიდის გვერდებზე გეგმით ოთხკუთხა სამკვეთლო და სადიაკვნეა. ორივე სათავსს თითო პატარა მრგვალი სარკმელი აქვს და დარბაზს სწორკუთხა

136. აღმ. ფასადი



136. განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



კარით უკავშირდება. თითო სარკმელია დას-ის და სამხრ-ის მკლავში. დარბაზის მაღალი კამაროვანი მკლავების გადაკვეთაზე ასევე მაღალი გუმბათია აღმართული. იგი ნახევარწრიულ თაღებს ეყრდნობა. გუმბათის ყელზე გადასვლა განხორციელებულია აფრებით. გუმბათქვეშა თაღები პროფილირებულ კაპიტელებს ეყრდნობა. გუმბათის ყელში გაჭრილია ექვსი სარკმელი. ტაძრის სამხრ.-დას. და ჩრდ.-დას. კუთხეებთან, მკლავებს შორის, დიაგონალებზე მცირე ზომის ღია სამლოცველო ნიშებია. კუთხის პილასტრებზე აკურული ფესტონებითა და ორნამენტით მორთული თაღები გადადის. კამარით გადახურული სამკუთხა სივრცის შიგნით ფართო ორნამენტიანი არშიით მორთული ნახევარწრიული ნიშებია.

(ა) ინტერიერის მოხატულობა თარიღდება XI ს-ით. დაზიანებულია მოხატულობის ზედა ნაწილი აფსიდის კონქში, გუმბათის კამარაში, ჩრდ და სამხრ. კედლების ზედა რეგისტრებში. აფსიდის მეორე რეგისტრში შემორჩენილია ეკლესიის მამათა გამოსახულებების კონტურები, სარკმლის ქვემოთ — *ხატი მანდილისაი*, სარკმლის კედლებზე ორი დიაკვნის ფიგურაა. სატრიუმფო თაღის ცენტრში გამოსახულია ჯვარი, ხოლო თაღის ქანობებზე ორი კომპოზიციაა: ჩრდ-ით — *ქრისტე მოციქულ პეტრესთან* ერთად, სამხრ-ით — *ქრისტე მოციქულ პავლესთან* ერთად. გუმბათის ყელის მხატვრობა ორ რეგისტრად იყოფა: სარკმლებს შორის გამოსახულია ათი მოციქული, აღმ-ით — ღვთისმშობელი ორანტას პოზაში. მომდევნო რეგისტრში, სარკმლების ქვემოთ, რამდენიმე სცენაა: აღმ-ით *ფერისცვალების* ფრაგმენტია, ჩრდ-ით — *ჯვარცმა*, სამხრ-ით — *გარდამოხსნა*, დას-ით — *დატირება*. სამხრ. მკლავის მხატვრობა დაყოფილია სამ რეგისტრად. ზედა რეგისტრის მხატვრობა დაზიანებულია. შემდეგ რეგისტრში, სამხრ. კედელზე გამოსახულია *შობა;* ამავე რეგისტრში, დას. კედელზე — *მირქმა*, აღმ. კედელზე გაურკვეველი ფრაგმენტებია. ქვედა რეგისტრში წმ თევდორეს, წმ. ესტატეს, წმ. დემეტრეს, წმ. პროკოფის, წმ. მერკვილესა და წმ ნესტორის ნახევარფიგურებია. ჩრდ. მკლავი დათმობილი აქვს წმ. გიორგის ცხოვრების ციკლს. ზედა რეგისტრში გამოსახულია *ურმის თვალზე წამება*, მომდევნო რეგისტრში — *ეშმაკის კლდეში მომწყვდევა*. ჩრდ. კედელზე ორი სცენაა გამოსახული: ზედა რეგისტრში — *ლასია ქალაქის მოქცევა*, ქვედა რეგისტრში — *წმ. გიორგიმ ტყვე დაუბრუნა მშობლებს;* დას. კედელზე გამოსახულია *წამება გავარვარებული რკინის ლურსმნიანი ფეხსაცმლით*. ქვედა რეგისტრში — *სასწაული სარკინოზზე*. დას. მკლავში *განკითხვის დღის* სხვადასხვა სცენაა: *ანგელოზი, რომელიც ცის კამარას ახვევს, აბრაამის წიაღი, აქებდეთ უფალს, სამოთხე*. გარდა *განკითხვის დღისა*, ჩრდ. კედლის ქვედა რეგისტრში გამოსახულია *იერუსალიმს შესვლა*. ამავე კედლის სარკმლის თაღში — ჯვარი, ხოლო წირთხლებში წმინდანებია გამოსახული (ერთ-ერთი წმ. ქრისტეფორეა). კარის ლუნეტში შემორჩენილია ორი ფიგურის ფრაგმენტი. დას. მკლავის მოხატ. მკვეთრად

136(ა). ჩრდ. მკლავის მოხატულობის სქემა



განსხვავდება ძირითადი მოხატულობისაგან. მას ახასიათებს წერის გრაფიკული მანერა, გამოსახულებათა მცირე ზომები. კოლორიტში ჭარბობს მომწვანო-ზურმუხტისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი. მოხატულობის ძირითადი ფერებია: მოწითალო-ყავისფერი, მონაცრისფრო, მოვარდისფრო. საერთოდ მოხატულობას ახასიათებს გამოსახულებათა დიდი ზომები, მონუმენტური პრინციპით აგება.

ეკლესიის ფასადები მდიდრულადაა მორთული. მორთულობის მთავარ მოტივს დეკორატ. თაღედი წარმოადგენს. განივ ფასადებზე სამ-სამი თაღია. ამათგან ცენტრალური მაღალი და მთელი მკლავის სიგანისაა, გვერდითები გაცილებით დაბალია და სიგანით ცალფერდა მონაკვეთების ტოლი. სამხრ. ფასადი ასიმეტრიულია. ცენტრ. დეკორატ. თაღი განიერი და მაღალია, ხოლო მარჯვ მონაკვეთზე ორი ერთნაირი ზომის დაბალი დეკორატ. თაღია. დას. ფასადი განსხვავებულია — მთელი სიბრტყე მხოლოდ ერთ მაღალ დეკორატ. თაღს უჭირავს. მკლავებს შორის კუთხე თაღებით სამკუთხედადაა შეკრული, ხოლო თვით თაღი მორთულია ფესტონებით. მდიდრული მორთულობით გამოირჩევა სამხრ. და დას. პორტალები. მათ შემოვლებული აქვთ ფართო ორნამენტიანი არშიები. ტიმპანები მთლიანად ჩუქურთმითაა დაფარული. ორნამენტირებულია სარკმლების საპირეებიც. აღმ-ით ორნამენტირებული რომბებიცაა. დას. ფასადის გვერდით მონაკვეთებს თითო ორნამენტიანი ნიში აქვს. ექვსი გრეხილლილვებიანი თაღით და პილასტრებით არის შემკული გუმბათის ყელი. ყოველი თაღის ცენტრში სარკმელია განიერი ორნამენტიანი არშიით. გუმბათი ორნამენტიანი ფრიზითა და ლავგარდნით მთავრდება.

ეკლესიაზე დას-ით, მთელ სიგრძეზე საკმაოდ მოზრდილი ს ა თ ა ვ ს ი ა მიშენებული. კარგადაა შემონახული მისი დას. კედელი. ჩრდ. და სამხრ. კედლები და გადახურვა დანგრეულია. სათავსს შესასვლელი დას-დან ჰქონია. ერთი სარკმელი ყოფილა დას. კედლის მარცხ. მონაკვეთში.

ეკლესიას შემოვლებული ჰქონდა ნატეხი ქვით ნაგები გ ა ლ ა ვ ა ნ ი (შემორჩენილია ნანგრევები).

*ბიბლ.:* 286; 336:11; 358:163.

*ანდღ. ნ., მ. ი., ჭ. გ.*

**კაბერის მცირე ეკლესია,** იხ. სოფ. გოსტიბე.

**კაბერის ნასოფლარი და წმ. გიორგის ეკლესია,** იხ. სოფ. გ ო ს ტ ი ბ ე.

## კავთისხევი

**(სოფსაბჭოს ცენტრი)**

137. კავთისხევი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს ქ. კასპიდან 10 კმ-ზე, მდ. კავთურის ნაპირებზე.

(ა) კავთისხეველებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1609 წ. მანგლისში შემოჭრილ თათართა ჯარის წინააღმდეგ გიორგი სააკაძის მეთაურობით გამართულ ბრძოლაში.

(ბ) გასულ საუკუნეში აქ ხშირად იმართებოდა გლეხთა გამოსვლები. 1860 წ დიდი ბეგარა-გადასახადებით შევიწროებული კავთისხევის გლეხობა რამდენიმეჯერ აჯანყდა მებატონეების წინააღმდეგ. გლეხები პროტესტის ნიშნად თავს ესხმოდნენ მებატონეთა კარ-მიდამოს, წვავდნენ და აოხრებდნენ მას, საფრთხეს უქმნიდნენ მებატონეთა სიცოცხლესაც კი. მიუხედავად ამისა, მებატონეები გადასახადებს ყოველწლიურად ადიდებდნენ, აჯანყების მოთავეებს კი ხელისუფლება აპატიმრებდა.

(ბ) ქ-ში გამოსვლები ეწყობოდა 1905-07 წწ. რევოლუციის პერიოდში. 1905 წ. 27 თებ აქ მოეწყო დიდი მიტინგი, რ-შიც მონაწილეობა მიიღო 10 სოფლის გლეხობამ, 2 000-მდე კაცმა. შეიმუშავეს მოთხოვნები.

(დ) სოფლის საზოგადოება მოთავე იყო ბევრი კულტ. ღონისძიებისა. 1905 წ. 10 მარტს სოფლების კავთისხევისა და ნიჩბისის გლეხთა წარმომადგენლებმა მიიღეს ერთობლივი მოთხოვნა თბილისში სახელმწ. ხარჯზე უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. კისრულობდნენ მშენებლობის კირით უფასოდ მომარაგებას.

*ბიბლ.:* 21; 46; 201ე. *აფრ. გ., ბერძ. ც.*

138. აკლდამა, არქეოლ. ძ. მდებარეობს მონასელიანთ უბანში, მდ. კავთურის მარჯვენა ნაპირზე, თამარ დედოფლის გორაზე. თარიღდება XVI-XVIII სს-ით. აღმოაჩინეს 1963 წ. მიწის სამუშაოების დროს. ა. შედგება კლდის ქვითა და ბრტყელი აგურით ნაგები საკნისა და დრომოსისაგან (1,5X0,9/1,1 მ, სიმ. 1 მ). დრომოსი საკანს უკავშირდება აღმ-დან ისრულთაღიანი შესასვლელითა და ოთხსაფეხურიანი კიბით. საკნის (2,85X X2,27 მ, სიმ. 3 მ) კუთხეებში 1,4 მ სიმაღლეზე აგურით გადაყვანილია ისრული ტრომპები; აქედან იწყება აგურის წრიულგუმბათოვანი, სფერული გადახურვა. გუმბათს ზემოდან ადევს ფილაქვები, შემდეგ ქვის გროვა და მიწაყრილი. საკნისა და დრომოსის კედლები დუღაბზეა ამოყვანილი. კედლებიც და იატაკიც კირითაა შელესილი. საკნის სამხრ. და დას. კედლების ზედა ნაწილში დაყოლებულია შიგნით დაქანებული თიხის მილები. მათი გარე ნაწილი დახშულია. მილების დანიშნულება გაურკვეველია. ა-ში არეულად ეყარა ადამიანის ძვლები, რაც იმას ადასტურებს, რომ იგი ადრევე გაუძარცვავთ. ა-ის არქიტექტურაში შეინიშნება XVI-XVIII სს. ქართლ-კახეთის უმრავლეს ნაგებობებისათვის დამახასიათებელი ტიპური ნიშნები. *ჯ. ბ.*

139. კატაულა, არქეოლ. ძ. მდებარეობს შატბერაანთ ეკლესიის ნანგრევების აღმ-ით, ხევის ფერდობზე. თარიღდება ქვის ხანით. იპოვება მცირერიცხოვანი კაჟის მასალა.

*ხუბ. გ.*

140. კატაულას წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას მონასელიანთ უბანში. თარიღდება VII-IX სს-ით. სამეკლესიანი ბაზილიკა (10,8X7,65 მ) ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია; გვერდის ნავები თითქმის საძირკვლამდეა დანგრეული, სამხრ. ნავის კედლები აქა-იქ მხოლოდ მცირე სიმაღლეზეა შემორჩენილი, ძნელი გასარჩევია ჩრდ. ნავის გეგმა. შედარებით კარგადაა შემონახული შუა ნავი, მაგრამ აქაც კედლების ზედა ნაწილები დაზიანებულია, სახურავი ჩანგრეულია, აღმ. ფასადის ჩრდ. მონაკვეთზე შერჩენილია ფიქალის ქვები. ორივე მხრიდან არქიტრავული შესასვლელი სამხრ-ითაა. მეორე, უფრო ვიწრო კარი (ამოშენებულია) ჩრდ. ნავში გადის. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, ხოლო ჩრდ-ით ერთი ნიში. ეკლესიაში კიდევ ორი სწორკუთხა სარკმელია. აფსიდის კონქიცა და დარბაზის ნახევარწრიული კამარაც წვრილი ქვითაა ამოყვანილი. ინტერიერში, განსაკუთრებით აფსიდში, ყურადღებას იპყრობს წყობაში ცერად ჩასმული მოზრდილი ქვების მწკრივები, რაც თავისებურ დეკორატ. მორთულობად აღიქმება.

ეკლ. მოგვიანებით შეულესიათ. (ა) შემორჩენილია მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები. საკურთხევლის წინ მდგარა VII ს-ის კ ა ტ ა უ ლ ა ს ს ტ ე ლ ა (ინახება საქართვ. ხელოვნ. მუზეუმში). *მგ. მ.*

*ბიბლ.:* 351:102-108, ტაბულა 76-78 *მგ. მ.*

141. ლომისის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას თხინვალიანთ უბანში. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,8X8,7 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. არქიტრავული შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო თაღოვანი სარკმელია, ჩრდ-ით — ოთხკუთხა ნიში. სარკმლის ქვეშ მიდგმულია სატრაპეზო ქვა. დარბაზის სამხრ. კედელში ძლიერ ვიწრო სარკმელია. ერთი სარკმელი დას. კედელშია. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-ის საბჯენი თაღი ერთსაფეხურიან პილასტრებს ეყრდნობა. პილასტრებს პროფილირებული კაპიტელები აქვს. მოგვიანებით დარბაზის კედლები შეულესიათ. სამხრ-ის ფასადი გახსნილია ორი ნახევარწრიული თაღით, რ-ებიც შეერთების ადგილზე მრგვალ მასიურ ბურჯს ეყრდნობა. ბურჯის კაპი-

ტელი მარტივი ფორმისაა, კუთხეები გამობურცული აქვს. ფასადის აღმ ნაწილში ჩასმული ორი დიდი ქვის ლოდი თითქმის კედლის ნახევარს ავსებს.

ეკლესიას სამხრ-ით პქონია მინაშენი (კამარა და კონქი ჩამონგრეულია), რ-ის ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია. *მგ. მ.*

**142. მელითონეთა განძი**, არქეოლ. ძ. აღმოჩენილი იქნა კავთისხევის ცემენტის კარიერისაკენ გადასასვლელი გზის მოპირდაპირე მხარეს 100 *მ*-ზე, ადგილ ლოდების მიწებში. თარიღდება ძვ. წ II ათასწლ. დასასრულით. თიხის ჭურჭელში აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები: აღმ.-ქართ. ცული (2 ც.), თოხი, ხის სახოკი, სპილენძის ზოდები (40 *კგ*). მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *გვ. ჯ.*

**143. ნამოსახლარი**, არქეოლ. ძ მდებარეობს ადგილ ყორულში, მდ. კავთურის მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება ანტ. ხანით. ნამოსახლარი გორის ზედაპირზე იპოვება ანტ. ხანისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. *ირ. შ.*

**144. ნამოსახლარი I**, არქეოლ. ძ. მდებარეობს კავთისხევის რკ.-გზ. სადგურიდან მიმავალი საავტ. გზის მარჯვ. მხარეს, მდ მტკვრიდან 2 *კმ*-ზე, ადგილ მუყაშაანთ ვენახებში. თარიღდება გვიანდ. და ადრინდ. რკინის ხანით. ბორცვის ზედა ნაწილი გადარეცხილია. ზედაპირზე იპოვება სხვადასხვა ჭურჭლის ორნამენტიანი ფრაგმენტები *ირ. შ.*

**145. ნამოსახლარი II**, არქეოლ ძ. მდებარეობს სოფლის საავტ გზის მარჯვ. მხარეს, მდ მტკვრიდან 2,7 *კმ*-ზე, ადგილ მუნისწყაროზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის ხანით. ნ-ზე (ფართ. 2 *ჰა*) იპოვება ნაცრისფერზედაპირიანი, შავად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, უმეტესობა ორნამენტიანია. *ირ. შ.*

**146. ნამოსახლარი იორამის გორა**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით 1,5 *კმ*-ზე, ქასრაანთ ხევის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანით. ნამოსახლარზე იპოვება თიხის ჭურჭლის ნატეხები. *გვ. ჯ.*

**147. ნამოსახლარი ციხიაგორა**, არქეოლ. ძ. მდებარეობს კავთისხევისკენ მიმავალი საავტ. გზის მარჯვ მხარეს 500 *მ*-ზე, ჩოჩეთის უბნის ჩრდ. განაპირას, მდ-ების კავთურისა და შავწყალას შესაყართან. გამოვლენილია სამი კულტ. ფენა — ადრინდ. ბრინჯაოს, გვიანდ. ბრინჯაოადრინდ. რკინისა და ანტ. ხანისა. გათხრები დაიწყო 1971 წ. კაე-მ (ხელმძღვ. გ. ცქიტიშვილი). კომპლექსი შედგება საკუთრივ ნამოსახლარის, მის ჩრდ.-აღმ-ით მდებარე ნასოფლარ-ნადაბურისა და სამაროვნისაგან.

(ა) ნამოსახლარი გორის სიმ. 12 *მ*-ია, თხემის ფართ. 0,5 *ჰა*. პირველმოსახლეობა აქ დასახლებულა ადრინდ. ბრინჯაოს ადრინდ. ეტაპზე (ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლო საუკუნე). დასახლებას უარსებია ძვ. წ. III ათასწლ. I ნახ-მდე. ფენის სისქე 0,75 *მ* აღწევს. შემორჩენილია თიხით ნალესი წნული საცხოვრებელი — ერთოთახიანი ოთხკუთხა, მრგვალკუთხეებიანი, ორივე მხარეს თიხით შელესილი ნაგებობა, რ-იც დამხრობილია ფასადით სამხრ.-აღმ-კენ. შენობის ცენტრში იატაკში ოთხშეერილიანი თიხის კერაა. უკანა კედლის გასწვრივ გამართულია დაბალი და განიერი თარო, რ-ზეც განლაგებულია ერთმანეთისგან თითქმის თანაბარი მანძილით დაცილებული, თიხით მოლესილი ნაცარგროვები. თაროზე ჯგუფ-ჯგუფად ელაგა თიხის ჭურჭელი. ამავე ფენაში დადასტურდა მრავალი სამეურნეო ორმო. ადრინდ. ბრინჯაოს ხანის შემდეგ გორაზე კარგახნით წყდება ცხოვრება. მისი ხელახალი ათვისება დაახლ. ძვ. წ. II ათასწლ. ბოლო საუკუნეებში ხდება. ამ ხანას მიეკუთვნება რიყის ქვით ტალახზე ნაგები სახლების ფრაგმენტები. ეს ფენა რამდენიმე სამშენ. ჰორიზონტს შეიცავს. აქედან მოყოლებული ძვ. და ახ. წელთაღრიცხვათა



147(ა). ტაძრის კედელი




147(ა). ტაძრის კომპლექსის გეგმა: I. გალავანი, II. კოშკები; 1. ტაძარი, 2. ბეღელი, 3. საცხოვრისი, 4. წისქვილი, 5. სათონე, 6. მარანი

მიჯნამდე ციხიაგორაზე ცხოვრება არ შეწყვეტილა, ოღონდ იცვლება გორის არსი. დაახლ. ძვ. წ. VI ს. მოსახლეობა აქედან ბარში ჩადის და გორის აღმ-ით და ჩრდ-ით დაბად სახლდება. ამიერიდან გორა დაბის სალოცავი ხატია. ძვ. წ. VI-V სს. სამშენ. ჰორიზონტში შერჩენილია დიდი, როგორც ჩანს, საზ. შენობის საძირკვლეთა ნაშთები. შენობა განადგურებულია მომდევნო ხანის მოზრდილი კომპლექსის მშენებლობისას. ყველაზე კარგად სწორედ ეს კომპლექსია შემორჩენილი. იგი თარიღდება ძვ. წ. IV-III სს-ით. კომპლექსში შედის ტაძარი, მარანი, ბეღელი, წისქვილი, სათონე და საცხ. შენობები. შემოზღუდულია ალიზით ნაგები გალავნით (კედლის სიგ. 2 მ-დეა), რ-იც გორის თხემის კიდეს გასდევს. გალავნის კედელი შემაგრებულია კონტრფორსებით და მობათქაშებულია შიდა მხრიდან. ჩრდ.-აღმ. კუთხეში დგას ოთხკუთხა, ასევე ალიზით ნაგები კოშკი; ასეთივე კოშკი დგას ჩრდ. კედლის შუა წელთან. კომპლექსის მთავარი კომპონენტია საკუთარი გალავნით შემოზღუდული ტ ა ძ ა რ ი. ტაძარი და მისი გალავნის კედლები ნაგებია ნატეხი ქვითა და ალიზის მშრალი წყობით. კედლებში განივი ძელების სისტემაა არმატურად დატანებული. კედლების სიგ. 1,5 მ აღწევს. კვადრ. ალიზის ზომები 0,42-0,45 მ შორის მერყეობს, სისქე კი 0,08-0,1 მ-ია. ტაძრის ეზოში დგას ქვით ნაგები, გეგმით კვადრ. 2 მ სიმაღლის საკურთხეველი. აქვე, ეზოს სამხრ.-აღმ. კუთხეში მოწყობილია ქვითა და თიხით ნაგები მოედანი — ს ა მ ს ხ ვ ე რ პ ლ ო (3,5X3,5 მ). საკურთხეველზე აღმოჩნდა რკინის და-

147(ა). კაპიტელი, დამღები ტაძრის ბათქაშზე



ნა და ცხერის დამწვარი ძვლები. ტაძრის ეზოში შესასვლელი კარი გაჭრილია გალავნის დას. და აღმ. კედლებში. თვითონ ტაძარს შესასვლელი სამხრ-დან აქვს. დას. და აღმ. კედლებში ფართო სარკმლებია. სარკმლებისა და კარის ჭრილები ისეა განლაგებული, რომ მზის ამოსვლიდან მის ჩასვლამდე სხივი ყოველთვის ხვდებოდა ტაძარში. ტაძრის ნანგრევებში აღმოჩნდა სვეტის მსგავსი თიხის საკურთხევლის ნატეხი და თიხისავე დისკოები ზედ ჯვრების რელიეფური გამოსახულებით. აქვე აღმოჩნდა სხვადასხვა ზომისა და ფორმის დამღიანი თიხის ბათქაშის ნატეხები. ანაბეჭდებზე ნაირნაირი გამოსახულებები შეიმჩნევა (ცხენოსანი შუბით ხელში, ცხენი, რ-ის ზურგზემოთ ნახევარმთვარეა, თხა თუ ჯიხვი და სხვ.).

ტაძრის მთავარ დარბაზს ჩრდ-დან აკრავს გრძელი (18X4,5 მ) ს ა თ ა ვ ს ო, რ-საც შესასვლელი დას-დან აქვს. სათავსო ორსართულიანი ყოფილა. პირველი სართული (სიმ. 3,5 მ) ქვითაა ნაგები. სართულშუა გადახურვის კოჭების ნაშთები ქვის კედელზე დევს (კოჭებს შორის მანძილი 0,85-0,9 მ-ია). მეორე სართულის კედლები ნაგებია ალიზით. ამ სათავსში აღმოჩნდა თეთრი კირქვისაგან გამოთლილი აქემენიდური სტილის კაპიტელი — ორი, ერთმანეთთან ზურგშექცეული ნახევარხარი.

ტაძრის გალავნის აღმ. კედელზე მიდგმულია ალიზით ნაგები შენობა — ბ ე ღ ე ლ ი, რ-იც 8 სათავსისაგან შედგება. მათგან ოთხი ერთი ზომის კიდია (2X2 მ). აქ იატაკზე დამწვარი მარცვლეული ეყარა. სხვა ოთახებში მეტწილად დიდი ზომის თავდახურული სამეურნეო ჭურჭელი აღმოჩნდა. ტაძარიცა და ბეღელიც გადახურული ყოფილა წითლად შეღებილი ორგვარი (ბრტყელი და ღარისებური) კრამიტით. ზოგიერთ მათგანზე, გამოწვამდე, თითით ბერძ. ასო-ნიშნებია დატანილი, რ-ებსაც რიცხვითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ და აღნიშნავენ ოსტატის მიერ დამზადებული კრამიტის რაოდენობას. სამეურნეო ნაგებობებიდან გაითხარა აგრეთვე მარანი, წისქვილი და სათონე.

მ ა რ ა ნ ი (შიდა ზომები 22X7,5 მ) მდებარეობს ტაძრის დას-ით, მიშენებულია გალავანზე, ნაგებია ალიზით. შესასვლელი სამხრ-იდანაა. შენობის გრძივ ღერძზე ქვის ბალიშზე დამყარებული ხის ოთხი სვეტი მდგარა. ოთხ-ოთხი სვეტი გრძივი კედლების გასწვრივაც ყოფილა. გადახურვა ბანური იყო. მარანში მიწაში 5 რიგად, წითელი საღებავით ნაირგვარად მოხატული, 48 სხვადასხვა ზომის ქვევრია ჩადგმული. სათავსის ჩრდ.-დას. კუთხეში ძელებით ნაგები საწნახელი (2X2 მ) დგას. მის წინ მიწაში ჩადგმულია თიხის მოხატული თაღარი. საწნახელში აღმოჩნდა საფერავის ჯიშის ყურძნის წიპწები. სათავსის ჩრდ. კედელზე მიდგმულია თიხის ორი საკურთხეველი. ერთში თხის დამწვარი რქებია, მეორეში — სამი საცეცხლური. სამხრ. კედელზე, საგოდრე ბაქანთან მიდგმულ საკურთხეველს ჯვრის რელიეფიანი თიხის დისკო აქვს.

წ ი ს ქ ვ ი ლ ი მარანს აკრავს დას-იდან. იგი გალავანზეა მიდგმული და ალიზითაა ნაგები. სათავსის სამი კედლის გასწვრივ ალიზითვე ნაგები მერხია, რ-ზეც დალაგებულია 30-მდე ხელსაფქვავი. წინა მხარეს, იატაკზე, ალიზისავე მთლიანი საფქვილეა. წისქვილს დას-ით აკრავს ერთი საცხოვრ. ოთახი, სადაც აღმოჩნდა პურის საცხობი ღუმელი, ორი ხელსაფქვავი თავისი საფქვილეთი და დაბალი სამსხვერპლო-საკურთხეველი. ეს ოთახი წისქვილის მცველი მოგვის საცხოვრებელი უნდა იყოს.

წისქვილთან ახლოს აღმოჩნდა კრამიტით გადახურული ერთი ნაგებობა, სადაც დადასტურდა ერთმანეთის გვერდით მდგარი ოთხი თ ო ნ ე.

ტაძრის გალავნის დას-ით გაითხარა ალიზით ნაგები და თიხით შელესილი საცხოვრებელი ს ა მ ო თ ა ხ ი ა ნ ი შ ე ნ ო ბ ა, რ-საც შესასვლელი აღმ-დან, ტაძრის მხრიდან აქვს. პირველ ოთახში, მარჯვ. მხარეს პურის საცხობი ღუმელია, ხოლო შუაში — ორი ხელსაფქვავი თავისი საფქვილეთი. არც წისქვილში, არც საცხოვრ. შენობებში კრამიტის ნატეხები არ არის. ჩანს, მათ ბანური გადახურვა ჰქონდათ. ყველა მათგანში, კედლების გასწვრივ დადასტურდა ხის სვეტები, რ-ებსაც სახურავის კოჭები ეყრდნობოდა. ოთახების უმეტესობაში (ბეღელი, მარანი, წისქვილი, სათონე, სამოთახიანი შენობა, მეწისქვილის საცხოვრებელი) იატაკი თიხატკეპნილია. ტაძრის ეზოს, თვით ტაძარს და მისი ჩრ-ით გრძელ სათავსს ხის იატაკი აქვთ. განათხარში მრავლად იპოვებოდა როგორც სამეურნეო, ისე სუფრის წითლად გამომწვარი და წითლად შეღებილ-მოხატული თიხის ჭურჭლის ნატეხები. მოპოვებული მასალა ძვ. წ. IV-III სს. განეკუთვნება. ამ თარიღის სისწორეს სარწმუნოს ხდის გათხრების დროს აქემენიდური სვეტის თავის აღმოჩენაც. მასში აშკარად შეიმჩნევა ელინისტ. სკულპტურის ელემენტები. ბევრი დეტალი მოწმობს, რომ ეს კომპლექსი მზის ღვთაების, ცეცხლის ტაძრისაა. 1984 წ.ძ-ზე საკონსერვაციო და ნაწილობრივ სარესტ. სამუშაოები დაიწყო სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანებამ (ხელმძღ. მ. ყარაშვილი).

ნამოსახლარი ხანძარს გაუნადგურებია ძვ. წ. III ს. შუა ხანებში. მის ნანგრევებზე განახლებულა გა-

ცილებით მცირე მასშტაბის ცხოვრება. დასტურდება ორი სამშენ. ჰორიზონტი. შემორჩენილია მცირე შენობების ფრაგმენტები და სამეურნეო ქვევრები, რ-თა შორის ზოგი მოხატულია წითელი საღებავით. ეს ჰორიზონტები თარიღდება ძვ. წ. III-II სს-ით. მათ თავზე ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი III ჰორიზონტი, რ-იც ძვ. წ. I ს-ით თარიღდება. ალაგ-ალაგ გვხვდება თითო-ოროლა ორმოსამარხი, რ-ებიც უშუალოდ ნანგრევებშია ჩადგმული და თარიღდება ძვ. წ. II-I სს-ით.

(ბ) ნასოფლარ-ნადაბური. გორას აღმ-დან და ჩრდ-დან აკრავს საკმაოდ დიდი ნასოფლარი (ფართ. დაახლ. 3 ჰა). გამოვლინდა სამი ფენა: ძვ. წ. VI-IV, III-II და I სს-ის. კულტ. ფენები ღრმად არ არის განლაგებული მიწის ზედაპირიდან, ამიტომ ცუდადაა დაცული. ყველა ფენიდან მხოლოდ ნასახლართა მცირე ნაშთებია შემორჩენილი. შედარებით კარგადაა შენახული ძვ. წ. III ს-ით დათარიღებული ერთი ბანურსახურავიანი სახლი. იგი ოროთახიანია, ნაგებია რიყის ქვით თიხის ხსნარზე და ალიზით. დიდი ოთახის მარჯვ. კუთხეში ჩვეულებრივი პურის საცხობი ღუმელია. უკანა კედელზე, შუა ადგილას მიდგმულია დაბალი საკურთხეველ-სამსხვერპლო. ოთახის მარჯვ. კედელთან ოთხკუთხა კერაა გამართული. მეორე ოთახი ბევრად პატარაა და სამეურნეო დანიშნულებისაა. აქ აღმოჩნდა დიდი ზომის სამეურნეო ჭურჭელი და რკინის ნამგალი.

(გ) სამაროვანი მოიცავს ორ უბანს: საყარაულო სერს და დაჭრილებს. საყარაულო სერი მდებარეობს ნასოფლარის ჩრდ-ით. თარიღდება ძვ. წ. XIII — ახ. წ. IV სს-ით. აქ გაითხარა ძვ. წ. XIII — ახ. წ. I სს-ის ორმოსამარხები, რომაული ხანის ქვევრსამარხები და ძვ. წ. I — ახ. წ. IV სს-ის ქვაყუთები. ყველა პერიოდის ორმოსამარხებში მიცვალებული ესვენა მოკუნტული, მარცხ. ან მარჯვ. გვერდზე, ქვევრსამარხებში — მოკუნტული, ქვაყუთებში — გვერდზე მოხრილი ან გულაღმა გაშოტილი (2 შემთხვევა). ძვ. წ. XIII-XI სს. ორმოსამარხებისათვის დამახასიათებელია თიხის ჭურჭლის სიმრავლე და სამკაული (საკინძები და სხვ.). მომდევნო ხანის (ძვ. წ. IX-VII სს.) ორმოსამარხებში დამატებით ჩნდება საბრძოლო იარაღი. ძვ. წ. III — ახ. წ. I სს. ორმოსამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი არ არის მრავალფეროვანი. თიხის ჭურჭლიდან აღსანიშნავია შავად და ვარდისფრად გამომწვარი დოქები, ხელადები, ფიალები, ჯამები, კოჭობები და ჭინჭილები; სამკაულთაგან — ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლისა და ოქროს საყურე რგოლები, აბზინდები და სამაჯურები, ბრინჯაოს ზარაკები და სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივები. განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი მდიდრულინვენტარიანი ორმოსამარხი (ძვ. წ. III ს. დასაწყისი). ჩონჩხი ცუდად იყო დაცული; მაგრამ შეიმჩნეოდა, რომ მიცვალებული ესვენა მარცხ. გვერდზე, მოკუნტული, თავით აღმ-კენ. მას ჩატანებული ჰქონდა ოქროს კუნუბოვებიანი დიდი ფირფიტა-დისკო შუაში მინანქრის პატარა დისკოთი, რ-ის გარშემო ჯამიეით ამოზიდულია სხივების კონა. დისკო წრიულად შემკულია სტილიზებული მცენარეული ორნამენტითა და ვარდულებით, სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე მცირე ზომის ვარდულები, პატარა კილიტები და მძივები, საკიდიანი რგოლური საყურეები, მდარე ხარისხის ვერცხლის თასი და ჩამჩა, ბრინჯაოს ზარაკები, ცხერის პატარა საკიდი ქანდაკება, ზურგჩაზნექილი სამაჯურები, სერდოლიკის, მინის, გიშრისა და პასტის მძივები, გიშრის მძივი, რ-ზედაც გამოსახულია ზურგშექცეული ორი ნახევარხარი, საბეჭდავები, ორი დოქი და მაღალქუსლიანი წითლად შეღებილი ჯამი. დისკოზე და ვარდულებზე მზეა გამოსახული. ამ სამარხში სავარაუდოა დაკრძალული იყო ციხიაგორის მზის ტაძრის ერთ-ერთი მოგვი. ქვევრსამარხები ჰორიზონტალურადაა ჩაფლული მიწაში და ხშირად პირზე აფარებული აქვთ კრამიტი, ქვა ან თიხის ჭურჭლის ნატეხი. სამარხები თარიღდება ძვ. წ. I — ახ. წ. I ს-ით. ინვენტარს პატარა ზომის სუფრის ჭურჭელი და სამკაული შეადგენს. ქვაყუთები სხვა ტიპის სამარხებთან შედარებით ცოტაა. თარიღდება ახ. წ. I-IV სს-ით. მათ ასაგებად გამოყენებულია ფილაქვები. გვერდები მეტწილად მთლიანი ქვისაა, სახურავი შედგენილია ორი ან სამი ქვისგან. ქვაყუთებში ესვენა ერთი ან ორი მიცვალებული. ინვენტარი ღარიბულია — თითო თიხის ჭურჭელი და მცირე სამკაული ან ტანსაცმლის საკინძი.

(დ) დაჭრილები მდებარეობს საყარაულო სერის ჩრდ-ით, მისგან 150-იოდე მ-ზე. თარიღდება ძვ. წ. IV-III სს. აქ მხოლოდ ქვევრსამარხებია. სამაროვანზე დადასტურდა ნახმარ ქვევრებში დაკრძალვის არა ერთი ფაქტი. ხშირ შემთხვევაში სამარხი ქვევრები წითელი საღებავითაა მოხატული (შევრონები). გათხრილი სამარხები თითქმის სრულიად იდენტურია, რაც დამარხულთა ერთგვაროვან სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს. სამარხი ქვევრები ჰორიზონტალურადაა ჩაფლული მიწაში, პირით აღმ-კენ. ინვენტარი ძირითადად სუფრის ჭურჭელი და სამკაულია. ჭარბობს დოქები, როგორც სადა ზედაპირიანი, ისე მოხატული, ჯამები ახევე სადა და შეღებილ-გაპრიალებული ზედაპირით. სამკაულთაგან გვხვდება ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს საყურე რგოლები, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ვერცხლისა და რკინის ბეჭდები, საკინძები, ილარი და ნაირნაირი მძივები.



147(გ). კუნუბოვებიანი დისკო (დიამ. 16 სმ, ოქრო, მინანქარი)



მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში და ექსპედიციის ბაზაზე, სოფ. კავთისხევში. გათხრები გრძელდება.

*ბიბლ.:* 68:15-17; 249:51-55; 256.

*ოქ. მ.*

148. ნასახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, მდ. შავწყალას მარჯვ. მხარეს, ადგილ ოქრომიწებში. თარიღდება ძვ. წ. III და ახ. წ. V-VIII სს-ით. კულტ. ფენები შეიცავს ელინისტ., ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანის კერამიკას. *გუ. ჯ.*

149. ნასახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, მდ. შავწყალას მარჯვ. ნაპირზე, ადგილ ჭიმაანთ ვენახებიდან მდ. კავთურამდე. თარიღდება ძვ. წ. III ს-ითა და ახ. წ. V-VIII სს-ით. გამოვლინდა მოხატული პირყელიანი და ბრტყელ პირბაკოიანი რელიეფურსარტყლიანი ქვევრი. *გუ. ჯ.*

150. ნასახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, 4 *კმ*-ზე, ადგილ მლაშეების დას-ით, 500 *მ*-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ზედაპირულად იპოვება კერამიკა. *გუ. ჯ.*

**151. ნასახლარი და სამაროვანი,** არქეოლ. ძ. მდებარეობს ცემენტის კარიერის დას-ით, 4 *კმ*-ზე, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, წყალსაქართან. ორივე თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით.

(ა) ნ ა ს ა ხ ლ ა რ ზ ე გამოვლინდა ქვევრები და რელიეფურსარტყლიანი, ყელწიბოიანი დოქები. (ბ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს ნასახლარის დას-ით, 50 *მ*-ზე, ხევს გაღმა. მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *გვ. ჯ.*

**152. ნასახლარი და სამაროვნები,** არქეოლ. ძ. მდებარეობს კავთისხევის ცემენტის კარიერის ტერიტორიაზე, № 3 ქვის სატეხის აღმ-ით. თარიღდება V-VIII სს-ით.

(ა) ნ ა ს ა ხ ლ ა რ ზ ე აღმოჩნდა ქვევრები და სხვა ინვენტარი. ნასახლარიდან თხრილით გამოყოფილია მისივე თანადროული (ბ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი, რ-იც წარმოდგენილია ქვაყუთებით. იქვე № 3 ქვის სატეხის ჩრდ-ით II-III ს-ით დათარიღებული (გ) მ ე ო რ ე ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი ა, სადაც დასტურდება ქვევრსამარხები. მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *გვ. ჯ.*

**153. ნასოფლარი პარატ()სი და ნიში,** არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 6 *კმ*-ზე, მდ. კავთურის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

(ა) ნ ა ს ო ფ ლ ა რ ზ ე აღმოჩნდა ნასახლარები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ნასოფლარის აღმ-ით, 100 *მ*-ზე მდებარეობს თ ა ვ კ ა ვ თ ი ს ნ ი შ ი (ბ) — კლდეში ჩასმული ქვაჯვარი, რ-ის მხოლოდ ქვედა ნაწილია შემორჩენილი. ქვის მარცხ. ქვედა კუთხეში გამოსახულია შარავანდიანი მამაკაცი (წმ. გიორგი?). მარჯვ. კუთხე დაფარულია გრეხილი ორნამენტით. ჯვრის მარჯვ. მკლავი მოტეხილია და იქვე გდია ნიშთან. მასზე მხედრ. წარწერაა: „რუსთაველი სტეფანე". *კვ. რ.*

**154. ნაციხარი,** არქეოლ. ძ. მდებარეობს ციხისუბანში. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ციხე ეკუთვნოდა თარხნიშვილებს. შემორჩენილია საძირკვლის ნაშთები. *კვ. რ.*

**155. სამაროვანი,** არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. კავთურის მარჯვ. ნაპირზე, ხვედრულიანთ უბნის აღმ-ით, კაციაშვილების ეზოს ახლოს. თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ით. მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი. დაკრძალვის წესი გაურკვეველია. მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *ირ. შ.*

**156. სამაროვანი,** არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ. ნაწილში, ამაღლებულ ადგილას. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. ს. 1932 წ. მიწის სამუშაოების დროს დაინგრა. ს-ში აღმოჩნდა ბრინჯაოს ე. წ. წინააზიური მახვილი, აღმ. ამიერკავკასიური ცული და სატეხი. ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში. *ბ. მ.*

**157. სამაროვანი,** არქეოლ. ძ. მდებარეობს ნოჩეთის უბნის განაპირას, ჩრდ-ით, ადგილ ქასრაანთ მიწებში. თარიღდება ძვ. წ. VI-IV სს-ით. ს. 1972-77 წწ. გათხარა კაე-მ (ხელმძღვ. გ. ცქიტიშვილი). ს-ზე გაითხარა ორმოსამარხები, რ-თა ნაწილი გადახურული იყო ფიქალი ქვით. ორმოსამარხებში ძირითადად თითო (ერთი შემთხვევაა წყვილადი დაკრძალვისა) მიცვალებული იყო დაკრძალული მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, ხელფეხმოხრილი. სამარხებში აღმოჩნდა აგრეთვე სუფრისა და სამზარეულოს თიხის ჭურჭელი, ლითონის იარაღი, სამკაული, ზოგიერთში — ქსოვილისა და ტყავის ნაშთი. ორ სამარხში მიცვალებული ესვენა მათ ქვეშ მდებარე სამარხების გადამხურავ ფილაქვაზე, სრულიად უინვენტაროდ (შეწირული ადამიანის სამარხი). მოპოვებული მასალა ინახება კაე-ს ბაზაზე. *ბიბლ.:* 30. *ბ. ე.*

**158. სოფლის სკოლა,** ისტ. ძ. მდებარეობს შუა უბანში. XIX ს. ააგო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზ-ბამ. შენობა ერთსართულიანია. სკოლაში კავთისხევის სცენის მოყვარულებმა 1881 წ. 6 მაისს წარმოადგინეს ა. ცხვედაძის კომედია „ბედნიერი ქორწილი". ამის შესახებ გაზ. „დროება" საგანგებოდ აღნიშნავდა: „კავთისხევში ზოგიერთმა ახალგაზრდა ქალ-ვაჟმა განიზრახეს საზოგადოებისათვის წარმოდგენის გამართვა, რომლის დედააზრი ის არის, რომ დაეხმარონ სოფლის ღარიბ მოსწავლეებს, რათა სხვაგან გააგრძელონ სწავლა ნიჭიერებმა". ამ სცენაზე შემდეგში დაიდგა ა. ყაზბეგის დრამა „არსენა", შ. დადიანის დრამა „ბატონი და ყმა" (ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის" მიხედვით). სცენაზე სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ ცნობილი მსახიობები. 1911 წ. კავთისხევს ესტუმრა ვ. აბაშიძე და ვ. გუნია, რ-ებმაც მონაწილეობა მიიღეს ვ. გუნიას კომედიაში „ციხე-სიმაგრე". *ბიბლ.:* 400:1881 წ., 24 მაისი, № 72; 409:1969 წ., 8 ოქტომბერი, № 54; 410: 1969 წ., 14 იანვარი. *ქ. ქ., მ. მ.*

**159. გიორგი შატბერაშვილის ძეგლი,** მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სოფ. თვალადისკენ მიმავალ გზაზე, სოფსაბჭოდან რამდენიმე *მ*-ის დაშორებით, სპეციალურად შექმნილ მოედანზე (24 X 18 *მ*). გაიხსნა 1981 წ. 9 ივნისს. ავტორები: მოქანდ. ჯ. თუშურაშვილი, არქიტ. ი. კავთიაშვილი. ცნობილი ქართვ. მწერლის გ. შატბერაშვილის (1910-65 წწ.) ბრინჯაოს ქანდაკება დგას ტუფის სწორკუთხა კვარცხლბეკზე (1,8 X 0,6 *მ*). კომპოზიცია ფრონტალურია. წარმოდგენილია მწერლის თავი და კისერი. პორტრეტული მსგავსება დაცულია. ძეგლის უკან, დაბალ კედელზე მარმარილოს სამი ფილაა (1,2 X 0,75 *მ*). მარცხენაზე გამოსახულია მზე, ვაზი და ეკლესიის ფასადი, ქვეშ წარწერაა: „მკვდრის მზე". მომდევნო ორ ფილაზე დაბალი რელიეფით შესრულებული სტილიზებული წარწერებია: „საქილდაო ქვას მხოლოდ ღვთის ნათლულები თუ უხამენ ძვრას"; „ღმერთო, მიცოცხლე ქართული სიტყვა, აწ და მარადის და უკუნისად". *დ. ფ.*

**ციხიაგორა,** იხ. ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი ც ი ხ ი ა გ ო რ ა.

**160. ძლევის ქედის წმ. გიორგის ეკლესია,** არქიტ. ძ. დგას ძლევის ქედზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. თავდაპირველად ეკლ. მცირე ზომის ყოფილა. XIX ს. მისთვის დას-დან მიუშენებიათ თითქმის მისივე ზომის ნაგებობა და ძვ. და ახ. ნაწილებისათვის თლილი ქვის ერთიანი, თაროსებრი ლავგარდანი შემოუვლიათ. სამხრ. მინაშენი კიდევ უფრო გვიანდელია.

ეკლ. დარბაზულია (10,4 X 5,9 *მ* მინაშენებიანად), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი ორი აქვს — დას-დან და სამხრ-დან. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილი სარკმელი ამოქოლილია მარმარილოს ფილით. საკურთხეველში სატრაპეზო ქვა დგას. თლილი კვადრებით გამოყვანილი კონქი და სატრიუმფო თაღი პროფილირებულ კონსოლებს ეყრდნობოდა (შემორჩენილია ფრაგმენტები). დას., სამხრ. და ჩრდ. კედლებში თითო სარკმელია. დას-ის ფასადის კარი შემკულია ქვის საპირეებით და ნახევარწრიული თაღით მთავრდება. ამავე ფასადზე, ფრონტონის კეხქვეშ, აგურით გამოყვანილია დეკორატ. ჯვარი. დანარჩენი ფასადები სადაა. *მგ. მ.*

**161. წმ. გიორგის ეკლესია,** არქიტ. ძ. დგას თხინვალიანთ უბანში. სამხრ. კარის ტიმპანზე ამოკვეთილი მხედრ. საშენ. წარწერის მიხედვით ეკლ. 1886 წ. აუგია ოსტატ ჯაბადარს. ეკლ. დარბაზულია (20,85 X 8,55 *მ*), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. კონსტრ. ნაწილები და ლავგარდანი აგურისაა. ეკლესიას შესასვლელი სამი მხრიდან ჰქონია. მთავარი შესასვლელი სამხრ-დანაა, დანარჩენი ორი ამოქოლილია. ისინი ფრონტონით ყოფილა გადახურული. ნახევარწრიულ აფსიდში სამი სარკმელია. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-იც ერთსაფეხურიან პილასტრებზე ამოყვანილ ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. გრძივ კედლებში ოთხოთხი ფართო სარკმელია. ინტერიერის დას. ნაწილში სამმალიანი თაღებით გახსნილი პატრონიკეა. იგი ფართო გასასვლელით უკავშირდება სამნაწი-

ლიან მ ი ნ ა შ ე ნ ს, რ-ის შუა ნაწილი კ ა რ ი ბ ჭ ე ყოფილა (ამჟამად ამოშენებულია). ეკლ. მაღალ ცოკოლზე დგას. აღმ. ფასადზე საკურთხევლის ნახევარწრიული შვერილია. დას., ჩრდ. და სამხრ. ფასადებზე, ცენტრ. არეებში აგურის წყობით გამოყვანილია დეკორატ. ჯვრები. დას. ფასადის ფრონტონის კეხზე ნახევარწრიული თაღებით გახსნილი ოთხბოძიანი აგურის ს ა მ რ ე კ ლ ო დგას. *მგ. მ.*

162. წმ. ნიკოლოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ხვედრელიანთ უბანში, გორაკზე, ძველ სასაფლაოზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (5,95 X 4,6 *მ*), ნაგებია მოზრდილი პირმოსწორებული ლოდებით. გამოყენებულია აგურიც. შესასვლელი სამხრ-დანაა (შეკეთების დროს გაუფართოებიათ). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშია. კამარა შეკეთების დროს დაუდაბლებიათ და ახლა აფსიდის სატრიუმფო თაღს უშუალოდ ერწყმის. დარბაზს ორი სარკმელი აქვს: სამხრ-ისა ოთხკუთხაა, დას-ისა — თაღოვანი. სამხრ. და დას. ფასადების კუთხის საპერანგე ქვები ჩამოცვენილია. რთულპროფილიანი, აგურის ხუთი რიგისაგან შედგენილი ლავგარდანი ახალია. ფრონტონები ძლიერ მახვილკუთხოვანია. *მგ. მ.*

## კაპრაშიანი

(ახალქალაქის სოფსაბჭო)

163. საყრისის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, მდ. თეძმის მარჯვ. ნაპირზე, შემაღლებულ ბორცვზე, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (5 X 4 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. დანგრეულია. შედარებით კარგადაა შემონახული ჩრდ. კედლის აღმ. მონაკვეთი. შესასვლელი სამხრ-დანაა. სწორკუთხოვან საკურთხეველში ერთი სარკმელი და ორი ნიშია, უფრო მცირე ზომის სარკმელია დას. კედელში. ერთი ნიში ჩრდ. კედლის დას. კუთხეშია. ეკლ. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით. *მ. ნ.*

## კოდისწყარო

(სოფსაბჭოს ცენტრი)

164. კოდისწყარო, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს კასპიდან 22 *კმ*-ზე. იხსენიება ლეონტი მროველთან (XI ს). 1433 წ. სოფელი თაყა ზევდგინიძემ შიომღვიმის მონასტერს შესწირა. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ძ. სამუხრანბატონოში შედიოდა.

ბიბლ.: 220ა:98. *აფრ. გ.*

164ა. დიონისეს ქანდაკება, მონუმ. ხელოვნ. ძ. ვერცხლით ინკრუსტირებული ბრინჯაოს ქანდაკება (სიმ. 0,2 *მ*) ნაპოვნია შემთხვევით 1982 წ. სოფლის აღმ-ით. ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *მირ. ნ.*



164ა. დიონისეს ქანდაკება

165. ნამოსახლარი და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, ადგილ ხრიაკებში, დაქანებულ ფერდობზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით.

(ა) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ს კვეთს ნიაღვრებისაგან წარმოქმნილი პატარა ხრამი, რ-ის ნაპირების ჭრილში ჩანს ნაცროვან-ნახშიროვანი (სისქე 1 *მ*) მძლავრი კულტ. ფენა, რ-შიც იპოვება წითლად გამომწვარი კერამიკის ფრაგმენტები.

(ბ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს ნამოსახლარის ჩრდ-ით, 50 *მ*-ზე. ხრამის ნაპირების ჭრილში ჩანს სანახევროდ გაშიშვლებული და დანგრეული თიხის სარკოფაგები. გაითხარა ერთი სარკოფაგი, რ-შიც მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტ. წესით, უინვენტაროდ. *ირ. შ.*

166. წმ. თევდორეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. თარიღდება XVIII-XIX სს. ეკლ. დარბაზულია (7,5 X 5,1 *მ*), ნაგებია რიყის ქვით, კონსტრ. ნაწილებში (ლავგარდანი, კამარა, საბჯენი თაღი, კონქი) გამოყენებულია კვადრ. აგური. ეკლ. დაზიანებულია. ადგილ. მოსახლეობამ 1979 წ. ეკლესია შეაკეთა — განაახლა გრძივი კედლების ზედა ნაწილები და კრამიტის სახურავის ნაწილი. შესასვლელი სამხრ-დანაა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთ მთლიან შირიმის ქვაშია ამოკვეთილი თაღოვანი სარკმელი (ამოქოლილია). საკურთხევლის ჩრდ. მხარეს სწორკუთხა ნიშია. ნახევარწრიული კამარა ერთ შეკიდულ საბჯენ თაღს ეყრდნობა. სამხრ-ის სწორკუთხა სარკმელი შეკეთების დროსაა გაჭრილი, ხოლო დას-ის თაღოვანი სარკმელი (ამოქოლილია) ეკლესიის თანადროულია. მას ქვის საპირე აქვს შემოღლებული და მარტივადაა მოჩარჩოებული. დას. ფასადზე სარკმლის ცრუ ტიმპანზე გამოსახულია პატარა რელიეფური ჯვარი, ხოლო ფრონტონზე, აგურის წყობაში, — შეღრმავებული ჯვარი. ლავგარდანი აგურისაა.

ეკლესიის აღმ. ფასადის კეხზე დგას აგურით ნაწყობი დაბალი ს ა მ რ ე კ ლ ო — ოთხ სწორკუთხა ბოძზე დაყრდნობილი, ორივე მხარეს გახსნილი, ფანჩატური, რ-იც გადახურულია აგურის პირამიდული სახურავით. *დე. თ.*

## ლავრისხევი

(წინარეხის სოფსაბჭო)

167. ლავრა, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, 1-1,5 *კმ*-ზე, ტყიან ხე-

167. აღმ ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ





167 გეგმა

ობაში. თარიღდება X ს. I ნახ-ით.

ეკლ. ჯვარ-გუმბათოვანი თავისუფალი ჯვრის ტიპის ნაგებობაა (9,5X9 მ), ნაგებია სამ. ზომის მოყავისფრო-მოყვითალო ნატეხი ქვიშაქვით, გამოყენებულია ბაზალტი და ტუფიც. XIX ს. ეკლ. შიგნიდან და გარედან შელესეს და მოხატეს, დააგეს ხის იატაკი, დადგეს კ ა ნ კ ე ლ ი და გადახურეს თუნუქით. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — ჩრდ. მკლავის ჩრდ. კედელში და დას. მკლავის სამხრ. კედელში. აღმ. მკლავი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. დანარჩენი მკლავები სწორკუთხაა. რვაწახნაგა გუმბათი ოდნავ წაგრძელებულ მართკუთხედს ემყარება. გუმბათზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპისმაგვარი კონსტრუქციის მეშვეობით. ყოველ წახნაგში და ოთხივე მკლავში თითო სარკმელია. გუმბათი გადახურულია შეკრული კამარით. მკლავების გრძივ კედლებში ამოყვანილია თაღები, რ-ებსაც კონსტრ. და დეკორატ. მნიშვნელობაც აქვთ. ეკლესიაში შემორჩენილია (ა) მ ო ხ ა ტ ო ბ ი ს ფრაგმენტები. *ანდღ. ნ.*

168. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, მინდორში. თარიღდება ანტ. ხანით. ნ-ზე ზედაპირულად იპოვება როგორც ადრინდ., ისე გვიანდ. ანტ. ხანის თიხის ჭურჭლის (დერგი, ქვევრი, დოქი, ჯამი და სხვ.) ფრაგმენტები, წითლად შეღებილი ბრტყელი ღარიანი კრამიტის ნატეხები. მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *ირ. შ.*

169. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 2 *კმ*-ზე, ლავრისკენ მიმავალი გზის ორივე მხარეს (ფართ. 4 *ჰა*). თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. შემორჩენილია ნასახლართა ნაძირკვლები. სახლები ნაგები ყოფილა ნატეხი ქვით და გადახურული ღარისებრი და ბრტყელი კრამიტებით. ზედაპირულად იპოვება თიხის წითლად გამომწვარი თხელკედლიანი ჭურჭლის ნატეხები. *ირ. შ., ის. ნ.*

## ლამისყანა

(სოფსაბჭოს ცენტრი)

170. ლამისყანა, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს ქსნის ხეობაში. გვიანდ. ფეოდ. ხანაში სოფ. ლამისყანა ქსნის ერისთავების სამფლობელოში შედიოდა. XVIII ს. I ნახ-ში იგი მუხრან ბატონების გამგებლობაში გადავიდა, შემდეგ კვლავ ერისთავებს დაუბრუნდა.

(ა) 1728 წ. ილტოზის წყაროზე (დღეს ამ წყაროს გურამიშვილის წყაროს ეძახიან) ლეკებმა დაატყვევეს დავით გურამიშვილი.

(ბ) 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის ჯარის ერთი რაზმი ლამისყანაში დაამარცხა იოანე ბატონიშვილმა.

XIX ს. ბოლოს, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, სოფელში ხშირად ეწყობოდა კლასობრივი ხასიათის შეტაკებები.

(გ) 1905 წ. 23 სექტ. ლამისყანაში პოლიციამ გაჩხრიკა თავად ერისთავის კარ-მიდამო, სადაც აღმოაჩინა რევოლუციონერების მიერ გადამალული იარაღი და 50 ცალი პროკლამაცია.

(დ) 1906 წ. მარტში კაზაკებმა ააოხრეს და გაძარცვეს მოსახლეობა, ცემით მოკლეს 3 კაცი. იარაღის ჩაუბარებლობისათვის სოფელს გადაახდევინეს 600 მანეთი ჯარიმა.

(ე) 1908 წ. 17 აგვ. გლეხთა რევ. გამოსვლების პასუხად ლამისყანაში დამსჯელი რაზმები ჩააყენეს.

(ვ) 1913 წ. ივ. ჯავახიშვილმა ლამისყანაში ჯამბაკურ ორბელიანის სასახლის ბიბლიოთეკაში მიაკვლია „ქართლის ცხოვრების" ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის უძველესს, რ-იც გადაწერილია ალექსანდრე კახთა მეფის მეუღლის დედოფალ ანას ბრძანებით XV ს. II ნახ-ში (ანასეული ხელნაწერი).

*ბიბლ.:* 46:198, 242, 305; 201დ:626.

*აფრ. გ.*

171. დავით გურამიშვილის წყარო-მემორიალი, ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. გაიხსნა 1975 წ. მაისში, დ. გურამიშვილის დაბადების 270 წლისთავზე (ავტორი: არქიტ. ვ. ორბელაძე). ორ მოზრდილ ფილაზე ამოკვეთილია პოეტის სიტყვები: „მოიღეთ წმინდა ჭურჭელი, წაიღეთ ვისაც გსურითა". აქ ყოველწლიურად იმართება გურამიშვილობა.

*ბიბლ.:* 407:1975 წ., 12 ივნისი, № 11.

*ქ. ქ.*

172. ნამოსახლარი გორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფ. თეზისაკენ მიმავალი გზის მარცხნივ, სასაფლაოზე. თარიღდება ძვ. წ. I ათასწლ. შუახანებით. გორის ფერდობებზე იპოვება თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. *გვ. ჯ.*

173. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ლამისყანის მიწებში, იქ, სადაც იგოეთის გზას სარწყავი არხი კვეთს. ზედაპირულად აკრეფილი მასალის მიხედვით ნ. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. *გვ. ჯ.*

174. ორბელიანთა სასახლის კომპლექსი, არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის ზემოთ, მდ. ქსნის მარჯვ. ნაპირზე, ძნელად მისადგომი, მაღალი ბორცვის ფერდობზე, ანტ. ხანის (ა) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ზ ე. კომპლექსში შედის: ციხე-გალავანი, სასახლე, გალავნის გარეთ მდებარე წმ. გიორგის ეკლესია, მარანი და სხვ. სამეურნეო ნაგებობანი ციხე-გალავანს მოხერხებული მდებარეობა აქვს: აქედან კარგად ჩანს ქსნის ხეობის დიდი მონაკვეთი და იქ განლაგებული სოფლები (ძვ. ილტოზა, ქსოვრისი, ოძისი) და ციხეები (ქსნის, დამპალოს, მუხრანისა და სხვ.). ჩრდ.-აღმ-ით მოჩანს ქ. ლენინგორი (ძვ. ახალგორი — ქსნის ერისთავთა რეზიდენცია). სავარაუდოა ციხე-გალავანი ქსნის ერისთავის ან მისი ოჯახის რომელიმე წევრის დაკვეთითაა აგებული (მშენებლობის შესახებ ცნობები არ არის შემორჩენილი). თარიღდება XVIII ს-ით; XIX ს-ში გალავნის სამხრ. ნაწილი სასახლის ნაგებობაში ჩაურთავთ და გადაუკეთებიათ მის ერთ-ერთ კედლად. ამიტომ მოშლილია გალავნის ზედა ნაწილი — სათოფურების ზედა რიგი საბრძოლო ბილიკის დონეზე.

სასახლე აუშენებია ივანე ორბელიანს მისი მეუღლის, ნინო თორნიკეს ასულ ერისთავის მამისეულ ნამზითვ მამულში. ამიტომ სასახლე ორბელიანების სახელითაა ცნობილი. XIX ს. შუა წლებში მისი ბოლო მეპატრონეები იყვნენ ალექსანდრე ორბელიანი და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი. ალექსანდრე ორბელიანის დედამ ნინო თორნიკეს ასულმა ერისთავმა ციხე-გალავანი სასახლითა და მამულებით თავის რძალს მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს უბოძა.

ორბელიანთა სასახლის ლიტერატურულ სალონში თავს იყრიდნენ ცნობილი მოღვაწენი. თვით მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი (1852-1941 წწ.), შვილი პოეტ ვახტანგ ორბელიანისა (1812-1890 წწ.), ცნობილი ლიტერატორი და საზ. მოღვაწე იყო. აქ ხშირად ჩამოდიოდნენ, დროდადრო ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ვახტანგ ორბელიანი, ივანე ჯავახიშვილი (1876-1940 წწ.), რ-საც ცოლად ჰყავდა მარიამ ორბელიანის ძმისშვილი ანასტასია ნიკოლოზის ასული ორბელიანი, ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე (1870-1917 წწ.) — ივანე ჯავახიშვილის ქვისლი და სხვ. ამ სახლში იყო ორბელიანთა მდიდარი საგვარეულო ბიბლიოთეკა.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველ წლებში ორბელიანთა სასახლეში ადმ. დანიშნულების დაწესებულებები იყო. 1922-30 წწ შენობაში მოთავსებული იყო ლამისყანის კომუნა. კომუნის გაუქმების შემდეგ სასახლეში მოთავსდა სასოფლო საბჭო, კოლ-ბის გამგეობა, ფოსტა, ბიბ-კა და სხვ.

1979 წ ძ-ზე ხარესტ. სამუშაოები დაიწყო სპეც სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანებამ (რესტავრაციის პროექტის ავტ. ი. შარაშენიძე, თანავტ. თ. ხუჭუა). ძ. ძლიერ დაზიანებულია: დანგრეულია კოშკებიანი გალავნის დიდი ნაწილი და გალავნის შიგნით სამხრ-ით და ჩრდ-ით მდგომი საცხოვრ. ნაგებობები.

(ბ) გ ა ლ ა ვ ნ ი თ შემოსაზღვრული ტერიტორია (36,5 X 46 მ) წაგრძელებულია აღმ-დან დას-კენ. გალავნის ოთხივე კუთხეში მრგვალი კ ო შ კ ე ბ ი იდგა კედლები ნაგებია რიყის ქვით, კარ-სარკმლებისთვის გამოყენებულია ბრტყელი კვადრ. აგური. გალავანს შესასვლელი თავდაპირველად ჩრდ. კედელში ჰქონდა, სოფლის მხარეს. შესასვლელს გვერდითი სათოფურები იცავდა. მტრის თავდასხმის დროს ამ მხრიდან გავაკებული მისადგომებით ადვილი იყო გალავანში მოსახლეობის შეხიზვნა. გალავნის კედლები ორიარუსიანია (სიმ. 6 მ-მდე). ქვედა იარუსი ძირითადად ყრუა, ზედა სათოფურებიანია. აღმ. და დას. კედლების ქვედა იარუსებში შემორჩენილია ერთმანეთის მონაცვლეობით განლაგებული გარეთკენ დახრილი ცალმაგი და თარაზულად გაჭრილი წყვილი სათოფურები, მეორე იარუსზე კი გარეთკენ დახრილი სათოფურები. საბრძოლო ბილიკზე ხის მისადგმელი კიბით ადიოდნენ. აქ ძირითადი საბრძოლო იარუსია. ქვედა იარუსში სათოფურები შედარებით ნაკლებია. სამხრ.-აღმ-ისა და სამხრ.-დას-ის ნახევრამდე შემორჩენილ კოშკებზე სასახლის მშენებლობის დროს ოთხკუთხა ოთახები დაუშენებიათ. უკეთესადაა შემორჩენილი ჩრდ.-აღმ-ისა და ჩრდ.-დას-ის ორსართულიანი კოშკები. ჩრდ.-აღმ-ის კოშკში გადარჩენილია ზედა საბრძოლო სართულის მნიშვნელოვანი ნაწილი, სამი ქონგური და ნისკარტისებრი სალოდეების დამჭერი კონსტრუქციის დეტალები. ოთხივე კოშკს თითო შესასვლელი პირველ სართულზე აქვს ეზოდან, დანარჩენი შესასვლელები საბრძოლო ბილიკებზე გამოდის. სათოფურების რაოდენობა და ტიპები ზედა სართულებში პირველთან შედარებით უფრო მეტია. გაჭრილია სარკმლის ღიობებიც. სათოფურებს შორის აღსანიშნავია სამკლავეებით აღჭურვილი სათოფურები. ყველა სართულზე თითო ბუხარია. საბრძოლო ღიობების ტიპები უკეთესადაა შემონახული გალავნის



174(ბ). გალავნის ჩრდ. კედელი გარედან და ეზოდან

ჩრდ. კედელში. აღმ. და დას. კედლებში, საბრძოლო ელემენტების გარდა, შემორჩენილია საბრძოლო ბილიკის დონეზე მოწყობილი ნახევარწრიული ფორმის საპირფარეშოების ფრაგმენტები გარეთ გაყვანილი ხვრელით. სამხრ. კედლის ქვედა ნაწილში თითქმის მთლიანად შემორჩენილია საბრძოლო სისტემა კედლის მთელ სიგრძეზე (გამოჩნდა სარესტავრ. სამუშაოების შედეგად). კოშკებში სართულშუა გადახურვა ხისა იყო.

(გ) ო რ ბ ე ლ ი ა ნ ე ბ ი ს ს ა ს ა ხ ლ ე ციხის სამხრ. ნაწილში მდებარეობს. იგი XIX ს. I ნახ-ში მიაშენეს ციხე-გალავანს. სასახლე (12,5 X 26 მ) ნაგებია რიყის ქვითა და ბრტყელი კვადრ. აგურით. გადაკეთების დროს ნახმარია გვიანდ. აგურიც. სასახლე ორსართულიანია. ორივე სართულზე ოთახები გრძივი კედლების გასწვრივ ანფილადურად არის განლაგებული. ორრიგად განლაგებული სათავსებიდან ეზოსკენ მოქცეული ოთახების რიგის სიგანე უფრო ნაკლებია, ვიდრე ხევისკენ განლაგებული რიგისა. პირველ რიგში ორივე სართულზე ხუთ-ხუთი პატარა

174(გ). სამხრ.-აღმ. ფასადი, II სართულის გეგმა



ოთახია, მეორე რიგში — სამ-სამი (შუაში დიდი დარბაზია). შესასვლელი ეზოდანაა. პირველ სართულზე, მის შუა ხათავსში, უშუალოდ ეზოდან შეიძლება მოხვედრა, ხოლო მეორე სართულზე — აივნიდან, რ-საც ხის კიბე აქვს. ყველა ოთახი ერთმანეთთან კარითაა დაკავშირებული. პირველი რიგის განაპირა ოთახები ციხე-გალავნის შესაბამისი სართულების კოშკებს უკავშირდება კარით. პირველი სართულის შუა დიდ ოთახს სამხრ-ის კედელში, გარდა ფართო სარკმლებისა, ცენტრ. ნაწილში აქონია მეორე შესასვლელიც, რ-იც გადაკეთებულია სწორკუთხა ნიშად. მეორე სართული პირველის ანალოგიურია. მხოლოდ მას ოთხივე მხრიდან ხის დიდი აივნები ეკვრის. შენობის გასათბობად იყენებდნენ ბუხრებსა და კედლის ღუმლებს. ინტერიერი მთლიანად შელესილია.

ფასადებიდან აღსანიშნავია ქსნის ხეობისკენ მიქცეული გრძივი ფასადი, რ-ის მონუმენტური, რიყის ქვით ნაწყობი კედლის სიბრტყე ორ იარუსად განლაგებული სარკმლებით სიმეტრიულადაა დანაწევრებული. ქვედა იარუსის სარკმლები თაღოვანია, ხოლო ზედასი — სწორკუთხა. ფასადის ცენტრ. ნაწილში, მეორე სართულზე ხის ბოძებიანი წინწამოწეული რიკულებიანი აივანია. სასახლე გადახურულია კრამიტის ოთხფერდა სახურავით.

(დ) წ მ . გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა დგას ციხე-გალავნის გარეთ, მის ჩრდ. კედელთან, შესასვლელთან. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. XIX ს. შეაკეთეს. (შეკეთების შედეგად ნაგებობას შეცვლილი აქვს თავდაპირველი სახე): უშუალოდ სარკმლების ზემოთ, კედლების მთელ პერიმეტრზე (აფსიდის ჩათვლით), კედლის წყობის შესაკავშირებლად, გაიდო წყვილი ხის კოჭი, გაკეთდა ფიცრული ჭერი. ეკლ. დარბაზულია (10,8 X 6,5 $\vartheta$), ნაგებია აგურით, გამოყენებულია რიყის ქვაც. შიგნიდან სწორკუთხა შეღრმავებაში ჩასმული ერთადერთი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ფართო მხრებით გამოყოფილი ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე, მაღლა, სწორკუთხა არეში ჩასმული სარკმელია. ერთი ასეთივე სარკმელი დას. კედელშია, ხოლო ორი — ჩრდ. კედელში. აფსიდში ორი ფართო თაღოვანი ნიშია. ჩრდ. ნიშის აღმ. წირთხლში პატარა დამატებითი ნიშია ამოკვეთილი. ორივე ნიშში თაღის ქუსლის დონეზე ჩასმულია ფიცრული თარო. ინტერიერი მთლიანად შელესილი და შეთეთრებულია. ფასადების კედლის სიბრტყეები რეგულარულად ნაწყობი აგურისა და რიყის ქვის რიგების მკაცრი მონაცვლეობითაა შექმნილი. აგურის რიგები ნაწყობია როგორც ჩვეულებრივი, ასევე დახრილი წყობით. აღმ. ფასადზე სარკმელი თაღოვანია. სამხრ. ფასადის აღმ. ნაწილში თაღოვანი ნიშია. სარკმლების თაღოვანი საპირეები, რ-ებიც კედლის სიბრტყეშია შეწეული, პროფილირებული აგურითაა ნაწყობი. სამხრ.-დას-ით ეკლ. გალავნის კოშკს ეკვრის დამატებითი, შუალედი კედლით, რ-შიც დას-ით თაღოვანი გასასვლელია გაჭრილი.

*ბიბლ.*: 155. *ბერძ. ც., დვ. თ.*

174(დ) გეგმა



175. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ძვ. სასაფლაოზე, გზის პირას. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

(ა) ეკლ. დარბაზულია (7,7 X 5 $\vartheta$), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით, კონსტრ. ნაწილები (საბჯენი თაღები, შესასვლელისა და სარკმლის წირთხლები) კარგად გათლილი შირიმის ქვისაა. ერთადერთი შესასვლელი სამხრ. კედლის შუა მონაკვეთში ყოფილა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის მარცხნივ სწორკუთხა ნიშია.

(ბ) მოგვიანებით ეკლესიისთვის ჩრდ-დან მიუშენებიათ მეორე ეკლ. (7,7 X 3,9 $\vartheta$). ეკლესიის აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის მარჯვნივ კი სწორკუთხა ნიში. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით.

ორივე ეკლესია ძალიან დაზიანებულია. თავდაპირველი ეკლესიის ფასადებზე შემორჩენილია საპირე ქვების ფრაგმენტები. *დვ. თ.*

175(ა),(ბ). გეგმა



## მამების მონასტერი,

იხ. ქ. კ ა ს პ ი, თ ე თ რ ა ხ ე ვ ი ს მ ა მ ე ბ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ე კ ლ ე ს ი ა დ ა ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი.

## მარშლიანთ სასახლე,

იხ. სოფ. გ ა რ ი ყ უ ლ ა, თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ს ა ს ა ხ ლ ე.

## მაღალაანთ ეკლესიის კომპლექსი,

იხ. სოფ. წ ი ნ ა რ ე ხ ი.

## მეტეხი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

177. ამაღლების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, გუგულაანთ უბნის სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (5 X 4 $\vartheta$), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. წყობა ირეგულარულია. კონსტრ. ნაწილებში, კუთხეებსა და წირთხლებზე გამოყენებულია შირიმის ქვა. ეკლ. დაზიანებულია: ჩამონგრეულია აღმ. კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი, აგრეთვე დანარჩენი კედლების ზედა ნაწილები ლავგარდნიანად. სახურავი აყრილია. შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი შიგნიდან სწორკუთხა შეღრმავებაშია მოქცეული. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. მის

177. განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



ქვემოთ, კედელთან სატრაპეზო ქვაა მიდგმული. აფსიდის ჩრდ. მხარეს სწორკუთხა ნიშია, რ-შიც შიგნით დამატებითი, უფრო მცირე ნიშია. უფრო ზემოთ, აფსიდის ორივე მხარეს, კედელში თითო უბე-რეზონატორია, რ-თა თითო სწორკუთხა ხვრელი სარკმლის შესაბამის წირთხლშია გაჭრილი. აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით, რ-ზეც მარტივი სატრიუმფო თაღია გადაყვანილი. საკურთხევლის წინ დგას მცირე ზომის ორმალიანი კ ა ნ კ ე ლ ი, რ-საც მონგრეული აქვს თაღებშორისი სვეტი თაღების ქუსლების დონემდე. დარბაზი გადახურულია პილასტრებზე გადაყვანილი ცილინდრული კამარით, რ-საც ორი შეკიდული საბჯენი თაღი აქვს: ერთი — დას. კედელთან, მეორე — კამარის შუა ნაწილში. დას. კედელში თაღოვანი სარკმელია. ამავე კედლის სამხრ. ნაწილში ერთი სწორკუთხა ნიშია. ეკლესიის ინტერიერი და კანკელი შელესილია. იატაკი დატკეპნილი მიწისაა. საკურთხევლის ბაქანი არ არის გამოყოფილი. *ბერ. ც., დვ. თ.*

178. **კვირაცხოვლის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, 200 *მ*-ზე, მაღალ გორაკზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლესიას სტრატეგიულად მარჯვე ადგილმდებარეობა აქვს და დიდ როლს ასრულებდა მტრისგან თავის დაცვაში. ეკლ. დარბაზულია (9,7X6 *მ*), ნაგებია რიყის ქვით, შიგნითა კედლები და პილასტრები ქვითაა ნაწყობი, ხოლო კრონშტეინები, კაპიტელები, თაღი, კამარა და კონქი — კარგად შერჩეული მცირე ზომის შირიმის ქვით. შიგნიდან თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის შუა ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდი დარბაზისაგან მხრებით და მათზე უშუალოდ (უკაპიტელოდ) გადაყვანილი შეისრული სატრიუმფო თაღითაა გამოყოფილი. აფსიდის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია, აფსიდის ქვედა ნაწილში თითო სწორკუთხა ნიშია, ხოლო ზემოთ — ვიწრო და დაბალ საბრძოლო სათავსებში შესაძრომები. ორივე სათავსს აღმ-ით სათოფურები აქვს. ეკლესიის სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთში სწორკუთხაა სარკმელია, ხოლო დას. და ჩრდ. კედლების შუაში — თაღოვანი. დარბაზის გრძივი კედლების განაპირა მონაკვეთებში წყვილ-წყვილი პილასტრია, რ-ებზეც შეისრული კამარის საბჯენი თაღებია გადაყვანილი. მათ შორის მოთავსებული მესამე საბჯენი თაღი შეკიდულია და ფართო, თაროსებრ კრონშტეინებს ეყრდნობა. კაპიტელების პროფილს ვიწრო თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს. კიდევ ერთი, შედარებით ვიწრო, კედლის მიმდებარე შეკიდული საბჯენი თაღი აგვირგვინებს დას. კედელს. ინტერიერი მთლიანად შელესილი იყო. ეკლესიის თავისებურებას სათოფურების სიმრავლე წარმოადგენს. აღმ. კედელში ხუთი სათოფურია, გრძივი კედლების განაპირა მონაკვეთებში, თაღოვან ნიშებში — ორ-ორი. ისინი საკმაოდ მაღლაა გაჭრილი, თითქმის ეკლესიის კამარის ქუსლის დონეზე. საბრძოლო ბილიკად ფიცარნაგებს იყენებდნენ (კედლებში შემორჩენილია ბუდეები და ხის კოჭების ფრაგმენტები). ეკლესიის იატაკი დატკეპნილი მიწისაა, გადალესილია თიხით.

სამხრ. ფასადზე შესასვლელი დასრულებულია თაღიანი ტიმპანით, რ-შიც სწორკუთხა შეღრმავებაა. ამ ფასადზე კუთხეები თლილი ქვითაა ნაწყობი. ფასადებზე სარკმლები სწორკუთხაა. აღმ. და დას. ფასადების ფრონტონებზე, კედლის სიბრტყეში თითო შეღრმავებული ჯვარია გამოსახული. თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი თლილი ქვით ნაწყობი თაროსებრი ლავგარდანი. *ბერ. ც., დვ. თ.*

179. **მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსი**, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ტაძარი, გალავანი, კოშკები, სამრეკლო. ნაგებობები რამდენჯერმე შეკეთებული. გვიანდ. ფეოდ. ხანაში აღდგენილია ტაძრის გუმბათი, კამარები, კედლების ზედა მონაკვეთები, ორნამენტიანი სამკაულები. უკანასკნელად სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეც.-სარესტ. საწ. სახელოსნომ 1968 წ. ტაძარი გადახურეს კრამიტით, გაწმინდეს და კეთილმოაწყვეს ტერიტორია.

(ა) ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ტ ა ძ ა რ ი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (15 X 20 *მ*), თარიღდება XIII ს-ით. ნაგებია კარგად დამუშავებული ბაზალტის კვადრებით. ფასადებში ჩართულია მწვანე ფერის ქვებიც. შესასვლელი ორი აქვს — სამხრ-დან და დას-დან. ორივე შიგნიდან თაღოვანია, გარედან — ოთხკუთხა. გუმბათი აღმართულია აფსიდის კედლებსა და დას-ის წყვილ ბურჯზე. ნახევარწრიული აფსიდი იატაკის საერთო დონიდან ორი საფეხურითაა ამაღლებული. აფსიდს ერთსაფეხურიანი ჩამოსაჯდომი გასდევს; ღერძზე კი, ღრმა ნიშის სახით, საწინამძღვრო ტახტია მოწყობილი. აფსიდში სამი სარკმელია. ტაძრის აღმ. მკლავებშორისი მონაკვეთები გაყოფილია ორ სართულად. პირველ სართულზე, საკურთხევლის ორივე მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნეა. აფსიდთან მხოლოდ სამკვეთლოა უშუალოდ დაკავშირებული. სამკვეთლოსა და სადიაკვნის თავზე სამალავი სავნებია. ყველა სათავსს ნახევარწრიული აფსიდი და ვიწრო სარკმელი აქვს. ტაძრის განივი მკლავები ტოლია, ხოლო გრძივი მკლავები გათანაბრებულია საკურთხეველზე ღრმა ბემის დამატებით. გუმბათქვეშა თაღები ნახევარწრიულია და ორი საფეხურისგან შედგება. ისინი ამავე დროს გუმბათის ყელისა და მკლავების კამარების საყრდენს წარმოადგენს. თაღებზე უშუალოდ დევს წრიული თარო, რ-იც გუმბათის ფუძეზეა შემოყოლებული. კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა განხორციელებულია აფრებით. გუმბათის ყელი ზევით ძლიერ შევიწროებულია. მასში 12 სარკმელია. ტაძრის მკლავები გადახურულია ნახევარწრიული კამარებით. კამარებში ორ-ორი სარკმელია. დას. მკლავის

178. განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



179(ა). სამხრ. ფასადი







179(ა). გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა

გრძივი კედლები არასწორი მოყვანილობის დაბალ თაღებზეა ამოყვანილი. თაღები ერთ მხარეს გუმბათქვეშა ბურჯებს ეყრდნობა, ხოლო მეორე მხარეს — ორნაწილიან პილასტრებს.

ტაძრის გარე მასების კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს თორმეტწახნაგა გუმბათი. მას გლუვი რთულპროფილიანი ლავგარდანი (თარო, ლილვი, წრეთარგი) აქვს. დეკორატ. მორთულობა დაზიანებულია. ფასადებზე საპერანგე ქვებიც და ორნამენტული ელემენტებიც ბევრგან შეცვლილია, გადაწყობილია ან საერთოდ აღარ არსებობს. ტაძრის ფასადების მორთულობის შემკვრელი იყო დეკორატ. თაღედი, რ-ის მცირე ნაწილია შემორჩენილი. ასეთი თაღედი გასდევდა ძირითადი მკლავების გვერდით



კედლებსაც. შემორჩენილია ქვედა ლილვები. ოთხივე ფასადზე ერთი და იგივე ძირითადი დეკორატ. მოტივი მეორდება. დიდი ჯვარი და სარკმლების მოჩარჩოება, უამრავი მედალიონი. ისინი უმთავრესად კედლების ცენტრ. არეებზეა თავმოყრილი (გვიან შესრულებული ჭრა მარტივი, მშრალი და ნაკლებად პლასტიკურია). აღმ ფასადის ჯვარი, რ-საც თითქმის მთელი ცენტრ. მკლავი უჭირავს, გლუვი ლილვებისაგან შედგება. მისი არშიაც გლუვია. თითოეული მკლავის ბოლოში მრგვალი მედალიონია ჩასმული, ხოლო მკლავების გადაკვეთის ადგილი გირჩითაა ხაზგასმული. ქვევით ჯერის ლილვები უწყვეტად გადადის ჯერ მედალიონების, შემდეგ კი საკურთხევლის ცენტრ. სარკმლის მოჩარჩოებაში, ვერტიკალურად ეშვება და შუა ფასადზე წყდება. გლუვი ლილვებითაა შემოხაზული ყველა დანარჩენი სარკმელი ამ ფასადზე. მდიდრულად მორთული სამკუთხა ნიშების დეკორისგან მხოლოდ ზედა თაღოვანი ნაწილებია შემორჩენილი. დანარჩენ ფასადებზე დეკორატ. ჯვრების ქვედა მკლავი წყვილ სარკმლებს შორისაა ჩაყოლებული. არშია დას. ფასადზე გლუვია, გრძივ ფასადებზე კი ორნამენტული წნულითაა შევსებული. გლუვია დას. და ჩრდ. ფასადების სარკმლების მოჩარჩოებაც.

(ბ) გ ა ლ ა ვ ა ნ ი (70 X 60 *მ*, კედლის სისქე 0,7 *მ*) კომპლექსს გარს უვლის. ნაგებია ნატეხი ქვით, ბევრგან ჩართულია მოზრდილი ზომის ლოდები, წყობაში გვხვდება აგური და რიყის ქვაც. გალავანი და კოშკები გვიანდ. ფეოდ. ხანას განეკუთვნება. XIX ს. გალავანზე დას-დან მიუშენებიათ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა, რ-იც ნაშენია რიყის ქვით. გალავანს სამხრ-ით ჰქონია კ ა რ ი ბ ჭ ე (ამჟამად ლითონის კარია ჩამოკიდებული).

179(ა) დას. შესასვლელის ტიმპანი

გალავანში ჩრდ.-დას-ით და სამხრ.-აღმ-ით ჩაშენებულია კ ო შ კ ე ბ ი. ერთი სწორკუთხა ყოფილა (მთლიანად დანგრეულია), მეორე ცილინდრულია და ზევით საგრძნობლად ვიწროვდება (დიამ. 4,4 *მ*). კოშკს ჩრდ-ით სწორკუთხა შესასვლელი აქვს.

(გ) ს ა მ რ ე კ ლ ო ტაძრის სამხრ.-აღმ-ითაა. ნაგებია აგურით. იგი XIX ს. დაუშენებიათ გალავანში ჩართულ ცილინდრულ კოშკზე. სამრეკ-

179(გ) საერთო ხედი



ლოს გუმბათი შიგნიდან ნახევარსფერულია, სახურავი — პირამიდული, კეხზე ლითონის ჯვარი ადგას. სამრეკლო ოთხივე მხარეს თაღოვანი ღიადებითაა გახსნილი. თაღები ნახევარწრიულია და ოთხკუთხა დეკორატ. ჩარჩოებშია ჩასმული. *გ. ი.*

180. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს რკ.-გზ. სადგურის სამხრ.-აღმ-ით, 200-300 *მ*-ზე, აგურის ქარხნის №1 თიხის კარიერის ტერიტორიაზე. თარიღდება ადრინდ. ბრინჯაოს ხანით. 6-ზე შემორჩენილია კარგად მოსწორებული 0,05 *მ* სისქის მოპრიალებული თიხატკეპნილი იატაკი, თიხის ბათქაშის ზედაპირზე აღმოჩენილი წნულის ანაბეჭდები მოწმობს, რომ ნაგებობას კედლები მოწნული და შელესილი ჰქონია. იატაკის ცენტრში იყო ძირგახვრეტილი მრგვალი უშვერილო კერა (დიამ. 0,52 *მ*, სიმ. 0,25 *მ*). ასეთი კერა შედარებით იშვიათად გვხვდება ამავე ხანის სხვა ძეგლებში. იატაკზე და კერაზე აღმოჩნდა სამყურა მოზრდილი ჭურჭელი, სწორპირიანი და მრგვალმუცლიანი ყურიანი ქოთანი, რელიეფური ორნამენტით შემკული მოზრდილი დერგის, კვერცხისებრი ფორმის ქილისა და სხვა ჭურჭლის ნამტვრევები. მასალა დაცულია კასპის მხარეთმც. მუზეუმში.

*ბიბლ.:* 219. *ბ. ე.*

181. ნამოსახლარი და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს კასპი-მეტეხის საავტ. გზის გასწვრივ, გზიდან 0,8 *კმ*-ზე, კოწახურის ხევის მარჯვ. ნაპირზე, ხევიდან 0,6 *კმ*-ზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანით.

(ა) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ზ ე ზედაპირულად იპოვება შავი და რუხი თიხის ჭურჭლის (დერგები, ქოთნები, ჯამები) ნატეხები.

ნამოსახლარის აღმ-ით 0,15 *კმ*-ზე (ბ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი ა. აქ დადასტურებულია ორმოსამარხები. ნამოსახლარის ჩრდ-ით, 0,1 *კმ*-ზე ორი ქვაყრილიანი ყ ო რ ღ ა ნ ი ა. *კვ. რ.*

182. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს გუგულაანთ უბანში, საშ. სკოლასთან. თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ით. დაინგრა მიწის სამუშაოების დროს. მასში აღმოჩნდა თიხის სამი ჭურჭელი, ბრინჯაოს ორი ცული, მასრაგახსნილი შუბისპირი, ბრინჯაოს ფოთლისებრი სატევარი და ბრინჯაოს სატეხის მასრა. ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში. ამავე სოფელში ნაპოვნი ბრინჯაოს ფოთლისებრი სატევრისპირი, ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი და ბრინჯაოს საკინძი ინახება გორის ისტ.-არქეოლ. მუზეუმში.

*ბიბლ.:* 6; 23:57. *ირ. შ.*

183. ყორღანები, არქეოლ. ძ.

(ა) ყ ო რ ღ ა ნ ი I მდებარეობს აგურის ქარხნის ტერიტორიაზე. თარიღდება ძვ. წ. XVI-XV სს-ით. 1958-59 წწ. ყორღანი გათხარა შამე-მ (ხელმძღვ. ა. კალანდაძე).

სამარხზე ეყარა რიყის ქვების გროვა (10X10 *მ*; ცენტრ. ნაწილის სიმ 0,85 *მ*), რ-იც ნაპირისკენ დაბლდებოდა. აღმ-ით ყორღანს ჰქონდა საკმაოდ დახრილი დრომოსი (0,8X4,5 *მ*). ყორღანის ცენტრში აღმოჩნდა აღმ-დან დას-კენ დამხრობილი ოთხკუთხა ფორმის სამარხი ორმო (2X2,2 *მ*; სიღრმე 1,85 *მ*). სამარხში აღმოჩნდა 24 თიხის ჭურჭელი (დერგი, ქილა, ქოთანი, ყურიანი და უყურო ჯამები, სასმისები); ჭურჭლის ტუფის სარქველი, ბრინჯაოს ყუნწიანი და სამანჭვლიანი ბრტყელი სატევარი; მასრაგახსნილი შუბისპირი; საკინძი სარდიონის მრგვალი თავით, ოქროს ღრუ და სარდიონის ოვალური მძივები. სამარხის სამხრ.-აღმ. და ჩრდ.-აღმ. კუთხეებში ეწყო მსხვილფეხა რქოსანის თავ-ფეხისა და ნეკნების ძვლები, ცენტრ. ნაწილში კი — წვრილფეხა (ცხვარი) და მსხვილფეხა საქონლის ძვლები. მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა გვერდით მდებარე ყორღანი (5 ყურიანი ჯამი და 5 ქილა). მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში.

(ბ) ყ ო რ ღ ა ნ ე ბ ი II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX მდებარეობს რკ.-გზ. სადგ. მეტეხთან. თარიღდება შუა ბრინჯაოს ხანით. ყორღანები 1965-1966 წწ. გათხარა ქაე-მ (ხელმძღვ. ზ. შატბერაშვილი).

ყორღანები წარმოადგენენ დაბალი კონუსის ფორმის რიყის ქვის ყრილებს, ზოგ მათგანს ირგვლივ ცალპირ წრედ (დიამ. 6-12 *მ*) შემოწყობილი აქვს ნატეხი ქვა. ყორღანების ერთ ნაწილს (II, III, IV) ოთხკუთხა დასაკრძალავი კამერა (სიღრმე 3-6 *მ*) აქვს, დანარჩენები კატაკომბური ტიპისაა. ყორღანებში აღმოჩნდა კერამ. ნაწარმი, ტუფის სარქვლები, ბრინჯაოს იარაღ-სამკაული, ოქროს და ნახევრად ძვირფასი ქვისა და პასტის მძივები. ოთხი ყორღანი ძლიერ დაზიანებულია. მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში.

*ბიბლ.:* 23:57. *ირ. შ., შ. ზ.*

# მეფის ქალაქი,

იხ. სოფ. ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი.

# მთიულთუბანი

(ახალციხის სოფსაბჭო)

184. სადგომი ბრილისი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, კავთისხევ-ნოსტეს გზის მარჯვ. მხარეს. თარიღდება ქვის ხანით. ზედაპირზე იპოვება კაჟის იარაღები და წარმოების ნაშთები. *ბუბ. გ.*

# ნიაბი

(გომის სოფსაბჭო)

185. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით, პატარა გორაკზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება X ს-ით. მოგვიანებით, შეკეთებისას აგურით განუახლებიათ ჩრდ. კედლის ზედა ნაწილები, ორსაფეხურიანი სატრიუმფო თაღი და კონქი, ზოგიერთი პილასტრის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეკლ. დარბაზულია (19,3X6,8 *მ*), ნაგებია კარგად გათლილი ტუფის კვადრებით, წყობის რიგების სწორხაზოვნება დაცულია. დაზიანებულია ეკლესიის ფასადები, ჩამონგრეულია კამარის მნიშვნელოვანი ნაწილი და დას. კედლის ზედა ნაწილი; ეკლესიასა და სამკვეთლოს სახურავი აღარა აქვს. ეკლესიაში ორი შესასვლელია: ერთი — სამხრ-ით, ეგვტერიდან, მეორე — ჩრდ. კედლის დას. ნაწილში. სამხრ-ის კარი შიგნიდან თაღოვანია, გარედან — არქიტრავული. ჩრდ. კარი ორივე მხრიდან თაღოვანია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის მარჯვნივ — მცირე ზომის სწორკუთხა ნიში. საკურთხევ-



185. აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა

ლის სარკმლის ქვეშ კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა. დარბაზის გრძივ კედლებზე ორი წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრია. პილასტრებს შორის კედლის თაღებია. კაპიტელებით დასრულებულ პილასტრებს საბჯენი თაღები ეყრდნობოდა. დას. საბჯენი თაღი სამხრ-ით პილასტრს ეყრდნობა, ჩრდ-ით — კრონშტეინს.

აფსიდის მხართან, ჩრდ. კედელში გაჭრილი კარით ეკლესია უკავშირდება სამკვეთლოს (5,2X2,8 *მ*), რ-ის აღმ. კედელში გაჭრილი მცირე თაღოვანი სარკმელი ამოქოლილია. სამხრ. კედელში, სარკმლის მარჯვნივ მცირე სწორკუთხა ნიშია, ხოლო ქვემოთ მთლიანი ქვიშაქვისაგან გამოთლილი სატრაპეზო ქვა დგას. სამკვეთლო გადახურულია ცილინდრული კამარით.

ეკლესიას სამხრ-დან მიშენებული აქვს ეგვტერი, გრძელი ვიწრო სათავსი (12,3X3,9 *მ*), რ-საც სამხრით ორმალიანი თაღოვანი შესასვლელი აქვს. ამჟამად აღმ. მალი ამოშენებულია. თაღებს შორის ტუფის მთლიანი ქვისგან გამოთლილი სვეტი იდგა. ნახევარწრიულ აფსიდში თაღოვანი სარკმელია, მის მარცხნივ — მცირე სწორკუთხა ნიში. სარკმლის ქვემოთ სატრაპეზო ქვა დგას. სამხრ. კედელში აფსიდის მხართან თაღოვანი სარკმელია. ეგვტერის კამაროვანი გადახურვა გადაყვანილია ეკლესიის სამხრ. კედელზე და მის თაღედზე.

ეკლესიის აღმ. ფასადი წარმოდგენილია ბაზილიკური აბრისით. შუა, ამაღლებული ნაწილი გადახურულია ორფერდა, ხოლო გვერდითები — ცალფერდა სახურავით. ფასადის ღერძზე ორნამენტიანი თავსართით მორთული თაღოვანი სარკმელია. მის ზემოთ, ქვაზე ამოკვეთილია წრეში ჩასმული სამი ტოლმკლავა ჯვარი. ჩრდ. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, შემორჩენილია დაზიანებულწარწერიანი ქვა (წარწერა ვერ იკითხება). ამავე შესასვლელის მარცხნივ, წყობაში ჩასმულ ქვაზე გამოსახულია ნადირობის სცენა. *დვ. თ.*

## ნიგოზა

(კოდისწყაროს სოფსაბჭო)

186. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 2 *კმ*-ზე, ნიგოზას ხევში, გორაზე. თარიღდება ადრინდ. რკინის ხანით. ნ-ზე იპოვება თიხის ჭურჭლის შავად, ნაცრისფრად და მოწითალოდ გამომწვარი დერგები, რ-ებსაც შემოვლებული აქვთ რელიეფური ტალღისებური სარტყელი, შავად და ნაცრისფრად გამომწვარი პირგადაშლილი ქოთნები, ნაცრისფრად გამომწვარი ფართოყელიანი დოქები და ტალღისებურორნამენტიანი პირგადაშლილი ჯამები, წნულისანაბეჭდიანი ბათქაშისა და ხელსაფქვავის ნამტვრევები.

ნ-ზე (ა) ეკლესიის ნანგრევებია. *გვ. ჯ., ცქ. გ.*

187. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 2 *კმ*-ზე, აშურიანისა და ტირიფონის ველის გამყოფი ქედის ჩრდ. კალთაზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე შემორჩენილი საფლავის ქვების მიხედვით იგი დასახლებული ყოფილა XX ს. 20-იან წლებამდე.

ნ-ზე (ა) ეკლესიის ნანგრევებია. *გვ. ჯ.*

188. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 2,5 *კმ*-ზე, ადგილ ცემჯენაზე. ს. ორფენოვანია. ზედა ფენა განეკუთვნება ადრინდ. ფეოდ. ხანას, ქვედა — გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანას. პირველი ფენა მდებარეობს მიწის ზედაპირიდან 0,1-0,15 *მ* სიღრმეზე. აქ აღმოჩნდა ქვის ფილები და წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მეორე ფენა მიწის ზედაპირიდან 0,25-0,35 *მ* სიღრმეზე, უშუალოდ პირველი ფენის ქვეშ. აქ გამოვლინდა კარგად განლექილი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხის ცომისაგან სამეთუნეო მბრუნავ ჩარხზე დამზადებული ნაცრისფრად გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტები. მოპოვებული მასალა ინახება იაე ინ-ტის არმაზის ბაზაში. *ირ. შ.*

189. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, 2 *კმ*-ზე, ადგილ დაჭრილებში. მიეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანას. აღმოჩნდა შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს. ს-დან ადამიანის ძვლებთან ერთად გუთანმა ამოყარა ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. მასალა ინახება იაე ინ-ტის არმაზის ბაზაში. *ირ. შ.*

## ნოსტე

(ახალციხის სოფსაბჭო)

190. ნოსტე, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, ქ. კასპიდან 21 *კმ*-ზე, მეტეხიდან (უახლოესი რკ.-გზ. სადგ.) 13 *კმ*. XVI-XVII სს. ნ. სააკაძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. სოფლის მახლობლად გიორგი სააკაძის ნასახლარია. სააკაძეების გვარის ძირითადი შტო (სამეფო აზნაურები) ატენის ხეობის ზემო ნაწილში ტანასწყლის ხეობასა და რაზმითის მთის მიდამოებში სახლობდა. აქ იყო მათი ძვ. სამემკვიდრო სოფლები ფელი და კიკანათბერი. XV ს-დან სააკაძეებმა დაიწყეს თავის მამულების გაფართოება თეძმის ხეობაში, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა გიორგის მამამ სიაუშმა და ბიძებმა. ეს საქმე წარმატებით დაასრულა თბილ. მოურავმა (1609 წ-დან) გიორგი სააკაძემ (დაახლ. 1580-1629 წწ.). მან თავისი საგვარეულოს პოლიტ. რეზიდენცია ფელიდან ნ-ში გადმოიტანა. ნ. სამიმოსვლო გზებით იყო დაკავშირებული ქართლის სხვა რაიონებთან და ახლოს იყო მეფეთა ერთ-ერთ საზაფხულო რეზიდენციასთან — ცხირეთთან. 1611 წ. ნ-ში გამართულ ნადიმზე ნახა პირველად მეფე ლუარსაბ II გ. სააკაძის და. თავადების წინააღმდეგობის მიუხედავად ლუარსაბ მეფემ იქორწინა გიორგის დაზე. 1612 წ. გ. სააკაძის აღზევებით განაწყენებულმა დიდგვაროვანმა თავადებმა ნ. დაარბიეს. მოურავი სპარსეთში გაიქცა. მხოლოდ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შესძლო მან რეზიდენციის აღდგენა (1620-25 წწ.). 1626 წ. ნ. კვლავ დაარბიეს თავადებმა და სააკაძისეული მამულები მიიტაცეს. XVII 30-იან წლებში როსტომ მეფემ სააკაძის ცოლ-შვილს მამულები დაუბრუნა.

ბატონყმობის გაუქმებამდე მებატონეთაგან შევიწროებულ ნ-ს გლეხებს არაერთხელ მოუწყვიათ შეიარაღებული გამოსვლები. (ა) 1858 წ. მებატონე თარხნიშვილების გლეხებმა უარი განაცხადეს გადასახადებზე. მოხდა შეიარაღებული შეტაკება. გლეხებთან მოსალაპარაკებლად მთავრობამ იასაული გაგზავნა. აღელვებული გლეხები მას სიკვდილით დაემუქრნენ. ხელისუფლებამ მოთავენი დააპატიმრა. ზოგი მათგანი გადაასახლეს.

*ბიბლ.:* 21:162; 270. *აფრ. გ., ჩ. თ.*

191. ნასოფლარი გველდესი და ნათლისმცემლის ეკლესია, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 3 *კმ*-ზე. თარიღდება ფეოდ. ხანით.

(ა) ნასოფლარზე კარგად შეიმჩნევა ნასახლართა კვალი, კედლების ნაშთები. იპოვება კერამ. ნაწარმის ფრაგმენტები.

(ბ) ნათლისმცემლის ეკლესია დგას ნასოფლარზე. თარიღდება IX-X სს-ით. ეკლ. დარბაზულია (7X5 *მ*). ნაგებია ნატეხი ქვითა და ღია ფერის ტუფის კვადრებით. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია სამხრ. კედელი შესასვლელის თავზე, სრულიად დანგრეულია ჩრდ. კედელი, სახურავზე მცენარეებია ამოსული. შესასვლელი სამხრ-იდანაა. ნახევარწრიული აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით. აფსიდის ღერძზე სარკმელია, რ-ის ქვემოთ კედელთან სატრაპეზო ქვა დგას. საკურთხეველში, სამხრ-ით, 2 *მ* სიმაღლეზე, მცირე ნიშია. აქ წითელი საღებავით გამოსახულია ჯვარი. საკურთხევლის წინ მდგარა ხის კანკელი, რ-ისგანაც მცირე ნაშთია შემორჩენილი. სამხრ. კედელში ერთი სარკმელია. გრძივი კედლების წყვილ პილასტრზე გადაყვანილია კამარის საბჯენი თაღი. ინტერიერში შემორ-

ჩენილია (გ) მოხატულობის კვალი.

აღმ. ფასადზე წყობაში ჩატანებულია თეძმის მწვანე ტუფის ქვა, რ-ზედაც ქვედა ნაწილში ამოკვეთილია ორნამენტით მორთული სამი ჯვარი. შუა ჯვარი გვერდითებზე დიდია. ეკლესიის ჩრდ. ფასადზე შემორჩენილია ორ-ორი მოზრდილი ფილაქისგან შედგენილი ლავგარდანი. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. *კვ. რ., მ. ნ.*

192. ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ ᲛᲣᲮᲐᲣᲠᲘ და ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 1 კმ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

(ა) ნასოფლარზე გამოვლინდა ნასახლართა კვალი, წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. რამდენიმე ადგილას შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები შენობათა საძირკვლის ნაშთები. გადმოცემის თანახმად ეს ადგილი ურწყავი ყოფილა და ამიტომ მოსახლეობა აქედან კახეთში გადასახლებულა.

(ბ) წმ. გიორგის ეკლესია დგას ნასოფლარზე, შემაღლებულ ადგილას. თარიღდება XVII-XVIII სს-ით. ეკლ. დარბაზულია (7,7X5,5 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-დანაა. აფსიდის ღერძზე სარკმელია, მის გვერდებზე — ორი ნიში. თითო სარკმელია სამხრ. და დას. კედლებში. დას. და აღმ. კედლებში სარკმლები შიგნიდან შეისრულია, გარედან — სწორკუთხა.

*ბიბლ.:* 149:19. *ზ. პ., კვ. რ.*

192(ბ). გეგმა



193. ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ ᲦᲚᲔᲑᲠᲘᲡᲣᲑᲐᲜᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით 1,5 კმ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ. მ. იხვნება. ამიტომ ნასახლართა კვალი ცუდადაა შემორჩენილი. უხვად იპოვება თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ნ. მ-ის აღმ. ნაწილში იდგა გვიანდ. ფეოდ. ხანის ღებისუბნის ეკლესია, რ-იც ნაგები იყო რიყისა და ნატეხი ქვით. ეკლ. დანგრეულია. *კვ. რ.*

194. ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ ᲝᲫᲘᲡᲘ და ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, მეფრინველეობის ფერმიდან 800 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

(ა) სოფელი გაშენებული ყოფილა ტერასაზე. მრავალ ადგილას ჩანს რიყის ქვით კირის ხსნარზე ნაგებ შენობათა საძირკვლის ნაშთები. უხვად იპოვება თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (მ. შ. შავად გამომწვარიც). ნასახლარის ნაწილი იხვნება, რის გამოც ზიანდება კულტ. ფენები. ერთ-ერთი ფენის ჭრილში ჩანს ქვაყრილი, სავარაუდოა, ბრინჯაოს ხანის სამაროვანი. ლეკების შემოსევების დროს მოსახლეობა აქედან აყრილა და გადასახლებულა ქსნის ხეობაში.

(ბ) ნასოფლარზე დგას წმ. გიორგის ეკლესია. თარიღდება XVII-XVIII სს-ით. ეკლ. სამნავიანი ბაზილიკაა (11,4X8,2 მ), ნაგებია დიდი ზომის ნატეხი ქვებით. დაზიანებულია: მთლიანად ჩაქცეულია შუა და გვერდის ნავების კამარები, ნაწილობრივ დანგრეულია კედლებიც. ისრული თაღებით გადახურული შესასვლელები სამხრ. და ჩრდ. კედლების დას. მონაკვეთშია. შუა ნავში, აღმ-ით, ნახევარწრიულ (გარედან შვერილი ხუთგვერდა) აფსიდში ერთი განიერი სარკმელი და სამი მაღალი და განიერი ნიშია, რ-ებიც გადახურულია სამკბილა „ტალღოვანი" თაღით. საკურთხეველში დგას სატრაპეზო ქვა. შუა ნავს კიდევ ორი სარკმელი აქვს სამხრ-ით. თითო სარკმელია გვერდის ნავების აღმ. ბოლოებში. შუა ნავი გვერდის ნავებზე ორჯერ უფრო განიერია და მათგან გამოყოფილია სამ-სამი ისრული თაღით.

*ბიბლ.:* 149:19. *ზ. პ., კვ. რ.*

194(ბ). განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



195. ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ ᲬᲘᲗᲚᲝᲑᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 1 კმ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ზედაპირულად იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი ჭურჭლისა და რამდენიმე დიდი ზომის ქვევრის ნამტვრევები. *კვ. რ.*

196. ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔᲗᲐ ᲜᲐᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ, არქეოლ., არქიტ., ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, ფერდობზე. დას-ით ჩამოუდის მდ. ნოსტურა, აღმ-ით ეკვრის მშრალი ხევი. თარიღდება XV-XVIII სს-ით.

1965-67 წწ. ს. ნ. გათხარა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღვ. პ. ზაქარაია). გათხრამდე ნასახლარზე ჩანდა კოშკი, გალავნის ნაშთები და რამდენიმე ნაგებობის კვალი. გათხრებით გამოვლინდა სასახლის, საცხოვრ. სახლების, აბანოსა და საჯინიბოს ნაშთები. აბანო და რამდენიმე ნაგებობა კონსერვაციის მიზნით კვლავ მიწით დაფარეს. 1969-71 წწ. ნასახლარზე სარესტ.-საკონსერვაციო სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (ხელმძღვ. რ. გვერდწითელი).

ს. ნ-ის ტერიტორიაზე შემორჩენილია: გალავანი, კოშკი, სასახლე, საცხოვრ. სახლი, აბანო, საჯინიბო, სამებისა და ღვთისმშობლის ეკლესიები.

(ა) გალავანი ფერდობს წრიულად აქონია შემოვლებული. ნაგებია ნატეხი ქვით (კედლის სისქე 1 მ-

196(ბ) ხართულების გეგმები. განაკვეთი.



დე). გალავნის შიგნით რამდენიმე ნაგებობა მდგარა.

მთავარი ნაგებობაა ექვსსართულიანი (ბ) კოშკი (5,5X5,5 მ), რ-იც ზემოთკენ ოდნავ ვიწროვდება. ნაგებია ნატეხი ქვით. ძალზე დაზიანებულია. ხანძარს გაუნადგურებია ხის სართულშორისი გადახურვები (რესტავრაციის დროს ბოლო სართულს რკინა-ბეტონის გადახურვა გაუკეთდა). კოშკში შესასვლელი მეორე სართულზეა. ამავე სართულზე, კარის გარდა, სამ კედელში თითო სარკმელია. პირველი სართული ყრუ ყოფილა, ბოლო, მეექვსე სართული კი მაღალკედლებიან ბანს წარმოადგენდა. მას ოთხივე მხარეს სალოდეები ჰქონია. სათოფურები ყველა სართულზეა, მესამე სართულზე ყველაზე მეტია. აქ სამ კედელში ორ-ორი სათოფურია, ხოლო მეოთხეში (სამხრ. მხარეს) — სამი. მეხუთე სართულის კედლებში კომბინირებული სარკმლებია.

(გ) სასახლე დიდი ზომის ნაგებობაა (13,5X18,5 მ), ნაშენია ნატეხი ქვით. იგი ორსართულიანი ყოფილა. სანახევროდ დანგრეულია, განსაკუთრებით ზემო სართული. შესასვლელი ჩრდ-დანაა. ქვედა სართულის კედლებში სამი ღრმა ნიშია. კარის წინ ტალანია, რ-ის გვერდებზე თითო მცირე ზომის სათავსია. აღმ-ით მდებარე დამხმარე სათავსი უნდა იყოს. ჩრდ. სათავსში ბუხარია.

(დ) სასახლესა და კოშკს შორის იდგა საცხოვრებელი სახლი, რ-იც ორი ნაწილისგან შედგებოდა. ერთი მხარე ორსართულიანი იყო, მეორე კი — ერთსართულიანი. ორსართულიანს სამხრ-ით აივნები ჰქონდა, შიგნით კი ბუხრები და სამეურნეო დანიშნულების ნიშები.

(ე) კოშკის სამხრ-ით, სამხრ.-დას-ით და აღმ-ით რამდენიმე ნაგებობის ნაშთია დარჩენილი. თითოეული მათგანი არაერთხელ გადაუკეთებიათ. ეტყობათ ხანძრის კვალიც. მათგან საინტერესოა აბანო, რ-იც ნასახლარის აღმ. კიდეში მდებარეობს, შედგება ერთი მოზრდილი სათავსისა და სააბაზანოსაგან. ორივეში თითო ბუხარია. გვიანდ. ფეოდ. ხანის სხვა აბანოებისგან განსხვავებით, ეს აბანო პატარა და მარტივია.

(ვ) გალავნის გარეთ, ჩრდ.-დას-ით საჯინიბოა (13,3X11,2 მ). მისი კედლები ნაწილობრივაა შემორჩენილი. კარი ჩრდ. მხარესაა.

სამებისა და ღვთისმშობლის ეკლესიები მდ. ნოსტურას მარცხ. ნაპირზე დგანან. სავარაუდოა, რომ ისინი სააკაძეთა საგვარეულოს კარის ეკლესიები იყო.

(ზ) სამების ეკლესია თარიღდება XVI-XVII სს. მიჯნით. იგი რამდენჯერმე გადაუკეთებიათ. თავდაპირველი ეკლესიიდან შემორჩენილია სამხრ. კედელი, რ-იც აღდგენის დროს ახალ ნაგებობაში ჩაურთავთ. ახალი ნაწილები ნაგებია ულაზათოდ. აფსიდის მარჯვ. მხარე ძალიან გამოწეულია. ჩრდ. კედლის ორი ნაწილი ცუდად ებმის ერთმანეთს. დარბაზის კამარა სხვადასხვა დონეზეა.

ეკლ. დარბაზულია (12,7X12,2 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი ორი აქვს — სამხრ-ით და დას-ით. დას. კარი ამოქოლილია. ღრმა აფსიდის ღერძზე სარკმელია. აფსიდის ცენტრში სატრაპეზო ქვა დგას. აღმ-ით, დას-ითა და სამხრ-ით თითო სარკმელია.

ეკლესიაში სამხრ. კედლის შუა მონაკვეთზე (ქვედა ორი რეგისტრი) და ტრაპეზის ქვებზე შემორჩენილია XVII ს-ის II ნახ-ის (თ) მოხატულობის ნაშთი. დანარჩენი ნაწილი დაფარულია გვიანდ. შელესილობის ფენით. სამხრ. კედლის ზედა რეგისტრში უცნობი წმინდანის მარტვილობის ორი სცენის ფრაგმენტებია. ქვედა რეგისტრი დაყოფილია სწორკუთხა მონაკვეთებად, რ-ებშიც ჩახატუ-

196. გეგმა: 1. გალავანი, 2. კოშკი, 3. სასახლე, 4. საცხოვრებელი სახლი, 5. საჯინიბო




196(ზ). გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



ლია წმინდანთა დიდი ზომის ფიგურები (ერთ-ერთი წმ. საბაა). სატრაპეზო ქვის წინა პირი მორთულია მცენარეული ორნამენტით (იმეორებს დაჩითული ქსოვილების სახეებს — მიხაკის ყვავილი გრძელი ყლორტით). მოხატ. უპირატესად შესრულებულია მოწითალო-ყავისფერი, ყვითელი, მუქი ლურჯი და თეთრი საღებავებით. ეკლესიას ჩრდ-დან და სამხრ-დან ეკონია მ ი ნ ა შ ე ნ ე ბ ი. ჩრდ. მინაშენი ძუსიდიანი სამლოცველო იყო სამხრ. მინაშენში ცენტრში ორთაღიანი ღია კარიბჭეა.

(ი) ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა თარიღდება XVII ს. II ნახ-ით. ეკლ. დარბაზულია (8,8X5,9 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, გრძივი კედლები. შესასვლელი დახ-დანაა. ღრმა და განიერი აფსიდის ღერძზე სარკმელია, რ-ის გვერდებზე თითო შეისრულთაღიანი მოზრდილი ნიშია. დარბაზი გადახურული ყოფილა ცილინდრული კამარით. თითო სარკმელია ალმ., სამხრ. და დას. კედლებში.

ბიბლ.: 91:89-107; 100:115-116; 113; 270. *დ. ფ., ზ. პ.*

196(ი). გეგმა



197. ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘ ᲙᲝᲠᲣᲛᲢᲧᲔ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 4 *კმ*-ზე, ლაჯიანხევის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება ქვის ხანით. იპოვება კაჟის იარაღისა და წარმოების ნაშთები. *ხუბ. გ.*

198. ᲬᲛ. ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 1 *კმ*-ზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XVII-XVIII სს-ით. ეკლ. დარბაზულია (6,8X5,1 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. არქიტრავით გადახურული შესასვლელი დას-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ერთი სარკმელია, გვერდებზე — ორი სწორკუთხა ნიში. იატაკი, კონქი და კამარა შეისრულია. იატაკი ფილებითაა მოგებული. ინტერიერში შემორჩენილია შელესილობის კვალი.

ბიბლ.: 91:10; 104. *ზ. პ.*

## ᲝᲙᲐᲛᲘ

(სოფსაბჭოს ცენტრი)

199. ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ ᲒᲝᲠᲐ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, ახ. სასაფლაოზე. თარიღდება ადრინდ. რკინის ხანით. ზედაპირულად იპოვება ძირითადად შავად და ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები. *ოქ. გ.*

200. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, თარიღდება XVIII-XIX სს-ით. ეკლ. დარბაზულია (12X7,6 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით, კონსტრ. ნაწილებში (კამარა, კონქი, საბჯენი თაღები, კარ-სარკმლის წირთხლები, ლავგარდანი) და ფასადების დეკორატ. ელემენტებში გამოყენებულია აგური. ეკლესიას ორი თაღოვანი შესასვლელი აქვს — სამხრ-ით და დას-ით (ამოქოლილია). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, გვერდებზე — თითო თაღოვანი ნიში. დარბაზის გრძივ კედლებში ორ-ორი სარკმელია. გრძივი კედლების ორ წყვილ მარტივ პილასტრს ოდნავ შეისრული საბჯენი თაღები ეყრდნობა. შეისრულია კამარაც.

ალმ. და დას. ფასადებზე სამ-სამი თაღოვანი შეღრმავებაა, მათ შორის შუა გვერდითებს აღემატება, მის ზედა ნაწილში აგურის წყობით შეღრმავებული ჯვარია გამოყვანილი. ჩრდ. და სამხრ. ფასადებზე სწორკუთხა შეღრმავებებია. ეკლესიას კბილან. ლავგარდანი აქვს. *დვ. თ.*

200. ალმ. ფასადი, გეგმა





201. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ.-ალმ-ით, ძვ. სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. შეკეთების დროს ეკლ. ერთიანი დადაბლებული სხმული კამარით გადაუხურავთ და მისთვის აგურის ლავგარდანი შემოუყოლებიათ. ეკლ. დარბაზულია (5,4X4,2 მ), ნაგებია რიყის ქვით. აგური გამოყენებულია განახლებულ ნაწილებში. ერთადერთი ვიწრო შესასვლელი სამხრ. კედელშია. ნახევარწრიულ აფსიდში საკურთხეველი მოგვიანებით აგურის კ ა ნ კ ე ლ ი თ გამოუყვიათ (ამჟამად აფსიდს კონქი არა აქვს). საკურთხევლის ბაქანი საფეხურითაა შემაღლებული. თითო სწორკუთხა სარკმელია საკურთხეველში და სამხრ. და დას. კედლებში. დარბაზის კედლებს მთელ პერიმეტრზე დაახლ. 0,5 მ სიმაღლის საფეხური გასდევს. ეკლესიას სამხრ-ით აქვს რიყის ქვით ნაგები მ ი ნ ა შ ე ნ ი, რ-იც ამჟამად ძლიერ დაზიანებულია: დანგრეულია სამხრ. კედელი და შეისრული კამარის სამხრ. ნაწილი. ეკლესიის სახურავი ნაწყობია აგურით. *დვ. თ.*

## ᲞᲐᲜᲢᲘᲐᲜᲘ

(ქვემო ჭალის სოფსაბჭო)

202. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ალმ-ით, 1 *კმ*-ზე, პანტიანის ხევის მარჯვ. ფერდობზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8X5,15 მ), ნაგებია რიყის ქვით. რიგებს შუა წყობაში ჩართულია ქვიშაქვის ნატეხი ქვებიც. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: კამაროვანი გადახურვა ჩანგრეულია. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდი გადახურულია დადაბლებული კონქით, რ-იც დარბაზის მხარეს შემოფარგლულია კოლოფა თაღით. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის მრუდხაზოვან გადახურვას გარედან, ხერელობთან პატარა „შუბლი" აქვს. სარკმლის მარცხნივ პატარა ნიშია, რ-საც ორსაფეხურიანი გადახურვა აქვს. სამხრ. კედელში (შემორჩენილია მხოლოდ ქვედა ნაწილი) ერთი სარკმელია. ალმ. ფა-

სადზე ხარჯმელს აქვს ქვიშაქვის მრგვალი არქიტრავი, რ-ზეც გამოსახულია წრეში ჩასმული რელიეფური ჯვარი (ძლიერ დაზიანებულია).

დე. თ.

203. ჯუარპატიოსნის ეკლესია და სამრეკლო, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 1 კმ-ზე. თარიღდება VIII-IX სს-ით. თავდაპირველად ეკლ. სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენდა. მოგვიანებით, XV-XVII სს. გადააკეთეს. ეკლ. (12,8X12 მ) ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-დანაა. იგი თავდაპირველად ხვეტზე დაყრდნობილ ორთაღიან ღიობს წარმოადგენდა. ნავები ერთმანეთისაგან გეგმით ჯვაროვანი სვეტების ორი წყვილითა და მათზე დაყრდნობილი თაღებით იყო გამოყოფილი. სამხრ. ნავი აღმ. კედელში გაჭრილი სარკმლიდან ნათდებოდა. შუა ნავი გვერდისებზე სიგანით ორჯერ მეტი იყო და აღმ-ით ნალისებრი, გარედან შვერილი აფსიდით მთავრდებოდა. აფსიდში გაჭრილი იყო ორი სარკმელი. სიგანით ნავზე ნაკლები აფსიდი მისგან ბრტყელი მხრებით იყო გამოყოფილი. ჩრდ. ნავსაც აღმ-ით ჰქონდა აფსიდი, რ-ის ღერძზე გაჭრილი იყო ერთი სარკმელი. ნავები გადახურული იყო ცილინდრული კამარით. გადაკეთების შედეგად სამნავიანი ბაზილიკის სტრუქტურა მთლიანად დაირღვა; ამჟამად ორთაღიანი შესასვლელის ჩრდ. ნაწილი მთლიანად ამოშენებულია, ხოლო მეორე ნაწილში არქიტრავით გადახურული სწორკუთხა კარია გაჭრილი. სამხრ. ნავში ამოშენებულია სამი თაღით გახსნილი ღიობის ნაწილი, კედლის აღმ. ნაწილში კი გაჭრილია შუა ნავთან დასაკავშირებელი საკმაოდ განიერი შეისრულთაღიანი გასასვლელი. მნიშვნელოვნად შეცვლილია შუა ნავი. აფსიდი ნავისაგან საკმაოდ მასიური ქვის კ ა ნ კ ე ლ ი თ ა ა გამოყოფილი. ჩრდ. კედლის მთელ სიგრძეზე და სამხრ. კედლის დას. ნაწილზე 0,4 მ სისქის კედელია მიშენებული. ჩრდ. კედლის დას. ნაწილში დატოვებულია ვიწრო კარი ჩრდ. ნავში გასასვლელად. სამხრ. ნავი კარიბჭედ გამოიყენეს. ლილვითა და წრეთარგით შედგენილი ლავგარდნის ფრაგმენტი მხოლოდ აღმ. ფასადზე, საკმაოდ მასიურ შვერილ აფსიდზეა შემორჩენილი. გადაკეთებისას ეკლესიას სამხრ-დან მიაშენეს მცირე ზომის სწორკუთხა ს ა თ ა ვ ს ი.

203. აღმ. ფასადი, გეგმა





203 ეკედერი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ; შუა ნავი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ



(ა) ეკლესიის სამხრ-ით დგას ორსართულიანი ს ა მ რ ე კ ლ ო (5,6X X5,6 მ). თარიღდება XVI-XVII სს-ით. ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. პირველი სართულის ოთხივე კედელში აგურის ნახევარწრიული თაღით დასრულებული ღიობებია. ეს სართული ცილინდრული კამარით იყო გადახურული. გუმბათოვანი მეორე სართული გეგმით რვაკუთხედია. მის წახნაგებში თითო შეისრულთაღიანი მაღალი სარკმელია. მ. გ.

## რკონი

(ნასოფლარი)

204. რკონი, რ კ ო ნ ი, ნასოფლარი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. თეძმის ზედა წელზე, მის მარცხ. ნაპირზე, სოფ. ჩარუბეთის მიდამოებში.

გადმოცემის თანახმად რ-ში იყო „სალოცავი ხე" — დიდი ცაცხვის ხე, რ-ზედაც მლოცველები ჰკიდებდნენ შეწირულებას. საქართვ. სხვა კუთხეებშიც საკმაოდ გავრცელებული ეს რიტუალი წარმართობის დროინდელია. განვით. ფეოდალიზმის პერიოდში, კერძოდ, XII-XIII სს-ში რ-ზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიული გზა, რ-იც აკავშირებდა შიდა ქართლს საქართვ. სამხრ. პროვინციებთან — ჯავახეთთან, თრიალეთთან და შემდეგ, სომხითის გავლით, ახლო აღმოსავლეთთან. ამან ხელი შეუწყო რ-ში და მის მიდამოებში დიდ სამონასტრო მშენებლობას. გარკვეულ როლს რ-ისა და მისი მიდამოების ეკონ. ცხოვრებაში თამაშობდა აქ წიაღისეული სიმდიდრის — ფერადი ლითონებისა და ვერცხლის არსებობა. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „აქა არს ლითონი ბრპენისა მრავალი, იტყვიან ვერცხლსაცა". მოგვიანებით, მეფე ერეკლე II-ის (1720-98 წწ.) ბრძანებით ჯავახიშვილების მამული რ. შეტანილია იმ პუნქტების სიაში, სადაც უნდა ეძიონ და მოიპოვონ ოქრო და ვერცხლი. XIII ს-ის II ნახ-ში მსხვილმა ფეოდალმა და სახელმწ. მოღვაწემ კახა თორელმა შეისყიდა სოფ. ხოვლე და შესწირა რ-ის მონასტერს. 1400 წ. თემურლენგის (1336-1405 წწ.) ჯარებმა დაარბიეს ხოვლე, ირგვლივ მდებარე ეკლესიები და მონასტერი. საქართვ. პოლიტ. ცხოვრებაში რ. გარკვეულ როლს ასრულებდა გვიანდ. ფეოდალიზმის პერიოდშიც. XVI-XVIII სს-ში იგი საკმაოდ კარგად გამაგრებული პუნქტი იყო. 1690-95 წწ. აქ თავს აფარებდა ქართლის მეფე გიორგი XI (მეფობის წლები 1677-88 წწ) ოჯახით და აქედან აწარმოებდა ბრძოლებს ერეკლე I-ის (მეფობის წლები 1688-1703) ჯართან. დამარცხებული გიორგი XI ოჯახითურთ რ-დან გაიქცა დას. საქართველოში.

(ა) რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, 1905 წ. რ-ში არსებობდა სახელოსნო-ლაბორატორია, სადაც ამზადებდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის საჭირო იარაღსა და ფეთქებად ნივთიერებებს.

რ-ში და მის მიდამოებში შემორჩენილია ისტ. და კულტ. ძეგლები — რკონის კომპლექსი, სამეჭალოს წმ. გიორგის ეკლესია, სვიმეონ მესვეტის სავანე, ყუმბარების დამამზადებელი სახელოსნო და სხვ. ბაგრ. გ.

205. რკონის კომპლექსი, რ კ ო ნ ი ს  კ ო მ პ ლ ე ქ ს ი, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. მდებარეობს ნასოფლარ რკონის ტერიტორიაზე, თეძმის ხეობის ზედა ნაწილში.

რ. კ. (საერთო ფართ. 130X70 მ) საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და მრავალჯერ გადაკეთდა. ძირითადად გაირჩევა მშენებლობის სამი ფენა: VII ს. II მეოთხედი; XIII-XIV სს.

მიჯნა; XVII-XVIII სს. კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ეკლესია, კარიბჭე, ეგვტერი, სამლოცველო, სატრაპეზო, კოშკი, სამრეკლო, ნათლისმცემლის ეკლესია კარიბჭით და ხიდი.

რ. კ. გალავნით ორ მონაკვეთად იყო გაყოფილი: 1. ეკლესიები და სამრეკლო, 2. სამონასტრო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. 1939-40 წწ. რ. კ-ზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნ. საქმეთა სამმართველომ (კონტრფორსებით გაამაგრეს ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდ. კედელი და სხვ.); 1972-74 წწ. ხელ. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (ხელმძღვ. თ. ნემსაძე) ეკლ. კაპიტალურად შეაკეთა: გაამაგრეს საძირკვლები, აღადგინეს დაკარგული საპირე ქვები და ლავგარდანი, სატრაპეზო გადახურეს თუნუქით; შეაკეთეს სამრეკლო და სხვ.

(ა) ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს  ე კ ლ ე ს ი ა დგას კომპლექსის აღმ. მონაკვეთში. თარიღდება VII ს. II მეოთხედით. ეკლ. სამნავიანი ბაზილიკაა (18,2X12,1 მ). შესასვლელი სამი მხრიდანაა (ჩრდ. კარი ამოქოლილია). აფსიდის გვერდებზე სადიაკვნე და სამკვეთლოა. სამივე სათავსს აღმ-ით თითო სარკმელი აქვს. ეკლესიის ნავები გაყოფილია ორი წყვილი სვეტით. დაბალი და განიერი გამყოფი თაღები მოხაზულობით ნახევარწრეს უახლოვდება. კამაროვანი გადახურვა სხვადასხვა დროს და ცუდად არის აღდგენილი. ნავების დას. კედელში თითო სარკმელია. სხვადასხვა დროის ლილვისებურპროფილიანი კაპიტელები და კრონშტეინები მარტივია. თავდაპირველი ნალისებრი თაღები შემორჩენილია მხოლოდ დას. კარზე და სადიაკვნის სარკმლის შიდა მხარეს. ეკლესიის კედლები მოგვიანებით შეულესიათ და მოუხატიათ (შემორჩენილია მცირე ფრაგმენტები).

(ბ) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ა სხვადასხვა დროსაა შესრულებული. ეკლესიის ძირითად სივრცესა და სადიაკვნეში შემონახული მოხატულობის ნაშთები განვით. ფეოდ. ხანას (XII ს.) განეკუთვნება. საკურთხევლის კონქში გაირჩევა ტახტზე მჯდომი მაცხოვარი გაშლილი სახარებით ხელში (სახარებაზე ასომთ. წარწერის ნაშთებია). იგი მოქცეულია მანდორლაში, რ-იც დაფარულია სხვადასხვა ფერის კონცენტრული ზოლებით (წითელი, მუქი ყავისფერი, მონაცრისფრო-მწვანე). კომპოზიციის ფონი და ქრისტეს პიმატიონი ცისფერია. ტახტის ღია მწვანე ფერის ზურგი მორთულია ძვირფასი ქვებით, მარგალიტების მწკრივებში ჩასმული შეიდქიმიანი ვარსკვლავებით. საკურთხევლის სარკმლის წირთხლებზე ორი დიაკვანია გამოსახული. წარწერების მიხედვით ჩრდ.-ით წმ. ლეონტია, სამხრ-ით — წმ. სტეფანე. ტაძრის დას. კედელზე, მაღლა, *ამაღლების* კომპოზიციაა. ქრისტე ორ ანგელოზს უჭირავს. ორივე ძლიერ მოძრაობაშია მოცემული. ანგელოზთა ფრთები მუქი წითელია, ტანსაცმელი ყავისფერი (ქიტონი) და თეთრი (პიმატიონი). ამავე კედლის სარკმლის წირთხლები კიბისებრი ორნამენტითაა შემკული. ქვემოთ, ტაძარში შესასვლელის ორივე მხარეს გამოსახულნი არიან წმ. დედანი. ამავე კედლის პილასტრზე, რ-იც შუა და სამხრ. ნავებს შორისაა მოთავსებული, გაირჩევა მესვეტის ფიგურა. სადიაკვნის მხატვრობა თეთრი და ცისფერი საღებავით შესრულებული კიბისებრი ორნამენტით ორ რეგისტრად იყო გაყოფილი. ზედა რეგისტრი ამჟამად მთლიანად გადაშლილია. ჩრდ. კედელზე სამი საერო პირის გამოსახულებაა შემორჩენილი. სამივე ქალია, მათი ვინაობა უცნობია. კედლის დას. მონაკვეთზე გამოსახულ ორ ქალს მორთული, ძვირფასი ქსოვილის კაბა აცვია. განსაკუთრებით საინტერესოა ცენტრში მდგომი ფიგურა. მისი მუქი ყავისფერი თმები დამუშავებულია წვრილი პარალელური თეთრი ხაზებით და შემკულია სამ-სამად შეკრული მარგალიტებით. ტანსაცმელი მოწითალო ფერისაა. ქსოვილის სახე მუქი ფერის წითელი საღებავითაა შესრულებული. ამავე ფიგურას ხელთ უპყრია ბაზილიკის მოდელი. სადიაკვნის ქვედა რეგისტრ-




205. გენგეგმა: 1. ღვთისმშობლის ეკლესია, 2. კარიბჭე, 3. სამლოცველო, 4. ნათლისმცემლის ეკლესია, 5. სამრეკლო, 6. სატრაპეზო.

205(ა). აღმ. ფასადი



შიც. აღმ. კედლის ჩრდ. მონაკვეთზე რომელიღაც წმინდანია (ქალი) გამოსახული. სამხრ-ით მარიამ ეგვიპტელი იყო (ამჟამად ოდნავ გაირჩევა). ფიგურათა სახეები არ არის შემონახული. ჩანს მხოლოდ მოწითალო-აგურისფერი აბრისები და ოქროსფერი ოქრას კვალი. მხატვრობის კოლორიტი ძირითადად ცისფერის, მოწითალო-აგურისფრის, ღია მწვანე და თბილი ყვითელი ფერების შეხამებაზეა აგებული. გამოსახულებათა მოქნილი ნახატი, დახვეწილი პროპორციები შესრულების მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს. ეკლესიის სამკვეთლოს მოხატ. XVII ს. განეკუთვნება. მხატვრობა ორ რეგისტრადაა გაყოფილი, შეიცავს სახარების სცენებსა და ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებებს: აღმ. კედელზე, ზემოთ გამოსახულია *ხარება*, ქვემოთ — ტახტზე მჯდომარე მაცხოვარი გაშლილი სახარებით ხელში; სამხრ. კედელზე, ზემოთ — *შობა*, ქვემოთ — სამი ქტიტორი (მამაკაცი, ქალი, ბავშვი), დას. კედელზე, ზემოთ — *ნათლისღება*, ქვემოთ — წმ. დედანი, რ-თაგან ერთი წმ. ეკატერინეა. მხატვრობა დასრულებულია ორნამენტული ზოლით (დაშვებული ფარდა). შესასვლელის ტიმპანი და წირთხლები შემკულია მცენარეული ორნამენტით. მოხატულობის შესრულების მანერა ხასიათდება სიმშრალით. ნახატი კუთხოვანია, ხისტი. კოლორიტს მღვრიე ელფერი აქვს (მოწითალო-აგურისფერი, თეთრი, ყვითელი, მომწვანო-ფირუზისფერი).

205(ა) სამხრ. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



მოხატულობის ფრაგმენტები შემონახულია ტაძრის კარიბჭეშიც. შესასვლელის ტიმპანში გაირჩევა ღვთისმშობლისა და ყრმის გამოსახულება (ძალიან გაჭვარტლულია). აქვე, შესასვლელის სამხრ. წირთხლზე პრიმიტიულად შესრულებული საერო პირის (მამაკაცის) გამოსახულებაა (შემონახულია მკერდამდე). მას გვირგვინი ახურავს, ხოლო ხელში უჭირავს ჯვარი, რ-იც ზემოთ პატარა დროშითაა დასრულებული. ეს ნახატი არა უგვიანეს X ს-ისაა.

მთლიანად იყო მოხატული კარიბჭეზე სამხრ-დან მიშენებული ეგვტერი. მოხატ. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. აღმ-ით, კედლის თაღში ძლიერ დაზიანებული ხუთი წმინდანის ფიგურაა. სამხრ. კიდეში მდგომ ფიგურას შემორჩენილი აქვს სახის ნაწილი — მოგრძო ყვრიმალებიანი ოვალი, თხელი ცხვირი, დიდი თვალი, გრძელი წარბი. ჩრდ. კიდეში მდგომი ფიგურა მცირე ზომისაა, მას ასომთ. წარწერა ახლავს. ამავე კედლის თაღის ზემოთ, ჩრდ. კიდეში გამოსახულია მთავარანგელოზი მიქაელი, მასაც ასომთ. წარწერა აქვს. ეგვტერის ჩრდ. კედელზე, შესასვლელის აღმ-ით წარმოდგენილია დიაკვანი, დას-ით საერო პირის დიდი ზომის გამოსახულებაა. ასეთივე გამოსახულებაა დას. კედლის ჩრდ. ნაწილშიც. ორივე საერო პირი მიბრუნებულია წმინდანთა წელზედა ფიგურებისკენ (დას. კედლის ჩრდ. ნაწილში მაცხოვარია). ჩრდ. შესასვლელის ტიმპანში შემორჩენილია მოწითალო-აგურისფერი დისკოს ფრაგმენტი. ტიმპანის თაღის აღმ. სოფიტზეც წმინდანის წელზედა ფიგურაა. მოხატულობის კოლორიტი ნათელია, ერთმანეთთან შეხამებულია მოწითალო-აგურისფერი, ოქროსფერი ოქრა, ღია მწვანე, ცისფერი, ყავისფერი.

ეკლესიის ფასადები გადაკეთებულია. თავდაპირველი ფენა მეტნაკლებად შემორჩენილია აღმ. ფასადზე და დანარჩენი ფასადების ქვედა რიგებში. შემორჩენილია აგრეთვე ძვ. ლავგარდნის ფრაგმენტები პატარა ნალისებრი თაღებით. ყველაზე უკეთ მორთულია აღმ-ის ფასადი. შუა სარკმლის ორივე მხარეს სამკუთხა ნიშებია;

ფრონტონის ცენტრში ჯვრის გამოსახულებაა. შუა სარკმელს შემორჩენილი აქვს თაღდაპირველი თავსართი. გვერდითი სარკმლების თავსართები კი გადაკეთებულია. აღმ. ფასადის ნიშების კონქებს ამკობს რადიალურად გაშლილი მოწითალო-ყავისფერი ზოლები.

(გ) XIII ს. II ნახ-ში ეკლესიისთვის მიუშენებიათ კარიბჭე (3,8X9,5 მ), რ-იც დას-ით გახსნილია განიერი თაღით. ინტერიერში კარიბჭის ცენტრ. ნაწილი უკავია გეგმით კვადრ., ცილინდრული კამარით გადახურულ ეგვტერს, რ-ის იატაკი ჩანგრეულია. ეგვტერს აღმ-ით ერთი სარკმელი აქვს, დას-ით — ორი. კარიბჭის ფასადები მორთულია დეკორატ. ნახევარსვეტებიანი თაღედით. ნახევარსვეტების კაპიტელები და ბაზისები, შესასვლელის თაღი და სარკმლების საპირეები, ჯვარი ფრონტონის ცენტრში და ლავგარდანი მოჩუქურთმებულია.

(დ) დაახლოებით იმავე პერიოდისაა ეკლესიაზე სამხრ-დან მიშენებული მცირე ზომის (5,8X3,6 მ) სამლოცველო — დარბაზული ეკლესია, რ-საც შესასვლელი დას-დან აქვს. აღმ., დას. და სამხრ. კედლებში თითო სარკმელია. სამლოცველოში შემონახულია (ე) მოხატულობის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები. მოხატ. XIII-XIV სს-ით თარიღდება. საკურთხევლის სარკმლის სამხრ-ით გაირჩევა ორი შარავანდის მრთალი კონტურები. სარკმლის წირთხლებზე შემორჩენილია ორნამენტის ორი ზოლი: გარეთა ორნამენტი კიბისებრია, შიგნითა მცენარეული (უსასრულო ღეროს მოტივი). დას. კედლის პირველ რეგისტრში, სარკმლის სამხრ-ით ჩანს რაღაც ფიგურის ფრაგმენტი. ამავე სარკმლის ჩრდ-ით ანგელოზის მიერ *იოანე ნათლისმცემლის გადარჩენის* ამსახველი სცენაა. მეორე რეგისტრში გაურკვეველი კომპოზიციის ფრაგმენტია. შედარებით უკეთესადაა დაცული შესასვლელის თავზე, კედლის სამხრ. ნაწილში გამოსახული ორი ფიგურა. შარავანდის სილუეტი გაირჩევა ამავე რეგისტრის ჩრდ. ნაწილშიც. მოხატ. დასრულებული ყოფილა ორნამენტის ზოლით, რაზეც მეტყველებს სამხრ. და დას. კედლებზე შემორჩენილი დიდი ვარდულების ფრაგმენტები. მოხატულობის კოლორიტს ქმნის მოწითალო-აგურისფერი, ოქროსფერი ოქრა, თეთრი და ლურჯი (ჩაშავებულია) ფერები. სამლოცველოს დას. ფასადზე, შესასვლელის ტიმპანში გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით და მისკენ მიბრუნებული ორი ფიგურა. ფასადები მოპირკეთებულია თლილი ქვით და მორთულია დეკორატ. თაღებითა და ჩუქურთმით.

(ვ) სატრაპეზო დგას ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 10 მ-ზე. ძირითადი ნაწილები თარიღდება XIII-XIV სს. მიჯნით. სატრაპეზო ექვს საბჯენ თაღზე დაყრდნობილი შეისრული კამარით გადახურული სათავსია (5,2X16,6 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. მას აღმ-ით არქიტრავით გადახურული შესასვლელი აქვს. სამხრ-ით ერთი პატარა სარკმელია, ხოლო დას-ით — სამი კვადრ. სარკმელი. კამარაში დატანებულია სამი ხვრელობი. ლავგარდანი თლილი ქისაა, ნაგებობა გადახურულია ლორფინით (ამჟამად სახურავი ძალზე დაზიანებულია).

(ზ) კოშკი დგას სატრაპეზოს სამხრ.-დას-ით, ორმოციოდე მ-ზე. ნაგებია ნატეხი ქვით. შემორჩენილია სამი სართულის კედლები. შესასვლელი მეორე სართულზეა. პირველ და მეორე სართულზე თითო სარკმელია.

(თ) სამრეკლო დგას ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 2 მ-ზე. თარიღდება XVII-XVIII სს-ით. სამრეკლოს კედლები და სახურავი დაზიანებულია. შესასვლელი სამხრ-დანაა. სამრეკლო ორსართულიანია. პირველი სართული (5,1X5,1 მ) კუბური სათავსია, იგი მოხატული ყოფილა. მოხატულობა XVII-XVIII სს-ით თარიღდება. ამჟამად ბათქაშის დიდი ნაწილი ჩამოცვენილია, დანარჩენი ძალზე გაჭვარტლულია და ნახატი ძნელად გაირჩევა. აღმ. კედლის სამხრ. ნაწილში შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული ფრონტალურად წარმოდგენილი წმინდანის ფიგურა. მის შარავანდთან გაირჩევა რამდენიმე ბერძ. ასო. წმინდანს ხელში ძვირფასი ქვებით მოჭედილი წიგნი უჭირავს. მოხატულობის კოლორიტს ქმნის მუქი ლურჯი, წითელი, ყვითელი და თეთრი ფერები. მეორე სართული, საკუთრივ სამრეკლო, რვა ღია თაღზე აგურით ამოყვანილი ცილინდრული ფანჩატურია, რ-საც შემოვლებული აქვს თლილი ქვის ხადაპროფილიანი ლავგარდანი და გადახურულია ქვის ბრტყელი ფილებით. ფანჩატურში ახავლელი ქვის კიბე მიშენებულია დას-დან. ფასადში ჩასმულია სამი მოჭიქული ჯამი. აქვე კედელში მოხრდილი ნიშია, რ-ისთვისაც გარედან უფრო დიდი „ხატის ნიში" მიუშენებიათ.



205(თ). სამხრ. ფასადი, გეგმა

(ი) რ. ტ-ში შემავალი, ფერდობზე მიშენებული ერთსართულიანი ბერების სენაკები და სხვა ნაგებობათა ნაშთები ცუდადაა შემონახული.

(კ) ნათლისმცემლის ეკლესია დგას ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრ-ით, შვიდიოდე მ-ზე. თარიღდება XIII-XIV სს. მიჯნით. ეკლ. დარბაზულია (7,3X4,3 მ), ნაგებია კარგად გათლილი ქვის სხვადსხვა ზომის კვადრებით; კამარა ნატეხი ქვისაა. შესასვლელი დას-დანაა. აღმ-ით, აფსიდის ღერძზე, და დარბაზის დას კედელში თითო სარკმელია, სამხრ-ისაში — ორი. ეკლესიის დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-ის საბჯენი თაღები პილასტრებს ეყრდნობა. ეკლ. დგას ორლილვიან ცოკოლზე. ფასადები (გარდა სამხრ-ისა) მორთულია დეკორატ. ნახევარსვეტებითა და თაღედით. ნახევარსვეტების კაპიტელები, ბაზი-



205(კ). დას. ფასადი





205(კ). გეგმა, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ



205(მ). საერთო ხედი

ხები და მორკალური პროფილის ლავგარდანი მოჩუქურთმებულია. განსაკუთრებით გამოირჩევა აღმ. ფასადის მოჩუქურთმებულსაპირიანი შუა სარკმელი და მის თავზე აღმართული ჯვარი; ქვემოთ რთული ბაზისი და მტევნების გამოსახულება ქმნის ერთიან დეკორატ. სისტემას. სამხრ. ფასადზე მორთულია მხოლოდ სარკმლები; წრიული სარკმლის ჩუქურთმა კედლის სიბრტყიდან ამოწეულია, სწორკუთხა სარკმლისა კი კედელშია ამოკვეთილი.

ეკლესიის სამხრ-ით ამოყვანილია სპეც. სუბსტრუქცია, რ-შიც მოთავსებულია სამარხი კამერა. (ლ) მოგვიანებით ეკლესიისთვის დას-დან კ ა რ ი ბ ჭ ე (4,8X4,8 მ) მიუშენებიათ. შესასვლელი დას-დანაა. გადახურულია სხივისებრი კამარით. სამხრ. კედელში ორი სარკმელია. კარიბჭის დას. და ჩრდ. ფასადები, ეკლესიის მსგავსად, ნახევარსვეტებიანი დეკორატ. თაღედითაა მორთული. დას. ფასადს სამი თაღი აქვს. შუა თაღი, რ-საც ფართო ჩუქურთმიანი საპირე გასდევს, სიგანით სამჯერ აღემატება გვერდით თაღებს და შესამჩნევად მაღალია. თაღის ზევით პატარა ოთხკუთხა სარკმელია, სარკმლის ზევით — ჩუქურთმიანი ჯვარი. კარიბჭის ლავგარდანი მოჩუქურთმებულია.

(მ) რ კ ო ნ ი ს ხ ი დ ი მდებარეობს სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე. გადებულია მდ. თეძამზე. ხიდზე გადიოდა გზა, რ-იც შიდა ქართლს



205(მ). ფასადი

აკავშირებდა თრიალეთთან. ხიდი თარიღდება XII-XIII სს-ით. იგი ერთმალიანია (12,5 *მ*), მორკალური ფორმისა (თაღის სიმ. მდინარის ზედაპირიდან 7,6 *მ*; სიგ. 2,2 *მ*). ნაგებია ნატეხი ქვით კირის მკვრივ დუღაბზე. თაღის ქვედა პირი შედარებით გრძელი ქვებით არის ნაშენი, ზედა — უფრო მომცროთი. ხიდის ბურჯები ბუნებრივ კლდოვან საფუძველს ეყრდნობა. კონსტრ. მოსაზრებით, შუა ნაწილი ნაპირებზე გაცილებით მაღლაა აზიდული. ხიდი შემორჩენილია თავდაპირველი სახით. იგი საქართველოს ფეოდ. ხანის ხიდების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

*ბიბლ.:* 89:341-342, 470-471, 473; 239:199-200; 354. დ. ფ., ზ. პ., შ. ტ.

**206. რკონის ციხის კომპლექსი**, არქიტ., ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას მდ. თეძმის ვიწრო ხეობაში, წალკიდან მიმავალი გზის პირას, ნასოფლარ რკონსა და რკონის კომპლექსს შორის, მაღალი მთის ფერდობზე. მას სამხრ-დან მდ. თეძამი ჩამოუდის, ჩრდ-დან — პატარა უსახელო მდინარე. ხეობას მოჰყვება მანგლისიდან მომავალი გზა. ციხე თარიღდება XVIII ს. შუა ხანებით. კომპლექსში შედის: გალავანი, ეკლესია, კოშკი, სადაზვერვო კოშკი, სასახლე. რ. ც. კ. მეტად რთულრელიეფიან მთაზეა აგებული. მისი დას. ნაწილი შედარებით შევაკებულ ადგილზე დგას, აღმ-ისა — კი თითქმის ციცაბო ფერდობზე. შიდა ტერიტორია მოსწორებული არ არის. ციხე მთლიანად ნაგებია ნატეხი ქვით.

(ა) გალავანი წარმოადგენს მარტივ, გეგმით უსწორო მრავალგვერდას (სიმ. 5 *მ*), რ-საც თითო კარი აქვს ჩრდ.-დას-ით და სამხრ-ით. კედლები გამაგრებულია კონტრფორსებით. შიგნიდან გალავანი ორიარუსიანია. საბრძოლო ბილიკი ხისა ყოფილა. გალავნის ქვედა ნაწილი ყრუა, ზედა იარუსზე კი სათოფურებია.

(ბ) ეკლესია დარბაზულია. თარიღდება XIII ს-ით. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. აღმ-ით, აფსიდში, და დარბაზის სამხრ. და დას. კედლებში თითო სარკმელია. დარბაზი გადახურულია ორ შეკიდულ თაღზე დაყრდნობილი კამარით.

კედლებზე შემორჩენილია (გ) მოხატულობის ფრაგმენტები. მოხატ. თარიღდება XIII ს. II ნახ-ით. აფსიდის კონქში, რ-ის მეტი ნაწილი ამჟამად ჩამონგრეულია, ჩანს *ვედრების* კომპოზიციის ნაწილი: მაცხოვრის შიშველი ფეხი, მისი ქიტონის კალთა და ტახტი, რ-იც მორთულია სამრიგად განლაგებული კონცენტრული წრეებით და შიგ ჩახატული ჯვრებით. სამხრ-ით შემორჩენილია ექვსფრთედის გამოსახულება. იოანე ნათლისმცემლის ფიგურა მთლიანად გადაშლილია, ხოლო ღვთისმშობლის მხოლოდ მოწითალო-ყავისფერი მაფორიუმისა და ნაცრისფერი ქიტონის მცირე ფრაგმენტებია შემონახული. მომდევნო რეგისტრში *ზიარების* კომპოზიციაა წარმოდგენილი. შედარებით უკეთესადაა შემონახული მაცხოვრისა და მისკენ მიმართული ორი ხელაპყრობილი ანგელოზის გამოსახულება კედლის ჩრდ. ნაწილში, სარკმლის გვერდით. მოპირდაპირე მხარეს ჩანს ქრისტეს ფიგურა და მოციქული პავლე. ეს უკანასკნელი ოდნავ უკანაა გადაწეული, ხელი მაცხოვრისკენ აქვს გაწვდილი. *ზიარება* კიბისებრი ორნამენტის ფრიზითაა მოჩარჩოებული. მესამე რეგისტრში ეკლესიის მამებია წარმოდგენილი მთელი ტანით. ამავე რიგში, სარკმლის ქვემოთ, გაირჩევა მაცხოვრის წელზედა გამოსახულება. საკურთხევლის ერთადერთი სარკმელი მცენარეული ორნამენტითაა შემკული. ქვემოთ მხატვრობას ასრულებს კიბისებრი ორნამენტი. ეკლესიის სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთში, ქვემოთ, გაირჩევა მთელი ტანით გამოსახული წმინდანები: ერთი მათგანი (ონოფრე ან მაკარი) შიშველია, მომდევნოს გრძელი გაშლილი თმები აქვს. ამავე კედლის სარკმლის წირთხლებზე ორი წმ. დედის წელზედა გამოსახულებაა. ქვემოთ, დას. კუთხეში გამოსახული ბავშვების ჯგუფი განეკუთვნება *განკითხვის დღის* კომპოზიციას, რ-საც ეკლესიის დას. კედელი ჰქონდა დათმობილი. ამჟამად კომპოზიციის მეტი ნაწილი გადაშლილია. შემონახულია ცალკეული ფრაგმენტები, რ-ებზეც გაირჩევა: *აბრაამის წიაღი*, მის გვერდით სულების ჯგუფი, სამოთხის კარებთან ექვსფრთედი (ქერუბინი) და იქვე ყავისფერი ხაზით შესრულებული სწორკუთხედები, რ-ებშიც ჯოჯოხეთის ალში გახვეული ცოდვილთა ფიგურებია მოთავსებული. კედლის ზედა ნაწილში გამოსახულებათა გარჩევა მხოლოდ სარკმლის წირთხლებზე ხერხდება. სამხრ-ით უწვერულვაშო ახალგაზრდა წითელ მოსასხამსა და ნაცრისფერ პერანგში წინასწარმეტყველი დანიელი უნდა იყოს. მას ხელში გაშლილი გრაგნილი უჭირავს, რ-ზეც ასომთ. წარწერის ნაშთები გაირჩევა. იქვე, ჩრდ. წირთხლზე ორი მუხლმოყრილი ფიგურაა ვედრების პოზაში. შესასვლელის ტიმპანი და წირთხლები შევსებულია მცენარეული ორნამენტით. ჩრდ. კედელზე მოხატ. მთლიანად გადაშლილია. მხატვრობის კოლორიტში გაბატონებულია ზურმუხტისფერი-მწვანე, მოწითალო-აგურისფერი, მოწითალო-ყავისფერი, ოქროსფერი ოქრა, მოცისფრო-ნაცრისფერი.

ეკლესიის ფასადები ნატეხი ქვითაა ნაგები. წყობაში გამოყენებულია XII-XIII სს. ეკლესიის ნანგრევებიდან მოტანილი ჩუქურთმიანი ქვები.

(დ) კოშკი დგას გალავნის სამხრ.-აღმ-ით, ყველაზე მაღალ ადგილას. მისი სამხრ. და აღმ. კედლები კლდეს ეყრდნობა, ხოლო დანარჩენი ორი — მასიურ კედელს. ქვედა სართულის იატაკი ხის კოჭებზე ყოფილა დაგებული. კედლებში დატანებულია ბუხრები, ნიშები და სათოფურები.

(ე) სადაზვერვო კოშკი დგას ციხის ზემოთ, მთის წვერზე. მისი გეგმა კვადრატს უახლოვდება. შემორჩენილია სამი სართული: პირველი ყრუა, მეორის კედლებში სათოფურებია, მესამე დაზიანებულია.

(ვ) სასახლე დგას ციხის ეზოში. შემორჩენილია სამსართულიანი ნაგებობის ნანგრევები. პირველ სართულზე ორი კარი, ბუხარი და სამეურნეო დანიშნულების ნიშებია, მეორეზე — ნიშები და ბუხარი; მესამე სართულის კედლები ძლიერ დაზიანებულია, ჩანს მხოლოდ კარი. დ. ფ., ზ. პ., შ. ტ.

**207. სამოქალოს წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას რკონის კომპლექსის აღმ-ით, 2 *კმ*-ზე, ნასოფლარ სამოქალოზე.



207. სამხრ. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (8,5X5,4 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. დაზიანებულია: ჩაქცეულია კამაროვანი გადახურვა და კონქი. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. კარის ღიობი გადახურულია ტიმპანით, რ-იც შიგნიდან და გარედან თაღითაა მოჩარჩოებული. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ორივე მხარეს — მცირე ზომის სწორკუთხა ნიშები. სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში ერთი თაღოვანი სარკმელია, რ-ის ქვეშ სატრაპეზო ქვა დგას. გრძივი კედლები და კამარა პილასტრებითა და მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრებს ერთ ქვაში კვეთილი თაროსებრი კაპიტელები აქვთ.

ინტერიერი შელესილი და მოხატული ყოფილა. (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს შემორჩენილი ფრაგმენტები თარიღდება XII ს-ის დასასრულით. საკურთხევლის მოხატ. ორ რეგისტრად იყო დაყოფილი. კონქში შემორჩენილია *ვედრების* კომპოზიციის ქვედა ნაწილი: მაცხოვრის შიშველი ფეხი, შეიდქიმიანი ვარსკვლავებით მორთული მოწითალო-ყავისფერი ფეხსადგამი, ორი ექვსფრთედი, იოანე ნათლისმცემლის გამოსახულების ნაწილი და მწვანე ფერის მიწა. კონქის კომპოზიცია შემოსაზღვრულია კიბისებრი ორნამენტით. ქვედა რეგისტრში ეკლესიის მამებია წარმოდგენილი. ამავე რეგისტრის სამხრ. კიდეში შემონახულია დიაკვნის გამოსახულება. მას ოდნავ მოხრილი გრძელი წარბები, თხელი ცხვირი, პატარა ბაგეები და ფართოდ გახელილი დიდი თვალები აქვს. ამ რეგისტრის სამხრ. ნაწილში ოთხი ფიგურაა. ჩრდ-ით მხოლოდ ერთი წმინდანის მცირე ნაწილი გაირჩევა. ფრონტალურად წარმოდგენილი წმინდანები მსუბუქი თაღნარითაა მოჩარჩოებული. საკურთხევლის სარკმლის წირთხლები შემკულია მცენარეული ორნამენტით (ყულფით გადაბმული წრეები შიგ ჩახატული ყვავილებით). სარკმლის ქვემოთ ჯვარია გამოსახული. მხატვრობა დასრულებულია კიბისებრი ორნამენტით. სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთზე სწორკუთხა ჩარჩოში მოქცეული წმ. დედათა წელზედა ფიგურებია. წმინდანებს სხვადასხვა ფერის (მოწითალო-ყავისფერი, ყვითელი) შარავანდები აქვთ, რაც ქართ. მონუმ. მხატვრობის ძეგლებში ჯერ კიდევ XI ს-დან გვხვდება. ამავე კედლის დას. მონაკვეთზე, შესასვლელის თავზე გაირჩევა მცირე ზომის ფიგურა და მისი წითელი ფეხსაცმელი. შესასვლელის დას-ით, წმ. მეომრების მონუმ. ფიგურებს ორი რეგისტრის მთელი სიმაღლე უჭირავთ. ორნამენტი, რ-იც მათი ჩაცმულობის ცალკეულ ნაწილებს ამკობს, შესრულების მაღალი პროფესიონალიზმით ხასიათდება. სარკმლის წირთხლებზე მოცემული მცენარეული ორნამენტი იმეორებს საკურთხევლის სარკმლის სახეებს. ჩრდ. კედელზე ასახულია *წმ. გიორგის მიერ მეფის ასულის გველეშაპისაგან დახსნის* სცენა. ჩანს პირდაღებული გველეშაპის თავი კისერზე გამობმული თოკით, ცხენის ფლოქვი, წმინდანის სამოსის ნაწილი და მარჯვნივ ორი ხელაპყრობილი ფიგურა. მოხატულობის კოლორიტში გაბატონებულია მოწითალო-აგურისფერი, ღია ზურმუხტისფერი-მწვანე, ოქროსფერი ოქრა, მოწითალო-ყავისფერი. ორნამენტებისათვის გამოყენებულია აგრეთვე ნაცრისფერი და მუქი ლურჯი საღებავები.

ეკლესიის სამხრ. ფასადის აღმ. კუთხეში შემორჩენილია პროფილირებული ლავგარდნის ქვა. *დ. ფ., დვ. თ., შ. ტ.*

**208. სვიმეონ მესვეტის სავანე,** არქიტ. ძ. მდებარეობს რკონის მონასტრის სამხრ.-დას-ით, 400 *მ*-ზე, მთის ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნაგებობა (5,6X3,8 *მ*) სამსართულიანია, ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: სამხრ.-აღმ. და სამხრ.-დას. კუთხეები თითქმის მთლიანად ჩამონგრეულია. პირველი სართულის უმეტესი ნაწილი მიწაშია ჩამჯდარი. ამ სართულის ჩრდ. და აღმ. კედლებში ორი პატარა სარკმელია გაჭრილი. სათავსის შუაში წყლის შესაგროვებელი ჭა იყო ამოჭრილი. მეორე სართული საცხოვრებელია. შესასვლელი დას. კედელშია. აღმ. და ჩრდ. კედლებში თითო პატარა სარკმელია, ჩრდ.-აღმ. კუთხეში — ბუხარი. დას. კედელზე მიდგმულია მესამე სართულზე ასასვლელი კიბე. მესამე სართული ცილინდრული კამარითაა გადახურული. იგი სამლოცველოა, რ-საც აღმ-ით აფსიდი აქვს. ოთხივე კედელში თითო სწორკუთხა სარკმელია. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებს ეყრდნობოდა.

სამლოცველოს კედლები მთლიანად შელესილი და მოხატული ყოფილა. (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ა გვიანდ. ფეოდ. ხანას მიეკუთვნება. ფრაგმენტები შემორჩენილია აფსიდში და დას. კედელზე. აფსიდში ღვთისმშობლის ნახევარფიგურაა ყრმით ხელში. მის ქვემოთ, მომდევნო რეგისტრში *წმინდა მსხვერპლი* უნდა იყოს გამოსახული. ამავე რეგისტრში გაირჩევა ეკლესიის მამანი. საკურთხევლის სარკმლის წირთხლები ორნამენტითაა მორთული. დას. კედლის ზედა რეგისტრის მოხატ. არ შემორჩენილა. მომდევნო რეგისტრში მთავარანგელოზის დიდი ზომის ნახევარფიგურაა, ქვემოთ კი წმინდანის პატარა გამოსახულება. სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთზე რამდენიმე ფიგურის ფრაგმენტი ჩანს. მოხატულობის წყობა ატექტონურია, რეგისტრები არ შეესატყვისება არქიტექტურას. კოლორიტი მუქია. ჭარბობს მოწითალო-ყავისფერი, შავი-მურანარევი, მონაცრისფრო-ლურჯი.

სავანის ფასადები დასრულებულია ქვის ორსაფეხურიანი ლავგარდნით. ნაგებობა გადახურულია ორფერდა სახურავით. *მ. გ., მ. ი.*

**209. ყუმბარების დამამზადებელი სახელოსნო,** ისტ. ძ. მდებარეობს ნასოფლარ რკონის ტერიტორიაზე, ნამოსახლარ თეკნარაზე, ტყეში. დანგრეულია: შემორჩენილია კედლები 1-1,5 *მ* სიმაღლეზე. 1905 წ. იანვ.-ოქტ. რევ. მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, გორის მაზრის ბოლშევიკური ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, მასების აქტიური შეიარაღებული გამოსვლების უზრუნველსაყოფად აქ არალეგალურად მოქმედებდა სახელოსნო, სადაც ამზადებდნენ ყუმბარებს. სახელოსნოში 6 კაცი მუშაობდა.

*ბიბლ.:* 418; 422:ფონდი 153, აღწ. 1, საქ. 352, ფ. 48-49. *ქ. ქ.*

## საკორინთლო

(ქვემო ჭალის სოფსაბჭო).

**210. ნანაანთ წმ. ნიკოლოზის ეკლესია,** არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით. თარიღდება XVIII ს-

ით. ეკლ. დარბაზულია (6,5X4,4 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. ძლიერ დაზიანებულია. შესასვლელი სამხრ-იდანაა. აფსიდში ორი სარკმელია ერთმანეთის თავზე, მარცხნივ ოთხკუთხა ნიშია. დარბაზის სამხრ. კედელში ერთი სარკმელია. დარბაზი კამარით გადახურული და შელესილი ყოფილა. ეკლესიას კრამიტის ორფერდა სახურავი ჰქონია. ზ. პ.

211. ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, ჭალის მხარეს. თარიღდება გვიანდ. ანტ. ხანით. სამარხები წარმოადგენდა თიხის სარკოფაგებს. ნაპოვნია ოქროს ბეჭდები, მძივები და ჭურჭლის ფრაგმენტები. გვ. ჯ.



212. გეგმა

212. ᲫᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲘ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, მაღალი მთის ფერდობზე. თარიღდება XVIII ს-ით. ეკლ. დარბაზულია (7,3X4,95 მ), ნაგებია რიყის ქვით, გამოყენებულია თლილი ქვაც. შესასვლელი სამხრ-დანაა. ნალისებრი აფსიდის ღერძზე ვიწრო თაღოვანი სარკმელია, გვერდებზე — მცირე ზომის სწორკუთხა ნიშები. აფსიდის სარკმლის ქვეშ სატრაპეზო ქვა დგას, დარბაზი გადახურულია რიყის ქვით ნაგები ცილინდრული კამარით. კამარის თლილი ქვის საბჯენი თაღი გრძივი კედლების შეკიდულ პილასტრებს ეყრდნობა.

ეკლესიას სამხრ-ით მ ი ნ ა შ ე ნ ი (3,8X4,9 მ) აქვს. შესასვლელი დასდანაა. აღმ-ით და სამხრ-ით თითო სარკმელია. მინაშენიც ცილინდრული კამარითაა გადახურული. კამარა სამხრ-ით კედელს ეყრდნობა, ჩრდ-ით — სვეტზე გადასულ ორ თაღს. ზ. პ., ნ. შ.

# ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲘᲡᲘ

(სოფსაბჭოს ცენტრი)

213. ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲘᲡᲘ, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. ლეხურის მარცხ. ნაპირზე, კასპიდან 11 კმ-ზე. VI ს. 50-იან წლებში ერთ-ერთმა ასურელმა მამამ — ისიდორემ (ეზდერიო) აქ ააშენა ეკლესია. ძველად ს. საგანმანათლებო კერა იყო, სადაც მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და კალიგრაფები: ილია (XVI ს.), არქიეპისკოპოსი ევდემონი (XVII ს), კვიპრიანე სამთავნელი (XVII-XVIII სს), ანტონ I კათალიკოსი და სხვ. აქ იყო საქართვ. ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო, რ-იც გაუქმდა 1811 წ.

სოფლისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არაერთი ისტორ. მოვლენა მოხდა: (ა) XVIII ს. 30-იან წლებში ყიზილბაშებს განუდგა ქართვ. დიდებულთა ერთი ნაწილი (შანშე ქსნის ერისთავი, გივი ამილახვარი, ვახუშტი აბაშიძე და სხვ.). გამდგარ თავადებს ყიზილბაშებმა რაზმი შეუსიეს. 1736 წ. ყიზილბაშთა რაზმსა და ქართველებს შორის გაიმართა ბრძოლა. მტერმა დაიკავა სამთავისი, მაგრამ მალე ისინი დაამარცხეს ქართველთა რაზმებმა. მტერი გაიქცა და თბილისის ციხეს შეაფარა თავი.

(ბ) 1921 წ. მარტში სოფ. სამთავისის ღარიბესი და საშ. გლეხობის კრებამ გადაწყვიტა კოლექტიური მეურნეობის ჩამოყალიბება. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი. მალე ჩამოყალიბდა საქართველოში პირველი სას.-სამ. არტელი „ახალი ცხოვრება“, რ-იც თავდაპირველად 17 კომლს აერთიანებდა. მიწას ერთობლივად ამუშავებდნენ და მოსავალს არტელთა წევრებს შორის თანაბრად ანაწილებდნენ. 1922 წ. 27 აგვ. სოფლის კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება არტელ „ახალი ცხოვრების“ კომუნად გარდაქმნის შესახებ. კომუნარებმა ააგეს საერთო 28-ბინიანი საცხოვრ. სახლი და დიდი ორსართულიანი შენობა — კულტ.-საგანმ. დაწესებულება. სამთავისის კომუნის მაგალითზე საქართველოში შეიქმნა სხვა კომუნები.



213(ბ). ერთ-ერთი ნაგებობა

ბიბლ.: 186:62; 201დ:444-448; 405: 1967 წ., 18 აგვისტო, № 33; 421:ფონდი 288, აღწ. 1, ტ. 1, საქ. 159, ფ. 6-7, ფონდი 288, აღწ. 1, ტ. 1, საქ. 505, ფ. 2-10. ქ. ქ.

214. ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ, არქიტ., ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში, მდ. ლეხურის მარცხ. ნაპირზე. კომპლექსში შედის: დიდი ტაძარი, გალავანი, ეპისკოპოსის პალატი, მცირე ეკლესია, სამრეკლო.

გადმოცემით, სამთავისის ტაძარი თბილისის სიონის, წილკნის, ერთაწმინდის და მეტეხის ტაძრებთან ერთად აუგია ვახტანგ გორგასალს. „კალმასობაში“ ნათქვამია: „ვახტანგ გორგასლან, მეფემ საქართველოსმან აღაშენა ოთხი ეკლესიანი: წილკნის,

214(ა). გეგმა



ხამთავისხ, მეტეხის გაღმა მხარისა და რუისისა და ოდეს გაშინჯეს ეს ეკლესიები, მაშინ ხუროთმოძღერებით და აღმშენებლობით უფრო აქეს სამ-




214. გეგმა: 1. გალავანი, 2. სამრეკლო, 3. დიდი ტაძარი, 4. ეპისკოპოსის პალატი, 5. მცირე ეკლესია

214(ა). ხედი სამხრ.-აღმ-იდან



თავისი და უწოდა ესრეთ სამთავე ეკლესიათა, ესე სამთავისი უმჯობესიაო და მუნიდგან ეწოდება სამთაეისი". ქართლ-იმერეთის სინოდის კანტორის საქმეების მიხედვით სამთავისი ძვ. ეკლესიის აშენების თარიღია 472 წ. იმდროინდელი ნაგებობიდან აღარაფერია შემორჩენილი. X-XI სს-ში სამთავისში აშენდა შედარებით მცირე ზომის ტაძარი. ამ ტაძრის შესახებ წერილობით წყაროებში მნიშვნელოვანი ცნობა არ არის შემონახული. იგი მხოლოდ გვიანდ. ხანის სიგელ-გუჯრებშია გაკვრით ნახსენები.

სამთავისის ტაძრის აგების ზუსტ თარიღსა და ამშენებლის ვინაობას გვაუწყებდა დას. კარს ზემოთ, აყვავებული ჯერის რელიეფური გამოსახულების თავზე ამოკვეთილი სამსტრიქონიანი ასომთ. წარწერა: „ილარიონ სამთავნელმან აღაშენა ტაძარი ესე... ნე წელთა ხქლდ ქრკსა ს წ ა ნ" (წარწერა თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა; აღარ არსებობს). მეორე ასომთ. წარწერა ასე იკითხება: „ქ ხატო ღმრთაებისაო ადიდე ილარიონ სამთავნელ ეპისკოპოზი ძე ვაჩე ყანჩაელისა რომელმან მარანი და საწნახელი აღაშენა ქორონიკონსა სო". ამ წარწერებით ირკვევა, რომ სამთავისის ტაძარი აუგია სამთავნელ ეპისკოპოსს ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაელს 1030 ~. მასვე 1050 წ. აუშენებია კათედრალისთვის განკუთვნილი მარანი და საწნახელი. გარდა XI ს. წარწერებისა, სამთავისის ტაძრის ფასადებზე შემორჩენილია შედარებით გვიანდ. ხანის ეპიგრაფიკული ძეგლები, რ-ებიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ტაძრის ისტორიაზე. დას. ფასადზე, კარს ზემოთ შვიდსტრიქონიანი ასომთ. წარწერაა, რ-ის თანახმად საქართველოს მეფის გიორგი III-ის მეფობის დროს (1156-84 წწ.) იოანე სამთავნელს ტაძრისათვის მიუდგამს კარიბჭე. მემატიანის ცნობით, XII ს. II ნახ-დან XIII ს. დასაწყისამდე სამთავისი ჯერ ქართლის კათალიკოს მიქაელს ეკავა, ხოლო შემდეგ მწიგნობართუხუცესის ანტონ ეპისკოპოსის სამფლობელი იყო. XIV ს. I ნახ-დან, გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს (1314-46 წწ.), სამთავისი ზევდგინიძე-ამილახვრებს ებოძათ.

XV ს-ში ძეგლი ძლიერ დაზიანდა: ჩამოინგრა გუმბათი, დას-ის კარი, თაღები, გუმბათქვეშა პილონი და მთლიანად ფასადები. XV ს. ბოლოსა და XVI ს. დასაწყისში ადგილ. ფეოდალების ამილახვრების აღზევების შემდეგ შესაძლებელი გახდა ტაძრის „მეორედ" აშენება-განახლება. ტაძრის დას. ფასადზე შემორჩენილი წარწერების თანახმად ძეგლი მეორედ აუშენებიათ გაიანე და სიაოშ ამილახვრებს; გაიანე ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის (მეფობის წლები 1466-78 წწ.) დაა, ამირინდო ზევდგინიძე-ამილახვრის მეუღლე, სიაოში — მათი ვაჟიშვილი. თავიდან აშენდა ტაძრის ჩრდ.-დას. ბურჯი, გუმბათი და დას. კედელი, სადაც ჩატანებულია სამშენ. წარწერა.

ტაძრის ინტერიერში, აფსიდის კონქსა და გუმბათქვეშა აღმ-ის ბურჯებზე შემორჩენილ წარწერებში გადმოცემულია ტაძრის მოხატულობის განახლებისა და ხელახლა მოხატვის ამბავი. ამ წარწერების მიხედვით, ტაძრის მოხატ-ის კტიტორები ყოფილან — გივი ამილახვარი და მისი მეუღლე თამარი, ხოლო შემსრულებელი — მელიტონ სამთავნელი. ეს სამუშაოები შეუსრულებიათ 1679 წ. 1847 წ. ძეგლზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა არქიტ. რიპარდმა (ამოაშენეს სამხრ-ის შესასვლელი, მოხსნეს დაზიანებული კარიბჭეები, შეაკეთეს ფასადების ქვედა მონაკვეთები, ლავგარდნები, ინტერიერში შელესეს კედლები).

(ა) დ ი დ ი ტ ა ძ ა რ ი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა და გეგმით აღმ-დან დას-კენ ოდნავ წაგრძელებულ

სწორკუთხედში ჩაწერილ ჯვარს წარმოადგენს (25X18 *მ*, მკლავების სიმ. გარედან ფრონტონის წვერამდე 20 *მ*-ია, მთელი ტაძრის სიმ. გუმბათის სახურავის წვერამდე — 37 *მ*). ტაძარი მოპირკეთებულია სუფთად გათლილი მოყვითალო და მონაცრისფრომომწვანო კვადრებით. კვადრატთან მიახლოებული მისი გეგმა ძალზე კომპაქტურია. ტაძარს ამჟამად ორი შესასვლელი აქვს — დას-დან და ჩრდ-დან (სამხრ. შესასვლელი XIX ს. შეკეთებისას ამოუშენებიათ). ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე, ნაგებობის ცენტრ. ნაწილში აღმართულია ოთხი ცალკე მდგომი ბურჯი. ისინი ქმნიან ტაძრის შიდა სივრცის მაორგანიზებელ გუმბათქვეშა კვადრატს, რ-ის ოთხივე მხარეს განლაგებულია ტაძრის მკლავები. ტაძრის შინაგანი სივრცე ერთ მთლიანობაში აღიქმება. ჩრდ.-დას-ის გუმბათქვეშა ოთხწახნაგოვანი პილონი (აღდგენილია XV ს-ში) დანარჩენ სამ რვაწახნაგოვან პილონთან შედარებით არაპროპორციული, მოღრეცილი და ბევრად მსხვილია. გუმბათქვეშა ბურჯები ნახევარწრიული თაღებითაა შეკრული. თაღების ქუსლების შესაყართან წარმოქმნილ სამკუთხედებში ამოყვანილია აფრები, რ-თა საშუალებით კვადრატი წრეზე გადადის. ამ კონსტრუქციაზე დამყარებულია გუმბათის საკმაოდ მაღალი ყელი, რ-იც 13 წახნაგისაგან შედგება. ტაძრის აღმ. მკლავი ბოლოვდება ნახევარწრიული აფსიდით. აფსიდში სამი სარკმელია. ორი (შეწყვილებული) სარკმელია დას. მკლავში, თითო — სამხრ. და ჩრდ. მკლავებში. გუმბათში შვიდი სარკმელია. ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული სამკვეთლო და სადიაკვნე. ისინი დას-ით გასასვლელებით უკავშირდებიან ტაძრის შიდა სივრცეს. სამკვეთლოს და სადიაკვნეს მცირე ზომის ორ-ორი სარკმელი აქვთ. ამ სათავსების თავზე თითო იმავე ზომის პატრონიკეა.

ინტერიერი თავდაპირველად შელესილი იყო. საკურთხეველში შემორჩენილი (ბ) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ა გვიანდელია (1679 წ.). იგი რესტავრირებულია 1964 წ. საქც. სამეცნ. სარესტ. საწ. სახელოსნოს მიერ (რესტავრატორები: შ. აბრამიშვილი, კ. ბაკურაძე).

საკურთხევლის კონქში წარმოდგენილია *ვედრების* კომპოზიცია, საკურთხევლის ბემის ორსაფეხურიან თაღში — *ძველი დღეთაი*, ქერუბინები, საყდარნი და მთავარანგელოზთა წელზედა ფიგურები. საკურთხევლის მეორე რეგისტრში გამოსახულია *მოციქულთა ზიარება*. ქრისტეს ორივე მხარეს 12 ფიგურაა. ზოგიერთ მათგანს შემორჩა წარწერა. ქრისტეს ჩრდ-ით დგანან: წმ. პეტრე, წმ. სვიმეონ და წმ. ბართლომე, სამხრ-ით — წმ. იოანე მახარებელი, წმ. მარკოზ მახარებელი, წმ. თომა, წმ. იაკობ. მესამე რეგისტრში, ცენტრ. სარკმლის ჩრდ-ით გამოსახულია წმ. დიონისე არეოპაგელი, წმ. იაკობ ძმა უფლისა, წმ. იუდა ძმა უფლისა, წმ. გრიგოლ პტელია, წმ. ლაზარე, წმ. ლავრენტი; სარკმლის სამხრ-ით — წმ. იეროთეოსი, წმ. ეგნატე ღმრთის შემოსილი, წმ. ანანია მოციქული, წმ. სვიმეონ ძმა უფლისა, წმ. ხურსიმე მოციქული, წმ. სტეფანე პირველმოწამე. მეოთხე რეგისტრში, კილისებრ თაღებში გამოსახულია მღვდელმთავრები, საკურთხევლის ნიშში — *წმინდა მსხვერპლი*. საკურთხევლის სარკმლების წირთხლები დათმობილი აქვს მთავარანგელოზთა ფიგურებს. მხატვრობა დასრულებული იყო ორნამენტის ზოლით (მარმარილოს იმიტაცია). გუმბათქვეშა აღმ. თაღში ოთხი წინასწარმეტყველის ფიგურაა. მათ შორის, თაღის ცენტრში, გამოსახულია ჯვარი, მისგან ჩრდ-ით — მოსე, სამხრ-ით — დავით წინასწარმეტყველი. დანარჩენ წმინდანთა ვინაობა უცნობია. ჩრდ.-აღმ. ბურჯის სამხრ. წახნაგზე ორი წინასწარმეტყველის გა-



214(ა). განივი განაკვეთი აღმ-კენ



214(ბ). გუმბათის მოხატულობა

მოსახულებაა (ქვედა იზეკიელია). სამხრ.-აღმ. ბურჯის ჩრდ. წახნაგზე გამოსახულია სამი წინასწარმეტყველი: შუა დანიელია, მის ქვემოთ – ამბაკუმი. გამოსახულებებს ახლავს ქართ. (ასომთ.), ბერძნ. და არაბული წარწერები. ტაძრის გუმბათში ერთმანეთისგან მცენარეული ორნამენტით გამოყოფილი მოხატულობის სამი რეგისტრია. პირველ რეგისტრში, გუმბათის სფეროში *ქრისტე ყოვლისმპყრობელია* გამოსახული. მის ირგვლივ მედალიონებში ჩასმულია მახარებელთა სიმბოლოები და ექვსფრთედები. მეორე რეგისტრში, სარკმლებს შორის, გუმბათის ყელის აღმ. ნაწილში, გამოსახულია *ღვთისმშობელი ყრმით ხელში.* მის გარშემო, სარკმლებს შორის არეებზე, წინასწარმეტყველთა ორ-ორი ფიგურაა. ღვთისმშობლის სამხრ-ით პირველი დავით წინასწარმეტყველია, შემდეგ – სოფონია, ამბაკუმ, ესაია, ეზეკიელი, იოველ, გედეონ, იერემია. წმინდანთა გამოსახულებებს თან ახლავს ქართ. და ბერძნ. წარწერები (ერთი წარწერა არ იკითხება). გუმბათის ყელში სარკმლების წირთხლები მცენარეული ორნამენტითაა შემკული. სარკმლების ქვემოთ, მესამე რეგისტრში გამოსახულია მთავარანგელოზები მუხლზევით. მათ ხელში სფეროები უჭირავთ. გამოსახულებებისა და წარწერების სიმრავლის გამო კედლის მთლიანობა დარღვეულია. შესრულების მანერა ხასიათდება სიმშრალით, სქემატურობით. წმინდანთა სახეების მუქი მოყვითალო-ყავისფერი სარჩული გაღიაფერებულია მოვარდისფრო ლაქით, რ-ზეც შეიმჩნევა მშრალი თეთრი შტრიხები. კონტურები მეტწილად შავია. მხატვრობის კოლორიტს ქმნის ნაცრისფერი, მოწითალო-ყავისფერი, მუქი ლურჯი, ფირუზისფერი მწვანე, მღვრიე ყვითელი და თეთრი ფერები, წმინდანთა შარავანდებისათვის გამოყენებულია ოქრო. ტაძარში თავდაპირველი ქვის იატაკის ნაცვლად დაგებულია დეკორატ. მოზაიკური იატაკი, რ-შიც დატანებულია წარწერიანი საფლავის ქვები.

დიდი ტაძრის ფასადები მორთულია ჩუქურთმებითა და დეკორატ. რელიეფებით. დეკორატ. სისტემაში (გარდა გადაკეთებული დას. ფასადისა) მთავარ როლს ასრულებს ერთმანეთთან მწყობრად დაკავშირებული დეკორატ. თაღედი. გრძივი ფასადების მაღალ ცენტრ. დეკორატ. თაღში თითო სარკმელია. მათ თავზე დიდი ვარდულია. ფასადები დასრულებულია რთულპროფილიანი მოჩუქურთმებული ლავგარდნით. ჯვრის მკლავების გვერდითი კედლების მაღალი შუბლი ასევე თაღედითაა დამუშავებული, რითაც ეს კედლებიც დეკორის საერთო სისტემაში ჩართული.

აღმ. ფასადი სიმეტრიულადაა დანაწევრებული ლილვებით შემოფარგლული ხუთი დეკორატ. თაღით და აფსიდის ორივე მხარეს არსებული ფესტონებით შემკული ორი სამკუთხა ნიშით. შუა თაღი ყველაზე მაღალია, გვერდითი თაღები თანდათანობით დაბლდება. შუა თაღის ღერძზე, ზევიდან ქვევით, ერთმანეთის მიყოლებით განლაგებულია მდიდრულად მოჩუქურთმებული დიდი რელიეფური ჯვარი, ვარდული, საკურთხევლის დიდი სარკმელი და ორი ირიბად დადგმული კვადრატი. ფასადის თავისუფალ არეებს ავსებს დეკორატ. ლილვები და ასომთ. წარწერები. ჯვრის ზედა, მარცხ. მხარეს ასეთი წარწერაა: „ქ ღმერთი მის შორის და იგი არა შეიძრას უკუნისამდე"; ქვემოთ: „ქ ხატო ღვთაებისაო შეიწყალე სული ილარიონისა ძისა ეაჩე ყანჩაელისი". ფასადის მარჯვ. კუთხეში ფასკუნჯის ბარელიეფი, ყურძნისა და ბროწეულის რელიეფებია (თავდაპირველად ფას-

214(ა). აღმ. ფასადი



კუნჯის გამოსახულება ფასადის მარცხენა კუთხეშიც ყოფილა, მაგრამ გამოფიტული ქვები XIX ს. შეუცვლიათ). ალმ. ფასადის კუთხეებში მიმდებარე ფასადებზე გადასული ყლორტებიანი ლილვებია. დიდი ჯვრის გვერდებზე თითო პატარა დეკორატ. თანაბარმკლავებიანი ჯვარია, რ-ებიც შექმნილია დეკორატ. თაღედის პილასტრებისაგან გატოტვილი ლილვებით. ალმ. ფასადის სამკუთხა ნიშების თაღები დასრულებულია ოთხ-ოთხი ფესტონით. მათ ჩუქურთმიანი საპირეები აქვთ შემოვლებული. ფასადის გვერდით დეკორატ. თაღებში მდებარე სადიაკვნისა და სამკვეთლოს სარკმლები შედარებით დაბლაა და მათ განიერი ჩუქურთმიანი არშია შემოუყვება. ალმ. ფასადზე ორნამენტული მოტივების გასაძლიერებლად გამოყენებული ყოფილა წითელი ფერის საღებავი (ნიშების ფესტონებზე, კვადრატის ორნამენტულ კოპთან და სხვ.). ფასადის ლავგარდანი აღდგენილია თავდაპირველი პროფილით. ფასადის ქვედა მონაკვეთში წყობა მთლიანად გამოცვლილია (ნახევარსვეტების ბაზისები ახალია, გაკეთებულია ძველის მიმსგავსებით), ცოკოლსაც თავდაპირველი პროფილი აქვს.

სამხრ-ის ფასადს ეკვროდა კარიბჭე, რ-იც ახლა აღარ არის. ამ ფასადზეც უწყვეტი დეკორატ. თაღედია. ცენტრ. ნაწილში სამი დეკორატ. თაღია, რ-თაგან შუა ამაღლებულია. ფასადის გვერდით მონაკვეთებზეც დეკორატ. სამთაღოვანი არეებია, მაგრამ აქ მარჯვენივ თანაბარი ზომის დეკორატ. თაღებია, ხოლო მარცხნივ დეკორატ. თაღების სიმაღლე და სიგანე ალმ-დან დას-კენ კლებულობს. ფასადზე თავდაპირველი ნაწილებიდან შემორჩენილია ცენტრში მდებარე მაღალი, ორნამენტით მოჩარჩოებული სარკმელი და წრიული ვარდული სარკმლის თავზე. სარკმლის მარჯვენივ ორნამენტიანი ზოლი გვიანდ. უნდა იყოს. მარჯვ. დეკორატ. სამთაღედის ცენტრში ფართო ორნამენტიანი არშიით მორთული პატარა მრგვალი სარკმელია. ფასადზე აღდგენილია ლილვების კონით შედგენილი პილასტრების კაპიტელები და ბაზისები (თავდაპირველი სახით დატოვებულია მხოლოდ მარჯვ. დეკორატ. თაღედის პილასტრები და მაღალი დეკორატ. თაღედის შუა პილასტრის ორი კაპიტელი). ცალფერდა სახურავს ზემოთ, სიღრმეში არსებული კედლის ალმ-ის მონაკვეთზე ხუთი დეკორატ. თაღია. ასეთივე ყოფილა დას-ის მონაკვეთზეც (იგი XV-XVI სს. მიჯნაზე აღუდგენიათ უთაღოდ). დიდი ტაძრის სამხრ. ფასადი, ისევე როგორც ალმ-ისა, აღდგენისას აუმაღლებიათ წყობის ორი რიგით.

ჩრდ. ფასადი სამხრ-ის მსგავსია. მას ატყვია სხვადასხვა დროის შეკეთების კვალი: გვერდის ნაწილები ამაღლებულია. აღდგენილია დას. მონაკვეთი; ქვედა რიგის თაღედის ყველა ბაზისი გამოცვლილია, თავდაპირველი კაპიტელებიდან დატოვებულია მარცხნიდან მეოთხე კაპიტ ლი. ფასადის ცენტრ. ნაწილი XV-XVI სს. მთლიანად აღუდგენიათ, XIX ს-ში კი — ნაწილობრივ. ფასადი დამუშავებულია დეკორატ. სამთაღედების სისტემით. ცენტრ თაღში მოთავსებულია სადასაპირიანი დიდი სარკმელი და ვარდული, რ-იც საერთო ხაზებშია წარმოდგენილი. ფასადის დეკორატ. ელემენტებიდან უცვლელადაა მოღწეული ვარდულის ცენტრში მდებარე ორნამენტული კოპი და მარცხ. სამთაღედის შუაში მოთავსებული ფართო ორნამენტული არშიით შემკული მრგვალი სარკმელი. შესასვლელი დავიწროებულია. ცალფერდა სახურავის ზემოთ, ალმ-ით თაღედია. დას. თაღედი ადრევეა აღდგენილი. ლავგარდნები მთელ ფასადზე განახლებულია.

დას. ფასადი მთლიანად აღდგენილია (გუმბათის გადმოვარდნისას ფასადი მთლიანად გადმოქცეულა). ფასადი, სავარაუდოა, თაღედით იყო დამუშავებული. მისი დღევანდელი სახე შეკოწიწებულია ორი შეკეთების დროს ჩასმული ძველი და ახალი ქვებით. ამჟამად ამ ფასადის მორთულობის მთავარი ელემენტია შეწყვილებული სარკმლები. ჯვრის ქვედა მკლავის ორივე მხარეს სარკმლების მოჩარჩოება შედგენილია

214(ა). ალმ. ფასადი, რელიეფი – ფასკუნჯი





214(ა). აღმ. ფასადი, დეკორატიული ჯვარი



214(ა). აღმ. ფასადი, დეკორატიული რომბები

ძე. ორნამენტიან ქვებში ახლის ჩართვით. კარს ზემოთ შეიდსტრიქონიანი ასომთ. წარწერაა: „ქ ხატო ღმრთაებისაო ადიდე შენ მიერ დამყარებული ძლიერი და უძლეველი ღმრთივ გვირგვინოსანი ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთ მეფე გიორგი მე იოანე სამთავნელმან მეფობისა მათისამან აღვაშენე კარიბჭე ესე სალოცველად მეფობისა მათისა (ინ)დიქტიონსა მეფობისა მათისასა იბ ქორონიკონი იყო ტპჱ". წარწერის მიხედვით, 1168 წ. იოანე სამთავნელ ეპისკოპოსს ტაძრისათვის მიუშენებია კარიბჭე. ამ კარიბჭეს ჩვენამდე არ მოუღწევია. მარცხ. სარკმლის ზემოთ ორ ფილაზე ასეთი წარწერაა: „პოი დიდისა ამილახორისა თანმეცხედრესა მეფეთ მეფისა ასულისა მეორედ აღმაშენებელსა გაიანეს შეუნდვნეს ღმერთმან ამინ". ეს წარწერა XV ს. 70-იან წლებს განეკუთვნება.

ამავე სარკმლის ქვემოთ წარწერაა: „წ ხატო ღმრთაებისაო მეოხ ექმენ მეორედა აღმშენებლისა შვილისა სიაოშისა ამინ უფალო ღმერთო". წარწერა შესრულებულია XV ს. ბოლოს ან მომდევნო ს-ის დასაწყისში. ამავე ფასადზე, პორტალის თავზე აყვავებული ჯვრის რელიეფია.

ტაძრის დას. ფასადზე ლავგარდნები აღდგენილია ძველის მიბაძვით.

ტაძრის მკლავების ფრონტონების კეხზე დადგმულია ქვის მცირე ზომის გუმბათოვანი ეკლესიის მოდელები. დიდი ტაძრის გუმბათი გადახურულია ქვის ლორფინებით, ხოლო მკლავების ორფერდა და მკლავებს შორის მოთავსებული სათავსების ერთფერდა სახურავები — თუნუქით. დას. პორტალი მთლიანად ახალია (XIX ს.).

(გ) გ ა ლ ა ვ ა ნ ი გეგმით მრავალგვერდაა (200 X 70 მ, კედლების სიმ. 3-5 მ), თარიღდება XVII ს. II ნახ-ით და XVIII ს. I მესამედით. ნაგებია რიყის ქვით, გამოყენებულია აგურიც. კედელი ორიარუსიანია და ქონგურებით მთავრდება. ქვედა იარუსი 3-4 მ სიმაღლეზე ყრუა. ქვის საბრძოლო ბილიკი მხოლოდ სამხრ-ითაა. ბილიკის გასწვრივ ცალმაგი და ორმაგი სათოფურებია. გალავანს ორი ჭ ი შ კ ა რ ი ჰქონია: ერთი — დას-ით (მოგვიანებით ამოუშენებიათ), მეორე — ჩრდ-ით, სამრეკლოს ქვედა სართულში. გალავნის კედელში, ჩრდ.-აღმ-ით და ჩრდ.-დას-ით, ორი კოშკია ჩართული. ჩრდ.-აღმ-ის ცილინდრული კ ო შ კ ი კონსტრუქციულად არ არის დაკავშირებული გალავანთან, მაგრამ მისი თანადროულია. პირველი სართული ყრუკედლებიანია. შესასვლელი მეორე სართულზეა, ეზოს მხრიდან. მეორე და მესამე სართულის კედლებში სათოფურები და სამეურნეო დანიშნულების ნიშებია. მეოთხე სართულის მცირე ნაწილია გადარჩე-



214(დ). ჩრდ. ფასადი

ნილი. სავარაუდოა, რომ ეს იყო ბანი, რ-ის კედლებში დატანებული იყო სათავდაცვო ელემენტები. ჩრდ.-დას-ით დგას მცირე სამეთვალყურეო კოშკი (შიდა დიამ. 1 მ-მდეა).

სამთავისის დიდი ტაძრის ხუროთმოძღვრება გამოირჩევა არა მარტო მაღალი მხატვრული ღირსებებით (მასების, ცალკეული ფასადებისა და შიდა სივრცის პროპორციულ შეფარდებათა ჰარმონიულობა, მორთულობის ვირტუოზული შესრულება და ა. შ.), არამედ ისეთი ახლებური გადაწყვეტით, როგორიცაა გეგმის გამარტივება, ფასადების დეკორატ სისტემის სრულყოფა და სხე., რაც საფუძვლად დაედო განვით. ფეოდ. ხანის ქართ. მონუმ. არქიტექტურის შემდგომ განვითარებას.

(დ) ეპისკოპოსის პალატი დგას დიდი ტაძრის ჩრდ.-აღმ-ით, ჩართულია გალავანში. თარიღდება: პირველი ფენა — განვით. ფეოდ. ხანით, მეორე — XVIII -ით შენობა ორსართულიანია (8,4X15,2 მ), ნაგებია რიყის დიდი ქვებით და ნაწილობრივ აგურით. ძლიერ დაზიანებულია. ჩანგრეულია ხის სართულშუა გადახურვა; შედარებით კარგადაა შემონახული ჩრდ. და აღმ. კედლები. პირველი სართული რამდენიმე ნაწილისგან შედგება. შესასვლელი სამხრ-ითაა, ეზოს მხარეს. ოთახების კედლებში ნიშები და ბუხარია ჩატანებული. პირველი სართულის ჩრდ. კედლის დას. მხარეს, ქვედა ნაწილში, ჩაშენებულია ქვა მხედრ. წარწერით (დაზიანებულია, არ იკითხება). ამავე კედელზე მიშენებულია ნახევარწრიული კონტრფორსი. პალატის მეორე სართული ძვ. კედლებზეა დაშენებული XVIII ს-ში. აქ კედლებში იატაკიდან ჭერამდე დიდი სარკმლები ყოფილა გაჭრილი (ამჟამად ამოქოლილია). მეორე სართულის ზემოთ პალატს შემოვლებული ჰქონია 2 მ სიმაღლის პარაპეტი, რ-იც საბრძოლო დანიშნულების ქონგურებით მთავრდებოდა. პარაპეტი შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. და აღმ. მხარეს. მის კედლებში დატანებულია სათოფურები და ნიშები.

214(დ). გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, I სართულის გეგმა



(ე) მცირე ეკლესია დგას დიდი ტაძრის სამხრ-ით, გალავნის შუა წელზე. მისი სამხრ. კედელი გალავანს ეკვრის. ეკლ. დარბაზულია (5,8X X3,2 მ), ნაგებია რიყისა და თლილი ქვით. კედლის წყობაში საშენ მასალად გამოყენებულია ჩუქურთმის ოთხი ფრაგმენტი. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია. გარეთა ხიპი ქვის პერანგი თითქმის სრულიად ჩამოცვენილია, მთლიანად ჩამონგრეულია ცილინდრული კამარა, ძლიერ დაზიანებულია ეკლესიის ჩრდ. და აღმ. კედლებიც. ეკლესია 1,5 მ სიმაღლემდე მიწითა და ღორღითაა ამოვსებული. შესასვლელი ჩრდ-დან ყოფილა (ჩამონგრეულია). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია. მცირე ზომის სარკმლებია სამხრ. და დას. კედლებში. სამხრ. სარკმელს გალავნის კედელი ფარავს.

(ვ) სამრეკლო დგას ტაძრის ჩრდ-ით, გალავნის შუა წელზე. იგი სამსართულიანი ნაგებობაა (5,7X X7,3 მ). თარიღდება XVIII ს-ის I ნახ-ით. ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. შესასვლელი მეორე სართულის აღმ. კედელშია. პირველი სართული მაღალი და განიერი თაღოვანი კარიბჭეა. მის აღმ. კედელზე მიშენებულია მეორე სართულზე ასასვლელი აგურის ათსაფეხურიანი კიბე. ინტერიერი რვაწახნაგოვანია, ჭერი — ნახევარსფერული. კედლებში ღრმა ნიშები და ბუხარია. ჩრდ. კედელში გაჭრილი კარი სამრეკლოს მასზე მიშენებულ გრძელ სათავდაცვო ნაგებობასთან აკავშირებს. დას. კედელში მესამე სართულზე ასასვლელი სპირალური კიბეა დატანებული. მესამე სართული გეგმით წრიული ფანჩატურია. იგი შვიდი შეისრული თაღით სიმეტრიულადაა გახსნილი.

214(ვ). ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ





214(ე) სართულების გეგმები

გადახურულია სფერული კამარით და აგურის მაღალი შვიდწახნაგოვანი სახურავი აქვს.

ბიბლ.: 35; 103ა:7-25; 209; 302:15; 328; 373. ანდღ. ნ., დ. ფ.

## სამოჭალოს წმ. გიორგის ეკლესია.

იხ. რ კ ო ნ ი.

## სასირეთი

(ყარაღაჯის სოფსაბჭო)

214, ა. სასირეთი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. თეძმის ხეობაში, კასპიდან 18 კმ-ზე, მიჩნეულია (ნ. ბერძენიშვილი), რომ სახელწოდება სასირეთი ნაწარმოები უნდა იყოს სირთა (ჩიტთა) გორიდან (მსგავსად ჩხიკვთა, ლომთა, მელთა გორებისა) და განეკუთვნება იმ ეპოქას, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიქმნა გორასამოსახლოები. ს-ზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზა, რ-იც მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირს მიუყვებოდა ხიდისთავ-სასირეთ-ნიჩბის-ძეგვის გავლით.

ქართ. ისტ. წყაროებში ს. მოიხსენიება XI ს-ის ამბებთან დაკავშირებით — კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ლიპარიტის ძემ 1047 წ. (ა) ს ა ს ი რ ე თ ი ს ჭ ა ლ ა შ ი მრავალრიცხოვანი ლაშქრით დაამარცხა საქართველოს მეფე ბაგრატ IV. ამ ბრძოლაში ბაგრატ IV-ის ლაშქარში ვარიაგებიც (ვარანგები) იბრძოდნენ.

ბიბლ.: 44ა:27-28; 87:147; 168ა:198. ქ. ქ.

215. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემო უბანში. თარიღდება XVI-XVII სს-ით კოშკი ცილინდრულია (დიამ. 9,2 მ), ნაგებია რიყის ქვით შესასვლელი მეორე სართულზე აქვს. კედელში დატანებული კიბე პირველ სართულზე ჩადის. ამ სართულზე ოთხი ნიში და ოთხი ვიწრო სარკმელია. სართულშუა გადახურვა გუმბათოვანია. მეორე სართულზე სათოფურები გადაკეთებულია საკმაოდ დიდი ზომის ოდნავ შეისრულთაღიან სარკმლებად. კარის პირდაპირ ბუხარია. კედელში დატანებულია მესამე სართულზე ასასვლელი ქვის კიბე. გ. ქ.

216. ნამოსახლარი გორა, ჭ ო ტ ი ა გ ო რ ა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის საშ. სკოლის დას-ით, 100 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანით. გორის სამხრ. ფერდობი გაუჭრიათ სკოლის სასროლეთისათვის. ჭრილში ჩანს რამდენიმე კულტ. ფენა (ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ. და I ათასწლ. შუა ხანები). გორაზე და ჭრილში უხვად იპოვება თიხის ჭურჭლის ნატეხები. არქეოლოგიური გათხრები დაიწყო 1984 წ. კაე-მ (ხელმძღვ. გ. ცქიტიშვილი). ცქ. გ.

217. სასირეთის განძი, არქეოლ., ისტ. ძ. აღმოჩნდა 1930 წ წმ. გიორგის ეკლესიასთან, სოფლის ცენტრში მდებარე ძვ. სასაფლაოზე, ერთ-ერთი საფლავის გათხრისას. თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ით. განძს შეადგენდა ბრინჯაოს ნივთები: 1 ც კოლხური, 3 ც ცენტრ. ამიერკავ. და 2 ც ბრტყელი ცული, 2 ც ფოთლისებრი ფართოქუდიანი (ტარი არ შემორჩა), 2 ც ჩარჩოიანი შედგენილტარიანი და 2 ც სხვადასხვა ტიპის სატევარი, 4 ც ლაგამი კაუჭებიანი საყბეურებით, 1 ც სატეხი, ჭვირულტანიანი ფრინველის ქანდაკება, ბრინჯაოს სამფეხა ჭურჭელი ფრინველის ქანდაკებით დაბოლოებული სახურავით და ტანზე და სახურავზე ზენური ხვიების სარტყლებით. ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

1982 წ. იმავე სასაფლაოზე გაითხარა ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ი, რ-იც თარიღდება ძვ. წ. IV-III სს-ით. სამარხში აღმოჩნდა მოოქროვილი ვერცხლის მცენარეული ორნამენტით შემკული დიდი ფირფიტა-დისკო და ვერცხლის საკისრე რგოლი. ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში.

ბიბლ.: 5; 224; 391. რ. ა.

218. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, ძვ. სასაფლაოზე. თარიღდება XIX ს. II ნახ-ით. ეკლ. დარბაზულია (14,5X X8,5 მ), ნაგებია რიყის ქვით, გამოყენებულია აგურიც. ეკლესიას ორი თაღოვანი შესასვლელი აქვს — სამხრ-ით და დას-ით. ეკლესიის თანადროული, ხის კონსტრუქციების საკურთხევლის ბაქანი წინწამოწეული არდაბაგით ერთი საფეხურით შემაღლებულია. აფსიდის ღერძზე ფართო თაღოვანი სარკმელია, ჩრდ-ით, აფსიდის მხარეთან, სხვადასხვა ზომის ორი სწორკუთხა ნიშია. თითო ფართო თაღოვანი სარკმელია ჩრდ. და დას. კედლებში, ორი — სამხრ-ისაში. ეკლ. გადახურულია ხის ცილინდრული კამარით, რ-იც უშუალოდ კედლებს ეყრდნობა. დას. კედელთან, მთელ სიგანეზე, მოწყობილია ხის პატრონიკე, რ-ის კიბე სამხრ.-დას. კუთხეშია. ინტერიერი შელესილია და შეღებილია ცისფრად. ეკლესიაში დაკრძალულია შერვაშიძეების რამდენიმე თაობა (სავარაუდოა, ეკლ. მათი ს ა ძ ვ ა ლ ე იყო). ზ. პ.

218. გეგმა



## საქადაგიანო

(ალაიანის სოფსაბჭო)

219. წმ. დემეტრეს ეკლესია, არქიტ., ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სოფლის განაპირას, მდ. ქსნის მარჯვ ნაპირზე, ქსნის ციხის პირდაპირ, ფერდობზე. სოფლის სახელწოდება წარმოდგება ქადაგიშვილების გვარიდან. ისინი ლეკიანობის დროს აქედან აყრილან და დამკვიდრებულან სოფ. ალაიანში. ასომთ. საშენ. წარწერის თანახმად ეკლ. 1498 წ. აუგიათ მონაზონ დამიანეს და მის შვილებს —



219. გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

ამბაალავერდელ (ალავერდის ეპისკოპოსის საპატიო წოდება) კვირიკეს, დიონისესა და თევდორეს.

ეკლ. დარბაზულია (8,5X5,5 *მ*), ნაგებია თლილი ქვიშაქვის მოზრდილი უსწორმასწორო ლოდებით. შესასვლელი ორი აქვს — სამხრ-დან და დას-დან. ორივე გარედან სწორკუთხაა, შიგნიდან — თაღოვანი. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია. დარბაზის გრძივი კედლები და შეისრული კამარა მარტივი ფორმის პილასტრებით და მათზე დაყრდნობილი შეისრული საბჯენი თაღით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. ჩრდ., დას. და სამხრ. კედლებში თითო სარკმელია. ინტერიერი საკმაოდ მაღალი და ხალვათია. კედლები შელესილი და მოხატულია.

აფსიდში (ა) მოხატულობა დაყოფილია სამ რეგისტრად. გამოსახულებები მთლიანად ავსებენ აფსიდის არეს. ქვედა რეგისტრის წმინდანთა გამოსახულებები იატაკის დონემდე აღწევს. კონქში გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით, რ-საც თაყვანს სცემს ორი მთავარანგელოზი. მეორე რეგისტრში თორმეტი მოციქულია. თითოეული სწორკუთხა ჩარჩოშია მოქცეული. ქვემოთ გამოსახული არიან ეკლესიის მამები. წმინდანთა გამოსახულებებს თაღნარი აქვს შემოვლებული. სატრაპეზო ქვის თავზე გაირჩევა მაცხოვრის შარავანდი. ქვემოთ, ქვის ორივე მხარეს დატოვებული მცირე მონაკვეთები შემკულია პრიმიტიული გეომეტრიული ორნამენტით (ტეხილი ხაზებით). საკურთხევლის სარკმლის წირთხლებზე გამოსახულია ორი წმინდანი. სამხრ. მხარეს მოთავსებული წმინდანის (წმ. დავითი) შარავანდზე ასომთ. წარწერაა. დარბაზის მოხატ. უფრო მეტადაა დაზიანებული. კამარის აღმ. ნაწილში გაირჩევა მაცხოვარი და საყდარნი. ქვემოთ, ჩრდ. კედლის ამავე მონაკვეთზე დარჩენილია ცხენზე მჯდომი მეომრის ფრაგმენტი. ფიგურებს თან ახლავს დაზიანებული ასომთ. წარწერები. მოხატულობის შესრულების მანერა სქემატურია. წმინდანთა ტანსაცმელი დამუშავებულია უხეში შავი და თეთრი ხაზებით. სახეების მოყვითალო-ყავისფერი სარჩული დაფარულია სქელ ფენად დატანილ თეთრად გაღიაფერებით, რ-განაც მკვეთრად გამოიყოფა მუქი ჩრდილის ვიწრო ზოლი. მოხატულობის კოლორიტში გაბატონებულია მღვრიე, მუქი ფერები (მონაცრისფრო-თეთრი, ყვითელი, ლურჯი, შავი, მონაცრისფრო-ცისფერი).

აღმ. და დას. ფასადები ზევითკენ საგრძნობლად შევიწროებულია. ამის გამო შენობა უფრო მაღალი და აზიდული ჩანს. აღმ. ფასადზე სარკმლის ზემოთ ჩასმულია ოთხკუთხა ქვა (0,65X0,45 *მ*) ხსენებული ასომთ. წარწერით. ნაგებობას აქვს ერთადერთი სამკაული — მწვანედ მოჭიქული მოზრდილი რიყის ქვა.

ეკლესიისთვის მოგვიანებით დას-დან მიუშენებიათ სათავსი (5,04X X5,1 *მ*), რ-იც ნაგებია მცირე ზომის ქვებით, გამოყენებულია აგურიც. თავდაპირველად მინაშენი ოთხივე მხრიდან ოდნავ შეისრული ფართო თაღებით გახსნილი კარიბჭე ყოფილა; შემდეგში ჩრდ-ით და დას-ით თაღები ამოუშენებიათ. კარიბჭე დასრულებულია შეისრული გუმბათით. კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა განხორციელებულია აგურის ტრომპებით. თაღებს ზემოთ კუთხოვანი ჩარჩოა, რაც თავისებურ დეკორატ. მორთულობას წარმოადგენს. კარიბჭის აშენების დროს ეკლესია შეუკეთებიათ და მისთვის აგურის ლავგარდანი შემოუვლიათ. *დ. ფ.*,
*დვ. თ.*, *მ. გ.*

## სვიმეონ მესვეტის სავანე,

იხ. რკონი, სვიმეონ მესვეტის სავანე.

## სხერტის ჭალა

220. **სხერტის ჭალა**, ისტ. ძ. 1609 წ. ივლისში ქართლში მოულოდნელად შემოიჭრა ოსმალთა მრავალათასიანი არმია. მათ შორის იყო ორი ათასამდე ყირიმელი თათარი. მტერმა გამოვლო ჯავახეთი, თრიალეთი, მანგლისს მიადგა და დაარბია მოსახლეობა. ამ დროს ქართლის მეფე ლუარსაბი მცირე ამალით თავის საზაფხულო რეზიდენციაში, ცხირეთში იმყოფებოდა. მტერს მეფის ტყვედ ჩაგდება ჰქონდა მიზნად. სოფ. კველთაში ოსმალებმა მღვდელი თევდორე შეიპყრეს და მეგზურობა უბრძანეს. მღვდელმა მტერს გზა აუბნია, დიდხანს ატარა და საკმაოდ დააცილა ცხირეთს. გაწბილებულმა ოსმალებმა მღვდელი თევდორე აწამეს და თავი მოჰკვეთეს. ცხირეთში მეფეს ახლდნენ გიორგი სააკაძე და ზაზა ციციშვილი. გიორგი სააკაძის გეგმის თანახმად, მეფე ცხირეთში გამაგრდა. გიორგი სააკაძემ შიკრიკები აფრინა მუხრანბატონთან, ამილახვართან, ერისთავთან. მახლობელ სოფლებში 400 კაცი შეკრიბა, თვითონ ჩაუდგა მათ სათავეში და ზაზა ციციშვილთან ერთად ეკვეთა მტრის მოწინავე რაზმებს. ბრძოლა მოხდა სხერტის ჭალაში, რ-იც მდებარეობს თეძმის ხეობაში, სოფ. ნიაბის ბოლოს. ამ უთანასწორო ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს.

*ბიბლ.:* 71ბ:280-282; 220გ:35-36; 270:59-61. *აფრ. გ.*

## სხვილოს ციხე-დარბაზის კომპლექსი,

იხ. სოფ. ქვემო ჭალა, სხვილოს (ცხვილოს) ციხე-დარბაზის კომპლექსი.

## ფაშიანი

(ზემო ხანდაკის სოფსაბჭო)

221. გულისყურის საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მდ. თეძმის მარცხ. ნაპირას, შემაღლებულ ბორცვზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია. ამჟამად დანგრეულია. ნაწილობრივ გადარჩენილია აღმ., სამხრ. და ჩრდ. კედლები. სახურავი ჩაქცეულია. *ბაქ. ო.*

222. თელეთის საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფელში, შემაღლებულ ადგილზე. თარიღდება XIII ს-ით. ეკლ. დარბაზულია (3,3X2,3 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. დაზიანებულია. შესასვლელი დას-დანაა. აფსიდის ღერძზე სარკმელია, გვერდებზე ნიშები. ეკლ. შიგნიდან შელესილია გაჯით. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. *ბაქ. ო.*

## ქვათახევი

223. ქვათახევის კომპლექსი, არქიტ., ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. მდებარეობს კავთურის ხეობაში, სოფ. წინარეხიდან 5 *კმ*-ზე. თარიღდება XII-XIII სს. მიჯნით. ანსამბლში შედის: ეკლესია, გალავანი, კოშკი, სატრაპეზო, სამრეკლო, საცხოვრ. სენაკები.

თავდაპირველად ქვათახევში დედათა მონასტერი ყოფილა. შემდეგ იგი მამათა მონასტრად გადაუკეთებიათ. 1400 წ. გაზაფხულზე მეექვსედ შემოსევის დროს თემურლენგმა დაარბია ქვათახევი. დამპყრობლებმა ეკლესიაში შეამწყვდიეს „მუნ მყოფნი კაცნი, მამანი და დედანი, მღვდელნი და დიაკონნი და მონაზონნი, ცეცხლი შეუკეთეს და გამოსწვეს შიგ". ხანძრის დროს დაზიანდა მოხატულობა. მონასტერი ძალიან მდიდარი ყოფილა. 1601 წ. სიმონ მეფის თურქთა ტყვეობიდან გამოსასყიდად მონასტერს ოქროთი და ვერცხლით 70 000 ლევი გადაუხდია.






223. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან. გეგმა: 1. გალავანი, 2. ეკლესია, 3. ჭიშკარი, 4. კოშკი, 5. სენაკები, 6. სამრეკლო

1854-74 წწ. მონასტერი სამეცნ.-საგანმან. კერას წარმოადგენდა. ამ დროს ქვათახევის არქიმანდრიტი იყო კულტ. თვალსაჩინო მოღვაწე, მთარგმნელი, მწერალი და კალიგრაფი — ტარასი ალექსი-მესხიშვილი. 1854 წ. იოანე თარხან-მოურავმა ქვათახევის ეკლ. კაპიტალურად შეაკეთებინა (ეკლესიას შეუნარჩუნეს პირვანდელი ზომები, პროპორციები და ფორმები). 1854-74 წწ. ეკლესიის გარშემო შეიქმნა „სიმრავლე ახალთა შენობათა“: სატრაპეზო, სამრეკლო, ბერების საცხოვრ. სენაკები.

1970-75 წწ. სამონასტრო ანსამბლზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (ხელმძღ. ვ. ცინცაძე). შეცვალეს გუმბათის გადახურვა, აღადგინეს დას. კარიბჭე.

(ა) ქ-ის დომინანტს წარმოადგენს ჯვარგუმბათოვანი **ეკლესია** (20,7X13,5 მ), რ-იც ორსაფეხურიან ცოკოლზე დგას. ეკლესიის ფასადები მოპირკეთებულია კარგად გათლილი კვადრებით, ინტერიერის კედლები ნაგებია ნატეხი ქვით, პილონებზე, პილასტრებსა და თაღებზე გამოყენებულია კარგად გათლილი ქვის კვადრები.

ეკლესიას ორი კარიბჭიანი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით და დას-ით. ეკლესიის თანადროული სამხრ-ის კარიბჭე ოთხ სვეტზე დგას, გადახურულია სხივისებრი კამარით და დიდი ღია თაღით უკავშირდება ეკლესიას. ეს კარიბჭე ყველაზე მეტად იყო დაზიანებული (აღდგენილია). დას. კარიბჭე ეკლესიისათვის XVII ს. II ნახ-ში მიუშენებიათ. აგებულია წინამძღვარ ნიკოლოზ ჩხეიძის მიერ. ისიც ოთხ სვეტზე დგას და გადახურულია კამარით. ეკლესიის შიდა სივრცეს ოთხი მკლავი და მათ გადაკვეთაზე აღმართული გუმბათი ქმნის. კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა ხდება აფრებით. გუმბათის ყელი ნახევარსფეროთი გადახურული მაღალი ცილინდრია. აღმ-ისა და დას-ის მკლავები სამხრ-ისა და ჩრდ-ისაზე გრძელია. მკლავები გადახურულია კამარებით. დას. მკლავის გვერდებზე დაბალი ნავებია, ხოლო აფსიდის ორივე მხარეს ცილინდრული კამარებით გადახურული, აფსიდით დასრულებული მოგრძო სათავსები — სადიაკვნე და სამკვეთლო. ისინი საკურთხეველს ბემის არეში უერთდებიან. ჯვრის ყოველ მკლავში ორი მაღალი და ვიწრო, ხოლო მათ ზემოთ — ერთი მცირე წრიული სარკმელია. სამი სარკმელია ეკლესიის აფსიდშიც. სამკვეთლოსა და სადიაკვნეში თითო პატარა სარკმელია, გუმბათის ყელში — თორმეტი. ინტერიერში კედლების თავდაპირველი შელესილობისა და მოხატულობიდან თითქმის არაფერია შემორჩენილი. მოგვიანებით კედლები ხელმეორედ შეულესავთ.

ფასადების მორთულობის ძირითადი ელემენტია შეწყვილებული სარკმლების მოჩარჩოება და მათ შუა აღმართული ჯვარი. აღმ-ის ფასადზე შუა სარკმლის სწორკუთხა მოჩარჩოების ლილვები ქვემოთ იხსნება, გვერდებზე ქმნის რომბებს, გრძელდება ქვევით და ცოკოლს ეყრდნობა. სარკმელი რომბებიანად კვარცხლბეკია ფასადის ზედა მონაკვეთზე გამოსახული დიდი ჯვრისათვის. ამ კომპოზიციის გვერდებზე მაღალი სამკუთხა ნიშებია, რ-ებსაც შემოვლებული აქვთ



223(ა). აღმ. ფასადი

შეწყვილებული ლილვები. ლილვებით მიღებული პილასტრები ბაზისებს ეყრდნობა და მთავრდება მოჩუქურთმებულბურთულებიანი კაპიტელით. ნიშების თაღებში ოთხ-ოთხი ფესტონია, თაღების ზემოთ კი სამ-სამი კოპი. ფასადის განაპირა მონაკვეთებზე ორ-ორი მოჩუქურთმებული სარკმელია, ზედა მცირე და



223(ა). სამხრ. ფასადი

წრიულია, ქვედა კი — მაღალი და დიდი.

დას. ფასადზე თავდაპირველი მორთულობიდან შემორჩენილია მაღლა, ცენტრში, შეწყვილებული სარკმლები, ხოლო მათ ზემოთ, ფრონტონში — წყვილი ჯვარი. მარყუჟებიანი ლილვებით შემკული თითო მცირე წრიული სარკმელი ფასადის ქვედა არეებშია. ამ ფასადზე მიდგმული კარიბჭე გვიანდელია, შესასვლელი ტიმპანითურთ კი ძველი.

სამხრ. ფასადი ადრინდ. პერიოდს მიეკუთვნება. მორთულობის ცენტრში აქაც მაღალი შეწყვილებული სარკმლებია. სარკმელთა მოჩარჩოებებს შორის მოთავსებულია ჯვრის ღერო (ჯვრის ზედა ნაწილი აღდგენილია). ფასადიდან წინ გამოწეულია დაბალი და გრძელი კარიბჭე.

ჩრდ-ის ფასადი ორიგინალურია. მის ცენტრ. ნაწილში ლილვოვანი თაღი და მდიდრულად მოჩარჩოებული შეწყვილებული სარკმლებია. დანარჩენი ფასადებისგან განსხვავებით, ამ ფასადის სარკმლებს შორის ჯვრის მკლავი არ არის ჩაყოლებული. გრეხილი ლილვები ფასადზე საფეხურებს ქმნის. ლილვები, პილასტრების კაპიტელები და ბაზისები მთლიანად მოჩუქურთმებულია. სარკმლებს შემოვლებული აქვს წვრილ გრეხილებში ჩამჯდარი ჩუქურთმიანი ფართო არშია.

ეკლესიის გუმბათის ყელი მორთულია უწყვეტი დეკორატ. თაღედით. თითოეულ თაღში წვრილი და მაღალი სარკმელია. თაღებს შუა კოპებია. გუმბათს შემოვლებული აქვს მოჩუქურთმებული მაღალი ფრიზი და ორმაგი ლავგარდანი.

ეკლესიის მოჩუქურთმებული ბატიყელა ლავგარდნისა და ლორფინის სახურავისგან ფრაგმენტებია შემორჩენილი.

სხვა ნაგებობებმა (გალავანი, კოშკი, სატრაპეზო და ბერების საცხოვრ. სენაკები) ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია.

(ბ) გალავანი (55,4X59,2 მ) რთულ რელიეფს მიჰყვება. ამიტომ მისი კედლები სხვადასხვა სიმაღლისაა (2-დან 5-6 მ-მდე). ჭიშკარი სამხრ-ითაა. დას-ით და სამხრ-ით განლაგებულია სხვადასხვა დროის ნაგებობები.

ორსართულიანი კოშკი (5,5X X8,2 მ) დგას მთავარი ტაძრის სამხრ-ით. იგი გალავანშია ჩართული. ნაგებია ნატეხი ქვით. კოშკის ორივე სართული საცხოვრებელი იყო. იგი მრავალჯერაა გადაკეთებული და პირვანდელი სახის დადგენა ძნელდება.

(გ) სამრეკლო დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე. აშენებულია 1872 წ. იგი გეგმით ხუთწახნაგოვანია. ნაგებია ქვით. ნახევარწრიული თაღები სვეტებზე გადადის. სამრეკლოს პროფილირებული ლავგარდანი აქვს. გადახურულია ქვის კონუსური სახურავით.

(დ) სატრაპეზო (6,7X10,2 მ) დგას გალავნის ჩრდ.-დას. კუთხეში. ნაგებია ნატეხი ქვით. მის დას. კედელში შემორჩენილია ორი დიდი ბუხარი (ერთი მათგანის სიგ. 3 მ-მდე აღწევს). ჩრდ. კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია.

(ე) საცხოვრებელი სენაკები გალავანზე დას-დანაა მიშენებული. თარიღდება XIX ს-ით. სენაკებს წინ საერთო დერეფანი აქვს.

თავის გეგმით, ხუროთმოძღვრული ფორმებით და ფასადთა მორთულობით ქვათახევის ტაძარი XII ს. და-



223(ა). გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ



223. ერთ-ერთი ლავგარდნის ფრაგმენტი

ხასრულისა და XIII ს. დასაწყისის ტიპური ძეგლია. ჩუქურთმათა სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით, მათი შესრულების მაღალი დონით იგი ფეოდ. ხანის ქართ. ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშია. მისი თანამედროვე და მონათესავე ძეგლებია ბეთანიისა და ფიტარეთის ტაძრები, მაღალაანთ ეკლესია და სხვ.

ბიბლ.: 35:153; 103ბ:41-75; 162; 329.
ზ. პ.

## ქვემო გომი,

იხ. სოფ. გ ო მ ი

## ქვემო რენე

(კოდისწყაროს სოფსაბჭო)

224. ნამოსახლარი გორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 2 კმ-ზე, სახნავ მიწებში. დასახლებული ყოფილა ადრინდ. რკინის ხანაში. ნ. გ-ზე იპოვება გვიანდ. ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანის ჭურჭლის ნატეხები, შემორჩენილია სამების ეკლესიის ნანგრევები.
გვ. ჯ.

## ქვემო ჭალა

(სოფსაბჭოს ცენტრი)

226. ქვემო ჭალა, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. ლეხურის ნაპირებზე, კასპიდან 13 კმ-ზე.

(ა) 1857 წ. აქ მოხდა გლეხთა გამოსვლა. გლეხებს ჯერ 400 მან. შეაწერეს გადასახადი, შემდეგ — 810. გლეხებმა უარი განაცხადეს ფულის გადახდაზე. თავადმა ამილახვარმა გლეხებთან წარმომადგენელი გაგზავნა მოსალაპარაკებლად, ხოლო თბილისის სამხედრო გუბერნატორმა გორის მაზრის უფროსს დაავალა საქმის მოგვარება. გლეხები მაინც არ დაწყნარდნენ. გამოსვლის მოთავენი დააპატიმრეს, პირუტყვი წაართვეს და გაყიდეს საჯარო ვაჭრობით.

(ბ) 1881 წ. 1 მარტს ინტელიგენციის თაოსნობით საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სოფლის ერთკლასიანი ს კ ო ლ ა. სკოლაში თავდაპირველად 15 მოსწავლე იყო. პირველი მასწავლებელი იყო გორის საოსტატო სემინარიის ყოფილი შეგირდი მ. რცხილაძე. 1884-96 წწ. ამ სკოლაში მოღვაწეობდა ნიკო ლეონიძე (გიორგი ლეონიძის მამა). მისი მეცადინეობით 1887 წ. მარტში სკოლას მეორე კლასიც დაემატა. მანვე დააარსა სკოლაში სცენის მოყვარულთა დასი. 1885 წ. 4 იანვ. სკოლის სცენაზე დაიდგა კ. აბაშიძის ვოდევილი „ცოლი თუ გინდა, ეგ არის".
კ. კ., ჩ. თ.



223. ხედი დას-დან

227. ამილახვართა ციხე-დარბაზები, არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს სოფელში, მდ. ლეხურის მარცხ. ნაპირზე.

აქ სამი კომპლექსია: მთავარი ციხე-დარბაზის (გალავანი კოშკებით, ეკლესია, კოშკი-სამრეკლო, სასახლე), მეორე ციხე-დარბაზისა (გალავანი კოშკებით, სასახლის ნანგრევები) და ამირინდო ამილახვარის ციხე-დარბაზის. მთავარი ციხე-დარბაზის ჩრდ.-აღმ-ით აბანოცაა. ნაგებობები თარიღდება XVII-XVIII სს-ით. ნაშენია ძირითადად რიყის ქვით, გამოყენებულია აგური (განსაკუთრებით ინტერიერებში) და თლილი ქვაც (მთავარი ციხე-დარბაზის ეკლესია, სამრეკლო და სხვ.).

ა. ც.-დ-სა და მათთან დაკავშირებულ ისტ. მოვლენებს არაერთხელ იხსენიებენ XVIII ს. ისტორიკოსები (სეხნია ჩხეიძე, ვახუშტი ბაგრატიონი, პაპუნა ორბელიანი და სხვ.). XVIII ს-ში ხელისუფლების გაძლიერებისა და ტერიტორიების შემატებასთან დაკავშირებით ქართლის მსხვილ ფეოდალთა ამილახვართა რეზიდენციამ სხვილოდან ბარში, ქვემო ჭალაში გადმოინაცვლა. ამავე საუკუნეში, აქ სასახლე და ციხე-სიმაგრე მდგარა. დასტურდება, რომ საუკუნის 40-იან წლებში გივი ამილახვარს ორი ციხე-დარბაზი ჰქონია ქვემო ჭალაში. ციხე-დარბაზებს დიდი როლი ენიჭებოდა ლეკებისა და ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლებში. 1728 წ. „მოადგნენ ლეკნი ჭალას, მოკლეს ამილახორის რევაზის შვილი ერასტი და შემუსრეს ჭალა... ათასი ტყვე წაასხეს და წავიდნენ" (ვახუშტი ბაგრატიონი). 1742 წ. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა სპასალარმა გივი ამილახვარმა (1689-1754 წწ.) ზემო ქართლის ფეოდალთა აჯანყება მოამზადა სპარსელების წინააღმდეგ. ყიზილბაშთა ჯარი იმამყული-ხანის მეთაურობით ქვემო ჭალასთან დაბანაკდა. სხვილოს ციხეში გამაგრებული ქართველთა ჯარი გივი ამილახვრის სარდლობით შეებრძოლა მტერს და უკუაქცია იგი. იმავე წელს სპარსელთა გაერთიანებულმა ჯარმა ფატალი-ხანის და ქერიმ-ხანის ხელმძღვანელობით კვლავ გამოილაშქრა ამილახვრის წინააღმდეგ. ბრძოლა მოხდა სხვილოს ციხის ზემოთ, მთებში. კვლავ ქართვე-

ლებმა გაიმარჯვეს. ყიზილბაშებმა მიატოვეს ბრძოლის ველი და გივი ამილახვრის ციხე-დარბაზებს შეესივნენ. ისინი ჯერ ხამთავისისაკენ გაეშურნენ, ქვემო ჭალაში მცირერიცხოვანი გარნიზონი დატოვეს. ამით ისარგებლეს ქართველებმა და თავს დაესხნენ ქვემო ჭალაში გამაგრებულ ყიზილბაშებს. მტერი უბრძოლველად გაუიქცა. XVIII ს. 40-იან წლებში, როდესაც კახეთის მეფე თეიმურაზ II გივი ამილახვრის წინააღმდეგ იბრძოდა, ქვემო ჭალის ორივე ციხე-სიმაგრე, ისე როგორც ამილახვრის სხვა ციხე-სიმაგრეები, იმდენად კარგად ყოფილა გამაგრებული, რომ შეტევის დაწყება მძიმე არტილერიის მოსვლამდე შეფერხებულა. გარეშე მტრების შემოსევებმა ქვემო ჭალის კომპლექსი ძლიერ დააზიანა. XVIII ს. 30-იან წლებში აშენებული ნაგებობებიდან მთავარი კომპლექსის ეკლესიის, სამრეკლოსა და აბანოს გარდა, აქ არაფერი დარჩა. XIX ს. დასაწყისში კომპლექსები ბევრჯერ გადაკეთდა.

(ა) მ თ ა ვ ა რ ი ც ი ხ ე-დ ა რ ბ ა ზ ი ს ეზო შემოზღუდულია მაღალი (ა, 1) გ ა ლ ა ვ ნ ი თ (33,2X73,6 *მ*), ეზო კედლით ორ არათანაბარ ნაწილად არის გაყოფილი. სამხრ. მონაკვეთი დიდია (2000 *კვ მ*). აქ მტრის შემოსევების დროს თავს აფარებდა მოსახლეობა. ჩრდ. ნაწილი ციტადელია, დას. ნაწილში სასახლის ნანგრევებია. კომპლექსის მშენებლობა სამ ეტაპად განხორციელებულა; თავდაპირველად, XVII ს. 70-80-იან წლებში აუგიათ ეკლ., შემდგომში დას-დან მისთვის სამრეკლო მიუშენებიათ, უფრო მოგვიანებით, XVIII ს. შუა ხანებში, აუშენებიათ ციხე-დარბაზი, ხოლო სამრეკლო კოშკად გადაუკეთებიათ.

(ა, 2) ე კ ლ ე ს ი ა ჯ ვ ა რ პ ა ტ ი ო ს ა ნ ი დარბაზულია (13,6X7,5 *მ*). აღმ. ფასადზე შემორჩენილი ძალზე დაზიანებული წარწერის მიხედვით იგი გივი ამილახვრის დაკვეთით აუგია სახლთუხუცესს პაპუა ქარუმიძეს XVII ს. 70-80-იან წლებში. ეკლესიაში შესასვლელი ამჟამად სამხრ-დან და ჩრდ-დანაა (გაჭრილია XIX ს-ში). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, მის ორივე მხარეს — თითო სწორკუთხა ნიში. თითო სარკმელია ჩრდ. და სამხრ. კედლებში. დარბაზი გადახურულია ორ საბჯენ თაღზე დაყრდნობილი კამარით. თაღები, კამარა და კონქი შეისრული ფორმისაა.

(ა, 3) ეკლესიაში შემორჩენილი მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები XVII ს. განეკუთვნება. საკურთხევლის კონქში გამოსახულია *ვედრება*, მეორე რეგისტრში თაღნარით მოჩარჩოებული მოციქულთა ფიგურებია, მესამე რეგისტრში — ეკლესიის




227 გეგმა: 1. მთავარი ციხე-დარბაზი, 2. მეორე ციხე-დარბაზი, 3. ამირინდო ამილახვრის ციხე-დარბაზი

მამები გაშლილი გრაგნილით ხელში. მათ შორის, ჩრდ-ით, ნიშის თავზე გაირჩევა ექვსფრთედი. საკურთხევლის მოხატ. დასრულებულია ორნამენტის ზოლით (ფარდის იმიტაცია). დარბაზის სამხრ. კედელზე გაირჩევა მოხატულობის ხუთი რეგისტრი. ორი მათგანი კამარაშია. მოხატ. შემორჩენილია ფრაგმენტების სახით. სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთის მეორე რეგისტრში გამოსახულია *მირქმა*, მესამე რეგისტრში — *ქრისტეს დატირება*. ამავე მონაკვეთზე, თაღით მოჩარჩოებულ კედელზე, ზემოთ ეკლესიის მამების ორი წელზედა გამოსახულებაა, ქვემოთ — ცხენზე მჯდომი წმ. მეომრის ფიგურა; კედლის შუა მონაკვეთზე, პირველ რეგისტრში — *ლაზარეს აღდგინება*, ქვემოთ, კედლის თაღით მოჩარჩოებულ მონაკვეთზე — *სამნი ყრმანი სახმილსა შინა*. მის ქვემოთ მთელი ტანით გამოსახულია სამი წმინდანი, მათ შორის — კონსტანტინე და ელენე ჯვრით ხელში. კედლის დას. მონაკვეთზე პირველ რეგისტრში ასახულია *იერუსალიმს შესვლა*, მეორე რეგისტრში — *სულიწმიდის მოფენა*. სამხრ. გასასვლელის თავზე შემორჩენილია გაურკვეველი სცენის ფრაგმენტი (გაირჩევა ბავშვის თავი და მისკენ დახრილი წმინდანის კონტურები). მთელი დას. კედელი დათმობილი აქვს *განკითხვის დღის* კომპოზიციას. ეკლესიის საბჯენი თაღების სოფიტებზე, კედლის თაღების გვერდებზე მოცემულია წმინდანთა ბიუსტები მედალიონებში. პილასტრებზე გაირჩევა მთელი ტანით გამოსახული წმინდანთა ფიგურები. მოხატულობის კოლორიტს ძირითადად ქმნის მოწითალო-ყავისფერი, ღია ვარდისფერი, ოქროსფერი ოქრა. ცა მუქი ლურჯია. კომპოზიციები მინიატურული მასშტაბით ხასიათდება. წმინდანთა მოძრაობა დინამიკურია.




227(ა2,4). გეგმა: 1. ციტადელი, 2. სასახლე, 3. ეკლესია ჯვარპატიოსანი, 4. სამრეკლო, 5,6. კოშკები

ფასადებზე შემორჩენილია დეკორის ფრაგმენტები: აღმ. ფასადზე ჩუქურთმიანი ლავგარდანი, ცხენის რელიეფი, სამხრ-ისაზე მტრედის რელიეფი. ჯვარპატიოსნის ეკლ. არქიტექტურით, მხატვრობით და ფასადების დამუშავების ხასიათით ენათესავება XVII ს. II ნახ-ის ქართ. არქიტ. ნიმუშებს (ანანური, ტბისი და სხვ.).

(ა, 4) კ ო შ კ ი-ს ა მ რ ე კ ლ ო (6,1X X7,8 *მ*) ნაგებია ქვით. თავდაპირველად (XVII ს.) იგი სამსართულიანი სამრეკლო ყოფილა. ქვეყნის პოლიტ. მდგომარეობის გაუარესების გამო, XVIII ს. შუა წლებში სამრეკლო კოშკად გადაუკეთებიათ. პირველი სართული, სამი მხრივ გახსნილი ღიადი, ეკლესიის კარიბჭეს წარმოადგენდა, სამხრ-ით და ჩრდ-ით ორ-ორი შეისრული თაღია, დას-ით — ერთი, ნახევარწრიული. მეორე სართული მცველის საცხოვრებელი იყო, მესამე კი — ზარებისათვის განკუთვნილი თაღოვანი ფანჩატური (ანალოგები — თბილისის ანჩისხატისა და ანანურის სამრეკლოები). კიბის უჯრედში შესასვლელი პირველ სართულზეა, სამხრ-დან. მეორე სართულზე ორი სათავსია: ერთი ტრომპებზე დამყარებული ნახევარწრიული კამარით გადახურული კვადრ. ოთახია, მეორე კი შედარებით მომცროა და გადახურულია ისრისებრი კამარით. კოშკად გადაკეთებისას სამრეკლოსთვის ფანჩატურის ნაცვლად აგურის ორი სართული დაუშენებიათ. სართულშუა გადახურვა აქ ხის იყო. მესამე სართული საც-



227(ა4). სამხრ. ფასადი

ხოვრებელ-საბრძოლო სათავსია, მეოთხე — მაღალი ქონგურებიანი პარაპეტით შემოსაზღვრული ბანი, სადაც ყოველ მხარეს სათოფურები, საზარბაზნეები და სალოდეებია. ყველა ოთახში ბუხარი, ნიშები, სათოფურები და რამდენიმე სარკმელია.

227(ა2,4). გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ





სამშენ. მასალისა და დეკორის ხასიათის მიხედვით ნათლად გაირჩევა ორი სამშენ. ფენა. ამის მიუხედავად სამრეკლო-კოშკის გარე სახე ერთიან შთაბეჭდილებას ტოვებს.

კ ო შ კ ე ბ ი დგას ციტადელის სამ კუთხეში: სამხრ.-აღმ-ით — სწორკუთხა, ჩრდ.-აღმ-ითა და ჩრდ.-დას-ით — ცილინდრული. სწორკუთხა კოშკისაგან მხოლოდ აღმ. კედელია შემორჩენილი. კოშკი სამსართულიანი ყოფილა: პირველი დამხმარე სართული იყო ოთხკუთხა ღრმა ნიშებითა და სათოფურებით, მეორე — საცხოვრებელი კარგად შელესილი კედლებითა და საბრძოლო ელემენტებით, მესამე — მაღალი ნახევრად მრგვალქონგურებიანი ბანი პარაპეტში დატანებული სათოფურებითა და სალოდეებით. ცილინდრული კოშკები თითქმის ერთგვარია. მხოლოდ ჩრდ.-დას. კოშკის ქვედა ორი სართული შიგნით გეგმით კვადრატულია. ორივე კოშკი სამსართულიანია. შესასვლელი პირველ სართულზეა, ეზოდან, 1 მ-ის სიმაღლეზე. კიბეები კედლებშია დატანებული. შესასვლელის პირდაპირ ისრულთაღიანი ბუხარია, ღრმა ნიშებში — სათოფურები და სარკმლები. სართულშუა გადახურვა კამაროვანია. მესამე სართული ქონგურებიანი მაღალი პარაპეტით შემოზღუდული ბანია სათოფურებითა და სალოდეებით.



227(გ). სამხრ.-დას. კოშკი, სართულების გეგმები და განაკვეთი

(ა, 5) ორსართულიანი ს ა ს ა ხ ლ ი ს ნანგრევები ციტადელის დას. ნაწილშია. შესასვლელი პირველ სართულზეა, ეზოდან. ამ სართულზე შემორჩენილია ბუხარი, ორი სარკმელი და თახჩები, მეორე სართულზე გარე კიბით ადიოდნენ. ამ სართულის დას. კედელში გაირჩევა მაღალი და ფართო სარკმლებისა და ბუხრის კვალი. ეს სათავსი კარგად ყოფილა შელესილი. ბუხარს გასდევს რთულპროფილიანი შელესილობა. სამხრ. კედელში გაჭრილია პატარა სათოფურები. სართულშუა გადახურვა არ შემორჩენილა.

(ბ) მ ე ო რ ე ც ი ხ ე-დ ა რ ბ ა ზ ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ი მდებარეობს ციტადელის ჩრდ.-აღმ-ით. ნანგრევების კვალის მიხედვით, იგი წაგრძელებული უსწორო ოთხკუთხედი ყოფილა (25,3X X57,2 მ). შემორჩენილია (ბ, 1) გ ა ლ ა ვ ნ ი ს ჩრდ. კედელზე მიდგმული ოთხკუთხა ნაგებობებისა (ალბათ სასახლისა და სხვ. სათავსების) და ცილინდრული კოშკების საძირკვლის ნაშთები. ჩრდ.-დას. კუთხის კოშკის ნაშთი არ შემორჩენილა. შედარებით უკეთესად არის შემონახული სამხრ.-აღმ. კოშკი (ამჟამად გადაკეთებულია, დას-დან ემიჯნება სააეადმყოფოს შენობას). იგი ხუთსართულიანია და კომპლექსის დომინანტს წარმოადგენს. მისი ქვედა სართულის კედლები ყრუა. შესასვლელი მეორე სართულზეა, შიდა ეზოდან. ეს სართული საცხოვრებელია, მესამე და მეოთხე — საცხოვრებელ-საბრძოლო. მეორე სართულის სამხრ. კედელში იწყება კიბე. სათავსებში ბუხრები, ნიშები, სათოფურები, სარკმლები და სალოდეებია. მეორე და მესამე სართულის გადახურვა კამაროვანია, მეოთხის — ხისა. მეოთხე სართულის სამხრ.-დას. მხარეს გაჭრილია ფართო კარი, რ-იც გადიოდა ხის ღია აივანზე (დანგრეუ-

ლია). მეხუთე სართულზე, ბანზე, შემორჩენილია სათოფურები და სალოდეები. კედლების დიდი ნაწილი მელესილია.

(გ) ამირინდო ამილახვრის ციხე-დარბაზის კომპლექსი მდებარეობს ციტადელის სამხრ.-აღმ-ით. თარიღდება XVIII ს. შუა წლებით. ციხე-დარბაზის (27,3X37,8 მ) ოთხივე კუთხეში ცილინდრული კოშკები იდგა, ციხე-დარბაზს შემოვლებული ჰქონდა ნახევარწრიული ქონგურებიანი მაღალი (გ, 1) გალავანი. ჭიშკარი გალავნის ჩრდ. კედელში იყო. ამჟამად ეზოს სამხრ. ნაწილში დგას ეკლესია, ხოლო მის ჩრდ.-აღმ. ნაწილში შემორჩენილია ნანგრევები [ სავარაუდოა, (გ, 2) სასახლის ნაშთები. ძვ. ორსართულიანი ნაგებობის კედლები ჩატანებულია ახლანდ. სკოლის შენობაში; ჩრდ.-აღმ და ჩრდ.-დას კოშკების მხოლოდ კვალი ჩანს, ხოლო სამხრ.-აღმ. კოშკის ნაწილია შემორჩენილი. იგი სამსართულიანი ყოფილა. პირველ და მესამე სართულებს შესასვლელი ცალ-ცალკე ჰქონია. მესამე სართული წარმოადგენდა პარაპეტიან ბანს, სადაც განლაგებული იყო საბრძოლო ელემენტები. ხის სართულშუა გადახურვა არ შემორჩენილა. შედარებით კარგადაა მოღწეული სამხრ.-დას-ის დიდი ხუთსართულიანი კოშკი (გარე დიამ. 8,6 მ, სიმ. 17 მ). კოშკს ერთადერთი შესასვლელი მეორე სართულზე აქვს, ეზოდან. პირველი სართული წარმოადგენს ყრუკედლებიან სარდაფს, ხოლო ზედა ოთხი საბრძოლო-საცხოვრებელი სათავსებია. მეხუთე სართული მაღალი პარაპეტით შემოზღუდული ქონგურებიანი საბრძოლო ბანია, რ-ის კედლებში (ძლიერ დაზიანებულია) სათოფურები, საზარბაზნეები და სალოდეებია დატანებული. პირველი და მეოთხე სართულების გადახურვა ხისაა, ხოლო მეორე და მესამე სართული გადახურულია აგურის შეისრული კამარით. კამარების ღერძები ურთიერთპერპენდიკულარულია. კედელში ქვის კიბეა დატანებული. მეოთხე სართულის აღმ. და დას. კედლებში გაჭრილია თაღოვანი კარები, რ-ებიც გადიოდა ხის აივნებზე (დანგრეულია). ყოველ სართულზე ბუხრები, ნიშები, სათოფურები და სარკმლებია. ბუხრის საპირეები და მეორე სართულის კამარა გაფორმებულია აგურის დეკორატ. წყობით.

(დ) ეკლესია დარბაზულია (11,3X8,1 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. ჩრდ. შესასვლელის თავზე რვასტრიქონიანი მხედრ. წარწერიდან ირკვევა, რომ ეკლ. აგებულია 1774 წ. ამირინდო ამილახვრისა და მისი მეუღლის ელენე ჩოლოყაშვილის დაკვეთით. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია. შესასვლელი დას-დან და ჩრდ-დანაა.



227(დ). გეგმა

თითო სარკმელია ეკლესიის დას. და ჩრდ. კედლებში.

(ე) ანდუყაფარ ამილახვრის აბანო მდებარეობს მთავარი ციხე-დარბაზის ჩრდ.-აღმ-ით, ასიოდე მ-ზე, რუსთაველის ქუჩაზე. თარიღდება XVII ს-ით. ამჟამად სანახევროდ მიწაშია ჩამჯდარი. აუგია ანდუყაფარ ამილახვარს, რ-საც ცოლად ჰყავდა შაჰ აბასის შვილიშვილის ისახან ყორჩიბაშის ასული. აბანო აგებულია სპარსულ ყაიდაზე. მარაგდებოდა ჯანაურას წყაროს წყლით.

აბანო უსწორო მრავალგვერდა ნაგებობაა (14,2X6,3 მ), ძირითადად ნაშენია აგურით, გამოყენებულია ქვაც. შესასვლელი დას-დანაა. მოსაცდელ-გასახდელი რვაგვერდაა და გადახურულია ასეთივე მოხაზულობის ნახევარწრიული გუმბათოვანი კამარით. ამ სათავსის ორ კუთხეში ბუხრებია. მოსაცდელი გადის ვიწრო ტალანში, რ-ის მარჯვნივ და მარცხნივ





227(ე). განაკვეთი, გეგმა

ცილინდრული კამარით გადახურული მოზრდილი. სწორკუთხა სათავსებია. ტალანიდან კარი გადის ასევე შეისრული კამარით გადახურულ ვრცელ დარბაზში. მას შესასვლელიდან მარჯვ. მხარეს 1 მ სიღრმის მქლავი აქვს, მარცხნივ — 0,5 მ სიღრმისა. პირდაპირ, ღრმა მქლავში მოთავსებულია კვადრ. აუზი ოთხივე მხარეს ნახევარწრიული ჩამოსაჯდომებით. კედლიდან ორი მილი გამოდის — ცხელი და ცივი წყლისათვის. მარჯვ. მქლავში ერთი მილია. დარბაზის იატაკქვეშ მოწყობილი იყო კალორიფერები, სადაც ცხელი ჰაერი დარბაზის მარცხნივ მდებარე საცეცხლიდან მოდიოდა (ამჟამად არ არსებობს). საცეცხლის თავზე კვადრ. საქვაბე იყო, მის აღმ-ით — წყალსაცავი. წყალი კერამ. მილებით შემოდიოდა აღმ-დან. ყველა სათავსის (გარდა წყალსაცავისა) გადახურვის ცენტრში გაჭრილია სარკმლები. აბანოს ინტერიერის გაფორმებაში ეხვდებით გვიანდ. ფეოდ. ხანისათვის დამახასიათებელ დეკორატ. ელემენტებს (შეისრული თაღები, კამარები, სტალაქტიდებით გადახურვა).

ამილახვრების ციხე-დარბაზთა კომპლექსები და აბანო XVII-XVIII სს. ფეოდალთა რეზიდენციის დამახასიათებელი ნიმუშია.

*ბიბლ.:* 43;73;89:137,365; 97:119-127; 221. *ზ. პ., კ.კ.*

228. **ამილახვრის სახლი**, არქიტ., ისტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, საავტ. გზის მარცხ. მხარეს, ე. წ. გივი ამილახვრის ციხე-დარბაზის გვერდით. სახლი აშენებულია XIX ს. II ნახ-ში. ნაგებია აგურით. შენობა სამსართულიანია, აქვს სხვენი. შენობის აღმ. ფასადი შედგება სამი ნაწილისაგან. ცენტრ. ნაწილი შიგნითაა შეწეული. ცენტრ. შესასვლელში ორი ქვის სვეტია, რ-ებსაც ეყრდნობა მეორე სართულის პატარა აივანი. შესასვლელის იატაკი მოპირკეთებულია მოზაიკით. ასეთივე იატაკია პირველ სართულზეც. ხის კარი მოჩუქურთმებულია. პირველი სართულიდან მეორეზე ადის ხის ორმარშიანი, მოხარატებულრიკულებიანი კიბე. მეორე სართულზე შუშაბანდია. აქ პარკეტია დაგებული. მეორე სართულზე სულ 11 ოთახია, ზოგი გატიხრულია. ამ სართულის აივნიდან მესამე სართულის ერთ ოთახში ადის ხის კიბე (ნაწილი ძველია, ნაწილი — ახალი). მესამე სართულზე მხოლოდ ერთი ოთახია, საიდანაც კარი ღია აივანზე გადის. გვიანდ. მინაშენების კვალი განსაკუთრებით დას-ის ფასადს ემჩნევა. სარკმლები სხვადასხვა ზომისაა. ქვედა სართულზე 6 ოთახი საწყობადაა გამოყენებული. ჩრდ-ის ფასადი ყრუ და სადაა. სამხრ. ფასადის აივანი ძალზე დაზიანებულია. მესამე სართულზეც ხის აივანია. სამხრ. ფასადის გასწვრივ სამეურნეო დანიშნულების მინაშენია. შენობა გადახურულია თუნუქითა და შიფერით. გადმოცემის თანახმად აღმ. ფასადის ფილაზე ამოკვეთილი ყოფილა მხედრ. წარწერა: „მეფისა მტერსა ლახვარი, ვამტკიცებ ამილახვარი".

სახლი შეკეთებულია და ამჟამად აქ მოთავსებულია სხვადასხვა აღმ. დაწესებულება. იყენებენ საწყობადაც. *მ.ჩ. მ.*

229. **ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, თარიღდება XVIII ს-ით. დაზიანებულია: კამარა, კონქი და კედლების ნაწილი ჩამონგრეულია. ეკლ. დარბაზულია, ნაგებია რიყის ქვით. აქვს ორი შესასვლელი — დას-დან და სამხრ-დან. აღმ., სამხრ. და ჩრდ. კედლებში თითო სარკმელია. დას. კარზე წარწერაა: „ვიყიდე ვენახი ხელაური, მისგანაც ნასყიდი მიწა ოთხი დღისა. მიძაური აშ ია; დღიური სასახლედ ჩომახიძისგან. დაესახლოთ კაცი ზედ უნდა (454). მოიტანდეს, ვინც ესახლოს კოდის პური, კოკა ღვინო; ცხვარი, ქსანი, სანთელი, მისი საკმელი ვინ ამისი დეკანოზი იყოთ, ამას ნუ დაიკლებთ, ამის მადლს". წარწერაში არ ჩანს მყიდველის ვინაობა, მაგრამ ალბათ ეს რომელიმე ამილახვართაგანი უნდა იყოს. თავისთავად 454 კაცის დასახლება იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო. *ზ. პ.*

230. **კუდუხაანთ ციხე**, კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, 300 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

კოშკი (8,25X7 მ) ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. შესასვლელი პირველ სართულზეა, ჩრდ. კედლის დას. ნაწილში. ეს სართული ნახევრად ნანგრევებითაა ამოვსებული. მეორე სართულის ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში გეგმით სწორკუთხა ბუხარია. მის მარცხნივ ვიწრო სათოფურია. ასეთივე სამი სათოფურია აღმ. კედელშიც. მესამე სართულზე, დას. კედელში ორი სათოფურია. სართულშუა გადახურვები ხის კოჭებზეა გამართული. *ზ. პ.*

231. **ნასახლარი და კუდუხაანის კომპლექსი**, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მიდამოებში, ნასოფლარ კუდუხაანის ჩრდ.-დას-ით ორასიოდე მ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნასახლარზე გაირჩევა სასახლის, ციხე-კოშკისა და ეკლესიის ნაშთები.

(ა) სასახლის ნანგრევების (17,2 X11,3 მ) გარშემო, ასიოდე მ-ზე შემორჩენილია ქვით ნაგები სახლების კედლების კონტურები. სასახლეს გარს ერტყა გალავანი, რ-ის კედლების კვალიღაა შემორჩენილი.

(ბ) სასახლესთან ახლოს იდგა ციხე-კოშკი, რ-ის ზედა ნაწილი გარღვეულია, ამიტომ მას „ორკაპა ციხეს" ეძახდნენ. კოშკში ერთადერთი შესასვლელი ჩრდ-დანაა, მიწიდან 2 მ-ზე. პირველი სართულის ჩრდ. კედელში ნიშია, მეორე სართულის კედლებში — ბუხარი, სამი ნიში და ერთი სარკმელი; მესამე სართულის ორ შემორჩენილ კედელში ნიში და სარკმელია. კოშკს სათოფურები არა აქვს, რაც მოწმობს, რომ იგი XVI ს-მდე უნდა იყოს აგებული.



231(ბ). საერთო ხედი, გეგმა

(გ) ეკლესია დარბაზულია, ნაგებია რიყის ქვით. გამოყენებულია შირიმიც. შესასვლელი სამხრ-დანაა. სამხრ. კედელში ორი სარკმელია, აღმ. კედელში — ერთი. კამარა, რ-იც პილასტრებზე გადაყვანილ საბჯენ თაღს ეყრდნობოდა, ჩაქცეულია. შემორჩენილია ქვის კანკელის ფრაგმენტი. კედლებზე ჩანს (დ) მოხატულობის კვალი.

ეკლესიას სამხრ-ით აგურის კამაროვანი მინაშენი ჰქონია. შემორჩენილია დას. მონაკვეთი.

ეკლესიის სამხრ-ით მდებარე ნაგებობების სარდაფი წარმოადგენს (ე) სამარხ კამერას, რ-ის სამხრ. კედელში ჩატანებული ორნა-

მენტიანი ქვა სტელის ფრაგმენტი უნდა იყოს. ზ. პ.

232. ნასოფლარი სხვილო, ც ხ ვ ი ლ ო, არქეოლ., ისტ., ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, სხვილოს ციხე-დარბაზის ძირას, მთის დავაკებაზე. გვიანდ. ფეოდ. ხანაში მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, შემდგომში მოსახლეობა აქედან ქვემო ჭალაში გადასახლებულა. მე. ჯ.

233. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სხვილოს ციხის მიდამოებში. თარიღდება გვიანდ. ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანით. ს-ზე დადასტურებულია ქვაყუთები. მე. ჯ.

234. სხვილოს (ცხვილოს) ციხე-დარბაზის კომპლექსი, არქიტ., ისტ., ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, სამიოდე კმ-ზე, მაღალი მთის კალთაზე. სტრატეგიულად ციხე-დარბაზს მეტად მოხერხებული მდებარეობა აქვს — იგი გაბატონებულია ტირიფონისა და მუხრანის ველების, ლეხურისა და ქსნის ხეობების შემოგარენზე და ათეული კმ-ის სიშორიდანაც კარგად მოჩანს. კომპლექსში შედის: გალავანი, მთავარი კოშკი, კოშკი, ეკლესია, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, წყალსაცავი. ხაშენ მასალად ძირითადად გამოყენებულია რიყის ქვა.

ს. ც.-დ. პირველად მატიანეში X ს-ში მოიხსენიება. კახთა ერისთავს კვირიკეს ერთგულებად სხვებთან ერთად დასახელებული ჰყავს დაჩი და ივანე სხვილოსელნი. XIV ს-დან ციხის ისტორია ზევდგინიძე-ამილახვართა გვარის აღზევებას უკავშირდება. XVII ს-მდე აქ მათი რეზიდენციაა. XVII ს-დან კი ს. ც.-დ. ისტ. წყაროებში ხშირად გვხვდება. 1629 წ., შაჰ აბასის გარდაცვალების შემდეგ, თეიმურაზ I-მა სცადა სპარსეთის ბატონობისაგან თავის დაღწევა. საჭირო გახდა სხვილოს ციხეში გამაგრებული მეფე სიმონ II-ის თავიდან მოცილება. ამ განზრახვის შესრულება დაევალა ზურაბ ერისთავს. იგი შეიპარა ციხეში, მოკლა სიმონ II და მისი მოკვეთილი თავი მეფეს მიართვა.

როსტომმა, გამეფების შემდეგ (1632 წ.), მოინდომა თეიმურაზ I-ის მომხრეების, კერძოდ იოთამ ამილახვრის, გადმობირება. რადგან საწადელს ნებით ვერ მიაღწია, განრისხებულმა მეფემ 1636 წ. ციხე იერიშით აიღო. ამ ბრძოლებში ს. ც.-დ. ძალზე დაზიანდა.

ციხე-სიმაგრემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XVIII ს. ლეკების, ოსმალებისა და ყიზილბაშების წინააღმდეგ გივი ამილახვრის ბრძოლების დროს. 1742 წ. ყიზილბაშების წინააღმდეგ შეთქმული ზემო ქართლელი თავადები გივი ამილახვრის მეთაურობით სხვილოს ციხეში გამაგრდნენ და აქედან შეუტიეს ქვემო ჭალაში დაბანაკებულ მტერს, რ-საც იმამყული-ხანი სარდლობდა, და უკუაქციეს იგი. იმავე წელს სპარსელებმა ფატალი-ხანისა და ქერიმ-ხანის სარდლობით კვლავ გამოილაშქრეს აჯანყებულთა წინააღმდეგ. ბრძოლა მოხდა სხვილოს ციხის მახლობლად, მთებში. ქართველებმა აქაც გაიმარჯვეს და ისევ სხვილოს ციხეში გამაგრდნენ. სპარსელებმა ქვემო ქართლში გივი ამილახვრის კუთვნილი ყველა ციხე აიღეს და სხვილოს ციხეს ალყა შემოარტყეს. ციხემ გაუძლო მტრის მრავალგზის შემოტევას. მტერი იძულებული გახდა ალყა მოეხსნა.

1905-07 წწ. სხვილოს ციხე რევოლუციურად განწყობილი გლეხობის შეკრების ადგილად იქცა.

(ა) 1905 წ. 7 მარტს სხვილოს ციხესთან თავი მოიყარა 1500 კაცმა გორის მაზრის სოფლებიდან (ქვემო ჭალა, საკორინთლო, კოდისწყარო, სამთავისი, გორაკა, მსხლები, ვაკე, გამდლისწყარო). შეკრებაზე მოეიდნენ ლეხურის ხეობაში მოსახლეობებიც. თავყრილობაში მონაწილეობის მისაღებად სპეციალურად ჩამოვიდა ცნობილი რევოლუციონერი მიხეილ დავითაშვილი. სიტყვებით გამოსულები გლეხობას თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. შემდეგ შეკრების მონაწილენი სოფ. ქვემო ჭალისკენ დაეშვნენ და იქ დემონსტრაცია მოაწყვეს. გლეხებმა დაარბიეს და დაწვეს მემამულეთა სახლ-კარი და სოფლის წისქვილი. მომდევნო წლებში სხვილოს ციხეში და მის მიდამოებში ხშირად



234. გეგმა: 1. გალავანი, 2. მთავარი კოშკი, 3. კოშკი, 4. ეკლესიები, 5. წყალსაცავი



234. მთავარი კოშკის, ეკლესიებისა და კოშკის გრძივი განაკვეთი აღმ-კენ

იკრიბებოდნენ რევოლუციონერები და წითელრაზმელები, იმართებოდა საიდუმლო კრებები.

XIX ს-დან სხვილოს ციხემ, როგორც საფორტიფიკაციო ნაგებობამ, დაკარგა თავისი დანიშნულება.

(ბ) ს. ც.-დ.-ის კომპლექსს შემოვლებული აქვს მაღალი (10-14 მ), სქელკედლიანი (2 მ), კონგურებიანი გალავანი (18,4X37,3 მ), რ-ზეც გარედან შვიდი ბურჯია მიშენებული. გალავნის კედლები ქვემოთ ყრუა, ზემოთ, ხის საბრძოლო ბილიკის დონეზე, სათვალთვალოები, სათოფურები, ხალოდეები და მეომრების სადგომი ბაქნებია.

(გ) მთავარი კოშკი (8,4X X8,9 მ) დგას გალავნის ჩრდ. მხარეს. იგი ხუთსართულიანია. ერთადერთი შესასვლელი პირველ სართულზეა, მიწის დონიდან 6 მ-ზე. მეოთხე სართული გადახურული ყოფილა კედლების შემკვრელი ქვის კამარით, დანარჩენ სართულებს ხის გადახურვა ჰქონია. კოშკის კედლებში (სისქე 2 მ) ყველა სართულზე რამდენიმე სათოფურია. მეხუთე სართულზე ფართო გასასვლელია ხის შვერილ აივანზე, რ-იც ეზოს გადაჰყურებს.

(დ) გალავნის სამხრ. მხარეს დგას შედარებით პატარა კოშკი (7X 6,8 მ). მისი ქვედა ნაწილი ყრუა. შესასვლელი ეზოდანაა, მიწიდან 2 მ-ზე. პირველი და მეორე სართულები გადახურულია კამარით, ხოლო ზემო სამ სართულს ხის გადახურვა ჰქონია. მეორე სართულის ყოველ კედელში თითო სარკმელია. ზედა სართულებზე, სარკმლებს გარდა, სათოფურებიცაა. მეორე და მეხუთე სართულებზე თითო კარია, რ-იც ხის აივანზე (დანგრეულია) გადიოდა. აივნები ეზოს გადაჰყურებდა.

(ე) ეკლესია ორსართულიანი ნაგებობაა (7,5X5,1 მ), დგას ციხის დიდი ეზოს სამხრ.-აღმ. მონაკვეთში. თავდაპირველად იგი ერთსართულიანი ყოფილა. მოგვიანებით ზედ დაუშენებიათ მეორე ეკლესია. ორივე ეკლესია რამდენჯერმე გადაკეთებული. ქვედა, წმ. გიორგის ეკლესია დარბაზულია, ნაგებია მოცისფრო ნატეხი ქვით. დას. ფასადის ასომთ. წარწერის თანახმად ეკლესია აუგიათ ზევდგინიძეებს ალექსანდრე I მეფობის (1412-42 წწ.) დროს. ეკლესიას ნახევარწრიული აფსიდი ჰქონია. ზედა, წმ. თევდორეს ეკლესიაც დარბაზულია. ნაგებია რიყის ქვით. აფსიდი ტრაპეციის ფორმისა ჰქონია.

(ვ) საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. ციხის შიდა, დიდი ეზოს დას. ნაწილში საცხოვრ. სახლის ნანგრევებია. ხის კოჭების შემორჩენილი ბუდეების მიხედვით სახლი სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. ასეთი სამსართულიანი ნაგებობები იყო ეზოს ჩრდ. და აღმ. მონაკვეთებშიც. სამეურნეო შენობები – ბეღლები (4,1X7,3 მ) კამარითაა გადახურული. შესასვლელები მიწიდან 5-6 მ-ზეა. დიდი ეზოს ცენტრში შემორჩენილია ოთხივე მხარეს მოქმედი ბუხარი. სავარაუდოა, ამ ადგილზე ორ- ან სამსართულიანი სასახლის ტიპის ნაგებობა იდგა.

(ზ) კამარით გადახურული წყალსაცავი (3,5X7,4 მ) მდებარეობს ციხე-დარბაზის დას. კედელთან. ჩრდ-დან მისკენ კერამ. წყალსადენი იყო გამოყვანილი.

ს. ც.-დ. გვიანდ. ფეოდ. ხანისათვის დამახასიათებელი საფორტიფიკაციო ნაგებობა და მსხვილი ფეოდალის რეზიდენციაა.

*ბიბლ.*: 45:3-5; 89:269, 365, 437, 442; 151:25-27; 185:65, 81-82; 265:58-63.

ზ. პ.

235. ქედას წმ. თევდორეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემოთ, 2 კმ-ზე, სამხრ.-დას-ით. თარიღდება XVIII ს. I ნახ-ით. ეკლ. დარბაზულია (8,5X5,6 მ), ნაგებია რიყის ქვით, გამოყენებულია ქვიშაქვა და შირიმიც. შესასვლელი სამხრ-დანაა. აფსიდის ღერძზე ერთი სარკმელია, მის გვერდებზე თითო მოზრდილი ნიში. თითო სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშია. დარბაზის იატაკიდან ერთი საფეხურით ამაღლებული საკურთხევლის წინ სატრაპეზო ქვა დგას. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-იც თაროსებრ შვერილებზე დადგმულ საბჯენ თაღს ეყრდნობა. შვერილები და კაპიტელები მარტივია. ეკლ. შიგნით შელესილი ყოფილა. ზ. პ.

236. წმ. გიორგის საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის მიდამოებში, ნასოფლარ ძველ კუდუხაანსა და ნასოფლარ მონასტერს შორის, გორაზე. თარიღდება X-XI სს-ით. ეკლ. დარბაზულია (7,9X7,8 მ), ნაგებია ნატეხი ქვით, კარის წირთხლი თლილი ქვისაა. შესასვლელი სამხრ-დანაა. საკურთხეველი ოთხკუთხაა და დარბაზისგან გამოყოფილია პილასტრებით. საკურთხეველიც და დარბაზიც გადახურულია კამარით. აღმ. და დას. კედლებში თითო სარკმელია. აღმ. კედლის სარკმლის ქვემ, ცენტრში ერთი ნიშია, თითო მომცრო ნიში გვერდით კედლებშია, ერთი სწორკუთხა ნიში – დარბაზის სამხრ. კედელში. ეკლესიას სწორკუთხა პროფილირებული ლავგარდანი აქვს. სახურავი ორფერდაა. გადახურული ყოფილა ორიგინალური ფორმის კრამიტით, რ-ზეც ჯვარია გამოსახული.

ეკლესიას სამხრ-დან მთელ სიგრძეზე ჰქონია ოდნავ მომრგვალებული კამარით გადახურული მინაშენი, რ-საც აღმ. კედელში ჰქონდა ერთი სარკმელი. ზ. პ.

## ქვემო ხანდაკი

(კავთისხევის სოფსაბჭო)

237. კოშკი (I), არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ძ. ცილინდრულია (დიამ. 8 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. პირველი სართულის კედლებში ექვსი გარეთკენ შევიწროებული სათოფურია (ორ-ორი აღმ-ით და სამხრ-ით, თითო – ჩრდ-ითა და ჩრდ.-დას-ით). ამ სართულს აგურის გუმბათოვანი გადახურვა აქვს. დას. კედელში მეორე სართულზე ასასვლელი კიბეა, მეორე სართულზე მაღალი ბუხარია, რ-ის გვერდებზე თითო თაღოვანი ნიშია. ნიშებს შორის ორი ორმაგი სათოფურია. მეორე სართულის ჩრდ. კედელში მესამე სართულზე ასასვლელი კიბეა დატანებული. მესამე სართულზე, კედლებში, ყველა მხარეს თითო მაღალი ნიშია. ნიშებს შორის თითო ორმაგი სათოფურია. ამ სართულსაც კვადრ. აგურით ნაწყობი გუმბათოვანი გადახურვა აქვს. კედელში ერთი ერთმაგი სათოფური და მეოთხე სართულზე ასასვლელი კიბეა. ყველა სათოფურს გარეთკენ შევიწროებული ნიში აქვს.

ფასადებს შემოვლებული აქვს ბრტყელი რიყის ქვის თევზიფხურად ნაწყობი სარტყელი. აღმ. ფასადზე აგურის წყობით გამოყვანილია მაღალი ჯვარი. ნ. ა.

238. კოშკი (II), არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, 3 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ადგილ საფონავთან. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ძ. ცილინდრულია (დიამ. 7,2 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. თაღოვანი კარი დას. კედელშია. პირველ სართულზე სამი ერთმაგი სათოფურია, ორი – ჩრდ-ით, ერთი – დას-ით. სამხრ. კედელში მაღალი ნიშია. ამ სართულს აგურით ნაწყობი გუმბათოვანი გადახურვა აქვს. სამხრ.-დას-ით, კედელში დატანებულია მეორე სართულზე ასასვლელი კიბე. მეორე სართულზე, სამხრ-ით – ერთი ერთმაგი, ხოლო ჩრდ-ით, აღმ-ითა და დას-ით – თითო ორმაგი სათოფურია. ყველა სათოფურს გარეთკენ შევიწროებული ნიში აქვს. სამხრ. და დას. კედლებში დატანებულია მესამე სართულზე ასასვლელი კიბე. მესამე სართულის კედლები ნახევრად დანგრეულია.

ფასადებს შემოვლებული აქვს რიყის ბრტყელი ქვის თევზიფხურად ნაწყობი სარტყელი. ძ. საყარაულო ყოფილა. ნ. ა.

239. მთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, 1 კმ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (5,5X4 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. არქიტრავიანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის

ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ორივე მხარეს — თითო სწორკუთხა ნიში. სამხრ. და დას. კედლებში თითო თაღოვანი სარკმელია. ყველა სარკმელი გარეთკენ ვიწროვდება. დარბაზის კამაროვანი გადახურვა ეყრდნობა დას. კედლის კუთხის პილასტრებზე დაბჯენილ თაღსა და აფსიდის მრავალპროფილიან იმპოსტებზე დაყრდნობილ სატრიუმფო თაღს. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, ნაწყობია აგურით. *ნ. ა.*

240. **ნასოფლარი** და **ეკლესია**, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ქედზე, მდ. კავთურის მარჯვ. ნაპირზე, თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით.

(ა) ნასოფლარზე აღმოჩნდა ნასახლართა ნაშთები. აქვე დგას რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები დარბაზული (ბ) ეკლესია (3,5X2 *მ*). ძლიერ დაზიანებულია. შესასვლელი დას-იდანაა. აფსიდი ნახევარწრიულია. აღმ. და სამხრ. კედლებში თითო სარკმელია. აფსიდის კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა. *კე. რ.*

241. **ღვთისმშობლის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, აღმ-ით. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6,2X4,5 *მ*), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. აქვს ორი არქიტრავული შესასვლელი — სამხრ-ით და დას-ით. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის გვერდებზე — თითო სწორკუთხა ნიში. თითო თაღოვანი სარკმელი დარბაზის სამხრ. და დას. კედლებშია. ყველა სარკმელი გარეთკენ ვიწროვდება. ეკლესიის დარბაზის კამაროვანი გადახურვა გადადის დას. კედლის კუთხის პილასტრებზე დადგმულ თაღსა და აფსიდის მარტივპროფილიან იმპოსტებზე დაყრდნობილ სატრიუმფო თაღზე. დას. ფასადზე, კარს ზემოთ, კარგად გათლილ ქვიშაქვაზე ამოკვეთილია რელიეფური ჯვარი. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. *ნ. ა.*

242. **ყორღანები**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, ადგილ ოხერახევის მიდამოებში თარიღი დაუდგენელია. რამდენიმე ჰა ფართობზე გამოვლინდა ერთმანეთისგან სხვადასხვა მანძილით დაშორებული ქვაყრილიანი ყორღანული სამარხები. ყრილის დიამ. 10-25 *მ*-ია. *შ. ზ.*

243. **ყორღანი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ადგილ ოხერახევის მიდამოებში. დაუთარიღებელია. ყ. წარმოადგენს 1-1,5 *მ* სიმაღლის კონუსურ ქვაყრილს (დიამ. 20 *მ*-მდე). *შ. ზ.*

244. **ყორღანული სამარხი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 2 *კმ*-ზე, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ადგილ ოხერახევის მიდამოებში. თარიღდება ადრინდ. ბრინჯაოს და ელინისტ. ხანით. ძ. 1974 წ. გათხარა კაე-მ.

ყორღანის დიამ. 35 *მ*-ია, სიმ. 2 *მ*. სამარხი ორმო (3X3 *მ*, სიღრმე მიწის ახლანდ. ზედაპირიდან 2,7 *მ*) ამოთხრილია უშუალოდ ქვაყრილის შუა ნაწილის ქვეშ. ორმოს დას. ნაწილში თავით აღმ-კენ დაკრძალული იყო ერთი ხელფეხმოხრილი მიცვალებული, რ-საც თავთან ედგა წითლად გამომწვარი მაღალყელიანი სამყურა დერგი. სამარხი ორმო გადახურული ყოფილა ხის მჭიდროდ მიჯრილი ძელებით, რ-ზეც რიყის ქვები ეყარა. ორმოს ფსკერიდან 0,8 *მ*-ზე ქვაყრილში აღმოჩნდა შავზედაპირიანი, გრავირებული ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭელი და რელიეფური სარტყლით შემკული, წითლად გამომწვარი ელინისტ. ხანის ქვევრის ნამტვრევი, ხოლო უშუალოდ სამარხი ორმოს თავზე, მის ჩრდ. კედელთან — ბრინჯაოს ხანის ორი ყუნწიანი სატევარი (ერთ-ერთ სატევარს ყუნწის ზედა ნაწილში აქვს სასამაგრე ნახვრეტი), ელინისტ. ხანის პროფილირებული შავპრიალა ჯამის ფრაგმენტები და სხვ. ადრინდ. ბრინჯაოს ხანისა და ელინისტ. ხანის მასალის ერთ დონეზე არსებობა მოწმობს, რომ ყორღანი გაძარცული უნდა იყოს. ყორღანის ქვაყრილის ცენტრ. ნაწილში, მიწის ახლანდ. ზედაპირიდან 0,4 *მ* სიღრმეზე ესვენა გულხელდაკრეფილი გაშოტილი მიცვალებული (ელინისტ ხანისა), თავით აღმ-ისაკენ. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა ბრინჯაოს ხუთი ღუგმა. სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე ამავე ხანის წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. ამ სამარხის დას-ით გამოვლინდა კიდევ ერთი უინვენტარო სამარხი. იგი ძლიერ დაზიანებულია და მისი თარიღის დადგენა ვერ ხერხდება. მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *ირ. შ., შ. ზ.*

## ჩაჩუბეთი

(ახალქალაქის სოფსაბჭო)

145. **დებციხის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, 3 *კმ*-ზე, მდ. თეძმის მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება IX-X სს-ით. ეკლ. დარბაზულია (8X5 *მ*), ნაგებია ლოდებით. დას. კედელი ამოყვანილია დაახლ. 1,5 *მ* სიმაღლის კლდის ტერასაზე. დაზიანებულია: საკურთხევლისა და კანკელის მხოლოდ ნაშთია შემორჩენილი. შესასვლელი სამხრ-დან, კარიბჭიდან აქვს. ყოველ კედელში თითო სარკმელია. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, გადახურულია ბრტყელი ღარიანი კრამიტით. *მ. თ.*

146. **ზირთის წმ. გიორგის ეკლესია** და **საყდარი საქოლავი**, არქიტ. ძ.

(ა) ეკლ. დგას სოფლის სამხრ-ით, 10 *კმ*-ზე, ნასოფლარ ზირთაში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6X3 *მ*), ნაგებია რიყისა და კლდის ქვით. ძლიერ დაზიანებულია. შესასვლელი სამხრ-იდანაა. (ბ) იქვე მაღლა, ზირთის მთაზე მდგარა საყდარი საქოლავი (დანგრეულია). *ბაჭ. ო.*

247. **თეკნელას წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას ნასოფლარ თეკნელაში, ტყეში. თარიღდება XI-XIII სს-ით. ეკლ. დარბაზულია (7X4 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია. ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-დანაა. აფსიდის ღერძზე სარკმელია, მის ორივე მხარეს — თითო პატარა ნიში. ქვემოთ, კედელთან სატრაპეზო ქვაა მიდგმული. მეორე, უფრო მცირე სარკმელი სამხრ. კედელშია. ინტერიერში შეიმჩნევა (ა) მოხატულობის კვალი. *მ. მ.*

248. **ნასოფლარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ. ნაწილში, საავტ. გზის მარჯვ. მხარეს, მთის ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე ნატეხი ქვით ნაგები (ა) ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესიის ნანგრევებია. ეკლესიას ჩუქურთმებით შემკული ქვის კანკელი ჰქონია. ჩანს მინაშენების კვალიც. *ბ. ე.*

**რკონის კომპლექსი**, იხ. რკონი, რკონის კომპლექსი.

249. **საბოლიის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, 7 *კმ*-ზე, შემაღლებულ ადგილას. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7X4,6 *მ*). ნაგებია რიყის ქვით. დაზიანებულია, სახურავი დაფარულია ბალახითა და მცენარეებით შესასვლელი სამხრ-დანაა. საკურთხევლის სარკმლის ქვეშ, კედელთან მიდგმულია სატრაპეზო ქვა. ხოლო სარკმლის მარჯვ. მხარეს ნიშია. სარკმლები აღმ. და დას. კედლებშიცაა. ეკლ. შიგნიდან შელესილია. ეკლესიის მცირე ეზო შემოფარგლულია გალავნით. *მ. მ.*

250. **ღვთისმშობლის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფელში. თარიღდება VIII-IX სს-ით. ეკლ. დარბაზულია (11X7 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. აფსიდის მხრები და კონქი თლილი ქვისაა. ეკლ. დაზიანებულია: კამარა მთლიანად ჩანგრეულია. შესასვლელი სამი აქვს — სამხრ-ით, დას-ითა და ჩრდ-ით. აღმ. და დას. კედლებში თითო სარკმელია, სამხრ-ისაში — ორი. ინტერიერში შემორჩენილია (ა) მოხატულობის რამდენიმე ფრაგმენტი და მლოცველთა ასომთ., ნუსხ. და მხედრ. წარწერები. აღმ. ფასადზე, სარკმლის ირგვლივ წრეებში ჩასმულია სამი ტოლმკლავა ჯვარი.



250. ალმ. ფასადი, გეგმა

XVI-XVIII სს. ეკლესიისათვის სამი მხრიდან სათავსები მიუშენებიათ. სამხრ. მინაშენი — სამნაწილიანი კარიბჭე — ყველაზე დიდია. კარიბჭის შუა ნაწილი მაღალია, გვერდითები კი — დაბალი და ცალფერდა. შიგნით კამარები ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარესაა მიმართული. სამივე სათავსი ერთმანეთთან თაღებითაა დაკავშირებული. მინაშენის აღმ. მხარე სწორკუთხაა (უაფსიდო). წინა მონაკვეთში ერთი კედლის თაღია, დას. მონაკვეთში — ორი. დას. მინაშენი დანგრეულია. ჩრდ. მინაშენი ორნაწილიანია. მის აღმ. მონაკვეთში გაჭრილია ეკლესიაში გასასვლელი კარი. ზ. ა.

## ჩობალაური

(წოდისწყაროს სოფსაბჭო)

251. ნამოსახლარი ნადარბაზევი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად, თბილის-გორის საავტ. გზის მარცხ. მხარეს, ნადარბაზევის ტბის აღმ-ით. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. აქ ჯერ კიდევ ცხოვრობს რამდენიმე ოჯახი. მვ. ჯ.

## ციხიაგორა.

იხ. სოფ. კავთისხევი, ნამოსახლარი ციხიაგორა.

## ცხავერი

(ახალციხის სოფსაბჭო)

252. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 500 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6,5X3,85 მ), ნაგებია ქვიშაქვითა და ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-დანაა. ეკლ. მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ ნახევარწრიული აფსიდის ჩრდ. მხარე ნიშით და კედლების ქვედა ნაწილი 1-1,5 მ სიმაღლეზე. მ. კ.

253. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ. ნაწილში, მთის ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. გამოვლინდა რამდენიმეიარუსიანი ხელოვნური ტერასა. ზედაპირულად აიკრიფა წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები ნ-ზე შემორჩენილია XIX ს. (ა) წმ. გიორგის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. ბ. ე.

254. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან ორასიოდე მ-ზე, ადგილ სამებაზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე გამოვლინდა შენობათა საძირკვლის ნაშთები, რამდენიმეიარუსიანი ხელოვნური ტერასები. ზედაპირულად იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. ნ-ზე შემორჩენილია (ა) სამების დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. ბ. ე.

255. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, კაჩაანთ უბანში, მთის ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე იპოვება წითლად გამომწვარი, უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, გამოვლენილია რამდენიმე ხელოვნური ტერასა. ბ. ე.

256. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 1 კმ-ზე, ადგილ გადმოსაყართან. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ს-ზე გამოვლინდა რამდენიმე ქვაყუთის ნაშთი — ფილაქვებით შედგენილი სამარხები, რ-ებშიც მიცვალებულები დაკრძალულია უინვენტაროდ, გაშოტილი, თავით დას-კენ. ზოგ ქვაყუთში ორი მიცვალებული ესვენა, ზოგში — ორზე მეტი (საოჯახო სამარხები). ს. ნიადვრებს დაუზიანებია. ბ. ე.

257. ღვთისმშობლის ეკლესია და ნასახლარები, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 1 კმ-ზე, კაჩაანთ უბანში. თარიღდება ფეოდ. ხანით.

(ა) ეკლ. დარბაზულია (8,8X4,9 მ), ნაგებია ნატეხი ქვით და ქვიშაქვით. დაზიანებულია — გადახურვა და კონქი ჩანგრეულია, დარბაზი 1 მ სიმაღლეზე ნანგრევებითაა ამოვსებული. ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-დანაა. კარი გადახურულია ორი დიდი ქვისგან შედგარი არქიტრავით, რ-ზეც შიგნით და გარეთ ტიმპანია ამოკვეთილი. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის გვერდებზე — თითო სწორკუთხა ნიში. სამხრ. ფასადზე კარის ტიმპანი და კუთხეები მწვანე ტუფისაა.

(ბ) ეკლესიის დას-ით ნასახლარების კვალი ჩანს. მ. კ.

258. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, სასაფლაოზე. ეკლესიის სამხრ. ფასადზე ქვიშაქვის ფილაზე ამოკაწრული წარწერისა და ერთ-ერთი საფლავის ქვის წარწერის თანახმად, აგებულია 1898 წ. ვინმე თომა შალვას ძე ქარქუსაშვილის ხარჯებით. შეკეთებულია 1944 წ.

ეკლ. დარბაზულია (7,45X3,8 მ), ნაგებია ქვიშაქვით, გამოყენებულია რიყისა და ნატეხი ქვაც. არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის მარცხნივ — სწორკუთხა ნიში. დარბაზის გრძივი კედლების აღმ ნაწილში ნატეხი ქვით გადახურული თითო სწორკუთხა სარკმელია. სატრიუმფო თაღი ტუფის მარტივ კაპიტელებს ეყრდნობა. გადახურვა კამაროვანია. ეკლესიის კედლებზე შემორჩენილია (ა) მოხატულობის ფრაგმენტები. ფასადები სა აა. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით დე. თ.

## ცხვილოს ციხე-დარბაზის კომპლექსი,

იხ. სოფ. ქვემო ჭალა, ცხვილოს, ცხვილოს ციხე-დარბაზის კომპლექსი.

## ცხირეთი

259. ცხირეთის ნამოსახლარი და ცხირეთის ციხე, არქეოლ., არქიტ. ძ.

(ა) ნამოსახლარი მდებარეობს ხევის პირას, განკიდული ტიპის გორაზე. აქ დადასტურდა გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის ხანის კულტ. ფენები. ზედაპირზე და ბუნებრივ ჭრილში, ფლატეზე, იპოვება შავი და ლეგა ჭურჭლის ნატეხები.

(ბ) ცხირეთის ციხე დგას ცხირეთის გორაზე. აღმ-ით მას კლდიანი ხევი ესაზღვრება, ხოლო ჩრდ-ით — სალი კლდე

ისტ. წყაროების თანახმად ციხე X ს. „წმ. შიოს კუბოს შემონაყარი ოქრო-ვერცხლით“ აუშენებია შიომღვიმელ მემღვიმე მიქაელს. ცხირეთის ციხე, „ნასასახლევი მეფეთა“, ქართლის მეფეების საზაფხულო რეზიდენცია იყო. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ციხე და მისი მიდამოები ხშირად გამხდარა ქვეყნის გარეშე მტრებ-

ალმ-ით, 1,5 კმ-ზე. ზედაპირულად აკრეფილი კაჟის იარაღებისა და წარმოების ნაშთების საფუძველზე სადგომი თარიღდება ქვის ხანით. ზ. პ., კე. რ., ცქ. გ., ხუბ. გ.



259(ბ). გეგმა

თან და შინაპოლიტიკური აშლილობით გამოწვეული ბრძოლების ასპარეზი (იხ. სხერტის ჭალა).

ცხირეთის ციხის გალავანი გორაკის თავს გასდევს და გეგმით დატეხილგვერდებიანი, ოვალის მოხაზულობისაა (54X26 მ). ნაგებია რიყის ქვით. ჩრდ-ით, აქა-იქ შემორჩენილი კონტურებით ირკვევა, რომ ციხის კედლებს ამაგრებდა ზოგან გეგმით სამკუთხა, ზოგან ნახევარწრიული კონტრფორსები. ციხე შიგნიდან ორ მონაკვეთადაა გაყოფილი. ალმ. მონაკვეთი უფრო მომცროა.

ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია: კარის ეკლესიის, წყალსაცავისა და საცხოვრებელი სახლების ნაშთი. გვიანდ. ფეოდ. ხანაში გიორგი სააკაძის თაოსნობით ციხის ტერიტორია გაუზრდიათ ალმ-ით, რასაც ადასტურებს ხევის ქარაფამდე შერჩენილი სათოფურებიანი კედელი. ციხის სამხრ-ით, ქვემო ტერასაზე ჩანს ნასოფლარის კვალი და სადგომი ურბეხანი.

ნასოფლარზე მიკვლეულია ფეოდ. ხანის ნასახლართა ნაშთები და კლდის ნატეხი ქვითა და ქვიშაქვით ნაგები დარბაზული (დ) ეკლესია — ერთაწმინდის სამება. ეკლესიის ნახევარწრიულ, ოდნავ ნალისებრი აფსიდის ღერძზე ერთი სარკმელია. კედლებზე (ე) მოხატულობის კვალი ჩანს. ალმ. ფასადზე ასომთ. წარწერის ნაშთია. ეკლესიას ჩრდ-ით მინაშენი აქვს.

(ვ) ნასოფლარი მდებარეობს ცხირეთის ციხის ძირას. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ნ-ს ალმ-დან ესაზღვრება ცხირეთის ხევი. შეიმჩნევა ნასახლარი ნაშთები, რ-ის მიხედვით ირკვევა, რომ სოფელი კომლმრავალი ყოფილა.

(ზ) სადგომი ურბეხანი მდებარეობს ცხირეთის ციხის ჩრდ.-

259(ზ). ქვის იარაღები



## წითელქალაქი.

იხ. ხოფ. ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი.

## წინარეხი

(ხოფხაბქოს ცენტრი)

260. ბოტისის ღვთისმშობლის ეკლესია და სასაფლაო, არქიტ., ისტ. ძ. ეკლ. დგას ხოფლის სამხრ.-დას-ით 7 კმ-ზე, ნასოფლარ ბოტისის სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

(ა) ეკლ. დარბაზულია (5,7X4,5 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილი კედლების სიმ. 1,5-2 მ-ია. იატაკი დაფარულია ნანგრევებით, არ ჩანს გადახურვის კვალი.

(ბ) ს ა ს ა ფ ლ ა ო ზ ე (თარიღდება XIX ს. და XX ს-ის დასაწყისით, ფართ. 600 კვ მ) ძირითადად ორი ტიპის საფლავის ქვებია: სარკოფაგული და ვერტიკალური ანუ მატური. გამონაკლისია სამხრ.-დას-ით მდებარე ქვა, რ-იც ეკლესიის გამოსახულებას წარმოადგენს. საფლავის ქვებზე ამოკვეთილია ადამიანის, ცხენისა და სხვა გამოსახულებები, ეპიტაფიები, რ-ებშიც გადმოცემულია დაკრძალულთა ვინაობა, მათ ცხოვრებასთან და შრომა-საქმიანობასთან დაკავშირებული ცნობები. ბ. ლ.

261. ეკლესია ძუძუხატი, არქიტ. ძ. დგას ხოფლის სამხრ-ით 4 კმ-ზე, პარატისისა და ქვათახევის გზის გასაყართან, მთის ტყიან ფერდობზე. სავარაუდოდ თარიღდება X-XI სს-ით. ეკლ. დარბაზულია (6,5X4,5 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: არა აქვს გადახურვა, კედლები მცირე სიმაღლეზეა შემორჩენილი, შიდა სივრცე ქვაყრილითა და მცენარეულობითაა ამოვსებული. შესასვლელი სამხრ-იდანაა. ნახევაროვალური აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით. საკურთხეველში ორი ნიშია. ისინი გადახურულია ერთ ქვაში ამოკვეთილი შეისრული თაღით. შემორჩენილია მ ი ნ ა შ ე ნ ი ს კვალი. მ. ნ.

262. ელიას ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ხოფლიდან სამხრ.-დას-ით 2 კმ-ზე, ტყეში, ჩადრისთავის მიდამოებში, მთის ფერდობზე. თარიღდება სავარაუდოდ X-XI სს-ით. ეკლ. დარბაზულია (7X5 მ), ნაგებია საკმაოდ მოზრდილი კლდის ლოდებით. დაზიანებულია: აღმ. კედელი 1 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი, შიდა სივრცე ამოვსებულია ქვაყრილითა და მცენარეულობით, შიგ შესვლა შეუძლებელია. შესასვლელი სამხრ. კედელშია. კარი გადახურულია ქვის დიდი ლოდით. მ. ნ.

263. ზებარდის ნიში, არქეოლ. ძ. მდებარეობს ხოფელში, ბუზიანთ უბნის სამხრ.-აღმ-ით 400 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნიში (სიმ. 2,5 მ) ნაგებია ნატეხი ქვით, საფუძველი სწორკუთხაა, ზედა ნაწილი კი პირამიდული. აღმ., დას. და ჩრდ. მხარეს ნიშს მოზრდილი თახჩები აქვს. კე. რ.

264. თავკავთის კომპლექსი, არქიტ., მონუმ. ხელოვ. ძ. მდებარეობს ხოფლის სამხრ-ით 7-8 კმ-ზე, მდ. კავთურისა და ბოტისისწყლების გამყოფი ქედის კლდის კონცხზე. თავდაპირველად აიგო ციხე-გალავანი. მოგვიანებით კონცხის აღმ. ციცაბო კალთაზე საყრდენი კედლით შექმნეს ბაქანი, რ-ის ჩრდ. კიდეში ააშენეს წმ. გიორგის ეკლესია. კომპლექსში შედის: ციხე-გალავანი, წმ. გიორგის ეკლესია და სხვა ნაგებობათა ნაშთები. კომპლექსს ორი მისადგომი აქვს: სამხრ-დან და ჩრდ-დან — კავთურის ხეობიდან მდ. კავთურაზე გადებული ყოფილა ქვის თაღოვანი ხ ი დ ი, რ-ისგანაც მცირე ნაწილებიღაა შემორჩენილი. ციხე-გალავანი ძლიერ დაზიანებულია: ყველგან ჩამოშლილია გალავნის კედლების ზედა ნაწილები, თითქმის მთლიანად დანგრეულია ქვედა ციხის დას. კედელი, ციხის შიგნით ნაგებობათა გეგმა გაურკვეველია.

(ა) ც ი ხ ე-გ ა ლ ა ვ ა ნ ი (70X25 მ) განვით. ფეოდ. ხანით თარიღდება, მას თითქმის მთელი კონცხი უჭირავს, მიჰყვება კლდის რელიეფს და უსწორმასწორო ფორმისაა, წაგრძელებულია სამხრ-დან ჩრდ-კენ. ნაგებია სხვადასხვა ზომის დაუმუშავებელი ქვიშაქვით, რაც ციკლოპური წყობის შთაბეჭდილებას ტოვებს. წყობაში ზოგან ჩართულია ნატეხი ქვიშაქვის ქვა და აგური. გალავნის კედლები გარედან გამაგრებულია ერთმანეთისგან არათანაბარი მანძილით დაცილებული ნახევარწრიული კონტრფორსებით. გალავნის ზოგიერთი ნაწილი გატანილია ზღუდის გარეთ, რითაც გალავანზე კოშკისმაგვარი გამონაშვერები იქმნება. ციხე-გალავნის შიდა ტერიტორია სხვადასხვა დონეზე მდებარე ორი ნაწილისგან შედგება. დონეებს შორის განსხვავება დაახლ. 10 მ-ია. მაღალ ნაწილს — ზედა ციხეს ციტადელის ჩრდ. ნაწილი უჭირავს. იგი ფართობით თითქმის ორჯერ უფრო მცირეა ქვედა ციხესთან შედარებით. ციხეში შესასვლელი გალავნის გარეთ მდგარი ეკლესიის ეზოდანაა; ფართო სწორკუთხა კარის პირდაპირ, შუა ეზოში, ჭაა. ციხის ტერიტორიაზე შეიმჩნევა სხვა ნაგებობების კვალიც.

(ბ) წ მ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XIII ს-ით. ეკლესიის სამშენ. ბაქანი შექმნილია აღმ-ით და ჩრდ-ით რელიეფის შესაბამისად ამოშენებული მაღალი საყრდენი კედლებით, რ-ებიც მომრგვალებული კონტრფორსებითაა გამაგრებული. ეკლესია სამხრ-დან შემოზღუდული ყოფილა გალავნით, რ-შიც კვადრ. გეგმის კ ა რ ი ბ ჭ ე იყო ჩართული. ეკლ. მოგვიანებით (XIV-XV სს) შეუკეთებიათ და ძლიერ შეცვლილი აქვს სახე: დადაბლებულია შიდა სივრცე, აგურის წყობითაა განახლებული კედლების უმეტესი ნაწილი, კამარა, საბჯენი თაღები და კონქი. თავდაპირველი, კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით ნაგები, კედლებიდან შემორჩენილია სამხრ-ის კედელი სარკმლების თაღის ქუსლამდე, დას-ისა 3 მ სიმაღლეზე და ჩრდ. კედლის მცირე ნაწილი; აღმ-ით ძე. წყობის მხოლოდ ქვედა რამდენიმე რიგია შემორჩენილი. ეკლ. დარბაზულია (14,5X8,5 მ). სამხრ-ით სწორკუთხა შესასვლელი აქვს. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, თითო სარკმე-

264. გეგმა: 1. ქვედა ციხე, 2. ზედა ციხე, 3. ეკლესიის ეზო, 4. წმ. გიორგის ეკლესია, 5 კარიბჭე, 6. ჭა



ლი დას. და ჩრდ. კედლებშია, ორი — სამხრ. კედელში. საკურთხევლის ბაქანი ერთი საფეხურით ამაღლებულია. საკურთხევლის გვერდებზე, კედელში, მცირე ზომის სათავსებია. აგურის კ ა ნ კ ე ლ ი გვიანდელია. საკურთხევლის სამხრ. მხართან გაჭრილი თავდაპირველი სამშენ. ფენის სწორკუთხა შესასვლელი საკურთხეველს აკავშირებდა რაღაც სათავსთან, რ-ისგანაც სამხრ. ფასადის აღმ. მონაკვეთში შემორჩენილია კრონშტეინი. დარბაზის გრძივი კედლების შუაში და დას. კუთხეში პილასტრებია, რ-ებსაც, ისე როგორც აფსიდის მხრებს, კუთხეები იატაკიდან 3,5 *მ* სიმაღლეზე ჩამოკვეთილი აქვთ. დარბაზში დევს ბაზალტის ქვისგან გამოქანდაკებული გუმბათოვანი ტაძრის მოდელი, რ-იც თავდაპირველი ფრონტონის წვერს აგვირგვინებდა.

(დ) ეკლ. მთლიანად ყოფილა მოხატული მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები მხოლოდ საკურთხევლის ქვედა ნაწილშია შემორჩენილი. მოხატ. მიეკუთვნება XIV-XV სს. აფსიდის შუა წელზე გაირჩევა მთელი ტანით გამოსახული წმინდანთა სილუეტები. ქვედა რეგისტრში წარმოდგენილია ეკლესიის მამები. საკურთხევლის სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით წმინდანთა ორ-ორი ფიგურაა შემონახული; ცენტრისკენ სამი მეოთხედით შებრუნებულ წმინდანებს ხელში გაშლილი გრაგნილები უჭირავთ. ამავე რიგის სამხრ. ნაწილში, ნიშის თავზე ანგელოზის წელზედა გამოსახულებაა, სარკმლის წირთხლებზე — მთავარანგელოზთა ორ-ორი ფიგურა, სარკმლის ქვემოთ — *ხატი მანდილისაი*. ამ კომპოზიციაში მაცხოვრის შარავანდს შემოვლებული აქვს ორრიგად განლაგებული ყავისფერი წერტილები. ყველა გამოსახულებას თან ახლავს ასომთ. წარწერა. მოხატ დასრულებულია ჭადრაკისებრი ორნამენტული ზოლით. კოლორიტში ჭარბობს ოქროსფერი ოქრა, მუქი მოწითალო-ყავისფერი, თეთრი, წითელი ფერები.

აღმ. ფასადი ორი ნაწილისგან შედგება. თავდაპირველი სახით შემორჩენილი ქვედა ნაწილი წარმოადგენს სამშენ. ბაქნის საყრდენ კედელს, რ-ზეც დადგმულია საკუთრივ ეკლესიის აღმ. ფასადი. ფასადის სიმეტრიიის ღერძზე ვიწრო და მაღალი თაღოვანი სარკმელია, რ-ის თავზე ლეკალური აგურის წყობით გამოყვანილია რელიეფური ჯვარი. ეკლესიას ორფერდა სახურავი ჰქონია. შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. კალთა, რ-საც თითქმის მთელ სიგრძეზე გასდევს ლავგარდანი. დას. ფასადის აგურით განახლებულ ზედა ნაწილში თაღოვანი სარკმელია, რ-ის ზემოთ, ქვიშაქვის ქვაზე ამოკვეთილია რელიეფური ჯვარი. სამხრ. ფასადის მორთულობას რთულპროფილიანი პორტალი და მის ორივე მხარეს საპირეებით მოჩარჩოებული თითო სარკმელი შეადგენს. ორნამენტიანი ყოფილა პორტალის ამოზნექილი საპირეებიც, რ-ებიც ახლა ჩამოქერცლილია. ეს ფასადი დასრულებულია წრეთარგიანი გლუვზედაპირიანი ფართო ლავგარდნით. შეკეთებისას გამოუყენებიათ ძვ. ლავგარდნის ქვები და გადახურვის ქვის ფილები. ჩრდ. ფასადი თითქმის მთლიანად აგურისაა. თავდაპირველი წყობიდან მხოლოდ რამდენიმე რიგია შემორჩენილი. ფასადის ქვედა ნაწილში ორნამენტით მორთული ბაზისია, რ-ზედაც შემორჩენილია სამი ლილვისაგან შედგენილი კონის ფრაგმენტი. ასეთივე ფრაგმენტია ფასადის დას. მონაკვეთშიც.

*ბიბლ.*: **150.** *დე. თ.*

265. მარჯანიძეების სახლი-დარბაზი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ძველუბანში, ღვთისმშობლის ეკლესიის მახლობლად. აგებულია XVIII-XIX სს. ნაშენია რიყის ქვით. დარბაზს სამხრით აქვს ფასადი. დანარჩენი კედლები მიწაშია ჩამჯდარი. საცხოვრებელი ოთახი გეგმით კვადრატულია (6,2X6 *მ*), იგი აღმ. კედელში გაჭრილი კარით უკავშირდება სათონეს (3,85X3,8 *მ*), ხოლო სათონის სამხრ. კედელში გაჭრილია ბოსელში (3,5X5,5 *მ*) გასასვლელი კარი. საცხოვრებელ ოთახში შესასვლელი სამხრ-დანაა. შესასვლელის წინ პატარა დერეფანია. დარბაზის სამხრ. და ჩრდ. კედლებში სამ-სამი დიდი თახჩაა, ხოლო მათ ზემოთ, კედლის მთელ სიგრძეზე — თითო დაბალი ნიში. დარბაზის დას. და აღმ. კედლები და ჭერი ორი მასიური კოჭითა და მათი საყრდენი ბოძებით დაახლოებით სამ თანაბარ ნაწილად იყოფა. გადახურვა კოჭებსა და გვერდით კედლებს ეყრდნობა. კოჭებს შორის ხიერცე პარალელური წყობით ამოყვანილი ოთხკუთხა გვირგვინითაა გადახურული. ორივე ბოძის ბაზისს დიდი ზომის რიყის ქვა წარმოადგენს. ბოძები სადაა, მათზე ირმის რქებია მიმაგრებული. ბოძებს შორის,

265. განივი განაკვეთი, გეგმა



გვირგვინის ქვემოთ კრაა. დარბაზში ბევრი ძვ. ხარჯახო ნივთია. ს ა თ ო ნ ე შ ი, დაახლ. შუა ნაწილში, თონეა მოწყობილი. ამ სათავსის დას., ჩრდ. და აღმ. კედლებშიც თახჩებია. სათონის ჭერი ორი კოჭით ხამ თანაბარ ნაწილად იყოფა. ჩრდ. კოჭს შუა ნაწილში ბოძი აქვს შეყენებული. ბოძები სათონის დას. და აღმ. კედლებთანაცაა, მაგრამ ისინი გადახურვის გასამაგრებლად მოგვიანებით უნდა იყოს მიდგმული. კოჭებს შორის სივრცე გადახურულია პარალელური წყობით ამოყვანილი სწორკუთხა გვირგვინით. ბ ო ს ე ლ ი გადაკეთებულია მარნად. ამ სათავსის სამხრ. ნაწილში ჩადგმულია ქვევრები. კედლებში მცირე ზომის რამდენიმე თახჩაა. გადახურვა სამი გრძივი კოჭით ოთხ ნაწილად იყოფა. კოჭებს შორის იყო პარალელური წყობით ამოყვანილი ორი გვირგვინი (აღარ არის). სვეტები ამ სათავსშიც გადახურვის გასამაგრებლად მოგვიანებით უნდა იყოს გაკეთებული.

დარბაზში შესასვლელის აღმ-ით შემორჩენილია ოთახის ნანგრევები. სავარაუდოა, რომ ეს ადრე საძინებელი ოთახი იყო. დას. კედელს გარედან ბანზე ასასვლელი ქვის კიბე მიჰყვება. ბანი თიხისა და დატკეპნილი მიწისაა.

მარჯანიძეების სახლი XVIII-XIX სს. ე. წ. ქართლის დარბაზის ნიმუშია.

ბიბლ.: 334. *ს. ლ.*

**266. მაღალაანთ ეკლესიის კომპლექსი**, მ ა ღ ა ლ ა ა ნ თ კ ო შ კ ე ბ ი, არქიტ., არქეოლ., ისტ. ძ მდებარეობს ხოფ. წინარეხიდან სამხრ-ით 2,5 კმ-ზე, მდ. კავთურის მარცხ. ნაპირზე, მთის კალთაზე. მთელი კომპლექსი კარგად მოჩანს მდ. კავთურის გაღმიდან. კომპლექსში შედის: მაღალაანთ ეკლესია, სოლომონ მაღალაძის სამრეკლო, პაპუა მაღალაძის სამრეკლო-საძვალე, ზემო კოშკი (პაპუა მაღალაძის კოშკი), აუთიაქი, გალავანი და კოშკისა და სხვა ნაგებობათა ნანგრევები გალავნის გარეთ. კომპლექსის სახელწოდება დაკავშირებულია XV ს-დან დაწინაურებული ფეოდალების მაღალაძეების (მაღალაშვილების) გვართან. ამ გვარს თავის დროზე ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჰყავდა ისინი დაახლოებული იყვნენ სამეფო კართან და სამღვდელო წინამძღვრებთან, აქტიურად მონაწილეობდნენ ქართლის სამეფოს პოლიტ. ცხოვრებაში. განსაკუთრებულ სიძლიერეს მაღალაძეებმა XVII ს. II ნახ-ში მიაღწიეს. ამ დროისათვის გვარის მეთაური ნიკოლოზ ქადაგის ვაჟი პაპუა მაღალაძეა, „სვეტიცხოვლის სახლთუხუცესი". მას წინარეხში აუგია ორი სასახლე, დიდად განუვრცია თავისი მამულები, უშენებია ხოფლები, ციხე-კოშკი, საძვალე. პაპუას შვილებიდან განსაკუთრებით ცნობილია სვეტიცხოვლის ქადაგი ნიკოლოზ მაღალაძე, რ-ის სახელთანაცაა დაკავშირებული მშენებლობა მაღალაანთ ეკლესიის გარშემო. მისი სახელი მოხსენიებულია სვეტიცხოვლის საკურთხევლის სარკმლის ქვეშ არსებულ წარწერაში. XVIII ს. II ნახ-ში მაღალაძენი წინარეხში უკვე აღარ ცხოვრობენ. ქართლის ერთ-ერთ აღწერაში (1764 წ.) ნათქვამია: „წინარეხს მაღალაშვილების სასახლე ხარაბა დამწვარი". აღმ. კედელზე შემორჩენილი წარწერის თანახმად ნიკოლოზ მაღალაძემ 1677 წ. მაღალაანთ ეკლესია შეაკეთებინა, მოახატვინა და შიგ კ ა ნ კ ე ლ ი დაადგმევინა.

1937-41 წწ. ძ-ზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნ. საქმეთა სამმართველომ. აღდგა ეკლესიის სახურავი (ახლა თუნუქისაა), კარიბჭის კამარა და სამლოცველოს სამხრ. ფასადის დიდი ნაწილი, სამხრ. სარკმლებში ჩუქურთმის ნაცვლად ახალი ქვები ჩასვეს; აღმ. და დას. პილასტრების ჩამონგრეული კვარცხლბეკები შეიცვალა თლილი ქვის სუფთა კვადრებით, განახლდა ჩრდ. კედლის წყობა, გამოიცვალა ცოკოლის ლილვების ნაწილიც და სამლოცველოს მარჯვ. დეკორატ. თაღის მარჯვე ნაწილი იმპოსტიანად. აღდგა ფრონტონის მთელი მარჯვ. კუთხე, რისთვისაც გამოიყენეს ძვ. ფრაგმენტები.

(ა) მ ა ღ ა ლ ა ა ნ თ ე კ ლ ე ს ი ა, ბ ე თ ლ ე მ ი ს ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი, ს ა ქ ა დ ა გ ო მ ო ნ ა ს ტ ე რ ი. წერილობითი ცნობა ეკლესიის აგების შესახებ არ არსებობს. შემორჩენილი წარწერები გვიანდელია.

ეკლ. დარბაზულია (12,2X10,6 მ), ნაგებია მოყვითალო ფერის ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებით,

266(ა). განივი განაკვეთი აღმ-კენ



..ისტრ. ნაწილები (პილასტრები, კაპიტელები, საბჯენი თაღები, კარის თაღი და წირთხლები) თლილი ქვისაა. ეკლ. ორსაფეხურიან ცოკოლზე დგას. შესასვლელი სამხრ-დანაა. განიერი ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, მის გვერდებზე — თითო პატარა ნიში. ეკლესიას კიდევ სამი სარკმელი აქვს: ერთი — დას-ით, ორი — სამხრ-ით. ჩრდ-ით მოზრდილი კარია, საიდანაც შეიძლება კონქის თავზე ასვლა. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილი პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი.

(ბ) შემორჩენილი მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ა სხვადასხვა დროის ორ ფენას შეიცავს: პირველი ეკლესიის თანადროულია. ცალკეული ფრაგმენტები შემორჩენილია საკურთხეველში, დარბაზის კედლებსა და ეგვტერის ჩრდ. კედელზე. მოხატ. საკურთხეველში მუქი მოწითალო-ყავისფერი ხაზით დაყოფილია სამ რეგისტრად: პირვე-

266. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან





266(ა). გეგმა

ლი რეგისტრიდან შემორჩენილია კონქის კომპოზიციის მხოლოდ ქვედა ნაწილი (ჩანს ტახტი, მაცხოვრის შიშველი ტერფი და მდიდრულად გაფორმებული ფეხსადგამი). მეორე რეგისტრში მოციქულთა ფიგურებია. ამავე რიგში, სარკმლის თავზე, ჯვარია გამოსახული. მესამე რეგისტრში ეკლესიის მამათა დიდი ზომის ფიგურებია. კიდეებში თითო დიაკვნის გამოსახულებაა. ორი დიაკვნის ფიგურა სარკმლის წირთხლებზეცაა. დარბაზში, სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთზე წარმოდგენილია *მიძინების* სცენა, რ-ისგანაც შემორჩენილია სარეცელზე დასვენებული ღვთისმშობლის ზედა ნაწილი, იქვე გამოსახულია პეტრე საცეცხლურით ხელში, რამდენიმე მოციქული და მღვდელთმოძღვარი. უკან ჩანს სივრცობრივად გადმოცემული შენობა, რ-ის თავზე ორი ანგელოზია. ამ სცენის გვერდით, კედლის დას. მონაკვეთზე, თაღნარით მოჩარჩოებული სამი წმინდანი ყოფილა (შემორჩენილია თაღნარისა და შარავანდების ფრაგმენტები). დას. კედლის მოხატ. ოთხ რეგისტრადაა დაყოფილი: პირველ რეგისტრში წარმოდგენილია *მირქმა*, მეორე რეგისტრის სამხრ. მონაკვეთზე — *ჯვარცმა*, ჩრდ. მონაკვეთზე — *დედანი მაცხოვრის საფლავთან*. მესამე რეგისტრში, კედლის მთელ სიგრძეზე, ჩრდ-დან სამხრ-კენ განლაგებულია სებასტიელ წმინდანთა თაღნარით მოჩარჩოებული ხუთი ფიგურა. თითოეულ გამოსახულებას ასომთავრულით მიწერილი აქვს თავისი სახელი. მეოთხე რეგისტრში გადმოცემულია წმ. გიორგის ორი სასწაული: კედლის სამხრ. მონაკვეთზე — *ლასია ქალაქის მოქცევაი*, ჩრდ. მონაკვეთზე — *ბარლარეთით ტყვისა მოყვანაი*. ჩრდ. კედლის აღმ. მონაკვეთზე, ქვემოთ წმ. მეომართა ფიგურებია თაღნარის ქვეშ. ასეთივე გამოსახულებებია დას. მონაკვეთზე, ზემოთ. პილასტრის გვერდები და დას. კედლის სარკმლის წირთხლები შემკულია მცენარეული ორნამენტით. ეგვტერში შესასვლელის თავზე შემორჩენილია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობლის სამოსისა და მუთაქის ფრაგმენტი. წმინდანთა კონტურები გაირჩევა შესასვლელის ორივე მხარეს. ეკლესიის მოხატულობის პირველი ფენა დასრულებულია ორმაგი ორნამენტული ზოლით. ამ ფენას ახასიათებს მოქნილი ნახატი, სახის დახვეწილი ნაკვთები, სამოსის ცალკეული ნაწილების (აბჯარი, ორნამენტული არშიები და სხვ.) მაღალი ოსტატობით გადმოცემა და ნათელი კოლორიტი — მომწვანო-ფირუზისფერი, ცისფერი, წითელი და ოქრა.

მოხატულობის მეორე ფენა შემორჩენილია აღსავლის კარზე, კანკელზე, ჩრდ. კედლის დას. მონაკვეთზე, ეგვტერისა და დარბაზის შესასვლელის თავზე და დარბაზში შესასვლელის წირთხლებზე. კანკელის ჩრდ. შესასვლელის სამხრ-ით, მხატვრობის მესამე რეგისტრში, გამოსახულია ნიკოლოზ მაღალაძის დედა ელე-

266(ა). დას. ფასადი





266(ა). აღმ. ფასადი

ნე. ნახატს ახლავს ბერძნული წარწერა, რ-ის თანახმად მოხატულობის ეს ფენა შესრულებულია ელენეს გარდაცვალების (1681 წ.) შემდეგ. წარწერაში მოხსენიებულია მხატვარი აპოსტოლე. აღსავლის კარის სამხრ-ით, ზემოთ, ჩრდ-დან სამხრ-კენ შემდეგი სცენებია შემორჩენილი: *სამნი ყრმანი სახმილსა შინა, დანიელი ლომთა მღვიმეში, ეზეკიელის ხილვა;* მეორე რეგისტრში – *ნათლისღება, ფერისცვალება, ლაზარეს აღდგინება, იერუსალიმს შესვლა;* მესამეში – *ჯვარცმა, ჯოჯოხეთის წარტყვევნა, ქრისტეს ამაღლება, ღვთისმშობლის ამაღლება.* აღსავლის კარის წირთხლზე ორი მთავარანგელოზია გამოსახული. კანკელის ჩრდ. შესასვლელის ჩრდ-ით, ზემოდან ქვემოთ, გამოსახულია წმ. მეომარი და მღვდელთმოძღვარი საცეცხლურით ხელში, *წმ. ნიკოლოზ, რომელმან სამნი ქალნი იხსნა წარწყმენდისაგან*, და რომელიღაც მუხლმოყრილი წმინდანი (ამბა სისოე?). კანკელის ჩრდ. შესასვლელის სამხრ-ით, ზემოთ წარმოდგენილია *აბრაამის მსხვერპლად შეწირვა*, მეორე რეგისტრში – *ხარება და შობა*, მესამე რეგისტრში – *მირქმა.* კანკელის შესასვლელის წირთხლები და ნიშები შემკულია მცენარეული ორნამენტით (დაჩითულ ქსოვილთა სახეებს იმეორებს). დარბაზში, ჩრდ. კედლის დას. მონაკვეთზე, ქვემოთ გამოსახულია *განკითხვის დღე.* ეგვტერში შესასვლელის ტიმპანში წარმოდგენილია *ფხიზელი თვალი.* წირთხლებზე აღმ-ით გაირჩევა *ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნა*, დას-ით – *შეცოდება* (შემორჩენილია ხის, გველის კუდის, ადამისა და ევას გამოსახულების ფრაგმენტები). ეგვტერის ფასადზე, შესასვლელის თავზე გამოსახულია წინასწარმეტყველებით გარშემორტყმული ღვთისმშობელი ყრმით ხელში.

მოხატულობის მეორე ფენა ხასიათდება მუქი კოლორიტით, უმთავრესად გამოყენებულია ლურჯი, მონაცრისფრო-ცისფერი, მოწითალო-ყავისფერი, მღვრიე ნაცრისფერი.

ეკლესიის ფასადები მდიდრულადაა მორთული. დეკორატ. მიზნით ფირუზისფერი ქვაცაა გამოყენებული ფრიზისთვის. აღმ. ფასადის შუა არეში შედარებით დაბალი დეკორატ. სამთაღედია, მის ზემოთ ორნამენტით მორთული ჰორიზ. ფრიზია, რ-იც გამოჰყოფს ფრონტონის არეს. შუა თაღში განიერი ორნამენტიანი საპირით მოჩარჩოებული სარკმელია (მსგავსადაა გაფორმებული კარიბჭის აღმ. და ეკლესიის დას. კედლების სარკმლებიც). კეხქვეშ ლენტოვანი წნულითა და ოთხი დიდი ფოთლით მორთული მრგვალი სარკმელია. დას. ფასადზე დეკორატ. სამთაღედი მაღალია და ფრონტონის არეშია შეჭრილი. სარკმლის ზემოთ დარჩენილ არეს ორნამენტული ჯვარი და ფრინველების კომპოზიცია ავსებს. ეკლესიის სამხრ. ფასადზე მიდგმულია **კარიბჭე**. ეს ფასადი მკვეთრად ასიმეტრიულია. სარკმლები ფართო ჩუქურთმიანი საპირეებითაა შემკული. კარიბჭის შესასვლელის მაღალი, ფართო თაღის ორივე მხარეს თითო პატარა დეკორატ. თაღია. კარიბჭის კედლის აღმ. ფრთა სრულიად მოურთველია. პორტალს ჩუქურთმიანი საპირე ევლება. კარიბჭის ფრონტონში მაღალი რელიეფური ჯვარია გამოსახული. მთელ ნაგებობას ჩუქურთმიანი ფრიზით შემკული ორნამენტირებული ლავგარდანი აქვს შემოვლებული. სახურავი ორფერდაა. ეკლესიის სამხრ-დან ეგვტერი აქვს მიშენებული. იგი სამნაწილად დაყოფილი ვიწრო გრძელი სათავსია საკმაოდ ამაღლებული შესასვლელით. გადახურულია ცილინდრული კამარით. ეგვტერის აღმ. ნაწილი აფსიდიანი სამლოცველოა.

(გ) **სოლომონ მაღალაძის სამრეკლო** ეკლესიის სამხრ-ით დგას. მისი ქვედა სართული გალავანში შესასვლელს წარმოადგენს. სამხრ. ფასადის ვრცელი სამშენ. წარწერის თანახმად აგებულია 1716 წ. ნიკოლოზის ძის, რევაზ სახლთუხუცესის შვილის, სოლომონის მიერ. კოშკისებრი სამსართულიანი სამრეკლო (5X X5 *მ*) ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელის ადგილას სხვადასხვა დონეზე მხოლოდ ვიწრო საფეხურებია შემორჩენილი. დას. კედელში დატანებულია დიდი მომწვანო თლილი ქვა ექვსი წრიული ნახვრეტით. პირველი სართული სამხრ-

266(გ). ფასადი





266(გ) განაკვეთი, სართულების გეგმები

ით და ჩრდ-ით ღიაა, მეორეზე ერთი ოთახია, მესამე სართულიდან დარჩენილია მხოლოდ წრიული საფუძველი. მეორე სართულზე ამოშენებული სათოფურების კვალი ჩანს. აქ, დას. კედელში, ბუხარი ყოფილა. მეორე სართულზე ადიოდნენ პირველი სართულის კამარიდან მისადგმელი კიბით, მესამეზე კი — მეორე სართულის კედელში ჩატანებული კიბით.

სამხრ. ფასადზე შესასვლელი თაღი კედელში ჩაწეულ სწორკუთხა არეში ზის. მეორე თაღზე ხის ჭიშკარია შებმული და საკმაოდ შეწეულია ფასადის წინა პირთან შედარებით. სამშენ. წარწერის ზემოთ რელიეფური ჯვრის გამოსახულებაა მოკლე წარწერით. დას. კედელზე, წითელ ქვაზე ამოკვეთილია რელიეფი. კომპოზიციის გარჩევა ძნელდება.

(დ) პაპუა მაღალაძის სამრეკლო-საძვალე გალავნის შიგნით დგას. იგი ადრე სამრეკლო იყო. პაპუა მაღალაძემ (გარდაიცვალა 1681 წ.) საძვალედ გადააკეთა. თარიღდება XVI-XVII სს-ით. სამრეკლო-საძვალე (3,72X3,7 მ) ორსართულიანია. ყოველი სართული ცილინდრული კამარით გადახურული თითო სათავსისაგან შედგება. მეორე სართულის კედლები და ღუმელი (ჩრდ. კედელთან) მთლიანად შეთეთრებულია. გადაკეთების კვალი ნაგებობას აშკარად ემჩნევა: თავდაპირველად ორივე სართული ყოველ მხარეს ღია ყოფილა. ქვემოთ სამრეკლოს ოთხი ბურჯი და ოთხი ისრული თაღი ჰქონია, ზემოთ — ოთხივე მხარეს ორ-ორი ისრულთაღოვანივე მალი. პაპუა მაღალაძემ ყველა მალი ამოაშენებინა.

266(დ). ფასადი, სართულების გეგმები და განაკვეთი



(ე) ინტერიერი მოგვიანებით მოუხატავთ. მოხატულობა მიეკუთვნება XVII ს. II ნახ-ს. პირველ სართულზე შემონახულია მოხატულობის დაზიანებული ფრაგმენტები. ცილინდრულ კამარაში წარმოდგენილია *ქრისტე ყოვლისმპყრობელი* წრეში, კუთხეებში მახარებელთა სიმბოლოებია, ქვემოთ, კედლებზე მოხატ. მუქი მოწითალო-ყავისფერი ხაზით ორ რეგისტრადაა გაყოფილი. აღმ-ით, პირველ რეგისტრში წარმოდგენილია შემდეგი სცენები: *ხარება, შობა, მირქმა*, მეორე რეგისტრში კედლის მთელ სიგრძეზე — *მოციქულთა ზიარება;* კედლის ცენტრში, შავი და წითელი ტალღოვანი პარალელური ხაზებით შემკული სარკმლის ქვეშ, ნიშში გამოსახულია *გოლგოთის ჯვარი* (ბერძნ წარწერებით). სამხრ. კედლის ზედა რეგისტრში — *სულიწმიდის მოფენა;* ქვედა რეგისტრში შემდეგი სცენებია: *ლაზარეს აღდგინება, დედანი მაცხოვრის საფლავთან;* დას. კედელზე, ზემოთ, სამხრ-ით გაერთიანებულია ორი კომპოზიცია — *მოსე ცეცხლმოდებული მაყვლოვანის წინაშე და მოსე სინას მთაზე,* ჩრდ-ით — *ბრმათა თვალთახელა;* ქვემოთ, შესასვლელის თავზე, მაღალაძეთა ძლიერ დაზიანებული ჯგუფური პორტრეტია (იკითხება სახელები: ადამ, ზურაბ, მამუკა, პაატა, რევაზ, ნიკოლოზ, გიორგი). ჩრდ. კედელზე, ზემოთ *ჯრჯობეთის წარტყვევნაა,* ქვემოთ, თაღის ლუნეტის ორივე მხარეს — მუხლმოდრეკილ წინასწარმეტყველთა ორი ფიგურა (მარჯვნივ ესაიაა). მოხატ. ხასიათდება შესრულების მანერის სიმშრალით; კოლორიტი მუქი და მღვრიეა (მოვარდისფრო-ყავისფერი, ვარდისფერი, ნაცრისფერი, მონაცრისფრო-თეთრი და მუქი ლურჯი).

სამრეკლო-საძვალის პირველ სართულს დას-ით ჰქონია ერთი ვიწრო შესასვლელი, აღმ-ით — სარკმელი. სარკმლის ქვეშ ყოფილა ნიში მღვდელმსახურებისათვის. სამხრ-ითაც ერთი პატარა ნიშია. ჩრდ-ით, ლუნეტამდე, კედელი ამოშენებულია. ლუნეტი ერთი რიგის ქვის წყობითაა ამოქოლილი (წყობაში მუქი ატანს). დას. ფასადზე ჯვრისებრ განლაგებული ღრმულებია, რ-ებიც კერამ. სამკაულთა ბუდეებს წარმოადგენდა. სამრეკლო თავის კონსტრუქციით არსებითად განსხვავდება საქართველოში გავრცელებული ჩვეულებრივი ტიპის სამრეკლოებისაგან — მას არა აქვს ზარების ჩამოსაკიდი ფანჩატური.

(ვ) ზემო კოშკი (პაპუა მაღალაძის კოშკი) მთელ კომპლექსს გადმოჰყურებს. ჩრდ.-აღმ. ფასადზე შემორჩენილი სამშენ. წარწერის მიხედვით იგი პაპუა მაღალაძეს აუგია 1679 წ. კოშკი ოთხსართულიანია (6X6 მ, სიმ. 13 მ), ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. ძლიერ დაზიანებულია: ჩრდ.-აღმ. ფასადის მარჯვ. კუთხის ზედა ნაწილი ჩამონგრეულია, კარ-სარკმლებს დაკარგული აქვთ ფორმა. გადახურვა მხოლოდ მეოთხე სართულს აქვს. შემორჩენილია კოჭების ბუდეები. კოშკს ჰქონია მეხუთე გადაუხურავი სართულიც. მთავარი ფასადი ჩრდ.-აღმკენაა მიმართული. შესასვლელიც ამ მხარესაა, მიწის დონეზე. ამავე ფასადზე მეორე დიდი ხვრელიბია მესამე სართულის დონეზე. ყოველ სართულზე რამდენიმე ხვრელი-სათოფურია, პირველ, მეორე და მეოთხე სართულებზე კი — ბუხრები. მეოთხე სართული თითქმის ძირიდანვე კამაროვანია, კამარა აგურისაა და ეყრდნობა აგურისავე საბჯენ თაღებს. თაღებს შორის მრუდე, შეზნექილი ზედაპირები იქმნება. მეხუთე სართულზე ასვლა კამარაში დატანებული ხვრელით შეიძლება. კოშკი დაგვირგვინებულია სალოდეებით. ყოველ ფასადზე ქვის ბრტყელი ფილები კონსოლებს ქმნიან. მათზე დაბჯენილია აგურის არმატურა, რ-ის წინა პირი გამოშვერილია. ყოველ ფასადზე ოთხი თა-



266(ვ). ფასადი, განაკვეთი, გეგმა

ლია. მცირე ლუნეტები დატოვებულია სათოფურებად. ბოლო სართული სათვალთვალო ბაქანიც იყო. მთავარ ფასადზე, მეორე სართულის დონეზე, შუა ადგილას ჩასმულია ფირუზისფერი ქვა წმ. გიორგის რელიეფური გამოსახულებით. რელიეფი დაბალი და ბრტყელია. მეოთხე სართულის მთელ სიმაღლეზე წყობაში ჩართულია რამდენიმე ფირუზისფერი ქვა, რ-თა შორის მოქცეული სათოფურები აღარ შეიმჩნევა. სამხრ.-აღმ. ფასადზე, შედარებით პატარა აგურისფერ ქვაზე, გამოსახულია წმ. გიორგი, რ-იც გველეშაპს თრგუნავს. რელიეფის ზემოთ ლავგარდნის მსგავსი შვერილი ქვაა. სამხრ.-დას-ით, მაღლა, მოწითალო ქვაზე მეორე რელიეფია: ყალყზე შემდგარ დიდრქებიან ირემს ქვემოდან წინა თათებით ვეფხვი ჩაფრენია ზურგში, ზემოთ კბილებდაკრეჭილი ცხოველია.

(ზ) ა ფ თ ი ა ქ ი (3,35X3,2 მ) დგას პაპუა მაღალაძის კოშკის სამხრ.-დას-ით 300 მ-ზე. ამ ადგილს მოსახლეობა „საჯინიბოებს" და „სამტრედოებს" უწოდებს. აფთიაქი ნაშენია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია სახურავი, კედლები. თავდაპირველი სახით შემორჩენილია მხოლოდ დას. კედელი (3 მ სიმაღლეზე). ინტერიერში კედლები დაყოფილია პატარ-პატარა თახჩებად (0,15X0,19; 0,15X0,23 მ). ყველა კედელი, გარდა აღმ-ისა, გარედან მიწაშია მოქცეული (სიგრილის შესანარჩუნებლად).

გალავნის შიგნით, უშუალოდ შესასვლელთან სწორკუთხა ა უ ზ ი ა. შემორჩენილია გარედან შეყვანილი წყლის მილი.

*ბიბლ.:* 31; 36:199; 162:134-142; 228: 202-204; 293:90-96. *ანდღ. ნ., გ. თ. დ. ფ., ჭ. გ.*

267. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, შუა უბანში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. 6-ზე გამოვლინდა ე კ ლ ე ს ი ი ს საძირკველი, ნასახლართა ნაშთები და სამარხი ქვაყუთები. ნაეკლესიარზე ამჟამად სოფლის მაღაზია დგას. *კვ. რ.*

268. საკურთხისის მაცხოვრის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 7-8 კმ-ზე, ნასოფლარ ს ა კ უ რ თ ხ ი ს ი ს სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება IX-X სს-ით. ეკლ. დარბაზულია (8,5X X4,7 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა და კონქი, დანგრეულია ჩრდ. და დას. კედლების უმეტესი ნაწილი. დაზიანებულია აღმ-ით მდგარი ეკლესიის მაღალი საყრდენი კედელიც. შესასვლელი ორია — სამხრ. კედლის დას. და ჩრდ. კედლის აღმ. მონაკვეთებში. სამხრ-ის კარი შიგნიდან თაღოვანია, გარედან — სწორკუთხა, ჩრდ-ისა — შიგნიდან და გარედან სწორკუთხა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ერთი სარკმელია. თითო სარკმელია სამხრ. და დას. კედლებშიც. სამხრ. ფასადზე შემორჩენილია თაროსებრი ლავგარდნის მხოლოდ ერთი ქვა. ეკლესიას სამხრ-ით მთელ სიგრძეზე ჰქონია გვიანდ. მ ი ნ ა შ ე ნ ი (დანგრეულია). *დვ. თ.*

269. საკურთხისის წმ. გიორგის ეკლესია, უ მ ზ ე უ რ ა, არქიტ. დგას სოფლიდან 10 კმ-ზე, ნასოფლარ ს ა კ უ რ თ ხ ი ს ი ს სამხრ-ით 300-400 მ-ზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ ფეოდ. ხანით. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია, კედლები მცირე სიმაღლეზეა შემორჩენილი. ეკლ. დარბაზულია (5,3X3,8 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის და ფორმის ქვიშაქვით. შესასვლელი სამხრ-დან ჰქონია (შემორჩენილია წირთხლების ნაწილი). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო სწორკუთხა სარკმელი ყოფილა. *დვ. თ.*

270. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, ხვედრელიანთ უბნისკენ მიმავალი გზის პირას. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ს-ზე გამოვლინდა სამარხი ქვაყუთები. *კვ. რ.*

271. ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში, უჭუჭიანთ უბანში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ეკლესია, კოშკი, სამრეკლო და გალავანი. ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ეკლ. დარბაზულია (8,42X5,5 მ). აღმ. ფასადის ასომთ. წარწერის თანახმად აუგია „ტფილელ მთავარეპისკოპოზს" ბარნაბა ფავნელისშვილს 1588 წ. შესასვლელი სამხრ-დანა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ორივე მხარეს — თითო ნახევარწრიული ნიში. ასეთივე სარკმელია სამხრ. კედელში. შიდა სივრცე მაღალია და ზევითკენ ვიწროვდება. დარბაზი გადახურულია კამარით, რ-იც გრძივ კედლებს ეყრდნობა.

ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია. შელესილობის ქვეშ შეიმჩნევა (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები. ეკლესიის ჩრდ. კედელი გამაგრებულია ორი კონტრფორსით, რ-ებიც გადახურულია კრამიტით.

(ბ) კ ო შ კ ი ეკლესიის დას. კედელზეა მიდგმული და სიმაღლით ეკლესიას უსწორდება. ორივე ნაგებობა გადახურულია საერთო ორფერდა სახურავით, შემოვლებული აქვს აგურის ერთიანი თაროსებრი ლავგარდანი. მოგვიანებით ეკლესიის დას. კედელი გაჭრეს და ფართო თაღოვანი მალით ეკლესია კოშკს შეუერთეს. ეკლესიის იატაკის დონე გააგრძელეს, რის შედეგადაც კოშკის ქვედა სართული ორ ნაწილად გაიყო. კოშკის

271. გეგმა



ადრე არსებული დას. კარის ზედა ნაწილი სარკმლად გადაკეთდა. კოშკის ქვედა სართულის შესასვლელები ამოქოლილია. ზედა, ბოლო სართული შეისრული კამარით გადახურული იზოლირებული სათავსია, რ-საც ჩრდ-დან თაღოვანი შესასვლელი აქვს დას. კედლის ცენტრში სათოფურია.

(გ) სამრეკლო დგას ეზოს შესასვლელთან, ეკლესიის სამხრ.-აღმ-ით. მისი პირველი სართული მასიურია. მასზე აღმართულია სამრეკლოს ოთხბოძიანი აგურის ფანჩატური.

(დ) კომპლექსს შემოვლებული აქვს გალავანი, რ-ის მხოლოდ სამხრ. ნაწილია შემორჩენილი.

*ბიბლ.:* 37; 150:19. *დე. თ.*

272. ჩადრისთავის საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, მთის ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით ეკლ. დარბაზულია (7,5X5,35 მ), ნაგებია ქვიშაქვით, გამოყენებულია რიყის ქვაც. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია. კედლები მხოლოდ 1-2 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. არქიტრავიანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. საკურთხევლის აღმ. კედელზე მიდგმულია მწვანე ტუფის კარგად გათლილი ქვებით ნაწყობი სატრაპეზო. *გ. ქ., დე. თ.*

273. წმ. თევდორეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, ბორცვზე, თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6,75X4,3 მ), ნაგებია ნატეხი ქვით, გამოყენებულია ქვიშაქვის ლოდები, ფიქალი და აგურიც. არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ქვემოთ კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა საკურთხევლის კედელში დატანებულია ორი ნიში, რ-თაგან სამხრ-ისა ორი ბრტყელი ქვით პირამიდულადაა გადახურული, ჩრდ-ისა კი სწორკუთხაა. დას. კედელში ერთი ვიწრო სწორკუთხა სარკმელია. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-ის საბჯენი თაღი მარტივ კონსოლებს ეყრდნობა. თაღი კონქს ერწყმის. *მე. მ.*

274. წყრუთის საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 3-4 *კმ*-ზე, ნასოფლარ წყრუთის მიდამოებში. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,5X4,5 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. დაზიანებულია: არ ჩანს გადახურვის კვალი, კედლები შემორჩენილია 2,6 მ სიმაღლეზე, ინტერიერი ამოვსებულია ქვაყრილით, ამოსულია მცენარეები. შესასვლელი სამხრ-დანაა. ნახევარწრიული აფსიდი დარბაზისაგან მხრებითაა გამოყოფილი. მის კედლებში ორი მოზრდილი ნიშია. საკურთხევლის სარკმლის კვალი არა ჩანს. ნიშებია ჩრდ. და დას. კედლებშიც. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით. *მ. ნ.*

275. ჯვარპატიოსნის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 3 *კმ*-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (11,7X X6,4 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. კონსტრ. ნაწილები (პილასტრები, იმპოსტები და ლავგარდანი) შირიმის ქვისაა. დაზიანებულია: ჩანგრეულია გადახურვა (შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, კამარა ნახევარწრიული ყოფილა), დას. კედლის კუთხეების პილასტრებს ზედა ნაწილი აკლია, მთლიანად დანგრეულია მინაშენი. შემორჩენილია საძირკვლის ნაშთები. ეკლესიაში შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის გვერდებზე — თითო სწორკუთხა ნიში. სამხრ. კედელში ორი თაღოვანი სარკმელია, დასისაში — ერთი. ყველა სარკმელი გარეთკენ ვიწროვდება. დარბაზის განივი კედლები კაპიტელებით დასრულებული წყვილი პილასტრით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრებზე საბჯენი თაღი გადადის. აღმ. სარკმელში შემორჩენილია შელესილობისა და (ა) მოხატულობის კვალი.

ეკლესიაზე სამხრ-დან მთელ სიგრძეზე მიშენებულ ეგვტერს (11,7X X5 მ), რ-ისგანაც მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი, სამხრ-ით შესასვლელი ჰქონია, ხოლო აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდი. *ნ. ა.*

275. გეგმა



# წიფორი

(კაეთისხევის სოფსაბჭო)

276. ნასოფლარი და წმ. გიორგის ეკლესია, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ზემოთ, ადგილ ხატისუბანში, თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

(ა) ნასოფლარზე აღმოჩნდა ნასახლართა ნანგრევები.

(ბ) წმ. გიორგის ეკლესია დგას ნასოფლარზე. ეკლ. დარბაზულია (6X3,2 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა მთლიანად და მორღვეულია კედლების ზედა ნაწილები, დარღვეულია იატაკის დონე, თითქმის მთლიანად დანგრეულია მინაშენი. ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-დანაა. ნახე-

276(ბ). გეგმა



ვარწრიული შეირილი აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ორივე მხარეს — თითო სწორკუთხა ნიში. სარკმლები სამხრ. და დას. კედლებშიცაა. ისინი გარეთკენ ვიწროვდება.

ეკლესიაზე სამხრ-დან მთელ სიგრძეზე მიშენებულ სამლოცველოს (5,6X3 მ) შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილში ჰქონია. ეს სათავსი ნატეხი ქვით ამოყვანილი კედლით შუაზე იყო გატიხრული და კედელში კარი იყო გაჭრილი. *კე. რ., ნ. ა.*

# წყრუთის საყდარი,

იხ. სოფ. წინარეხი, წყრუთის საყდარი.

# ჭყოპიანი

(ზემო ხანდაკის სოფსაბჭო)

277. დროსის ჯავახაანთ ციხის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 400 მ-ზე, მდ. თეძმის მარცხ. ნაპირას. კომპლექსში შედის: ციხე-გალავანი, ეკლესია, კოშკი, სასხლე (დანგრეულია). თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით.

(ა) კომპლექსს შემოვლებული ჰქონდა რთული მოხაზულობის გალავანი. მშენებლებს კლდოვანი კონცხის ყველა ადგილი გამოუყენებიათ. გალავანი და მის ტერიტორიაზე მდგარი სხვა ნაგებობები, ეკლესიის გარდა, ნაგები იყო ქვიშაქვითა და რიყის ქვით. ციხე-გალავანი ორიარუსიანია. ზედა იარუსზე, ჩრდ-ით კოშკი დგას, სამხრ-ით — მცირე




277. გეგმა: 1. ეკლესია, 2. კოშკი, 3. სასახლე

ეკლესია. ზედა იარუსის გალავნის კედლებში ვიწრო სათოფურებია. ქვედა იარუსზე სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები ყოფილა. სამხრ-ით მდგარა ორსართულიანი (ბ) ს ა ს ა ხ ლ ე, რ-საც ჩრდ-ით ეკეროდა სამეურნეო დანიშნულების შენობა (ყველა დანგრეულია).

(ბ) ე კ ლ ე ს ი ა დარბაზულია (6,35 X4,65 *მ*), ნაგებია კარგად გათლილი მწვანე ტუფის კვადრებით. დაზიანებულია: დარღვეულია იატაკის დონე, გაბზარულია კამარა, ფასადებზე საპირე ქვები ბევრ ადგილას ამოცვენილია. შესასვლელი დას. კედლის ცენტრშია. იგი შიგნიდან თაღოვანია, გარედან გადახურულია არქიტრავის ქვით, რ-ზედაც გამოყვანილია არქივოლტით შემოსაზღვრული ნახევარწრიული ტიმპანი. შვერილი, ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ერთი შეისრული სარკმელია, მის მარცხ. მხარეს — ვიწრო სალოდე, საკურთხევლის იატაკში ამოჭრილია წრიული ფორმის საკმაოდ ღრმა, ჭურისებრი სათავსი. საკურთხევლის ჩრდ. კედელში ქვემოთკენ დახრილი ვიწრო სათოფურია. ერთი სწორკუთხა სარკმელი გაჭრილია სამხრ. კედელში, ხოლო ორი თაღოვანი — დას. კედელში. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც ქვის კრონშტეინებზე გადაყვანილ სატრიუმფო თაღსა და დას. კედელს ეყრდნობა. სამხრ. ფასადზე, კედელში ჩასმულ ფილაზე ამოკვეთილია მცენარეული ორნამენტი.

277(ბ). განივი განაკვეთი დას-კენ, გეგმა



(დ) ციხის სამხრ. ნაწილში დგას ოთხსართულიანი, გეგმით სწორკუთხა კ ო შ კ ი (5,8X3,9 *მ*). ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია ზედა ნაწილები და სართულშუა გადახურვები. შესასვლელი მესამე სართულის ჩრდ. კედელშია. პირველი ხართულის ოთხივე კედელზე საპირე ქვები ამოცვენილია. სამხრ. კედელში სწორკუთხა სათოფურია. მეორე სართული დაბალია, შესაძლოა სამეურნეო დანიშნულებისა იყო. მესამე სართულის კედლები შედარებით განიერია, გადახურულია ოდნავ შეისრული კამარით. აქ, აღმ. და ჩრდ. კედლებში თითო სწორკუთხა სათოფურია. ამავე სართულზე, ჩრდ-ით, იატაკში ამოჭრილია სწორკუთხა ჩასასვლელი. მსგავსი ხვრელობი კამარაზეც არის, ზედა სართულში ასაძრომად. მეოთხე სართულის კედლები მცირე სიმაღლეზეა შემორჩენილი, სათოფურების კვალი არ შეიმჩნევა. *დე. თ.*

# ხვითი

(ლამისყანის სოფსაბჭო)

278. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით 2-3 *კმ*-ზე, მთის ფერდობზე, ნ ა ს ო ფ ლ ა რ ბ ე ნ ი ს ი ს ტერიტორიაზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება IX ს.

ეკლ. ეზოს შემოვლებული ჰქონდა რიყის ქვით ნაგები გ ა ლ ა ვ ა ნ ი. მისგან მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი.

ეკლ. დარბაზულია (10,25X5,5 *მ*), დგას გალავნის ჩრდ. კედელთან. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით, კარ-სარკმლის თაღები და სატრიუმფო თაღი იმპოსტებიანად კარგად დამუშავებული შირიმის ქვითაა ნაწყობი. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — დას-ით და სამხრ-ით. ორივე კარი შიგნიდან თაღოვანია, გარედან არქიტრავული. თაღების შემადგენელ ქვებზე მოწითალო ფერის სალებავით ქვის წყობის სხივისებური იმიტაციაა გამოყვანილი. ნალისებრი აფსიდის ღერძზე მაღალი თაღოვანი სარკმელია. სარკმლის ქვემოთ კედელთან შირიმის ქვით ნაწყობი ხატრაპეზო ქვა დგას. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია ფართო მხრებით, რ-ებზეც ნალისებრი სატრიუმფო თაღია გადაყვანილი. საკურთხეველი გამოყოფილი იყო კ ა ნ კ ე ლ ი თ, რ-ის მოჩუქურთმებული ფრაგმენტები გვიანდ. კანკელის რიყის ქვის წყობაშია ჩატანებული. ორი თაღოვანი სარკმელია

278. განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



სამხრ. კედელში. საკმაოდ მაღალი პროპორციების დარბაზი გადახურულია ნალისებრი კამარით. მის შუა ნაწილში შეკიდული საბჯენი თაღია, რ-ის ქუსლებთან მოთავსებულ იმპოსტებს გვიანდ. სწორკუთხა კონტრფორსები ფარავს. სატრიუმფო თაღის ქუსლებთან მკვეთრად გამოკვეთილი იმპოსტების პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს. თარო მორთულია შეღრმავებულ ხაზებს შორის მოქცეული ლილვით.

აღმ. ფასადზე, საკურთხევლის სარკმელთან, კედელში ჩასმულია ორი რელიეფური ფილა. პირველი ფილა სარკმლის ზედანია, რ-ზეც თაღია ამოკვეთილი. ფილაზე გამოსახული ჩუქურთმა მოჩარჩოებულია მარტივი ზოლით, რ-იც ჩუქურთმასთან ერთად საერთო სიბრტყეშია. მოჩარჩოების ზედა და ქვედა ნაწილები სარკმლის თაღის წვეროსთან ნასკვით უკავშირდებიან ერთმანეთს. თაღის გვერდებზე შექმნილი არეები სტილიზებული ფოთლებითაა შევსებული. მეორე ფილა პირველზეა შედგმული და მარტივი თაროთია მოჩარჩოებული. ფილის ღერძზე, ერთიმეორის თავზე, ორი ერთნაირი, მაგრამ სხვადასხვა ზომის ეკლესიის მოდელია გამოსახული. ფილის მარჯვ. ნაწილში გამოსახულია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით ხელში, მარცხნივ — ქტიტორი, რ-საც ზედა მოდელი უპყრავს და ღვთისმშობლისკენ აქვს გაწვდილი. ქტიტორისა და ღვთისმშობლის ორივე მხარეს, ოდნავ ზემოთ, ანგელოზებია; მარჯვ. ანგელოზი თავისი სამოსელის ბოლოთი ლათინური S-ისებრი მოხაზულობის ფოთლოვან ელემენტთანაა გადაბმული. ასეთივე ფოთლოვანი მოტივის კვალი შეინიშნება ფილის მარცხ. არეში, ანგელოზის ქვემოთ. ფილის თავისუფალ არეებზე და ეკლესიის მოდელებზე ნუსხური წარწერებია, რ-ებიც დაზიანებულია და ძნელად გასარჩევი. მხატვრულ-სტილისტ. ნიშნებით, აგრეთვე ეპიგრაფიკული მასალის საფუძველზე, ფილები X ს. II ნახ-ით შეიძლება დათარიღდეს. ორივე ფილა ეკლესიის კედლებში შეკეთების დროსაა ჩასმული.

ამ ფასადზე ფრონტონის ჩრდ. ქანობზე შემორჩენილია თაღების მწკრივით დამუშავებული შირიმის ლავგარდნის რამდენიმე ქვა.

ეკლესიის ჩრდ. კედელს ეკვრის გვიანდ. მ ი ნ ა შ ე ნ ი, რ-ზეც შემორჩენილია თაღედის ფრაგმენტები — ორი ბურჯი, ერთი თაღი მთლიანად და მეორე თაღის მხოლოდ ქუსლი. თაღები ნაგებია კვადრ. აგურით, ხოლო ბურჯები, კედლები და აფსიდი — რიყის ქვით. კედლებისგან მხოლოდ ქვემოთა ნაწილებიღაა შემორჩენილი. ერთადერთი შესასვლელი მინაშენს დას-ით აქვს. უშუალოდ ეკლესიასთან დამაკავშირებელი კარი მინაშენს არ ჰქონია.

(ა) ორსართულიანი ს ა მ რ ე კ ლ ო (4,7X3,9 *მ*) მიშენებულია ეკლესიის სამხრ. ფასადის დას. მონაკვეთზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნაგებია რიყის ქვით. შესასვლელი სამხრ-დანაა. გარედან, შესასვლელის თხელი არქიტრავის ზემოთ, ტიმპანია, მის თავზე — მცირე ზომის სწორკუთხა სარკმელი. ასეთივე სარკმლებია აღმ. და დას. კედლებშიც. პირველი სართული გადახურულია შეისრული კამარით. მეორე სართული (ფანჩატური) სამ მხარეს შეისრული თაღითაა გახსნილი. ჩრდ-ით უფრო დაბალი თაღია. თაღის არეში გამოდის ეკლესიის სარკმელი. ეს სართული სხმული გუმბათოვანი კამარითაა გადახურული. სამრეკლო დასრულებულია პირამიდული სახურავით, რ-ის სახურავი მთლიანად ჩამოცვენილია. *დე. თ.*

## ხოვლე

(სოფსაბჭოს ცენტრი)

279. ხოვლე, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. ხეხმელას (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირებზე, კასპიდან 30 *კმ*-ზე, გრაკლიდან (უახლოესი რკ.-გზ. სადგური) 7 *კმ*-ზე. სოფელში და მის მიდამოებში მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტ. მოვლენა.

(ა) 1863 წ. გლეხები რამდენიმეჯერ გამოვიდნენ მემამულეების წინააღმდეგ. მემამულე ვეზირიშვილმა გლეხებს ფულადი გადასახადი გაუდიდა. აღელვებულმა გლეხობამ საჩივრით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს, მაგრამ მმართველობის ორგანოებმა მემამულის ინტერესები დაიცვა. სოფელში ჩააყენეს ეგზეკუცია. მემამულის ბრძანებით კაზაკებმა დაარბიეს სოფელი. გლეხები ტყეში გაიხიზნენ. გლეხთა წინააღმდეგობა დაძლეული იქნა. 1863 წ. 13 აგვ. მეფისნაცვლის განკარგულებით ეგზეკუცია მოიხსნა.

(ბ) XIX ს. 60-იან წლებში აქ დაარსდა პირველი სოფლის სკოლა, რ-შიც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, საღვთო რჯულსა და ხელსაქმეს. 1864 წ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის თაოსნობით სკოლა გადაკეთდა 4-წლიან სასწავლებლად. 1868 წლის სექტ-დან შეუდგა მუშაობას ახალი პროგრამით. სწავლება ქართ. ენაზე წარმოებდა. სკოლას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ნ. თარხნიშვილი, გრ. კავსაძე, ი. ციციშვილი, ი. ცხვედაძე, ი. ჭიჭინაძე, ზ. ჯავახიშვილი, ქ. ჯავახიშვილი და სხვ.

ხ-ში გახსნილია ი. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი; გოგირდოვანი მინერალური წყლის ბაზაზე მოქმედებს საბაზანო.

*ბიბლ.*: **400:1884 წ., სექტემბერი, № 81; 403:1888 წ., ივლისი, № 51; 408:1873 წ., მარტი, № 14; 418; 422; ფონდი 17, აღწ. 2, საქ. 6619, ფ. 5-7.** *ქ. ქ., ჩ. თ.*

281. ისიდორიანთ საყდარი. არქიტ. ძ. დგას მდ. ხეხმელას დას-ით, სოფლის სასაფლაოზე, თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (13,4X7 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, გამოყენებულია რიყის ქვა და ქვიშაქვაც. ძლიერ დაზიანებულია: დანგრეულია ზედა ნაწილები და სამხრ. კედლის დას. ნაწილი. შესასვლელი დას-დანაა. ნახევარწრიულ აფსიდში სარკმლის კვალი არ შეიმჩნევა. აფსიდის ჩრდ. მხარეს ნიშია, მარჯვნივ — მცირე ზომის სათავსი. გრძივი კედლები და შეისრული კამარა წყვილი პილასტრით და შეისრული საბჯენი თაღითაა დანაწევრებული. ინტერიერში შეიმჩნევა (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები. აღმ. ფასადზე შემორჩენილია ქვიშაქვის რამდენიმე საპირე ქვა. *დე. თ.*

282. კვართის წმ. გიორგის ეკლესია. არქიტ. ძ. დგას მდ. ხეხმელას დას-ით, სოფლის სასაფლაოზე, თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6,5X4,7 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა და კონქი, კრამიტი ჩრდ. ქანობზე მთლიანად აყრილია, ხოლო სამხრ. ქანობზე მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. ჩამოცვენილია ლავგარდნის ქვები

282. გეგმა



ოთხივე მხარეს, დას. და ჩრდ. კედლებზე გარედან 1 მ სიმაღლეზე მიწაა მიყრილი. ეკლესიას ორი შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრაველი შესასვლელი აქვს — ერთი სამხრ. კედლის დას. ნაწილში, მეორე — დას. კედელში (ამოშენებულია). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ორივე გვერდზე — სწორკუთხა ნიში. ასეთივე სარკმლებია სამხრ. და ჩრდ. კედლების აღმ. ნაწილში. დარბაზის დას. კედელში სარკმლის თაღი ებჯინება კამაროვან გადახურვას. გრძივ კედლებზე წყვილი პილასტრია. *გ. ქ.*

283. კოშკი, არქიტ. ძ. დგას მდ. ხეხმელას დას-ით, სოფლის სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. გეგმით კვადრატული ქ. (7,3X X7,3 მ) ხუთსართულიანია. ნაგებია რიყის ქვითა და ქვიშაქვით. დაზიანებულია: ჩაქცეულია სართულშუა გადახურვა, ჩამონგრეულია ზედა სართულის კედლები, პირველი სართული მიწითა და ქვებითაა ამოვსებული. ქ-ში შესასვლელი მეორე სართულის სამხრ. კედელშია გაჭრილი. ამავე სართულზე აღმ. კედელში ბუხარი და ორი სათოფურია, ჩრდ. კედელში — ორი სათოფური. დას. კედელი ყრუა. მესამე სართულზე, სამხრ. და დას. კედლებში — ორ-ორი სათოფურია, აღმ. და ჩრდ. კედლებში — თითო. მეოთხე სართულზე ოთხივე კედელში თითო სათოფურია, მეხუთეზე — ორ-ორი. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებს ეყრდნობოდა. *დვ. თ.*

283. განაკვეთი, სართულების გეგმები



284. კოშკი-სამრეკლო, არქიტ. ძ. დგას ჯავახიშვილების უბანში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. კოშკზე სამრეკლო დაშენებულია მოგვიანებით. კ ო შ კ ი ცილინდრულია (დიამ. 5,6 მ), სამსართულიანი, ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. დაზიანებულია: ჩანგრეულია სართულშუა გადახურვა. კოშკში შესასვლელი მეორე სართულზეა. პირველი სართული ყრუა, მის კედლებში ორი სწორკუთხა ნიშია. მეორე სართულზე ერთი წრიული ნიში და ექვსი სათოფურია, მესამეზე — ოთხი სწორკუთხა ნიში და ექვსი სათოფური. ყველა სათოფური სწორკუთხაა, გადახურულია არქიტრავით. აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობით ამოყვანილი ს ა მ რ ე კ ლ ო ს თაღები საკმაოდ მასიურ რვა სვეტს ეყრდნობა და გადახურულია ხის კონსტრუქციებზე მოწყობილი თუნუქის პირამიდული სახურავით (დაზიანებულია). *მ. გ.*

284 საერთო ხედი



285. ნაბელიანთ საყდარი, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,2X6,7 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: მონგრეულია კედლების ზედა ნაწილი, დარბაზი 1 მ სიმაღლეზე ნანგრევებითაა ამოვსებული. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, მის გვერდებზე — თითო სწორკუთხა ნიში. წყვილი პილასტრით დარბაზის გრძივი კედლები თითქმის ორ ტოლ ნაწილად იყოფა. *დვ. თ.*

286. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ხეხმელას მარცხ. ნაპირზე, წყალსაქაჩი ქვესადგურის დას-ით, 50 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე ზედაპირულად იპოვება კერამ. მასალა: წითელზედაპირიანი ჯამის და შავზედაპირიანი, პირგადაშლილი და მუცელგამობერილი თიხის ჭურჭლის ნატეხები. თიხის ჭურჭლის ყელს შუაში რელიეფური წიბო შემოუყვება, მუცლის ირგვლივ ღარული წრეებია. წრეებს შორის ჩასმულია ფრჩხილისებრი ირიბული ორნამენტი. მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *ცქ. გ.*

287. საკულტო ნაგებობა, არქეოლ. ძ. მდებარეობს ხოვლეგორას სამხრ.-დას-ით, 500-600 მ-ზე, ადგილ დუბეში. თიხით შელესილი ძელური ნაგებობა, რ-იც ამჟამად დამწვარია, თარიღდება ძვ. წ. II, ახ. წ. I ს-ით. ნაცროვან-ნახშიროვან ფენაში აღმოჩნდა უწესრიგოდ არეული ნივთები: ვერცხლის ორი თხელი ფირფიტა, ბრინჯაოს ზარაკები, ვერცხლისა და ბრინჯაოს საკიდები და მძივები. ვერცხლის ერთი ფირფიტა ხარის თავის სტილიზებულ გამოსახულებას ჰგავს. მას ცენტრში ორი მანჭვალი აქვს. მეორე ფირფიტა ცხოველის მოხრილი კიდურისმაგვარია, აქვს წერტილოვანი სარტყელი და სამანჭვლე ნახვრეტი. აღმოჩენილი ნივთები უნდა უკავშირდებოდეს რელიგიურ-რიტუალურ დროშას.

*ბიბლ.*, 65:42-50. *გვ. ჯ.*

288. წითელი საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან 2 კმ-ზე, მდ. ხეხმელას მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია. იგი გარედან წითელი თლილი ქვით ყოფილა მოპირკეთებული (აქედან მომდინარეობს სახელწოდება). ძლიერ დაზიანებულია: მონგრეულია ზედა ნაწილები, მთლიანად დანგრეულია ეგვტერი, კარიბჭის კედლები 1 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი, საპირე ქვები ამოცვენილია. შესასვლელი ორი იყო — დას-ით და სამხრ-ით.

ეკლესიას სამხრ-დან ე გ ვ ტ ე რ ი,

დას-დან კი კ ა რ ი ბ ჭ ე ჰქონია მიშენებული. სამივე ნაწილი გარედან სწორკუთხა გეგმაში იყო ჩასმული. ფასადები უხეად ყოფილა მოჩუქურთმებული. *ქ. თ.*

289. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲘ, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან 5 *კმ*-ზე, მდ. ხეხმელას მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება VI-VII სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (7,8X7,7 *მ*), ნაგებია თლილი მოწითალო, ხორბლისფერი ქვით. სამხრ-დან მიშენებული აქვს დაბალი ე გ ვ ტ ე რ ი. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: არა აქვს სახურავი და ლავგარდანი, ჩანგრეულია ეგვტერის კამარისა და სამხრ. კედლის დას. ნაწილი. ეკლესიაში შესასვლელი ეგვტერიდანაა. მეორე შესასვლელი ეკლესიის დას. კედელშია. ორივე შესასვლელი განიერია, გარედან არქიტრავული, შიგნიდან თაღოვანი. როგორც ეკლესიის, ისე ეგვტერის აფსიდები ნალისებრია, ასეთივე ფორმა აქვს კონქების თაღებსაც. ორივე სათავსის საკურთხეველში თითო განიერი სარკმელია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. ეკლესიაში დაცულია სამმალიანი კ ა ნ კ ე ლ ი, რ-იც ორი, სხვადასხვა ხანის, ფრაგმენტისაგან შედგება. კანკელი პირველად XI-XII ს. დაუდგამთ. მისგან შემორჩა მხოლოდ ქვის პროფილირებული სვეტები და გაშლილი ფოთლების რელიეფით მორთული კაპიტელი, რ-იც მოგვიანებით, შეკეთების დროს ეგვტერის კონქის კონსოლად გამოუყენებიათ. მეორედ კანკელი თაბაშირით აღუდგენიათ XIV ს. მარყუჟებით შეკრული ფესტონებიანი თაბაშირის თაღები გაუკეთებიათ და შიგ დაუდგამთ თაბაშირისავე ფილები, რ-ზედაც ამოჭრილია გეომეტრიული წნულის მედალიონები და ჩარჩო. როგორც ჩანს, ეს კანკელიც დანგრეულა და მისი ხელმეორედ აწყობის დროს ზოგი ნაწილი თავის ადგილას არ ჩაუსვამთ (კანკელის XIV ს. ფენის რამდენიმე ფრაგმენტი საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ფონდშია დაცული).

ეკლესიის დას. კედელზე და აფსიდში შემორჩენილია (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს დაზიანებული ფრაგმენტები. სტილისტ. ნიშნებით მოხატ. XII ს. უნდა ეკუთვნოდეს.

ფასადების დეკორიდან შემორჩენილია აღმ. სარკმლის თავსართის ფრაგმენტი. ჩრდ. და აღმ. ფასადებზე, გვიანდ შეკეთების დროს, რუხი ფერის დაუმუშავებელი ქვის ფილები ჩაუსვამთ. *ქ. თ.*

290. ᲬᲛ. ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 300-400 *მ*-ზე, სასაფლაოზე. მოსახლეობა მას კვირიკეწმინდასაც უწოდებს. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,7X4,8 მ), ნაგებია ნატეხი ქვით, გამოყენებულია ქვიშაქვა და აგურიც. ძლიერ დაზიანებულია: დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე ამოვსებულია მიწით. შესასვლელი სამხრდანაა, კარი გარედან არქიტრავულია, შიგნიდან — თაღოვანი. არქიტრავი ქვიშაქვისაა, თაღი მწვანე ფერის ტუფის თლილი კვადრებითაა ნაწყობი. ეკლესიას სამხრ-დან მიშენებული ჰქონია კ ა რ ი ბ ჭ ე, რ-ის მხოლოდ დას. კედლის ნაწილია შემორჩენილი.

*ბიბლ.:* 78ა:60-74. *დვ. თ.*

291. ᲮᲝᲕᲚᲔᲒᲝᲠᲐ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, 2,5 *კმ*-ზე, სანიორე ქედის ბოლოში, ხეხმელას მარცხ. ნაპირზე

ხ. 1954-61 წწ. გათხარა ИАЭ ინ-ტის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი). გაითხარა ნამოსახლარი, კერამიკოსთა სახელოსნო უბანი და სამაროვანი.

(ა) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ზ ე გაითხარა რვა სტრატიგრაფიული ჰორიზონტი (I-VIII ზემოდან ქვემოთ). VIII-VII ჰორიზონტები თარიღდება ძვ. წ. XV-XIV სს; VI — დაახლ. ძვ. წ. XIII ს; V — ძვ წ. XII-X სს: IV — ძვ. წ. IX-VII სს; III — ძვ. წ. VI ს: II — ძვ. წ. V ს. I — ძე წ. IV ს-ით. გორაზე უწყვეტი ცხოვრება ყოფილა და ნამოსახლარი ფენები ერთმანეთის გაგრძელებასა და განვითარებას წარმოადგენს. თავდაპირველად მოსახლეობა სანიორე ქედის ბოლოში, განმხოლოებულ გორის თხემზე დასახლებულა და სამოსახლოსათვის ირგვლივ თხრილი და კედელი შემოუვლია. ძვ. წ. XV-VII სს-ის (VIII-IV ჰორიზონტი) საცხოვრ. სახლები ძირითადად სწორკუთხაა, ერთოთახიანი, აქვს ქვითა და ტალახით ნაგები საფუძველი, იატაკი თიხატკეპნილია, კედლები — ძელური, ორივე მხარეს შელესილია თიხით. უკანა კედლის მარცხ. კუთხეში ღუმელია, მარჯვენაში — თიხის ნაძერწი ვერძის თავებით შემკული საკურთხეველი. ტიხრები წნულისაა, ორივე მხარეს თიხით შელესილი. სახურავი, სავარაუდოა, ბანური იყო, გადახურვა კედლის ხის სვეტებს



291(ა). ვერძის თავი, თიხა



289. გეგმა

291. გათხრების საერთო ხედი






291(ა). სამხრ. უბნის გეგმა

(შემორჩენილია ნაშთები) ეყრდნობოდა, შუაზე გადებული იყო თავხე. საცხოვრ. სახლებში აღმოჩნდა ნამგლის კაჟის ჩასართები, საწყაო „ოდები“ (მარცვლეულის შესანახი ორმოები), მარცვლეული, მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველთა ძვლები, რაც იმას მოწმობს, რომ იმდროინდელი ხოვლეგორელები მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას მისდევდნენ. აღმოჩნდა აგრეთვე სამეთუნეო ჩარხზე დამზადებული შავად და ლეგად, ზოგჯერ წაბლისფრად გამომწვარი სხვადასხვა გეომეტრიული სახეებით შემკული ჭურჭელი: ქილები, დერგები, დოქები, ქოთნები, ქვაბქოთნები, ტოლჩები, ჯამლანგრები და ქვევრის ნატეხებიც. ძვ. წ. XII-X სს. ხ-ის ჩრდ-ით სოფელი გაჩნდა. ამ დროის საცხოვრ. სახლებში ერთი ნახევარი ბოსლადაა გამოყენებული, სადაც მოწყობილია ზღვე თავისი სანერწყულით. ძვ. წ IX-VII სს. (IV ჰორიზონტი) ხოვლეგორელებს ერთი საერთო ბოსელი ჰქონიათ, რ-იც მიშენებულია გორის გამომყოფ კედელზე. ბოსლის იატაკი მოფილაქნებულია და ზღვეს (სიგ. 2 მ) წუნწუხის სადინარი გასდევს. ბაგა ხის ძელებითაა მოწყობილი. ამავე პერიოდში ნამოსახლარზე ერთი საერთო სალოცავიც შეუქმნიათ — ქვით ნაგები მასიური სვეტი (სიმ. 2 მ). ამ ჰორიზონტში აღმოჩნდა ოთხი ორფიცრიანი კვერი. IV ჰორიზონტში, როგორც გორაზე, ისე სოფელში, რ-იც ახლა უკვე სამხრ-დან ეკვრის გორას, ჩნდება წითლად გამომწვარი კერამიკა. ძვ. წ. VI ს. (III ჰორიზონტი) გორა საკმაოდ გასცდენია ბუნებრივ ფარგლებს მისთვის ღრმა თხრილთან ერთად ქვის დიდი გალავანი შემოუვლიათ. გაზრდილა სოფლის საზღვრებიც და მოსახლეობის რაოდენობა. ახლა გორაზე და სოფელშიც სახლები შენდება ნატეხი ქვითა და ტალახით ნაგებ საძირკველზე ტკეპნილი თიხით ან ალიზით. გორაზე სახლები რამდენიმე ოთახისაგან შედგება. დარჩა ძველებური ღუმელი ოთახის კუთხეში, ღუმელთან ახლოს ქვის მაგიდაა, კედლის გასწვრივ სკამი, ერთ-ერთ ოთახში კედლებზე და იატაკზე აღმოჩნდა ჭილოფი. გაჩნდა ახალი ტიპის საკურთხეველი — შუა ოთახში თიხის ან ქვის ოთხკუთხა ან მრგვალი ბაქნები (სიმ. 0,2 მ), რ-ზედაც ცეცხლის კვალი ჩანს. საქონელი ისევ საცხოვრებელში ჰყავთ. გორაზე საქონლის სადგომი არ შეიმჩნევა გორაზეც და სოფელშიც შავლეგად გამომწვარი ჭურჭელი ინარჩუნებს ძველ ფორმებს და ორნამენტაციას. ჩნდება წითლად გამომწვარი ჭურჭლის ახალი ფორმები (ქვევრები, დერგები, გრძელტანიანი ქილები, მილიანი და სამტუჩა დოქები და სხვ.). ჭურჭელი შეღებილია წითელი საღებავით (წერნაქით). ნამოსახლარზე აღმოჩნდა აგრეთვე ქვის სამეურნეო იარაღი (ხელსაფქვავები, სანაყები, საბეგველები, ნამგლის კაჟის ჩასართები, სადგისები, ქალის პატარა ქანდაკება). რკინისა (დანისპირის ფრაგმენტები, „ასტამი“) და ძვლის (ყუნწიანი ისრისპირები, სადგისები) ნივთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გამომწვარი თიხის სამეთუნეო მორგვი (III ჰორიზონტი).

ხ-ის ნამოსახლარი შედის ალმ. ამიერკავკ. კულტურის წრეში. იგი მთელი რიგი ნიშნებით ენათესავება მომიჯნავე მხარეების ლოკალურ

291(ა) საცხოვრებელი სახლის გეგმა





291(ა). ბოსელი, გეგმა

კულტ წრეებს (ქვემო ქართლი, თრიალეთი, შიდა ქართლი, სამთავრო) მაგრამ მნიშვნელოვნადაც განსხვავდება მათგან, რაც მიუთითებს აქ არქეოლ. მიკრორაიონის არსებობაზე.

(ბ) სახელოსნო უბანი მდებარეობს ნამოსახლარის სამხრ-ით, 0,5 კმ-ზე. შესწავლილია სამი პერიოდის (ძვ. წ. IX-VIII, VII-VI და V-IV სს.) სახელოსნოები. ყოველ სახელოსნო უბანზე აღმოჩნდა ქურა, ხელოსნის სამუშაო ქვის მაგიდა, თიხის შესანახი (გასაფუებელი) ორმოები, წყლის შესანახი დერგები და ხელოსნის საცხოვრ. სახლი. აქ გამოვლენილი ქურები ერთმანეთთან გენეტიკურად არიან დაკავშირებული, მაგრამ განსხვავდებიან კონსტრუქციულად.

(გ) სამაროვანი მდებარეობს ნამოსახლარის სამხრ-აღმ-ით, 0,5 კმ-ზე, ადგილ დუბეში. თარიღდება ძვ. წ. XIV-VI სს-ით. სამარხებში მიცვალებულები ჯგუფ-ჯგუფად არიან დაკრძალული. ინვენტარი ერთფეროვანია. განსხვავებულია ძვ წ. VII-VI სს. სამარხები, რ-ებიც სოციალური დიფერენციაციის მაჩვენებელ მასალას შეიცავენ. მოპოვებული მასალის ნაწილი დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, ძირითადი ნაწილი კი — კასპის მხარეთმც. მუზეუმის ფილიალში, ხოვლეს ივ. ჯავახიშვილის სახ. სახლ-მუზეუმში.

*ბიბლ.:* 174

*ცქ. გ.*




291(ბ). ქურები (გეგმები და განაკვეთები)

292. ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი და ძეგლი. ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ., დღას სოფლის თავში. სახლ-მუზეუმი გაიხსნა 1968 წ., ძეგლი — 1983 წ.

ივ. ჯავახიშვილმა (1896-1940 წწ.) აქ გაატარა თავისი ბავშობა. ყრმა ივანე ხშირად ჩადიოდა სოფელში ზაფხულობით. პირველი სამეცნ.-კვლ. სამუშაოებიც აქ დაიწყო. შემდეგშიც, უკვე ცნობილი მეცნიერი, ხოვლეს ხშირი სტუმარი იყო. აქ ეწეოდა მეცნ. მუშაობას. სოფელში მასთან ხშირად ჩადიოდნენ სტუმრად გამოჩენილი ქართვ. მოღვაწეები.

(ა) სახლი (20,6X17 მ) ორსართულიანია, ნაგებია ქვითკირით, გადახურულია თუნუქით. მთავარი ფასადი მიმართულია ჩრდ-კენ. პირველ სართულზე ორი ოთახია, ერთში მოთავსებულია ფონდსაცავი. ამ სართულზე, მარჯვნივ მეორე სართულზე ასასვლელი კიბეა. მეორე სართულზე ხუთი ოთახია, პირველ ოთახში დაცულია მემორ. ნივთები (მაგიდა, სკამი, საათი, ტანსაცმელი), დანარჩენი ოთახები დათმობილი აქვს გამოფენას, რ-იც მოეწყო 1976 წ. ოქტ. დიდი მეცნიერის 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით.

(ბ) 1983 წ. 15 ოქტ., აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნის დღეს, საზეიმოდ გაიხსნა მისი ძეგლი. მოქანდ. ჯ. თუშურაშვილი, არქიტ. ლ. ჩომახიძე. ქანდაკება (სიმ. 4,3 მ) წარმოადგენს სტილიზებულ სიცოცხლის ხეს („ხეები ნათლისა"), რ-ზედაც გამოსახულია ისტ.-ყოფითი დეტალები. მათ ფონზე ამოკვეთილია ივ. ჯავახიშვილის სკულპტურული პორტრეტი.

*ბიბლ.:* 74; 165.

*ბერძ. ც.*

## ჯავახაანთ ციხე,

იხ. სოფ. ჭყოპიანი, დრისის ჯავახაანთ ციხის კომპლექსი



292. საერთო ხედი

## III. მცხეთის რაიონი




● დასახლებული პუნქტი, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი

■ ცალკე მდგომი ძეგლი



სოფ. ᲪᲘᲮᲘᲡᲫᲘᲠᲘ. ქსნის ციხე (III.203)



III. **მ ც ხ ე თ ი ს  რ ა ი ო ნ ი** მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. 1917 წლამდე მცხეთის რაიონის ტერიტორია შედიოდა ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში, 1917 წლიდან 1929 წლამდე — ტფილისის მაზრაში, 1929 წლიდან 1930 წლის 1 ოქტომბრამდე ტფილისის ოლქში, ხოლო 1930 წლიდან 1934 წლამდე ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო. 1934-1938 წლებში დაექვემდებარა თბილისის გარეუბნის რაიონს. 1938 წლიდან კვლავ ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია. ჩრდილოეთით ესაზღვრება დუშეთის და თიანეთის, სამხრეთით — თეთრიწყაროს, გარდაბნის რაიონები და ქალაქი თბილისი, აღმოსავლეთით — საგარეჯოს, დასავლეთით — კასპის რაიონები. ფართობი 812,5 *კვ კმ*. მოსახლეობა 57.000 რაიონული ცენტრია ქალაქი მცხეთა, რაიონში შედის 1 საქალაქო საბჭო (მცხეთა), 13 სასოფლო საბჭო (გალავანი, გლდანი, დიღომი, ლისი, მისაქციელი, მუხრანი, ნიჩბისი, საგურამო, ქსოვრისი, ცხვარიჭამია, ძეგვი, წეროვანი, წილკანი), 70 სოფელი.

რაიონის ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია მუხრან-საგურამოს ვაკეს (ზ. დ. 500-650 *მ*). სამხრეთ ნაწილში წლევა-თხოთისა და სხალტბის ქედებია, აღმოსავლეთით ქართლისა და საგურამოს ქედების კალთები ეშვება. რელიეფი დაბალმთიანია. ცალკეული მწვერვალების სიმაღლე 1600 *მ*-ს არ აღემატება. მთავარი მდინარეებია: მტკვარი, არაგვი, ქსანი, ნარეკვავი, თეზამი.

მცხეთის რაიონი ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქშია მოქცეული. ზამთარი ზომიერად ცივია, ზაფხული — ცხელი. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 10,8-12 C-მდეა, იანვრისა — 1,1-0,3 -მდე, ივლისის 22-23,6 C. ნალექების წლიური რაოდენობა 575 *მმ*-დან 635 *მმ*-მდე აღწევს.

გავრცელებულია მდელოს ალუვიური კარბონატული, მდელოს ყავისფერი და ტყის ყავისფერი ნიადაგები. წიაღისეული სიმდიდრეებიდან აღსანიშნავია ქსნისა და მცხეთის აგურკრამიტის თიხები, ძეგვის მერგელები და კირქვები. ტყეს უჭირავს 4036 *ჰა*. განსაკუთრებით ხშირი ტყეებია რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მთების კალთებზე, აქვეა საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალი.

რაიონის ტერიტორიაზე გადის ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზი, საქართველოს სამხედრო გზა და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები.

რაიონში შემდეგი სამრეწველო დაწესებულებებია: „გოელროს" გეგმის მიხედვით აგებული ამიერკავკასიაში პირველი ჰიდროელექტროსადგური — ვ. ი. ლენინის სახელობის კასკადი № 1 (ზაჰესი), საქართველოს სსრ მთავარენერგოს სამრეწველო-სარემონტო საწარმოს სამრეწველო ბაზა, თბილისის სასკოლო ინვენტარის კომბინატის მცხეთის ავეჯის ფაბრიკა, ქარხანა „პრომსვიაზი", ძეგვის სამშენ მასალათა კომბინატი, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მცხეთის სამკერვალო ფაბრიკა, გაერთიანება „სოლანის" მცხეთის კერამიკისა და სუვენირების, მხატვრულ ნაკეთობათა ექსპერიმენტული ფაბრიკა, საქართველოს სსრ უსინათლოთა საზოგადოების მცხეთის სასწავლო-საწარმოო წამოწყება, მცხეთის სათაო ავტოსატრანსპორტო საწარმო, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, კვების მრეწველობის (ფალკოპოლო წვენების, რძის, საკონსერვო ქარხნები) საწარმოები.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: მებოსტნეობა-მებაღეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მოჰყავთ მარცვლეული. განვითარებულია მეცხოველეობა, მისდევენ მეაბრეშუმეობას, არის 18 საბჭოთა და სახელმწიფო მეურნეობა.

რაიონში 54 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 40 საბავშვო ბაღი და ბაგაა. აქ არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მუხათგვერდის ბირთვული რეაქტორი, საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქ. სსრ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავი", საქ. სსრ ზონალური მანქანათა საგამომცდელო სადგური, მცხეთის სასელექციო სადგური, ი. წინამძღვრიშვილის სახ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სამუსიკო და კერამიკული სკოლები, 7 კულტურის სახლი, 20 საკლუბო დაწესებულება, 57 ბიბლიოთეკა, 2 საავადმყოფო, 14 ამბულატორია-პოლიკლინიკა, 15 მედპუნქტი. არის ტურბაზა, რომელსაც აქვს ფილიალი როქში. მცხეთაში არის სახალხო თეატრი, ხელოვნებისა და ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, საგურამოში — ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, გამოდის რაიონული გაზეთი „მცხეთა".

არქეოლოგიური მასალა და მატერიალური კულტურის ძეგლები მოწმობენ, რომ რაიონის ტერიტორიაზე ადამიანი უწყვეტად ცხოვრობს ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან დღემდე.

001. მცხეთა, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი 1956 წ-დან, მცხეთის რაიონისა და საქალაქო საბჭოების ადმინისტრაციული ცენტრი, ისტ. ძ. მდებარეობს მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესაყართან, მტკვრისა და არაგვის ორივე ნაპირზე, თბილისიდან დასავლეთით 21 კმ-ზე.

მცხეთასა და მის შემოგარენში („დიდი მცხეთა“) არქეოლოგიური გათხრები დაიწყო XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების (ხელმძღვანელი დ. ბაქრაძე) თაოსნობით. განსაკუთრებით გეგმიანი ინტენსიური არქეოლოგიური კვლევა გაიშალა 1930-იანი წლებიდან (ხელმძღვანელები: ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. ნიორაძე, ა. კალანდაძე, მ. ივაშჩენკო, ნ. ხოშტარია, გ. გობეჯიშვილი, გ. ლომთათიძე, ა. აფაქიძე).

არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, რომ მცხეთა და მისი შემოგარენი დასახლებული იყო ჯერ კიდევ ადრინდელ და შუა ბრინჯაოს ხანებში (III-II ათასწლეული). გვიანდელ ბრინჯაოსა და ადრინდელ რკინის ხანებში (II-I ათასწლეული) კი აქ მჭიდრო მოსახლეობაა. ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებისათვის ძველი სამოსახლოები ერთ დიდ ქალაქად — „დიდ მცხეთად“ გაერთიანდა. ლეგენდის მიხედვით ქალაქი დააარსა ეთნარქმა მცხეთოსმა.

ძვ. წ. III ს-ის დასაწყისში მცხეთა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს — ქართლის (იბერიის) დედაქალაქია. გადმოცემა ქართლის სამეფოს დამაარსებლად თვლის მცხეთის მკვიდრს ფარნავაზს, რომელსაც ქართლიდან განუდევნია უცხოელი დამპყრობლები და განთავისუფლებული ქართლის მეფე გამხდარა.

აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა მესხურმა ელემენტმა. მესხების სამოსახლო დღევანდელი მცხეთის ტერიტორიაზე უნდა გაჩენილიყო ძვ. წ. VIII ს. შემდეგ. ზოგიერთი მკვლევარი სახელწოდებას — „მცხეთა“ მესხების სატომო სახელს უკავშირებს.

მცხეთის გადედაქალაქებაში დიდი როლი ითამაშა მისმა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. აქ იყრიდა თავს გზები დასავლეთ საქართველოდან, მესხეთიდან, სომხეთიდან, ალბანეთიდან, ჩრდილო კავკასიიდან, მცხეთაზე გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზები — ე. წ. აბრეშუმის გზა, აქლემის გზა და ცხვრის გზა.

ანტიკური ხანის მცხეთა შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილისაგან „არმაზით კერძო ქალაქისა“ (მტკვრის მარჯვენა სანაპირო) და „მუხნარით კერძი ქალაქისაგან“ (მტკვრის მარცხენა სანაპირო). მისი მოსახლეობა სოციალურად და პროფესიულად დიფერენცირებული და ეთნიკურად ჭრელი იყო. მცხეთას რამდენიმე უბანი ჰქონდა: საკუთრივ მცხეთა, შიდაციხე (არმაზციხე, აკროპოლისი, რომელიც სამეფო რეზიდენცია და საჭირო შემთხვევაში მოქალაქეთა თავშესაფარიც იყო), საპიტიახშო, მოგვ-



001. საერთო ხედი. XIX ს-ის 80-იანი წ.წ. ა. როინაშვილის ფოტო

მცხეთა (III.001) და მიდამოები: 1. ბებრისციხე (011). 2. სამთავროს სამაროვანი და ნამოსახლარები (034(ა)); 3. სამთავროს კომპლექსი (030). 4. სამაროვანი (028). 5 კარიბჭე „არაგვის კარი", ნამოსახლარი და სამაროვანი (017); 6; კოდმანი II (018). 7. ბარბარეთის ეკლესია (010). 8. ნასოფლარი (026); 9. მგალობლიანთკარის ეკლესია (021). 10. ღვთისმშობლის ეკლესია (040); 11. მცხეთის ნაქალაქარის სვეტიცხოვლის უბანი (023 ა(ა)). 12. მცხეთის ნაქალაქარის სვეტიცხოვლის უბანი (023 ა(ბ)); 13. ქვაყუთი (039 ); 14. საცხოვრებელი სახლი (033); 15. სვეტიცხოვლის კომპლექსი (037); 16. ბეთსაიანია (012ა); 17. მცხეთის გორა (023); 18. წმ. დემეტრეს ეკლესია (041); 19. მცხეთის ნაქალაქარის სვეტიცხოვლის უბანი (023 ა(გ)). 20. მიხეილ მამულაშვილის სახლი (019). 20. მცხეთის ჯვარი (024). 22 ანტიოქია (003); 23. არსენას ძეგლი (008); 24. პომპეუსის ხიდი (027); 25 კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესია (015); 26. არმაზციხე (007); 27. აკლდამა (002); 28. არმაზისხევი (006); 29. მოგვთაკარის სამაროვანი და ნამოსახლარი (022); 30 ეკლესია ღვთისმშობელი (014); 31 წმ. ნინოს ეკლესია და ციხე-გალავანი (122); 32. არმაზის ღვთისმშობლის ეკლესია (004); 33 მეთუნეთა ნამოსახლარი (119); 34. მინის სახელოსნო (120); 35. ღვთისმშობლის ეკლესია (040); 36. სამარხი (105); 37. ზაჰესი (103(ე)); 38. ვ. ი. ლენინის ძეგლი (103(ე)); 39. არმაზის ციხე (005); 40 მუხათგვერდი I (139) 41. მუხათგვერდი II (140); 42. რეაქტორი (141).



თა, სარკინე, წიწამური, ნაქულბაქევი (ურიათუბანი) და სხვ. თითოეულ უბანში მოსახლეობა ძირითადად მისდევდა მეურნეობის ერთ რომელიმე დარგს — ლითონის წარმოებას (სარკინე), სოფლის მეურნეობას (წიწამური) და სხვ. უბნების ციხე-სიმაგრეები ქმნიდნენ „დიდი მცხეთის" ერთიან სათავდაცვო სისტემას. მცხეთას ჩრდილოეთიდან იცავდა ღართისკარ-ბებრისციხე-წიწამურის, დასავლეთიდან — სარკინე-სავანის, აღმოსავლეთიდან კი ნაქულბაქევ-ზემო ავჭალის სასიმაგრო ნაგებობები. გორაკებზე აღმართული იყო კერპები (არმაზი — ბაგინეთის მთაზე, აინინა და დანინა არმაზის გზის პირას, ზადენი წიწამურის მთაზე და ა. შ.). ხოლო დაბლობში განლაგებული იყო სახელოსნოები, ბაღ-ვენახები, სასაფლაოები.

ფარნავაზისა და მისი მემკვიდრეების (საურმაგი, მირიან I, ფარნაჯომი, არსოკი, არტაგი) დროს მცხეთაში აშენდა სათავდაცვო, საკულტო და სხვა სახის ნაგებობანი. ამ პერიოდის მაღალ სამშენებლო და ხუროთმოძღვრულ კულტურაზე მიუთითებს არმაზციხესა და პიტიახშების რეზიდენციაში გათხრილი ნაგებობების ნაშთები, ქალაქის მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის თანამდებობის არსებობა და სხვ.

დედაქალაქობის ხანის მცხეთა ხელოსნობა-ვაჭრობის ცენტრი იყო. არქეოლოგიური მასალით დასტურდება, რომ ხელოსნური წარმოების უმთავრესი დარგები იყო მეთუნეობა, მელითონეობა, ქვითხუროობა, ხითხუროობა და მინის წარმოება. იყვნენ: მეთუნეები (მეკრამიტენი, მეაგურენი მეჭურჭლენი, წყალსადენის მილების მკეთებელნი), კვერითხურონი, ქვითხურონი, ხითხურონი, მინის მბერავნი, ოქრომჭედელნი, წამწრელნი, ქვის მკვეთავნი (გემათა მომჭრელნი), ფულის მომჭრელნი და სხვ. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" მიხედვით ირკვევა, რომ VI ს-ში მცხეთაში არსებობდა მეხამლე და მეჯადაგე ხელოსანთა რელიგიურ-ეთნიკური პრინციპების საფუძველზე შექმნილი კორპორაცია.

ფართო საგარეო სავაჭრო ურთიერთობის მაჩვენებელია მცხეთაში აღმოჩენილი უცხოური მონეტები (რომაული, პართული, სასანური) და ძვირფასი ნივთები. „ქართლის მოქცევის" ქრონიკის ავტორი გვამცნობს, რომ მცხეთაში რელიგიური დღესასწაულების დროს იმართებოდა დიდი ბაზრობა.

ძვ. წ. 65 წ. რომაელთა მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული ჯარი პომპეუსის სარდლობით იბერიაში შემოიჭრა და ისე მოულოდნელად მიადგა მცხეთის აკროპოლისს (არმაზციხეს), რომ მისი დაცვა შეუძლებელი გახდა. იბერთა მეფე არტაგი საჩქაროდ გადავიდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე და მტრის შეჩერების მიზნით ხიდი დაწვა. მტერმა არმაზციხე აიღო. იბერიის ჯარმა დამპყრობლებს შეუპოვარი წინააღმდეგობა მტკვრის მარცხენა ნაპირზე გაუწია, მაგრამ მაინც დამარცხდა. არტაგმა ამ ბრძოლაში 19 ათასი კაცი დაკარგა მოკლულთა და ტყვეთა სახით. საზავო ხელშეკრულებით რომაელებმა არტაგს თავს მოახვიეს რომის პოლიტიკური „მეგობრობა" და სამხედრო „მოკავშირეობა".

რომაელებთან „მეგობრული" ურთიერთობა გაგრძელდა შემდეგ პერიოდშიც, რასაც ადასტურებს ნაქულბაქევთან აღმოჩენილი ქვაზე ამოკვეთილი ბერძნული წარწერა (ახ. წ. 75 წ.). წარწერის მიხედვით რომაელთა იმპერატორ ვესპასიანეს იბერთა მეფე მითრიდატესათვის ქალაქის ზღუდე გაუმაგრებია.

მცხეთის მიდამოებში სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლებით გაირკვა, რომ იბერიაში არსებობდა რთული სახელმწიფო აპარატი, დიდი სამოხელეო თანამდებობანი მემკვიდრეობით გადადიოდა. ცნობილი გახდნენ ისტორიული პირები. „იბერთა დიდი მეფე" ქსეფარნუგი, მეფე ფლავიოს დადე, დედოფალი იამაზასპი, პიტიახშები — აგრიპა, ასპარუგი, არზამესი, ბურსუმა, ზევახი (ჯავახი), ეზოსმოძღვარი იოდმანგანი, ზევახის მეუღლე კარპაკი და მათი ასული 21 წლის ასაკში გარდაცვლილი სერაფიტი, მცხეთის მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელიუს აქოლისი და მისი მეუღლე ბევრაზურია, ქვისმჭრელი პლატონი და ა. შ.

IV ს-ის დასაწყისში, მირიანის მეფობის დროს, ნინო კაპადოკიელმა ქართლში ქრისტიანობა იქადაგა. ჯერ გაბატონებული კლასის წარმომადგენლებმა მიიღეს ქრისტიანობა, ხოლო შემდეგ ხალხიც მონათლეს. 337 წ. ქრისტიანობა იბერიაში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მცხეთაში, სამეფო ბაღში, აშენდა ხის პირველი ეკლესია (ამჟამად მის ადგილზე სვეტიცხოვლის ტაძარი დგას). შემდეგ ხის სამი დიდი ჯვარი აღმართეს: ერთი იმ მთაზე, სადაც ახლა მცხეთის ჯვარია, მეორე — თხოთის მთაზე, მესამე კი — უჯარმაში.

IV-V სს-დან საქართველოში იწყება ფეოდალური ურთიერთობების განვითარება. ქართლში შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ (ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ, აღმოსავლეთის პროვინციების ექსპანსია) გამოიწვია თბილისის მნიშვნელობის გაზრდა. ვახტანგ გორგასალის ძის დაჩის მეფობის დროს (VI ს. დასაწყისი) თბილისი ქართლის დედაქალაქი გახდა. დედაქალაქის თბილისში გადატანის შემდეგ მცხეთა საეკლესიო-რელიგიური ცენტრია, სვეტიცხოველი — საპატრიარქო ტაძარი.

მურვან ყრუს გამანადგურებელი ლაშქრობის (736-38 წწ.) შემდეგ მცხეთა ქალაქად აღარ იხსენიება. ქალაქის ტერიტორია საგრძნობლად შემცირდა და შემოიფარგლა მტკვრისა და არაგვის შესართავთან არსებული სამკუთხა კონცხით. XV ს. დასაწყისში მცხეთა თემურლენგმა დაარბია.

მცხეთასა და მის მიდამოებში ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის არაერთი ღირსშესანიშნავი ძეგლია: მცხეთის ჯვარი (VI-VII სს.),

01. გ. გაგარინი. მცხეთობა. 1847 წ.



სვეტიცხოველი (XI ს.), სამთავრო (XI ს.), ზედაზენი (დაარსებულია VI ს., ნათლისმცემლის ბაზილიკა VIII ს.), ანტიოქია (VII-VIII სს.), კალოუბნის ეკლესია (XII ს.), ბებრისციხე (ადრინდელი შუა საუკუნეები) და სხვ.

ფეოდალური ხანის მცხეთაში ფართოდ იყო გაშლილი საგანმანათლებლო მუშაობა. VI ს-ში აქ შეიქმნა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა". მცხეთაში მოღვაწეობდნენ არსენ დიდი (IX ს.), არსენ II (X ს.), წიგნობარ-კალიგრაფები მაღალაძეები (XV-XVIII სს.) და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების (1801 წ.) შემდეგ მცხეთა დუშეთის მაზრის პატარა სოფლად იქცა. 1872 წლის 10 ოქტომბერს გაიხსნა ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მთელი საქართველოს, კერძოდ კი მცხეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მცხეთასა და მის ღირსშესანიშნაობებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

პირველ ხუთწლედში აშენდა და ამოქმედდა ხე-ტყის ქარხანა და „აზნეფთის" ბაქო-ბათუმის ნავთსადენი ხაზის მცხეთის საქაჩი სადგური.

1940 წ. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით არმაზის მიდამოები გამოცხადდა ნაკრძალად. 1955 წ. მცხეთაში დაარსდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

1957 წ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მცხეთის ტერიტორია მდინარეებს არაგვსა და მტკვარს შუა ბებრისციხემდე გამოცხადდა არქეოლოგიურ ნაკრძალად. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წ. დადგენილებით მთლიანად მცხეთა გამოცხადდა არქეოლოგიურ ნაკრძალად, ხოლო 1968 წ. 6 ნოემბრის დადგენილებით — ქალაქ-მუზეუმად.

1973 წ. დამტკიცდა ქალაქ-მუზეუმ მცხეთის განვითარების გენერალური გეგმის პროექტი (ავტორები — არქიტექტორები: ე. ბაგრატიონი, ა. გოცირიძე, ც. დიდებულიძე, თ. მენაბდე, ა. ლომთაძე, ვ. საგინაშვილი, ვ. ფაფერაშვილი, ინჟინერ-ეკონომისტი ვ. ბარათაშვილი). გენერალური გეგმა ითვალისწინებს მცხეთის ძველი ნაწილის ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების მასშტაბის და ხილუეტის შენარჩუნებას. ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ახალი ტერიტორიების ათვისება ძირითადად ბებრისციხის ჩრდილოეთით არის გათვალისწინებული. აქ უკვე დაიწყო საცხოვრებელი მიკრორაიონის განაშენიანება. 1984 წ. შედგენილ იქნა მცხეთის ისტორიული ზონის არქიტექტურულ-ფუნქციური ორგანიზების იდეა-პროგრამა (ავტორები — არქიტექტორები: რ ბერიძე, მ. გედენიძე, მ. კუჭუნავა, ი მახარაშვილი, გ. შაიშმელაშვილი — ხელმძღვანელი). იგი ითვალისწინებს ჩამოყალიბებული, ურთიერთშეწონასწორებული არქიტექტურულ-ლანდშაფტური დომინანტების (მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი, სამთავრო, ბებრისციხე და სხვ.) ვიზუალური კომუნიკაციების არსებული სისტემის შენარჩუნებას, ხაზგასმას და, საჭირო შემთხვევაში, დაკარგული კომპონენტების აღდგენას.

1974 წ. 24 აპრილს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ჩამოყალიბდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ა. აფაქიძე). საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წ. 14 სექტემბრის დადგენილებით მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა მცხეთის ხელოვნებისა და ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი. ყოველი წლის ოქტომბრის თვეში ტარდება სახალხო დღესასწაული მცხეთობა.

მცხეთაში მრავალი სამრეწველო საწარმო და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებაა.

*ბიბლ.:* 16; 17; 35; 75; 137; 176 ა, ბ, გ, დ, ე, ვ; 201 ა, ბ; 242; 291; 292; 296.

*აფრ. გ.*



001 სასტუმრო. არქიტექტორები დ. აბესაძე, ნ. ნიკამაშვ. 1982 წ.

002. აკლდამა, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს მცხეთის რკ-გზ. სადგურის სამხრ-ით 300 *მ*-ზე. თარიღდება I-II სს. მიჯნით.

1951 წ. ა. გათხარა იაე ინ-ტის ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. ლომთათიძე). აღმოჩენილი ნივთები ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ა. აგებულია კლდოვანი მთის ციცაბო კალთის ძირას, საგანგებოდ ამოჭრილ სწორკუთხა ქვაბულში (9,1X X1,5 *მ*), რ-ის კედლები (სიმ. 1,6-2,1 *მ*) ამოყვანილია ნატეხი ქვით და შელესილია თიხით. ქვაბულის ჩრდ. კედელში მიწაში ამოკვეთილი საფეხურები ქვით არის მოგებული. ა-ის წინ თიხით მოტკეპნილი ეზოა (5,23X X4,5 *მ*); ქვაბულის ჩრდ.-აღმ. კუთხეში ცხენი იყო დაკრძალული.

ა. გეგმით სწორკუთხა ერთსენაკიანი ნაგებობაა (2,33-2,37X1,75-1,8 *მ*; სიმ 1,9 *მ*). ქვის წყობა უდუღაბოა. გარედან კედლები, გარდა აღმ-ისა, უსწორმასწოროდ ნაწყობი ქვებითაა ნაგები. აღმ-ის ფასადი ამოყვანილია მოყვითალო ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის, კარგად დამუშავებული კვადრებით, დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე და დასრულებულია მარტივლავგარდნიანი ფრონტონით. შესასვლელი პროფილირებული საპირითაა მოჩარჩოებული. კამარა ცილინდრულია. ა. გადახურულია ანტ. ხანის მცხეთაში გავრცელებული ორი სახის (ბრტყელი გვერდებაკეცილი და ვიწრო ღარისებრი ქიმიანი) კრამიტით. სახურავი ორფერდაა. შიგნიდან ა-ის კედლები, კამარა და კარის წირთხლები შელესილია, იატაკი მოგებულია სწორკუთხა ფილებით ღორღისა და ქვიშის საფუძველზე. ა-ში აღმოჩნდა: ქალისა და ბავშვის ძვლები; ნახევრად ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს აბზინ-





002. ფასადი, აქსონომეტრიული ჭრილი (გ. ლეჟავას მიხედვით)

002. გეგმა (გ. ლეჟავას მიხედვით)

და; ოქროს, პასტის, მინისა და ქვის მძივები, ოქროს საკიდები და ღილები; დამკვრელ-მომღერალი ჭაბუკის — პანის ბრინჯაოს ქანდაკება; ნაირფერი მინის სანელსაცხებლები; მონეტები — 69 ვერცხლისა (პართული დრაქმები, ავგუსტუსის დენარები და სხვ.) და 10 ოქროსი (4 რომაული აურეუსი, 5 სტატერის ადგილ. მინაბაძი, 1 ნახევარმზადი).

ა. ანტ. ხანის საქართველოს მნიშვნელოვანი არქიტ. ძ-ია. ამგვარი აკლდამები აღმოჩენილია ჩრდილო შავიზღვისპირეთში, მცირე აზიაში, საქართველოში (ბაგინეთის აკლდამა).

ბიბლ.: 15; 135:12-13, 21, ტაბულა LXV-LXXIV; 140; 310; 339:116-126.

*ც. ო.*



003. ანტიოქია, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას მდ. არაგვის მარჯვ. ნაპირზე, არაგვისა და მტკვრის შესაყართან. შედგება სხვადასხვა დროის ნაგებობებისაგან: ძველი სამნავიანი ბაზილიკის ჩრდ-ის ნავიდან გადაკეთებული დარბაზული ეკლესიისაგან (VII-VIII სს.), კარიბჭისა და კარიბჭეზე დაშენებული სათავდაცვო კოშკისაგან (XVI-XVIII სს.). ეკლესიის სამი კედელი და კარიბჭე ნაგებია ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებით, ხოლო ეკლესიის სამხრ. კედელი (გვიანდელია) და სათავდაცვო კოშკი — ნატეხი ქვით, რიყის ქვითა და აგურით.

ეკლ. დარბაზულია (7,9X4 *მ*). შესასვლელი დას-ის მხრიდან, კარიბჭიდან აქვს. აღმ-ის ნახევარწრიულ აფსიდში გაჭრილია სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს პატარა ნიშებია. აფსიდის მხრის ძირში, სამხრ-ით, და სარკმლის წირთხლში, ჩრდ-ით, ჩასმული ორნამენტებიანი ფრაგმენტები გვიანდელია. აფსიდის ჩრდ-ის მხართან შემორჩენილია კანკელის ფრაგმენტი. ეკლესიის ჩრდ. კედელში ერთი სარკმელია (გვიანდელია). ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი სამხრ-ით კონსოლს ეყრდნობა, ჩრდ-ით — პილასტრს. ნალისებრი სატრიუმფო თაღი ჩრდ-ით აფსიდის მხარში ჩასმულ პროფილირებულ კაპიტელზეა დაყრდნობილი, ხოლო სამხრ-ით — კონსოლზე. აფსიდის მხარს ამ ადგილას სამხრ-ის კედლის თაღიც ეყრდნობა. სამხრ-ის კედლის ნალისებრი ორმაგი თაღი შუაში ოთხკუთხა ბოძს ემყარება.

ნაგებობა ერთსაფეხურიან ცოკოლზე დგას (აღმ-ით სუბსტრუქციაა). აღმ. ფასადზე სარკმელი პროფილირებულია. შემორჩენილია გვიანდ. ლავგარდნის ფრაგმენტები. ეკლ. გადახურულია ცალფერდა სახურავით.

ეკლესიას დას-ით მიშენებული აქვს გეგმით კვადრ. (5,2X4,67 *მ*) ორსართულიანი კარიბჭე. შესასვლელი პირველ სართულზეა, ჩრდ-ით. აქ



003. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



003. გეგმა

ორმაგი თაღი (აღმ-ისა ამოშენებულია) შუაში ჯვაროვანი გეგმის ბოძს ეყრდნობა, არაწესიერი ფორმის ცილინდრული კამარის სამი საბჯენი თაღი კი კონსოლებს; კედლები შელესილია. დას-ის კედლის სარკმელი ამოქოლილია. ფასადები დასრულებულია ორმაგლილვიანი ლავგარდნით.

კარიბჭის მეორე სართულისგან (სათავდაცვო კოშკისგან) შემორჩენილია სათოფურებიანი კედლების მცირე ნაწილი.

*ბიბლ.:* 361:22. *ანდღ. ნ.*

004. არმაზის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას მცხეთის რ-ნში. სადგურიდან 3 კმ-ზე, მდ. არმაზისწყლის მარჯვ. ნაპირზე. აგებულია XII ს. II ნახ-ში. ეკლესიას დას-ით კარიბჭე ეკვრის, ჩრდ-ით – მინაშენი. კარიბჭის ჩრდ-ით საძვალეა.

ეკლ., კარიბჭე და მინაშენი ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით, საძვალე – რიყისა და ნატეხი ქვით, აგური ნახმარია დეკორატ. მიზნით. წყობა ირეგულარულია. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, კონქი, კედლები.

ღვთისმშობლის ეკლ. დარბაზულია (14,2X8,2 *მ*). შესასვლელი დას-დანაა. შიდა სივრცე გამლილია; განიერი საკურთხეველი და მის წინ ბემა კიდევ უფრო ზრდის სივრცეს. კამარის საბჯენი თაღი პილასტრებს ეყრდნობა. განივ კედლებში თითო სარკმელია, ჩრდ-ისაში – ორი.

ეკლ. აგებისთანავე მოუხატავთ. (ა) მოხატულობის ნაშთები შემორჩენილია საკურთხეველსა და დას-ის კედელზე. საკურთხევლის მხატვრობა მოწითალო-აგურისფერი ხაზით დაყოფილია სამ რეგისტრად. კონქის კომპოზიცია არ შემორჩენილა. შუა რეგისტრში გაირჩევა მოციქულთა დიდი ზომის წელზედა გამოსახულებები. ქვედა რეგისტრში გამოსახული არიან ეკლესიის მამანი. დარბაზის დას-ის კედლის სამხრ. მხარეს ჩანს წმინდა მეომრის ფიგურა შუბითა და ფარით ხელში. საკურთხევლის სარკმელში დარჩენილი ყვითელი ოქროს, მწვანე, ცისფერი და ლურჯი საღებავებით შესრულებული მცენარეული ორნამენტის ნაშთები წარმოდგენას იძლევა მოხატულობის კოლორიტზე. მხატვრობა მონუმ. ხასიათისაა, მისთვის დამახასიათებელია რბილი დენადი ნახატი, ფიგურათა დახვეწილი პროპორციები.

კარიბჭეს (3,6X5,19 *მ*) დას-ით ღია შესასვლელი აქვს, რ-ის შეისრული თაღი აგურით ამოყვანილ ფიგურულ სვეტებს ეყრდნობა.

მინაშენი (10,8X3,2 *მ*) აფსიდიანია. კამარის აღმ. ნაწილი უფრო მაღალია, ვიდრე დას-ისა; სამხრ-ის მხარეს კამარა ეკლესიის ჩრდ. ფასადთან ამოყვანილ ვიწრო (0,27 *მ*) კედელს ეყრდნობა. აფსიდის ღერძზე და დას. კედელში თითო სარკმელია, ჩრდ. კედელში – ორი.

საძვალე (3,7X3,6 *მ*) გუმბათოვანია, ოდნავ წაგრძელებული ჩრდ-დან სამხრ-კენ. შესასვლელი დას-ითაა. აფსიდი ნახევარწრეზე ნაკლებია. შესასვლელის თავზე მოთავსებული იყო ფილა ათსტრიქონიანი ასომთავრული წარწერით (დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმში) წარწერა ეკლესიის თანადროულია. პალეოგრაფიული ანალიზითა და წარწერაში მოხსენიებული ისტ. პირების მიხედვით იგი 1150-78 წწ-ით დათარიღდა. ოთხივე ნაგებობა ცალ-ცალკეა აგებული XII ს. II ნახ-ში.



004. გეგმა

ეკლესიის დას-ით დგას სამრეკლო (ბ) აგებულია XVI-XVII სს-ში. ნაშენია ნატეხი ქვითა და აგურით. ნაგებობა ორსართულიანია. ქვედა სართულის (მოგვიანებით დახურულ სათავსად გადაკეთებიათ) კამარა შეისრულია. მეორე სართული – რვაწახნაგა ფანჩატური რვა ღია თაღით – გადახურულია კამარით. მოგვიანებით სამრეკლოსათვის სათავსი მიუშენებიათ.

*ბიბლ.:* 25; 314; 356; 361:29-33.
*ანდღ. ნ., დ. ფ.*



004. განივი განაკვეთი დას-კენ



005. გეგმა

005. არმაზის ციხე, არქიტ. ძ. დგას არმაზისხევის სათავესთან, რკ.-გზ. ხაზის სამხრ-ით, 3 კმ-ზე, ორ ხევს შორის აღმართულ ძნელად მისადგომ მაღალ კლდოვან მთაზე. თარიღდება XIII-XV სს.

ციხე შედგება გალავნისა და კოშკისაგან. ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია. ციხეს შესასვლელი სამხრ.-ალმ-ით ჰქონია (შემორჩენილია კვალი). (ა) გ ა ლ ა ვ ა ნ ი გეგმით ტრაპეციისმაგვარია (26X27,5 მ). (ბ) კ ო შ კ ი გალავნის სამხრ ნაწილში დგას იგი წიბოებმომრგვალებულ სამკუთხა პრიზმს წარმოადგენს (გვერდების სიგრ. 13,5 მ). პირველი სართული ყრუა. შიგნით მისი ერთი კუთხე ცერადაა გადატიხრული (სამეურნეო დანიშნულებისათვის). შესასვლელი მეორე სართულზეა, ჩრდ-ით. ამ სართულზე მოზრდილი სარკმლებია. მესამე სართულის კედლების მხოლოდ ქვედა ნაწილია შემორჩენილი. ზ. პ.

006. არმაზისხევი, არქეოლ., არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს მცხეთის რკ.-გზ. სადგურის დას-ით, 2 კმ-ზე, არმაზისხევისა და მდ. მტკვრის შესართავთან, მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ერთ-ერთ ტერასაზე. ა-ის არქეოლ. ძეგლები შემოზღუდულია და აქ საველე მუზეუმია შექმნილი. გათხრილი სხვადასხვა ტიპის სამარხები და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები ძირითადად ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან შუა საუკუნეებამდე პერიოდით თარიღდება. არის ენეოლითისა (ობსიდიანის იარაღის სახელოსნოს ნაშთები) და ბრინჯაოს ხანის (ორმოსამარხი) ძეგლებიც.

ა-ში არქეოლ. გათხრები ჩატარდა 1937-41, 1943-46 წწ. გათხრები ჩაატარა ჯერ ენიმკი-ს არმაზის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. კალანდაძე), შემდეგ იაე ინ-ტის მცხეთის არქეოლ. ექსპედიციის არმაზის ჯგუფმა (ხელმძღვ. ა. აფაქიძე), და ბოლოს იმავე ექსპედიციის არმაზისხევის რაზმმა (ხელმძღვ. გ. ლომთათიძე).

მოპოვებული მასალის ნაწილი ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, ნაწილი — იაე ინ-ტის საექსპედიციო ბაზასა და საველე მუზეუმში.

(ა) ს ა მ ა რ ხ ე ბ ი. ა-ის მინდორზე გაითხარა გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანის ორმოსამარხები, II-IV და IV-IX სს-ით დათარიღებული სამაროვნები. ძირითადი უბ-

006. ყელსაბამი: ოქრო, ალმანდინი, ფირუზი; II ს. (დიამეტრი 200-220 მმ); შუაში მარცხნივ. მედალიონი: ოქრო, გრანატი, მინა; II ს (დიამეტრი 16 მმ). მარჯვნივ: წყვილი საყურე: ოქრო, ალმანდინი; II ს. (სიგრძე 65 მმ).



006. პირველი რიგი მარცხნიდან — *წყვილი საყურე*: ოქრო, მარგალიტი, მინა, IV ს. (სიგრძე 74 მმ); *ყელსაბამი*: ოქრო, ალმანდინი, მარგალიტი, სარდიონ-ფრცხილი, III ს. (ძეწკვის სიგრძე 470 მმ; სიგანე 19 მმ). კამეა ძაღლის გამოსახულებით. *წყვილი საყურე*: ოქრო, სპილენძი, ალმანდინი, მარგალიტი, მინა. IV ს. (სიგრძე 50 და 55 მმ). მეორე რიგი — *სამაჯური*: ოქრო, პრაზემი, III ს. (სიგრძე 196 მმ), ინტალიო ათენას გამოსახულებით. მესამე რიგი — *სამაჯური*: ოქრო, ალმანდინი, მინა, IV ს. (სიგრძე 207 მმ)



ნის შუაგულში თავმოყრილი ერისთავთა და სხვა მდიდრული სამარხები, აგრეთვე სამხრ.-აღმ-ითა და ჩრდ.-დას-ით განლაგებული ღარიბული სამარხები II-III სს-ით თარიღდება. ამ უბნის სამხრ.-აღმ. ნაწილში IV ს-ის მდიდრული სამარხებია.

ერისთავთა სამარხებში აღმოჩნდა ორი მთლიანკვეთილი სარკოფაგი. ერთი — ბანურსახურავიანი, მეორე — ორფერდასახურავიანი. დანარჩენი შვიდი შედგენილი, ფილაქვით ნაგები ქვის სამარხებია, რ-თაგან სამს ორფერდა სახურავი აქვს, ხოლო ოთხს — ბანური. IV ს-ის თოთხმეტივე სამარხი ფილაქვითაა ნაგები. მათგან სამს ორფერდა სახურავი აქვს, თერთმეტს კი ბანური. აგების წესის მიხედვით II-III და IV სს. სამარხთა შორის შეიმჩნევა როგორც მსგავსება, ისე განსხვავება. ერისთავთა სამარხები აგებულია კარგად გათლილ-გამოკოდილი ფილაქვებით. კედლის და სახურავის ფილები მჭიდროდაა გადაბმული რკინის სამაგრებით, რ-თა ბოლოები საგანგებო ფოსოებში ჩადუღებულია ტყვიით. ერისთავთა სამარხებიდან ორი მოქცეულია საგანგებო დანიშნულების ქვითკირის ნაგებობაში. IV ს. სამარხებში ასეთი შემთხვევა არ არის. IV ს. სამარხების შემადგენელი ფი-




006. 1937-38, 1940-41, 1943-46 წწ. გათხრების გენგეგმა



006(ბ). ხაჟრთო ხელი

ლაქვები იშვიათადაა გათლილი და ნარიბანდებიც ნაკლები გულმოდგინებითაა ამოჭრილი. მათ ასაგებად ზოგჯერ ძვ. მასალაა გამოყენებული. ამ ჯგუფის სამარხთა ნაწიბურები ხშირად კირით არის ამოლესილი. იატაკი ორივე ჯგუფის სამარხებშია, მაგრამ პირველ ჯგუფში იგი უკლებლივ ყველასა აქვს (ქვის ან კერამიკული ფილების), მეორე ჯგუფში კი თითო-ოროლას.

სამარხთა და მიცვალებულთა დამხრობა ორივე ჯგუფში ერთნაირია — მეტწილად დას-დან აღმ-ისაკენ ან თავით დას-კენ. მიცვალებულები ძირითადად პირაღმა გაშოტილი წვანან. ერისთავთა ერთ-ერთ სამარხში ჩონჩხის მთავარი ძვლები დალაგებული იყო ვერცხლის ჭურჭელზე (მეორედ დაკრძალვა). ერისთავთა სამარხები ყველა ინდივიდუალურია, მეორე ჯგუფში კი არის კოლექტიური, საოჯახო სამარხები. ერისთავთა სამარხებში მიცვალებულის ვერცხლისფეხებიან სარეცელზე დასვენების სამი შემთხვევაა, IV ს-ის სამარხებში — არცერთი. მიცვალებულები აქ რკინის ლურსმნებით შეკრულ ხის კუბოებში ასვენია.

ერისთავთა სამარხებში აღმოჩნდა: ერისთავთა ინსიგნიები (საზეიმო სატევრები, საბეჭდავი, სარტყელი, დიადემა), მონეტები, ვერცხლის ჭურჭელი (სადღვინე სურები,ნაირნაირი სასმისები, დეკორატ. ლანგარი, პინაკები სკულპტურული გამოსახულებებით და სხვ.), მინის ჭურჭელი (მეტწილად სანელსაცხებლები), სამკაული (საშუბლე გვირგვინები, სამაჯურები, ყელსაკიდები, საწვივე რგოლები, აბზინდები, საყურეები, ბეჭდები, მძივები, საკიდები, კილიტები, საკინძები და სხვ.), თილისმაავგაროზები, მხედრისა და ცხენის აღკაზმულობის ნაწილები (ლაგამი, დეზები); წამოსასხამთა თუ ცხედრის საფართა ოქროს შემკულობა (კილიტები), ფეხსაცმლის ნაშთები, რკინის დანისპირები, სარკეები და სხვა პირსაფარეშო საგნები, თავსამკაულის ნაწილები და სხვ. IV ს-ის სამარხებში აღმოჩნდა მხოლოდ სამკაული (ოქროს საყურეები, მძივედი ყელსაბამები, დასახსრული და მძივედი სამაჯურები, ბეჭდები, ვერცხლისა და ბრინჯაოს აბზინდები და რკინის მშვილდსაკინძები, ერთი საავგაროზე მილაკი)

ერისთავთა სამარხებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი და მდიდრული ინვენტარი მაჩვენებელია იმდროინდელი აღმ.-ქართ. სამეფოს განვით. სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და მაღალი ეკონ. და კულტ. დონისა.

II-IV სს. სამაროვანზე აღმოჩენილ ინსიგნიებზე, სამკაულზე, ზოგიერთ ვერცხლის ჭურჭელსა და საფლავის ქვებზე ამოკვეთილია წარწერები.

II-III სს-ის ღარიბულ სამარხებს შეადგენს ორი კრამიტსამარხი და ორი ქვაყუთი. კრამიტსამარხთაგან ერთი სწორკუთხაა, მეორე ექვსკუთხა. სწორკუთხა კრამიტსამარხის კედელი ამოყვანილია ბრტყელი კრამიტით. ნაწიბურებზე გარედან აფარებულია ღარისებრი კრამიტები. სახურავი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტებისა იყო. ექვსკუთხა კრამიტსამარხში სახურავად და განივ კედლებად ფილაქვებია გამოყენებული. მიცვალებულები ესვენა პირდაპირ მოტკეპნილ იატაკზე, ფეხმოკეცილი, თავით დას-კენ. ქვაყუთების გრძივი კედლები და სახურავი ორ-ორი ფილაქვისაგან შედგება.

ერისთავთა თანამედროვე ყველა ღარიბული სამარხი დამხრობილია აღმ-დან დას-კენ. ამ სამარხებში აღმოჩნდა იაფფასიანი მასალისაგან მაგრამ ერისთავთა სამკაულ-ჭურჭლის მიბაძვით დამზადებული ნივთები.

(ბ) IV-IX სს. სამაროვანი ხაშ. და დაბალი სოციალური ფენების მასობრივი სასაფლაოა. სამარხები ნაგებია დაუდევრად, გაუთლელი ფილებით. გრძივი კედლები ხშირად ნატეხი ქვითა და თიხითაა ამოყვანილი. ყველა სამარხი დამხრობილია აღმ-დან დას-კენ (აქა-იქ მცირე გადახრით), მიცვალებულები ასვენია თავით დას-კენ, გულაღმა, ხელდაშვებული და გაშოტილი. ქვის სამარხები უმეტესად კოლექტიური, საოჯა-

006(გ). აქსონომეტრია, ზედა სართულის გეგმა



ხო სამარხებია. სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია სამკაული (სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის ღეროვანი და მშვილდური საკინძები, ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, აბზინდები, მძივები), ტანსაცმლის ლითონის ნაწილები და მინის ჭურჭელი. იშვიათად გვხვდება პატიოსანი თვლები და ძვირფასი ლითონი. იყო თითო-ოროლა რკინის დანისპირი, ორი ცალი არაბული მონეტა (VIII ს.), რკინის ლურსმნები.

ნ ა გ ე ბ ო ბ ა ნ ი სხვადასხვა დროისა და დანიშნულებისაა. აბანო, ზღურბლიანი ნაგებობა, ერთ- და ორსენაკიანი ნაგებობანი, მარანი და საკულტო ნამარხები ადრინდელია.

(გ) ა ბ ა ნ ო ძლიერ დაზიანებულია, ამჟამად მას რკინა-ბეტონის პავილიონი (ავტ. თ. კობახიძე) ადგას. აბანოს (სიგრ. 22 მ, მაქს. სიგ. 8,8 მ) საძირკველი ამოყვანილია რიყის ქვით, ხოლო კედლები — ნატეხი ქვიშაქვით. აბანო შედგება გასახდელი ოთახის, საცეცხლისა და სამი საბანაო (ცხელი, თბილი და ცივი) განყოფილებისაგან.

გასახდელი ოთახი (შემორჩენილია საძირკველი და კედლების ნაწილი) დას-ითაა, შენობის განაპირას. იატაკი ხისა უნდა ყოფილიყო. სამხრ-ის კედელში შესასვლელია, აღმ-ის კედელში გაჭრილი კარით (სიგ. 0,9 მ) გასახდელიდან საცეცხლის (ფართ. 6,8 კვ მ) თავზე არსებული სათავსის გავლით ცხელ აბანოში შედიოდნენ (მოგვიანებით ეს სათავსი სასაფლაოდ გამოუყენებიათ). ქვედა სართულში — საცეცხლეში — ქვის კიბით ჩადიოდნენ. საცეცხლის აღმ. კედელში ღუმელია (სიგრ. 1,54 მ, სიგ. 0,7 მ).

ცხელი აბანო (12,09X33 მ) უკეთესადაა შემონახული. იგი ორსართულიანია. ქვედა სართული კალორიფერს წარმოადგენს. ამ სართულის იატაკზე მრგვალი ან სწორკუთხა აგურის 45 სვეტი (სიმ. 1,1 მ, სიგ. 0,23 მ) იდგა. მრგვალი სვეტები უფრო დიდი დიამეტრის მქონე აგურზეა დაყენებული. სვეტები გადახურული ყოფილა სწორკუთხა ფილებით, რ-ებიც ზედა სართულის იატაკს ქმნიდა. ზედა სართულზე შემონახულია აუზი, რ-იც კვადრ. ფილაქვით ნაგები და ორივე მხარეს წყალგაუმტარი ხსნარით შელესილი კედლით გაყოფილია ორად: ერთი ცხელი წყლის აუზია, მეორე — ცივის. ცხელი ჰაერი კალორიფერიდან ცხელ აბანოში აღიოდა კედლებში დატანებული სწორკუთხა კრამიტის მილებით.



006(გ). გათბობის სისტემა. დეტალი

ცხელი აბანო კარით უკავშირდება თბილ აბანოს. შენობის ეს ნაწილი მნიშვნელოვნადაა დაზიანებული. ქვედა სართული სამი სხვადასხვა ზომის ხვრელით დაკავშირებულია ცხელი აბანოს კალორიფერთან. იატაკი, სართულშუა გადახურვა და ცხელი ჰაერის მიმწოდებელი მილები აქაც ისეთივეა, როგორიც ცხელ აბანოში. ზედა სართულზე, ჩრდ-ით ნახევარწრიული ნიშაა, სამხრ-ის კედელში კი სწორკუთხა.

თბილი აბანოდან ცივ აბანოში (ფართ. 11,3 კვ მ) გადიოდნენ. მის სამხრ. ნაწილში აუზი იყო, რ-საც დას-ითა და აღმ-ით სამსაფეხურიანი ქვის კიბე ჰქონდა. აუზის იატაკი დაქანებულია აღმ-კენ. კუთხეებში დატანებული წყლის გასასვლელი თიხის მილები უერთდება არხს, რ-იც შენობის აღმ-ის კედლის საძირკველს მიუყვება და მდ. მტკვრისაკენ მიემართება. ნახმარი წყლის გადასაღვრელი მილი სადგომის ჩრდ-ის ნაწილსაც აქვს. ცივი აბანოსათვის მოგვიანებით სათავსი მიუშენებიათ (შემორჩენილია სამხრ. კედლის ნაწილი და აღმ. კედლის მცირე ნაშთი).

ა-ში წყალსადენის ორი ტრასაა: ერთი სამხრ-დან არის გამოყვანილი, მეორე სამხრ.-დას-დან. სამხრ-ის ტრასა არმაზისხევიდან მოემართებოდა და საცეცხლე განყოფილებასთან ერთვოდა ქვიშაქვის სწორკუთხა ბლოკს — სადინარის მუხლს.

ა-ის აბანო რომაულ აბანოთა ტიპისაა. მსგავსი აბანოები გავრცელებული იყო მცირე აზიაში, სირიაში, სომხეთში, საქართველოში (ბაგინეთი, ბიჭვინთა, შუხუთი, ნოქალაქევი, ძალისი) და სხვ.

აბანოს სამხრ.-აღმ-ით გაითხარა ქვითკირის ნაგებობის ნაშთები, ე. წ. ზ ღ უ რ ბ ლ ი ა ნ ი ნ ა გ ე ბ ო ბ ა (დ). გამოვლინდა ერთიმეორისაგან კაპიტ. კედლით გამოყოფილი სენაკების ნანგრევები. დას. სენაკის (7X6,75 მ) ჩრდ. კედლის შუაში გაჭრილია კარი, რ-ის ზღურბლი რუხი ქვიშაქვის დიდი მასიური, გათლილი ფილაქვაა (სიგრ. 1,53 მ; სიგ. 1,2 მ; სისქე 0,285 მ). ზღურბლში ამოკვეთილია საფეხური (სიგ. 0,2 მ, სიმ. 0,05 მ), რ-ის კუთხეებში, ბოლოებიდან 0,04 მ მანძილზე, ამოჭრილია კარის ღერძის ჩასადგმელი ორი ტოლი, ოდნავ ოვალური ფოსო. შემორჩენილია კარის ორივე ამური. ისინიც ქვიშაქვისაა და ისევე კარგადაა გათლილი, როგორც ზღურბლი. გადარჩენილია აგრეთვე არქიტრავის ნახევარი, ორად გატეხილი. დას. სენაკის დას. კედელთან აღმოჩენილი სვეტისთავი და სვეტისძირიც ასევე ნაცრისფერი ქვიშაქვისაგანაა გამოკვეთილი. სვეტისთავის აბაკი გვერდებჩაზნექილი რომბისა და ოთხფურა ყვავილის კომბინაციას წარმოადგენს. სვეტისძირის ქვედა ნაწილი სწორკუთხაა, ხოლო ზედა — ოდნავ ბრტყელი და მრგვალი.

აღმ. სენაკი (2,2X6,75 მ) ძლიერ დაზიანებულია. ნაგებობის შიგნით და გარეთ მრავლად აღმოჩნდა კრამიტის ნატეხები, ნაცრისა და ნახშირის სქელი ფენა. აღმ. სენაკს ებმის სამი კედელი (შემორჩენილია ფრაგმენტები). ერთი მათგანი აგრძელებს სენაკის აღმ. კედელს და ჩრდ-საკენ მიემართება. მეორე აღმ. კედლის შუა ნაწილთან იწყება და აღმ-კენ მიემართება (გამოვლენილია 2 მ-ზე). ამ კედლის სამხრ-ით კრამ. ფილებით მოგებული მცირე ფართობია. მესამე კედლის ფრაგმენტი ამავე სენაკის სამხრ. კედელს ებმის სამხრ.-აღმ. კუთხესთან და სამხრ-ით მიემართება. ზღურბლიანი ნაგებობის დანგრევის შემდეგ მისი კედლები ქვის სამარხთა კედლებად გამოუყენებიათ.

(ე) ე რ თ ს ე ნ ა კ ი ა ნ ი ნაგებობა ქვითკირისაა, შემორჩენილია აღმ. კედლის ქვედა ნაწილი (სიმ. 1,5 მ, სიგ. 8 მ), აგრეთვე სამხრ. და ჩრდ. კედლების აღმ. ნაწილები. შენობის სრული გეგმა და დანიშნულება გაურკვეველია.

(ვ) ო რ ს ე ნ ა კ ი ა ნ ი ნ ა გ ე ბ ო ბ ა აღმოჩნდა აბანოს სამხრ.-დას-ით, 40 მ-ზე. აშენებულია ნატეხი ქვით და კირით. ნაგებობა შედგება ორი არათანაბარი განყოფილებისაგან. მათი გამყოფი და გარე კედლები ერთნაირი სისქისაა. დას-ის განყოფილება აღმ-ისაზე (6X6 მ) მოკლე და ვიწროა და აღმ-ის განყოფილებაზე ისეა მიშენებული, რომ აქეთ-იქით თითო მეტრი ცარიელი არე რჩება.

(ზ) მ ა რ ა ნ ი (45X90 მ) არმაზისხევის მარჯვ. ნაპირზე მდებარეობს. ქვევრების უმეტესობა დამტვრეულია (უდიდესი ქვევრის სიმ. 2 მ, კედლის სისქე 1,5-2 სმ, მუცლის დიამ. 0,85 მ, პირისა 0,4 მ, ფსკერის 0,2 მ). ყველა ქვევრი შეეულადაა მიწაში ჩადგმული და ყველას დიდი მუცელი აქვს. ბევრ მათგანს გარედან შემოვლებული აქვს საკმაოდ რელიეფური, სადა ან ჭდეული ორი, ოთხი ან მეტი წვრილი სარტყელი. ზოგიერთ ქვევრს შერჩენილი აქვს ქვის სარქველი — ქვიშაქვის მრგვალი ან ოთხ-

კუთხა, საკმაოდ უსწორმასწორო ფილა.

(თ) საკულტო ნამარხები წითლად და შავად გამომწვარი თიხის ქილებია. ყველა ძალიან ღრმად — 1,8-2,5 მ-ზე იყო ჩაფლული. სულ ნაპოვნია 9 ქილა. ზოგიერთ მათგანში აღმოჩნდა ფრინველის ჩონჩხი.

გვიანდ. ნაგებობებიდან უმთავრესად შემორჩენილია კედლისა და საძირკვლის ნაშთები და მოფილაქნებული ფართობები. ყველაზე უკეთ შემონახულია ორსენაკიანი ნაგებობა.

(ი) ორსენაკიანი ნაგებობა გაითხარა უბნის სამხრ.-აღმ. ნაწილში. შენობის საფუძვლად გამოყენებულია ძვ. დანგრეული ნაგებობის ღია მონაცრისფრო და ზოგჯერ მოწითალო ქვიშაქვის თლილი ლოდები, რ-ებზეც ნატეხი ქვითა და თიხით ამოყვანილია კედლები. ჩრდ-ის სენაკს (8X4,2 მ; კედლები შემორჩენილია საშუალოდ 2 მ-ის სიმაღლეზე) აღმ. კედლიდან 1,5 მ-ის დაშორებით აქვს გარდიგარდმო კედელი, რ-იც დერეფანს (1,7X4,2 მ) ქმნის. დერეფნიდან სენაკში შესასვლელი კარი ყოფილა, შემორჩენილია ოთხსაფეხურიანი ქვის კიბეც. ერთი სარკმელი ყოფილა გაჭრილი დას. კედელში. სამხრ-ის კედელში დატანებული კარით მეორე უფრო მცირე სენაკში (5,1X2,2 მ) შეიძლებოდა გასვლა. მცირე სენაკის სამხრ. კედელში სწორკუთხა თახჩაა. სენაკის ჩრდ. კუთხესთან საკარე და ქვის კიბის ერთი საფეხურია.

თითოეულ სენაკში აღმოჩნდა ორ-ორი ქვაყუთი (კ). დიდ სენაკში სამარხები გაითხარა სამხრ.-აღმ. კუთხეში. ორივე სამარხი დამხრობილია აღმ-დან დას-კენ. სამარხთა კედლები კარგად გათლილი ქვებითაა შედგენილი. მცირე სენაკში ერთი სამარხი სამხრ.-დას. კუთხეში იყო, ხოლო მეორე — ჩრდ.-აღმ-ისაში.

ა-ის მონაპოვარმა ახ. შუქი მოჰფინა I-IV სს. ქართლის პოლიტ. და კულტ. ცხოვრების მრავალ მხარეს. *ბიბლ.:* 176ა; 230; 253; 337. *აფ.* ა.

007. ᲐᲠᲛᲐᲖᲪᲘᲮᲔ, არმასციხე, არმაზის ციხე, არქეოლ., არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს მცხეთის რკ.-გზ. სადგურის სამხრ.-აღმ-ით 2 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ქართლის ქედის ბოლოში, ტერასებიანი კლდოვანი მთის კეხსა და ჩრდ.-აღმ. ფერდზე. ამ ადგილს მოსახლეობა ბაგინეთს უწოდებს.

ა-ის აშენებას ძვ. ქართ. საისტორიო წყაროები ქართლოსს მიაწერენ. იმავე წყაროების მიხედვით მისი თავდაპირველი სახელი ქართლია. სახელწოდება „არმაზციხე“ (ბერძნ.-რომაული წყაროებით: ჰარმოზიკე, ჰარმაკტიკა, ჰერმასტუს და ა. შ., ხოლო ქართ. საისტორიო წყაროების შიდაციხე, დედაციხე, ციხის-ციხე) უკავშირდება წარმართულ ღვთაება არმაზს, რ-იც გადმოცემის თანახმად მეფე ფარნავაზმა (ძვ. წ. IV ს-ის ბოლო — III ს-ის დასაწყისი) სამეფოს უზენაეს ღვთაებად გამოაცხადა და მთის მწვერვალზე მისი კერპი აღმართა. მცხეთის დედაქალაქობის პერიოდში ა. შიდაციხის მოვალეობას ასრულებდა. მას შემდეგ, რაც თბილისი დედაქალაქი გახდა, ა-მ პოლიტ. და სტრატეგიული მნიშვნელობა დაკარგა. 735-38 წწ. იგი არაბებმა დაარბიეს.

ა-ზე არქეოლ. გათხრები დაიწყო XIX ს-ის 90-იან წლებში ი. ჭავჭავაძისა და დ. ბაქრაძის თაოსნობით, ე. თაყაიშვილის ხელმძღვანელობითა და ი. ოქრომჭედლიშვილის სახსრებით. გაითხარა ერთ-ერთი ნაგებობის ნანგრევები. გათხრები (ხელმძღვ. დ. ქუთათელაძე) 900-იანი წლების დასაწყისშიც გაგრძელდა.

1937 წ. ა. ᲔᲜᲘᲛᲙᲘ-ს ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. კალანდაძე) დაზვერა, ხოლო 1943-48 წწ. ᲘᲐᲔ ინ-ტის ᲛᲐᲔ-ის (ხელმძღვ. ს. ჯანაშია) ბაგინეთის რაზმმა (ხელმძღვ. ა. აფაქიძე) გათხარა. 1975 წ. გათხრები კვლავ განახლდა და ახლაც გრძელდება. გათხრილი ნაგებობების ნაწილი დაკონსერვებულია, ხოლო აღმოჩენილი ნივთები საქართვ. სახელმწ. მუზეუმში ინახება.

ა-ზე მიკვლეულია სამი ერთიმეორის მომდევნო კულტ. ფენა: ქვედა ფენა, ე. წ. არმაზციხე I (ძვ. წ. IV-III სს.), შუა ფენა, არმაზციხე II (ძვ. წ. III-I სს.), ზედა ფენა, არმაზციხე III (I ს-დან მცხეთის დედაქალაქობის დასასრულამდე).

გამოვლინდა მშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი. პირველ პერიოდში (ძვ. წ. IV-III სს.) უმთავრესი საშენი მასალა ქვათლილი და ალიზ-აგურია; ალიზ-აგურის კედლები ქვათლილთა საძირკველზეა ამოყვანილი; თვით ქვათლილები ჩასმულია




007. ცენტრალური უბანი. გეგმა

კლდეში ამოკვეთილ ბუდეებში და ერთმანეთთან ე. წ. უწყვეტითაა გადაბმული; წყობა უდუღაბოა. მეორე პერიოდის (ძვ. წ. III ს-დან) მშენებლობაში გამოყენებულია დუღაბი.

ა. ორი ნაწილისაგან შედგება: კარსნის ხევსა და არმაზის მთას შორის, მტკვრის ტერასულ ბაქნებზე გაშლილი ნაქალაქარისა (ფართ. 30 ჰა) და მთის წვერზე მდგარი შიდა ციხისაგან. დანიშნულების მიხედვით გაირჩევა: საფორტიფიკაციო (ზღუდე-გალავანი, კოშკები, ბურჯები, კლდეკარი), სახახლის თუ ტაძრის ტიპის (სვეტებიანი დარბაზი და მისი თანადროული შენობის ნაშთები), სამეურნეო (მარანი), სანიტარულ-ტექნიკური (აბანო, წყალსადენი) ნაგებობანი, სამარხები (მავზოლეუმის ტიპის აკლდამა, სარკოფაგი) და საკულტო ძეგლები [არმაზის კერპის სადგარი (?), სამსხვერპლო]

შიდაციხესა და ნაქალაქარს შემოვლებული აქვს ბურჯებიანი (ა) ზ ღ უ დ ე-გ ა ლ ა ვ ა ნ ი (გამოვლენილია 3 კმ-ზე), რ-იც შეიცავს სხვადასხვა პერიოდის სამშენ. ფენებს. გალავანში ჩართულია ოთხკუთხა კოშკები. უძველესი ფენა (მთავარი კოშკი) ნაგებია მშრალად, უხეშად დამუშავებული ქვის ლოდებით. მომდევნო პერიოდის (ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნა) კედელი (ზემოდან I ფენა), რ-იც მთავარი კოშკიდან იწყება და ქედის რელიეფს ქვედა ტერასებამდე მიჰყვება, ნაგებია საგანგებოდ გათლილ-გამოკოდილი ქვათლილებითა და გამომწვარი ან გამომშრალი ალიზით. უდუღაბოდ, ხის ან ქვის უწყვეტით გადაბმული ქვათლილები ციცაბო კლდეში ამოკვეთილ საგანგებო ბუდეებშია ჩასმული და საფეხურების შთაბეჭდილებას ქმნის. საძირკვლის ქვათლილთა რიგების რაოდენობა ქედის დაქანების შესაბამისად იცვლება. საგანგებოდ არის გამაგრებული ციხე-ქალაქის სამხრ. მხარე. აქ ზღუდე ორმაგია (ზოგან მისი სიმაღლე 6 მ-ს აღწევს, სიგანე — 2,8-3 მ). ქვათლილებზე ამოყვანილია თიხის ხსნარზე ნაწყობი, გარედან თიხისავე ხსნარით შელესილი და შემდეგ შერუჯული ალიზის კედელი, რ-იც ყოველ 10 მ-ზე გამაგრებულია კედლის ორივე მხარეს 3-3,5 მ-ით გამოწეული მძლავრი ბურჯებით (10X11 მ) და წყობაში დატანებულ ქვათლილთა გამჭოლი თარაზული წყობით. კედელი და ბურჯები ერთმანეთთან დაკავშირებულია მუხის დიდი (0,2X0,12 მ) ოთხკუთხა კოჭებით.

შემდგომი პერიოდის (I ს.) კედელი (სისქე 2,8-4 მ, შემორჩენილი სიმ. ზოგიერთ ადგილას 4-5 მ; III ფენა), რ-იც გარს აკრავს შიდაციხეს, უკავშირდება წინა კედელს და მიჰყვება მეორე წყალგამყოფს. ეს კედელიც კარგად გათლილი ქვათლილების საფუძველზე ამოყვანილი ალიზით არის ნაგები. ქვათლილები გადაბმულია მერცხლის კუდის ფორმის ხის უწყვეტებით. კედლის წინ ყრია ღორღის სქელი ფენა, რ-იც იცავდა კედელს დანგრევისა და დაზიანებისაგან.

II-III სს-ის (II ფენა) კედელი, რ-ის ნაწილები აღმოჩნდა ნაქალაქარის სამხრ. ნაწილში და პირველ წყალგამყოფზე, აგებულია წინა პერიოდის კედლების გასამაგრებლად. აქ უხვადაა გამოყენებული კირის დუღაბზე ნაწყობი ქვედა ფენების სამშენი მასალა. უკანასკნელი ზედა ფენის (V-VI სს.) ნატეხი ქვის კედელიც წინა პერიოდის კედლების გასამაგრებლადაა აგებული.

ზღუდე ქედის თხემზე ოდნავ გარეთაა ამოყვანილი. ამის გამო კლდოვანი ქედი ზღუდე-გალავნის თავისებურ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რაც მომხვდურთ ზღუდის საძირკვლის გამოთხრას უძნელებდა, ხოლო დამხვდურებს გალავნის დაცვას უადვილებდა.

ა-ის ჩრდ. კიდეზე, თითქმის მტკვრის პირას, გაჭრილია კ ლ დ ე-კ ა რ ი. იგი საჭიროების დროს წარმოადგენდა შიდაციხეში მოხერხებულ შესასვლელს, როგორც „არმაზით კერძი" ქალაქის მტკვრისპირა უბნებიდან, ისე მტკვრის მარცხ. ნაპირზე მდებარე ქალაქიდან.

შიდაციხის ცენტრ. ადგილას იდგა (ბ) ს ვ ე ტ ე ბ ი ა ნ ი დ ა რ ბ ა ზ ი. იგი არმაზციხე I-ის ხანისაა. წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის დარბაზის (20,8X8,8 მ) კედლების ქვედა ნაწილი (შემორჩენილი სიმ. 1,75 მ, სისქე 1,45-1,7 მ) ქვათლილებით უდუღაბოდ არის ნაგები, ზედა ნაწილი კი ალიზით. გამონაკლისს წარმოადგენს დას-ის კედელი, რ-იც მთლიანად (3,3 მ სიმაღლეზე) ქვათლილებითაა ამოყვანილი. ინტერიერი შელესილი და შეღებილი ყოფილა (მიკვლეულია ბათქაშის ნაშთი შესასვლელთან). დარბაზს ვარდისფერი ტუფოგენური ქვიშაქვის ფხვნილით მოტკეპნილი იატაკი ჰქონდა. დარბაზის გრძივ ღერძზე აღმოჩნდა ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაშორებული ექვსი სვეტისძირი, მათ შორიახლოს კი — ამდენივე სვეტისთავი და ხის სვეტების დანახშირებული ნაწილები. მარტივპროფილიანი სვეტისძირები და სვეტისთავები გამოკვეთილია ტუფოგენური ქვიშაქვისაგან. ბაზისი შედგება პლინთის, ლილვისა და ყელისაგან. ყელში ხის სვეტის ჩასადგმელი ფოსოა (დიამ. 0,4 მ) ამოკვეთილი. სვეტისთავს აქვს აბაკი და ფოსო. ინტერიერის კედლებში, მეორე და მეოთხე რიგის ქვათლილების ზემო ნაწილში, ამოჭრილია ოთხკუთხა ფოსოები, სავარაუდოა, რომ ისინი თაროების კონსოლებისათვის იყო განკუთვნილი.

სვეტებიან დარბაზში აღმოჩნდა პართული ხელობის ძვლის მოჩუქურთმებული ფირფიტა, ოქროს თხელი ფურცლების (ხის სვეტების სამკაული?) ფრაგმენტები, ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ლურსმნები, ხვიებით შემკული ბალთა, ლურჯი, მწვანე და მოწითალო ეგვიპტური პასტის მძივის ნატეხები, რთულსახოვანი ჩუქურთმის გამოსაყვანი ბრინჯაოს ფარგალი.

დარბაზის დას. ფასადის დიდი ნაწილი იმთავითვე მიწით ყოფილა დაფარული. დანარჩენი — აღმ-ის, ჩრდ-ისა და სამხრ-ის ფასადები კარგად არის დამუშავებული. მათ ფართო ცოკოლი შემოუყვება. შესასვლელი გაჭრილია აღმ. კედელში, ორ ანტისებრ შვერილს შორის. შენობაში ჩაედივართ ოთხსაფეხურიანი განიერი კიბით.

ა-ის სვეტებიანი დარბაზი ძლიერ ჰგავს თალ-პალაფის სასახლეს, რ-ის მსგავსი ნაგებობა აღმოჩენილია კარმირ-ბლურზეც (სომხეთი).

სვეტებიანი დარბაზის აღმ. ფასადის ჩრდ. ანტთან გამოვლინდა მოგრძო მოყვანილობის წ ყ ო ბ ა, რ-საც ცეცხლის ხანგრძლივი მოქმედების კვალი ეტყობა (სამსხვერპლო ან მუდმივი ცეცხლის ადგილი?).

დარბაზის ჩრდ-ით მსგავსი სამშენ. ხერხებითა და მასალით ნაგებ შენობათა ნანგრევები აღმოჩნდა. ამ ნანგრევებზე აგებულია ადრინდ. ფეოდ. ხანის სადგომი, რ-ის კედლები ნატეხი ქვისაა, კონსტრ. ადგილებში გამოყენებულია თლილი ქვა, ხოლო უფრო ადრინდ. დას-ის კედლის მარცხ. ნაწილში — მსხვილი ქვათლილები. მარჯვნივ ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ჩადგმული ქვების მონაცვლეობით შექმნილია ჯვაროვანი წყობა. კედლის ცენტრ. ნაწილი, სადაც მოზრდილი ნიშია, აგებულია მცირე ზომის, კუთხით დაყენებული კვადრებით. ამგვარად შექმნილია ბადისებრი, დეკორატ. წყობა.

შიდაციხეში გათხრილი (გ) მ ა რ ნ ი ს ა გ ა ნ შემორჩენილია ერთ დონეზე ჩამწკრივებული ქვევრები. ქვევრის ძირზე შერჩენილია ნალექი (საფერავის ჯიშის ყურძნის ღვინისქვის მჟავა).

სვეტებიანი დარბაზის ჩრდ.-დას-ით გამოვლინდა არმაზციხე III-ის ხანის ძლიერ დაზიანებული (დ) ა ბ ა ნ ო (დაკონსერვებულია). აბანო პატარაა (7X4,7 მ). გათბობის იატაკქვეშა სისტემა ორ რიგად განლაგებული მრგვალი და ოთხკუთხა აგურებით

ამოყვანილი სვეტებისაგან შედგება. მათ თავზე დაგებულია მოზრდილი კერამიკული ფილები. აღმოჩენილია კარგად შელესილი აბაზანა და წყალსაცავი აუზის ნანგრევები. აბანო ფლატეზეა გადამდგარი.

ა-ში გამოელინდა ორი (ე) წ ყ ა ლ ს ა დ ე ნ ი: ღია, გათლილი ქვის ღარებისაგან შედგენილი (სამეურნეო წყლისათვის) და დახურული (სასმელი წყლისათვის). წყალი გამოყვანილია ბაგინეთის სამხრ-ით რამდენიმე · კმ-ზე მდებარე სოფ კარსნის მიდამოებიდან

007(დ). გეგმა



სვეტებიანი დარბაზის ჩრდ.-დას-ით გაითხარა სამხრ-დან ჩრდ-ისაკენ დამხრობილი მთლიანკვეთილი ქვის სამარხი — (ე) ს ა რ კ ო ფ ა გ ი. თარიღდება I ს-ით. სარკოფაგი შედგება ერთმანეთთან რკინის გამირებით გადაბმული საგანგებოდ გათლილ-გამოკოდილი ორფერდა სახურავისა და ყუთისაგან (1,85X0,6X X0,65 მ). სარკოფაგის ყოველ გვერდზე ამოჭრილია ორი-სამი ფოსო, რ-ებშიც გამირები ტყვიით ყოფილა ჩადუღებული სარკოფაგში აღმოჩნდა ოქროს სამაჯურები, ბეჭდები, ყელსაბამები, ბალთები, ხვიები, მონეტები (რომაული აურეუსები); ვერცხლის ნივთები: სარეცლის ხის ფეხების გარსაკრავები (4 ცალი), რ-ებზედაც საილოზე მჯდომი ფანტასტიკური ფრინველია გამოსახული, ვაზისებრი ორნამენტით შემკული ფიალა, თასი, რ-ზეც სასახიობო თუ ნადირობის სცენებია, პინაკი დაფნის გვირგვინოსანი მამაკაცის რელიეფური მედალიონით, სურები, ჯამები, სარკეები, ლამბაქი, დიდ-პატარა ციცხვები, კოვზი, ლურსმნები, რომაული დენარები და სხვ. ამ ნივთებიდან ზოგიერთზე არმაზული წარწერებია. იყო ქსოვილთა ნაშთებიც და სხვ.

შიდაციხის ჩრდ.-დას. ნაწილში, ციცაბო შვერილი კლდის თავზე, სარკოფაგსა და აბანოს ნანგრევებს შორის გაითხარა მავზოლეუმის ტიპის (ზ) ა კ ლ დ ა მ ა. თარიღდება I-II სს-ით.

აკლდამისაგან შემორჩენილია საფუძველი და კედლის მცირე ნაწილი. იგი შედგებოდა მოგრძო წინა ნაწილისა (5,4 · კვ მ) და მიცვალებულის დასაკრძალავი კვადრ. სენაკისაგან (7,4 · კვ მ), რ-საც 0,4 მ სისქის კარგად დატკეპნილი იატაკი აქვს (აგურის ფხვნილგარეული კირი, ქვიშაქვა და კირის ხსნარი). აკლდამის საფუძველი ნაგებია ერთმანეთთან მორგებული კარგად დამუშავებული სხვადასხვა ზომის თლილი ქვით. კუთხეებში საგანგებოდ გათლილი კუთხური ქვებია ჩასმული. ქვათლილების კიდეებზე ამოკვეთილი ფოსოები ადასტურებს, რომ ისინი ერთმანეთთან ლითონის ორ-ორი სამაგრით იყო გადაბმული. სამაგრები ფოსოებში ტყვიით იყო ჩადუღებული ქვათლილები ნაგებობის პერანგს წარმოადგენს არე კლდესა და პერანგს შორის ამოვსებული იყო ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით.

აკლდამის შესასვლელთან აღმოჩნდა ქვის ლავგარდნისა და ფრიზის ფრაგმენტები. ლავგარდანი პროფილირებულია ბატიყელით და თაროებით. ქვედა თაროზე ნარინჯისფერ ფონზე შავი საღებავით კბილანებია დახატული.

ციხე-გალავნის უმაღლეს ადგილზე, საიდანაც კარგად ჩანს მდინარეების მტკვრისა და არაგვის ხეობები, აღმოაჩინეს დიდი ქვათლილებით ნაგები (თ) მ რ ა ვ ა ლ წ ა ხ ნ ა გ ო ვ ა ნ ი შ ე ნ ო ბ ი ს ფრაგმენტი. სავარუდოა, რომ იგი იმ ნაგებობის ნაშთია, რ-ზედაც ფარნავაზმა „ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა“.

ბაგინეთზე გათხრილი სამივე ფენის ნაგებობებს უმეტესად წითლად შეღებილი კრამიტის სახურავი ჰქონდა. კრამიტი ორი ტიპისაა: ბრტყელი და ღარისებრი. სახურავს ბრტყელი კრამიტი ფარავდა, ხოლო მათი შეერთების ადგილს ღარიანი. ბრტყელი კრამიტი სხვადასხვა ზომისაა და ფართო ტრაპეციისმაგვარია, გრძივი გვერდები აკეცილი აქვს; დამზადებულია ბრტყელ დაზგაზე, უყალიბოდ. ღარისებრ კრამიტს ზურგზე კიდეებიდან თანაბრად დაშორებული ქიმი აქვს, ზედა მწკრივის ღარიანი კრამიტების შესაკავებლად. კრამიტებზე (უმეტესად ღარისებრზე) თვალსაჩინო ადგილას (წვეტიანი იარაღით ან თითით) დატანილია სათვალავი ან ხელოსნის თუ სახელოსნოს მარტივი, ჩაჭდეული ნიშანი.

ა. მსგავსია ურარტუსა და აქემენიდთა ირანის სუსის, პერსეპოლისის, პასარგადის, თუშფის ციტადელისა, თოპრაქყალასა და წოვინარის სათაედაცეო ნაგებობებისა.

ბიბლ.: 17; 18:59-65; 135:11-12, 20, ტაბ. LXI-LXII; 248:187-193. აფ. ა.

008. არსენას ძეგლი, მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირას, ხიდიდან 500 მ-ზე, სკვერში. მოქანდ. ე. მაჩაბელი, არქიტ. დ. ლეჟავა. დაიდგა 1949 წ. 1972 წ. ქვის ქანდაკება შეიცვალა ბრინჯაოს ქანდაკებით.



008. ხაერთო ხედი

სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის მთლიანი ფიგურა (სიმ. 6 მ) დგას ქვისსაფეხურებიან ბაზალტით მოპირკეთებულ პოსტამენტზე (სიმ. 4 მ). პოსტამენტის სამ მხარეს ჩასმულია მარმარილოს დაფები. წინა დაფის წარწერა არსენას ვინაობას გვამცნობს, გვერდებზე კი ამოკვეთილია: „ოძელაშვილი არსენა ღმერთმა კურთხევით ახსენა“, „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა“.

ბიბლ.: 232:99; 299:10. მ. ძ.

009. ახალი არმაზის სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს რკ.-გზ. ბაქან არმაზის სამხრ-ით, ფერდობის ძირას, არმაზისა და მარტაზის ხევებს შორის. ჩრდ-ით მას მდ. მტკვარი ესაზღვრება, სამხრ-ით — თრიალეთის ქედის კალთები. თარიღდება გვიანდ. ანტ. ხანითა და ადრინდ. ფეოდ. ხანით. ა. ა. ს. 1976 წ. გათხარა მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე).

სამარხები ჩადგმული იყო 1,8 მ სიღრმეზე. მათ განივ კედლებად ქვიშაქვის თითო ფილაა გამოყენებული, ხოლო გრძივი კედლები ნაგებია ნატეხი ქვითა და ტალახით. სამარხები გადახურულია მოზრდილი ფილებით. ზოგ სამარხზე შემორჩენილია შელესილობის კვალი. რამდენიმე სამარხზე აღმოჩნდა ვერტიკალურად აღმართული ქვიშაქვის ფილის ნატეხი (სამარხის მრავალგზის გამო-

ცენების ნიშანი?). მიცვალებულები დაკრძალულია გულაღმა, გაშოტილი, თავით დას-კენ. III ს. სამარხებში მიცვალებულთა ქრისტ. წესით დაკრძალვა მოწმობს, რომ დიდ მცხეთასა და მის შემოგარენში ქრისტ. თემები არსებობდა ქრისტიანობის სახელმწ. რელიგიად გამოცხადებამდე.

სამარხებში აღმოჩნდა: ოქროს, ვერცხლისა და რკინის ბეჭდები, საყურეები, მინისა და პასტის მძივები, ბრინჯაოს საკინძები, მშვილდსაკინძები, სამაჯური, თიხისა და მინის სანელსაცხებლები, პართული მონეტა.

სამაროვნის აღმ-ით გამოვლინდა მძლავრი კულტ. ფენა, რ-იც შეიცავდა ადრინდ. ფეოდ. ხანის დიდძალ კერამიკას, რ-თა შორის მრავლადაა კერამიკული წუნი (სამეთუნეო სახელოსნო?), აგრეთვე ნატეხი ქვითა და თიხით ნაგებ კედლებს.

*ბიბლ.:* 1768:99-103. *აშ. ა.*

ბაბინეთი. იხ. ა რ მ ა ზ ც ი ხ ე.

010. ბარბარეთის ეკლესია, წმ. ბ ა რ ბ ა ლ ე ს ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას მცხეთის ჩრდ.-დას-ით, სასაფლაოზე. თარიღდება X-XI სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (8,15X4,45 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის კარგად გათლილი თანაბარი კვადრებით. ძლიერ დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარა, დანგრეულია სამხრ-ის კედელი, ამოცვენილია საპერანგე ქვები. ეკლ. დახვეწილი პროპორციებისაა. დარბაზის კამარის საბჯენი თაღი პილასტრებს ეყრდნობა. საკურთხეველში ერთი სარკმელია (ჩამონგრეულია), მის ორივე მხარეს ნახევარწრიული მაღალი ნიშებია, რ-ებიც იატაკიდან იწყება. დას-ის კედელი მორთულია დეკორატ. თაღით. ასეთივე თაღები იყო სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლების აღმ. ნაწილში. დას. ფასადზე ორსტრიქონიანი ასომთ. წარწერიდან იკითხება მხოლოდ სახელი „სტეფანე“.

*ბიბლ.:* 361:23. *ანდღ. ნ.*

011. ბებრისციხე, ბ ე ლ ტ ი ს ც ი ხ ე, არქიტ., ისტ., არქეოლ. ძ. აღმართულია გორაკზე, მდ. არაგვის მარჯვ. ნაპირზე, მცხეთის ჩრდ. გარეუბანში. აგებულია ადრინდ. ფეოდ. ხანაში. 1939 წ. ციხის გასამაგრებლად მცირე სამუშაოები ჩაატარა საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნ. საქმეთა სამმართველოს კულტ. ძ-თა განყ.-ბამ.

ბ-ის ტერიტორიაზე 60-იან წლებში გავლებულ იქნა საკონტროლო თხრილები (ხელმძღვ. ა. კალანდაძე), რ-ებშიც დადასტურდა ანტ. ხანის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები. 1983 წ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანებამ დაიწყო საკონსერვაციო სამუშაოები (ხელმძღვანელები ვ. ცინცაძე, გ. ჯაფარიძე). თხრილებისა და შურფების ამოღებისას მეთვალყურეობა გასწია მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). ბ-ის დას. კედლის გასწვრივ, შუა ნაწილში არსებული ბურჯის შეერთების ადგილზე, კედლის საფუძვლის ქვეშ აღმოჩნდა ნატეხი ქვიშაქვით ნაგები კედლის წყობის ორი რიგი, რ-ზედაც ალიზის კედელი ყოფილა ამოყვანილი. დადასტურდა აგრეთვე ანტ. ხანის წითლად შეღებილი, თხელკეციანი თიხის ჭურჭლისა და წითლად შეღებილი კრამიტის ნატეხები. გამოვლინდა ქვითა და ტალახით ნაგები წრიული კედლის ნაშთი, რ-ზედაცაა დაშენებული ბ-ის სამხრ.-დას. გოდოლის — დონჟონის საძირკველი.

011. ხედი ჩრდ.-აღმ-დან, გრძივი განაჭრეთი ჩრდ.-აღმ-კენ





(ა) ბ. ქართ. საისტორიო წყაროებში პირველად მოხსენიებულია ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანესთან: „დემეტრე მეფე ბელტის ციხეს მიიცვალა და გელათს წაიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა“. ეს მოხდა 1156 წ.

ციხე ნაგებია თანაბარი ზომის ნატეხი ქვით კირის ხსნარზე, შედგება ციტადელისა და ქვედა ეზოსაგან (საერთო ზომები 100X60 *მ*). ბ. ძლიერ დაზიანებულია.

ციტადელის გეგმა სამკუთხედის მსგავსია. მის ყოველ კუთხეში თითო კოშკი დგას, ყველაზე დიდი, სამხრ.-დას-ის კოშკისაგან შემორჩენილია სამი სართული. სამივე დაზიანებულია. ჩრდ-ისა და აღმ-ის კოშკები თითქმის ტოლია. ჩრდ-ის კოშკის სამი სართულია შემორჩენილი, აღმ-ისა — მხოლოდ საძირკველი. აღმ-ის კოშკის შიგნით მოგვიანებით ცილინდრული კოშკი ჩაუშენებიათ, კოშკებში სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა. სამხრ.-დას-ისა და ჩრდ-ის კოშკებს აქვთ თავისებური (სავარაუდოა ისრის სატყორცნი) საბრძოლო ხვრელობები, რ-ებიც შიდა მხრიდან განიერი (საშუალოდ 2 *მ*), მაღალი (დაახლოებით 2,5 *მ*) და ღრმაა (საშუალოდ 1,5 *მ*), გარედან კი ვიწრო (0,3 *მ*) და დაბალი (1 *მ*). ციხის ქვედა ეზოს აღმ. კუთხეში ციტადელის კოშკების მსგავსი ოთხკუთხა კოშკი დგას.

ბ. საყურადღებო საფორტიფიკაციო ნაგებობაა. იგი ჩრდ-დან იცავდა მცხეთას.

*ბიბლ.:* 100:50-52; 201ე; 202; 304: 124. *ზ. პ., ნ. ვ., ჭყ. თ.*

012. იოსებ გედევანიშვილის სახლი, ისტ. ძ. დგას ქ. მცხეთიდან ძეგვისაკენ მიმავალ გზაზე, რკ.-გზ. სადგ. მცხეთიდან 2 *კმ*-ზე, არმაზისხევის მარცხ. ნაპირზე.

სახლი ეკუთვნოდა ქართ. სამხ. და პოლიტ. მოღვაწეს, მწერალს, დრამატურგსა და პუბლიცისტს იოსებ კონსტანტინეს ძე გედევანიშვილს (1873-1939 წ. წ.), ავტორს პიესებისა „მსხვერპლი“, „გამცემი“, მოთხრობების სამი წიგნისა და ნაშრომებისა „სამხედრო ხელოვნება საქართველოში“ და „სამხედრო ხელოვნება ვეფხისტყაოსანში“.

სახლი ორსართულიანია, ნაგე-

ბია ქვით. პირველ სართულზე სხვადასხვა დანიშნულების სათავსებია, მეორეზე — საცხოვრ. ოთახები. ამჟამად აქ იაე ინ-ტის აკც-ის ბაზაა. *ჩ. თ.*

**012, ა ბეთსამანია**, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის დას. ნაწილში, თბილის-მცხეთის საავტ. გზის მარცხენა მხარეს, ბექობზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. ნაგებია ქვიშაქვის არათანაბარი დიდი კვადრებით. შემორჩენილია მხოლოდ აღმ-ის ნახევარწრიული აფსიდი (სიღრმე 1,85 *მ*, კედლის სისქე 0,65 *მ*). აფსიდის ღერძზე ერთი ფართო სარკმელია, რ-ის ჩრდ-ით ოთხკუთხა ნიშია. შესასვლელი სამხრ-დან ყოფილა (შემორჩენილია წირთხლის ქვები).

ეკლესიის ირგვლივ XVIII-XIX სს. საფლავის ქვებია. *კ. ბ.*

012,ა. აფსიდის ნანგრევები



**013. ლევან გოთუას სახლი და საფლავი**, არმაზის ქ., 56. ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. ეკუთვნოდა ცნობილ ქართველ მწერალს ლევან პართენის ძე გოთუას (1905-73 წწ.), ავტორს ისტ. რომანების, ისტ. თემაზე დაწერილი მრავალი მოთხრობის, პიესის და თანამედროვეობისადმი მიძღვნილი ნაწარმოებებისა.

(ა) სახლი ორსართულიანია, ნაგებია აგურით. მწერლის სამუშაო ოთახი მეორე სართულზეა. ამ სახლში დაამთავრა მწერალმა „გმირთა ვარამის“ მე-4 ტომი, „მითრიდატე“ და „სერაფიტი“.

ეზოში მწერლის (ბ) საფლავია. კურსების გრანიტით მოპირკეთებულ დაბალ ოთხკუთხა კვარცხლბეკზე დგას ბრინჯაოს სიმბოლური ფიგურა, რ-საც მარჯ. ხელში ხმალი და ფარი, ხოლო მარცხენაში გაშლილი წიგნი უპყრავს. ფიგურა მოჩარჩოებულია „ეტრატით“ (მოქანდ. ჯ. თუშურაშვილი, არქიტ. გ. კავთიაშვილი). *ბერძ. ც.*

**014. ეკლესია ღვთისმშობელი, ახალქალაქური**, არქიტ., ისტ. ძ. დგას მცხეთის რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ, მთის კლდოვან ფერდზე, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, აგებულია XI-XII სს.

აქ არსებული სამონასტრო კომპლექსიდან შემორჩენილია ღვთისმშობლისა და საცხოვრებლად გადაკეთებული ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიები. ისტ. წყაროებში ღვთისმშობლის ეკლ. ცნობილია ახალქალაქურის სახელწოდებით. (ა) 1609 წ. მეფე ლუარსაბისაგან დევნილმა გ. სააკაძემ თავის ახლობლებთან ერთად თავი ახალქალაქურ მონასტერს შეაფარა.

XIX ს. 90-იან წლებში ვინმე ოლღა გორნიჩმა გააწმენდინა მიწით დაფარული ეკლ., შეაკეთებინა და დააარსა იქ ქალთა მონასტერი.

ღვთისმშობლის ეკლესია დარბაზულია (13,6X6,7 *მ*), ნაგებია საშ. ზომის ნატეხი ქვით. შესასვლელი დას-დან და ჩრდ-დანაა. აღმ-ით განიერი, ნახევარწრიული აფსიდია. დარბაზის ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი პილასტრებს ეყრდნობა. აღმ-ის, სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლებში გაჭრილია თითო სარკმელი (აღმ-ის სარკმელი XIX ს-შია გადაკეთებული). კანკელი (XVIII-XIX სს.) იმეორებს შუა საუკუნეების კანკელთა ფორმას. ამჟამად ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიას დას-ით ეკვრის კარიბჭე, რ-ის შუა ნაწილი გვერდის ნაწილებთან შედარებით რამდენადმე ამაღლებულია. იგი გადახურულია კედლის პროფილირებულ ორნამენტიან შვერილებზე დაყრდნობილი

014. ხედი სამხრ.-დას-იდან, გეგმა





ვარსკვლავისებრი შეკრული კამარით, რ-ის ცენტრში ორნამენტიანი მედალიონია ვარდულით. გარედან კარიბჭის სამხრ-ის კედელი საერთო მოხაზულობიდან გამოწეულია. დას-ის ფასადზე შემორჩენილია ლავგარდნის ორი ქვა. კარიბჭე თავისი კონსტრუქციითა და გაფორმებით სამთავროს ტაძრის სამხრ. კარიბჭის მსგავსია და განეკუთვნება XI-XII სს.

*ბიბლ.:361:28.* *ანდღ. ნ.*

**ანატოლი კალგინის საფლავი**, იხ. სამთავროს კომპლექსი.

**015. კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას მცხეთის ჩრდ-ით, 5 *კმ*-ზე, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე, მაღალი მთის თხემზე. ეკლესიისაკენ მცხეთა-შიომღვიმის საავტ. გზიდან მიდის ბილიკი ეკლ. აგებულია XII ს.

1975 წ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. სახელოსნომ ჩაატარა გასამაგრებელი და აღდგენითი სამუშაოები (ხელმძღ. ე. ცინცაძე).

ეკლ. დარბაზულია (4,51X2,72 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. დას-ით მასზე მიდგმულია კოშკისებრი ორსართულიანი ნაგებობა, რ-ის ცილინდრული კამარით გადახურული პირველი სართული ეკლესიის კარიბჭის როლს ასრულებს. მინაშენს სამხრ-დან აქვს შესასვლელი. პირველი სართულის ჩრდ. ნაწილში მეორე სართულზე (სამრეკლოზე) ასასვლელი სწორკუთხა ხვრელობია.

ეკლესიაში შესასვლელი დას-დანაა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო თაღოვანი ნიშია. საკურთხეველი გამოყოფილია აგურის კანკელით. სატრაპეზოს ქვის წყობაში ჩატანებულია სტელის ფრაგმენტი (ადრინდელია). აქვეა ქვის ემბაზი. სამხრ. კედელში ერთი სარკმელია. შესასვლელის თავზე გაჭრილი სარკმელი მინაშენის მეორე სართულის სათავსში გადის.

ეკლ. მთლიანად მოუხატავთ XII ს-ში. მოხატულობა დაზიანებულია. დარბაზის კამარაში გამოსახულია მედალიონში ჩასმული ჯვარი. დარბაზის და საკურთხევლის მოხატ. იყოფა ორ რეგისტრად. იატაკსა და ქვედა რეგისტრს შორის გავლებულია მარმარილოს იმიტაციის ფართო ზოლი. აფსიდის კონქში გამოსახულია *ვედრება*. დარბაზის მხატვრობის ზედა რეგისტრში სადღესასწაულო ციკლის ხუთი სცენაა ასახული: დას-ის კედელზე — *ხარება*, ჩრდ-ის კედელზე — *შობა*, *მირქმა*, სამხრ-ის კედელზე — *ნათლისღება* და *ფერისცვალება*. ქვედა რეგისტრში წარმოდგენილია წმინდანთა სადიდებელი კომპოზიციები. დას-ის



015. გრძივი განაკვეთი სამხრ.-კენ. გეგმა

კედლის ქვედა რეგისტრის დიდი ნაწილი თეთრ ცხენზე მჯდომ ტრიუმფატორ წმ. გიორგის ფიგურას უჭირავს. მის მარცხნივ დარჩენილი ვიწრო ზოლი დაყოფილია სამ რეგისტრად. თითოეულში წმინდა დედათა ნახევარფიგურებია. ასეთივე პრინციპითაა დაყოფილი ჩრდ. კედლის ქვედა რეგისტრი — დიდი ნაწილი აქ წაბლა ცხენზე მჯდომ წმ. თევდორეს ფიგურას უკავია, ხოლო მარჯვ. მხარეს ვიწრო ზოლად სამ რეგისტრში წმინდა მამათა ნახევარფიგურებია. სამხრ.-ის კედლის აღმ. მონაკვეთში წარმოდგენილია წმ. გიორგი პატრიცის სახით, ხოლო დას. მონაკვეთში — წმ. დიმიტრი. მათ შორის სარკმლის ქვეშ მოთავსებულია წმ. დედის ნახევარფიგურა.

მხატვრობა მონუმენტური და მშვიდია, მაგრამ შეიმჩნევა დეკორაც.-დინამიური სტილისაკენ გადახრა (რეგისტრებს შორის შეუთანხმებლობა, გამოსახულებათა სხვადასხვა მასშტაბი, ფიგურათა სხვადასხვაგვარი შეთანხმება სივრცესთან, თავისუფალი ადგილების შევსება ნახევარფიგურებით). ხაზი მოძრავი და დენადია. კოლორიტი გამოირჩევა დახვეწილი ფერადოვანი გამით — ვარდისფერი, ცისფერი, თეთრი, ბაცი მწვანე ფერები შეხამებულია მოწითალო ყავისფერთან.

*ბიბლ.:* 324; 361. *ანდღ. ნ., გ. ი.*

016. სანდრო კანდელაკის ძეგლი, მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას ი. სტალინის ქუჩაზე, ქალაქის ცენტრ. მოედნის მახლობლად. დაიდგა 1970 წ. მოქანდ. ბ. ავალიშვილი, არქიტ-ები მ. ლაითაძე, ვ. ქობულია.

დაბალპარაპეტიან ბაზალტის ფილებით მოგებულ მრგვალ ბაქანზე აღმართულია გრანიტით მოპირკეთებული კვარცხლბეკი (სიმ. 3 მ), რაზეც დგას ცნობილი ქართვ. მოჭიდავის სანდრო კანდელაკის ბაზალტისაგან ნაკვეთი ბიუსტი (სიმ. 1 მ). ათლეტური აგებულების ახალგაზრდა მამაკაცის ბიუსტი ფართოდ გაშლილი მხრებით სცილდება კვარცხლბეკის საზღვრებს. ბიუსტის ქვედა ნაწილი უხეშად გათლილი ქვის ბლოკს წარმოადგენს. *დ. ფ.*

016. საერთო ხედი



017. კარიბჭე „არაგვის კარი", ნამოსახლარი და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრში, მშრალი (მონასტრის) ხევის მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება V-VI სს-ით. კარიბჭე 1965-67 წწ. გათხარა მაე-მ (ხელმძღვ. ა. კალანდაძე). ამჟამად მოქცეულია ფართოეკრანიანი კინოთეატრის ქვეშ, სპეციალურად მოწყობილ შემინულ სათავსში. მისი დათვალიერება შეიძლება ყველა მხრიდან.

„არაგვის კარი" ჩაშენებულია ძვ. მცხეთის ზღუდე-გალავნის ჩრდ. ნაწილში, იქ, სადაც მშრალი ხევი ხელოვნური თხრილით ბოლოვდება. კარიბჭის კედლები (სისქე 0,9 მ) ნაგებია ნატეხი ქვით. წინა მხარე გათლილი ქვითაა მოპირკეთებული (შემორჩენილია გათლილი ქვების თითო რიგი), ხოლო უკანა მხარე, რ-იც ზღუდეს ებჯინებოდა, მოუპირკეთებელია, კარიბჭეს ასაწევ-დასაწევი კარი უნდა ჰქონოდა. შემორჩენილია კარის დირის ფოსო (0,38X0,3 მ). კარიბჭე გარედან გამაგრებულია სექტორის მოყვანილობის კოშკებით (კოშკის რკალის სიგრ. 11,8 მ; კარიბჭისაკენ მიმართული გვერდის სიგრ. 6,65 მ), გალავნის კედელზე მიბჯენილი გვერდისა 7,5 მ), რ-ებიც გალავნის კედელზეა მიშენებული.

გალავნის კედლისა და კოშკების ასაგებად წინასწარ მოუსწორებიათ მიწის ზედაპირი და ზედ ნატეხი ქვიშაქვის ქვაფენილი (სისქე 0,3-0,4 მ) დაუგიათ. ქვაფენილში მრავლადაა შერეული რიყის ქვა, კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები. შემდეგ ქვაფენილზე ხრეშია დაყრილი, მოსწორებულია და ამის შემდეგაა ამოყვანილი კედლები და კოშკები. ზღუდე-გალავნის კედელი და კოშკები ნაგებია ალიზის აგურით. ქვაფენილი შიგნითა მხრიდან ცოკოლის მსგავსადაა გამოწეული.

(ა) ს ა უ რ მ ე  გ ზ ა (სიგ. კარიბჭეში 3,4 მ) მოხრეშილ-მოტკეპნი-

017. გეგმა





017. საერთო ხედი (რესტავრაცია-კონსერვაცია ვ. ცინცაძის მიხედვით)

ლია. კარიბჭის დას. კედელს გასდევს საურმე გზის დონიდან შემაღლებული (0,1-0,15 *მ*) ბორდიურით გამოყოფილი, ნატეხი და რიყის ქვით მოკირწყლული საცალფეხო ბილიკი (სიგ. კარიბჭეში 1,3 *მ*).

ზღუდე-გალავანი კარიბჭითურთ ადრეული ხანის ნამოსახლარსა და სამაროვანზეა დაშენებული.

(ბ) ნამოსახლარი თარიღდება IV-V სს-ით. აქ გამოვლინდა ქვიშაქვითა და რიყის ქვით ნაგებ შენობათა ნაშთები, მარნები (ორ ათეულზე მეტი ქვევრი), სამეურნეო დანიშნულების ორმოები, ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები და მრავალი სხვადასხვაგვარი თიხის ჭურჭელი. ორი ქურიდან ერთს მოზრდილი ჭურჭლეულის გამოსაწვავად იყენებდნენ (შემორჩენილია ქურაში ჩადგმული ორყურა დერგის ფრაგმენტები), ხოლო მეორეს, ნავისებურ ქურას — მომცრო ჭურჭლეულის და ჭრაქების გამოსაწვავად (მასში აღმოჩნდა გამოსაწვავად ჩადგმული ხუთი ჭურჭელი და რამდენიმე ათეული ჭრაქი). ქურები კრამიტით ყოფილა გადახურული.

(გ) სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. I — ახ. წ. I-II სს-ით. გაითხარა 1 ორმოსამარხი, 3 კრამიტსამარხი და 11 ქვევრსამარხი. ორმოსამარხში მიცვალებულის ჩონჩხი, სამი მონეტა და მინის ჭურჭელი აღმოჩნდა. კრამიტსამარხები გაძარცულია, მათში მხოლოდ რამდენიმე მონეტა იყო. ქვევრსამარხებში (ზოგიერთში ორი მიცვალებულია ჩასვენებული) აღმოჩნდა თიხის ხელადები, ბრინჯაოსა და ვერცხლის სამკაულები, ზარაკები, სამაჯურები, სასაფეთქლე რგოლები, სხვადასხვა მასალის, ფორმისა და სიდიდის მძივები, მონეტები და სხვ.

*ბიბლ.:* **48; 118.** *ბ. ა.*

018. კოდმანი II, არქეოლ. ძ. მდებარეობს მცხეთა — შიომღვიმის გზის 1,7 *კმ*-ზე. თარიღდება გვიანდ. ანტ. ხანით. ძ. 1979 წ. გათხარა მაე-მ (ხელმძღ. ა. აფაქიძე). გაითხარა (ა) კრამიტსამარხები, რ-ებშიც აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, მძივები, გემიანი ბეჭდები და სხვ. აქვე აღმოჩნდა ადრინდ. ფეოდ. ხანის (ბ) ნამოსახლარის ნაშთები — ნაგებობის კედლის ფრაგმენტი, სამზარეულო კერამიკა, ქვევრები *ძ. მ.*

019. მიხეილ მამულაშვილის სახლი, ბაღი და საფლავი, ისტ. ძ. მამულაშვილის ქ., 7

სახლი ბაღითურთ ეკუთვნოდა ცნობილ დეკორატორს, საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწეს მიხეილ ალექსანდრეს ძე მამულაშვილს (1873-1973 წწ.). შენობა ერთსართულიანია, ნაგებია კირქვით. დეკორატორის სამუშაო ოთახი ცოკოლის სართულზეა. ამავე სართულის მეორე ოთახში გამოფენილია მ. მამულაშვილის ოჯახის წევრების, ქართვ. მწერალთა და საზ. მოღვაწეთა სურათები.

ეზოში მ. მამულაშვილის (ა) საფლავია. საფლავის ქვაზე ამოკვეთილია: „1873-1973".

*ბიბლ.:* **236.** *ბერძ. ც.*

020. მარტაზისხევის სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მარტაზის ხევის ანუ ხანგრისხევის მარცხ. ნაპირზე, ბორცვზე, რკინიგზის ხიდის ჩრდ-ით. მ. ს-ის უძველესი ფენა გვიანდ. ბრინჯაოს ხანისაა, შემდეგი ფენა — ელინისტ. ხანის, ზედა ფენა კი ახ. წ. IV-VII სს-ით თარიღდება.

მოპოვებული მასალა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

1951 წ. მცხეთა — ძეგვის სამანქანო გზის გაფართოების დროს აღმოჩნდა ორი ბრტყელი ქვით გადახურული სამარხი. შიგ ესვენა ქრისტ. წესით დაკრძალული სამი მიცვალებული. სამარხი, მასში აღმოჩენილი მასალის მიხედვით (მინის ორი სანელსაცხებლე შემკული მინისავე ძაფებით, მინის ბეჭდები და მძივები, ბრინჯაოს მშვილდსაკინძი), ახ. წ. IV ს-ით დათარიღდა.

1967 და 1969 წ. ИАЭ ინ-ტის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. უგრელიძე) გათხარა ბორცვის სამხრ.-აღმ. და შუა ნაწილი. აღმოჩნდა ნატეხი ქვითა და თიხამიწით ნაგები, სამ-სამი დიდი ფილაქვით გადახურული ქვაყუთები. უმეტესობა საოჯახო სამარხებია და მიცვალებულები დაკრძალული არიან ქრისტ. წესით. სამარხთა ტიპისა და მათში აღმოჩენილი ნივთების (მინის სანელსაცხებლები, მინის მძივები, ბრინჯაოს საკინძები) მიხედვით, სამარხები თარიღდება IV-VII სს-ით. გვიანდ. სამარხების გვერდით იმავე სიღრმეზე გაითხარა ერთი ქვევრსამარხი, რ-იც სამარხის ტიპისა და ინვენტარის (მინის რამდენიმე მოოქროვილი მძივი) მიხედვით, თარიღდება ძვ. წ. II-I სს-ით. ბორცვის აღმ. ნაწილში აღმოჩნდა აგრეთვე თხელი ფილაქვით ნაგები, ჩრდ-დან სამხრეკენ დამხრობილი ქვაყუთები, თითოეულში თითო ბავშვის ხელფეხმოკეცილი ჩონჩხი ესვენა. ერთ-ერთში აღმოჩნდა შავპრიალა თიხის ყელძაბრიანი ძირწვეტიანი ჭურჭელი და მინის მძივები. ჭურჭელი ძვ. წ. IV-III სს-ს განეკუთვნება. ამავე ხანისაა მეორე ქვაყუთი, რ-შიაც აღმოჩნდა ოქროს მოცვარული საყურეები, მინის ეგვიპტური სკარაბეუსი, მინის მძივები, ბრინჯაოს ზანზალაკები და ძვლის ნივთი, რ-ზეც ფასკუნჯია ამოკაწრული.

ზემოთ აღწერილ სამარხთა ქვეშ აღმოჩნდა შენობის რიყის ქვით მოგებული იატაკი (3,0X1,5 *მ*), რ-იც დაუზიანებიათ გვიანდ. სამარხების ჩაჭრის დროს. იატაკზე ეგდო გვიანდ. ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ორი საკინძის თავი.

*ბიბლ.:* **197:102-107; 215:89-91.** *ჯ. მ*

021. მგალობლიანთკარის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას მცხეთის გარეუბან კოდმანში, მდ. მტკვრის მარცხ.



021. გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

ნაპირზე. თარიღდება XVIII-XIX სს-ით.

ქკლ. დარბაზულია (6,37X4,63 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით; გამოყენებულია აგურიც (კარ-სარკმელთა თაღები და ლავგარდანი). შესასვლელი სამხრ-დანაა. ღრმა ნახევარწრიულ აფსიდში ექვსი ნიშია. დარბაზი გეგმით კვადრატულია. დას-ისა და აღმ-ის კედლებში თითო სარკმელია. დას-ის კედელი საბჯენი თაღითაა შემოსაზღვრული. თაღი ცილინდრული კამარის ქუსლის დონეზე იკვეთება. ეკლესიის ლავგარდანი აგურისაა (ორ ჰორიზ. რიგად დალაგებულ აგურებს შორის ჩასმულია სამკუთხად ნაშვერი აგურები).

ბიბლ.: 361:35. *ანდღ. ნ.*

022. მოგვთაკარის სამაროვანი და ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მცხეთის რკ.-გზ. სადგურის მოპირდაპირე მხარეს, მთაქართლის ჩრდ. კალთის ძირას.

022. კედელი-ზღუდე და სამარხები



წერილობითი წყაროებისა და არქეოლ. მონაცემების მიხედვით მოგვთაკარი მცხეთის დედაქალაქობის ხანაში მისი ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული უბანი იყო. ამ უბნის გაჩენა დაკავშირებულია ქართველთა მეოთხე მეფის ფარნაჯომის სახელთან. მან „მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლის მსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვან მოგუთა".

არქეოლ. გათხრები მოგვთაკარში 40-იანი წლებიდან დაიწყო. 1977 წ. მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე) აქ

022(ა),(ბ). გეგმა



გათხარა სამაროვანი და ნამოსახლარი. სამაროვანი თარიღდება I-III სს-ით, ხოლო ნამოსახლარი — III-IV სს-ით. მოპოვებული მასალა ინახება მცხეთის მუზეუმში.

(ა) სამაროვანზე გათხრილ სამარხთა უმეტესობა წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის კრამიტყუთებია, ნაგებია ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ღარიანი კრამიტებით, სახურავი ბანური ან ორფერდაა. ძირი თიხატკეპნილი ან ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტითაა მოგებული. ხელფეხმოკეცილი მიცვალებულები მარჯვ. გვერდზე ესვენა, მარჯვ. ხელი თავქვეშ ჰქონდათ ამოდებული, მარცხ. კი მუცელზე ედოთ. სამარხებში აღმოჩნდა: თიხის თხელკეციანი, ვარდისფრად ან ჩალისფრად გამომწვარი, კოპებით შემკული თუ სადაგვერდებიანი, ცალყურა, ყელწიბოიანი, გვერდებშეზნექილი ან ნაჭდევებიანი სამტურა სასმისები და კოჭობები, ავგუსტუსისა და გოტარზის მონეტები, ოქროს საყურეები, ვერცხლისა და ბრინჯაოს რგოლები, სხვადასხვა ზომის, ფორმისა და მასალის მძივები, რკინის დანები, სამფრთიანი ისრისწვერი, ბრინჯაოს ზარაკები და მძივსაკიდები, ირმის სახის საკიდები, რკინის ძეწკვი, ბრინჯაოს სარკე, ფერ-უმარილის სასრესი ნიჟარა ძვლის კოვზითურთ, ავგაროზი, რკინისა და ბრინჯაოს ბეჭდები. ერთი რკინის ბეჭდის სარდიონის თვალზე ამოკვეთილია ორსიტყვიანი ბერძნ. ასომთ. წარწერა.

სამარხი ნაგებობები, სამარხეული ინვენტარი და დაკრძალვის წესი (ქარონისათვის განკუთვნილი მონეტები მიცვალებულებს პირსა და ხელში ედოთ) გვიჩვენებს, რომ მოგვთაკარის სამაროვანზე დაკრძალულები უცხოელები (ბერძნები) ან ელინიზებული იბერიელები უნდა იყვნენ.

(ბ) ნამოსახლარი უშუალოდ სამაროვნის სამხრ-ითაა. გაიწმინდა ნაგებობათა ნაშთები. კედელი-ზღუდე (შემორჩენილი სიმ. 1,2 მ, სიგრ. 80 მ, სისქე 1,05 მ) ნაგებია მოზრდილი ზომის ნატეხი ქვით და ტალახით. მის აღმ-ით გამოვლინდა ნაგებობის ნაშთი (სახლი 1), რ-შიც აღმოჩნდა დამსხვრეული, გარუჯული თიხის ხელადები და ქოთნები, დანახშირებული ძვლები და ბათქაშის გამომწვარი ნატეხები, სახლის გარეთ 4 მოზრდილი ქვევრი იყო, სახლის ჩრდ.-აღმ. მხარეს — კერა.

ბიბლ.: 176ე:126-131; 206:504-508; 210. *ს. ა., აბ. ა., ნ. ე.*

მოგვთა ხიდი, იხ. პომპეუსის ხიდი.

023. მცხეთის გორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის ჩრდ. ნაწილში. დაზიანებულია.

მ. პ-ზე 1957 და 1962 წწ. მაე-მ (ხელმძღვ. ა. კალანდაძე) გათხარა თლილი ქვითა და კირის ხსნარით ნაგები გვიანდ. ანტ. ხანის მცხეთის ზღუდის ნაწილი, გვიანდ. ანტ. ხანიდან ადრინდ. ფეოდ. ხანაზე გარდამავალი პერიოდის დაგანვით. ფეოდ. ხანის ნაგებობის ნაშთი და მარანი. 1975, 1979-80 წწ. მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე) გორაზე გათხარა ალიზის ზღუდისა და თიხატკეპნილი იატაკის მქონე ნატეხი ქვით ნაგებ სათავსთა ფრაგმენტები და სამაროვანი;



023. 1962-75 წწ. გათხრილი მონაკვეთის გეგმა

აღმოჩნდა რამდენიმე თიხის თონესათბური, ღარიანი და ბრტყელი კრამიტების, ჩალისფრად გამომწვარი თიხის ყელწიბოიანი ჭიქლა-ხელადების, ღრმა ჯამების და ქოთან-ქილების ნატეხები, რკინისა და ბრინჯაოს წვრილი ნივთები, შინაურ ცხოველთა ძვლები, ნაცარი, ნახშირი, ბათქაშისა და ალიზის ნამტვრევები. სამაროვანი ორფენიანია. I ფენა ძირითადად შედგება ფილაქვით ნაგები ქვაყუთებისაგან, რ-ებშიც ქრისტ. დაკრძალვის წესი დადასტურდა. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით, II ფენა წარმოდგენილია ორმოსამარხებით, რ-ებიც ადრინდ. ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება.

მოპოვებული მასალა ინახება მცხეთის მუზეუმში.

*ბიბლ.:* 157; 176ბ:61-64. *ნ. ც.*

023(ა). კრამიტსამარხი



023,ა. მცხეთის ნაქალაქარის სვეტიცხოვლის უბანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სვეტიცხოვლის კომპლექსის მიდამოებში. 1975-85 წწ. მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე) გათხარა რამდენიმე მონაკვეთი — სვეტიცხოველი I, II, IV, VI. ძ. მრავალფენიანია, თარიღდება ძვ. წ. I ს. — გვიანდ. ფეოდ. ხანით. მოპოვებული მასალა ინახება მცხეთის მუზეუმსა და მმაე-ს საცავებში.

(ა) სვეტიცხოველი I. მდებარეობს სვეტიცხოვლის ტაძრის დას-ით 30-40 მ-ზე. I ფენაში, რ-იც XIV ს-ით თარიღდება, გამოვლინდა კერამ. წყალსადენი და რიყის ქვის რამდენიმე კედლის ფრაგმენტი. წყალსადენი 2 მ-ის სიღრმეზეა, შედგება თიხის ვიწრო მილებისაგან და მოთავსებულია კირხსნარის ბუდეში.

II ფენა XI-XIII სს-ით თარიღდება. აქ გამოვლინდა შენობათა კედლების ფრაგმენტები, კერები, ქვევრები, წყალსადენის თიხის მილები

III ფენა IV-V სს-ისაა, შეიცავს ნატეხი ქვით ნაგებ შენობათა კედლის ფრაგმენტებს. შემორჩენილია კედლის წყობის 2-3 რიგი (სისქე 0,7 მ). ნაგებობათა გეგმის წაკითხვა არ ხერხდება. ამავე ფენაში აღმოჩნდა თხელკედლიანი მინისა და წითლად და ჩალისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის (ცალყურა, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი ქოთანი, ყელწიბოიანი სამტუჩა ხელადა) ნატეხები, რკინისენიანი ოთხწახნაგა ბრინჯაოს ზარაკი, ოქროს ბეჭედი, ხელსაფქავის ქვის ფრაგმენტი.

IV ფენა, რ-იც I-III სს-ით თარიღდება, შეიცავს ორფერდასახურავიან კრამიტსამარხებს. სამარხები აგებულია ღარისებრი და ბრტყელი კრამიტებით. ზოგიერთი სამარხის გრძივ კედლებს გასდევს ოთხი ღარისებრი კრამიტისაგან შემდგარი ბორდიური. ფსკერზე, აღმ. კედლის ძირში გამართულია წყვილი ღარისებრი კრამიტისაგან შემდგარი სასთუმალი ზოგიერთი სამარხი გაძარცულია. ერთ-ერთ კრამიტსამარხში აღმოჩნდა მდიდრული სამარხეული ინვენტარი: სამტუჩა, პირმრგვალი და ყელწიბოიანი თიხის ხელადა, თიხის ჭრაქი, ფერუმარილის სასრესი ნიჟარა, უცხოური წარმოების მინის სანელსაცხებლები, ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერის მინაბაძები, ვერცხლის მონეტები, სამკაულები — ნატიფი ოქროს ყელსაბამი და წყვილი საყურე, ოქროს წყვილი სათითე-ბეჭედი ოვალური თვალბუდით (ერთში ალმანდინის თვალი ინტალიოთი, რ-ზეც ქალღმერთი ნიკეა გამოსახული, მეორის ბუდეში ჩასმულ სარდიონზე ამოკვეთილია გრძელკაბიანი ქალღმერთი პროფილში), რკინის ბეჭედი ინტალიოთი, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ოქროს კილიტები, ფერადი პასტისა და მინის მძივები და მძივსაკიდები, საწერი მოწყობილობის კომპლექტი.

V ფენა თარიღდება ძვ. წ. I ს-ით. შეიცავს ქვაყუთებს, ორმოსამარხებსა და ქვევრსამარხებს. ქვევრსამარხებად გამოყენებულია წითლად გამომწვარი სქელკედლიანი ქვევრები, რ-ებიც დევს გვერდზე ჰორიზონტალურად. შიგ ასვენია თითო ან ორი ჩონჩხი მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე. ქვევრსამარხებში აღმოჩნდა ჩალისფრად გამომწვარი ანგობირებული მრგვალპირიანი და სამტუჩა ხელადები, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, სამაჯურები, პასტის გიშრის, მინის მძივები, რკინის დანები.

(ბ) სვეტიცხოველი II მდებარეობს ტაძრის დას-ით 50-60 მ-ზე ლენინის ქუჩაზე მდებარე პარკში.



023,ა (ღ). ხახლები № 1-4 და სხვ. ხედი ჩრდ.-აღმ.-იდან

I ფენა, რ-იც გვიანდ. ფეოდ. ხანით თარიღდება, შეიცავს შენობის კედლების ფრაგმენტებს.

II ფენა XI-XII სს-ისაა. აქ გამოვლინდა ნაგებობათა კედლების ფრაგმენტები, ქვევრები, კრამიტები.

III ფენა თარიღდება IV-VI სს-ით. შეიცავს ქვევრებს, სამზარეულო კერამიკას, რიყის ქვითა და თიხით ნაგებ კედლების ფრაგმენტებს. ქვევრები ორი ტიპისაა: ა) მოჩალისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი სქელკედლიანი, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, სფერული მუცლითა და მომრგვალებული ძირით; ბ) მოჩალისფროდ გამომწვარი თხელკეციანი, ბრტყელპირიანი, დაბალყელიანი, ოვალურმუცლიანი, რელიეფურსარტყლიანი, ბრტყელძირა ქვევრებიც.

კერამიკა მოწითალოდ და მოვარდისფროდაა გამომწვარი, თხელკეციანია, ფორმები დაგრძელებულია, ყელყელა. ზოგი მათგანი შემკულია ამოღარული ტალღური ორნამენტით. ეს კერამიკა მსგავსია აღმ. საქართველოს ადრინდ. ფეოდ. ხანის ძეგლებზე (ახალი არმაზი, ჟინვალი, ურბნისი, რუს-

თავი, ლოჭინი და სხვ.) მოპოვებული კერამიკისა.

IV ფენა თარიღდება III ს-ით. შეიცავს ქვის ფილებით გადახურულ თიხისფილა სამარხებს. მიცვალებულები გულაღმა ასვენია. სამარხებში აღმოჩენილი ჩალისფრად გამომწვარი ყელწიბოიანი ხელადა, ვერცხლის გემიანი ბეჭედი, მძივები ანალოგიურია გვიანდ. ანტ. ხანის მცხეთა-სამთავროს მრავალრიცხოვან სამარხებში აღმოჩენილი მასალისა.

V ფენა, რ-იც II-III სს-ით თარიღდება, დაზიანებული და დამწვარია. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს კერამიკას: სამტურა და ყელწიბოიან ხელადებს, რელიეფური კოპებით შემკულ ხელადისებურ სასმისებს, ქვევრებს და ბრტყელ, გვერდებაკეცილ კრამიტს, რ-იც ზომით საგრძნობლად განსხვავდება გვიანდ. ანტ. ხანის მცხეთური კრამიტისაგან. მოპოვებული მასალა მსგავსია გვიანდ. ანტ. ხანის ქართლის სამარხებსა თუ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი მასალისა.

(გ) ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ე ლ ი IV მდებარეობს მ. მამულაშვილისა და ი. სტალინის ქუჩებზე.

ი. სტალინის ქ-ზე, მონასტრის ხევსა და სტამბის შენობას შორის, მიწის ზედაპირიდან 2,25 *მ*-ის სიღრმეზე აღმოჩნდა გვიანდ. ელინისტ. ხანის კულტ. ფენა (სისქე 0,5 *მ*), რ-იც შეიცავდა მოწითალო-მოყავისფროდ ანგობირებულ კერამიკას — მცხეთა-სამთავროს ქვევრსამარხებში დადასტურებული მასალების მსგავსს და სინქრონულ ძეგლებს.

გვიანდ. ანტ. ხანის ფენაში (სისქე 1,0 *მ*), რ-იც უშუალოდ ელინისტ. ხანის მასალების შემცველ კულტურულ ფენაზე იდო, აღმოჩნდა მასალები, რ-ებიც ფართოდაა გავრცელებული ქართლის გვიანდ. ანტ. ხანის ძეგლებზე.

ი. სტალინის ქ-ზე აღმოჩნდა, აგრეთვე ქ ე ა ყ უ თ ე ბ ი და კრამიტის ს ა მ ა რ ხ ე ბ ი.

მ. მამულაშვილის ქ-ზე აღმოჩნდა ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი დ ა ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი.

(დ) ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ე ლ ი IV, მდებარეობს სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრ.-დას-ით, გალავნის გასწვრივ. აქ, გვიანდ. და განვით. ფეოდ. ხანის დაშლილი კულტ. ფენების ქვეშ გამოვლინდა ადრინდ. ფეოდ. ხანის ნამოსახლარი, რ-იც გვიანდ. ანტ. ხანის კულტ. ფენაზეა გამართული, გათხარა 300 *კვ მ* ფართობი. გამოვლინდა ქუჩის ნაწილი და ხანძრის შედეგად განადგურებული 6 სახლის ნაშთი. სახლებს რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები საძირკველი, თიხატკეპნილი იატაკი, ალიზის კედლები და კრამიტის სახურავი ჰქონიათ. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კრამიტი, სამეურნეო, სამზარეულო, სუფრის ჭურჭელი (მ. შ. გვიანდ. ანტ. ხანისათვის დამახასიათებელი მონოქრომულად მოჭიქულიც) აგრეთვე თონეები და მიწაში ჩადგმული ქვევრები.

ბიბლ.: 176ბ:64-77; 176ე:157-158.

*ნ. ვ., ძ. მ.*

024. მცხეთის ჯვარი, არქიტ., ისტ. მონუმ. ხელოვნ. ძ. მდებარეობს მცხეთის აღმ-ით, მდ-ების მტკვრისა და არაგვის შესართავთან, კლდოვანი მთის წვერზე. კომპლექსამდე მიდის საავტ. გზა — თბილისიდან მცხეთისაკენ მიმავალი გზის მარჯვ. განშტოება მე-7 *კმ*-ზე.

კომპლექსში შედის: მცირე ეკლესია, დიდი ტაძარი, გალავანი და სხვა ნაგებობანი.

მ. ჯ-ზე 1924-27 წწ. (საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი, ზაკესკომის დახმარებით, ხელმძღვანელები გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი), 1933-39 წწ. (საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნ. საქმეთა სამმართველოს კულტ. ძ-თა დაცვის განყ-ბა, ხელმძღვანელები გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი), 1963-65 წწ. (სპეც. სამეც.-სარესტ. საწ. სახელოსნო, ხელმძღვ. რ. გვერდწითელი) ჩატარდა სარემონტო-სარესტ. სამუშაოები. ბოლო სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანებამ. დიდ ტაძარში გამაგრდა სუბსტრუქცია, გუმბათის ყელი, ცოკოლი, აღდგა სამხრ. კარის ღიობი, გაიწმინდა ინტერიერი, გამოჩნდა ფრესკის ფრაგმენტები (ხელმძღვ. ვ. ცინცაძე).

IV ს-ის 30-იან წლებში აქ, ღიაცის ქვეშ, აღუმართავთ ხის დიდი ჯვარი — სიმბოლო ახლად მიღებული ქრისტ. სარწმუნოებისა. ამ ჯვარს თაყვანს სცემდნენ არა მარტო ქართველები, არამედ მთელი კავკასიის ქრისტიანები. ძ-ის სახელწოდებაც ამ ჯვრიდან მომდინარეობს. ქართლის პირველმა ერისმთავარმა გუარამმა (545-586 წწ.) ხის ჯვრის ჩრდ-ით „... იწყო ეკლესია ჯუარისა პატიოსანისა". ეს იყო ჯვრის მცირე ეკლესია.

ქრისტ. სარწმუნოების დამკვიდრე-

024. საერთო ხედი





024. გეგმა: 1. დიდი ტაძარი, 2. მცირე ეკლესია, 3. გალავნის ნაშთი

ბამ, ქვეყნის პოლიტ. და ეკონ. გაძლიერებამ, ფეოდ. ურთიერთობის განმტკიცებამ საჭირო გახადა ახალი უფრო დიდი ეკლესიის აგება, რაც განხორციელდა VI-VII სს-ის მიჯნაზე გუარამის ძის სტეფანოზ ერისმთავრის (586/87-604/605 წწ.), მისი ძმების დემეტრესა და ადარნერსეს (604/605-634/635 წწ.), ერისმთავართა სახლობის სხვა წევრებისა და შეძლებულ დიდებულთა თანამონაწილეობით.

მრავალგზის დაზიანებისა და შეკეთების მიუხედავად კომპლექსმა, განსაკუთრებით დიდმა ტაძარმა, დღემდე შეინარჩუნა თავდაპირველი სახე.

(ა) ჯ ვ რ ი ს მ ც ი რ ე ე კ ლ ე ს ი ა მდებარეობს დიდი ტაძრის ჩრდ-ით, აგებულია VI ს-ის II ნახ-ში. მისასვლელი მხოლოდ აღმ-დანაა. გეგმით ჯვაროვანი, გარედან სადა, სწორკუთხა მოხაზულობის დარბაზული ტიპის მცირე ნაგებობა (8,3X5,5 მ) ნაშენია კარგად გათლილი, მომწვანო ფერის ქვიშაქვის დიდი კვადრებით. წყობის პორიზ. ნაკერების სწორხაზოვნება ფასადებზე და ინტერიერში მკაცრადაა დაცული. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: სახურავი და კამარა ჩანგრეულია, იატაკი აყრილი, ფასადის კვადრები გამოქარული და ამოცვენილი.

ეკლესიის ცენტრ. კვადრატი უფრო მაღალია, ვიდრე შენობის დანარჩენი ნაწილები. იგი გადახურული ყოფილა ჯვაროვანი კამარით (რაზეც მიგვანიშნებს შემორჩენილი ფრაგმენტები). ჯვრის მკლავები ცილინდრული კამარებითაა გადახურული. აღმ. და დას. მკლავები შედარებით დაგრძელებულია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია განიერი ბემით. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, ნიშებია. აღმ. და დას. კედლებში მოზრდილი სარკმლებია, ხოლო დანარჩენ ორ კედელში — ტიმპანებიანი გასასვლელები.

ნაგებობას სამხრ-ით და ჩრდ-ით ეკვრის კ ა რ ი ბ ჭ ე ე ბ ი. სამხრ-ის კარიბჭე დიდსა და მცირე ტაძრებს აერთებს. იგი გეგმით ტრაპეციის მსგავსია, გადახურულია ჯვაროვანი კამარით (გადაკეთებულია დიდი ტაძრის მშენებლობის დროს). კარიბჭის შესასვლელს შეწყვილებული ნახევარსვეტები და მათზე დამყარებული თაღი აქვს. კარიბჭის დას-ით შემორჩენილია მინაშენის ფრაგმენტები.

ჩრდ-ის კარიბჭიდან ეკლესიაში შესასვლელი თაღოვანია. თაღი კედლის სიბრტყიდან სამი მეოთხედით გამოწეულ სვეტებს ეყრდნობა. მოგვიანებით აღმ-დან კარიბჭისათვის მიუშენებიათ აფსიდი. ამ სახით იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ ეგვტერს, რ-ის დას. კედელში სარკმელია.

კარიბჭეების ნახევარსვეტებსა და სამმეოთხედ სვეტებს (შემორჩენილია ორ-ორი სვეტი ჩრდ-ით და სამხრ-

024(ა). განივი განაკვეთი აღმ-კენ



ით) პროფილირებული ბაზისები და კოზისებრი ორნამენტით შემკული კაპიტელები ამშვენებენ. კარიბჭეებს ქვის საზეიმო, მაღალი, ღია კიბეები ჰქონდა.

ეკლესიის დას. კედლის ჩრდ.-დას. მხარეს თაღოვანი ნიშია განედლებული ჯვრის გამოსახულებით (დაზიანებულია). ვარაუდობენ, რომ აქ კათალიკოსის ტახტი იდგა. აფსიდის იატაკი ერთი საფეხურითაა აწეული. აფსიდის კონქი მოზაიკით იყო შემკული, რასაც მოწმობს კონქის შუბლის ჩრდ. ქუსლთან შემორჩენილი მოზაიკის მცირე ნაშთი. სატრაპეზო გამოკვეთილია ერთი მთლიანი ქვისაგან.

ეკლ. დგას მაღალ, თლილი ქვით ნაგებ სუბსტრუქციაზე, რ-იც შენობას საზეიმო იერს ანიჭებს. ხუბსტრუქცია დას. მხარეს გახსნილია, ხოლო სამხრ-ით მთლიანად დახურული. ეკლესიაში ოთხი სამარხია. მათგან უცვლელად მხოლოდ სამხრ-ისამ მოაღწია. სამარხებში შესასვლელები მოგვიანებითაა გაჭრილი.

(ბ) ჯ ვ რ ი ს  დ ი დ ი  ტ ა ძ ა რ ი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (20,2X 16,5 *მ*; სიმ. 25 *მ*-მდე). ისტ. მონაცემებითა და მხატვრული ანალიზის საფუძველზე თარიღდება 586/87-604 წწ-ით. ფასადები და შიდა პირი ამოყვანილია ღია ვარდისფერი, ზოგ ადგილას კი მუქი ღვინისფერი კარგად გათლილი ქვიშაქვის მოზრდილი კვადრებით. კედლის წყობის პირიზ. ნაკერების სწორხაზოვნება ყველგან მკაცრადაა დაცული.

ტაძარი თავისი მასშტაბითა და დანაწევრებით ორგანულად ერწყმის მთას და მთლიანად გარემოს.

ტაძარი აღმართულია მოსწორებულ სწორკუთხა მოედანზე. აქვს ორსაფეხურიანი ცოკოლი. დასით იგი ემყარება ხელოვნურად გამაგრებულ ვერტიკალურ კლდეს. ტაძარში შესასვლელი სამხრ-დან და ჩრდ-დანაა.

ტაძრის გეგმის საფუძველია ტეტრაკონქი, რ-ის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს გუმბათქვეშა კვადრატი. მასზე აღმართულია სფერული გუმბათის რვაწახნაგა, ოთხსარკმლიანი (დას-ის სარკმელი ამჟამად ამოქოლილია) ყელი, რ-იც ეყრდნობა აფსიდების შვერილებს. გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა ხდება სამ წყებად განლაგებული ტრომპების საშუალებით. ოთხი ძირითადი ტრომპის ზემოთ მცირე ტრომპების რიგებია. უკანასკნელი რიგით შექმნილი 32 წახნაგი გუმბათის წრის საფუძველია. გუმბათის ნახევარსფეროს ცენტრში გამოსახულია რელიეფური ჯვარი, რ-საც მხატვრული და კონსტრ. დანიშნულება აქვს.

გუმბათქვეშა სივრცე ოთხმხრივ გახსნილია აფსიდებით, რ-ებიც გეგმაში ჯვარს ქმნიან. აფსიდების კონქები მეოთხედსფერულია. ჯვრის აღმ.-დას-ის ღერძი წაგრძელებულია აფსიდებზე დამატებული ნახევარწრიული კამარებით გადახურული ბემებით.

ჯვრის მკლავებს შორის, ყოველ კუთხეში, ჯვაროვანი კამარით გადახურული თითო ოთახია. ისინი ტაძრის ძირითად სივრცეს მცირე ზომის, წრის სამი მეოთხედის მოხაზულობის ნიშებით უკავშირდებიან. ყოველ ნიშში გაჭრილია ოთახში შესასვლელი. საკურთხევლის მარცხნივ და მარჯვნივ სამკვეთლო და სადიაკვნე იყო. სამხრ.-დას. ოთახი „საქალებოა" (მისი შესასვლელის თავზე წარწერაა: „ქ წყალობითა ღმრთისაითა და შეწევნითა ჯოვარისაითა მე, თემესტია, მხევალმან ქრისტესმან, აღვაშენე საყოფელი ესე სახსენებლად სულისა ჩემისა თაყვანისსაცემელად დედათა"). სამხრეთის მხრიდან „საქალებოს" აქვს შესასვლელი, რ-იც მორთულია ქრისტეს ამაღლების რელიეფით. სავარაუდოა, რომ ჩრდ.-დას-ის კუთხის ოთახი ერისმთავრის ოჯახის წევრთათვის იყო განკუთვნილი.



024(ა) სამხრ. კარიბჭის ნახევარსვეტის კაპიტელი



024(ბ). განაკვეთი აღმ-კენ



024(ბ) აღმ ფასადი

ტაძრის იატაკზე მოგებულია ქვის კვადრები. აღმ-ის აფსიდი იატაკის დონიდან ორი საფეხურითაა ამაღლებული. აფსიდის შუა ნაწილში, კედელთან დგას სატრაპეზო ქვა, რ-ის ორივე მხარეს კედლის გაყოლებით ქვის ჩამოსაჯდომებია ქლესიის მსახურთათვის. აღმ-ის აფსიდში სამი სარკმელია გაჭრილი, სამხრ-ისა და დას-ის აფსიდებში — თითო; ჩრდ-ის აფსიდს სარკმელი არა აქვს.

ტაძრის ცენტრში დგას რვაწახნაგა, მოგვიანებით გადაკეთებული ნაგებობა (აქ იდგა ხის ჯვარი, რ-ის გამო აიგო თვით დიდი ტაძარი). ნაგებობა წარმოადგენდა საკურთხევლისწინა ჯვრის პოსტამენტს, რ-ის წყობაში ჩართული იყო წარწერიანი ქვა (ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში). წარწერაში მოხსენიებული არიან ტაძრის ქტიტორები

გუმბათის ყელის სარკმლებიდან თანაზომიერად შემოსული შუქი, უხვად განათებული საკურთხეველი, შედარებით ნაკლებად განათებული დანარჩენი აფსიდები და ჩაბნელებული ნიშები ხელს უწყობს ინტერიერის მხატვრულ ორგანიზაციასა და შიდა სივრცის ჰარმონიული პროპორციების აღქმას.

თავდაპირველად ტაძარი მოუხატავი იყო (სავარაუდოა, რომ საკურთხევლის კონქი მორთული იყო მოზაიკით) მხატვრობის შემორჩენილი მცირე ფრაგმენტები მოწმობენ, რომ ტაძრის ინტერიერი მოგვიანებით მოუხატავთ.

დიდი ტაძრის გარეგანი ფორმები ხავსებით შეესაბამება შიდა სივრცეს



024(ბ). რელიეფი „ჯვრის ამაღლება" სამხრ. შესასვლელის ტიმპანზე

აქაც კომპოზიციის წამყვანი, მაორგანიზებელი ელემენტია გუმბათქვეშა კვადრატი, რ-საც მთელ პერიმეტრზე გასდევს სადა ლავგარდანი. გუმბათქვეშა კვადრატზე აღმართულია ფართო, შედარებით მცირე სიმაღლის რვაწახნაგა გუმბათის ყელი, რ-იც დასრულებულია წვრილი თაღებით გაწყობილი ლავგარდნით. სახურავის პროფილი იმეორებს სფერული გადახურვის ფორმას. ოთხივე აფსიდი გარედან ჩაწერილია კედლის სიბრტყიდან წინ წამოწეულ სამწახნაგოვან შვერილებში, რ-ებიც უფრო მაღალია, ვიდრე კუთხის ოთახების გარე კედლები. შვერილები გარე მასებში იმეორებენ ჯვაროვან გეგმას.

აღმ., ჩრდ. და სამხრ. ფასადები ერთნაირია: ცენტრში წახნაგა აფსიდის შვერილია, გვერდებზე — კუთხის სათავსების გლუვი კედლები და მათი დამაკავშირებელი ბრტყელი თაღოვანი ნიშები. ტაძრის დას-ის ფასადი, რ-ის აღქმა ახლო წერტილი-



024. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



024. რელიეფი სამხრ. ფასადზე – სტეფანე დიაკვანი და ქობულ-სტეფანოზი

დან არ შეიძლება, მოცემულია საერთო მასებში, ყოველგვარი მორთულობისა და ნიშების გარეშე. მოურთველია ჩრდ-ის ფასადიც, რ-ის დიდ ნაწილს ჯვრის მცირე ეკლ. ფარავს, სამხრ-ის ფასადზე, ცენტრ. შვერილში არსებულ შესასვლელს ეკვროდა კარიბჭე (შემორჩენილია მისი დას. კედლის ნაშთი).

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღმ. ფასადის ორგანიზაციას და დეკორს. ამ ფასადის ცენტრ. შვერილის ყოველ წახნაგზე თითო სარკმელია. სამივე სარკმელი გაერთიანებულია საერთო, მოჩუქურთმებული სათაურით: სარკმლების თავზე ქტიტორთა სამი რელიეფური გამოსახულებაა.

აღმ-ისა და სამხრ-ის ფასადზე ჩარჩოებით შემოფარგლული (გ) რ ე ლ ი ე ფ ე ბ ი ა. თითოეულ რელიეფში მოქცეულია კომპოზიციურად დასრულებული, გაწონასწორებული ფიგურები და ასომთ. წარწერები. წარწერები კომპოზიციაში მხატვრული ელემენტების როლს ასრულებენ. ჯვრის დიდი ტაძრის წ ა რ წ ე რ ე ბ ი ქართ. ეპიგრაფიკის ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი ძეგლია.

აღმ-ის ფასადზე, შუაში, გამოსახულია ქრისტეს წინაშე მუხლმოდრეკილი სტეფანოზი – ქართლის პატრიკიოსი (წარწერა: „ჯუარო მაცხოვრისაო სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შეიწყალე"), მარცხნივ – დემეტრე (წარწერა: „წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო, დემეტრეს ჰპატოსსა მეოხ ხეყავ"), მარჯვნივ – ადარნერსე, თავისი შვილით ქობულით (წარწერა: „წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო ადრნერსეს ჰპატოსსა მეოხ ეყავ"). ადარნერსესა და დემეტრეს ფიგურებს ზემოთ მფრინავი მთავარანგელოზები – გაბრიელი და მიქელია გამოსახული. სამხრ-ის ფასადზე შესასვლელის ტიმპანი მორთულია რელიეფით, რ-ზედაც *ჯვრის ამაღლების* სცენაა ასახული. რელიეფს ზემოთ, სარკმლის თავზე გამოსახულია სტეფანე დიაკვნის წინ მუხლმოდრეკილი ერისმთავრის ოჯახის წევრი ქობულსტეფანოზი გუმბათის ყელზე კი, სამხრ-ის მხარეს, მუხლმოდრეკილი ფიგურაა (სავარაუდოა, ტაძრის ხუროთმოძღვარი). რელიეფები დაზიანებულია. რელიეფების ოდნავ გასარჩევი კვალი შემორჩენილია სამხრ-ის ფასადის ნიშებში.

ჯვრის დიდი ტაძრის რელიეფები ქართ. ქანდაკებაში ადამიანის (ქტიტორები, ქრისტე, ანგელოზები) გამოსახულების ადრეული ნიმუშია. რელიეფებს ახასიათებს, ერთი მხრივ ელინისტ. ხანიდან შემორჩენილი პლასტიკურობა, მეორე მხრივ, პირობითობა, შებოჭილობა ადამიანთა ფიგურების გადმოცემისას. აქ ადამიანის გამოსახვა არ არის დამოუკიდებელი ამოცანა – იგი საერთო დეკორატ. გადაწყვეტის ნაწილია. რელიეფები მთლიანობაში მხოლოდ არქიტექტურასთან ერთად აღიქმება, როგორც საჭირო მხატვრული აქცენტები.

დიდი ტაძრის არქიტექტურაში დასრულებული სახით არის წარმოდგენილი ქართ. ადრინდ. ფეოდ. ხანის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ნიშნები: ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტურობა, შენობის ცალკეული ნაწილების ურთიერთშერწყმა, პროპორციების დახვეწილობა; მშვიდი შეწონასწორებული, სტატიკური კომპოზიცია; სადა და მახვილი ფორმები; მასიური, მაგრამ არა მძიმე პროპორციები; შესანიშნავად შესრულებული კედლის წყობა; ზომიერი დეკორატ. მორთულობა და არქიტექტურასთან ორგანული შერწყმა; შიდა სივრცისა და გარეგნული სახის სრული მხატვრული შესატყვისობა; ორგანული ურთიერთობა გარემოსთან; კონსტრუქციული, გადაწყვეტის ლოგიკურობა.

ჯვრის დიდი ტაძრის არქიტექტურამ სათავე დაუდო „ჯვრის ტიპის" ტაძრების მშენებლობას საქართველოში (მარტვილის ტაძარი, ატენის სიონი, ძველი შუამთის დიდი ეკლესია).

ჯვრის ტაძარი არის კლასიკური სტილის ნაწარმოები, ნიმუში ფეოდ. ხანის ქართ. არქიტექტურის განვითარების პირველი მაღალი ეტაპის (წრომი, ბანა) მხატვრულად სავსებით დასრულებული ნაწარმოებისა, რ-საც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართ. ეროვნული არქიტექტურის საერთო ევოლუციაში.

მ ჯ-ის კომპლექსს სამი მხრიდან გ ა ლ ა ვ ა ნ ი (დ) ერტყა. მისგან მოაღწია XVI-XVII სს-ის მეტად მცირე ფრაგმენტებმა. გალავანი (51,4X X78,6 მ) მთის რთულ რელიეფს მიჰყვება და გეგმით არაწესიერი მრავალგვერდაა.

გალავნის ჩრდ.-აღმ. კუთხეში მდგარი კ ო შ კ ი დ ა ნ შემორჩენილია სამი სართული, აღმ., დას. და სამხრ. კედელი. კოშკი ნაგებია ყორე ქვით (ზოგან ჩატანებულია სხვა ნაგებობებიდან მოტანილი თლილი ქვა) და გეგმით ტრაპეციას წარმოადგენს. გარედან კოშკის კუთხეები მომრგვალებულია. ჩანს სართულშუა კოჭოვანი გადახურვის ნაშთები. პირველი სართულის კედლებში სამი სათოფურია, მეორე სართულზე კი – ორი სარკმელი და ორი ოთხკუთხა ნიში. ამ სართულზე, აღმ-ით პატარა სათავსია, რ-საც კამაროვანი გადახურვა და

024. ადარნერსეს გამოსახულება რეკონსტრუქციამდე და რეკონსტრუქციის შემდეგ (მხატვარი ზ. მაისურაძე)



ერთი სარკმელი აქვს. სათავსის კარის შეისრული თაღი და კამარა აგურითაა ნაგები. მესამე სართულიდან მხოლოდ 1 მ სიმაღლის კედლებია შემორჩენილი.

დიდი ტაძრის აღმ-ით გაურკვეველი დანიშნულების კედელია (სისქე 2 მ). მისგან სამხრ-ით კი, ოციოდე მ-ზე, არის შესასვლელი (სიგ. 2 მ), რ-ის დას-ით კოშკის ნანგრევებია. შემორჩენილია კოშკის ორი სართული, ქვედა სართული ცილინდრულია, ზედა — ოთხკუთხა.

მ. ჯ-ის კომპლექსის სამხრ-ით შეიმჩნევა მეორე გალავნის კვალი.

*ბიბლ.:* 10:93-106; 35:103-105; 279: 25-31; 346ა, ბ; 348:15-34. *ანდღ. ნ.*

025. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მცხეთის ჩრდ.-დას-ით, ბუნქნარით დაფარული სათხიების ქედის ფერდზე. კულტ. ფენა ალაგ-ალაგ გადარეცხილია. შემორჩენილია კირის ხსნარზე ნატეხი ქვით ნაგებ შენობათა ნაშთები. კერამ. მასალის მიხედვით ნ. III-IV სს-ით თარიღდება. *ბ. ა.*

026. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მცხეთის გარეუბან კოდმანში, პლატოზე და გაშლილია მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირიდან ფიქრის გორამდე. ნ. სამხრ.-აღმ-ით მცხეთის ტერიტორიიდან გამოყოფილია ხელოვნური თხრილითა და ალიზის აგურის კედლით. თარიღდება ფეოდ. ხანით. *ბ. ა.*

ოლღას ეკლესია, იხ. ეკლესია ღვთისმშობელი.

027. პომპეუსის ხიდი, მოგვეთა ხიდი, ისტ., არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს რკ.-გზ. სადგურის აღმ-ით 150 მ-ზე. ამჟამად თითქმის მთლიანად დაფარულია წყლით.

მცხეთის ხიდთან იყრიდა თავს ამიერკავკ. მთავარი გზები — დარიალის ხეობიდან საქართვ. სამხრ. საზღვრამდე, შავი ზღვიდან კასპიის ზღვის სანაპირომდე.

ტრადიცია ხიდის სახელს რომაელ მხედართმთავარს გნეუს პომპეუსს უკავშირებს, რ-მაც ძვ. წ. 65 წ. დალაშქრა საქართველო. სინამდვილეში ხის ხიდი პომპეუსის მოსვლამდეც არსებობდა. პ. ხ. ქართ. საისტ. წყაროებში მოგვეთა ხიდის სახელით მოიხსენიება. ვახტანგ გორგასალის მეფობაში პ. ხ. საფუძვლიანად გადაუკეთებიათ.

XVIII ს-ში ხიდის მოვლა დაეკისრათ მცხეთელ აზნაურებს გედევანიშვილებს, რ-ებსაც უფლება მიეცათ შრომის საფასურად აეკრიფათ სახიდე გადასახადი. XIX ს-ში მძიმე ტრანსპორტის განვითარებასთან დაკავშირებით პ. ხ-ის შემდგომი ექსპლუატაცია სახიფათო გახდა, ამიტომ ძველი ხიდი დაანგრიეს და ამავე ადგილზე 1839-41 წწ. ააშენეს მაღალი ოთხმალიანი ქვის თაღოვანი ხიდი (მშენებელი ინჟ.-პოლკოვნიკი ტერმინი). ხიდის შუა საყრდენ ბურჯად როგორც ძველმა, ისე ახალმა მშენებლებმა მცირე ზომის ბუნებრივი კლდოვანი კუნძული გამოიყენეს. ინჟ. ტერმინის მიერ აგებულმა ხიდმა ოთხმოცდახუთი წელი იარსება. ზაჰესის მშენებლობის დროს მდ. მტკვარზე საგუბრის შესაქმნელად გაკეთდა ჯებირი და ხიდი წყალმა დაფარა. მის ნაცვლად ძვ. ხიდიდან მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით 150 მ-ზე 1926 წ. აიგო რკინის სამმალიანი ხიდი, რ-იც დღესაც მოქმედებს (პროექტის ავტ. ი. კარელინი, ინჟ.-მშენებელი ბ. მიქელაძე).

*ბიბლ.:* 17; 127:18-19; 128; 129:44; 307. *ჟაზ. ლ.*

028. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ფიქრისგორაზე. ამჟამად აქ მცხეთის რ-ნული საავადმყოფოს კორპუსი დგას. თარიღდება IV-IX სს-ით.

ს. 1975 წ. გათხარა მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). მოგრძო სწორკუთხა ქვაყუთები ჩადგმული იყო 0,5-0,8 მ სიღრმეზე. მათი გრძივი კედლები თითო ან წყვილი ფილაქვისაგან შედგება, ხოლო განივი კედლები — თითო ფილაქვისგან. დაუდევრად დამუშავებული ფილაქვები ერთმანეთთან ცუდადაა მორგებული. ფარღიატების შესავსებად გამოყენებულია რიყის ან ნატეხი ქვა. სამარხები საოჯახოა. შიგ ესვენა ერთიდან ოთხამდე მიცვალებული, გულაღმა, გულხელდაკრეფილი, თავით დას-კენ. სამარხებში აღმოჩნდა ძოწისა და გიშრისთვალიანი რკინისა და ბრინჯაოს საკინძები, ოქროს წყვილი ნახევარსფეროსებრი კილიტი, რკინის ბეჭედი, მშვილდსაკინძი, დანისპირი, ძოწის მძივები, მინის სანელსაცხებლე და სხვ.

*ბიბლ.:* 176ბ:59-61 *ნ. ე.*

029. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქ. მცხეთის დას-ით, მარტაზის ანუ სანგრის ხევის ნაპირზე. სტილისტ. ნიშნებით და წარწერის ფრაგმენტით თარიღდება XI ს-ის I მესამედით.

ეკლ. დარბაზულია (10,6X6 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. კონსტრ. ადგილებში თლილი ქვაა გამოყენებული. კამარა ჩანგრეულია, დანგრეულია XVI-XVII სს. მინაშენიც. ეკლესიას თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს.

შესასვლელი ჩრდ-დან და სამხრ-დანაა. აღმ-ის ნახევარწრიულ ღრმა აფსიდში ერთი სარკმელია, მის ორივე მხარეს — თითო სწორკუთხა ღრმა ნიში (სამალავები?). ორივე ნიშს აღმ-ით თითო სარკმელი აქვს. აფსიდის ნახევარწრიული კონქის საბჯენი თაღი კაპიტელებს ეყრდნობა. დარბაზის სამხრ. კედელში ორი სარკმელია, დას-ისაში — ერთი. კამარის საბჯენი თაღი (დანგრეულია) მარტი-



029. გეგმა

ვი პროფილის კრონშტეინებზე ყოფილა დაყრდნობილი.

სამხრ-ის თაღოვანი კარის თავზე წარწერაა; იკითხება მხოლოდ: „კათალიკოზსა" და „დეკსა" (მელქისედეკსა?); აღმ-ის ფასადის წარწერები არ იკითხება.

ეკლესიას დას-ით მიშენებული აქვს გეგმით ოთხკუთხა (ა) კოშკი (გარე ზომები 5X4,99 მ). შესასვლელი პირველ სართულზეა, ჩრდ-ით ყოველ სართულზე თითო ან ორი სარკმელი და ცალმაგი სათოფურებია.

*ბიბლ.:* 361. *ზ. პ.*

030. სამთავროს კომპლექსი, არქიტ., ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრში. კომპლექსიდან ჩვენამდე მოაღწია დიდმა ტაძარმა, წმ. ნინოს ეკლესიამ, სამრეკლომ, გალავნის ნაწილმა, კოშკ-



030(ა). აღმ. ფასადი

მა და მოგვიანებით აგებულმა საცხოვრებელმა და სასამსახურო შენობებმა.

დიდი ტაძრის აგების ისტორია არ არის ცნობილი. ისტ. წყაროების მიხედვით, მცხეთის ჩრდ. განაპირა ნაწილში ყოფილა ქართლის ერისმთავრის სამყოფელი და სასახლის ბაღი, საიდანაც წარმომდგარა სახელწოდება — სამთავრო. აქ უცხოვრია საქართველოში ქრისტ. სარწმუნოების საქადაგებლად ჩამოსულ ნინოს. აქვეა დასაფლავებული ერთ-ერთი ასურელი მამათაგანი აბიბოს ნეკრესელი. ოქტომბრის რევოლუციამდე სამთავროში ქალთა დიდი მონასტერი იყო (ამჟამად არსებობს სასულიერო სემინარია და ქალთა მონასტერი).

(ა) დ ი დ ი ტ ა ძ ა რ ი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (27X23 *მ*) სამხრ-ის, ჩრდ-ისა და დას-ის მინაშენებით. მხატვრულ-სტილისტ. ანალიზით XI ს-ის 30-იან წლებს განეკუთვნება. ნაგებია მოყვითალო-მოყავისფრო კარგად გათლილი კვადრებით. 1283 წ. მიწისძვრის შედეგად გუმბათი ჩაინგრა და იგი XIII-XIV სს-თა მიჯნაზე აღადგინეს. XVII ს. ბოლოსა და XIX ს. II ნახ-ში ტაძარი კაპიტალურად შეაკეთეს. მიუხედავად ამისა ხუროთმოძღვრის თავდაპირველი ჩანაფიქრი მკაფიოდ და ნათლად ჩანს. 1974 წ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ტაძარი შეაკეთა (ხელმძღ. ვ. ცინცაძე): გაამაგრა გუმბათის ყელი და კედლები, განაახლა სახურავი.

ტაძარში შესვლა სამხრ. კარიბჭიდან შეიძლება. გუმბათი ეყრდნობა ორ თავისუფლად მდგომ ბურჯს და საკურთხევლის კედლების შვერილებს. აღმ-ის ნახევარწრიულ აფსიდს განიერი ბემა ეკვრის. საკურთხევლის ორივე მხარეს სადიაკვნე და სამკვეთლოა, რ-ებიც ტაძრის მთავარ სივრცეს გასასვლელებით უკავშირდებიან (სამკვეთლო ბემასთანაცაა დაკავშირებული კარით). კ ა ნ კ ე ლ ი XV ს-ისაა. ტაძრის გუმბათქვეშა ბურჯების კაპიტელები, ბაზისები და საბჯენი თაღების საყრდენი კონსოლები პროფილირებულია (გვიანდ. შეკეთრების შედეგად პროფილთა მონახაზი ბევრგან დეფორმირებულია). ტაძრის სამხრ.-დას-ის კუთხეში პირველი ქართვ. ქრისტიანი მეფის მირიანისა და ნანა დედოფლის ს ა ფ ლ ა ვ ე ბ ი ა. საფლავის ქვგლი განახლებულია XIX ს-ში. ტაძრის სამხრ.-დას-ის გუმბათქვეშა ბოძთან დგას მიტროპოლიტის კათედრა (აღდგენილია). ტაძრის ძირითადი მკლავები კუთხის ნაწილებთან შედარებით მაღალია. შიგა სივრცე მაღალი, შეკრული და პარმონიულია. ცამეტწახნაგა გუმბათის ყელში გაჭრილი ცამეტი სარკმლიდან შემოსული შუქით განათებულია ტაძრის ცენტრ. სივრცე, გვერდის ნაწილები კი ჩაჩრდილულია.

დიდი ტაძრის საკურთხეველსა და გუმბათზე შემონახულია (ბ) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები. საკურთხევლის კონქის კომპოზიციის დიდი ნაწილი განადგურებულია. პირველ რეგისტრში ჩანს ტახტის ნაწილი, მაცხოვრის ტერფები და ფეხსადგამი. მეორე რეგისტრში წარმოდგენილი არიან მოციქულები, სარკმლის მარჯვნივ გამოსახული წმინდანი, ასომთ. წარწერის მიხედვით, წმ. პავლეა. ამავე რეგისტრში, ბემას სამხრ. კედელზე, გამოსახულია *ვანრლვეულის განკურნება*. უკანასკნელ რეგისტრში, სარკმლის სამხრ-ით შემორჩენილია მღვდელმთავართა რიგის მცირე ფრაგმენტი. სარკმლის თაღში გამოსახულია ექვსფრთედი სამწერობლებით ხელში, ხოლო სარკმლის სამხრ. წირთხლზე — ანგელოზი. სატრიუმფო თაღის პირზე ასომთ. წარწერის ნაშთები შეიმჩნევა.

ტაძრის გუმბათის სფეროში, ოვალურ წრეში, ქრისტეს გამოსახულების ფრაგმენტებია შემორჩენილი. წრის გარშემო, მედალიონებში მოთავსებულია მახარებელთა სიმბოლური გამოსახულებები, რ-თა შორის ექვსფრთედებია. გუმბათის ყელის სარკმლებს ზემოთ გამოსახულია *ანგელოზთა კრება*. ქვემოთ, სარკმლებს შორის დატოვებული მონაკვეთები შევსებულია ორ რეგისტრად განლაგებული თორმეტი წინასწარმეტყველის ფიგურით და ცალკეული მცენარეული მოტივებით (ყვავილებიანი ლარნაკები, ჯუჯა ხეები და სხვ.). წმინდანებს წიგნები ან გრაგნილები უჭირავთ ხელში. გუმბათის ყელის ჩრდ.-დას. მხარეს გამოსახული წმინდანი, ასომთ. წარწერის მიხედვით, წინასწარმეტყველი მოსეა. სარკმლების წირთხლები და თაღები შემკულია მცენარეული ორნამენტით. სარკმლებს ქვემოთ თორმეტი წინასწარმეტყველის წელზედა ფიგურაა გაშლილი გრაგნილებით ხელში. აქვე გამოსახულია ღვთისმშობელი ორანტას პოზაში. ტაძრის გუმბათის აფრებში, არქიტ. ფონზე, მახარებლებია გამოსახული. ჩრდ.-დას. აფრაში ჩანს იოანე ღვთისმეტყველი, რ-იც მჯდომარე პროქორეს საღვთო წერილს კარნახობს. მოხატულობის კოლორიტი აგებულია ყვითელ, მოწითალო-ყავისფერ, მღვრიე ცისფერ,

მონაცრისფრო-თეთრ, ყავისფერ და მწვანე ფერთა შეხამებაზე. მხატვრობა XVII ს. მიეკუთვნება.

ტაძრის გარეგანი მასები მკაფიოდ ასახავს შიდა სივრცის სქემას, რაც ტიპურია შუა საუკუნეების ქართ. ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობისათვის.

აღმ-ის ფასადი ძალზე სადა და ლაკონიურია: აქ მოცემულია უწყვეტი ხუთი დეკორატ. თაღის ტრადიციული სქემა. შუა, ამაღლებულ თაღში მოთავსებულია ორნამენტიანი საპირით და ჰორიზონტალურმკლავებიანი სათაურით მორთული ცენტრ. სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს აჟურული ფესტონებით შემკული თითო მაღალი და ღრმა ნიშაა. ფასადის გვერდითი სარკმლების საპირეები და ფრონტონის წვერში ჩასმული ჯვრის გამოსახულება გვიანდელია.

დას-ის სადათაღებიანი ფასადი, რ-იც მთისკენაა მიმართული, თითქმის მოურთველია. შეწყვილებული სარკმლის მორთულობა დაუმთავრებელია.

სამხრ-ის ფასადი გამოირჩევა რბილი პროფილირებითა და დეტალურად დამუშავებული ორნამენტებით. ფასადის ცენტრში მოთავსებული შეწყვილებული სარკმელი მორთულია განიერი ორნამენტიანი საპირეებით და მოჩარჩოებულია დიდი გრეხილი დეკორატ. თაღით. სარკმლებსა და თაღის ლილვს შორის თავისუფალი არე შევსებულია ჩუქურთმიანი მედალიონით; გვერდებზეც სოლისებურად მოჩარჩოებული ორი პატარა მედალიონია. მთავარი დეკორატ. თაღის ორივე მხარეს უფრო დაბალი ვიწრო თაღების არეები ნიშებითაა დანაწევრებული. ჩრდ-ის ფასადის შეწყვილებულ სარკმელს მდიდრულად მორთული საპირე აქვს. სარკმლის სათაური კეტავს და აერთიანებს დეკორის მთელ კომპოზიციას.

სამხრ. კ ა რ ი ბ ჭ ე ტაძრის თანადროულია (მისი დას. ნაწილი აღდგენილია მოგვიანებით). კარიბჭის შუა ამაღლებული ნაწილი გადახურულია ვარსკვლავისებრი კამარით, რ-იც მორთულია მკაფიოდ ნაკვეთი ფაქიზი ორნამენტული მოტივებით (კამარა XIX ს. შეუღებიათ). კარიბჭის აღმ. ნაწილი როგორც შიგნით, ისე გარეთ სადა და მარტივია: კედლებს შემოუყვება დეკორატ. თაღედი. ფასადზე, დეკორატ. თაღედის ცენტრ. არეში ჩასმულია ჩუქურთმიანი მედალიონები.

დას. კ ა რ ი ბ ჭ ე გვიანდელია და ამჟამად გაუქმებულია.

ჩრდ-ის ფასადზე მიდგმული ცალფერდასახურავიანი ნაგებობა XI ს-ზე ადრინდელია. იგი ორგანულადაა ჩართული ტაძრის საერთო კომპოზიციაში, ამ ნაგებობის აღმ. ფასადზე გამოსახული დაბალრელიეფიანი ფიგურა IX ს-ისა უნდა იყოს.

(გ) წ მ. ნ ი ნ ო ს ე კ ლ ე ს ი ა დგას ეზოში, დიდი ტაძრის აღმ-ით. იგი მცირე ზომის (6,2X3,9 მ) გუმბათოვანი ნაგებობაა. ისტ. წყაროებით, მცხეთაში მოსული ნინო პირველი სამი წლის განმავლობაში „ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილსა ბრძამლითა მაყუალისაითა... და ადგილი იგი იყო ზღუდესა გარეგან". ამ ადგილზე საქართვ. პირველ ქრისტიან მეფეს მირიანს აუგია ეკლესია, რასაც ადასტურებს „წმ. ნინოს ცხოვრებაში" მოყვანილი მისი წერილის შინაარსი: „აღვაშენე ეკლესიაი მაყულოვანსა მას შინაი ნინოსსა". IV ს. ზემოთ მოყვანილი ცნობები სწორედ წმ. ნინოს ეკლესიის აშენების თარიღს და ადგილსამყოფელს გულისხმობს.

ეკლ. არაერთხელ შეუკეთებიათ და გადაუკეთებიათ. ეკლესიის შესასვლელში მოთავსებული წარწერა გვამცნობს, რომ სამთავროს ქალთა მონასტრის წინამძღვარმა ნინო ამილახვარმა შენობა შეაკეთა 1879 წ. ბოლო სარესტ. სამუშაოები (დამთავრდა 1981 წ.) ჩაატარა სძეც. სამეცნ.-სა-



030(გ). გეგმა

030. ხედი აღმ-იდან





030(ა). განივი განაკვეთი აღმ-კენ

რესტ. ხაწ. გაერთიანებამ. მიწისგან გაიწმინდა თითქმის 1 მ-ის სიღრმეზე მიწაში ჩამჯდარი ეკლ., აღდგა მისი დაზიანებული ცოკოლი, კედლები, გუმბათი, ლავგარდანი. ეკლ. გადაიხურა ახალი სახურავით.

030(ა). გეგმა



ეკლ. ნაგებია რიყის ქვით, შეკეთებების დროს თლილი ქვა და აგურიც გამოუყენებიათ. აღმ-ით, ნალისებრ აფსიდში ვიწრო თაღოვანი სარკმელია. სარკმლის ქვეშ სატრაპეზო ქვა დგას, ჩრდ-ით აფსიდის კედელში კონქით გადახურული ნახევარწრიული ნიშია.

გუმბათქვეშა სწორკუთხედიდან გუმბათის ყელზე გადასვლა ხდება კუთხეებში დადებული ზღუდარით (ამჟამად კონსტრუქცია მთლიანად შელესილია). სატრიუმფო თაღი, კონსოლებზე დამყარებული დას-ის ხაბჯენი თაღი, შესასვლელის თაღი, დას-ის გარეთა ნიში, სარკმლები (საკურთხევლისა და გუმბათის ყელისა) ყველგან ნახევარწრიულია.

გარედან ეკლ. სწორკუთხა მოხაზულობისაა; გუმბათის რვაწახნაგა ყელი კვადრატთან მიახლოებულ სწორკუთხედზეა აღმართული. გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია. შიგნით კაპიტელები და კონსოლები პროფილირებულია. აღმ-ის, დას-ისა და ჩრდ-ის ფასადთა წვეროებში აგურით გამოყვანილია ტოლმკლავებიანი ჯვრები. გუმბათის ყელის ყრუ წახნაგებზე ნალესით სარკმლის საპირის იმიტაციაა გაკეთებული.

ინტერიერი მოხატულია (დ)



030(ე). სამხრ. ფასადი

წმ. ნინოს ცხოვრების კომპოზიციებითა და სხვა სიუჟეტებით. მოხატულობა უხეშია, გვიანდელი.

(ე) სამრეკლო დგას ტაძრის ჩრდ.-დას-ით, მისგან ოციოდე მ-ის დაშორებით, ამაღლებულ ბორცვზე. აგებულია XV-XVI სს. 1984 წ. საეც. სამეცნ.-სარესტ. ხაწ. გაერთიანებამ გაწმინდა მიწისაგან, შეაკეთა დაზიანებული კედლები, კიბე, სახურავი (ხელმძღვ. ნ. ქვარიანი).

სამრეკლო (4,7X5,8 მ) სამსართულიანია, ნაგებია კარგად გათლილი მოყვითალო-მონაცრისფრო ქვიშაქვის კვადრებით. პირველი სართული სწორკუთხა სათავსია (შეიძლება აქ ეგვტერი იყო), რ-ის ჩრდ. ფასადი გალავნის კედელშია ჩართული. სათავსს სამხრ-ით აქვს ცილინდრულკამარიანი ფართო თაღოვანი შესასვლელი, რ-ის ორსაფეხურიანი თაღი მარტივპროფილიან კაპიტელებს ეყრდნობა. დანარჩენი კედლები ყრუა. შიგნით, ყოველ კედელზე კუთხის დაბალ ბოძებზე დაყრდნობილი თითო ღრმა და განიერი თაღია. კაპიტელები აქაც მარტივპროფილიანია.

მეორე სართული სამი მხრიდან ორმაგი თაღებითაა გახსნილი. შესასვ-



030(ე). I და II სართულების გეგმა

030(ა). შეწყვილებული სარკმლის საპირე სამხრ. ფასადზე

ლელი დას-ის ყრუ კედელშია გაჭრილი. მას მიშენებული აქვს მაღალი ქვის კიბე, რ-ის საფეხურები კედლებს შორისაა მოქცეული: ჩრდ-ით გალავნის კედელია, სამხრ-ით კი სპეციალურად კიბისათვის ამოყვანილი კედელი. კიბის ქვეშ საკმაოდ ღრმა და განიერი შეისრულთაღიანი ნიშია. მეორე სართული გეგმით წაგრძელებულია აღმ-დან დას-კენ; მისი ცილინდრული კამარის დას. მონაკვეთში მომრგვალებული ხვრელია გაჭრილი, საიდანაც მისადგმელი კიბით შეიძლება ფანჩატურში ასვლა. ამ სართულის გრძივი კედლების წყვილი თაღი მარტივპროფილიან კაპიტელებს ეყრდნობა, ხოლო თაღებშორისი ოთხკუთხა ბოძები — დაბალ მოაჯირს. მოაჯირის ზედა კიდეს, ფასადის მხარეს, რელიეფური ფართო სარტყელი გასდევს, რ-იც გარედან პირველი სართულის ლავგარდნად აღიქმება. სათავსის აღმ. ნაწილში აგურის ამაღლებული ბაქანია მოწყობილი. სავარაუდოა, მეორე სართულს საცხოვრებლად და საყარაულოდ იყენებდნენ.

მესამე სართული გეგმით ოვალური ნახევარსფერულკამარიანი, აგურით ნაგები თორმეტმალიანი ფანჩატურია, რ-საც მრავალწახნაგა პირამიდული სახურავი აქვს.



პირველ სართულს თაღოვანი შესასვლელი და თაროსებრი ლავგარდანი აქვს. მეორე სართულს თაღედი და პროფილირებული ლავგარდანი, მესამე სართულის თაღები მოჩარჩოებულია ორმაგი ლილვით, რ-იც მარტივ იმპოსტებსა და ბაზისებს ეყრდნობა. ყოველი ბოძის ზემოთ დაღარული, ფუძესთან გრეხილლილვშემოვლებული ბურთულებია ჩასმული. ფასადებს ზემოთ გრეხილი ლილვი აქვს შემოვლებული. სულ ზემოთ ორმაგი ლავგარდანია (ქვედა ქვაშია გამოყვანილი, ზედა ხერხულად დაწყობილი აგურისაა).

(ე) გ ა ლ ა ვ ა ნ ი. ძვ გალავნიდან შემორჩენილია ეზოს სამხრ.-დას. კუთხეში, შემაღლებაზე მდგარი დაზიანებული ცილინდრული კ ო შ კ ი (ამჟამად დედათა მონასტრის საცხოვრებელი). აგებულია XVIII ს-ში. არსებული გალავანი XIX ს-ისაა. 1974-75 წწ. გალავანი შეაკეთა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ — ერთ დონეზე დაიყვანა და კრამიტით გადახურა. გალავნის ჩრდ. და ჩრდ.-აღმ. ნაწილში სასაფლაოა.

ტაძრის დას-ით, შემაღლებაზე, დედათა მონასტრის ჩრდ-ით შემორჩენილია თლილი კვადრებით ნაგები (ზ) კ ე დ ლ ი ს ნ ა შ თ ი (სიმ. 6 მ-მდე, სიგრ. 7-8 მ, სისქე 1,8 მ-მდე), რ-შიც დიდი ბუხარია.

(თ) სამთავროს ეზოში, ტაძრის ჩრდ-ით არქიტექტორ ანატოლი კ ა ლ გ ი ნ ი ს (1875-1943 წწ.) საფლავია. საფლავს ადევს შავი ლაბრადორის ქვა (1,0X2,0 მ; არქიტ: გ. მელქაძე). საფლავის არქიტ. გაფორმება დაუმთავრებელია

ბიბლ.: 103 ა; 336:35; 360:49-76.

*ანდღ. ნ., დ. ფ.*

031 სამთავროს სამაროვანი და ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. არაგვის მარჯვ. ნაპირზე, აღმ-ით ესაზღვრება მდ. არაგვი, დას-ით — კოდმანის ვაკობი, სამხრ-ით — მონასტრისხევი, ხოლო ჩრდ-ით — ბაიათხევი. ფართ. 18 ჰა. გამოვლენილი ძ-ები მოიცავს პერიოდს ადრინდ. ბრინჯაოს ხანიდან გვიანანტ. ფეოდ. ხანის ჩათვლით.

XIX ს-ის 60-იანი წლების ბოლოს, საქართვ. სამხ. გზის რეკონსტრუქციის დროს, სამთავროს ველზე აღმოჩნდა ქვაყუთები. 1871-85 წწ. ავსტრიელმა ბუნებისმეტყველმა და მოყვარულმა არქეოლოგმა ფრიდრიხ ბაიერნმა გათხარა 600-ზე მეტი სამარხი. სამთავროს სამაროვნის სისტემური არქეოლ. შესწავლა დაიწყო 1938 წ-დან, ენიმკი-ს მაე-ს შექმნის შემდეგ (საერთო ხელმძღვ. 1938-

40 წწ. ი. ჯავახიშვილი. 1940-47 წწ. ხ. ჯანაშია, საველე სამუშაოების ხელმძღვანელები მ. ივაშჩენკო, ა. კალანდაძე). მაუ-მ 1938-62 წწ. ჩაატარა 13 საველე არქეოლ. კამპანია, გათხარა 2 ჰა-მდე ფართობი. აღმოჩნდა 3000-მდე სხვადასხვა პერიოდისა და ტიპის სამარხი და ნაძრავი კულტ. ფენების მასალა. 1976 წ. სამთავროზე სტაციონარული არქეოლ. სამუშაოები განახლდა. მმაუ-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე) გამოავლინა გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის, ელინისტ., გვიანდ. ანტ. და ფეოდ. ხანის ნამოსახლარები და ახ. წ. II-VIII სს. 800-მდე სამარხი. სამთავროზე მოპოვებული მასალის ერთი ნაწილი საქართვ. სახელმწ. მუზეუმში ინახება, დანარჩენი — მოსკოვში, ისტ. მუზეუმში, ევროპის სიძველეთა საცავებში და მცხეთის მუზეუმში.

ადრინდ. ბრინჯაოს ხანა წარმოდგენილია დამლილი და ადგილგადანაცვლებული კულტ. ფენების მასალით (თიხისა და ქვის ჭურჭელი, ცხოველის ძვლები და სხვ.). სამთავროს ჩრდ. უბანზე გამოვლინდა 5 სამეურნეო ორმო (დიამ. 0,5 *მ*), რ-ებშიც აღმოჩნდა ძვ. წ. III ათასწლ. II ნახ-ისათვის დამახასიათებელი სქელკედლიანი შავპრიალაზედაპირიანი და მოყავისფროსარჩულიანი თიხის ჭურჭელი.

(ა) სამთავროს მინდორი სამაროვნად ქცეულა ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ-ში. ყველაზე ადრეული შუა ბრინჯაოს ხანის გორასამარხებია. ზოგიერთი მათგანი ქვაწრიანია. რამდენიმე სამახსოვრო სამარხია (კენოტაფი), სამარხთა უმეტეს ნაწილში ქვაწრით შემოფარგლული ფართობის ცენტრში ჩადგმულია მოკლე ქვაყუთი, რ-შიც ასვენია ხელფეხმოკეცილი მიცვალებული, მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე. შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში აღმოჩნდა მოშავო ან რუხპრიალაზედაპირიანი, ზოგჯერ ნაჭდევი სვასტიკური სახეებით შემკული მეტნაკლებად მქისე თიხის ჭურჭელი, სარდიონის, გიშრის, ბროლის მძივები, ოქროს ფურცლისაგან დამზადებული ხაზოვანი ორნამენტით შემკული მძივის გარსაკრავები; ბრინჯაოს მოკლე, ყუნწგახვრეტილი სატევრისპირები. ერთ-ერთ სამარხში (№273) ბრინჯაოს ყუნწგახვრეტილი რაპირისებრი საძგერებელი მახვილიც აღმოჩნდა. აღნიშნული სამარხები აღნაგობით, დაკრძალვის წესითა და ინვენტარით ახლოს დგას თრიალეთის შესაბამისი პერიოდის ძეგლებთან და შეიძლება ძვ. წ. XX-XVI სს-ით დათარიღდეს. ნაწილი გორასამარხებისა, რ-ებშიც აღმოჩენილია შავპრიალა ჭურჭელი, სარდიონის „ნაპობი" მძივები, ოქროსფურცლოვანი ღილაკ-სამკაულები და სხვ., საკმაოდ განსხვავდება როგორც შუა ბრინჯაოს ხანის, ისე გვიანდ. ბრინჯაოს ადრეული ეტაპის ძეგლებისაგან, ამიტომ ისინი შეიძლება გარდამავალი პერიოდის ძეგლებად იქნეს მიჩნეული და ძვ. წ. XV-XIV სს-ით დათარიღდეს.



031(ა). ჩრდ. უბნის საერთო ხედი

სამთავროზე გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანის (ძვ. წ. XIV-VI სს.) 600-მდე სამარხი გაითხარა, მ. შ. გვიანდ. ბრინჯაოს ადრეულსა და განვითარებულ ეტაპს (ძვ. წ. XIV ს-ის II ნახ-იდან XI ს. ჩათვლით) განეკუთვნება 100-მდე სამარხი, ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანას (ძვ. წ. X ს.) — 200-მდე სამარხი, ხოლო ადრინდ. რკინის ხანისა (IX-VII სს.) უნდა იყოს 300-მდე სამარხი; შედარებით მცირე ჯგუფი სამარხებისა ძვ. წ. VI-V სს-ით თარიღდება.

სამარხები მეტნაკლებად სწორკუთხა ორმოებია (1,2X0,6-2X1,8 *მ*; სიღრმე 1 *მ*-ს აღწევს). ისინი ხის ძელებით ყოფილა გადახურული (იშვიათ შემთხვევაში ორმოს ზევიდან ფი-



031(ბ).(გ). I — სახლების (7,8) და სამაროვნების გეგმა და გრძივი განაკვეთი; II — განივი განაკვეთები; III — პურის საცხობი ღუმელი (რეკონსტრუქცია *კ. მელითაურის* მიხედვით)

ლაქვაც პხურებია) და მიწაყრილით მოზეინული. ზოგიერთისთვის დამახასიათებელია ფსკერზე რიყის ქვის ერთპირი სწორკუთხა ან ოვალური წყობა. ორმოსამარხთა დიდი უმრავლესობა ინჰუმაციური და ინდივიდუალურია, დადასტურდა კენოტაფებიც, მეორადი დაკრძალვის წესი და წყვილთა დაკრძალვის ფაქტებიც. სამარხებში მიცვალებული დაკრძალულია ფეხებმოხრილი, მამაკაცები მარჯვ. გვერდზე, დედაკაცები — მარცხენაზე. მიცვალებულთა დიდი უმრავლესობა მოთავსებულია ოთხ რიყის ქვას შორის (მიცვალებულის სარეცლის საყრდენები), რ-თაგან ორი თავთან აქეთ-იქით უდევთ, ორი — მოკეცილი ქვედა კიდურების არეში. მამაკაცებს ყოველთვის ახლავს იარაღ-საჭურველი და თიხის ჭურჭელი, ზოგჯერ სამკაული, ქალებს — თიხის ჭურჭელი და სამკაული. საერთო წესი ყოფილა მიცვალებულთათვის შინაურ და ზოგჯერ გარეულ ცხოველთა ხორცის ჩატანება.

სამთავროს ბრინჯაო-რკინის ხანის ორმოსამარხთა ინვენტარი იყოფა 5 ძირითად ჯგუფად: 1. ჭურჭელი, 2. იარაღ-საჭურველი, სამეურნეო იარაღ-ხელსაწყოები, 3. საყოფაცხოვრებო და შინამოსაქმეობის საგნები, 4. სამკაული, 5. ხელოვნების, საკულტო და სხვა დანიშნულების საგნები.

ჭურჭელი ძირითადად თიხისაა, თითო-ოროლა — ლითონისა და ქვის. დამუშავების ტექნიკისა და გარეგნული ნიშნების მიხედვით თიხის ჭურჭელი იყოფა სამ ჯგუფად: 1. ჩარხზე ამოყვანილი სხვადასხვანაირი მოყვანილობისა და სიდიდის, შავპრიალა და რუხ-მქრქალზედაპირიანი, მოშავო და ნაცრისფერკეციანი, რელიეფურად ნაძერწი, ნაჭდევი და ნატვიფრი სახეებით უხეშად შემკული ჭურჭელი (ყველაზე დიდი ჯგუფი); 2. უმორგვოდ ნაძერწი ლეგა, მოყვითალო-ჩალისფერზედაპირიანი, ზოგჯერ ამობურცულგრეხილი სახეებით შემკული ჭურჭელი (მცირე რაოდენობა); 3. მორგვზე ამოყვანილი, მუქმწვანედ, მოყვითალო-მიხაკისფრად მოჭიქული ჭურჭელი (სულ 8 სახმისი).

დანიშნულების მიხედვით შეიძლება გამოიყოს: 1. სუფრის ჭურჭელი (ლანგარი, თეფში, სამარილე, ჯამი); 2. სითხის გადასაზიდ-შესანახი ჭურჭელი (კოკა, გოზაური, დოქი, ხელადა, ტოლჩა); 3. პროდუქტების შესანახი ჭურჭელი (ქოცო, დერგი, ქილა); 4. სამზარეულო ჭურჭელი (ქოთანი, ქვაბქოთანა, კოჭობი); 5. რძის პროდუქტების ჭურჭელი (საწველელი, საწურავი, სადღვებელი, ქილა); 6. საგზაო ჭურჭელი (მათარა, ზოგი კოჭობი და ხასმისი, რ-ებსაც ზონრისათვის საგანგებო ნახვრეტები აქვთ); 7. ფიგურული ჭურჭელი (ცხენის, ირმის და სხვ. ცხოველთა გამომსახველი); 8. საბავშვო-სათამაშო ჭურჭელი (ჩანჩხურა, ქვევრის იმიტაცია); 9. საკულტო ჭურჭელი (ორსართულიანი ჭურჭელი გველის გამოსახულებით, საკვამლებელი, მხრებდაფანჯრული, სარკმლიანი ჭურჭელი).

გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანის სამარხებში დიდი რაოდენობითაა იარაღ-საჭურველი. იგი საუკუნეთა მანძილზე საინტერესო ევოლუციას განიცდის. მაგ., გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე გვხვდება მოკლე, ფოთლისებრი ტარშეურჩენელი სატევარი, მასრაგახსნილი შუბისა და ხელშუბის წვერი, ისრისწვერი და ძვლის ლახტისთავი. მომდევნო ხანებში ჩნდება: ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატევარი (ე. წ. კახური ტიპისა), ბრინჯაოს წვერმახვილი და ბოლოკვეთილი მახვილები, ფარი, მთლიანმასრიანი შუბისწვერები, შუბის ტარის შესამკობი ბუნიკები, სატევარ-მახვილთა ჩამოსაკიდი სამხარიღლიე რგოლები, სარტყლები და ბრინჯაოს აღმოსავლურ-ამიერკავკ. და კოლხ. ცულები და სხვ. რკინის ხანაში ჩნდება ახალი სახეობის და თვისობრივად უფრო მაღალი ღირსების იარაღი: რკინის საკმაოდ გრძელი, ბრინჯაოს ან ძვლისტარიანი მახვილები და სატევრები, რკინის გრძელი შუბისწვერი, ბრინჯაოს გრძელფრთიანი ისრისწვერები, ხოლო ეპოქის ბოლოს — ყუაკვერიანი რკინის ცულები, ცალპირლესული რკინის სატევარი, მოკლე დანები, სკვითური აკინაკები და ბრინჯაოს სხვადასხვა ტიპის ისრისწვერები და სხვ. ასეთივე ევოლუცია განიცადა სამკაულმაც.

(ბ) სამაროვნის ჩრდ.-დას-ით, ბორცვზე დაზვერვითი სამუშაოების დროს (ხელმძღვ. ა. კალანდაძე) გამოვლინდა გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანის ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი — ს ა მ თ ა ვ რ ო I. სტაციონარული გათხრები დაიწყო 1976 წ. ოვალური ფორმის განმხოლოებული გორა წაგრძელებულია დას-დან აღმ-კენ, ორი მხრიდან მას მშრალი ხევები ესაზღვრება, ხოლო გორის აღმ-ის კალთები სამთავროს ველს უერთდება. ნამოსახლარის ნაშთები ძირითადად დადასტურდა გორის კალთებზე და თხემზე. გორა ათვისებული ჩანს გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპიდან. ნამოსახლარი დაზიანებულია გვიანდ. სამარხებისაგან. ნამოსახლარი ტერასულადაა განლაგებული. ნახევრადმიწური ბანურ-სახურავიანი სახლები ნაგებია ნატეხი ქვითა და თიხით. კედლები შელესილია ალიზით, იატაკი თიხატკეპნილია. შენობათა დას-ის, ე. ი. ზურგის, მხარე კონგლომერატშია გაჭრილი. ამ მხარეს კედელში თახჩებია, ხოლო მარცხ. კუთხეში — ნატეხი ქვითა და ალიზით ნაგები ორგანყოფილებიანი პურის საცხობი ღუმელი. ღუმელზე მიშენებულ თაროებზე სამსხვერპლო-საკურთხევლებია გამართული. ნაწილი საკურთხევლებისა დამოუკიდებელია, უშუალოდ ღუმელთან არ არის დაკავშირებული. ზოგიერთ საკურთხეველზე თიხით ნაძერწი ანთროპომორფული ქანდაკებები დგას. სახლების ერთ ნაწილში გვხვდება სამეურნეო ორმოები, კერები და ფილაფენილით გამართული ზღვე სანერწყულით. ნამოსახლარ-



031. ანთროპომორფული ხაბქვდაკი. თიხა

ზე დადასტურდა რუხი და შავპრიალა თიხის ჭურჭელი, რკინის ნამგალი და დანები; კაჟისა და ობსიდიანის ნამგლისპირები, სასრესი და სანაყი ქვები. ლითონის ჩამოსასხმელი ტიგელი, თიხისაგან გამოძერწილი ადამიანის გამოსახულებანი და სპირალურორნამენტიანი საბეჭდავი.

ძვ. წ. უკანასკნელ საუკუნეებში სამთავროში ვრცელდება მიცვალებულთა ქვევრებში დამარხვის წესი. სამარხად მეტწილად გამოყენებულია ჰორიზონტალურად ჩაფლული სამეურნეო დანიშნულების (სადვინე) ქვევრები. ქვევრსამარხებში მიცვალებულები ძლიერ ხელფეხმოკეცილი ესვენა, მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე. იყო თანადამარხვის შემთხვევებიც. ქვევრსამარხებში აღმოჩნდა წითლად ან შავად გამომწვარი პატარა ზომის თიხის ჭურჭელი, ლითონის სამკაულები (სამაჯურები, საყურე-რგოლები, ბეჭდები, მძივები), ბრინჯაოს ეჟვნები, რკინის დანები. ქვევრში დამარხვის წესის პარალელურად არსებობას განაგრძობს დასაფლავების ძველი წესიც დროის იმ მონაკვეთისათვის დამახასიათებელი ინვენტარით.

სამთავროს ველის ჩრდ.-დას. მონაკვეთზე გამოვლინდა ქვევრ-სამარხების დროინდელი (გ) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი. შენობების საძირკველი ნაგებია ნატეხი ქვით, ხოლო კედლები — ალიზით. ბათქაშის სქელი ფენით შელესილ კედლებზე ოთკუთხა პილასტრებია. შენობებს წითლად შეღებილი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის სახურავი ჰქონია. ნამოსახლარებზე აღმოჩნდა წითლად შეღებილი თიხის ჭურჭელი, რ-იც ფართოდაა ცნობილი ელინისტ. ხანის ქართლის ძეგლებიდან.

აღნიშნული ნამოსახლარის ახლოს გამოვლინდა გვიანდ. ანტ. ხანის მ ა რ ნ ი ს ნაშთი (5 ქვევრი), რ-საც მოკირწყლული იატაკი და კრამიტის სახურავი ჰქონია. ამავე პერიოდის ნამოსახლარის ნაშთები აღმოჩნდა აგრეთვე სამთავროს სამხრ. უბანზე.

ახ. წ. I-IV საუკუნეებში სამთავროზე გავრცელებულია შემდეგი ტიპის სამარხები: 1. ქვაყუთი (ორფერდა და ბანურსახურავიანი), 2. კრამიტსამარხი, 3. თიხისფილასამარხი (აგურფილა სამარხი), 4. ორმოსამარხი, 5. ქვათლილებით ნაგები სამარხი, 6. თიხის სარკოფაგი, 7. კომბინირებული სამარხი (სხვადასხვა მასალისაგან აგებული სამარხი).

ქვაყუთები ნაგებია კარგად დამუშავებული ქვიშაქვისაგან. სამარხის განივ კედლებზე, როგორც წესი, ნარიბანდებია ამოკვეთილი. მდიდრულ სამარხებში იატაკი სხვადასხვა მასალითაა (ქვისფილები, კრამიტი, თიხისფილა) მოგებული. ესენი ძირითადად ინდივიდუალური სამარხებია.

ზოგიერთი კრამიტსამარხი შეკრული იყო მხოლოდ ბრტყელი კრამიტით, ზოგიერთის ასაგებად კი ორივე ტიპის კრამიტი გამოუყენებიათ. მდიდრულ სამარხებს იატაკიც კრამიტისა ჰქონდა. არის როგორც ორფერდა, ისე ბანურსახურავიანი და საშუალო ზომის სამ-სამი ფილაქვით გადახურული კრამიტსამარხები.

თიხისფილა სამარხების განივ კედლებად გამოყენებულია თითო კვადრ. ფილა (0,58X0,58X0,03 მ), ხოლო გრძივი კედლები ნაგებია მთელი და ნახევარი ფილებით (0,29X0,28X0,03 მ). სამარხები ქვიშაქვის სამი საშ. ზომის ფილით იყო გადახურული. იშვიათია აგურფილა (0,3X0,31X0,04 მ) სამარხები.

ზემოაღნიშნულ სამარხებში გვხვდება მრავალფეროვანი მასალა: მცირე ზომის კერამიკული ნაკეთობანი, იმპორტული მინის ჭურჭელი, სამკაულები (გემიანი ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, მძივები), პირსაფარეშო საგნები, რომაული და პართული მონეტები და სხვ. ხშირია მდიდრული ინვენტარის შემცველი სამარხები. 1938 წ. აღმოჩნდა ქვაყუთები, რ-თა კედლებად წარწერიანი ქვები იყო გამოყენებული. ერთ-ერთ მათგანზე




031(ბ). ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლი (I): I — განივი განაკვეთი; გეგმა; II — აღდგენილი განივი განაკვეთი; გეგმა; III — ინტერიერის რეკონსტრუქცია (კ. მელითაურის მიხედვით)

031. გენგეგმა და განაკვეთები



მცხეთის მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის ეპიტაფიაა, ხოლო მეორე წარწერა სამთავროს ველზე ებრაელთა დასაფლავების შესახებ მოგვითხრობს.

სამთავროზე ადრინდ. შუა საუკუნეების (IV-VIII სს.) მრავალრიცხოვანი სამარხებია აღმოჩენილი. ამ პერიოდში სამარხის გაბატონებულ ტიპს ქვაყუთი წარმოადგენს, არის აგრეთვე ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხებიც. ქვაყუთები განსხვავდებიან წინა ეპოქის სამარხებისაგან. ისინი უფრო მაღალია, დიდრონი ლოდებისაგან არის შედგენილი და ზედა ნაწილში შევიწროებულია. სამარხები კოლექტიურ-საოჯახო საკრძალავს წარმოადგენს. მიცვალებულები დაკრძალულია გაშოტილი, ქრისტ. წესით (გვხვდება აღმ-ით დამხრობილებიც, რაც იქ დაკრძალულთა ეონიკური, შესაძლოა რელიგიური სიჭრელის მაჩვენებელია). სამარხებში ძირითადად გვხვდება სამკაული და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები. აღმოჩენილია დიდი რაოდენობით მინის ჭურჭელი.

ადრინდ. შუა საუკუნეების ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ თ ა ნაშთები დადასტურდა სამთავროს სამხრ. ნაწილში. იქვე, ფერდის ძირში, სამხრ.-დას-ით გამოვლინდა განეით. შუა საუკუნეების შენობათა კონტურები.

*ბიბლ.:* 6; 106; 109; 117; 138; 176ბ, ვ; 212; 213; 242. *კ. ა., ნ. ვ.*

032. საფორტიფიკაციო ნაგებობანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის ჩრდ-ით, ღართისკარის ხევის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება ელინისტ. ხანით. ძ-ის გათხრა 1980 წ. დაიწყო მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე) გათხრები გრძელდება. აღმოჩნდა კედლები და ოთხკუთხა კოშკები. მოსწორებულ ტერასებზე (2,8XX1,4-3 *მ*) ამოყვანილია ხის ძელებით გამაგრებული რიყის ქვის საფუძველი, რ-ზეც აღმართულია ალიზის კედელი (სიგ. 3*მ*). ალიზის აგურები (0,52X0,22X0,12 *მ*. 0,37X0,22X0,12 *მ*) გადაბმულია ჯაჭვურად და შემტკიცებულია თიხის ხსნარით. აქვე აღმოჩნდა წითლად ანგობირებული პირმოყრილი ქუსლიანი ჯამები.

ღართისკარში აღმოჩენილი საფორტიფიკაციო სისტემა წარმოადგენს ანტ. ხანის მცხეთის ჩრდ-ის კარს და გვაწვდის მასალებს ამ პერიოდის მცხეთის ისტ. ტოპოგრაფიის დასადგენად.

*ბიბლ.:* 176ვ; 181. *ნ.ვ.*

033. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას სვეტიცხოვლის ტაძრის აღმ-ით 90-100 *მ*-ზე. იგი XIX ს-ის 50-იან წლებში აუგია სვეტიცხოვლის დეკანოზს, რომანოზ მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ს. სახლი ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. გადაკეთებულია: მთავარი შესასვლელის პარმაღი შეცვლილია რკინაბეტონის ფართო გადახურული აივნით, გვიანდელია ამავე მხარეს მიშენებული სამზარეულო და პატარა ოთახი, აგრეთვე დას-ის მინაშენები, აღმ. აივანი და აივანზე ასასვლელი ქვის კიბე, შეცვლილია სახურავი, მონგრეულია ჩრდ. აივანი. გადაკეთებების შედეგად სახლს შეცვლილი აქვს თავდაპირველი სახე.

სახლი (გარე ზომები 15,5X12 *მ*) ორსართულიანია. ზედა სართული საცხოვრებელია, ქვედა სართულზე სამეურნეო დანიშნულების სათავსებია. ორივე სართული განიერი ღერძული კედლით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ღერძულ კედელში, მის აღმ. ნაწილში, დატანებულია კიბის ორი უჯრედი. ერთით პირველი სართული დაკავშირებულია მეორესთან, მეორით — აღმ. აივანი სხვენთან. პირველ სართულზე განლაგებული ოთახები ერთმანეთთან კარითაა დაკავშირებული. ამ სართულზე ოთხი ოთახია. მოზრდილი ოთახები სართულის აღმ. მხარესაა. მათ თითო დამოუკიდებელი შესასვლელი აქვთ აღმ-დან. დას. ნაწილში განლაგებულ ოთახთაგან დამოუკიდებელი შესასვლელი ჩრდ.-დას. ოთახს აქვს. სამხრ. ნაწილში მდებარე ოთახებს პატარა სწორკუთხა სარკმლები აქვთ. მეორე სართულზეც ოთხი ოთახია. საშ. ზომის, გეგმით სწორკუთხა წინკარიდან სამ ოთახში შეიძლება შესვლა. ამ სართულის ჩრდ.-აღმ. ნაწილში მოთავსებული მისაღები ოთახი ფართობით აღემატება დანარჩენ ოთახებს. იგი აღმ. აივანზე გადის და დას. კედელში გაჭრილი კარით უკავშირდება ჩრდ.-დას. ოთახს, რ-საც დამოუკიდებელი შესასვლელი არ გააჩნია. ყველა ოთახს ფართო სარკმლები აქვს.



033. განივი განაკვეთი, გეგმა

ფასადებზე სარკმლები დასრულებულია პორიზ. თაროზე დაყრდნობილი ორი აგურისაგან შედგენილი თაღოვანი სათაურებით. აღმ. და დას. ფასადებზე შემორჩენილია პარაპეტის ნაწილები. *დე. თ.*

037. სვეტიცხოვლის კომპლექსი, არქიტ., ისტ., არქეოლ., მონუმ. ხელოვნ. ძ. მოქმედი საკათედრო ტაძარი. მდებარეობს ქ მცხეთის ცენტრში.

ს. კ-ში შედის: ტაძარი, გალავანი, კარიბჭე, სამრეკლო, სასახლეები, საეკლესიო პირთა საცხოვრებლები.

ლეგენდის მიხედვით მცხეთელი ებრაელი ელიოზი იერუსალიმში ქრისტეს ჯვარცმას დასწრებია, კვართი უფლისაი" შეუძენია და ჩამოუტანია მცხეთაში. აქ, ქალაქის ბჭესთან ელიოზს დახვედრია მისი და სიდონია — ქრისტეს მიერ ნაქადაგევი სარწმუნოების მიმდევარი. სიდონიას ძმისათვის პერანგი გამოუტაცია და იქვე სული განუტევებია. რაკი ქრისტეს პერანგი მისთვის ხელიდან ვერ წაურთმევიათ, პერანგიანად დაუმარხავთ. სიდონიას საფლავზე ამოსულა ლიბანის კედარი. მას შემდეგ, რაც IV ს. 30-იან წლებში ქართლის მეფემ მირიანმა ირწმუნა ნინოს მიერ ნაქადაგევი ახალი რელიგია — ქრისტიანობა, ბრძანა სიდონიას საფლავზე ეკლესიის აგება. მოკვეთეს დიდი კედარი და მისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. დაიწყეს მშენებლობა. ექვსი სვეტი აღმართეს კიდეც, მაგრამ მეშვიდე ჰაერში ჩამოეკიდა და ვერ დაძრეს ადგილიდან. ნინოს მთელი ღამე მხურვალე ლოცვაში გაუტარებია, დილით მომხდარა „სასწაული“ — „სვეტი ძირთავე მისთა ზედა დაემყარა და მტკიცედ შეერწყა შეუხებლად ხელისაგან კაცთასა“. სვეტი გაფოთლილა და მისგან დენა დაუწყია მირონს, რ-იც „მსწრაფლ კურნავდა“ სნეულთ. სვეტს უწოდეს „სვეტი ცხოველი“ — სვეტი სიცოცხლის მომნიჭებელი. აქედან წარმოსდგა თვით ტაძრის სახელწოდებაც.

V ს. დასასრულს, ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს, პირვანდელი ხის შენობის ნაცვლად, ააგეს ქვის ბაზილიკური ეკლესია, რ-მაც XI ს-მდე იარსება. 1010-29 წწ. ქართლის

კათალიკოზის მელქისედეკის თაოსნობით ხუროთმოძღვარმა არსუკისძემ ააგო სვეტიცხოვლის ახალი ტაძარი. მელქისედეკისვე ინიციატივით სვეტიცხოვლის გარშემო აიგო სხვა ნაგებობებიც.

სვეტიცხოველი იყო და არის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია. საუკუნეების მანძილზე იგი წარმოადგენდა მსხვილ ფეოდ.-საეკლ. სამფლობელოს და მეფე-დიდებულთაგან უხვ შეწირულობას იღებდა. მისი ყმა-მამული მიმოფანტული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. სვეტიცხოველი იყო მცხეთაში გაჩაღებული სამეცნ., საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრი, ჰქონდა ძალზე მდიდარი ბიბლიოთეკა, ტაძარში იყო ქართ. მეფეთა და დიდებულთა საძვალე.

თავისი არსებობის მანძილზე სვეტიცხოველს არაერთხელ დამუქრებია განადგურების საფრთხე. 1283 წ. ტაძარი მიწისძვრამ დააზიანა. XIV ს-ში გიორგი ბრწყინვალემ (1314-46 წწ.) აღადგინა ტაძრის გუმბათი. XIV ს. ბოლოს იგი „იავარჰყვეს სპათა ლანგთემურისათა" — მოანგრიეს დას-ის მკლავის ბურჯები, დააქციეს გუმბათის ყელი, მაგრამ მთელი შენობის დანგრევა მაინც ვერ მოახერხეს. XV ს. დასაწყისში მეფე ალექსანდრე დიდმა (1412-42 წწ.) ტაძარი კაპიტალურად შეაკეთებინა. 1656 წ გუმბათის ყელი კვლავ აღადგინეს როსტომ მეფემ (1632-58 წწ.) და მარიამ დედოფალმა. XVII ს. კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორის (მისი კათალიკოსობის წლებია 1678-88, 1691-96) თაოსნობით მოიხატა „სვეტიცხოველი" და შუა ნავის ჩრდ-ის კედელი. 1813 წ. დას-ის კარიბჭე განაახლა ქსნის ერისთავის ძემ, საქართვ. და მცხეთის ეგზარქოსმა ვარლაამმა, რაზედაც მოგვითხრობს ამ კარიბჭის პორტალზე ამოკვეთილი მხედრ. წარწერა. XIX ს. I ნახ-ში „ჯეროვანი კეთილმშვენიერების" მისანიჭებლად სასულიერო მმართველობამ სამხრ-ისა და ჩრდ-ის ფასადებზე მოსპო ძველი სტოა, ააფეთქა სამარხები ტაძრის გარშემო და ინტერიერში შეათეთრა ფრესკების დიდი ნაწილი. ამ უკანასკნელ ფაქტს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ჩანს, რომ გვიანდ. განმაახლებლები განსაკუთრებული გულისყურითა და კრძალვით ეკიდებოდნენ ტაძარს, ამიტომ მისი სტრუქტურა, მასები, ცალკეული ფორმები, პროპორციები ძირითადად შენარჩუნებულია და XI ს. მიეკუთვნება.

XIX ს. 40-იან წლებში ტაძარზე ჩატარდა სარესტ.-სარემონტო სამუშაოები (ხელმძღვ. რიპარდი) — იგი გადახურეს ქვიშაქვის ფილებით და სხვ.; 1860-74 წწ. შეცვალეს გადახურვა და ლავგარდნის ზოგიერთი ქვა. XX ს. დასაწყისში ისევ აღადგინეს ლავგარდნები (ოსტატი ნ. აღლაძე). 1892 წ. გადაიწერა საკურთხევლისა და დას-ის კარის ტიმპანის მხატვრობა (მხატვარი ი. პიჩი). 1950 და 1967-75 წწ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ კომპლექსზე ჩაატარა სარემონტო-სარესტ. სამუშაოები (ხელმძღვ. ვ. ცინცაძე). 1950 წ. ტაძრის გუმბათქვეშა ორი ბურჯის ქვეშ აღმოჩნდა V ს. ბაზილიკის ორნამენტიანი ბაზისები (დაცულია მინის ქვეშ), ხოლო სადიაკვნეში — კაპიტელები; გაიწმინდა, აღდგა და გამაგრდა ზოგიერთი ფრესკა (ხელმძღვ. შ. აბრამიშვილი). 1967-75 წწ. ჩატარებულ სამუშაოთა შედეგად „სვეტიცხოვლის" ბურჯის სამხრ-ით გამოვლინდა ხის პირველი ეკლესიის საძირკვლის ნაშთი, საკურთხეველში კი — V ს. ბაზილიკის ფრაგმენტები (ორივე დაცულია მინის ქვეშ). გაიწმინდა დას-ის მხარისა და გაიხსნა XI ს. ბურჯების ნაშთები; გაიწმინდა კედლები და ზოგიერთი ფრესკა; დაიდგა XI ს. ნიმუშების (სვეტი, საფარა, ხოვლე) მიხედვით დამზადებული თაბაშირის კანკელი (შემსრულებელი თ. თოდუა) და საკურთხევლისწინა ჯვარი (ჩხარის ჯვრის პირი; შემსრულებელი თ. თოდუა); კანკელს შეაბეს „ალსავლის კარი (გამოყენებულია ხალოლაშენის ლორფინების კომპოზიციები; შემსრულებელი თ. თოდუა). ტაძრის შესასვლელში ჩამოკიდეს ლითონის კარი, აღადგინეს ტაძრის დას-ით, გალავანში მდებარე ორსართულიანი კარიბჭე; დაზუსტდა და დაფიქსირდა სამხრ-ისა და ჩრდ-ის ფასადებზე არსებული სტოას თავდაპირველი გეგმა; გამაგრდა გალავანი და სხვ.

037. საერთო ხედი ჩრდ.-დას-იდან





037(ა) რელიეფი და სამშენებლო წარწერა ჩრდ ფასადზე

(ა) სვეტიცხოვლის ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (გარე ზომები 57,7X27 მ; სიმ. 49 მ). ტაძრის მშენებლობის მოთავე კათალიკოსი მელქისედეკი და ხუროთმოძღვარი არსუკისძე მოხსენიებული არიან ტაძრის წარწერებში — აღმ. ფასადზე, შუა დეკორატ. თაღის ქვემოთ, თორმეტ დისკოზე („ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი ამენ აღეშენა ესე წმინდაი ეკლესიაი? ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისაითა ღმერთმან განუსუენე სულსა მისსა") და ჩრდ-ის ფასადზე, მთავარი სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზე („ხელი მონისა არსუკისძისაი შეუნდვეთ"), რ-თა შორის ჩასმულია მესამე ქვა ხელისა და გონიოს რელიეფით. სავარაუდოა, რომ ამ რელიეფმა და წარწერამ წარმოშვა ლეგენდა იმის შესახებ, რომ სვეტიცხოვ-

ლის ოსტატმა აჯობა მასწავლებელს, რისთვისაც მას ხელი მოჰკვეთეს, და ხალხური ლექსი: „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთაჯოსე ამიგია, დამიჭირეს ხელი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია" (არსებობს ლექსის სხვა ვარიანტებიც).

ტაძარი ნაგებია კარგად გათლილი რბილი ნაცრისფერ-მოყვითალო და მომწვანო ტონის ქვიშაქვის და ტუფის კვადრებით. ზოგიერთი არქიტ. ელემენტის ხაზგასმის მიზნით წყობაში გამოყენებულია. სხვადასხვა ფერის ქვები (ღვინისფერი და მწვანე). შემორჩენილი ძვ. წყობა სწორი, პორიზ. რიგებისგან შედგება. გარე და შიდა თლილ საპირე ქვებს შორის ჩასხმულია კირხსნარისა და ნაყარი ქვების მასა.

ტაძარს სამი კ ა რ ი ბ ჭ ე ჰქონდა, ამჟამად ტაძარში შესასვლელი მხოლოდ დას-იდანაა. სამხრ-ისა და ჩრდ-ის კარიბჭეები XIX ს-ში დაანგრიეს.

ტაძრის გეგმას საფუძელად უდევს ჯვარი ალმ-იდან დას-კენ წაგრძელებული მკლავებით. გარედან ტაძარი სწორკუთხედშია ჩაწერილი. მკლავების გადაკვეთის ადგილას, თავისუფლად მდგომ ოთხ ბურჯზე დამყარებულია მაღალყელიანი, თექვსმეტსარკმლიანი გუმბათი. ინტერიერში ძირითადი გრძივი ღერძის სრულად გამოვლენისათვის სხვადასხვა მხატვრულ-არქიტ. ხერხია გამოყენებული: დას-ის მკლავის მძლავრი თაღების რიტმი ცენტრისაკენ, უხვად განათებული, ზეატყორცნილი გუმბათქვეშა სივრცისაკენ წარმართავს მზერას. ეს მკლავი ალმ-კენ ფართოვდება. ალმ-ით კომპოზიციას ასრულებს საკურთხევლის ღრმა და ვრცელი აფსიდი. დანარჩენი მკლავები სწორკუთხაა. აფსიდის ქვედა ნაწილში დეკორატ. ნიშნები და სასულიერო პირთათვის განკუთვნილი სამსაფეხურიანი ჩამოსაჯდომია. საკურთხევლის მარცხნივ და მარჯვნივ სამკვეთლო და სადიაკვნეა, რ-ებსაც ალმ. მხარეს აფსიდი აქვთ. ამ სათავსების თავზე ტაძრის განივი მკლავებისაკენ თაღებით გახსნილი პატრონიკეა. საკურთხეველს და მიმდებარე სადგომებს ალმ-ით თითო სარკმელი აქვთ. ალმ. და დას. მკლავებში თითო დიდი სარკმელია, ხოლო გვერდის მკლავებში — სამ-სამი.

დას-ის მკლავს მეორე იარუსის დონეზე გასდევდა თაღოვანი პატრონიკე, რ-ის მხოლოდ შუა ნაწილია შემორჩენილი. ამავე მკლავს დას-ის მხარეს ეკვრის განიერი ნართექსი (აქედან იყო ასასვლელი პატრონიკეზე). ტაძრის დას. ნაწილი მნიშვნელოვნადაა სახეშეცვლილი თემურლენგის შემოსევის დროს დაზიანების გამო. ადრე არსებული სამი წყვილი საყრდენი ბურჯიდან ამჟამად მხოლოდ ორია (შეცვლილია მალების რაოდენობა და სიდიდე, განსხვავებულია ბურჯების მოხაზულობა და სხვ.).

ტაძრის დას-ის ნაწილში, თვით მკლავსა და სამხრ.-დას. სათავსს შორის, წინანდელი საყრდენი ბურჯის ადგილას, სფერული უყელო გუმბათითა და აგურის პირამიდული სახურავით დასრულებული კოშკისებრი ნაგებობაა. ეს საკუთრივ „სვეტიცხოველია", სადაც სასწაულმოქმედი სვეტი ინახებოდა. ახლანდ. კოშკი XVII ს-შია აგებული.

ტაძრის ინტერიერში, სამხრ.-დას. ნაწილში კედელთან დგას მცირე ზომის გუმბათიანი ეკლესიის მოდელი-სამლოცველო, რ-იც იერუსალიმში მაცხოვრის საფლავზე აღმართულ ტაძარს უნდა გამოხატავდეს. მოდელი XV ს-ისაა. სამხრ-ის გუმბათქვეშა ბურჯთან ოთხ სვეტზე მდგარი მცირე ზომის ნაგებობა სფერული გადახურვით საკათალიკოსო კათედრაა. ტაძარში ქართვ. მეფეთა და დიდგვა-



037(ა). საერთო ხედი ჩრდ.-დას-იდან



037(ა) გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ

როვანთა სამარხებია. აქ არიან დაკრძალულნი ვახტანგ გორგასალი, ერეკლე II (ორივე საფლავის ქვის ავტორი არქიტ. თ. კანდელაკი; დაიდგა 1958 წ.), გიორგი XII და სხვ.

(ბ) XI ს-ში ტაძარი მთლიანად მ ო ხ ა ტ უ ლ ი იყო. ამ ხანის მხატვრობის მცირე ფრაგმენტები შემორჩენილია: ტაძრის დას. მკლავის დას. კედელზე, სარკმლის სამხრ-ით — სახარების სცენის *ქრისტე და სამარიტელი ქალი* ნაწილი (წმინდანთა თავზე ასომთ. წარწერის ფრაგმენტია: „ქ აქა... სამარ..."). შუა ნავის სამხრ.-დას. თაღზე — მცენარეული ორნამენტი და სამხრ. ნავის კამარაში — გაურკვეველი სცენის ნაშთები მხატვრობა ხასიათდება მონუმენტურობით და რბილი ნახატით. კოლორიტი ნათელია (მოწითალო და ოქროსფერი ოქრა, ცისფერი და ღია მწვანე).

დანარჩენი მოხატ. გვიანდელია. საკურთხეველში შემორჩენილია მხატვრობის ზედა ორი რეგისტრი. კონქში გამოსახულია ტახტზე მჯდომი ქრისტე გადაშლილი სახარებით ხელში და ცეცხლოვან ბორბლებზე შემდგარი ორი ექვსფრთედი. ბემის კამარაში თაყვანისცემის პოზაში გამოსახულია ოთხი ანგელოზი, კედლებზე კი ორი მთავარანგელოზი. საკურთხევლის მეორე რეგისტრში მოციქულებია გრაგნილებითა და წიგნებით ხელში. ერთ-ერთ მოციქულს ღვთისმშობელი, რ-საც ყრმა უჭირავს ხელში, წიგნს გადასცემს. რეგისტრები ერთმანეთისგან გამოყოფილია ფართო ორნამენტული ზოლით, ხოლო საკურთხევლის სარკმლის თაღი და წირთხლები მცენარეული მოტივებითაა შემკული. კონქის თაღის საფეხურის სიბრტყეზე ასომთ. წარწერაა („ქ მოსავთა შნთა დამამტკიცებელო ქრისტე ღმერთო დაიმტკიცე ეკლესიაი შენი რომელი მოიყიდე სისხლითა შენით წმ").

ტაძრის გუმბათის სფეროში გამოსახულია ყოვლისმპყრობელი ქრისტე წრეში ირგვლივ მახარებელთა სიმბოლოებითა და ოთხი ექვსფრთედით. წრის გარშემო დაზიანებული ბერძ. წარწერაა. მხატვრობა შესრულებულია გუმბათის აღდგენის შემდეგ, არა უადრეს 1656 წლისა. გუმბათქვეშა სამხრ.-დას. ბურჯის აღმ. მხარეს გამოსახულია მეფე როსტომის მეუღლე მარიამი შვილთან ერთად.

ტაძრის სამხრ. მკლავის სამხრ. კედელზე დიდი ზომის კომპოზიციაა ფსალმუნის თემაზე — *აქებდით უფალსა*. იგი ხალიჩისებურადავსებს კედლის უმეტეს ნაწილს. მოხატულობაში ჭარბობს მუქი ლურჯი, ყავისფერი, მონაცრისფრო-ცისფერი, თეთრნარევი ყვითელი, მონაცრისფრო-თეთრი ფერები. ეს მუქი და მღვრიე კოლორიტი გაცოცხლებულია მუქი წითელი ფერით (უმთავრესად წმინდანთა ტანსაცმელი). გამოსახულებათა დიდ ნაწილს ახლავს თეთრი საღებავით შესრულებული ბერძნ. და ქართ. წარწერები.

დას-ის მკლავის ჩრდ. მხარეს გამოსახულია შემდეგი სცენები: გუმბათქვეშა ჩრდ.-დას. ბოძს ზემოთ — *სამება*, თორმეტი მოციქული, *ძველი დღეთა* და ყრმა ქრისტე მანდორლაში მახარებელთა სიმბოლოებით; ჩრდ.-დას. ბოძს ზემოთ — *თორმეტი წლის ქრისტეს ქადაგება ეკლესიაში*, *განრღვეულის განკურნება* და *ფხიზელი თვალი*, ბოძზე — კონსტანტინე და ელენე ჯვრით ხელში; თაღს ზემოთ — *ხარება*; თაღის ორივე მხარეს — ორი წინასწარმეტყველი. თაღის საფეხურები შევსებულია მედალიონში ჩასმულ მარტვილთა წელზედა გამოსახულებებით და დაჩითულ ქსოვილთათვის დამახასიათებელი

037(ა). გეგმა





ადგილზე, მოთავსებულია ისტ. მინაარსის სცენები. მხატვარი თითოეულ კედელზე არქიტექტურასთან შეფარდებით იძლევა ერთნაირი ზომის ოთხ სცენას ორ რეგისტრად: აღმ-ით, ზედა რეგისტრში, მარცხნიდან მარჯვნივ — მეფე სვეტიცხოვლის ტაძრის წინაშე და მეფე და სამღვდელოება; ქვემოთ — წმ. ნინო არმაზის მთასთან და წმ. ნინოს ხასწაულმოქმედება; სამხრ-ით, ზემოთ — ნანა დედოფალი ამალით და მირიან მეფე ამალით; ქვემოთ — მირიანისა და ნანას ლოცვა „სვეტის" წინაშე და *სნეულის განკურნება;* დას-ით, ზემოთ — *ჯოჯოხეთის წარტყვევნა* და *ჯვარცმა;* ქვემოთ — „სვეტის" ამაღლება და ძლიერ დაზიანებული სცენა მთის ფონზე წმ. ნინოს მონაწილეობით; ჩრდ-ით — მამა ღმერთი და მაცხოვარი მანდორლაში. ზემოთ, „სვეტის" ბოძებზე ცალკეულ წმინდანთა ფიგურებია, ხოლო თაღების ორივე მხარეს — მცენარეული მოტივებით. ბოძების შიგა წიბოები შემკულია მცენარეული ორნამენტით. აქვეა წმ. ქრისტეფორესა და უცნობი მარტვილი ქალის ფიგურები. მხატვრობა ხასიათდება სიმშრალით და ჩამქრალი, თითქოსდა „ჭუჭყნარევი" კოლორიტით (გამოყენებულია მონაცრისფრო-ცისფერი, ღია იისფერი, მოწითალო-ყავისფერი, მუქი ლურჯი ფერები).

ტაძრის სხვადასხვა ნაწილში შემორჩენილია მოხატულობის ცალკეული ფრაგმენტები: გუმბათქვეშა სამხრ.-აღმ. ბოძზე — წმინდანები მედალიონებში, ნაგებობა, ექვსფრთედი და მცენარეული ორნამენტის ნაწილები; გუმბათქვეშა ჩრდ.-დას. ბოძის აღმ. მხარეს — მცირე ზომის სცენა: შარავანდიანი ჭაბუკისაკენ მიმართული ღვთისმშობელი (მარიამის თავზე ასომთ. წარწერაა „ყდწი"); გუმბათქვეშა სამხრ.-დას-ის ბოძის ჩრდ. მხარეს — ორი წმინდანი ბარძიმით ხელში; ბოძის დას. მხარეს — ანგელოზი; ზემოთ, ცის სეგმენტში — მაცხოვარი; ბოძის დას. მხარეს — ანგელოზი. მხატვრობის ეს ფრაგმენტები გვიანდ. ფეოდ. ხანით თარიღდება. სამკვეთლოს სამხრ-ის კედელზე წმინდანთა გამოსახულებები (დაზიანებულია) XIX ს-შია შესრულებული.

„ს ვ ე ტ ი" 1678-88 წწ. მოუხატავს მხატვარ გრიგოლ გულჯავარასშვილს კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორის თაოსნობით. ორივე მოხსენიებულია „სვეტის" მხედრ. წარწერაში. „სვეტზე" გამოსახულია სახარების სიუჟეტები, ცალკეულ წმინდანთა ფიგურები და ქართლში ქრისტიანობის გავრცელების ამსახველი სცენები. „სვეტის" ქვედა ნაწილში, თვალსაჩინო

037(ა). რელიეფი „ამაღლება" დას. ფასადის ფრონტონზე



037(ა). ინტერიერი



037(ა). აღმ-ის ფასადი

სახარების სცენები. აღმ. ფასადზე თაღის სამხრ-ით — *ამაღლება*, ჩრდ-ით — *სული წმიდის მოფენა;* აქვე, სამხრ. ბოძზე — წმ. კო(უ) ირ კი, ჩრდ-ით — სამი მცირე ზომის ფიგურა ერთიმეორის ქვეშ: წმ. ეკატერინე (ზემოთ), წმ. გიორგი, წმ. დიმიტრი; სამხრ. ფასადზე თაღის აღმ-ით — *შობითგან ბრმა*, დას-ით — *სამარიტელი დედაკაცი;* ბოძებზე: აღმ-ით — წმინდანი წარწერის გარეშე, დას-ით — წმ. მარინე; დას. ფასადზე, თაღის სამხრ-ით — ქრისტე ორი მოციქულითურთ და წარწერით: „მე ვარ პური ცხოვრებისი რილცით გ რდმო...", ჩრდ-ით — *განრღვეულის განკურნება;* ბოძზე, სამხრ-ით — წმ. ირინე, ჩრდ-ით — წმ. თევდორე და წმ. ევსტათი ერთი მეორის ქვეშ; ჩრდ. ფასადზე, თაღის აღმ-ით მოციქულთა ორ ჯგუფს შუა, დას-ით — *დედანი მაცხოვრის საფლავთან;* ბოძებზე სამ-სამი მედალიონია ერთი მეორის ქვეშ, რ-ებშიც წინასწარმეტყველთა წელზედა გამოსახულებებია.

„სვეტის" შიდა ნაწილში, გუმბათის სფეროში, გამოსახულია ყოვლისმპყრობელი ქრისტე, აფრებში — ექვსფრთედები, თაღებს ზემოთ და თაღებს შორის კუთხეებში მცენარეული ორნამენტია. ბოძის ყოველ მხარეს თითო წმინდანია გამოსახული, თაღების სოფიტებზე—ორ-ორი. ჩრდ.-აღმ. და ჩრდ.-დას. ბოძების დას. და აღმ. მხარეს სამ-სამი ოქროსფერი დისკოა ერთიმეორის ქვეშ ლურჯ ფონზე.

„სვეტის" მოხატულობა მინიატურას მოგვაგონებს. წმინდანთა თმები, წვერ-ულვაში, ქსოვილთა სახეები ფაქიზი შტრიხებითაა დაწერილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე ზომის სცენები მეფე მირიანის ლორონზე („მეფე სვეტიცხოვლის ტაძრის წინაშე"), რ-თა გარჩევა მხოლოდ ახლოდან დაკვირვებით შეიძლება. კომპოზიციათა აგება მკაცრი და ლაკონურია. მხატვრობის კოლორიტში გაბატონებული მკვეთრი წითელი, მწვანე, ღია ცისფერი და ოქრო ატოცხლებს მუქ ლურჯს, ნაცრისფერს, მონაცრისფრო-ყვითელს და სხვ. ფერებს.

მოხატულია საპატრიარქო კათედრაც. ფერწერა შემორჩენილია კათედრის აღმ-ისა და ჩრდ-ის ფასადებზე და შიდა ნაწილში. აღმ. ფასადზე წმინდანთა წელზედა გამოსახულებები და *ხარების* კომპოზიცია გაერთიანებულია მცენარეული მოტივებით.

ჩრდ. კედელზე, თაღის აღმ-ით, ზემოდან ქვემოთ მოცემულია — *მოსე დაფიცრე*... და *იაკობის კიბე*, თაღის დას-ით — *იაკობის კურთხევა* და *აბრაამის სალმრთო*, იაკობის კიბის კომპოზიციაში შემონახული მხედრ. წარწერის მიხედვით მხატვრობა შესრულებულია კათალიკოს იოანე დიასამიძის (მისი კათალიკოსობის წლებია 1688-91, 1696-1700) თაოსნობით. ოთხივე სცენა და წარწერა ბათქაშის ახალ ფენაზეა შესრულებული. თაღს ზემოთ, ცენტრში, ხელუხლებლადაა დატოვებული ქვედა ფენის მხატვრობის (გვიანდ. ფეოდ. ხანა) ნაწილი — წმინდანის ბიუსტი, რ-იც მედალიონშია ჩასმული, და მცენარეული ორნამენტის ფრაგმენტი.

კათედრის შიდა ნაწილის მხატვრობაც ქვედა ფენისაა. გუმბათის სფეროში გამოსახულია ყოვლისმპყრობელი ქრისტე და ოთხი ექვსფრთედი, ქვემოთ, სამხრ-ით — ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით; დას-ით — შარავანდიანი კაცი კვერთხით ხელში. კათედრის თვითეულ თაღში ორი წინასწარმეტყველია. წმინდანთა თანმხლები ასომთ. წარწერები დაზიანებულია. სახელთაგან იკითხება: აღმ-ით — მოსე, სამხრ-ით — ამბაკუმ, დას-ით — გედეონ და იერემია.

ტაძრის გარეგანი ფორმების, მასების და გადახურვების ურთიერთგანაწილება, პროპორციები ექვემდებარება წამყვან ელემენტს — ცენტრში აღმართულ მაღალ, მასიურ გუმბათს,

რ-ის ქვეშ ორფერდა სახურავიანი ჯვრის მკლავებია, ხოლო მკლავებს შორის — დაბალი, ცალფერდა სახურავებით გადახურული სათავსები (სამხრ-ისა და ჩრდ-ის ფასადებზე თავდაპირველად არსებულ მინაშენებს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ნაგებობის მასათა საფეხუროვან დანაწილებაში).

ფასადების მოსართავად გამოყენებულია კედლის დეკორატ. თაღედისა და შეწყვილებული პილასტრების განვით. სისტემა და სარკმელთა მოჩუქურთმებული საპირეები. გრძივი ფასადების ზედა იარუსზე დას-ის ბურჯების კამარების შესაბამისად შექმნილი, კონსტრუქციულად გამართლებული ღრმა თაღოვანი ნიშებია, რ-თა პილასტრები კონტრფორსების როლს ასრულებს. საესებით განვით. ხასიათისაა მდიდარი, მრავალფეროვანი ჩუქურთმები (დღემდე მხოლოდ ნაწილმა მოაღწია). ტაძრის დეკორატ მორთულობის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფიგურულ რელიეფსაც.

ალმ. ფასადის მორთულობის საფუძველია ხუთი დეკორატ. თაღისაგან შეკრული სისტემა, რ-შიც ჩართულია მაღალი სამკუთხა ნიშები ეს მოტივი გამდიდრებულია შუა, მაღალი თაღის შიდა სიბრტყის მორთულობით. აქ, მარაოსებრ გაშლილი სხივების ბოლოებში გამობმულ დისკოებზე მოთავსებულია ერთ-ერთი სამშენ. წარწერა. ფასადის ძირითად დეკორატ. ლაქას წარმოადგენს ცენტრ. სარკმლის პოლიქრომიული ჩუქურთმიანი არშიებისაგან შედგენილი საპირე, რ-იც ზემოდან გამოყოფილია მდიდრულად მორთული პორიზ. სარტყლით. სარკმლის ქვეშ, მის ორივე მხარეს მოთავსებულია V ს. ბაზილიკიდან გადმოტანილი ხარის თავების სკულპტურული გამოსახულებები. იქვეა XI ს. რელიეფები — ორი მფრინავი ანგელოზი. სიმეტრიულად განლაგებული ანგელოზები კომპოზიციურად მორგებულია ამ ადგილთან, მაგრამ მათი სტილისტ. და შინაარსობრივი დაკავშირება დეკორის დანარჩენ ნაწილებთან (სარკმლის გაფორმება, ხარის თავები) წმინდა გარეგნულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ეს რელიეფები მოგვიანებით, შეკეთების დროს არის აქ გადმოტანილი.

ხარის თავებს შორის მოთავსებულია რელიეფი — *ვედრების* კომპოზიცია. აქვე არსებული მხედრ. წარწერით (მასში მოხსენიებულია კათალიკოსი ნიკოლოზ მაღალაძე) იგი 1674 წ-ით თარიღდება. ფასადის ზედა მონაკვეთში ლომისა და არწივის, ტაძრის თანადროული, მაღალრელიეფიანი გამოსახულებებია.

გრძივი ფასადები მორთულია დეკორატ. თაღებით და შეწყვილებული პილასტრებით. ისინი არ არიან ერთ სისტემაში გაერთიანებული და მხოლოდ ცალკეულ დეკორატ. აბზაცებს ქმნიან. მიუხედავად ელემენტების სხვადასხვაობისა და ფორმების ასიმეტრიულობისა, ფასადები ჰარმონიული და გაწონასწორებულია. ნგრევისა და ჩატარებული რესტავრაციების შედეგად გრძივი ფასადების თავდაპირველი მხატვრული სახე ერთგვარად დარღვეულია, თუმცა სარკმელთა საპირეები, სათაურები და რელიეფები ძირითადად XI ს. მიეკუთვნება.

ტაძრის ფასადების მორთულობის პირვანდელი სისტემა (კარ-სარკმელთა მორთულობა) ძირითადად შენარჩუნებულია დას-ის ფასადზე. ფასადის ამაღლებული, ცენტრ. ნაწილი ხაზგასმულია ნახევარსვეტებზე დაყრდნობილი ფართო დეკორატ. თაღით, რ-ის შიგნით სარკმლის გარშემო თავმოყრილია მდიდრული ორნამენტულ-დეკორატ. მორთულობა. ფასადის კომპოზიციას ასრულებს ფრონტონის სამფიგურიანი რ ე ლ ი ე ფ ი, რ-იც ავსებს თავისუფალ არეს ლავგარდანსა და დეკორატ. თაღს შორის. იგი პირვანდელი სახით არის შემორჩენილი. აქ წარმოდგენილია საყდარზე მჯდომი ქრისტე მაცხოვარი, რ-იც მარჯვენათი აკურთხებს, ხოლო მარცხ. ხელში დახურული წიგნი უჭირავს. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად რაკურსში გამოსახული ქრისტე კომპოზიციაში აბსოლუტური ზომებითაც (სიმ. 1,4 *მ*) გამოირჩევა. ქრისტეს მარჯვნივ გამოსახულ ანგელოზს სურა უპყრია ხელთ, ხოლო მეორეს — მრგვალი საგანი (სავარაუდოა, სფეროსკვერი). ეს არის *ამაღლების, მეორედ მოსვლის* კომპოზიცია, რ-შიც მოკლე და ლაკონიური ფორმულის სახით ხორცშესხმულია მოძღვრება ევქარისტიის შესახებ. ამ კომპოზიციასთან შინაარსობრივ კავშირშია ამავე ფასადზე, კედლის განაპირა სიბრტყეებზე (ნახევარსვეტებსა და კედლის ნაპირებს შორის) სიმეტრიულად განლაგებული მცენარეთა რელიეფური გამოსახულებები — სიცოცხლის ხის მოტივი.

ეს რელიეფი (აგრეთვე ალმ-ის ფასადზე ანგელოზების გამოსახულებები) ატარებს X ს. ბოლოსა და XI ს. I ნახ-ის ქართ. ფასადური ქანდაკების ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს: მშვიდი, მკაცრად ფრონტალურად წარმოდგენილი მონუმ. კომპოზიცია (განსაკუთრებით ქრისტეს ფიგურა) მოცემულია განზოგადებულ ფორმებში, დეტალიზაციის გარეშე (ტანსაცმლისა და სახის დამუშავება); მონუმენტურობა შეერთებულია განვით. სკულპტურულობასთან — ხაზგასმულია სიღრმისა და სივრცობრიობის შთაბეჭდილება; რელიეფი მრგვალ ქანდაკებას უახლოვდება.

ტაძრის ყველა ფასადს ეტყობა სხვადასხვა დროის შეკეთების ნიშნები, გუმბათის ყელი, მისი სარკმლების მორთულობა და რთულპროფილიანი ჩუქურთმით შემკული ლავგარდანი XV ს-ისაა, გუმბათის სარტყელი და სხვა მცირე შეკეთებები (სტალაქტიკური ხასიათის ნიშები გრძივ ფასადებზე და სხვ.) XVII ს. მიეკუთვნება, ხოლო გრძივი ფასადის კლასიცისტური პროფილები და ტოსკანური ნახევარსვეტები — XIX ს-ს.

სვეტიცხოვლის ტაძრის აგების პერიოდი ემთხვევა ცალკეული ქართ. პროვინციების ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის ბრძოლისა და ფეოდ. საქართველოს სოც., ეკონ. და კულტ. მომძლავრების ხანას. მასში სრულად არის ასახული განვით. ფეოდ. ხანის ქართ. ხუროთმოძღვრული ძეგლებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რ-ებმაც განვითარება ჰპოვა ფეოდ. ხანის ქართ. მონუმ. არქიტექტურის ცხოველხატული სტილის ეპოქაში: ეს არის გუმბათოვანი ტაძარი მკაფიოდ ხაზგასმული გრძივი ღერძით და მასებით, რ-ებიც სივრცეში ჯვრის ფორმას ქმნიან: დას-ის მკლავი უფრო გრძელია, ხოლო ალმ-ის აფსიდი გარე კედლების ოთხკუთხედშია ჩაწერილი; გუმბათი ეყრდნობა ოთხ თავისუფლად მდგომ ბოძს: ნათელ ტექტონიკას და გეომეტრიულ სიცხადეს დამორჩილებული ფასადების დეკორატ. გაფორმება მრავალფეროვანია (მდიდრული დეკორატ. თაღების და ნახევარსვეტების სისტემა, ჩუქურთმით დაფარული კარ-ფანჯრების საპირეები, ლავგარდნები, ფიგურული რელიეფები, პოლიქრომიული ეფექტი): ინტერიერში კედლის ზედაპირი დაფარულია მხატვრობით; გადახურვის კონსტრუქციებში, თაღისა და კამარის გარდა, გამოყენებულია აფრები; შინაგანი სივრცის და გარეგანი მასების საერთო პროპორციები მოხდენილი და მსუბუქია, ტექტონიკური წყობის მისწრაფება — დინამიური, ზეაღმართული. სვეტიცხოვლის ტაძარი, ისე როგორც ეპოქის სხვა წამყვანი კათედრალები (ოშკის, ქუთაისის ბაგრატის, ალავერდის ტაძრები), გამოირჩევა თავისი აბსოლუტური ზომებით — იგი შუა საუკუნეების საქართველოს ყველაზე დიდი ნაგებობაა.

(გ) მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ  კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ს  ს ა ს ა ხ ლ ე მდებარეობს სვეტიცხოვლის გალავნის სამხრ. კედლის სამხრ.-დას. ნაწილის ქვეშ. თარიღდება XI ს-ით.

1963-64 წწ. ამ მონაკვეთზე გათხრები ჩაატარა ᲘᲐᲔ ინ-ტის ᲛᲐᲔ-მ (ხელმძღვ. ა. კალანდაძე). განათხარი მასალა ინახება მცხეთის მუზეუმში. გაითხარა 1500 *კვ მ*-ზე მეტი ფართობი და გამოვლინდა სხვადასხვა დროის

ნაგებობების ნაშთები, რამდენიმე მარანი და სხვ.

ძირითადი ნაგებობაა მელქისედეკისეული ს ა ს ა ხ ლ ე (38,5X18,5 მ). საძირკველზე (სიგ. 2 მ) ორსაფეხურიანი ცოკოლი და ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებით ნაშენი კედელია ამოყვანილი (სისქე 0,8 მ-მდე). დუღაბად კირის ხსნარია გამოყენებული. ნაგებობის კედლებზე როგორც ფასადებზე, ისე შიგნით 3,4-3,5 მ მანძილზე პილასტრებია. სასახლეს კარი (სიგ. 3,5 მ) ჩრდ. მხარეს აქვს. აქ აღმოჩნდა თლილი ქვის იატაკის ნაშთი. დადგინდა, რომ სასახლე დაშენებულია უფრო ძველ კულტ. ფენაზე — საძირკვლის ქვეშ (0.6 მ სიღრმეზე) გამოვლინდა რიყის ქვითა და ტალახის ხსნარით ნაგები კედელი და IX ს. კერამ. მასალა.

მელქისედეკის სასახლე რამდენჯერმე გადაუკეთებიათ. პირველად XIV ს-ში კარგად გათლილი კვადრებით შეუკეთებიათ და აღუდგენიათ სამხრ-ის კედელი, მისთვის მოუშლიათ ორსაფეხურიანი ცოკოლი, ხოლო სამხრ. და ჩრდ. კედლებისათვის გარედან, ყოველი 6-7 მ-ის გამოშვებით, მიუშენებიათ კონტრფორსები (1.5-2 მ), რ-ებიც მოპირკეთებულია ასევე კარგად გათლილი კვადრებით. სამხრ. კედელს 5 კონტრფორსი აქვს (გეგმით ორი მათგანი სწორკუთხაა, ხოლო სამი სამკუთხა შვერილით მთავრდება). ზოგან კონტრფორსები ფარავენ ადრინდ. პილასტრებს. შემდეგ სასახლისთვის აღმ-იდან მიუდგამთ მინაშენი, რ-იც მსგავსად სასახლისა კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებითა და კირხსნარით არის ნაგები. მინაშენის აღმ. კედელზე შემორჩენილია პილასტრი, სამხრ. კედელში ბუხარია დატანებული.

მესამეჯერ ძალზე დანგრეული სასახლე და მინაშენი როსტომ მეფესა და მარიამ დედოფალს XVII ს-ში სვეტიცხოველთან ერთად შეუკეთებიათ და აღუდგენიათ. ნაგებობის პერიმეტრში ჩასმულია კვადრ. აგურით ნაგები, კამარებით შეკრული, სამწყება ბურჯებზე დაყრდნობილი ორმალიანი შენობა ამავე ხანისა უნდა იყოს აქვე გათხრილი ორი დიდი მ ა რ ა ნ ი (საერთო ტევადობა დაახლ. 3000 დლ).

შემდგომ პერიოდში სასახლე მთლიანად დანგრეულა. აქ გამოვლინდა დარბაზული ტიპის გლეხთა ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი ს ა ხ ლ ე ბ ი დ ა მ ა რ ა ნ ე ბ ი (ერთ-ერთ მათგანში 4 ქვევრია). სახლები ნაგებია ნატეხი ქვის, აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობითა და თიხის ხსნარით. აღმოჩენილია ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი მასალა: სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭელი, აგურისა და კრამიტის ნატეხები, რამდენიმე მონეტა (ალი მირზა, რუსული ორკაპიკიანი).

ამჟამად დას-ის კედლის სამხრ. მხარე რესტავრირებულია, დანარჩენი კი დაკონსერვებულია ცოკოლის სიმაღლეზე. ამასთან დაკავშირებით დაინგრა გალავნის სამხრ.-დას. კუთხეში მდგარი ცილინდრული კოშკი (დარჩენილია ქვედა ნაწილი 1 მ სიმაღლეზე ქუჩის მხარეს).

სვეტიცხოვლის ტაძარს გარს აკრავს გეგმით თითქმის კვადრატული (დ) გ ა ლ ა ვ ა ნ ი (გარე ზომები 121,6X X110,5 მ). იგი აგებულია 1787 წ. ერეკლე II-ის ბრძანებით, რასაც ადასტურებს სამხრ-ის შესასვლელის თავზე ამოკვეთილი მხედრ. წარწერა: „ბრძანებისა მისისა უმაღლესის ირაკლი მეორისა ქართლისა და კახეთის მეფისათა შემოვლებულ იქნა და განახლებული ზღუდე წმიდისა ამით ეკლესიისა მცხეთისა სიმაგრეების თურთ თაეისით და აგრეთვე ეკლესია შიგნით და გარეთ განახლებულ დერეფანი ეკლესიისა ახლად დაწერილი და დახატული მაძადმთავრობასა მისა ანტონი მეფისა ძისა მუშაკთა ზედა მდგომელთა წმიდისა ეკლესიისა ზღპზ იელისის კპ." ამავე წარწერიდან ირკვევა, რომ სვეტიცხოველს ადრეც ჰქონია გალავანი, რ-ის ფრაგმენტები ჩართულია დღევანდელ გალავანში (ჩრდ-ის კედელი). გალავნის ძვ. ნაწილი ნაგებია ნატეხი ქვით, ადგილ-ადგილ თლილი ქვაცაა გამოყენებული. ერეკლესდროინდელი ნაგებობები კი ძირითადად რიყის ქვითაა ნაშენი. ქონგურებზე და სალოდეებზე გამოყენებულია აგურიც.

037(გ).(დ). ხედი სამხრ-იდან



გალავანი ორიარუსიანია: ქვედა მთლიანად ყრუა, ზედას გასდევს საბრძოლო ბილიკი, კედელში განლაგებულია სათოფურები და სალოდეები. გალავანს ერთი სიმაღლის ექვსი ცილინდრული (ოთხი კუთხეებში და თითო აღმ-ისა და ჩრდ-ის კედლების შუა ნაწილში) და ორი ოთხკუთხა (სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლების შუაში) კოშკი აქვს. კ ო შ კ ე ბ ი ორ და სამსართულიანია. ბოლო სართულები ბანს წარმოადგენს. კარი ყველა კოშკს ეზოს მხარეს აქვს. მეორე სართულზე სათოფურებია, ხოლო ბანზე — სათოფურები და სალოდეები. კოშკებისა და კედლების ზედა ხაზი ნახევარწრიული ქონგურებით მთავრდება, კოშკებში სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა (შემორჩენილია ხის კოჭების ნაშთები).

გალავნის სამხრ-ის კედელში გაჭრილია ჭიშკარი (როგორც ჩანს, მელქისედეკის კარიბჭისა და მის ჩრდ-ით მდებარე გვიანდ. სამრეკლოს გასასვლელები ადრევე იყო გაუქმებული). გარდა ამისა, სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლებში ერთმანეთის პირდაპირ კიდევ ორი ვიწრო კარია.

ყველაზე რთულია გალავნის დას. მხარე. ამ მხარესაა ს ა მ რ ე კ ლ ო და XI ს. კარიბჭე, ხოლო შიგნიდან კედლებზე სხვადასხვა დროს მიშენებულია საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობანი.

(ე) კ ა რ ი ბ ჭ ე გალავნის დას. მხარის ცენტრ. ნაწილშია. აგებულია 1029 წ., ტაძრის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, კათალიკოს მელქისედეკის ბრძანებით.

1964-65 წწ. ჩატარდა კარიბჭის სარესტ. და საკონსერვაციო სამუშაოები (ხელმძღვანელები ნ. ჩუბინაშვილი და ვ. ცინცაძე; მთავარი კონსულტანტი გ. ჩუბინაშვილი). ამ სამუშაოების ჩატარებამდე კარიბჭის უმეტესი



037(ე). დას ფასადი (რეკონსტრუქციამდე)

ნაწილი (განსაკუთრებით დას. ფასადი) მიწით იყო დაფარული და მასზე აგურით ნაგები გვიანდ. ხანის კონტრფორსები იყო მიშენებული. რესტავრაციის შედეგად ფასადი გაიწმინდა გვიანდ. დანამატებისაგან და კარიბჭე თავდაპირველი სახით აღდგა.

კარიბჭე ორსართულიანია, ნაგებია კარგად გათლილი თანაბარი კვადრებით მის პირველ სართულზე, ფართო შეისრულთაღიანი გასასვლელის ორივე მხარეს მოთავსებულია ოთახები (თითოეული 22 კვ მ); მეორე სართულზე დარბაზია (70 კვ მ), რ-იც დას-ის მხარეს სვეტებიანი თაღების სამი მალითაა გახსნილი. სამმაგი თაღი მოჩარჩოებულია პროფილირებული სარტყლით, რ-ზედაც ასომთ. წარწერაა („ქრისტე ადიდე შენ მიერ დამყარებული მეოხე ჩვენი ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოსი რომელმან მეორედ აღაშენა წმიდა კათოლიკე ესე ხალხინებლად სულისა მათისა"). გასასვლელის ორივე მხარეს თითო ოთხწახნაგა სამმეოთხედიანი პილასტრია ფესტონებიანი კაპიტელებითა და სადად პროფილირებული

037(ე) ხედი დას-იდან



ბაზისებით. ეს შვერილები სამმაგი თაღის ჩარჩოს ქვედა ხაზს ქვემოთ კედელს უკავშირდება მცირე ზომის ნიჟარისებრი თაღებით (ტრომპებით). შესასვლელის თაღის ზემო ნაწილში, ორივე მხარეს მწვანე ქვიდან ნაკვეთი ხარის თავების სკულპტურული გამოსახულებებია (პირი. დედანი ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში). ოთხწახნაგა შვერილების აქეთ-იქით მაღალი სამკუთხა ნიშებია.

სვეტიცხოვლის კარიბჭე ქართ. საერო არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძ-ია.

(ე) ა ნ ტ ო ნ I I კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ს ს ა ს ა ხ ლ ე ორსართულიანი ქვითკირის ნაგებობაა; ზედა სართულზე 5 ოთახია. სასახლე დგას ტაძრის ეზოში, გალავნის სამხრ.-აღმ კუთხეში. აგებულია XVIII ს. დასასრულს. გადაკეთებულია და შეცვლილი აქვს პირვანდელი სახე. ამჟამად აქ მოთავსებულია მცხეთის მუზეუმი.

ბიბლ.: 9; 10; 32:158-161; 33:135-164; 50:20-25; 159:3-4; 175:133-142; 238; 320; 343; 345:123-134; 357.

*ანდღ. ნ., ბ. ა., დ. ფ., ვ. შ., ზ. პ.*

038. ტუიაქოჩორას სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მცხეთა-შიომღვიმის გზის მარცხ. მხარეს, ბორცვზე. თარიღდება IV-VIII სს.

ტ. ს. 1953 წ. გათხარა მაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). გაითხარა 14 ქვაყუთი. სამარხების ნაწილი მიწის სამუშაოების დროსაა დაზიანებული, ნაწილი კი ადრევე გაუძარცვავთ. მოპოვებული მასალა ინახება მცხეთის მუზეუმში.

სამარხები ტლანქად გათლილი ქვის ფილებისაგან ნაგებ ბანურსახურავიან ქვაყუთებს წარმოადგენს. ისინი უმთავრესად საოჯახოა. მიცვალებულები ქრისტ. წესითაა დაკრძალული: გულაღმა, თავით დას-კენ, ხელები ნებისმიერად უწყვიათ. ინვენტარის სიუხვით გამოირჩევა მე-4 ქვაყუთი (ახლად ჩასახული ფეოდ. არისტოკრატიის წარმომადგენელთა საოჯახო სამარხი?). მასში აღმოჩნდა: გიშრის, პასტისა და მინის მოგრძო, ცილინდრული, რომბისებრი, დაკუთხული მძივები; ოქროს, ბრინჯაოსა და რკინის საკინძები, ოქროს საყურეები, თვალედი და გემიანი ოქროს ბეჭდები, მინის საბეჭდავი, სანელსაცხებლე.

ტ. ს-ზე მიკვლეული სამარხეული ინვენტარის ანალოგები უხვადაა გამოვლენილი აღმ. საქართველოს, ჩრდ. კავკასიისა და აზერბაიჯანის ნასახლარებსა თუ სამაროვნებზე.

ბიბლ.: 176ბ:157-169. *ნ. ვ.*

039 ძაყუთი, არქეოლ. ძ. აღმოჩნდა 1941 წ. გზის გაფართოების დროს მდ. არაგვის მარცხ. ნაპირზე, იმ მთის ძირში, რ-ზედაც ჯვრის ტაძარია აღმართული. თარიღდება IV ს-ით. სამარხში აღმოჩნდა ღია მწვანე გამჭვირვალე მინის თხელკედლიანი ჭურჭელი, რ-ის სამ გვერდზე გამოსახულია ტოლმკლავებიანი ჯვარი, ერთზე სამტოტა ხის სქემატური გამოსახულება. სამარხში იყო აგრეთვე რგოლოვანდეროიანი ოქროს საყურეები, ვერცხლის საყურის მრგვალგანივკვეთიანი ორი ღეროს ნატეხი, რკინის ბეჭედი, ბრინჯაოს ნახევარსფერული ორი ზარაკი. მოპოვებული მასალა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ბიბლ.: 80:94-100. *ჯ. ბ.*

040. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ ძ. დგას მცხეთის გარეუბან კოდმანში, ბუჩქნარით დაფარული ბორცვის ფერდზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია

040. განივი განაკვეთი აღმ-კენ. გეგმა



(5,78X4.14 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი ჩრდ-დანაა. უსწორო ნახევარწრიულ აფსიდში და დას. კედელში, საკმაოდ მაღლა, თითო სარკმელია გაჭრილი. დას-ის სარკმელი სწორკუთხაა, აღმ-ისა თაღოვანი. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს ნიშებია; ჩრდ-ის ნიში შეიხრულია. ფასადზე, ხამხრ.-აღმ. კუთხეში შემორჩენილია აგურის დეკორატ. ლავგარდნის ნაშთი.

ბიბლ.: 361:24. *ანდღ. ნ.*

041. წმ. ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას მცხეთის გარეუბან კოდმანის ხამხრ.-აღმ. ნაწილში, ციცაბო ფერდობის პირზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. დაზიანებულია — კედლები დაბზარული და ადგილ-ადგილ გამონგრეულია, სახურავი ჩაქცეულია.

ეკლ. დარბაზულია (8,7X4,8 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-დანაა. დარბაზი უსწორო ნახევარწრის ფორმის კამარითაა გადახურული. კამარას შუაში აქვს საბჯენი თაღი, რ-იც კამარის ქუსლებთან ჩასმულ იმპოსტისმაგვარ შვერილებს ეყრდნობა (სამხრ-ის შვერილი ჩამოშლილია). აღმ. და დას-ის კედ-

041. გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



ლებში თითო სარკმელია გაჭრილი. საკურთხეველში დგას მასიური სატრაპეზო ქვა (სხვა ეკლესიიდან აქ გადმოტანილი საკურთხევლისწინა ჯვრის პოსტამენტი). საკურთხეველში სარკმელთან ჩასმულ ქვაზე (ასევე გადმოტანილია სხვა ძეგლიდან) წითელ საღებავგადასმული ასომთ. წარწერაა. ეკლ. შელესილი და მოხატული ყოფილა (საკურთხეველთან შემორჩენილია საღებავის ნაშთი).

ბიბლ.: 361:24. *ანდღ. ნ.*

## ᲐᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ,

იხ. სოფ. სათოვლე, აბულეთის სამონასტრო კომპლექსი.

## ᲐᲠᲐᲨᲔᲜᲓᲐ

(გალავნის სოფსაბჭო)

042. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 1,5 კმ-ზე, მინდორში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6,5X4,5 მ), ნაგებია რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა და კონქი, კედლების ზედა ნაწილები, ფასადებზე საპირე ქვები ბევრგან ამოცვენილია, ეკლ. 1,5 მ-ის სიმაღლეზე ნანგრევებითაა ამოვსებული და შიგ დიდი ხეებია ამოსული. შესასვლელი სამხრ-დანაა. ნახევარწრიულ აფსიდში ვიწრო სწორკუთხა სარკმელია. ასეთივე სარკმელია დას. კედლის ღერძზე. *დვ. თ.*

043. წმ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, სასაფლაოზე. აგებულია გვიანდ. ფეოდ. ხანაში. ეკლ. დარბაზულია (5,6X4,1 მ), ნაგებია რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია მხოლოდ დას. კედელი და საკურთხევლის ნაწილი კონქის ქუსლის დონემდე. შესასვლელი სამხრ-დან პქონია. აღმ-ის ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე დაბალი თაღით გადახურული სარკმელია, სარკმლის ორივე მხარეს — თითო მაღალი თაღოვანი ნიში. *დვ. თ.*

## ᲐᲠᲛᲐᲖᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ,

იხ. მცხეთა, არმაზის ღვთისმშობლის ეკლესია.

## ᲐᲠᲛᲐᲖᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ,

იხ. მცხეთა, არმაზის ციხე.

## ᲐᲮᲐᲚᲓᲐᲑᲐ

(ლისის სოფსაბჭო)

044. წმ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 200-300 მ-ზე, შემაღლებულ ადგილას. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნაგებია რიყის ქვით. შემორჩენილია მხოლოდ აღმ. და დას. კედლების მცირე ნაწილი 2,5 მ-ის სიმაღლეზე. აღმ-ით სწორკუთხა საკურთხეველი ყოფილა. აღმ. კედლის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია. *დვ. თ.*

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲛᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ,

იხ. მცხეთა, ახალი არმაზის სამაროვანი.

## ᲐᲮᲐᲚᲡᲝᲤᲔᲚᲘ

(საგურამოს სოფსაბჭო)

045. ᲑᲖᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ, არქიტ. ძ. მდებარეობს გორაკზე, სოფლის სამხრ.-აღმ-ით 2-3 კმ-ზე.

კომპლექსში შედის სამი ეკლესია და გალავანი. ეკლესიების კამარები ჩანგრეულია, დანგრეულია კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი, გალავნისაგან შემორჩენილია მცირე ფრაგმენტი.

კომპლექსის დას. ნაწილში მდგარი (ა) ეკლესია ნაგებია კარგად გათლილი ქვიშაქვით. კონსტრ. ადგილებში (კამარა, კონქი, თაღები) გამოყენებულია გათლილი შირიმის ქვა. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება VIII ს-ით. ეკლ. დარბაზულია (10,25X7,75 მ). შესასვლელი ორი პქონია, ჩრდ-ითა და დას-ით (დას-ისა ამოქოლილია). ორივე კარი თაღოვანი იყო. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი თაღოვანი სარკმელია. ასეთივე სარკმელია სამხრ. კედელში. დარბაზის გრძივ კედლებზე ორი წყვილი პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა საბჯენი თაღები. პილასტრებს თაროს, დახრილი სიბრტყისა და ლილვისგან შედგენილი შირიმის კაპიტელები აქვთ.

ეკლესიის ჩრდ. კედელზე, მთელ სიგრძეზე, მიშენებულია წაგრძელებული დაბალი სათავსი, რ-იც განივი კედლით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ჩრდ.-აღმ-ის სწორკუთხოვანი ოთახი (სამკვეთლო) კარით უკავშირდება ეკლესიას. კარი ეკლესიის მხრიდან არქიტრავითაა გადახურული. სამკვეთლოს აღმ. კედელში თაღოვანი სარკმელია, ხოლო სამხრ. კედელში სწორკუთხოვანი ნიში. სამკვეთლო გადახურულია ცილინდრული კამარით. ჩრდ.-დას-ის სათავსი სვეტზე დაყრდნობილი ორი ნალისებრი თაღით უკავშირდება დარბაზს. აღმ. თაღის მარჯვ. იმპოსტის პროფილს თარო და ლილვი შეადგენს. თაროს ზედაპირი მოჩუქურთმებულია. მოპირ-

045(ა). გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა



დაპირე იმპოსტი შეწყვილებული გრეხილი ლილვის სახითაა დამუშავებული. დას-ის თაღის მარჯვ. იმპოსტი მარტივი თაროსებრი ფორმისაა, მარცხ. იმპოსტის პროფილს ორ ლილვს შორის მოქცეული ამოზნექილი ზედაპირი წარმოადგენს. სათავსის ნალისებრ კამარას ნალისებრივე საბჯენი თაღი ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. თაღი მარტივი პროფილის კრონშტეინებს ეყრდნობა.

ეკლესიის ფასადები მოპირკეთებულია ქვიშაქვის ქვებით, თარაზული რიგები მკაცრადაა დაცული. ალმ. და სამხრ. ფასადებზე სარკმლებს ჰორიზონტულგადანაკეცებიანი რელიეფური თაღოვანი თავსართი აქვთ. ლავგარდნის (შემორჩენილია ალმ. ფასადის სამხრ. კუთხეში) პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს.

პირველი ეკლესიის ალმ-ით 10-12 მ-ზე დგას წმ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა (ბ), აგებულია XII ს-ში. მისთვის სამხრ-დან მოგვიანებით მეორე ეკლ. მიუშენებიათ. ორივე ეკლესია ნაგებია აგურისა და რიყის ქვის მონაცვლეობით. ორივე დაზიანებულია: ჩამონგრეულია ცილინდრული კამარა, დანგრეულია კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი, ნავები 1 მ-ის სიმაღლეზე ამოვსებულია მიწით.

წმ. გიორგის ეკლესია დარბაზულია (11,85X5,7 მ), შესასვლელი ჩრდ-ით აქონია. ალმ-ით, ნახევარწრიულ შვერილ აფსიდში ერთი თაღოვანი სარკმელია. აფსიდის წინ ღრმა ბემააფსიდსა და ბემას საფეხური (სიმ. 0,75 მ) გასდევს. დარბაზის გრძივ კედლებზე ორი წყვილი პილასტრია (შემორჩენილია სამხრ. კედელზე), დას. კედელში ერთი თაღოვანი სარკმელია. ეკლ. მთლიანად ყოფილა მოხატული. შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები (გამოსახულებები აბრისების სახითაა წარმოდგენილი). სტილისტ. ნიშნებით მხატვრობა XII ს-ით თარიღდება.

აფსიდში შემორჩენილი (გ) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ა მოწითალო ზოლით დაყოფილია ხამ რეგისტრად. კონქში გამოსახულია *ვედრება* ექვსფრთედებით. ქრისტეს მარცხენა ხელში გაშლილი წიგნი უჭირავს, მკერდთან მიტანილი მარჯვენათი აკურთხებს. კომპოზიცია მონუმ. ხასიათისაა. შემდეგ რეგისტრში გამოსახულნი არიან მოციქულები, რ-ებსაც ხელში წიგნები ან გრაგნილები უჭირავთ. აფსიდის სამხრ.-დას. კუთხეში გამოსახული წმინდანი ბემაში გამოსახულ ხამ ფიგურაზე უთითებს. ერთი მათგანი, გეირგეინოსანი, წინასწარმეტყველია. უჩვეულოდ მცირე ზომის ქვედა რეგისტრში, როგორც ჩანს, მღვდელმოძღვართა გამოსახულებები იყო. ძლივს გაირჩევა მათი შარავანდები. აფსიდის სარკმლის შიდა მხარეს შემონახულია მღვდელმოძღვართა ორი წელზედა გამოსახულება, რ-ხაც კიდეში ორნამენტული ზოლი გასდევს. მხატვრობის კოლორიტისათვის დამახასიათებელია მოწითალო ოქრა (გამოსახულებათა აბრისები, სამოსი), ოქროსფერი ოქრა (შარავანდები), ღია მწვანე (მიწა), ცისფერი.

ბიბლ.: 86. *დ. ფ., დვ. თ.*

## ახალუბანი

(მისაქციელის ხოფსაბჭო)

046. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სასელექციო სადგურთან. დას-ის კარის თავზე მოთავსებული დაზიანებული მხედრ. წარწერის თანახმად აგებულია 1692 წ.



046. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (10,44X9,2 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. სამხრ-ის კედელში ორი კარია. დასით მდებარე კარს კ ა რ ი ბ ჭ ე აქვს მიშენებული. მეორე კარი გაჭრილია მოგვიანებით. აფსიდში და დას-ის კედელში თითო სარკმელია, აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს — თითო სწორკუთხა ნიში. ერთი ნიში ჩრდის კედელშიც არის, აფსიდის მხართან. კამარის საბჯენი თაღი კონსოლებს ეყრდნობა. ფასადები დასრულებულია აგურის სამრიგიანი თაროსებრი ლავგარდნით. ღრმა კ ა რ ი ბ ჭ ე გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-იც კონსოლებზე დაყრდნობილ თაღს ემყარება. *მ. გ.*

045(ა). ალმ-ის ფასადი



## ბაჭყალას სამაროვანი,

იხ. ს ო ფ. თ ე ლ ო ვ ა ნ ი, ბ ა ჭ ყ ა ლ ა ს ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი.

## ბებრისციხე,

იხ. მ ც ხ ე თ ა, ბ ე ბ რ ი ს ც ი ხ ე.

## ბევრეთი

(ლისის სოფსაბჭო)

047. ნაეკლესიარი, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ალმით 1,5 კმ-ზე, ხათოვლის მთაზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. შემორჩენილია ეკლესიის ქვის კედლების ფრაგმენტები (სიმ. 1 მ). *გვ. ჯ.*

048. ნამოსახლარი, არქეოლ., ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, სოფლის ცენტრიდან 300 მ-ზე, მდ. დილმურას მარცხ. ნაპირზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ტყით დაფარულ რ-ზე შემორჩენილია ნატეხი და რიყის ქვით ნაგები შენობების ნაშთები. *გვ. ჯ.*

## ბზიანა,

იხ. სოფ. ა ხ ა ლ ს ო ფ ე ლ ი, ბ ზ ი ა ნ ი ს  კ ო მ პ ლ ე ქ ს ი.

## ბიწმენდი

(გალავნის სოფსაბჭო)

049. ეკლესია, არქიტ., ძ., დგას სოფლის ცენტრში, სკოლასთან. აგებულია XIX ს. (ამჟამად სკოლის საწყობადაა გამოყენებული).

ეკლ. დარბაზულია (13,6X7,8 მ), ნაგებია რიყის ქვით, გამოყენებულია აგურიც (კარ-სარკმლების წირთხლები, სარკმლის ზღუდარები, ლავგარდანი, იატაკი). დაზიანებულია: ხის კონქისა და კამარის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამონგრეულია. შიგნიდან და გარედან თაღოვან შეღრმავებაში ჩასმული სწორკუთხა შესასვლელი დას-ითაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც უშუალოდ ერწყმის ნავის გრძივ კედლებს, ისევე როგორც კონქი კამარას. საკურთხეველში სამი ფართო სწორკუთხა სარკმელია. ასეთივე ფართო სწორკუთხა სამ-სამი სარკმელია გაჭრილი ეკლესიის გრძივ კედლებშიც. ერთი პატარა სარკმელი შესასვლელის თავზეა. ჩრდ. სარკმელი მოგვიანებით ნიშად გადაუკეთებიათ.

049. გეგმა



გრძივი კედლები გარედან გამაგრებულია ოთხ-ოთხი სწორკუთხა კონტრფორსით. დას. ფასადზე კარი დასრულებულია აგურით ნაწყობი მუზარადისებრი თაღით და მოჩარჩოებულია რელიეფური სწორკუთხოვანი საპირით. ამავე ფასადზე, სარკმლის ზემოთ, ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული.

შენობის დას. ფრონტონზე აღმართულია აგურით ნაგები სწორკუთხოვანი, ოთხივე მხრიდან თაღოვანი მალებით გახსნილი ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-საც პირამიდული სახურავი აქვს.

*დვ. თ.*

050. ჭირაცხოველი, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (5X4,4 მ), ნაგებია რიყის ქვით. შესასვლელი სამხრ-იდანაა (მოგვიანებით, შეკეთების დროს შესასვლელის წირთხლები და თაღი აგურით ამოუყვანიათ). აღმ. ნახევარწრიულ აფსიდში ვიწრო სწორკუთხა სარკმელია. სარკმლის ქვემოთ კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა. აფსიდის სამხრ. მხარეს, იატაკიდან 2 მ-ის სიმაღლეზე, მცირე სწორკუთხა ნიშია. საკურთხეველი გადახურულია დადაბლებული კონქით. აფსიდის მხრები კონქის ქუსლის დონეზე წაკვეთილია. კონქი უშუალოდ ერწყმის კამარას. კონქის ქუსლის დონეზე ჩასმულია ორი პატარა ქვევრი (რეზონატორები). ეკლესიას ქვემოთ, მთელ პერიმეტრზე, საფეხური (სიმ. 0,7 მ) გასდევს. დას. კედელში ერთი პატარა სწორკუთხა სარკმელია.

სამხრ. ფასადზე შემორჩენილია შირიმის ლავგარდნის ნაწილები.

*დვ. თ.*

## გალავანი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

051. გალავანი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მუხრან-საგურამოს ვაკის აღმ. ნაწილში, მდ. თეზამის მარჯვ. ნაპირზე, მცხეთიდან 18 კმ-ზე. ადრე ბოკოწინი ერქვა. ისტ. წყაროებში ბოკოწინი პირველად XVI ს-ში იხსენიება. იგი მცხეთის საკათალიკოსო კუთვნილი სოფ. ყოფილა. ციხე-გალავნის აგების შემდეგ მას გ. დაერქვა.

*ბიბლ.:* 220გ:532, 536. *აფრ. გ.*

052. ციხე-გალავანი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით 1 კმ-ზე, აგებულია XVIII ს.

კომპლექსში შედის ციხე-გალავანი და ეკლესია.

(ა) ც ი ხ ე-გ ა ლ ა ვ ა ნ ი გეგმით სწორკუთხაა (60X45 მ), ნაგებია რიყის ქვით. შემორჩენილია გალავნის აღმ. კედლის სამხრ. მონაკვეთი 3-4 მ სიმაღლეზე და სამხრ.-აღმ. კოშკის ნაწილი. გალავნის კედელში გაჭრილია სათოფურები, მოწყობილია საბრძოლო ბილიკები. კ ო შ კ ი ცილინდრულია (კედლების სისქე 0,75-1 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი პირველ სართულზეა, ეზოს მხარეს. სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა (შემორჩენილია ხის კოჭების ბუდეები).

(ბ) გალავნის აღმ. კედლის შუა ნაწილში ჩაშენებული დარბაზული ე კ ლ ე ს ი ა (11,4X5,6 მ) ნაგებია რიყის ქვით. გარედან ეკლესიის კედლების ქვედა რიგები და კუთხეები მოყვითალო თლილი ქვის კვადრებითაა ამოყვანილი. სარკმლის თაღები აგურისაა. ეკლ. დაზიანებულია: ჩაქცეულია სახურავი, დანგრეულია დას. კედელი. ეკლესიაში შესასვლელი დას-იდანაა.



052(ბ). გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ. გეგმა

სწორკუთხა საკურთხეველი დარბაზისაგან არ არის გამოყოფილი. ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებში სამ-სამი დიდი თაღოვანი სარკმელია, ხოლო აღმ-ისაში — ერთი. საკურთხევლის მხარეს, გრძივ კედლებში თითო თაღოვანი ნიშია. ეკლესიის ფასადებზე შემორჩენილია ქვიშაქვის თარისებრი წრეთარგიანი ლავგარდნის ნაწილი.

*ძ. ლ.*

## გლდანი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

053. გლდანი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს საგურამოს ქედის სამხრ. კალთის ძირში, მცხეთიდან 15 კმ-ზე.

გ. იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ე. წ. ცხერის გზაზე. თავდაპირველად იგი კახეთის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. დავით აღმაშენებლის მიერ კახეთის შემოერთების შემდეგ გ. სამეფო სახლის განკარგულებაში გადავიდა. სოფლის ყმა-მამულის ნაწილი სამეფო სახლმა სვეტიცხოველს შესწირა. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ გ. კახეთის სამეფოს შემადგენლობაშია და მისი ყმა-მამულის დიდი ნაწილი კახეთის თავადთა შორის უწარჩინებულეს და შემძლებელ ჯანდიერისშვილებს ეკუთვნის, ხოლო ნაწილი — ისევ სვეტიცხოვლის მონასტერს. 1579 წ. კახთა მეფემ ალექსანდრე II სვეტიცხოველს განუახლა მამულები გ-ში. XVI-XVIII სს. ჯანდიერისშვილებს გ-ის ყმა-მამულების ნაწილს გურამიშვილები ედავებოდნენ. კახეთის სამეფო კარი ცდილობდა სვეტიცხოვლისათვის წაერთმია ყმა-მამული და თავისი ვასალებისათვის გადაეცა. შუა საუკუნეების ადმ.-ტერ. დაყოფის საფუძველზე გ., ისე როგორც მთელი კახეთის სამეფო, შედიოდა რუსთველის სადროშოში, რ-საც რუსთველი ეპისკოპოსი უძღვებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ სოფელი ტფილისის გუბერნიის თიანეთის მაზრაში შევიდა.

*ბიბლ.:* 44ზ; 64:43; 220 ბ, გ. *კ. კ.*

054. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, დას-ით, სასაფლაოზე. აგებულია XIX ს. ეკლ. დარბაზულია (7,72X6,1 მ), ნაგებია ქვიშაქვით, გამოყენებულია აგურიც. შესასვლელი დას-იდანაა. ღრმა ნახევარწრიულ აფსიდში და სამხრ-ისა და დას-ის კედლებში თითო სარკმელია გაჭრილი. საკურთხევლის ორივე მხარეს კედელში ცილინდრული კამარით გადახურული მცირე ზომის სამკვეთლო და სადიაკვნეა, რ-ებიც აფსიდს სწორკუთხა კარით უკავშირდებიან. ორივე სათავსის აღმ. კედელში თითო სარკმელია, ხოლო დას-ისაში — თითო პატარა ნიში. საკურთხევლის, სადიაკვნისა და სამკვეთლოს სარკმლების ქვემოთ კედელს თარო გასდევს. საკურთხეველი ამაღლებულია. შუა ნაწილში გამოშვერილ ბაქანს გვერდებზე კიბეები აქვს. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. კამარის ქუსლები გრძივი კედლებიდან ოდნავ წინ არის წამოწეული.

ფასადებს აგურის გვიანდელი ლავგარდანი აქვს. დას. ფასადზე ჩარჩოში ჩასმული ჯვრებია ამოკვეთილი. ამავე მხარეს ეკლესიას ნართექსი ჰქონია (შემორჩენილია სახურავის კვალი). ნართექსისა და დარბაზის დამაკავშირებელი განიერი გასასვლელი ამჟამად დაგიწროებულია. ეკლ. სომხურია.

*ბ. კ.*



054. გეგმა

055. ეკლესია ღვთისმშობელი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, ახალ სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება VIII-IX სს. ეკლ. დარბაზულია (5,9X4,5 მ), ნაგებია რიყის ქვითა და ქვიშაქვით. დაზიანებულია: სრული სიმაღლით შემორჩენილია მხოლოდ აღმ. კედელი. შესასვლელი დას-დანაა. სწორკუთხა საკურთხეველში ერთი ვიწრო სარკმელია. ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებში თითო მაღალი თაღოვანი სარკმელი და თითო სწორკუთხა ნიშია.

*მ. გ.*

056. ვეჟინის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, ვეჟინის ხევში, გლდან — თიანეთის გზიდან 1,5 კმ-ზე. თარიღდება VIII-IX სს-ით.

კომპლექსში შედის: სასახლე, ღვთისმშობლის ეკლესია, ეკლესიები — ნასაყდარი, წმინდა გიორგის ნიში და სამეურნეო დანიშნულების შენობათა ნაშთები. ყველა ნაგებობა რიყის ქვითა და ქვიშაქვით არის ნაგები. ვ. კ. ძლიერ დაზიანებულია: კედლები და კამარა მხოლოდ ნასაყდარს აქვს შემორჩენილი; სასახლის, წმ. გიორგის ნიშისა და ღვთისმშობლის ეკლესიების სახურავი ჩანგრეულია და კედლების ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი სხვა ნაგებობათა გეგმის გარჩევაც კი არ ხერხდება.



056(ა). გეგმა

(ა) სასახლე (9,1X26 მ) დგას რიყის ქვით ამოყვანილ სუბსტრუქციაზე, რ-იც სამხრ-დან ოთხი კონტრფორსითაა გამაგრებული. შესასვლელი ორია — აღმ-ისა თაღოვანია, დას-ისა — სწორკუთხა. აღმ-ისა და დას-ის კედლები თითქმის მთელ სიმაღლეზეა შემორჩენილი, ჩრდ-ისა — 1 მ-ზე (ამ კედელში თიხის მილებია დატანებული), ხოლო სამხრ-ის კედლისაგან შემორჩენილია დას-ის ნაწილი კუთხიანად და ერთი პილასტრის ფრაგმენტი (კედლის შუაში), რ-ზეც ორნამენტული ჯვარია ამოკვეთილი. სასახლის სამხრ.-აღმ-ისა და სამხრ.-დას-ის კუთხეებს მომრგვალებული კონტრფორსების ფორმა აქვს. შედარებით უკეთ დაცული აღმ-ისა და დას-ის ფასადები დასრულებულია ფრონტონით.

(ბ) ღვთისმშობლის ეკლესია დგას სასახლის აღმ-ით 20 მ-ზე. ეკლ. დარბაზულია (8,48X5,47 მ), აქვს ორი შესასვლელი — დას. კედლის შუა ნაწილში და სამხრ. კედლის დას. ნაწილში. აფსიდში ერთი სწორკუთხა სარკმელია, ხოლო მის ორივე მხარეს — თითო სწორკუთხა ნიში. ერთი მთლიანი ქვისაგან გამოთლილი სატრაპეზო ქვის წინა მხარეს წრეში ჩასმული ე. წ. ბოლნური ჯვარია გამოსახული. სამხრ-ის კედელში ერთი სარკმელია. დარბაზი ცილინდრული კამარით ყოფილა გადახურული.

(გ) ნასაყდარი დგას სასახლის აღმ-ით 300 მ-ზე. ეკლ. დარბაზულია (8,6X5,4 მ). შესასვლელი სამხრ-დან



056(ბ). გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



056(გ). სამხრ-ის ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

აქვს. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან — სწორკუთხა. საკურთხეველში ერთი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. ეკლესიის სამხრ-ის კედელში ორი სარკმელია. დარბაზი გადახურულია ცი-

ლინდრული კამარით, რ-იც დაკიდულ პილასტრებზე დადგმულ საბჯენ თაღს ეყრდნობა. სამხრ. ფასადზე, კარის თავზე ორნამენტიანი სტელის ფრაგმენტია ჩაშენებული. სტელის ბაზისი იმავე ფასადის სარკმლის ქვემოთაა ჩატანებული კედელში.

(დ) წმ. გ ი ო რ გ ი ს  ნ ი შ ი დგას სასახლის დას-ით 300 მ-ზე. ეკლდარბაზულია (5,4X4,9 მ). შესასვლელი სამხრ-იდანაა. ნახევარწრიული აფსიდის სწორკუთხა სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. სარკმლის ქვემოთ სწორკუთხა სატრაპეზო ქვა დგას.

*ბიბლ.*: 361:95-97. *გ. კ., დვ.თ., მ.თ.*

057. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, აღმ-ით, თბილის-თიანეთის საავტომობილო გზის მარცხ. ნაპირას, მიწის ნის ხევის მარცხ. ნაპირას, მიწის ჭრილში, გზის გაყოლებით გამოვლინდა ნახშიროვან-ნაცროვანი ფენა. ერთგან ჩანს წყალსადენის წითლად გამომწვარი თიხის მილი. ნ-ის სავარაუდო თარიღია ფეოდ. ხანა. *ირ. შ.*

058. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით 1,5 კმ-ზე, გორაზე, ხევძმარას მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანით. ნ-ზე ამჟამად კერძო პირთა სავარგულებია, კულტ. ფენა ბევრგან დარღვეული და გაშიშვლებულია. განმხოლოებულ გორაზე (სიმ. 7-8 მ; ზედაპირის ფართ. 2 ჰა) მიკვლეულია შავად, ლეგად და ნაცრისფრად გამომწვარი, სხვადასხვა ორნამენტით (ირიბი ნაჭდევი; კონცენტრული, ტალღური და ურთიერთგადამკვეთი ხაზები და სხვ.) შემკული თიხის ჭურჭლის ნატეხები. რამდენიმე ადგილას შეიმჩნევა რიყის ქვით ნაგები კედლების ფრაგმენტებიც. მოპოვებული მასალა ინახება თბილ. ისტ.-ეთნ. მუზეუმში. *ირ. შ.*

059. ნამოსახლარი დიდვაკე, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით 2,5 კმ-ზე, ხევძმარას მარჯვ. ნაპირას, გორაზე, ადგილ დიდვაკეში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანით. განმხოლოებული გორის (სიმ. 7-8 მ, ზედაპირის ფართ. 0,5 ჰა) ზედაპირზე მრავლადაა შავად, ლეგად ან ნაცრისფრად გამომწვარი, სხვადასხვა სახის ორნამენტით (ირიბი ნაჭდევი, ამოღარული კონცენტრული და ტალღისებრი ხაზები და სხვ.) შემკული თიხის ჭურჭლის ნატეხები. მოპოვებული მასალა ინახება თბილ. ისტ.-ეთნ. მუზეუმში. *ირ. შ.*

060. ნამოსახლარი კლდისთავი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 1 კმ-ზე, ადგილ კლდეებში, თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე გამოვლინდა რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები კედლების ნანგრევები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. *ირ. შ.*

061. ნამოსახლარი საყდრისფერდი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, გლდანის ხევის მარჯვ. ნაპირზე, ადგილ საყდრისფერდში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინისა და ფეოდ. ხანით. ძ. დაზიანებულია. ნამოსახლარი შედგება ნასახლარისა და სამაროვნისაგან.

(ა) ნ ა ს ა ხ ლ ა რ ზ ე გამოვლინდა ნახშიროვან-ნაცროვანი მძლავრი კულტ. ფენა. აიკრიფა თიხის ჭურჭლის ნატეხები.

(ბ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ზ ე დადასტურდა ქვაყუთები. მოპოვებული მასალა ინახება თბილ. ისტ.-ეთნ. მუზეუმში. *გ. ნ., ირ. შ.*

062. ნასოფლარი დიდმანიანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით 3-4 კმ-ზე, ჯოხთანის ხევის მარცხ. ნაპირას, ადგილ დიდმანიანში, ტყით დაფარულ ნასოფლარზე გამოვლინდა ნასახლარი ბუდეები და წითლად და ჩალისფრად გამომწვარი ადრინდ. ფეოდ. ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. *ართ. ე., გ. ნ.*

063. ნასოფლარი ზედავაკე, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 2,5 კმ-ზე, ვეჯინის ხევის მარჯვ. მხარეს, ადგილ ზედა ვაკეში. ნასოფლარი ამჟამად მცენარეებითაა დაფარული, შეიმჩნევა ნასახლარი ბუდეები (5X4 მ, 4X3 მ და ა. შ.), აიკრიფა ფეოდ. ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები. *ართ. ე., გ. ნ.*

064. ნასოფლარი ნატუშები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით 6 კმ-ზე, ჯვარას ხევის მარჯვ. ნაპირზე. ნასოფლარი ამჟამად ტყითაა დაფარული. შეიმჩნევა ნასახლარი ბუდეები (6X5 მ; 5X4 მ და ა. შ.). აიკრიფა ფეოდ. ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები. *ართ. ე., გ. ნ.*

065. ნასოფლარი პატარა მანიანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით 2-3 კმ-ზე, ჯოხთანის ხევის მარცხ. ნაპირას, ადგილ პატარა მანიანში. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ტყით დაფარულ ნასოფლარზე შემორჩენილია ნასახლარი ბუდეები (6X4 მ; 4X5 მ, 4X3 მ და ა. შ.) და წითლად და ჩალისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მოპოვებული მასალა ინახება თბილ. ისტ.-ეთნ. მუზეუმში. *ართ. ე., გ. ნ.*

066. ნასოფლარი საყინულე, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით 4-5 კმ-ზე, ჯოხთანის ხევის მარჯვ. ნაპირას, ადგილ ბოგირებში. ნასოფლარზე შეიმჩნევა ნ ა ს ა ხ ლ ა რ ი ბუდეები; აიკრიფა ადრინდ. ფეოდ. ხანის წითლად და ჩალისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები. გამოვლინდა ფიქლით ნაგები ქ ვ ა ყ უ თ ე ბ ი. მიცვალებულები დაკრძალულია ქრისტ. წესით. სამარხების ნაწილი კოლექტიურია. ყველა სამარხი უინვენტაროა. *გ. ნ., ირ. შ.*

067. ნასოფლარი ხოდაბუნები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 3-4 კმ-ზე, ჯვარას ხევის მარცხ. ნაპირას. ნასოფლარზე, რ-იც ამჟამად ტყითაა დაფარული, გამოვლინდა ნასახლარი ბუდეები და ფეოდ. ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები. *ართ. ე., გ. ნ.*

068. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, სამხრ-აღმ-ით, ბორცვზე, მოქმედი სასაფლაოს გვერდით, ადგილ კალოებში. თარიღდება ფეოდ. ხანით. სამარხები წარმოადგენს ქვის ბრტყელი ფილებით ნაგებ ქვაყუთებს, რ-ებიც დამხრობილია აღმ-დან დას-კენ. მათი ნაწილი ნახევროდ გაშიშვლებულია. *ირ. შ.*

069. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მოქმედი სასაფლაოს აღმ-ით 100 მ-ზე, გლდანის ხევის მარცხ. მხარეს. ს-ზე ჩანს ნიაღვრებისაგან ნახევროდ გაშიშვლებული, ქვის დიდი ფილებით ნაგები, აღმ-დან დას-ით დამხრობილი ქვაყუთები. სავარაუდო თარიღია ფეოდ. ხანა. *ირ. შ.*

070. ყორღანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად, მლაშე ტბის ჩრდ-ით, სოფ. ნორიოსაკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს. მიეკუთვნება ადრინდ. ან შუა ბრინჯაოს ხანას. ყ. (დიამ. 54 მ, სიმ. 5 მ) ქვამიწაყრილიანია. *დ. შ.*

071. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, ძველ სასაფლაოზე. აგებულია IX-X სს.

ნაგებობა სამეკლესიიანი ბაზილი-

071. გეგმა





071. გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, აღმ. ფასადი

კაა (11,1X10,7 მ), ნაშენია ქვიშაქვის თანაბარი კვადრებით. სამხრ-ის ეკლესიის დიდი ნაწილი და მოგვიანებით მიშენებული ჩრდ.-დას. სათავსის სახურავი ჩანგრეულია. ლავგარდანი მხოლოდ შუა ეკლესიას აქვს. XVIII-XIX სს-ში შუა ეკლესიისათვის დას-იდან ორი კონტრფორსი მიუშენებიათ და სახურავი განუახლებიათ.

შუა ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-დანაა. მის ღრმა ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და ჩრდ-ისა და სამხრ-ის ეკლესიებში გასასვლელი ორი კარია. დარბაზის კამარა პილასტრებზე დამყარებულ ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. დას-ის თაღის საყრდენად დაკიდული პილასტრებია გამოყენებული. პილასტრებს მარტივი თაროსებრი კაპიტელები აქვს. კედლებზე, პილასტრებს შორის, თითო დეკორატ. თაღი გადადის. სამხრ. კედელში ორი პარალელურწირთხლებიანი სარკმელია. კედლის დას. ნაწილში ხის ძელებზე მოწყობილი პატრონიკეს კვალია შემორჩენილი. ეკლესიის სამხრ-ის კედელს მთელ სიგრძეზე სამხრ. ეკლესიის კამარის ქუსლი გასდევს. შუა ეკლ. შიგნით შელესილია გაჯით და შეღებილია მოლურჯო-მონაცრისფრო საღებავით.

სამხრ-ის ეკლ., რ-ის მხოლოდ აღმ. ნაწილია შემორჩენილი, მოგვიანებით შუა ეკლესიის სადიაკვნედ გამოუყენებიათ. იგი შუა ეკლესიას თაღოვანი კარით უკავშირდება.

ჩრდ-ის მოკლე სწორკუთხა ეკლ. ცილინდრული კამარითაა გადახურული. მასში შესვლა შუა ეკლესიის აღმ. ნაწილში გაჭრილი კარით შეიძლება. მოგვიანებით ეს სათავსი სამკვეთლოდ გადაუკეთებიათ და შუა ეკლესიის აფსიდისათვის კარით დაუკავშირებიათ. სათავსის ერთადერთი სარკმელი აღმ-ის კედელშია გაჭრილი. ჩრდ-ის კედელს მთელ სიგრძეზე 0,2 მ სიგანის საფეხური გასდევს. ამავე კედლის აღმ. ნაწილში ერთი სწორკუთხა ნიშაა. სამხრ-ის კედელში, კამარის ქუსლში გაჭრილია მთავარი ეკლესიის კონქის თავზე მოწყობილ სამალავში ასასვლელი.

მოგვიანებით შუა ეკლესიის ჩრდ-ის კედელზე მიუშენებიათ დამოუკიდებელი სწორკუთხა სათავსი, რ-საც დას-ით სწორკუთხა კარი აქვს. კარის თავზე არქიტრავით გადახურული სარკმელია. აღმ-ისა და ჩრდ-ის კედლებში თითო სწორკუთხა ნიშაა.

ფასადებიდან ყველაზე უკეთ აღმ-ისაა შემორჩენილი, შუა ეკლესიის საკურთხევლის სარკმლის თავზე, ქვიშაქვის ფილაზე, წრეში ჩასმულია თანაბარმკლავებიანი ჯვარი. სამხრ-ის ეკლესიის სარკმელი ძალზე დაზიანებულია. ჩრდ-ის ეკლესიის სარკმლის ზემოთ, ქვაზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი (დაზიანებულია). შუა ეკლესიის განიერი ლავგარდანი შედგენილია თაროს, წრეთარგისა და ლილვისაგან.

ეკლესიის გარშემო შემორჩენილია ქვის გ ა ლ ა ვ ნ ი ს ფრაგმენტები.

*ბიბლ.:* 361:94-95. *დე. თ.*

# გოროვანი

(წეროვნის სოფსაბჭო).

072. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამშენ. წარწერის თანახმად აგებულია 1830 წ. ეკლ. დარბაზულია (10,14X5,43 მ), ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვით. შესასვლელი დას-ის მხარესაა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და ორი ნიშაა. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-იც მარტივი ფორმის



072. გეგმა

პილასტრებზე დაყრდნობილ ორ თაღსა და დას-ის კედელს ეყრდნობა. ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებში ორ-ორი სარკმელია გაჭრილი. მოგვიანებით ორივე კედელზე ერთი სარკმელი გადაუკეთებიათ, ხოლო მეორე ამოუშენებიათ. ეკლ. შიგნიდან შელესილია. აფსიდის კონქში შემორჩენილია XX ს-ის მდარე მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა.

დას-ის ფასადზე, შესასვლელის არქიტრავზე ჯვარია ამოკვეთილი. არქიტრავის ზემოთ ქვისთაღიანი სარკმელია. სარკმლის ორივე მხარეს ჩასმულია თეთრი ქვის სწორკუთხა ფილები მხედრ. წარწერით, რ-შიაც აღნიშნულია ეკლ-ის აგების თარიღი და მოხსენიებულია ხუროთმოძღვარი („თედო"). ჩრდ-ისა და სამხრ-ის ფასადებზე 0,12 *მ* სიღრმის სამ-სამი ნიშია. აღმ. ფასადზე სარკმელი თაღოვანია. ეკლესიას აგურის ლავგარდანი აქვს. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით. მოგვიანებით ეკლესიისათვის დას. მხარეს მცირე ზომის ს ა მ რ ე კ ლ ო დაუშენებიათ.

*ბიბლ.:* 361:52-53. *მ. ბ.*

# დამპალას ციხე-გალავანი,.

იხ. ს ო ფ. ვ ა ზ ი ა ნ ი, დ ა მ პ ა ლ ა ს ც ი ხ ე - გ ა ლ ა ვ ა ნ ი.

# დიდგორი

(დიღმის სოფსაბჭო)

073. დიდგორი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს დიდგორის მთის სამხრ. კალთაზე, მცხეთიდან 23 *კმ*-ზე.

1069 წ. მეფე ბაგრატ IV დიდგორში დაბანაკდა და ხათაველში ჩაუდგა საქართველოში შემოჭრილ განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებს. ბაგრატ IV მტრის წინააღმდეგ გაგზავნა მესხთა რჩეული ლაშქარი. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს ფადლონის 30-ათასიანი ლაშქარი.

დ. XVII-XVIII სს-ში ლეკთა მარბიელი ლაშქრობების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტად იქცა. 1729 წ. ქართვ. მეთოფეთა ლაშქარი დიდგორის კოშკში ჩაუსაფრდა დიდგორ — გელიყარა — სამადლოს გზით ჯავახეთში გადასულ ლეკთა მარბიელ რაზმებს. უკან მობრუნებული ლეკთა რაზმი ქართვ. მეთოფეებმა გაანადგურეს და ნადავლი დაატოვებინეს.

*ბიბლ.:* 44ა; 71ბ; 220 ა, გ. *ქ. ქ.*

# დიღომი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

074. დიღომი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს დიღმის წყლის ხეობაში მცხეთიდან 15 *კმ*. დ. ისტ. წყაროებში მოიხსენიება დიღუამისა და დიღვამის სახელწოდებით. შუა საუკუნეებში იგი ცალკე ადმ. ერთეულის — დიღმის ხევის ცენტრი იყო. დიღმის ხევი მოიცავდა ახლანდელ დიღმის სოფსაბჭოსა და თბილისის უკიდურეს სამხრ.-დას. ტერიტორიებს. არსებობდა სამოხელეო თანამდებობაც — „დიღმის ხევის გამგებელი". IX-XI სს-ში დიღმის ხევი თბილ. საამიროს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო საამიროს გაუქმების შემდეგ სამეფო სახლის ხელდებულ მიწებად ითვლებოდა. აქ განვითარებული იყო ინტენსიური სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით მევენახეობა. ხევის ქვედა ნაწილი მეფეთა სანადირო ადგილსა და საძოვრებს წარმოადგენდა. სამხრ.-დას. მხრიდან დედაქალაქზე წამოსული მტერი ყოველთვის ხევის მიდამოებში იდებდა ბანაკს. (ა) 1967 წ. ქართლის მეფემ სიმონ I-მა თბილისის გასათავისუფლებლად ლაშქარი შეკრიბა და დიღმის ველზე დადგა. ირანის შაჰის თამაზ I-ის მიერ ქართლის მეფედ დანიშნული გამაჰმადიანებული დავით XI (დაუთ-ხანი), რ-იც ყიზილბაშთა ძალებით თბილისის ციხეში იყო გამაგრებული, ციხიდან გამოვიდა და სიმონ I-ის ლაშქარს შეება დიღმის ველზე. ამ ბრძოლაში დაუთ-ხანი დამარცხდა. ერთი ცნობით, მას 2000 მეომარი დაეღუპა. (ბ) 1580 წ. დ-ში სიმონ I-ს თავს დაესხა კახეთის მეფე ალექსანდრე II.

გ) 1905-07 წწ. დ-ის გლეხობა აქტიურად ჩაება კლასობრივ ბრძოლაში. 1905 წ. 13 მარტს სოფლის ეკლესიასთან თავი მოიყარა 600-მდე გლეხმა. სიტყვით გამოსულებმა ილაპარაკეს გლეხების მძიმე მდგომარეობაზე. აირჩიეს დეპუტატები, რ-ებსაც გლეხთა მოთხოვნები უნდა გადაეცათ მემამულე ბაგრატიონ-მუხრანსკისათვის. გლეხების მოთხოვნები უყურადღებოდ დატოვეს. (დ) მიტინგზე, რ-იც მოეწყო 1905 წ. 4 ნოემბ. სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკების) ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, განიხილეს: მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტი, ვიტეს პოლიტიკა, ლიბერალებთან დამოკიდებულების საკითხი, შავი ზღვის ფლოტის აჯანყების ამბები, რევ. მოძრაობის საკითხები, სომეხ-თათართა განხეთქილების საკითხი. მიღებულ გადაწყვეტილებებს ბოლშევიკების ტაქტიკა დაედო საფუძვლად.

*ბიბლ.:* 71ბ, 201დ; 403:1905., 13 მარტი, № 25; 413:1905 წ., მარტი, № 2769, № 2772. *ქ. ქ.*

075 ზეგარდის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, ველზე, სოფ. მუხათგვერდის მახლობლად. აგებულია XIII-XIV სს. ეკლ. დარბაზულია (7,3X4,8 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, ფასადები მოპირკეთებულია მოყვითალო ფერის თლილი ქვით. დაზიანებულია: ჩანგრეულია სახურავი, ფასადებზე საპირე ქვები ამოცვენილია; ჩამოშლილია საკურთხევლის სარკმლის საპირე. ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-დანაა. აღმ-ით ნახევარწრიული ღრმა აფსიდია. სატრიუმფო თაღის საბჯენი პილასტრები აფსიდის ნახევარწრის ხაზიდან წინ არის გამოწეული. აფსიდში ერთი სარკმელი და ორი ღრმა ნიშია. თითო სარკმელია დარბაზის გრძივ კედლებშიც. ინტერიერში შემორჩენილია შელესილობის კვალი. დას-ის ფასადს ვიწრო ფილების სადა ზოლი გასდევს. შესასვლელის არქიტრავის ქვა და საკურთხევლის სარკმელი გრეხილი ორნამენტითაა შემკული.

*ბიბლ.:* 361:64-65. *მ. მ.*

076. თეთრი გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-დასით, მთაზე. შესასვლელის თავზე, მოზრდილ ნაცრისფერ ქვაზე ამოკვეთილი მხედრ. წარწერის მიხედვით, ეკლ. 1863 წ. აუშენებია ვინმე ზაქარიას.

ეკლ. დარბაზულია (7,15X5,1 *მ*), ნაგებია საშუალო ზომის თლილი ქვით. შესასვლელი დას-დანაა. აღმ-ით ღრმა ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც ერთი სარკმელია. თითო სარკმელი სამხრ-ისა და დას-ის კედლებ-

შია. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით. ინტერიერში კედლები და კამარა შელესილია. ბათქაშის კვალი გარედანაც ეტყობა კედლებს.

ეკლესიის ირგვლივ ძვ. ს ა ს ა ფ ლ ა ო ა. აქ მრავლადაა XIX ს-ის წარწერიანი და მარტივრელიეფიანი საფლავის ქვები.

*ბიბლ.:* 361:61-63. *ბ. ბ.*

077. კავთის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით, მთავარ გზასთან. აგებულია XIX ს-ში.

ეკლ. დარბაზულია (12,25X7,85 *მ*), შვერილაფსიდიანი, ნაგებია ქვიშაქვითა და რიყის ქვით. შესასვლელი სამხრ-დანაა. დას-ის კარი გაუქმებულია. ეკლესიას ექვსი თაღოვანი სარკმელი აქვს: ერთი აფსიდშია, ორ-ორი — ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებში, ერთი — დას-ის კედელში, კარის თავზე. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს ნიშებია. დარბაზი ხის კონსტრუქციის ცილინდრული კამარითაა გადახურული. ინტერიერი შელესილია. იატაკზე მოგებულია თლილი ქვის კვადრები.

დას-ის ფასადზე კარის არქიტრავს ასრულებს არქივოლტი. არქიტრავის ზემოთ, სწორკუთხა ქვაზე ჯერის რელიეფური გამოსახულებაა. ეკლესიას წრეთარგითა და ლილვით შედგენილი ლავგარდანი აქვს. *ბ. კ.*

077. აღმ. ფასადი, გეგმა



078. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ. მხარეს, მინდორში. აგებულია XIX ს-ში.

ეკლ. დარბაზულია (11,15X5,15 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, გამოყენებულია აგურიც. შესასვლელი სამხრ-დანაა. ნახევარწრიული აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია წყვილ პილასტრზე დაყრდნობილი სატრიუმფო თაღით. აფსიდში ერთი სარკმელი და ორი ღრმა ნიშია. დარბაზის გრძივ კედლებზე სამ-სამი მარტივკაპიტელიანი მასიური პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა ნახევარწრიული კამარის საბჯენი სამი თაღი. გრძივი კედლები შეკრულია კამარის საბჯენი თაღების ფუძეებში ჩასმული მრგვალი ხის ძელებით. დას. და ჩრდ. კედლებში თითო სარკმელია, სამხრ-ისაში — ორი. ინტერიერში კედლები შელესილი და შეთეთრებულია. ეკლ. მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა — ფრაგმენტები გადარჩენილია მხოლოდ ჩრდ. კედლის ცენტრ. ნაწილში. სიუჟეტი გაურკვეველია. აღმ-ის ფასადის სარკმლის თავზე, კედლის წყობაში გამოსახულია ჯვარი. *ს. თ.*

079. მაჩხანის ეკლესია, არქიტ., არქეოლ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, მთის ფერდობზე. აგებულია IX ს. შუა ხანებში.

ეკლ. დარბაზულია (7,4X4,6 *მ*), ნაგებია თლილი ქვით. გარედან შემოსილია შირიმის ქვით. დაზიანებულია — ჩანგრეულია კამარის დას. მონაკვეთი. შესასვლელი სამხრ-იდანაა. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო ვიწრო და ღრმა ნიშია. ერთი სარკმელი სამხრ-ის კედელშია. ცილინდრული კამარა კაპიტელებიან პილასტრებზე დაბჯენილ თაღს ეყრდნობა. კედლებზე შემორჩენილია მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს კვალი.

სამხრ-ის ფასადზე ჯერებია გამოსახული, ხოლო კარის არქიტრავის ქვაზე სამშენ. წარწერაა. ქართ. ასომთ. წარწერაში ჩართულია არაბული ტექსტი, ორივე ტექსტის მიხედვით ეკლ. აუგია პომად კიტრისძეს. აღმ-ის ფასადზე, სარკმლის მარჯვნივ, არის კიდევ ერთი წარწერა [„ქ სახელითა ღმრთისაითა მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაითა შეწევნითა წმიდისა თევდორესითა აეშენა საყდარი ესე დიდგორის ხევისუფლობასა გელხაბისაი (გულსაბისაი?) ქალაქისა უფლობასა ამირაისა ღიავარისა (?) იოვანეს უფალო შეუნდევენ ამინ“].

ეკლესიას შემოვლებული აქვს უწყვეტთაღედიანი ქვის ლავგარდანი.

ეკლესიის ირგვლივ ფეოდ. ხანის ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი ა, რ-იც ამჟამად ტყით არის დაფარული. შემორჩენილია ქვის შენობებისა და კლდეში გამოკვეთილი ხამალავი ქვაბის ნაშთები.



079. გეგმა

*ბიბლ.:* 27; 343:173-177. *გვ. ჯ.*, *ზ. პ.*

080. ნაეკლესიარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს დიდგორის მთის წვერზე. მთლიანად დანგრეული ფეოდ. ხანის ეკლესიის საკურთხეველთან აღმოჩენილი ქვის ფ ა ლ ო ს ი დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმში. *გვ. ჯ.*

081. ნასოფლარი თეთრაანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, დას-ით, წყალსაცავის ჩრდ.-დას-ით 100 *მ*-ზე. თარიღდება გვიანფეოდ. ხანით. ნასოფლარზე, რ-იც ამჟამად იხვნება, შემორჩენილია კირის ხსნარითა და ნატეხი ქვით ნაგებ შენობათა ნაშთები.

082. ნაქულბაქევის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას საქართვ. სამხ. გზის აღმ-ით 1 *კმ*-ზე, საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობის დეკორატ. განყ-ბის ტერიტორიაზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,3X6,6 *მ*), ნაგებია ნატეხი პირმოსწორებული ქვით; კონსტრ. ადგილებში გამოყენებულია თლილი ქვა. ამჟამად ნაგებობას სახურავი აღარა აქვს (გადახურული ყოფილა კრამიტით). შესასვლელი სამხრ-დანაა. დას. კარი ამოშენებულია. ორივე კარი გარედან არქიტრავით, ხოლო შიგნიდან ნახევარწრიული კამარით არის გადახურული. აღმ-ით, ნახევარწრიულ ღრმა აფსიდში ოთხი ნიშია — სამი ჩრდ-ით, ერთი სამხრ-ით. დარბაზის ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი მარტივკაპიტელებიან მასიურ პილასტრებს ეყრდნობა. დარბაზის კედლებს გასდევს რიყის ქვის დაბალი ჩამოსაჯდომი. ეკლესიას ოთხივე მხარეს თითო სარკმელი აქვს. სარკმლების ქვედა ნაწილი ძლიერ დამრეცი და საფეხურებიანია. სამხრ-ისა და ჩრდ-ის სარკმლები თაღოვანია. დას-ის სარკმელი გარედან მრგვალია. ეკლ. შელესილი ყოფილა.

სამხრ-ის და დას-ის ფასადებზე, შესასვლელების თავზე წრეში ჩასმულია ტოლმკლავა რელიეფური ჯვარი. XIX ს-ში ეკლესიისათვის აგუ-

რის ლავგარდანი შემოუყოლებიათ და ფასადები შეულესიათ. გ. გ.

083. ონადირის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 2 კმ-ზე, ხევის მარცხ. ნაპირზე. აგებულია X ს.

სახელწოდება „ონადირი" დაკავშირებულია ლეგენდასთან, რ-ის მიხედვით მეფე ფარნავაზი (ძვ.წ. III ს.) ამ ადგილებში ნადირობის დროს გამოჰკიდებია დაჭრილ ირემს და მოუღწევია კლდეებში მდებარე გამ. ქვაბულებამდე, სადაც ძვირფასი განძი უპოვია. ახლაც არსებულ ოთხიარუსიან გამოქვაბულებს „ქვაბისთავი" ეწოდება.

ეკლ. დარბაზულია (5,9X4,4 მ), ნაგებია თლილი ქვით. ძლიერ დაზიანებულია — მთლიანად ჩამონგრეულია კამარა და დას-ის კედელი; ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებიდან მცირე ნაწილია გადარჩენილი; ჩრდ-ისა და სამხრ-ის მინაშენებისგან შემორჩენილია მხოლოდ პილასტრების კვალი. აღმ-ით ეკლესიას აქვს არაღრმა ნახევარწრიული აფსიდი. გრძივი კედლების შუაში თითო რთულპროფილიანი პილასტრია, რ-ებსაც კარგად გამოყვანილი კედლის დეკორატ. თაღები ეყრდნობა. ფასადები მოპირკეთებულია კარგად დამუშავებული ქვებით. აქა-იქ მკაფიოდ შემოხაზული გლუვი დისკოებია.

*ბიბლ.*: 361:56-57. მ. მ.

084. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 4 კმ-ზე, ქვემო დიდგორის მთის ძირში, ადგილ მისალოცავში. ს-ზე გამოვლინდა ფეოდ. ხანის ქვაყუთები. გკ. ჯ.

085. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ. უბანში. თარიღდება ფეოდ. ხანით. ს-ზე დადასტურდა ქვაყუთები. აქვეა ე კ ლ ე ს ი ი ს ნანგრევები. გკ. ჯ.

086. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, ადგილ ბაღების თავში. ს-ზე გამოვლინდა ფეოდ. ხანის ქვაყუთები. ტერიტორია ამჟამად იხვნება. გკ. ჯ.

087. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მამდალაანთ უბანში. თარიღდება ფეოდ. ხანით. ს-ზე დადასტურდა ქვაყუთები; შემორჩენილია ე კ ლ ე ს ი ი ს ნანგრევები. გკ. ჯ.

088. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ადგილ წვერწვერაში. ჯაგნარით დაფარულ ს-ზე გამოვლინდა ფეოდ. ხანის რამდენიმე ქვაყუთი. გკ. ჯ.

089. სარწყავი სისტემა, არქიტ. ძ. შედგება ორი კაშხალისაგან. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით.

პ ი რ ვ ე ლ ი კ ა შ ხ ა ლ ი მდებარეობს სოფლის ბაღების თავში, ნ ა ს ო ფ ლ ა რ თ ე თ რ ა ძ ი ა ნ ი ს ბოლოს, ნაგებია ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. მისი საძირკველი დამყარებულია წყალგაუმტარ ქვიშაქვისა და თიხაქვის ზოლზე. კაშხალი ზიანდება (ქვას იყენებენ სამშენ მასლად). ნაგებობის დანიშნულება იყო წყლის დაგროვება და სარწყავი არხის წყლით უზრუნველყოფა.









089. 1. საგუბარი. გეგმა, ფასადი, 2. თაღოვანი ხიდი. ფასადი, განაკვეთი, 3. საგუბრის კედელი ფასადი, გეგმა, 4. კლდეზე გადაყვანილი სარწყავი რუ. ჭრილი, გეგმა

კაშხალი (კედლის ნაშთის სიგრ. 22 მ, სიგ. 6 მ, სიმ. 6-7 მ) აგებულია ვაკეზე, სადაც წყალი მდორედ მიედინება. წყალსაცავის კედლის წინ, 40-50 მ დაშორებით ხევი დამუხლულია (წყლის პირდაპირი დარტყმის ძალის შესამცირებლად). საცავიდან გამოყვანილი იყო მთავარი არხი ანუ რუ. კაკლების ხევზე რუს გადასაყვანად გამოყენებულია დუღაბით ნაგები თაღოვანი ხიდი, რ-ზედაც 6 მ სისქის კედელია ამოყვანილი. კედელზე გადიოდა არხი, რ-იც დუღაბის კედლითვე იყო შემოკავებულ-ამოშენებული. ამ მთავარ სარწყავ რუს ჰქონდა მრავალი განშტოება — „უკუღმარუ", მათი საშუალებით ირწყვებოდა დიღმის ხეობის სოფლები.

დიღმის ხევის მარჯვ. ნაპირის მოსარწყავად იყენებდნენ მ ე ო რ ე კ ა შ ხ ა ლ ს. მისი კედელიც ნაგებია ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. კედელი „ხანჯლისპირული" წყობითაა დასრულებული. აქაც წყალსაცავისათვის შერჩეულია ვაკე ადგილი. საცავს (სიგრ. 27,7 მ, სიგ. 30 მ, სიმ. 4 მ) შუა ნაწილში აქვს წყლის გასასვლელი თაღიანი კარი (სიგ. 2 მ), რ-იც საჭიროების შემთხვევაში ხეობაში უშვებდა წყალს. წყალსაცავიდან გამოდიოდა რუ.

კაშხალები ადრინდ. ფეოდ. ხანის საირიგაციო მშენებლობის მაღალ დონეს მოწმობს.

ბიბლ.: 208. გკ. ჯ.

**090. ღვთისმშობლის ეკლესია,** არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას. მხარეს, ზემო უბანში, ფერდობზე, თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (8,95X5,65 მ), ნაგებია უხეშად დამუშავებული მოზრდილი ქვებით. გვიანდ. შეკეთების დროს გამოუყენებიათ აგური და ფიქალი. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია — კამარა, სახურავი და კედლების ზედა ნაწილი ჩამონგრეულია. შესასვლელი სამხრ-დანაა. აღმ-ის არაღრმა აფსიდში ერთი სარკმელი და ორი ნიშია. დარბაზის სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლები დანაწევრებულია წყვილი დეკორატ. თაღით. თაღები კუთხეებში კონსოლებს, ხოლო ცენტრში პილასტრებს ეყრდნობა. ასეთივე თაღია დას-ის კედელზეც. დარბაზის დას. მონაკვეთში, გრძივ კედლებზე მიშენებულია კონტრფორსების მსგავსი გაურკვეველი დანიშნულების სქელი კედლები (შემორჩენილია ფრაგმენტები). აგურისა და ქვის დიდი ლოდებით ნაგები კ ა ნ კ ე ლ ი (ამჟამად დანგრეულია) გვიანდ. ფეოდ. ხანას მიეკუთვნება.

შესასვლელს გარედან ქვის არქიტრავი აქვს (სიგრ. 2,5 მ), რ-ის ცენტრში, წრეში ჯვარია ამოკვეთილი.

*ბიბლ.:* 361:61. *ხ. თ.*

**091. ცორცორას სამაროვანი,** არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, ნაოჭიანის ხევის ჩრდ-ით, ე. წ. ცორცორას მთაზე, თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. სამარხები 0,5-1 მ-ის სიღრმეზე თიხაშია ჩაჭრილი და ქვიშაქვის ფილებისაგან შეკრულ ქვაყუთებს წარმოადგენს. მათი უმეტესი ნაწილი კოლექტიურია. თითოეულ მათგანში 2-5 მიცვალებული ესვენა გულაღმა, გაშოტილი, თავით დას-კენ. Ც ს-ზე აღმოჩენილი ინვენტარი (ბრინჯაოს და რკინის მშვილდსაკინძები, გემიანი ბეჭედი და სხვ.) ინახება ააც-ში.

*ბიბლ.:* 7. *ნ. ვ.*

**092. წმ. გიორგის ეკლესია,** არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, აღმ-ით. აგებულია X-XI სს.

ეკლ. დარბაზულია (8,1X5,6 მ), ნაგებია თლილი ქვით. XVI-XVII და XIX სს. ეკლ. შეუკეთებიათ, საშენ მასალად გამოუყენებიათ აგური. დგას სწორკუთხა სამსაფეხურიან ცოკოლზე, შესასვლელი სამხრ-დანაა. აღმ-ის ნახევარწრიული აფსიდი შეისრული კონქით მთავრდება. აფსიდის ცენტრში სარკმელია, რ-ის გვერდებზე ორი პატარა და ორი დიდი ნიშია. საკურთხეველში სწორკუთხა სატრაპეზო ქვა დგას. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილი პილასტრია. შესასვლელის მარცხნივ, დას. კედლის კუთხეებთან მდებარე პილასტრები ორსაფეხურიანია, ხოლო მარჯვენივ — ერთსაფეხურიანი. გვიანდ. შეისრული კამარის საბჯენი თაღი ამ პილასტ-

გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშია. სათავსის ოთხივე კედელი მაღლა თითო საფეხურით არის შეწეული: შე-







092. განაკვეთი სამხრეთისაკენ, გეგმა, სამხრეთის ფასადი

რებს ეყრდნობა. სამხრ-ის კედელში ერთი სარკმელია. ინტერიერში კედლები შელესილია და დაფარულია XIX-XX სს-ის მდარე მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ი თ.

აღმ-ისა და სამხრ-ის ფასადების მორთულობის ძირითადი ელემენტებია სარკმელი და რელიეფური გამოსახულებები (ხელის მტევანი, ლომები, ფრინველები, სხვადასხვა ტიპის ჯვრები და ორნამენტები). აღმ. სარკმლის დეკორს მხოლოდ თავსართი წარმოადგენს. სამხრ-ის სარკმელი სიგანით ორჯერ მეტია აღმ-ისაზე. ამ ფანჯრის ორივე მხარეს ბაზისიანი და კაპიტელიანი ნახევარწრიული შეწყვილებული ნახევარსვეტებია, რ-ებსაც ზემოთ ორმაგი გრეხილი აერთიანებს.

სამხრ. ფასადზე სამი წარწერაა, აღმ-ისაზე ოთხი. ამ წარწერებით ირკვევა, რომ ეკლესიის აგებაში მონაწილეობა მიუღია რამდენიმე პირს, რ-ებიც ისტ. წყაროებით არ არიან ცნობილი. დამწერლობა ნარევია — ასოების უმრავლესობა ასომთავრულია, ბევრია ნუსხურიც.

ეკლესიაზე დას-ით მიშენებულია გეგმით კვადრ. (4,5X4,8 მ) ნ ა გ ე ბ ო ბ ა, რ-იც XVIII ს-ს მიეკუთვნება. კარი სამხრ-ითაა. მის პირდაპირ ერთი სარკმელია. დას. კედელში ჩაშენებულია ნახევარწრიული ბუხარი, რ-ის წვეულ არეს ზემოდან საზღვრავს ოვალური თაღი, რ-იც ტრომპების საშუალებით გადადის სფერულ გუმბათზე. ფასადი მოპირკეთებულია თლილი კვადრებით. ნაგებობას მარტივი ფორმის ლავგარდანი აქვს. სახურავი სამფერდაა. მასზე დაშენებულია ს ა მ რ ე კ ლ ო — ოთხ სვეტზე მდგარი ფანჩატური. სვეტებს აქვთ კაპიტელი და ორსაფეხურიანი ბაზისი.

*ბიბლ.:* 93:81-103. *ზ. ჰ.*

**093. წმ. მარინეს ეკლესია,** არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში. მიეკუთვნება გვიანდ. ფეოდ. ხანას. XIX ს-ში იგი გადაუკეთებიათ (დაუგრძელებიათ დას-ის მხარე).

ეკლ. დარბაზულია (14,1X6,25 მ), ნაგებია აგურით და მთლიანად შელესილი ყოფილა. შესასვლელი სამხრ-დანაა. კარი გარედან გადახურულია არქიტრავით, შიგნიდან — ნახევარწრიული თაღით. აღმ-ით ღრმა ნახევარწრიული აფსიდია. გრძივ კედლებზე ერთსაფეხურიანი პილასტრებია, რ-ებსაც ეყრდნობა შეისრული საბჯენი თაღები. პილასტრებს შორის გადაყვანილი ნახევარწრიული დეკორატ. თაღები ღრმა ნიშებს ქმნის. სამხრ-ის კედელში სამი ფართო სარკმელია, აღმ-ისა და დას-ისაში — თითო.

აღმ. ფასადზე, საკურთხევლის ორივე მხარეს ორი დაბალი სამკუთხა

ნიშია. რ-თა კონქური სათაურები მთლიანი ქვისაგანაა გამოკვეთილი. ეკლესიას აგურის ორი რიგისაგან შედგენილი ლავგარდანი აქვს. *ს. თ.*

094. მიხეილ ჭიაურელის სახლ-მუზეუმი, ისტ. ძ. სტალინის ქ. 22. სახლი ეკუთვნოდა ცნობილ ქართვ. საბჭ. კინორეჟისორსა და მსახიობს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს მიხეილ ედიშერის ძე ჭიაურელს (1894-1974 წწ.). სახლი ერთსართულიანია, ნაგებია აგურით, გადახურულია კრამიტით. შედგება ოთხი ოთახისა და დერეფნისაგან. დერეფნის მარჯვ. მხარეს მდებარე ორი ოთახი ოჯახის საკუთრებაა. მარცხ. მხარეს განლაგებულ ორ ოთახში კი მოთავსებულია მუზეუმი. უკანა მხარეს სახლს მთელ სიგრძეზე დიდი აივანი აქვს. მუზეუმის პირველ ოთახში მ. ჭიაურელის მოღვაწეობის ამსახველი მასალაა გამოფენილი. მეორე სამუშაო ოთახია. აქ დგას კაკლის დიდი საწერი მაგიდა და სავარძელი. თაროზე აწყვია მ. ჭიაურელის პირადი ნივთები. *ბერძ. ც.*

## ერედა

(წილკნის სოფსაბჭო)

095. ერედა, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს ალევის ქედის სამხრ. დაბოლოებაზე, მდ. ერედისხევის ნაპირებზე, მცხეთიდან 21 *კმ*.

(ა) 1905 წ. 20 მარტს სოფლის ცენტრში შეიკრიბა ერედისა და ახლომახლო სოფლების (ძალისი, მჭადიჯვარი, წილკანი, გრემისხევი, ბაზალეთი, ჭილურტი, ებნისი) გლეხკაცობა და თავადაზნაურობა (6000-მდე კაცი). გლეხებმა მოითხოვეს მათთვის „ნადელების" უსასყიდლოდ გადაცემა, ე. წ. „ჩამონაჭრების" დაბრუნება, ტყითა და საძოვრებით სარგებლობის უფლება, ხოლო უმიწაწყლო გლეხებისათვის სამყოფი მიწის გამოყოფა. მათ წამოაყენეს, აგრეთვე, პოლიტ. მოთხოვნები: არსებული წყობილების დამხობა, დამფუძნებელი კრების მოწვევა, კრების, სიტყვის, სარწმუნოების, განათლების თავისუფლება, ძვ. არმიის გაუქმება.

*ბიბლ.:* 266:235. *ჭყ. თ.*

096. *წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6X5,3 *მ*), ნაგებია რიყის ქვით, კონსტრ. ნაწილებში (კამარა, კონქი, სატრიუმფო თაღი) გამოყენებულია კვადრ. აგური. შესასვლელი სამხრ-დანაა. იგი გარედან ოდნავ შეისრული თაღითაა გადახურული, ხოლო შიგნიდან ჩასმულია სწორკუთხა შეღრმავებაში. აღმ-ით შებრტყელებული ნახევარწრის ფორმის აფსიდია. აფსიდში გაჭრილია ფართო სწორკუთხა სარკმელი; ასეთივე სარკმელია დას. კედელშიც. ეკლესიის დას. კედელთან კუთხის პილასტრებია, რ-ებსაც ოდნავ შეისრული კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობა. ინტერიერში კედლები შელესილია და დაფარულია მდარე მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ი თ. გარედან კედლები დასრულებულია აგურის თაროსებრი ლავგარდნით.

შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები (ა) გ ა ლ ა ვ ნ ი ს მცირე ფრაგმენტები. შესასვლელი სწორკუთხაა (2,6X2,5 *მ*). გალავნის სამხრ.-დას. ნაწილში ორსართულიანი ნაგებობა დგას. პირველი სართული კამაროვანი გასასვლელია, ხოლო მეორე (ბ) ს ა მ რ ე კ ლ ო ს ფანჩატური ყოფილა (შემორჩენილია სწორკუთხა ბოძების მცირე ნაწილი). *დვ. თ.*

## ვაზიანი

(ქსოვრისის სოფსაბჭო)

097. დამალას ციხე-გალავანი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. აგებულია XVIII ს. II ნახ-ში. ნაშენია რიყის ქვით, აგური გამოყენებულია კოშკების კონსტრ. ადგილებში და ქონგურებზე. ციხე-გალავანი ძლიერ დაზიანებულია: გალავნის დიდი ნაწილი და კოშკების ზედა სართულები დანგრეულია. გალავანი ორიარუსიანია, თითქმის კვადრატული (32,2X38,6 *მ*). შესასვლელი აღმ. მხარესაა. ქვედა იარუსი ყრუა, ზედაში კი სათოფურებია დატანებული. საბრძოლო ბილიკი ხის ყოფილა. გალავნის ოთხივე კუთხეში ცილინდრული კოშკი დგას. კოშკების პირველი სართული ყრუკედლებიანია, შესასვლელი მეორე სართულზეა. მეორე და მესამე სართულის კედლებში თითო ბუხარი და სათოფურია. კოშკებში სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა.

*ბიბლ.:* 302:37. *ზ. პ.*

098. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ადგილ დამპალოსა და სოფ. მჭადიჯვარს შორის, გორაზე (დიამ. 70 *მ*, სიმ. 12-15 *მ*). გორის ზედაპირზე დადასტურდა გვიანდ. ბრინჯაოს ხანისა და ფეოდ. ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკა. *ბ. ა.*

099. სუმბიანის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნაგებია აგურით; აქა-იქ რიყის ქვაც არის გამოყენებული.

ეკლ. გუმბათოვანი ნაგებობაა (7,5X X5,53 *მ*). აქვს ორი შესასვლელი; ერთი დას-ის კედლის შუა ნაწილშია, მეორე ჩრდ. კედლის დას. ნაწილში. დარბაზი გეგმით წარმოადგენს მოკლემკლავებიან სწორკუთხა ჯვარს, რ-იც აღმ-ით დაგრძელებულია ბემათი და აფსიდით. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო პატარა ნიშია. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრიულ ყელზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება. გარედან რვაწახნაგა გუმბათის ყელის ყოველ წახნაგში მაღალი სარკმელია გაჭრილი. ყელის ქვედა ნაწილი ყრუა, ზედა ნაწილში წიბოებს აგურის ლილვი აქვს შემოვლებული. გუმბათის ყელი დასრულებულია წრეთარგიანი ლავგარდნით.

აღმ-ის ფასადზე, სარკმლის ორივე მხარეს დიდი ნიშებია. თითო ასეთივე ნიში ჩრდ-ისა და სამხრ-ის ფასადების აღმ. ნაწილშიც არის. დას-ის ფასადზე, სარკმლის თავზე და გვერდებზე ჯვარი და გეომეტრიული ორნამენტია (დაზიანებულია) ამოკვეთილი. ფასადები დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნით. *დვ. თ.*

099 გეგმა, დას-ის ფასადი



## ვეჯინის კომპლექსი,

იხ. სოფ. გლდანი, ვეჯინის კომპლექსი.

## ზაქარო

(გალავნის სოფსაბჭო)

100. ქვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, აღმ-ით, სოფ. გალავნისაკენ მიმავალ საავტ. გზის პირას. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანის დასაწყისით.

ეკლ. დარბაზულია (6,5X6,4 მ), ნაგებია დიდი ზომის ქვიშაქვისა და რიყის ქვის შერეული წყობით. ძლიერ დაზიანებულია: გრძივი კედლების ზედა ნაწილი ჩამონგრეულია, დას. კედელს მთელ სიმაღლეზე ფართო ბზარი აქვს, ჩანგრეულია კამარა და კონქი, მთლიანადაა დანგრეული ჩრდ. მინაშენი. შესასვლელი სამხრ-დანაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. მის ღერძზე ჰორიზონტალურზედანიანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო მაღალი თაღოვანი ნიშია. ჩრდ. ნიშის გვერდით, აფსიდის მხართან კიდევ ერთი მცირე სწორკუთხა ნიშია. ერთი ჰორიზონტალურზედანიანი სარკმელი სამხრ. კედელშია. აფსიდის მხართან გაჭრილია სწორკუთხა კარი, რ-იც ჩრდ. მინაშენში (დანგრეულია) გადის.

*დვ. თ.*

101. შინდიანის ხატი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით 1,5 კმ-ზე. აგებულია VIII-IX სს.

ეკლ. დარბაზულია (6,25X4 მ), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვითა და რიყის ქვით. კონსტრ. ნაწილებში (კამარა, სატრიუმფო თაღი, შესასვლელის წირთხლები) აგურია (0,28X0,06 მ) გამოყენებული. ეკლესიის კრამიტის სახურავი, კედლების ზედა ნაწილები და კამარა დაზიანებულია. მონგრეულია ჩრდ.-აღმ. კუთხე და სამხრ.-აღმ. კუთხის ნაწილი. შესასვლელი სამხრ-დანაა. კარი შიგნიდან სწორკუთხაა, გარედან თაღოვანი. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის ღერძზე ქვის ბრტყელი ზღუდარით გადახურული სწორკუთხა სარკმელია, მის ორივე მხარეს — თითო სწორკუთხა ნიში. საკურთხეველი დარბაზისგან გამოყოფილია პილასტრებზე დაყრდნობილი ნალისებრი საბჯენი თაღით.

ეკლ. მოხატული (ა) ყოფილა. მხატვრობა გვიანდ. ფეოდ. ხანისაა. ამჟამად შემორჩენილია მხატვრობის უმნიშვნელო ფრაგმენტები: ტახტის ნაწილი და ღვთისმშობლის ფეხი კონქში, ეკლესიის მამები ქვედა რეგისტრში და ყვავილოვანი ორნამენტი აფსიდის მხრებზე; მცენარეული ორნამენტის ფრაგმენტები საკურთხევლის სარკმლისა და სამხრ. შესასვლელის წირთხლებზე. მხატვრობის კოლორიტში გაბატონებულია ოქროსფერი ოქრა, მოწითალო-აგურისფერი, ყავისფერი, ლურჯი (ჩაშავებულია).

*დ. ფ., დვ. თ.*

102. ცაცხვიანის ხატი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 2-3 კმ-ზე, ყანებში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (4,7X4,1 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვიშაქვით. დაზიანებულია: ახდილია სახურავი, ამოცვენილია ჩრდ. კედლის საპირე ქვები. სწორკუთხა შესასვლელი სამხრ-ითაა. აღმ-ით სწორკუთხა, მომრგვალებულკუთხეებიანი საკურთხეველია. საკურთხევლის აღმ. კედელში გაჭრილია ვიწრო სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო პატარა სწორკუთხა ნიშია. სარკმლის ქვემოთ, კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა. საკურთხევლის ბაქანი დარბაზის იატაკზე ერთი საფეხურით მაღალია. გარედან კედლები დასრულებულია ქვიშაქვის თაროსებრი ლავგარდნით.

შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები გალავნის ფრაგმენტები. *დვ. თ.*

## ზაჰესი

(მცხეთის საქალაქო საბჭო)



103. მთავარი კაშხალის მშენებლობა. 1926 წ.

103. ზაჰესი, ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის კასკადი, არქიტ., ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. აგებულია მდ. მტკვარზე, თბილისის ჩრდ.-დას-ით (16-18 კმ). ელსადგურის დადგმული სიმძლავრეა 36,8 ათ. კვტ, საშ. წლ. გამომუშავება— 20,3 მლნ კვტ.

1922 წ. 10 სექტ. ტფილისისა და ახლომახლო სოფლების 4000-მდე მშრომელმა მიიღო მონაწილეობა საერთო სახალხო კვირეულში. ასე ჩაეყარა საფუძველი ზ-ს. ფაქტიურად მშენებლობა დაიწყო 1923 წ. მაისში. დამთავრდა 1926 წ. სექტ.; პირველი დენი თბილისს ზ-მა 1927 წ. 9 აპრ. მისცა.

ზ-ის კომპლექსის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ზაჰესკომი (თავმჯდომარე შ. ელიავა, მოადგილეები ვ. სუხიშვილი და ნ. იორამაშვილი). ესკიზური პროექტი (ავტორი ინჟ. ო. მელიქ-ფაშაევი) დეტალურად დაამუშავა სპეც. კომისიამ მ. ანდრეევი, დამანტოვიჩი, ლ. დიასამიძე, ლ. დიდებულიძე, ე. ვასილიევი, ნ. ზვორიკინი, ა. კიკნაძე — ხელმძღვ., ლ. კონიუშევსკი, ბ. კოსტინი, ო. მელიქ-ფაშაევი — მშენებლობის უფროსის მოადგილე, ს. ფირალიშვილი, ბ. ჭიჭინაძე — მშენებლობის უფროსი). ნაგებობათა არქიტ. ნაწილის ავტორები არიან ა. კალგინი, კ. ლეონტიევი, მ. მაჭავარიანი.

თბილისის გაზრდილი კომუნალური და სამრეწვ. მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მსხვილი ელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი ჯერ კიდევ რევოლუციამდე იყო მსჯელობის საგანი. არსებობდა ჰესის მშენებლობის რამდენიმე პროექტი-წინადადება, რ-ებიც ითვალისწინებდა ჰესის აგებას: უშუალოდ ქალაქში ე. წ. მადათოვის კუნძულის მიდამოებში (1904-05 წწ. ბელგიელი ინჟ. მეტცეში); მდ. არაგვზე სოფ. წიწამურთან (1907 წ., ინჟ-ები ა. ანდრეევი, ნ. ზვორიკინი); მდ. ხრამზე სოფ. არუხლოსთან (1920 წ. ინჟ-ები ზავალიშინი, კოჟევნიკოვი, ზვორიკინი, საქართვ. ქალაქების კავშირის ინიციატივით) და სხ. პროექტის განხორციელება ნაგულისხმევი იყო უცხოელი კონცესიონერების დახმარებით. 1920 წ. ნოემბრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიწათმოქმედების სამინისტრო ამზადებდა ხელშეკრულების პროექტს წიწამურიდან ზემო ავჭალამდე მტკვრისა და არაგვის ენერგიის გამოყენების უფლების შვეციის ფირმებისათვის გადაცემის თაობაზე.

მიუხედავად საბჭ. ხელისუფლების რთული შინაპოლიტიკური და ეკონ. მდგომარეობისა დაიწყო მუშაობა დიდი ჰესის მშენებლობისათვის.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ჰიდრომშენმა ჩაატარა ინსტრუმენტული საძიებო სამუშაოებები, დაამუშავა საველე მასალა და დაიწყო დამუშავება ინჟ. მელიქ-ფაშა-

ევის მიერ წამოყენებული ესკიზური პროექტისა, რ-იც ითვალისწინებდა მდ. არაგვის ბოლო მონაკვეთის (ბებრის ციხიდან შესართავამდე) და მდ. მტკვრის (მდ. არაგვთან შეერთების ადგილიდან დიღმის რკინიგზის ხიდამდე) გამოყენებას.

1922 წლის 1 ნახ-ში იყო კიდევ ერთი წინადადება თვით ტფილისში 10 000 ც.ძ-ის ცენტრ. თბოსადგურის აგებისა (ინჟ. ი. ვაწაძე). სპეც. საექსპორტო კომისიების დასკვნებით უპირატესობა მიეცა ჰესის მშენებლობას ზემოთ უკვე ნახსენებ სქემებში — ზემო ავჭალისა მდ. მტკვარზე.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა 1922 წ. 20 ივნ. დაამტკიცა ზ-ის მშენებლობის სქემა და ჩამოაყალიბა ზაჰესკომი.

ზაჰესკომმა და მშენებლობის უშუალო ხელმძღვანელებმა დიდი ორგანიზაციული და პრაქტიკული მუშაობა ჩაატარეს ზ-ის მოკლე დროში და მაღალ ტექ. დონეზე აშენებისათვის.

შერჩეულ ადგილზე წყლის რესურსების შემოწმების შემდეგ საბჭ. და უცხოელი სპეციალისტების რჩევისა და ადგილ. სპეც. საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე ზ-ის პირველი რიგის აგრეგატების სიმძლავრე განისაზღვრა 18 ათ. ც. ძ-ის ოდენობით (ნაცვლად გათვალისწინებული 10 ათ. ც. ძ-ისა). ჰიდროტექნიკური ნაგებობის აგებისას მხედველობაში უნდა მიეღოთ საბოლოო საპროექტო სიმძლავრე (36 ათ. ც. ძ.).

ზაჰესკომის გადაწყვეტილებით ელექტრომექანიკური მოწყობილობები დაუკვეთეს საბჭ. რუსეთის ქარხნებს, რ-ებიც აღდგენითი პერიოდის მძიმე წლებში საჭიროებდნენ დახმარებასა და მხარდაჭერას. გამონაკლისი იქნა დაშვებული ტურბინების დამზადების საკითხში - საჭირო ოთხი ტურბინიდან ერთი (4500 ც. ძ.) უნდა დამზადებულიყო ლენინგრადის ლითონის ქარხანაში ფრიცნოიმაიერის ქარხნის ნახაზების მიხედვით, ხოლო დანარჩენი სამი – ფრიცნოიმაიერის ქარხანაში (გერმანია).

103(ა).(ბ). საერთო ხედი აღმ-იდან



1938 წ. ზ-ის სიმძლავრემ მიაღწია საპროექტო დონეს — დაემატა კიდევ ოთხი ტურბინა. სადგურმა უდიდესი როლი შეასრულა დიდი სამამულო ომის პერიოდში მრეწველობისა და ტრანსპორტის ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში. 1952 წ. ზ. მთლიანად ავტომატიზებული და ტელემექანიზებული გახდა, ამით მისი სიმძლავრე საპროექტოსთან შედარებით კიდევ 15%-ით გაიზარდა.

ზ-ის ძირითადი ნაგებობებია: სათავო ნაგებობანი, სადერივაციო არხი, წნევის აუზი, საგენერატორო სადგური, გამანაწილებელი სადგური, ვ. ი. ლენინის ძეგლი, ბ. ჭიჭინაძის ძეგლი, მუშა-მოსამსახურეთა დასახლება.

(ა) სათავო ნაგებობანია: 1. მთავარი კაშხალი, 2. წოლხერელი და მცირე კაშხალი, 3. წყალმიმღები და სათავო რაბი. ისინი განლაგებულია მდ-ების მტკვრისა და არაგვის შესართავთან. მთავარი კაშხალისათვის (სიმ. 40 მ) შერჩეულია ამ უბანში მდ. მტკვრის ყველაზე ვიწრო (300–400 მ) კლდოვანი კალაპოტი. რკინაბეტონის ნაგებობა მთლიანად დაყრდნობილია კლდის მაგარ ქანებზე (ქვიშაქვა). წყლის გამშვების და ბურჯების კედლები, წყლის დარტყმის ძალის შესასუსტებლად, მოპირკეთებულია უხეშად დამუშავებული გრანიტის (გელათის, ნაწილობრივ ბამბაკის) ფილებით. დანარჩენი ზედაპირი ტორკრეტირებულია ცემენტის ხსნარით. კაშხალს ხუთი ხვრელობი აქვს: შუა სამი აწესრიგებს წყლის დონეს ზემო ბიეფში; გარე მარჯვ. სიფონური გამშვებია (მას მარჯვენიდან ემიჯნება თევზების გასაშვები), გარე მარცხ. კი ყინულის გამშვები. ხვრელობების გამყოფი ოთხი ბურჯის (თითოეულის სიგ. 4 მ, სიგრ. 27,7 მ) ვერტიკალები კარგად ეხამება კლდოვან გარემოს. ნაგებობა გამოირჩევა სადა, მკაცრი გეომეტრიული ფორმებით.

წოლხერელი და მცირე კაშხალი აღმ-დან ეკვრიან დიდ კაშხალს, წოლხერელი (სიგრ. 150 მ, სიღრმე 18,5 მ, სიგ. 16-18,5 მ) გათხარეს მშენებლობის პროცესში წყლის გადასაყვანად. მისი კედლები და ძირი დაცემენტებულია. წოლხერელს კეტავს მცირე რკინაბეტონის კაშხალი (სიმ. 18,5 მ, სიგრ. 24 მ, სიგ. ზემო ნაწილში 3,9 მ), რ-ის ხვრელობების კედლები და ძირი მოპირკეთებულია უხეშად დამუშავებული გრანიტის (გელათის, ბამბაკისა და აირუმის) ფილებით. კაშხალის დანარჩენი ზედაპირი ტორკრეტირებულია ცემენტის ხსნარით. ამავე მად კაშხალი და წოლხვრელი გამოყენებულია მდ. არაგვის მიერ მოტანილი ნალექის გასაშვებად.

მთავარ კაშხალსა და წოლხვრელს შორის წარმოქმნილი კუნძული მთლიანად ბეტონის ბალიშით არის დაფარული. მისი საყრდენი კედელი ამოყვანილია დიდი კაშხალის ბურჯების სიმაღლეზე, რის გამოც ეს ორი ნაგებობა ერთიან პორიზ. ზოლად აღიქმება.

წყალმიმღებიდან სათავე რაბის საშუალებით წყალი სადერივაციო არხში გადადის. ნაგებობის მარჯვ. ბოლო ნაწილში მოწყობილია ნალექისაგან წყლის გამწმენდი რაბი-კაშხალი (სიმ. 11,73 მ).

(ბ) სადერივაციო არხი ტრაპეციული კვეთის ღია არხია (სიგრ. 3,056 კმ, სიგ. ძირზე 8,11 მ, წყლის სიღრმე 8-9,2 მ). იწყება სათავო რაბიდან და მიემართება მტკვრის პარალელურად, მის მარცხ. მაღალ ნაპირზე. მისი დანიშნულებაა წყლის დაწნევის გაზრდა. არხის ძირი და კედლები დაცემენტებულია.

(გ) წნევის აუზი მოწყობილია არხის ბოლოსთან გაფართოებულ ნაწილში (სიგ. 8,11-65,7 მ, მოცულობა 40.000 კუბ. მ). აქედან ლითონის დაწნევის მილგამტარით და რკინაბეტონის სპირალური კამერებით წყალი მიემართება ტურბინებში.

(დ) საგენერატორო სადგური აგებულია რკინიგზის ხიდის მახლობლად და მთავარი, გრძივი ფასადით მტკვრის მარცხ. კლდოვან ნაპირს გადმოჰყურებს. მისი საძირკველი არმირებულია ლიანდაგებით. კედლების კონსტრუქცია წარმოადგენს აგურით შევსებულ რკინაბეტონის კარკასს. მთავარი ფასადი მოპირკეთებულია ექლარის ქვით (1973 წ.).

საგენერატოროს ძირითადი სათავსია დიდი დარბაზი (72X12 მ, სიმ. 14,38 მ, მთელი ნაგებობის სიმ. 25,88 მ), სადაც რვა ტურბინა დგას. დარბაზში უხვად არის სინათლე და ჰაერი. მთავარი ფასადის მთელი სიგრძე უჭირავს რვა შეისრულთაღოვან დიდ ფანჯარას. შენობის სამხრ.-აღმ. კუთხეში ცილინდრული კოშკია. აქედან არის სადგურში შესასვლელი. საგენერატოროს არქიტექტურა მარტივი, მკაცრი და დასამახსოვრებელია.

(ე) გამანაწილებელი სადგური მდებარეობს საგენერატოროს სამხრ-ით 80 მ-ზე. მისი ორი ურთი-

ერთპარალელური კორპუსი სახელოსნოებს ეკვრის. მათ შორის ღია ეზოა. არქიტ. გადაწყვეტით შენობა ენათესავება საგენერატორო სადგურის ფასადებს — სრულიად გლუვ (ცემენტით შელესილ) კედლებზე სხვადასხვა სიგანის დიდი შეისრულთაღოვანი სარკმლებია. განსხვავებულია უკანა ფასადი — დიდი თაღოვანი შესასვლელი და ლოჯიის ექვსი დაბალსვეტიანი თაღედი ქმნიან მარტივ, მეტყველ კომპოზიციას.

(ე) ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს ძ ე გ ლ ი (მოქანდ. ი. ივანოვ-შადრი, არქიტ. ს. ჩერნიშოვი) დგას წოლხერელის, მდინარის, წყალმიმღებისა და სათავო გამწმენდ რაბს შორის წარმოქმნილ კუნძულზე, კლდოვან ქარაფზე, მდინარის პირას (ბრინჯაოს სკულპტურის სიმ. 7 მ, ღია რუხი ფერის გრანიტით მოპირკეთებული პოსტამენტისა 15 მ).

(ზ) ბესარიონ ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს ძ ე გ ლ ი (მოქანდ. ა. რატიანი, არქიტ. გ. ქავთარაძე) გაიხსნა 1975 წ. 8 ივლ. დგას საგენერატორო სადგურის ტერიტორიაზე, მთავარი ხეივნის ღერძზე, მდ. მტკვრის კლდოვან ნაპირთან. ბუნებრივი თეთრი ქვით მოპირკეთებულ მაღალ (6 მ) კედელზე გამოსახულია ინჟ. ბესარიონ ჭიჭინაძის პორელიეფური პორტრეტი (ბრინჯაო, 1,1 მ).



103(ე). საერთო ხედი

გარდა აღნიშნული ნაგებობებისა, ზ-ის კომპლექსის მშენებლობის დროს აიგო ე ლ ე ქ ტ რ ო გ ა დ ა მ ც ე მ ი ხ ა ზ ი ზაჰეს-თბილისი (15 კმ), ოთხი სატრანსფორმატორო ქ ვ ე ს ა დ გ უ რ ი და მუშა-მოსამსახურეთა ს ა ხ ლ ე ბ ა — ერთი ორსართულიანი და რამდენიმე შეწყვილებული, ერთსართულიანი კოტეჯი. ამჟამად ზ-ის

103(დ). პირვანდელი სახე. 1927 წ.





103 (ზ). ფრაგმენტი

დასახლებას მრავალსართულიანი სახლებით განაშენიანებული დიდი კეთილმოწყობილი ტერიტორია უკავია.

ზ-ის ცალკეულ ნაგებობათა არქიტექტურა ქართ. საბჭ. არქიტექტურის განვითარების პირველი წლების ერთ-ერთი ეტაპური და მნიშვნელოვანი ნიმუშია. დამახასიათებელია ეროვნ. ხუროთმოძღვრული ფორმების გამოყენება, მიღწეულია ფუნქციური და მხატვრული მხარის ერთიანობა, ანსამბლურობა.

ბიბლ.: 179. *კ. ს.*

104. პეტრე მოციქულის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას დასახლების ჩრდ.-აღმ-ით 400 *მ*-ზე, გორაკზე. სტილისტ. ნიშნებით მიეკუთვნება გარდამავალ პერიოდს. ეკლ. დარბაზულია (11X6,7 *მ*), ნაგებია ქვიშაქვით. დაზიანებულია. შესასვლელი დასიდანაა. სწორკუთხა კარი შიგნით და გარეთ არქიტრავით არის გადახურული. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. დას. და სამხრ. კედლებში თითო თაღოვანი სარკმელია. აფსიდის წინ, 0,4 *მ*-ზე ქვის კ ა ნ კ ე ლ ი დგას (შემორჩენილია 1 *მ* სიმაღლეზე). კამარის შუკიდული საბჯენი თაღი აგურისაა. იგი ქვის კრონშტეინებს ეყრდნობა. კონქის და კამარის ზედა სიერცე შენობის მთელ სიგრძეზე შეკრულია პილასტრებით, რ-ებიც სახურავის კეხის საბჯენების როლს ასრულებენ. ეკლესიის თაროსებრ ლავგარდანს (შემორჩენილია ფრონტონის კუთხეებთან) პორიზ. შემონაკეცები აქონია. *გ. ქ.*

105. სამარხი, არქეოლ. ძ. თარიღდება I ს-ით. აღმოაჩინეს 1924 წ., ზაპესის მშენებლობისას. აგურით ნაგებ სამარხში ნაპოვნია ცისფერი პასტის მძივები, ბრინჯაოს ბეჭდის ნატეხი, მინის მომცრო ჭურჭელი, წითლად გამომწვარი თიხის კოჭობი და მონეტები: კეისარ ავგუსტუსის (ძვ. წ. 40-14 წწ.), ორი ცალი ვერცხლის ფული და გოტარზის (40-51 წწ.) ვერცხლის ორი დრაქმა. ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ბიბლ.: 146. *ჯ. გ.*

## ზედაზენი

106. ზედაზნის კომპლექსი, არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს ხშირი ტყით დაფარულ ზედაზნის მთის კეხზე (ზ. დ.



106(ა).(ბ). საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან

1390 *მ*), საგურამოს სამხრ-ით 6 *კმ*-ზე. კომპლექსში შედის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, ციხე-გალავანი, კლდეში ნაკვეთი სენაკები.

ზედაზნის მთას სახელწოდება მიუღია ოდესღაც აქ აღმართული კერპის — ზადენის სახელიდან. ისტ. ცნობებით ზედაზენზე ჯერ კიდევ II ს-ის დასაწყისში (109 წ.) მდგარა ციხე-სიმაგრე (არ შემორჩენილა).

VI ს. შუა წლებში სირიიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ქართვ. საეკლ. მოღვაწეთა ჯგუფის ე. წ. ასურელი მამების მეთაურმა იოანემ შეარჩია „მთაი... მახლობლად მცხეთის აღმოსავლეთით-რე და ცხოველსა ჯუარსა ჩრდილოით კერძო", „აღვიდა მთასა მას მაღალსა, რომელსა ჰრქუან ზედა-ზადენ". აქ „პოვა მცირე ქუაბი და შექმნა იგი წმიდად ეკლესიად, და დაემკვიდრნეს მუნ". ამის შემდეგ ეწოდა იოანეს ზედაზნელი. აქედან იოანეს თავისი მოწაფენი დაუგზავნია სამოღვაწეოდ ქართლისა და კახეთის სხვადასხვა კუთხეში, ხოლო თვითონ ერთ-ერთ მოწაფესთან ერთად დარჩენილა ზედაზენზე. ღრმად მოხუცებული იოანე 573 წელს გარდაიცვალა. მისმა მოწაფეებმა და თანამოღვაწეებმა იოანეს გვამი ჯერ თათას მონასტერში დაკრძალეს (მიაჩნიათ, რომ იოანეს მოწაფის თათას მიერ უნდა იყოს აშენებული ქასური წმ. გიორგის სამნავიანი ბაზილიკა), მაგრამ მალე, წმინდანის ანდერძის თანახმად, „დიდითა პატივითა აღიყვანეს ადგილსავე თჳისსა და მითვე ლუსკუმითა დაასუენეს ნაწილნი მისნი და შემდგომად მისსა აღაშენეს ეკლესიაი". იოანე დასაფლავებული იყო მისთვის საგანგებოდ აშენებულ ეგვტერში. VIII ს-ის მესამე მეოთხედში კათალიკოსმა კლემენტოსმა აქ ააგო სამნავიანი ბაზილიკა და იოანეს ეგვტერი მასში ჩართო, როგორც ბაზილიკის ჩრდ. ნავის შემადგენელი ნაწილი. შემდგომ მონასტერი გაშენდა და კეთილმოეწყო. წინამძღვარ გაბრიელის დროს, IX ს-ის I ნახ-ში, აშენდა ბაზილიკის კარიბჭე, მიქაელის დროს — სადიაკვნე, მისაელის მიერ — „აკლდამასა თანა" ეგვტერი, ზაქარიამ X ს-ის ბოლოს „ეკლესია განადიდა", სამოელმა „მარანი ქვითკირითა ქმნა" და სხვ.

ზედაზნის ციხე და მონასტერი XI ს-მდე კახეთის სამეფოს მისადგომებს იცავდა. 1101 წ. დავით აღმაშენებელმა ზედაზნის ციხეში თავშეფარებული თურქ-სელჩუკთა და კახეთის მეფის კვირიკეს ლაშქარი საბოლოოდ გაანადგურა. მან კახთა მეფეს „წარუღო ციხე ზედაზენი" და თავის თანამებრძოლს ნიანია ბაკურიანს გადასცა.

1479 წ-დან ზედაზნის მონასტერში ზედგენიძე-გურამიშვილების საგვარეულო საძვალე იყო. 1705 წ. აქ სამონასტრო ცხოვრება დროებით შეწყდა. XVIII ს-ში აიგო სამრეკლო და ბერის საცხოვრებელი სენაკი. ამავე საუკუნეში ეკლესია განაახლა კათალიკოსმა დომენტიმ. XIX ს., ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის წინამძღვრობის დროს, კვლავ განახლდა სამონასტრო ცხოვრება. ეკლესია გადახურეს „რკინის სახურავით", დას-ის კედელში გაჭრეს შესასვლელი, მოაწყვეს გასასვლელი საკურთხევლიდან სამკვეთლოში და სხვ. 1889 წ. ეკლესია შეაკეთა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ.

1915-22 წწ. მონასტერი გაპარტახდა. 1926-27 წწ. ეკლესიის X-XI სს. კანკელის ფრაგმენტები გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით ააწყო ა. ოლინკევიჩმა (ინახება საქართვ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმში). 1938 წ. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნ. საქმეთა სამმართვ. კულტ. ძ-თა დაცვის განყ-ბამ ჩაატარა გასამაგრებელი სამუშაოები. 1970-71 წწ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ჩაატარა აღდგენითი, საკონსერვაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები (ხელმძღვ. ნ. ჩუბინაშვილი): შეკეთდა ფასადები, შეიცვალა გადახურვა, ნაწილობრივ შეიცვალა იატაკის ფილები, გახსნეს იოანე ზედაზნელის საფლავი და დაადგეს ახალი ქვა; ინტერიერში შეკეთდა კედლები, გასწორდა საფეხურები; მოანგრიეს ეკლესიის გვიანდელი მინაშენები; ტერიტორია გაიწმინდა და კეთილმოეწყო; ნაწილობრივ შეკეთდა გალავანიც.

საქ სსრ სახკომსაბჭოს 1946 წ. 17 იანვ. დადგენილებით ზედაზნისა და საგურამოს ტყეები ნაკრძალადაა გამოცხადებული.

(ა) **ნათლისმცემლის ეკლესია** სამნავიანი ბაზილიკაა. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით; გამოყენებულია აგური და შირიმიც. ეკლ. გეგმით თითქმის კვადრატულია (13,5X13,4 *მ*). შესასვლელი ორი აქვს, სამხრ-ისა კარიბჭიანია, დას-ისა XIX ს-შია გაჭრილი.

შუა ნავი ვიწრო და მაღალია, აქვს ნახევარწრიული ღრმა აფსიდი. საკურთხეველი ორი საფეხურითაა ამაღლებული. მის კედელს კულტის მსახურთა დასაჯდომი გასდევს. შუაში წინამძღვრისათვის საგანგებო დასაჯდომია გაკეთებული. შუა ნავში მარტივკაპიტელებიან ორსაფეხურიან პილასტრებზე დამყარებული ორი ნახევარწრიული საბჯენი თაღია. აღმ-ითა და დას-ით თითო თაღოვანი სარკმელია, სამხრ-ით — ორი. დას. კედელში გაჭრილი შესასვლელი აცდენილია ნავის გრძივ ღერძს. შუა ნავი სამხრ-ისა და ჩრდ-ის ნავებს თაღოვანი გასასვლელებით უკავშირდება. გასასვლელებს ზემოთ, შუა ნავის კედლებზე ცრუ თაღებია.

ჩრდ-ის ნავი გრძელი და დაბალია. მისი აღმ. ნაწილი წარმოადგენს დარბაზულ ეკლესიას, რ-შიც იოანე ზედაზნელია დასაფლავებული. ეს ეკლ. ნაგებია ქვიშაქვითა და




106 გეგმა. 1. შესასვლელი, 2. ნათლისმცემლის ეკლესია, 3. კარიბჭე, 4. გალავანი, 5. ციტადელი, 6. კოშკი



106(ა), აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმ

შირიმის თლილი კვადრებით. მისი აღმ. აფსიდი სწორკუთხაა, გადახურულია ნალისებრი კონქით. ერთიან ქვაში გამოყვანილი კონუსური ტრომპები არ წარმოადგენენ კონქის ნახევარწრის უშუალო საყრდენებს, რადგან მათ ზემოთ კედელი ოდნავ დახრილია. ნალისებრი კამარა ეყრდნობა პროფილირებულ კრონშტეინებზე დამყარებულ საბჯენ თაღს, ხოლო სატრიუმფო თაღი — აფსიდის კუთხეებთან ჩასმულ პროფილირებულ კაპიტელებს. ინტერიერში კედელს კამარის ქუსლის დონეზე პროფილირებული ლავგარდანი გასდევს. საკურთხეველი ოთხი საფეხურითაა ამაღლებული. კონქში, აღმ-ით ერთი სწორკუთხა სარკმელია. მის ქვეშ, ოდნავ სამხრ-ით სატრაპეზო ქვა დგას, ხოლო სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლებში თითო ნიშია. იოანე ზედაზნელის „პატიოსანი ლუსკუმა" (გადაკეთებულია XVII ს.) ჩრდ. კედელთან ერთი მესამედით საკურთხეველშია შეჭრილი. ჩრდ-ის ნავის დას. მონაკვეთის ცენტრში წყლის აუზია. სამხრ-ის ნავის აღმ. ნაწილში სამკვეთლოდ და სადიაკვნედ გამოყენებული ოთახია, რ-საც აღმ-ით ერთი სარკმელი აქვს.

ეკლესიაში შემორჩენილია მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს (ბ) ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები. საკურთხევლის მხატვრობა ორ რეგისტრად იყოფა. ზედა რეგისტრში კომპოზიცია თითქმის მთლიანად ჩამორეცხილია. ძნელად გაირჩევა იოანეს თავი, მაცხოვრის მდიდრულად მორთული ტახტის ნაწილი და ფეხსადგამი. კონქში გამოსახულია *ვედრება*. მეორე რეგისტრში ეკლესიის მამათა მოწითალო აგურისფერი აბრისებია. წმინდანები წარმოდგენილნი არიან ფრონტალურად, მთელი ტანით. ამგვარად გამოსახულ წმინდანთა ფიგურების ნაშთები შეიმჩნევა სარკმლის წირთხლებზეც ეკლესიის დარბაზში სამხრ-ით, აღმ-იდან პირველი ბურჯის ჩრდ.-დას. წიბოზე შემორჩენილია წითური ოქრას ფონზე შავი საღებავით შესრულებული მარტივი ორნამენტის (წრეების ჯაჭვი) ფრაგმენტი. მონუმ. ხასიათით, მკაცრი ნახატით და ნათელი კოლორიტით (თბილი მოწითალო-აგურისფერი და ოქროსფერი ოქრა) საკურთხევლის მხატვრობა განვით. ფეოდ. ხანით თარიღდება. დანარჩენი ფრაგმენტები XVII ს-ისაა.

ჩრდ. ნავის აღმ. მონაკვეთში გამოსახულია ცხენზე მჯდომი წმ. გიორგი, რ-იც გველეშაპს კლავს. აფსიდის გვერდით მოჩანს წმინდანი წიგნით ხელში. წმინდანთა მთლიანი ან წელზედა ფიგურებით შევსებულია იმავე ნავის სამხრ. კედელი, კანკელის ჩრდ. ნაწილი და ჩრდ.-აღმ. პილასტრი. ფიგურის (კტიტორი?) აბრისები გაირჩევა მთავარი ნავის დას. კედლის სამხრ. ნაწილშიც. მხატვრობაში გამოყენებული ორნამენტული მოტივები იმეორებენ გვიანდ. ფეოდ. ხანის მონუმ. მხატვრობაში და მინიატურებში მეტად გავრცელებულ დაჩითულ ქსოვილთა სახეებს.

ნათლისმცემლის ეკლესიის ჩრდ-ისა და დას-ის ფასადები სრულიად

მოურთეელია, აღმ-ისაზე სხვადასხვა სიმაღლეზე სამი სარკმელია: ჩრდ. ნავის (იოანე ზედაზნელის ეკლესიის) სარკმელს ოდნავ პროფილირებული სათაური აქვს, ხოლო შუა ნავის სარკმელს განედლებული ჯვრის რელიეფიანი ქვა ამკობს. ფასადის კეხთან ჩასმულია ჯვრისრელიეფიანი ფილა.

ეკლესიას სამხრ-დან თლილი ქვით მოპირკეთებული XVIII ს-ის კვადრატული კ ა რ ი ბ ჭ ე ეკვრის. შესასვლელი სამხრ-დანაა. კარიბჭეს კონსოლებზე დაყრდნობილი ფართო თაღი აქვს. კარიბჭის ცილინდრული კამარა კონსოლებზე დამყარებულ ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. დას. კედელში ორი ნიშია. აღმ-ით კონსოლებზე დამყარებული თაღოვანი ღიობია. კარიბჭეზე აგურით ნაგები, ოთხმხრივ თაღოვანი სარკმლებით გახსნილი ს ა მ რ ე კ ლ ო ს რვაწახნაგა ფანჩატური დგას. თაღები ნახევარწრიულია და სწორკუთხა ჩარჩოებშია ჩასმული. სამრეკლოს ხერხულად დაწყობილი აგურის ლავგარდანი აქვს.

(გ) ც ი ხ ე-გ ა ლ ა ვ ა ნ ი (28X X134,5 მ) ძირითადად XVII ს-ით თარიღდება (ზოგიერთი ნაწილი განვით. ფეოდ. ხანას მიეკუთვნება). ნაგებია რიყის ქვით. გამოყენებულია თლილი კვადრები და აგურიც. ძლიერ დაზიანებულია. ციხე-გალავანი ეკლესიას სამი მხრივ ევლება (სამხრ-ით მიუვალი ციცაბო კლდეა). ეკლესიის ჩრდ.-დას. მხარეს კოშკითა და ბურჯით შექმნილი ვიწრო შესასვლელია. იგი კამარით (შემორჩენილია კამარის ქუსლები) ყოფილა გადახურული (აგურით ნაგები შეისრულთაღიანი შესასვლელი და რკინის ჭიშკარი ახალია). შესასვლელის დას. წირთხლში ორი თლილი კვადრია ჩასმული. ზედა გადატეხილ კვადრზე ამოკვეთილი მხედრ. წარწერა (დაზიანებულია) სტილისტ. ნიშნებით XV ს. მიეკუთვნება. შესასვლელთან მდგარ საკმაოდ მაღალ კ ო შ კ ს გეგმით უსწორო წრის ფორმა აქვს. მასიური პირველი სართული ბურჯის მსგავსია. კოშკში შესასვლელი (შემორჩენილია კარის ქვედა ნაწილი) მეორე სართულზეა, სამხრ.-დას-ით.

გალავნის ჩრდ.-დას-ის კუთხეში მდგარი კ ო შ კ ი გეგმით უსწორო მართკუთხედია. მისი დას-ის მხარე მომრგვალებულია, ხოლო აღმ-ისა — სწორი. შესასვლელი სამხრ.-აღმ-ით, ორ ბურჯს შორისაა (ბურჯებს წირთხლის არეში ვერტ. ღრმულები გასდევს). კარი და კოშკის იატაკი მიწის დონიდან შემაღლებულია.

გალავნის დას-ისა და ჩრდ-ის კედლებთან ნ ა გ ე ბ ო ბ ე ბ ი მდგარა (შემორჩენილია საძირკვლები). გარედან გალავანზე მიდგმულია ერთმანეთისაგან თითქმის თანაბრად დაშორებული ნახევარწრიული კონტრფორსები.

გალავნის აღმ-ით ციტადელის ნანგრევებია. ციტადელში შესასვლელი დას-დანაა. შიდა ეზო ეკლესიის ეზოსთან შედარებით საკმაოდ მაღლაა. მის ჩრდ.-აღმ. მონაკვეთში ნაგებობათა კვალი ჩანს.

(დ) ს ე ნ ა კ ე ბ ი გამოკვეთილია ციცაბო მთის ფერდში, ნათლისმცემლის ეკლესიის სამხრ.-აღმ-ით, თარიღდება ფეოდ. ხანით. სენაკებთან მისვლა ვიწრო ბილიკებით შეიძლება. აღმ. სენაკის (3,9X4,4 მ) სამხრ. (საფასადო) კედლის ქვედა ნაწილი რიყის ქვით არის ნაგები, ზედა — აგურით (მთის ფერდის გამაგრების მიზნით ქვის წყობა გრძელდება კარის დას-ითაც). კარი და სარკმელი სამხრ. კედელშია გაჭრილი. სენაკის ჭერი უსწორმასწოროა. აღმ. ნაწილში აგურით ნაგები ბუხარია (XIX ს.), ხოლო სამხრ.-აღმ. ნაწილში — კედლის მაგიდისმაგვარი შვერილი. სენაკის აღმ-ით, მთის ფერდში ამოღებულია 2,5-3 მ სიღრმის ორმო (სურსათის შესანახი), რ-ის კედლები ამოშენებულია აგურით. ორმოს დას-ით 10 მ-ზე მცირე ზომის დაბალჭერიანი სენაკია, რ-საც შესასვლელი სამხრ-დან აქვს.

*ბიბლ.:* 119; 163; 342; 349; 361.

*ანდღ. ნ., დ. ფ.*

106(დ). გეგმა



## ზემო ნიჩბისი

(ნიჩბისის სოფსაბჭო)

107. ეკლესია უმზეური, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 1,5 კმ-ზე, ტყეში. 1975 წ. ძ. შეუკეთებიათ და მისთვის პირვანდელი სახე შეუცვლიათ. ეკლ. დარბაზულია (7,7X4,9 მ), ნაგებია საშუალო ზომის ქვიშაქვით. შესასვლელი სამხრ-დანაა. აღმ-ის ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია. ოდნავ შემაღლებული საკურთხეველი დარბაზისგან გამოყოფილია ქვის კ ა ნ კ ე ლ ი თ. ეკლ. გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-იც შეკიდულ კაპიტელებზე დაყრდნობილ საბჯენ თაღს ემყარება. დას-ის კედელში ერთი თაღოვანი სარკ-



107. გეგმა

მელია. ინტერიერი და ფასადები შეთეთრებულია. ეკლესიაზე სამხრ-ით და ჩრდ-ით სწორკუთხა სათავსებია მიშენებული. ჩრდ-ის მინაშენი დანგრეულია. სამხრ. მინაშენს კარი სამხრ-ითა აქვს, ხოლო ჩრდ. მინაშენში შესასვლელი ეკლესიის ჩრდ. კედელშია გაჭრილი.

*მ. ქ.*

108. ვანთების ეკლესია, სამაროვანი და ნასოფლარი, არქიტ., არქეოლ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 2 კმ-ზე. აგებულია IX-X სს-ში.

ვ. ე. სამეკლესიიანი ბაზილიკაა (11,6X10,8 მ), დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე, ნაგებია ნატეხი ქვით. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია — კედლები ზოგან საძირკვლამდეა დანგრეული.

სამივე ეკლესიას აღმ-ით მართკუთხედში ჩახაზული ნახევარწრიული აფსიდი აქვს. შუა ეკლ. (სიგ. 3,3 მ) გვერდით ეკლესიებთან (ჩრდ. ეკლესიის სიგ. 2,3 მ; სამხრ. ეკლესიისა 2,6 მ) შედარებით განიერია. მის აფსიდში შემორჩენილია ერთი სარკმელი, ხოლო დარბაზის ჩრდ. კედელთან — ორი პილასტრი. შუა ეკლ. გვერდით ეკლესიებს თითო კარით უკავშირდებოდა. ეკლ. გადახურული ყოფილა ბრტყელი გვერდებჰკვეცილი კრამიტით.

ვ. ე-ის გარშემო გამოვლინდა (ა) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი და (ბ) ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი.

ეკლესიის აღმ-ით, 10 მ-ზე გაშიშვლებულია ოთხ-ოთხი ფილაქვით შედგენილი და ფილაქვებითვე გადახურული ორი ქვაყუთი (1,7X1 მ; 2X1 მ), ხოლო 50-60 მ დაშორებით ნატეხი ქვით მჭიდრად ნაგები კაპიტალური შენობის (სასახლე?) ნანგრევებია. შენობა გვერდებჰკვეცილი კრამიტით ყოფილა გადახურული. ეკლესიის ჩრდ.-დას-ით 100 მ-ზე დიდი ლო-

დებით ნაშენი ნაგებობის (ციხე-კოშკი?) ნაშთები ჩანს. ზედაპირულად აკრეფილი არქეოლ. მასალისა (თიხის ჭურჭლის ნატეხები, კრამიტი) და ქვაყუთების მიხედვით ყანთების სამაროვანი და ნასოფლარი დათარიღებულია IX-X სს-ით. *გ. ი.*

109. ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, სოფ. დიდგორისაკენ მიმავალი გზის ორივე ნაპირზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ს. გათხარა ემპპ-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). აღმოჩნდა მიწაში 0,45-1,15 *მ* სიღრმეზე ჩადგმული უხეშად დამუშავებული ქვიშაქვის ფილებისაგან შედგენილი ქვაყუთები. სამარხები უმეტესად საოჯახო-კოლექტიურია. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია. სამარხთა უმეტესობა უინვენტაროა. *ბ. თ.*

110. ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 1,5 *კმ*-ზე, ადგილ ფეიქრიანთ ხატიბში. თარიღდება ფეოდ. ხანით. ნიაღვრისაგან გამიშვლებულია აღმ-დან დას-კენ დამხრობილი ქვიშაქვის ფილებით ნაგები ქვაყუთები. აქვე შემორჩენილია ნასახლარი ბუდეები. *ირ. შ.*

# ᲗᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

**(დიღმის ხეობაში)**

111. ᲑᲐᲙᲧᲐᲚᲐᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 2 *კმ*-ზე, დიდგორის მთის ძირას, დამრეც ველზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. 1971 წ. ძ. გათხარა ᲘᲐᲔ ინ-ტის დიღმის ხეობის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი). გაითხარა ორი ტიპის ინდივიდუალური სამარხები: ქვიშაქვის ფილებით შედგენილი ქვაყუთები და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები. ქვაყუთებში მიცვალებულები დაკრძალულია გულაღმა გაშოტილი, თავით დას-კენ, ორმოსამარხებში კი მიცვალებულები წვანან გვერდზე, ხელფეხმოხრილნი. სამარხებში აღმოჩნდა ნახევრად ძვირფასი ქვებით შემკული ბრინჯაოს და რკინის სხვადასხვა ტიპის საკინძები, მძივები და სხვა სამკაულები. ბ. ს-ის მსგავსი სამარხები აღმოჩენილია მცხეთაში, სამთავროს ველზე. მოპოვებული მასალა ინახება ᲡᲐᲡ-ში.

*ბიბლ.: 7.* *ნ. ჟ.*

112. ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲐᲗᲮᲔᲕᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 1,5 *კმ*-ზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ჯაგნარით დაფარულ ნამოსახლარზე შემორჩენილია რიყის ქვით ნაგებ შენობათა ნაშთები. *გვ. ჯ.*

113. ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს თბილისის ჩრდ.-დას-ით 7 *კმ*-ზე, დიდგორის მთის აღმ. ფერდობზე, ნატუსების სერზე, უკავია 1 *ჰა*-მდე ფართობი. თარიღდება IV-VII სს-ით. 1971 წ. ს. გათხარა ᲘᲐᲔ ინ-ტის ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი). ნ-ზე გამოვლინდა ქვიშაქვის გათლილი ფილებით შეკრული ქვაყუთები, რ-ებიც ერთი ან ორი *მ*-ითაა ერთმანეთს დაშორებული და მიწის ზედაპირიდან 0,5-1 *მ* სიღრმეზეა ჩადგმული. სამარხთა უმრავლესობა კოლექტიურია. თითოეულ მათგანში დაკრძალულია 2-5 მიცვალებული, გულაღმა, გაშოტილი, თავით დას-კენ. სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი (ოქროს, ბრინჯაოს და რკინის სამკაული, საკინძები და სხე.) ინახება ᲡᲐᲡ-ში.

114. ᲙᲕᲐᲯᲕᲐᲠᲐ, არქეოლ, ისტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 1 *კმ*-ზე, ტყეში. თარიღდება ფეოდ. ხანით. კლდის ქვისაგან გამოთლილი ჯვრით ერთმანეთისაგან იყო გამიჯნული ბაგრატიონების, სვეტიცხოვლის ტაძრისა და მაღალაშვილების მამულები. *გკ. ტ.*

115. ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (9,83X5,85 *მ*), ნაგებია აგურითა და ქვიშაქვით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია სახურავი და სამხრ. კედლის დიდი ნაწილი. შესასვლელი სამხრ-დანაა. აღმ-ის ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო თაღოვანი ნიშია. ერთი ასეთივე ნიში ჩრდ. კედელშია; დარბაზის სამხრ., ჩრდ. და დას. კედლებში თითო სარკმელია; გრძივ კედლებზე პილასტრებია. ეკლესიას აგურის ოთხსაფეხურიანი ლავგარდანი აქვს. *გ. ქ.*



113. ქვასამარხი



115. გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა

116. ᲯᲝᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ და ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ, არქიტ., არქეოლ. ძ. ეკლ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, 500 *მ*-ზე, ფერდობზე, ხევისწყლის მარცხ. მხარეს. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

(ა) ეკლ. დარბაზულია (6,65X4,5 *მ*), ნაგებია ქვიშაქვითა და კირის ხსნარით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია სახურავი და სამხრ-ის კედელი. შესასვლელი სამხრ-დანაა. აღმ-ის ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო თაღოვანი ნიშია.

ფასადები მოპირკეთებულია დიდი ზომის რეგულარულად ნაწყობი ქვიშაქვით. კარის არქიტრავის ქვაზე (ჩამოვარდნილია) წრეში ჩასმული ჯვარია ამოკვეთილი. ეკლესიას წრეთარგისა და ლილვისაგან შედგენილი ლავგარდანი აქვს. სამხრ-დან ე გ ვ ტ ე რ ი ყოფილა მიშენებული (შემორჩენილია ფრაგმენტები).

ეკლ. დგას ფეოდ. ხანის (ბ) ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი ს ტერიტორიაზე, რ-იც ამჟამად ტყით არის დაფარული. შემორჩენილია ქვითკირის შენობათა ნანგრევები. *გ. ქ., გვ. ჯ.*

# ᲗᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲯᲕᲐᲠᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ,

იხ. ს ო ფ. ქ ს ო ვ რ ი ს ი, თ ე ლ ო ვ-

ნის ჯვარპატიოსნის ეკლესია

## თხინვალი

(ლისის სოფსაბჭო)

117. თხინვალი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს თრიალეთის ქედზე, ლისის ტბის დას-ით, მცხეთიდან 20 *კმ*. წერილობით წყაროებში თ. (თხილოვნა, თხილნარა) პირველად XV ს-ში იხსენიება. XV ს-მდე სოფელი გაბაშვილების მფლობელობაში იყო. 1466 წ. მეფე კონსტანტინემ იგი ჯავახიშვილებს უწყალობა, ხოლო XVIII ს-ის დასაწყისიდან თ. ციციშვილების სამფლობელოა.

ბიბლ.: 82. აფრ. გ.

118. სასახლე და ეკლესიები, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 2 *კმ*-ზე, ლისის ტბის მიდამოებში, გაბაშვილთა ნასახლარზე. თარიღდება XVII-XVIII სს-ით.

კომპლექსში შედის სასახლე, წმ. გიორგის ეკლესია, რ-საც ჩრდ-ით მიშენებული აქვს ეგვტერი, და ღვთისმშობლის ეკლესია. ორსართულიანი სასახლიდან შემორჩენილია მხოლოდ პირველი სართულის ფრაგმენტები; ჩანგრეულია ეკლესიების სახურავი; სანახევროდ დანგრეულია ეგვტერი. კომპლექსის შენობები ნაგებია აგურით. წმ. გიორგის ეკლესიის გრძივ და დას-ის კედლებზე გასამაგრებლად მოგვიანებით ნატეხი ქვის დამატებითი კედლებია მიშენებული.

(ა) სასახლე გეგმით სწორკუთხაა (11,5X15,4 *მ*), შესასვლელი სამხრ-დან აქვს. კარის ორივე მხარეს თითო მოზრდილი ნიშია. დას-ის კედელში უფრო მომცრო ნიშებია. პირველი სართულის შეისრული კამარა პილასტრებზე დაბჯენილ ორ შეისრულ თაღზე ყოფილა დამყარებული. აღმ-ის კედელი გამაგრებულია მძლავრი კონტრფორსებით.

(ბ) წმ. გიორგის ეკლესია დარბაზულია (17,8X11,4 *მ*), ჰქონია ორი შესასვლელი — დას-ითა და სამხრ-ით. მოგვიანებით დას-ის კარი სწორკუთხა სარკმლად გადაუკეთებიათ. აღმ-ით ღრმააფსიდიანი საკურთხეველია, რ-ის ჩრდ-ით სამკვეთლოა, ხოლო სამხრ-ით — სადიაკვნე. ამ სათავსებს აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდები აქვს. სამკვეთლო საკურთხეველს კარით უკავშირდება. სამკვეთლოსა და სადიაკვნის თავზე საიდუმლო ოთახებია, რ-ებშიც მოხვედრა სამკვეთლოს აღმ. კუთხესთან, კედელში დატანებული კიბით შეიძლება. ამ ოთახების გეგმა სამკვეთლოსა და სადიაკვნის გეგმის ანალოგიურია. საკურთხეველს, სამკვეთლოს, სადიაკვნესა და საიდუმლო ოთახებს აღმ-ით თითო სარკმელი აქვთ. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია ქვის მაღალი კანკელით, რ-ის ქვედა ნაწილში საკურთხეველში, სამკვეთლოსა და სადიაკვნეში შესასვლელი შეისრული ღიობებია. კანკელის ზედა ნაწილი ხაზოვანი ლილვებით დაყოფილია ხატების ჩასასმელ 161 სწორკუთხედად. საკურთხევლის მხარეს კანკელზე წმინდა მკვეთრი ხაზებით საგეარეულო გერბია ამოკვეთილი.



118(ბ). გეგმა

118(ბ). გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ



დარბაზის შეისრული კამარა მასიურ შვერილებზე დამყარებულ ორ თაღს ეყრდნობა. თაღების საყრდენი შვერილები სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლებზე ქმნიან ღრმა შეისრულ ნიშებს. ჩრდ-ის კედლის ნიშებში სარკმლებია გაჭრილი, ხოლო სამხრ-ისაში — ერთი სარკმელი და კარი. დას-ის კედელზე შეისრული ნიშებია ორ რიგად. ამ კედლის ზემო ნაწილის ცენტრში, განიერ შეისრულ ნიშში განიერი სარკმელია გაჭრილი. ეკლ. შიგნიდან შელესილია. კედლები შემკულია თარაზული ხაზებითა და ორნამენტული მოტივებით.

ეკლესიის სამხრ-ის ფასადზე, კედელში ჩასმულ ქვაზე მზის საათია ამოკვეთილი, ხოლო აღმ-ის ფასადის ზემო ნაწილში — გოლგოთის ჯვარი. ეკლესიას შემოვლებული აქვს ქვის ლავგარდანი.

ეკლესიას დას-ითა და სამხრ-ით კარიბჭეები ჰქონია მიშენებული. შემორჩენილია მხოლოდ დას-ის კარიბჭე (4,6X5,5 *მ*), რ-იც სამი მხრივ გახსნილია შეისრული თაღებით. გარედან თაღები ჩასმულია სწორკუთხა ჩარჩოში და მორთულია აგურის შვეული და თარაზული წყობით.

წმ. გიორგის ეკლესიას ჩრდ-იდან მიშენებული აქვს (გ) ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (5,5X3,8 *მ*) შესასვლელი დას-დანაა. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია. ეკლ. შიგნიდან შელესილი ყოფილა.

ბიბლ.: 361. ზ. პ.

## კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესია,

იხ., მცხეთა, კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესია

## კარსანი

(მცხეთის საქალაქო საბჭო)

119. მეთუნეთა ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს თბილის-მცხეთის საავტ. გზის მე-17 *კმ*-ზე, არსნისხევის მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება ძვ. წ. I და ახ. წ. I-III სს-ით. ძ. 1975 წ. გათხარა ისე ინ-ტის მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). კომპლექსში შედის: ნამოსახლარი, საწარმოო უბანი და სამაროვანი.



119. ჰიდრავლიკური ხსნარით ნაგები საწნახელი



119. გენგეგმა

(ა) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი ტერასულადაა განლაგებული ბორცვის თხემსა და ძირში. გამოვლინდა კარგად გამოკვეთილი სამი სამშენ. ფენა. საცხოვრებელი შედგებოდა საცხოვრ. სახლისა და მსუბუქი კონსტრუქციის დამხმარე ნაგებობებისაგან. გეგმით ოთხკუთხა შენობები ნაგებია ნატეხი ქვიშაქვითა და ტალახით. მათი უმეტესობა გადახურული ყოფილა მცხეთური ღარიანი და ბრტყელი კრამიტებით. თიხის იატაკის ცენტრ. ნაწილში ქვითა და თიხით ნაგები კერებია. ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით გამოვლინდა მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი თხელკეციანი სამეურნეო დანიშნულების კერამიკა (ქვევრები, დერგები), სუფრისა და სამზარეულოს თიხის ჭურჭელი (ჯამები, ხელადები), ლითონისა და თიხის ქანდაკებები, რკინის დანები, მონეტები, ქვის სატყორცნი ჭურვები, ძვლის საკინძი, სინოპური ამფორის ძირი.

(ბ) ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო უ ბ ა ნ ი მდებარეობს ნამოსახლარის აღმ-ით 60 მ-ზე. აქ გამოვლინდა თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები და მასთან დაკავშირებული ფარდულის ტიპის ნაგებობების ნაშთები. ქურების ნაწილი ორსართულიანი ყოფილა. მათი ქვედა — საცეცხლე განყოფილება გადახურულია ალიზის დიდი აგურებისაგან შეკრული თაღებით, რ-ებშიც ცეცხლის ამოსასვლელად ღია ადგილებია დატოვებული. ალი ადიოდა მეორე სართულზე, სადაც ჭურჭლის გამოწვა ხდებოდა. საწარმო უბანზე გარდა ე. წ. ვერტ. ქურებისა არის აგრეთვე ოვალური გუმბათისებრთაღიანი ქურა. საწარმოო უბანზე, ქურებში და მათ მახლობლად აღმოჩნდა წითელი წერნაქით მოხატული გვიანდ. ელინისტ. ხანის თიხის ჭურჭელი.

(გ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ზ ე გაითხარა ძირითადად კრამიტსამარხები. დადასტურდა აგრეთვე ორმოსამარხები, კომბინირებული (კრამიტით, ქვითა და ძელებით ნაგები) სამარხები, ფილასამარხი და ქვევრსამარხი. კრამიტსამარხები ძირითადად ბრტყელი და ღარიანი კრამიტებით ნაგები ორფერდასახურავიანი კრამიტყუთებია, რ-ებიც მიწაში ამოთხრილ ორმოში ყოფილა ჩადგმული. ზოგიერთ კრამიტსამარხს იატაკიც კრამიტის ჰქონდა. მიცვალებულები მარცხ. ან მარჯვ. გვერდზე ესვენა კიდურებმოკეცილი. სამარხებში აღმოჩნდა მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის სამტუჩა ხელადები, რელიეფური სარტყლითა და კოპებით შემკული ხელადისებური ჭურჭელი, კოჭობები, მინის სანელსაცხებლები, ოქროს საყურეები და სასაფეთქლე რგოლები, სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივები, რომაული და პართული მონეტები, გემიანი

ბეჭდები, ირმისა და ვერძის ქანდაკებები (საკიდები), ზარაკები და სხვ.

კარსნისხევის ნამოსახლართან ახლოს გამოვლინდა ხაწნახელი და მარნის ნაშთი. ჰიდრავლიკური ხსნარით მოკირწყლულ-შემოზღუდული მოედანი (3,2X2,4 მ) ეკვრის კერამ. ფილებით ნაშენ წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის აბაზანისებურ ნაგებობას — საქაჯავს. ისინი იატაკში გაჭრილი ხვრელებით უერთდებიან კერამიკულ მილსადენს. საწნახელი ფერდობზე, მოსწორებულ ტერასაზე დგას. მას უკავშირდება წვრილი ქვით მოფენილი საურმე გზა.

*ბიბლ.:* 176ბ; 180. *ნ. ვ.*

120. ᲛᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ, არქეოლ. ძ. მდებარეობს კარსნისხევის მარჯვ. ნაპირას, ფერდობზე, ყოფ. მაგნეტური ობსერვატორიის საცხოვრ. ბინების სამხრ-ით, 200 მ-ზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით.

1918 წ. ძ. გათხარა გ. ლემლეინმა. მოპოვებული მასალა ინახება ლენინგრადის სახელმწ. ერმიტაჟში.

ფერდობის ძირში (როგორც ჩანს, აქ ყრიდნენ წარმოების ნარჩენებს), თიხის ფენის ქვეშ აღმოჩნდა 0,75 მ ხისქის კულტ. ფენა — ნახშირი. თიხა, ღორღი, აგურის ნატეხები, თიხის წითელი, შავი და თეთრი ჭურჭლის ნამტვრევები: ორიოდე მ-ის ზემოთ, მცენარეული ფენის ძირში გამოჩნდა თხელი (0,2-0,25 მ) კულტ. ფენა — ნახშირის ნაფხვენი, ხარის, ძროხის, ცხერის, ღორის, თევზის ძვლები, თიხისა და მინის ჭურჭლის ნამტვრევები, მინის სამაჯური, დიდძალი წიდა, მინის სადული ქოთნების ნატეხები, მინის წვეთები და ძაფები.

ტყეში, ფერდობის თავზე, შევაკებაზე გამოვლინდა ორმოები (მინის სახელოსნოსთან დაკავშირებულ ნაგებობათა ნაშთები?).

*ბიბლ.:* 133; 137; 176ა. *კვ. რ.*

121. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ყოფ. მაგნეტური ობსერვატორიის მთავარი შენობის სამხრ. აღმ-ით 200 მ-ზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება IX-X სს-ით. ეკლ. დარბაზულია (9,55X6 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. დას-ის კედლის წყობაში ე. წ. მერცხლის კუდით გადაბმული კვადრებიცაა გამოყენებული. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ აღმ-ისა და დას-ის კედლის ნაწილები. შესასვლელი სამხრ-დანაა. იატაკის დონიდან ერთი საფეხურით ამაღლებული საკურთხევლის ნახევარწრიულ აფსიდში ერთი დიდი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო მაღალი ნახევარწრიული ნიშია. საკურთხევლის წინ საკურთხევლისწინა ჯვრის რუხი ქვის ცხრაწახნაგა პოსტამენტი დგას.

*ბიბლ.:* 361:26-27. *ანდღ. ნ.*

122. ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ და ᲪᲘᲮᲔ-ᲑᲐᲚᲐᲕᲐᲜᲘ, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს მტკვრის მარჯვ. მხარეს, ქართლის ქედის ერთ-ერთ მწვერვალზე, მცხეთის რ-ნ-ში. ხადგურის პირდაპირ (მისასვლელი კარსნის ხეოდანაა). თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით.

ძ-ზე 1961-62 წწ. არქეოლ. გათხრები ჩაატარა ИАЭ ინ-ტის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი). გაითხარა (ა) გალავანი, რ-ის სამი მხარე უხეშად გათლილი ქვიშაქვის ლოდებითაა ნაგები, ხოლო ჩრდ. მხარე — ნატეხი ქვით. გალავნის კედელი გამაგრებულია გარეთ გამოწეული, ერთმანეთისაგან სხვადასხვა მანძილით დაშორებული ოთხკუთხა კოშკებით. აღმ-ით გალავნის კედლის ნაწილი და კოშკები ორივე მხრიდან მოპირკეთებულია. სხვაგან კედლისა და კოშკების მხოლოდ გარეთა პირია ამოყვანილი გათლილი ქვით. გალავნის კედელსა და კოშკებში ჩაშენებულია კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრები, რ-ებზეც ამოჭრილია ფოსოები ე. წ. მერცხლისკუდა გადასაბმელისათვის (ქვები გვიანდ. ანტ. ხანის ნაგებობიდან უნდა იყოს გადმოტანილი). გალავნის სამხრ. აღმ. კუთხიდან 43,75 მ დაშორებით გაითხარა კოშკი, რ-იც გალავანს უკავშირდებოდა ნატეხი ქვით ნაგები კედლით (სისქე 3 მ). გალავნის შიგნით გამოვლინდა ნატეხი ქვით ნაგები ნახევრად მიწური ტიპის საცხოვრ. ნაგებობანი. მათი სათავსე-



122(ა). საერთო ხედი

ბი გეგმით წაგრძელებული ხწორკუთხედებია, სათავსების ცენტრში მოწყობილია ოთხკუთხა კერები.

გალავნის ჩრდ. უბანზე გაითხარა ორი მარანი, ერთში — 14, ხოლო მეორეში 4 საშ. სიდიდის ქვევრი აღმოჩნდა. სამხრ. უბანზე კი სენაკის სამხრ. კედლის გასწვრივ ოთხი ქვევრი იყო. გათხრებით გამოვლინდა დიდძალი სხვადასხვა ფორმის, სიდიდის და დანიშნულების კერამიკა, რ-იც ძირითადად V-VIII სს-ით თარიღდება. კერამიკის ნაწილი და ქვევრსამარხი გვიანდ. ელინისტ. ხანისაა.

122. გეგმა





122(ბ) ხედი სამხრ-იდან

(ბ) წმ. ნინოს ეკლესია დგას მთა ქართლის განაპირას, ჩრდ-ით. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. პირვანდელი სახე შეცვლილი აქვს.

ეკლ. დარბაზულია (7,75X7,45 მ), ნაგებია დიდი ზომის ქვის კვადრებით. შესასვლელი სამხრ-დანაა. აფსიდი ნახევარელიფსური ფორმისაა. აფსიდში სამი ნიშაა, ერთი — ჩრდ-ით, ორი — სამხრ-ით. აღმ. კედელში ერთი სარკმელია (გადაკეთებულია), ხოლო სამხრ-ისაში — ორი. დარბაზი კამარითაა გადახურული. ეკლ. კედლები შიგნიდან შელესილია (შელესილობა გვიანდელია). ეკლესიის ცოკოლი ნაგებია ნატეხი ქვით, ლავგარდანი სწორკუთხა ფილებით.

*ბიბლ.:* 316:68-71. *ბ. ა., ზ. ჯ.*

## კევლიანი

(ცხვარიჭამიის სოფსაბჭო)

123. ბნელა საყდარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 3-4 *კმ*-ზე, ხშირი ტყით დაფარულ მთაზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანის მიწურულით.

ბ. ს. სამეკლესიანი ბაზილიკაა (8,7X8,1 მ), ნაგებია რიყის ქვით. შენობის კუთხეებში და ცალკეული არქიტ. ელემენტებისათვის (აფსიდის მხრები, სატრიუმფო თაღი, პილასტრები, სარკმლის წირთხლები) შირიმის ქვაა გამოყენებული. ეკლ. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კედლების ზედა ნაწილები, დანგრეულია სარკმლები და სხვ. შესასვლელი სამხრ. ეკლესიიდანაა. შუა ეკლ. გვერდით ეკლესიებთან შედარებით ფართო და მაღალია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, სარკმლის ორივე მხარეს — თითო სწორკუთხა ნიში. შუა ეკლესიის გრძივ კედლებზე თითო პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღი იყო გადაყვანილი (შემორჩენილია სამხრ. პილასტრი და საბჯენი თაღის ნაწილი). სატრიუმფო და კამარის საბჯენი თაღების ქუსლებთან თაროსა და დახრილი სიბრტყისაგან შედგენილი კაპიტელებია. სამხრ. კედელში სწორკუთხა სარკმელია. ჩრდ. კედელში ორი კარია გაჭრილი — ერთი შუა ეკლესიას აკავშირებს ჩრდ. ეკლესიასთან, ხოლო მეორე — საკურთხეველს სამკვეთლოსთან. სამკვეთლოში აღმ-ით ერთი სარკმელია გაჭრილი. ჩრდ. ეკლესიას აღმ-ით სწორკუთხა ამაღლებული საკურთხეველი აქვს. სამხრ. ეკლ. გრძელია, გეგმით სწორკუთხა, აღმ-ით ერთი სწორკუთხა სარკმელი აქვს. ჩრდ. კედელში შუა ეკლესიაში გასასვლელი კარია გაჭრილი, ხოლო სამხრ. კედელში — სამეკლესიიან ბაზილიკაში შესასვლელი.

სამხრ. ეკლესიის სარკმელს ფასადზე კონქისებური შეღრმავება აქვს, ხოლო შუა ეკლესიის საკურთხევლის სარკმლის თაღი დასრულებულია გადანაკეცებიანი რელიეფური ზოლით.

ეკლესიის დას-ით 20 მ-ზე შემორჩენილია კედლების ფრაგმენტები. *ბერძ. ც.*



123. აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა

124. ეკლესია კვირაცხოველი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 3 *კმ*-ზე, ხშირი ტყით დაფარულ მაღალ ფერდობზე, წმ. გიორგის ეკლესიის დას-ით 100 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (2,27X2,27 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. წარმოადგენს პატარა სამლოცველოს, რ-იც დას. მხრიდან ღიაა, გადახურულია აგურის შეისრული კამარით. შიგნით, აღმ. კედელში, სწორკუთხოვან შეღრმავებაში პატარა სწორკუთხა სარკმელია, ჩრდ. და სამხრ. კედლებში — შეისრულთაღიანი თითო ნიში. *დე. თ.*

125. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ფერდობზე, ტყის პირას. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (8,9X4 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით, ზოგან შირიმიცაა გამოყენებული. დაზიანებულია: ჩამონგრეულია სამხრ. კედლის ზედა ნაწილი. ეკლესიას სამხრ-ით ნალისებრი თაღით დასრულებული ორი შესასავლელი ჰქონია. აღმ. შესასვლელი ამოშენებულია, ხოლო დას-ისა სწორკუთხოვნად არის გადაკეთებული. აღმ-ით ვიწრო მხრებით გამოყოფილი აფსიდია, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. სატრიუმფო თაღი აფსიდის მხრებს ეყრდნობა. თაღის ქუსლებთან მარტივი იმპოსტია, რ-ის პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს. დარბაზის ნახევარწრიული კამარა (შემორჩენილია სამხრ. ნაწილში) უშუალოდ კედლებს ეყრდნობა. დას. კედელზე ერთსაფეხურიანი შეღრმავებაა, რ-საც კედლის შუა მესამედი

ჭკავია. ჩრდ. კედელში აფსიდის მხარესთან პატარა ნიშია. სამხრ-ის კედელში ორი სწორკუთხა სარკმელია. ეკლესიის კედლები შელესილი ყოფილა (შელესილობა შემორჩენილია აფსიდის კონქში და აქა-იქ კედლებზე).

ეკლესიას სამხრ-ით მინაშენი ჰქონია — შემორჩენილია კედლის ფრაგმენტი სამხრ.-დას. კუთხესთან.

აღმ. ფასადზე სარკმლის თაღი რელიეფური რკალითა და ჯვრითაა შემკული სამხრ. ფასადზე შესასვლელი დასრულებულია ტიმპანით, რ-ის თაღს შემოვლებული აქვს არქივოლტი. *დე. თ.*

126. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 3 *კმ*-ზე, ხშირი ტყით დაფარულ მაღალ ფერდობზე. სტილისტ. ნიშნებით გვიანდ. ფეოდ. ხანით თარიღდება.

ეკლ დარბაზულია (6,5X4,5 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. კონსტრ. ადგილებში (კუთხეები, აფსიდის მხრები და ნიშის თაღი) შირიმის სწორკუთხა ქვებია გამოყენებული. ინტერიერში ზოგან (დას. სარკმლის თაღი, ჩრდ. კედლის ნაწილი კამარის ქუსლამდე) ნახმარია აგურიც. ეკლ. დაზიანებულია. კამარა და აფსიდის სატრიუმფო თაღი მთლიანად ჩანგრეულია, დანგრეულია კონქის უმეტესი ნაწილი და სამხრ. კედლის ნახევარი. შესასვლელი სამხრ-დანაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე, შეისრულთაღიან შეღრმავებაში სარკმელია (დაზიანებულია) გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით ნახევარწრიული თაღით გადახურული ნიშია. ერთი თაღოვანი სარკმელი დას-ის კედელშია. ამავე კედელში, შესასვლელის გადახურვის დონეზე კარის ნათოხალის ტოლი შეღრმავებაა. კედლები შელესილი ყოფილა. ფასადზე ფრონტონის ჩრდ. ქანობზე შემორჩენილია თაროსებრი ლავგარდანი. *დე. თ.*

## ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲐᲜᲗᲙᲐᲠᲘ

(გალავნის სოფსაბჭო)

127. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით 1,5 *კმ*-ზე, პატარა ხევის პირას. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (5,2X3,2 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა, მთლიანად დანგრეულია ჩრდ. კედელი, სამხრ. კედლის მცირე ნაწილიღაა შემორჩენილი. შესასვლელი სამხრ-დან ჰქონია. აღმ-ით სწორკუთხა საკურთხეველია, რ-ის ღერძზე ვიწრო და პატარა სარკმელია, სარკმლის ორივე მხარეს — თითო პატარა სწორკუთხა ნიში. სარკმლის ქვემოთ, კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა. *დე. თ.*

## ᲚᲔᲚᲝᲑᲘ

(ლისის სოფსაბჭო)

128. ᲜᲐᲥᲐᲚᲐᲥᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით 4 *კმ*-ზე, მდ. ხეკორძულას სათავეებთან, ფერდობზე, ადგილ ნაქალაქარზე. თარიღდება XIII ს-ითა და XIV ს. I ნახ-ით.

1971 წ. გათხრები ჩაატარა ԴՍՍ ინ-ტის დიღმის ხეობის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი).

ნ. ოთხ ტერასაზეა განლაგებული. ჩრდ-ით მას კლდის ბუნებრივი ზღუდე გასდევს. შემორჩენილია საერო და საკულტო (მცირე ზომის ეკლესია) შენობათა ნანგრევები. შენობები კლდის ქვის მშრალი წყობითაა ნაგები. ორ და სამოთახიან საცხოვრ. კომპლექსებს სამეურნეო დანიშნულების სათავსები (მარანი, ფარეხი) ეკვრის. შენობათა იატაკში ზოგან სამალავი და სურსათის შესანახი ორმოებია ამოჭრილი. ნ-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალა (მოჭიქული თიხის ჭურჭელი, ქართ.-მონღოლური მონეტა, მინის ჭურჭლის ფრაგმენტები და სამკაულები) ინახება ᲐᲡᲘ-ში.

ბიბლ.: 8. *ნ. ვ.*

## ᲚᲘᲡᲘ

(სოფსაბჭოს ცენტრი)

129. ᲚᲘᲡᲘ, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს თრიალეთის ქედის აღმ. კალთაზე, ლისის ტბის დას-ით, მცხეთიდან 25 *კმ*-ზე წერილობით წყაროებში ლ. XVI ს-დან იხსენიება. 1523 წ. დათარიღებული სიგელის მიხედვით სოფელი ბარათაშვილების საგვარეულო საკუთრებაა. 1578 წ. ოსმალთა შემოსევის შემდეგ მოსახლეობის ნაწილი აიყარა და ხიზნად წავიდა.

(ა) 1625 წ. ლ. თბილისის ციხეში მყოფმა ყიზილბაშთა გარნიზონმა დაარბია. გადასწვა სახლები და დიდი ნადავლი ჩაიგდო ხელში. ლ-დან გაბრუნებულ მტრის რაზმს მოულოდნელად თავს დაესხა გიორგი სააკაძე 60 კაცით. ამ ბრძოლაში მტერმა 700-მდე კაცი დაკარგა და სასტიკი მარცხი განიცადა. XIX ს-ის 40-იანი წლებიდან ლ. თარხან-მოურავების საგვარეულო საკუთრებაში გადავიდა.

ბიბლ.: 71ბ:345-346; 220ბ. *აფრ. გ.*

130. ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. დიღმურას მარცხ. ნაპირზე, ადგილ ძაღლაანთ ხევში. თარიღდება ფეოდ. ხანით. ნ-ზე შემორჩენილია შენობათა ქვის კედლების ნაშთები.

ბიბლ.: 207. *გვ. ჯ.*

131. ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 3 *კმ*-ზე, მდ. დიღმურას მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ნ-ზე შემორჩენილია რიყის ქვით ნაგებ შენობათა ნანგრევები. ნ-ის ჩრდ-ით 300 *მ*-ზე სამაროვანი და ეკლესიის ნანგრევებია. სამაროვანზე დადასტურდა ხაფლავის ქვები და კერამიკის ნატეხები. *გვ. ჯ.*

132. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით, ძვ. სასაფლაოზე, თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,7X7 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, ფასადები მოპირკეთებულია თლილი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: სახურავი ჩანგრეულია, მთელი სიმაღლით არც ერთი კედელი არ არის შემორჩენილი. შესასვლელი სამხრ-დანაა. აფსიდში ერთი სწორკუთხა სარკმელი და მის ორივე მხარეს თითო ღრმა, მრუდხაზოვანი ნიშია. ერთი სარკმელი დას-ის კედელშია. ეკლესიაში დაკრძალულია თარხან-მოურავთა საგვარეულოს წარმომადგენლები.

ბიბლ.: 361:80. *დე. თ.*

132. გეგმა



133. ᲬᲛ. ᲔᲡᲢᲐᲢᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ. არქიტ, ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,65X5.35 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, ფასადები მოპირკეთებულია თლილი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: აღმ-ის კედელი მთელ სიმაღლეზეა გაბზარული: სამხრ-ის კედლის ნაწილიღაა შემორჩენილი: ჩანგრეულია კამარა. შესასვლელი სამხრ-დანაა. აღმ. აფსიდში ერთი სწორკუთხა სარკმელი და მის ორივე მხარეს თითო

133. გეგმა



ღრმა ნახევარწრიული (სიმაღლე 2 *მ*) და თითო მცირე ზომის სწორკუთხა ნიშია. დას-ისა და სამხრ-ის კედლებში თითო სწორკუთხა სარკმელია. დარბაზის გრძივ კედლებზე შემორჩენილია პილასტრები, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობოდა.

ბიბლ.: 361:79. დე. თ.

## მამკოდა

(გლდანის ხოფსაბჭო)

134. მამკოდის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 5 *კმ*-ზე, გლდან — თიანეთის გზის მარჯვ. მხარეს, ნასოფლარ მამკოდაზე, მთავარი გზიდან გლდანის წყალზე გავლით 1 *კმ*-ზე. კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის და წმ. გიორგის ეკლესიები, სამრეკლო, გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობიხა და გალავნის ფრაგმენტები.

134(ა). სამხრ. ფასადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ. გეგმა



(ა) ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა დარბაზულია (13,9X6,5 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. აგებულია XIX ს-ში. ძლიერ დაზიანებულია: სახურავი, კონქი, სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლების ზედა ნაწილები ჩამონგრეულია. შესასვლელი დასდანაა. აღმ-ით, ღრმა აფსიდში ერთი სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს ღრმა სწორკუთხა ნიშებია. სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლებში ორ-ორი მაღალი თაღოვანი ნიშია. ნიშებს შორის დაკიდებულ პილასტრებს ცილინდრული კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. დას-ის კედელში, კარს ზემოთ ერთი სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.

დას. ფასადზე მიშენებულია ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-ის პირველი, სწორკუთხა (6,7X5,15 *მ*) სართული ეკლესიის კარიბჭეს წარმოადგენს. სამრეკლოს დას-ით შეისრულთაღიანი შესასვლელი აქვს. შესასვლელის თავზე ოთხკუთხა სარკმელია. ჩრდ-ისა და სამხ-ის კედლები ყრუა. მეორე სართულის სწორკუთხა ბაქანზე დადგმულია თაღებიანი რვაწახნაგა ფანჩატური, რ-ის რვაწახნაგა სვეტები და მათი ბაზისები კარგად გათლილი ქვიშაქვითაა ნაწყობი. გუმბათი და პირამიდული სახურავი აგურისაა. სახურავის ოთხ წახნაგზე აგურის წყობაში გამოყვანილია ტოლმკლავა ჯვრები.

(ბ) წ მ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა აგებულია XIX ს-ში. ნაშენია ნატეხი ქვით, აგური გამოყენებულია კონსტრ. ნაწილებში (თაღები, გუმბათის ძირი და ყელი).

ეკლ. ჯვარ-გუმბათოვანია (10,8XX7,1 *მ*), შესასვლელი სამხრ-დანაა. საკურთხევლის ღრმა აფსიდში ერთი სარკმელია. საკურთხეველი გასასვლელებით უკავშირდება მის ორივე მხარეს მდებარე სამკვეთლოსა და სადიაკვნეს, რ-ებშიც აღმ-ით თითო სარკმელია. რვაწახნაგა გუმბათის ყელი, რ-ის ყოველ წახნაგში სარკმელია გაჭრილი, საკურთხევლის მხრებსა და ორ თავისუფლად მდგომ მრგვალ ბოძს ეყრდნობა. დას-ის, ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებში თითო განიერი ოთხკუთხა სარკმელია.

ფასადების ფრონტონებში მაღალ საფეხურზე შემდგარი დაკბილული რომბებია გამოყვანილი. ეკლესიას ორრიგად დაწყობილი აგურის ლავგარდანი აქვს.

ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრ-



134(ბ). გეგმა, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ

ით შემორჩენილია ს ა მ რ ე კ ლ ო ს აგურით ნაგები ორი ბოძი. ერთ-ერთის ქვის ფილაზე ამოკვეთილია მშენებლის სახელი — „თედო" და აგების თარიღი — 1850 წ.

ეკლესიის დას-ით შემორჩენილია ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით ნაგები გაურკვეველი დანიშნულების შენობის ნიშებიანი კ ე დ ე ლ ი და ქვის გ ა ლ ა ვ ნ ი ს ფრაგმენტი.

ბიბლ.: 361:98. მ. გ.

## მარტაზისხევის სამაროვანი,

იხ. მ ც ხ ე თ ა, მ ა რ ტ ა ზ ი ს ხ ე ვ ი ს ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი.

## მგალობლიანთკარის ეკლესია,

იხ. მ ც ხ ე თ ა, მ გ ა ლ ო ბ ლ ი ა ნ თ კ ა რ ი ს ე კ ლ ე ს ი ა.

## მთაქართლი,

იხ. ს ო ფ. კ ა რ ს ა ნ ი, წ მ. ნ ი ნ ო ს ე კ ლ ე ს ი ა და ც ი ხ ე-გ ა ლ ა ვ ა ნ ი.

## მისაქციელი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

135. მისაქციელი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. არაგვის მარჯვ. მხარეს, მცხეთიდან 15 *კმ*.

მ. მოხსენიებულია 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში. იგი სვეტიცხოვლის კუთვნილება იყო. სახელი სოფელს უნდა შერქმეოდა ბუნებრივი მდებარეობის გამო. ძალის-წილკნის გზა ამ ადგილზე უხვევდა, „მიუქცევდა" არაგვის პირისაკენ, ან ნატახტარ-მცხეთისაკენ

(ნ. ბერძენიშვილი). მეურნეობის მთავარი დარგები ყოველთვის იყო მემინდვრეობა, მებაღეობა, მევენახეობა. XVIII და XIX სს. მიჯნაზე მეტად გაიზარდა დარიალ-არაგვის გზის მნიშვნელობა. მდ. არაგვის მარჯვ. ნაპირზე გამავალ გზაზე მ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად იქცა. (ა) ბერი ეგნატაშვილის ცნობით ირანში წასვლის წინ გიორგი სააკაძე და ნუგზარ არაგვის ერისთავი მ-ში შეხვდნენ ერთმანეთს. (ბ) 1778 წ. ერეკლე II-ის ვაჟმა ლევანმა მ-თან სასტიკად დაამარცხა ლეკები.

ბიბლ.: 44გ:397; 64; 72; 201ე:602; 201ზ:323; 220ბ,გ. *ჭყ.თ.*

136. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით. აგებულია XIX ს. ძლიერ დაზიანებულია: გაბზარულია კამარა და დას. კედელი, დანგრეულია სამრეკლოს მეორე სართული.

ეკლ. დარბაზულია (12,4X7,5 *მ*), ნაგებია აგურით. ალაგ-ალაგ რიყის ქვაცაა გამოყენებული. შესასვლელი დას-ით მიშენებული კარიბჭიდანაა. სწორკუთხა საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია წყვილი პილასტრით. საკურთხეველში, აღმ. კედლის ღერძზე ერთი ფართო, შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა სარკმელია. ასეთივე სამ-სამი სარკმელია გრძივ კედლებში. გრძივ კედლებზე ორი წყვილი პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღები. შესასვლელის ზემოთ სამრეკლოს მეორე სართულზე ასასვლელი თაღოვანი ხვრელობია. იატაკი მოსწორებულია ცემენტის ხსნარით. შიგნიდან ეკლ. შელესილია.

ეკლესიას დას-ით მიშენებული აქვს სამრეკლო, რ-იც სამ მხარეს ნახევარწრიული თაღებითაა გახსნილი. თაღები ორ თავისუფლად მდგომ ბოძსა და ეკლესიის კედლის ორ პილასტრს ეყრდნობა.

ეკლესიის ფასადები ძირითადად მორთულია სწორკუთხა შეღრმავებებითა და ჯვრებით. გრძივ ფასადებზე პილასტრებია, რ-თა შორის, თითო სწორკუთხა შეღრმავებაში თითო სარკმელია. ეკლესიას შემოვლებული აქვს აგურის საფეხურიანი ლავგარდანი. *დვ. თ.*

136. სამხრ ფასადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა



## მსხალდიდი

(ლისის სოფსაბჭო)

137. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, აღმ-ით. მიეკუთვნება გვიანდ. ფეოდ. ხანას.

ეკლ. დარბაზულია (11,2X7,35 *მ*), ნაგებია აგურით, ცოკოლი — სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვიშაქვის ქვით. დაზიანებულია. აქვს ორი შესასვლელი, დას-ით და სამხრ-ით. აღმ. ნახევარწრიულ აფსიდში ორი მაღალი თაღოვანი სარკმელია. მარცხ. სარკმლის გვერდით სწორკუთხა ნიშია. თითო თაღოვანი ნიში აფსიდის ფართო მხრებშია. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო მახიური პილასტრია, რ-ებსაც შეისრული კამარის შეისრული საბჯენი თაღი ეყრდნობოდა. კამარა ქუსლების დონეზე გამოზნექილი ზედაპირით გადადის შესაბამის კედელზე. ეკლესიის ჩრდ. კედელში ორი, ხოლო სამხრ-ისაში ერთი მაღალი თაღოვანი სარკმელია.

ეკლესიას დას-ით ეკვრის გეგმით სწორკუთხა კ ა რ ი ბ ჭ ე (4,29XX2,92 *მ*), რ-საც დას-ით თაღოვანი შესასვლელი აქვს. ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებში მაღალი თაღოვანი სარკმლებია. ფასადებზე შემორჩენილია აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდნის ფრაგმენტები. *დვ. თ.*

137. გეგმა



138. ნახშირგორის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 5-7 *კმ*-ზე, ხახაფლაოზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით.

ეკლესიაში შეიმჩნევა ორი სხვადასხვა დროის სამშენ. ფენა: I ფენა განვით. ფეოდ. ხანისაა, II ფენა — გვიანდ. ფეოდ. ხანის. ეკლ. ნაგებია კარგად გათლილი ქვიშაქვის ქვით. გვიანდ. ფეოდ. ხანაში შეკეთების დროს აგური გამოუყენებიათ.

ეკლ. დარბაზულია (13,8X7,3 *მ*). შესასვლელი დას-დანაა. კარი შიგნიდან თაღოვანია, გარედან არქიტრაეითაა გადახურული. სწორკუთხა საკურთხეველი გამოყოფილია წყვილი ბურჯით, რ-ებსაც სამი თაღი ეყრდნობა. შუა თაღი სხვებთან შედარებით ფართო და მაღალია. თაღედის წინ არდაბაგია გვერდებზე ორსაფეხურიანი კიბეებით. საკურთხევლის შუა ნაწილი გადახურულია ოდნავ შეისრული შეკრული კამარით, ხოლო სამკვეთლო და სადიაკვნე ცილინდრული კამარით. საკურთხევლის აღმ. კედელში თაღოვანი სარკმელია. სარკმლის ქვემოთ ნიშია. საკურთხევლის სამხრ. გასასვლელი ნიშისმაგვარადაა ამოშენებული (ხატის ჩასასმელად?). სამკვეთლოსა და სადიაკვნეს თითო სარკმელი აქვთ და მცირე თაღოვანი გასასვლელებით ნავის აღმ. ნაწილში შექმნილ კამაროვან უბეებს უკავშირდებიან. ჩრდ. უბის ჩრდ. კედელში თაღოვანი შესასვლელი (ამოქოლილია) ყოფილა. კარს ზემოთ თაღოვანი სარკმელია. ასეთივე სარკმელი სამხრ. უბის სამხრ. კედელშიც არის. ამ სარკმლის ქვემოთ თაღოვანი ნიშია. დარბაზის შეისრული კამარა უშუალოდ კედლებს ეყრდნობა. სამხრ., ჩრდ. და დას. კედლებში თითო თაღოვანი სარკმელია.

აღმ-ის ფასადზე, ფრონტონში, საკურთხევლის სარკმლის ზემოთ, აგურის წყობაში ჩასმულ ქვაზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი. დას. კედელი ამოყვანილია ორსაფეხურიან ცოკოლზე, რ-ის ქვედა საფეხური სწორკუთხაა, ზედა — ლილვს წარმოადგენს. სამხრ-ისა და ჩრდ-ის ფასადებზე საკურთხევლის ნაწილი

138. გეგმა



რამდენადმე წინწამოწეულია. სამხრ-ის ფასადზე კარის არქიტრავის ზემოთ აგურის წყობაში ჩასმულია სომხურ-წარწერიანი ქვა. მის ზემოთ პატარა თაღოვანი ნიშია. ქვასა და ნიშს შეწყვილებული ლილვით შედგენილი თაღი აქვს. ეკლესიას შემოვლებული აქვს აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდანი. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით. *დვ. თ.*

# მუხათგვერდი

(მცხეთის საქალაქო საბჭო)

139. მუხათგვერდი I, სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ბორცვზე: თბილის — მცხეთის საავტ. გზის მე-15 *კმ*-ზე. თარიღდება IV-VIII ს-ით.

სამაროვანი დაზიანდა საქართვ. სამხ. გზის გაყვანის დროს; 1975-76 წწ. აქ გათხრები აწარმოვა მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). სამაროვანი დაცულია. სამაროვანზე გაითხარა ერთმანეთთან ახლოს ჩადგმული უხეშად დამუშავებული ქვის ლოდებისაგან შედგენილი წაგრძელებული ოთხკუთხა ბანურსახურავიანი ქვაყუთები. თითოეულ სამარხში დაკრძალული იყო ერთიდან ხუთამდე მიცვალებული, გულაღმა, გაშოტილი, თავით დას-კენ. სამარხებში ძირითადად აღმოჩნდა სამკაული — საკინძები, სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივები, სასანური მონოგრამიანი მძივსაკიდი და სხვ. აღმოჩენილი ნივთები ინახება მმაე-ს ბაზაზე.

ბიბლ.: 261; 277:462-463. *ნ. ა.*

140. მუხათგვერდი II, არქეოლ. ძ. მდებარეობს თბილის — მცხეთის საავტ. გზის მე-19 *კმ*-ზე, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე.

ძ. 1979-80 წწ. გათხარა მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). გამოვლინდა სამი ქრონოლ. ფენა: ადრინდ. ბრინჯაოს, გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინისა და ადრინდ. ანტ.-ადრინდ. ელინისტ. ხანისა.

ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ფენაში გამოვლინდა ქვაყრილიანი სამეურნეო ორმოები (დიამ. 1,4-1,5 *მ*), რ-ებშიც აღმოჩნდა სხვადასხვა ზომის შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭელი, ობსიდიანის ანატკეცები, საქონლის ძვლები, მრგვალი, სამფეხილიანი თიხის კერები (დიამ. 0,65-0,7 *მ*), რ-ებიც ამოვსებული იყო ნახშირითა და ნაცრით.



140. სამაროვნის საერთო ხედი



140. თიხის კერა

გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანის ფენაში დადასტურდა ქვაყრილიანი, ქვაწრიანი, ქვიშაქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები. სამარხებში მიცვალებულები ესვენა კიდურებმოკეცილი, მამაკაცები მარჯვ., ქალები მარცხ. გვერდზე, თავით ჩრდ.-აღმ-კენ. აღმოჩნდა სამარხი-კენოტაფებიც. სამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი (ქვაბქოთნები, დერგები, ჯამები და სხვ.), იარაღი (სატევრები, შუბისპირები, ისრისპირები და სხვ.) და სამკაული (სამაჯურები, საკინძები, მძივები და სხვ.).

ადრინდ. ანტ.-ადრინდ. ელინისტ. ხანის ფენაში დადასტურდა ქვაყუთები (1,1X0,7 *მ*). მიცვალებულები ესვენა ხელფეხმოკეცილი, მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე. ქვაყუთებში აღმოჩნდა შავად და მოჩალისფროდ გამომწვარი ხელადები, ჯამები, ქოთნები, კოჭობები, რამდენიმე წითლად შეღებილი ხელადა და ჯამი; რკინის შუბისპირები, მოხრილი დანები და სამაჯურები, საკინძები, სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივები. *ბ. ლ., ჭ. თ.*

141. რეაქტორი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის კვლევითი ბირთვული რეაქტორი, ისტ., არქიტ. ძ. მდებარეობს მცხეთა — თბილისის საავტ. გზის მე-18 *კმ*-ზე. ამუშავდა 1959 წ. რ. ჰეტეროგენულია, აუზის ტიპისა. 1967 და 1973 წწ. განხორ-

ცილებული რეკონსტრუქციის შედეგად სითბური სიმძლავრე 2000 *კვტ*-დან 8 000 *კვტ*-მდე გაიზარდა. 1961 წ. პირველად სსრ კავშირში რ-ის აქტიურ ზონაში დაიდგა კრიოგენული მარყუჟი, რის შედეგადაც ტემპერატურამ ამ ზონაში მიაღწია 80 K. ბირთვული რეაქტორის გახსნამ საქართველოში შექმნა პირობა ატომური ტექნიკის, ნეიტრონული ფიზიკის, რადიაციული ბიოლოგიის, რადიაციული ქიმიის, ბირთვული ფიზიკისა და სხვა დარგების განვითარებისათვის. *ჭყ. თ.*

## მუხრანი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

142. მუხრანი, მ უ ხ ნ ა რ ი, ისტ.-გეოგრ. ერთეული, ისტ. ძ. მასში შედიოდა ძირითადად მუხრანის ველი მიმდებარე მიწებითურთ. სახელწოდება წარმოდგება „მუხიდან". მ-ის ფიზიკურ-გეოგრ. პირობები უძველესი დროიდანვე ქმნიდა სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის განვითარების შესაძლებლობას. ძვ. წ. III-II სს-ში მ. დიდი მცხეთის სასოფლო გარეუბანს წარმოადგენდა. აქ გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამიმოსვლო გზები. ანტ. ხანაში და განვით. ფეოდ. ხანაში მ-ისა (ბარი) და თრიალეთის (მთა) კავშირმა დიდი როლი შეასრულა ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოშობაში, შემდეგ კი — საქართველოს სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში II-IV სს-ში მ-ის ცენტრი იყო ქალაქი ძალისი. ვახტანგ გორგასალის ეპოქაში მ. ბაზალეთთან ერთად წილკნის საეპისკოპოსოს ბირთვად იქცა. ოსეთში ლაშქრობის წინ გორგასალი თავისი ლაშქრით მ-ში დაბანაკდა. VIII-IX სს-ში მ. კახთა მთავრების — ქორეპისკოპოსთა უფლებაში გადავიდა, რ-ებმაც იგი თავის ვასალებს — ძაგანისძეებს უწყალობეს სამოხელეოდ. ძაგანისძეთა ძლიერი ფეოდ. საგვარეულოს წარმომადგენლები თავს „ზედაზნის ერისთავთერისთავებსა და მუხრანის მფლობელებს" უწოდებდნენ. X ს-ში ლეონ აფხაზთა მეფემ (957-67 წწ.) კახეთისათვის წარმოებული ბრძოლების დროს მოახერხა მუხრანის ხელში ჩაგდება, მაგრამ კახეთის ხელისუფლებმა იგი კვლავ დაიბრუნეს. 1223 წ. დავით აღმაშენებელმა ძაგანისძეებს ზედაზნის ციხესთან ერთად მუხრანის ქვეყანაც წაართვა და მის სამართავად საკუთარი მოხელე — „გამგე მუხრანისა" დაადგინა. მ. სამეფო დომენად იქცა, რ-ის ყმა-მამულის ნაწილი შიომღვიმისა და სვეტიცხოვლის მონასტრებს ებოძათ. XI-XII სს-ში მ. ეკონომიურად მეტად დაწინაურდა. განახლდა ძვ. და აშენდა ახ. სარწყავი სისტემები და წყალსადენები, დაწინაურდა სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი. გაიშალა კულტ.-საგანმ. საქმიანობა. მონღოლთა, თემურლენგისა და სხვა დამპყრობთა შემოსევებმა დააზარალეს და მოშალეს მ-ის მეურნეობა. XVI ს-ში მ. ქართლის სამეფო სახლის კუთვნილებაა. 1512 წ. ქართლის მეფის დავითის უმცროსმა ძმამ ბაგრატმა მ-ის საუფლისწულოდ გადაცემა და შიდა ქართლის სპასპეტობა ითხოვა, სამაგიეროდ კახეთის მეფე ავ-გიორგისთან შებრძოლება იკისრა. დავითმა მისცა ძმას საუფლისწულოდ მ. და შიდა ქართლის სადროშოს სარდლად დანიშნა. ასე შეიქმნა სამეფო მამულებისაგან სათავადო სამუხრანბატონო ანუ სამუხრანო. XVI-XVII სს-ში მუხრანბატონები ქართლის ხუთ დიდებულ თავადთა რიცხვში შედიოდნენ და დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ბაგრატის შემდეგ სამუხრანბატონოს მისი შთამომავლები (აშოთანი, ვახტანგი, თეიმურაზი, ქაიხოსრო) განაგებდნენ. 1658 წ. მუხრანბატონმა ვახტანგ თეიმურაზის ძემ ქართლის მეფობაც მიიღო და ვახტანგ V-ის (შაჰ-ნავაზის) სახელით განაგებდა ქვეყანას. მუხრანის სათავადოს ცენტრი იყო ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფელი მ უ ხ რ ა ნ ი, რ-საც XVIII ს-ის 70-იან წლებამდე შ ი ო ს უ ბ ა ნ ი ერქვა. მუხრანის სათავადოს შექმნის შემდეგ აქ გაიშალა მწიგნობრულ-საგანმან. საქმიანობა, ამრავლებდნენ ხელნაწერებს, მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და პოეტები — ბაგრატ მუხრანბატონი (XVI ს.), კონსტანტინე მუხრანბატონის მეუღლე ბარბარე (XVIII ს.), გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელი (XVIII-XIX სს.) და სხვ.

(ა) ქართლის მეფე სიმონ I იბრძოდა აღმ. საქართველოდან ოსმალთა მთლიანად განდევნისათვის. ქართლისა და კახეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა ალყა შემოარტყა თბილისს. თბილისის გარნიზონის დასახმარებლად წამოსული ოსმალთა 20-ათასიანი ლაშქარი მუხრანის ველზე დაბანაკდა. სიმონ I თავს დაესხა მუხრანთან დაბანაკებულ მტერს, სასტიკად დაამარცხა იგი და დიდძალი ნადავლი იგდო ხელთ. ბრძოლა მოხდა 1582 წლის აგვისტოს ბოლოს.

ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტო ქართლის ტახტს განაგებდა 1724 წ-მდე. ამ შტომ მრავალი სახელმწ. მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი (გიორგი XI, ვახტანგ VI, ვახუშტი და სხვ.) მოგვცა. XVIII ს-ის II ნახ-ში მუხრანბატონები მხარში ედგნენ ერეკლე II-ს და თავდადებით იბრძოდნენ ლეკებისა და სხვა გარეშე მტრების წინააღმდეგ. XIX ს-ის 40-იან წლებში რუსულმა მმართველობამ გააუქმა სამუხრანბატონო.

1905-07 წწ. სამუხრანოში მოხდა გლეხთა რევოლუციური გამოსვლები. (ბ) 1905 წ. 5 მარტს მუხრანის კანცელარიაში დაიბარეს სოფლების მუხრანის, ძალისისა და მჭადიჯვრის გლეხები, რ-ებმაც თვითნებურად მოჭრეს ხეები მუხრანის საუფლისწულო ტყეში. საქმის გასარჩევად თბილისიდან ჩამოვიდნენ მაზრის უფროსი და მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკი. სოფლის კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ა ს თ ა ნ გამოცხადდნენ 14 სოფლის წარმომადგენლები, 800-მდე კაცი (ზოგიერთი ცნობით: 3000 კაცი). შეკრებილნი შეიარაღებული იყვნენ ხელკეტებით, ზოგი ცეცხლსასროლი იარაღითაც. გლეხების მიერ არჩეულმა დეპუტატებმა მთავრობას წაუყენეს ცხრაპუნქტიანი მოთხოვნა: ყოველ სოფელს ყავდეს დეპუტატი, რ-იც მონაწილეობას მიიღებს ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის საბოლოო გადაწყვეტაში: სხვა წოდების წარმომადგენლებსაც მიეცეს სოფლის საზოგადოების წევრობის უფლება: გლეხობას გადაეცეს სოფლის ტერიტორიაზე არსებული მთელი საადგილმამულო საკუთრება: დესეტინა სახნავ მიწაში გლეხმა ხაზინის სასარგებლოდ მხოლოდ 10 კაპ. გადაიხადოს, ხოლო საძოვარი და ტყე უნდა იყოს უფასო: მღვდელმა გასამრჯელო მიიღოს გლეხების მიერ დაწესებული ნიხრის მიხედვით: ბიბლიოთეკები იყოს თავისუფალი, ცენზურის გარეშე: ჯარში წაყვანილი ახალგაზრდობა ამიერკავკასიაში მსახურობდეს: სკოლები გაიხსნას როგორც სახელმწიფო, ასევე სოფლის ხარჯზე, სამეურნეო განხრით, სწავლება იყოს ქართულ ენაზე, ნაწილობრივ რუსულადაც: მოიხპოს აქციზი, გამოცხადდეს წერისა და ბეჭდვის თავისუფლება. დეპუტატებმა მთავრობას მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად 14 მარტამდე მისცეს ვადა. აჯანყებულთა დასასჯელად თბილისიდან ერთი ბატალიონი ჯარი გაიგზავნა. ჯარი ჩაუყენეს სოფლებს: ძალისს, წილკანს, მჭადიჯვარს, რ-თა გლეხობამ განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა მიიღო გამოსვლებში.

მჭადიჯვრელმა გლეხებმა უარი თქვეს თავად ივანე ბაგრატიონ-მუხრანბატონისთვის ღალის გადახდაზე. ბოქაულმა დააპატიმრა სამი გლეხი და დასჯით დაემუქრა. მჭადიჯვრელმა და ახლომახლო სოფლების გლეხებმა დაპატიმრებულები გაათავისუფლეს. სოფელში გაიგზავნა ჯარი (ნახევარი ასეული და რამდენიმე კაზაკი). მათ მოსახლეობას ძალით წაართვეს ღალა.

(გ) 1905 წ. 3 აგვ. მ უ ხ რ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი ს ს ა ხ ა ხ ლ ე ს თ ა ნ (ახლანდ. მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობა) თავი მოიყარა 1000-მდე გლეხმა. ჯარისკაცებსა და გლეხებს

შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება, რასაც გლეხების მხრივ მსხვერპლი მოჰყვა. 5 აგვ. მუხრანბატონის დასახმარებლად ჯარით ჩამოვიდა თავადი ამილახვარი, მაგრამ ვერას გახდა. 10 აგვ., ღლიხით გლეხებმა თავადი ივანე მუხრანბატონი მოკლეს.

(დ) 1906 წ. 28 იანვ. რევოლუციონერ მოთავეთა შეპყრობის მიზნით სოფელში გაიგზავნა რამდენიმეათასიანი კარგად შეიარაღებული კაზაკთა რაზმები. 28 იანვ. დილით კაზაკებმა ხალხი ძალით შეკრიბეს ს ო ფ ლ ი ს  ს კ ო ლ ა ს თ ა ნ და მოსთხოვეს რევოლუციონერ აგიტატორთა დასახელება. ხალხმა არ გასცა აგიტატორები. მაშინ ექვემიტანილთა სახლებს ზარბაზნებიდან ყუმბარები დაუშინეს და დაანგრიეს, ხოლო სოფელს აგიტატორთა დაფარვისათვის ფულადი ჯარიმა შეაწერეს და გადასახადიც ერთიორად გადაახდევინეს.

(ვ) 1922 წ. დასაწყისში სოფლის გლეხობამ დააარსა ამხანაგობა „მეგობრობა". იურიდიულად გაფორმდა საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1922 წ. 15 თებ. გადაწყვეტილებით. ამხანაგობას ჰქონდა წესდება.

ბიბლ.: 201დ; 220 დ; 327:256-259; 401:1906 წ., 7 აპრილი, № 20; 413: 1905 წ., 17 აგვისტო; 404:1921 წ., მარტი, № 15; 421: ალწ. 1, საქ. 505, ფ. 288.

*ქ.ქ., ჭყ.თ.*

143. გმირთა ხსოვნის მემორიალი, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. აღმართულია თბილის-გორის საავტ. გზის 45-ე კმ-ზე, ტრასიდან 400 მ-ზე, მარჯვნივ, მინდორში, სოფლის მისადგომებთან. ეძღვნება 1941-45 წწ. დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას. გაიხსნა 1981 წ. არქიტექტორები შ. ბოსტანაშვილი, ვ. დავითაია; მოქანდაკეების ე. ბურჯანაძისა და რ. კოზლოვსკის მონაწილეობით არქიტექტურის მსოფლიო ბიენალზე „სოფია-1983" (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა) მონუმენტის არქიტექტურისათვის ავტორებს მიენიჭათ ლაურეატის წოდება და ქ. პლევენის პრემია.

ოთხი მასიური, მეოთხედწრით დასრულებული პილონი, როგორც ოთხი ხელის მტევანი, იფარავს მათ შუა აღმართულ ორნამენტირებულ „სიცოცხლის ხეს". ერთი სიმაღლის (13 მ) ხუთივე ელემენტი მოპირკეთებულია ქვლარის თეთრი ქვით და დაფუძნებულია რუხი ბაზალტის ფართო ბაქანზე. კომპოზიცია მრავალპლანიანია, მაგრამ იკითხება როგორც სიმეტრიული, შეკრული, გამჭოლი კუბური მოცულობა. ჩრდ.-დას-ის, ერთმანეთისგან ოდნავ დაშორებული ორი პილონი ქმნის შუქ-ჩრდილების დამატებით ეფექტს. „ინტერიერში" მახვილი რაკურსებით, დეკორატ. ხერხებით შექმნილია ამაღლებული და საზეიმო განწყობა. პილონების კედლებზე ამოკვეთილია შინმოუსვლელი 300 მუხრანელის სახელი და გვარი.

ბიბლ.: 205.

*კ. ს.*

144. ნამოსახლარი მელიების გორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ალმ-ით 1 კმ-ზე, ადგილ ჭაპურში, ოვალური ფორმის ხელოვნურ გორაზე (სიგ. 100 მ, სიმ. 8-10 მ). ზედაპირზე შეგროვილი მასალით ნამოსახლარი თარიღდება ადრინდ. და გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. *ბ. ა.*

145. ნამოსახლარი ნაცრიგორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, გორაზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. გორაზე (დიამ. 60 მ, სიმ. 5-6 მ) აღმოჩენილია ადამიანის ძვლები და ბრინჯაოს ნივთები.

*ბ. ა.*

146. სასახლე, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში, ე. წ. გალავნის უბანში. აგებულია XIX ს-ში. ს. ეკუთვნოდა ინგლის-ბურების ომის (1899-1902წწ.) აქტიურ მონაწილეს ნიკო გიორგის ძე ბაგრატიონს (ნიკო ბური, ავტორი წიგნისა „ბურებთან").

ს. (17,3 X 17,3 მ) სამსართულიანია, ნაგებია აგურით. დგას გლუვ ცოკოლზე. მთავარი შესასვლელი ალმ-ითაა. შესასვლელის ღერძზე ორმარშიანი კიბის უჯრედია. პირველ სართულზე კიბის უჯრედის მარცხნივ (სამხრ-ით) ერთი დარბაზია (5 X 11, 5 მ), მარჯვნივ — ორი ოთახი, რ-თა შორის ვიწრო დერეფანია. დერეფნის ერთი ბოლო კიბის უჯრედს უკავშირდება, ხოლო მეორე — დამხმარე სათავსს. მეორე სართულის გეგმა ძირითადად პირველისას ემთხვევა მესამე, მანსარდის სართულზე უფრო პატარა ოთახებია, ვიდრე პირველსა და მეორეზე. თითქმის ყველა ოთახშია ბუხარი და ნიში.

ალმ. ფასადზე, პირველსა და მეორე სართულზე თაღოვანი, ექვსმალიანი ლოჯიებია, ხოლო მესამეზე, ფრონტონის ცენტრ. ნაწილში — ხისსვეტებიანი, აჟურული თაღებითა და მოაჯირით შემკული სწორკუთხა აივანი. სამხრ-ით, მესამე სართულზე ასეთივე აივა-

146. საერთო ხედი





146. გეგმა

ნია, მეორეზე — რკინის შეკიდული აივანი. ს-ს ჩრდ.-დას-ით, ორი სართულის სიმაღლეზე ვიწრო სწორკუთხა დამხმარე სათავსი (2,8 X 7,9მ) აქვს მიშენებული. *დე. თ.*
147. სასახლე, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ.-აღმ-ით. აგებულია XIX ს-ის II ნახ-ში. ს. ეკუთვნოდა მსხვილ ქართვ. მემამულეს, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტს ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონს (1809-95 წწ.), რ-იც ფლობდა 25 ათას დესეტინა მიწას. მან დიდ წარმატებას მიაღწია მეურნეობის კაპიტალისტურად გარდაქმნის საქმეში. 1876 წ. ი. მუხრანბატონმა საფრანგეთიდან მოიწვია მეღვინე სპეციალისტები, დაიხმარა ცნობილი ქართვ. მეღვინე ზ. ჯორჯაძე და მუხრანში ააგო ღვინის ქ-ნა (ტევადობა დაახლ. 1 მლნ. 200 ათ. ლ), სადაც ღვინოს ევროპული წესით აყენებდნენ. 1882 წ. ამ ქარხანაში დამზადებულმა ღვინომ მოსკოვის გამოფენაზე დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო — სახელმწიფო გერბი. ღვინის ქ-ნა სასახლის ერცელ კამაროვან სარდაფებს გვირაბით უკავშირდებოდა.

ს. (53 X 41 მ) ნაგებია აგურით, გარედან შელესილია. დგას მაღალ ცოკოლზე. მისი ძირითადი კორპუსი ორსართულიანია, რ-ის მთავარი, სამხრ. ფასადის აღმ. კიდეში სამსართულიანი წახნაგოვანი კოშკი დგას, ხოლო დას. კიდეში ორსართულიანი ნახევარწრიული ერკერია. ამ ორ ასიმეტრიულ მოცულობას შორის მოქცეული საზეიმო კიბე განიერ ტერასაზე ადის. კიბის პირდაპირ მთავარი შესასვლელია, საიდანაც შეიძლება შესვლა კვადრ. ჰოლში. ჰოლი გვერდითი კარებით სასახლის შუა რიგის სათავსებს უკავშირდება, ხოლო მთავარ ღერძზე გაჭრილი კარით — სამეჯლისო დარბაზს (7,4X17,3 მ, სიმ. 6,8 მ), რ-საც ჩრდ-ით ნახევარწრიული აფსიდი აქვს, აფსიდში სცენაა მოწყობილი. ტერასის მარცხ. კიდეში არსებული შესასვლელით სასახლის დას. ნაწილის დერეფანში შეიძლება შესვლა. სამეჯლისო დარბაზის ორივე მხარეს, სამხრ.-ჩრდ-



147 სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკი

147 განივი განაკვეთი აღმ-კენ. გეგმა





ის ღერძზე, ორივე სართულზე სამეურნეო, სანიტარული და სხვ. დანიშნულების სათავსებია განლაგებული. ს. დამატებითი შესასვლელებიც აქვს აღმ., დას. და ჩრდ. მხარეს. ჩრდ-ით, დამხმარე სათავსებს შორის ორი ორმარშიანი კიბის უჯრედია. მეორე სართულზე, შუა რიგში, პირველი სართულის ტერასის სიგანეზე, ღრმა ლოჯიაა, რ-იც თავდაპირველად შემინული ყოფილა. ს-ის დას. ნაწილში, ორივე სართულზე, დარბაზები, საცხოვრებელი და საძილე ოთახები მრავალი გადასასვლელითა და დერეფნითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ბევრია ღია ტერასაც. ყველა სათავსს დიდი ფანჯრები აქვს.

ფასადებზე ფანჯრები ორ იარუსადაა განლაგებული. იარუსებს შორის პროფილირებული სარტყელია, ქვედა იარუსის კარ-ფანჯარა ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, ხოლო მეორე იარუსის ფანჯრების გადახურვა ბრტყელია და მხოლოდ კუთხეებთანაა მომრგვალებული. ფანჯრებს შორის გლუვი ან შუაში ამოღარული პილასტრებია, რ-თა პროფილირებულ კაპიტელებს ფანჯრის გადახურვის იმპოსტები ეყრდნობა. პარაპეტები, მეორე სართულის ფანჯრებს ზემოთ, და ტერასების მოაჯირები ორნამენტირებულია. ს-ის ნივნიევზე გამართული სახურავი თუნუქისაა. *დე. დ.*
148. ციხე-გალავანი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას. მხარეს, მდ. ქსნის მარცხ. ნაპირზე, ისტ. ში-

ოსუბანში. ც.-ბ. (ფართ. 2,5 ჰა) შედგება ციტადელისა და გალავნისაგან. ციტადელის ოთხივე კუთხეში ცილინდრული კოშკი დგას (ყველა დაზიანებულია), ხოლო ჩრდ.-აღმ. ნაწილში — კარის ეკლესია (დაზიანებულია). ციტადელის სამხრ. კედელთან მდგარი ს ა ს ა ხ ლ ე მთლიანად დანგრეულია. გალავნის შიგნით ორი ეკლესია დგას — გრიგოლ განმანათლებლის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლ. და დარბაზული ეკლ. საშენ მასალად გამოყენებულია რიყის ქვა, ყორე ქვა და აგური.

ციტადელის ჭიშკრის თავზე არსებული წარწერის თანახმად, ც.-ბ. XVIII ს-ის 30-იან წლებში აუგია მამუკა მუხრანბატონს ლევან მუხრანბატონის დახმარებით. 1756 წ. ძლიერ დაზიანებული ციხე განუახლებია მეფის სახლთუხუცესს — კონსტანტინე მუხრანბატონს.

(ა) ც ი ტ ა დ ე ლ ი გეგმით კვადრატს (56 X 54 მ) უახლოედება. მასში შესვლა მხოლოდ გალავნის გავლით შეიძლება. ჭიშკარი აღმ-ის კედლის ცენტრშია გაჭრილი. შესასვლელის ნახევარწრიული თაღი პროფილირებულკაპიტელებიან პილასტრებს ეყრდნობა. თაღის არე მთლიანად ჩასმულია მაღალ ოთხკუთხედში და ხერხისებურად ნაწყობი აგურის ლავგარდნითაა დასრულებული. ციტადელის კედლები შიგნიდან ორიარუსიანია. ქვედა იარუსი განიერია, ზედა კი 0,5-0,7 მ-ით ვიწრო. ამ სხვაობით იქმნება საბრძოლო ბილიკი, რ-იც მთელ სიგრძეზე მიჰყვება კედლებს. საბრძოლო ელემენტები მხოლოდ ზედა იარუსზე ერთ ჰორიზონტზე, ერთმანეთისაგან 4-5 მ დაცილებით არის განლაგებული. კედლები მთავრდება ნახევარწრიული ქონგურებით (შემორჩენილია კვალი).

ციტადელის კ ო შ კ ე ბ ს შორის ყველაზე დიდია ჩრდ.-აღმ-ის ოთხსართულიანი კოშკი, ე. წ. მ ა მ ა - ბ უ რ ჯ ი, შესასვლელი მეორე სართულზეა, ეზოს მხარეს; კარის თავზე, კედელში ჩასმული იყო მომცრო მარმარილოს ქვა მხედრ. წარწერით (ქვა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში). კოშკის პირველი სართული ცილინდრულია, გადახურულია დამჯდარი კამაროვანი გუმბათით, კედელში ჩაყოლებულია კიბე. ამ სართულზე სამი სარკმელია. იატაკის შუაგულში ჭაა, რ-იც ახლა 3 მ ქვემოთ ამოვსებულია ქვებით. მეორე სართული დაბალია, აქვს რვაწახნაგა პრიზმის ფორმა და გადახურულია სხივური კამარით. კამარაში გაჭრილია ოთხი სარკმელი. ჩრდ-ის ერთ-ერთ წახნაგში ბუხარია ჩაშენებული. ღრმა ოთხკუთხა ნიშებში წყვილი სა-




148 გეგმა: I. გალავანი, II ციტადელი; 1. დარბაზული ეკლესია, 2. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია, 3. კარის ეკლესია, 4. მარანი



148(ა). ჩრდ.-აღმ-ის კოშკი

თოფურია, რ-ებიც გარეთ ერთიანდება. დანარჩენი სათოფურები მესამე სართულზე ასასვლელი კიბის გარე კედელშია განლაგებული. მესამე სართულიც გეგმით მრავალწახნაგაა. წახნაგები სხივური კამარისაგან ლავგარდნითაა გამოყოფილი. ერთ წახნაგში კარია, მის მარცხნივ ღრმა ნიშია ხუთი წვრილი სათოფურით, შემდეგ ორ წახნაგში სწორკუთხა სარკმლებია ორ-ორი სათოფურით. ასეთივე სამი სარკმელია კიბის მარჯვ. მხარეს. ცენტრ. წახნაგი გეომეტრიული და ფოთლოვანი ჩუქურთმით მორთულ მაღალ ბუხარს უკავია. კამარის წახნაგებზე სქელი ბათქაშით გამოყვანილია რვა ფართო სხივი ცენტრში მედალიონით. ოთხ წახნაგში ასიმეტრიულად განლაგებულია სარკმლები, დანარჩენებში კი ნიშებია. ისრულთაღიანი სარკმლები და ნიშები ჩასმულია ოთხკუთხა პროფილირებულ ჩარჩოში. მეოთხე სართული საბრძოლო ბანია, რ-ზე ასვლაც კედელში დატანებული კიბით შეიძლება. ბანის მაღალ კედელში მიჯრითაა განლაგებული სალოდეები, საზარბაზნეები და სათოფურები. კოშკი მთავრდება ერთ ჰორიზონტალზე განლაგებული ნახევარწრიული ქონგურებით. მამა-ბურჯი მდიდარი ფეოდალის საცხოვრებელ-სათავდაცვო კოშკის ნიმუშია.

დანარჩენი სამი კოშკი სამსართულიანია და ძირითადად ჩრდ.-აღმ. კოშკის მსგავსი. სამხრ.-აღმ-ის კოშკს პირველსა და მეორე სართულზე შესასვლელი ცალ-ცალკე აქვს. სამხრ.-დას-ის კოშკში სართულშუა გადახურვა ბრტყელია. ოთხივე კოშკს ერთნაირი, აგურის ჰორიზ. კბილანებით

დასრულებული, მაღალ სწორკუთხედში ჩასმული შეისრულთაღიანი კარი აქვს. ერთმანეთისაგან 0,3-0,4 მ-ით დაცილებული აგურის პორიზ. ფენებს შორის მოთავსებულია თევზიფხურად ნაწყობი ქვების ორ-ორი ან სამ-სამი რიგი.

(ბ) კარის ეკლესია ციტადელის ჩრდ.-აღმ. ნაწილში დგას, დარბაზულია (13 X 7,5 მ). XX ს-ის 20-იან წლებში იგი გადაუკეთებიათ. შიგ ფურნე გაუმართავთ და კედლები კირით შეუთეთრებიათ. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს, დას-ით და სამხრ-ით. ღრმა აფსიდში ხუთი ნიში და სამი სარკმელია; აფსიდის ღერძზე გაჭრილი სარკმელი აღმ. ფასადზე გადის, ხოლო დანარჩენი ორი სამხრ-ისა და ჩრდ-ის ფასადებზე. დარბაზი გადახურულია ორ საბჯენ თაღზე დაყრდნობილი კამარით. ჩრდ. კედელში სიმეტრიულად განლაგებულია სამი სარკმელი, ხოლო სამხრ-ისაში — ორი. ფასადებზე აგურის წყობით გამოყვანილია დეკორატ. რომბები და ჯვრები. ლავგარდანი აგურისაა.

148(ბ). გეგმა



XIX ს-ში ეკლესიისათვის დას-ით მიუშენებიათ აგურის მასიური კ ა რ ი ბ ჭ ე. იგი ოთხ სვეტზე დგას და გადახურულია კამარით. იმავე ხანისაა კარიბჭეზე დადგმული ექვსწახნაგა ღია ს ა მ რ ე კ ლ ო.

(გ) ციტადელის სამხრ. კედლის გაყოლებაზე მ ა რ ა ნ ი ა (36 X 5 მ). მიწაში ჩადგმულია სხვადასხვა ზომის ორმოცდაათამდე ქვევრი. მარნის კედლები და სახურავი გვიანდელია.

(დ) გ ა ლ ა ვ ა ნ ი ციტადელს აღმ-ითა და ჩრდ-ით აკრავს. იგი გეგმით კვადრატს უახლოვდება (155 X 160 მ). შემორჩენილია დას-ის კედელი და სამხრ-ისა და აღმ-ის კედლების მცირე ფრაგმენტები. გალავნის ჩრდ.-აღმ. და ჩრდ.-დას. კუთხეებში ცილინდრული კოშკები მდგარა (მხოლოდ კვალია შემორჩენილი).

(ე) გ რ ი გ ო ლ გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა ცენტრ.-გუმბათოვანი ნაგებობაა (19,6 X 11, 5 მ). ეკლესიის გუმბათი ჩანგრეულია. სამხრ-ითა და დას-ით შიგნიდან თაღოვანი, ხოლო გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელებია. ბემიანი აფსიდის გვერდებზე სადიაკვნე და სამკვეთლოა, მათ თავზე — თითოსარკმლიანი საიდუმლო ოთახები.



148(ე). გეგმა

ეკლესიის გუმბათი აღმ-ით საკურთხევლის კუთხეებს ეყრდნობა, ხოლო დას-ით პილონებს. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათზე გადასვლა ხდება აფრების საშუალებით. ეკლესიის გუმბათქვეშა მკლავებში თითო სარკმელია, ხოლო ეკლესიის გრძივ კედლებში — სამ-სამი. დას-ის კარის ორივე მხარეს პატრონიკეზე ასასვლელი კიბეებია.

ფასადებზე დეკორატ. თაღებია. ცენტრ. თაღებს გვერდებზე რომბები და ჯვრები დაუყვება. სამხრ-ის კარის არქიტრავზე ქართ. და სომხური სამშენ. წარწერაა, რ-ის მიხედვით ეკლ. აგებულია 1844 წ. მუხრანში მცხოვრები სომხური მოსახლეობისათვის „კეთილნებითა თავადისა მუხრანბატონებისა".

(ვ) დ ა რ ბ ა ზ უ ლ ი ე კ ლ ე ს ი ა (14,1X5,8 მ) ნაშენია აგურით. აგებულია XIX ს-ის I ნახ-ში. შესასვლელი დას-იდან და სამხრ-დანაა. შეისრული კონქით გადახურულ ღრმა აფსიდში სამი სარკმელი და ხუთი თაღოვანი ნიშია. შეისრული კამარა ხამ თაღს ეყრდნობა. დარბაზის სამ კედელში ორი სარკმელი და ერთი ნიშია, ჩრდ-ის კედელში სამი სარკმელია. სარკმლების გარე, საფასადო პირი ამოყვანილია კარგად გათლილი ქვით. ლავგარდანი აგურისაა.

ეკლესიას დას-ით და სამხრ-ით ღია კ ა რ ი ბ ჭ ე ე ბ ი აქვს მიშენებული. კარიბჭეთა სვეტებს მარტივპროფილიანი კაპიტელები და ბაზისები აქვთ. თაღები თლილი ქვითაა ამოყვანილი.

ბიბლ.: 32:148-151; 104; 301:46. ზ. პ.

## ნავდარაანთკარი

(გალავნის სოფსაჭო)

149. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას. სოფლის ხასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია, ნაგებია რიყის ქვით. ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია მხოლოდ სამხრ.-დას-ის კუთხის ნაწილი დაახლ. 1,5 მ სიმაღლეზე დვ. თ.

150. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით 1,5 კმ-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება. ადრინდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (12,4 X 8,05 მ), ნაგებია რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია. ჩანგრეულია კონქი და კამარა, დანგრეულია კედლების ზედა ნაწილები, ფასადებზე საპირე ქვები უმეტესად ამოცვენილია, დანგრეულია გვიანდ. მინაშენის ჩრდ.-დას. კუთხე და ჩანგრეულია მისი კამარის მნიშვნელოვანი ნაწილი. მოგვიანებით ეკლ. შეუკეთებიათ. დარბაზი ახალი კამარით გადაუხურავთ (შემორჩენილია ქუსლის ნაწილები გრძივ კედლებზე), სამხრ. კედელში გაჭრილი სარკმელი დაუდაბლებიათ და დაბალი თაღით გადაუხურავთ. შესასვლელი სამხრდანაა. კარი შიგნიდან არქიტრავითაა გადახურული, ხოლო გარედან ტიმპანი აქვს. აღმ-ით მცირე მხრებით გამოყოფილი აფსიდია, რ-ის ღერძზე ერთი ფართო სარკმელია. ერთი სარკმელი (გადაკეთებულია) ეკლესიის სამხრ. კედელშიცაა. ამავე კედლის აღმ. ნაწილში შემორჩენილია კედლიდან გამოშვერილი საფეხური (საბჯენი თაღისათვის?).

ეკლესიას ჩრდ-ით სწორკუთხა მ ი ნ ა შ ე ნ ი აქვს. იგი ეკლესიაზე



148(ვ). გეგმა

მოკლეა. მინაშენში ეკლესიიდან შეიძლება შესვლა. მინაშენს აღმ-ით ვიწრო სწორკუთხა სარკმელი აქვს, გადახურულია დამრეცი კამარით. *დვ. თ.*

151. წმ. გიორგის ნიში, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, წმ. გიორგის ეკლესიიდან 10-15 *მ*-ზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ეკლ. (2,5 X 2,1 *მ*) ნაგებია რიყის ქვით. დაზიანებულია. შესასვლელი დას-დანაა. აღმ. კედელში პატარა სწორკუთხა ნიშია. ეკლ. გადახურულია დაბალი კამარით. *დვ. თ.*

## ნარეკვავის გორანამოსახლარი,

იხ. სოფ. წეროვანი, ნარეკვავის გორანამოსახლარი

## ნასტაგისი

იხ. სოფ. ქსანი, ნასტაგისი

## ნატახტარი

(მისაქციელის სოფსაბჭო)

152. ნატახტარი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. არაგვის მარჯვ. მხარეს, საქართვ. სამხ. გზაზე, მცხეთიდან 14 *კმ*.

სოფლის ძვ. სახელწოდებაა საფურცლე (ამ ადგილას გავრცელებული ყოფილა სააბრეშუმე თუთის ხის ჯიში). ისტ. წყაროებში II ს-დან მოიხსენიება. II ს-ში ქართლის მეფე ამაზასპმა აქ დაამარცხა ალანთა ლაშქარი. გადმოცემით IV ს-ში ქართველთა განმანათლებელ ნინოს მცხეთის მოსახლეობასთან ერთად საფურცლელი მწყემსებიც მიეგებნენ. 1514 წ. კახეთის მეფემ გიორგი II-მ (ავგიორგი) საფურცლეში მოკლა მამამისი ალექსანდრე I. სოფელი სამუხრანბატონოს შექმნამდე სვეტიცხოვლის კუთვნილება იყო. XVII ს-ის 20-იან წლებში ზურაბ არაგვის ერისთავმა „ხმლით აიღო" სოფელი და სვეტიცხოველს დაუბრუნა. ნ-ზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზები: ე. წ. საქალაქო გზა — ახალგორი — ოძისი — ქსოვრისი — დამპალა — წილკანი — ნატახტარი — საქართველოს სამხ. გზა — თბილისი; მეორე — მეჯვრისხევი — საამილახვრო — ოკამი — თეზი — ალაიანი — მუხრანი — წეროვნის სანახები — ნატახტარი — საქართვ. სამხ. გზა — თბილისი. 1560 წ. თბილისის ციხეში მყოფმა ყიზილბაშებმა საფურცლესთან გამართულ ბრძოლაში შეიპყრეს სიმონ I-ის ერთგული ბაგრატ მუხრანბატონის შვილი არჩილი. 1630 წ. თეიმურაზ II-მ საფურცლეში პურობაზე მოიწვია ზურაბ არაგვის ერისთავი და მოაკვლევინა.

*ბიბლ.:* 64; 72; 152; 201ხ:323; 220გ: 199. *მყ. თ.*

153. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ., ისტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, აგებულია XIX ს-ის II ნახ-ში.

ეკლ. დარბაზულია (12,9 X 7,5 *მ*), ნაგებია აგურით. დაზიანებულია. შესასვლელი დას-დანაა. სწორკუთხა საკურთხეველში ერთი სარკმელია. საკურთხევლის წინ არდაბაგია. დარბაზის გრძივ კედლებზე სამ-სამი ფართო სწორკუთხა სარკმელი და წყვილი პილასტრია. პილასტრებს კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. განივი კედლები დასრულებულია კუთხის პილასტრებზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით. საკურთხევლის წინ, ჩრდ. კედელთან ეკლესიის ამშენებლის გენერალ ჩაჩიკოვის (ჩაჩიკაშვილის) საფლავია, რ-იც 1872 წ. გარდაიცვალა.

ფასადებზე პილასტრები ხაზგასმულია აგურის წყობაში ამოყვანილი მაღალი, ვიწრო ნიშებით. პილასტრების ორსაფეხურიანი კაპიტელები გაერთიანებულია სარტყლით. სარკმლებს აგურის საპირე აქვს. ეკლესიის თაღოვან კარიბჭეზე დაშენებულია სამრეკლო.

(ა) 1918 წ. ეკლესიაში თავს იყრიდნენ მენშევიკური მთავრობის მოწინააღმდეგე რევოლუციონერები და დუშეთის აჯანყების მონაწილეები. *გ. ქ.*

154. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, საქართვ. სამხ. გზის მარცხ. მხარეს. თარიღდება ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (5,1 მX 4,1 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. კუთხეებში და სარკმლებთან უფრო დიდი ზომის ქვებია გამოყენებული. კედლებში მთელ სიგრძეზე ხის ძელები ყოფილა დატანებული (შემორჩენილია ბუდეები). ეკლ. დაზიანებულია: აღარა აქვს ლავგარდანი და სახურავი, კედლებიდან ამოცვენილია ცალკეული ქვები. შიგნიდან და გარედან ტიმპანით დასრულებული შესასვლელი დას-ითაა. ნალისებრი აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს სწორკუთხა ნიშებია. ასეთივე ნიშია ჩრდ-ის კედელში, აფსიდის მხართან. გრძივ კედლებში თითო თაღოვანი სარკმელია. *გ. ქ.*

154. გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა



155. სამაროვნები და ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, თბილისის — დუშეთის საავტ. გზის 31-ე *კმ*-ზე.

ძ. მრავალფენიანია. გათხარა მმაე-მ (ხელმძღ. ა. აფაქიძე). გამოვლინდა შუა და გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანის სამაროვნები და გვიანდ. ანტ.-ადრინდ. ფეოდ. ხანის სამაროვნისა და ნამოსახლარის ნაშთები.

I ფენაში, რ-იც მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა, გამოვლინდა ქვაფენილიანი იატაკის ნაშთები, მოვარდისფროდ გამომწვარი თხელკედლიანი ქვევრის ძირები და ადრინდ. ფეოდ. ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები.

II ფენა შეიცავდა გვიანდ. ანტ ხანის სამარხებს. მიცვალებულები გულაღმა გაშოტილი, თავით დასკენ ესვენა. სამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, სამკაული და ოქტავიანე ავგუსტუსის ვერცხლის მონეტები.

III ფენაში გამოვლინდა შუა ბრინჯაოს ხანის გორასამარხი და კატაკომბური ტიპის სამარხი ნაგებობანი, მ. შ. ორი კენოტაფია. სამარხებში აღმოჩნდა: შავპრიალა რელიეფურორნამენტიანი თიხის ჭურჭელი, წითლად ანგობირებული, შვეროვნებით შემკული დერგები, ბრინჯაოს საკინძები, ბრინჯაოს ყუნწიანი სატევრისპირები.

IV ფენაში იყო გვიანდ. ბრინჯაოადრინდ. რკინის ხანის ქვაყრილიანი ორმოსამარხები. მიცვალებულები ხელფეხმოკეცილი დაუკრძალავთ, მამაკაცები მარჯვ., ქალები მარცხ. გვერდზე. სამარხებში აღმოჩნდა შავად და ლეგა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის იარაღი და სამკაული. მასალები ინახება მმაე-ს ბაზაზე. *ნ. ე.*

## ნიჩბისის ციხე-დარბაზი,

იხ. სოფ. ქვემო ნიჩბისი, ციხე-დარბაზი.

## საგურამო

(სოფსაბჭოს ცენტრი)

156. საგურამო, სოფელი, ისტ. ძ.

მდებარეობს მდ. არაგვის მარცხ. მხარეს, მცხეთიდან 10 კმ-ზე.

ს-ს ტერიტორია შედიოდა ისტ. ხ ე რ კ შ ი, რ-იც, ვახუშტის მიხედვით, ს-თან ერთად თეზმის ხევსაც მოიცავდა. ხერკის ფიზიკურ-გეოგრ. პირობები სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის განვითარების შესაძლებლობას ქმნიდა. VIII-IX სს. ხერკი კახეთის სამთავროში შედიოდა. დავით აღმაშენებლის მიერ კახეთის შემოერთების შემდეგ მასზე კონტროლს საქართველოს სამეფო კარი ახორციელებდა საკუთარი მოხელის საშუალებით. ამავე დროს ხერკის ყმამამულის ნაწილი სვეტიცხოვლისა და შიომღვიმის მონასტრებს ებოძათ. თამარ მეფის დროს ხერკი კვლავ სამეფო სახლის საკუთრებაა და „ქონოვანის ქვეყანაში“ შედის, რ-საც მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ჭიაბერი ფლობს, ნაწილს სამკვიდროდ, ნაწილს სამოხელეოდ. XV ს-დან ხერკი კახეთის სამეფოს შემადგენლობაში, კერძოდ, კახეთის III, რუსთველის ეპისკოპოსის სარდლობის ქვეშ მყოფ სადროშოში შედის. კახთა მეფე ალექსანდრე I-მა (დაახლ. 1476-1511 წწ.) ხერკის ნაწილი გუარამ ზევდგინიძესა და მის ძმებს უწყალობა. ამის შემდეგ ეწოდა მას საგურამო. XVI ს-ის ბოლოს შეიქმნა გურამიშვილების სათავადო, რ-ის ცენტრი სოფ. ს. გახდა.

(ა) 1705 წ. ს-ში დაიბადა დავით გურამიშვილი.

(ბ) 1719 წ. ს-ში მოხდა ვახტანგ VI და კახეთის მეფე დავით II-ის მოლაპარაკება ლეკთა თარეშის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების თაობაზე. (გ) 1750 წ. მეფე ერეკლე II-მ ს-თან სასტიკად დაამარცხა ჭარ-დაღესტნელები.

(დ) 1905 წ. 20 მარტს სოფლის ცენტრში გაიმართა ყრილობა, რ-შიც მონაწილეობა მიიღო 14 სოფლის 2000-მდე გლეხმა. შეკრებილებმა მოითხოვეს: გლეხთა დროებითვალდებულებისა და ხიზნობის გაუქმება; გლეხებისათვის ნადელების უსასყიდლოდ სრულ საკუთრებაში გადაცემა და ე. წ. „ჩამონაჭრების“ დაბრუნება; სახაზინო და საეკლესიო გლეხების საკუთრებაში გადაცემა იმ სახაზინო და საეკლესიო მამულებისა, რ-ებითაც ისინი სარგებლობდნენ; გლეხებისათვის გამოსასყიდი ფულის დაბრუნება და ამ ფულით საავადმყოფოების, სკოლების, გზების აშენება; ყოველგვარი ბეგარის, საეკლესიო გადასახადის და არაყზე, ხაპონზე, ნავთსა და სხვა პროდუქტებზე ბაჟის გაუქმება; სახელმწ. ტყეებისა და სახნავის გლეხებისათვის გადაცემა; წოდებების გაუქმება და ერობის დაწესება, რ-ის წინამძღოლსაც ხალხი აირჩევდა; ჯარის გაუქმება და მილიციის დაწესება; სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების შემოღება და სხვ. მთავრობამ გლეხთა მოთხოვნებს რეპრესიებით უპასუხა.

ბიბლ.: 44 თ; 168ა; 220გ; 268 ბ; 413: 1905 წ., 7 აპრილი, № 2791. ქ.ქ.

157. აბურის საყდარი, არქიტ. ძ. დგას ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის სამხრ-ით 3-4 კმ-ზე, ხშირტყიანი მთის ფერდობზე. ა. ს. შედგება ორი ნაგებობისაგან: მცირე დარბაზული ეკლესიისა და მასზე ჩრდ-დან მიშენებული სამეკლესიიანი ბაზილიკისაგან.

(ა) დ ა რ ბ ა ზ უ ლ ი ე კ ლ ე ს ი ა (5,6X3,5 მ) ადრინდ. ფეოდ. ხანას მიეკუთვნება. ნაგებია ქვიშაქვით, თაღები ნატეხი ქვითაა ამოყვანილი, ზოგან (სატრიუმფო თაღი) კვადრ. აგურიცაა ჩართული. ფასადები მოპირკეთებულია კარგად შერჩეული, მოზრდილი რუხი, ღვინისფერი და მოყვითალო ჟანგმოკიდებული ქვებით. ეკლ. დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა, დანგრეულია დას. და სამხრ. კედლების ზედა ნაწილები. შიგნიდან სწორკუთხა, გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელი დას-ითაა.

157(ბ). ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



საკურთხეველი დარბაზისგან ნახევარწრიული აფსიდის მხრებითა და ბემითაა გამოყოფილი. სატრიუმფო თაღი გადაყვანილია აფსიდის მხრებზე. მას ქუსლის დონეზე თაროსებრი იმპოსტები ჰქონია. აფსიდის ღერძზე გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. ეკლესიის დას. და გრძივ კედლებზე ერთსაფეხურიანი თაღოვანი შეღრმავებებია. ჩრდ. კედლის თაღში სამეკლესიიან ბაზილიკაში გასასვლელი კარია გაჭრილი. კედლებზე აქა-იქ შემორჩენილია შელესილობა. ეკლესიას შემორჩენილი აქვს თაღების მწკრივით დამუშავებული ქვის ლავგარდნის ფრაგმენტები.

(ბ) ს ა მ ე კ ლ ე ს ი ი ა ნ ი ბ ა ზ ი ლ ი კ ა (12X10,7 მ) IX-X სს-ით თარიღდება. ნაგებია აგურით. დაზიანებულია: დანგრეულია შუა ეკლესიის ჩრდ.-დას. ნაწილი, სამხრ. ეკლესიაში ჩამონგრეულია კამარა, დას. კედელი კამარის ქუსლის დონემდეა შემორჩენილი, მთლიანადაა დანგრეული ჩრდ. ეკლესიის დას. სათავსი, ხოლო სამკვეთლოში შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. კედელი.

შუა ეკლ. გვერდით ეკლესიებთან შედარებით ფართო და მაღალია. არქიტრავით გადახურული ფართო შესასვლელი სამხრ-ითაა. აღმ-ით ფართო მხრებით გამოყოფილი ნალისებრი აფსიდია, რ-ის ღერძზე გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სატრიუმფო თაღის ქუსლებთან გამოშვერილი აგური იმპოსტის დანიშნულებას ასრულებს. დარბაზის სამხრ. კედელში ორი თაღოვანი სარკმელია, ჩრდ. კედელში კი სამკვეთლოში გასასვლელი, შიგნიდან სწორკუთხა, გარედან თაღოვანი კარია.

ჩრდ. ეკლ. განივი კედლით გაყოფილია ორ არათანაბარ სწორკუთხა სათავსად. აღმ-ის, უფრო მოკლე სათავსი სამკვეთლოა. სამკვეთლოს აღმ. კედელში ერთი სარკმელია (შემორჩენილია მხოლოდ მარჯვ. წირთხლი), სამხრ. კედელში — ცრუთაღიანი ღრმა ნიში, ჩრდ. კედლის გასწვრივ სხვა შენობის კედლის ნაშთი ჩანს.

სამხრ. ეკლესიას აღმ-ით მხრებით გამოყოფილი ნალისებრი აფსიდი აქვს. აგურის წყობით გამოყვანილი სატრიუმფო თაღი უშუალოდ აფსიდის მხრებს ებჯინება. დარბაზის ჩრდ. კედლის მთელ სიგრძეზე შემორჩენილია კამარის ქუსლი.

158. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას მცხეთა — საგურამოს გზის მარჯვ. მხარეს, წიწამურის ობელისკიდან 3 კმ-ზე. აგებულია გვიანდ. ფეოდ. ხანაში.

ეკლ. დარბაზულია (4,8X3,9 მ), ნაგებია რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, დანგრეულია სამხრ. და ჩრდ. კედლები, საკურთხევლის სარკმელი. შესასვლე-

ლი სამხრ-დანაა. აღმ. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია. სარკმლის ჩრდ-ით პატარა ნიშია. აფსიდის მხრებზე გადაყვანილია სატრიუმფო თაღი. *დე. თ.*

159. ეკლესია ღვთისმშობელი, არქიტ. ძ. ეკლ. დგას სოფლის სამხრ-ით 300-400 *მ*-ზე, ხასაფლაოზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (9,6X5,7 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. კუთხეებში და კარ-სარკმლების წირთხლებად შირიმის ქვაა გამოყენებული. მოგვიანებით ეკლ. შეუკეთებიათ: გადაუხურავთ ხის ნახევარწრიული კამარით, აღუდგენიათ კედლების ზედა ნაწილები, ლავგარდანი, გადაუკეთებიათ გრძივი კედლების სარკმლები, დას. კედელში გაუჭრიათ მრგვალი სარკმელი. შეკეთების დროს ნახმარია კვადრ. აგური. ამჟამად ეკლ. ძლიერაა დაზიანებული: ჩანგრეულია ხის გადახურვა, ჩამონგრეულია კედლების ზედა ნაწილები, ლავგარდნის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. შესასვლელი სამხრ-დანაა. აღმ. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. სარკმლის ჩრდ-ით პატარა სწორკუთხა ნიშია, ხოლო სამხრ-ით, კედლის სისქეში, — პატარა სადიაკვნე, რ-საც აღმ-ით პატარა თაღოვანი სარკმელი აქვს. თითო სარკმელია ეკლესიის დას. და გრძივ კედლებში. ინტერიერი შელესილია. შელესილობის ქვეშ მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს კვალი შეიმჩნევა.

ეკლესიის სამხრ.-დას. კუთხესთან გვიანდ. მ ი ნ ა შ ე ნ ი ა, რ-ლის კედლები 1,6 *მ*-მდეა შემორჩენილი. მისი სამხრ.-აღმ. კუთხე მომრგვალებულია, დანარჩენი კუთხეები სხვადასხვა დახრილობისაა. მინაშენის აღმ. კედელში გაჭრილია ფართო თაღოვანი გასასვლელი, ხოლო სამხრ. კედელში — ვიწრო შესასვლელი და მცირე სწორკუთხა სარკმელი.

ეკლესიის ჩრდ-ით ს ტ ა რ ო ს ე ლ ს კ ე ბ ი ს ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ო ს ა ს ა ფ ლ ა ო ა. *დე. თ.*

160. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 2 *კმ*-ზე. გათხრები ჩატარდა 1920 წ. (ხელმძღვ. ე. პჩელინა). გაითხარა ორმოსამარხები, რ-ებშიც მიცვალებულები ესვენა მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, ოდნავ ხელფეხმოკეცილი. მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ უხეშად ნაძერწი მოშავო-მონაცრისფრო ან ღიაფრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი (ტოლჩები, ხელადები, ქოთნები) და სამკაული (ოქროს, მინისა და მინისებრი პასტის, გიშრისა და სერდოლიკის ნახევარსფეროსებრი მძივები). აღმოჩენილი მასალა საქართვ. სახელმწ. მუზეუმში ინახება. სამაროვანი I-III სს-ით თარიღდება.

*ბიბლ.*: 239: 72.

161. ქაშური გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას საგურამოდან ზედაზნისაკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს. აგებულია VI ს-ში

ძ. გ. ე. სამეკლესიიანი ბაზილიკაა (10,5X12,9 *მ*), ნაგებია ქვით. შესასვლელი სამხრ-დანაა. ეკლესიის ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და პატარა ნიშია. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილ-წყვილი პილასტრია. სამხრ. ეკლესიაში აღმ-ით კვადრ. სათავსია, რ-იც ეკლესიას კარით უკავშირდება. ამავე ეკლესიაში დას-ით მდებარე სათავსი მისგან თაღითაა გამოყოფილი. ჩრდ. ეკლ. განივი კედლით გაყოფილია ორ ნაწილად. დას. ნაწილი ორჯერ აღემატება აღმ-ისას. ორივეს ცალ-ცალკე შესასვლელი აქვს შუა ეკლესიიდან. აღმ-ის სათავსს აღმ-ით ერთი სარკმელი აქვს, ხოლო ჩრდ. და დას. კედლებში — თითო ნიში. აღმ. ფასადზე სარკმელს მარტივი თავსართი აქვს. ეკლ. კედლები დასრულებულია ლავგარდნით.



162. კაკლის ხე

162. ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, ისტ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ. გარეუბანში, ე. წ. გორისუბანში. აგებულია 1894 წ.

162 საერთო ხედი



159. გეგმა, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ.



1863 წ. ი. ჭავჭავაძემ იქორწინა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილზე, რ-მაც მამისგან მემკვიდრეობით საგურამო მიიღო.

1874 წ. ი. ჭავჭავაძემ გორისუბანში, ზედაზნის ტყის პირას დადგა ორსართულიანი პატარა ფიცრული სახლი, რ-იც ოთხი (ორი ზემოთ და ორი ქვემოთ) ოთახისაგან შედგებოდა, ხოლო 1894 წ. ძვ. სახლის ადგილზე ააგო სამსართულიანი აგურის შენობა. სახლი მთავარი, მოხარატებულ ხისაივნებიანი ფასადით მიმართულია დას-კენ (მისასვლელი გზისაკენ). აქედან იშლება არაგვის ხეობისა და საგურამოს მიდამოების შესანიშნავი ხედი. სახლის მშენებლობასა და კარმიდამოს გაშენებას ილია პირადად ხელმძღვანელობდა. ეზოში თვით პოეტის მიერ დარგული რამდენიმე ხეა. ეზოს შუაგულში დგას რვა ცაცხვისა და ერთი დიდი კაკლის ხე. ტყიდან გამოყვანილია პატარა რუ. მშენებლობის დროს პოეტი ისე უფრთხილდებოდა ნარგავებს, რომ სახლის გეგმარებაც კი შეცვალა. ილია დიდად ზრუნავდა სამეურნეო სიახლეთა დანერგვაზე როგორც თავის მამულში, ისე საგურამოს გლეხების კარ-მიდამოში.

შენობის სამხრ. ნაწილი ორსართულიანია, ხოლო ჩრდ. — სამსართულიანი. სამსართულიანი ნაწილი ქმნის წამყვან ასიმეტრიულ აქცენტს შენობის კომპოზიციაში. ცოკოლის სართული ნახევარსარდაფია, რ-ის ოთახები აივანზე გამოდის. მთავარი შესასვლელი სახლს სამხრ-ის მხრიდან აქვს. პირველ სართულზე განლაგებულია მისაღები და სასადილო ოთახები, მეორე სართულზე — სამუშაო და საძინებელი. სულ 11 ოთახია. სართულები ერთმანეთს ხის შიდა კიბით უკავშირდება.

162(ა) სამხრ.-ალმ. ფასადი, გეგმა



შენობის ჩრდ-ით დგას ერთსართულიანი, ცხრაოთახიანი სახლი, ე. წ. სამოურავო, ხოლო ჩრდ.-ალმ-ით — მარანი.

საგურამოს ი. ჭავჭავაძისეული სახლი XIX და XX სს. მიჯნაზე წარმოადგენდა საქართვ. ლიტერატურული და საზ. ცხოვრების ერთ-ერთ მძლავრ კერას. ყოველ 20 ივლ. აქ იმართებოდა ილიაობა, რ-შიც საქართვ. ყველა კუთხის და საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. გარდა ცნობილი ქართვ. მწერლებისა და მოღვაწეებისა (ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, რ. ერისთავი, დ. ჩუბინაშვილი, ი. წინამძღვრიშვილი და სხვ.) სხვადასხვა დროს საგურამოში სტუმრად იყვნენ უცხოელებიც: ორიენტალისტი კარლ ლემან-ჰაუპტი, „ევროპასთან საქართველოს ლიტერატურული შუამავალი" არტურ ლაისტი, „ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ ენაზე მთარგმნელი, მწერალი ქალი მარჯორი უორდროპი და სხვ. ი. ჭავჭავაძემ აქ დაწერა (1883 წ.) პოემა „განდეგილი" და მრავალი სხვა მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოები.

1907 წ. 30 აგვ. წიწამურის გზაზე თავდასხმის შემდეგ ილიას ცხედარი საგურამოს სახლში დაასვენეს და აქედან 7 სექტ. დილის 8 საათზე თბილისში წამოასვენეს.

1949 წ. 4 აგვ. საქართვ. კომპარტიის ცკ-ისა და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საგურამოს ილიასეული სახლი სახლ-მუზეუმად გამოცხადდა. სახლ-მუზეუმი გაიხსნა 1951 წ. 27 მაისს. პირვანდელი სახით აღდგენილია ილიას სამუშაო ოთახი, ხოლო სხვა ოთახებში მოწყობილია ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა. ამჟამად სახლ-მუზეუმს სულ 8 ჰა უჭირავს. სახლს აქვს მემორ. დაფა ქართ. და რუსული წარწერებით: „ეს სახლი ააშენა და აქ ცხოვრობდა 1895-1907 წწ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე".

(ა) მარანი დგას საცხოვრ. სახლის ჩრდ.-ალმ-ით. ნაგებია კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით. აგებულია XIX ს-ში. შენობა (25,15X16,2 მ) სამი ნაწილისაგან შედგება: საკუთრივ მარნის, დამხმარე სათავსისა და დერეფნისაგან.

მარნის გრძივ ღერძზე ექვსი სვეტი დგას, რ-თა გასწვრივ, კედლებზე, დეკორატ. ნახევარსვეტებია. სამხრ. ალმ. კედელში გაჭრილია ოთხი შეისრულთაღიანი სარკმელი, ჩრდ.-დას-ისაში — ხუთი, სამხრ.-დას. კედელში კი — ერთი. ჩრდ.-დას-ის კედელში ოთხი სასანთლე ნიშია, სამხრ.-ალმ-ისაში — ორი დიდი ნიში. სამხრ.-დას-ისა და ჩრდ.-ალმ-ის კედლებში თითო დიდი ნიში და თითო ბუხარია. კარის ღერძისა და სამხრ.-ალმ. კედლის გასწვრივ იატაკი ქვისაა. ჩრდ.-ალმ-ის კედელში გაჭრილია დამხმარე სათავსში გასასვლელი თაღოვანი კარი. სათავსში შესვლა დერეფნიდანაც შეიძლება. დამხმარე სათავსს სამი სარკმელი აქვს: ერთი დერეფანში გადის, ორი კი ჩრდ.-ალმ-ის კედელშია გაჭრილი. სამხრ.-ალმ-დან მარანს ცხრასვეტიანი დერეფანი ეკვრის. დერეფნისა და მარნის სვეტები ერთნაირია. მათი ბაზისები კვადრ. ფილისა და ორი წვრილი ლილვისაგან შედგება, ხოლო კაპიტელები — ორი ლილვის, წრეთარგისა და დაბალი რელიეფის ორნამენტებით შემკული კვადრ. ფილისაგან. დერეფნიდან მარანში შესასვლელი შეისრულთაღიანი კარი ჩასმულია პროფილირებულ ჩარჩოში, რ-ის კუთხეებში ორნამენ-

ტული ჯვრებია ამოკვეთილი. ნაგებობა გადახურულია ხის კოჭებსა და ნივნივებზე დადგმული ორფერდა სახურავით.

*ბიბლ.:* 11. *გ. კ., ბერძ. ც*

# სათოვლე

(ძეგვის სოფსაბჭო)

163. ააულეთის სამონასტრო კომპლექსი, არქიტ. არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, აბულეთის ბორცვზე, მდ. ხეკორძულას მარჯვ. შენაკადის ე. წ. ზარიძეების — წყლის სათავესთან, ადგილ ნაბადრებში. კომპლექსში შედის: ორი ეკლესია, გალავანისა და რამდენიმე ნაგებობის ნაშთი.

(ა) წ მ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა დარბაზულია (18,5X10 *მ*) დგას ბორცვის თხემის აღმ. ნაწილში. თარიღდება XI ს-ით. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია (შემორჩენილი კედლების სიმაღლე — 3 *მ*). ნაგებია ტლანქად გათლილი ქვიშაქვის ბლოკებით. გარეთა საპირე ქვებს შორის არსებული სიცარიელეები ზოგან შევსებულია ანტ. კრამიტის ნატეხებით. ეკლ მოგვიანებით შეუკეთებიათ (სამხრ-ის კარის აღმ. წირთხლის ზედა ნაწილში შემორჩენილია ბრტყელი კვადრ. აგურის წყობა).

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს, დას-ით, სამხრ-ითა და ჩრდ-ით. ნახევარწრიული შვერილი აფსიდის სამხრ-ის მხართან ნახევარწრიული ნიშია. სამხრ. კარის დას-ით, მიწის ზედაპირიდან 1,8 *მ* სიმაღლეზე, კედლიდან გამოშვერილია კონსოლი (0,7X0,7 *მ*, სიგრძ. 1 *მ*), ხოლო კარის აღმ-ით, კედელზე მთლიანი თლილი ქვის პილასტრია (სიმ. 1,5 *მ*, სიგ. 0,6 *მ*), რ-საც ბალიშისებრი კაპიტელი აქვს. პილასტრს დას-ის მხარეს მთელ სიმაღლეზე სამი პარალელური ვერტ. ღილვეი დაუყვება (საფიქრებელია, რომ პილასტრის ქვა სხვა ნაგებობიდან არის გადმოტანილი, რადგან ჩრდ. კედლის შესაბამისი პილასტრი სრულიად სხვაგვარია). სამხრ-ის კედლის აღმ. ნაწილში სხვადასხვა სიმაღლეზე ორი ნახევარწრიული ნიშია. თითოეული მათგანი მთლიან ქვაშია გამოკვეთილი.

წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდ.-დას-ით დგას (ბ) მ ც ი რ ე ე კ ლ ე ს ი ა. შემორჩენილია ნანგრევები. ეკლ. დარბაზულია (8,5X5 *მ*), შესასვლელი სამხრ-დანაა, აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია.

(გ) მონასტრის ეზოში სხვა ნ ა გ ე ბ ო ბ ა თ ა ნაშთებიცაა, რ-თა გეგმა და დანიშნულება გაურკვეველია.

ა. ს. ძ-ის ტერიტორიაზე შემორჩენილია ძვ. ნაგებობათა სხვა ფრაგმენტებიც, რ-თა ერთი ნაწილი ეკლესიების აგების დროს გამოუყენებიათ. საფიქრებელია, რომ ეს არქიტ. ფრაგმენტები ანტ. ხანის ტაძრისაა, რ-ის ადგილას ფეოდ. ხანაში მონასტერი აუგიათ.



163(ა). გეგმა



163. ანტიკური ხანის სვეტის ფრაგმენტები (რეკონსტრუქცია გ. ლეჟავას მიხედვით)

მცირე ეკლესიის სამხრ. კედელთან დევს ქვიშაქვის კანელურებიანი სვეტი (სიგრ. 1, 8 *მ*, დიამ. ქვევით 0,4 *მ*, ზევით 0,35 *მ*); დას-ის კედელთან აღმოჩნდა ბაზალტის სვეტის ქვედა ნაწილი, ბაზისი და სვეტისთავი. სვეტი (დიამ. 0,52 *მ*) გლუვია. მისი ქვედა ნაწილი გაფართოებულია 0,07 *მ* სიმაღლის საფეხურისებრი ზოლით. სვეტის ძირში გაკეთებულია ღრმული. ბაზისის სხვადასხვა დიამეტრის ლილვების მონაცვლეობით შედგენილი პროფილირებული ზედა ნაწილი დგას კვადრ. საფუძველზე. ბაზისის ზედაპირზე, ცენტრში ამოჭრილი ღრმული შეესაბამება სვეტის ღრმულს. სვეტისთავს, რ-იც ორი პარალელური გლუვი ცილინდრული ძელაკისაგან შედგება, ბრტყელი ოთხკუთხა აბაკი აქვს.

ბორცვზე 1977-81 წწ. არქეოლ. გათხრები ჩაატარა მმაე-მ (ხელმძღ. ა. აფაქიძე). ბორცვის თხემზე და მის სამხრ.-აღმ. ფერდზე გაითხარა 2 სათავსი, 12 ქვაყუთი და 2 ორმოსამარხი.ძ. თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახ-ით, ადრინდ., განვით. და გვიანდ. ფეოდ. ხანით.

(დ) № 1 ს ა თ ა ვ ს ი (3,5X2,35 *მ*) ნაგებია ნატეხი ქვითა და ტალახით. შემორჩენილია კედლის (სისქე 0,8 *მ*) წყობის 3-4 რიგი. სათავსის ჩრდ.-აღმ. კედელთან პურის საცხობი თ ო ნ ე (გარე დიამ. 0,75 *მ*, შიდა 0,55 *მ*, კედლის სისქე 0,1 *მ*) იყო, ხოლო სამხრ.-დას. კედელთან — კერა (ე) № 2 ს ა თ ა ვ ს ი ს (6X3,6 *მ*) კედლის წყობის 2-3 რიგია შემორჩენილი. სათავსის ჩრდ.-აღმ. კუთხეში ჩაშენებული იყო ნავისებური ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი (3X0,6 *მ*), რ-იც ფართო ღარით თაღარს უკავშირდებოდა. საწნახელი და თაღარი შელესილია კირხსნარით.

(ვ) ქ ვ ა ყ უ თ ე ბ ი ბანურსახურავიანი სამარხებია, რ-თა კედლებად გამოყენებულია ქვიშაქვის ფილები. ყველა სამარხი ინჰუმაციური და კოლექტიურია. სამარხებში აღმოჩნდა მინის მძივები.

ბორცვის სამხრ.-აღმ. ფერდობზე გაითხარა აგრეთვე ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ-ის, ადრინდ., განვით. და გვიანდ. ფეოდ. ხანის ნ ა ს ა ხ ლ ა რ ი ს კულტ. ფენები. *გ. ი., ირ. შ.*

164. მინის სახელოსნო ხიქიანა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 1 *კმ*-ზე, ადგილ მზვარეში. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. სახელოსნოს ტერიტორიაზე გამოვლინდა მინის გრეხილღეროიანი სამაჯურების ნატეხები, მინის წიდები და სხვ.

*ბიბლ.:* 44:46. *ირ. შ.*

165. ნაეკლესიარი კოხიანა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით 2 *კმ*-ზე, სოფ. ხეკორძიდან სოფ. ლელობისაკენ მიმავალი გზის

პირას, მარჯვნივ. თარიღდება გვიახდ. ფეოდ. ხანით. შემორჩენილია კირის ხსნარით, ტუფის გათლილი კვადრებითა და კლდის ნატეხი ქვით ნაგები, გეგმით სწორკუთხა ეკლესიის (4X3 მ) კედლების წყობის ქვედა 2-4 რიგი. ნაეკლესიარი დაფარულია მცენარეულობით. *ირ. შ.*

166 ნაეოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით 1 კმ-ზე, მშრალი დიდრიყის ხევის ორივე ნაპირზე. თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახ-ით, ადრინდ., განვით. და გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ნ-ზე 1981 წ. მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე) ჩაატარა მცირე არქეოლ. გათხრები. გამოვლინდა ნაგებობის კედლების ფრაგმენტები, სხვადასხვა პერიოდის თიხის ჭურჭელი, აგრეთვე ქვიშაქვის ფილებით ნაგები ალმ-დან დას-კენ დამხრობილი ქვაყუთი (0,8X0,5X0,4 მ), რ-იც გაძარცული იყო. *ირ. შ.*

167. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით 1,5 კმ-ზე, ადგილი — გადასახედი კლდე. თარიღდება ფეოდ. ხანით. შემორჩენილია ნასახლარი ბუდეები (2X4 მ: 3X6 მ: 5X4 მ და ა. შ.) და ნატეხი ქვით ნაგებ შენობათა კედლების ფრაგმენტები. *ირ. შ.*

168. ნასოფლარი ბერუათხევი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით 2-3 კმ-ზე, ბერუათხევის ნაპირზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ამჟამად ტყით დაფარული ნასოფლარის ტერიტორიაზე ჩანს ნასახლარი ბუდეები (6X4 მ: 4X2 მ; 3X X4 მ და ა. შ.). შენობები ნაგებია ნატეხი ქვით (შემორჩენილია კედლის წყობის 1-2 რიგი). ნასოფლარის ჩრდ-ით 50-100 მ-ზე შემორჩენილია კირის ხსნარითა და რიყის ქვით ნაგები დარბაზული ეკლესიის (4X3 მ) ალმ-ისა და დას-ის კედლების ფრაგმენტები. *ირ. შ.*

169. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ალმ-ით, მდ. ხეკორძულას შენაკადის პატარახევის მარცხ. ნაპირზე, ადგილ ნაბაკარზე, თარიღდება ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ-ით, ადრინდ., განვით. და გვიანდ. ფეოდ. ხანით. სამარხები გადარეცხილია ნიაღვრებისაგან. ზოგი მათგანი მიწის სამუშაოების გამო დაზიანებული. ს-ზე 1949 წ. მიწის სამუშ-ოების დროს შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები (ბრინჯაოს ისრისპირები, ბრინჯაოსტარიანი რკინის მახვილი, ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხები, ელექტრუმის საკიდი და სხვ.) ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

1977-81 წწ. ს. (ფართ. 2 ჰა) გათხარა მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). გაითხარა ალმ-დან დას-კენ დამხრობილი, მიწის ზედაპირიდან 0,15-0,2 მ სიღრმეზე განლაგებული ქვაყრილიანი ორმოსამარხები (ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ.). ქვაყრილი შედგებოდა ნატეხი და რიყის საშ. ზომის ქვებისაგან. სამარხი ორმოები წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის ან კუთხეებმომრგვალებულია. ორმოების იატაკი მოგებული იყო წვრილი ქვით. ყველა სამარხი (გარდა ერთისა, რ-შიც ორი მიცვალებული ესვენა) ინდივიდუალური და ინჰუმაციურია. მიცვალებულები ესვენა ხელფეხმოკეცილი, მამაკაცები მარჯვ., ხოლო ქალები მარცხ. გვერდზე, თავით დას-კენ.

სამარხებში აღმოჩნდა დახვეწილი ფორმის ამოღარული, ირიბად ნაჭდევი ხაზებითა და ზოლებით, წერტილოვანი სახეებითა და ცხოველის თავის სტილიზებული გამოსახულებებით შემკული შავად, ნაცრისფრად ან ლეგანაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, საბრძოლო იარაღები (ფოთლისებრი სატევარი, ბრინჯაოსტარიანი მახვილი, მასრაგახსნილი შუბისპირი, ბრინჯაოსა და ობსიდიანის ისრისპირები), სამკაული (ბრინჯაოს სამაჯური, საკინძი, ქარვისა და სარდიონის მძივები), საკულტო ნივთები (ირმის ქანდაკებები, ბრინჯაოს მილაკები, გრავირებული სარტყლები), ალკაზმულობის, შინამოსაქმეობისა და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები.

*ბიბლ.: 22; 44 თ.40; 114.* *ირ. შ.*

## სამადლო,

იხ. სოფ. ძეგვი, სამადლო.

## სარკინე

ნაქალაქარი

170. სარკინე, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქ. მცხეთის დას-ით, 8,5 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე (ჯოჯოხეთის ხევიდან მდ. ქსნამდე და ნასტაგისამდე), საყანეთის ქედსა და გრძელ მინდორზე. თარიღდება ძვ. წ. II ს.-ახ. წ. II ს. ძვ. ქართ. საისტორიო წყაროების მიხედვით ს. მიჩნეულია ან ცალკე ქალაქად („მოქცევაი ქართლისაი") ან დიდი მცხეთის უბნად („ცხოვრება ქართველთა მეფეთა").

ს-ში 1945 წ. ჩატარდა საძიებო არქეოლ. სამუშაოები (ხელმძღვ. ნ. ღამბაშიძე). 1953-1956 წწ. ს-ში გათხრები აწარმოეა მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე), ხოლო 1971 წ. — ნასტაკისის მცხეთის რ-ნის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. ბოხოჩაძე). ნაწილი გამოვლენილი ძ-ებისა დაკონსერვებულია, განათხარი მასალის ნაწილი ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, ნაწილი — მმაე-ს არმაზისხევის ბაზაში.

გრძელ მინდორზე მრავლადაა ანტ. ხანის კრამიტის, ალიზის, ხუროთმოძღვრული დეტალებისა და წიდის ნატეხები. მინდვრის ჩრდ. ნაწილში გამოვლენილი ალიზის კოშკი (?) დაკონსერვებულია.

მინდვრის ცენტრ. ნაწილში გაითხარა სანახევროდ მიწაში ჩადგმული რკინის გამოსაწური დიდი ქურების ნაშთები. გრძელი მინდვრის ერთ-



170. კაპიტელი (გრძელი მინდორი) რეკონსტრუქცია (გ. ლეჟავას მიხედვით)



170. საყანეთის ქედი. საერთო ხედი

ერთი სახელოსნოს გათხრამ ცხადი გახადა, რომ მის ერთ ნაწილში რკინა გამოუდნიათ, მეორეში — ტყვია, ხოლო მესამეში სპილენძის საწარმო ყოფილა. რკინის გამოსაწური ქურის ძირზე დარჩენილია რკინის წიდა, ხოლო ტყვიის გამოსადნობი ქურის ძირზე თითქმის სუფთა (98%) ტყვიაა დაღვენთილი. გამოვლინდა აგრეთვე ლითონის სადნობი თიხის ჭურჭელი (ტიგელების ნატეხები), საოქრომჭედლო ტიგური და სხვადასხვა ხელსაწყო, რაც გრძელ მინდორზე საოქრომჭედლოს არსებობაზე მიუთითებს.



170. ერთ-ერთი ტერასის გეგმა

170. კრამიტები. ძვ. წ. II-I სს.



მრავალფეროვანია ს-ს სახელოსნოების ნაწარმი: რკინის სამეურნეო და საბრძოლო ცულები, ქვის სათლელი ან საკიდი იარაღების ნამზადები, რკინის ნაირ-ნაირი იარაღ-ხელსაწყოები, მ. შ. ქურის გამოსაწმენდი რკინის ტარიანი ნიჩაბი; რკინის ორფრთიანი ისრისპირები, შუბისპირები, ბრინჯაოს ნივთები და სხვ.

გრძელ მინდორზე დიდი რაოდენობით გამოვლინდა კირქვის არქიტ. დეტალები, რ-თა შორის აღსანიშნავია იონური ორვოლუტიანი სვეტისთავი და ადრინდ. ელინისტ. ხანის რთული ჩუქურთმებით შემკული სვეტის, ნახევარსვეტისა და ლავგარდნის ნაწილები. ეს არქიტ. დეტალები სხვა ადგილიდან უნდა იყოს მოტანილი და გამოყენებული ლითონის დნობის პროცესის დასაჩქარებლად (ფლუსი). განათხარი მასალა მოწმობს, რომ სახელოსნოებში სისტემატურად სრულდებოდა სრული მეტალურგიული ციკლი — მადნის დაწურვიდან ნივთის გამოჭედვა-წრთობამდე.

ს-ში. აღმოჩნდა ტერასულად განლაგებული ქვათლილებითა და ალიზით ნაგები საკულტო და საცხოვრ. ნაგებობანი, რ-ებიც კარგად გამომწვარი მცხეთური კრამიტით ყოფილა გადახურული. ყურადღებას იქცევს დიდი გვერდებაკეცილი კრამიტები (0,56 X 0,5 მ), რ-თაგან ზოგი 12 კგ იწონის. ს-ს ცენტრ. ტერასაზე გაითხარა ხის ნაგებობის ფრაგმენტები, რ-ის კრამიტის ჩაწოლილ-ჩალეწილი სახურავის ქვეშ, იატაკის დონეზე აღმოჩნდა ძვ. წ. II-I სს-ით დათარიღებული ტერაკოტის ნიღბები, დიონისესა და არიადნეს ქანდაკებები გამოძერწილია ბერძნულ-რომაულ სამყაროში გავრცელებული სტილით. ნიღბები, რ-ებიც ადგილ. ტიპაჟის გადმოცემის ცდას უნდა წარმოადგენდეს, მიჩნეულია შენობის ინტერიერის სამკაულად.

ს-ს გათხრებით მოპოვებულ მასალას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გვიანდ. ელინისტ. ხანის ქართლის სამეფოს საქალაქო ცხოვრების შესასწავლად.

ბიბლ.: 16; 17; 51; 135:12, 20-21, ტაბულა LXV-LXXIV: 283. *აფ. ა.*



170. დიონისე. ტერაკოტა

170. ნიღბები. ტერაკოტა



## სასხორი

(ნიჩბისის სოფსაბჭო)

171. იოანე მახარებლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლდარბაზულია (8,2 X 5,7 მ), ნაგებია დიდი ზომის რიყის ქვითა და ქვიშაქვით, გამოყენებულია აგურიც. ფასადებზე საპირე ქვები ალაგ-ალაგ ამოცვენილია. შესასვლელი სამხრ-დანაა. აღმ-ის ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი, სარკმლის ორივე მხარეს სწორკუთხა ნიშებია. დას-ის კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია. ფასადები მოპირკეთებულია ირეგულარულად ნაწყობი რიყის ქვითა და ქვიშაქვით. აღმ-ის ფასადზე, სარკმლის წირთხლის ქვაზე მხედრ. წარწერაა. *დე. თ.*

172. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, ხეობაში, სოფ. ნიჩბისისაკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს. თარიღდება XVII ს-ით.

ძ. ოთხსართულიანია (7,3 X 7,35 მ; სიმ. 14,1 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი მეორე სართულზეა, სამხრ.-დას-ით, კიბეები კედელშია დატანებული. პირველსა და მეორე სართულებს ხის გადახურვა ჰქონია, მესამე სართული აგურის კამარითაა გადახურული. სათოფურები ყველა სართულზეა, სარკმლები — მხოლოდ მესამე სართულზე. მეორე სართულზე, ჩრდ.-აღმ-ით კედელში ნიშებია, ხოლო სამხრ.-აღმ-ისაში — საპირფარეშო. მესამე სართულზე, ჩრდ.-დას-ით, აივანზე (ჩანგრეულია) გასასვლელი კარია, ჩრდ.-აღმ-ით — ბუხარი. გარე-



172. განაკვეთი, II სართულის გეგმა

დან საბრძოლო ხვრელობები გადახურულია ქვის ზღუდარებით მხოლოდ მესამე სართულის ორ სარკმელსა აქეს აგურის თაღი.

*ბიბლ.:* 32; 37. *მ. გ.*

**173. მთავარანგელოზის ეკლესია,** არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით (ნასოფლარში). შესასვლელის თავზე მოთავსებული წარწერის (ძლიერ დაზიანებულია) მიხედვით ეკლ. 1704 წ. აუგია ნიკოლოზ ჭალალაძეს თავისი დის ხვარაშანის საფლავზე.

ეკლ. დარბაზულია (7X5,2 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით და აგურით. აქაიქ წყობაში თლილი ქვაც არის ჩართული. ეკლ. დაზიანებულია, კედლები დაახლოებით 1,2 *მ* სიმაღლეზე მიწით არის დაფარული. შესასვლელი სამხრ-დანაა. კარი შიგნიდან შეისრულია, ხოლო გარედან კედლის ჩაღრმავებებით მიღებულ სწორკუთხა ჩარჩოში ზის. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, სწორკუთხა ნიშებია, თითო სწორკუთხა ნიში საკურთხევლის ორივე მხართანაა. დარბაზის დას-ისა და სამხრ-ის კედლებში თითო შეისრული სარკმელია. გრძივ კედლებზე თითო შეისრული დეკორატ. თაღია. ინტერიერში შემორჩენილია ეკლესიის თანადროული (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები. საკურთხევლის მხატვრობა მოწითალო-ყავისფერი ხაზით ოთხ რეგისტრად იყოფა. კონქში ყვითელარშიაშემოვლებული მანდორლის ფრაგმენტია, რ-ის გარშემო მედალიონებში ჩასმულია წმინდანთა ფიგურები. მომდევნო რეგისტრში გამოსახულია *მოციქულთა ზიარება*. ქვედა რეგისტრი მთლიანად ჩამორეცხილია. საკურთხევლის მხატვრობა დასრულებულია ორნამენტის (მარმარილოს იმიტაცია) ფართო ზოლით. სამხრისა და ჩრდ-ის კედლებზე გამოსახულია მახარებლები. ამავე კედლების თაღებში მხატვრობა დაყოფილია ორ რეგისტრად: სამხრ-ის კედელზე, ზემოთ წმ. თევდორე სტრატილატის და წმ. თეოდორას წელზედა გამოსახულებებია, ქვემოთ – წმ. პეტრესა და წმ. პავლესი ეკლესიის მოდელით ხელში; ჩრდ-ის კედელზე, გამოსახულია: ზემოთ – *ხატი მანდილისაი*, ქვემოთ – ახალგაზრდა წმინდანი მთელი ტანით და მისკენ მიბრუნებული ორი ფიგურა. დას. კედლის მხატვრობა ოთხი რეგისტრისგან შედგება. სარკმლის ორივე მხარეს, ზემოთ, მედალიონებში ჩასმულია ორი წმინდანის ფიგურა; ქვემოთ პეიზაჟის ფონზე გამოსახულია რამდენიმე ფიგურა და მინიატურული ზომის ცხვრები (*შობა?*). მომდევნო რეგისტრი მედალიონებში ჩასმულ წმინდანთა წელზედა გამოსახულებებს უკავია; უკანასკნელ რეგისტრში, მარცხნივ წარმოდგენილია წმ. დიმიტრი, მარჯვნივ – წმ. გიორგის მიერ *ყრმის ტყვეობიდან დახსნის სასწაული*. ეკლესიის თაღები და წმინდანთა შორის დარჩენილი თავისუფალი არე შემკულია მცენარეული ორნამენტით. ყველა გამოსახულებას ახლავს თეთრი საღებავით შესრულებული ბერძნ. წარწერა. მხატვრობა შესრულებულია მუქი ლურჯი, ყვითელი, მოწითალო-ყავისფერი, თეთრი და შავი საღებავებით.



173. სამხრ-ის ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

ეკლესიის დას-ის ფასადზე, სარკმლის თავზე ჩაღრმავებული ჯვარია გამოსახული.

*ბიბლ.:* 37. *გ. კ., დ. ფ.*

**174. უკუღმა ეკლესია,** არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, ციცაბო ფერდობზე, მდ. ნიჩბურის მარჯვ. ნაპირზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება VIII-IX სს-ით. ეკლ. დარბაზულია (7,5X4,8 *მ*), ნაგებია ღია ფერის კირქვისა და ქვიშაქვის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვებით. დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა და სატრიუმფო თაღი, დანგრეულია კედლების ზედა ნაწილი. ეკლ. სამხრით კლდოვან ფერდობშია შეჭრილი, ამიტომ შესასვლელი ჩრდ-დანაა. აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც – „უკუღმა ეკლესია". შესასვლელი სწორკუთხაა, შიგნიდან არქიტრავით გადახურული. აღმ-ით მხრებით გამოყოფილი ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ფართო სარკმელია გაჭრილი. მის ჩრდ-ით სწორკუთხა ნიშია. შენობა დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე, რ-ის ფრაგმენტები შემორჩენილია ჩრდ.-დას. კუთხესთან. *დვ. თ.*

**175. ღვთისმშობლის ეკლესია,** არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, მთავარი გზიდან 200 *მ*-ზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,48X5,26 *მ*), ნაგებია ქვიშაქვით. დაზიანებულია: ჩაქცეულია გადახურვა, დაბზარულია ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლები, დანგრეულია დას-ისა და სამხრ-ის მინაშენები. ეკლ. დგას წინასწარ მომზადებულ სუბსტრუქციაზე. აქვს ორი შესასვლელი – დას-ითა და სამხრ-ით. დას-ის შესასვლელი სწორკუთხაა, სამხრ-ისა – თაღოვანი. აღმ-ით, ნახევარ-



175. აღმ-ის ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

წრიულ აფსიდში ერთი თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს სწორკუთხა ნიშებია. ორი თაღოვანი სარკმელი სამხრ-ის კედელშია. დარბაზის კამარის საბჯენი თაღი პილასტრებს ეყრდნობა. პილასტრებიდან ორივე მხარეს დეკორატ. თაღები გადადის. ეკლესიის სამხრ. მ ი ն ა შ ე ნ ს აღმ-ით აფსიდი აქვს. *დ.ე. თ.*

176. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 500 *მ*-ზე, მთაზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,65X5,55 *მ*), ნაგებია დიდი ზომის ნატეხი ქვით; დაზიანებულია: დანგრეულია დას-ისა და სამხრ-ის მინაშენების ზედა ნაწილები; ფასადებზე

176 გეგმა



ბევრგან ამოცვენილია საპირე ქვები. შიგნიდან შეისრულთაღოვანი, გარედან კი სწორკუთხა შესასვლელი სამხრ-დანაა. აღმ-ის ნახევარწრიული აფსიდის ცენტრში სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ქვემოთ სატრაპეზო ქვა დგას. ეკლესიის ჩრდ. კედელში, აფსიდის მხართან სწორკუთხა ნიშია. სამხრ-ითა და დას-ით ეკლესიას მიშენებული აქვს სწორკუთხა ს ა თ ა ვ ს ე ბ ი, ორივეს აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. ეკლესიის სამხრ-ის ფასადზე, კარს ზემოთ მარმარილოს ქვაზე მხედრ. წარწერაა. *გ. ქ.*

## საქართველოს სამხედრო გზა,

იხ. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი II, ყაზბეგის რაიონი.

## სხალტბა

(ნატახტრის სოფსაბჭო)

177. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 1,5 *კმ*-ზე, სასაფლაოზე. ეკლ. დარბაზულია (9X7,8 *მ*), ნაგებია აგურით. შესასვლელი სამხრ-დანაა, კარიბჭიდან. შესასვლელის თავზე ამოკვეთილი მხედრ წარწერის მიხედვით, ეკლ. აუგიათ ივანე ზედგენიძის ძის სახლთუხუცეს შიოშისა და მისი თანამეცხედრის თამარის ბრძანებით 1669 წ. კარიბჭის ერთ-ერთ სვეტზე ამოკვეთილ წარწერაში მოხსენიებულია ეკლესიის მშენებელი, რ-ის სახელი გარკვევით არ იკითხება. აღმ-ით, ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილია განიერი სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს სწორკუთხა თაღოვანი ნიშებია. საკურთხეველი ერთი საფეხურით ამაღლებულია. დარბაზის ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებზე ერთსაფეხურიანი პილასტრებია, რ-ებსაც შეისრული კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობა. ეკლესიის ყოველ კედელში თითო სარკმელია; ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებში სარკმლები კამარის საყრდენთანაა გაჭრილი, მათ ქვემოთ პატარა ნიშებია. ინტერიერში შელესილობა დაზიანებულია. სამხრ-ის ფასადზე შესასვლელის საპირე ორნამენტითაა მორთული.

ეკლესიის თანადროული კ ა რ ი ბ ჭ ე ნაგებია რიყის ქვით. მისი სამხრ-ის თაღედი ფასადის მხარეს მთლიანად გახსნილია. აქ სამ რვაწახნაგოვან ბოძს ოთხი შეისრული თაღი ეყრდნობა. ყოველი ბოძის სამი წინა წახნაგი მორთულია ჯვრებითა და გეომეტრიული მოტივებით. მოჩუქურთმებული ყოფილა ლავგარდანიც (მხოლოდ აღმ-ითაა შემორჩენილი მცირე ნაწილი). კარიბჭის თაღები შემკულია ნახევარდისკოების მწკრივით.

ბიბლ.: 361:53-54. *ანდღ. ნ.*

177. სამხრ-ის ფასადი, გეგმა



## ტაბარუკი

(ლისის სოფსაბჭო)

178. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 100 *მ*-ზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ს-ზე აღმოჩნდა ქვაყუთები. *გვ. ჯ.*

## ტუიაქოჩორას სამაროვანი,

იხ. მ ც ხ ე თ ა, ტ უ ი ა ქ ო ჩ ო რ ა ს ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი.

## ქვემო ნიჩბისი

(ნიჩბისის სოფსაბჭო)

179. ქვემო ნიჩბისი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. ნიჩბურის ნაპირებზე ნიჩბისი ახალი ნიჩბისის, ზემო ნიჩბისისა და ქვემო ნიჩბისის ძვ. სახელწოდებაა. ისტორიული სოფ. ნიჩბისი ახლანდელი ქვემო ნიჩბისი უნდა იყოს. ძ. ნ. ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფელია. აქ არის მინის და ჭიქურის დასამზადებელი კვარცის ქვიშის საბადოები, ამიტომ მცხეთასთან, გორთან და მეჯვრისხევთან ერთად ნიჩბისი მეჭურჭლეობის განთქმული ცენტრი იყო. ნიჩბისი მოხსენიებულია გიორგი II-ის 1072 წ. სიგელში. მეფე გიორგი II-ს სოფელი შიომღვიმის მონასტრისათვის შეუწირავს. სოფელზე შეუვალობის სიგელი მონასტერს 1170 წ. განუახლეს. 1615 წ. მეფე



184. განივი განაკვეთი აღმ-კენ. გეგმა

ლუარსაბშა ნიჩბისი ქაიხოსრო და მერაბ ციციშვილებს უბოძა. XVIII ს-ში სოფელი ლეკთა გამუდმებულმა შემოსევებმა გააჩანაგა. ამავე საუკუნის მიწურულისათვის სოფელში 7 კომლიღა ცხოვრობდა.

*ბიბლ.:* 64; 173ბ; 185:80-81; 201ა, ბ, დ; 220გ; 268ბ. *ჭყ. თ.*

180. ᲙᲘᲙᲝᲚᲐᲐᲜᲗ ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲘ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით, მთის ფერდობზე. თარიღდება X ს. ეკლ. დარბაზულია (5,8X4,3 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვით, წყობა ირეგულარულია. სწორკუთხა შესასვლელი სამხრ-დანაა. აღმ-ით შეკუმშული ნახევარწრის ფორმის აფსიდია. აფსიდის ღერძზე გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ქვეშ, კედელთან მთლიანი ქვის სატრაპეზოა მიდგმული. სატრაპეზო დგას საფეხურზე, რ-იც მთელ საკურთხეველს გასდევს. დარბაზის კამარა უშუალოდ კედლებს ეყრდნობა. ჩრდ-ის სარკმელთან ნუსხური ქარაგმებიანი წარწერაა — „ქრისტე შეიწყალე გიორგი". ინტერიერი შელესილი და მ ო ხ ა ტ უ ლ ი იყო (კვალი შემორჩენილია სარკმლის გადამხურავ ფილაზე). ეკლესიის დას. და ჩრდ. ფასადებზე სარკმლის თაღები ერთ ქვაშია ამოკვეთილი. ეკლესიას შემოვლებული აქვს თაროსებრი ლავგარდანი. *დე. თ.*

181. ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘᲡ ᲒᲝᲠᲐ, არქეოლ. ძ. მდებარეობს თბილისიდან ახალქალაქისაკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, ოხერასხევის მარჯვ. ნაპირას, იქ, სადაც ხევი კვეთს გზას. დაზიანებულია. გორის ზედაპირზე უხვადაა წითლად მოხატული ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები. *გვ. ჯ., ცქ. მ.*

182. ᲜᲐᲢᲑᲔᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 5 *კმ*-ზე, გამშრალი წიწილასწყაროს ხშირი ტყით დაფარულ ხევში.

1960 წ. ნ. მ. ს. გათხარა ՈᲐᲔ ინ-ტის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. უგრელიძე). აღმოჩნდა კლდეზე მიშენებული სახელოსნოს ნაშთი (ფართ. 24 *კვ მ*), რ-ის სამხრ. კედელში საწარმოო ნარჩენების გასატანი კარია გაჭრილი. აღმ. კედელთან მიდგმული ქურიდან (თაკარა) შემორჩენილია საცეცხლე, პაერსადენი საკანი, მინის სადღობი აბაზანა და საკვამლე ხვრელი. უწარმოებიათ მინის ჭურჭელი და სამაჯურები. იარაღად უხმარიათ ქვასანაყი, რკინის კავი და დანა, ნედლეულად — კაჟი და მარგანეცი. გადანაყარში (მინის ჭურჭლისა და სამაჯურების ნატეხები, თავისებური ფორმის მინის წვეთება და სხვ.) ნაპოვნი ხუთი მონეტის მიხედვით, ნ. მ. ს. XIII ს-ის II ნახ-ითა და XIV ს-ის დასაწყისით თარიღდება.

*ბიბლ.:* 214. *კვ. რ.*

183. ᲜᲘᲩᲑᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲫᲘ, ისტ., არქეოლ. ძ. აღმოჩნდა 1961 წ. განძის შემადგენლობაში ქართული მონეტების (1426 ც) გარდა მცირე რაოდენობით (34 ც) იყო შირვანული, ილდეღიზიდური და დარუბანდული მონეტები. ნ. გ-ის ქართ. მონეტები მოჭრილია მეფეების დემეტრე I-ის (1125-56 წწ.), გიორგი III-ის (1156-84 წწ.), გიორგისა და თამარის (1178-84 წწ.), თამარის (1184-1213 წწ.), ლაშა გიორგის (1213-23 წწ.) სახელით. ნ. გ-ის 15 ქართული მონეტის ატრიბუცია ვერ დადგინდა. განძი დაფლულია რუსუდანის მეფობის დროს, სავარაუდოა, 1122-26 წწ.

*ბიბლ.:* 309. *დ. გ.*

184. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით, სასაფლაოზე. აგებულია 1817 წ.

ეკლ. დარბაზულია (12,25X8,3 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვით. შესასვლელი ჩრდ-დანაა. დას. კარი ამოქოლილი და შელესილია. აღმ-ით ფართო მხრებით გამოყოფილი ღრმა ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის მხრებზე გადაყვანილია ნახევარწრიული სატრიუმფო თაღი. მისი წვერო დარბაზის კამარის საბჯენი თაღისაგან დაბალი შუბლითაა გამოყოფილი. სატრიუმფო თაღის ქუსლებთან ფართო თაროსებრი იმპოსტებია. აფსიდის ღერძზე გაჭრილია ერთი თაღოვანი სარკმელი. მისი თაღი კონქის ქუსლის დონეს აღწევს. საკურთხევლის შუაში სწორკუთხა, შელესილი დიდი სატრაპეზო ქვა დგას. ჩრდ-ის, სამხრ-ისა და დას-ის კედლებში თითო ნიშია. მაღალ და წინწამოწეულ საკურთხევლის ბაქანს ორივე გვერდზე სამსაფეხურიანი კიბე აქვს.

აფსიდის ორივე მხარეს, კედელში სამკვეთლო და სადიაკვნეა, რ-ებსაც აღმ-ით სწორკუთხა სარკმელი, ხოლო დას-ით სწორკუთხა შესასვლელი აქვთ. ჩრდ. სათავსის ფანჯრის ძირში სანათლავეია მოწყობილი. ორივე სათავსი გადახურულია ცილინდრული კამარით. ეკლესიის ვრცელი დარბაზის კამარა პილასტრებზე დადგმულ სამ საბჯენ თაღს ეყრდნობა. დას-ის კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია. ინტერიერი შელესილია.

დას-ის ფასადზე, სარკმლის ქვემოთ ჩასმულია ქვა, რ-ზეც ჯვრის გამოსახულება და მხედრ. წარწერაა, რ-ის თანახმად ეკლ. სომხების აგებულია. ეკლესიის ლავგარდანი შედგენილია ვიწრო თაროსა და დახრილი სიბრტყისაგან. დას. ფრონტონზე, ქვის მრგვალ სვეტებზე დგას ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილი პირამიდულსახურავიანი ს ა მ რ ე კ ლ ო. *დე. თ.*

185. ᲪᲘᲮᲔ-ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, მდ. ნიჩბურის მარჯვ. ნაპირას, ფერდობზე. თარიღდება XVII სს-ით. ც. დ. ეკუთვნოდა ციციშვილების საგვარეულოს. კომპლექსში შედიოდა კოშკებიანი გალავანი, სასახლე, ეკლესია და აბანო. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ძლიერ დაზიანებული გალავნისა და აბანოს ნანგრევები. საშენ მასალად გამოყენებულია ნატეხი ქვა.

(ა) გ ა ლ ა ვ ა ნ ი ოთხკუთხაა,

185(ბ). საერთო ხედი





185(გ) გეგმა. საბანაო ოთახის განაკვეთი

ყველაზე კარგად შემონახულია სამხრ-ის კედელი (სიმ. 7-8 *მ*). მისი ქვედა ნაწილი ყრუა, ზედა ნაწილში, საბრძოლო ბილიკის დონეზე, შორიშორს განლაგებულია ცალმაგი სათოფურები და ოთხკუთხა სალოდეები. თაღოვანი ჭიშკარი (გადაკეთებულია) სამხრ.-დას-ითაა. გალავანში ჩართული კ ო შ კ ე ბ ი ძლიერ დაზიანებულია. ალმ. კედელში ორი კოშკია — ცილინდრული და სწორკუთხა. ერთი მათგანი სამხრ.-ალმ. კუთხეშია (შემორჩენილია ორი სართული), მეორე, ჩრდ. კუთხეში.

ეზოში სამსართულიანი ოთხკუთხა (ბ) კ ო შ კ ი დგას. შესასვლელი მეორე სართულზეა. აქ, პატარა ტამბურში, მესამე სართულზე ასასვლელი კიბე და მეორე სართულის სათავსებში შესასვლელი კარია. სართულებს ისრული გადახურვა აქვთ. ზედა სართულების კედლებში სათოფურებია დატანებული.

(გ) ა ბ ა ნ ო (7,8X13,3 *მ*) გალავნის ჩრდ.-ალმ. მონაკვეთშია. პატარა ტამბური კარით უკავშირდება გეგმით კვადრ., სფერული კამარით გადახურულ მოსაცდელ-გასახდელს. მის კედლებში ნიშები და ერთი ბუხარია, ხოლო ცენტრში — აუზი. გასახდელი გადის ტალანში, რ-ის ბოლოებში პატარა დამხმარე სათავსებია. ტალანიდან სფერული კამარით გადახურულ საბანაო ოთახში შეიძლება შესვლა. საბანაო ოთახის იატაკის ერთი მესამედი ცოტათი აწეულია და მის ცენტრ. ნაწილში ღრმა აუზია. წყალი ამ აუზში კედლის ნიშში მოწყობილი პატარა აუზიდან ჩადიოდა. საბანაო ოთახის ქვეშ კალორიფერია, ხოლო გვერდით — გეგმით სწორკუთხა, ცილინდრული კამარით გადახურული საქვაბე. შემორჩენილია ქვაბის ადგილი. საქვაბის ქვეშ საცეცხლეა. იატაკი ყველგან აგურისაა. იქვე მდებარე ხევიდან კერამ. მილებით აბანოში შემოყვანილი იყო წყაროს წყალი. ზ. ქ.

186. ᲬᲛ. ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას ხოფლის სამხრ-ით, მდ. ნიჩბურის მარჯვ. ნაპირზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XVI-XVII სს-ით. XVIII ს-ში ეკლესიის ქვედა ნაწილისათვის გასამაგრებლად შემოუშენებიათ ახალი კედელი (სისქე. 0,65 *მ*), რ-იც შემოსილია კარგად გათლილი ქვის კვადრებით.

ეკლ. ცენტრ.-გუმბათოვანი ნაგებობაა (16,7X15 *მ*), ნაშენია ნატეხი ქვით, კუთხეებში კარგად გათლილი კვადრებია გამოყენებული. ძლიერ დაზიანებულია. ეკლესიაში შესასვლელი დას-დანაა. გუმბათი საკურთხევლის კუთხეებსა და დას-ის ორ სვეტს ეყრდნობა. ყოველ მკლავში თითო

185. საერთო ხედი





186. დას-ის ფასადი, განივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა

186. ბარელიეფი შესასვლელის თავზე



სარკმელია. პატარა სარკმლები სამხრ. და ჩრდ. კედლებშიცაა. საკურთხევლის ორივე მხარეს გეგმით მართკუთხა სადიაკვნე და სამკვეთლოა. ორივე ხათავსში თითო სარკმელი და მცირე ნიშებია. ეკლესიის შიდა კედლები მოპირკეთებულია თლილი ქვით. ფასადები XVIII სს-ში უხეად მოურთავთ, მაგრამ მორთულობა მშრალი და მდარეა.

ბიბლ.: 204. ზ. პ.

# ქსანი

(ძეგვის სოფსაბჭო)

187. აგურ-კრამიტის ქარხანა, ისტ. ძ. მდებარეობს რკ.-გზ. სადგ. ქსნის პირდაპირ, ნასტაკისის ველზე. ააგო იტალიელმა მეწარმემ ანჯელო ანდრეოლეტიმ 1907 წ. ქარხანამ საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა გამოუშვა ე. წ. მარსელური კრამიტი. 1922 წ. ქარხანა ნაციონალიზებულ იქნა. ქსნის ახლანდ. აგურ-კრამიტის ქ-ნა ანდრეოლეტის ქ-ნის ბაზაზეა შექმნილი. ბერძ. ც.

188. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ნასტაკისის ველის დას. ნაწილში, მდ. ქსნის მარცხ. ნაპირზე, ქსნის რკ.-გზ. სადგურის ჩრდ-ით მდებარე გორაზე. თარიღდება ძვ. წ. IV-ახ. წ. III სს-ით.

1952 წ. ნ დაზვერა და ზედაპირული მასალა შეკრიბა ისე ინ-ტის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი), 60-იანი წლების დასაწყისში — საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ქსნის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი. გაგოშიძე) 1971 წ. ისე ინ-ტის მცხეთის სადაზვერვო არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. ბოხოჩაძე) საკონტროლო თხრილი გაავლო გორის სამხრ.-აღმ. ნაწილში. კულტ. ფენები შემონახულია მეტნაკლებად კარგად. გორის თხემის ნაწილი გადარეცხილია. მოპოვებული მასალა ინახება მცხეთის მუზეუმში.

გორა წაგრძელებულია აღმ-დან დას-კენ (სიმ. მდ. ქსნის დონიდან 60 *მ*-ია, ხოლო ნასტაკისის ველის მხრიდან 15 *მ*). თხემზე საკმაო რაოდენობით ყრია კრამიტისა და ჭურჭლის ნატეხები (ელინისტ. ხანა, ძვ. წ. IV-III სს.). სადაზვერვო თხრილის გავლების შემდეგ გორის თხემის სამხრ. ნაწილში გამოვლინდა ალიზის აგურით ნაგები კედლის ნანგრევებში არეული კრამიტის ნატეხები. კრამიტი ორნაირია — ბრტყელი გვერდებაკეცილი და ღარისებრი, დამზადებულია სუფთა, გაცრილი ან განლექილი თიხისაგან და გამომწვარია. ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტი დამზადებულია ყალიბში; აკეცილი გვერდების სიმაღლე 5-იდან 7 *სმ*-მდე. გარედან წითლადაა შეფერილი, შიგნით მოვარდისფრო-მოყვითალოა. მუხლი მოკლეა და ზევით კარგად გამოყვანილი. მუხლს ზემოთ აკეცილი გვერდი მომრგვალებულია. ღარისებრი კრამიტი ხელითაა გაკეთებული, ბოყვზეა გადაყვანილი, ამიტომ ნატეხები ერთმანეთისაგან განსხვავდება მოყვანილობითა და კეცის სისქით. ზემოდან მიძერწილი აქვს ცალკე დამზადებული ქიმისმაგვარი გამონაშვერი. ამავე გორაზე შემორჩენილია უფრო გვიანდ. ხანის (რომაული და რომაულიდან ადრინდ. ფეოდ. ხანაზე გარდამავალი ხანების) მასალაც.

ბიბლ.: 42:413. ბ. ა.

189. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს გორაზე, ნასტაკისის ველის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მდ. ქსნის მარცხ. ნაპირზე, ქსნის რკ.-გზ. სადგურის ჩრდ.ით. ნ. მრავალფენიანია. თარიღდება პერიოდით — ბრინჯაოს ხანიდან ადრინდ. ფეოდ. ხანამდე.

ნ. 1971 წ. დაზვერა ისე ინ-ტის მცხეთის სადაზვერვო არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. ბოხოჩაძე). გორანამოსახლარის სამხრ. კალთის ცენტრ. ნაწილში გავლებულ იქნა საკონტროლო თხრილი. კულტ ფენები შემონახულია კარგად. ნაწილი გორისა ამჟამად გადარეცხილია, ნაწილი მშენებლობის დროს დაინგრა, ნაწილი კი ნაყარი მიწითაა დაფარული. მოპოვებული მასალა ინახება მცხეთის მუზეუმში. ბ. ა.

190. ნასტაგისი, ნ ა ს ტ ა კ ი ს ი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, მდ. მტკვრის მარცხ ნაპირზე, ნასტაგისის ველზე. ნასტაგისის ველს ჩრდ-დან ხაზღვრავს სავანეთის ქედი, რ-ის ბოლო მწვერვალზე ქსნის ციხეა აღმართული, სამხრ-დან — მდ. მტკვარი, დას-დან — მდ. ქსანი, ხოლო აღმ-დან — ნასპარხევის ხევი.

„მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, ალექსანდრე მაკედონელი „.... დიდგა სარკინესა დასავლეთ კერძო და დასცა ვენახი და რუი გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მეურვენი დასტაგითა რუისაითა: და ჰრქვან ადგილსა მას ნასტაგისი“.

ფეოდ. ხანაში აქ არსებულა შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი სოფელი ნასტაგისი, რ-საც სიმონ მეფემ 1580 წ. სითარხნის წიგნი განუახლა.

1952 წ. ნასტაგისის ველზე ისე ინ-ტის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი) ჩაატარა ისტ.-გეოგრ. დაზვერვები; 1964-72 წწ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღვანელები ლ. ჭილაშვილი, ი. გაგოშიძე) — არქეოლ. დაზვერვები და მცირე გათხრები. 1972 წ-დან ნასტაგისის ველზე მუშაობს ისე ინ-ტის ნასტაგისის მცხეთის რ-ნის არქეოლ. ექსპედიცია (ხელმძღვ. ა. ბოხოჩაძე). მოპოვებული მასალა ინახება მცხეთის მუზეუმში და სოფ. ქსანში, ექსპედიციის ბაზაზე.

ძ. დაზიანებულია. ველის ნაწილი ხახნავ-სათესადაა გამოყენებული, ნაწილი (12 ჰა) გამოყოფილია საქ. სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მინის ტარის ქარხნის მშენებლობისათვის, ნაწილი ამავე სამინისტროს მინერ. წყლების ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობისათვის, ხოლო ნაწილი უკავია ჟინვალჰესის ჰიდროკვანძის რკ.-გზ. სატვირთო სადგურს.

ნასტაგისის ველზე გამოვლენილი არქეოლ. ძ. მრავალფენიანია. კულტ. ფენები ერთმანეთს ენაცვლებიან. ნასტაგისის ველი ადამიანს საცხოვრებლად შუა ბრინჯაოს ხანაში აუთვისებია. ამ დროის ყორღანული სამარხიდან შემორჩა ბრინჯაოს ჭურჭლისა და სამკუთხედებით შემკული შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ველის ჩრდ.-დას. კუთხეში, ნასტა-

190. გეგმა



გისის გორის აღმ. კალთასა და მის მიმდებარე ვაკეზე მდებარეობს გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. დასასრული-I ათასწლ. დასაწყისი) ნამოსახლარი (ა). ამ პერიოდის საცხოვრ. სახლები (8,2X6,5 მ) გეგმით ჩრდ-დან სამხრ-ისაკენ წაგრძელებული სწორკუთხა ნაგებობებია. ზოგიერთი სახლის მიწისქვეშა ხართული ქვიშაქვის ფილებითაა ნაგები, ხოლო მიწისზედა, ჯარგვლის ტიპის ნაგებობა შელესილია თიხით, ზოგიერთი მიწისზედა ნაგებობა ნაგებია ერთმანეთთან კარგად მორგებული ქვიშაქვებით. იატაკი თიხატკეპნილია, აღმ-ის კედლის გასწვრივ, 2,6 მ სიგანეზე, მოგებულია ქვიშაქვის ფილები. სახლების ჩრდ.-დას. კუთხეში პურის საცხობი ღუმელი ყოფილა, ღუმლის სამხრ-ით — კერა (1,3X0,95X X0,2 მ). ერთ-ერთი შენობის აღმ. კედლის შუა ადგილას აღმოჩნდა ტორისმაგვარი ქვიშაქვა (კერპი?).

ძვ. წ. IV ს. ბოლოს ნ-ზე გაჩნდა ქალაქის ტიპის მსხვილი დასახლება, რ-მაც VII ს. დასასრულამდე იარსება. ელინისტ. ხანის (ძვ. წ. IV-II სს.) ნაგებობანი ხელოვნურ ტერასებზეა განლაგებული. ყველა ნაგებობა გეგმით სწორკუთხაა, ჩრდ-დან სამხრისკენ წაგრძელებული. ნაგებია ქვიშაქვის ნატეხებითა და თიხის ხსნარით. გამოუყენებიათ რიყის დიდი ქვებიც. შესასვლელი სამხრ-ითაა. იატაკი თიხატკეპნილია. ყველა ნაგებობის ჩრდ.-აღმ. კუთხეში ორგანყოფილებიანი ღუმელია. ნაგებობათა ნაწილი ნახევრად მიწურია და ქვიშაქვის კედლები აქვს. მიწის ზემოთ აშენებული ნაგებობანი ჯარგვლის ტიპისაა, ორივე მხრიდან შელესილია.

ელინისტ. ხანის ნაგებობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. სამლოცველო, რ-იც თარიღდება ძვ. წ. III-II სს-ით. მისი სამი კედელი სანახევროდ მიწაშია, მიწისზედა ნაგებობა კი ჯარგვლის ტიპისა ყოფილა. ჯარგვლის კედლების ასაგებად გამოყენებულია ხის მორები (დიამ. 0,2-0,25 მ), რ-ებზეც ლასტია შემოწნული და ორივე მხრიდან შელესილია თიხით. სამლოცველოს ბანური სახურავი და თიხატკეპნილი იატაკი ჰქონია. სამლოცველო რამდენიმე სენაკისაგან შედგება. ცენტრ. სენაკს (7X7 მ) შესასვლელი (სიგ. 1,1 მ) სამხრ-ითა აქვს სენაკში ორი სამსხვერპლო-საკურთხეველი აღმოჩნდა. ერთი სწორკუთხა საკურთხეველი (2X1,5 მ) დას-ის კედლის გასწვრივ, კარის წინაა. მას სამხრ.-დას. და ჩრდ.-

190. I-III სს. საცხოვრებლის ნაშთი

190(ბ). საერთო ხედი



190 სამლოცველო. გეგმა. ძვ. წ. III-II სს.



აღმ. კუთხეებში მომრგვალებული და გარედან შელესილი შვერილები აქვს, ხოლო ჩრდ.-დას. კუთხეში — რეიანის მსგავსი შვერილი. მეორე სამსხვერპლო-საკურთხეველი სენაკის ჩრდ.-დას. კუთხეშია. იგი ჩრდ-დან სამხრ-ისაკენ წაგრძელებული ორსაფეხურიანი ოვალური ნაგებობაა. სამსხვერპლოს ქვედა ნაწილი იატაკიდან გამოყოფილია ლამაზად გამოყვანილი შელესილი თიხის ბორდიურით (სიმ. 0,06-0,07 მ). სენაკის ჩრდ.-აღმ. კუთხეში შემორჩენილია ორგანყოფილებიანი ღუმელი (1,1X0,9X0,55 მ).

ცენტრ. დარბაზს სამხრ-ით მიშენებული აქვს ე. წ. გრძელი სენაკი (12,5X3,8 მ), დას-ით — ორი, ხოლო აღმ-ით — ერთი დარბაზი. გრძელ სენაკში აღმოჩნდა რამდენიმე ქვევრი, ერთი მოხატული დერგი, რამდენიმე დიდი ჭურჭელი, ირმის რქები და ზეთის გამოსაწური მრგვალი, გულამოღებული სამფეხა ქვა.

სამლოცველო (VI ფენა) დაშენებულია ძვ. წ. IV-III სს. მიჯნით დათარიღებულ ქვიშაქვის ნატეხებით ნაგებ შენობაზე (VII ფენა). ქვები ერთმანეთთან კარგადაა მორ-

გებული. ამ ნაგებობის იატაკზე აღმოჩნდა წითელკეციანი დერგის ნატეხები.

სამლოცველოს თავზე გამოვლენილ ელინისტ. ხანის კულტ. ფენაში (სისქე 0,4 მ, V ფ ე ნ ა) აღმოჩნდა ნაგებობათა ნაშთები, წითელი და თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლის ნატეხები, ხელით ნაძერწი კრამიტი.

IV ფ ე ნ ა შ ი (სისქე 0,3-0,4 მ) გამოვლინდა ორ რიგად დაწყობილი მოზრდილი რიყის ქვებით შედგენილი დიდი წრე, ნაგებობათა ნაშთები, წითლად და შავად გამომწვარი და წითლად მოხატული ჭურჭლის ნატეხები. ამ ფენის ძირითადი ნაწილი გვიანდ. ანტ ხანით თარიღდება. ამავე ფენაში გვხვდება როგორც ელინისტ. ხანის, ისე ადრინდ. ფეოდ. ხანის გვიანდ. ეტაპისათვის დამახასიათებელი მასალა.

III ფ ე ნ ი ს სისქე 0,2 მ-ია. II ფ ე ნ ა შ ი (სისქე 0,5 მ) შემორჩენილია რიყის ქვით ნაგებ შენობათა ნაშთები, ხრეშისა და წითლად გამომწვარი და წითლად ანგობირებული ჭურჭლის ნატეხებისაგან წარმოქმნილი გრძელი და ვიწრო ყრილი. ეს ფენა ძირითადად IV-VII სს-ით თარიღდება.

I ფ ე ნ ა (სისქე 0,4 მ) შეიცავს ნაგებობათა ნაშთებს, კრამიტისა და ჭურჭლის ნატეხებს.

გვიანდ. ანტ. ხანაში ძირითადად მრავალსენაკიანი ნაგებობები უშენებიათ, თუმცა არის ერთ ან ორსენაკიანიც. ისინი ნაგებია ალიზის აგურით (0,52X0,52X0,1 მ). საძირკველი ამოყვანილია წინასწარ მოსწორებულ ადგილზე. საძირკვლის პერანგად გამოყენებულია ქვიშაქვის, ტუფისა და კონგლომერატის დიდი ქვები, პერანგებს შორის ჩაყრილია ნატეხი ქვა. ასეთ საძირკველზე ამოყვანილია ალიზის კედლები, რ-ებიც შელესილია თიხით ან გაჯით. სიმაგრისათვის ალიზის კედლებზე შიგნით რიყის ქვითა და კირხსნარით ნაგები კონტრფორსებია მიშენებული.

გვიანდ. ანტ. ხანის ნაგებობები გამოვლინდა ნასტაგისის ველის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. I ნ ა გ ე ბ ო ბ ა (9,7X X7,55 მ) გეგმით წესიერ სწორკუთხედს წარმოადგენს, თარიღდება I-III სს-ით. მისი საძირკველი (სიმ. 1 მ) ტლანქად დამუშავებული კონგლომერატისა და ქვიშაქვის კვადრებითაა (0,75-1X0,5X0,2 მ) ნაგები. გადახურული ყოფილა წითლად შეღებილი ორი ტიპის კრამიტით. ამ ნაგებობის მახლობლად აღმოჩნდა ქვიშაქვაში გამოკვეთილი გვიანდ. ანტ. ხანის საკურთხევლები და ბომონი. ნაგებობა ადრინდ. ფეოდ. ხანაში დაუტიხრავთ და საცხოვრებლად გამოუყენებიათ. II ნ ა გ ე ბ ო ბ ა ს ა ც კონგლომერატითა და ქვიშაქვით ნაგები საძირკველი (0,9X0,5X0,4 მ) აქვს, რ-ზეც ალიზის კედლები ყოფილა ამოყვანილი. აღმოჩნდა წითლად ანგობირებული სხვადასხვა სახის ჯამები, წითლად გამომწვარი ხელადები და სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭლის ნატეხები.

ადრინდ. ფეოდ. ხანის (IV-VIII სს.) კულტ. ფენაში (სისქე 0,5-1,5 მ) გამოვლინდა ე. წ. სპასპეტის საცხოვრებელი კომპლექსის ნაშთები, სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები და სამაროვანი.

(ბ) ს პ ა ს პ ე ტ ი ს ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ კ ო მ პ ლ ე ქ ს შ ი შედის მრავალსენაკიანი შენობა, დარბაზი და აბანო. ნაგებია რიყის ქვითა და თიხით. კედლები მოპირკეთებულია, წყობა თევზიფხურია. თარიღდება IV-VI სს-ით. ნაგებობა რამდენჯერმე გადაკეთებული. მრავალსათავსიანი შენობა 15-მდე სხვადასხვა დანიშნულების, გეგმით სწორკუთხა სენაკისაგან შედგება. უმეტეს შემთხვევაში მათ ცენტრში ოთხკუთხა კერაა გამართული. ამავე შენობაშია მ ა რ ა ნ ი (20-მდე ქვევრი, საერთო ტევადობა 1500 დლ) და ე კ ლ ე ს ი ა, რ-საც აღმ-ით აფსიდი აქვს, ხოლო დას-ით ნართექსი. ყველა სათავსი ერთმანეთს კარით უკავშირდება. დ ა რ ბ ა ზ ი (243,7 · კვ მ) გეგმით ოთხკუთხაა. შესასვლელი დას-დან ჰქონია. დას. კედელი ცოკოლზეა (სიგ 1,4 მ) ამოყვანილი. იატაკი თიხატკეპნილია. კედლები შიგნიდან შელესილია. ა ბ ა ნ ო (17,7 კვ მ) გეგმით სწორკუთხაა. შესასვლელი (სიგ. 0,7 მ) სამხრ.-დას. კუთხეში ჰქონია. აქვს პიპოკაუსტი (2,9X1,75 მ).

ერთ-ერთ თხრილში გამოვლენილ ნაგებობაში ჩაშენებული იყო III ს-ის ე კ ლ ე ს ი ა. მისი საძირკველი ნაგებია რიყის ქვით, რ-შიც ქვიშაქვის ნატეხებია შერეული. კედლები ალიზისაა. დამხრობილია აღმ.-დას-ის ხაზზე. კარი (სიგ. 0,9 მ) ჩრდ. კედელშია გაჭრილი. აღმ-ით ნალისებრი



190(გ). გეგმა

აფსიდია (სიღრმე 2 მ). ეკლ. გადახურული ყოფილა გვიანდ. ანტ. ხანის წითლად შეღებილი კრამიტით.

ნასტაგისის ველის ჩრდ.-აღმ. ნაწილში მდებარე ბორცვზე გაითხარა მრავალფენიანი ძ. აქ უძველესი ფენა გვიანდ. ანტ. ხანით თარიღდება. ამ ფენაში გამოვლინდა რამდენიმე სამარხი და სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები.

(გ) ს ა მ ნ ა ვ ი ა ნ ი ბ ა ზ ი ლ ი კ ა (16,67X10 მ) თარიღდება V-VI სს-ით. მისი საძირკველი (სისქე 1 მ) ნაგებია ქვიშაქვის დიდი ქვებით. საძირკვლის მოსწორებულ ზედაპირზე ამოყვანილია ალიზის კედლები (შემორჩა

190(ბ). საერთო ხედი



ბაზილიკის აღმ. ნაწილში 0,5 მ სიმაღლეზე), რ-ებიც გაჯითაა შელესილი. ნავები (შუა ნავი 14,2X3,15 მ, ჩრდ-ის – 13,7X1,4 მ, სამხრ-ის – 13,45X1,5 მ) ერთმანეთისაგან გამოყოფილია სამი წყვილი ბოძით. შუა ნავის აფსიდში, აღმ. კედელზე მიდგმული იყო ალიზით ნაგები, თიხითა და გაჯით შელესილი სატრაპეზო ქვა (0,4X0,4 მ). სამნავიანი ბაზილიკისათვის მოგვიანებით სამხრ-ისა და ჩრდ-ის მხრიდან დამატებითი ნავები მიუშენებიათ.

ბაზილიკის ნანგრევებზე VI ს-ში რიყის, ქვიშაქვის, კონგლომერატის, კრამიტის ნატეხებითა და ალიზის აგურით აუშენებიათ (დ) სამეკლესიიანი ბაზილიკა (13,5X9,8 მ). შუა ნავის სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლებში გაჭრილია შესასვლელები (0,9 მ). ნავის იატაკზე კრამიტი ყოფილა მოგებული. კრამიტისა იყო იატაკი ჩრდ. ნავშიც. მოგვიანებით სამეკლესიიანი ბაზილიკისათვის ჩრდ-ით მიუშენებიათ სამსათავსიანი შენობა. შუა სათავსში ჩრდ-ის კედლის გასწვრივ საქონლის ბაგაა. VIII-IX სს. სამეკლესიიანი ბაზილიკის სამხრ. კედელი დაუნგრევიათ და ქვაყუთები ჩაუდგამთ.

ნასტაგისის ველზე 200-ზე მეტი სამარხი (ე) გაითხარა ისინი ანტ. ხანითა და ადრინდ. ფეოდ. ხანით თარიღდებიან.

ანტ. ხანაში გავრცელებული ყოფილა ორმოსამარხები (მიწაყრილიანი, ქვაყრილიანი, ხისიატაკიანი, ზოგან იატაკზე მოგებულია წვრილი კენჭები ან ქვევრის ნატეხები; ფიცრით, კევრით ან ქვის ფილებით გადახურული), ქვევრსამარხები, რიყის ქვით ნაგები სამარხები და ქვაყუთები. სამარხებში გამოვლინდა შავად და წითლად გამომწვარი, სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების წითლად ან თეთრად ანგობირებული, წითლად მოხატული თიხის ჭურჭელი; სამაჯურები, გემიანი ბეჭდები, საყურეები, სასაფეთქლე რგოლები, სხვადასხვა მასალის მძივები, მძივსაკიდები, ბრინჯაოსა და ვერცხლის ზარაკები, ძვლის სამკაულები, მონეტები და სხვ.

ადრინდ. ფეოდ. ხანაში სამარხებად ძირითადად გამოყენებულია ქვაყუთები. ამავე პერიოდს განეკუთვნება კრამიტებისაგან შედგენილი ბავშვის სამარხები და ნატეხი ქვითა და დუღაბით ნაგები აკლდამა. (ე) აკლდამას (2,4X1,55 მ) შესასვლელი დას-ით აქვს. იატაკი ქვისა და კირხსნარისაა. კედლებთან მიცვალებულთა დასასვენებელი სასთუმლიანი ტახტებია (2,4X0,67 მ). აკლდამაში აღმოჩნდა 30 ჩონჩხი, 4 ბეჭედი და 2 რგოლი.

ბიბლ.: 51; 52; 283. ბ. ა.

190(დ) საერთო ხედი



## ქსნის ციხე,

იხ. ხოფ. ციხისძირი, ქსნის ციხე

## ქსოვრისი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

191. ქსოვრისი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მუხრანის ვაკეზე, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე. სოფელი უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა ქსნის ხეობის მნიშვნელოვან დასახლებას. არაბი ისტორიკოსის ბელაძორის ცნობით არაბებს სხვა მხარეებთან ერთად გარკვეული პირობით ქ-ც დამორჩილებია. ქ-ის დაწინაურებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. ქ-ზე გადიოდა „საქალაქო გზა". აქ იღებდა სათავეს ე. წ. საგლახო რუ, რ-იც XVIII ს-შიც მოქმედებდა. XVI ს-დან სოფელი წილკნელის სამწყსოში და მუხრანბატონთა სათავადოში შედიოდა. ამავე ხანიდან ქ-ში ყმა-მამულის გარკვეულ ნაწილს ფლობდნენ რატიშვილები, ელიზბარაშვილები და გლურჯიძეები.

XVIII ს-ში ქ. ლეკთა თარეშის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების ერთ-ერთ ბასტიონად იქცა. XVII-XVIII სს. მიჯნაზე ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქსნის ერისთავთა საგვარეულო სახლის განაყოფმა აზნაურმა ზურაბ რატიშვილმა, რისთვისაც მას სამეფო კარმა თავადობა უბოძა. 1723 წ. ქ-ში დაბანაკდა ვახტანგ VI, რ-იც აქედან ხელმძღვანელობდა ლეკთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებს. 1732 წ. დეკემბერში ქ-ს ლეკები დაესხნენ თავს. გივი ამილახვარმა და თარხან ღუარსაბმა მტერი დაამარცხეს. ქ. ქ., ჭყ. თ.

ბიბლ.: 64; 72; 155; 201დ:439; 220გ. ქ. ქ., ჭყ. თ.

192. ხედი ჩრდ-იდან (რეკონსტრუქციამდე)



192. თელოვნის ჯვარპატიოსნის ეკლესია, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით 2-3 კმ-ზე, მთის ფერდზე. თარიღდება VIII-IX სს-ით. ეკლ. (9,7X10,5 მ) ტრიკონქის ტიპისაა. ნაგებია რიყის ქვით, კუთხეებში, კონსტრ. და დეკორატ. ელემენტებისათვის კირქვის ან შირიმის თლილი კვადრებია გამოყენებული. XVIII ს-ში ძ. შეუკეთებიათ. განუახლებიათ გუმბათის კონუსი, გაუმაგრებიათ დას-ის მკლავის კედლები, ამოუშენებიათ დას-ის სარკმელი და სამხრ-ის კარი, დას-ით მიუშენებიათ სამრეკლო.

1952-54 წწ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. სახელოსნომ ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარა (ავტ. ვ. ცინცაძე). გაიწმინდა, გამაგრდა კონსტრ. ელემენტები, აღდგენილ იქნა კედლებისა და გუმბათის ყელის დანგრეული ნაწილები, მთლიანად შეიცვალა სახურავი, ეკლესიას ძველი გეგმის მიხედვით შემოავლეს ახალი გალავანი.

ეკლესიის დას-ის სწორკუთხა მკლავის სამივე კედელში თითო კარია.



192. ალმ-ის ფასადი, განივი განაკვეთი ალმ-კენ, გეგმა

საკურთხევლის ფართო და დაბალ შეერილ აფსიდში ერთი სარკმელია. აფსიდებიან სამკვეთლოსა და სადიაკვნეში შესასვლელები ბემიდანაა. ორივე სათავსს ალმ-ით თითო სარკმელი აქვს. სამხრ-ისა და ჩრდ-ის მკლავების ვიწრო, გარედან სწორკუთხა აფსიდებშიც თითო სარკმელია. მკლავების გადაკვეთით მიღებული სწორკუთხა სივრცე სამხრ-დან და ჩრდ-დან დამატებული თაღებით კვადრატთანაა მიახლოებული. კვადრატიდან გუმბათის ყელის რვაკუთხედზე გადასვლა ტრომპებით ხდება. ტრომპების კიდევ ერთი რიგით რვაკუთხედიდან გუმბათის წრიული საფუძველია მიღებული. რვაწახნაგა გუმბათის ყელში ოთხი პატარა სარკმელია.

ეკლესიაში შემორჩენილია IX-X სს. (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები. IX ს-ის მოხატ. შემორჩენილია მხოლოდ საკურთხეველში. საკურთხევლის აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს ნაცრისფერ ფონზე გამოსახულია მოციქულთა ფიგურები, რ-ებსაც დიდი თავი და ფართო, თითქმის კვადრ. სხეულები აქვთ. დიდი ზომის ხელის მტევნები ფიგურათა მოძრაობას ექსპრესიულ ხასიათს ანიჭებს. ქვემოთ, წმინდანთა ფეხებთან გავლებულია უსწორმასწორო ფართო შავი ზოლი. სარკმლის თავზე მედალიონში მაცხოვრის ბიუსტია მოთავსებული. საკურთხევლის მოხატულობის ქვედა რეგისტრში შემორჩენილია მხოლოდ კედლის კიდეებში სიმეტრიულად განლაგებული მოწითალო-აგურისფერი საღებავით შესრულებული ორი სწორკუთხედი, რ-ებშიც გამოსახული ყოფილა განედლებული ჯვრები. მოხატულობაში გამოყენებულია ნაცრისფერი, ღია ვარდისფერი, მოწითალო-აგურისფერი, მუქი წითელი და მოვარდისფრო-ღვინისფერი საღებავები. სახის ნაკვთები, შარავანდები შესრულებულია შავი ხაზით.

X ს-ის მხატვრობა შემორჩენილია ეკლესიის დას-ის და ჩრდ-ის მკლავებში. დას-ის მკლავის წყვილ პილასტრზე გამოსახულია ორი წმინდანი მთელი ტანით, სამხრ. პილასტრზე — წმ. მეომარი. წმინდანის ფიგურა ამავე მკლავის სამხრ. კედელზეც გაირჩევა. მისი სახე დიდი თვალებით, თხელი ცხვირით, ხოლისებრი წვერითა და მოგრძო ყვრიმალებიანი ოვალით მეტად მეტყველია. ეკლესიის ჩრდ. აფსიდში მცენარეული ორნამენტის ფრაგმენტია შემორჩენილი. მხატვრობის კოლორიტში გაბატონებულია ოქროსფერი ოქრა, მოწითალო-ყავისფერი, ნაცრისფერი და მუქი ლურჯი.



192. დეტალი სამხრ. კედელზე

ფასადებზე კარების ზღუდარები და სარკმლების თავსართები შემკულია. გუმბათის ყელს შემოვლებული აქვს დეკორატ. თაღედი.

ეკლ. დგას ადრინდ. ფეოდ. ხანის (ბ) ნ ა ს ო ფ ლ ა რ ზ ე, რ-საც რამდენიმე ჰა ფართობი უკავია. ნასოფლარზე აღმოჩნდა სხვადასხვა შენო-



192. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან (რეკონსტრუქციის შემდეგ)

ბის ნანგრევები და სხვადასხვა სახისა და დანიშნულების კერამიკის ნატეხები. ნასოფლარის ცენტრ. ნაწილში დიდი მარნის ნანგრევებია.

ბიბლ.: 244; 274; 353. ბ. ა., დ. ფ., მ. გ.

193. ნასოფლარი ფშუტიანი ქედი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით 2 კმ-ზე. შეკრებილი ზედაპირული მასალით (ბრტყელი და ღარისებრი კრამიტები) ნასოფლარი გვიანდ. ანტ. ხანითა და ადრინდ. ფეოდ. ხანით თარიღდება. ბ. ა.

194. საკულტო გორა გორება, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით 2,5 კმ-ზე. გორაზე აღმოჩნდა კერები, რ-ებსაც შემორჩენილი ჰქონდა ნაცარი და ნახშირი, თონის მაგვარი (ფსკერგახვრეტილი) და დიდი ზომის კეცის მაგვარი (ბრტყელძირიანი და დაბალკიდიანი) თიხის ჭურჭელი და სხვ. ბ. ა.

195. ციხე-დარბაზი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. თარიღდება XVIII ს-ით.

ც.-დ-ის გალავანი, კოშკი, ეკლესია. სასახლე ნაგებია რიყის ქვით, კონსტრ. ადგილებში გამოყენებულია აგური.

(ა) გალავანი გეგმით ოთხკუთხაა (30X38 მ). კედლები (სისქე საშუალოდ 1 მ) სამიარუსიანია. პირველი იარუსი ყრუა. სათოფურები მეორე და მესამე იარუსზეა. გალავანი ძლიერ დაზიანებულია.

გალავანზე, სამხრ.-აღმ. კუთხეში მიდგმული კოშკი ოთხსართულიანია, ცილინდრული (დიამ. 5 მ; სიმ. 14 მ-მდე). კოშკის პირველი და მეორე სართული შიგნითაც ცილინდრულია, ხოლო მესამე — კვადრატული. პირველ სართულში შესასვლელი ეზოდანაა. ამ სართულის კედლებში სამეურნეო დანიშნულების 4 ნიშია. აქვეა ჭა. მეორე და მესამე სართულზე თითო ბუხარი და რამდენიმე ცალმაგი და ორმაგი სათოფურია. სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა (არ შემორჩენილა).

(ბ) ეკლესია დარბაზულია (9,8X X6,2 მ), დგას გალავნის სამხრ.-დას. კუთხეში. დას-ით, სამხრ-ითა და ჩრდ-ით თითო შესასვლელია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია. ეკლესიის დას-ის კედელში ერთი სარკმელია (სამხრ. სარკმელი გვიანდელია). დარბაზი გადახურულია საბჯენ თაღზე დამყარებული შეისრული კამარით.

ფასადებზე (გარდა დას-ისა) სწორკუთხედებში ჩასმულია შეისრული დეკორატ. თაღები. აღმ-ისა და დას-ის ფასადზე აგურის წყობით გამოყვანილია თითო ჩაღრმავებული ჯვარი. ამავე ფასადებზე შემორჩენილი სამშენ. მხედრ. წარწერის თანახმად, ეკლ. აუგიათ 1712 წ. რატიშეილ ზურაბს და მის მეუღლეს სოლოღაშვილის ასულს ანას.

თაედაპირველი (გ) სასახლიდან აღარაფერია შემორჩენილი. ნანგრევებზე სამხრ-ით მიდგმული სასახლე XIX ს-ისაა და მრავალჯერაა გადაკეთებული.

ბიბლ.: 92. ჩ. პ.

# შიომღვიმე

196. შიომღვიმის კომპლექსი, არქიტ., არქეოლ., ისტ., მონუმ. ხელოვნ.







195 კოშკის განაკვეთი, სამხრ. ფასადი, II სართულის გეგმა




195. გეგმა: 1. გალავნის კედლები, 2. გალავანი, 3. ეკლესია, 4. კოშკი

ძ. მდებარეობს თბილისიდან 30 კმ-ზე, ქ. მცხეთის დას-ით 9-10 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე. ძ-ზე მისვლა შეიძლება მცხეთიდან საავტ. გზით.

კომპლექსში შედის ჩრდ-დან სამხრ-კენ ტერასებად განლაგებული სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ნაგებობანი: მღვიმე-ეკლესია (შიოს თავდაპირველი სამყოფელი), იოანე ნათლისმცემლის ეკლესია სხვადასხვა დროის მინაშენებით, სამრეკლო, შიოს სახაფლაო-ეკლესია, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი კოშკით, სატრაპეზო, კლდეში ნაკვეთი მღვიმეები — ქვაბები, ბერთა საცხოვრ. ნაგებობები, წყარო, წყალსადენი, გალავანი, ჯვრის ამაღლების ეკლესია.

მონასტრის დამაარსებელია შიო, მღვიმელად წოდებული, ერთი იმ „ათცამეტ ასურელ მამათაგანი", რ-ნიც VI ს-ში საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის იღვწოდნენ. ბიოგრაფების ცნობით (არსენ II კათალიკოსი, 955-80 წწ., „ცხორებაი და მოქალაქობაი ღირსისა მამისა ჩუენისა შიოისი და ევაგრესი", XII ს. უცნობი მეტაფრასტის მიერ გადამუშავებული რედაქცია „ცხორებაი და საკვირველებანი წმიდისა და ნეტარისა შიოისნი..") შიო ოცი წლის ასაკში დაემოწაფა იოანე ბერს, შემდგომში ზედაზნელად წოდებულს, თან წამოყვა ქართლში და 543-47 წწ. მასთან ერთად ცხოვრობდა ზედაზენზე. 547 წ. შიო ზედაზნიდან წავიდა და სარკინის მთაზე „ინახულა ხევი რაიმე ღრმა უნუგეშისმცემო, ურწყული... ჰპოვა ჩრდილოთ კერძო მდინარესა მას დიდსა, რომელ არს მტკვარი, ქვაბი ყოვლად მცირე, რომელ კმა ეყოფოდა მფარველად სხეულსა მას მისსა"... და „დაჯდა მას შინა დაყუდებით"... ლეგენდის მიხედვით, მღვიმეში დაყუდებულ შიოს საკვებს მტრედი უზიდავდა ნისკარტით. შიოს გამოეცხადნენ ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი, რ-ებმაც იწინასწარმეტყველეს — „იქმნეს უდაბნო ესე აღსავსე კაცთა მიერ". რამდენიმე ხნის შემდეგ მღვიმის გარშემო შეიქმნა სამონასტრო თემი — „მოვიდოდეს მრავალნი და მონაზონ იქმნებოდეს". საჭირო გახდა ეკლესიის აგება. „სცა სათხარი წმინდამან შიო და აღაშენეს ეკლესიაი იოანე ნათლისმცემლისა". ეკლესიის აგების შემდეგ შიომ შეარჩია მღვიმე „ფრიადსა სიღრმესა მქონებელი და ყოვლად ბნელი, შთახდა მას შინა" და იქ დაასრულა თავისი სიცოცხლე. ანდერძის თანახმად იგი ამავე მღვიმეში დაასაფლავეს. მღვიმე წმინდა ადგილად იქნა მიჩნეული, მონასტრის სახელიც აქედან მოდის (შიოს მღვიმე, შიომღვიმე). XI ს-ის დასასრულს მღვიმეს ეკლესია დააშენეს.

XI ს-ის შუა წლებში შიომღვიმე თურქ-სელჩუკებმა დაარბიეს. მეფე ბაგრატ IV-მ (1027-72 წწ.) დახმარების მიზნით მონასტერს კლდეკარის მახლობლად მდებარე ბაღვაშთა ყოფილი მამული ბორცვისჯვარი უბოძა. XII ს-ში დავით აღმაშენებლისაგან დევნილმა მოღალატე მსხვილმა ფეოდალმა ძაგანმა თავი მღვიმეს შეაფარა. მონასტრის კრებულმა ორგული ფეოდალი შეიპყრო და მეფეს გადასცა. მღვიმელთა ერთგულებისა და თავდადებისათვის დავითმა მონასტერი მთლიანად თავის საპატრონოდ გამოაცხადა და იქ ღვთისმშობლის დიდი ტაძარი ააგო (1103-33 წწ.). ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელობა დაავალა ბერს — არსენს (ეს ბერი იყალთოს მონასტრის წინამძღვარი, ცნობილი მწერალი და მეცნიერი არსენ იყალთოელი უნდა იყოს). 1123 წ. შირვანზე გალაშქრების წინ დავით აღმაშენებელმა მონასტერს დამოუკიდებლობა, სასამართლო შეუვალობა და დიდძალი ქონება უბოძა. საგანგებო ანდერძში მეფემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მონასტრის ძირითადი საქმიანობა მხოლოდ მეფეთათვის ლოცვა და ღვთისმსახურება უნდა იყოს. სამეფო კარის მხარდაჭერითა და დახმარებით შიომღვიმე მძლავრ ფეოდ. საეკლ. სენიორიად იქცა. თამარის ეპოქაში შიომღვიმის მამულები გაიზარდა და მონასტერი გამდიდრდა უხვი შეწირულებებით. 1202 წ. თამარის ნებითა და ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თაოსნობით სოფ. სხალტბიდან შიომღვიმეში წყალსადენი გაიყვანეს. XIII ს-ის შუა ხანებში მონასტერი ხვარაზმელებმა დაარბიეს, მაგრამ მისი ძლიერება მალე ისევ აღდგა. XIV ს-ში გიორგი ბრწყინვალემ შიომღვიმე მეფისადმი თავდადებისათვის ერთ-ერთ დიდგვარიან ფეოდალს ზევდგინიძე-ამილახვარს გადასცა საკუთრებად. აქედან მოყოლებული XIX ს-ის პირველ ათეულ წლებამდე მონასტერი ამილახვართა

196. სიტუაციური გეგმა



საგვარეულო სასაფლაოდ ითვლებოდა. შიომღვიმეში ამილახვართა სახლის წევრები ბერ-მონაზვნებადაც აღიკვეცებოდნენ ხოლმე. ამილახვრები, როგორც მეპატრონეები, მონასტრის თავდადებულ მშენებლებადაც (XVIII ს-მდე) გვევლინებიან. 1393 წ. მონასტერი თემურლენგმა აიკლო და ააოხრა.

მონასტრისადმი ზრუნვას იჩენდნენ მეფეები ალექსანდრე I (1412-42 წწ.), სვიმონ I (1558-1600 წწ.), როსტომი (1632-58 წწ.), გიორგი XI (1678-88 წწ., 1703-09 წწ.) და სხვ.

შიომღვიმე ერთ-ერთ მსხვილ სამეურნეო-ფეოდ. ორგანიზაციას წარმოადგენდა. მონასტრის კუთვნილებაში იყო უამრავი ყმა და მამული, მთლიანი სოფლები და ცალკეული კომლები სხვადასხვა სოფელში, წისქვილები, ზეთის სახდელები, სავაჭრო დუქნები, საქონლის ჯოგები და სხვ. მონასტერი ეწეოდა გაცხოველებულ ვაჭრობა-აღებ-მიცემობას. ყმა გლეხთა ექსპლუატაციით, ნაწილობრივ შეწირულებებით მონასტერს დიდძალი ქონება დაუგროვდა.

1614-16 წწ. საქართველოში შაჰ-აბასის შემოსევების დროს მონასტერი კვლავ აოხრდა. დავით აღმაშენებლის მიერ აგებული დიდი ტაძარიც მაშინ უნდა დანგრეულიყო. ეს ტაძარი 1678 წ. აღადგინეს გივი ამილახორმა და მისმა მეუღლემ თამარმა. ოსმალთა ბატონობის პერიოდში (1722-35 წწ.) ოსმალებთან ერთად ლეკებიც არბევდნენ მონასტერს. გაპარტახებული შიომღვიმის ეკლესიები 1773 წ. გივი ამილახორმა და მისა მეუღლემ ბანგუამ შეაკეთებინეს. 1735 წ. შაჰ-ნადირის ლაშქარმა შიომღვიმე საფუძვლიანად დაანგრია და ბერებიც ამოხოცა. მტრის ლაშქარს ზოგჯერ ქართვ. დიდებულებიც ეხმარებოდნენ.

XI-XIV სს-ში შიომღვიმეში მაღალ დონეზე იდგა სამეცნ.-მწიგნობრული მოღვაწეობა. XII ს-ში შიომღვიმეში ცხოვრობდა გამოჩენილი ქართვ. ფილოსოფოსი, მთარგმნელი და მეცნიერი არსენ იყალთოელი. აქ უთარგმნია მას ბერძნულიდან „დოგმატიკონი". შიომღვიმეში მოღვაწეობდნენ აგრეთვე ცნობილი ისტორიკოსები არსენი და ბასილი ეაჩეს ძე. ორიგინალური შრომების შედგენისა და თარგმნის გარდა, შიომღვიმეში ფართოდ იყო გაჩაღებული გადამწერლობაც. შემონახულია აქაური კალიგრაფების მიერ იშვიათი ოსტატობით გადაწერილი და მხატვრულად გაფორმებული ხელნაწერები (მაგ., 1309 წ. ეტრატზე გადაწერილი და მოხატული სახარება). შიომღვიმის მონასტერს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია. 1804 წ.-ის ცნობით წიგნების რაოდენობა 10 ურემზე ძლივს დაეტეოდა. მრავალი წიგნი ეტრატისა ყოფილა.

მტრის მრავალგზისი შემოსევების შედეგად შიომღვიმე საბოლოოდ დაეცა და დაუძლურდა. მართალია მონასტრის საკეთილდღეოდ კვლავ იღვწოდნენ ქართვ. მეფეები (ერეკლე II, გიორგი XII) და სასულიერო პირნი, მაგრამ მონასტრის ძლიერება აღარ აღმდგარა.

შიომღვიმის მონასტერი, როგორც ფეოდ. მეპატრონე, ექსპლუატაციას უწევდა გლეხებს. ისინი ვალდებული იყვნენ გარკვეული რაოდენობის გადასახადი ეძლიათ მონასტრისათვის და მის სასარგებლოდ ემუშავათ. შიომღვიმის ამილახვართა ხელში გადასვლის შემდეგ მონასტრის ყმა ვალდებული გახდა სამონასტრო გადასახადთან ერთად, სამეფო და თვით საამილახორო გამოსაღებებიც გადაეხადა. გადასახადების სიმძიმის გამო გლეხები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი კარ-მიდამო, სხვას შეკედლებოდნენ ან გადასახადზე უარი ეთქვათ. ასეთ გლეხებს მონასტერი სასტიკად სჯიდა. ხშირად გლეხები იარაღსაც მიმართავდნენ. 1804 წ. შეიარაღებულ გლეხებს მონასტერი დაურბევიათ.

1811-22 წწ. შიომღვიმე ადმინისტრაციულად ქვათახევის მონასტერს ექვემდებარებოდა, ხოლო 1822-87 წწ.



196. კომპლექსის საერთო ხედი სამხრ.-აღმ.-იდან

თბილ. ფერისცვალების მონასტერს. XIX ს-ის 60-იანი წლებისათვის შიომღვიმე, როგორც ფეოდ. სენიორია, აღარ არსებობდა, ის საკულტო დაწესებულებადღა დარჩა.

XIX ს-ის 90-იან წლებში მონასტრის წინამძღვრის ეპისკოპოსის ალექსანდრე ოქროპირიძის თაოსნობით ჩატარებული სარესტ. სამუშაოების შემდეგ შ. ძ-მა სრულიად შეიცვალა სახე. განადგურდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ძვ. მხატვრობა. XX ს-ის 70-იან წლებში სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანებამ, თბილ. მე-13 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეების დახმარებით ჩაატარა სარემონტო-სარესტ. სამუშაოები (ავტორები ტ. კიპაროიძე, ნ. ზაზუნიშვილი); იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში აღდგა საყრდენი კედლები, მოიხსნა გეიანდ. შელესილობა; კანკელი გადაეცა საქართვ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმს; გაკეთდა ღვარსაშვები, აღდგა სატრაპეზო და გალავანი ქიშკრითურთ.

(ა) მ ღ ვ ი მ ე - ე კ ლ ე ს ი ა დგას გზის მარჯვ. მხარეს, კონცხზე. მღვიმეზე, სადაც შიო პირველად დაბინავებულა, XI ს-ში ეკლ. დაუშენებიათ. XIX ს. 90-იან წლებში მღვიმე-ეკლესია გადაუკეთებიათ.

ეკლესიას (1,85X1,77 *მ*) შესასვლელი ჩრდ-ითა აქვს. დას-ის კედელში ერთი სარკმელია. კედლები შელესილი და შეთეთრებულია. დას-ის ფასადზე შემორჩენილია ასომთ. წარწერის ფრაგმენტი — „იესო ქრისტე“.

(ბ) ი ო ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა VI ს-ის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა (13,5X7,8 *მ*), ნაშენია ნატეხი ქვითა და მოსწორებული რიყის ქვით. ეკლესიის 3/4 ნაწილი მიწაშია. ჯვრის აღმ.-დას-ის მკლავი ჩრდ.-სამხრ-ისაზე გრძელია, ხოლო დას. მკლავი აღემატება აღმ-ისას; ჯვრის მკლავების კამარები ოდნავ ნალისებრი მოხაზულობისაა. გუმბათი ეყრდნობა რვაწახნაგა გუმბათის ყელს, რ-შიც ოთხი სარკმელია. გუმბათის ყელი ჯვრის მკლავების კედლებზეა დაბჯენილი. კედლებიდან გუმბათის ყელზე გადასვლა კვადრატის კუთხეებში ორრიგა თაღების მეშვეობით ხდება. ქვედა ბრტყელი თაღები საზღვრავენ კუთხის აფრისებურ მომრგვალებას. კედლის სიბრტყიდან ამოზიდული ზედა, ნახევარწრიული თაღები კი ქმნიან რვა წახნაგს, რ-ის თანაბარი სიგანის გვერდის კედლები ზემოთ გრძელდება და ცენტრში იკვრება. ამრიგად, გუმბათი ნახევარსფერო კი არ არის, არამედ შეკრული კამარაა, რ-იც უშუალოდ შენობის გარე კედლებს ეყრდნობა. აღმ-ისა და დას-ის კედლებში თითო ვიწრო სარკმელია. მთავარი შესასვლელი დას-ით იყო (ამჟამად გადაკეთებულია). ეკლესიაში შემორჩენილი მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ა შესრულებულია XIX ს-ის 90-იან წლებში ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის დაკვეთით. მხატვრობა მდარეა.

ეკლესიაში შემორჩენილია ღია მწვანე ფერის მკვრივი ტუფისაგან გამოკვეთილი (გ) კ ა ნ კ ე ლ ი, რ-იც მოგვიანებით მეტად უხეშად შეუკეთებიათ. კანკელის ქვედა ნაწილი დაყოფილია ოთხკუთხედებად, ორი ფილა აღსავლის კარის მარცხნივ არის ჩასმული, ორი ფილა მარჯვნივაც ყოფილა. ამჟამად ერთი ფილის ადგილას კარია გაჭრილი. ფილები მოჩარჩოებულია ორნამენტით. მარცხ. ორ ფილაზე გამოსახულია სცენები საღვთო წერილიდან. პირველ ფილაზე. *აბრაამის სტუმრობა, აბრაამი უმასპინძლდება მასთან სტუმრად მოსულ ანგელოზებს*. შუა ანგელოზს, რ-იც ქრისტეს სიმბოლოს წარმოადგენს, ახლავს წარწერა „იესო ქრისტე“. ქვემოთ გამოსახულია თვით აბრაამი პროფილში, რ-საც ორივე ხელით მრგვალი პური უჭირავს, მის უკან ხე დგას. აბრაამის თავზე წარწერაა: „აბრაამის სტუმრობაი“. მეორე ფილაზე გამოსახულია *ჯვარცმის* სცენა. ჯვრის მკლავებს ფილის მთელი სიბრტყე უკავია. ჯვარცმულ ქრისტეს თავი მარჯვნივ აქვს გადახრილი. ჯვრის კუთხეებში მედალიონებია, ერთზე ხელაპყრობილი მარიამ ღვთისმშობელია გამოსახული, მეორეზე — იოანე ნათლისმცემელი, რ-საც ცალ ხელში წიგნი უჭირავს. გამოსახულებებს ბერძნ. წარწერები ახლავს. ქვემოთ გამოსახულია ხელაპყრობილი მართა, სიმეონის დედა. სვეტს უკან შენობები ჩანს. ამ სცენით ავტორს სურდა ხაზი გაესვა იმ ფაქტისათვის, რომ მონასტრის დაარსება დაკავშირებულია მსოფლიო ქრისტ ასკეტიზმის უდიდეს წარმომადგენელთან — სიმეონ მესვეტესთან,



196(ბ). განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა, გუმბათის გეგმა

196(ბ),(ვ). საერთო ხედი





196(ბ). დას. ფასადის დეტალი

რ-მაც დალოცა და აკურთხა შიო და სხვა სირიელი მამები საქართველოში გამომგზავრების წინ. კანკელის მესამე ფილაზე გამოსახულია ევაგრესა და შიოს შეხვედრა. ევაგრე ცხენზე ზის, შიო მღვიმეშია. მათ შეხვედრას ზემოდან ქრისტე აკურთხებს. გამოსახულებებს წარწერები აქვს. ევაგრესა და შიოს ასომთავრული: „წმინდა ევაგრე“, „წმინდა შიო“, ქრისტეს — ბერძნული: „ქრისტე“. ხეზე, მაღლა, გამოსახულია ფრინველი, რ-საც ნისკარტით საჭმელი უჭირავს. ქვემოთ ასახულია ევაგრეს ბერად შედგომა. ევაგრე წარჩინებულ წოდებას ეკუთვნოდა, იყო მთავარი „ციხე-დიდისა“ და დიდმოხელე „სპასპეტი“. ერთხელ, ნადირობისას ევაგრეს დაუნახავს მტრედი, რ-საც ნისკარტით საჭმელი მიჰქონდა. ევაგრე მტრედს გადევნებია და შიოსთან მისულა. ურთიერთგაცნობის შემდეგ ევაგრეს ბერად აღკვეცა გადაუწყვეტია. ამგვარად, რელიეფების თემატიკა არ იზღუდება მხოლოდ ბიბლიური და სახარების სიუჟეტებით. სირიელი მოწამის სიმეონ მესვეტისა და წმ. შიოს ცხოვრების ასახვა ცდაა თავისუფალი, დამოუკიდებელი შემოქმედებისა. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში აღმოჩნდა რელიეფებითა და ორნამენტებით შემკული „ს ვ ე ტ ი ს“ ფრაგმენტი (ინახება ქხN ინტში). კანკელი და „სვეტი“ შესრულებულია ერთსა და იმავე დროს მონასტრის ბერის მიერ.

ეკლესიის ფასადებზე შემორჩენილი თავდაპირველი ლავგარდანი წარმოადგენს 45°-ით დახრილ თაროს, რ-იც ფრონტონის კუთხეებში ტყდება და პორიზ. ქუსლის სახით გადადის გვერდით კედლებზე. ეკლ. გადახურული ყოფილა კრამიტით (ნაპოვნია ჯერისრელიეფიანი რამდენიმე კრამიტი).

იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე სამხრ-ით მიშენებულია ორი პატარა (დ) ს ა მ წ ი რ ვ ე ლ ო. ეკლესიის დას-ის მკლავში, სამხრ-ით გაჭრილია გასასვლელი, რ-იც მიწაში ამოთხრილ, ჩრდ-დან სამხრ-კენ წაგრძელებულ სწორკუთხა სათავსში (5,17X2,9 მ) გადის. სათავსში აღმ-ით ერთი ნიშია, რ-იც საკურთხევლის მოვალეობას ასრულებდა. ნიშში შემორჩენილია შუა საუკუნეებში შესრულებული წმინდანის გამოსახულება. კედლებში თაროიანი ნიშებია, სამხრ-ის კედელში ერთი სარკმელია. სათავსის კამარა ნაგებია ნატეხი ქვით. ამ სამწირველოს დას-ით მაღალ და განიერაფსიდიანი დიდი სათავსია, რ-ის იატაკი ეკლესიის იატაკზე ბევრად უფრო დაბალია. ამ სათავსში შესასვლელი ჩრდ-დანაა და გადის ნათლისმცემლის ეკლესიის დას. მკლავის გაგრძელებაში. ორივე სათავსი აგებულია წმ. შიოს სიცოცხლეში ეკლესიის აგების შემდეგ.

ჩრდ-დან ეკლესიას კარიბჭე, ორი საძვალე-სამლოცველო და სამრეკლო ეკვრის. (ე) კ ა რ ი ბ ჭ ე თაღებიანი ნაგებობაა, რ-იც ერთი შესასვლელით დას. მკლავის გაგრძელებას უკავშირდება, ხოლო მეორეთი — ჩრდ-ით მდებარე პატარა სამწირველოს. თავის მხრივ ეს სამწირველო დას-ით სამრეკლოში გადის.

(ვ) ს ა მ რ ე კ ლ ო 1733 წ. აუშენებია გივი ამილახორს. იგი ორსართულიანია, ნაგებია ნატეხი ქვით. პირველი სართული კვადრატულია. მეორე სართული აგურის შეისრული თაღებით გახსნილი ექვსწახნაგა ფანჩატურია. ერთ მხარეს თაღში ბუხარია ჩაშენებული. სამრეკლოს აღმ-ით მდებარე სამწირველოს დას. კედელს გასდევს სამრეკლოს მეორე სართულზე ასასვლელი კიბე (შემორჩენილია ნაშთი).

1433 წ. თაყა ზევდგინიძეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ჩრდ. ნაწილში აუგია (ზ) ე გ ვ ტ ე რ ი თავისთვის და თავის მეუღლე მამქანისათვის. აქვეა დასაფლავებული თაყა ამილახორის ძე — ბეჟანი.

(თ) შ ი ო ს ს ა ს ა ფ ლ ა ო-ე კ ლ ე ს ი ა დგას იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის დას-ით. მღვიმე-ჭა (ძირი 3X4 მ), რ-შიაც გაატარა შიომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები, ზემოთ ვიწროვდება და მთავრდება ხვრელით, საიდანაც წმ. შიოს თოკით წყალსა და საჭმელს აწვდიდნენ. შესასვლელი, რ-იც მღვიმეს სამხრ-ით ჰქონდა, შიოს იქ ჩასახლების შემდეგ ამოუქოლია.

XI ს-ში ამ მღვიმეს მონასტრის წინამძღვრის მიქაელის (1072-1123 წწ.) ინიციატივით ეკლ. დააშენეს. 1733 წ. გივი ამილახორს (მონასტრის იმდროინდელ მესაკუთრეს) და მის თანამეცხედრეს ბანგუას განუახლებიათ „შიოს საყდარი“: ეკლესიის დას. კედელში შეისრულთაღიანი განიერი გასასვლელი, ხოლო მის თავზე სარკმელი გაუჭრიათ, რითაც სასაფლაო-ეკლესია ნათლისმცემლის ეკლესიას დაუკავშირდა, როგორც მისი დას. მკლავის გაგრძელება. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასა და შიოს სამწირველო-ეკლესიას შორის გამყოფ თაღოვან კედელზე მხედრ. წარწერაა: „ქრისტე სამების აღმსარებელმან საფარველსა მისსა შევრდომილმან უბადრუკმან ამილახორმა გივმა თანამეცხედრემა ჩუენმა ორბელიშვილის /ასულმა ბანგუამ განვაახლეთ საყდარი ესე წმიდისა და ყოვლად სანატრელისა ათთორმეტთაგანთა მამისა შიოსი სულთა ჩუენთა სალხინებლად რათა მეოხ გვექმნა დღესა მას დიდსა ამინ ქორონიკონს უკა“ (1733 წ.).

სასაფლაო-ეკლესიის ჩრდ-ით თაღებით გახსნილი კარიბჭეა. თაღები შუაში სვეტს ეყრდნობა. კარიბჭეში შესასვლელი ამჟამად მხოლოდ დას-ის თაღიდანაა (აღმ-ის თაღი ამოშენებულია). აღმ-ის თაღს აღმ-ით აფსიდი აქვს.

სასაფლაო-ეკლესიის დას-ის ფასადზე, სარკმლის ზემოთ ამოკვეთილია ჯვარი, რ-ის მკლავებზე და სამ მხარეს ასომთ. წარწერებია. ჯვრის მარჯვნივ ასეთი წარწერაა: „ქრისტე შეიწყალე სტეფანე დღესა მას განკითხვისასა“, მარცხნივ — „ქრისტე შეიწყალე მიქაელი“ (ეკლესიის ამშენებელი წინამძღვარი), „ქრისტე შეიწყალე იოანე“, „ქრისტე შეიწყალე გიორგი“; ქვევით. „უფალო ღმერთო შეიწყალე სული გიორგისაი“; ჯვრის მკლავებზე: „წმინდაო მამაო შეიწყალე იოანე მემღვიმე“. 1733 წ. სამხრ-ის ფასადზე, კუთხესთან გასამაგრებლად ამოუყვანიათ თაღი.

(ი) ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს შ ი ძ ი ნ ე ბ ი ს ტ ა ძ ა რ ი დგას იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ჩრდ.-აღმ-ით. თავდაპირველად იგი გუმბათიანი ყოფილა. 1678 წ. ფეოდალ გივი ამილახორის თაოსნობით თითქმის მთლიანად დანგრეული ტაძრის საძირკველზე ახალი ტაძარი — სამნავიანი ბაზილიკა აუგიათ, რ-იც 1733 წ. განუახლებია გივი ამილახორს (ეს სხვა გივი ამილახორია). დავით აღმაშენებლის მიერ აგებული ტაძრიდან შემორჩენილია გეგმა (ყველაზე კარგად ჩანს საკურთხეველში), აღმ-ის აფსიდი კონქითა და სამი სარკმლით, სამრეკლო და სადიაკვნე ძვ. გადახურვით, გუმბათქვეშა ორი ბოძი და სამხრ-ის კედლისაკენ გადასული თაღი, ფასადზე — სამი ნახევარწრიული შეერილი აფსიდი.

ვინაიდან XVII ს-ში გუმბათიანი





196(ი). ხაერთო ხედი ხამხრ.-ალმ-იდან, გეგმა

ეკლესიის საძირკველზე სამნავიანი ბაზილიკა აიგო, ტაძრის შიდა და გარე ფორმები აღარ ეთანხმება ერთმანეთს. შიგნიდან დიდი ზომის მაღალ საკურთხეველს ეკერის განიერი და ფართო ბემა. სამკვეთლო და სადიაკვნე ძირითადი სივრცისაგან გამოყოფილია კედლით, რ-შიაც გასასვლელებია გაჭრილი. დას-ით ნართექსია, ხოლო მის თავზე — მონასტრის წინამძღვრის ოთახი, რ-იც ტაძარს სარკმლით უკავშირდება. ტაძრის ინტერიერი სრულიად შეუფერებელია ბაზილიკური ფორმებისათვის და ნათლად ჩანს, რომ იგი თავიდან ცენტრ.-გუმბათოვანი ნაგებობა ყოფილა. შიგნით ტაძარი შელესილი და (კ) მ ო ხ ა ტ უ ლ ი ა ზეთის საღებავით. მხატვრობა მდარეა. ყურადღებას იქცევს მხოლოდ ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის მთლიანი გამოსახულება წარწერით: „ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე აღმდგენელი შიომღვიმელის ლავრისა" (მხატვარი გ. ზაზიაშვილი). იქვეა თვით ალექსანდრე ოქროპირიძის საფლავი მარმარილოს ფილით. ღვთისმშობლის ეკლესიაში, საკურთხევლის კიბესთან მონასტრის მეორე განმაახლებლის გივი ამილახორისა და მისი მეუღლის თამარ ბატონიშვილის საფლავებია.

დას-ისა და სამხრ-ის ფასადებზე შესასვლელები მორთულია. დას. კარიბჭეზე მიშენებულია ორსართულიანი კ ო შ კ ი, მასში ასასვლელის თავზე ამოკვეთილი წარწერა (დაზიანებულია) გვამცნობს, რომ 1733 წ. გივი ამილახორს მონასტერი მთლიანად განუახლებია.

(ლ) ს ა ტ რ ა პ ე ზ ო დგას იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სამხრ-ით 10 მ-ზე. მასში შეიმჩნევა სამი სამშენ. ფენა: უძველესი VII-IX სს-ით თარიღდება (თლილი ქვიშაქვითა და ნატეხი ქვით ნაგები ჩრდ. ორთაღიანი კედელი), შემდეგი ფენა XII ს. განეკუთვნება (ნატეხი, რიყის და ზოგან თლილი ქვიშაქვის კვადრებით ნაგები კედლები და თაღები), ხოლო უკანასკნელი XVII ს-ისაა (აგურით ნაგები ნაწილები).

სატრაპეზო სამხრ-დან ჩრდ-საკენ წაგრძელებული სწორკუთხა განიერი და მაღალი შენობაა (19,5X9,92 მ). შესასვლელი სამხრ-დანაა. იგი შიგნიდან კედელში ჩაწეული შეისრულთაღიანი, ხოლო გარედან სწორკუთხა მოხაზულობის დეკორატ. სიბრტყეებით არის გაფორმებული. აღმ-ისა და დას-ის კედლები დანაწევრებულია ორსაფეხურიანი ღრმა უბეებით, რ-ებშიც სხვადასხვა ფორმისა და ზომის თახჩები და XI ს-ის სატრაპეზოს ნაშთებია (აქ კარგად გაირჩევა სხვადასხვა სიდიდის თლილი ქვით გამოყვანილი კედლის თაღების მოხაზულობა, ნატეხი და რიყის ქვით ნაგები კედლის მონაკვეთები). ჩრდ.-აღმ-ის თაღთან, კედელში ჩასმულია მცირე ზომის ფილა ჯვრის რელიეფური გამოსახულებითა და ასომთ. წარწერით. შეისრული კამარის საბჯენი თაღები პილასტრებს ეყრდნობა.

სამხრ-ის კედელში, კამარასთან ახლოს სამი თაღოვანი მაღალი და განიერი სარკმელია. ამდენივე მცირე ზომის, შიგნიდან სწორკუთხა, ხოლო გარედან თაღოვანი სარკმელი აღმ-ის კედელშია. დას-ის კედელში გაჭრილია საფეხურებიანი ვიწრო გვირაბი, რ-იც მცირე ზომის ფრონტონიან კარიბჭეს უერთდება. აღმ-ის კედელში გაკეთებულია ხვრელები წყლის მილებისათვის. ჩრდ. კედლის მაგივრობას ასრულებს სატრაპეზოსა და შიოს სამყალეს შორის მდებარე ორსართულიანი კარიბჭე-სამლოცველოს თაღოვანი გასასვლელი, რ-ზეც





196(ლ) დეტალი სამხრ. კედლის ფრონტონზე. გეგმა

დაშენებულია აგურის კედელი (ზედა ნაწილი ჩამონგრეულია). სატრაპეზოში იატაკი მიწისაა. ჩანს საფლავის ქვები. კედლები შელესილი და მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა. ფრაგმენტები შემორჩენილია აღმ-ის ერთ-ერთი უბის თაღში.

სატრაპეზოს ფასადები მორთულია დეკორატ. თაღებით. კედელში ჩართულია ჯვრისგამოსახულებიანი XI ს-ის ფილები. ნაგებობას ექვსრიგად ხერხისებურად დაწყობილი აგურის განიერი ლავგარდანი აქვს. დას-ით ფრონტონიანი მცირე ზომის კ ა რ ი ბ ჭ ე ა, საიდანაც სატრაპეზოს დას. კედელში გაჭრილ გვირაბში შეიძლება

შესვლა. კარიბჭეში შესასვლელი სამხრ-დანაა.

შიოს ხაძვალე-მღვიმესა და სატრაპეზოს შორის საკმაოდ დაზიანებული ორსართულიანი (მ) კ ა რ ი ბ ჭ ე-ს ა მ ლ ო ც ვ ე ლ ო ა. მისი პირველი სართული მთლიანად მიწაშია. სამლოცველოში შესვლა შეიძლება სატრაპეზოდან, რ-ისგანაც იგი გამოყოფილია მაღალი და განიერი თაღოვანი გასასვლელით. ქვიშაქვის თლილი კვადრებით ნაგები ნახევარწრიული თაღი მარტივპროფილიან კაპიტელებს ეყრდნობა (თაღის აღმ. მონაკვეთი ნალისებურია). სამლოცველოს აღმ-ით ბრტყელი აფსიდი აქვს. აფსიდს თლილი ქვიშაქვის მარტივპროფილიან კაპიტელებზე დამყარებული სატრიუმფო თაღი ევლება. კონქი აგებულია წვრილი ნატეხი ქვით და სქელი დუღაბით. სამლოცველოს და შიოს საძვალეს საერთო კედელი აქვთ. აფსიდთან ახლოს გაჭრილია შიოს საძვალეში შესასვლელი თაღოვანი კარი. თაღის ცენტრში ჩასმულ პატარა ფილაზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი. აფსიდის ჩრდ. მხარეს მცირე სათავსია, რ-ის ნახევარწრიული კამარა პირდაპირ გადადის კედლის წყობაში და ღრმა თაღად აღიქმება. მის აღმ. მონაკვეთს ხატრაპეზოს აღმ-ის. კედელი კვეთს. სათავსის აღმ. კედელი ორმაგია. წინა ფენა ნაწილობრივ ჩამონგრეულია, ჩრდ.-აღმ. მონაკვეთში შეისრულთაღიანი მცირე თახჩაა ამოჭრილი. შიდა ფენის სამხრ.-აღმ. კუთხესთან საკმაოდ ღრმა (იგი კედლის გარეთაც გადის მთის ფერდში) თახჩაა. ამ სათავსის კამარის ზემოთ აგურის კედელი გრძელდება. მეორე სართულზე ორი სათავსი უნდა ყოფილიყო (შემორჩენილია მხოლოდ კამარის ნაშთები).

სატრაპეზოს ჩრდ.-აღმ-ის კუთხეს ებჯინება კიდევ ერთი (ნ) ს ა მ ლ ო ც ვ ე ლ ო-ე გ ვ ტ ე რ ი. ეს მოგვიანებით აგებული სრულიად უსახური ნაგებობაა, რ-საც შესასვლელი სამხრ.-დას-ით აქვს.

(ო) ქ ვ ა ბ ე ბ ი. მონასტრის ბერები საცხოვრებლად და სახიზრად კლდეში ნაკვეთ მღვიმეებს ანუ ქვაბებს იყენებდნენ. სხალტბის ქედის ფერდობებზე 100-ზე მეტი მღვიმეა აღრიცხული. ქვაბები განლაგებულია მონასტრის მხარეს, სწორე და ჯოჯოხეთის ხევების სათავეებში. თავდაპირველად ბუნებრივი გამოქვაბულები გამოუყენებიათ. შემდეგ მონასტრის კრებულის გაზრდასთან ერთად ბერებს მღვიმეები თვითონაც გამოუკვეთიათ კლდეში.

მტრის შემოსევების დროს ქვაბები საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. VIII ს-ში მონასტერს არაბები შემოსევიან, მაგრამ რაკი დარწმუნებულან, რომ „კლდეთა შინა გამოქმნილი იგი ქვაბები" მათთვის მიუწვდომელი იყო, უბრძოლველადვე უკან გაბრუნებულან. ქვაბებში გახიზნული მონასტრის კრებულისათვის ვერც XVIII ს-ის 30-იან წლებში მონასტერში შემოჭრილ ოსმალებს დაუკლიათ ვერაფერი, სანამ მოღალატე ლეონ მუხრანბატონის რჩევით წყალსადენი არ დაუნგრევიათ და ბერებისათვის სასმელი წყალი არ მოუჭრიათ.

1948 წ. ქართვ. მთამსვლელთა ჯგუფმა, საქართვ. ფიზიკური კულტურის ინ-ტის ალპინიზმის სექტორის დავალებით, აღწერა და შეისწავლა მახარესა და მონასტრის ხევების სათავეების გამოქვაბულთა ერთი ნაწილი.

მღვიმეები გარკვეული სისტემით არის განლაგებული. შექმნილია რამდენიმე ჰორიზ. მწკრივი, თითოეულში 3-4 გამოქვაბულია. ერთ მწკრივში შემავალი გამოქვაბულები ერთმანეთთან დაკავშირებულია გვირაბისებრი ან აივნისებრი გასასვლელებით. ამჟამად ისინი ზოგან ჩანგრეულია და ერთი გამოქვაბულიდან მეორეში გადასვლა ვერ ხერხდება. ქვევიდან გამოქვაბულებში ვერტ. გვირაბებით (შემორჩენილია კვალი) და ხის ასატანი კიბეებით ადიოდნენ.

(პ) მონასტერში ძვ. ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი ს ა ხ ლ ე ბ ი არ შემორჩენილა. ახლანდ. საცხოვრ. შენობები XVIII-XIX სს-შია აგებული. ისინი ძველ საძირკველზე უნდა იყოს დაშენებული. ღვთისმშობლის ეკლესიასთან დგას 1733 წ. აგებული ორსართულიანი შენობა, რ-შიც 1804 წ. მოთავსებული იყო ბერთა სასადილო-სატრაპეზო (ქვევით) და მონასტრის წინამძღვრის ბინა (ზევით). გალავნის გარეთ შემორჩენილია ბერთა ს ა ს ა ფ ლ ა ო-ა კ ლ დ ა მ ი ს (?) ნანგრევები.

(ჟ) წ ყ ა რ ო. მონასტერი თავისი არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდიდა. ისტ. წყაროების მიხედვით, თავდაპირველად შიო კლდიდან გამონაჟონი წყლით სარგებლობდა. შემდეგში, როცა ბერთა რიცხვი გაზრდილა, მტკვრიდან დაუწყიათ სასმელი წყლის ამოზიდვა, ამავე დროს მონასტერში მცირე წყაროც გამოჩენილა. ლეგენდა ამ წყაროს გაჩენას შიოს სასწაულმოქმედებას მიაწერს. თურმე ერთ ბერს მტკვრიდან წყალი მოჰქონდა, უცებ დაცემულა, ჭურჭელი გასტყდომია და წყალი დაღვრია. ბერს საშინელი ტირილი და თავში ცემა დაუწყია. ეს რომ შიოს დაუნახავს, ბერისთვის უთქვამს — ნუ ტირი, ღმერთმა გისმინა და შენი ცრემლების სამაგიეროდ მანდ წყაროს გაჩენა ინებაო. მონასტრის მახლობლად ახლაც არის წყარო, საიდანაც წყალი წვეთ-წვეთად მოდის და მას „ცრემლის წყაროს" უწოდებენ. მოგვიანებით ამ ადგილას პატარა სათავსი აუგიათ. აგურითა და რიყის ქვით ნაგები ეს სათავსი მონასტრის შესასვლელის მარჯვნივ, ფერდობზე დგას. ნაგებობას თაღოვანი კამარა აქვს, დას-ისა და ჩრ-ის კედლებზე მცირე თახჩებია, შესასვლელი სამხრ-დანაა. კარს ზემოთ, თლილ ქვაზე ამოკვეთილია წარწერა „სახელითა მამისათა და ძისა და სულისა წმიდისათა, ამინ". 1901 წ. შესასვლელის ორივე მხარეს ფრონტონის საყრდენი თლილი ქვები ჩაუსვამთ. ფრონტონზე ქართულ და რუსულ ენებზე ამოკვეთილია წარწერები (ქართ. წარწერა ბოლომდე არ იკითხება, რადგან ფილას მიწა ფარავს): „ღირსო შიო შენ მეოხ მეყავ ამა სოფელსა და მერმის ასაშენ მლოცავს რომელსაც ეს ცრემლის წყარო ჩემის საფასით გავამშვენე და შეგიმკე ალგეთის..."

შენობის ფრონტონის წვერში აგურული ქვის ჯვარი დგას. შესასვლელს რკინის ცხაური ჰკიდია.

(რ) წ ყ ა ლ ს ა დ ე ნ ი. „ცრემლის წყარო", რ-შიც წყალი მოწვეთავდა, ბერებს დასალევადაც კი არ ყოფნიდათ. წყლის საკითხის მოგვარება თამარ მეფის დროს მოხერხდა. 1202 წ. ანტონ მწიგნობართუხუცესის თაოსნობითა და სახსრებით სოფ. სხალტბიდან გამოუყვანიათ წყალსადენი. წყალსადენი 1937 წ. გათხარა შ. რუსთაველის მუზეუმმა ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. წყალსადენის ნაშთი შემორჩენილია ძვ. სხალტბის ნასოფლარში, ხოლო ნაწილი მილებისა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

წყალსადენის სათავე და დასას-

196(რ). წყალსადენის ტრასის დასაწყისისა და I უბნის გეგმა, I უბნის განაკვეთი



რული მთის ორ სხვადასხვა ფერდობზეა. წყაროს სათავიდან გაჭრილია დიდი გვირაბი, რ-ის თავში წყალსაცავია (კედლების სიმ. 1 მ). აქედან სხვადასხვა დონეზე სამი წყალსადენია გაყვანილი. ერთი მონასტრისაკენ მიემართება, მეორე სოფ. სხალტბისაკენ, მესამის მიმართულება გაურკვეველია. მშენებლობა რთულ გეომორფოლოგიურ-ტოპოგრაფიულ პირობებშია შესრულებული. მილები ნიადაგის რელიეფის უსწორმასწორობის გამო ზოგ ადგილას ძლიერ ღრმად დევს მიწაში, ზოგან კი მიწის ზემოთ არის. მილები ერთმანეთთან გადაბმულია უდუღაბოდ: ერთის ვიწრო თავი ჩამაგრებულია მომდევნო მილის მსხვილ თავში. მილების ბოლოებს შიგნიდან ხრახნის მსგავსი სპირალური წრეხაზი ეტყობა. წყალსადენის მთელ ტრასაზე (7 · კმ) დატანებულია წყალსაცავები, აუზები და საკონტროლო ჭები (თანგირები). მილების საშ. დიამ. 0,11 მ-ია, გამტარუნარიანობა — 2,82 ლ წამში, 243 000 ლ დღე-ღამეში.

წყალსადენის გაყვანის შემდეგ მისი მოვლა-პატრონობა დაუვალებიათ 4 კომლისათვის „თვითო შვილი მათი ქუქანკად' (წყალსადენის მომვლელებად) გაისწავლებოდეს და პკაზმვიდეს მას წყაროსა". შიომღვიმის წყალსადენი ერთ-ერთი რთული ნაგებობაა და XII ს-ის საქართველოში ჰიდროტექნიკური მშენებლობის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს.

(ს) მონასტერს ჰქონდა ქვის გალავანი („ბჭენი მონასტრისანი"). გალავანი სათავდაცვო ნაგებობა იყო. მის ჭიშკარში მუდამ მცველი მდგარა. შიოს პირველი მღვიმე გალავნის გარეთ იყო მოქცეული.

(ტ) ჯვრის ამაღლების ეკლესია დგას იმ კლდოვანი მთის წვერზე, რ-იც სამხრ.-აღმ. მხრიდან საზღვრავს შიომღვიმის მონასტერს. თარიღდება XII ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (8,5X5 მ), ნაგებია აგურით. შესასვლელი სამხრ-დანაა (დას-ის შესასვლელი ამოქოლილია). ნახევარწრიულ ღრმა აფსიდში სარკმელია, რ-ის ქვემოთ ორი საშუალო და ორი მცირე ნიშია. თითო სარკმელია სამხრ-ისა და დას. (ამოქოლილია) კედლებში. კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის (უ) ფრაგმენტები. ნახატს შენარჩუნებული აქვს ფერთა სიკაშკაშე და ფაქტურის სიმკვრივე. ფრესკები XIII ს-ისაა, თუმცა აფსიდში და სამხრ-ის კედელზე უფრო ადრინდ. მოხატულობის კვალიც ჩანს. ყოველ ნახატს ახლავს შინაარსის ამხსნელი ასომთ. წარწერა. მოხატულობა იატაკიდან იწყება. რეგისტრები არათანაბარი და არეულია. აფსიდის კონქში გამოსახულია *ვედრება*, მეორე რეგისტრში თორმეტი მოციქულის ნახევარ-



196(ტ). საერთო ხედი ჩრდ.-აღმ-იდან, გეგმა

ფიგურებია (ეს რეგისტრი გადადის ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებზე), მესამე რეგისტრში გამოსახულია ეკლესიის რვა მამა; აღმ-ის სარკმლის ქვემოთ — *ხატი მანდილისაი*, სარკმელში ორი დიაკვნის ფიგურაა. დარბაზში სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთიდან ჩრდ. კედლის აღმ. მონაკვეთამდე სადღესასწაულო ციკლის სცენებია: *ხარება, შობა, მირქმა, ნათლისღება, ფერისცვალება, ლაზარეს აღდგინება, იერუსალიმში შესვლა და ჯვარცმა*. ქვედა რეგისტრის მხატვრობა ისტ. თემებს ეძღვნება, არის ცალკეული ფიგურებიც. სამხრ-ის კედელზე წინასწარმეტყველთა წელზედა გამოსახულებებია, მათ ქვემოთ ისევ წინასწარმეტყველის მთლიანი ფიგურაა, სარკმლის ქვემოთ — წმინდანის ნახევარფიგურა; კედლის ცენტრ. ნაწილში გამოსახულია მესვეტე ორ ანგელოზთან ერთად, ხოლო მის გვერდით, დას. მონაკვეთში — *ჯოჯოხეთის წარტყვევნა*, დას-ის კედელზე — *ამაღლება* და *სულიწმიდის მოფენა*, ამ სცენების გამყოფი სარკმლისა და სულიწმიდის მოფენის სცენის ქვეშ ნახევარფიგურებია. ჩრდ-ის კედელი ძლიერ დაზიანებულია. კედლის დას. ნაწილში, ქვემოთ გამოსახული ნახევარფიგურა დას. კედლის ნახევარფიგურათა გაგრძელებას წარმოადგენს. კედლის აღმ. მონაკვეთში ეკლესიის მამათა გამოსახულებებია, მათ ქვემოთ კი მოპირდაპირე, სამხრ. კედლის ფიგურა მეორდება. ფრესკები ნათელი ფერებითაა შესრულებული, ძირითადად მეწამულ, თეთრ, მონაცრისფრო-ოქრას,წითელ და შავ ფერებში. ეკლესიის მოხატულობა მშრალია, მოკლებულია ხაზოვან დინამიკას.

ეკლესიის ფასადები დასრულებულია მარტივი ლავგარდნით. ჩრდ-ით მიშენებულია აგურის ორსართულიანი ნაგებობა (4,6X3,8 მ). პირველი სართული სამი მხრიდან გახსნილია სწორკუთხა შეღრმავებაში ჩასმული დაბალი, შეისრული თაღებით. სამხრ. კედელში ეკლესიაში შესასვლელი კარია გაჭრილი. მეორე სართულზე ოთხივე მხრივ მაღალი, ვიწრო თაღებით გახსნილი სამრეკლოა, რ-საც მარტივი ლავგარდანი და აგურის კონუსური სახურავი აქვს.

*ბიბლ.:* 35:98-100; 135:11,20, ტაბულა LX; 141; 144; 158; 163ა; 262; 343. *ანდღ., ნ., მ. ი.*

## ჩარდახი

(წეროვნის სოფსაბჭო)

197. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მცხეთა-გორის საავტ. გზიდან მარჯვნივ, 400 მ-ზე. ხელოვნურად წარმოქმნილ გორაზე (დიამ. 60 მ, სიმ. 8-10 მ). შეგროვებული კერამ. მასალით ნ. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანით. ბ. ა.

198. ნამოსახლარი დიდგორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-დას-ით 1 · კმ-ზე, ვენახებში. მოპოვებული მასალა მიეკუთვნება ადრინდ. და გვიანდ. ბრინჯაოს ხანას. დიდგორა ვაკეზეა (გორის მაქს. სიმ. 6-8 მ, დიამ. 50-60 მ), როგორც ჩანს, იგი ხანგრძლივი ცხოვრების შედეგადაა წარმოქმნილი. ნამოსახლარზე კულტ. ფენები კარგად არის შემონახული. ბ. ა.

199. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ნ. მუზაშვილის სახლის ეზოში. თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ით.

1961 წ. მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ხის ძელებით გადახურული ორმოსამარხები. სამარხები დაზიანებულია, რის გამოც დაკრძალვის წესის დადგენა ვერ მოხერხდა. მოპოვებული არქეოლ. მასალა (სამეთუნეო ჩარხზე გამოყვანილი და არათანაბრად გამომწვარი დახვეწილი ფორმის თიხის სხვადასხვა ჭურჭელი, რ-იც შემკულია ამოღარული, კონცენტრული ხაზებით, თევზიფხური ორნამენტით, ცხოველის რქების სტილიზებული გამოსახულებით; ბრინჯაოს მთლიანადსხმული კახური ტიპის ხა-

ტევარი: მასრაგახსნილი ხელშუბის-პირი) სამთავროს, ნარეკვავის, თრიალეთის, ნავთლუღიხა და სხვ. სინქრონული ძ-ების მასალების ანალოგიურია. ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ბიბლ.: 187. *ირ. შ.*

## ციხედიდის კომპლექსი,

იხ. ხ ო ფ. ძ ე გვ ი, ც ი ხ ე დ ი დ ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ი

## ციხისძირი

(მუხრანის ხოფსაბჭო)

200. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ალმ-ით, იმ მთის ჩრდ.-დას. ფერდობზე, რ-ზედაც ქსნის ციხეა აღმართული. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (7,05X4,55 მ), ნაგებია ნატეხი ქვით, აქა-იქ რიყის ქვაც არის გამოყენებული. ძლიერ დაზიანებულია — ჩამონგრეულია შესასვლელის ზედა ნაწილი, აფსიდის კონქი დეფორმირებულია, სამხრ. მინაშენის კვალიდა შეიმჩნევა. შესასვლელი სამხრ-დანაა. საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს ნიშებია. დარბაზი გადახურულია კამარით, რ-ის საბჯენი თაღი მარტივ კონსოლებს ეყრდნობა. თითო სარკმელი დას. (კამარის კეხზეა მიბჯენილი) და სამხრ. კედლებშია. ინტერიერი შელესილი ყოფილა. *ს. თ.*



200 სამხრ. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ. გეგმა

201. ეკლესიები, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ალმ-ით, იმ მთის ჩრდ.-დას. ფერდობზე, რ-ზედაც ქსნის ციხეა აღმართული. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. კომპლექსში შედის ორი ეკლ. ორივე ნაგებია რიყის ქვით, აქა-იქ ქვიშაქვის მოზრდილი ლოდები და ბრტყელი აგურიცაა ჩართული.

(ა) ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ე კ ლ ე ს ი ა დარბაზულია (5,4X4,5 მ). დაზიანებულია — ჩამონგრეულია სახურავის ჩრდ.-ალმ. კუთხე, დეფორმირებულია სარკმლები, ინტერიერში ჩამოცვენილია შელესილობა. დას-ით თაღოვანი შესასვლელია. ყოველ კედელში თითო სარკმელია. ალმ-ით ნახევარელიფსური მოყვანილობის აფსიდია, რ-იც იატაკის საერთო დონიდან 0,4 მ-ითაა ამაღლებული. აფსიდის ორივე მხარეს, კედელში ნახევარწრიული კამარებით გადახურული ძლიერ ვიწრო სადიაკვნე და სამკვეთლოა. მათ დაბალი თაღოვანი შესასვლელები და ალმ-ით თითო სარკმელი აქვთ. დარბაზი, კამარა და კონქი დაბეტონებულია კირხსნარით. სატრიუმფო თაღი ერთსაფეხურიან პილასტრებს ეყრდნობა. ეკლესიას დას-ით გ ა ლ ა ვ ნ ი თ შემოზღუდული ეზო (8X10 მ) აკრავს.



201(ა). დას. ფასადი, გეგმა

(ბ) დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ე კ ლ ე ს ი ა ც დარბაზულია (7,2X5,1 მ). შესასვლელი დას-დანაა. მას არქიტრავით გადახურული მაღალი ზღურბლი აქვს. ალმ-ით სწორკუთხა, შეისრულკამარიანი საკურთხეველია, რ-იც დარბაზის იატაკიდან 0,4 მ-ითაა ამაღლებული. საკურთხეველში სარკმელია გაჭრილი. სატრიუმფო თაღი ერთსაფეხურიან მასიურ პილასტრებს ეყრდნობა. დარბაზი თითქმის კვადრატულია და გადახურულია აგურით ამოყვანილი ელიფსური გუმბათით, ჩრდ-ით ერთი სარკმელია.



201(ბ). დას ფასადი, გეგმა

ამ ეკლესიასაც დას-ით გ ა ლ ა ვ ნ ი ა ნ ი ეზო (7,6X6,8 მ) აკრავს. შესასვლელი გალავნის ჩრდ.-დას. კუთხეში ყოფილა გაჭრილი. სტილისტ. ნიშნებით ორივე ეკლესია გვიანდ. ფეოდ. ხანით თარიღდება. ეკლესიები სომხურია. *ს. თ.*

202. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ქსნის მარცხ. ნაპირზე, ქსნის ციხის დას-ით. თარიღდება ფეოდ. ხანით. ნ-ის ტერიტორიაზე ნასახლარ ბუდეებს დაახლოებით 1 ჰა ფართობი უკავია. *გ. ჯ.*

203. ქსნის ციხე, მ ტ კ ვ რ ი ს ც ი ხ ე, მ ტ ვ ე რ ი ს ც ი ხ ე, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ლ ა ბ ა თ ი, არქიტ., ისტ. ძ. დგას სარკინეთის მთაზე, სოფ. ციხისძირის მიდამოებში, მდ-ების ქსნისა და მტკვრის შესაყართან, ქსნის მარცხ. ნაპირზე. აგებულია 1511-14 წწ. 1939 წ. ციხის გასამაგრებლად მცირე სამუშაოები ჩაატარა საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნ. საქმეთა სამმართვ. კულტ. ძ-თა დაცვის განყ-ბამ. 1984 წ-დან სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანება აწარმოებს გამაგრებით, საკონსერვაციო სამუშაოებს.

1512 წ. ქართლის მეფის დავით X-ის (1505-25 წწ.) უმცროსმა ძმამ ბაგრატმა საუფლისწულოდ მუხრანი და შიდა ქართლის სადროშოს სპასპეტობა ითხოვა. სამაგიეროდ კახეთის მეფე ავგიორგისთან შებრძოლება იკისრა. დავითი დათანხმდა ძმას. ქ. ც. ბაგრატ მუხრანბატონმა საუფლისწულო მამულების მიღებისთანავე ააგო. როცა ავგიორგიმ ციხის აგების ამბავი გაიგო, წამოვიდა ჯარით და ციხეს ალყა შემოარტყა. ალყა სამ თვეს გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ. ავგიორ-

გიმ ბაგრატს დაცინვით ღვინო გაუგზავნა და შეუთვლა — შენ მეფის ძე ხარ და რამდენი ხანია ღვინის გემო არ გინახავსო. ბაგრატს კი ჭაში ცოცხალი ორაგული პყავდა, გაუგზავნა ორაგული და თან შეუთვალა — სამი თვეა ქსანზე დგახარ და ორაგული არ გიგემია. აპა, ეს ცოცხალი იგემეო. ავგიორგი დარწმუნდა, რომ ციხე უზრუნველყოფილი იყო სანოვაგით და ხასმელი წყლით, ალყა მოხსნა და უკუიქცა.

1513 წ. ავგიორგი მეორედ შემოესხია ქართლს. ბაგრატმა იგი შეიპყრო და ქ. Ც-ში დაამწყვდია. „შემდგომად მცირედისა ჟამისა მოაშთვეს ავგიორგი ციხესა მას შინა და მოკუდა".

1746 წ. ძლიერ დაზიანებული ქ. Ც. კონსტანტინე მუხრანბატონმა თითქმის ხელახლა ააგო, რაზეც მოგვითხრობს ციხის შესასვლელის თავზე ამოკვეთილი კარგად შემონახული ხამშენ. წარწერა: „ქ Ღ Ⴇ Ⴑ მინდობით ჩვენ მუხრანბატონმა სახლთუხუცესმან კონსტანტინემ აღვაშენეთ ციხე ესე დავსდევით სახელათ კონსტანტილაბათი მტერთა მბრძოლთა განმაბნეველად რათა მკვიდრნი მამულთანი არ წარტყუენილ იქმნენ ქ˜ს აქათ ჩღ˜მე ქეს ულ˜დ".

ქ. Ც-ს პირვანდელი სახე შეცვლილი აქვს და ამჟამად სანახევროდ დანგრეულია. ციხე კარგად არის შერწყმული გარემოსთან. აქედან კარგად ჩანს მდ-ების მტკვრისა და ქსნის ხეობები. მისასვლელი სამხრ.-დასდანაა

ციხის პირველი სამშენ. ფენა (1511-14 წწ.) მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები, მეორე ფენაში (1746 წ.) აგურიცაა გამოყენებული. პირველი სამშენ. ფენიდან შემორჩენილია გალავნის კედლების ქვედა ნაწილი (ზოგ ადგილას 7-8 მ სიმაღლის), ბურჯებისა და ორი კოშკის ნაშთი.

ციხის კედლები რელიეფს მისდევს, შიდა ტერიტორია კი სწორია. რელიეფით ნაკარნახევი ციხის გეგმა ჩრდ.-სამხრ-ის ღერძზე ოდნავ წაგრძელებული არაწესიერი მრავალკუთხედაა (39,5X26,4 მ). გალავანი გამაგრებულია სხვადასხვა ფორმისა და ზომის კონტრფორსებით. ციხეს ოთხი კოშკი აქვს. დას-ის კედლის ცენტრში დგას ხუთსართულიანი პ რ ი ზ მ უ ლ ი  კ ო შ კ ი (სიმ. 16 მ), რ-შიც ციხეში შესასვლელია გაჭრილი. კოშკი სანახევროდ დანგრეულია. შემორჩენილია ჩრდ. კედელი (სისქე 1,7 მ) და დას. კედლის ჩრდ. ნახევარი. კოშკის ყრუკედლებიან პირველ სართულზე მოხვედრა შეიძლებოდა მეორე სართულის იატაკში გაჭრილი. ხვრელით. კოშკში შესასვლელი მეორე სართულზეა (ამ სართულის სიმ. 4 მ-ია, დანარჩენი სართულებისა — 2,0-2,5 მ). იგი გადახურულია შეისრული კამარით (შემორჩენილია ზედა ნაწილი). კამარას კბილანა წყობის ორი ხაზი გასდევს. მათ ზემოთ ჩასმულია ზემოთ ხსენებული წარწერიანი ქვა. სათოფურები, ნიშები, სარკმლები კოშკის ყველა სართულზეა, ბუხარი მხოლოდ — მეოთხეზე. მეექვსე სართული ქონგურებიანი ბანი იყო.

ჩრდ.-დას-ით, გალავანზე გარედან მიშენებულია ც ი ლ ი ნ დ რ უ ლ ი  კ ო შ კ ი (მეორე სამშენ. ფენა). გალავნის კუთხე შიგ ცილინდრშია



203. გენგეგმა



203. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან







203. ქონგურები, მთავარი კოშკის ფრაგმენტი, ხედი სამხრ-იდან, ჩრდ.-დას. კოშკის I სართულის გეგმა

შეჭრილი. კოშკი ორსართულიანია. მესამე სართული ქონგურებიანი ბანია. პირველი სართულის იატაკში ქვევრებია ჩაფლული, ჩრდ. კედელში კი ბუხარია ჩაშენებული. ორივე სართულს მაღალი სარკმლები აქვს. ჩრდ.-აღმ-ით მდებარე ცილინდრული კოშკის პირველი სამშენ. ფენიდან შემორჩენილია ორი ყრუკედლებიანი სართული. მეორე სამშენ. პერიოდში კოშკისთვის ირგვლივ კედლები შემოუშენებიათ. ამით მისი დიამეტრი 2 *მ*-ით გაზრდილა. კოშკის ზედა სართული საბრძოლო-საცხოვრებელი იყო ბუხრით, სათოფურებითა და საზარბაზნეებით, მეოთხე — ქონგურებიანი ბანი. სამხრ.-აღმ კუთხეში მდგარი ხუთსართულიანი კოშკი გეგმით გრძელი, უწესო სწორკუთხედია, რ-იც სამხრ-ით მომრგვალებულია. იგი მეორე სამშენ. ფენას განეკუთვნება და გალავანზე გარედანაა მიშენებული. კოშკის ქვედა სართულის სამხრ.-აღმ. ნაწილში ცილინდრული ფორმის კედლებშელესილი წყალსაცავი (დაახლ. 30 *კუბ მ*) და მარანია (15 ქვევრი).

კოშკების საბრძოლო ელემენტები — სათოფურები, საზარბაზნეები, სალოდეები შემკულია განსხვავებული დეკორატ. წყობით. კედლები სხვადასხვა სიმაღლეზე დასრულებულია ნახევარწრიული ქონგურებით. მათ ქვემოთ, 1-2 *მ*-ის დაცილებით ნისკარტა სალოდეებია, უფრო ქვემოთ კი — სათოფურები.

ეზოში ქისებრი წყალსაცავია. ციხეს წყლით ამარაგებდა წყალსადენი (კერამიკული მილები), რ-იც ქედს მიჰყვება. წყალსადენის სათავე ციხიდან აღმ-ით რამდენიმე *კმ*-ზეა.

*ბიბლ.:* 32; 100; 104; 155; 301:41-46.

*ზ. პ., ჭყ. თ.*

## ცორცორას სამაროვანი,

იხ. სოფ. დიღომი, ცორცორას სამაროვანი.

## ცხვარიჭამია

(სოფსაბჭოს ცენტრი)

204. დიდი საყდარი, არქიტ. ძ. დგას ხელოვნურ ტერასაზე. სოფლის განაპირას, სამხრ-ით, სასაფლაოსთან. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება VIII-IX სს-ით.

დ. ს. სამეკლესიიანი ბაზილიკაა (9,2X7,3 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. კონსტრ. ადგილებში გათლილი შირიმის ქვაა გამოყენებული, ხოლო კედლის თაღებისათვის — აგური. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია.

შუა ეკლ. გვერდით ეკლესიებთან შედარებით უფრო ფართო და მაღალია. შესასვლელი ორი აქვს: სამხრ-ით კედლის თაღებს შორის და დას-ით — სიმეტრიის ღერძზე. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. ეკლესიის კამარა ეყრდნობა ორ შეკიდულ საბჯენ თაღს, რ-თა კონსოლების პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს. ეკლესიის აფსიდის ღერძზე თაღოვანი პარალელურწირთხლებიანი სარკმელია. მის სამხრ-ით პატარა სწორკუთხა ნიშია. სამხრ-ის კედელში გაჭრილია შიგნიდან სწორკუთხა, გარედან თაღოვანი სარკმელი. ეკლესიის გრძივ კედლებში ორ-ორი თაღოვანი ნიშია.







204. სამხრ ფასადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა

ჩრდ-ის ეკლესიას დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს ჩრდ-დან. აღმ-ით სამკვეთლოა. სამკვეთლო შუა ეკლესიას სწორკუთხოვანი ღიობით უკავშირდება.

სამხრ-ის ეკლესიის აღმ. ნაწილში თაღით გამოყოფილია სწორკუთხა სათავსი (საკურთხეველი), რ-საც კვერცხისებრი კამარა აქვს. საკურთხევლის აღმ. კედელში ერთი სარკმელია, სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედლის შუაში სამეკლესიიანი ბაზილიკის მთავარი შესასვლელია, რ-იც ორმალიან თაღედს წარმოადგენს, თაღებს შორის მრგვალი სვეტია.

ჩრდ-ისა და სამხრ-ის ეკლესიები ერთმანეთს შუა ეკლესიის დას. კედელზე მიდგმული კარიბჭით უკავშირდებიან.

კარიბჭე გეგმით სწორკუთხაა, იგი გარედან შუა ეკლესიისაგან არ გამოიყოფა და მასთან ერთად საერთო ორფერდა სახურავითაა გადახურული. კარიბჭის გუმბათი უშუალოდ გუმბათის საფუძელამდე ასულ ოთხ

ტრომპს ეყრდნობა. თვით ტრომპების მრუდი სიბრტყეები საფუძვლით რამდენადმე კედელშია შეჭრილი. კარიბჭე გვერდითი ნავებისაკენ თითო ფართო თაღითაა გახსნილი, ხოლო მთავარ ეკლესიას სწორკუთხა შესასვლელით უკავშირდება. ეკლესიის აღმ. და სამხრ. ფასადებზე სარკმლები მარტივი სათაურებითაა მორთული.

ცხვარიჭამიას სამეკლესიიანი ბაზილიკა მკვეთრად განსხვავდება ამ ტიპის სხვა ადრინდ. ნაგებობებისაგან — გვერდითი ეკლესიების დამაკავშირებელი დას-ის შემოსასვლელი გუმბათიანია.

205. პატარა საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ.-აღმ-ით, მდ. თეზმის მარჯვ. ნაპირზე. აგებულია VIII-IX სს.

ეკლ. დარბაზულია (6,5X6,3 მ), ნაგებია რიყის ქვით. კონსტრ. ნაწილებში (კონქის თაღი, შესასვლელის თაღი, აფსიდის კუთხეები) კარგად გათლილი შირიმის ქვაცაა გამოყენებული. ძლიერ დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა, დანგრეულია ჩრდ. კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი, მთლიანადაა დანგრეული კარიბჭე, ფასადებზე ამოცვენილია საპირე ქვები. ეკლესიას აღმ-ით უსწოროდ მომრგვალებული აფსიდი აქვს. აფსიდის თაღი და კონქი დადაბლებულია. კონქის თაღის ქუსლებთან შირიმის თაროსებრი იმპოსტებია. საკურთხეველში, სამხრ-ით და დას-ით, გაჭრილია თითო სწორკუთხა, პარალელურწირთხლებიანი, ბრტყელი ზღუდარით გადახურული სარკმელი. ეკლესიას სამხრ-ით მთელ სიგრძეზე მიშენებული ჰქონდა ვიწრო სათავსი-თაღნარი, რ-იც ეკლესიას ვიწრო თაღოვანი შესასვლელით უკავშირდებოდა. სათავსი ნახევარწრიული კამარით ყოფილა გადახურული (შემორჩენილია კამარის ქუსლის ნაწილი ეკლესიის სამხრ. კედელზე).
*დვ. თ.*

206. ღვ. მარიამის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ძვ. ცენტრში. აგებულია XIX ს.

ეკლ. დარბაზულია (10X6 მ), ნაგებია რიყის ქვით. კუთხეებში და კარ-სარკმლების საპირეებად შირიმია გამოყენებული. ეკლ. გადაკეთებულია. სამხრ. კედლის დას. სარკმლის ადგილას გაჭრილია შესასვლელი, ჩრდ. სარკმლები ამოქოლილია, დარბაზი გადახურულია ხის ბრტყელი ჭერით. შესასვლელი დას-დანაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. საკურთხეველი დარბაზისაგან არ არის გამოყოფილი. აფსიდში ერთი თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო თაღოვანი ნიშია. დარბაზის გრძივ კედლებში გაჭრილია ორ-ორი შიგნიდან თაღოვანი, ხოლო გარედან სწორკუთხა სარკმელი. ფასადებზე სარკმლები დასრულებულია ჰორიზ. ხაზზე დაყრდნობილი თაღოვანი ზოლით. დას. ფასადზე, შესასვლელის მოჩარჩოების თაღოვან არეში რელიეფური ჯვარია გამოსახული. *დვ. თ.*

## ძალისი

(წილკნის სოფსაბჭო)

207. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით გვიანდ. ფეოდ. ხანით თარიღდება.

ეკლ. დარბაზულია (9,2X5,1 მ), ნაგებია ქვიშაქვითა და რიყის ქვით. მოგვიანებით განახლებული კონსტრ. ნაწილები (შესასვლელების თაღი, დას-ის სარკმლის თაღი და წირთხლები) აგურითაა ამოყვანილი. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, კედლები ნახევრამდეა შემორჩენილი. შესასვლელი დას-ითა და სამხრ-ითაა. ორივე სწორკუთხაა და ჩასმულია შეისრულთაღიან შეღრმავებაში. აღმ-ით ნალისებრი აფსიდია. აფსიდის აღმ. კედელში თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს სხვადასხვა დონეზე ორ-ორი სწორკუთხა ნიშია. ეკლესიის გრძივ კედლებზე საბჯენი თაღის ქუსლის დონეზე კაპიტელებით დასრულებული პილასტრია. კაპიტელის პროფილს ვიწრო თაღი და დახრილი სიბრტყე შეადგენს. აღმ-ისა და სამხრ-ის ფასადებზე სარკმლის ზედა საპირე ჯვრის მკლავს ერწყმის. სარკმლის საპირე და ჯვრის მკლავები ლილვით უწყვეტადაა მოჩარჩოებული, ხოლო თვით საპირე და ჯვრის მკლავები დაფარულია გეომეტრიული ორნამენტით.
*დვ. თ.*

208. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მდ. ნარეკვავის ნაპირზე, გორაზე. თარიღდება I-IV სს-ით. ნ. გათხარა იაე ინ-ტის მაე-მ (ხელმძღვ. ა. ბოხოჩაძე). გორა (300X200 მ, სიმ. 56 მ) ვაკეზეა აღმართული და შემოვლებული აქვს ალიზის აგურით ნაგები გალავანი. გორაზე აღმოჩენილია ასევე ალიზის აგურით ნაგებ და კრამიტით გადახურულ შენობათა ნაშთები.
*ბ. ა.*

209. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. ნარეკვავესა და სოფ. ერედას შორის. თარიღდება შუა და გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ. გათხარა იაე ინ-ტის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. ბოხოჩაძე). მის ტერიტორიაზე აღმოჩნდა რიყის ქვით ნაგებ შენობათა ნანგრევები და სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მასალა ინახება ნასტაკისის არქეოლ. ექსპედიციის ბაზაზე. *ბ. ა.*

210. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ნარეკვავის ხევის მუხრანის ველთან შეერთების ადგილზე. თარიღდება ძვ. წ. II ს-ითა და ახ. წ. IV-VII სს-ით. იაე ინ-ტის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. ბოხოჩაძე) გათხარა ელინისტ. ხანის ორმოსამარხი და ადრინდ. ფეოდ. ხანის თიხის სარკოფაგი. მასალა ინახება ნასტაკისის არქეოლ. ექსპედიციის ბაზაზე. *ბ. ა.*

211. ძალისი, ნაქალაქარი, არქეოლ., მონუმ. ხელოვნ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, მუხრანის ველზე, მდ. ნარეკვავის ორივე ნაპირზე. თარიღდება ძვ. წ. II-ახ. წ. VIII სს-ით.

მოსახლეობა თავდაპირველად მდ. ნარეკვავის მარჯვ. ნაპირზე მდებარე ძალისის გორაზე (ფართ. 5-6 ჰა) დასახლებულა. ანტ. ხანაში, ძვ. და ახ. წელთაღრიცხვების მიჯნაზე, გაზრდილი მოსახლეობის ნაწილი მდ. ნარეკვავის მარცხ. ნაპირზე გადასულა საცხოვრებლად და აქ, ვაკეზე დიდი დასახლება წარმოქმნილა, რ-იც, როგორც ჩანს, ქალაქის არისტოკრატთა უბანს წარმოადგენდა. ძალისის გორაზე აღმოჩნდა ალიზის აგურით ნაგები, ბრტყელი და ღარისებრი კრამიტებით გადახურული, მარნიანი საცხოვრებელი ნაგებობანი, რ-ებიც ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრილი ძ-ების თანადროულია. გორას შემოვლებული ჰქონია ალიზის გალავანი.

ნაქალაქარი 1971-82 წწ. გათხარა იაე ინ-ტის ნასტაკისის მცხეთის რ-ნის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. ბოხოჩაძე). 80-იან წლების I ნახევარში საეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანებამ ტაძარს გაუკეთა მინის პავილიონი (ავტორები: ა. სოლომნიშვილი, დ. დათუნაშვილი), გამაგრდა მოზაიკა.

ნაქალაქარზე გაითხარა ტაძარ-სასახლის (ტაძარი, სასახლე, აბანო) და აბანოს კომპლექსები. აბანოები ნაშენია რიყის ქვითა და დუღაბით, ყველა სხვა ნაგებობა — ალიზის აგურით. ტაძარ-სასახლეების კედლები შიგნიდან გაჯით, ზოგჯერ კი სუფთა კირხსნარითაა შელესილი. ყველა ნაგებობა გადახურული ყოფილა კრამიტით. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კერამ. მასალა, სარკმლის მინის და მინის ჭურჭლის ნატეხები, ლითონის ნივთები და ა. შ. მოპოვებული მასალა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, მცხეთის მუზეუმსა და ნასტაკისის ექსპედ. ბაზაზე.

(ა) ტაძარი გეგმით სწორკუთხაა. შედგება დარბაზისა და რამდენიმე დიდი სენაკისაგან. დარბაზს საზეიმო შესასვლელი სამხრ-ით ჰქონდა. ზღურბლის წინ, ეზოს მხარეს ტუფისა და ქვიშაქვის გათლილი ქვებით მოგებული მოედანია (4,9X2,75 მ).

დარბაზის (ფართ. 48,6 კვ მ) იატაკის (ბ) მ ო ზ ა ი კ ა (თარიღდება ახ. წ. II ს-ით) თორმეტი ფერის კენჭებისაგან არის შედგენილი. კედლების გასწვრივ იატაკს შემოვლებული აქვს შედარებით მსხვილი კენჭების მოზაიკური არშია (სიგ. 0,45-0,7 მ), აღმ-ისა და დას-ის კედლების გასწვრივ, არშიების შიგნით რომბებით შევსებული მოედანია (4,8X1 მ), შემდეგ წითელი არშიით გამოყოფილია ზოლი (სიგრ. 3,35 მ, სიგ. 0,35 მ), რ-იც მცენარეული ორნამენტითაა დაფარული.

მოზაიკის შუა ნაწილი, რ-საც შემოვლებული აქვს სამმაგი არშია, ფართო ტოლმკლავებიან ჯვარს წააგავს. ჰორიზ. მკლავის ცენტრ. ნაწილში სიუჟეტური კომპოზიციაა: ვაზის ხეივნის ქვეშ ტახტზე ზის დიონისე, მას მარჯვნივ არიადნე უზის. გამოსახულებებს ბერძნ. ასოებით აქვთ მიწერილი სახელები. ორივეს გულამოღებული ტანსაცმელი აცვია. თავი შემკული აქვთ ვაზის ყლორტებისაგან დაწნული გვირგვინით. არიადნეს მარჯვ. გაშლილ ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს, მარცხ. ხელით ტახტს ეყრდნობა. დიონისეს მარჯვ. ხელი არიადნეს მხარზე უდევს, მარცხ. ხელით ისიც ტახტს ეყრდნობა. არიადნესა და დიონისეს შორის გამოსახულია ვაზის ყლორტებითა და ხვიარაულვაშებით შემკული ტირსი (დიონისესა და მისი თანამგზავრების კვერთხი). ასეთივე ტირსია აღმართული დიონისეს მარცხნივ. დიონისეს მარცხნივ პროფილში გამოსახულია ღვთაება პანი. მას ჩლიქებიანი ფეხები აქვს და ირიბად გაჭრილი მოკლე ტანსაცმელი აცვია თავი შემკული აქვს ვაზის ყლორტებისაგან დაწნული გვირგვინით, ხელში სალამურების დასტა უჭირავს. არიადნეს მარჯვენივ ბრტყელ სადგარზე დგას ოვალური სამფეხა მაგიდა, რ-ის ფეხები ბრჭყალებიანი თათით ბოლოვდება. მაგიდაზე ღვინის ბერძნ. სასმისები — კილიკები აწყვია. მაგიდის მარჯვენივ იატაკზე დგას ღვინის ჭურჭელი — ოინოხოია. დიონისესა და არიადნეს თავზე, ხეივნის ზევით, ჯერისმაგვარი გამოსახულების ვერტ მკლავის ზედა ნაწილში, გრძელტანსაცმლიანი ახალგაზრდა ქალია გამოსახული. მარჯვ. ხელი მკერდზე აქვს მიდებული, მარცხენაში ქნარი უჭირავს. მოპირდაპირე მხარეს გამოსახულ ქალს (დაზიანებულია) გრძელი ტანსაცმელი აცვია, ორივე ხელში საკრავები უჭირავს. ამ გამოსახულებებს შორის ფეხების გასწვრივ ორსტრიქონიანი ბერძნ. წარწერაა: „გაიხსენე პრისკე რომელმაც ეს გააკეთა“.

დიონისესა და არიადნეს ქვეშ, ვერტ. მკლავის ზედა ნაწილში გამოსახულია ბერძნ. ღვინის ჭურჭელი — კრატერი, აქვეა დაზიანებული ბერძნ. წარწერა და ცხოველის (ძაღლის) სხეულის ნაწილები (მკერდი და ფეხი).

ჯერისმაგვარი გამოსახულების ჰორიზ. და ვერტ. მკლავების გადაკვეთით წარმოქმნილ მარცხ. ზედა კუთხე-



211(ბ). ფრაგმენტი

211. ტაძარ-სასახლის კომპლექსის გეგმა: 1 აბანო, 2. დერეფანი, 3. გასახდელი, 4. ტაძარი




211(დ). ფრაგმენტი

ში მოყვითალო-მონაცრისფრო ფონზე ფრთოსანი ჭაბუკის გამოსახულებაა, რ-საც მიშველ სხეულზე წამოსხმული აქვს მოსასხამი და ხილით სავსე კალათი უჭირავს. მარჯვ. ზედა კუთხეში მოთეთრო ფონზე გამოსახულია გრძელტანსაცმლიანი ქალი, რ-საც მაჯებზე გადაგდებული აქვს ყურთმაჯისმაგვარი ნაჭრები, მარცხ. ხელი მკერდთან აქვს მიტანილი, ხოლო მარჯვენაში ლანგარი უჭირავს. ლანგარზე გირჩი (სიუხვისა და მარადისობის სიმბოლო) დევს.

ჯერისმაგვარი გამოსახულების მარცხ. და მარჯვ. ქვედა კუთხეებში ერთმანეთის პირდაპირ გამოსახულია ფრთოსანი ღეთაებები (დაზიანებულია). მათ თავი სუროს გვირგვინით აქვთ შემკული, ხოლო შუბლზე ბაფთა აქვთ გადაჭერილი. ორივეს ხელში ხორბლის თავთავები უჭირავს.

ტაძრის შესასვლელში კედლის გასწვრივ, კარის წინ, დაკბილული არშიით შემოვლებულ ფართობზე გამოსახულია ვაზის რქები და ხვიარა ულვაშები, ბროწეულის ყლორტები და ნაყოფი. აქვეა ვაზის ყლორტების გვირგვინით შემკული კაცის თავი, რ-საც ვაზის რქები ნიკაპის ქვეშ აქვს ამოდებული. მოზაიკის დანარჩენი ნაწილი გეომეტრიულ და მცენარეულ ორნამენტს უჭირავს.

მოზაიკაზე წარმოდგენილი გამოსახულებებისა და თვით ნაგებობის ხასიათით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იყო დიონისეს ტაძარი, სადაც დიონისეს კულტთან დაკავშირებული რიტუალი სრულდებოდა.

ტაძარში კიდევ ოთხი დიდი დარბაზია (მ. შ. უდიდესის ფართ. 85·კვ მ). მათი იატაკი და კედლები გაჯით ყოფილა შელესილი. კედლები — მოხატული. ყველა დარბაზში გამართულია დაბალი სამსხვერპლო-საკურთხეველი.

(გ) სასახლისაგან შემორჩენილია მხოლოდ ფასადის კოლონების ბაზალტის ქვისაგან გამოკვეთილი ბაზისები, რ-ებიც ერთ რიგადაა ჩამწკრივებული ტაძრის დას. მხარის გაგრძელებაზე.

(დ) აბანო გეგმით ოვალურია და სამი, ერთმანეთთან კარით დაკავშირებული, ცხელი, თბილი და ცივი განყ-ბისაგან შედგება. ცხელი და თბილი განყ-ბების იატაკი კალორიფერის სვეტებზეა დაგებული. კალორიფერის თითოეულ განყ-ბაში სიგრძეზე 9, სიგანეზე 5 მრგვალი ან ბრტყელი აგურით ამოყვანილი და კირხსნარით შეკავშირებული სვეტი დგას. სვეტების თავზე დევს კერამიკული ფილები (0,58X0,05 მ), რ-ებზეც დასხმულია ჰიდრავლიკური ხსნარის 0,12-0,15 მ სისქის ფენა. ცივ განყ-ბაში ჩრდ-ით, მომრგვალებულ ნაწილში მოთავსებულია აბაზანა. ამ განყ-ბის იატაკზე ფერადი მოზაიკით გამოსახულია დელფინის თავი, ზღვის ნიჟარა, ბადე და თევზები. მოზაიკის შუა ნაწილი დაზიანებულია. ცივი აბანო კარით უკავშირდება გათლილი ტუფისიატაკიან დერეფანს (6X1,3 მ), საიდანაც შეიძლება გასახდელში (ფართ. 22,7·კვ მ) მოხვედრა. გასახდელის მოზაიკური იატაკი შემკულია გეომეტრიული ორნამენტით (რომბები, შედგენილი ვარდულები, წრეხაზები და ა. შ.). გასახდელი კარით (სიგ. 1,05 მ) უკავშირდება ტაძრის დარბაზს.

აბანოს კომპლექსში შემავალი ნაგებობების ნაშთები სხვადასხვა სამშენ. პერიოდს განეკუთვნება. ატრიუმი და ტაძარი I-II სს-ით თარიღდება, ხოლო აბანოს მთელი კომპლექსი — II-IV სს-ით. აბანოს კომპლექსი დაშენებულია უფრო ადრეული ხანის ნაგებობებზე, რ-ებიც მშენებლებს მოუსწორებიათ და შემდეგ დაუწყიათ აბანოს კომპლექსში შემავალ ნაგებობათა მშენებლობა.

(ე) ატრიუმი გეგმით ოთხკუთხაა (1,75X6,95 მ), მოგებულია




211. აბანოს კომპლექსის (I-IV სს.) გეგმა: 1. ატრიუმი; 2. სატაძრო განყოფილება; 3. 4.5. აბანოს განყოფილებები. 6, 7. სენაკები. 8. გასახდელი; 9 ცეცხლფარეშის სენაკი; 10. მოსაცდელი; 11, 14, 17, 18. წყალსადენები და წყლის რეზერვუარი; 16 საკვამლე მილი



211(ე).(ც). ხართი ხელი

ერთმანეთთან მიჯრით მიწყობილი, გათლილი ტუფისა და ქვიშაქვის დიდი ქვებით. ატრიუმის ცენტრში ბორდიურით (სიგ. 0,52 მ) შემოვლებული მადრევნის აუზია (2X1,8 მ), რ-ის კუთხეებში აღმართული ყოფილა ოთხკუთხა კოლონები; შემორჩენილია კუთხის ქვების ცენტრში, ერთმანეთისაგან 0,3-0,32 მ დაშორებით ამოკვეთილი ფოსოები (4X4X5 სმ). აუზის სამხრ.-აღმ-ით კოლექტორის საკონტროლო ჭაა (სიღრმე 0,45 მ).

ატრიუმის დას-ით დგას გეგმით სწორკუთხა (ვ) ტ ა ძ ა რ ი (9,95XX2,6 მ), რ-ის გათლილი ტუფის დიდი ქვებით მოგებული იატაკი ატრიუმისაზე 0,15 მ-ით მაღალია. ტაძარი დგას გათლილი ტუფის დიდი ქვებით ნაგებ ცოკოლზე. ტაძრის ჩრდ. ნაწილში კოლონებიანი წაგრძელებული მინაშენია, რ-შიც რომელიღაც ღვთაების ქანდაკება ყოფილა აღმართული.

(ზ) ა ბ ა ნ ო რომაული ტიპისაა და სამი — ცივი, თბილი და ცხელი — განყ-ბისაგან შედგება. სამივე განყ-ბას სამხრ-ით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. აბანოს გასათბობი სისტემა — ჰიპოკაუსტი მიწაშია მოწყობილი და ნაგებია რიყის ქვითა და დუღაბით. ცივი აბანოს (6,3X3,65 მ) თითქმის ნახევარი, აფსიდის მხარეს აბაზანას (სიგრ. 2,75 მ) უჭირავს. აბაზანის ჩრდ.-დას. კუთხეში შემაღლებული მოედანია (0,8X0,4 მ). იატაკში თიხის მილია დატანებული ნახმარი წყლისათვის. თბილი აბანო (6,5X3,95 მ) ცივი განყ-ბის დას-ითაა და მას კარით (სიგ. 0,95 მ) უკავშირდება. თბილი და ცხელი (6,4X3,8 მ) განყ-ბების იატაკის ქვეშ კალორიფერია, რ-შიც კირხსნარით შეკავშირებული სხვადასხვა ზომის, ოთხკუთხა და მრგვალი აგურით ნაგები სვეტების (სიგრძეზე — 11, სიგანეზე — 7) რიგია. სვეტებს ზემოდან დაფარებული ჰქონდა კერამ. ფილები და ტუფის გათლილი ქვები (0,6X0,6XX0,5 მ), რ-ებზედაც დასხმული იყო ჰიდრავლიკური კირხსნარის 0,12-0,15 მ სისქის ფენა (აბანოს იატაკი). ცხელი აბანოს კედლებში, კედელსა და მასზე მიმაგრებულ ფილებს შორის ვერტიკალურად ჩადუღაბებულია თიხის მილები (დიამ. 0,15, სიგრ. 0,49 მ). ამ მილებით ცხელი აბანოს ჰიპოკაუსტიდან ცხელი ჰაერი მიედინებოდა და ათბობდა მთელ აბანოს. ფილები კედელზე მაგრდებოდა შვერილებით (სიმ. 0,05-0,09 მ).

აბანოს თბილსა და ცივ განყ-ბებს ჩრდ-ით მიშენებული აქვს აბანოსაგან ყრუ კედლით გამოყოფილი ორი მოზრდილი სათავსი, რ-ებსაც შესასვლელი ჩრდ-ითა აქვთ. ცხელი განყ-ბის ჩრდ-ით ცეცხლფარეშის სათავსია (4X2,8 მ). იგი რიყის ქვითა და დუღაბით ნაგები კარგად შელესილი საცეცხლე არხით (სიგრ. 2,8 მ) უკავშირდება ცხელი აბანოს ჰიპოკაუსტს, რ-ის დას. კედელში გაკეთებულია ჭრილი (სიგ. 0,5 მ). ამ ადგილზე კედელს გარედან მიშენებული აქვს რიყის ქვით, ოთხკუთხა აგურითა და დუღაბით ნაგები საკვამლე მილი (დიამ. 2,7 მ). საკვამლე მილის ჩრდ-ით სწორკუთხა ა უ ზ ი ა (4,4X3,3 მ), რ-საც ჩრდ-ის მხრიდან წყალსადენი უერთდება. წყალსადენი ნაგებია რიყის ქვით, ტუფით და დუღაბით. ყოველ 40-50 მ-ზე თანგირია გამართული. ამ წყალსადენზე ზემოდან დადუღაბებულია მეორე წყალსადენის თიხის მილები. აბანოს კომპლექსის ჩრდ.-დას-ით ტუფით, რიყის ქვითა და დუღაბით ნაგები უფრო ადრეული ხანის წ ყ ა ლ ს ა დ ე ნ ი ა, რ-ის თავზეც ერთმანეთთან შედუღებული ტყვიის ცილინდრული მილებისაგან შედგენილი მეორე წყალსადენია გამართული.

აბანოს გ ა ს ა ხ დ ე ლ ი (7,7X8,1 მ) ატრიუმის აღმ-ითაა მისი იატაკი (შემორჩენილია გასახდელის ჩრდ.-დას. ნაწილში) ისეთივეა, როგორიც თბილ და ცხელ აბანოებში. ჰიპოკაუსტში თითოეული სვეტი აგებულია ცხრა მრგვალი და ცხრა ოთხკუთხა აგურითა და კირის ხსნარით. სიგანეზე სვეტების 12, ხოლო სიგრძეზე 13 რიგია.

გასახდელის აღმ-ით ცეცხლფარეშის სათავსია (2,8X1,9 მ). აქედან საცეცხლე არხი (სიგ. 0,75 მ) გადის გასახდელის ჰიპოკაუსტში. ცეცხლფარეშის სათავსში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა აგურის, კრამიტის, ჭურჭლის ნატეხები და ასამდე თიხის პატარა ჭრაქი.

გასახდელის ჩრდ.-აღმ. კუთხეზე მიშენებულია მ ო ს ა ც დ ე ლ ი (6,5XX5,2 მ). მისი დას. კედლის გასწვრივ კირხსნარით მოლესილი ზოლია (1,7XX6 მ; მოსაცდელიდან გასახდელში შესასვლელი?).

ძ-ის მიდამოებში მიკვლეულია ნაქალაქარის დროინდელი სამი (თ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი. აქედან მდ. ნარეკვავის მარჯვ. ნაპირზე მდებარე სამაროვანი, მის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი მდიდრული ინვენტარის მიხედვით, არისტოკრატულ ფენას უნდა ეკუთვნოდეს. სამაროვნებზე ჩატარდა მხოლოდ სადაზვერვო სამუშაოები. აქ უმეტესად ორმოსამარხებია. არის ხის ხარკოფაგები და კრამიტსამარხებიც.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე 1971-82 წწ წარმოებული გათხრების შედეგად დადგინდა, რომ აქ საკმაოდ ძლიერი დასახლება არსებობდა ძვ. წ. I ს-ში. ამ დროის ნაგებობათა ნაშთები მოქცეულია ტაძარ-სასახლისა და აბანოს კომპლექსის ქვეშ. ამ ნაგებობის თანადროულია მათ დონეზე აღმოჩენილი წითლად ანგობირებული პირჩაკეცილი, შავად გამომწვარი და ზედაპირგაპრიალებული ჯამების ნატეხები. მშენებლობაში სამი სახის აგურია გამოყენებული: 0,52X0,09-0,1 მ (გვხვდება ყველაზე ხშირად); 0,48X0,48X0,12 მ; 0,58X0,58X0,6 მ) ნაგებობების გადასახურად გამოყენებულია ბრტყელი გვერდებაკეცილი და ღარისებრი ე. წ. კურტნის კრამიტები. გვხვდება ისეთი ღარკრამიტიც, რ-საც თავი შესამჩნევად ვიწრო აქვს, ბოლო კი ფართო. ძალისური კრამიტი ფორმითა და სიდიდით გვიანდ. ანტ. ხანის კრამიტს ჰგავს, ტლანქია, ზოგჯერ თიხაც არაა განლექილი, გამოწვის ხარისხი დაბალია და არც შელებილია. ამ სახის კრამიტი გავრცელებული უნდა ყოფილიყო ქალაქის არსებობის უკანასკნელ პერიოდში (გვიანდ. ანტ. ხანის ბოლო).

ადრეული ხანის ნაგებობების



211. დამცველი პავილიონი

ბრტყელ გვერდებაკეცილ კრამიტებს გარეთა კუთხეები ჩათლილ-ჩასწორებული აქვთ, ღარისებრი კრამიტები კი ქიმებიანია. ყველა წითლად არის შეღებილი. კრამიტებზე ეხედებით სხვადასხვა სახის ნიშნებს. ამ ფენის კრამიტები ძვ. და ახ. წელთაღრიცხვების მიჯნაზე და ახ. წ. პირველ სს-ში იყო გავრცელებული.

გათხრებით მოპოვებული მასალების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ: ქალაქმა ძვ. წ. II ს-დან ახ. წ. VIII ს-ის 30-იან წლებამდე იარსება. განვითარების უმაღლეს დონეს ახ. წ. I-III სს. მიაღწია. IV ს-ში განადგურდა და მის ტერიტორიაზე ცხოვრება დროებით შეწყდა. VI-VII სს-ში აქ უღიმღამო ცხოვრება კვლავ გაგრძელდა, ხოლო VIII ს. 30-იან წლებში ქალაქი საბოლოოდ განადგურდა მურვან ყრუს ლაშქრობის დროს.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრები გრძელდება.

*ბიბლ.:* 42; 49; 51; 135:13, 21-22, ტაბ. LXXV-LXIX; 283. *ბ. ა.*

## ძეგვი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

212. ძეგვი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვ. მხარეს, თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთის ძირში.

ძ. (ძაგუი, ძეგუი) არქეოლ. მასალის მიხედვით ანტ. ხანაში უკვე დასახლებულია. ძ-ზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზები, რ-ებიც ერთის მხრივ შიდა ქართლს ქვემო და ზემო ქართლთან, ხოლო მეორეს მხრივ ბარს მთასთან აკავშირებდა. ძ-ში უძველესი დროიდანვე ყოფილა ხაბაგო (ნ. ბერძენიშვილი), რ-საც მნიშვნელობა შუა საუკუნეებშიც არ დაუკარგავს. XII ს-ში ძ. საკათალიკოსო სოფელია და სვეტიცხოვლის სასარგებლოდ გარკვეული გამოსაღებები ეკისრება. ამასთან სვეტიცხოვლის ფეოდ. დამოკიდებულებაში მთლიანად ძეგვის თემი — „ერთობლივ ძეგველებია“ მოქცეული და არა ცალკეული გლეხური კომლები. „ერთობლივ ძეგველები“ საკათალიკოსო დროშის ქვეშ ყოველთვის საუკეთესო სამხ. რაზმს აყენებდნენ. ვახტანგ VI-ის 1720 წ. საბუთის მიხედვით XVIII ს-ის I ნახ-ში ძ-დან საუკეთესოდ შეიარაღებული 50 მეთოფე გამოდიოდა, რ-ის 2/3 მხედარი იყო. ასეთი სამხ. რაზმის გამოყვანისათვის სოფელს ძლიერი ეკონ. საფუძველი უნდა ჰქონოდა.

(ა) XVI ს-ის 60-იან წლებში ქართლის მეფე სიმონმა თბილისის ყიზილბაშებისაგან განთავისუფლება დაისახა მიზნად. ქართლელების დასახმარებლად კახეთის მეფე ლევანმა დიდი რაზმი გამოგზავნა თავისი ვაჟის გიორგის მეთაურობით. ქართლ-კახეთის შეერთებული ლაშქარი ციხედიდს (ახლანდელი რკ.-გზ. სადგ. ძეგვის მიდამოებში) დაბანაკდა. მუხათგვერდთან დაყენებული გუშაგის უგულისყურობამ მტერს საშუალება მისცა მოულოდნელად დასხმოდა თავს ქართველთა ბანაკს. მიუხედავად ამისა ქართველებმა მტერს მამაცური წინააღმდეგობა გაუწიეს და დიდი ზარალიც მიაყენეს. ყიზილბაშთა ლაშქარი განჯის ხანის სარდლობით ერთიან იერიშზე გადავიდა. არც ამან შეაკრთო ქართველთა ჯარი, მაგრამ ბრძოლაში დაიღუპა კახთა მეფის ძე გიორგი. კახელები მომაკვდავ უფლისწულს მისცვივდნენ და ბრძოლა მიატოვეს. ბრძოლის ბედი ყიზილბაშთა სასარგებლოდ წარიმართა.

ქართველებმა უკან დაიხიეს. მრავალი ქართველი გაწყდა. თვითონ სიმონ მეფემ ხმლით გაიკაფა გზა და გორშიავიდა. თბილისის განთავისუფლება ამჯერად ვერ მოხერხდა.

(ბ) ძეგველები ხშირად გამოდიოდნენ მონასტრის განმგებლებისა და ძეგვის მოურავის თვითნებობის წინააღმდეგ. XVII ს-ის II ნახ-ში მათ უარი თქვეს კულუხის გადახდაზე გადიდებული ერთეულით „დიდი კოკით“ და მოითხოვეს „თორმეტიანი კოკის“ დაწესება. ამასთან კათალიკოსს უნდა მოეშალა „სასახლე ძეგვის თავს“ და გაენთავისუფლებინა ძეგველები მონასტრის განმგებლების სასარგებლოდ ქერისა და პურის გამოსაღებისაგან. კათალიკოსმა შეასრულა ძეგველების მოთხოვნა — დააწესა „თორმეტიანი კოკა“, ხოლო მონასტრის მსახურთათვის პურისა და ქერის გაღება თვითონ იკისრა.

*ბიბლ.:* 57; 64; 201ა:435-36; 220გ. *ქ. ქ.*

213. ბარბიყარია, სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩდრ-ით, მდ. მტკვრის პირას, ბარგიყარიას მინდორზე.

1944 წ. ბ-ს მინდორზე შემთხვევით აღმოჩნდა ოქროს მინიატურული ქანდაკება და ათიოდე სხვა ნივთი. 1946 წ. მაე-ს არმაზისხევის რაზმმა (ხელმძღვ. გ. ლომთათიძე) აქ გათხარა მცირე ინვენტარიანი 3 ორმოსამარხი და უინვენტარო 4 ქვის სამარხი. 1982 წ. მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე) განაახლა სამუშაოები. გაითხარა გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანის სამაროვანი, გვიანდ. ანტ. ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი.

გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანის სამაროვანზე (ა) გაითხარა ქვაყრილიანი ორმოსამარხები, რ-ებშიც აღმოჩნდა ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ბრინჯაოს საკინძები, სარდიონის მძივები და სხვ. გვიანდ. ანტ. ხანის ნამოსახლარზე (ბ) აღმოჩნდა ნატეხი ქვით ნაგები კედლების ფრაგმენტები და სამეურნეო ორმოები, ფილაფენილ იატაკზე აიკრიფა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები. იმავე ხანის სამაროვანზე (გ) დადასტურდა კრამიტსამარხი და ორმოსამარხები. სამარხებში აღმოჩნდა წითლადგამომწვარი თიხის ჭურჭელი და სამკაული, ქართლის გვიანდ. ანტ. ხანის სამაროვნებზე გამოვლენილი მასალის მსგავსი და დამახასიათებელი ნივთები. მასალა ინახება მმაე-ს ბაზაზე.

*ბიბლ.:* 176 ა. *ნ. ფ.*

214. ბორას საყდარი, ბოძის საყდარი, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით 1,5 *კმ*-ზე, მდ. ძეგვისწყლის მარჯვ. ნაპირზე ეკლ. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება X ს.-ით.

ლეგენდის მიხედვით ეკლესიის მშენებლები სასმელ-საჭმელს ღრმა ორმოში ინახავდნენ. ორმოში შხამიანი გველი ჩაცურებულა. ეს დაუნახავს ცაში მონავარდე ბორას, შურდულივით დაშვებულა, ორმოში ჩაფრენილა და იქვე მომკვდარა. მშენებლებს ეკლესიისათვის ბორას საყდარი უწოდებიათ. სპეც. ლიტერატურაში ეკლ. ბოძის საყდრის სახელითაც არის ცნობილი.

ეკლ. დარბაზულია (7,5X4,5 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის მოზრდილი ნატეხებით. შიგნიდან თაღოვანი, გარედან კი არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრ-ითაა. კარის აღმ-ით, იმავე კედელში ერთი ხარკმელია. გრძივი კედლების შუაში შემორჩენილია კამარის საბჯენი თაღის ქუსლები, რ-ებიც მარტივპროფილიან იმპოსტებს ეყრდნობა. ნახევარწრიული აფსიდის ჩრდ. და სამხრ. მხრებში მცირე ზომის სამკვეთლო და სადიაკვნეა. ისინი აფსიდს ვიწრო და მაღალი გასასვლელებით უკავშირდებიან. სა-



214. ხედი სამხრ.-დას-იდან



214. აღმ. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ. კედ. გეგმა

კურთხეველში, სამკვეთლოსა და სადიაკვნეში თითო სარკმელია.

ბ. ს. შიგნით შელესილი და მ ო ხ ა ტ უ ლ ი (ა) ყოფილა. საკურთხეველში შემორჩენილია XI-XII სს. მოხატულობის ფრაგმენტები. კონქში გაირჩევა ტახტზე მჯდომი ქრისტესა და ქერუბინების მონუმ. კომპოზიცია. მაცხოვრის ტახტი მორთულია ორრიგად განლაგებული, მსხვილი, სწორკუთხა ფორმის ლურჯი ქვებით, ხოლო ფეხსადგამი — მარგალიტებით. მეორე რეგისტრში გაირჩევა ოთხი ეკლესიის მამის წელზედა გამოსახულება. მხატვრობა ქვემოთ (1 მ სიმაღლეზე იატაკის დონიდან) ბოლოვდება ფართო ორნამენტული ზოლით.

ეკლესიის ჩრდ.-აღმ-ის კუთხესთან შემორჩენილია თაროსებრი ლავგარდნის ფრაგმენტი.

*ბიბლ.:* 361:36-37. *ანდღ. ნ., დ. ფ.*

215. ღვთისმშობლის ეკლესია, კ ა რ ი ს ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში, შემაღლებულ ადგილზე, მთავარი გზის პირას, საბავშვო ბაღის ეზოში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (13,5X6,25 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. გადაკეთებულია· კამარის ნაცვლად ხის გადახურვა აქვს, გრძივი კედლების სარკმლები გაფართოებულია, საკურთხევლის სარკმელი ამოქოლილია, ამოშენებულია დას. შესასვლელი. ეკლესიას ორი შიგნიდან სწორკუთხა, გარედან თაღოვანი შესასვლელი აქვს: ერთი დას. კედლის ღერძზეა გაჭრილი, მეორე — სამხრ. კედლის დას. ნაწილში. ფართო მხრებით გამოყოფილი ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო თაღოვანი ნიშია. საკურთხევლის ბაქანი მაღალი და წინწამოწეულია. ბაქნის შუა ნაწილში ოთხსაფეხურიანი კიბეა ჩაჭრილი. ეკლესიის დარბაზის დას. კედელში ერთი თაღოვანი სარკმელია, გრძივ კედლებში ორ-ორი; ჩრდ. კედლის აღმ. სარკმლის ძირი დაწეულია და მასში სანათლავია ამოკვეთილი. ფასადზე, დას. შესასვლელის თავზე შემორჩენილია აგურის ს ა მ რ ე კ ლ ო ს ფრაგმენტები. *დვ. თ.*

216. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოს აღმ-ით, ბორცვზე, თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ დარბაზულია (4,34X3,28 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. შესასვლელი ჩრდ-დანაა. აღმ-ის, დას-ისა და ჩრდ-ის კედლებში თითო სარკმელია. სამხრ-ის, დას-ისა და ნაწილობრივ აღმ-ის ფასადები ბორცვის ფერდშია ჩამჯდარი. *ანდღ. ნ.*

217. ეკლესია ყველაწმინდა, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, ბორცვის ფერდზე, წმ. გიორგის ხევის მარცხ. ნაპირზე. აღმ. ფასადის სარკმლის ზემოთ, ფილაზე არსებული მხედრ. წარწერის მიხედვით ეკლ. აუგია კათალიკოს-პატრიარქს დომენტის 1716 წ.

ეკლ. დარბაზულია (6,5X4,25 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით, გამოყენებულია აგურიც (კარ-სარკმლის თაღები, წირთხლები, ლავგარდანი, სატრიუმფო თაღი). შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ერთი სარკმელია, მის ორივე მხარეს — პატარა ნიშები. სარკმლის ქვეშ სატრაპეზო ქვა დგას. დარბაზის სამხრ-ისა და დას-ის კედლებში თითო სარკმელია. კამარა ნახევარწრიულია. ინტერიერი შელესილი ყოფილა.

აღმ-ის ფასადზე, ფრონტონის არეში, აგურის წყობით უხეშად და ულამაზოდ გამოყვანილია ჯვარი. *ანდღ. ნ.*

218. სამადლო, ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქ. მცხეთის დას-ით 15 *კმ*-ზე, მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ქსნის რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ, ორ ბორცვზე.

სამადლოს ტერიტორიაზე 1907-66 წწ. იღებდნენ თიხას კერამიკის დასამზადებლად, რის გამოც ძ. ძლიერ დაზიანდა. 1912 წ. სამადლოზე შემთხვევით აღმოაჩინეს ანტ. ხანის სამაროვანი. იმავე წელს ე. თაყაიშვილმა ნაქალაქარზე აკრიფა ზედაპირული არქეოლ. მასალა. 1966-75 წწ. სამადლოზე არქეოლ. გათხრები ჩაატარა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღ. ი. გაგოშიძე).

ძ. მრავალფენიანია. გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინისა და ადრინდ. ანტ. ხანის ფენები (ძვ. წ. XIV-IX სს.) მხოლოდ აღმ. ბორცვზე გამოვლინდა. ძვ. წ. XIV-VII სს. აქ მდგარა თიხით შელესილი ძელური ნაგებობები, რ-ებშიც აღმოჩნდა თიხის მინიატურული ჭურჭელი, საბეჭდავები, შესაწირი „ბორბლები" და სხვ. (სავარაუდოა, რომ ეს იყო საკულტო დანიშნულების ნაგებობები) უძველეს კულტ. ფენაში აღმოჩნდა კვეთილი ორნამენტით შემკული შავი და რუხი ფერის პრიალაზედაპირიანი კერამიკა.

ძვ. წ. VI-IV სს. აღმ. ბორცვზე უკვე ნატეხი ქვითა და თიხის ხსნარით ნაგები შენობებია. კედლები არმირებულია ხის ძელებით. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა (ა) კ ო შ კ ი (14X14 მ), რ-ის საძირკველი ქვითაა ნაგები, კედლები კი — ალიზით. იგი დამწვარა ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე, მაგრამ მაშინვე აღუდგენიათ და უარსებია სამადლოზე საქალაქო ცხოვრების დასასრულამდე (ძვ. წ. II ს. ბოლო). სამადლოს კოშკი, მსგავსია ფასარგადეს და ნაყშე როსთამის (ირანი) აქემენიდური ხანის კოშკური ტიპის ტაძრებისა. ელინისტ. ხანაში (ძვ. წ. IV-II სს) სამადლოს ორივე ბორცვი მჭიდროდაა დასახლებული, ეს არის მნიშვნელოვანი ქალაქის შიდაციხე მძლავრი საფორტიფიკაციო, სასახლის ტიპისა და სატაძრო ნაგებობებით.

ს-ს დას. ბორცვი დატერასებულია. სულ გამოვლინდა საფეხურებად განლაგებული შვიდი ხელოვნური ტერასა (სიმ. 1,4-5 მ, სიგ. 5-11 მ). ტერასების საყრდენი კედლები აგებულია რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და თიხის ხსნარით. კედლებს სიმყარეს მატებს გასწვრივ და გარდიგარდმო დატანებული ძელები და ოთხკუთხა კონტრფორსები. კედლები შელესილია ბზენარევი თიხით. საყრდენ კედლებს უკან სივრცე შევსებული და მოსწორებულია ქვის ღორღით და გადალესილია თიხით. ამგვარად მომზადებულ სუბსტრუქციებზე აგებულია ალიზის შენობები. სუბსტრუქციათა სისქეში ზოგჯერ მოწყობილია სარდაფის ტიპის სათავსები.

სამადლოს ნაგებობათა უმეტესობა ნაშენია ალიზით (0,5X0,5X0,11 მ; 0,5X0,22X0,11 მ; 0,44X0,44X0,1 მ; 0,46X0,23X0,1 მ). შენობები გადა-

ხურულია დიდი ზომის წითლად შეღებილი კრამიტით. კრამიტი სამნაირია: ბრტყელი, გვერდებაკეცილი (0,73X0,58 მ; 0,65X0,5 მ; 0,58X0,48მ), ღარისებრი (0,66X0,15 მ; 0,6X0,15 მ) და სპეც. კეხის ღარისებრი (0,97X X0,55 მ). ზოგიერთი კრამიტის ზედაპირზე დაჰძეულია რიცხვების მნიშვნელობის ბერძნ. ასო-ნიშნები.

ს-ზე იდგა აგრეთვე თლილი ქვით ნაგები შენობები. კირქვის შედარებით მცირე ზომის ქვათლილები ერთმანეთზე ზოგჯერ ტყვიის გამირებით იყო გადაბმული. არქიტ. დეკორის ელემენტებიდან შემორჩენილია მხოლოდ გვიანდ. აქემენიდური ხანისათვის დამახასიათებელი კირქვის რელიეფის ორი ფრაგმენტი, რ-ზეც გამოსახულია ცხენოსანი გარეულ თხაზე ნადირობის დროს.

ს-ს ერთ-ერთ ტერასაზე გაითხარა ძვ. წ. IV-III სს. მიჯნის სამარხი (ბ) აკლდამა (5,5X5 მ, სიმ. 3,5 მ). აკლდამის კედლები 2 მ სიმაღლემდე აგებულია რიყისა და ნატეხი ქვით და ხის ძელებითაა შეკრული, ზემოთ კი ალიზისაა. გადახურვა ძელური იყო, სახურავი — კრამიტის. აკლდამაში იდგა ხის ორი სარკოფაგი (3X X2X0,6 მ და 3X1,17X0,6 მ). ერთ-ერთ სარკოფაგში შვიდი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა მცირეოდენი ინვენტარით (ვერცხლის საყურე და სათითე რგოლები, თიხის მოხატული ჯამი, ბრინჯაოს ისრისპირი), მეორე გაძარცულია.

აკლდამის მახლობლად 1912 წ. შემთხვევით გამოვლინდა სხვა (გ) სამარხებიც, რ-ებშიც თაბაშირით შელესილი ხის სარკოფაგები იდგა. ერთ-ერთი სამარხი მდიდრული იყო და ხუთასამდე ოქროს ნივთს შეიცავდა. ამ სამარხთა ინვენტარის ნაწილი — რკინის სარეცელი, ბრინჯაოს ლანგარი, ზარაკები, ვერცხლის გვერგვი და სარეცლის ფეხების გარსაკრავები, ოქროს სამკაული (სულ 449 ერთეული), მინისა და ქვის მძივები, სარდონიქსის სკარაბეუსი და სხვ. — დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმის, საქართვ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმისა და ლენინგრადის სახელმწ. ერმიტაჟის ფონდებში.

ელინისტ. ხანაში ს. ორჯერ დანგრეულა და დამწვარა, ერთხელ — ძვ. წ. III ს-ის დასაწყისში, მეორედ — ძვ. წ. II ს-ის 70-იან წლებში, რის შემდეგაც ცხოვრება აქ თანდათანობით შენელდა და საბოლოოდ ჩაკვდა ძვ. წ. II ს-ის დასასრულს.

სამადლოზე გათხრებით გამოვლენილი არქეოლ. მასალა საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ ელინისტ. ხანის იბერიის სულიერი და ნივთიერი კულტურის თითქმის ყველა მხარეზე. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აქ გამოვლენილი მოხატული კერამიკა. მოხატულობა შესრულებულია წითელი ან მოყავისფრო წერნაქით თიხის ჭურჭლის მოყვითალო ან მოვარდისფრო ანგობით დაფარულ და გაპრიალებულ ზედაპირზე. მხატვრობა ფრიზებადაა განლაგებული და პატარა ჭურჭელზე ძირითადად გეომეტრიულ მოტივებს შეიცავს, დიდი ზომის ქვევრებზე (სიმ. 1,8 მ) და ისარნის (თაღარის) ტიპის ჭურჭელზე (პირის დიამ. 1,6 მ) კი გამოსახულია მხედართა და ქვეითთა ბრძოლები, მხედართა ნადირობა ძაღლებით ირემსა და სხვა ცხოველებზე, მამაკაცთა ფერხული, ცხოველთა მსვლელობა და ა. შ. მოხატული ქვევრებისა და ისარნების საკულტო-სარიტუალო დანიშნულება ეჭვს არ იწვევს და საფიქრებელია, რომ მათზე მითოლოგიური სიუჟეტებია აღბეჭდილი.

ძვ. წ. III-II სს. ს. შესაძლებელია იბერიის (ქართლის) მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია იყო.

ბიბლ.: 59; 289; 290. *გ. ი.*

**219. სამადლოს ხიდი**, არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 3 კმ-ზე, გადებულია მდ. მტკვრის მარჯვ. შენაკად სამადლოსხევზე, შესართავიდან 200 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ერთმალიანი ოდნავ შეისრულთაღიანი ხიდი ნაგებია მსხვილი რიყის ქვითა და კირის ხსნარით. მისი სიგრძე 7,5 მ-ია, სავალი ნაწილის სიგანე — 1,4 მ, თაღის ღიობის სიმაღლე — ამჟამად 0,5 მ. ხიდი სანახევროდ მოსილულია. უძველესი დროიდან აქ გადიოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რ-იც მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირს მიჰყვებოდა და მთელ შიდა ქართლს სიგრძივ კვეთდა. ხიდის დას-ით, 300 მ-ზე, მტკვრისპირა ბორცვზე შემორჩენილია ქვითკირის შენობის ნანგრევები (ფუნდუკი ან ქარვასლა?). *გ. ი.*

219. ფასადი, გეგმა



**220. სამების ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.



220. დას. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა

ეკლ. დარბაზულია (12,2X6,5 მ), აგებულია კარგად გათლილი, მოყვითალო-მოყავისფრო ქვიშაქვის კვადრებით. შესასვლელი ორი აქვს — სამხრ-ით (ამოშენებულია) და დას-ით. დას. შესასვლელი შიგნიდან თა-

ღოვანია, გარედან არქიტრავითაა გადახურული. აღმ-ით ფართო მხრებითა და მათზე გადაყვანილი ორსაფეხურიანი სატრიუმფო თაღით გამოყოფილი ღრმა საკურთხეველია. თაღის ქუსლებთან რთულპროფილიანი (ორ ვიწრო თაროს შორის მოქცეული შეზნექილი სიბრტყე) კაპიტელებია. მათი ქვედა ნაწილი წინიდან გლუვია, ხოლო აფსიდის გვერდებზე მათ პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. მის ჩრდ-ით ერთი თაღოვანი ნიშია, ხოლო სამხრ-ით ორი. საკურთხეველში სწორკუთხა სატრაპეზო ქვა დგას. საკურთხევლის ბაქანი წინწამოწეულია, შუაში არდაბაგი აქვს. ეკლესიის დარბაზის გრძივ კედლებზე აფსიდის მხრებთან თითო კვადრ. არაღრმა სახატე ნიშია. სახატე ნიშებს რელიეფური კიდეები და თაღოვანი მოჩარჩოება აქვთ. ჩრდ. კედელზე თაღოვან არეში გამოსახულია რელიეფური ოვალი, ხოლო სამხრ. კედელზე რელიეფური ჯვარი. დას. და გრძივ კედლებში თითო თაღოვანი სარკმელია. დარბაზი გადახურულია კამარით, რ-საც შუაში გრძივ კედლებში ჩამაგრებული შეკიდული ხაბჯენი თაღი აქვს. ერთი თაღი დას-ის კედელთანაა. დას. ნაწილში ხის პატრონიკეა, რ-ზეც ხის კიბით ადიოდნენ.

ფასადები თლილი ქვითაა მოპირკეთებული. სარკმლებს ლილვებიანი თაღოვანი საპირეები აქვს. აღმ-ის ფასადზე, სარკმლის მარცხნივ შვიდსტრიქონიანი მხედრ. წარწერაა, რ-შიც მოხსენიებულია კათალიკოსი ნიკოლოზ ამილახვარი, რ-ის თაოსნობითაცაა აგებული ძეგვის სამების ეკლ. ფასადები დასრულებულია მაღალი ლავგარდნით, რ-იც შედგენილია თაროსა და ლილვს შორის მოქცეული შეზნექილი სიბრტყისაგან. დას. ფრონტონზე შემორჩენილია აგურით ნაგები გვიანდ. ხანის პატარა ს ა მ რ ე კ ლ ო ს ნაწილი. *გრძ. ვ.*

221. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით 5-6 *კმ*-ზე, ტყით დაფარულ მაღალი მთის წვერზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. დაზიანებულია: სამხრ-ის კედლის პერანგის ქვები ამოცვენილია.

ეკლ. დარბაზულია (7,9X4,8 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის ტლანქად დამუშავებული ქვის კვადრებით. შიგნიდან და გარედან არქიტრავული შესასვლელი სამხრ-ითაა. ღრმა აფსიდში ფართო თაღოვანი სარკმელია, რ-ის მარჯვნივ ოთხკუთხა, ხოლო მარცხნივ ნახევარწრიული ნიშია. ერთი თაღოვანი სარკმელი ეკლესიის დას. კედლის ზედა ნაწილშია, ერთი ოთხკუთხა — კარის თავზე. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით. შენობა შიგნიდან შელესილია. *გრძ. ვ.*

221. გეგმა



222. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, სასაფლაოზე. აგებულია 1676-1700 წწ.

ეკლ. დარბაზულია (10,37X6,8 *მ*), ნაგებია დიდი ზომის ნატეხი ქვით, მოპირკეთებულია თლილი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: ფასადებზე კვადრები გამოფიტული და დაბზარულია, კამარა და კონქი ჩანგრეულია, სამხრ-ის კედლისაგან მცირე ფრაგმენტიღაა შემორჩენილი. შესასვლელი ჩრდ-დან და სამხრ-დანაა. ჩრდ-ის შესასვლელი შიგნით და გარეთ გადახურულია დიდი ზომის არქიტრავის ქვით. აღმ-ით, განიერ ნახევარწრიულ აფსიდში ერთი პროფილირებულსაპირიანი სარკმელია. მის ორივე მხარეს, საკმაოდ მაღლა ნიშებია. დარბაზის გრძივი კედლების შუა ნაწილში და დას. კედლის კუთხეებთან კამარის საბჯენი თაღის საყრდენი პილასტრებია. სამხრ. კედლის შუა პილასტრი ჩამონგრეულია. ინტერიერში კედლები შელესილი ყოფილა — შელესილობის კვალი შეიმჩნევა აფსიდში და დას-ის კედელზე. აღმ. ფასადზე ყოფილა ფილა (დაკარგულია) მხედრული წარწერით, რ-ის თანახმად ეკლ. აუგია ვინმე ნადირ მჭედლიძესა და მის შვილს პეტრეს, ნიკოლოზ ამილახვრის კათალიკოსად ყოფნის (1676-1700 წწ.) დროს.

*ბიბლ.* 361. *ანდღ. ნ.*

223. ციხედიდის კომპლექსი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან სამხრ.-აღმ-ით 1,5 *კმ*-ზე, მდ. ძეგვისწყლის ხეობაში, ციხედიდის ხევის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

კომპლექსიდან (15 *ჰა*) შემორჩენილია მხოლოდ კოშკი, წმ. მარიამის ეკლესია და სამრეკლო. დადასტურებულია ფეოდ. ხანის ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი და ძვ. წ. II-I სს. კულტ. ფენებიც.

(ა) კ ო შ კ ი გეგმით ოთხკუთხაა (4,9X7,3 *მ*), ოთხსართულიანი (აკლია ბანი). ნაგებია ყორე ქვით. ჩრდ. ფასადის მხედრ. წარწერის მიხედვით, იგი 1680 წ. აუგია დეკანოზ ათანასე დეკანოზისძეს. შესასვლელი პირველ სართულზე, აღმ-ით. ამავე სარ-



223(ა). საერთო ხედი

223(ბ). აღმ. ფასადი, გეგმა





თულის დას-ის კედელზე, მთელ სიგრძეზე, საწნახელია მიშენებული, ხოლო იატაკში ქვევრებია ჩადგმული. ამ სართულზე მხოლოდ სამი სათოფურია, მეორე სართულის ყველა კედელში სარკმელი და სათოფურებია დატანებული. მესამე სართულის დას. კედელში შეისრულთაღიანი ბუხარია. აქაც ყველა კედელშია სათოფური. მეოთხე სართულის აღმ. კედელში გაჭრილია სარკმელი, დას-ისაში კი შვერილ აივანზე გასასვლელი მოზრდილი კარი. კარის მარჯვნივ საპირფარეშოა. კედლებში რამდენიმე ნიში და მრავალი სათოფურია.

აღმ-ის ფასადზე ფირუზისფრად მოჭიქული ორი თასია.

(ბ) წმ. მარიამის ეკლესია დარბაზულია (7,55X5 მ), ნაგებია ქვიშაქვის მოზრდილი ფილებით (აღმ. ფასადზე, სარკმლის ქვეშ, ერთი ფილის სიგრძე 3 მ-ია). სამხრ-ით შიგნიდან თაღოვანი და გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელია. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს ნიშებია. თითო სარკმელია გაჭრილი დას. და სამხრ. კედლებში. ნახევარწრიული კამარა პილასტრებზე დაბჯენილ თაღს ეყრდნობა. ინტერიერი შეთეთრებულია. დას-ის ფასადი ფერდობშია შეჭრილი. ამჟამად ეკლესიას ფიცრული გადახურვა აქვს, რ-ზეც გადაკრულია ტოლი. შესასვლელზე მიშენებულია ქვის მშრალი წყობით ნაგები კარიბჭისმაგვარი სათავსი (გვიანდელია).

(გ) სამრეკლო დგას ეკლესიის დას-ით. მისი მეორე სართული მთლიანად დანგრეულია. პირველი სართული გეგმით სწორკუთხაა (3,25X3,47 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. ამ სართულზეა გასასვლელი სამხრ-დან ჩრდ-კენ წაგრძელებული ღერძით, რ-იც გადახურულია მოზრდილი ბრტყელი ქვის ფილებით. მეორე სართული ექვსთაღიანი ფანჩატური ყოფილა. შეისრული თაღები წახნაგოვან ბოძებს ეყრდნობოდა. ბოძებს უხეშად გამოყვანილი სვეტისთავები და ბაზისები აქვს (ექვსივე ბოძი ძირს დევს). *ანდღ. ნ., ზ. პ.*

224. ᲬᲛ. ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 3 კმ-ზე. სტილისტ. ნიშნებით X ს-ით თარიღდება.

ეკლ. დარბაზულია (5X3 მ), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით, კონსტრ. ადგილებში (სატრიუმფო თაღი) გამოყენებულია თლილი ქვა. სახურავი ჩანგრეულია. შესასვლელი სამხრ-დანაა. აღმ-ით ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, ხოლო მის ჩრდ-ით ერთი ვიწრო ნიში. სარკმლის ქვეშ, კედელთან დგას კარგად გათლილი მოყვითალო ქვის სატრაპეზო, რ-ის ზედაპირზე და გვერდებზე ფოსოები ამოკვეთილი (შესაძლებელია ეს თავდაპირველად საკურთხევლის წინა ჯვრის პოსტამენტი იყო). სამხრ. ფასადზე, კარის დას-ით, ოდნავ ზემოთ ამოკვეთილია ტოლმკლავა ჯვრით შევსებული მედალიონი. ეკლესიას მარტივი, თაროსებრი ლავგარდანი ჰქონია, გადახურული ყოფილა ბრტყელი გვერდებაკეცილი და ღარისებრი კრამიტებით.

ეკლესიას შემოვლებული აქვს ნატეხი ქვით ნაგები წრიული გალავანი (დიამ. 18-19 მ). *გ. ი.*

# ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲜᲓᲐ

(მუხრანის სოფსაბჭო)

225 ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, თბილის — გორის საავტ. გზის მარცხ. მხარეს, გაშლილ მინდორზე. აგებულია გვიანდ. ფეოდ. ხანაში.

ეკლ. დარბაზულია (6,2X4,7 მ), ნაგებია რიყის ქვით; გამოყენებულია აგურიც. მაღალი და ვიწრო, კარგად გამოყვანილი აგურის ნახევარწრიული თაღიანი შესასვლელი დას-ის კედლის ცენტრშია გაჭრილი. კვადრ. დარბაზი გადახურულია კირხსნარით დაბეტონებული ოდნავ შეისრული კამარით. კირხსნარის მასაში ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებული აგურის მწკრივებია დატანებული. დარბაზის დას., ჩრდ. და სამხრ. კედლებში თითო სარკმელია. ნახევარწრიული აფსიდის სამხრ. და ჩრდ. კედლებში მაღალი ნიშებია, რ-ებიც კედელში დატანებულ, ნახევარწრიული კამარებით გადახურულ ვიწრო სამკვეთლოში და სადიაკვნეში გადის. ამ სათავსების აღმ. მონაკვეთებში მინიშნებულია საკურთხეველი და თითო სარკმელია გაჭრილი.

აღმ. ფასადის შუა სარკმლის ზევით მწვანედ მოჭიქული აგურებით გამოსახულია ჯვარი, რ-ის ქვედა მკლავი წაგრძელებულია. ჩრდ. ფასადის დას. მონაკვეთში ჩასმულია მოზრდილი ოთხკუთხა კირქვის ფილა, რ-ზეც რამდენიმესტრიქონიანი სომხური წარწერაა ამოკვეთილი. ეკლესია სომხურია. *ს. თ.*

226. ᲛᲐᲠᲝᲓᲘᲨᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ და ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ, არქიტ., არქეოლ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, თბილის — გორის საავტ. გზის მარცხ. მხარეს, გაშლილ მინდორზე. ეკლ. გვიანდ. ფეოდ. ხანაშია აგებული. ახლანდ. სახელწოდება მისთვის აქ მოსახლე ასურელებს შეურქმევიათ.

(ა) ეკლ. დარბაზულია (7,8X5,8 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. დაზიანებულია: სახურავი ჩანგრეულია, დას-ის კედელი გადახრილია. შესასვლელი სამხრ-ითაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ვიწრო სარკმელია, ხოლო ჩრდ. კედელში — ოთხკუთხა ნიში. ოდნავ შეისრული სატრიუმფო თაღი მძლავრადაა ამოწეული კამარიდან. კვადრ. დარბაზი გადახურულია ოდნავ შეისრული კამარით. დას. კედელში ერთი ვიწრო სარკმელია, სამხრ-ისაში — ორი. ინტერიერი შელესილი ყოფილა (შელესილობა ჩამოცვენილია და კედლები შეთეთრებულია). ეკლესიას ორრიგად კბილანებად დალაგებული აგურის ლავგარდანი აქვს.

ეკლ. დგას განვით. ფეოდ. ხანის ნასოფლარზე (ბ), რ-ის ტერიტორიაზე უხვადაა თიხის ჭურჭლის ნატეხები. *ს. თ.*

227. ᲜᲐᲛᲐᲠᲜᲐᲚᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს ადგილ ნაზვრევში, მდ. ქსნის მარცხ. ნაპირსა და სოფ. ქანდიდან ქსნის რკ.-გზ. სადგურისაკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს. თარიღდება XIX ს-ით. შემორჩენილია ქვითკირით ნაგები საწნახელი. მის გრძივ კედელში დატანებულია თიხის მილი, რ-ის წინ ქვითკირისავე აუზია (ისარნა). *გვ. ჯ.*

228. ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს გორაზე, ნამოსახლარ ფარეხების გორის ჩრდ.-აღმ-ით 100-120 მ-ზე. უძველესი კულტ. ფენა თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულით, უახლესი — ფეოდ. ხანით. გორის ზედაპირზე აიკრიფა თიხის ჭურჭლის ნატეხები. *გვ. ჯ.*

229. ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ ᲤᲐᲠᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲝᲠᲐ, არქეოლ. ძ. მდებარეობს თბილის — გორის საავტ. გზიდან ქსნის რკ.-გზ. სადგურისაკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს 100 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანით (ძვ. წ. II-I ათასწლეულთა მიჯნა — ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანები). XIX ს-ში ამ ადგილას ფარეხები მდგარა. აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც. გეომორფოლოგიურად გორა ამოზიდული ტიპისაა და წაგრძელებულია ჩრდ.-დას-დან სამხრ.-აღმ-ისაკენ. გორის ჩრდ. ფერდი მიწის სამუშაოების დროს დაზიანებულა და კარგად ჩანს დაახლოებით 1 მ-ის სიმძლავრის კულტ. ფენა. აქ გამოვლენილი რიყის ქვის საძირკველზე ნაგები ძელური სახლების კედლები თიხითაა შელესილი. გვხვდება წითლად გამომწვარი კერამიკის ნაშთები. ნაპოვნია ჯამები, კოჭობები, სასმისები, ქოთნები, დერგები და ქვევრები. სოფლის სკოლის მოსწავლეებმა გორის ძირში იპოვეს აღმ.-ქართ. ცული, ე. წ. ჩუგლუგი, დას.-ქართ. ბრტყელი ცული და ბრინჯაოს სხვა ნივთები. ნაპოვნი ნივთები ინახება სოფლის საშ. სკოლის პიონერთა ოთახში. *გვ. ჯ., ცქ. გ.*

230. ᲧᲝᲠᲓᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, წეროვნის მინდორზე. თარიღდება ძვ. წ. XVII-XIV სს.

1962 წ. ᲘᲐᲔ ინ-ტის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. კალანდაძე) გათხარა 2 სამარხი, რ-ებიც გაძარცუ-

ლი იყო. დაკრძალვის წესი ვერ დად-გინდა. აღმოჩენილი მასალა (ტეხილ-ხაზოვანი ნაკაწრი ორნამენტით შემ-კული შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები), რ-ის მსგავსი გვხვდე-ბა თრიალეთისა და შიდა ქართლის შუა ბრინჯაოს ხანის ძ-ებზე, ინახე-ბა საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ბიბლ.: 187. *ირ. შ.*

## წეროვანი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

231. კახიჯვრის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, მაღა-ლი ქედის ფერდზე. სტილისტ. ნიშ-ნებით თარიღდება VIII ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (9,04X8,11 მ), ნაგებია გულმოდგინედ შერჩეული ნატეხი და რიყის ქვით, კონსტრ. ად-გილებში თლილი ქვაა გამოყენებული, ხოლო დეკორატ. მიზნით — ღია-მომწ-ვანო ფერის ტუფი. ეკლ. ძალზე და-ზიანებულია (სახურავი ჩაქცეულია და სხვ.).

ეკლესიის აფსიდი ნალისებრია. სატრიუმფო თაღი სადა, მარტივპრო-ფილიან იმპოსტებს ეყრდნობა. აფ-სიდში მაღალი და განიერი სარკმე-ლია. ასეთივე სარკმლებია ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებში. ეკლესიაზე ჩრდ-ითა და სამხრ-ით მიშენებულია სწორკუთხა სათავსები. ჩრდ-ის მინა-შენი (სამსხვერპლო; კამარა ჩანგრეუ-ლია), რ-ში შესვლაც ეკლესიის დარ-

231. განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



ბაზიდან შეიძლება, მოკლეა. სამხრ-ისა (შემორჩენილია საძირკველი) კი ეკლესიას მთელ სიგრძეზე გასდევს. აღმ-ის ფასადის სარკმელი მორთუ-ლია ჰორიზონტალურგადანაკეცებია-ნი თაღოვანი სათაურით.

ბიბლ.: 361:51-52. *ანდღ. ნ.*

232. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდე-ბარეობს წეროვნის საბჭ. მეურნეო-ბის დას-ით, გორაზე. ზედაპირულად აკრეფილი მასალის მიხედვით (თი-ხის ჭურჭლის ფრაგმენტები, კაჟის ნამგლის დაკბილული ჩანართი და სხვ.), რ-იც ინახება საქართვ. სა-ხელმწ. მუზეუმში, ნ. გვიანდ. ბრინ-ჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანით თა-რიღდება. *ირ. შ.*

233. ნარეკვავის გორანამოსახლა-რი, არქეოლ. ძ. მდებარეობს თბილის—გორის გზატკეცილის მარცხ. მხარეს, სხალტბის ქედის ჩრდ. კალთების გასწვრივ, მდ. ნარეკვავის მარჯვ. ნა-პირზე. ნ. გ. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანით. გორანამოსახლარზე გათხრები დაიწყო 1975 წ. მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქი-ძე). ნ. გ-ზე ხის ძელებითა და ალიზით ნაგები სახლები განლაგებულია ტე-რასულად. სახლის უკანა მარცხ. კუთხეში გამართულია ალიზის ორ-განყოფილებიანი პურის საცხობი ღუ-მელი, რ-ზეც საკურთხეველია მიშენე-ბული. ნ. გ-ზე მრავლად აღმოჩნდა შავპრიალა და რუხი ფერის სამეურ-ნეო (ქვევრები, დერგები), სუფრისა და სამზარეულოს თიხის ჭურჭლის ნატეხები, საყოფაცხოვრებო და სა-კულტო ნივთები (კოლხური ცული, რკინის მოხრილი დანა, ბრინჯაოს ან-კესი, ქალის თიხის ქანდაკება და სხვ.). მოპოვებული მასალა ინახება მცხეთის მუზეუმში. *ნ. ვ., ს. ფ.*

234. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდე-ბარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, სხალტბის ქედის ჩრდ. კალთაზე. ს-ზე 1977 წ-დან სტაციონარულ არ-ქეოლ. გათხრებს აწარმოებს მმაე (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). გაითხარა მჭიდროდ განლაგებული შეეულკედ-ლებიანი მოგრძო ღრმა ორმოსამარ-ხები, რ-ებშიც ასვენია 1, 2 და ზოგ-ჯერ 4 ხელფეხმოკეცილი მიცვალე-ბული, მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, თა-ვით ჩრდ-ისაკენ. სამარხებში მრავ-ლად აღმოჩნდა შავპრიალა და ნაც-რისფრად გამომწვარი ამოღარული და რელიეფური ორნამენტებით შემ-კული კერამიკული ჭურჭელი (კოჭო-ბები, დერგები, ხელადები, ფიალე-ბი, ლანგრები), ბრინჯაოს სატევ-რები და სამკაული (სხვადასხვა მასა-ლისა და ფორმის საკიდები, ბალ-თები, კილიტები, მძივები და სხვ.). ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ინსიგ-ნია — ძვლის კვერთხისთავი. აღმოჩე-ნილი ინვენტარის მიხედვით ს. გვი-ანდ. ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტა-პით თარიღდება. ს-ის ჩრდ.-დას-ით 800-900 მ-ზე მეორე ასეთივე (ა) სა-მაროვანია. *ნ. ვ., ს. ფ.*

235. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, დას-ით, შემაღლებულ ადგილას. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XI ს-ით.

1946 წ. ძ. შეაკეთეს: გაამაგრეს დაბ-ზარული კედლები და კამარა. ეკლ. დარბაზულია (9,55X5,79 მ;), ნაგებია ყორე ქვით. გარედან მოპირკეთებუ-ლია მოყვითალო თლილი ქვის კვად-რებით. ინტერიერში თლილი ქვისაა პილასტრები, კამარის საბჯენი თა-ღები, კონქი და კარ-სარკმლის საპი-რეები. დგას ერთსაფეხურიან ცოკოლ-ზე. შესასვლელი სამხრ-დან და ჩრდ-დანაა (ჩრდ-ისა ამოქოლილია). აღმ-ით, ნახევარწრიული აფსიდის ვიწრო სარკმლის ორივე მხარეს თითო თა-ღოვანი ნიშია. საკურთხევლის შუა ნაწილში სატრაპეზო ქვა დგას. დას-ის კედელში ერთი, ხოლო სამხრ-ისაში ორი ვიწრო სარკმელია გაჭრი-ლი. დარბაზის კამარა პილასტრებზე დამყარებულ საბჯენ თაღებს ეყრდ-ნობა.

ფასადები მორთულია დეკორატ. თაღებით. თაღების იმპოსტები მო-ჩუქურთმებულია, ბაზისებს შეწყვი-ლებული ბურთულების ფორმა აქვს. აღმ-ის ფასადზე ოთხკუთხა სარკმელს დიდი ფოთლებით მორთული ტალ-ღოვანი საპირე აქვს. სარკმლის ორივე მხარეს მაღალი თაღოვანი ნიშებია. სარკმლებსა და ნიშებს დიდი თაღი აქვს შემოვლებული. დას-ის ფასად-ზე კუთხის ნახევარსვეტები გარკ-ვეულ სიმაღლეზე ჰორიზ. მიმართუ-ლებას იღებს და სარკმლის ზემოთ ქმნის თაღს, რ-ის თავზე რელიეფური ჯვარია გამოსახული. სამხრ-ისა და ჩრდ-ის ფასადები ოთხ-ოთხი დეკო-

235. გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



რატ. თაღითაა შემკული. სამხრ-ის ფასადზე თაღები სხვადასხვა ზომისაა. კარზე გადავლებული თაღი ყველაზე ფართო და მაღალია, ხოლო დას-ის განაპირა თაღი ყველაზე პატარა. ამ ფასადზე ერთ-ერთ სარკმელს ოთხყურა ფოთლოვანი მოტივით მორთული საპირე აქვს. ჩრდ-ის ფასადის დეკორატ. თაღები ყველა ერთი ზომისაა, მაგრამ კარის მომიჯნავე ლილვები ცოკოლამდე არ ჩამოდის და თაღის ქუსლთან წყდება. ეკლესიას თაროსა და დახრილი სიბრტყისაგან შედგენილი ლავგარდანი აქვს.

*ბიბლ.:* 352. *კედ. ს.*

235. აღმ-ისა და სამხრ-ის ფასადები





# წილკანი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

236 წილკანი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მუხრანის ვაკეზე, მდ. ნარეკვავის მარცხ. მხარეს.

სოფელი დასახლებულია გვიანდ. ბრინჯაოს ხანიდან. სოფლის შემდგომ დაწინაურებაში დიდი როლი ითამაშა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. აქ იყრიდა თავს ქართლ-კახეთისა (ბარის) და ერწოს (მთის) გზები. ერწოს გზას „წილკნის კარი" ეწოდებოდა) VI ს-ში წ-ში მოღვაწეობდა ისე წილკნელი, ერთ-ერთი 12 ასურელი მამათაგანი. ტრადიცია მას მიაწერს წილკნის სარწყავი არხის — „წილკნის რუს" მშენებლობას. მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელების დროს შეიქმნა წილკნის საეპისკოპოსო. წილკნელის სამწყსოში შედიოდა მუხრანის ქვეყანა, ბაზალეთი, მთიულეთ-გუდამაყარი და ხევი. საეპისკოპოსო გვიანდ. შუა საუკუნეებშიც არ მოშლილა. VIII-IX სს. წ. ხან ქართლის, ხან კახეთის შემადგენლობაშია. მის მითვისებას ცდილობდნენ ზედაზენ-მუხრანის ერისთავები ძაგანისძეები. XI ს-ში ერისთავის ძმამ მოდესტომ წილკნის საეპისკოპოსოს ყმა-მამული მიიტაცა. დავით აღმაშენებელმა მიტაცებული მიწები კვლავ საეპისკოპოსოს დაუბრუნა. (ა) XI ს-ის 60-იან წლებში ბაგრატ IV-მ წილკანთან დაამარცხა და გააქცია განძის ამირა ფადლონი. XVII-XVIII სს. წ. თურქთა, ყიზილბაშთა და განსაკუთრებით ლეკთა თარეშებმა დიდად დააზარალა.

(ბ) დუშეთის 1918 წ. აჯანყებაში წილკნელმა გლეხებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. 1918 წ. 11 ივნ. გუბერნიის კომისიის განკარგულებით დუშეთის აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ გაიგზავნა ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული რაზმი, რ-საც დუშეთში გვარდიელებიც შეუერთდნენ. დამსჯელმა რაზმმა სოფ. ბაზალეთსა და სოფ. მისაქციელში აჯანყებული გლეხობა განაიარაღა. სოფ. წილკანში კი აჯანყებულები არ დანებდნენ. მათ ხეობაში შეიტყუეს დამსჯელი რაზმი და განაიარაღეს.

*ბიბლ.:* 44; 168ა, ბ; 220ა; ბ, გ, დ; 252; 268ბ; 402:1918 წ., 22 ივნისი, № 128. *ქ. ქ.*

237. აკლდამა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით 1,5 *კმ*-ზე. თარიღდება IV-V სს-ით. ძ. 1979 წ. გათხარა მმაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე).

ა. გეგმით ოთხკუთხაა, ჩადგმულია ხაგანგებოდ ამოჭრილ ქვაბულში და დამხრობილია აღმ-დან დასისაკენ. შედგება დასაკრძალავი სენაკისა და დრომოსისაგან. ნაგებია კარგად გათლილი ქვიშაქვითა და კირის ხსნარით; დრომოსსა და დასაკრძალავ სენაკს შემოვლებული აქვს რიყის ქვითა და კირხსნარით ნაგები სამაგრი კედელი.

დასაკრძალავ სენაკში (3,45X3,25X X2,88 *მ*) შესასვლელი (დრომოსი) აღმ-დანაა, 13-საფეხურიანი კიბე დერეფანში (სიგრ. 2,2 *მ*) ჩადის. დერეფნის გავლით შეიძლება საკრძალავში შესვლა. საკრძალავ სენაკს თლილი ქვით (29 პორიზ. მწკრივი) ნაგები ნახევარწრიული თაღი აქვს, რ-იც კირხსნარის სქელი ფენითაა გადალესილი. საკრძალავი კამერის სამხრ. და ჩრდ. კედლების გასწვრივ ტახტრევნებია. მათზე ბორდიურით გამოყოფილი ორ-ორი სამარხია გამართული. ა-ში ესვენა სუდარაში გახვეული რვა მამაკაცი. მიცვალებულები დაკრძალულია ქრისტ. წესით — გულაღმა გაშოტილი, თავით დასისაკენ. ა. გაძარცულია. კედლებზე შემორჩენილია ოთხპწკარიანი ბერძნ. დაზიანებული წარწერა და ჯვრის გამოსახულებები, რ-თა მკლავებს შორის ჩაწერილია ორი ბერძნ. მთავრული ქრიზმა.

ა-ის გვერდით გამოვლინდა გვიანდ. ანტ. ხანის ორმოსამარხი და ქვაყუთი, რ-შიც მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტ. წესით თიხის სარეცელზე.

ა-ის დას-ით 3 *მ*-ზე აღმოჩნდა (ა) ეკლესიის (7,15X5,5 *მ*), ხოლო ჩრდ-ით 22 *მ*-ზე რიყის ქვით ნაგები ზღუდის ნაშთი.

*ბიბლ.:* 176ვ; 181; 229. *ნ. ვ.*

237. აქსონომეტრიული განაკვეთი



238. ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსი, არქიტ., მონუმ. ხელოვნ.,



238. გეგმა



238 ხედი სამხრ-დან

ისტ., არქეოლ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. კომპლექსში შედის ღვთისმშობლის ეკლესია და ციხე-გალავანი.

წილკანში ქრისტ. ეკლ. ქართლში ქრისტიანობის გავრცელების პირველ პერიოდში აუგიათ. ქართ. ისტ. წყაროებით: მეფემ „ბაკურ დაიწყო წილკნისა ეკლესიასა და განიშორა ოცდამეათხუთმეტესა წელსა“. ლეონტი მროველი წილკნის ეკლესიის აგებას მირიანის ძეს ბაქარ მეფეს მიაწერს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „არს ეკლესია წილკანს ღვთისმშობლისა, გუმბათიანი და შვენიერი. აღაშენა კე (25-ე) მეფემან ბაქარ, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი მუხრანისა, ორივე არაგვისა და ბაზალეთისა“. მალე წილკნის ტაძარი საეპისკოპოსო კათედრალად იქცა. 506 წ. საეკლესიო კრებას, სხვა ქართვ. მღვდელმთავრებთან ერთად, წილკნელი ეპისკოპოსიც დასწრებია. V ს. ბოლოს თუ V-VI სს. მიჯნაზე წილკანში დიდი სამნავიანი ბაზილიკა აუგიათ. VI ს. II ნახ-ში წილკნის ეპარქიას იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფე და თანამოღვაწე ისე წილკნელი განაგებდა. გადმოცემით ისე წილკნელი ტაძარშია დასაფლავებული (მისი საფლავის ქვა გუმბათქვეშა ჩრდ.-აღმ-ის ბოძთან დევს). წილკნის ტაძარი და მისი სამწყსო საკმაოდ მდიდარი და ძლიერი იყო. ქართვ. მღვდელმთავართა შორის წილკნელს მე-19 ადგილი ეჭირა. კათედრალს დიდ დახმარებას უწევდნენ ქართვ. მეფეები და დიდგვარიანი ფეოდალები. წილკნის ტაძარი მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-მწიგნობრული კერაც იყო. XIX ს-ის დასაწყისში წილკნის საეპისკოპოსო გაუქმდა.

ტაძარი არაერთხელ არის აღდგენილი და შეკეთებული. განვით. ფეოდ. ხანაში დანგრეული ბაზილიკა გუმბათიან ეკლესიად გადუკეთებიათ. საფუძვლიანად შეაკეთეს იგი XVI-XVII სს-შიც. XIX ს-ის II ნახ-ში ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები (ხელმძღვ. ფ. რიპარდი). 1967-68 წწ. აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (კონსულტანტი გ. ჩუბინაშვილი, ხელმძღვ. ნ. ჩუბინაშვილი).

ტაძარი სხვადასხვა დროის სამ ნაგებობას აერთიანებს: დარბაზულ ეკლესიას (IV ს. დასასრული-V ს.-ის I ნახ.), სამნავიან ბაზილიკას (V-VI სს. მიჯნა) და გუმბათოვან ტაძარს (განვით. ფეოდ. ხანა).

ღვთისმშობლის ტაძარი ცენტრ.-გუმბათოვანი ნაგებობაა (28X X24 $\theta$). ნაშენია ქვიშაქვის თლილი კვადრებით. ინტერიერის და ნაწილობრივ დარბაზული ეკლესიის სამხრ. ფასადის კედლების წყობაში გამოყენებულია რიყის ქვა, აგური და ორნამენტიანი კვადრები, რ-ებიც მოგვია-

ნებით, გადაკეთებისა და შეკეთების დროსაა ჩასმული.

ტაძარს სამხრ-ითა და დას-ით კარიბჭეები ეკვრის მესამე შესასვლელი ჩრდ-ითაა (კარი ამოქოლილი იყო; ბოლო შეკეთების დროს გახსნეს). აღმ-ით ღრმა ნახევარწრიული აფსიდია. გუმბათის ყელი ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯს ეყრდნობა. გუმბათის ყელზე გადასვლა ხდება აფრების მეშვეობით. გუმბათში 12 სარკმელია. გარდა ამისა, ინტერიერს კიდევ 10 სარკმელი აშუქებს: ორი აღმ-ითაა — აფსიდში და სამხრ-ის ნავში, ერთი დას. კედელშია, სამ-სამი ჩრდ-ისა და ოთხი სამხრ-ის კედლებში. საკურთხევლის სარკმლის ქვეშ და მის ორივე მხარეს საკმაოდ მაღალი ნიშებია. აფსიდის კუთხეებთან ღრმად შეწეულ პილასტრებს ორნამენტით მორთული სატრიუმფო თაღი და გუმბათქვეშა ბოძებისაკენ გადაყვანილი თაღები ეყრდნობა. ჩრდ-ისა და სამხრ-ის ვიწრო ნავებს აღმ-ით სწორი კედლები აქვს. დას-ის აგურისთაღიან გასასვლელთან ბაზილიკისდროინდელი სამიარუსიანი და ორნამენტიანი პილასტრებია. დას-ის კარიბჭესა და დარბაზს შორის მცირე სწორკუთხა სათავსია. ამ სათავსიდან კარიბჭეში გასასვლელი თაღოვანია; თაღი ღრმად შეწეულ პილასტრებს ეყრდნობა. დას-ის მხარეს იატაკის დონე ბევრად მაღალია, ვიდრე კარიბჭესა და დარბაზში, ამიტომაც კარიბჭის წინ ჩასასვლელი ქვის კიბეა.

სამხრ-ის კარიბჭე მართკუთხაა. მის დას. ნაწილში, ტაძრის კარის პირდაპირ, განიერი თაღოვანი შესასვლელია. კარიბჭეს აღმ-ით ეკვრის მცირე ზომის დარბაზული ეკლ., რ-იც კარით უკავშირდება როგორც კარიბჭეს (დას-ით), ისე ტაძრის სამხრ. ნავს (ჩრდ-ით). დარბაზულ ეკლესიას აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდი აქვს, აფსიდში ერთი სარკმელი და ორი მცირე ნიშია. დარბაზის ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლების პილასტრებს ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი და კედლის თაღები ეყრდნობა. სამხრ. კედლის თაღის წინაპირზე შემორჩენილია გრაფიკულად ამოკვეთილი ორნამენტი. სამხრ-ის კედლის თაღებში სარკმლებია გაჭრილი. ტაძარში გასასვლელი კარი გადახურულია მოზრდილი არქიტრავით, რ-ის შუა არეში, წრეში ამოკვეთილია აჟური ჯვარი.

ტაძრის ჯვრის მოყვანილობის მკლავებშორისი ნაწილები თავიდან ბოლომდე გახსნილია (ე. ი. მეორე სართულის დონეზე რაიმე სათავსის ნაკვალევი არა ჩანს). გუმბათქვეშა თაღების ხაზი ოდნავ შეისრული და მრუდია.

ინტერიერში სატრიუმფო თაღი, გუმბათქვეშა ბოძებისა და პილასტრების ყოველი იარუსის კაპიტელები მორთულია სხვადასხვა დროის ორნამენტებით. გარდა ამისა, ორნამენტიანი კვადრები და ფრაგმენტები გამოყენებულია გუმბათქვეშა ბოძების და კედლების წყობაში სამშენ მასალად.

XVI-XVIII სს-ის (ა) მოხატულობა შემორჩენილია მხოლოდ გუმბათში: ცენტრში, ორმაგ წრეში გამოსახულია ქრისტე, რ-იც მარჯვ. ხელით აკურთხებს, ხოლო მარცხენაში გადაშლილი სახარება უჭირავს. ორმაგ წრეში ასომთ. წარწერაა: „იხილე და შეიყვარე შვენიერება სოფლისა შენისა და ადგილი ქ უფალო გარდმოიხედე ზეცითი". ცენტრ. წრის გარშემო ოთხ ნახევარწრეში მოგვიანო ხანაში გადაწერილი მახარებელთა სიმბოლოებია; მახარებელთა შორის ექვსფრთედებია. შემდეგ რეგისტრში, გუმბათის ყელის ზედა ნაწილში, გამოსახულია ანგელოზებით გარშემორტყმული კიბორიუმი. მხატვრობა შესრულებულია ბაცი შინდისფერი, მოწითალო, ყვითელი და ლურჯი ფერებით. გამოსახულებანი პატარა ზომისაა, ნახატი — უხეში.

კარგად გათლილი კვადრებით მოპირკეთებული ფასადები საერთო კომპოზიციითაც და გაფორმებითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აღმ-ის ფასადის სიბრტყიდან ტაძრის საკურთხევლის სამწახნაგა და დარბაზული ეკლესიის აფსიდები მკვეთრადაა გამოწეული. აფსიდები გადახურულია ორფერდა სახურავით. ტაძრის აღმ. მკლავის სარკმლის (საკურთხევლის ზემოთ) ჩუქურთმიანი საპირე გვიანდელია.

სამხრ-ის ფასადი, რ-იც მისასვლელი გზის მხარესაა, მეტადაა მორთული. ტაძრის სამხრ-ის მკლავისა და აღმ. კედლის ნახევარს ეფარება კარიბჭე და დარბაზული ეკლესია, რ-ებიც ერთიანი ცალფერდა სახურავითაა გადახურული. გუმბათიანი ტაძრის მშენებელს მთლიანად გამოუყენებია ბაზილიკის სამხრ. კედლის გადარჩენილი ნაწილი (იგი მკვეთრად გამოიყოფა როგორც წყობით, ისე გაფორმებით). სამხრ. მკლავის შუა მონაკვეთში ჩანს სიბრტყიდან მძლავრად ამოწეული პილასტრი, რ-საც პროფილირებული განიერი სარტყელი; აქვს. პილასტრი ეშვება კარიბჭეში მოქცეულ კედლის ძირამდე და იქ ხამსაფეხურიან ცოკოლს ეყრდნობა. ფასადზე, პილასტრის ორივე მხარეს თაღოვანი სარკმლებია, რ-ებსაც ორნამენტიანი ხათაური აქვთ. სამხრ-ის მკლავის შუა ზედა არეში პროფილირებულსაპირიანი და სათაურიანი მაღალი სარკმელია გაჭრილი, ფასადის სამხრ.-დას. მონაკვეთში მცირე ზომის სწორკუთხა სარკმელი და ხრულიად სადა კარიბჭის მაღალი, განიერი შესასვლელი დახრულებულია ორსაფეხურიანი თაღით. დარბაზულ ეკლესიას ამ მხარეს ორი მაღალი, ხრულიად სადა თაღოვანი სარკმელი აქვს, კარიბჭის დასავლეთით, ფასადზე კედლის თაღოვანი არეა შექმნილი. სამხრ. კარიბჭის სახურავი ნაწილობრივ ფარავს ბაზილიკისდროინდელი ორი სარკმლის ქვედა მონაკვეთს. კარიბჭის შიგნით, პილასტრის მარჯვნივ, სწორკუთხა შეღრმავებაა. აქ პილასტრის წინაპირი მორთულია ფართო რომბისებრი ორნამენტული მოტივებით.

დას. ფასადზე ტაძარს კარიბჭე და

238. გეგმა



სათავსი აქვს მიშენებული. ისინი ორფერდა სახურავითაა გადახურული. დას. მკლავის შუა ზედა არეში მაღალი სარკმელია. კარიბჭის შესასვლელი მართკუთხაა.

ჩრდ. ფასადის დას. მონაკვეთში მცირე ზომის თაღოვანი შესასვლელია. მკლავის შუა ზედა არეში მაღალი სარკმელია, ქვემოთ — ორნამენტიანი საპირეებით მორთული სამი სარკმელი. ამ ფასადის ჩრდ-ით შემორჩენილია ფასადის პარალელური ძვ. კედლის ნაწილი. ჩრდ. ფასადს მთელ სიგრძეზე გასდევს სამსაფეხურიანი ცოკოლი.

ტაძრის გუმბათის ყელი თორმეტწახნაგაა. სარკმლებს სადა, კედლის სიბრტყეში ჩაწეული საპირეები აქვს. გუმბათის ყელს საფუძველთან და სარკმლებს ზემოთ ორ-ორი ლილვი შემოუყვება. ტაძრის მკლავები ფრონტონებითაა დასრულებული. ფასადებს მარტივპროფილიანი სადა ლავგარდანი გასდევს.

წილკნის ტაძრის ინტერიერისა და ფასადების ორნამენტები მეტისმეტად განსხვავებულია, რადგან ყოველი გადაკეთებისა და აღდგენის დროს ტაძარს დროის შესაფერისი ჩუქურთმებით ამკობდნენ. დღეს ტაძარზე შემორჩენილია როგორც ადრეული ხანის (IV-VI სს.), ისე განვით. და გვიანდ. ფეოდ. ხანის ორნამენტით მორთული ნაწილები და ცალკეული ფრაგმენტები. ყოველი მომდევნო გადაკეთებისას მშენებლები ცდილობდნენ ორგანულად შეეთანხმებინათ ერთმანეთისათვის უკვე არსებულ ნაგებობათა მთელი კომპოზიციები ან გადარჩენილი ცალკეული ნაწილები. ასე იქნა ჩართული დარბაზული ეკლესია ბაზილიკაში (იგი ალბათ ცალკე ეკვდერის ან სამლოცველოს ფუნქციას ასრულებდა), ხოლო ორივე ახლად აგებული კარიბჭეებითურთ — გუმბათოვანი ტაძრის არქიტექტურაში. ამასთან, წინა დროის ნაგებობათა ზოგიერთი ნაწილი უცვლელად არის დატოვებული მთელი თავისი გაფორმებით (დარბაზული ეკლესია; ბაზილიკის საკურთხეველი სატრიუმფო თაღითა და პილასტრებით, დას-ის პილასტრები, სამხრ. კედელი). პროფილირებული და ორნამენტიანი ქვები გამოყენებულია ახალი ნაგებობის მოსართავად ანდა საშენ მასალად.

ტაძრის მორთულობიდან განსაკუთრებით საინტერესოა ბაზილიკისდროინდელი ორნამენტები, რ-თა შორის გვხვდება სრულიად უნიკალური და თავისებური მოტივები. ამ ორნამენტებს ბევრი რამ საერთო აქვთ სასანური ხელოვნების ტრადიციებთან, მაგრამ აშკარად ქართ. ნიადაგზეა გააზრებული და შესრულებული.

წილკნის ტაძარი უაღრესად საინტერესო ძ-ია, რ-საც ნათლად ატყვია ქართ. ხუროთმოძღვრების მიერ განვლილი სხვადასხვა ეტაპის დამახასიათებელი ნიშნები.

(ბ) გ ა ლ ა ვ ა ნ ი (58X72 *მ*), რ-იც შემოვლებული აქვს ღვთისმშობლის ტაძარს, გეგმარების, არქიტ. ფორმებისა და ელემენტების მიხედვით აგებული უნდა იყოს XVIII ს-ის II ნახ-ში. ამ გალავნის გარეთ, ჩრდ-ით და დას-ით, შემორჩენილია უფრო ძვ. გ ა ლ ა ვ ნ ი ს ნაშთები.

გალავნის კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. წყობაში ზოგან ჩართულია აგური და ტაძრის ორნამენტიანი ქვები. კედლები კირქვის ხსნარით ყოფილა მობათქაშებული. შესასვლელი სამხრ-დანაა, მას აგურის თაღი აქვს. 1967-68 წწ. აღადგინეს შესასვლელი, გალავნის ჩრდ. კედლის უმეტესი ნაწილი, კედლების ზემოთა მონაკვეთები და ქონგურები კოშკებზე. გალავნის აღმ-ისა და დას-ის კედლები ორიარუსიანია. ცალმაგი, ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაშორებული სათოფურები მხოლოდ აღმ-ისა და სამხრ-ის კედლებშია შემორჩენილი. სამხრ-ის კედელში შემორჩენილია აგრეთვე საბრძოლო ბილიკის ხის კოჭების ჩასამაგრებელი ფოსოები.



238(ბ). ჩრდ. კოშკი

238(ბ). სამხრ.-აღმ-ის კოშკი



გალავნის ყოველ კუთხეში გეგმით წრიული თითო კ ო შ კ ი დგას. სამხრ-დას-ის კოშკი სამსართულიანი ყოფილა, დანარჩენები ორსართულიანი. კოშკებში შესასვლელები ეზოს მხრიდანაა. ყოველ სართულზეა ნიშები, სათოფურები და ბუხარი. სამხრ.-აღმ-ის კოშკს გალავნის შესასვლელისაკენ მიმართული საზარბაზნეც აქვს. ამ კოშკის შესასვლელზე XIX ს-ში აგურის ექვსმალიანი ს ა მ რ ე კ ლ ო ს ფანჩატური დაუშენებიათ. ჩრდ.-დას-ის კოშკზე შემორჩენილია სალოდეებიც.

ტაძრის ეზოში ᲘᲐᲔ ინ-ტის ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. ბოხოჩაძე) გათხარა კერამ. ფილებით შედგენილი გვიანდ. ანტ. ხანის (დ) ს ა მ ა რ ხ ი.

*ბიბლ.:* 163ა:224-261; 351. *ანდღ. ნ., ბ. ა., მ. ი.*

239. ყორღანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 1,5 *კმ*-ზე, მდ. ნარეკვავის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. ბ. ა.

## წინამძღვრიანთკარი

(გალავნის სოფსაბჭო)

240. ბერების საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ტუხალდის ხევის მარჯვ. ნაპირზე, ხშირ ტყეში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია აგურით. მისთვის მოგვიანებით სამხრ-ის მხრიდან მეორე ეკლესია მიუშენებიათ, ხოლო უფრო გვიან დას-დან კოშკური ნაგებობა. დარბაზული ეკლესიისგან შემორჩენილია მხოლოდ საკურთხევლის ნახევარწრიული ნაწილი (სიმ. 3 *მ*) და სამხრ. კედლის დას. მონაკვეთი, სამხრ-ის ეკლესიიდან — აღმ. კედლის მცირე ნაწილი. დაზიანებულია კოშკური ნაგებობაც.

დარბაზულ ეკლესიას სამხრ-ით ფართო და თაღოვანი შესასვლელი აქვს. საკურთხეველში თაღოვანი სარკმელია, მის ქვემოთ — ნახევარწრიული თაღოვანი ნიში. ს ა მ ხ რ. ე კ ლ ე ს ი ა შ ი აფსიდის ღერძზე ვიწრო სწორკუთხა სარკმელია. კ ო შ კ უ რ ი ნ ა გ ე ბ ო ბ ი ს პირველი სართული ორივე ეკლესიას თაღოვანი

გასასვლელებით უკავშირდება. *დვ. თ.*

241. კლდეზე მიკრული ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ტუხალდის ხევის ნაპირას, ციცაბო კლდის ტერასაზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (6,85X4,3 მ), ნაგებია რიყის ქვით. შიგნიდან თაღოვანი, ხოლო გარედან სწორკუთხა შესასვლელი დას-ითაა. ალმ-ის ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილია ვიწრო, შიგნიდან თაღოვანი, ხოლო გარედან სწორკუთხა სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. საკურთხეველში შემორჩენილია სატრაპეზო ქვის ფრაგმენტები. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით. ხის ძელებზე (შემორჩენილია ბუდეები) გამართული იატაკი ეკლესიის ქვეშ მოწყობილი სათავსის ჭერს წარმოადგენდა. ს ა თ ა ვ ს ი გეგმით სწორკუთხაა. შესასვლელი სამხრ-დან აქვს. მის ალმ. კედელში პატარა სწორკუთხა სარკმელია, ხოლო დას. კედელში — სწორკუთხა ნიში.

დას-დან ეკლესიას მთელ სიგრძეზე აგურით ნაგები კ ა რ ი ბ ჭ ე ეკვრის. კარიბჭის ოთხივე კუთხეში მდგარ სწორკუთხა ბოძებს საბჯენი თაღები ეყრდნობა. კარიბჭე გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-ის ღერძი ალმ-დან დას-კენაა მიმართული. ეკლესიის ალმ. ფასადზე შემორჩენილია თაროსებრი ლავგარდნის ფრაგმენტები. *დვ. თ.*

242. ორთვალას ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 700-800 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (5,6X4 მ), ნაგებია რიყის ქვით. დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა და კონქი, კედლები შემორჩენილია 2,5 მ სიმაღლეზე. შესასვლელი სამხრ-დანაა. საკურთხევლის აფსიდი შებრტყელებული ნახევარწრის ფორმისაა. აფსიდში სწორკუთხა სარკმელია, მის ორივე მხარეს — თითო პატარა სწორკუთხა ნიში. ეკლესიის სამხრ. კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია. *დვ. თ.*


242. გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა


242 ალმ-ის ფასადი

243 სასოფლო-სამეურნეო სკოლა, ი ლ ი ა წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს ს ა ხ. ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე უ რ ნ ე ო ტ ე ქ ნ ი კ უ მ ი, ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-ალმ. განაპირა უბანში.

XIX ს-ის 60-იანი წლების გამოჩენილმა საზ. მოღვაწემ ილია წინამძღვრიშვილმა (1836-1920 წწ.) თავის მამულში საკუთარი სახსრებით გახსნა ს.-ს. ს. მან სკოლას გადასცა ასდღიური სახნავ-სათესი მიწა ტყით, ერთსართულიანი, ხისაივნებიანი, ქვითა და აგურით ნაგები შენობები კლასებისა და მუზეუმისათვის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა საცხოვრ. ბინებისათვის და სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი. მოგვიანებით ააგო ქვის ეკლესია (აკურთხეს 1877 წ. 17 მაისს). სკოლის გახსნის, სასწავლო პროგრამებისა და წესდების შედგენის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ცხვედაძეს და სხვ. სკოლა გაიხსნა 1883 წ 4 სექტ. გახსნას დაესწრ-


243. სასწავლებლის ძველი შენობა


243. ცხრამუხა

ნენ ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე, ი. ოქრომჭედლიშვილი, დ. სტაროსელსკი. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები. შეკრებილთ სიტყვით მიმართა ი. წინამძღვრიშვილმა. შემდეგ ცხრა მუხის ქვეშ გაშლილ სუფრასთან ი. ჭავჭავაძემ წარმოთქვა სიტყვა. მან აღნიშნა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნის მნიშვნელობა და სიტყვა ასე დაასრულა: „მაშ გაუმარჯოს, ხალხო ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუმარჯოს ილია წინამძღვრიშვილს, ამ აკვნის დამდგმელსა! გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსაც, რომელნიც მაგ აკვანს გაარწევენ დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად!... მაშინ იქნება ჩვენმა თვალმა ისიც გვიმოწმოს, რაც მამა-პაპათაგან გულში მარტო ანდერძად ჩაგვრჩენია: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

მეცადინეობა დაიწყო 5 სექტ. პირველ წელს მიიღეს 22 მოსწავლე. სწავლება ექვსი წელი გრძელდებოდა. მშობლიურ ენაზე ასწავლიდნენ როგორც ზოგად, ისე სპეც. დისციპლინებს. რუსული ენის შესწავლა იწყებოდა მესამე წლიდან. ი. წინამძღვრიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა სწავლების ხარისხს. ორ თვეში ერთხელ ატარებდა გამოცდებს; მეცადინეობის შედეგებს მოახსენებდა თბილისის გამოცდილ პედაგოგებს, ითვალისწინებდა მათ შენიშვნებს; ადგენდა სახელმძღვანელოებს, ეცნობოდა რუსეთში არსებული სამეურნეო სკოლების მუშაობას. ამ მიზნით 1889 წ. იგი ყირიმში გაეცნო ნიკიტას სამეურნეო სკოლისა და ბაღის მუშაობას. შემდგომში ტრადიციად იქცა წინამძღვრიანთკარის სკოლის კურსდამთავრებულთა გაგზავნა ყირიმში პრაქტიკაზე ან სწავლის გასაგრძელებლად.

კურსდამთავრებულთა პირველი თაობა სკოლამ 1889 წ. გამოუშვა. 1889 და 1901 წწ. კავკასიის სამეურნეო და სამრეწვ. გამოფენაზე ღვინის რაციონალურად დაყენებისა და სამეურნეო ცოდნის ხალხში გავრცელებისათვის სკოლა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდა. 1913 წ. ზეიმით აღინიშნა სკოლის დაარსების 30 წლისთავი. სხვადასხვა დროს წინამძღვრიანთკარის ს.-ს. ს-ში სწავლობდნენ მ. ჯავახიშვილი, ნ. ქუმსიაშვილი, ა. წულაძე, მ. მამულაშვილი და სხვა ცნობილი ქართვ. მწერლები და მოღვაწეები.

წინამძღვრიანთკარში ს.-ს. ს-მ 1933 წ-მდე იარსება. ამ ხნის მანძილზე აქ 3 ათასზე მეტი სპეციალისტი მომზადდა. 1933 წ. სკოლის საფუძველზე შეიქმნა სას.-სამ. ტექნიკუმი, რ-იც 1940 წ. გადაკეთდა მებაღეობის ორწლიან სკოლად. 1956 წ. კვლავ აღდგა სას.-სამ. ტექნიკუმი. 1963 წ. ნოემბ. აღინიშნა პირველი ქართ. ს.-ს ს-ის დაარსების 80 წლისთავი. სკოლას მიენიჭა ი. წინამძღვრიშვილის სახელი და საფუძველი ჩაეყარა მის ძეგლს. ამჟამად სკოლა გაფართოვდა, აიგო ახალი სასწავლო და დამხმარე ნაგებობანი.

წინამძღვრიანთკარის სკოლა იყო პირველი სამეურნეო სკოლა საქართველოში. მან უდიდესი როლი შეასრულა ადგილობრივი სას.-სამ. კადრების აღზრდის, საერთოდ სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში.

ი ლ ი ა წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს ძ ე გ ლ ი, მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სას.-სამ. ტექნიკუმის ახ. სასწავლო კორპუსის წინ (მოქანდ. მ. ბერძენიშვილი). თეთრი ქვისგან გამოკვეთილი ბიუსტი დგას ორსაფეხურიან დაბალ ცოკოლზე აღმართულ შავი გრანიტის კვარცხლბეკზე (0,8X0,66 მ, სიმ. 1,4 მ), რ-ზეც წარწერაა: „ილია წინამძღვრიშვილი 1963“.

ი ლ ი ა წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს ს ა ფ ლ ა ვ ი, ისტ. ძ. მდებარეობს ცაცხვის გორაზე, სას.-სამ. ტექნიკუმის აღმ-ით. ი. წინამძღვრიშვილი 1920 წ. 2 სექტ. გარდაიცვალა. 7 სექტ. ანდერძის თანახმად იგი ცაცხვის გორაზე დაკრძალეს. 1966 წ. საფლავზე დაიდგა თეთრი მარმარილოს ქვა (0,9X0,9 მ; სიმ. 1,35 მ). საფლავს შემოვლებული აქვს რკინის ღობე.

*ბიბლ.*: 178. *ბერძ. ც., ქ. ს.*

244 საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას. უბანში. აგებულია XIX ს-ის I მეოთხედში. სახლი ეკუთვნოდა გიორგი ვახტანგის ძე წინამძღვრიშვილს, ილია წინამძღვრიშვილის ბიძას. ორსართულიანი, გეგმით სწორკუთხა საცხოვრებელი სახლი (22,2X12,6 მ) ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. კედლებში მთელ პერიმეტრზე ორ იარუსად ჩასმულია ხის შემკვრელები. სახლის პირველ სართულზე სამეურნეო დანიშნულების სათავსებია, მეორეზე — სასტუმრო დარბაზი (ამჟამად ოთახებადაა დაყოფილი) და საძინებელი ოთახები.

შენობაში შესასვლელი პირველი სართულის სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. აქ კედელში დატანებულია მეორე სართულზე ასასვლელი ვიწრო ერთმარშიანი კიბე. ასეთივე კიბით უკავშირდება მეორე სართული სხვენს. სახლის სამხრ. ფასადის შუა ნაწილში ორივე სართულზე ხის მოზრდილი აივნებია. პირველი სართულის აივნიდან მარანში და სამეურნეო დანიშნულების სხვა ოთახებში შეიძლება შესვლა ცალ-ცალკე შესასვლელებით. მარანს დას-ით დამოუკიდებელი შესასვლელიც აქვს. მარნის დას. კედელში ორი, ხოლო ჩრდ-ისაში ოთხი ვიწრო სარკმელია. ორ-ორი თაღოვანი სარკმელი სამეურნეო ოთახების სამხრ-ის კედლებშია გაჭრილი. პირველ სართულზე იატაკი მიწისაა.

მეორე სართულის ოთახებს ხის იატაკი აქვს, აივნის იატაკი კი კვადრ. აგურისაა. ყველა ოთახს აივანზე გა-

244. მთავარი ფასადი, I სართულის გეგმა







244. გვერდის ფასადი, განივი განაკვეთი

სასვლელი კარი აქვს. განაპირა ოთახები დარბაზს სწორკუთხა კარით უკავშირდება. მეორე სართულზე თერამეტი სწორკუთხა სარკმელია. ამ სართულის დას-ისა და ჩრდ-ის კედლებში გაჭრილი კარი მომცრო აივნებზე (აღარ არსებობს) გადიოდა; ალმ-ის კედელში გაჭრილი კარი მოგვიანებით მიშენებულ გრძელ აივანზე გადის. შუა გრძივი კედლის კუთხეებში თითო ღუმელია.

სახლისათვის მოგვიანებით ალმ-ით ღია აივანი, ხოლო დას-ით ერთსართულიანი სამეურნეო სათავსი მიუშენებიათ. გვიანდელია მთავარი ფასადის მხარეს მიშენებული მეორე სართულზე ასასვლელი ხის კიბეც.

მთავარი ფასადი შელესილია. ამ მხარეს პირველი სართულის აივანს აგურის ორი სრულიად სადა კვადრ. სვეტი აქვს, მეორე სართულის რიკულებიან აივანს კი კაპიტელებიანი მრგვალი სვეტები. მეორე სართულის სარკმლები დასრულებულია არქიეოლტებით, რ-ებიც პორიზ. პროფილირებულ სარტყელთანაა დაკავშირებული.

შენობა გადახურულია ღარიანი კრამიტით. სახურავი ორფერდაა. სახურავზე, სამხრ-ით სამერცხლეა. *ნ. შ.*

**245. წინამძღვრიშვილების ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სას.-სამ. ტექნიკუმის ტერიტორიაზე. აგებულია XIX ს. ამჟამად გამოყენებულია სას.-სამ. ტექნიკუმის კლუბად.

ეკლ. (17,25X10,5 *მ*) თავისუფალი ჯვრის ტიპისაა. ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით. ეკლესიის ალმ.-დას. ღერძი განივ ღერძზე გრძელია. სამხრ. და დას. მკლავის ღერძებზე გაჭრილია მაღალი თაღოვანი შესასვლელები. ალმ. მკლავი დასრულებულია ღრმა ნახევარწრიული აფსიდით. საკურთხეველში სამი ფართო თაღოვანი სარკმელი (განაპირა სარკმლები ამოქოლილია) და ერთი ფართო თაღოვანი ნიშია. ეკლესიის ჯვრისებრი ხიერცის ცენტრ. მონაკვეთში აღმართულია გუმბათი. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათზე გადასასვლელად აფრებია გამოყენებული. ეკლესიის სწორკუთხოვანი მკლავები გადახურულია ნახევარწრიული კამარით. კამარის ქუსლის დონეზე დარბაზს მთელ პერიმეტრზე ხამსაფეხურიანი ერთიანი სარტყელი გასდევს. ჩრდ. მკლავში ერთი ფართო თაღოვანი სარკმელია. თითო ასეთივე სარკმელი დას-ის მკლავის გრძელ კედლებშიცაა. ეკლ. შიგნიდან შელესილი და შეთეთრებულია. სამხრ., დას. და ჩრდ. მკლავების ფასადები ერთნაირია. ორივე შესასვლელს სწორკუთხა პილასტრებზე დაყრდნობილი თაღი აქვს და მოჩარჩოებულია მაღალი ლილვით, რ-იც ზემოთ დასრულებულია ოდნავ შევიწროებული თაღით. თაღებს შორის ხამი მრგვალი ყრუ სარკმელი და ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. გარედან აფსიდი ალმ-ის მოკლე მკლავისაგან გამოყოფილია პატარა მხრებით და დასრულებულია ნახევარკონუსური სახურავით. სარკმლების საპირეები ბრტყელია, დას. ფასადზე მათ ფართო სწორკუთხოვანი მოჩარჩოებაც აქვთ. ეკლესიას შემოვლებული აქვს ქვიშაქვის რთულპროფილიანი (თარო, შეწყვილებული ლილვი, წრეთარგი, ლილვი და თარო) ლავგარდანი.

ცილინდრული გუმბათი დასრულებულია მაღალი ლავგარდნითა და მახვილპროფილიანი კონუსური სახურავით. გუმბათის ყელი შეწყვილებული ნახევარსვეტებით დაყოფილია რვა თანაბარ მონაკვეთად, რ-თა ღერძებზე გაჭრილია ლილვებით მოჩარჩოებული თითო ფართო თაღოვანი სარკმელი. ყოველი სარკმლის თავზე თითო პატარა რელიეფური ჯვარია გამოსახული. *დვ. თ.*

245 გეგმა, სამხრ. ფასადის ფრაგმენტი





**246. წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 700-800 *მ*-ზე, ნაქერიმის ხევის მარჯვ. მხარეს. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (6,25X4,15 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. კონსტრ. ნაწილებში (სატრიუმფო თაღი, საბჯენი თაღი, კრონშტეინები, სარკმლის თაღი) გამოყენებულია კარგად გათლილი შირიმის ქვა. შესასვლელი სამხრ-დანაა. კარი შიგნიდან სწორკუთხა შეღრმავებაშია ჩასმული. ნახევარწრიული აფსიდი გადახურულია დამრეცი კონქით. კონქის თაღი რთულპროფილიან (თარო, ორი ლილვი და ცერად ჩამოკვეთილი ხიბრტყე) იმპოსტებს ეყრდნობა. საკურთხეველში თაღოვანი სარკმელია, მის მარცხნივ — პატარა სწორკუთხა ნიში. ერთი სწორკუთხა სარკმელი სამხრ. კედელშია. დარბაზის ნახევარწრიული კამარა კრონშტეინებზე დაყრდნობილ შეკიდულ საბჯენ თაღს ემყარება. *დვ. თ.*

**247. წმ. ნიკოლოზის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 500-600 *მ*-ზე, ნაქერიმის ხევის მარჯვ. მხარეს.

ეკლ. დარბაზულია (7,6X4,8 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის ქვიშაქვისა და რიყის ქვებით. წყობაში აქაიქ კრამიტიცაა გამოყენებული. მოგვიანებით შეკეთებული კონქის თაღი და სამხრ. სარკმელი ამოქვანილია კვადრ. აგურით. ეკლ. დაზიანებულია: ფასადებზე ბევრ ადგილას ამოცვე-

ნილია საპირე ქვები, ჩამონგრეულია ლავგარდანი, სახურავზე ბუჩქებია ამოსული.

სწორკუთხა, შიგნიდან მაღალი ნალისებრი ფორმის ტიმპანით დასრულებული შესასვლელი სამხრ-ითაა. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში მთლიანი ქვის ბრტყელი ზღუდარით გადახურული ერთი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. აფსიდის კედლებს საფეხური გასდევს, მის შუა ნაწილში, სარკმლის ქვემოთ, კედელთან აგურით ნაწყობი სატრაპეზო დგას. საკურთხევლის ბაქანი ერთი საფეხურითაა შემაღლებული. დარბაზს მთელ პერიმეტრზე საფეხური გასდევს. სამხრ. კედელში ერთი თაღოვანი სარკმელია. ფასადების ფრონტონებზე გამოსახულია თითო ტოლმკლავა რელიეფური ჯვარი.

დვ. თ.

# ᲬᲘᲬᲐᲛᲣᲠᲘ

(საგურამოს სოფსაბჭო)

248. ᲬᲘᲬᲐᲛᲣᲠᲘ, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს საგურამოს ქედის დას. კალთაზე, მდ. არაგვის მარცხ. მხარეს.

არქეოლ. მასალების მიხედვით, წ. დასახლებული ჩანს ძვ. წ. I ათასწლ. შუა ხანებიდან. VIII-IX სს. წ. ზედაზენ-მუხრანის ერისთავთა ძაგანისძეთა სამფლობელოში შედიოდა. დავით აღმაშენებლის მიერ კახეთის შემოერთების შემდეგ წ. სამეფო სახლის ხელდებული ტერიტორიაა XV ს-ის ბოლომდე. XVI-XVIII სს-ში წ. კახეთის სამეფოში შედიოდა. გურამიშვილთა სათავადოს ჩამოყალიბების შემდეგ სოფელი გურამიშვილთა კუთვნილებაში გადავიდა. გვიანდ. შუა საუკუნეების ადმ.-ტერ. დაყოფის საფუძველზე წ. გარე კახეთის, მესამე სადროშოში შედიოდა, რ-საც რუსთველი ეპისკოპოსი სარდლობდა.

(ა) 1615 წ. სპარსელთა 15-ათასიანი ლაშქარი საქართველოში შემოიჭრა, რათა საბოლოოდ გაენადგურებინა თეიმურაზ მეფე. მტერი მდ. არაგვის ქვემო წელზე სოფ. წ ი წ ა მ უ რ ი ს მ ა ხ ლ ო ბ ლ ა დ დაბანაკდა. თეიმურაზ მეფე 5-6 ათასი მებრძოლით მოულოდნელად დაესხა თავს მომხვდურთ. დაბნეული და შეშინებული მტერი გაიქცა. ქართველები დაედევნენ გაქცეულთ და მთლიანად ამოხოცეს.

ქ. ქ.

ბიბლ.: 14; 16; 201 ა, ბ, დ; 220 ბ; 313.

ქ. ქ.

249. ᲙᲐᲛᲐᲠᲐᲮᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. არაგვის მარცხ. ნაპირზე. აღმ-ით მას ესაზღვრება საქართვ. სამხ. გზა, დას-ით — მდ. არაგვი, ჩრდ-ით — დიდი კამარახევი, ხოლო სამხრ-ით პატარა კამარახევი, თარიღდება ძვ. წ. IV-III სს-ით

სამაროვნის გათხრა 1953 წ. დაიწყო და 1976-77 წწ. გააგრძელა მაე-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე).

ქ. ს-ზე გამოვლინდა მიწაყრილიანი, ქვაყრილიანი და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები და მთლიანად ქვის ფილებით ან ქვის ფილებითა და რიყის ქვებით ნაგები ქვაყუთები.

სამარხთა უმეტესობა ინდივიდუალურია; გამონაკლისია ორი სამარხი — ერთში ესვენა ორი მიცვალებული, ხოლო მეორე სამარხი საოჯახოა. მიცვალებულები ასვენია ხელფეხმოკეცილი, ქალები მარცხ., მამაკაცები მარჯვ. გვერდზე, თავით სამხრ-ისაკენ. ყველა მიცვალებულს თავი უდევს რიყის ქვის „სასთუმალზე", ფეხებთან აღაპის ნაშთია თიხის ჭურჭელში ან ჭურჭლის გვერდით. ორმოსამარხთა იატაკზე ზოგჯერ შეიმჩნევა საფენის კვალი.

სამაროვანზე აღმოჩნდა მორგვზე ნაკეთები, ლეგად და წითლად კარგად გამომწვარი ჭურჭელი. არის ანგობიანი და წითელი წერნაქით მოხატული თიხის ჭურჭელიც. ბრინჯაოს ნივთებიდან აღსანიშნავია ზოომორფული სახეებით თავებშემკული სამაჯურები, საკინძები, ძეწკვი, მძივები, ილარი და სხვ., რკინის ნივთებიდან — მახვილები, სასხლავი დანები და შუბისპირები; არის რკინის სამაჯურები და საკინძებიც. მოპოვებული მასალა ინახება მმაე-ს ბაზაზე.

ბიბლ.: 176 ბ, ე, ვ; 191.

ჯღ. თ.

249. წითელი წერნაქით მოხატული ხელადა



250. ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ ᲜᲐᲑᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲝᲠᲐ, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. არაგვის მარცხ. ნაპირზე, ბებრისციხის პირდაპირ, ხელოვნური თხრილით გამოყოფილ გორაზე. თარიღდება IV-VII სს-ით.

1968 წ. გათხარა იაე ინ-ტის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. კალანდაძე). აღმოჩნდა უხეშად გათლილი ქვითა და რიყის ქვით ნაგებ შენობათა საძირკვლები და კრამიტის ნამტვრევები.

ბ. ა.

251. ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. არაგვის მარცხ. ნაპირზე, წიწამურის ველზე, ადგილ ნაბადრებში. ძ. 1968 წ. გათხარა იაე ინტის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. კალანდაძე). გაითხარა საწნახლები მიწაში ამოშენებული ღვინის აუზებით. ძ. თარიღდება XVII-XVIII სს-ით.

ბ. ა.

252. ᲝᲑᲔᲚᲘᲡᲙᲘ. მონუმ. ძ. დგას მცხეთა-საგურამოს გზაზე, ქ. მცხეთიდან 3 კმ-ზე. მდ. არაგვის მარცხ. ნაპირზე.

1907 წ. 12 სექტ. თბილისიდან საგურამოში ეტლით მიმავალ ი. ჭავჭავაძეს და მის მეუღლეს თავს დაესხნენ მეფის ხელისუფლების დაქირავებული აგენტები. მათ მოკლეს მწერალი, სცემეს მის მეუღლეს და გაძარცვეს ისინი. მკვლელობის ადგილზე იდგა ქვის ჯვარი.

ი. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავზე ამ ადგილის მახლობლად ააგეს ობელისკი (არქიტ. მ. შავიშვილი, მოქანდ. ი. ნიკოლაძე), რ-იც გაიხსნა 1937 წ. 12 სექტ.

შავი ლაბრადორის დაბალ, სამსაფეხურიან კვადრ. (4,75X4,75 მ) ცოკოლზე დგას ბოლნისის ქვით მოპირკეთებული მასიური ბაზისი (1,75X X1,75 მ), რ-ზეც აღმართულია ასევე ბოლნისის ქვით მოპირკეთებული ობელისკი (სიმ. 13 მ). სვეტის წინა მხარეს ამოკვეთილია ი. ჭავჭავაძის ბარელიეფი პროფილში და წარწერა: „ილია ჭავჭავაძე 1837-1907", ხოლო ბაზისზე — პოეტის ლექსის ერთი სტროფი:

„დაე თუნდ მოვკვდე არ მეშინიან,
მაგრამ — კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ელიან,
თქვან — გაასრულა მან თვისი ვალი"

252 ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილზე აღმართული ჯვარი. XX ს-ის დასაწყისის ფოტო





252. ხაერთო ხედი

ბაზისის მარჯვ. და მარცხ. მხარეს წარწერებია ქართ. და რუს. ენაზე. „1907 წლის 12 სექტემბერს (3 აგვისტოს ძველი სტილით) თვითმპყრობელობის დაქირავებულმა აგენტებმა აქ ვერაგულად მოკლეს ქართველი ხალხის დიდი მწერალი ილია ჭავჭავაძე". ობელისკის გარშემო ტერიტორია გამწვანებული და კეთილმოწყობილია.

253. ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. არაგვის მარცხ. ნაპირზე, წიწამურის ველის აღმ. ნაწილში, ადგილ მუხიმიწაზე. ს. 1968 წ. გათხარა ИАЭ ინ-ტის ექსპედიციამ (ხელმძ. ლე. ა. კალანდაძე). აღმოჩნდა გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანების კულტ. ფენაში ჩადგმული ქვიშაქვის ლოდებით შედგენილი ადრინდ. ფეოდ. ხანის სამარხები და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ორმოსამარხები.

*ბ. ა.*

254. ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, მდ. არაგვის მარცხ. ნაპირზე, ადგილ პირდაპირებში. ძ. 1953 წ. გათხარა ИАЭ ინ-ტის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). აღმოჩნდა გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანის ორმოსამარხი (მსგავსია სამთავროს გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ორმოსამარხებისა). მომდევნო სტრატიგრაფიულ ფენებში გაითხარა ადრინდ. ანტ. ხანის სამაროვანი. მოპოვებული მასალა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

*გა. ჯ.*

255. ᲬᲘᲬᲐᲛᲣᲠᲘ, ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ი. არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, მდ. არაგვის მარცხ. ნაპირზე, ბებრისციხის აღმ-ით. თარიღდება ელინისტ. ხანით.

ძ. 1953 წ. გათხარა МАЭ-მ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). გათხრილი ნაგებობანი დაკონსერვებულია. წიწამური (სისამორა) მოხსენებული აქვს სტრაბონს არმაზციხესთან ერთად.

წიწამურის გორაზე აღმოჩნდა თლილი ქვით ნაგები მრგვალი ნაგებობა. ქვათლილთა წყობა ისეთივეა, როგორიც არმაზციხისა, ოღონდ წიწამურის ქვათლილები უფრო დიდებია. ქვათლილები ერთმანეთზე, როგორც თარაზულად, ისე შვეულად, ხის სოლების „უწყვეტებითაა" გადაბმული. შვეულად ჩაყენებული ერთი „უწყვეტით" ერთმანეთზე გადაბმულია სამი ქვათლილი, თარაზულად ჩასმულით კი — ორი. თარაზული „უწყვეტები" ფორმით ერთნაირია — ისრისპირისებური, ზიდიდით კი სხვადასხვანაირი. ახეთი თარაზული „უწყვეტები" დიდი მცხეთის სხვა უბნებზე არ გვხვდება. შვეული „უწყვეტები" გამოყენებულია წიწამურის უძველესი ფენის (წ ი წ ა მ უ რ ი I) მრგვალი შენობის ცოკოლისა და მასზე დაწყობილი პირველი მწკრივის ქვათლილთა ერთმანეთზე გადასაბმელად. შვეული „უწყვეტები" შემორჩენილი ბუდეების მიხედვით ბრტყელი, პრიზმული მოყვანილობის ყოფილა.

წიწამურის გორაზე გამოვლინდა აგრეთვე დუღაბზე ნაგები შენობის (წ ი წ ა მ უ რ ი II) ფრაგმენტები.

წიწამურის გორასა და მის კალთებზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მცხეთური კრამიტი.

*ბიბლ.:* 14; 16; 17; 201 ა. *აფ. ა.*

## ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ,

იხ. მ ც ხ ე თ ა, ს ა მ თ ა ვ რ ო ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ი.

## ᲬᲝᲦᲝᲠᲔᲗᲘ

(ლისის სოფსაბჭო)

256. ᲬᲝᲦᲝᲠᲔᲗᲘ, სოფელი, ისტ. ძ. წერილობით წყაროებში სოფელი XVII ს-დან იხსენიება. 1625 წ. თბილისის ციხეში გამაგრებულმა ყიზილბაშებმა დაარბიეს წოღორეთი. უკან მომავალი მტერი გიორგი სააკაძემ მცირე რა·'·ძით გაანადგურა. *ჯ. ზ.*

257. ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, ღართხევის მარცხ. ნაპირას, ელიას მთის ძირში. თარიღდება ფეოდ. ხანით. შემორჩენილია კირის ხსნარზე ნატეხი და რიყის ქვით ნაგები შენობების ნაშთები.

*ბიბლ.:* 220გ:339. *აფრ. გ.*

## ᲮᲔᲙᲝᲠᲫᲘ

(ძეგვის სოფსაბჭო)

258. ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, ზარიძიანთ უბნიდან 0,5 *კმ*-ზე, მდ. ხეკორძულას მარჯვ. ნაპირზე, სოფ. სათოვლისაკენ მიმავალ გზაზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ჭრილში ჩანს რიყისა და კლდის ნატეხი ქვით ნაგები კედლების ფრაგმენტები და მძლავრი ნაცროვან-ნახშიროვანი ფენა.

*ირ. შ.*

259. ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 1 *კმ*-ზე, მდ. ხეკორძულას მარჯვ. ნაპირზე, სოფ. სათოვლეში მიმავალი გზის მარცხ. მხარეს. თარიღდება ფეოდ. ხანით. შემორჩენილია ნასახლარი ბუდეები (8X6,4X3,6X4 *მ*) და რიყისა და ნატეხი ქვის მშრალი წყობით ნაგები კედლების ფრაგმენტები.

ნ-ის ცენტრში შემორჩენილია რიყისა და კლდის ნატეხი ქვით ნაგები ე კ ლ ე ს ი ი ს კედლების წყობის 2-4 რიგი. *ირ. შ.*

260. ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს ნასოფლარის ჩრდ-ით 100-150 *მ*-ზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ქვიშაქვის ფილებით ნაგები ქვაყუთები ნიადვრისაგან გამიშვლებულია.

*ირ. შ.*

## ᲯᲕᲐᲠᲘ,

იხ. მ ც ხ ე თ ა, მ ც ხ ე თ ი ს ჯ ვ ა რ ი.

# IV. ქარელის რაიონი




● დასახლებული პუნქტი, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი

■ ცალკე მდგომი ძეგლი



სოფ. ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲘᲡᲘ. წმ. გიორგის ეკლესია, ხე-
დი სამხრ.-აღმ-იდან (146)



IV. ქარელის რაიონი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. 1917 წლამდე ქარელის რაიონის ტერიტორია შედიოდა ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში, 1917 წლიდან 1929 წლამდე ტფილისის მაზრაში, 1929 წლიდან 1930 წლის 1 ოქტომბრამდე ტფილისის ოლქში, ხოლო 1930 წლიდან 1939 წლამდე გორისა და ხაშურის რაიონებში; 1939 წლიდან ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია. ჩრდილოეთით ესაზღვრება ზნაურის, სამხრეთით — ბორჯომის, აღმოსავლეთით — გორის, დასავლეთით — ხაშურის რაიონები. ფართ. — 687,7 კვ. კმ. მოსახლეობა — 51 800 კაცი (1984 წ.). რაიონული ცენტრი — ქალაქი ქარელი. რაიონში შედის 1 საქალაქო (ქარელი), 1 სადაბო (აგარა) და 15 სასოფლო საბჭო (აბისი, ფლევი, ახალსოფელი, ბრეთი, ბრეძა, გვერძინეთი, დვანი, დირბი, ზემო ხვედურეთი, ზღუდერი, კეხიჯვარი, მოხისი, რუისი, ურბნისი, ფცა), 82 სოფელი.

რაიონის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი უკავია შიდა ქართლის ვაკეს, სამხრეთი ნაწილი კი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებს. მთავარი მდინარეებია: მტკვარი, ძამა, დასავლეთი, შუა და აღმოსავლეთი ფრონე. ჰავა გარდამავალია კონტინენტურსუბტროპიკულიდან ზღვის სუბტროპიკულზე; ზამთარი ზომიერად ცივია, ზაფხული — თბილი, ხანგრძლივი. საშუალო წლიური ტემპერატურაა 11°C ნალექების წლიური რაოდენობა — 400-600 *მმ*.

გავრცელებულია ალუვიური, ტყის ყავისფერი, შავმიწა, ყომრალი და მთამდელოს ნიადაგები. წიაღისეული სიმდიდრეებიდან აღსანიშნავია კოდმანისა და ძამის მანგანუმის საბადოები, მდინარე ძამის ხეობაში ნახშირმჟავა, ხოლო სოფელ აბანოსთან წყალბადგოგირდოვანი წყაროები.

რაიონის ტერიტორიაზე გადის ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზი, საკავშირო და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები.

რაიონში შემდეგი სამრეწველო საწარმოები და დაწესებულებებია: „საქსახკომსოფლტექნიკის" ქარელის ავტოსარემონტო ქარხანა (ამუშავდა 1971 წ.), აგარის სარემონტო-მექანიკური ქანხანა, აგარის ინერტული მასალების ქარხანა, დამხმარე სამშენებლო საწარმოო კომბინატი, რკინაბეტონის აგარის გაერთიანება, „საქსახკომსოფლტექნიკის" ქარელის რაიონული განყოფილება, ქარელის სასურსათო კომბინატი, ქარელის ჯელ-კარაქის ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აბანოს დოლომიტების მადაროთა სამმართველო, „ცეკავშირის" აგარის სარემონტო სამშენებლო უბანი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო და სხვ.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: მეხილეობა, მეჭარხლეობა, მებოსტნეობა-მებაღჩეობა, მევენახეობა, მოჰყავთ მარცვლეული, განვითარებულია სარძევე-სახორცე მეცხოველეობა.

რაიონში არის 57 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ელექტრომექანიკური ტექნიკუმი, პროფტექნიკუმი, მუსიკალური სკოლები (ქარელში, აგარაში), პიონერთა და მოსწავლეთა სახლი (ქარელში), მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (საზოგადოებრივ საწყისებზე), 93 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, 27 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, 5 საავადმყოფო-პოლიკლინიკა და სხვ. გამოდის რაიონული გაზეთი „ოქტომბრის გზით".

არქეოლოგიური მასალა და მატერიალური კულტურის ძეგლები მოწმობს, რომ რაიონის ტერიტორიაზე ადამიანი უწყვეტად ცხოვრობს ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან დღემდე.

# ქარელი

001. ქარელი, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი (1981 წ-დან), რ-ნული ცენტრი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, თბილისის დას-ით 94 კმ-ზე.

განსაკუთრებით საყურადღებო ისტ. ცნობები ქ-ის შესახებ არსებობს გვიანდ. ფეოდ. ხანიდან. ქ. მოხსენიებულია რუისის საეპისკოპოსოს სამწყსოს დავთარში (1715 წ.). XVIII ს-ში საციციანოში შედიოდა. ციციშვილებს აქ სამლებროც ჰქონდათ. 1804 წ. კამერული აღწერით ქარელში ციციშვილებს 215 კომლი, 1407 სული ყმა ჰყავდათ.

ქ. და მისი შემოგარენი ხშირად იყო ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლის არენა. (ა) 1775 წ. ახალციხის ფაშამ სულეიმანმა დალაშქრა ქ., მაგრამ როგორც კი გაიგო მეფე ერეკლე II ლაშქრით მოდისო, აიყარა და უკან გაბრუნდა. (ბ) 1803 წ. ახალციხის საფაშოდან შემოჭრილმა ლეკებმა ქ. გაძარცვეს.

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარებამდე ქ-ში ხშირად ხდებოდა მშრომელთა სტიქიური თუ ორგანიზებული ხასიათის გამოსვლები.

(გ) 1905 წ. 10 მარტს ქ-ის გლეხებმა გააძევეს მამასახლისი, სოფლის სხვა მოხელეები და გამოაცხადეს ტყით უფასო სარგებლობა.

(დ) 1909 წ. მარტში თავად ი. ციციშვილის მამულს თავს დაესხნენ ამბოხებული გლეხები (400 კაცი), დაარბიეს ეზო, გახსნეს გადაკეტილი წყარო, მოითხოვეს საკომლო გადასახადების მოწესრიგება.

(ე) 1922 წ. 3 აგვ. ქ-ში ჩამოყალიბდა სამელიორაციო ამხანაგობა „სკრა-ქარელი“, რ-ის მიზანი იყო სკრა-ქარელის სარწყავი არხის მშენებლობა და ამ რაიონში მდებარე ჭაობების ამოშრობა. ამხანაგობამ მიიღო წესდება და აირჩია გამგეობა.

ქ-ის განაშენიანება მიმდინარეობს გენერალური გეგმის პროექტის (1972 წ., ავტორი არქიტ. გ. თოდაძე) მიხედვით.

ბიბლ.: 46:158; 64:120-121; 154; 196დ 841-842; 196ე:240; 421:ფონდი 288, ტ 1. საქ. 547, ფ.1-5 *ანთ. ი., აფრ. გ., ჩ. თ.*

002. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ჩრდ. ნაწილში. სამშენ. წარწერის მიხედვით აგებულია 1850 წ. ევსტათის ძის ფანასკერტელ-ციციშვილის დაკვეთით. ეკლ. დაზიანებულია. შეკეთების დროს გადაუხურავთ კრამიტით (ხის კონსტრუქციებზე).

ეკლ. დარბაზულია (15,7X9 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. აქვს





002 გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა

ორი შესასვლელი, სამხრ-ით და დას-ით. ორივე შესასვლელი შიგნიდან და გარედან სწორკუთხოვანია, გადახურულია არქიტრავით. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს ფართო თაღოვანი ნიშებია. ჩრდ. ნიშის შიგნით და ქვემოთ კიდევ თითო პატარა ნიშია. საკურთხეველი შემაღლებულია ორი საფეხურით. სამხრ-ის და ჩრდ-ის კედლებში ორ-ორი ფართო თაღოვანი სარკმელია. ეკლესიის ჩრდ.-დას. კუთხეში, კედლის სისქეში, სწორკუთხა სათავსია, რ-საც გარედან 2 *მ* სიმაღლეზე თაღოვანი შესასვლელი აქვს. სათავსი ეკლესიის დარბაზთან დაკავშირებული იყო ღიობით (ამოქოლილია). დარბაზის გრძივ კედლებზე თითო წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრია. პილასტრების პირველ საფეხურს კედლის დეკორატ. თაღები ეყრდნობა, მეორე საფეხურს —

002. სამხრ. ფასადი



საბჯენი თაღები, რ-ების ქუსლებთან თაროსებრი კაპიტელებია.

ეკლესიის აღმ. ფასადზე სამი ნახევარწრიული ნიშია. ნიშებს შორის გამოსახულია ჩაღრმავებული ჯვრები. სამხრ. ფასადზე, შესასვლელის ორივე მხარეს, თითო წყვილი პილასტრია. მარჯვნივ, პილასტრებს შორის, სარკმელია, მის ქვემოთ კი ნიში (ამოქოლილია). შესასვლელის მარცხ. მხარეს, პილასტრებს შორის, ზემოთ გამოსახულია ჩაღრმავებული ჯვარი, ქვემოთ შესასვლელია (ამოქოლილია).

ეკლესიის სამხრ. შესასვლელის არქიტრავის ქვაზე ამოკვეთილია სამშენ. წარწერა. *მ. ' კ.*

003. ყორღანული ველი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქ. ქარელის დას-ით, მდ. ძამის მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ით. გათხარა 1972 წ ქვამიწაყრილიანი ყორღანის სიმაღლე 0,6 *მ*-ია, დასაკრძალავი ორმო (2X1,6 *მ*, სიღრმე 1,5 *მ*) ოთხკუთხაა. ყორღანში აღმოჩნდა შავი და ლეგა თიხის 13 ჭურჭელი. *ქ. ი.*

# აბანო

(ბრეძის ხოფსაბჭო)

004. ნამოსახლარი, სამაროვანი, ციხე-კოშკი, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, მდ. დას. ფრონის მარცხ. ნაპირზე, ციხიანას განმხოლოებულ ბორცვზე. თარიღდება ადრინდ. ბრინჯაოს, გვიანდ. ბრინჯაოს, გვიანდ. რკინისა და გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ციხიანას ბორცვი დოლომიტის ქანის შემცველი კლდის ქიმს წარმოადგენს. აქ რუსთავის მეტალურგიული ქ-ნის კარიერი იყო. ბორცვის

ზედაპირი მთლიანად დარღვეულია. (ა) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ზ ე გათხრების დროს აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნამტვრევები.

ნამოსახლარის აღმ-ით, ასიოდე მეტრზე, გაითხარა (ბ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი — ექვსი ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ი, რ-ებიც თარიღდება ძვ. წ. I ათასწლ. შუა ხანით. მიცვალებულები დაკრძალულია ხელფეხმოკეცილი, მარჯვ ან მარცხ. გვერდზე, თავით აღმ-კენ. ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ცხენის მთლიანი ჩონჩხი, რ-ის უკანა კიდურებზე ზურგით მიყრდნობილი იყო დამჯდარი მიცვალებული. სამარხებში აღმოჩნდა რკინის ცული, თოხი, ლაგამი, ბრინჯაოს ზარი, სკვითური ტიპის ისრის პირი, სამკაულები და სხვ. ჭურჭლის ნაწილი დამზადებულია ხელით, ნაწილი კი სამეთუნეო მორგვზე. არქეოლ. მასალა დაცულია ხაშურის მხარეთმც. მუზეუმში. სამაროვანი დაცულია მიწის პუმუსოვანი ფენის ქვეშ.

ბორცვის ჩრდ. და სამხრ. ფერდობებზე შემორჩენილია რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები ფეოდ. ხანის (გ) ც ი ხ ე-კ ო შ კ ი ს ნანგრევები. *ნ. ა.*

004. სამაროვნის გეგმა



005. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 3 *კმ*-ზე, ზეგანზე, დოლომიტების კარიერთან, ფართ. 4 ჰა. თარიღდება ფეოდ. ხანით. ნ-ის გარშემო შეიმჩნევა ზღუდის კვალი. შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობის საძირკვლის ნაშთები. კულტ. ფენა დაფარულია მიწით. *ლ. მ.*

006. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 200 *მ*-ზე, შემაღლებულ ადგილზე, ფართ. 0,1 ჰა. თარიღდება გვიანფეოდ. ხანით. ნ-ზე შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობის საძირკვლის ნაშთები. სამხრ.-აღმ. ნაწილში შეინიშნება ნატეხი ქვით ნაგები გეგმით ოთხკუთხა შ ე ნ ო ბ ა, რ-იც დაფარულია მიწით. *ქ. ბ.*

007. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, მრავალწლიანი მუხის ხეებით დაფარულ შემაღლებულ ბორცვზე, ფართ. 0,1 ჰა. თარიღდება გვიანფეოდ. ხანით. ნ-ზე შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობის საძირკვლის ნაშთები. ზოგან კედლის წყობა მიწის ზედაპირს სცილდება. ბორცვის სამხრ-ით შეინიშნება გეგმით ოთხკუთხა საძირკვლის კონტური, რ-ის დას. ნაწილში ჩასობილია ნატეხი ქვის ლოდი (სიმ. 0,53 *მ*). კულტ. ფენა დაფარულია მიწით. *ქ. ბ.*

008. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, გზის პირზე. თარიღდება გვიანფეოდ. ხანით. გადაკეთებულია XIX ს-ში. ძვ. ნაგებობიდან გადარჩენილი აღმ., სამხრ. და ჩრდ. ფასადების ცალკეული მონაკვეთები ნაგებია თლილი ქვის მოზრდილი კვადრებით. აღდგენილი ნაწილები აგურისაა. ნაგებობა ფერდობზე დგას და მისი ჩრდ. ფასადი თითქმის მთლიანად მიწაშია ჩაფლული; სამხრ.-აღმ. კუთხე დგას ამოშენებულ საყრდენზე (სიმ. დაახლ. 1,5 *მ*). ცოკოლი ერთსაფეხურიანი და კუთხოვანია

ეკლ. დარბაზულია (10,3X6,1 *მ*), შესასვლელი დას-იდანაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, ხოლო გვერდებზე — მაღალი და ღრმა ნიშები. სარკმლის ქვეშ, კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა. საკურთხეველში დევს დიდი გათლილი ქვა, რ-ის ცენტრში ამოკვეთილია კვადრ. ფოსო. საკურთხევლის წინ აგურის დაბალი შელესილი და მოხატული (XIX ს.) კ ა ნ კ ე ლ ი დგას. გაირჩევა ცალკეული სცენები და ზოგიერთი წმინდანის სახე, ორნამენტებისა და წარწერების ფრაგმენტები. კანკელს ორი კარი ჰქონია. კანკელის ჩრდ. ნაწილში, ზედა იარუსზე, ორი სახატე ნიშია. დარბაზის გრძივი კედლები და ნახევარწრიული კამარა დანაწევრებულია მასიური ორსაფეხურიანი, ორმაგკაპიტელებიანი პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით. ჩრდ. კედელში ფართო და ღრმა ნახევარწრიულთაღიანი ნიშია. დას-ით, ჩრდ-ით და სამხრ-ით თითო სარკმელია.

ეკლესიის აღმ. ფასადის ცენტრში შემორჩენილია აგურის რელიეფური ჯვრის ქვედა მკლავი. ნაგებობას დას-ით ჰქონია მინაშენი (კ ა რ ი ბ ჭ ე), რ-ისგანაც შემორჩენილია კედელზე მიშენებული ორი მასიური ბურჯი. *ს. თ.*

009. წმ. მარინეს ეკლესია, არქიტ., მონუმ. ხელოვნების ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით ეკლ. თარიღდება XVII ს-ით, მხატვრობა — XIX სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (10X6 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით, კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია აგური. გრძივი კედლები დაზიანებულია, სამხრ-ის კედელს 2,5 *მ*-ზე მიწა აქვს მიყრილი. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს, სამხრ-ით (ამოქოლილია) და დას-ით. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი თაღოვანი სარკმელია. საკურთხევლის წინ იდგა მოხატული კ ა ნ კ ე ლ ი (ძალზე დაზიანებულია). თითო თაღოვანი სარკმელი გრძივ და დას. კედლებშია. გრძივი კედლების შუა მონაკვეთში და დას-ის კედელთან თითო წყვილი პილასტრია, რ-ებზეც გადაყვანილია აგურით ნაწყობი საბჯენი თაღები. ამ თაღებისა და კონქის თაღის ქუსლებთან რთული პროფილის მაღალი იმპოსტებია.

ეკლესიის ინტერიერში შემორჩენილია სხვადასხვა ხანის (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები. დარბაზის ჩრდ. კედლის აღმ. მონაკვეთზე ღია ვარდისფერ ფონზე ყვითელი და მოწითალო-ყავისფერი საღებავით შესრულებული ცხენოსანი მეომრის გამოსახულება გვიანდ. ფეოდ. ხანას (XVII ს.) მიეკუთვნება. ამავე ხანისაა კანკელის სამხრ. მხარეს, მის კიდურ ნაწილში შარავანდიანი მამაკაცის და ხის გამოსახულება. განსხვავებული ხასიათისაა XIX ს-ის მხატვრობა — ცხენოსნის ფიგურა (წმ. გიორგი), რ-საც ასომთ. წარწერა ახლავს, და ანგელოზის თავი კანკელის ნიშის ზედა ჩრდ. კუთხეში. კოლორიტი წითელ, ცისფერ, თეთრ და ოქროსფერ ოქრას შეხამებაზეა აგებული.

ეკლესიის ბაქანი აღმ-ის და ჩრდ-ის მხრიდან რელიეფის შესაბამისად საყრდენი კედლებითაა შემოსაზღვრული. აღმ. ფასადის ფრონტონზე გამოსახულია აგურის რელიეფური ჯვარი. სარკმლის ზემოთ, ქვიშაქვის პატარა ქვაზე, შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული მხედრ. წარწერა. დას-ით ეკლესიას ჰქონია კ ა რ ი ბ ჭ ე, რ-

ისგანაც აგურით ნაწყობი ორი სვეტიღაა შემორჩენილი. დ. ფ., დე. თ.

## აბისი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

010 **ა ბ ი ს ი**, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ-ების ლოპანისწყლისა და დას. ფრონის შესართავთან, ქარელიდან 15 *კმ*-ზე პირველად მოხსენიებულია 1633 წ საბუთში, როგორც ავალიშვილების კუთვნილი მამული. 1779 წ. სოლომონ რევაზიშვილისა და გლახა მახვილაძის შორის ა-ის მფლობელობის თაობაზე ატეხილი დავა ერეკლე II-მ გლახა მახვილაძის სასარგებლოდ გადაწყვიტა. XVIII ს. 20-30-იან წლებში სოფელი დაღესტნელ ფეოდალთა რაზმებმა ორჯერ ააოხრეს. XVIII ს. 50-იან წლებში ა-ში ყმები ჰყოლია თავად ამირეჯიბს.

(ა) 1858 წ აპრილში ა-ის **გ ლ ე ხ ე ბ მ ა  უ ა რ ი  გ ა ნ ა ც ხ ა დ ე ს** ფულად და ნატურალურ გადასახადებზე. 11 კაცისგან შემდგარმა დელეგაციამ გორის მაზრის უფროსს მიმართა თხოვნით, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. იმავე წლის 25 აპრ. სოფელში ჩააყენეს ეგზეკუცია. მოთავეები დააპატიმრეს. გამოცხადდა გაქცეულ გლეხთა ძებნა.

ა-ის ერთ-ერთი უბანი — აბისისთავი — დღეს ცალკე სოფელია.

*ბიბლ.:* 21; 151; 196ე *ჯ. ზ., ჩ. თ.*

011. **ციხე-დარბაზის კომპლექსი და ნასოფლარი**, ისტ., არქიტ., არქეოლ ძ. მდებარეობს სოფლის გარეუბანში, მდ. დას. ფრონის მარჯვ. და ტკოცურას ხევის მარცხ. ნაპირ-




011. გეგმა: 1. ციხე-დარბაზი, 2. ნათლისმცემლის ეკლესია, 3. კოშკი



011. დას. ფასადი

ზე. ციხე-დარბაზი აგებულია XVIII ს. 50-60-იან წწ. ნასოფლარი გვიანდ. ფეოდ. ხანით თარიღდება. ციხე-დარბაზის ეკლესია, მისი სამხრ. კარის თავზე არსებული მხედრ. წარწერის თანახმად, აგებულია 1754 წ. აზნაურ ზაალ მახვილაძის დაკვეთით. ზაალ მახვილაძეს განუზრახავს მოთარეშე მტრების მიერ დარბეული ამ მიდამოების აღდგენა. მახვილაძეების სოფ. აბისზე მფლობელობის უფლებას ადასტურებს ერეკლე II-ის 1789 წლის ბრძანება გლახა მახვილაძისადმი, რასაც მტრის შემოსევის დროს ციხე-დარბაზში არ შეუშვია სოფლელები. აბისელებს მეფესთან უჩივლიათ. განრისხებულ მეფეს უბრძანებია: „ჩვენი ბრძანება არის, მახვილაძევ გლახავ, მეორე ეს აბისელები, ვინცავინ დღეს მანდ სახლობენ, როდესაც მაგ შენს ციხეში სახიზნავად მოვიდნენ და არ შეუშვი, ფიცითა გწერთ, რომ მაგ ციხეს ძირიდამ გადმოგიბრუნებთ, ასე იცოდე, თუ რომ არ შეუშვი".

ციხე-დარბაზის კომპლექსი სამი სხვადასხვა დროს აგებული ნაწილისაგან შედგება: ციხე-დარბაზის, კოშკისა და ნათლისმცემლის ეკლესიისაგან. თავდაპირველად ციხე-დარბაზი აუგიათ. შემდეგ მისთვის ჩრდ-ით ოთხკუთხა კოშკი მიუშენებიათ და ბოლოს სამხრ-ით — ეკლესია. ნაგებობები ნაშენია რიყისა და ნატეხი ქვით, წირთხლებზე აყოლებულია თლილი ქვა. ძველა ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია.

(ა) **ც ი ხ ე-დ ა რ ბ ა ზ ი ს** (8,4X7 *მ*) კუთხეებში მცირე ზომის ცილინდრული (დიამ. 2,5-2,7 *მ*) კოშკები დგას. ერთ-ერთი კოშკისგან შემორჩენილია სამი სართული. I სართულზე (ამოვსებულია ნანგრევებით) დამხმარე სათავსები უნდა იყოს; II სართული საცხოვრებელი და სათავდაცვო დანიშნულებისაა. აქ კედლებში მრავალი ნიში, სარკმელი, ცალმაგი და ორმაგი სათოფურია. სამხრ-ით კარია, რ-საც ეკლესიის მხრიდან კიბე ეკვრის. III სართულის ნაწილობრივ გადარჩენილ კედლებშიც დატანებულია სათოფურები, ნიშები და სარკმლები. კუთხის მცირე ზომის ცილინდრულ კოშკებს მხოლოდ თავდაცვისათვის იყენებდნენ.

(ბ) **კ ო შ კ ი**, რ-იც ციხე-დარბაზს ჩრდ. მხრიდან აქვს მიშენებული, სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. I სართული დამხმარე სათავსია, II — საცხოვრებელი. აქ დას-ით ბუხარია, კედლებში რამდენიმე სათოფურია: III სართულიდან უმნიშვნელო ნაწილია გადარჩენილი.

(გ) **ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს  ე კ ლ ე ს ი ა** დარბაზულია (7,3X5,6 *მ*). შესასვლელი სამხრ-იდანაა. აფსიდში ერთი სარკმელი და რამდენიმე ნიშია, სამხრ. და დას. კედლებში — თითო სარკმელი.

(დ) **ნ ა ს ო ფ ლ ა რ ზ ე**, რ-იც მდებარეობს ციხისა და ეკლესიის ტერიტორიაზე, იპოვება უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ზომის ქვევრის ფრაგმენტები. შეინიშნება რიყისა და კლდის ნატეხი ქვით ნაგებ შენობათა საძირკვლის ნაშთები.

*ბიბლ.:* 100:24-125; 154:44-45 *ზ. პ., ნ. ა.*

012. **წმ. მარინეს ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-დას-ით, სასაფლაოზე, სტილისტ. ნიშნებით თარიღდება X-XI სს-ით. შეკეთებულია XIX ს. და XX ს-ის 70-იან წლებში. XIX ს-ში მოუხსნიათ საკურთხევლის თაღი და დას. კედლის საბჯენი თაღი, გადაუკეთებიათ სამხრ. შესასვლელის თაღი, გაუფართოებიათ აღმ-ის სწორკუთხოვანი სარკმელი. XX ს-ში ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. შიფერით გადახურა და სამხრ. შესასვლელს ლითონის კარი შეაბა.

ეკლ. დარბაზულია (3,05X5,13 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის უსწორო კვადრებით, წყობა ირეგულარულია. შე-

სახელული სამხრ-ით და ჩრდ-ითაა (აფსიდის მხართან). ჩრდ. შესასვლელი ამოქოლილია და გადაკეთებულია ნიშად. სამხრ-ის კარი შიგნიდან თაღოვანია. გარედან ორივე შესასვლელი არქიტრავითაა გადახურული. ნახევარწრიულ აფსიდში ჩრდ-ით სწორკუთხა ნიშია, ხოლო სამხრ-ით გაჭრილია კარი, რ-იც კედლის სისქეში მოწყობილ სადიაკვნეში გადის. სადიაკვნის აღმ-ის ვიწრო სარკმელი ამოქოლილია. დარბაზის გრძივი კედლების მარტივ პილასტრებს ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობა. კედლები გეიანდ. შელესილობის სქელი ფენითაა დაფარული.

ფასადები დასრულებულია ქვიშაქვის თაროსებრი ლავგარდნით, რ-საც განივ ფასადებზე პორიზ. შემონაკვეცები აქვს. ეკლესიას თავდაპირველად მწვანე, მოჭიქული კრამიტით გადახურული ორფერდა სახურავი ჰქონდა. *დვ. თ.*

012 გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



# აბუხალო

(გვერძინეთის სოფსაბჭო)

013. ბაიოქვაბულების კომპლექსი, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, ფრიალო კლდეზე, რ-ის ქვედა სარტყელი დაფარულია წიწვიანი ტყით, ზემოთ კლდე შიშველია, ხოლო მისი წინა მხარე შვეულადაა ჩამოკვეთილი. გამოქვაბულებში ასვლა შესაძლებელია მხოლოდ აღმ-ისა და დას-ის მხრიდან. დას-ის მისასვლელი გამაგრებული იყო მაღალი გალავნით. კომპლექსი თარიღდება XVII-XVIII სს-ით. იგი წარმოადგენდა კლდეში ნაკვეთ რვა სხვადასხვა ზომის ქვაბულისაგან შემდგარ მონასტერს. I ქვაბულთან იყო წყარო, რ-იც 1940 წ. მიწისძვრის შემდეგ დაშრალა. I ქვაბული შედარებით პატარა ოთახია, II კლდეშია ამოკვეთილი და მთლიანად გამჭვარტლულია. აქედან კარი გადის აგურით ამოშენებულ III მომრგვალებულ ოთახში, რ-იც შელესილი და შეთეთრებულია. II ოთახი გადის ბაქანზე (სიგ. 1,5 *მ*), საიდანაც შეიძლება შესვლა IV ოთახში, აქედან კი — V-ში. IV და V ოთახის კედლებში სათოფურებია, რ-ებიც ხეობისკენაა მიმართული. IV ოთახი განიერ ბაქანზე გადის. ბაქნიდან ეხვდებით VI ოთახში, რ-ის სამხრ-ის კედელი ნატეხი ქვითაა ამოყვანილი. აქ სამი სათოფურია. VI ოთახიდან ვიწრო გვირაბით ისევ ბაქანზე ეხვდებით, ხოლო ბაქნიდან — VII ოთახში, სადაც სამი კედელი აგურისაა, მეოთხე კი კარგად მოსწორებული კლდის ქანია. სათავსი შელესილი და შეთეთრებულია. შიგ გამართულია ქვის გრძელი ჩამოსაჯდომები. ეს ოთახი უკავშირდება ე კ ლ ე ს ი ა ს, რ-ის კედლები აგურითაა ნაგები და შელესილია (სამხრ-ის კედლის უმეტესი ნაწილი ჩამონგრეულია). ეკლესიის აღმ. ნაწილში ნახევარწრიული საკურთხეველია. კედლები (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა. შესასვლელის მარჯვნივ გამოსახულია ჯერ მშენებლობის სცენა, შემდეგ წმინდანები. ეკლესიის დარბაზის მიმდებარე ოთახი ჩაქცეულია და მიუდგომელი.

ქვაბულებიდან ყველაზე დიდია IV, V და VI სათავდაცვო სათავსები.

ბიბლ.: 156 *დვ. თ.*

014. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 2,5 *კმ*-ზე, მთის ზეგანზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. შეინიშნება დანგრეული ე კ ლ ე ს ი ა და წრიული ზ ღ უ დ ე. ნ-ზე აღმოჩნდა გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები. *ლ. მ.*

# აბარა

(სადაბო საბჭოს ცენტრი).

015. საქართველოს შაქრის კომბინატი, ისტ. ძ. 1931 წ. 5 ივლ. საფუძველი ჩაეყარა შაქრის ქ-ნის მშენებლობას. ქარხანა ამუშავდა 1933 წ. და გამოუშვა 329,9 ტ თეთრი შაქარი. 1958 წ-დან ეწოდება „საქართველოს შაქრის კომბინატი". კომბინატის გაფართოება-რეკონსტრუქცია განხორციელდა 1962 წ. და 1977-1980 წწ. 1983 წ. მწყობრში ჩადგა ახალი სადიფუზიო განყ-ბა. კომბინატმა XI ხუთწლედში გამოუშვა 109107 ტ შაქრის ფხვნილი. *ანთ. ი.*

# ავლევი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

016. სოფ. ა ვ ლ ე ვ ი ს ცენტრში 1909 წ. ცნობილი ქართვ. მეცნიერის კონსტანტინე ამირაჯიბის (1869-1948 წწ.) თაოსნობით გაიხსნა ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე უ რ ნ ე ო ს კ ო ლ ა. მოსწავლეთა პირველი გამოშვება მოხდა 1915 წ. ამჟამად სკოლის შენობის ადგილზე შენდება კ. მ. ა მ ი რ ა ჯ ი ბ ი ს ს ა ხ ლ-მ უ ზ ე უ მ ი.

ბიბლ.: 136:5. *ნ. თ.*

017. ნაეკლესიარი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით 1,5 *კმ*-ზე, მდ. შუა ფრონის მარცხ. ნაპირზე, ძვ. სასაფლაოზე. ნაეკლესიარი და სასაფლაო დაფარულია ხეებითა და ბუჩქნარით.

იოანე ნათლისმცემლის ეკლ. ყოფილა დარბაზული (8,4X4,6 *მ*), ქვიშაქვის უსწორო კვადრებით ნაგები. შემორჩენილია სამხრ. შესასვლელის წირთხლის, ნახევარწრიული აფსიდის, გლუვი უპილასტრო გრძივი კედლების ნაშთები. *დვ. თ.*

018. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 400 *მ*-ზე, გორაზე. ნ-ზე იპოვება შავზედაპირიანი და წითელსარჩულიანი (ადრინდ. ბრინჯაოს ხანა), შავად გამომწვარი, შავპრიალა და ღეგაპრიალაზედაპირიანი (გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანა) და წითლად გამომწვარი (ანტ. ხანა) თიხის ჭურჭელი — ძირითადად პირგაშლილი ქოთნები და პროფილირებულპირიანი ჯამები. ანტ ხანის ჭურჭელზე გადასმულია მოყვითალო ანგობი და ზედ შავი საღებავით დატანილია წვეთისებრი ორნამენტი. *ჯ. მ.*

019. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 0,5 *კმ*-ზე, ადგილ ცარციმიანთ გორაზე, საავტ. გზის მარჯვ. მხარეს. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. გორის ზედაპირი (60X20 *მ*) ხელოვნურადაა მოსწორებული. უხვად იპოვება შავად გამომწვარი, უხეშკეციანი სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. *ნ. ა.*

020. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, ადგილ ზედაუბანში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. გზის გაყვანისას გამოვლინდა ფილაქვებით შედგენილი ქ ვ ა ყ უ თ ე ბ ი, რ-ებშიც მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ ქრისტ. წესით — გაშოტილი, თავით დას-ისაკენ, უინვენტაროდ. *ნ. ა.*

021. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, აგარა-ზნაურის საავტ. გზის პირას, ძვ. სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (11,8X5,8 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვიშაქვით, შენობის კუთხეები ამოყვანილია კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით, ხოლო კარ-სარკმლების წირთხლები რუხი ფერის ბაზალტით. მოგვიანებით ჩატარებული შეკეთებისას კედლების ზედა ნაწილები,



021 ფასადი, გრძივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა

კამარა და კონქი აღდგენილია აგურით. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა, კონქის მნიშვნელოვანი ნაწილი, თითქმის მთლიანად დანგრეულია სამხრ-ის კედელი, მთელ სიმაღლეზეა გაბზარული დას-ისა და ჩრდ-ის კედლები, იატაკი ნანგრევებითაა დაფარული. ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-ით (შემორჩენილია წირთხლების თითო ქვა) და დას-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო ფართო ნიშია. ერთი სარკმელი ჩრდ. კედლის აღმ. მონაკვეთშია. დარბაზის გრძივი კედლების ორ წყვილ მარტივ პილასტრს კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობოდა. შეკეთებისას საბჯენი თაღები აღარ განუახლებიათ და კამარა უშუალოდ გრძივ კედლებზე გადაუყვანიათ, კამარაში და კონქში მცირე ქვევრი-რეზონატორები ჩაუდგამთ.

ეკლესიის აღმ. ფასადის ფრონტონზე გამოსახულია მცირე რელიეფური ჯვარი. ფასადები დასრულებული იყო ქვიშაქვის თაროსებრი ლავგარდნით (ფრაგმენტი შემორჩენილია ჩრდ. ფასადზე).

ეკლესიაზე დას-დან მიშენებულია ორსართულიანი, აგურით ნაგები (ა) ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-ის I სართულის კვერცხისებრი ბოლოწაკვეთილი გუმბათოვანი გადახურვა ეყრდნობა ეკლესიის დას. კედელზე მიშენებულ ორ ნახევარსვეტს და ორ თავისუფლად მდგომ ბოძს. სამრეკლოს მეორე სართული (სწორკუთხა ბოძებზე დაყრდნობილი, ნახევარწრიული თაღებით გახსნილი ღია ფანჩატური) აღმართულია პირველი სართულის კვადრ. ბაქანზე. ფანჩატურს კვერცხისებრი აზიდული გუმბათი აქვს და გადახურულია თუნუქის პირამიდული სახურავით. *ბ. მ.*

022. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, აღმ-ით, მდ. შუა ფრონის მარჯვ. ნაპირზე, სასაფლაოზე. სამხრ. ფასადის წარწერის თანახმად, იგი 1837 წ. „ძირითურთ აღმოფხვნილი" ეკლესიის ადგილზე აუშენებია თავად იოვანე როსტომის ძე ამირეჯიბს.

ეკლ. დარბაზულია (10X4,9 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის კვადრებით, წყობა ირეგულარულია, მოგვიანებით შეკეთებისას აგურია ნახმარი. შიგნიდან არქიტრავული, გარედან თაღოვანი შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში თაღოვანი სარკმელი (გაფართოებულია შეკეთების დროს) და სამი მცირე ნიშია. სარკმლის ქვეშ, კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა. დას-ის კედელში ვიწრო სარკმელი ამოქოლილია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით, კედლები შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიის აღმ. ფასადზე, სარკმლის ზედანზე, ჩაღრმავებული ჯვარია გამოსახული. კიდევ ერთი რელიეფური ჯვარია დას. სარკმლის ზემოთ. *დ. თ.*

# არადეთი

(ბრეთის სოფსაბჭო)

023. სოფ. ა რ ა დ ე თ ი ს მახლობლად 1483 წ. აგვ-ში სამცხის მთავარ ყვარყვარე II ათაბაგსა (1451-94 წწ.) და ქართლის მეფე კონსტანტინე II-ს (1479-1505 წწ.) შორის მოხდა ბრძოლა — ა რ ა დ ე თ ი ს ბ რ ძ ო ლ ა. ამ ადგილს ს ი ს ხ ლ ი ს ჯ ვ ა რ ს ან ც ე ც ხ ლ ი ს ჯ ვ ა რ ს უწოდებენ. გაიმარჯვა ყვარყვარე ათაბაგმა. მეფე კონსტანტინეს მარცხით ისარგებლა ალექსანდრე ბაგრატის ძემ (ალექსანდრე II), რ-იც რაჭა-ლეჩხუმში იყო გამაგრებული, და იმერეთში გამეფდა. არადეთის ბრძოლამ კიდევ უფრო დააჩქარა საქართვ. ერთიანი სამეფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლა.

ბიბლ.: 199გ:748. 268დ:136-143. *ქ. ქ.*

024. არადეთის ორგორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. დას. ფრონის შესართავთან, დედოფლის მინდვრის სამხრ.-აღმ. ნაწილში, სოფ. დოღლაურის მახლობლად. თარიღდება ბრინჯაოს. ადრინდ. რკინის, ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანით. საერთო ფართ. 4 ჰა. ა. ო-ზე 1979 წ-დან გათხრებს აწარმოებს საქართვ. სახელმწ. მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლ. ექსპედ. (ხელმძღვ. ი. გაგოშიძე). გამოვლენილია ნამოსახლარი, სამაროვანი და ყორღანი.

(ა) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი განფენილია სამ ბორცვზე და მათ გარშემო ვაკეზე. ბორცვებიდან ყველაზე მაღალი (მდინარის დონიდან 40 *მ*) დას-ის გორაა (ბრტყელი მწვერვალის ფართ. 70X50 *მ*), რ-იც სამი მხრიდან ხელოვნური თხრილითაა გამოყოფილი. გორაზე დაფიქსირებულია ადრინდ. და გვიანდ. ბრინჯაოს, ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანის ფენები (საერთო სიმ. 6 *მ*). ანტ. ხანაში გორას კოშკებიანი გალავანი ჰქონია შემოვლებული. სავარაუდოა, რომ თხრილიც ანტ. ხანისაა. აღმ-ის უფრო ვრცელსა და დაბალ გორაზე მხოლოდ გვიანდ. ბრინჯაოს ხანის რამდენიმე კულტ. ფენა (სიმ. 3 *მ*) დადასტურდა. ჩრდ-ის გორაზე გამოვლენილია ადრინდ., შუა და გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანის ნამოსახლარი, კულტ. ფენები და სამაროვნები.

(ბ) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი განლაგებულია ჩრდ. გორის სამხრ. ნაპირას. აქ გაითხარა სამი საცხოვრებელი ოთახი პურის საცხობებითა და საკურთხევლებით. მოპოვებული მასალიდან აღსანიშნავია სარიტუალო დანიშნულების უჩვეულო ფორმის თიხის ჭურჭელი, თიხის მილისებრი სადგარები და ლითონის სამკაულის ჩამოსასხმელი ქვის ყალიბი. აქვე გაითხარა ადრინდ. და გვიანდ. ბრინჯაოს ხანებისათვის დამახასიათებელი კულტ. ნაშთების შემცველი რამდენიმე ფენა. მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარი ფენები (ძვ. წ. III ათასწლ.) ჩაჭრილია ორმოებით, რ-ებშიც აღმოჩნდა ე. წ. ბედენური კულტურის (ძე. წ. XXII-XXI სს.) და შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისი) მასალა (ბრინჯაოს ყუამილიანი ცული, ძელის ორნამენტირებული ნივთი, სარდიონის მძივის ნამზადი და სხვ.). 20-30 *მ* სიგანისა და 80 *მ* სიგრძის ბუნებრივი ხევი შევსებულია ნაცრისა და კულტ. ნაშთების შემცველი ფენებით (ძე. წ. XII-VII სს., სისქე 4 *მ*-მდე).

(გ) ჩრდ. გორის დას-ით, მინდორში მდებარეობს ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი. გაითხარა 13 სამარხი. მოპოვებულია მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდ. პერიოდისათვის დამახასიათებელი შავად და ვარდისფრად შეღებილი თიხის ჭურჭელი, ვერცხლის, ანთიმონისა და ბრინჯაოს ხვიები და საკინძები, ანთიმონის, ბრინჯაოსა და სარდიონის მძივები, კაჟის ისრისპირები და სხვ.

(დ) გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანის ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი განლაგებულია გორის ჩრდ-ით და აღმ-ით. აქ მოპოვებული ინვენტარის უმეტეს ნაწილს თიხის ნაწარმი შეადგენს.

ჭურჭელი დამზადებულია ჩარხზე, კარგად განლექილი თიხისაგან. ხასიათდება დახვეწილი ფორმებით, ფერად შავი ან ლეგაა, აქვს ანგობირებული და ნაპრიალები ზედაპირი.

(ე) ყ ო რ ღ ა ნ ი, რ-იც მდებარეობს სამაროვნის ჩრდ.-აღმ. კუთხეში, თარიღდება ძვ. წ. XIV ს-ით. დასაკრძალავ ორმოს ხელნიანი ეტლის ფორმა აქვს. აღმოჩნდა გეომეტრიული ორნამენტით შემკული ბორბლისებურსაკბეურებიანი ორი ლაგამი, ცხენის აღკაზმულობისათვის განკუთვნილი ბრინჯაოსა და ძვლის რამდენიმე ნივთი, ბრინჯაოსა და სარდიონის მძივები და შავი ფერის თიხის 10 ჭურჭელი.

ბიბლ.: 58; 225. *ქ. ი.*

025. გ ი ო რ გ ი არადელ-იშხნელის საფლავი, ისტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 3 *კმ*-ზე, საგვარეულო სასაფლაოზე. ცნობილი ქართვ. მსახიობის გიორგი არადელ-იშხნელის (1882-1929 წწ.) საფლავს შემოღობილი აქვს რკინის მესერი. საფლავზე დგას მარმარილოს კვარცხლბეკი, რ-ზეც აღმართულია ჯვარი (დაზიანებულია).

ბიბლ.: 53. *ბერძ. ც.*

026. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 2 *კმ*-ზე, შემაღლებულ ადგილზე. ფართ. 500 *კვ მ*. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე შეინიშნება ე კ ლ ე ს ი ი ს ა და სხვადასხვა ნ ა გ ე ბ ო ბ ი ს ნაშთები. *ლ. მ.*

027. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, მდ. აღმ. ფრონის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე იპოვება წითლად გამომწვარი, უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები და რიყისა და ნატეხი ქვით ნაგებ შ ე ნ ო ბ ა თ ა საძირკვლის ნაშთები. *ნ. ა.*

028. სალარიანი საყდარი და ნასოფლარი, არქიტ., არქეოლ. ძ. ეკლ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით 1 *კმ*-ზე, გორი-ხაშურის საავტ. გზის მახლობლად, მდ. აღმ. ფრონის ნაპირზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლესიის აღმ. კედელი აღმართულია კლდეზე დაშენებულ კირხსნარით დაბეტონებულ მაღალ სუბსტრუქციაზე, რ-ის წყობა განსხვავდება ნაგებობის ძირითადი კორპუსის კედლების წყობისაგან.

ეკლ. დარბაზულია (6X4,5 *მ*), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. შესასვლელი სამხრ-დანაა. საკურთხეველი სწორკუთხაა. დას. კედელში ვიწრო სწორკუთხა სარკმელია, რ-საც გარედან თლილი ქვის საპირე აქვს. ინტერიერის კედლები კირხსნარითაა მოსწორებული და შელესილი. ფასადები მხოლოდ კირხსნარითაა მოსწორებული. ეკლესიის ირგვლივ ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი ა. *მგ. მ.*

029. ციხე-დარბაზის კომპლექსი, ისტ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, აღმ-ით, მდ. აღმ. ფრონის მარჯვ. ნაპირზე. ციხე აგებულია XVII ს-ის შუა წლებში ც.-დ. კ-ის ნაგებობათა მნიშვნელოვანი ნაწილი დანგრეულია. 1960 წ. ჩატარდა აღმ-ის კოშკის კონსერვაცია. ც.-დ. კ. ძლიერი ფეოდალების (სავარაუდოა სამხრ. საქართველოდან გადმოსახლებული იშხნელების) რეზიდენცია იყო.

ც.-დ.კ-ში შედის: გალავანი, წმ. საბას ეკლესია და სასახლე.

(ა) გ ა ლ ა ვ ა ნ ი გეგმით კვადრატს უახლოვდება (დაახლ. 40X40 *მ*). შემორჩენილია აღმ. კედელი ოთხი კოშკით და გალავნის 50 *მ* სიგრძის მონაკვეთი (კედლების სისქე 1,2 *მ*) სამხრ-ით. სამხრ. კუთხეში მდგარი ცილინდრული კოშკი ოთხსართულიანია. ქვედა სამი სართული საბრძოლო და საცხოვრებელია, ხოლო IV — საბრძოლო ბანი. შესასვლელები ეზოდანაა, I და II სართულზე, ცალ-ცალკე. ბუხარი მხოლოდ II სართულზეა. ნისკარტა სალოდეები და ერთი საზარბაზნე ბანის კედლებშია განლაგებული. სართულშუა გადახურვა ხისა ყოფილა. გალავნის ჩრდ.-აღმ. კუთხეში დგას თითო ცილინდრული და ოთხკუთხა კოშკი. ისინი ეკლესიის კედლებშია ჩართული. ც ი ლ ი ნ დ რ უ ლ ი კ ო შ კ ი ს ნახევარი ჩამონგრეულია. მისი პირველი ორი სართულის კედლები ყრუა. II სართულზე მხოლოდ ერთი კარია, რ-იც ოთხკუთხა კოშკში გადის. III და IV სართულის შემორჩენილ კედლებში სათოფურებია. ო თ ხ კ უ თ ხ ა კ ო შ კ ი ოთხსართულიანი იყო. I სართულის კარიდან შეიძლება მოხვედრა II სართულზეც და გვერდით მდგარ ცილინდრულ კოშკშიც. II სართულის კარი შეკერილ აივანზე გადის კოშკების ზედა სართულების კედლებში ბუხრები და სათოფურებია დატანებული.



029(ბ). სამხრ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა

გალავნის აღმ. კედლის ცენტრში ერთი ნ ა ხ ე ვ ა რ ც ი ლ ი ნ დ რ უ ლ ი კ ო შ კ ი ც მდგარა (გალავნის გარეთ გადიოდა). შემორჩენილი 4-5 *მ* სიმაღლის კედლები ყრუა. სავარაუდოა ასეთივე კოშკები გალავნის სხვა კედლებშიც იყო.

(ბ) წ მ. ს ა ბ ა ს ე კ ლ ე ს ი ა დგას ც-დ. კ-ის ტერიტორიის ჩრდ-დას. ნაწილში. ეკლესიის სამხრ. ფასადის ასომთ. წარწერის თანახმად, ეკლ. აგებულია 1666 წ. დადიანის ასულის დედოფალ მარიამის დაკვეთით. ეკლ. დარბაზულია (9,35X5 *მ*), ნაგებია ცუდად დამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვიშაქვის კვადრებით, ზოგან რიყის ქვაც არის გამოყენებული. გარედან სწორკუთხა, ხოლო შიგნიდან თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. მონაკვეთშია (0,5 *მ* სიმაღლეზე ამოშენებულია). ნალისებურ აფსიდში ერთი თაღოვანი სარკმელია, რ-საც შიგნით რთული ლეკალური თაღი აქვს. აფსიდის სარკმლის გვერდებზე სწორკუთხა ნიშებია, ხოლო ქვემოთ, კედელთან სატრაპეზო ქვა დგას. დარბაზის სამხრ. და დას. კედლებში თითო სარკმელია. სამხრ-ის სარკმელი სწორკუთხაა, დას-ისა — თაღოვანი. ეკლესიის გრძივი კედლები წყვილი პილასტრით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. კამარა გვერდებზე ამოზნექილია, შუაში ცილინდრული. ინტერიერი მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა. კედლები ამჟამად შეთეთრებულია. კამარის აღმ. ნაწილში შემორჩენილია ქრისტეს გამოსახულება. ნაგებობა გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით.

(გ) ს ა ს ა ხ ლ ი ს ნანგრევები შემორჩენილია გალავანთან, ეკლესიის ახლოს.

ბიბლ.: 100:130-131; 154:23-27; 302: 123-124. *ზ. კ.*

030. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება VIII-IX სს-ით. 1970-იანი წლების ბოლოს ნაგებობა მთლიანად იქნა აღდგენილი (პროექტის ავტორი ი. ვარსიმაშვილი, ხელმძღ. რ. გვერდწითელი): გარშემოსავლელისა და სამკვეთლოს კედ-



030. ალმ. ფასადი, გეგმა

030. ინტერიერი, ფრაგმენტი





030. გრძივი განაკვეთი სამხრ.-კენ

ლები გამაგრდა, დაემატა წყობის დამ-ცველი ფენა.

ეკლ. დარბაზულია (8,5X5,5 *მ*), ნაგებია მოყვითალო ფერის ნატეხი ქვით. ეკლესიისათვის მოგვიანებით სამხრ-ითა და დას-ით მიუშენებიათ გარშემოსავლელი, ხოლო ალმ. კედ-ლის ჩრდ. კუთხეში ოთხკუთხა სათავ-სი (სამკვეთლო), რ-ის ალმ-ის კე-დელში ერთი მცირე სარკმელია. ეკ-ლესიას ნატეხი ქვის ფილით გადა-ხურული სამი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით, დას-ითა და ჩრდ-ით. ნა-ხევარწრიულ აფსიდში ერთი სარკ-მელი და ორი მცირე ზომის ოთხ-კუთხა ნიშია. აფსიდის იატაკი რამ-დენიმე საფეხურითაა ამაღლებული. დას-ით ერთი სარკმელია, სამხრ-ით — ორი. დარბაზის გრძივი კედლები და-ნაწევრებულია წყვილი ორსაფეხუ-რიანი პილასტრით. პილასტრების შუა საფეხურს ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობა, ხოლო გვერ-დით საფეხურებს — კედლის დეკო-რატ. თაღები. ყოველ თაღში კიდევ ჩაწერილია კონსოლზე დაყრდნობი-ლი ორმაგი ნახევარწრიული დეკო-რატ. თაღედი. შემორჩენილია გვიანდ. მოხატულობის კვალი. *გვ. რ.*

# ატოცი

(ბრეძის სოფსაბჭო)

031. სოფ. ატოცში, ყოფილი კანცელარიის შენობის წინ, 1905 წ. 8 მარტს სოფლის გლეხებმა მამასახლისს უფლებები აჰყარეს, კან-ცელარია დაკეტეს და აირჩიეს ათის-თავები და ასისთავები.

ბიბლ.: 201ა: 268ა *ანთ. ი.*

032 **კოდას წმ. ელიას ეკლესია**, არ-ქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით. თარიღდება ფეოდ. ხანით. ეკლ. დარ-ბაზულია (6X4,1 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, კონსტრ. ნაწილებში გამოყე-ნებულია თლილი ქვა. არქიტრავული შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნა-წილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. დარ-ბაზის კამაროვანი გადახურვა სატ-რიუმფო თაღს და გრძივ კედლებს ეყრ-დნობა. ფასადებს შემოელებული აქვს თლილი ქვის ლავგარდანი. ეკლ. გა-დახურულია ფილაქვის ორფერდა სა-ხურავით. *ნ. ა.*

033. **მთავარანგელოზის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით. სტილისტ. ნიშნებით თარიღდე-ბა X ს-ით. დაზიანებულია: შემორ-ჩენილია შენობის ჩრდ., ალმ. და სამხრ. კედლების ნაწილი, სახურავი ჩანგრეულია.

ეკლ. დარბაზულია (8,2X5,3 *მ*), ნა-გებია ქვის კარგად გათლილი კვად-რებით. შესასვლელი სამხრ-დანაა. ღრმა ნახევარწრიულ აფსიდში სარკ-მელია, მის გვერდებზე თითო ოთხ-კუთხა ღრმა ნიშია. საკურთხევლის კედელს ჩამოსაჯდომი გასდევს, ხოლო სარკმლის ქვემოთ სატრაპეზო ქვა დგას. სარკმლების კვალი შეიმჩნე-ვა დას-ით და სამხრ-ითაც. ინტერიერ-ში შემორჩენილია შელესილობისა და მოხატულობის კვალი. ეკ-ლესიის ცოკოლი მაღალია, ორსაფე-ხურიანი, სწორკუთხა; ლავგარდანი შედგენილია სწორკუთხა ფილებისა-გან. ეკლ. ლორფინებით ყოფილა გა-დახურული. ეკლესიის ჩრდ. კედელზე მოგვიანებით მიშენებული პირამი-დული (ა) კოშკისგან მხოლოდ

033. ალმ. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ.-კენ, გეგმა



ყრუკედლებიანი I სართულია გადარჩენილი. ზ. პ.

034. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ადგილ დარბაძიანთ ჭაობებში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. გამოვლინდა 7 ნასახლარი ბუდე, სწორკუთხა შენობების ნატეხი ქვით ნაგები კედლის ქვედა ნაწილები. იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნატეხები. ირ. შ.

035. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 2 კმ-ზე, ადგილ ურმიხელში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. გამოვლინდა შენობათა რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები საძირკვლის ნაშთები. იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის და ქვევრის ნამტვრევები. ნ-დან მოსახლეობა აყრილა XIX ს-ში მეწყერის გამო. ნ. ა.

036. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 0,8 კმ-ზე, ადგილ კახურას ველზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. ს-ს მიაკვლიეს 1950 წ. მიწის სამუშაოების დროს. ორმოსამარხებში დაკრძალული იყო ხელფეხმოკეცილი თითო მიცვალებული თავით ჩრდ.-დას-კენ. აღმოჩნდა ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისწვერები, უხეშკეციანი, შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი და სხვ. ნ. ა.

037. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, დას-ით, ადგილ გულიკაანთ უბანში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია, შემორჩენილია კედლების წყობის ქვედა 3-5 რიგი და სამხრ.-აღმ. ნაწილის კედლები კუთხითურთ. ეკლ. დარბაზულია (5,4X3,7 მ), ნაგებია ნატეხი ქვით, კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია თლილი ქვა. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი თაღოვანი სარკმელია. ნ. ა.

038. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (12,15X7,3 მ), ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვით, კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია თლილი კვადრები. სამხრ-ით სწორკუთხა შესასვლელია, დას-ის შესასვლელი ამოშენებულია. ნახევარწრიული აფსიდი საკმაოდ ამაღლებულია. მის ღერძზე სარკმელია. აფსიდის ორივე მხარეს ვიწრო და მაღალი სამკვეთლო და სადიაკვნეა. სამკვეთლოში აღმ-ით ერთი სარკმელია. თითო თაღოვანი სარკმელი სამხრ-ის კარის თავზე და ჩრდ. კედელშია. დარბაზის გრძივი კედლები და შეისრული კამარა დანაწევრებულია წყვილი მასიური პილასტრით და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით. კედლები მთლიანად შელესილი და შეთეთრებულია. სამხრ-ის კარის არქიტრავზე ჯვრის გრაფიკული გამოსახულებაა. დას. (კარის თავზე) და აღმ. ფასადზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი. ნაგებობას აგურის ლავგარდანი და კრამიტის ორფერდა სახურავი აქვს. ეკლ. სომხურია. ს. თ.

039. ციხე-გალავანი და ნასოფლარი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ზედა ნაწილში. ციხე-გალავანი XVIII ს-ის შუა ხანებით თარიღდება, ნასოფლარი — გვიანდ. ფეოდ. ხანით.

(ა) ციხე-გალავანი (სათემო ციხე; 52,2X50,3 მ) ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია ჩრდ.-აღმ. კოშკის სამივე სართული და სამხრ.-დას. კოშკის ერთი კუთხე, გალავნის სამხრ. კედლის ფრაგმენტი. ჭიშკარი (შემორჩენილია ერთი წირთხლი) სამხრ. კედლის მარჯვ. მონაკვეთში ჰქონია, ხოლო ვიწრო სათადარიგო კარი — მოპირდაპირე მხარეს. გალავნის კედლის ქვედა ნაწილი (3-4 მ-მდე) ყრუ და სქელია, ხოლო ზედა თხელია და ცალმაგი და ორმაგი სათოფურები აქვს. კედლის თხელი და სქელი ნაწილების ზღვარზე გადის საბრძოლო ბილიკი. ჩრდ.-აღმ-ის სამსართულიანი კოშკის თავზე, სავარაუდოა, საბრძოლო ბანი იყო. სართულშუა ხის გადახურვა ჩანგრეულია. I სართული ყრუკედლებიანია, ამოვსებულია მიწით; II სართულზე კოშკის ერთადერთი კარია, რ-იც ციხის ეზოში გადის. კარის პირდაპირ ბუხარია, დანარჩენ კედლებში — სათოფურები. კარის მარჯვნივ III სართულზე ასასვლელი კიბეა. ამ სართულის კედლებში სათოფურები და ნისკარტა სალოდეებია.

(ბ) ნასოფლარზე აიკრიფა წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლისა და დიდი ქვევრის ნამტვრევები და სხვ.

ბიბლ.: 302 ნ. ა.

040. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში გადმოცემით აგებულია 1903 წ. ძვ. პატარა ეკლესიის ადგილზე.

ეკლ. მოზრდილი გუმბათოვანი ნაგებობაა (17,1X11,7 მ), ნაგებია უხეშად ნატეხი ქვითა და აგურით. კონსტრ. ნაწილებში თლილი კვადრებია გამოყენებული. საფუძვლად სამნავიანი ბაზილიკის გეგმა უდევს. ნავები ერთმანეთისაგან გამოყოფილია თითო ოთხკუთხა მასიური ბურჯითა და მათზე გადაყვანილი ფართო ნახევარწრიული თაღებით. გვერდის ნავები ტოლია და არქიტექტურულად მსგავსი. შუა ნავი საგრძნობლად მაღალია გვერდის ნავებზე, გადახურულია ნახევარსფერული კამარით და მაღალი თორმეტსარკმლიანი გუმბათი აქვს. შუა ნავის დას. შესასვლელის თავზე სამრეკლოს მეორე სართულზე გასასვლელი კარია.

039(ა). გეგმა 1 ეკლესია, 2. გალავანი, 3. ჩრდ. აღმ. კოშკი





039(ა) 1,2. ჩრდ.-აღმ. კოშკის სართულების გეგმები, 3 გალავნის განაკვეთი ჩრდ-კენ

ალმ-ით ფართოსარკმლიანი ნახევარწრიული აფსიდია. საკურთხეველი ორი საფეხურით ამაღლებულია და შუაში არდაბაგი აქვს. საკურთხეველს გასასვლელებით უერთდება სწორკუთხა სამკვეთლო და სადიაკვნე, რ-ებიც გვერდის ნავების უწყვეტ გაგრძელებას წარმოადგენს და თითოეულს ალმ-ით თითო ფართო სარკმელი აქვს. ინტერიერის მთელი ალმ. ნაწილი საკურთხეველთან, სამკვეთლოსა და სადიაკვნესთან ერთად გამოყოფილია ჩარხზე გამოთლილელემენტებიანი ხის მაღალი კ ა ნ კ ე ლ ი თ, რ-შიც კარგად შემონახული მოგვიანო ხანის ხატებია ჩასმული. ჩრდ-ითა და სამხრ-ით ექვს-ექვსი სარკმელია, ხოლო დას-ით — ორი. კედლები გარეთ და შიგნით მთლიანად შელესილი და შეთეთრებულია.

ნაგებობას გარედან ბაზილიკური იერი აქვს — შუა ნავი მკვეთრად არის ამოწეული გვერდის ნავებიდან. გუმბათი როგორც შიგნით, ისე გარეთ არ შეესაბამება საერთო მასებს. ფასადების ქვედა ნაწილებში ნალესი დახაზულია და თლილი კვადრების იმიტაციას ქმნის. ფასადებზე სარკმლები ნახევარწრიულ დეკორატ. თაღებშია ჩასმული. ლავგარდანი შედგენილია აგურის სამი რიგისაგან. ეკლ. გადახურულია კრამიტით.

ეკლესიაზე დას-ით მიშენებულია (ა) ნ ა გ ე ბ ო ბ ა, რ-ის I სართული ეკლესიის კ ა რ ი ბ ჭ ე ა, ზედა სართული კი გახსნილთაღებიანი ს ა მ რ ე კ ლ ო.

ეკლესიას შემოვლებული აქვს უსწორო ნატეხი ქვით ნაგები (ბ) გ ა ლ ა ვ ა ნ ი. მის სამხრ.-დას. მონაკვეთში თლილი ქვის ფართო თაღოვანი ალაყაფის კარია. *ს. თ.*

041. წმ. მარინეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, ბაღებში თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ძეგლი დაზიანებულია – ჩამონგრეულია სახურავი და ლავგარდანი.

ეკლ. დარბაზულია (4,2X2,6 *მ*), ნაგებია წვრილად ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-დან აქვს. კარი შიგნით თაღოვანია, გარედან არქიტრავული. ნახევარწრიულ აფსიდში სარკმელია. საკურთხეველი დარბაზისგან გამოყოფილია აგურის კ ა ნ კ ე ლ ი თ, რ-საც შუაში აღსავლის კარი აქვს. ერთი სარკმელი დას-ითაა. დარბაზის გრძივ კედლებს გასდევდა ერთსაფეხურიანი ჩამოსაჯდომები; ამჟამად იატაკის დონე გათანაბრებულია ჩამოსაჯდომებთან. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით. ეკლ. ერთსაფეხურიან ცოკოლზე დგას. ფასადების კედლები მოსწორებულია ბათქაშით. *ს. თ.*

042. წმ. მარინეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-დას-ით, ადგილ გულიკაანთ უბანში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (6,1X4,4 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. კონსტრ. ნაწილები ამოყვანილია თლილი ქვის თანაბარ რიგთა წყობით. შიგნით თაღოვანი, გარედან არქიტრავული შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის გვერდებზე — თითო ოთხკუთხა ნიში. აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია ნატეხი ქვით ნაგები კ ა ნ კ ე ლ ი თ, რ-საც შუაში აღსავლის კარი აქვს. სამხრ-ით ერთი თაღოვანი სარკმელია. გრძივი კედლები და ნახევარწრიული კამარა დანაწევრებულია წყვილი პილასტრით და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით. კამაროვანი გადახურვა საბჯენ თაღზე და აფსიდის მარტივპროფილიან იმპოსტებზე დამყარებულ სატრიუმფო თაღს ეყრდნობა. ალმ. და სამხრ. ფასადების სარკმლების თავზე ტოლმკლავა ჯვარია ამოკვეთილი. ლავგარდანი თლილი ქვისაა. *ნ. ა.*

## ახალსოფელი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

043. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, სოფელსა და სუქითის მთის შუა მდებარე სახნავი მიწების ტერიტორიაზე, სკრა-ქარელის არხის სათავიდან 3-4 *კმ*-ზე, ჩრდ.-დას-ით. თარიღდება ადრინდ., შუა და გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. 1946 წ. არხის გაყვანის დროს გამოვლინდა ცალკეული ნასახლარი ბუდეები. მასალა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

*ბიბლ.*: 271 *ირ. შ.*

## ბებნისი

(ქარელის საქალაქო საბჭო)

044. ბერიკლდეების ნასოფლარი და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ-ების მტკვრისა და ალმ. ფრონის შესართავის ჩრდ.-ალმ-ით, სოფლიდან დას-ით 3 *კმ*-ზე, ბებნისის საბჭ. სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე.

1979 წ. აეროფოტოდაზვერვის დროს საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ფრონის (დედოფლის მინდვრის) არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი. გაგოშიძე) მიაკვლია ყორღანულ სამაროვანსა და პატარა ნასოფლარს. გათხრები ჩატარდა 1979-1983 წწ.

(ა) ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი (ფართ. 4000 *კვ მ*-მდე) მდებარეობს უშუალოდ მდ-ების მტკვრისა და ალმ. ფრონის შესართავთან, მაღალი კონცხის თხემზე. ნასოფლარის პირზე გაჭრილ თხრილში (ფართ. 400 *კვ მ*), 2 *მ* სიმძლავრის კულტ. ფენაში სტრატოგრაფიული თანამიმდევრობით გამოვლინდა 4 პერიოდის ნაშთები: 1. გვიანდ. ბრინჯაოს ხანის დასახლების სუსტი ფენა — რიყის ქვის ნაგებობათა კვალი და ტიპური შავი კერამიკის ფრაგმენტები; 2. შუა ბრინჯაოს ხანის ჩაშვებული სამარხების ნაშთები, შავი, რუხი და ბაცი ფერის (უზერლიქთეფეს ტიპის) კერამიკა; 3. ალიზის ზღუდით გამაგრებული ბედენური კულტურის ნასოფლარის ორი (?) სამშენ. ჰორიზონტი — ალიზისა და სარ-ლასტიანი შენობების სუსტი კვალი, სწორკუთხა თიხალესილი სამსხვერპლო ბაქნები, შავპრიალა ბედენური მაღალხარისხოვანი კერამიკა, აგრეთვე რიგითი წაბლისფერი და ბაცი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ყუადამკვებული ცულის ნატეხი, ქვისა და ძვლის იარაღი; 4. ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის (ხიზანაანთ გორის E დონის შესატყვისი) ნასოფლარის ნაშთები, მ. შ. დამწვარი წრიული შენობის (დიამ. 10 *მ*) ნანგრევები დისკოსებური თიხალესილი ცენტრ. კერით, სარიტუალო ცილინდრული ჭურჭლით, თიხალესილი ბაქნებითა და ტიპური კერამიკის ფრაგმენტებით. ბერიკლდეების ბედენური ფენა $C_{14}$ მეთოდით დათარიღებულია ძვ. წ. 2900 წ-ით. ნასოფლარზე მოპოვებული ნივთიერი მასალა დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

(ბ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი. მტკვრის მეორე ტერასაზე (ფართ. დაახლ. 1 *კვ მ*) აღრიცხულია ორმოცდაათამდე ყორღანი (გორასამარხი), რ-თაგან უდიდესთა მიწაყრილის დიამ. 50 *მ* აღწევს, ხოლო სიმ. 2,5 *მ*. 1980-1982 წწ. გაითხარა (ხელმძღვ. ი. გაგოშიძე) ოთხი ორმოიანი და ინჰუმაციური გორასამარხი (ყრილები შექმნილია ორმოებიდან ამოღებული მიწითა და მდინარისპირა რიყის ქვით). ორი ყორღანი (I, II) ადრინდ. ბრინჯაოს ხანით (ძვ. წ. XXIII-XXI სს.). დათარიღდა, ერთი (III) — შუა ბრინჯაოს ხანით (ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისი), ერთი (IV) — შუა ბრინჯაოდან გვიანდ. ბრინჯაოზე გარდამავალი ხანით (ძვ. წ. XV ს). II და III ყორღანების ყრილებში აღმოჩნდა ადრინდ. რკინის ხანის (ძვ. წ. VII-VI სს.) ორმოსამარხები. სამაროვანი დაკავშირებული უნდა იყოს ბერიკლდეების ნამოსახლართან.

სამაროვანზე მოპოვებული არქეოლ. მასალა ძალიან ემსგავსება თრიალეთის ყორღანულ კულტურის ძეგლებს. იგი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ძეგლია შიდა ქართლში, სადაც ე. წ. ბედენური ტიპის კერამიკის შემცველი ყორღანი გაითხარა. ყორღანში მიცვალებული დაკრძალული იყო ხარებშებმული ოთხთვალა ეტლით. კერამიკის გარდა ჩატა-

ნეპული ჰქონდა ბრინჯაოს სატევარი, ვერცხლისგარსაკრავიანი ბრინჯაოს საკინძი, მძივები. ხარებშებმული ეტლების ნაშთები აღმოჩნდა II და III ყორღანებშიც.

საყურადღებოა ძვ. წ. XV ს-ით დათარიღებული IV ყორღანი, რიყის ქვების წრიული კედლით გარშემორტყმული 40 მ დიამეტრისა და 1,5 მ სიმაღლის მიწაყრილი (კრომლეხი). ორმო (9X4,5 მ, სიღრმე 3 მ) ხის სვეტებზე დაყრდნობილი ძელებით იყო გადახურული. სამარხში იდგა ორცხენშებმული ხის ორთვალა ეტლი, რ-ის უღელი და კოფო შემკულია ბრინჯაოს ფიგურული გარსაკრავებითა და ფრინველისა და ირმისქანდაკებებიანი შტანდარტებით. ბრინჯაოს ლაგმები, რ-ებიც ცხენებს ედოთ პირში, ჯერჯერობით უძველესია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ლაგმებს შორის. ეტლზე ეწყო ბრინჯაოს ძ. წ. წინააზიური ტიპის ჩარჩოსებრტარიანი მახვილი, ხისტარიანი სარიტუალო ბრტყელი დანა, ბრინჯაოს ფირფიტებით შემკული ტყავის კაპარჭი ორმოცამდე ისრით, რ-ებსაც კაჟისა და ბრინჯაოს პირები აქვთ. და სხვ. სამარხში მარჯვ გვერდზე, ხელფეხმოხრილი დაკრძალული იყო ტომის ბელადი, ორმოციოდე წლის მამაკაცი. რ-საც ყელზე ეკიდა სარდიონის მძივები, ხოლო თავზე ეხურა ცისფერი და წითელი პასტის თვლებით ინკრუსტირებული და ოქროს თხელი, ორნამენტირებული ფირფიტით მორთული ბრინჯაოს თავსაბურავი. მისთვის ჩაუტანებიათ 20-25 წლის ქალი, რ-საც შუბლზე ვერცხლის ფირფიტოვანი დიადემა ერტყა, ყელზე ოქროს, სარდიონისა და მინის მძივები და მძივსაკიდები ეკიდა, ხოლო მკერდზე ოქროსთავიანი და ვერცხლისღეროიანი საკინძი ჰქონდა. რკინისაგან გამოჭედილი რაღაც სამკაული. რ-იც ქალისთვის ჩაუტანებიათ, საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) ტერიტორიაზე აღმოჩენილი ერთ-ერთი უძველესი რკინის ნივთია. სამარხში აღმოჩნდა ორმოცამდე მდიდრულად ორნამენტირებული შავპრიალა თიხის ჭურჭელი. ზოგიერთი ჭურჭლის ზედაპირზე ირმების, თხებისა და ცხენების გამოსახულებებია დაჭდეული. ამავე ჭურჭლის ცრუყურებზე გედების კერამიკული ფიგურებია. აღმოჩნდა ცხვრისა და ღორის რამდენიმე სრული ჩონჩხი და თხის ხარის თავ-ფეხი. ხარების თავები სარდიონისა და მინის მძივებით იყო შემკული. სამარხში მოპოვებული სამკაული და თიხის ჭურჭლის ერთი ნაწილი ძალიან ემსგავსება თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის მასალას, ხოლო კერამიკის მეორე ჯგუფი და ბრინჯაოს ნაწარმი — შიდა ქართლისა და კახეთის გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ძეგლებს. *გ. ი., ჯ. ალ.*

## ბერძენაული

(აბისის სოფსაბჭო)

045. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, გზის პირას. ეკლესიის აღმ. მონაკვეთის გეგმა და კედლების ქვედა ნაწილი განეკუთვნება განვით. ფეოდ. ხანას. XIX ს-ში ნაგებობა საფუძვლიანად გადაუკეთებიათ — დაუგრძელებიათ დას-ის მიმართულებით.

ეკლ. დარბაზულია (13,65X6,2 მ), ნაგებია მოზრდილი პირგათლილი ლოდებით (ძვ. ნაწილები) და აგურით (XIX ს.). შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. ნახევარწრიულ, გაბრტყელებულ აფსიდში ერთი ვიწრო სარკმელია. ერთი ფართო სარკმელი დას. კედელშია, ორი — სამხრ-ისაში. დარბაზის გრძივი კედლები და ნახევარწრიული კამარა დანაწევრებულია სამი წყვილი პილასტრით და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით. *მგ. მ.*

046. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, შემაღლებულ ადგილზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ფართ. 2000 *კვ მ*. შემორჩენილია დარბაზული (ა) ე კ ლ ე ს ი ი ს (დაფარულია მიწით) და სხვადასხვა ნ ა გ ე ბ ო ბ ი ს ნაშთები, აგრეთვე ძვ. საფლავის ქვები. შეინიშნება (ბ) გ ა ლ ა ვ ნ ი ს კედელიც. *ქ. ბ.*

## ბრეთი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

047. ბრეთი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. აღმ. ფრონის მარცხ. ნაპირზე, ქარელიდან 9 *კმ*-ზე.

ბ-ის ტერიტორია ადრინდ. შუა საუკუნეებიდანვე ყოფილა დასახლებული. გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა ბრეთის ხევი.

(ა) ბ-ში VI ს-ში მოღვაწეობდა ერთ-ერთი 13 ქართვ. ასურელ მამათაგანი — პ ი რ ო ს ი. მის მიერ აქ ჩამოყალიბებული სამონასტრო ცენტრი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე იყო კულტ.-საგანმ., მწიგნობრობის; ხელოვნების მნიშვნელოვანი კერა. აქ შეიქმნა XI ს. ბრეთის ვერცხლის საომარი ჯვარი წარწერით, XIII ს-ის ბრეთის ტყავის სახარება და სხვ. ბ-ის მონასტერი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც საკუთრივ სოფლის, ისე ბრეთის ხევის მოსახლეობის კულტ. დაწინაურების საქმეში. ბრეთის ხევი და სოფ. ბ. ფეოდ. საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის ხანაში (XI-XIII სს.) უშუალოდ საქართვ. სამეფო კარს ექვემდებარებოდა. XIV-XV სს-ის მიჯნაზე ბრეთის ხევი ალექსანდრე I-მა სვეტიცხოვლის მონასტერს შესწირა. XV-XVI სს-ში ბრეთის ხევის ერთი ნაწილი და თვით სოფელი ურბნისის მონასტერმა თავისი გავლენის ქვეშ მოიქცია. აქ იგი საკმაო რაოდენობის ყმა-მამულს ფლობდა და თავისი მოურავიც ჰყავდა. XVII-XVIII სს-ში ზემო ქართლში ავალიშვილების სათავადოს ჩამოყალიბების შემდეგ სოფ. ბ-ის დიდი ნაწილი ავალიშვილთა საკუთრება იყო. აქ მათ სასახლეც ჰქონდათ XVI-XVIII სს-ის აღმ.-ტერ. დაყოფით ბ. ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა, რ-საც ამილახორები სარდლობდნენ.

(ბ) სოფ. ბ-ში დაიბადა გამოჩენილი ქართვ. საბავშვო მწერალი შ ი ო მ ღ ვ ი მ ე ლ ი (ქურუკაშვილი, 1866-1933 წწ.).

*ბიბლ.*: 89:117; 374 *ქ. ქ.*

048. ეკლესია და კოშკი, არქიტ., ისტ., არქეოლ. ძ. დგას სოფლის დას-ით, პლატოზე (ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი წ ვ ე რ ი). ეკლ. თარიღდება XVI-XVII სს-ით, კოშკი — XVII სს-ით.

(ა) ე კ ლ ე ს ი ა დარბაზულია (8,6X4,6 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრ-დან აქვს. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და ორი ნიშია. დარბაზი გადახურულია კამარით. კონქი და კამარა შეისრულია. თითო სარკმელი დას. და სამხრ. კედლებშია. ნაგებობას ჰქონდა აგურის დაკბილული ლავგარდანი. ორფერდა სახურავი კრამიტისაა.

მოგვიანებით ეკლესიის დას. კედელზე მიუდგამთ საყარაულო კოშკი, რაც პლატოს ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით იყო განპირობებული (კარგად ჩანს მტკვრის ხეობა და სამხრ-კენ მიმავალი გზა).

(ბ) კ ო შ კ ი სწორკუთხაა (4,6X4 მ), ნაგებია რიყისა და ყორე ქვით. შერჩენილი აქვს ოთხი სართული. სართულშუა გადახურვა ხისა ყოფილა. თაღოვანი შესასვლელი II სართულის სამხრ. კედელშია. ყრუკედლებიანი I სართული სამეურნეო დანიშნულებისაა; ამ სართულზე, მოსაზღვრე კედლებში, ერთმანეთის გასწვრივ გაჭრილი თაღებით კოშკი ეკლესიას უკავ-

048. გეგმა



შირდება. II სართული საცხოვრებელი და საბრძოლოა. მის ჩრდ. კედელში, შუაში ბუხარია, კუთხეებში — ნახევარწრიული ნიშები. აღმ-ით, ეკლესიის სარკმლის გასწვრივ, აქაც სარკმელია გაჭრილი. III სართული საბრძოლოა, მის სამ კედელში ორ-ორი სათოფურია. IV სართულის კედლების ნაწილია შემორჩენილი. სამხრ. კედელზე ორი სათოფურის კვალი ჩანს; დას-ის სარკმელი ამოქოლილია და იქვე, მარცხნივ, სათოფურია.

პლატოზე შემორჩენილია აგრეთვე ნამოსახლარის (გ) ნაშთები და იპოვება კერამ. მასალა. ზ. პ.

049 მამა პიროსის ეკლესია, წმ. გიორგის ეკლესია და ნასოფლარი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. ნაგებობებში გაირჩევა ორი სამშენ. ფენა: მამა პიროსის ეკლ. (თავდაპირველად დამოუკიდებელი ნაგებობა — ეგვტერი), რ-იც VI ს-ში აუშენებია ერთ-ერთ სირიელ მამათაგანს, იოანე ზედაზნელის მოწაფეს პიროსს (დასაფლავებულია აქვე), და წმ. გიორგის ეკლ. (მთავარი ეკლ.), რ-იც აგებულია VIII-IX სს. მამა პიროსის ეკლ. გადაკეთებულია, დაკავშირებულია წმ. გიორგის ეკლესიასთან და მინაშენის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეკლესიის გარშემო ნასოფლარია, რ-იც თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლესიის ირგვლივ ნიადაგი თავდაპირველ დონესთან შედარებით ამაღლებულია დაახლ. 1 *მ*-ით. შესასვლელს შიგნით მიდგმული აქვს კიბე, რ-ის საფეხურებად გამოყენებულია წარწერიანი საფლავის ქვები. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ეკლ. საფუძვლიანად შეუკეთებიათ. ნაგებობის ზედა ნაწილები რიყის ქვითა და აგურით ამოუყვანიათ, აღუდგენიათ მინაშენებიც. ამ ხანაშია აგებული სამრეკლოც, რ-იც ნაგებობის სამხრ.-დას. კუთხეზეა დაშენებული. ეკლ. შეაკეთეს XIX ს-შიც. გარედან მთლიანად შელესეს (ნალესი შემორჩენილია აქაიქ, მთავარი ნავის კედლებზე), გადახურეს კრამიტით, ბევრგან გადააწყვეს კედლები და ამოაშენეს დანგრეული ნაწილები, კვადრ. აგურით აღადგინეს მინაშენების ლავგარდნები.

(ა) წმ. გიორგის ეკლესია დარბაზული ნაგებობაა (14,35X13,2 *მ*). მიუხედავად მრავალგზის გადაკეთებისა, უცვლელია ნაგებობის გეგმა, მასები, ცალკეული ფორმები. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს — ჩრდ-ით, სამხრ-ითა და დას-ით. შიდა სივრცე საკმაოდ ფართოა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ფართო სარკმელია, ხოლო მის ორივე მხარეს — ღრმა ნიშები. დარბაზის გრძივი კედლები ორსაფეხურიანი პილასტრებით ორ ნაწილად იყოფა. შუა საფეხურს კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობა, გვერდის საფეხურებს კი — კედლის დეკორატ. თაღები. ეკლესიას ჩრდ-ით ეგვტერი (მამა პიროსის ეკლესია), ხოლო სამხრ-ით და დას-ით მინაშენები ეკვრის.

(ბ) მამა პიროსის ეკლესია (ეგვტერი) და წმ. გიორგის ეკლესიის აღმ. ფასადი თითქმის ერთნაირი სამშენი მასალით არის ნაგები, მაგრამ კედლები გადაუბმელია, წყობა განსხვავებული. ეგვტერზე ფრონტონის კვალიც შეიმჩნევა. მოგვიანებით ეგვტერის კუთხეები აუმაღლებიათ, შენობა ცალფერდა სახურავით გადაუხურავთ და წმ. გიორგის ეკლესიისათვის დაუკავშირებიათ. ეგვტერის ფასადები რამდენჯერმე განახლებული. ძვ. ნაწილები შემორჩენილია ფრაგმენტების სახით. გადაკეთებულია ნაგებობის ინტერიერიც. კამარა აღდგენილია. უცვლელად არის მოღწეული აფსიდი და კედლის ქვედა ნაწილები. ღრმა, ნალისებრი აფსიდის ღერძზე ვიწრო სარკმელია. სამხრ-ით გაჭრილი ერთადერთი კარი მთავარ ეკლესიაში გადის.



049(ა). აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ.-კენ. გეგმა

სამხრ-ისა და დას-ის მინაშენები უწყვეტად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და გარშემოსავლელს წარმოადგენს. ორივე გადახურულია კორხსნარით დაბეტონებული ნახევარწრიული კამარით. სამხრ. მინაშენს ნახევარწრიული (დეფორმირებული) აფსიდი აქვს. წმინდა გიორგის ეკლესიაში მოხვედრა შეიძლება მინაშენის სამხრ. კედელში გაჭრილი შესასვლელით.

გარშემოსავლელის სამხრ.-დას. კუთხეზე მოგვიანებით დაუშენებიათ (გ) სამრეკლო — აგურით ნაგები ექვსთაღიანი ფანჩატური, რ-საც საფუძველი მრგვალი აქვს, სახურავი — პირამიდული. ფანჩატურის ყოველი წახნაგი შემკულია დეკორატ. ლილვებით და თაღებით.

(დ) ნასოფლარზე შეინიშნება რიყის ქვით ნაგებ შენობათა საძირკვლები. უხვად იპოვება შუა ფეოდ. ხანისათვის დამახასიათებელი ცისფრად მოჭიქული თიხის ჭურჭლისა და გვიანდ. ფეოდ. ხანის წითლად გამომწვარი, უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ცისფრად მოჭიქული კრამიტის ნამსხვრევები, რ-ითაც გადახურული უნდა ყოფილიყო მამა პიროსის ეკლესია. *ს. თ., ნ. ა.*

## ბრეძა

(სოფსაბჭოს ცენტრი)

050. ბრეძა, სოფელი, ისტ. ძ. აქ. კვირაცხოვლის ეკლესიასთან, იწყება მნიშვნელოვანი ისტორიული გზა (სიგრ. დაახლ. 20 *კმ*: ამჟამად ნაწილობრივ გაუქმებულია). გზა გადადის მდ. აღმ. ფრონეზე, მიემართება სოფ. აბანოსაკენ, ჩაუვლის კლდეში ნაკვეთ გამოქვაბულს და გოგირდოვან წყაროებს, ადგილ ციხიანასთან შედის მდ. დას. ფრონის ხეობაში და მიემართება ჩრდ.-დას.-კენ. გაივლის სოფ. წნელისს (ზნაურის რ-ნი) და სოფ. გვირგვინასთან უხვევს სამხრ.-დას.-კენ, გაივლის მდ. ქვაბთაღელეს, სადაც განვით. ფეოდ. ხანის გუმბათოვანი ეკლესიის — გვირგვინას ნანგრევებია. ქვაბთაღელის ნაპირზე, ფრიალო კლდეში გაჭრილი კლდეკარებით გზა ადგილ ჯვართან გადადის ლიხის ქედს და ჩადის მდ. ჭერათხევისა და მდ. ყვირილას ხეობაში სოფ. კორბოულთან. *ნ. ა.*

051. ბრეძის კომპლექსი და ნასოფლარი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. კომპლექსში შედის: ზღუდერის (დიდი), წმ. მარინეს (მცირე) ეკლესიები, გალავანი.

(ა) ზღუდერის ეკლესია სტილისტ. ნიშნებით თარიღდება X ს-ით. XIX ს-ში შეუკეთებიათ: სამხრ. შესასვლელი გაუფართოებიათ, საპირეები მოყვითალო თლილი ქვით ამოუყვანიათ და კარისათვის ქვის ნახევარწრიული თაღი გაუკეთებიათ;

წვრილი ქვით შეუკეთებიათ ფასადის ზედა ნაწილებიც. შენობისათვის შემოუყოლებიათ ლავგარდანი, კრამიტით გადაუხურავთ (ხის კოჭებზე) და ფასადები მთლიანად შეულესიათ.

ეკლ. დარბაზულია (14,7X8,5 მ), ნაგებია კარგად დამუშავებული მუქი მინდისფერი ბაზალტის კვადრებით. ეკლესიას სამხრ-ით ფართო და მაღალი შესასვლელი აქვს; შიგნიდან ნახევარწრიული და გარედან არქიტრავული დას-ის შესასვლელი, აგრეთვე ჩრდ-ის შესასვლელი, ამოშენებულია. ნახევარწრიული აფსიდი ამაღლებულია ერთი საფეხურით. აფსიდის ღერძზე ერთი სარკმელია; ერთი სარკმელი დას-ითაა, ორი — სამხრ-ით. კონქი დარბაზს ორნაწილიანი სატრიუმფო თაღით უკავშირდება. დარბაზის გრძივი კედლები და კამარა დანაწევრებულია სამი წყვილი პილასტრითა და მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღებით. ორსაფეხურიანი მასიური პილასტრები ღრმად იჭრება დარბაზის სივრცეში და საკმაოდ ღრმა უბეებს ქმნის.

ეკლესიის დას. ფასადზე, შესასვლელის არქიტრავის ქვაზე, ცენტრში გამოსახულია განედლებული ჯვარი, რ-ის ორივე მხარეს თითო ვარდულია ამოკვეთილი. ორნამენტი დაზიანებულია და შელესილია კირის ხსნარით. კარი ნახევრამდე დაფარულია მიწით.

ეკლესიის დას-ის, სამხრ-ისა და ჩრდ-ის მ ი ნ ა შ ე ნ ე ბ ი დანგრეულია.

(ბ) წმ. მ ა რ ი ნ ე ს ე კ ლ ე ს ი ა დგას ზღუდერის ეკლესიის დას-ით, ოციოდე მეტრზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (7,2X4,75 მ), ნაგებია უხეშად დატეხილი, პირმოსწორებული მოზრდილი ქვებით, აქა-იქ ურევია რიყის ქვაც. ერთი მთლიანი ბრტყელი დამუშავებული ლოდით გადახურული ვიწრო შესასვლელი დას-ითაა. მცირე სიღრმის ნახევარწრიულ აფსიდში ერთი ვიწრო სარკმელი და პატარა ნიშებია. თითო სარკმელი სამხრ-ის (ჩამონგრეულია) და დას-ის კედლებშია. სარკმლების ქვედა ნაწილები ძლიერ დამრეცია. ნიში ჩრდ. კედელშიცაა. დარბაზის გრძივი კედლები და კამარა დანაწევრებულია წყვილი პილასტრით და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით. პილასტრები და თაღები კედლების მსგავსად ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვით. პილასტრების კაპიტელებს მარტივი თაროსებრი კონსოლების სახე აქვს. კამარა და აფსიდის კონქი ნატეხი ქვისა და კირხსნარის დაბეტონებულ მასას წარმოადგენს. გვიანდ. ფეოდ. ხანაში შეკეთებული ჩრდ. კედელი დეფორმირებულია. კედლები და კამარა მთლიანად შელესილი და მ ო ხ ა ტ უ ლ ი (გ) ყოფილა. გაირჩევა ცალკეულ გამოსახულებათა კონტურები და თანმხლები წარწერების ფრაგმენტები. არის მლოცველთა მინაწერებიც.

ეკლესიის მხოლოდ აღმ. ფასადის სარკმელია შემკული ქვაში ამოკვეთილი გაშლილმკლავებიანი თაღოვანი წარბით.

ზღუდერის ეკლესიის მახლობლად, თანამედროვე სასაფლაოს ტერიტორიაზე, მდებარეობს (დ) ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი, რ-იც თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. გამოვლენილია რიყისა და ნატეხი ქვით ნაგებ შენობათა სამირკვლის ნაშთები. ს ა მ ა რ ხ ო რ მ ო ე ბ შ ი აღმოჩნდა წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ქვევრის პირები და სხვ.

კომპლექსს შემოვლებული აქონია (ე) გ ა ლ ა ვ ა ნ ი, რ-ის ნანგრევები რამდენიმე ადგილას არის შემორჩენილი. გაირჩევა გალავნის კონტურები. *მგ. მ.*

052. ქვირაცხოვლის ეკლესია და ნასოფლარი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, მთაზე. ეკლ. თარიღდება X ს-ის II ნახ-ით, ნასოფლარი — ფეოდ. ხანით. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: დანგრეულია მთლიანად კამარა, კონქის ნაწილი, დეფორმირებულია შესასვლელები და აღმ-ის სარკმელი.

(ა) ე კ ლ ე ს ი ა დარბაზულია (10,8X6,1 მ). მისი ფასადები მოპირკეთებულია სხვადასხვა ფერის (ნაცრისფერი, ყვითელი, ღვინისფერი) კარგად დამუშავებული, სწორ პორიზ. რიგებად დალაგებული მოზრდილი საპერანგე კვადრებით, ხოლო ინტერიერის კედლები ნატეხი, პირმოსწორებული ქვით. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: დას-ით, ჩრდ-ითა (ამოშენებულია) და სამხრ-ით. სწორკუთხა საკურთხევლის ღერძზე ერთი სარკმელია. დარბაზის გრძივი კედლები და კამარა დანაწევრებულია ორსაფეხურიანი პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი და დეკორატ. თაღებით. პილასტრებით არის გამოყოფილი საკურთხეველიც. აქაც პილასტრებზე გადაყვანილია კედლის დეკორატ. თაღები, რ-ებსაც ბოლოებში ღრმა ტრომპები აქვს. ტრომპები საკურთხევლის კონქის საფუძველს ქმნიან. აღმ. ფასადის რელიეფი (საერო პირი) და ასომთ. წარწერა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ეკლესიის გარშემო, ნ ა ს ო ფ ლ ა რ ზ ე (ბ) შემორჩენილია ნაგებობათა საძირკვლის ნაშთები. კულტ. ფენა დაფარულია მიწით.

ბიბლ.: 349:55-57 *ს. თ., კ. ბ.*

052(ა). სამხრ. ფასადი, გეგმა



052(ა). ხედი სამხრ-იდან



## ბვერძინეთი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

053. ბვერძინეთი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ძამის ნაპირზე, ქარელიდან 21 კმ-ზე.



054. განაკვეთი, პერსპექტივა, გეგმა

გ. (საისტორიო წყაროებში გ ე ე მ ი ნ ე თ ი) პირველად XVII ს-ში იხსენიება. სოფელი ციციშვილთა საკუთრება იყო. XVIII ს-ის 70-იან წლებში აქ 30-მდე კომლი ცხოვრობდა და ეკონომიკურად საკმაოდ ღონიერ სოფლად ითვლებოდა.

(ა) 1695 წ. ციცი ციციშვილმა ქართლის მეფეს გიორგის უღალატა და ერეკლე I (ნაზარ-ალი-ხანს) მიემხრო. გიორგიმ მოღალატე მოახრჩობინა და საციციანო ნოდარის ძეს ფარსადან ციციშვილს მიაკუთვნა. გიორგისა და ერეკლეს შორის ბრძოლა გაგრძელდა. ამ ბრძოლაში ერეკლეს ქაიხოსრო ციციშვილი მიემხრო, რ-მაც სოფ. გ-თან მომხდარ ბ რ ძ ო ლ აში დაამარცხა გიორგის მომხრე ფარსადანი და საციციანო დაისაკუთრა.

XVI-XVIII სს-ის აღმ.-ტერ. დაყოფით სოფ. გ. მტკვრის მარჯვ. სანაპიროს (ციციშვილთა) სადროშოში შედიოდა.

ბიბლ.: 89:473; 201დ.237-239 *ქ. ქ.*

054. კოშკი, არქიტ. ძ. დგას ხოფლის განაპირას, დას-ით, მდ. ძამის აღმ. ნაპირზე, ფერდობზე. თარიღდება XVI ს-ით. იცავდა გზას (ძამის ხეობის ქვემო ნაწილს). კ. პირამიდულია (5,1X4,2 მ; სიმ. 13,6 მ), ნაგებია ნატეხი ქვით; წყობა წესიერია, ზედაპირი მოსწორებული. შემორჩენილია ხუთი სართული. V სართულის ზედა ნაწილი მონგრეულია. კ-ში შესასვლელი გაჭრილია II სართულის აღმ. კედელში, მიწიდან 4 მ სიმაღლეზე; I სართული ყრუკედლებიანი დამხმარე სათავსია. II სართულის სამხრ. კედელში ორი სათოფურია, დას-ისაში — ერთი. III სართულზე ერთი სათოფურია, IV-ზე — ყოველ კედელში თითო. V სართულზე სამ კედელში თითო სათოფურია, მეოთხეში კი ჰორიზონტალური ხვრელობი (სარკმელი).

ბიბლ.: 301:199-200 *ზ. პ.*

055. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, დას-ით, მდ. ძამის დას. ნაპირზე. თარიღდება XVI ს-ით. კ. იცავდა გზას (ძამის ხეობის ქვემო ნაწილს). კ. პირამიდულია (4,4X4,1 მ). დამწვარი კოჭების ნაშთი და გაწითლებული შიდა კედლები მოწმობს, რომ კ. ხანძარს დაუზიანებია. გადარჩენილია სამი სართული. შესასვლელი II სართულის აღმ. კედელშია გაჭრილი. I სართული ყრუკედლებიანი დამხმარე სათავსია; II სართულის ჩრდ. და დას. კედლებში და სანახევროდ დანგრეულ III სართულის აღმ., სამხრ. და დას. კედლებში თითო სათოფურია.

სათერძე, ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი, იხ. ხ ა თ ე რ ძ ე

ბიბლ.: 301:199-200 *ზ. პ.*

056. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს მდ. ძამის მარცხ. ნაპირზე, სოფლის წყაროსთან. ეკუთვნოდა გიორგი ქოქოშვილს. აგებულია XX ს-ის დასაწყისში.

ერთსართულიანი ხის ს. ს. (10X6 მ) აღმართულია ქვის საძირკველზე. ქუჩის მხარეს აივანია, რ-ზედაც ეხვდებით ექვსსაფეხურიანი ქვის კიბით. აივნის მოაჯირი და ხის სვეტებს შორის თაღები ფიცრის ჭვირული ორნამენტით არის შემკული. ერთი გრძელი ოთახიდან აივანზე გამოდის ერთი კარი და ერთი სარკმელი. ოთახის უკანა კედელში ეზოში გასასვლელი კარია. ერთი სარკმელი გვერდით კედელშიც არის გაჭრილი. ხის ნივნივებიანი, ორფერდა სახურავი თავდაპირველად ყავრით იყო გადახურული. *დე. თ.*

ციხისგვერდი, ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი, იხ. ც ი ხ ი ს გ ვ ე რ დ ი

## გომართის წმ. გიორგის ეკლესია,

იხ. სოფ. კ ნ ო ლ ე ვ ი

## გუგომის კომპლექსი,

იხ. სოფ. ტ ყ ე მ ლ ო ვ ა ნ ა

## დედოფლის მინდორი

(ბრეთის სოფხაბჭო)

057. სატაძრო კომპლექსი, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს მდ-ების აღმ. და დას. ფრონეებს შორის, სოფ. არადეთიდან დას-ით, 3 კმ-ზე. თარიღდება ძვ. წ. I ს-ით.

1972-78 წწ. ძ-ზე არქეოლ. გათხრები ჩაატარა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის, ხოლო 1973 წ. ძხი ინ-ტის ექსპედიციებმა (ხელმძღვ. ი. გაგოშიძე). მოპოვებული მასალა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში. არქეოლ. კვლევა გრძელდება. ძ. დაზიანებულია.

ს. კ-ში შედის საკულტო ნაგებობათა სისტემა — ტემენოსი, ტაძრის მსახურ-ქურუმთა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ტაძრის მონების დასახლებები (ნასოფლარები) და სამაროვნები.

ადგილი, სადაც (ა) ტ ე მ ე ნ ო ს ი აღმოჩნდა, წმ. გიორგის ნიშის სახელითაა ცნობილი. აქ გამოვლინდა მთავარი და მცირე ტაძრები, 6 სხვა ტაძარი, კარიბჭეები და რამდენიმე სხვა ნაგებობა.

მართკუთხედის ფორმის ტემენოსის (255X150 მ) ყველა ნაგებობა გრძივი ღერძით დამხრობილია სამხრ-დან ჩრდ-კენ და ოდნავ (6°-ით) გადახრილია დას-კენ. მისი ცენტრ. ნაწილი უკავია კვადრ. შიდა ეზოს (105X105 მ), რ-საც სამხრ-დან ესაზღვრება მთავარი ტაძრის ჩრდ. აივანი, ჩრდ-დან — მცირე ტაძრის სამხრ. პორტიკი, აღმ-დან და დას-დან კი — კარიბჭეები.

(ბ) მ თ ა ვ ა რ ტ ა ძ ა რ ს ცენტრ. ადგილი უკავია ტემენოსის სამხრ. ნაწილში. იგი ძლიერ ხანძარს დაუზიანებია. ტაძარი გეგმით სწორკუთხაა (46X30 მ), ნაგებია ალიზით (0,5X0,5X0,12 და 0,5X0,25X0,12 მ) რიყის ქვის საფუძველზე. კედლები (შემორჩენილი სიმ. 2 მ-დეა, კაპიტ. კედლების სისქე 1,6 მ) შელესილია ბზენარევი თიხის ხსნარით და, როგორც ჩანს, შეღებილიც იყო (აღმოჩნდა წითლად, თეთრად და ლურჯად შეღებილი ბათქაშის ნატეხები). მთავარი შესასვლელი სამხრ-დანაა — ვრცელი, ოთხსვეტიანი, სამხრ-ით ფართოდ გახსნილი პორტიკიდან (17,2X11 მ), რ-საც ცენტრ. დარბაზთან (ცელასთან) აკავშირებს გრძივი ღერძის აღმ-ით გაჭრილი კარი. კვადრ. ცელას (17,2X17,2 მ) ცენტრში დაბალი კვადრ. ბაქანია (1,6X1,6X0,15 მ) საკურთხევლისათვის. იატაკი თიხითაა მოსწორებული. ცელასა და პორტიკში იდგა თიხით შელესილი შეწყვილებული ხის ბოძები ხისავე ოთხკუთხა ბაზისებზე, რ-ებიც ჩასმული იყო იატაკში ამოღებულ ფოსოებში. ცელას ცენტრში, საკურთხევლის თავზე აღმართული იყო ოთხ თავისუფლად მდგომ სვეტზე დაყრდნობილი ორსაფეხურიანი გვირგვინი ცენტრში ფართო ღიობით (ერდო). პორტიკს აღმ-დან და დას-დან, ხოლო ცელას აღმ-დან, დას-დან და ჩრდ-იდან აკრავს დერეფნების სისტემა. დერეფნები (სულ 9 სათავსი) ტიხრებით გაყოფილია სამ ერთმანეთისაგან იზოლირებულ ნაწილად, რ-ებსაც დამოუკიდებელი შესასვლელები აქვთ გარედან (ორ-ორი კარი ყოველ მხარეს). ყოველი სათავსის ჩრდ-ის კედელში ორი სარკმელია გაჭრილი, აღმ. და დას. კედლებში — თითო. გარშემოსავლელს ცალფერდა სახურავი ჰქონდა და წითლად შეღებილი კრამიტით იყო გადახურული.



ს57. გეგმა 1. მთავარი ტაძარი. 2. მცირე ტაძარი. 3. კარიბჭეები. 4. ტაძრები

კრამიტი ორგვარია — ბრტყელი და გვერდებაკეცილი (სიგრძე მერყეობს 0,48-იდან 0,57 მ-მდე). ტაძარს ჩრდ-დან მიდგმული აქვს სწორკუთხა, ცალ მხარეს ღია, ორსვეტიანი ლოჯია-აივანი (11X6,5 მ), რ-იც ტაძართან დაკავშირებულია კარით. სვეტები დასრულებულია თლილი მოყვითალო-თეთრი წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვის ზარისებრი კაპიტელებით (სიმ. 0,4 მ, ქვედა დიამ. 0,42 მ.), რ-ებზეც ლოტოსის გაშლილი ყვავილის რელიეფური ფურცლებია ამოკვეთილი, აბაკა კი შემკულია ორმაგ წნულში მოქცეული ექვსფურცლიანი ვარდულების რიგით. ცელა, პორტიკი და აივანი გადახურული იყო ბანურად, სვეტებზე დაყრდნობილი ერთმანეთთან რკინის ნაჭედი ლურსმნებით გადაბმული ხის კოჭებით. ტემენოსის სამხრ. კუთხეში იდგა ორი სიმეტრიულად განლაგებული ნაგებობა (თითოეულის სიგრ. 46 მ). ამ ნაგებობებით იყო ფლანკირებული მთავარი ტაძრის სამხრ. პორტიკი.

(გ) მცირე ტაძარი შიდა ეზოს ჩრდ. ნაპირის ცენტრ. ნაწილში დგას. ტაძარში შესასვლელი სამხრ-დანაა, ღია, ორსვეტიანი პორტიკიდან, რ-იც შიდა ეზოში გადის და მთავარი ტაძრის ჩრდ. აივნის სიმეტრიულია. პორტიკი ცელას (7,5X8 მ) ორმაგი კარით უკავშირდება. ცელას ცენტრში იდგა ქვიშაქვის კაპიტელით დაგვირგვინებული ცალი სვეტი. საკურთხეველი მოწყობილი იყო ცელას სამხრ.-დას. კუთხესთან. შემორჩენილია თიხატკეპნილი ბაქანი, ისეთივე როგორიც მთავარ ტაძარშია, მაგრამ უფრო მომცრო (1,1X1X0,15 მ). ცელას აღმ-იდან და ჩრდ-იდან გარშემოსავლელი ევლის. მასში მოხვედრაც პორტიკიდან შეიძლება. ტაძარი გადახურული იყო კრამიტის ორფერდა სახურავით. კეხზე ნახმარია სპეც. კეხის კრამიტი (სიგ. 0,6 მ).

მცირე ტაძრის აღმ-ით და დას-ით კედლებით ყოველმხრივ შემოსაზღვრული და ერთმანეთისაგან გამოყოფილი სამ-სამი ოთხკუთხა ეზოა.

ტემენოსის ჩრდ.-აღმ. ნაწილში გაითხარა სამი, ერთმანეთისაგან კედლებით გამოყოფილი ნაგებობა (13XX20 მ), თითოეული მათგანი შედგება კვადრ. ოთახის, ოთახის დას-ით მდებარე დერეფნის და სამხრ-ის მხარეს ღია პორტიკისაგან. ტაძრებს სამხრ-დან და ჩრდ-დან აკრავს ეზოები. ყოველი მეზობელი ტაძრის ეზო ერთმანეთთან გასასვლელითაა დაკავშირებული. ეს სატაძრო კომპლექსები მცირე ტაძრის აღმ-ით მდებარე ეზოებისაგან გამოყოფილია ფართო ქუჩა-გასასვლელით.

ტემენოსის ჩრდ.-დას. ნაწილი ჩრდ.-აღმ. ნაწილის სიმეტრიულია და იქაც

ს57 საერთო ხედი



სამი სატაძრო კომპლექსი გამოვლინდა.

(დ) კარიბჭე (20X22 მ) ორია, ისინი მდებარეობენ ტემენოსის შიდა ეზოს აღმ-ითა და დას-ით. თითოეული შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული ორ-ორი დიდი და მცირე პორტიკისაგან. დიდი პორტიკები (შიდა ზომები 17,2X11 მ) ოთხსვეტიანია და გახსნილია გარეთ. მცირე პორტიკები (შიდა ზომები 11X6,5 მ) კი ორსვეტიანია და ეზოში გადის. მცირე პორტიკების ჩრდ-ით და სამხრ-ით სწორკუთხა სათავსებია (6,5X2 მ), რ-ებიც კარით უკავშირდებიან პორტიკს. შიდა პორტიკების სვეტისთავები მცირე ტაძრისა და მთავარი ტაძრის ჩრდ. აივნის სვეტისთავების მსგავსია. გარეთა პორტიკების კაპიტელები კი მათგან აბაკას ორნამენტით განსხვავდება. აქ ამოკვეთილია ნახევარწრიული ღეროებით ერთმანეთთან დაკავშირებული ლოტოსის სამფურცლიანი პალმეტები და მათ შორის ჩასმულია ექვსფურცლიანი ვარდულები. კარიბჭეები კრამიტით იყო გადახურული.

ტემენოსის ჩრდ-ით, 70 მ-ის მანძილზე, გაითხარა 3 მ სიგანის (ე) კედლის (გალავანი?) მონაკვეთი. აქვე აღმოჩნდა ქვის ორი კაპიტელის ნატეხები. ანალოგიური ნაშთები მიკვლეულია აგრეთვე ტემენოსის დას-ით და სამხრ-ით.

ს. ქ-ის აღმ-ით, უშუალოდ მის მიმდებარე ტერიტორიაზე, გამოვლინდა რიყის ქვით ნაგები კედლების ნაშთები, ძვ. წ. II-I სს-ის კერამ. ნაწარმი და სხვ. სავარაუდოა, აქ მდებარეობდა ტაძრის ქურუმთა (ვ) საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები.

კიდევ უფრო აღმ-ით, ტემენოსიდან 1 კმ მანძილზე, ე. წ. დამპალას წყაროს ჩრდ.-აღმ-ით, დაბალ ბორცვზე აღმოჩნდა ელინისტ. ხანის დასასრულის (ზ) სასახლის ტიპის კაპიტალური ნაგებობის ნაშთები. შენობა გადახურული იყო ს. ქ-ში გამოყენებული კრამიტის მსგავსი წითლად შეღებილი კრამიტით. სასახლის ჩრდ-ით, ბორცვის ძირას მდებარეობდა ამავე ხანის (თ) სამაროვანი.

გვიანდ. ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანაში სასახლის ბორცვის დას. ფერდობზე მდებარეობდა ვრცელი სოფელი. (ი) ნასოფლარზე დიდი რაოდენობით ყრია ქვევრებისა და თიხის სხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, ხელსაფქვავები და სხვ. სოფლის დას-ით გაითხარა ადრინდ. ფეოდ. ხანის ფილაქვებით დახურული რამდენიმე (კ) ორმოსამარხი.

ტემენოსის ჩრდ.-აღმ-ით 400 მ მანძილზე გამოვლინდა ძვ. წ. II-I სს. ტაძრის კუთვნილი (ლ) სახელოსნოები და მონა-ხელოსანთა

სამოსახლო. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი კამაროვანი ქურა უშუალოდ თიხნარ ნიადაგშია მოწყობილი. მის თაღოვან საცეცხლურთან მიწის ზედაპირიდან ეშვება 3 მ სიგრძის პანდუსი. ქურაში (დიამ. 2,4 მ, შემორჩენილი სიღრმე 1,5 მ) აღმოჩნდა კერამ. სადგარები და საკუთრივ ს. ქ-ის ტერიტორიაზე მოპოვებული თიხის ჭურჭლის მსგავსი ჭურჭლის ნამტვრევები. კამაროვანი ქურის აღმ-ით, ორიოდე მ-ის დაშორებით, მდებარეობდა მეორე კერამ. სწორკუთხა ქურა (3X1,3 მ). სავარაუდოა, მას კრამიტის გამოსაწვავად იყენებდნენ.

ქურების გარშემო გაითხარა რამდენიმე სამეურნეო ორმო, რ-ებიც შევსებული იყო გვიანდ. ელინისტ. ხანის არქეოლ. მასალით.

ქურების აღმ-ით, 50 მ-ის მანძილზე, მიკვლეულია თიხის კარიერი, რ-იც შევსებული იყო საკერამიკე ნედლეულიდან გამორჩეული კიროვანი კონკრეციებით და წუნდებული ან ტრანსპორტირების დროს დალეწილი კერამ. ნაწარმით. კარიერში აღმოჩნდა ხუთასზე მეტი გატეხილი კრამიტი, შაბპრიალა და წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის უამრავი ფრაგმენტი, ქვის კაპიტელების რამდენიმე ნატეხი, რკინის წიდა და სხვ. კარიერში მოპოვებული კრამიტი სხვადასხვა ტიპისაა. მათგან მხოლოდ ერთი ტიპია გამოყენებული ს. ქ-ის შენობათა სახურავებზე. დანარჩენი ორი ტიპის კრამიტი, როგორც ჩანს, განკუთვნილი იყო ტაძრებთან დაკავშირებული სხვა ნაგებობებისათვის, რ-ებიც ჯერჯერობით არაა მიკვლეული. წუნდებული მასალის რაოდენობა, აგრეთვე კარიერის ზომები, მიუთითებს სატაძრო სახელოსნოს წარმოების დიდ მასშტაბებზე. როგორც ჩანს, კერამ. საწარმოს მახლობლად მდებარეობდა ქვის დამმუშავებელი სახელოსნო და სამჭედლოები.

057. გეგმა-აქსონომეტრია



გვიანდ. ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანაში ელინისტ. ხანის სატაძრო ხელოსანთა ნასახლარზე (მ) სოფელი არსებობდა. გაითხარა IV-V სს. კულტ. ფენები და ფილაქვებით გადახურული რამდენიმე ორმოსამარხი. სარწყავი სისტემის მშენებლობის დროს აქვე გამოვლინდა ამავე პერიოდის თიხის სარკოფაგიც.

ხელოსანთა სამოსახლოს სამხრ-ით და ტემენოსის დას-ით, 280 მ მანძილზე, მდებარეობს ადრინდ. ფეოდ. ხანის (ნ) ნასოფლარი. გაითხარა რიყის ქვით ნაგებ ნახევრად მიწურ შენობათა ნაშთები. აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი არქეოლ. მასალა (კერამიკა, ქვის ნაწარმი, ძვლები). აღსანიშნავია VIII ს-ის არაბული ვერცხლის დირჰემის აღმოჩენა. საყურადღებოა, რომ ნასოფლარზე აღმოჩნდა წისქვილის დოლაბი, რაც მიუთითებს აქ წყლის (ო) წისქვილისა და, შესაბამისად, რუს არსებობაზე ადრინდ. ფეოდ. ხანაში.

ელინისტ. და გვიანდ. ანტ. ხანის (პ) ნასოფლარი და სამაროვანი მდებარეობს ტემენოსის ჩრდ.-დას-ით, 600 მ-ზე, ფცის საბჭ. მეურნეობის ტერიტორიაზე. აქ რამდენიმე ჰა ფართობზე ხნულში აიკრიფა თიხის ჭურჭლის ნატეხები. ხვნის დროს დაზიანებულ სამარხში აღმოჩნდა წითლად გამომწვარი თიხის ხელადა.

დედოფლის მინდვრის განაპირას, სამხრ-ით, ე. წ. ყვავის საყდრის აღმ-ით, ადგილ მოხვლეულებში მდებარეობს ტაძრის თანამედროვე, გვიანდ. ელინისტ ხანის (რ) ნასოფლარი და სამაროვანი. მოპოვებულია მრავალფეროვანი არქეოლ. მასალა: წითლად და შავად გამომწვარი კერამიკა (მ. შ. კოლხური ქვევრები და დას. საქართველოდან შემოტანილი თიხის სხვა ნაწარმი), ხელსაფქვავები, კირქვის ბომონის ფრაგმენტი და სხვ. ორმოსამარხებში, რ-ებშიც მიცვალებულები ესვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, აღმოჩნდა წითლად მოხატული დოქები და ქუსლიანი ჯამები, შავპრიალა თიხის ჭურჭელი (ხელადები, პროფილირებულნაპირიანი ჯამები, ნახევარსფერული თასები), ფერადი ქვისა და მინის მძივები, ბრინჯაოს სამაჯურები და სხვ. სამკაული.

ნასოფლარის დას-ით, დედოფლის მინდვრისა და ფცის საბჭოთა მეურნეობების საზღვარზე მდებარეობს ანტ. ხანის სამაროვანი (აღმოჩენილია თიხის ორი ხელადა). აქვე, დედოფლის მინდვრის დამეწყრილ ნაპირზე ნაპოვნია ბრინჯაოს კოლხური ცული და ძვ. წ. VII-VI სს. რამდენიმე სხვა არქეოლ. ნივთი.

ადრინდ. ფეოდ. ხანის (ს) სამარხები (ქვაყუთები) აღმოჩნდა ს. ქ-ის სამხრ-ით, ტაშისკარის არხის მარჯვ. ნაპირას, აგრეთვე ორ ადგილას: დედოფლის მინდვრის განაპირას, ჩრდ-ით, კვერნაქის სერის სამხრ. ფერდობზე, ე. წ. პარასკევას გორაზე, და სისხლის ჯვრის მახლობლად.

ე. წ. დამპალას წყაროსთან, ტემენოსის სამხრ.-აღმ-ით, 600 მ-ზე, მდებარეობს გვიანდ. ბრინჯაოს ხანის (ტ) ყორღანული სამაროვანი. ორ დაზიანებულ სამარხში აღმოჩნდა ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულის ლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

დედოფლის მინდვრის აღმ. ნაპირას შემორჩენილია გვიანდ. ფეოდ. ხანის (უ) კოშკის და სხვა ნაგებობათა ნაშთები. იქვე მახლობლად მიწის თხრის დროს შემთხვევით აღმოჩნდა თაბაშირის მცირე ზომის პართული ხელობის ქანდაკების ნატეხი – ქალის თავი მაღალი თავსაბურავით და საყურეებით. ქანდაკება მოოქრული ყოფილა. თარიღდება ძვ. წ. I ს-ით.

(ფ) დედოფლის მინდორზე ზედაპირულად აიკრიფა და გათხრების დროს გამოვლინდა ძვ. ქვის ხანის (უპირატესად გვიანდ. აშელური და მუსტიეური) კაჟის, არგილისტისა და ბაზალტის იარაღები და ანატკეცები. საყურადღებოა ორი აშელური ხელნაჯახი, რ-თაგანაც ერთი აღმოჩნდა კონგლომერატში არადეთის ორგორის ჩრდ.-დას-ით.

დედოფლის მინდვრის არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

დედოფლის მინდორზე აღმოჩენილი ს. ქ. მიეკუთვნება ძველ-აღმოსავლური ტაძრების ტიპს, რ-მაც დასრულებული სახე აქემენიდთა ხანაში მიიღო (ცეცხლის ტაძარი სუზაში,

ძვ. წ. IV ს.) ტაძრისა და ტემენოსის სხვა ნაგებობათა გეგმას, საშენ. ხერხებსა და ცალკეულ ხუროთმოძღვრულ დეტალებს ანალოგები მოეძებნება წინა აზიისა და შუა აზიის ელინისტ. ხანის ძეგლებშიც (პერსეპოლისის ე. წ. ფრატადარას ტაძარი, ძვ. წ III ს.: სირიის ნაბატეველთა ტაძრები, ძვ. წ. I-ახ. წ. I სს.: პართული ნისას ოთხსვეტიანი კვადრ. დარბაზი. ძვ. წ. III-II სს. და სხვ.). ამავე დროს დედოფლის მინდვრის ნაგებობებს ახასიათებს რიგი თავისებურებებისა, რ-თაც არ მოეძებნებათ ანალოგები აღმოსავლეთში (მაგ.: მთავარი ტაძრის ჩრდ. პორტიკი: სრულიად თავისებურია კაპიტელებიც).

აღმ. საქართვ. ტერიტორიაზე წინაქრისტ. ხანის კაპიტალურ საკულტო ნაგებობათა მთელი სისტემის აღმოჩენა ადასტურებს მაღალორგანიზებული წარმართული კულტის, რთული საკულტო რიტუალისა და განვითარებული სატაძრო მეურნეობის არსებობას ანტ. ხანის იბერიაში.

ბიბლ.: 61 *გ. ი.*

058. ყვავის საყდარი, არქიტ. ძ. დგას დაბა აგარის ჩრდ.-აღმ-ით 4 *კმ*-ზე, ერცელი მინდვრის (დ ე დ ო ფ ლ ი ს მ ი ნ დ ო რ ი) განაპირას. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. მიმდებარე ტერიტორიები გამოყენებულია სახნავად.

ეკლ. დარბაზულია (7,5X3,9 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი დას-ძანაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო სარკმელია, რ-ის ძირშიც სატრაპეზოა მიშენებული. ერთი ვიწრო სარკმელი დას. კედლის ცენტრშია. გრძივი კედლები წყვილი პილასტრით ირ მონაკვეთად იყოფა. ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი პილასტრების მარტივ კაპიტელებს ეყრდნობა. დარბაზი მთლიანად შელესილია და სავარაუდოა, რომ მ ო ხ ა ტ უ ლ ი ც იყო. ეკლ. დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. ყველა ფასადი მორთულია აგურით გამოყვანილი, უსწორო ფორმის დეკორატ. თაღედით. ლავგარდანი შედგენილია თაროს, ოდნავ ამოღარული წრეთარგისა და ლილვისაგან. *მგ. მ.*

# დვანი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

059. დ ვ ა ნ ი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. აღმ. ფრონის ნაპირას, ქარელიდან 20 *კმ*.

სოფ. დ-ში გაითხარა ძვ. წ. VIII-VII სს. (ა) ნ ე კ რ ო პ ო ლ ი. აღმოჩენილი არქეოლ. მასალით დასტურდება აქ სკვითებისა და კიმერიელთა ტომების შემოჭრის ფაქტი. დ-ის ახლოს, გორაზე დგას შუა ფეოდ. ხანის კოხისჯერის წმ. გიორგის ეკლ., სადაც იმართებოდა რიტუალური დღესასწაული — ხატობა, ე. წ. კ ვ ა რ თ ა ო ბ ა. ფეოდ. საქართველოს ერთიანობის ხანაში დ. ქართლის საერისთავოერისთავოში შედიოდა, ხოლო ფეოდ. საქართველოს პოლიტ. დაშლის შემდეგ, XVI ს-დან — ქსნის ერისთავთა სათავადოში.

ბიბლ.: 69:82-83; 89:374; 201ა:394 *ქ. ქ.*

060. გორა სამნიფერდა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 900 *მ*-ზე, მდ. დვანისწყლიდან 100 *მ* სიმაღლეზე, ადგილ სამნიფერდაზე. ძ. ორფენიანია. I ფენა თარიღდება ადრინდ. ბრინჯაოს, ხოლო II ფენა — გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის ხანით. იპოვება თიხის ჭურჭლის ნატეხები, ხელსაფქვავის ქვები. *ჯ. გ.*

061. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ტახტიზურგა მთის სამხრით, ხელოვნური თხრილით გამოყოფილ ბორცვზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. ბორცვის ხელოვნურად მოსწორებულ ზედაპირზე შეინიშნება რიყის ქვით უდუღაბოდ ნაგებ შენობათა საძირკვლის ნაშთები. იპოვება შავად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. ნ. დაცულია მიწის პუმუსოვანი საფრის ქვეშ. *ნ. ა.*

062. ნამოსახლარი, სამაროვანი, სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, ადგილ სოლოფერდაზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. სოლოფერდას ბორცვზე ხელოვნური თხრილით გამოყოფილია ბორცვის წვერი, რ-ის ზედაპირი მოსწორებულია.

(ა) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ზ ე ჩანს რიყისა და ნატეხი ქვის მშრალი წყობით ნაგებ შენობათა საძირკვლის ნაშთები.

(ბ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი მდებარეობს ე. ნადირაძის ვენახში. გამოვლინდა მიწის სამუშაოების დროს. ორმოსამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდ.-დას-კენ. აღმოჩნდა ბრინჯაოს ფოთლისებური და კახური ტიპის სატევრები, აღმ. ამიერკავკასიური ცული, შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, ლორის გახვრეტილი ეშვი და სხვ. მასალა დაცულია ქ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

(გ) ს ა მ ა რ ხ შ ი (ორმოსამარხი) მიცვალებული დაკრძალულია ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდ.-დას-კენ. აღმოჩნდა ბრინჯაოს ორყურა ქუსლიანი ქვაბი და შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი. მასალა დაცულია სოფ. დვანის საშ. სკოლაში. *ნ. ა.*

063. ნამოსახლარი, სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, ადგილ სოლოფერდას ძირებზე, ს. კოპაძის კარმიდამოში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. მიწის სამუშაოების დროს გამოვლინდა შავად გამომწვარი, უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები.

(ა) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ზ ე შეინიშნება რიყის ქვის მშრალი წყობით ნაგები შენობების საძირკვლის ნაშთები. ნამოსახლარი სოლოფერდას გორის ნამოსახლარის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენს.

(ბ) ს ა მ ა რ ხ შ ი მიცვალებულები დაკრძალული იყო ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდ.-დას-კენ. აღმოჩნდა შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი. მასალა დაცულია ქ. ცხინვალის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. *ნ. ა.*

064. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, ტახტიზურგა მთის ფერდობზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. შეინიშნება ნატეხი ქვით ნაგებ შენობათა საძირკვლის ნაშთები. იპოვება უხეშკეციანი წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლისა და ქვევრის ნამტვრევები. *ნ. ა.*

065. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, მთის ბუნებრივად მოსწორებულ წვერზე (ფართ. 2 *ჰა*), წმ. გიორგის ეკლესიასთან. სამი მხრიდან ღრმა ხევები ჩაუდის, მისასვლელი გზა მხოლოდ ჩრდ-იდანაა. თარიღდება ფეოდ. ხანით ე კ ლ ე ს ი ი ს გარშემო შეინიშნება სხვადასხვა ნაგებობის კვალი. იპოვება კერამ. ჭურჭლისა და კრამიტის ფრაგმენტები. კულტ. ფენა მიწითაა დაფარული. *ლ. მ.*

066. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 3 *კმ*-ზე, ეკლესიასთან, ძვ. სასაფლაოზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობის საძირკვლის ნაშთები. *ლ. მ.*

067. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, ადგილ ბელაანთკარში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. შეინიშნება რიყისა და ნატეხი ქვით ნაგებ შენობათა საძირკვლის ნაშთები. იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლისა და ქვევრების ნამტვრევები. ნ. დაცულია მიწის პუმუსოვანი საფრის ქვეშ. *ნ. ა.*

068. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით 1 *კმ*-ზე, თეთრობიანთ მინდორზე, მდ. აღმ. ფრონის მარჯვ. ნაპირას. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. აღმოჩნდა შენობათა საძირკვლის ნაშთები, წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლისა და დიდი ქვევრის (გარეთა პირი შელესილია კირის ხსნარით) ნამტვრევები. ნ. დაცულია მიწის პუმუსოვანი ფენის ქვეშ. *ნ. ა.*

069. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, ადგილ საკვირიკეში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. შეინიშნება ორიოდე ნასახლა-

რი. იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. *ნ. ა.*

070. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, ადგილ წინაუბანში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. მიწის ხვნის დროს წლების მანძილზე ვლინდება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, სქელკეციანი დიდი ზომის ქვევრისა და წისქვილის ქვის ფრაგმენტები. შენობათა შემორჩენილი საძირკვლის ნაშთები ნაგებია რიყის ქვის მშრალი წყობით. *ნ. ა.*

071. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, ადგილ წყაროევენახებში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. აღმოჩენილია რამდენიმე ნასახლარი და რიყის ქვის მშრალი წყობით ნაგები ყორის ნაშთი. იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. *ნ. ა.*

072. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, ადგილ კიბრაეაში თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. ს. შედგება რამდენიმე ორმოსამარხისაგან, რ-ებშიც მიცვალებულები ესვენა ხელფეხმოკეცილი, მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, თავით ჩრდ.-დას-კენ. ს-ში აღმოჩნდა შავად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ერთი მასრაგახსნილი შუბისპირი. *ჭ. ლ.*

073. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ადგილ სამნიფერდას ჩრდ.-აღმ-ით, 100 *მ*-ზე, მთის ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. წვიმისგან ჩამორეცხილ ფერდობზე გამოჩნდა რამდენიმე სამარხი - კლდის ბრტყელი ფილაქვებით შედგენილი ქვაყუთები. სამარხში მიცვალებულები დაკრძალულია უინვენტაროდ ქრისტ. წესით, გამართული, თავით დას-კენ. *ნ. ა.*

074. ქვაყუთი, არქეოლ. ძ. აღმოჩენილია სოფელში, ადგილ გამარჯობათახოში. თარიღდება ფეოდ. ხანით. აღმოჩენილია შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს. ქ. შედგენილია მოზრდილი ფილაქვებისაგან. სამარხში დაკრძალულია 7 მიცვალებული ქრისტ. წესით — უინვენტაროდ, გამართული, თავით დას-კენ. სამარხი დაზიანებულია. *ნ. ა.*

075. ქვევრსამარხი, არქეოლ. ძ. აღმოაჩინეს შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს, სოფელში, ადგილ საკვირიკეში. თარიღდება ელინისტ. ხანით. ქ. მიწაში ჰორიზონტალურად იყო ჩაფლული. მიცვალებული ესვენა ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდ.-დას-კენ, უინვენტაროდ. ქ დაზიანებულია. შემორჩენილია ქვევრის ნამტვრევები და ადამიანის ჩონჩხის რამდენიმე ფრაგმენტი. *ნ. ა.*

076. ქვევრსამარხი, არქეოლ. ძ აღმოაჩინეს სოფელში, ადგილ ტახტიზურგაზე. თარიღდება ელინისტ. ხანით. მიწაში ჩაფლული იყო ნახევრად წაქცეული ქვევრსამარხი, რ-შიც ესვენა ხელფეხმოკეცილი მიცვალებული თავით ჩრდ.-დას-კენ. *ნ. ა.*

077. წმინდა გიორგის ეკლესია, ეკლესია წმინდა გიორგი კვართისა, კოხიჯვარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით 1 *კმ*-ზე, კონუსური მთის წვერზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება VI ს-ის III მეოთხედით (ნ. ჩუბინაშვილი). გვიანდ ფეოდ ხანაში ეკლესიის გარე კედლებისათვის რიყის ქვით დაუშენებიათ მაღალი სათავდაცვო კედლები.

ეკლ. ოთხკუთხედში ჩაწერილი ჯვრის ტიპის ცენტრ.-გუმბათოვანი ნაგებობაა. დას-დან და სამხრ-დან გარშემოსავლელი აქვს. სამხრ-ის გარშემოსავლელი აღმ-ით დასრულებულია აფსიდით, რ-ის ღერძზე პატარა ოთხკუთხა სარკმელია. გარედან ჯვარ-გუმბათოვანი კომპოზიცია გამოვლენილია ოთხივე ფასადზე ორფერდა სახურავით გადახურული მკლავების ფრონტონებით და პირამიდულსახურავიანი რვაწახნაგა გუმბათით (გვიანდ. მინაშენები თითქმის მთლიანად ფარავს ადრინდ. ნაგებობის სტრუქტურას).

ეკლ. ნაგებია ღია მომწვანო-მორუხო ფერის სწორად გათლილი და დაწყობილი ნატეხი ქვით, გამოყენებულია რიყის ქვაც. არქიტრავული შესასვლელი ორია — სამხრ-ით და დას-ით ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. ოთხკუთხა სარკმელი ეკლესიის სამხრ. კედელშია. კამარით გადახურული დას-ის მკლავი (საქალებო) ღრმაა და გუმბათქვეშა სივრცისაგან გამოყოფილია პილასტრებით. სამხრ-ის და ჩრდ-ის მკლავების მცირე ჩაღრმავებას ახრულებს ნახევარწრიული კედლის თაღები, რ-ებიც ეყრდნობა თაროსებრ იმპოსტებს. გუმბათი ეყრდნობა კედლებს. გუმბათქვეშა კვადრატიდან რვაწახნაგა გუმბათის ყელზე გადასვლა ხდება რამდენიმე საფეხურით — ოთხი ტრომპის საშუალებით არაწესიერ რვაკუთხედზე, მცირე ტრომპებისა და ჰორიზონტალურად და გვერდულად დაწყობილი ქვებით — არაწესიერ თექვსმეტგვერდაზე, შემდეგ — არაწესიერი წრით შეკრულ გუმბათის ნახევარსფეროზე.



077. გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

აღმ. ფასადზე სარკმლის ზედა, ოდნავ ნალისებრი ნაწილი გამოყვანილია სუფთად გათლილი ქვებით და მთელი კედლის სისქეში ჩადგმულია მუქი წითელი ფერის მთლიანი ვიწრო საკეტი ქვა.

ბიბლ.: 348 *კ. ს.*

## დირბი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

078. დირბი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს ქართლის ვაკეზე, აღმ. ფრონის მარჯვ. ნაპირზე, ქ. ქარელიდან 16 *კმ*.

საისტორიო წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით დ-ის მონასტერი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტის (ირჩევდნენ ქართლის მეფეები) რეზიდენცია იყო.

1650 წ. როსტომ მეფემ განუახლა დ-ის მონასტერს შეუვალობის წიგნი, გაათავისუფლა სამეფო გადასახადებისგან (გარდა ლაშქრობა-ნადირობის მოვალეობისა) და დაუტოვა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გადასახადი — 6000 თეთრი გასაგზავნად „ვერცხლად იერუსალიმს". დ ი რ ბ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა შედიოდა მროველის (რუისის საეპისკოპოსოს) სამწყსოში, ხოლო მამულების მმართველი იყო ჯვარის მამა ნიქოზელი (ნიქოზის ეპისკოპოსი). 1785 წ. მეფე ერეკლე II ბრძანებით დ-ს კვლავ განუახლა შეუვალობა. მანვე, როდესაც ლეკთა წინააღმდეგ საბრძოლველად ქართლის სამეფო ოლქებად, სამდევროებად დაყო, სოფ. დ-ს მიმდებარე სოფლებით მეოთხე ადგილი მიაკუთვნა, რაც იქ არსებული ციხესიმაგრის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

(ა) 1745 წ. დ-ის ციხეს, რ-იც იოანე ხერხეულიძეს გაუმაგრებია, ლეკების ჯარი შემოერტყა. დირბელებს მიეშველნენ თეიმურაზ II და ერეკლე II გაერთიანებული ჯარით. ქართველთა ლაშქარმა გაიმარჯვა და დ. გაანთავისუფლა.

(ბ) დირბის ციხესიმაგრემ იხსნა

მოსახლეობა ტყვეობისა და გაძარცვისაგან 1753 წ. ლეკებთან ბრძოლის დროს.

(კ) 1902 წ. 6 აგვ. და 1903 წ. გაზაფხულზე დ-ში მოხდა აგრარულ-რევოლუციური ხასიათის გამოსვლები. მემამულეებმა მოითხოვეს გლეხებს მოუსავლიანობის გამო ღალა ფულით გადაეხადათ. ამან გამოიწვია გლეხების უკმაყოფილება. მდგომარეობა გაამწვავა გზის დაკეტვამ და საძოვრების სახნავად გადაქცევამაც. გლეხები თავს დაესხნენ მონასტერს, იერიში მიიტანეს კანცელარიაზე და გამოიხსნეს იქ დაკავებული თანასოფლელები. სოფელში შეიარაღებული რაზმის თანხლებით ჩაიდა მაზრის უფროსი, დააპატიმრეს 17 გლეხი.

(ლ) დ-ში დაიბადა ცნობილი ქართ. მწერალი ს ო ფ რ ო მ მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი (1851-1925 წწ.)

*ბიბლ.:* 46:68; 69:300; 80:374; 201:180 *ქ. ქ.*

**079. ᲖᲔᲜᲐᲯᲕᲠᲘᲡ ᲒᲝᲠᲐ**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით 400 *მ*-ზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს. ადრინდ. რკინის ხანით. ზ. ბ. ერთფენიანია. გორაზე იპოვება შავად გამომწვარი შავპრიალა, ლეგაპრიალა თიხის ჯამები, აგრეთვე ხელსაფქვავის ნატეხები. *ჯ. გ.*

**080. ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ტერიტორიაზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ზომის ქვევრის ფრაგმენტები და სხვ. *ნ. ა.*

**081. ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲘ**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, ადგილ ნაფუძარებში. თარიღდება ფეოდ. ხანით. თიხის კუბოში ჩასვენებული იყო თავით ალმ-კენ დამხრობილი ერთი მიცვალებული. არქეოლ. მასალა დაცულია ქ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. *ნ. ა.*

**082. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ და ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ**, არქიტ., მონუმ. ხელოვნ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, მთის ფერდობზე, მდ. ალმ. ფრონის მარცხ. ნაპირზე. ადგილ სერებში. თარიღდება ადრინდ. და გვიანდ. ფეოდ. ხანით. კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ეკლესია, სამრეკლო, გალავანი და სხვადასხვა ნაგებობის ნაშთები.

(ა) ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა (7,7X10,3 *მ*) ამჟამად სამნავიანი ბაზილიკაა. თავდაპირველად მცირე ზომის დარბაზული ნაგებობა ყოფილა, რ-ისგანაც პირვანდელი სახით გადარჩენილია ალმ. ფასადი მთლიანად, დას. ფასადის ნაწილი და ინტერიერის ზოგიერთი მონაკვეთი; ნაგები იყო კარგად დამუშავებული მოზრდილი შინდისფერი ბაზალტის კვადრებით; გადაკეთების დროს გამოყენებულია აგური. ეკლესიაში შესასვლელი სამხრ. მინაშენიდანაა. შექმნილი სივრცე გაყოფილია სამ ნავად. გვერდის და შუა ნავებს ჰყოფს წყვილი ნახევარწრიული თაღი. თაღები მასიურ ოთხკუთხა ბურჯებსა და ალმ-ისა და დას-ის კედლებს ეყრდნობა. ინტერიერის თავდაპირველი სიმაღლე შენარჩუნებულია. სამივე ნავს ალმ-ით წრის მეოთხედის ფორმის მცირე აფსიდები აქვს. აფსიდების თაღები შეისრულია. აფსიდების წინ აგურის შელესილი დაბალი კ ა ნ კ ე ლ ე ბ ი დგას. ეკლესიის კედლები შელესილი და მთლიანად მოხატული ყოფილა.

შუა ნავის საკურთხეველში, ჩრდ. კედელზე და ბოძებზე შემონახულია გვიანდ. ფეოდ. ხანის (ბ) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები. საკურთხეველში შემორჩენილია მოხატულობის ქვედა ორი რეგისტრი: ზემოთ — *მოციქულთა ზიარება* (მოციქულები, ადგილის სიმცირის გამო, მუხლზევით არიან გამოსახული, რის გამოც კომპოზიცია სიმჭიდროვის და დაუსრულებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს), ქვემოთ — ეკლესიის მამანი გრაგნილებით ხელში. საკურთხევლის სარკმლის წირთხლზე ანგელოზის ფრთის ფრაგმენტი ჩანს. მოხატულია კანკელის ზედა ნაწილიც: კედლის ზედაპირიდან რამდენადმე ჩაღრმავებულ ფონზე ორ რიგად წარმოდგენილია წმინდანთა ბიუსტები. თითოეული გამოსახულება სწორკუთხა ჩარჩოშია მოქცეული (ჩარჩო გამოყვანილია ნალესობით). ჩრდ. კედლის ალმ. მონაკვეთზე შემორჩენილია მოწითალო-ყავისფერი საღებავით შესრულებული რესტრიქონიანი ასომთ. წარწერა (დაფარულია ბათქაშით), ხოლო დას. მონაკვეთზე — ცხენზე შუბშემართული წმ. გიორგის ფიგურა, ცხენის ფლოქვებქვეშ დიოკლიტიანეს გამოსახულება გაირჩევა. ეკლესიის ბოძების ჩრდ. და სამხრ. მხარეს წმინდა მეომართა დიდი ზომის ფიგურებია. ქვემოთ მოხატულობას მთელ სიგრძეზე გასდევს იატაკიდან დიდი მანძილით დაცილებული ორნამენტის ფართო ზოლი. პილასტრებისა და ბურჯების ვიწრო მხრები შევსებულია მცენარეული ორნამენტით. კოლორიტი მონაცრისფრო-ცისფერ, ყვითელ, მოვარდისფრო-ყავისფერ, თეთრ და ღია მწვანე ფერთა შეხამებაზეა აგებული.

ალმ. ფასადის ცენტრში საკურთხევლის სარკმლის ზედა არე ჩუქურთმითაა მორთული. ჩუქურთმა ჩასმულია წრიულ ჩარჩოში (წრეს მხოლოდ ერთი მეოთხედი აკლია სარკმლის ჭრილის ასწვრივ), რ-იც სარკმლის ზედა თაღოვან ნაწილთან ერთად ერთ სწორკუთხა ქვაშია ამოკვეთილი. სარკმლის დანარჩენი არე მოურთველია. წრეში უსისტემოდაა მოცემული სხვადასხვა ზომის სხვადასხვა მოტივი. ერთ კუთხეში ადამიანის წელზედა დაყირავებული გამოსახულებაც გაირჩევა. ზედა მარჯვ. კუთხეში ვრცელი ასომთ. წარწერაა (იკითხება ცალკეული სიტყვები). ორნამენტებისა და წარწერის კვეთა გრაფიკულია. ამ ფასადის თაროსებრი მასიური ლავგარდნებიც ადრინდ. ფეოდ. ხანისაა.

ეკლ. გვიანდ. ფეოდ. ხანაში საფუძვლიანად გადაუკეთებიათ. სამხრ-ით და ჩრდ-ით მისთვის მთელ სიგრძეზე მინაშენები მიუდგამთ და მთელი ნაგებობა ერთ ან ორფერდა სახურავქვეშ მოუქცევიათ. ძვ. ეკლესიის ფრონტონის კუთხე დატოვებულია უცვლელად.

(გ) მ ი ნ ა შ ე ნ ე ბ ი ს (ლავგარდანი და კედელი) საშენი მასალა ძვ. ეკლესიის მასალის მსგავსია, მაგრამ დამუშავებულია უხარისხოდ, კედლის წყობაც აშკარად განსხვავდება ძველისაგან. მინაშენების კედლები ფასადის ცენტრ. (ძველ) ნაწილთან არ არის გადაბმული.

სამხრ. მინაშენის ალმ. ფასადის ცენტრში ჩასმულია სომხურწარწერიანი ჯვრები (ხაჩქარები). მინაშენის სამხრ. ფასადი აგურისაა და მორთულია დეკორატ. ისრული თაღებით.

ეკლესიის სამხრ. შესასვლელის წინ, ორიოდ *მ*-ზე ორსართულიანი (დ) ს ა მ რ ე კ ლ ო (5,2X4,8 *მ*) დგას. აშენებულია გვიანდ. ფეოდ. ხანაში, ეკლესიის გადაკეთების დროს. ნაგებია აგურით. კედლები გარედან შელესილი ყოფილა. სამრეკლო კუბური ფორმის მასიური ნაგებობაა. მისი ქვედა სართული გახსნილია ფართო თაღებით (სავარაუდოა, აქ ეზოში შესასვლელი კარიბჭე იყო), კედლებში II სართულზე ასასვლელი ვიწრო კიბეა დატანებული. II სართული ღია ფანჩატურს წარმოადგენს, გადახურულია კირხსნარით დაბეტონებული მასიური ისრული გუმბათით, რ-საც კონუსური სახურავი ადგას. I სართულის დას. ფასადის კუთხეში, მომწვანო ფერის ოთხკუთხა ქვაზე ამოკვეთილია ასომთ. წარწერა.

კომპლექსს შემოვლებული ჰქონდა (ე) გ ა ლ ა ვ ა ნ ი. მისგან ჩრდ. და ალმ. ნაწილების ნანგრევებია გადარჩენილი. კომპლექსის დანარჩენი ნაგებობების ნაშთები გალავნის გარეთ (80 *მ*-ზე) მდებარეობს.

(ვ) ნ ა ს ო ფ ლ ა რ ზ ე (ფართ. 2-2,5 ჰა) იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, ქვევრის პირგვერდის ფრაგმენტები, აქვეა მარანი ჩამტვრეული ქვევრებით. სამეურნეო ნაგებობათა ნაშთების დიდი ნაწილი მიწითაა დაფარული. *დ. ფ., ლ. მ., მგ. მ., ნ. ა.*

**083. ᲧᲕᲔᲚᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-ალმ. ნა-

წილში, ციხის უბანში, ციხე-დარბაზის ჩრდ-ით 20 მ-ზე. აგებულია XIX ს-ის ბოლოს. ეკლ. დარბაზულია (13,5X7,3 მ), ნაშენია რიყის ქვითა და აგურით, გარე კუთხეები და ინტერიერის კონსტრ. ნაწილები შირიმისა და ბაზალტის თლილი კვადრებითაა ამოყვანილი. შესასვლელი სამხრ-ით და ჩრდ-ით აქვს. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო სარკმელია, გვერდებზე კი — სათავსები. ეკლ. შიგნით შელესილი და შეთეთრებულია. ფასადების წყობაში აგურის რიტმული მწკრივები დეკორის შთაბეჭდილებას ქმნის. აღმ. და დას. ფასადების ფრონტონების ქვეშ აგურით გამოყვანილია ჯვრები. ასეთივე ჯვარი (დაზიანებულია) ყოფილა სამხრ. ფასადზეც, კარის თავზე. ამ კარის გვერდებზე ორი შეისრულთაღოვანი ნიშია, რ-ებშიც მოზრდილ ქვებზე ნაკვეთი ხაჩქარებია ჩასმული. აღმ. ხაჩქარს ვრცელი სომხ. წარწერა ახლავს. სახურავი ორფერდაა. შენობა ამჟამად გადახურულია შიფერით. ეკლ. სომხურია. მგ. მ.

084. ციხე-დარბაზი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, ჩრდ.-აღმ-ით, მთაზე. თარიღდება XVII ს-ის მიწურულითა და XVIII ს-ით. ნაგებია რიყის ქვით. ც-დ-ის წაგრძელებული ფორმის ტერიტორია (29,7X X9,6 მ) ინტენსიურადაა განაშენიანებული. მის ვიწრო ბოლოებში თითო კოშკი დგას, შუა ნაწილში სამსართულიანი ნაგებობის (სახლი) ბანი ეზოდ იყო გამოყენებული. ერთადერთი შესასვლელი ეზოს აღმ-დან ჰქონდა.

(ა) სამსართულიანი ნაგებობის I სართულის კედლებში მხოლოდ სარკმლებია, ხოლო ზედა ორი სართულის კედლებში — სარკმლები, სათოფურები და ბუხრები. ამგვარად, შენობა ერთდროულად საცხოვრებელიც ყოფილა და თავდასაცავიც. კედლების სისქე 1 მ-ია. აღმ. კედელი გარედან გამაგრებულია სამი კონტრფორსით.

(ბ) ჩრდ-ის ოთხკუთხა კოშკი ხუთსართულიანია. იგი უკეთ არის შემონახული. პირველი სართული ყრუკედლებიანი დამხმარე სათავსია. ამ სართულის ნახევარი პირველ სამშენ. ფენას მიეკუთვნება, დანარჩენი შემდეგაა დაშენებული. კოშკის II, III და IV სართულებს შესასვლელი ცალ-ცალკე აქვს ეზოდან. ეს სართულები აღჭურვილია საყოფაცხოვრებო ელემენტებით, აქვს სათოფურებიც. V სართული საბრძოლო ბანია. მას მალალქონგურებიანი კედლები აქვს.

(გ) მცირე კოშკი (4X5 მ) ნახევრად მრგვალია; ძლიერ დაზიანებულია, ნაწილობრივ შემორჩენილია სამი სართული. ყველა სართულზე სარკმლები და სათოფურებია, II სართულზე ბუხარიცაა.

ბიბლ.: 302. ზ. კ.

085. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით 300 მ-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დაზიანებულია: ჩამოქცეულია კამარა, დანგრეულია კედლების ზედა ნაწილები, დარღვეულია იატაკის დონე.

ეკლ. დარბაზულია (11X5,9 მ), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვითა და რიყის ქვით. პილასტრები და საბჯენი თაღები თლილი ქვიშაქვისაა. შესასვლელი ორი აქვს — დას-ით (ამოშენებულია) და სამხრ-ით. სამხრ. შესასვლელი შიგნიდან შეისრული, ხოლო გარედან ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. აფსიდში ერთი სარკმელია, მის გვერდებზე — ღრმა ნიშები. ორი სარკმელი სამხრ-ითაა. დარბაზის გრძივი კედლები და ნახევარწრიული კამარა დანაწევრებულია წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრით და მათზე გადასული საბჯენი თაღით. შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

ფასადების გრძივ კედლებზე თაროსებრი ლავგარდნის ფრაგმენტებია. ვ. ქ.

085. გეგმა



086. წმ. გიორგის ზედაჯვრის ეკლესია, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება X ს-ით. ეკლ. დაზიანებულია: მთლიანად დანგრეულია დას. კედელი, ნაწილობრივ სამხრ. კედელი.

ეკლ. დარბაზულია (9,6X6,4 მ), ნაგებია უხეშად დატეხილი, პირგათლილი მოზრდილი ლოდებით, დარბაზის პილასტრები და სატრიუმფო თაღი თლილი ქვისაა. შესასვლელი სამხრ-დანაა (სავარაუდოა, რომ დას-დანაც იყო). ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილია სარკმელი, რ-ის გვერდებზე ღრმად შეჭრილი ნახევარწრიული ნიშებია. თითოეული ნიში 2 მ-ის სიმაღლისაა და იწყება იატაკიდან 0,3 მ-ზე, აქვს ბრტყელი გადახურვა. დარბაზის გრძივი კედლები და ნახევარწრიული კამარა დანაწევრებულია წყვილი პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით. თაღის ქუსლებთან ქვის თაროსებრი კაპიტელებია.



086. გრძივი განაკვეთი ჩრდ- კენ. გეგმა

(ა) დარბაზის კედლები და კამარა მთლიანად იყო შელესილი და მოხატული. ამჟამად შემორჩენილია აფსიდის კომპოზიცია და მოხატულობის დაზიანებული ფრაგმენტები სამხრ. კედელზე. აფსიდის კონქში გამოსახულია *ვედრების* კომპოზიცია. ქრისტე ზის ორნამენტით და ძვირფასი ქვებით შემკულ ტახტზე. იგი მარჯვ. ხელით აკურთხებს, მარცხენაში უჭირავს გადაშლილი სახარება, რ-შიც იკითხება ასომთ. შესრულებული ტექსტი. სამხრ. კედელზე გაირჩევა სამეფო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცის ფიგურა, ცხენოსანი და მის უკან კიდევ ორი გამოსახულება. პილასტრების ვიწრო მხარეებზე შემორჩენილია კიბისებრი და მცენარეული ორნამენტი. ნახატი ოსტატურია, კოლორიტი მონაცრისფრო, შავი, მოწითალო-ყავისფერი. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით მხატვრობა განვით. ფეოდ. ხანას მიეკუთვნება.

ეკლ. დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. ფასადების გლუვი კედლები გაცოცხლებულია თავისებური წყობით. აღმ. ფასადზე სარკმლის ორივე მხარეს ჩასმულია ორი დიდი სამკუთხა

ლოდი. ნაგებობას შემოლებული აქვს თაროსებრი მასიური ლავგარდანი. *მგ. მ. მ. ი.*

087. წმ. თევდორეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. აშენებულია XIX ს-ის II ნახ-ში.

ეკლ. დარბაზულია (13,4X7,65 *მ*), ნაგებია აგურით, აქა-იქ ჩართულია რიყის ქვა და ბაზალტის თლილი კვადრები. შესასვლელები დას-ით და სამხრ-ითაა. სწორკუთხა საკურთხეველში ერთი თაღოვანი სარკმელია. სამ-სამი სარკმელი ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებშია (ჩრდ. კედლის დას. სარკმელი ამოშენებულია). კამარა და მისი ორი საბჯენი თაღი ისრულია. ჩრდ-ით შემორჩენილია თაღების საყრდენი ორი მასიური პილასტრი, რ-ებსაც მარტივი პროფილის კაპიტელები აქვს. ინტერიერში კედლები შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლ. დგას რიყის ქვით ნაგებ სუბსტრუქციაზე (სიმ. 0,7 *მ*). ჩრდ-ის ფასადზე სამი ჩაღრმავებული დეკორატ. კვადრატია გამოყვანილი, აღმ-ისა და დას-ისაზე — მაღალი ჯვრები, რ-თა ქვედა მკლავი სამკუთხა იმპოსტებზე დგას. ნაგებობას შემოვლებული აქვს სამი რიგისაგან შედგენილი აგურის ლავგარდანი (შუა რიგი დაკბილულია). დას. ფასადზე მოშენებულია გაურკვეველი დანიშნულების სათავსი. *მგ. მ.*

# ელბაქიანი

(გვერძინეთის სოფსაბჭო)

088. ელბაქიანთკარის იოანე მახარებლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 0,5 *კმ*-ზე, ორთუბნისწყლის აყოლებით, მთის ფერდობზე. თარიღდება XVIII-XIX სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (10,8X6 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და ქვიშაქვის კვადრებით. შესასვლელი დას-ით და ჩრდ-ითაა. დას. შესასვლელი გადახურულია ქვიშაქვის არქიტრავით, ჩრდისა — აგურის შეისრული თაღით. ეკლესიის ყოველ კედელში თითო სარკმელია. დარბაზის გრძივი კედლები და შეისრული კამარა დანაწევრებულია წყვილი პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი გათლილი ქვიშაქვით ნაშენი შეისრული საბჯენი თაღით. აფსიდის მხრებთან შემორჩენილია ქვითა და აგურით ნაგები კ ა ნ კ ე ლ ი ს ფრაგმენტები.

დას. ფასადზე, შესასვლელის თავზე სწორკუთხა სარკმელი ერთ დიდი ზომის ქვიშაქვის ქვაშია ამოკვეთილი. ლავგარდანი თაროსებრია, სახურავი ორფერდა. ეკლ. გადახურულია კრამიტით. *მ. გ.*

089. ელბაქიანთკარის მაცხოვრის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის



089. აღმ. ფასადი

სამხრ.-აღმ-ით, მდ. ძამის მარჯვენაპირზე, მაღალი მთის ბუნებრივად მოვაკებულ პატარა ფერდობზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ე. მ. ე. ორი კორპუსისაგან შედგება: ძვ. ეკლესიისა და მასზე ჩრდ. მხრიდან მიდგმული ოდნავ მოკლე სათავსის — სამკვეთლოსაგან. მოგვიანებით ეკლესიის ძირითადი კორპუსისათვის სამხრ-ით, დას-ითა და ჩრდ-ით დამატებითი სათავსებიც მიუშენებიათ. სამხრ-ის მინაშენში ორი სათავსია: დას-ით სწორკუთხა, ხოლო აღმ-ით აფსიდიანი (სამლოცველო), რ-იც კარით უკავშირდება ეკლესიას. სწორკუთხა სათავსი დას. მინაშენის ნართექსთანაა დაკავშირებული კარით. დას-ისა და ჩრდ-ის მინაშენები ერთიან გარშემოსავლელს ქმნიან. ძვ. ეკლ. ნაგებია სხვადასხვა ზომის მუქი ფერის უხეში ნატეხი ქვის კვადრებით. კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია კარგად გათლილი შირიმის ქვები. გვიანდ. მინაშენის კედლები გარედან მოპირკეთებულია ქვიშაქვის გათლილი კვადრებით.

089. განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



ნაგებობა ძალზე დაზიანებულია: ჩამონგრეულია ძვ. ეკლესიის კამარა, დაზიანებულია კედლების ზედა ნაწილები, ჩამოშლილია საბჯენი თაღები. ძლიერაა დაზიანებული გვიანდ. მინაშენების გადახურვები და საპირე წყობა. ნაგებობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია მიწით.

(ა) ძვ. ე კ ლ ე ს ი ა დარბაზულია (9,9X8 *მ*). შესასვლელი დას-დანაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ფართო თაღოვანი სარკმელია, რ-იც გარეთკენ მკვეთრად ვიწროვდება. თითო ასეთივე სარკმელია სამხრ-ით და დას-ით. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს მაღალი თაღოვანი ნიშებია, რ-ებიც ერთ ქვაშია გამოკვეთილი და ზემოთ ოდნავ ვიწროვდება. სატრიუმფო თაღი შირიმის მარტივ (თარო და დახრილი სიბრტყე) იმპოსტებს ეყრდნობა. აზიდული პროპორციების დარბაზის კამაროვანი გადახურვა ერთ შეკიდულ საბჯენ და დას. კედლის შეკიდულ თაღებს ეყრდნობა (ამჟამად კრონშტეინებიღაა შემორჩენილი).

ეკლ. აფსიდის ჩრდ-ის მხართან გაჭრილი კარით დაკავშირებულია (ბ) ს ა მ კ ვ ე თ ლ ო ს თ ა ნ. სამკვეთლოში აღმ-ით ნალისებრი აფსიდია, რ-შიც ერთი თაღოვანი სარკმელი და ორი მაღალი ნახევარწრიული ნიშია. ერთი პატარა სწორკუთხა ნიში აფსიდის სამხრ. მხართანაა. დას. კედელში ერთი თაღოვანი სარკმელია. სამკვეთლო გადახურულია სხმული კამარით. სამხრ მინაშენის სამლოცველოს აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდი აქვს, რ-შიც თაღოვანი სარკმელი და ერთი პატარა ნიშია. მეორე სწორკუთხოვანი სარკმელი სამხრ. კედელშია. აფსიდის ნახევარწრიული თაღის ქუსლებთან თაროსა და დახრილი სიბრტყისაგან შედგენილი იმპოსტებია. სამლოცველოს სხმული დამრეცი კამარა სამხრ-ით უშუალოდ კედელს ეყრდნობა, ხოლო ჩრდ-ით — კედლის ფართო თაღით შექმნილ გრძივ საყრდენს. გარშემოსავლელის დას. ნაწილში ეკლესიის სიგანეზე შექმნილი ნართექსის ნახევარწრიული კამარა სამ შეკიდულ საბჯენ თაღს ეყრდნობა. ნართექსის შუა ნაწილი განაპირებზე უფრო ფართო და მაღალია. ნართექსის დას-ის (გარეთა) ფართო შესასვლელი ეკლესიის დას. კარის პირდაპირაა. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, საეარაუდოა, რომ აქ ორსაფეხურიანი პორტალი იყო.

ეკლესიის მაღალი ორფერდასახურავიანი კორპუსი მკვეთრად გამოიყოფა ცალფერდა სახურავებით გადახურული დაბალი მინაშენებისაგან. ეკლესიის დას. ფასადზე, შესასვლე-

ლის თავზე, ლილვებით შედგენილ თაღოვან მოჩარჩოებაში გამოსახულია რელიეფური განედლებული ჯვარი, რ-იც დასრულებულია ფართორელიეფიანი თაღით, თაღს ბოლოებზე პორიზ. გადანაკეცები აქვს. შემორჩენილია ლავგარდნის რამდენიმე ქვა. *დ. თ.*

090. ელბაქიანთკარის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. დაზიანებულია: სახურავი ჩაქცეულია.

ეკლ. დარბაზულია (8,6X4,6 *მ*), ნაგებია უხეშად დაკუთხული ბაზალტის კვადრებით; წყობაში აქა-იქ მოზრდილი ლოდებიც არის გამოყენებული. გარედან არქიტრავით, შიგნიდან ნახევარწრიული თაღით გადახურული შესასვლელი სამხრ-ითაა. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში, კონქის ქუსლთან სარკმელია. საკურთხეველში კედელზე მიშენებულია სატრაპეზო. ერთი სარკმელი დას-ითაა. დარბაზის გრძივი კედლები და ნახევარწრიული კამარა დანაწევრებულია მარტივკაპიტელებიანი წყვილი პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით. კედლების გაყოლებაზე ერთსაფეხურიანი ჩამოსაჯდომებია. კედლები და კამარა შელესილი ყოფილა. *მგ. გ.*

091. წისქვილი (წყლის), არქიტ. ძ. მდებარეობს ხოფელში, მდ. ძამის მარჯვ. ნაპირზე. მოსახლეობა ნიკოლოზ ელბაქიძის წისქვილს უწოდებს.

წ-ის (3X6 *მ*; ინტერიერის სიმ. 2 *მ*) საფუძველს შეადგენს ოთხი განივი ხის მორი, რ-ებიც გადებულია ხის ხიმინჯებზე და ორი გრძივი კოჭითაა შეკრული. წ-ის კედლები ფიცრისაა და კუთხეებში ჭდობითაა შეკრული. გადახურვა ხის ძელებზეა გამართული. იატაკი და ჭერი ფიცრისაა.

შესასვლელი განივი (სამხრ.) ფასადის მხრიდანაა. ინტერიერში, დას-ის კედელთან ხის ძელების კონსტრუქციაზე ორი ხვიმირია. დოლაბი მხოლოდ ერთი ხვიმირის ქვეშაა (გადმოცემით, წისქვილი თავდაპირველად სამდოლაბიანი ყოფილა). დოლაბის წინ, იატაკზე გრძელი ალოაა (ფქვილის შესაგროვებელი). წ-ის ასამოქმედებლად მდ. ძამიდან გადმოყვანილია ვიწრო ტოტი, რ-იც უერთდება პატარა საგუბარს. საგუბრიდან წყალი ხის ღარით მიემართება ბორბლისაკენ, რ-იც მსხვილი ხის ღერძით დოლაბთანაა დაკავშირებული. საგუბარს დასაცლელი ხის მეორე არხიც (სახეთქელა) აქვს. წ. გადახურულია ყავრის ორფერდა სახურავით. წ. მოქმედია. აგებულია XIX-XX სს-ის მიჯნაზე. *დ. თ.*

092. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 1 *კმ*-ზე, მდ. ძამის ხეობაში, კლდის პირზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. დაზიანებულია: აღარა აქვს სახურავი, ჩამონგრეულია აღმ. და დას. ფრონტონები, ლავგარდნის ფრაგმენტებია შემორჩენილი, ფასადებზე ამოცვენილია ქვები, ინტერიერში ჩამოშლილია პილასტრები.

ეკლ. დარბაზულია (10,7X5,5 *მ*), ნაგებია დიდი ზომის ნატეხი ქვით, აქა-იქ უსწორმასწორო ლოდები და აგურია გამოყენებული. გარედან ოთხკუთხა, ხოლო შიგნიდან ისრულთაღიანი შესასვლელები დას-ით და ჩრდ-ითაა. დარბაზის შიდა სივრცე მაღალი და ხალვათია. ნახევარწრიული აფსიდი ერთი საფეხურითაა ამაღლებული. საკურთხევლის ღერძზე სარკმელია, რ-ის ქვეშ კედელზე მიშენებულია სატრაპეზო. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია აგურის დაბალი (1,6 *მ*) კანკელით, რ-იც სამი მონაკვეთისაგან შედგება: შუაში თაღოვანი ალსავლის კარია, გვერდებზე — ღრმა სახატე ნიშები. დარბაზის გრძივი კედლები და ნახევარწრიული კამარა დანაწევრებულია წყვილი პილასტრით და მათზე დაყრდნობილი ოდნავ შეისრული თაღით. დას-ის, სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლებში თითო სარკმელია. ეკლესიის კედლები, კონქი და კამარა შელესილი და მოხატული ყოფილა.

ეკლ. დგას მაღალ (4 *მ*) სუბსტრუქციაზე. *მგ. მ.*

## ვედრება

(კეხიჯვრის სოფსაბჭო)

093. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ხოფლის ჩრდ-ით 1 *კმ*-ზე, შემაღლებულ ბორცვზე (სამების მთა). თარიღდება ფეოდ. ხანით. შემორჩენილია ნატეხი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესიის დას. კედლის ნაწილი. შეინიშნება გალავნისა და სხვა ნაგებობათა ნაშთები. მრავლადაა დიდი ზომის ქვები, თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები. *კ. ბ.*

094. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ხოფლის ჩრდ-ით, გზის მარჯვ. მხარეს. თარიღდება ფეოდ. ხანით. ნ-ზე შემორჩენილია ნატეხი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. ეკლესიას შესასვლელი სამხრ-დან ჰქონდა. ირგვლივ შეინიშნება სხვა ნაგებობათა ნაშთებიც. სამხრ.-აღმ-ით შემთხვევით ამოთხარეს დიდი ზომის ჩაკირული ქვევრის ფუძე (ამჟამად დევს ეკლესიის სამხრ. კედელთან). *კ. ბ.*

095. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, მთის ფერდობზე, სასაფლაოს ტერიტორიაზე. ეკლესიაზე გაირჩევა ორი სამშენ. ფენა. თავდაპირველი ნაგებობა სტილისტ. ნიშნებით თარიღდება IX-X სს-ით, ნაშენია კარგად გათლილი მოსაპირკეთებელი ქვიშაქვის კვადრებით, წყობის რიგების პორიზონტალობა დაცულია მკაცრად. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ეკლესიის მნიშვნელოვანი ნაწილი განსხვავებული საშენი მასალით განუახლებიათ. ამის შედეგად ნაგებობას თავდაპირველი სახე რამდენადმე შეცვლილი აქვს. სავარაუდოა, რომ ამავე ხანებშია მიშენებული ჩრდ-ის მხრიდან რამდენიმე სწორკუთხა სათავსი. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია — თითქმის მთლიანად დანგრეულია სამხრ-ის კედელი, ჩანგრეულია კონქი და კამარა, მონგრეულია ჩრდ. და დას. კედლების ზედა ნაწილები, დაზიანებულია საპირე ქვების წყობა და სხვ.

ეკლ. დარბაზულია (10,6X6 *მ*). შესასვლელი ორია — სამხრ-ით (შემორჩენილია წირთხლის ქვა) და დას-ით (მოგვიანებით შეუვიწროებიათ და დაუდაბლებიათ). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ფართო თაღოვანი სარკმელი იყო (შემორჩენილია თაღის მოხაზულობა). შეკეთების დროს სარკმელი დაუპატარავებიათ. სარკმლის ორივე მხარეს, იატაკიდან დაახლ. 1,6 *მ*-ის სიმაღლეზე, თითო მაღალი სწორკუთხა ნიშაა (მოგვიანებით ამოუქოლიათ). ამ ნიშების ქვემოთ, თითქმის იატაკის დონეზე, კიდევ თითო სწორკუთხა ღრმა ნიშაა. აფსიდში, სამხრ-ით (იატაკიდან დაახლ. 4 *მ* სიმაღლეზე) შემორჩენილია მოზრდილი სარეზონატორო ქვევრების ნაშთები. დარბაზის კამარა ეყრდნობა კრონშტეინებზე შედგმულ საბჯენ თაღს (მცირე ნაწილი შემორჩენილია ჩრდ-ის კედელზე).

ეკლესიის ჩრდ. კედელში, საკურთხევლის კუთხესთან, გაჭრილია ჩრდ-ის სწორკუთხა სათავსში (სამკვეთლო) შესასვლელი თაღოვანი კარი. სათავსს აღმ-ით და დას-ით თითო სარკმელი აქვს. სამხრ-ის კედელში ორი მცირე სწორკუთხა ნიშაა. სათავსი გადახურულია უსწორო შეისრული სხმული კამარით. *დ. თ.*

## ზემო ხვედურეთი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

096. მემორიალი დიდ სამამულო ომში (1941–45 წწ.) დაღუპულთა უკვდავსაყოფად, ისტ. ძ. სოფლის კულტურის სახლის ეზო. ომში დაღუპულთა სიმბოლური საფლავი, სადაც დაკრძალულია სოფლის მკვიდრი პოდპოლკოვნიკი რევაზ გიორგის ძე ბერუაშვილი. საფლავზე დადგმულია მარმარილოს დაფა წარწერით: „პოდპოლკოვნიკი რევაზ გიორგის ძე ბერუაშვილი 1911-1943 წწ." *ქ. ქ.*

097. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით დაახლ. 1,5 *კმ*-ზე, მთის ფერდობზე. სტილისტ. ნიშნებით ეკლ. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნაგებობა ძლიერ დაზია-

ნებულია: ჩანგრეულია კამარა, მთლიანად დანგრეულია ჩრდ-ის კედელი და საკურთხევლის ჩრდ. მხარის მნიშვნელოვანი მონაკვეთი; დაზიანებულია ეკლესიის კუთხეები და საპირე წყობა.

ეკლ. დარბაზულია (8,05X4,9 მ), ძირითადად ნაგებია ცუდად დამუშავებული ქვიშაქვით, წყობა ირეგულარულია: ნაგებობის ფასადების (შემორჩენილია დას. კედელზე) და საკურთხევლის კუთხეები, კარ-სარკმლების წირთხლები და თაღები კარგად გათლილი შირიმის მოზრდილი კვადრებითაა ამოყვანილი. შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრითაა. ნახევარწრიული აფსიდი ოდნავ შებრტყელებულია. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მარჯვნივ, საკურთხევლის კუთხესთან მცირე ზომის ნიშაა. მოგვიანებით ნაწყობი კონქი დამრეცია. კონქის მთელ პერიმეტრზე, ქუსლის დონეზე, პატარა საფეხურია. გვიანდ. შეკეთების კვალი დას-ის კედელსაც ატყვია. თითო სარკმელია სამხრ-ით და დას-ით. ეკლ. შიგნიდან შელესილი ყოფილა.

ეკლესიას სამხრ-ით მინაშენი ჰქონია (შემორჩენილია მცირე კვალი).

აღმ. ფასადზე, სარკმლის თავზე, წყობაში ჩასმულია მწვანე ფერის ქვიშაქვის ორნამენტირებული ფრაგმენტი — კვადრ. ბაზისზე დაყრდნობილი შეწყვილებული ლილვები (XI ს.). *დე. თ.*

## ზოვრეთის ციხე-დარბაზის კომპლექსი.

იხ. ხოფ. ო რ თ უ ბ ა ნ ი, მ ძ ო ვ რ ე თ ი ს ც ი ხ ე-დ ა რ ბ ა ზ ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ი

## ზლუდერი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

098. ზლუდერი, ყოფ. ზ ო რ ე თ ი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. ძამის ხეობაში, ქარელიდან 12 *კმ.*

სოფელი დასახლებული იყო გვიანდ. ბრინჯაოს ხანიდან. სახელწოდება მომდინარეობს სიტყვიდან „ზლუდე" — შემოსაზღვრული ადგილი, ქალაქი. არქეოლ. გათხრებით აქ გამოვლინდა ანტ. ხანის (III-IV სს.) ნამოსახლარი. ირანელ და ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში სოფელი მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა.

*ბიბლ.:* 89:721; 201ა:670; 684 *კ. ქ.*

099. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, მდ. ძამის მარჯვ. ნაპირზე. გაირჩევა სამი საშენ. ფენა: VI-VII ს-ის (სამნავიანი ბაზილიკა), X ს-ის (სამეკლესიიანი ბაზილიკა) და XIII-XIV სს. მიჯნის (რესტავრა-



099. აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ

ცია). ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია.

ეკლ. (13,6X11,5 მ) გეგმით სამეკლესიიანი ბაზილიკაა, ნაგებია მოყვითალო ფერის ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებით. ახლანდ. ეკლესიის მშენებელს ნაგებობისათვის გამოუყენებია ადრე არსებული შენობის (სამნავიანი ბაზილიკის) ნაწილები — საკურთხევლის აფსიდი და ჯვრისებრი კვეთის ორი წყვილი სვეტი მათზე გადაყვანილი თაღებით (ისინი კედლის წყობაშია ჩართული, ისე როგორც პილასტრები და კედლის თაღები).

ეკლესიას ერთი შესასვლელი აქვს სამხრ-დან. შესასვლელზე მიშენებულია სამნაწილიანი კ ა რ ი ბ ჭ ე, რ-

099. გეგმა



ის შუა ნაწილი ამაღლებულია. შუა ეკლ. ფართო და მაღალია, წაგრძელებულია აღმ-დან დას-კენ. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია. დარბაზის გრძივი კედლები პილასტრებითა და კედლის თაღებით დანაწილებულია სამ მონაკვეთად. ჩრდ-ის ეკლესია ყრუ კედლით გაყოფილია ორად. ორივე სათავსი დამოუკიდებელი გასასვლელებით მთავარ ეკლესიას უკავშირდება. აღმ-ის სათავსში სამკვეთლო იყო, დას-ისაში — ცალკე ეკლესია. სამხრ. ეკლესიის აღმ. ნაწილიც ცალკე ეკლესიაა, რ-შიც კარიბჭიდან შეიძლება შესვლა.

ორივე გვერდის ეკლესიის კედლებში, აფსიდის მხარეს, მთელ სიმაღლეზე დატანებულია ნიშები, რ-ებიც იწყებოდა იატაკიდან და შეკრული იყო ნახევარწრიული თაღით. თაღის დას-ის ქუსლი ეყრდნობოდა ნიშის კუთხეს, ხოლო აღმ-ისა კედელში ჩასმულ იმპოსტებს. ორივე ეკლესიას ცილინდრული კამარა (თავიდან თლილი ქვისა იყო, შეკეთებულია რიყის ქვით) და აღმ-ით თითო სარკმელი ჰქონდა (სამხრ. სათავსს ერთი სარკმელი სამხრ-ითაც ჰქონია).

ფასადებზე შეინიშნება კედლის პერანგის ნაშთი და დეკორის ფრაგმენტები. აღმ-ის თაღოვან სარკმელს ორნამენტიანი საპირე (XIII-XIV სს.) მიჯნა) და ჰორიზონტალურგადანაკეცებიანი სათაური (VI-VII სს.) აქვს. სარკმლის სათაურის მარჯვნივ, კედელში ჯვრის რელიეფური ფილაა (VI-VII სს.). აფსიდის სარკმელთან ჩართულია მცენარეული ორნამენტით მორთული როზეტი (სამნავიანი ბაზილიკიდანაა). კარიბჭიდან შუა ეკლესიაში შესასვლელის ტიმპანზე გამოსახულია ვაზი (X ს.).

*ბიბლ.:* 196:38-46 *ანდღ. ნ.*

100. ეკლესია, წ მ. ს ტ ე ფ ა ნ ე ს ე კ ლ., არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრით დაახლ. 300 მ-ზე, სოფ. იმერხევისკენ მიმავალი გზის პირას, კლდოვან ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ძ. ძლიერ დაზიანებულია: სამხრ-ის კედელი თითქმის მთლიანად დანგრეულია, ხოლო დას-ისა და აღმ-ის კედლების ზედა ნაწილები ჩამონგრეული, ჩრდ. კედლის დას. ნაწილზე კამარის ქუსლის წყობის რამდენიმე რიგია შემორჩენილი.

ეკლ. დარბაზულია (5,1X3,1 მ), ნაგებია ქვიშაქვისა და რიყის ქვის შერეული წყობით. წყობა ირეგულარულია. ერთადერთი შესასვლელი სამხრით ყოფილა. შებრტყელებულ ნახევარწრიულ აფსიდში (სიღრმე 0,6-0,7 მ) შემორჩენილია სარკმლის ძირის კვალი და ერთი სწორკუთხა ნიში.

აღმ. ფასადის ქვედა ნაწილში მოზრდილი ყანგისფერი ქვების წყობით ცოკოლის მსგავსი (სიმ. 1 მ) შრეა. კედ-

ლები დასრულებული იყო თაროსებრი ლავგარდნით. *დვ. თ.*

101. მცირე ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ხოფელში, სამნავიანი ბაზილიკის აღმ-ით 10 *მ*-ზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ძლიერ დაზიანებულია: კედლები 3 *მ*-ზეა შემორჩენილი, აფსიდის კედლის შუა ნაწილი შენგრეულია. ეკლ. დარბაზულია (7,8X4,8 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის დიდი ზომის თლილი კვადრებით. შესასვლელი დას-ით (მოგვიანებით ამოუშენებიათ) და სამხრ-ითაა, ორივე ქვის არქიტრავითაა გადახურული. სამხრ-ის შესასვლელის არქიტრავის ზემოთ ქვის ტიმპანი და თაღოვანი გადახურვაა (ტიმპანი და არქიტრავი ერთ ქვაშია გამოკვეთილი). სამხრ-ის კედელში შემორჩენილია ორი სარკმელი. დარბაზის გრძივი კედლები გლუვია. სამხრ. ფასადზე ტიმპანის თაღოვან ნაწილს ორზოლიანი დეკორატ. ღარი გასდევს, ხოლო არქიტრავის განაპირა ნაწილებში შეწყვილებული გირჩებია. *მ. გ., დვ. თ.*

102. სამაროვანი და ნასახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ხოფელში, ადგილ გორაანთკარში, სათემო ზვარში, მდ. ძამის მარცხ. ნაპირზე, მდების ძამისა და იმერხევის შესართავთან, ორ მოზრდილ ბორცვზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანიდან (6 ყორღანი, 10 ორმოსამარხი) ვიდრე IV ს. დამდეგამდე (3 მდიდრული და რამდენიმე ღარიბული სამარხი) და გვიანდ. ფეოდ. ხანამდე (ნამოსახლარი).

გაითხარა გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანის (ა) 10 ორმოსამარხი და 6 ყორღანი (ქვისწრიანი გორასამარხი). ყორღანების დიამ. საშუალოდ 5 *მ*-ია. სამარხები ინდივიდუალური და ინჰუმაციურია. მიცვალებულები ესვენა ხელფეხმოკეცილი მარცხ. ან მარჯვ. გვერდზე. სამარხებში აღმოჩნდა შავად და ნაცრისფრად გამომწვარი, სამეთუნეო ჩარხზე დამზადებული სხვადასხვა თიხის ჭურჭელი· ქოთნები, ლანგრები, სადღვებელი. ზოგიერთ ჭურჭელზე ამოკაწრულია ორნამენტი. გამოვლინდა ბრინჯაოს იარაღ-სამკაულები, ისრისპირები, თავხეია საკინძი, მახათი, ბეჭდები, სამაჯურები, რკინის მასრაგახსნილი შუბისპირი.

(ბ) გვიანდ. ანტ. ხანის მდიდრული სამარხი (1) დაზიანებულია. მოპოვებული ოქროსა და ვერცხლის ნივთებიდან აღსანიშნავია: ოქროთი დაფერილი გირჩებითა და დაფნის ფოთლოვანი არშიით შემკული ვერცხლის ლანგარი, რ-ის შუაგულში ასევე ოქროთი დაფერილი ელვისმპყრობელი არწივი — ზევსია ჩასმული; ინკრუსტირებული ვერცხლის ლანგარი (ბერძ. დაზიანებული წარწერით — „მიეუძღვნი", „ვაჩუქებ"); ვერცხლის ორი ლამბაქი, სურა, სარეცლის ფეხის გარსაკრავის ნაშთები, ყუნო აზნიდა, ოქროს მასიური ბეჭედი, რ-ის ძოწის თვალზე ახალგაზრდა ქალისა და წვეროსანი მამაკაცის პორტრეტებია ამოკვეთილი (იქვე ბერძ. წარწერაა — „მატრონა", „კაბრია"); ოქროს ორი სამაჯური, ორი ძვირფასთვლიანი ბეჭედი და სხვ. სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე: კარაკალას (211-217 წწ.) 5 ოქროს მონეტა, 1 კომოდუსის (180-192 წწ.), 1 ალექსანდერ სევერუსის (222-235 წწ.), გოტარზე პართელის 5 დრაქმა და ავგუსტუსის 1 დენარი.

ამ სამარხის ჩრდ-ით გამოვლინდა მეორე სამარხი (2), რ-იც თარიღდება III ს-ის II ნახ-ით. აქ ხის სარკოფაგში ესვენა ორი მიცვალებული, ერთი გულაღმა, გაშოტილი, გულხელდაკრეფილი, თავით დას-კენ. მიცვალებულს თავი ედო ვერცხლის პინაკზე, რ-ის ძირზე გამოსახულია ცეცხლოვანი ბომონის წინაშე მდგარი ტორაწეული მოოქროვილი ცხენი. პინაკზე იდო ოქროს ვარდულებით შემკული გახსნილდეროიანი წყვილი საყურე. მიცვალებულს მარცხ. მხარეს ბრინჯაოს საცეცხლური ედო, ხოლო პირში იმპერატორ გორდიანეს (238-244 წწ.) ოქროს მონეტა. მარცხ. ხელზე ეკეთა ოქროს სამაჯური, ბეჭედი და ა. შ. მეორე მიცვალებულის ძვლები მიხვეტილი იყო სამარხის ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-აღმ. კუთხეებში, თავის ქალის ძვლები კი იდო მეორე პინაკზე, რ-ის ძირზე გამოსახულია მოოქროვილი ტახი და ძაღლი. აქვე აღმოჩნდა ალექსანდერ სევერუსის ოქროს მონეტა, ოქროს სქელი ბეჭედი, სამარხის ჩრდ.-დას. კუთხეში — კერამიკის ქოთანი, ოქროს სამი ბეჭედი (ორი მათგანი ლალისთვლიანი). ძვლების გროვაში აღმოჩნდა ოქროს წყვილი სხივანა საყურე.

ამ სამარხების ჩრდ-ით 80 *მ*-ზე გაითხარა სამარხი (3), რ-იც თარიღდება III ს-ის დამდეგით. აქ დამარხული იყო ორი მიცვალებული გვერდიგვერდ, ოდნავ მოხრილი. მარჯვ. ხელი მენჯთან ედოთ, მარცხ. მუცელზე. მარჯვ. მიცვალებულს ეკეთა შვიდი ნაწილისაგან შედგენილი ოქროს მოთვალული საყურეები, ორი ძოწისთვლიანი ბეჭედი და ოქროს ვარდულებისაგან შედგენილი, ლალისა და მარგალიტის თვლებით შემკული სამაჯურები. ორივე მიცვალებულის თავ-კისრის არეში ოქროს კილიტები იყო მიმოფანტული. მარცხ. მიცვალებულის იაგუნდის ინტალიოთი შემკული ყელსაკიდის ოვალურ თვალბუდეში ჩასმული იყო ონიქსის კამეა — დელფინზე მჯდომი ნერეიდა აფრიალებული პეპლოვანი წამოსასხამით. სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლის 2 კოვზი, ერთ მათგანზე ორენოვანი წარწერაა — ბერძნული და არამაზული (?), ვერცხლის ინკრუსტირებული იტალიური პატერა და ენოხოიე, ვერცხლის აზნიდები, რკინის ისრისპირი, დანის ნატეხი, ლურსმანი, პასტის მძივები — იოტები, მინის სანელსაცხებლე ჭურჭელი. ნუმიზმატიკური მასალიდან აღსანიშნავია: ავგუსტუს კეისრის 28 ც. და ფაუსტინას 1 დენარი. გოტარზე პართელის 5 დრაქმა. მარცხ. მიცვალებულს პირში ედო დომიციანეს (81-96 წწ.) ოქროს აურეუსი, ზურგის ქვეშ კი ფაუსტინას (141-176 წწ.) ოქროს მონეტა. მარჯვ. მიცვალებულს თავის ქალასთან ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.), ხოლო მარჯვ. ხელსა და მენჯს შორის კომოდუსის ოქროს მონეტები ედო. აქვე გაითხარა რამდენიმე ღარიბული სამარხი. დამარხვის წესის მიხედვით სამარხები არქაულია (IV ს.) — მიცვალებულები ესვენა მოკრუნჩხული, მარჯვ. გვერდზე, თითო სამარხში თითო.

102(ბ). ყელსაბამი კამეით — ნერეიდა დელფინზე



(გ) გორაანთკარის ორივე ბორცვზე გაითხარა მესამე, გვიანდ. ფეოდ. ხანის ნამოსახლარი. აქ გამოვლინდა სამეურნეო ნაგებობები — ნატეხი ქვითა და დუღაბით ნაშენი ორი მოგრძო, სწორკუთხა საწნახელ-საწური (ერთი მათგანი ყურძნისა, მეორე — ზეთსახდელი), სქელკედლებიანი თიხის თონე, წყალსადენის თიხის მილები, ქვევრები და სხვ.

ბიბლ.: 321 *ნ. ა.*

103. სარკის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 0,5 *კმ*-ზე, გორაკზე. აგებულია XVII ს-ში. დაშენებულია ჯერისებრი



103 სამხრ. ფასადი, გეგმა, განივი განაკვე-
თი ალმ-კენ

გეგმის ძვ. ეკლესიის საძირკველზე. ეკლ. ჯვარ-გუმბათოვანი, თავისუფალი ჯვრის ტიპის ნაგებობაა (12,6X9 მ), ნაშენია აგურით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. ალმ-ისა და დას-ის მკლავები წაგრძელებულია. ბემით გამოყოფილ ნახევარწრიულ აფსიდში მოსაზღვრე სათავსში გასასვლელია გაჭრილი. მკლავებში თითო სარკმელია, გუმბათის ყელში — რვა. გუმბათქვეშა კვადრატი შეისრულ თაღებს ეყრდნობა. კვადრატიდან გუმბათის ყელის წრეზე გადასვლა აფრებით ხდება. ეკლესიის ფასადები დასრულებულია თაროსებრი ლავგარდნით. დაბალი გუმბათის ყელი გარედან რვაკუთხაა და შემკულია დეკორატ. ნახევარწრიული თაღედით. ეკლ. გადახურულია თუნუქის სახურავით. *მ. გ.*

104. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრ. უბანში. აგებულია XIX-XX სს-ის მიჯნაზე. ს. ს-ის (7,4X7,7 მ) ქვით ნაგები I სართული ნახევარსარდაფია (თავდაპირველად აქ მარანი იყო). მთავარი ფასადის მხარეს მას 1 კარი და 1 სარკმელი აქვს იატაკი მიწისაა. II საცხოვრებელი სართული ხისაა. აივანზე ვხვდებით სახლზე გვერდიდან მიდგმული ხის კიბით. აივნის მოაჯირი და სვეტებს შორის თაღები ფიცრის ჭვირული ორნამენტით არის შემკული. სართულზე ტიხრით გაყოფილი და 1 კარით დაკავშირებული 2 ოთახია. მთავარი ფასადის მხარეს ოთახებს თითო კარი და სარკმელი აქვთ. ამის გარდა ერთი ოთახი 2, ხოლო მეორე 1 სარკმლით ნათდება. ნივნივებზე გაწყობილი ოთხფერდა სახურავი გადახურულია ყავრით. *დვ. თ.*

105. ღვთისმშობლის ეკლესია და კოშკი, არქიტ. ძ. ეკლ. დგას სოფლის სამხრ.-ალმ-ით 600 — 700 მ-ზე, გორაკზე, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XIII-XIV სს-ით. ეკლესიის ალმ-ით 5-6 მ-ის მანძილზე დგას კოშკი (სავარაუდოა, ეკლესიის თანადროული).

(ა) ე კ ლ ე ს ი ა ძლიერ დაზიანებულია: თითქმის მთლიანად დანგრეულია სამხრ. კედელი, ჩამონგრეულია კამარა და კონქის ნაწილი, დაზიანებულია ფასადების საპირე წყობა.

ეკლ. დარბაზულია (8,8X5,8 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის (მოყვითალო, ლეინისფერი, მომწვანო) ქვიშაქვის ქვებით; ლავგარდანი შირიმის ქვის იყო (შემორჩენილია რამდენიმე ქვა) შესასვლელი ეკლესიას სამხრ-დან ჰქონდა. ნახევარწრიული, შებრტყელებული კონქით გადახურული აფსიდის ღერძზე ბრტყელი ქვით გადახურული სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს სწორკუთხა ნიშებია. ბრტყელი ქვითაა გადახურული სარკმელი დას. კედელშიც. ეკლ. გადახურული იყო დარბაზის გრძივ კედლებზე დაყრდნობილი ნახევარწრიული კამარით.

(ბ) სწორკუთხა, სამსართულიანი კ ო შ კ ი ს ა გ ა ნ მხოლოდ ჩრდ.-დას-ის კუთხეა შემორჩენილი (7-8 მ-ის სიმაღლეზე). კოშკი ნაგებია ქვიშაქვითა და რიყის ქვით. შემორჩენილია სართულშუა ხის გადახურვის ბუდეები. II სართულის დას. კედელში სწორკუთხა შესასვლელია. *დვ. თ.*

106. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 200 მ-ზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება IX-X სს-ით. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია — კედლები შემორჩენილია 1,6 მ-ის სიმაღლეზე, სარკმლების კვალი არ ჩანს. ეკლ. დარბაზულია (4,3X3,2 მ), ნაგებია რიყისა და ქვიშაქვის შერეული წყობით. შიგნიდან თაღოვანი, გარედან ქვიშაქვის არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში ორი მაღალი ნახევარწრიული ნიშია. დარბაზის კამაროვანი გადახურვა გრძივი და დას. კედლების პილასტრებზე (ჩრდ-ით) და კრონშტეინებზე (სამხრ-ით) გადაყვანილ საბჯენ თაღებს ეყრდნობოდა. სამხრ. ფასადზე, შესასვლელის არქიტრავზე მოგვიანებით ჯვარი ამოუკვეთიათ *დვ. თ.*

107. წმ. კვირიკეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-დას-ით, შემაღლებულ ადგილზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა და კედლების ზედა ნაწილები, დაზიანებულია დას-ისა და სამხრ-ის კედლები. ინტერიერში ხეებია ამოსული.

ეკლ. დარბაზულია (3,8X5,8 მ), ნაგებია ქვიშაქვითა და რიყის ქვით, ფასადებზე გამოყენებულია შირიმის მოზრდილი ქვებიც. სწორკუთხა შესასვლელი დას-ითაა. შემორჩენილია კარის ღიობის გადასახური ხის ძელების კვალი. ოდნავ დეფორმირებული ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ფართო და მაღალი სარკმელია (გარეთ მკვეთრად ვიწროვდება), ხოლო მის ორივე მხარეს, იატაკიდან იწყება ღრმა სწორკუთხა ნიშები. მარჯვ. ნიშის ზემოთ, კედლის სისქეში ქვედა ნიშთან დაკავშირებული ტრაპეციული ნიშია. აფსიდის სარკმლის ქვემოთ, კედელზე სატრაპეზო ყოფილა (შეინიშნება კვალი). საკურთხეველი გადახურულია დამრეცი კონქით, რ-იც დასრულებულია ნახევრადელიფსური თაღით. თაღი ქვიშაქვის მარტივი პროფილის კრონშტეინებს ეყრდნობა. საკურთხეველი უშუალოდ ერწყმის დარბაზის გრძივ კედლებს. დას-ით სწორკუთხა სარკმელია. დას-ის ფასადზე, შესასვლელის ზემოთ კარის ღიობის სიგანის თაღოვანი ნიშია. ალმ. ფასადის ქვედა ნაწილი ჟანგისფერი ქვებითაა ნაწყობი. ეკლესიის ფასადები თაროსებრი ლავგარდნით იყო დასრულებული. *დვ. თ.*

## ზღუდერის ეკლესია,

იხ. სოფ. ბ რ ე ძ ა, ბ რ ე ძ ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ი  დ ა  ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი

## თამარაშენი

(ფცის სოფსაბჭო)

108. სოფ. თ ა მ ა რ ა შ ე ნ შ ი 1861 წ. მოხდა გ ლ ე ხ თ ა  გ ა მ ო ს ვ ლ ე ბ ი, რაც გამოწვეული იყო საგლეხო რეფორმის გატარებით. სოფელში ჩა-

ყენებულმა ეგზეკუციამ ვერ შეაჩერა გლეხთა თავდასხმები მებატონეებზე. თავად მიხეილ ელიზბარის ძე მაჩაბელმა დახმარება თხოვა კავკასიის მეფისნაცვალს.

*ჩ. თ.*

ბიბლ.: 20

109. ᲡᲐᲔᲐᲠᲮᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მოქმედ სასაფლაოზე. თარიღდება ანტ. ხანით. აღმოაჩინეს შემთხვევით. ს-ში ესვენა ერთი მიცვალებული (პოზა დაუდგენელია). აღმოჩნდა, აგრეთვე წითლად გამომწვარი, წმინდა თიხისაგან დამზადებული ორი ერთნაირი ცალყურა. *ნ. ა.*

110. ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფელში. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XVIII-XIX სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (10,5X6,1 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და ნატეხი ქვიშაქვით. კონსტრ. ნაწილები და კარ-სარკმლების წირთხლები ამოყვანილია აგურით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. შესასვლელები მთლიან ქვაში ამოკვეთილი დამრეცი თაღითაა გადახურული და შიგნიდან თაღოვან შეღრმავებაშია ჩასმული. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, გვერდებზე — ნახევარწრიული ნიშები. თითო სარკმელი ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებშია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-იც გრძივი კედლების შუა ნაწილში პილასტრებზე დაყრდნობილ აგურის თაღზეა გადაყვანილი. ეკლ. თავდაპირველად მთლიანად შელესილი და მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა; მოგვიანებით კედლები შეუთეთრებიათ და ახლა მოხატულობის მხოლოდ გაურკვეველი ფრაგმენტებია შემორჩენილი. ფასადები დასრულებულია თაროსებრი ლავგარდნით. ეკლ. გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით.

მოგვიანებით ეკლესიისათვის დასავლეთიდან მიუშენებიათ (ა) კ ა რ ი ბ ჭ ე-ს ა მ რ ე კ ლ ო (2,4X2,3 *მ*), რ-იც, დას. კარის ტიმპანზე არსებული წარწერის თანახმად, აგებულია 1883 წ. ნაშენია ტუფის ქვით. მისი I სართული ოთხ სვეტზე დაყრდნობილ და აგურის გუმბათით გადახურულ ღიობს წარმოადგენს; სვეტები ერთმანეთთან თაღებითაა დაკავშირებული. II სართული-სამრეკლო ასევე ოთხ სვეტზე დაყრდნობილი ღიობია და გადახურულია აგურის პირამიდული გუმბათით. სახურავი თუნუქისაა. *მ. გ., დე. თ.*

## ᲗᲠᲔᲮᲕᲘ

(ზემო ხევდურეთის სოფსაბჭო)

111. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲬᲛᲘᲜᲓᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით დაახლ. 400 *მ*-ის მანძილზე, გზის პირას, სასაფლაოზე. შენობის სამშენ. ბაქანი ფერდობის ხელოვნური დავაკებითაა შექმნილი. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება ფეოდ. ხანის გარდამავალი პერიოდით. ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა და კონქი, დანგრეულია კედლების ზედა ნაწილები; დაზიანებულია საპირე ქვების წყობა, კუთხეები და ა. შ. ეკლესიაში ხეებია ამოსული.

ეკლ. დარბაზულია (8,6X5,3 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით, აფსიდის კუთხეები, კარ-სარკმლების წირთხლები შირიმის ქვით არის ამოყვანილი. ხის ძელებით გადახურული შესასვლელი სამხრ-ითაა. აფსიდის ქვედა ნაწილი, თითქმის მთელ პერიმეტრზე, ნალისებრია, ხოლო ზემოთ (დაახლ. 1 *მ*-ის სიმაღლიდან) თანდათან ნახევარწრიულ მოხაზულობაში გადადის. აფსიდის კუთხეებს (ქვემო ნაწილში) და მის გადახურვას გვიანი შეკეთების კვალი ეტყობა. აფსიდის ღერძზე და დას. კედელში ბრტყლად დაწყობილი ქვიშაქვის ფილებით გადახურული თითო სარკმელია. ეკლესიის ეზოს გარს ერტყა დიდი ქვიშაქვის ლოდებით ნაწყობი დაბალი (ა) გ ა ლ ა ვ ა ნ ი. *დე. თ.*

112. ᲗᲠᲔᲮᲕᲘᲡ ᲥᲕᲐᲑᲔᲑᲘ, ისტ., არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფ. თრეხვსა და მეხეთს შორის, ქარელიდან 12 *კმ*-ზე, მდ. ხვედრულის მარცხ. ნაპირზე, ციცაბო, შვეული კლდის ქარაფებში გამოკვეთილია ქვაბთა 4 კომპლექსი. I, II და III კომპლექსები სოფ. თრეხვის სამხრ-დას-ითაა, ე. წ. სოროთხევში (სამშენ. წარწერის მიხედვით თარიღდება XI ს-ით); IV კომპლ. სოფ. მეხეთის მახლობლად მდებარეობს (თარიღდება V-VI სს-ით).

Თ. ქ-ის უმეტესი ნაწილი გაფართოებული და გადაკეთებული ბუნებრივი მღვიმეებია. ქვაბების საფასადო მხარე ამოშენებულია ქვითკირის კედლით (ქვაშნაშენი ანუ გამოკირულა. ამჟამად თითქმის მთლიანად ჩამოშლილ-ჩამონგრეულია, ამიტომ ქვაბებში მოხვედრა მხოლოდ მთასვლელური ტექნიკის გამოყენებით შეიძლება). გამოკირულა ქვაბები უფრო ხშირად გვხვდება I და III კომპლ-ებში. კლდე, რ-შიც ქვაბებია გამოკვეთილი, თიხა-ფიქალოვანი ქანებია, რაც კლდის სიბრტყის სუფთად დამუშავების საშუალებას არ იძლევა. ფიქალი ფენა-ფენად არის ნახლეჩ-ნამტვრევი სამტვრევი და ბრტყელპირიანი იარაღით. ქვაბები ტერასებზეა განლაგებული, ქანის ერთი შრის გასწვრივ, ერთ იარუსად (არის გამონაკლისებიც. მაგ., IV კომპ. ქვაბების ქვედა და ზედა იარუსებს შორის სხვაობა 15 *მ*-ია).

I კომპლ. სიგრძე 70 *მ*-ია, II-ის — 35 *მ*, III-ის — 90 *მ*, IV-ის — 60 *მ*; I კომპლ-ში 16 სათავსია, II-ში — 6, III-ში — 11, IV-ში — 17.

ყოველ ტერასაზე კლდის გაყოლებით ან მის სიღრმეში გამოჭრილია თითო საკმაოდ დიდი და მაღალი სწორკუთხედის მსგავსი სათავსი. კედლის სიბრტყეები და კუთხეები, იატაკი, ბრტყელი თუ კამაროვანი ჭერი დამუშავებულია. გვხვდება ხარკმლები, საჭრაქვეები, მცირე და მოზრდილი ნიშები, ნიში-თახჩები (ეს ელემენტები უხეშად არის დამუშავებული). იქ, სადაც წყალი ჟონავდა, მოწყობილია წყალსაცავები. მაგ., I კომპლ. № 2 ქვაბში (ფართ. 25 *კვ მ*) შუა ოთახში სწორკუთხა წყალსაცავია (მოცულობა 5 *კუბ მ*); II კომპლ. № 1 ქვაბში (ფართ. 40 *კვ მ*) იმავე ფორმის წყალსაცავი (მოცულობა 7 *კუბ მ*) სათავსის მარჯვ. კუთხეშია მოწყობილი და მასში წყალი კედლის კუთხიდან გამოყვანილი მილით გროვდება.

გეგმურ-სივრცობრივი სტრუქტურით საინტერესოა I კ ო მ პ ლ ე ქ ს ი ს №№ 1, 2, 4 და 15 ქვაბები. № 1 და № 2 ქვაბებში კლდის სიღრმეში გამოჭრილია ერთმანეთთან ღიობებით დაკავშირებული 2-2 სწორკუთხა ოთახი (ფართ. 30 და 25 *კვ მ*). ჭერი დაქანებულია (შესასვლელთან სიმ. 3,7 *მ*, ბოლოში — 2,7 *მ*). № 4 ქვაბი (ფართ. 24 *კვ მ*, სიმ. 6 *მ*) გამოკირულა ქვა-

112. ქვაჯვარი





112. I კომპლექსი, 1-16 სათავსები საერთო გეგმა (შუაში), სათავსთა განაკვეთები



112 II კომპლექსი, 1-5 სათავსები: ა. საერთო გეგმა; ბ. (1) სათავსის განაკვეთები. გ. ნიში (2) სათავსში

112 III კომპლექსი, 1-11 სათავსები: საერთო გეგმა, სათავსთა განაკვეთები

ბია. მის გრძივ კედლებში, 3 მ-ის სიმაღლეზე, ხის ძელების გასადები ბუდეებია ამოკვეთილი II სართულის იატაკისათვის.

კარგად არის მოღწეული № 15 გამოკირულა ქვაბი (ფართ. 24 კვ მ, სიმ. 3,5 მ). სათავსის წინ წინკარია (ფართ. 10 კვ მ). ფასადის ქვითკირის კედელი მთლიანად არ ფარავს ქვაბს — ამოყვანილია 2,25 მ-ზე. კედელში შესასვლელი-ღიობი და სარკმელია. შესასვლელის ორივე მხარეს სათავსში მერხებია. ბრტყელი ჭერი და კედლები სუფთად არის დამუშავებული.

№ 15 ქვაბში 1957 წ. აღმოჩნდა წარწერიანი ქ ვ ა ჯ ვ ა რ ი — ფირუზისფერი ქვიშაქვის სწორკუთხა ფილა (64,5X25,5X12,5 მ). ფილაზე გამოსახულია აყვავებული ჯვარი, რ-ის ქვედა მკლავის ძირში, წრიულ კოპზე ამო-



112. IV კომპლექსი. ა. 15-17 სათავსების გეგმა; ბ. 15-17 სათავსების განივი განაკვეთები. გ. 1-12 სათავსების ვერტიკალური განაკვეთები





კვეთილია თარიღი, ხოლო ამავე მკლავის ორივე მხარეზე ასომთ. წარწერაა: „მე ლეონტი მროველმან დიდითა მოჭირვებითა აღეაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმრთეებისა და დღესა ჭირისასა ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შეილთათვის ჟამთა შინა ალფარსალან სულტანისაგან ოხრობისათა"... ქორონიკონი ადასტურებს, რომ ქვაჯვარის შესრულების თარიღია 1066 წ. მიჩნეულია, რომ წარწერაში მოხსენიებული კტიტორი XI ს-ის ცნობილი ქართვ. მოღვაწე ლეონტი მროველია.

III კომპლექსის გამოკვეთილი ქვაბების ფასადი თითქმის ერთი მთლიანი კედელია და ზღუდის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ № 1 ქვაბის 5 *მ* სიგრძის ქვითკირის კედელში დატოვებულია ფართო შესასვლელი-ღიობი. სარკმლები განლაგებულია ორ რიგად (სავარაუდოა, ქვაბი ორსართულიანი იყო). ქვედა სარკმლების გვერდებზე სწორკუთხა და სამკუთხა ნიშებია.

ქვაბებში გვხვდება ქვევრებიც. განსაკუთრებით საინტერესოა III კომპლექსის მარანი.

IV კომპლექსის ქვაბები გეგმური და სივრცობრივი სტრუქტურით სრულიად განსხვავებულია. ქვაბები შემთხვევითი ფორმისაა, მცირე ფართობის (2-დან 16 *კვ მ*-მდის). ეს სამონაზვნო ქვაბებია, ე. წ. უდაბნო.

ბიბლ.:62.239 — გ. გ.

113. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, დას-ით, მცირე მუხნარში. ნაგებობა თითქმის მთლიანად დანგრეულია (შემორჩენილი კედლები დაახლ. 0,6 *მ*-ის სიმაღლისაა). ნაეკლესიარზე დიდი ხეებია ამოსული. დარბაზული ეკლ. (9,2X6,2 *მ*) ნაგები იყო ნატეხი ქვიშაქვით, გამოყენებული ყოფილა თლილი შირიმის ქვაც. შესასვლელი სამხრ-დანაა (შემორჩენილია წირთხლების შირიმის ქვები). ეკლესიას ნახევარწრიული აფსიდი ჰქონია. ნაგებობის სამშენ. ბაქანი დას-დან და ნაწილობრივ სამხრ-დან და ჩრდ-დან ქვიშაქვის დიდი ლოდებით ამოყვანილი საყრდენი კედლებით ყოფილა გამაგრებული. — დვ. თ.

112. IV კომპლექსი, 1-12 სათავსები: ა. განივი განაკვეთი; ბ. საერთო გეგმა




# იმერხევი

(ზღუდრის სოფსაბჭო)

114. ძაძვის კომპლექსი, ძამის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფ. იმერხევის მიდამოებში, სოფ. ზღუდრის სამხრ-ით 7-8 *კმ*-ზე. ფართ. დაახლ. 1 *ჰა*. თარიღდება ადრინდ. და განვით. ფეოდ. ხანით.

კომპლექსში შედის: იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, სამრეკლო, სატრაპეზო, გალავანი და სხვ. ნაგებობათა ნაშთები.

(ა) იოანე ნათლისმცემლის ეკლესია დარბაზული ნაგებობაა (11,2X5,9 *მ*). თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამოქცეულია კამარა, კონქი და კედლების ზედა ნაწილები. იატაკის დონის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ აღმ. მხარეს. ეკლ. ნაგებია ნატეხი ქვით, ნახმარია ქვიშაქვის პირგათლილი ლოდებიც, კონსტრ. ნაწილები და წირთხლები ამოყვანილია კარგად დამუშავებული შირიმის კვადრებით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. ორივე კარი შიგნიდან თაღოვანია, ხოლო გარედან გადახურულია არქიტრავით, ნახევრად მიწაშია ჩამჯდარი და ამჟამად გაუქმებულია (ეკლესიაში მოხვედრა აღმ. სარკმლიდან შეიძლება). სამხრ. შესასვლელი ძალიან ფართოა. ეკლ. დაბალი და განიერია. ნალისებრი აფსიდი ღრმა და ფართოა. აფსიდის ღერძზე გაჭრილია დიდი, ინტერიერისაკენ გაფართოებული სარკმელი. საკურთხეველს ფაქიზად შესრულებული გეომეტრიული და ფოთლოვანი ორნამენტით შემკული რვაწახნაგასვეტებიანი მოჩუქურთმებული კანკელი ჰქონია (ფრაგმენტები მიმოფანტულია ინტერიერში). კანკელი ეკლესიის თანადროულია. განვითარებულ ფეოდ. ხანაში იგი შეუკეთებიათ და ახალი დეტალებით შეუვსიათ. დარბაზის გრძივი კედლები ერთსაფეხურიანი პილასტრებით ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. ინტერიერი შელესილი და მოხატული ყოფილა. სამხრ. შესასვლელის წირთხლები შემკულია მოკავისფრო ხაღებავით შესრულებული გეომეტრიული ორნამენტით. დას. კედლის კუთხეებში ერთსაფეხურიანი პილასტრებია შემორჩენილი.

ეკლესიას სამი მინაშენი აქვს. ჩრდ. მინაშენი მთლიანად დანგრეულია. დას-ის მინაშენი — კარიბჭე — ეკლესიის კედელს მთელ სიგრძეზე მიჰყვება. მას ძირითადი ნაგებობის კამარის პერპენდიკულარული კამარა ჰქონია. მინაშენის კედლებზე მოყვითალო გათლილი ქვიშაქვისაგან ოსტატურად გამოყვანილი დეკორატ. თაღებია, რ-ებიც მარტივღარებიან კაპიტელებს და კუთხოვან პილასტრებს ეყრდნობა. სამხრ. კედლის ქვიშაქვის კვადრების წიბოები შეერთების ადგილზე საგანგებოდ არის ამოღარული, რაც დამახასიათებელია ადრინდ. ფეოდ. ხანის სამშენ. ხელოვნებისათვის. სამხრ. მინაშენი (დანგრეულია) ეკლესიის დას. კედლის გასწვრივ იწყება და შემდეგ მთელ სამხრ. ფასადს მიჰყვება. აქაც წყობის რიგები ხაზგასმულია ღარებით. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ამ მინაშენის კედლები ორი ახალი ეგვტერის კედლებად გამოუყენებიათ. ერთი მდებარეობს სამხრ. და დას. მინაშენებს შორის არსებულ კუთხეში (მას სამხრ-ით ვიწრო შესასვლელი აქვს), მეორე სამხრ. მინაშენის აღმ. ნაწილშია. ორივე მინაშენს თაროს, ღრმა წრეთარგისა და ლილვისაგან შედგენილი, მთლიანად მუქი ფერის ბაზალტის ქვაში გამოკვეთილი, მონუმ. ლავგარდანი ჰქონია. ეკლესიის ჩრდ-ის დაზიანებული კედლისათვის გარედან მოგვიანებით კონტრფორსი მიუშენებიათ.

ეკლესიის სამხრ. კედელთან, მიწაზე დევს ფართო ფილა ასომთ. წარწერით (იკითხება ცალკეული სიტყვები).

(ბ) სამრეკლო (5,5X4,8 *მ*) ეკლესიის ეზოს შუაში დგას. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ნაგებია უხეშად ნატეხი კირქვით. სამრეკლო ორსართულიანი ყოფილა. II სართული დანგრეულია. I სართული წარმოადგენს კუბური მოცულობის მასიურ სათავსს, რ-იც გადახურული ყოფილა

ნახევარსფერული გუმბათით (დაზიანებულია). შესასვლელი დას-ითაა. სამხრ. კედელთან II სართულზე ასასვლელი კიბეა (დაზიანებულია). სამრეკლოს I სართული დამოუკიდებელი სამლოცველო ან დამხმარე სათავსი უნდა იყოს.

(გ) ს ა ტ რ ა პ ე ზ ო (14,5X9 მ) მდებარეობს ეკლესიის სამხრ.-დას-ით 20 მ-ზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-ითაა. აღმ-ით და დას-ით თითო, ხოლო გრძივ კედლებში ორ-ორი სარკმელია. ინტერიერში შემორჩენილია მწკრივებად დალაგებული ჩამოსაჯდომი ქვები.

(დ) გ ა ლ ა ვ ა ნ ი ნაგებია კირქვის დიდი ლოდებით. დას-ით თაღისებრი კარიბჭე ჰქონია (შემორჩენილია ფრაგმენტი). ეზოში სხვადასხვა ნ ა გ ე ბ ო ბ ა თ ა ნაშთებიც არის. მიწაში ჩაფლულია რამდენიმე მოზრდილი ქვევრი. მიკვლეულია მარცვლეულის შესანახი დიდი ხაროები. *მგ. მ.*

115. ძაძვის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან ჩრდ.-აღმ-ით 7-8 *კმ*-ზე, მაღალ მთაზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (8,7X4,9 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი დას-ითაა. ღრმა, ოდნავ ნალისებრი აფსიდის ღერძზე გაჭრილია ძლიერ ფართო სარკმელი, რ-ის გვერდებზე ოთხკუთხა ნიშებია. საკურთხეველი ერთი საფეხურითაა ამაღლებული. ინტერიერი ფართო და ხალვათია. კედლები შელესილი ყოფილა. *მგ. მ.*

## კეხიჯვარი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

116. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 800 *მ*-ზე, ადგილ უკუღმა საყდარში, ყანაში. თარიღდება ფეოდ. ხანით. ფართ. 2000 *კვ მ*. შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობის ნაშთები და ე კ ლ ე ს ი ი ს კედლის ნაწილი. ზედაპირზე იპოვება კერამ. ჭურჭლის ნატეხები. *კ. ბ.*

117. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ძვ. სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (9X5,1 *მ*), ნაგებია რიყის ქვით, ქვიშაქვითა და ტუფის გათლილი კვადრებით. კონსტრ. ნაწილებში ქვიშაქვის თლილი ფილებია გამოყენებული. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. კარი გარედან არქიტრავითაა გადახურული, შიგნიდან — ნახევარწრიული თაღით. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ერთი სარკმელია. დარბაზის გრძივი კედლები მარტივკაპიტელებიან პილასტრებზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით ორ ნაწილად იყოფა. თაღზე ცილინდრული კამარა გადადის. ჩრდ. კედელში ერთი სარკმელია, სამხრ-ისაში — ორი. ფასადები დასრულებულია თაროსებრი ლავგარდნით. ეკლ. გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით. *მ. გ.*

## კნოლევი

(ავლევის სოფსაბჭო)

118. გომართის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ზედა უბანში, ძვ. სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. 1972 წ. ადგილ. მცხოვრებლებმა ეკლ. შეაკეთეს — აღადგინეს კამარა, კონქი, კედლების ზედა ნაწილები, შიგნიდან და გარედან ცემენტის ხსნარით შელესეს, შეათეთრეს და გადახურეს, დას. კედლის თავზე პატარა ს ა მ რ ე კ ლ ო დადგეს.

ეკლ. დარბაზულია (8,8X5,6 *მ*); ძვ. ნაწილები ნაგებია მოზრდილი ნატეხი ქვიშაქვით, შეკეთების დროს ნახმარია რიყის ქვა და აგურიც. შიგნიდან და გარედან არქიტრავული შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, ხოლო მის ორივე მხარეს თითო მცირე ზომის ნიში. საკურთხევლის იატაკი არდაბაგით არის გამოყოფილი და შემაღლებულია. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილ პილასტრს ეყრდნობა საბჯენი თაღი, რ-ის ქუსლებთან ქვიშაქვის თაროსებრი იმპოსტებია. *დვ. თ.*

119. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის გადაღმა, მდ. შუა ფრონის მარჯვ. ნაპირზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის ხანით. წრიული გორის დიამ. 40 *მ*-ია. იპოვება კერამ. მასალა და გამომწვარი ბათქაში. *ჟ. გ.*

120. საცხოვრებელი სახლი, ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ს ა ხ ლ ი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. აგებულია XIX ს-ის II ნახევარში. ახლა მასში რვაწლიანი საშ. სკოლაა. ამიტომ სახლის გეგმა მთლიანად გადაკეთებულია. აივნების რიკულები შეცვლილია.

სახლი (23,9X17 *მ*) ნაგებია აგურითა და ქვით, ქვედა, ცოკოლის სართული ნახევარსარდაფია სამეურნეო სათავსებით. ჩრდ-ით და აღმ-ით სახლს ხის ღია აივნები აქვს. ჩრდ. აივნის აღმ. კუთხეში, სვეტებს შორის, აგურის პორტალია, რ-ის წინ მცირე ბაქანი და ექვსსაფეხურიანი კიბეა. პორტალის შიგნით იატაკი აივნის იატაკზე დაბალია და აქაც ექვსსაფეხურიანი კიბეა. აივნის ამ ნაწილს ხის მოაჯირი აქვს. ქვის კაპიტალური კედლით (სიგ. 0,75 *მ*) სახლი შუა ნაწილში მთელ სიგრძეზე ორ მონაკვეთადაა გაყოფილი. ოთახები და დერეფნები 0,15 *მ* სიგანის ტიხრებით იყო გაყოფილი. სახლს ხის ნივნივებზე გაწყობილი კრამიტის სახურავი ჰქონდა. *მ. გ.*

## კოდა

(ბრეძის სოფსაბჭო)

121. წმ. ელიას ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით. სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (6X4,1 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, კონსტრ. ნაწილებ-ში თლილი ქვაა გამოყენებული. არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. დარბაზის კამაროვანი გადახურვა სატრიუმფო თაღს და გრძივ კედლებს ეყრდნობა. ეკლესიას შემოვლებული აქვს თლილი ქვის ლავგარდანი; გადახურულია ფილაქვის ორფერდა სახურავით. *დვ. თ., ნ. ა.*

## კოდმანი

(გვერძინეთის სოფსაბჭო)

122. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის თავში, მდ. ძამის მარჯვ. ტოტის მარცხ. ნაპირზე, სალი კლდის თავზე. თარიღდება XVIII ს-ით. ძ. (4,2X X3,9 *მ*) სადარაჯოა. ნაგებია ნატეხი ქვით. სართულშუა გადახურვა ხის იყო. ძ-ს კუთხეები მომრგვალებული აქვს. შემორჩენილია (ნაწილობრივ) ორი სართული. ორივე სართულის კედლებში სათოფურებია. *ზ. პ.*

## მოხისი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

123. მოხისი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. დას. ფრონესა და სურამელას შორის, ქარელიდან 21 *კმ*-ზე.

მ-ის ტერიტორია ადრინდ. ფეოდ. ხანიდან დასახლებული ყოფილა. სოფელზე გადიოდა მნიშვნელოვანი გ ზ ა (შიდა ქართლიდან — გორი — რუისი, საღოლაშენი — არადეთი — მოხისი — ვაყა-ბორჯომის ხეობა), რამაც გარკვეული კვალი დაამჩნია შუა საუკუნეებში სოფლის ეკონ., სოციალურსა თუ კულტ. ცხოვრებას.

ფეოდ. საქართველოს ერთიანობის ხანაში (XI-XIII სს.) მ. საქართვ. სამეფო კარის კუთვნილი („სადედოფლო") ტერიტორია იყო. XIV ს. სამეფო კარმა სოფელი, ჩანს, სვეტიცხოვლის მონასტერს შეწირა — 1392 წ-დან XVI ს. დამდეგამდე მ. საკათალიკოსო სოფელია. 1509 წ. იმერეთის მეფემ ალექსანდრე II ისარგებლა ქართლის სამეფოს დასუსტებით, გორის ციხე აიღო და საკუთარი ძალაუფლება ქართლზე მდ. ლიახვამდე გაავრცელა. იმერეთში შექმნილი მძიმე ვითარების გამო ქართლმა მალე დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიის ნაწი-

ლი, მაგრამ ზემო ქართლის ნაწილი, მ. შ. მ., კვლავ იმერეთის სამეფოს დარჩა. 1512 წ. იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ მ-თან დაამარცხა ურჩი ძმა ვახტანგი, ხოლო 1520 წ. მამია გურიელმა სძლია ქართლის მეფე დავით IX. იმერეთის სამეფომ თავისი უფლებები მ-ზე XVII ს-ის შუა ხანებამდე შეინარჩუნა. XVII ს-ში, იმერეთის სამეფოს დასუსტებასთან ერთად, ქართლის მეფემ და სვეტიცხოვლის მონასტერმა თანდათან დაიბრუნა დაკარგული ყმა-მამული ზემო ქართლში. 1660 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრე III-სა და ქართლის კათალიკოს დომენტის შორის წარმოებული მოლაპარაკების საფუძველზე იმერეთის მეფეს კვლავ უნდა შეეწირა მ. სვეტიცხოვლისათვის და სამაგიეროდ კათალიკოსისაგან საუკეთესო ცხენი და 40 თუმანი თეთრი მიეღო. XVII ს-ის მეორე ნახევრიდან და XVIII ს-ში მ. კვლავ საკათალიკოსო სოფელი იყო. სვეტიცხოველს მ-ში თავის მოურავი ჰყავდა. ამილახორთა სათავადოს ჩამოყალიბებასთან ერთად, მ-ის ყმა-მამულის ნაწილზე წილს იღებენ ამილახორებიც. 1766 წ-თვის მათ სოფლის ყმა-მამულის მერვედი ეკუთვნოდათ. გვიანდ. ფეოდ. ხანის ადმ.-ტერიტ. დაყოფით მ. ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა, რ-საც ამილახორები სარდლობდნენ. სოფლიდან თოფით, ფარ-ხმლითა და მშვილდ-ისრით შეიარაღებული 50 მოლაშქრე გამოდიოდა. მოხისელი მოლაშქრეთაგან ორი მესამედი მხედარი იყო. ეს სოფლის ეკონ. სიმძლავრეზე მეტყველებს. გვიანდ. ფეოდ. ხანაში საქართველოში გავრცელებული იყო სპეც. საწყაო — „მოხისული კოდი".

(ა) 1785 წ. 16 აპრილს მ-თან ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა სოფ. ფხვენისიდან უკუგდებული თურქ-ლეკთა მოთარეშე რაზმები.

ბიბლ.: 89:302, 376,393,396,810; 268ბ 361

*ქ. ქ.*

124. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში, წმ. გიორგის ეკლესიასთან. თარიღდება XVII ს-ით. კ-ის I სართული მოგვიანებით ეკლესიად გამოუყენებიათ, რის გამოც ადგილ. მოსახლეობა მას ღ ვ თ ი ს-მ შ ო ბ ლ ი ს  კ ო შ კ ს უწოდებს.

კ. (11,7X8 *მ*) ნაგებია რიყის ქვით; დაზიანებულია, შემორჩენილია ორი სართული. მოგვიანებით დამატებულ და შეკეთებულ ნაწილებში (II სართულის კარ-სარკმლის წირთხლები). გამოყენებულია აგური. კ-ს გარედან მთელ სიმაღლეზე კუთხეები წაკვეთილი აქვს. ინტერიერი სწორკუთხოვანია. ორივე სართული ნახევარწრიული კამარებითაა გადახურული. კ-ის I სართული შელესილი და შეთეთრებულია. არქიტრაველი შესასვლელი დას. კედლის ღერძზეა. ჩრდ-ის კედელში ორი, ხოლო სამხრ. კედელში ერთი შეწყვილებული სათოფურია. ორი სწორკუთხა სარკმელი აღმ-ისა და დას. კედლების ღერძებზეა გაჭრილი. აღმ. სარკმელი მოგვიანებით მოურთავთ. დას. სარკმლის ძირი საფეხუროვანია და შიგნიდან გარეთ მაღლდება. აღმ. სარკმლის ქვეშ და ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში თითო სწორკუთხა ნიშია. ამავე სართულის აღმ. ნაწილში აგურის კ ა ნ კ ე ლ ი დგას. კამარის შუაგულში ამოჭრილია სწორკუთხა ღიობი (2,3X1,2 *მ*). ჩრდ. კედლის დას. კიდეში თაღოვანი კარია, რ-იც კედელში ჩატანებული კიბის უჯრედში გადის. კიბის ზედა ნაწილში სწორკუთხა სარკმელი და სათოფურია. II სართული მთლიანად გადაკეთებულია: გაჭრილია ორი კარი და სამი ფართო სწორკუთხა სარკმელი. თავდაპირველი სამხრ-ის ორი სარკმელი ამოქოლილია. სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთში ფართო თაღოვანი ნიშია შუაში სათოფურით, ხოლო აღმ. კედლის ჩრდ. კიდეში — კიბის უჯრედის თაღოვანი შესასვლელი. ამ კიბით ადიოდნენ კ-ის ზედა სართულზე. ზედა სართულის კედლები მთლიანად დანგრეულია. კ-ს ხის ნივნივებზე გამართული კრამიტის ორფერდა სახურავი აქვს.

*დვ. თ.*

125. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 1,5 *კმ*-ზე, ადგილ ნაომრების ფერდაზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. აღმოჩენილი ქვაყუთი (2.5X5 *მ*) შეკრულია ოთხი უხეშად დამუშავებული ქვის ფილისგან. ფილები მიწის ზედაპირიდან 0,2 *მ*-ზეა ამოწეული. ქვაყუთის სახურავი დაკარგულია.

*ლ. მ.*

126. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში, შემაღლებულ ადგილზე. ეკლესიას დას-დან ორსართულიანი ს ა მ რ ე კ ლ ო აქვს მიშენებული, ხოლო სამხრ-დან — კ ა რ ი ბ ჭ ე. ეკლ. აგებულია 1811 წ. დაზიანებულია კარიბჭისაგან შემორჩენილია მხოლოდ სწორკუთხა ბოძების ქვედა ნაწილები. 1972 წ. ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. შეაკეთა.

ეკლ. დარბაზულია (15X9 *მ*), ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვით (კედლების ქვედა ნაწილები და ცოკოლი). სამხრ. კედლის დას. მონაკვეთში და დას. კედლის ღერძზე ფართო თაღოვანი შესასვლელებია. საკურთხეველი სწორკუთხოვანია, კუთხეებში ოდნავ მომრგვალებული; მის აღმ. კედელში სარკმელია, გვერდით კედლებში კი თაღოვანი ნიშები — სამი ჩრდ-ით, ერთი სამხრ-ით. ერთი პატარა ნიში სამხრ. კედლის დას. მონაკვეთშია. საკურთხევლის წინ მოხატული კ ა ნ კ ე ლ ი დგას. დარბაზის გრძივ კედლებში ერთმანეთის პირდაპირ სამ-სამი ფართო თაღოვანი სარკმელია. დას. შესასვლელის თავზე კამარიდან სამრეკლოს მეორე სართულზე ასასვლელი თაღოვანი შესაძრომია, აქ ვიწრო ხის კიბეა. ერთი პატარა



126. სამხრ. ფასადი, გრძივი ჭრილი სამხრ-იდან, გეგმა

მრგვალი სარკმელი დას-ის კედელშია (ხის პატრონიკეს გასანათებლად). ეკლესიის შიდა სივრცე ხალვათია. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია, ქვედა ნაწილში ზეთის საღებავის პანელია. ეკლესიის აგურით ნაწყობი ნახევარწრიული კამარა ერთ შეკიდულ საბჯენ თაღსა და დას. კედლის თაღს ეყრდნობა. გრძივ კედლებზე, სარკმლებს შორის, კონქში და კამარაში რამდენიმე პატარა ქვევრია ჩასმული, რ-ებსაც „პირები" ამოლესილი აქვთ; ნალესში თითო ყვავილისმაგვარი სახეა ამოჭრილი. ეკლესიის იატაკსა და საკურთხევლის ბაქანზე დაგებულია ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრები.

ეკლესიის გლუვ ფასადებზე კარ-სარკმლის ღიობები მოჩარჩოებულია ლეკალური აგურით. აღმ-ის ფასადზე, სარკმლის ზემოთ, ერთ ვერტიკალზე ჩასმულია ქვიშაქვის მცირე ზომის ქვა (0,65X0,5 *მ*), რ-ზეც ამოკვეთილია შვიდსტრიქონიანი მხედრ. წარწერა. მის თავზე მცირე ზომის პატარა ქვაა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. წარწერა ძლიერ დაზიანებულია, იკითხება მხოლოდ ეკლე-

ხიის აგების თარიღი (1811 წ.) და ცალკეული ასოები. ფასადები დასრულებულია ბაზალტის ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო, შეზნექილი ზედაპირი და ლილვი შეადგენს.

(ა) სამრეკლო ორსართულიანია. მისი I სართულის თაღები ორ თავისუფლად მდგომ სვეტსა და ეკლესიის კედლის ორ ნახევარსვეტს ეყრდნობა; გადახურულია გუმბათოვანი კამარით. II სართული წარმოადგენს ოთხწახნაგოვან, სვეტებზე დაყრდნობილი თაღებით გახსნილ ფანჩატურს. თაღებს ზემოთ ჯვარედინად გადებულ ხის ორ ძელზე ჩამოკიდებულია დიდი ბრინჯაოს ზარი. წარწერის მიხედვით ზარი ჩამოსხმულია 1883 წ. და იწონის 150 კგ. სამრეკლოს II სართულის ჭერს საფეხუროვანი პირამიდული ფორმა აქვს. *დე. თ.*

# მუხილეთი

(ზღუდრის სოფსაბჭო)

127. ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში, თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით.

კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ეკლესია და სხვა ნაგებობათა ნაშთები. ნაგებობათა უმეტესი ნაწილი ძლიერ დაზიანებულია. ეკლ. შედარებით კარგადაა დაცული.

(ა) ღვთისმშობლის ეკლესია დარბაზულია (12,4X5,25 *მ*), ნაგებია კარგად დამუშავებული ბაზალტის კვადრებით. აქვს სამი შესასვლელი; სამივე მინაშენებში გადის. მთავარი, სამხრ-ის შესასვლელი გარედან არქიტრავითაა გადახურული, შიგნიდან — ნახევარწრიული თაღით. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ფართო და მაღალი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს მცირე ზომის ოთხკუთხა ნიშებია.

ეკლესიას სამი მინაშენი აქვს — დას-ით, სამხრ-ითა და ჩრდ-ით. დას-ის მინაშენი ეკლესიის კედლის მთელ სიგრძეზეა მიდგმული; გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-იც დაბეტონებულ მასას წარმოადგენს. მინაშენი ეკლესიასთან შედარებით ნაგებია მდარედ. მას ორი შესასვლელი ჰქონია — სამხრ-ით (ამოშენებულია) და დას-ით, რ-იც დაკავშირებულია ძლიერ დანგრეულ ნაგებობასთან. ჩრდ. მინაშენი დანგრეულია და მიწითაა დაფარული. ეკლესიის სამხრ. მინაშენი, რ-საც სამხრ. ფასადის დას. ნახევარი უჭირავს, მცირე ეგვტერია. მას საკურთხეველი და აგურით ნაგები კანკელი (დანგრეულია) ჰქონია. ეგვტერის წინ მიშენებულია მაღალი კარიბჭე, რ-იც სამხრ-ით მთლიანად გახსნილია ფართო თაღით. თაღი მთლიან ქვაში გამოკვეთილ მარტივღარებიან კაპიტელებს ეყრდნობა.

ეკლესია და მინაშენები კრამიტით ყოფილა გადახურული. საზურგე კრამიტებს მარტივი გეომეტრიული ორნამენტი ამკობს, ხოლო ბრტყელ კრამიტებს აქვს ასომთ. წარწერა, რ-იც სამი დაქარაგმებული ასოსაგან შედგება: ი ნ ე (იოანე).

ეკლესიის აღმ-ით, სოფლის განაპირას, კლდეზე აღმართულია ოთხკუთხა (ბ) კოშკი, რ-იც მდ. მუხილეთის გაყოლებით მიმავალ ძვ. გზას იცავდა. *მგ. მ.*

# მძოვრეთის ციხე-დარბაზის კომპლექსი,

იხ. სოფ. ორთუბანი

# ორთუბანი

(ზღუდრის სოფსაბჭო)

128. მძოვრეთის ციხე-დარბაზის კომპლექსი, ზოვრეთის ციხე-დარბაზის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დასაწყისში, მდ. ძამის მარჯვ. ნაპირზე, ნაქალაქარ მძოვრეთის სამხრ.-აღმ. მონაკვეთში. კომპლექსში შედის: ეკლესია, სამრეკლო კოშკი. კომპლექსი ძლიერ დაზიანებულია: სასახლისაგან (გრძელი სწორკუთხა შენობა) და რამდენიმე საცხოვრ. და სამეურნეო ნაგებობისაგან მხოლოდ კვალია შემორჩენილი.

ციხე-დარბაზს ფერდობის ძირას გრძელი მონაკვეთი (75X180 *მ*) ეკავა და შემოზღუდული ჰქონდა (ა) გალავანი. ნაგებობები შევაკებაზე იყო განლაგებული. შემორჩენილია გალავნის ჩრდ-ის ნაწილი მთელ სიგრძეზე და ნაწილობრივ აღმ-ისა და დას-ის მხარეები. გალავანს ჭიშკარი დას-ით ჰქონია, ხოლო მეორე კარი ჩრდ-ით (ეკლესიასთან).



128 (ბ), (გ). ჩრდ. ფასადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-ისაკენ, გეგმა

ციხე-დარბაზის აგება უშუალოდ დაკავშირებულია XVII ს. დასაწყისში ციციშვილთა საფეოდალოს ცენტრის სამწევრისიდან მძოვრეთში (ზოვრეთი) გადმოტანასთან. მძოვრეთი ხეობაში, სტრატეგიული თვალსაზრისით მოხერხებულ ადგილას მდებარეობდა.

(ბ) ეკლესია დარბაზულია (9X5,8 *მ*), დგას გალავნის შიგნით, აღმ-ით. თარიღდება XVII ს. დასაწყისით. ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი დას-დანაა. ნახევარწრიულ აფსიდში

128. საერთო ხედი



და სამხრ-ისა და დას-ის კედლებში თითო სარკმელია. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც კედლის წყვილ პილასტრზე დამყარებულ თაღს ეყრდნობა. საკურთხეველი გამოყოფილია გვიანდ. მასიური კანკელით, რ-ის ალსავლის კარის გვერდებზე თითო ნიშია. ინტერძერი შელესილი იყო. შენობის ლავგარდანი და სახურავი მთლიანად ჩამონგრეულია.

ეკლესიის დას. კედელზე მიშენებულია სამსართულიანი (გ) სამრეკლო (5,8X5,9 მ), თარიღდება XVIII ს. II ნახ-ით. ძირითადად ნაგებია რიყის ქვით. ქვედა ნაწილში გამოყენებულია თლილი ქვაც, ინტერიერში — აგური. დაზიანებულია შენობის მხოლოდ ზედა ნაწილები. I სართული — კარიბჭე სამი მხრით ღია თაღებითაა გახსნილი და გადახურულია დამჯდარი კამარით. II სართული მცველის საცხოვრებელია და აღჭურვილია სათავდაცვო ელემენტებით. კარი სამხრითაა. ამ სართულზე ასვლა მისადგმელი ხის კიბით შეიძლება. ალმ-ის კედელი ეკლესიას ესაზღვრება. დანარჩენ სამ კედელში სათოფურებია. III სართულსაც კამაროვანი გადახურვა აქვს. იგი ოთხივე მხარეს გახსნილია განიერი ნახევარწრიული თაღებით და ზარების დასაკიდ ფანჩატურს წარმოადგენს. III სართულის თაღების დონეზე შენობის კვადრ. გარემოხაზულობა ოდნავ ვიწროვდება, გადადის რვაწახნაგოვანზე და რვაგვერდა პირამიდით მთავრდება.

(დ) კოშკი (7,1X6,9 მ, სიმ. 22,3 მ) მდებარეობს ციხე-დარბაზის სამხრ.-დას. მონაკვეთში. თარიღდება XVII ს. დასაწყისით. იგი შვიდსართულიანია, პირამიდული, ნაგებია რიყის ქვით. ინტერიერში გამოყენებულია აგური. შესასვლელი ორი აქვს — ჩრდ-დან (I სართულზე) და სამხრ-დან (III სართულზე). კოშკი ფერდობზე დგას და ორივე კარი მიწის ზედაპირს უსწორდება. I სართულის კედლები ყრუა. II სართულს ერთი სარკმელი აქვს და მის კედელში იწყება კიბე, რ-იც ბოლო სართულამდე ადის. I სართულს ხის გადახურვა ჰქონდა. დანარჩენი სართულები აგურის ოდნავ შეისრული კამარით იყო გადახურული. III სართულს მხოლოდ ერთი სათოფური აქვს IV სართულის კედლებში სათოფურები და ბუხარია, V-ზე — ცალმაგი და ორმაგი სათოფურები, VI-ზე — სათოფურები და ბუხარი. V და VI სართულებზე გადმოკიდებული საპირფარეშოებია. VII სართული ოთხივე მხარეს თაღებით იყო გახსნილი.

გასამაგრებლად კოშკის სამ კედელზე მიშენებულია ნახევარწრიული კონტრფორსები. კოშკზე ჩრდ-ის მხრიდან (ე) საცხოვრებელი სახლია მიდგმული.

ბიბლ.: 45; 101 ზ. პ.

128(დ) განაკვეთი სამხრ.-ალმ-კენ (რეკონსტრუქცია), გეგმა



129 ნაქალაქარი მძოვრეთი, ზოვრეთი, ·ისტ., არქიტ., ხელოვნ. ძ. მდებარეობს სოფელში, მდ. ძამის მარჯვენა ნაპირზე, მაღალი მთის დავაკებაზე.

სახელწოდება „ზოვრეთი" (მძოვრეთი) წარმოდგება სიტყვა „საზუვრედან" (ზუვრის ადგილი), რაც საბაყოს ნიშნავს. ქალაქი მდებარეობდა შიდა, ქვემო და ზემო ქართლის შემაერთებელ გზაზე. X ს-ში ძამელი მთავრის ადარნესეს რეზიდენცია იყო. XIV ს-ში მას გამრეკელ კახას ძე და მისი მემკვიდრეები ფლობდნენ. XVI-XVII სს-ში ფანასკერტელ-ციციშვილებმა სამწევრისიდან თავიანთი რეზიდენცია აქ გადმოიტანეს და ზოვრეთი სათავადოს პოლიტ. ცენტრად აქციეს. XVIII ს-დან ქალაქი დაქვეითებას განიცდის და იწოდება „მცირე ქალაქად". XIX ს-ში ციციშვილები ტოვებენ ამ ადგილს და ქალაქიც წყვეტს არსებობას. მის ნანგრევებზე ახალი სოფელი ორთუბანი გაშენდა.

ქალაქის საზღვრები მთლიანად არ არის დადგენილი, მისი ჩრდ. (ა) გალავანი მდინარეს მიჰყვებოდა (შემორჩენილია გალავნის ჩრდ.-ალმ. კუთხე). აქვეა (ბ) ორსართულიანი სახლების ნანგრევები; მისგან დას-ით 1 კმ-ზე აბანო მდებარეობს, ხოლო ქალაქის ცენტრში იდგა (გ) საბაყო — ორმხრივ ღია კვადრ. ნაგებობა. ცოტა მოშორებით, მთის ფერდზე ციციშვილების ციხე-დარბაზის კომპლექსია.

129(დ). გეგმები, განაკვეთები



(დ) აბანო (14,8X11,7 მ) დგას ნაქალაქარის დას. მონაკვეთში. ნაგებობა ნახევრად მიწაშია ჩაშვებული. თარიღდება XVII ს-ით. ძირითადად ნაგებია აგურისა და რიყის ქვით. შედგება ორი მონაკვეთისაგან: გასახდელისა და საბანაოსაგან. შენობაში შესასვლელი ალმ-დანაა, გასახდელი კვადრ. სათავსია, გადახურულია სფერული კამარით, კედლებზე დეკორატ. თაღებია. ჩრდ. კედელში ჩაშენებულია დიდი ზომის ბუხარი. ცენტრში აუზი იყო შადრევნით. მოსაცდელ-გასახდელი გადის გრძელ ტალანში, რ-ის ბოლოებში სხვადასხვა დამხმარე სათავსია. ტალანი გადის კვადრ. საბანაო სათავსში, რ-ის ორ მკლავში აუზებია მოწყობილი. აუზებში გამოყვანილია ცხელი და ცივი წყლის მილები. გადა-

ხურვა ხუერულ-კამაროვანია. იატაკი, რ-იც აგურის სვეტებს ეყრდნობოდა, ჩანგრეულია და კარგად ჩანს გათბობის სისტემა: სამხრ-ით მდებარე გრძელი მილით შემოდიოდა ცხელი ჰაერი, რ-იც იატაკს ათბობდა. აბანოს აღმ-ით მდებარეობს ცილინდრული კამარით გადახურული გრძელი სათავსი, რ-ის დას. ბოლოში ქვაბი(?) მდგარა. მის ქვემოთ საცეცხლე იყო. ცხელი წყალი საბანაო სათავსში კერამ. მილებით იყო შემოყვანილი. საქვაბე ცივი წყლით მარაგდებოდა მისგან სამხრ-ით მდებარე მცირე წყალსაცავიდან, რ-შიც წყალი ხევიდან იყო გამოყვანილი.

ბიბლ.: 45; 101 ზ. პ.

130. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ხოფლის სამხრ.-აღმ-ით დაახლ. 200-300 მ-ზე, მთის ფერდობზე, სასაფლაოს ტერიტორიაზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ძლიერ დაზიანებულია: მთლიანად ჩამონგრეულია დარბაზის კამარა, ფასადის საპირე ქვები, ლავგარდანი და სხვ.

ეკლ. დარბაზულია (7,7X5,2 მ), კედლები ძირითადად ნაგებია რიყის ქვითა და ნატეხი ქვიშაქვით, აფსიდის კონქი და კამარის შემორჩენილი ნაწილი მთლიანად აგურისაა. შიგნიდან ხის ძელით, ხოლო გარედან ქვიშაქვის არქიტრავით გადახურული ერთადერთი შესასვლელი სამხრ-ითაა.

ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. მის ორივე მხარეს თითო მაღალი ნიშაა, აფსიდს, ნიშების ძირის დონეზე, დაახლ. 0,1-0,12 მ-ის სიგანის საფეხური გასდევს. თითო თაღოვანი სარკმელია დას-ით, ჩრდ-ითა და სამხრ-ით. თავისებურია აღმ-ის ფასადი.— აქ კიდეებზე, კედლის სისქეში, დაახლ. 1,6 მ-ის სიმაღლის კუთხური ნიშებია. სამხრ-ის ფასადის სიბრტყე დასრულებულია კარგად გათლილი მჭიდროდ მიწყობილი შირიმის ქვების რიგით, რ-ზეც ქვიშაქვის თაროსებრი ლავგარდნის ქვებია დაწყობილი. დე. თ.

131. ძამის ციხე-დარბაზი, არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს ხოფლის სამხრ-ით 2 კმ-ზე, მაღალ მთაზე, მდ. ძამის ხეობაში. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით.

ძამის ციხე მდებარეობდა სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილზე — იგი იცავდა შიდა ქართლიდან სამხრ.




131. განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა (რ. მეფისაშვილისა და ვ. ცინცაძის მიხედვით)

საქართველოსკენ მიმავალ მნიშვნელოვან გზას. (ა) ისტ. წყაროებში ციხეს პირველად „მატიანე ქართლისაის" ავტორი დემეტრე აფხაზთა მეფისა (967-975 წწ.) და მისი ძმის თეოდოსს შორის წარმოებულ ბრძოლებთან დაკავშირებით იხსენიებს. თეოდოსმა დახმარება სთხოვა ძამის ხეობის გამგებელს ადარნასეს. ძამის მთავარმა თავის რეზიდენციაში — ძამის ციხეში შეიფარა თეოდოსი. „მაშინ დემეტრე მეფემან მიგზავნა ლაშქარი თვისი, მოადგეს ციხესა ძამისასა და ჰბრძოდეს სამ თუე ოდენ". ბოლოს ადარნასე ძამელი და თეოდოსი იძულებული გახდნენ დანებებოდნენ დემეტრეს.

ფეოდ. საქართველოს ერთიანი სამეფოს შექმნის შემდეგ, XI-XII სს-ში ძამის ციხეს და მის მიმდებარე ტერიტორიას განაგებდა მეფის მოხელე ქართლის ერისთავთერისთავი. XII-XIII სს. მიჯნაზე ციხის გამგებელი გახდა საქართველოს დიდი ფეოდალი გამრეკელ-თორელი. (ბ) მონღოლთა ბატონობის ხანაში, დავით VIII-ის მეფობის დროს (1293-1311 წწ.), შინაფეოდალური ომების შედეგად, ძამის ციხეს მცირე ხნით ოსები დაეპატრონნენ. XIV ს. დასაწყისშივე ციხე გამრეკელ-თორელებმა დაიბრუნეს. საუკუნის მანძილზე ციხეზე და ძამის ხეობის ზედა წელზე გამრეკელ-თორელები და მათი გვარის განაყარი შტო — ჯავახიშვილები ახორციელებდნენ კონტროლს. ამავე პერიოდში ციხეს ერთმანეთს ეცილებოდნენ ჯერ გამრეკელი და ორბოძლელები, ხოლო მოგვიანებით ორბოძლელები და ფანასკერტელ-ციციშვილები.

ძამის ციხის სიმტკიცე-მიუვალობა საგანგებოდ აქვთ ხაზგასმული თემურლენგის კარის ისტორიკოსებს. (გ) თემურლენგის შემოსევის დროს, 1400 წ. ზაფხულში გიორგი VII (1395-1407 წწ.) მძიმე ბრძოლებით უკან დაიხია და ბოლოს ძამის ციხეში გამაგრდა. ციხეს ალყა შემოარტყა თემურლენგმა. შვიდი დღე-ღამის განმავლობაში მეციხოვნეები მამაცურად იგერიებდნენ იერიშებს. ბოლოს იერიშს თვით თემურლენგი ჩაუდგა სათავეში და საალყო მანქანებით და დიდი ძალებით ციხე აიღო. გიორგი VII ლაშქრით ციხიდან გამოვიდა, გააპო ალყა და საყანეთის ციხეს მიაშურა.

XV ს. დამდეგს ჯავახიშვილებმა დაკარგეს გავლენა ძამის ხეობის ზედა წელზე და ძამის ციხეზეც. მთელ ძამის ხეობაზე საბოლოოდ განიმტკიცა უფლებები ციციშვილთა გვერულობამ. ვახუშტის თქმით „ამ ციხის ქუეშ სასახლეა ციციანთა". XVIII ს-მდე ძამის ხეობა ციციშვილთა სათავადოში შედიოდა.

ძამის ციხე ყოველთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო და მას ქვეყნის საერთო პოლიტ. ინტერესებისათვის იყენებდნენ.

(დ) XV ს-ის II ნახ-ში ძმორეთში მოღვაწეობდა „ზაზა მკურნალი", „ბრძენთ მთავარი" ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ - ც ი ც ი შ ვ ი ლ ი. აქ დაწერა მან საექიმო წიგნი — „კარაბადინი".

(ე) ც ი ხ ე (დაახლ. 22X18 მ) რამდენიმე ქრონოლ. ფენისაგან შედგება. მათი ერთმანეთისაგან ზუსტად გამიჯვნა შეუძლებელია. თავდაპირველად აქ უნდა მდგარიყო სამკუთხედად განლაგებული სამი კოშკი, რ-თაგან ორი გალავანში იყო ჩართული. სხვა კოშკები და საცხოვრ. შენობები აგებულია მოგვიანებით. ციხე ნაგებია ნატეხი ქვით, ზოგიერთ ნაგებობაზე გამოყენებულია თლილი ქვაც.

131(ე). პერსპექტივი, რეკონსტრუქცია



ჩრდ-ით მდგარი კოშკის ზედა ნაწილი, ჩრდ.-აღმ. კოშკის დას-ისა და სამხრ-ის კედლები და ჩრდ.-დას. კოშკის ჩრდ. ნაწილი სხვადასხვა დროს აღდგენილია.

ჩრდ-ის სწორკუთხა (ე) დ ი დ ი კ ო შ კ ი ს ა გ ა ნ მხოლოდ სამი სართულია შემორჩენილი. სართულშუა გადახურვა ხისა ყოფილა. შესასვლელი II სართულზეა, სარკმლები — ყველა სართულზე. II სართულზე ბუხარი და ნიშებიცაა. კოშკის სამხრ-ით მდებარე ციხეს კლდოვანი რელიეფის შესაბამისად რთული გეგმა აქვს. მის ჩრდ. და დას. კუთხეებში სამსართულიანი (ზ) ე ლ ი ფ ს უ რ ი კ ო შ კ ე ბ ი დგას. ეზოს დას. მონაკვეთში (თ) ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი შ ე ნ ო ბ ა ა. სამხრ.-აღმ-ის კუთხეში მდგარი ნაგებობის ქვედა სართულში (ი) ო რ ი ე კ ლ ე ს ი ა ა, ზემოთ სხვადასხვა დანიშნულების სათავსებია.

ჩრდ.-აღმ-ის, დას-ისა და ჩრდ.-დას-ის კოშკებიც სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. კოშკებში ყოველ სართულზე ბუხრები, სარკმლები და ნიშებია.

ჩრდ.-დას-ის კოშკის გასწვრივ, სამხრ-ით სამსართულიანი (კ) ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი ა. I სართულის კედელში თითქმის 2 მ სიგანისა და სიმაღლის ბუხარია. ეზოს ცენტრ. და სამხრ-ის მონაკვეთი სამსართულიან (ლ) ნ ა გ ე ბ ო ბ ა ს უჭირავს.

ციხის გარეთ ჩანს წყალსადენის კერამ. მილები.

ბიბლ: 44თ; 72; 89 ზ. პ., კ. კ.

## ოქროსოფელი

(ახალსოფლის სოფსაბჭო)

132. მაცხოვრის ეკლესია, არქიტ., არქეოლ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით დაახლ. 1 კმ-ზე, ახალსოფელ-ოქროსოფლის გზის პირას, ძვ. სასაფლაოზე, ნ ა ს ო ფ ლ ა რ ც უ ქ ი თ ი ს (სუქითი) ტერიტორიაზე. სტილისტ. ნიშნებით IX-X სს. თარიღდება. დაზიანებულია — ჩანგრეულია კამარა, მორღვეულია კედლების ზედა ნაწილები, დეფორმირებულია (გარღვეულია) კონქი და აფსიდი, ინტერიერი 1,5 მ-ის სიმაღლეზე ნანგრევებითაა ამოვსებული.

ეკლ. დარბაზულია (12,2X6,9 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის ცუდად დამუშავებული ქვიშაქვით, გამოყენებულია შირიმიც. შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავული შესასვლელი სამხრ-ითაა. ჩრდ-ის კარით ეკლ. ჩრდ-ის მინაშენს უკავშირდებოდა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ორივე

მხარეს — თითო სწორკუთხა ნიში. ასეთივე თითო ნიშია გრძივი კედლების აღმ. მონაკვეთში. სამხრ. სარკმელი გადახურულია ბრტყელი ქვით. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო ორსაფეხურიანი პილასტრია, მის პირველ საფეხურს კედლის დეკორატ. თაღები ეყრდნობა, მეორეს — კამარის საბჯენი თაღი. იმპოსტების პროფილი შედგენილია თაროსა და დახრილი სიბრტყისაგან. დას. კედლის კუთხეებში, კამარის ქუსლის დონეზე, ბრტყელი კრონშტეინებია, რ-ებსაც კედლის დეკორატ. თაღი ეყრდნობოდა.

ეკლესიის კედლის მონაკვეთები მოგვიანებით შეულესავთ და მოუხატავთ. საკურთხევლის სარკმლის ერთ გვერდზე, სამხრ-ით, შემორჩენილია გვიანდ. ფეოდ. ხანის (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ა — ცხენზე ამხედრებული წმ. მეომარი გველეშაპს კლავს. წმინდანი პირით სარკმლისკენაა მიბრუნებული. თანმხლები ასომთავრული წარწერა დაზიანებულია. კომპოზიცია მოჩარჩოებულია მოწითალო-ყავისფერი ხაზით. ფონი მონაცრისფრო-თეთრია. წმინდანის სხეული არაპროპორციულია (დიდი თავი, პატარა სხეული, მინიატურული ტერფები). სახეზე მკვეთრად გამოირჩევა დიდრონი თვალები, რ-ებიც სახეს თავისებურ, უშუალო გამომსახველობას ანიჭებს. მხატვრობისათვის დამახასიათებელია ფერთა ძუნწად გამოყენება (თეთრი, მონაცრისფრო-თეთრი, შავი მოწითალო-ყავისფერი). შესრულების უკიდურესად გამარტივებული მანერით, ხაზოვანი დამუშავებით მხატვრობა ხალხური ხასიათის ნიმუშებს უკავშირდება. მოხატული ყოფილა კედლის მონაკვეთი სარკმლის მეორე გვერდზეც, ჩრდ-ით — სავარაუდოა, რომ საკურთხეველში წარმოდგენილი იყო ფეოდ. ხანის ქართ. ეკლესიის მოხატულობისათვის დამახასიათებელი ჰერალდიკური კომპოზიცია (პირით ერთმანეთისაკენ მიბრუნებლი ორი ცხენოსანი წმ. მეომარი, რ-თაგან ერთი გველეშაპს კლავს, ხოლო მეორე — მეფეს).

ფასადები დასრულებული იყო თაროსებრი ლავგარდნით (შემორჩენილია რამდენიმე ქვა). ეკლესიის ჩრდ-ით და დას-ით მიშენებული ს ა თ ა ვ ს ე ბ ი მთლიანად დანგრეულია (არ ხერხდება გეგმის დადგენა). *დე. თ.* *დ. ფ.*

## რუისი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

133. რუისი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს ქარელიდან 5 *კმ*-ზე, გორი-ხაშურის საავტ. გზაზე.

სახელწოდება რუისი წარმოდგება სიტყვა „რუ"-დან. ვარაუდობენ, რომ იგი ანტ. ხანის ქ. ურბნისის ერთ-ერთი სამიწათმოქმედო რაიონი იყო. ფეოდ. ხანაში აქ საეპისკოპოსო კათედრაა. რუისის ეპისკოპოსი ანუ მროველი („ეპისტოლეთა წიგნში" მოხსენიებულია როგორც „მარუელი") 506 წ-ის დვინის საეკლ. კრების მონაწილე ქართვ ეპისკოპოსთა შორის მეათე ადგილზეა დასახელებული. საეპისკოპოსოს ეკუთვნოდა რ-ის ჩრდ.-დას-ით მდებარე შიდა ქართლის სოფლები ლიხ-ტაშისკარამდე. აწყურის საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ (XVII ს.) მროველის სამწყსო გაფართოვდა. 1811 წ. რ-ის საეპისკოპოსო გაუქმდა. რ-თან დაკავშირებულია ფეოდ. ხანის საქართველოს არაერთი მნიშვნელოვანი პოლიტ. მოვლენა. (ა) რ-ის ღვთისმშობლის ეკლესიაში ქართლის მეფედ აკურთხეს გიორგი II (1072-89 წწ.). ამ დროს რ. ქართლის დედაქალაქის როლს ასრულებდა.

(ბ) 1104 წ. მეფე დავით IV-აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) თაოსნობით მოწვეულ იქნა რ უ ი ს-უ რ ბ ნ ი ს ი ს საეკლესიო კრება — „სანახებთა ქართლისათა მახლობლად ორთა საეპისკოპოთა რუისისა და ურბნისისათა". კრებამ სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით გაატარა ღონისძიებები — გადააყენა უღირსი საეკლ. პირები, რ-ებსაც მემკვიდრეობით ეჭირათ თანამდებობები; მათ ნაცვლად აირჩია „ღირსნი და განსწავლულნი", მეფის ერთგულნი, დაამტკიცა სასულიერო თანამდებობის პირთა ხელდასხმის წესი, დააკანონა გვირგვინის კურთხევის წესი და სხვ. კრებამ მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტი „ძეგლისწერაი რუის-ურბნისის კრებისაი".

რ-ის საეპისკოპოსო წარმოადგენდა ფეოდ. საქართველოს მძლავრ კულტ.-საგანმან. კერას. აქ მოღვაწეობდნენ ანტონ მროველი (IX-X სს.), ლეონტი მროველი (XI ს.), გიორგი მროველი (XII-XIII სს.), დიონისე ლარაძე (XVI ს.), დომენტი ავალიშვილი (XVI-XVII სს.), ნიკოლოზ ორბელიანი (1672-1732 წწ.), იოანე გედევანიშვილი (1737-1821 წწ.) და სხვ. აქ იყო დიდი წიგნთსაცავი, სადაც ინახებოდა ბევრი ხელნაწერი. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რ-ის სახარება (XI ს.).

რ. ხშირად ყოფილა კლასობრივი ბრძოლის არენა. (გ) 1794 წ. რუისელმა გლეხებმა უარი თქვეს გადასახადებზე, მიატოვეს ბატონები და გაიხიზნენ.

(დ) 1905 წლის 14 მარტს გლეხებმა დაარბიეს სოფლის კანცელარია და წისქვილები, განდევნეს მოხელენი.

*ბიბლ.:* 46:159; 56; 201დ:737 *ანთ. ი. ბერძ. ც., ზ. პ., ქ. ქ., მ. ლ., ს. თ.*

134. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება XVIII-XIX სს-ით.



134 გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

ეკლ. დარბაზულია (7,43X4,47 *მ*), ნაგებია ქვიშაქვითა და რიყის ქვით. შესასვლელი სამხრ-დანაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ერთი სარკმელია, მის ორივე მხარეს — თითო ნიში. დარბაზის გრძივი კედლები უშუალოდ უკავშირდება აფსიდის კონქს, რ-ის ქუსლები იმპოსტებს ეყრდნობა. სამხრ-ის კედელში ერთი სარკმელია. ეკლ. გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით. *მ. ქ.*

135. კვირიკეთმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის წინაუბნის ჩრდ. ნაწილში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (10,6X6,3 *მ*), ნაგებია რიყის ქვით, შეკეთების დროს (XIX ს.) გამოუყენებიათ ბაზალტი. კედლები შიგნით და გარეთ შელესილია. კარ-სარკმლის გარე საპირეები თლილი ქვისაა, სახურავი კრამიტის. შესასვლელი სამხრ-ითაა, დას-ის კარი ამოშენებულია. შეკეთების დროს კარზე გარედან არქიტრავად საფლავის წარწერიანი ქვა ჩაუდგამთ. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ერთი თაღოვანი სარკმელია. ერთი საფეხურით ამაღლებულ საკურთხევლის იატაკზე მოგებულია აგური. სამხრ-ის კედელში შიგნიდან თაღოვანი, ხოლო გარედან სწორკუთხა ორი სარკმელია. დარბაზის დას. ნაწილში ხის პატრონიკე ყოფილა, რასაც მოწმობს გრძივ კედლებში ძელისათვის ამოღებული ჰორიზ. ფოსოები. აღმ-ის ფასადზე, ფრონტონის ქვეშ გამოსახულია მცირე რელიეფური ჯვარი. ნაგებობას შემოვლებული აქვს შირიმის პროფილირებული ლავგარდანი. დას-ის ფასადის ფრონტონის კეხზე დაშენებულია

აგურის ოთხბოძიანი ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-საც პირამიდული სახურავი აქვს. *მგ. მ.*

136. **ნასოფლარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 1 *კმ*-ზე, ადგილ სერებზე. მიეკუთვნება გვიანდ. ფეოდ. ხანას. ნ-ზე იპოვება წითლად გამომწვარი, უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ზომის ქვევრის ფრაგმენტები, რ-თა ზედაპირი კირითაა შელესილი. შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები რამდენიმე შ ე ნ ო ბ ი ს საძირკვლის ნაშთი. *ნ. ა.*

137. **ღვთისმშობლის ეკლესია**, არქიტ. ძეგლი. დგას სოფლის წინაუბნის ჩრდ -ალმ-ით. თარიღდება განვით ფეოდ. ხანით. შეკეთებულია XIX-XX სს-ის მიჯნაზე.

ეკლ. დარბაზულია (8,35X5,8 *მ*), ნაგებია რიყის და ნატეხი ქვით. ფასადები მოპირკეთებულია შირიმის კარგად გათლილი კვადრებით, აქა-იქ გამოყენებულია ბაზალტის კვადრებიც. შესასვლელი სამხრ-დანაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს ღრმა ნიშებია. სწორკუთხაა დას-ის სარკმელიც, რ-საც ძლიერ დამრეცი ქვედა ნაწილი აქვს. შიდა სივრცე მაღალი და ხალვათია. თავდაპირველად ინტერიერის კედლები შელესილი ყოფილა. შეკეთების შემდეგ ხელმეორედ შეულესიათ და შეუთეთრებიათ. ამავე ხანებში დას. ფასადის ფრონტონის კეხზე დაუშენებიათ ოთხბოძიანი, ოთხივე მხარეს ნახევარწრიული თაღებით გახსნილი აგურის ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-საც შიგნიდან სფერული კამარა აქვს, ხოლო გარედან დასრულებულია პირამიდული სახურავით. ეკლესიას შერჩენილი აქვს შირიმის ძვ. ლავგარდანი, რ-იც გლუვი ლილვისა და მცირე სიღრმის წრეთარგისაგან შედგება. გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით *მგ. მ.*

138. **ღვთისმშობლის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას ადგილ ქვეითშუაუბანში. თარიღდება XIX ს-ით.

ღ. ე. ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (14,15X9,2 *მ*), ნაშენია აგურისა და რიყის ქვის რიგების მონაცვლეობით. შესასვლელი სამხრ-ით (ამოშენებულია) და დას-ითაა. ეკლესიას საერთო ზომებთან შედარებით პატარა ნახევარწრიული აფსიდი აქვს. საკურთხეველი ამაღლებულია 0,8 *მ*-ით და ორივე კიდეში ოთხსაფეხურიანი კიბეები აქვს. აფსიდში ერთი ფართო სარკმელი და სამი თაღოვანი ნიშია, მის გვერდებზე კი ნახევარწრიული კამარით გადახურული ვიწრო სწორკუთხა სამკვეთლო და სადიაკვნე. მათ ზევით სამალავი საკნებია, რ-ებსაც წინა კედელი გამონგრეული აქეთ, ჯვრის ნახევარწრიული კამარებით გადახურული მკლავების გადაკვეთაზე, აფსიდის კედლებსა და დას-ის ორ თავისუფლად მდგომ ბურჯზე აღმართულია დაბალი უსარკმლო გუმბათი (უყელო ნახევარსფერო). ჯვრის ყველა მკლავში თითო სარკმელია. ჩრდ-ის მკლავის კედელში, ფართო ნიშში სანათლავი ღრმულია ამოკვეთილი. დას-ის მკლავი სამივე მხარეს დიდი ნახევარწრიული თაღებით იხსნება. მკლავის კამარა ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. მკლავებშორისი მონაკვეთების კამარები დას. მკლავის კამარის პერპენდიკულარულია.

ფასადები შემკულია დეკორატ. ნახევარწრიული თაღებითა და სწორკუთხედებით. შესასვლელების საპირეები თლილი ქვისაა. ეკლესია სომხურია. *მგ. მ.*

139. **ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსი**, ისტ., არქიტ., მონუმ. ხელოვნების ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ტაძარი, კოშკი-სამრეკლო, გალავანი.

გადმოცემით რუისის ტაძარი აუგია ვახტანგ გორგასალს (გარდ. 503 წ). ამ ხანის ნაგებობას არ მოუღწევია. ეკლესიაზე გაირჩევა რამდენიმე სამშენ ფენა. უძველესი VIII-IX სს. მიეკუთვნება. X ს-ში ეკლ. საფუძვლიანად შეუკეთებიათ. XI ს-ში გიორგი ეპისკოპოსს იგი კვლავ განუახლებია და მდიდრულად მოურთავს, რაზეც მეტყველებს ჩრდ. კარიბჭის აფსიდის კონქის ქუსლთან არსებული ორსტრიქონიანი ასომთ. წარწერა: „ქრისტე შეიწყალე სული გიორგი ეპისკოპოსისა ამინ"; წარწერის ბოლოში მიწერილია: „მარიამ დედოფლისა" (ეს უნდა იყოს მეფე ბაგრატ IV-ის დედა, რ-იც ბაგრატის გამეფებამდე განაგებდა ქვეყანას). საეპისკოპოსო კათედრალს დახმარებას უწევდა თამარ მეფის დედა ბურდუხან დედოფალი:



139. ხედი ჩრდ.-დას-იდან



139. დას. ფასადი



139. განივი განაკვეთი აღმ-კენ

„ზრუნეა და საურავი ხელეყო დედოფალსა ბურდუხანს". თემურლენგის შემოსევების დროს ეკლ. ძლიერ დაზიანებულა. დას. ფასადის წარწერის თანახმად ტაძარი აღუდგენია მეფე ალექსანდრე I-ს (1412-42 წწ.). „ქ ზე ადიდენ ღმერთმან მეფეთა-მეფობა დიდისა ალექსანდრესი, — რომლისა მიერ კვალად აღეშენა საყდარი ესე, ადიდენ ღმერთმან და სული მათი კურთხეულ ყოს". ეკლესიის სამხრ. ფასადის წარწერაში კი მოხსენიებულია შემკეთებელი ოსტატი: „გალატოზთა ზედა მომგესა შალვას შეუნდევს ღმერთმან, ამინ". XVI ს-ში ეკლ. კვლავ აღუდგენია მროველ ეპისკოპოსს დიონისე ლარაძეს, ხოლო XVII ს-ში განუახლებია და შეუმკია მარიამ დედოფალს, როსტომ მეფის (1632-1758 წწ.) მეუღლეს. XVIII ს-ში მროველი ეპისკოპოსის სამწყსო საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ რუისა ზეითის ქართლისა, ლიხ-ტაშისკარამდე და აწ ისევ მწყსის ხეობასა და სადგერს"... რუისის ეპარქიის იმ ხანის ეკონომიკაზე საინტერესო ცნობებს იძლევა რუისის მღვდელმთავრის ნიკოლოზ ორბელიანის მიერ 1715 წ. შედგენილი „სამწყსოს დავთარი". 1803 წ. ტაძარში ტრაპეზ-აბიონი აუგია იუსტინე მაღალაძეს. 1811 წ. რუისის ეპარქია გაუქმდა. 1920 წ. თებ მიწისძვრამ ძეგლი ძლიერ დააზიანა.

ძეგლზე აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა 1936 და 1938 წწ. საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხელოვნ. საქმეთა სამმართველოსთან არსებულმა კულტ. ძეგლთა დაცვის განყ-ბამ, ხოლო 1950-1953 წწ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (ხელმძღვ. ვ. ცინცაძე).

(ა) ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ტ ა ძ ა რ ი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (27,3X19,6, ხიმ. გუმბათქვეშ 23,2 მ). თავდაპირველი ნაგებობიდან შემორჩენილია გეგმის ძირითადი მონახაზი და შენობის აღმ-ის ნაწილი. ეკლ. თავდაპირველად ნაგები ყოფილა კარგად გათლილი, თანაბარი ზომის მოყვითალო-მომწვანო და იასამნისფერი ქვიშაქვის კვადრებით. აღდგენა-შეკეთებისას გამოყენებულია მონაცრისფრო-მოშავო ბაზალტის კვადრები, შირიმი და აგური.

ტაძარში სამი სწორკუთხა შესასვლელია: დას-ით, სამხრ-ითა და ჩრდ-ით. X ს-ში ეგვტერების აგების დროს, ჩრდ-ისა და სამხრ-ის შესასვლელები კედლების ცენტ. ნაწილიდან დას. მონაკვეთში გადაუტანიათ (შემორჩენილია ჩრდ-ის თავდაპირველი შესასვლელის თაღის ნაშთი). დას-ით შესასვლელზე XV ს-ში მიუშენებიათ სამი მხრივ თაღებით გახსნილი კ ა რ ი ბ ჭ ე, რ-იც იმეორებს ძ. ფორმებს.

თორმეტწახნაგა მაღალი გუმბათი ეყრდნობა ოთხ თავისუფლად მდგომ ბოძს. გუმბათქვეშა კვადრატიდან ოდნავ არაწესიერი მოყვანილობის გუმბათის წრიულ ყელზე გადასვლა განხორციელებულია აფრებით. გუმბათქვეშა კამარები ოდნავ შეისრულია. გუმბათში თორმეტი სარკმელია (6 ამოაშენეს XV ს-ში). დას-ით კიდევ ორი ბურჯია, ხოლო დეფორმირებული ნალისებრი აფსიდის წინ ღრმა ბემაა. ამიტომ აღმ-დას. ღერძი საკმაოდ წაგრძელებულია. აფსიდის ღერძზე მაღალი, შიგნიდან გარეთ შევიწროებული თაღოვანი სარკმელია, რ-ის ქვევით თაღოვანი ნიშია. დას-ით სამი სარკმელია. საკურთხევლის გვერდებზე კუთხის ოთხ ტრომპზე დამყარებული გუმბათიანი კამარით გადახურული კვადრ. სამკვეთლო და სადიაკვნეა. სათავსები დას-ით თაღოვანი ღიობებით უერთდებიან ეკლესიის შესაბამის გვერდით ნავებს. სამკვეთლო ჩრდ-ით, ხოლო სადიაკვნე სამხრით გაფართოებულია დამატებით ოთხკუთხა კამარებით გადახურული სათავსებით. ჩრდ-ის სათავსის კამარა შეცვლილია და ამჟამად შეისრული,

შელესილი და შეღებილია. სადიაკვნის ალმ. კედელში პატარა ნალისებრი აფსიდია, რ-ის ღერძზე პატარა სარკმელია. უფრო მოზრდილი სარკმელი სამკვეთლოს ალმ. კედელშიცაა (მოგვიანებით იგი ღერძიდან ჩრდ-ით გადაუწევიათ). 1781 წ. საკურთხეველის წინ ხის აჟურული კანკელი დაუდგამთ. ამჟამად ინტერიერი შელესილი და შეღებილია. აქაიქ შემორჩენილია (ბ) მოხატულობის ფრაგმენტები. კანკელზე, ტაძრის გუმბათქვეშ საყრდენებზე და კანკელის გაგრძელებაზე აშენებულ კედლებზე შემორჩენილი ფრაგმენტები გვიანდ. ფეოდ. ხანისაა. კანკელის მხატვრობა სამ რეგისტრად იყოფა. ზედა რეგისტრში გამოსახულია ექვსფრთედები, შემდეგში — წმინდანები, ქვემოთ კი მღვდელმთავართა ნახევარფიგურებია (მღვდელმთავრებს ერთ ხელში წიგნი უჭირავთ, მეორეთი კი აკურთხებენ). კანკელის თაღები მარტივი, მშრალი ორნამენტითაა მოხატული. გუმბათქვეშა ბურჯებზე, ყვავილებით შემკულ ლურჯ ფონზე, მედალიონებში მარტვილ ქალთა გამოსახულებებია. სამხრ.-ალმ. ბურჯზე მსგავს მედალიონებში წმ მამანი არიან გამოსახული, ხოლო კანკელის გაგრძელებაზე, სამხრ-ის კედელზე *წმ. გიორგი გველეშაპს კლავს*. მოხატულობის კოლორიტში ჭარბობს მოწითალო-ყავისფერი, ლურჯი, მწვანე ფერები; ფონი ზოგან სამფერია — მწვანე, მოწითალო, იასამნისფერი. კანკელის მარცხ. ნაწილში ჩანს ქვედა ფენის პრიმიტიული მხატვრობის ფრაგმენტები (ტანსაცმელი, ორნამენტი, წმინდანის სახე)

XI ს-ში ტაძარს სამხრ-ით და ჩრდ-ით მიაშენეს კარიბჭე-ეგვტერები. პირვანდელი სახით შემორჩა (ზ) ჩრდ-ის ეგვტერი, რ-ის კვადრ. სივრცე გადახურულია რვასხივიანი ორნამენტირებული გუმბათით. კვადრატიდან წრეზე გადასვლა აფრებით ხდება. ალმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში შემორჩენილია სამფერი ორნამენტირებული ქვით გაწყობილი იატაკი, კონქის ქუსლთან კი ორნამენტით შემკული, პროფილირებული ზოლით ხაზგასმული ორსტრიქონიანი ასომთ. წარწერა. თითო სარკმელია ჩრდ-ით (თაღოვანი) და დას-ით (სწორკუთხა, შესასვლელის თავზე). დას. კედელზე გაირჩევა მოხატულობის კვალი — სარკმლის ერთ მხარეს წმ. ღედის ფრონტალური გამოსახულებაა, მეორე მხარეს კი წმინდანისა. ეგვტერს დას-ით ეკროდა ჯვაროვანი კამარით გადახურული სათავსი — კარიბჭე (შემორჩენილია ნაწილი). კამარის საყრდენი იმპოსტები მოჩუქურთმებულია. კედლები ნაგებია კარგად გათლილი მომწვანო ქვიშაქვის მოზრდილი კვადრებით. სათავსს ჩრდ-ით ჰქონდა მოჩუქურთმებულ იმპოსტებზე დაყრდნობილი ფართო თაღოვანი ღიობი — შესასვლელი. მისგან შემორჩენილია დაბალი ორნამენტირებული ფრონტონის ნაწილი. მინაშენები დასრულებული იყო მცენარეული მოტივით შემკული დახრილი სიბრტყის ლავგარდნით (ერთი ფრაგმენტი ჩადგმულია ალმ. ფასადზე) და გადახურული ცალფერდა სახურავით.

(დ) სამხრეთის კარიბჭისაგან უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი. იგი XV ს-შია ძირეულად შეკეთებული და გადაკეთებული. ამჟამად წარმოადგენს დერეფნისმაგვარ ნახევრად ბნელ, წაგრძელებულ, ცილინდრული კამარით გადახურულ, დანაწევრებულ სათავსს, რ-ის ალმ. ნაწილში გაჭრილია სადიაკვნეში შესასვლელი.

ტაძარი დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე. შენობის ძირითადი მასა გუმბათის ყელთან შედარებით დაბალია. ეს განსაკუთრებით ჩანს ალმ-დან. ეს ფასადი შესამჩნევად ფართო, დამჯდარი და თითქმის მოურთველია. ტაძრის გუმბათის ყელი XI ს-ში აუმაღლებიათ და მოურთავთ. სარკმლებისნაირგვარი ორნამენტით მორთულ საპირეებს შემოვლებული აქვს ორმაგლილვებიანი დეკორატ. თაღედი და ნახევარსვეტები. ასევე დეკორირებულია ნახევარსვეტების „კაპიტელები" და „ბაზისები". დეკორატ. თაღების შერწყმის ადგილზე, გუმბათის წახნაგებზე მოჩუქურთმებული გირჩებია. გუმბათის სარკმლების დეკორატ სისტემა ეყრდნობა სამი ლილვისაგან შედგენილ სარტყელს. გუმბათს ზემოთ შემოვლებული ჰქონდა ორი გრეხილი ლილვი და დეკორირებული ფრიზი (შემორჩენილია ფრაგმენტები). გუმბათი, ისე როგორც ფასადები, დასრულებულია ლილვისა და მეოთხედი წრეთარგისაგან შედგენილი ლავგარდნით.

ტაძრის ჯვრის მკლავების ფრონტონების ქვეშ მოთავსებული იყო მო-



139. გეგმა

ჩუქურთმებული ჯვრები (შემორჩენილია სამხრ. და დას. ფასადებზე). მორთული იყო შესასვლელისა და სარკმელთა საპირეებიც. მათი უმეტესი ნაწილი განახლებულია XV ს.

ფასადებზე გაფანტულია X-XI სს-ის ორნამენტირებული ფრაგმენტები. აღსანიშნავია რამდენიმე საინტერესო (ე) რ ე ლ ი ე ფ ი. სადიაკვნის დამატებითი სათავსის შესასვლელის ნახევარწრიულ, ლილვებით შემოფარგლულ და ორნამენტით მორთულ ტიმპანზე სამი ოდნავ ჩაღრმავებული სწორკუთხედი შევსებულია კომპოზიციურად დამოუკიდებელი ფიგურული გამოსახულებებით — შუაში ანგელოზითა და პატარა ფიგურებით გარშემორტყმული ხელგაშლილი ქრისტეა: მარჯვნივ — ღვთისმშობელი ყრმით და მის წინ მუხლმოდრეკილი ფიგურა: მარცხნივ — შუაში დგას შარავანდიანი გულხელდაკრეფილი ფიგურა, აქეთ-იქით კი მუხლმოდრეკილი და ფეხზემდგომი ფიგურებია. რელიეფით იყო შემკული სამხრ. ფასადიც: აქ გამოსახულია ორი მამაკაცი — მარჯვენას ერთ ხელში ჩაქუჩი (წერაქვი) უჭირავს, მეორეში გონიო: მარცხენას მხრებზე წამოსასხამი აქვს და ერთ ხელში რაღაც უჭირავს (სავარაუდოა — ტაძრის გეგმა), მეორეში ჩაქუჩი (წერაქვი). კარგად გაირჩევა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ფიგურებს შორის, სარკმლის ნახევარწრიულ ჭრილზე გადაყვანილია რელიეფური დეკორატ. თაღი. მარჯვ ფიგურასთან ოთხი წვრილი ასომთ. ახოა ამოკვეთილი.

ტაძრის კონუსური გუმბათი ამჟამად გადახურულია თუნუქით, ხოლო დანარჩენი სახურავები კრამიტისაა.

(ვ) კ ო შ კ ი - ს ა მ რ ე კ ლ ო მდებარეობს ტაძრის დას-ით, ჩაშენებულია გალავანში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. შენობა სამსართულიანია (7,4X6.8 *მ*), ნაგებია ქვიშაქვისა და შირიმის კვადრებით, ნატეხი და რიყის ქვებით, აგურით. I სართული კომპლექსის ეზოში შესასვლელს წარმოადგენს და მთელ სიგანეზეა გახსნილი. გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-იც მასიურ საბჯენ თაღებს ეყრდნობა. სამხრ-ისა და ჩრდ-ის კედლებზე მასიური კონტრფორსებია მიშენებული. სავარაუდოა, აქ ზედა სართულებზე ასასვლელი კიბე იყო. II სართული საცხოვრებელია, მის კედლებში ბუხარი (ამოშენებულია მოგვიანებით) და თახჩა-ნიშებია. დას-ით და ჩრდ-ით თითო კარია; დას. კარი ვიწრო დერეფანში გადის. III სართული საკუთრივ სამრეკლოს წარმოადგენს. დას-ით და აღმ-ით იგი წყვილ-წყვილი თაღით იხსნება, ხოლო დანარჩენ ორ მხარეს თითო თაღი აქვს. გადახურვა დეფორმირებული ნახევარსფეროსებრია.

კომპლექსს შემოვლებული აქვს (ზ) გ ა ლ ა ვ ა ნ ი, რ-იც თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნაგებია რიყის ქვით. კედლის ორფერდა თავი გადალესილია ცემენტის ხსნარით. კედლის მაქს. სიმ. 1,5 *მ*-ს არ აღემატება. რელიეფის შესაბამისად გალავანი ბევრგან დანაწევრებულია საფეხურებად, ზოგან შეტეხილია. ჩრდ.-დას. და ჩრდ.-აღმ. კუთხეებში, აგრეთვე სამხრ. ნაწილში, შემორჩენილია გალავანზე მიშენებულ ნ ა გ ე ბ ო ბ ა თ ა ნაშთები

ბიბლ.: 56; 163ა:208-213 *ანდღ. ნ., მ. ი., მგ. მ., ჭ. გ.*

**140. წმ. დემეტრეს ეკლესია**, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძეგლი. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით 1 *კმ*-ზე, გორაკზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6,3X10,3 *მ*), ნაგებია ქვიშაქვითა და რიყის ქვით, აქა-იქ გამოყენებულია ტუფიც. თაღოვანი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია, ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. სარკმლის ორივე მხარეს კონქის თავზე არსებულ სივრცესთან დამაკავშირებელი წრიული ხვრელებია. თითო სარკმელი დას. და სამხრ. კედლის აღმ. ნაწილშია. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია კ ა ნ კ ე ლ ი თ (შემორჩენილია ქვედა ნაწილი). ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი გრძივი კედლების ორსაფეხურიან წყვილ პილასტრს ეყრდნობა. პილასტრების ორივე მხარეს, გრძივ კედლებზე დეკორატ. თაღებია.

საკურთხეველში და დარბაზის კედლებზე შემორჩენილია (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები. საკურთხევლის კონქის მოხატულობა დაყოფილია სამ რეგისტრად. პირველში გამოსახულია ქრისტე გადაშლილი წიგნით ხელში; მის მარცხ. მხარეს ექვსფრთედისა და იოანე ნათლისმცემლის ფიგურის ფრაგმენტებია შემორჩენილი. მეორე რეგისტრში, სარკმლის ზემოთ გამოსახულია ჯვარი, მის ორივე მხარეს — მოციქულები წიგნებით ხელში; ქვემოთ, მესამე რეგისტრში წარმოდგენილნი არიან ეკლესიის მამები. სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთში, ქვედა რეგისტრში შემორჩენილია წმ მეომრის სამი ფიგურა, ხოლო დას. მონაკვეთში — წმ. დედათა ორი გამოსახულება მკერდამდე და მეუდაბნოეს მთლიანი ფიგურა. დას. კედელზე, მეორე რეგისტრში გაირჩევა თავდახრილი ქალი, მესამე რეგისტრში — ცხენოსანი და ქალაქის ხედი (სავარაუდოა აქ ასახულია წმ. გიორგის ერთ-ერთი სასწაული). ნახატში გამოყენებულია სუფთა ცისფერი, მოწითალო-ყავისფერი, ყვითელი ოქრა. ნახატი ოსტატურია, დახვეწილი, კონტურები დენადი, დაუნაწევრებელი.



140 გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

აღმ. ფასადზე შემორჩენილია ტუფის ლავგარდნის ფრაგმენტები, რ-ის შეზნექილი პროფილი დასრულებულია თაროთი და ლილვით. *დვ. თ., მ. ი.*

**141. წმ. მარინეს ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, ზურაბაანთ უბანში, გზის პირას, სასაფლაოზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა და კონქის დიდი ნაწილი, დანგრეულია სამხრ. კედლის ზედა მონაკვეთიც.

ეკლ. დარბაზულია (5,6X4,15 *მ*), ნაგებია შირიმის თლილი კვადრებით, რიყის ქვითა და ქვიშაქვის ლოდებით. თაღოვანი შესასვლელი დას-ითაა. ღრმა გაბრტყელებული, ნალისებურად შემოწეულკუთხეებიანი აფსიდის ღერძზე ერთი სწორკუთხა სარკმელია. დარბაზს ჰქონია კირხსნარით დაბეტონებული ერთიანი კამარა.

ჩრდ.-დას კუთხეში შემორჩენილია მასიური თაროსებრი ლავგარდნის ერთი ქვა. ეკლ. გადახურული ყოფილა თლილი ლორფინებით, რ-ებიც მოგვიანებით კრამიტით შეუცვლიათ. *მგ. მ.*

## სათერძე,

ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი, მდებარეობს სოფ. გვერძინეთის დას-ით დაახლ. 4-5 *კმ*-ზე.

**142. წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ დგას ნასოფლარის სამხრ.-დას-ით 1,5 *კმ*-ზე, სათერძისწყლის ხეობაში, მაღალი ხის ვარჯებით დაფარულ წყალგამყოფი მთის კონცხზე. სტილისტური ნიშნებით თარიღდება XIII ს-ით. ძლიერ დაზიანებულია — ჩამონგრეულია კამარა და კონქი, დანგრეულია კედლების ზედა ნაწილები, ამოცვენილია საპირე ქვები, დანგრეულია სამხრ. და დას. კარიბჭეები

(ეკლესიის სამხრ-ის კედელზე შემორჩენილია სამხრ. კარიბჭის მხოლოდ ორი კრონშტეინი).

ეკლ. დარბაზულია (10,8X6,8 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის კარგად გათლილი და დაწყობილი კვადრებით. გარედან არქიტრავული, შიგნიდან თაღოვანი შესასვლელი ორია – სამხრ-ით და დას-ით (დას-ის არქიტრავის ქვა ჩამოვარდნილია და შესასვლელის წინ დევს). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო, გეგმით ნახევარწრიული, დაახლ. 3 *მ*-ის სიმაღლის თაღოვანი ნიშია. ნიშის თაღები ერთ მთლიან ქვაშია გამოკვეთილი. საკურთხევლის კონქის ქუსლები ეყრდნობოდა განსხვავებული პროფილის იმპოსტებს (სამხრ-ის — გლუვი თარო და ოდნავ დახრილი სიბრტყე; ჩრდ-ისა — მარტივი თარო, შვეული პირი და ლილვი). თითო თაღოვანი სარკმელი სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთში და დას. შესასვლელის თავზეა. გრძივი კედლები და კამარა წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრით და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით ორ თანაბარ ნაწილად იყოფოდა.

აღმ-ის ფასადზე სარკმლის ორნამენტირებულ საპირეს შეწყვილებული გრეხილი ლილვები აქვს შემოვლებული. ორნამენტირებულია სამხრ. ფასადის შესასვლელის და სარკმლის საპირეებიც (სარკმლის საპირე ჩამოშლილია). შესასვლელის თავზე ვარსკვლავისებური როზეტია. დას-ის ფასადზე შესასვლელს ბრტყელი ორნამენტირებული საპირე აქვს (არქიტრავზე ორნამენტის ნახატი გეომეტრიულია, გვერდებზე — ლათ. „ს"-ის მაგვარი). აქვე, არქიტრავზე, მოზრდილი წრიული როზეტია, რ-ის არეში ლილვების გრეხილით ამოკვეთილია ტოლმკლავა ჯვარი. *ლ. თ.*

## სამწევრისის ეკლესია,

იხ. სოფ. ს ა მ წ ე რ ი ს ი, წმ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა

## სამწერისი

(კეხიჯვრის სოფსაბჭო)

143. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 1 *კმ*-ზე, მთის კალთაზე. მიეკუთვნება განვით. და გვიანდ. ფეოდ. ხანას. იპოვება ცისფრად მოჭიქული, წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები; დიდი ზომის ქვევრის ნამტვრევები; წყალსადენის თიხის მილები და სხვ. აქვე შეინიშნება რიყის ქვით ნაგები შ ე ნ ო ბ ი ს საძირკვლები. *ნ. ა.*

144. მერაბ ციციშვილის საძვალე, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესიის სამხრ-ით, რამდენიმე მეტრზე. თარიღდება



145. სამხრ. ფასადი

XVI ს. II ნახ-ით. აგებულია ამ ადგილის მფლობელ მერაბ ციციშვილისათვის მისი მეუღლისა და ძის მიერ. 1940 წ. მიწისძვრამ ნაგებობა დააზიანა — შენობას ბზარი აქვს ჩრდ-დან სამხრ-ისაკენ, აგურები და შორენკეცები ამოცვენილია.

საძვალე (5X3,15 *მ*; სიმ. 3,65 *მ*) ძირითადად ნაგებია კვადრ. აგურით, ნახმარია ნატეხი და რიყის ქვაც. ნახევარწრიულთაღიანი შესასვლელი დას-ითაა. აღმ-ით, სამხრ-ითა და ჩრდ-ით თითო სარკმელია. ნაგებობის ლავგარდანი, სარკმლები, შესასვლელი მორთულია აგურით გამოყვანილი დეკორატ. ელემენტებით და კერამ. შორენკეცებით (რელიეფური ტერაკოტა). ინტერიერში რელიეფური შორენკეცებით შემკულია აღმ-ისა და დას-ის კედლები (დას-ის კედელზე შორენკეცები ამოცვენილია). (ა) შ ო რ ე ნ კ ე ც ე ბ ი ს (0,2-0,25X X0,5X0,07 *მ*; ასეთივე ზომისაა აგურიც) მორთულობა ორგვარია: ორნამენტული და სიუჟეტური. სიუჟეტური შორენკეცებით მხოლოდ საკურთხეველია შემკული. მათზე გამოსახულია წმინდანთა ფიგურები (დაზიანების გამო სიუჟეტის მთლიანი შინაარსი გაურკვეველია). შორენკეცების მეტ ნაწილზე მხოლოდ ორნამენტული მოტივებია. ყოველ ფილაზე დამოუკიდებელი კომპოზიციაა. ლავგარდნის პროფილი სამი, ერთმანეთზე გადმოწევით დადგმული აგურითაა მიღებული. ნაგებობა გადახურულია აგურის ორფერდა სახურავით.

ბიბლ.: 145:201-208 *ანდღ. ნ., ჭ. გ.*

145. ციხე-დარბაზის კომპლექსი, არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, შემაღლებულ ადგილზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. კომპლექსში შედის: დიდი კოშკი, ეკლესია, გალავანი, აგრეთვე სასახლის და სხვადასხვა ნაგებობის ფრაგმენტები. საერთო ფართ. დაახლ. 2000 *კვ მ*-ია. გეგმით მოგრძო მრავალწახნაგას ფორმის ციხე-დარბაზის ტერიტორიაზე (82X42,3 *მ*) ამჟამად ორი ეზოა. სამხრ-ის ეზო უფრო პატარაა და აქ ნაგებობები შედარებით უკეთაა შემონახული; ჩრდ-ის დიდ ეზოში კი ძლივს გაირჩევა შენობათა საძირკვლები. გამოიყოფა ხუთი ძირითადი სამშენ. ფენა. ადრინდ. ფეოდ. ხანაში აქ მდგარა დიდი კოშკი. ცოტა მოგვიანებით მას მიაშენეს გალავანი და ეკლესია. მშენებლობის მესამე პერიოდს განეკუთვნება გალავნის ფრაგმენტი, რ-იც კოშკს ეკვრის სამხრ-დან. შემდეგი სამშენ. ფენის (XVI-XVIII სს.) ნაგებობები ნაშენია ნატეხი ქვით და შედარებით დიდი ფართობი უკავია.

145. გეგმა: 1. ეკლესია, 2. დიდი კოშკი, 3. სასახლე



აქ არის ნაგებობათა უმეტესი ნაწილი. მეხუთე ფენას მიეკუთვნება მეორე (სამხრ. მონაკვეთი). ქვედა გალავანი და იქ მდგარი ნაგებობები (გარდა ეკლესიისა). გვიანდელი განახლება და მშენებლობა, სავარაუდოა, დაკავშირებულია ფანასკერტელ-ციციშვილების გვარის წარმომადგენელთა (კერძოდ მერაბ ციციშვილის) მოღვაწეობასთან.

(ა) დიდ კოშკს (10,8X11,2 მ) გარედან კუთხეები მომრგვალებული აქვს, კედლები სქელია (2,05-2,5 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. მოღწეულია სამი სართული. აკლია ზედა ნაწილი. შესასვლელი II სართულზეა. ფანჯრები და საბრძოლო ხვრელები დიდი ზომისაა. I, ყრუკედლებიანი სართული დამხმარე სათავსი იყო. სართულშუა გადახურვა ხისაა. II სართულის (სიმ. 3,65 მ) ჩრდ.-დას. კედლის კუთხეში გაჭრილია კარი, დანარჩენი სამი კედელი ყრუა. III სართულის სამი კედელი ყრუა, მეოთხე, ჩრდ.-დას. კედელში დატანებულია კარი და კიბე, რ-იც ადიოდა IV სართულზე (ბანზე?). III სართული (სიმ. დაახლ. 5,5 მ: ასეთი სიმაღლე იშვიათია უძველეს კოშკებშიც კი) განკუთვნილი უნდა ყოფილიყო საცხოვრებლად და თავდასაცავად. კოშკის შიგნით ყველა ხვრელობი გადახურულია ისრული თაღით (ასეთი გადახურვა VIII ს-მდე საქართველოში არც ერთ ძეგლზე არ გვხვდება). კარის გადახურვა ნახევარწრიულია, სათოფურების და სარკმლებისა არქიტრაული. ფასადების ზედაპირი გასწორებულია დუღაბის სქელი ფენით. კოშკი უნიკალური საფორტიფიკაციო ნაგებობაა.

(ბ) ეკლესია მდებარეობს ციხე-დარბაზის განაპირას, დას-ით, გორაზე, ჩართულია გალავნის ჩრდ.-აღმ-ის მონაკვეთში. ეკლესიის პირველი სამშენ. ფენა თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით, მეორე — XVI-XVII სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (13,2X8,8 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. გადაკეთების შედეგად დაკარგული აქვს პირვანდელი სახე. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა, სარკმლები — აღმ-ით, დას-ითა და სამხრ-ით. ნახევარწრიული აფსიდის ორივე გვერდზე, კედელში გაჭრილია მცირე სათავსებში შესასვლელები. დარბაზი გადახურულია კამარით, რ-იც ეყრდნობა საბჯენ თაღებს. სადაპროფილიანი ლავგარდანი ქვისაა. ეკლ. გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით.

XV-XVII სს-ის (გ) გალავანი (შემორჩენილი ფრაგმენტის სიგრ. 14 მ-ია, სიმ. 9 მ) ნაგებია ნატეხი ქვით. ასევე ნატეხი ქვითაა ნაშენი მშენებლობის ბოლო ორი პერიოდის XVI და XVIII სს.) სასახლე და სხვა შენობები, რ-თა ფრაგმენტებია შემორჩენილი.

(დ) სასახლე კედლის ფრაგმენტის მიხედვით სამსართულიანი იყო. I სართულის დონეზე კონტრფორსში ნახევრად მომრგვალებული ნიშია (სიღრმე 2,1, სიმ. 4,2, სიგ. 1,5 მ; ანალოგი არ მოეპოვება).

ბიბლ.: 330; 343:116-124 ზ. ქ.

145(ა). განაკვეთები, სართულების გეგმები



146. წმ. გიორგის ეკლესია, წმ. ჯვარი, სამწევრისის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს მდ. ძამის მარცხ. ნაპირზე, მდ-ების მტკვრისა და ძამის წყალგამყოფი სერის აღმ. ბოლოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება VII ს. I მესამედით.

ძ. დააზიანა 1940 წლის 8 მაისის ძლიერმა მიწისძვრამ· დაინგრა გუმბათი, კამარები, სამხრ და აღმ. მკლავების კედლები. სარესტ. სამუშაოები 1950-52 წწ. ჩაატარა საეც. სამეცნ.-სარესტ საწ. სახელოსნომ (ხელმძღვ. ლ. ხიმშიაშვილი)

ძ-ზე შემორჩენილია ორი წარწერა: პირველი (აღმ. ფასადზე, სარკმლის სათაურის ქვემოთ) X ს-ისაა და სოფ. სამწერისში არხის გაყვანას გვაუწყებს; მეორე (სამხრ. ფასადის ზემო მონაკვეთში) უშუალოდ ტაძარს ეხება: „მეორედ მაშენებელსა ფანასკერტელს მერაბს შეუნდვნეს ღმერთმან. ზედამდეგს ცოდვილს საბას შეუნდვნეს ღმერთმან". XV-XVI სს-ის მიჯნაზე ამ ადგილის მფლობელებს — ფანასკერტელ-ციციშვილებს (კერძოდ, მერაბ ციციშვილს) ეკლესია შეუკეთებიათ და უკურთხებიათ წმინდა გიორგის სახელობაზე (თავდაპირველად წმ. ჯვარი ეწოდებოდა). წარწერაში მოხსენიებული ზედამდეგი საბა ეკლესიის განახლებას ხელმძღვანელობდა.

ნაგებობა დგას სამსაფეხურიან ცოკოლზე, რ-ის ქვეშ განიერი ბაქანი კლდეს ემყარება.

ეკლ. თავისუფალი ჯვრის ტიპის, ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (9,6X X8,8 მ, სიმ. გუმბათქვეშ 10,6 მ), ნაშენია მონაცრისფრო-მოყვითალო ქვიშაქვის კარგად გათლილი მოზრდილი კვადრებით. გეგმის ჯვრისებრი მოხაზულობა მკაფიოდაა გამოვლენილი ინტერიერში და გარე მასებშიც. ნაგებობის აღმ.-დას. ღერძი რამდენადმე წაგრძელებულია. შესასვლელი სამხრ-დანაა. ეკლესიის ინტერიერი წარმოადგენს ერთიან სივრცეს. ცენტრ გუმბათქვეშა კვადრატში ყოველი მკლავის წინ დამატებულია განიერი თაღი. კვადრატიდან გუმბათზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპების სისტემით: კვადრატის კუთხეებში მოთავსებულია ოთხი დიდი, მათ ზემოთ კი რვა მცირე ტრომპი. რვა-





წახნაგა გუმბათის ყელში ორი სარკმელია — აღმ-ით და დას-ით. სარკმლების თაღის ქუსლის დონეზე მდებარეობს კუთხის ოთხი ტრომპის ქუსლი. ინტერიერში სარკმლების განთავსება მხატვრულად გააზრებულია: ერთი აღმ-ითაა, საკურთხეველში, მეორე — სამხრ-ით, შესასვლელის თავზე, მესამე — დას-ით, კამარასთან. სარკმლების განლაგების დონე თანდათან მაღლდება აღმ-დან დას-კენ. ამით მიღწეულია შიდა სივრცის თანაბარი განათება. ჯვრის მკლავები გადახურულია ცილინდრული კამარებით. გუმბათის სფეროში რელიეფური ჯვარია.

ეკლესიის ფასადებისა და ინტერიერის მხატვრულ-ტექტონიკური გამომხატველობა მიღწეულია თლილი ქვის მოზრდილი კვადრებით ოსტატურად ამოყვანილი კედლის სიბრტყეებით. მკაცრად არის დაცული წყობის რიგების პორიზ. სწორხაზოვნება. ფასადებზე შემკულობით ხაზგასმულია მხოლოდ შესასვლელი და სარკმლები. აღმ-ის სარკმლის თაღს ზემოთ რქების ორნამენტირებული სტილიზებული გამოსახულებაა. სამხრ-ისა და დას-ის სარკმელთა სათაურები შემკულია მცირე თაღების მოტივით (გვხვდება აგრეთვე მცხეთის ჯვრის დიდ ტაძარზე, წრომში და სხვ.). გუმბათის ყელში გაჭრილი ვიწრო სარკმლები მოურთველია, რადგან ისინი ქვევიდან ძნელად იკითხება. შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილია სადა ჯვარი.

ეკლესიის მკლავების ლავგარდანი თავდაპირველად მცირე თაღების რიგისაგან იყო შედგენილი. გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეებში სადა თაროსებრი ლავგარდანია (მეტი ნაწილი აღდგენილია XV-XVI სს-ში). გუმბათის ლავგარდნის პროფილი შედგენილია თაღებისა და სიღრმეში საფეხურებად განთავსებული სამკუთხედებისაგან. ეკლ. გადახურული იყო კრამიტით. თავდაპირველ კრამიტთან ერთად გვხვდება XV-XVI სს. და XIX ს. კრამიტიც.

ეკლესიისათვის მოგვიანებით სამხრ-ით მიუშენებიათ (ა) კ ა რ ი ბ ჭ ე, რ-იც 1925 წ. სოფლის მოსახლეობას მოუნგრევია. შემორჩენილი ფრაგმენტებით შეიძლება მისი არქიტ. სახის აღდგენა. კარიბჭის სამხრ. კედელი სადაა. ჩრდ-ის კედელი, რ-იც ეკლესიის სამხრ. კედელს ეკვრის, დანაწევრებულია დეკორატ. თაღედით. შუა ამაღლებული თაღი ეკლე-

146. სამხრ. ფასადი

146. განივი განაკვეთი აღმ- კენ



146. გეგმა

სიის შესასვლელის პირდაპირაა მოთავსებული (კარიბჭის აგებისას დაზიანებულა ტაძრის პორტალის ზედა ნაწილი, რაც აძნელებს პორტალის თავდაპირველი სახის აღდგენას). კარიბჭეს შესასვლელი სამხრ-დან აქვს. კარიბჭის ჩრდ. კედლის პილასტრები ერთმანეთთან დაკავშირებულია დეკორატ. თაღებით. თაღებს ზემოთ კედელი გრძელდებოდა და წყობა თანდათან ცილინდრულ კამარას ქმნიდა. კარიბჭე, ეკლესიის მსგავსად, ნაგებია კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით.

ბიბლ.: 330; 343:116,125 ანდღ. ნ., დ. შ.

## სანებელი

(კეხიჯერის სოფსაბჭო)

147. ნაეკლესიარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით 3 კმ-ზე, შემაღლებულ ბორცვზე, სარკის გორაზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ფართ. 300 კვ მ. ბორცვის წვერზე დევს დანგრეული ეკლესიის მოწითალო ფერის ქვა, რ-ის ზედა ნაწილი დამუშავებულია და ექვსწახნაგაა, ხოლო ქვედა ნაწილს შენარჩუნებული აქვს ძვ. ფორმა. კ. ბ.

148. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. ძამის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ფართობი 1500 კვ მ. შეინიშნება სხვადასხვა ნაგებობის საძირკვლის ნაშთები. კ. ბ.

149. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 300 მ-ზე, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ძ. დაზიანებულია — ჩანგრეულია გუმბათი, ჩრდ., დას. და სამხრ. მკლავების კედლები შემორჩენილია 3-5 მ-ის სიმაღლეზე.

ეკლ. ჯვარ-გუბათოვანია (12,7X X7,8 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით, გამოყენებულია ნატეხი ქვაც; შენობის კუთხეები ამოყვანილია ქვიშაქვის მოზრდილი კვადრებით. შესასვლელი დას-ით და სამხრ-ითაა. აღმ-ის მკლავი ღრმა ბემით და ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. აფსიდში ერთი, ხოლო ბემში ორი სარკმელია. აფსიდის სარკმლის მარცხ მხარეს თითო წრიული და სწორკუთხა ნიშია. დას-ის მკლავი ღრმა და სწორკუთხაა. სამხრ. და ჩრდ. მკლავები მოკლე სწორკუთხედებს წარმოადგენს. დას. მკლავის ჩრდ. და სამხრ. კედლებში, სამხრ. და ჩრდ. მკლავების აღმ. და დას. კედლებში თითო სარკ-





149. აღმ ფასადი, გეგმა

149 ხედი დას-იდან



მელია. ეკლესიის შესასვლელები და სარკმლები ფართოა და დასრულებულია აგურის წყობით გამოყვანილი ნახევარწრიული თაღებით ღიობები შიგნიდან გარეთ ოდნავ ვიწროვდება. გუმბათქვეშა კვადრატი მკლავებზე გადაყვანილი თაღების გადაკვეთით იქმნებოდა. ფასადები დასრულებული იყო აგურის თაროსებრი ლავგარდნით. აღმ. ფასადის ფრონტონის კეხთან ქვის წყობით გამოყვანილია ჯვარი. *დ ვ. თ., მ. გ.*

## სადოლაშენი

(ბრეთის სოფსაბჭო)

150. სადოლაშენი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. აღმ. ფრონის მარცხ. ნაპირზე, ქარელის ჩრდ-ით 7 *კმ*-ზე. სოფ. ს., ს ა დ უ ა ლ ა შ ე ნ ი, შიდა ქართლიდან ბორჯომის ხეობისაკენ მიმავალ მნიშვნელოვან გზაზე მდებარეობდა. ქართ. საისტორიო წყაროებში იგი პირველად მხოლოდ XV ს-ის „ამირეჯიბთა გვაროვნებათა სიგელში“ გვხვდება. XV ს-ის დასაწყისში ს. იმ დროის ცნობილმა ქართვ. სახელმწ. და პოლიტ. მოღვაწემ ქუცნა ამირეჯიბმა თავის შვილს რამინს უყიდა. XV ს-ის II ნახ-ში ამირეჯიბებმა სოფელი ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესიას შეწირეს, მაგრამ XVI ს-ის II ნახ-ში კვლავ გამოისყიდეს XVII-XVIII სს-ში ამირეჯიბები საკუთრად ფლობდნენ ს-ს. XVIII ს-ის II ნახ-ში სოფლის ყმა-მამულზე წილი დაიდეს თაქთაქიშვილებმაც. გვიანდ. ფეოდ. ხანის ისტ. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სოფელი ეკონომიურად საკმაოდ ძლიერი ყოფილა. ს-ში განსაკუთრებით ბევრი ყოფილა წისქვილები.

ბიბლ.: 89:326-348; 190:11; 212 *კ. კ.*

151. ნაეკლესიარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ბოლოს, მდ. აღმ. ფრონის ჩრდ.-აღმ. ნაპირზე, შემაღლებულ ადგილზე, საავტ. გზიდან 50 *მ*-ზე, სოფლის სასაფლაოზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ფართ. 500 *კვ მ*. ჩანს გ ა ლ ა ვ ნ ი ს და ე კ ლ ე ს ი ი ს საძირკვლის ნაშთები. *ლ. მ.*

152. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, საავტ. გზის პირას, ამაღლებულ ბექობზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით, გადაკეთებულია XIX ს-ში. გაირჩევა ორი ძირითადი სამშენ. ფენა. ადრეულს მიეკუთვნება ეკლესიის გეგმა და კედლების ქვედა ნაწილები, რ-იც ნაგები ყოფილა უხეშად ნატეხი პირგათლილი მოზრდილი ლოდებით. შეკეთების დროს სამშენ მასალად გამოყენებულია აგური, ნატეხი და რიყის ქვა.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — სამხრ-ით და დას-ით. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო სარკმელია. კედლები მთლიანად შელესილი და შეთეთრებულია. ეკლესიას სამხრ-ით თავიდანვე ჰქონია მინაშენი ძირითადი კორპუსისა და მინაშენის აღმ. კედლები ერთმანეთზეა გადაბმული). მის სამხრ. ფასადის დას. მონაკვეთში გაჭრილი ფართო კარი ეკლესიის თავდაპირველი შესასვლელი იყო. კარის საპირეები ამოყვანილია თლილი ქვით (XIX ს.). ორფერდა ფრონტონზე ნახევარწრიული დეკორატ. თაღია. სამხრ.-დას-ით, ეკლესიასა და მინაშენს შორის შექმნილ კუთხეში, ჩაშენებულია მკლავი (XIX ს.), რ-იც ეკლესიას ღიადით უკავშირდებოდა. იგი გადახურულია ორფერდა მაღალი სახურავით. ეკლ. გადახურულია კრამიტით. ლავგარდანი (XIX ს.) შედგენილია ბრტყელი აგურის სამი რიგისაგან

ეკლესიის დას. კარზე მიშენებულია (XIX ს.) თლილი ქვით ნაგები მასიური (ა) ს ა თ ა ვ ს ი (4,1X3,1 *მ*), რ-ის შესასვლელი (სამხრ-ით) ნახევარწრიული თაღითა და სხვა დეკორატ. ელემენტებით საზეიმოდ მორთულ პორტალს წარმოადგენს. სათავსზე დგას ს ა მ რ ე კ ლ ო ს ფანჩატური — ოთხბოძიანი, ყოველმხრივ ღია თაღედი. მას ნახევარსფერული გუმბათი და კონუსური სახურავი აქვს.

ეკლესიაში დაცული იყო ოქრომჭედლობის თვალსაჩინო ძეგლი — სადოლაშენის ლორფინები (XI ს დასაწყისი; ინახება საქართვ. ხელოვნ. მუზეუმში). *მგ. მ.*

## საციხური

(ბრეძის სოფსაბჭო)

153. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით 1 *კმ*-ზე, საციხურის ანუ ზაქას ტყეში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანით. სამხრ-ის მხრიდან კარგად ჩანს განმხოლოებული მოზრდილი გორის ხელოვნურად გადაჭრილი ყელი. ზედაპირზე იპოვება თიხის ჭურჭლის ნატეხები. *ირ. შ.*

154. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (10,2X6,6 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის ფილებით. დას-ითა და სამხრ-ით თაღოვანი შესასვლელებია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, რ-ის გვერდებზე სწორკუთხა ნიშებია. დას-ითა და სამხრ-ით თითო სარკმელია, ჩრდ-ით — ორი. ყველა სარკმელი თაღოვანია. დარბაზის გრძივი კედლები და ცილინდრული კამარა დანაწევრებულია პილასტრებითა და მათზე გადაყვანილ საბჯენი თაღით. სამხრ. შესასვლელი მოჩარჩოებულია გლუვი ლილვებით. ეკლესიას თაროსებრი ლავგარდანი და



154. სამხრ. ფასადი, გრძივი განაკვეთი და გეგმა

კრამიტის ორფერდა სახურავი აქვს. *დ ვ. თ.*

## სუქანაანთუბანი

(ზღუდრის სოფსაბჭო)

155. სოფ. ს უ ქ ა ნ ა ა ნ თ უ ბ ა ნ შ ი დაიბადა (1911 წ.) სსრ კავშირის გმირი სარდიონ დავითის ძე კოზანოვი. წოდება მიენიჭა 1944 წ. მდ. დნეპრის გადალახვისათვის წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და თავდადებისათვის. *კ. კ.*

## სუქითი

(ახალსოფლის სოფსაბჭო)

156. სამების ეკლესია. არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით დაახლ. 300-400 *მ*-ზე, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება IX-X სს. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, თითქმის მთლიანად



156. აღმ. ფასადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კონ. გეგმა

დანგრეულია დას-ისა და სამხრ-ის კედლები; მნიშვნელოვნადაა დაზიანებული აღმ-ისა და ჩრდ-ის კედლების ზედა ნაწილები და საპირე ქვების წყობა; ჩრდ-ის, სამხრ-ის და დას-ის გვიანდ. მინაშენები მთლიანად დანგრეულია (იკითხება გეგმის კონტურები).

ეკლ. დარბაზულია (12X7 მ), ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვიშაქვით; კონსტრ. ნაწილები, ლავგარდანი და იმპოსტები სუფთად გათლილი ქვიშაქვისაა. შესასვლელი მხოლოდ ჩრდ-ით შემორჩა. სავარაუდოა, სამხრ-ის კედლის დას. ნაწილშიც იყო. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო თაღოვანი სარკმელი იყო. მის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. ჩრდ. ნიშის ზემოთ, კედლის სისქეში მცირე სამალავია, რ-იც საკურთხეველთან დაკავშირებულია სწორკუთხა ხვრელობით. აფსიდის სარკმლის ძირის დონემდე გამოყოფილია განსხვავებული წყობით ნაგები ზოლი. კონქი და კამარა (ნაშთები შემორჩენილია ჩრდ. კედელთან) სხმული ყოფილა. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრია. ზედა საფეხურის იმპოსტს კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობოდა, ხოლო ქვედას — კედლის დეკორატ. თაღები.

ეკლესიის კედლები დასრულებული იყო ლავგარდნით, რ-ის პროფილი შედგენილია თაროს, ოდნავ შეზნექილი პირისა და ლილვისაგან. *დე. თ.*

## სხლების ციხე-დარბაზი,

იხ. ც ი ხ ი ს გ ვ ე რ დ ი, ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი.

## სუქითის მაცხოვრის ეკლესია,

იხ. სოფ. ო ქ რ ო ს ო ფ ე ლ ი

## ტახტისძირი

(დვანის სოფსაბჭო)

157. პეტრე-პავლეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (9,5X6,1 მ), ნაგებია აგურითა და რიყის ქვით, გამოყენებულია ქვიშაქვის კვადრებიც. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. მონაკვეთშია. სწორკუთხა საკურთხევლის ღერძზე თაღოვანი სარკმელია (ამოქოლილია), ხოლო ჩრდ-ისა და სამხრ-ის კედლებში თითო სწორკუთხა ნიში. ეკლესიის სამხრ. და ჩრდ. კედლებში თითო შიგნიდან თაღოვანი და გარედან სწორკუთხა სარკმელია. დარბაზის გრძივი კედლები და ცილინდრული კამარა პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღებით სამ ნაწილადაა დაყოფილი. კედლები შეთეთრებულია.

დას. ფასადის ფრონტონის თავზე დაშენებულია აგურით ნაგები გუმბათიანი ს ა მ რ ე კ ლ ო, ხოლო დას. კედლის სიბრტყეში შეწეული ჯვარია გამოსახული. ეკლესიას ორფერდა სახურავი აქვს. *ქ. გ.*



157 გეგმა

## ტვლეპიაქოხი,

იხ. სოფ. უ რ ბ ნ ი ს ი, ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი ქ ვ ა ც ხ ე ლ ე ბ ი

## ტყემალა

(ზემო ხვედურეთის სოფსაბჭო)

158. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, ჩრდ.-აღმ-ით, სასაფლაოზე. შემორჩენილია ნაგებობის კედლების მცირე ნაწილები. ეკლ. დარბაზულია (7,3X5,1 მ), ნაგებია მოზრდილი ზომის ქვიშაქვის ნატეხი ქვებით. ერთადერთი შესასვლელი სამხრ-ით ჰქონია. გათხრა-გასუფთავების გარეშე საკურთხევლის ფორმის დადგენა არ ხერხდება. *დე. თ.*

159 საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სასაფლაოს მახლობლად. აგებულია XX ს-ის დასაწყისში. ეკუთვნის სარინო ზასოხაშვილს.

ს. ს. (10,5X7,2 მ) ორსართულიანია; ქვედა სართულის სამი კედელი ქვისაა, საფასადო (სამხრ.-დას.) კედელი კი ხის ნაგვერდულებითაა ნაშენი და გარედან თიხითაა შელესილი; II სართული ხისაა. საკედლე ფიცრები ერთმანეთთან ჭდობითაა დაკავშირებული.

ორივე სართულზე ორ-ორი თანაბარი ფართობის ოთახია. ერთმანეთისაგან იზოლირებულ I სართულის სამეურნეო ოთახებს (ერთ-ერთში ქვევრია) მთავარი ფასადის მხარეს შესასვლელი და თითო პატარა სარკმელი აქვს. II სართულზე ხის კიბე ადის. სართულს ფასადის მხარეს, მთელ სიგრძეზე, ღია აივანი აქვს. აივანზე გამოდის ორივე ოთახის კარი და ორ-ორი სარკმელი. აივნის მოაჯირი და სვეტებს შორის დეკორატ. თაღები ჭვრული ორნამენტითაა მოხარატებული. სახლს ხის ნივნივებზე გამართული ყავრის ოთხფერდა სახურავი აქვს. *დე. თ.*

## ტყემლოვანა

(გვერძინეთის სოფსაბჭო)

160. გუგომის კომპლექსი, ტ ყ ე მ ლ ო ვ ა ნ ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 3 კმ-ზე, გზის დას-ით, მაღალ მთაზე. კომპლექსში შედის: ხუთი ეკლესია და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. ეკლესიები აგებულია სხვადასხვა დროს, მაგრამ ერთმანეთზე მჭიდროდაა მიდგმული და ერთიან კომპლექსს ქმნის. ხუთივე ეკლ. დარბაზულია. განსაკუთრებული ინტენსიური მშენებლობა გუგომის კომპლექსზე გაშლილა XIII ს-ში. ამას ადასტურებს ძირითადი ნაგებობების (ღვთისმშობლის ეკლ., გალავანი) სტილისტ. ანალიზი და წარწერა გალავნის „გარე ბჭის" თაღზე.

(ა) პ ი რ ვ ე ლ ი ე კ ლ ე ს ი ა (5,1X3 მ) დგას კომპლექსის სამხრ.-დას. ნაწილში, ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვით. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება VIII-IX სს-ით. ნაგებობა დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა და კონქი. შესასვლელი სამხრ-ითაა. სწორკუთხა აფსიდის კონქი (შემორჩენილია მხოლოდ ფუძე) ტრომპებით



160. აღმ. ფახადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ- კენ

გეგმა: 1. მესამე ღვთისმშობლის ეკლესია 2. მეოთხე ეკლესია. 3. პირველი ეკლესია. 4. მეორე ეკლესია. 5. მეხუთე ეკლესია.

ყოფილა ამოყვანილი. ერთი სარკმელი საკურთხევლის ღერძზეა გაჭრილი, ხოლო მეორე (თაღოვანი) სამხრ-ის კედელში. ინტერიერი შელესილი ყოფილა. ფასადებზე თეთრი კირქვის ლავგარდანი (ერთადერთი ფრაგმენტი შემორჩენილია ჩრდ.-აღმ. კუთხეში) შედგებოდა მარტივი ნალისებრი თაღების მწკრივისაგან.

(ბ) მეორე ეკლესია (6,7X X3,4 მ) დგას კომპლექსის სამხრ.-აღმ. ნაწილში, პირველი ეკლესიის გასწვრივ. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება VIII-IX სს-ით. ეკლ. დაზიანებულია: სახურავი და კამარა მთლიანად ჩაქცეულია. ეკლ. ნაგებია უხეშად დაკუთხული ქვით (ინტერიერის ჩრდ. კედლის ქვედა ნაწილში ჩაშენებულია ერთი მოზრდილი ქვა — 2,5X1,5 მ). არქიტრავული შესასვლელი დას-ითაა. ერთადერთი სარკმელი სწორკუთხა საკურთხევლის ღერძზეა გაჭრილი ნაგებობა დაბალი და ბნელია, ინტერიერი — დაუნაწევრებელი საკურთხეველს კონქი და სატრიუმფო თაღი არა აქვს, რის გამოც ნახევარწრიული კამარა მთელ სიგრძეზე ხურავს ნაგებობას ფასადებზე ლავგარდანს ღრმად ნაკვეთი ნალისებრი თაღები გასდევს (შემორჩენილია ერთადერთი ფრაგმენტი ეკლესიის ჩრდ.-აღმ. კუთხეში).

(გ) მესამე, ღვთისმშობლის ეკლესია ჩრდ. და სამხრ. მინაშენებით კომპლექსის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XIII ს-ით. ძ ძლიერ დაზიანებულია: მთლიანად ჩამონგრეულია კამარა და კედლების ზედა ნაწილი, დანგრეულია სამხრ. კედლის უმეტესი ნაწილი და ორივე მინაშენი. ინტერიერში ქვების და მიწის გროვაა. ეკლ. (17,85X7,85 მ) ნაგებია ბაზალტის კარგად დამუშავებული კვადრებით და პირგათლილი ნატეხი ქვით. კონსტრ. ნაწილები თლილი ქვითაა ამოყვანილი. ნაგებობის პროპორციები მსუბუქი და აზიდულია. თავდაპირველი შესასვლელებიდან მხოლოდ დას-ისაა შემორჩენილი. იგი გარედან არქიტრავითაა გადახურული, ხოლო შიგნიდან თაღოვანია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. საკურთხევლის კედელს ერთსაფეხურიანი ჩამოსაჯდომი გასდევს. აღმ-ის სარკმლის გვერდებზე, 1,5 მ-ის სიმაღლეზე, მცირე ზომის ოთხკუთხა ნიშებია, ხოლო ქვემოთ მიდგმულია ბრტყელი ქვა, რ-ის წინა პირი ნახევარწრიულადაა ამოღარული. საკურთხევლის ცენტრში დგას მასიური, ზემოთ გაფართოებული სატრაპეზო ქვა. საკურთხევლის წინ ეკლესიის თანადროული კანკელი დგას. იგი დაზიანებული და გადაკეთებულია. კანკელის ფილები მოჩუქურთმებულია (ორი ფილა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში). დას-ით ერთი სარკმელია, სამხრ-ით ორი ყოფილა (შემორჩენილია მხოლოდ ერთი).

შიდა სივრცე ვიწრო და მაღალია. გრძივი კედლები და კამარა ორსაფეხურიანი პილასტრებით და საბჯენი თაღებით ოთხ ნაწილად იყოფა. ჩრდ-ის კედელში, ორ პილასტრს შორის, გაჭრილია ფართო (2,22 მ) და მაღალი (კამარის ქუსლამდე) თაღი, რ-იც ჩრდ-ის მინაშენში გადის (ასეთივე თაღი, სავარაუდოა, სამხრ-ითაც იყო).

ეკლ. მთლიანად შელესილი და მოხატული ყოფილა. (დ) მოხატულობა XIII ს. განეკუთვნება. გადარჩენილია მისი ცალკეული ფრაგმენტები. საკურთხევლის კონქში წარმოდგენილია *ვედრება;* მეორე რეგისტრში მთელი ტანით გამოსახულია მოციქულები, ხოლო ქვემოთ — ეკლესიის მამები. გრაგნილებზე, რ-ებიც მათ უპყრიათ ხელთ, გაირჩევა ასომთ. წარწერები. ამავე რიგში, ცენტრში, გამოსახულია *ხატი მანდილისაი.* სარკმლის წირთხლებზე ორი წმინდანია, თაღში — ჯვარი მედალიონში. მხატვრობა დასრულებულია ორნამენტის ზოლით. დარბაზში, სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთზე, თაღს ზემოთ მოცემულია *ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება;* მოპირდაპირე მხარეს, ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში — *ქრისტე და სამარიტელი დედაკაცი.* მხატვრობის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები შემონახულია დას. კედელზეც. გაირჩევა მხოლოდ ცალკეულ გამოსახულებათა სილუეტები: ზემოთ — *ხარება*, მესამე რეგისტრის სამხრ. მონაკვეთზე — *სული წმინდის მოფენა.* მოხატულობის კოლორიტი ნათელია — ჭარბობს ცისფერი, ღია მწვანე, თეთრი, ოქრა, მოწითალო-

აგურისფერი. მოქნილი ხაზი, გამომსახველი სახეები, ფერადოვანი ზედაპირის მსუბუქი ხაზოვანი დამუშავება შესრულების მაღალ პროფესიულ დონეზე მეტყველებს.

ფასადებიდან მხოლოდ აღმ. ფასადის პერანგი და მორთულობაა გადარჩენილი. კედელი ნაგებია კარგად დამუშავებული ღვინისფერი კვადრებით. უხვად ორნამენტირებული ფასადის დეკორის ყველა ელემენტი ფასადის ცენტრში, სარკმლის ღერძზეა აკინძული. დეკორატ. სისტემაში ჩართულია წრეთარგისპროფილიანი, ორნამენტირებული ლავგარდანი.

ეკლესიის სამხრ-ით (ე) კარიბჭე და მის გვერდებზე ცალფერდასახურავიანი ნაგებობები იყო. ეს მინაშენები სამ (პირველ, მეორე და მესამე) ეკლესიას შორის არსებულ სივრცეს ავსებდა. ჩრდ-ის მინაშენი სამ მონაკვეთად იყო დაყოფილი: აღმ-ის მონაკვეთს აფსიდი ჰქონია და მისი აღმ-ის ფასადი თლილი ქვით ყოფილა მოპირკეთებული. მინაშენში მოხვედრა მხოლოდ ღვთისმშობლის ეკლესიიდან შეიძლებოდა.

(ვ) მეოთხე ეკლესია აგებულია გვიანდ. ფეოდ. ხანაში, სტილისტ. ნიშნებით სავარაუდოა XV-XVI სს-ით დათარიღება. იგი ფარავს ღვთისმშობლის ეკლესიის მთელ დას. ფასადს. ნაგებობა შედარებით კარგად არის დაცული: დაზიანებულია მინაშენები (განსაკუთრებით დას-ით). ეკლ. (8,6X5,75 *მ*) ნაგებია უხეშად დამუშავებული ბაზალტის ქვით. იგი დამოუკიდებელი სამლოცველოა. შესასვლელი დას. კედლის ცენტრშია. კარის თავზე და სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთში თითო მცირე ზომის სარკმელია. მეოთხე ეკლესიის აღმ. კედელი ღვთისმშობლის ეკლესიის დას. შესასვლელზეა (ამოშენებულია) მიდგმული. უსწორო ნახევარწრიულ აფსიდში ორი მცირე ზომის ოთხკუთხა ნიშია, ხოლო მისი ცენტრიდან ოდნავ ჩრდ-ით, კედელზე სატრაპეზო ქვაა მიშენებული. კამარა ნახევარწრიულია და ეყრდნობა ერთსაფეხურიან პილასტრებზე დაბჯენილ თაღს.

შინაგანი სივრცე განიერი და დაბალია. კედლები შელესილი ყოფილა, შელესილობა ჩამოცვენილია.

ფასადები შედარებით კარგად დამუშავებული ქვით არის ნაგები. დას. ფასადზე ძლიერ მახვილკუთხიან ფრონტონს ასრულებს მარტივი ფორმის თაროს, ლილვისა და მსუბუქად ამოღარული წრეთარგისგან შედგენილი თლილი ქვის ლავგარდანი. ნაგებობა გადახურულია კარგად გათლილი ლორფინებით. ლორფინების თითოეული ღარი, ლილვი თუ ღრმული ორნამენტულ სამკაულად აღიქმება.

ეკლესიას ჩრდ-ით ძირითადი ნაგებობის თანადროული (ზ) ორი მინაშენი აქვს. პირველი უშუალოდ ეკლესიის კედელზეა მიდგმული თლილი ქვის თაღით. იგი შედარებით მოზრდილია და დამხმარე სათავსს წარმოადგენს. კამარა ნახევარწრიული აქვს. დას. კედელში ერთადერთი სარკმელია. ჩრდ. კედელში გაჭრილი მოზრდილი თაღოვანი გასასვლელით ეს სათავსი მეორე მინაშენთან (გაირჩევა მხოლოდ კონტურები) იყო დაკავშირებული.

(თ) მეხუთე ეკლესია მეოთხესა და პირველ ეკლესიებს შორის შექმნილ კუთხეშია ჩადგმული. იგი შესაძლოა მეოთხე ეკლესიის დროინდელი იყოს (XV-XVI სს.). ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია: გარკვევით გაირჩევა მხოლოდ ნახევარწრიული აფსიდის მოხაზულობა; კარგადაა შემორჩენილი დას-ის კედელი. ეკლ. (9,4X5,2 *მ*) ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვით. აღმ. კედლით უშუალოდ მიშენებულია მეოთხე ეკლესიაზე. ამ კედელზე პილასტრებს შორის გადაყვანილი ყოფილა დეკორატ. თაღები. ეკლესიას შესასვლელი სამხრ-ით ჰქონია, ხოლო სარკმელი — დას-ით.

(ი) გალავანი კომპლექსისათვის შემოუვლიათ XIII ს-ის ბოლო ათეულ წლებში. იგი ნაგებია ნატეხი ქვით. აღმ-ით ფართო შესასვლელს ანუ „გარეთა ბჭეს" ასომთავრულწარწერიანი თაღი ჰქონია (წარწერა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში). წარწერას აკლია თავი და ბოლო, ძნელად იკითხება, მაგრამ შემორჩენილი ფრაგმენტებით შეიძლება დადგენა — მასში ლაპარაკია კომპლექსის მთავარი ტაძრის აშენებასა და შემკობაზე. *დ. ფ., მგ. მ.*

161. ნაეკლესიარი და ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 4 *კმ*-ზე, მთის ზეგანზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ფართ. 3 *ჰა*. შეინიშნება ნაგებობის ნაშთები და ნაეკლესიარი, რ-საც შემოვლებული ჰქონია ქვის ციკლოპური წყობის გალავანი (შემორჩენილია წყობის ქვედა რიგი). კულტ. ფენები დაფარულია მიწის სქელი ფენით. *ლ. მ.*

ტყემლოვანის კომპლექსი, იხ. გუგომის კომპლექსი

## ურბნისი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

162. ურბნისი, სოფელი, ისტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე, ქარელიდან 10 *კმ*-ზე. უ. ქართ. წერილობით წყაროებში იხსენიება ელინისტ. ხანაში. არქეოლ. კვლევამ ახლანდ. უ-ის ტერიტორიაზე (ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანის ნაქალაქარი) და მის შემოგარენში გამოავლინა ადამიანის მოღვაწეობის კვალი ძვ. წ. III ათასწლეულიდან (ქვაცხელები, ხიზანაანთ გორა). საკმაოდ დიდი, ძლიერი დასახლების კვალი შეიმჩნევა ძვ. წ. II და I ათასწლ. მიჯნაზე. სავარაუდოა, ძვ. წ. I ათასწლ. შუა ხანიდან სამოსახლოთა გაერთიანების შედეგად აქ წარმოიშვა მჭიდრო დასახლება, რ-იც შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქალაქის პირველსახედ. ძვ. წ. IV ს-თვის უ. ქალაქად მოიხსენიება. ამ დროს აქ გამავალი სავაჭრო გზების წყალობით უ. მჭიდრო ურთიერთობაშია გარე სამყაროსთან. დაახლ. ძვ. წ. III ს-ში ქალაქი უცხო დამპყრობლებს დაუქცევიათ და გადაუწვავთ. ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან საქალაქო ცხოვრება კვლავ აღორძინდა. ანტ. ხანაში უ. დაწინაურდა, გაიზარდა, ეწეოდა გაცხოველებულ ვაჭრობას (არქეოლ. გათხრებით აღმოჩნდა მრავალი უცხო წარმოების საქონელი და მონეტები). ქალაქი უბნებად ყოფილა დაყოფილი. მოქმედებდა წარმართული „ცეცხლთა, ქვათა და ძელთა" თაყვანისმცემელთა ტაძარი, ებრაელთა სამლოცველო. ქალაქი უზრუნველყოფილი იყო წყლით — ჩრდ-ის მხრიდან კერამ. მილებით გამოყვანილი იყო სასმელი წყალი, ლიახვიდან კი სარწყავი არხით (25 *კმ*) სამეურნეო წყალი (ანტ. ხანის ეს საინტერესო ნაგებობა დღესაც მოქმედებს). იყო აბანო და სხვა მნიშვნელოვანი არქიტ. ნაგებობები. ქალაქს სამი მხრიდან მტკიცე გალავანი ჰქონდა შემოვლებული

უ-ის აშენებას, ქართლის სხვა ქალაქებთან ერთად, „ქართლის ცხოვრება" მცხეთოსის შეილს უფლოსს მიაწერს. უ. იხსენიება ქრისტ. რელიგიის მქადაგებლის ნინოს მოღვაწეობასთან დაკავშირებით. (ა) ნინო აქ ერთი თვე გაჩერებულა და შემდეგ სალოცავად და სავაჭროდ მიმავალ ურბნელებს გაყოლია მცხეთაში. ადრინდ. ფეოდ. ხანაში უ-ის მნიშვნელობაზე მიუთითებს აქ საეპისკოპოსოს დაარსება და V-VI ს-ის მიჯნაზე დიდი ქრისტ. ტაძრის, ხოლო ცოტა მოგვიანებით ქალაქის ალიზის დიდი გალავნის მშენებლობა. ფეოდ. ხანაში შეიცვალა ქალაქის სამეურნეო პროფილი.

დაქვეითება დაიწყო საქალაქო მეურნეობამ, ვაჭრობამ. სამაგიეროდ გაძლიერდა და ქალაქის ეკონომიკის განმსაზღვრელი გახდა სოფ. მეურნეობის დარგები. ამასთან, უ-ის ეკონ. და კულტ. დონე კვლავ მაღალი რჩება. V-VI სს-ის მიჯნაზე უ-მა კიდევ ერთი რბევა განიცადა. (ბ) წერილობითი ცნობებით, VIII ს-ის 30-იან წლებში მურვან ყრუს შემოსევის შედეგად ქალაქი მთლიანად განადგურ-

და. ამის შემდეგ შ. ქალაქად აღარ იხსენიება. აქ რჩება მხოლოდ საეპისკოპოსო რეზიდენცია, რ-მაც XIX ს-მდე იარსება. ფეოდ. ხანის შ-ის მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ დავით აღმაშენებელმა აქ და რუისში ჩაატარა 1104 წლის (გ) საეკლესიო კრება. შ. ფეოდ ხანის საქართველოს მნიშვნელოვანი კულტ-საგანმ. კერა. იყო. აქ მოღვაწეობდა მრავალი გამოჩენილი სასულიერო და საზ. მოღვაწე მნიშვნელოვანია აქაური სახარება (X ს., გადამწერი იოანე ტატანელი).

ბიბლ.: 96; 131; 254 — ზ. პ.

163. ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ ᲥᲕᲐᲪᲮᲔᲚᲔᲑᲘ, ტვლეპიაქოხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 3 *კმ*-ზე, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლ. I ნახ-ით და შუა ხანებით, გვიანდ. ანტ. ხანითა და ადრინდ. ფეოდ. ხანით. გათხრებს 1954-61 წწ. აწარმოებდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედ. (ხელმძღვ. ა. ჯავახიშვილი). ნამოსახლარის საერთო ფართ 3500 *კვ მ*. გამოვლენილია 3 კულტ. ფენა 7 სამშენ. დონით

I ფენა (სისქე 0,3-0,4 *მ*) განეკუთვნება გვიანდ. ანტ. და ადრინდ. ფეოდ ხანას. მოიცავს გათხრილი ნამოსახლარის მთელ ფართობს. ნაკვეთი ინტენსიურად იხვნებოდა. მიკვლეულია რიყის ქვით ნაგებ შენობათა ნაშთები, ფეოდ. ხანის უინვენტარო სამარხები და ამავე ხანის კერამიკის ნაშთები. აღმოჩენილია ხოსრო II მონეტა (VII ს.).

II ფენა (სისქე 0,9 *მ*) უშუალოდ I ფენის ქვეშაა. II ფენის II-1 დონეში გამოვლენილია შენობათა ნაშთები. ზოგიერთი საცხოვრ. შენობის მრგვალ-კვადრ. მოხაზულობის გეგმა მთლიანად იკითხება. II-2 და II-3 დონეების საცხოვრ. შენობები შედარებით ცუდადაა მოღწეული. II ფენაში გამოვლინდა შავპრიალა ორნამენტიანი კერამიკა.

III ფენა (სისქე საშუალოდ 0,8 *მ*) გამოვლინდა II ფენის ქვეშ, III ფენაში ყველაზე მნიშვნელოვანია III-1 დონე, რ-იც ხანძარს გაუნადგურებია და ეს ადგილი მოსახლეობას მაშინვე მიუტოვებია. გამოვლენილია ათამდე საცხოვრ. სახლი. ნამოსახლარზე აღმოჩენილი არქეოლ. მასალის დიდი ნაწილი ამ ფენას განეკუთვნება. მრავლად იპოვება კერამ. მასალა, ხელსაფქვავის ქვები, ნამგლის კაჟის ჩასართები, ცხოველის თუ ადამიანის მცირე ქანდაკებები, ძვლის სადგისი, ლითონის იარაღები, სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭელი და სხვ. III-2 დონე შედარებით მცირე ფართობზეა გამოვლენილი, ცოტაა არქეოლ. მასალაც. ამ დონის ქვეშ აღმოჩნდა III-3 დონე, რ-ის ქვეშ დაფიქსირდა ღედაქანი. ამ ორ დონეს (III-2 და III-3) უნდა ეკუთვნოდეს 5 სამარხი, რ-იც გორანამოსახლარის ჩრდ. ნაწილში გამოვლინდა. სამარხები იარუსებად იყო განლაგებული, ზოგ სამარხში ერთი მიცვალებული ესვენა, ზოგში – წყვილი. მიცვალებულები დამარხულია კიდურებმოხრილი მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე. სამარხებში გამოვლინდა სპილენძის, ქვისა და კერამიკის ნივთები. საცხოვრ სახლები გარკვეული ტიპისაა და აქვთ მყარი გეგმა უმნიშვნელო ვარიანტებით: ოთახები კვადრატულია, კუთხეები მომრგვალებული აქვთ, ოთახის შუაში „დედაბოძი“ და მრგვალი კერაა. შენობათა საძირკველი რიყის ქვისაა, კედლები ამოყვანილია ალიზის აგურით, გადახურვა, სავარაუდოა, ბანური იყო ზოგიერთი სათავსი მოწნულია წნელით და შიგნით და გარეთ შელესილი თიხით. ჩანს, ნამოსახლარზე ცხოვრება არ წყდებოდა – ერთი თაობა ცვლიდა მეორეს. ნამოსახლარზე აღმოჩენილი არქეოლ. მასალის (ნამგლის, კაჟის ჩასართავები, ხელსაფქვავის ქვები, დიდი ზომის თიხის ჭურჭელი) ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ აქ მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. ამასვე ადასტურებს სამარხებში აღმოჩენილი ირმის რქის სახნისი (გუთანში გამწევი ძალა ყოფილა გამოყენებული) და ხორბლის ნაშთები. განვითარებული იყო მესაქონლეობაც (ოსტეოლოგიურ მასალაში ჭარბობს წვრილფეხა საქონლის ძვლები, არის მსხვილფეხა საქონლის ძვლებიც). მაღალ დონეზე იდგა ხელოსნობა, ლითონის დნობა, ქვის დამუშავება, კერამ. წარმოება. არ ჩანს სამეთუნეო მორგვის კვალი, თიხის ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი.

163. გათხრების საერთო ხედი



განათხარი მასალა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში. ძ. დაკონსერვებულია.

*ბიბლ.:* 267 *ნ. ა.*

164. **ნამოსახლარი ხიზანაანთ გორა**. არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ. ნაწილში. მდ. მტკვრის მარცხ ნაპირზე. ამაღლებული ტერასის კიდეზე. ტერიტორია მკვეთრად არის გამოყოფილი აღმ-ითა და დას-ით ხევებით. ჩრდ-ით ხელოვნური თხრილით, ხოლო სამხრ-ით — მდინარით. თარიღდება ძვ. წ. IV ათასწლ. დასასრულით — III ათასწლ. შუა ხანებით.

1935 წ. აქ პირველი საველე არქეოლ. სამუშაოები ჩაატარა გორის ეთნოგრაფიული მუზ-ის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ს. ნადიმაშვილი). იმავე წელს მუშაობა გააგრძელა ᲘᲐᲔ ინტ-ისა და საქართვ. სახელმწ. მუზეუმის გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ. ლომთათიძე). 1960-64 წწ. ძეგლზე არქეოლ. გათხრები აწარმოვა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ალ. ჯავახიშვილი). განათხარი მასალა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ნ. ხ. გ. (ფართობი 3418 *კვ მ*) წარმოქმნილია ხელოვნურად, ნამოსახლართა დაფენიანების შედეგად. კულტ. ფენის სიმძლავრე 2 *მ*-ია და შედგება 4 ფენისაგან, რ-ებშიც 13 დონე გამოიყოფა.

ნ. ხ. გ-ის უძველესი დასახლების (ძვ. წ. IV ათასწლ. დასასრული) I ფ ე ნ ა წარმოდგენილია ორი დონით. ამ ფენის ხოფელი გაშენებული ყოფილა ერთ მთლიან, თიხით მოლესილ მოედანზე. ნაგებობები არ შემორჩენილა, მრავლადაა თიხით ნალესი სამეურნეო და საკულტო დანიშნულების ორმოები — კერები „რქიანი" და „ნალისებური" სადგარებით. ხშირად კერად გამოყენებულია თავწაკვეთილი ჭურჭელი. ამ ფენის თიხის ჭურჭელი სამ ჯგუფად იყოფა: 1. მხოლოდ ამ ფენისათვის დამახასიათებელი: განლექილი თიხით ნაძერწი, მაღალ ტემპერატურაზე რუხად გამომწვარი, მტკიცე თხელკეციანი ანგობირებული და მოყვითალო-მონაცრისფრო გაპრიალებულზედაპირიანი მაღალყელიანი, მუცელგაბერილი და ვიწრო, ძირშედრეკილი ცალყურა ჭურჭელი; აგრეთვე ორყურა ჭურჭელი და ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებული, ყვითლად გაპრიალებული კალთებიანი ცალყურა ჯამი; 2. დას. საქართველოს და დას. ჩრდ. კავკასიის არქეოლ. ძ-ებზე მოპოვებული მასალის მსგავსი: კვერცხისებური, მუცელგამობერილი, ვიწრო ბრტყელძირიანი და ოდნავ გაშლილპირიანი, ანგობირებული და მოყვითალო-მონაცრისფრო, გაპრიალებულზედაპირიანი მოზრდილი ორყურა ჭურჭელი; 3. აღმ. ამიერკავკასიაში აღმოჩენილ მასალასთან ახლომდგომი: თანაბრად გამობერილი კვერცხისებური, ცილინდრულყელიანი, წაბლისფრად გაპრიალებულზედაპირიანი სამყურა ჭურჭელი (ნახევარსფერული ყურები მუცლის ცენტრშია მიძერწილი).

II ფ ე ნ ა შ ი (III ათასწლ. დასაწყისი), რ-იც ერთი დონითაა წარმოდგენილი, ჩნდება ლითონი, ორმოიან კერებს ცვლის შვერილიანი კერები. აღარ გვხვდება სადგარები, შემორჩენილია ნაშთი შენობებისა — წნულკედლებიანი ორმხრივ თიხით შელესილი წრიული ოთახები. იატაკი ნალესია ნაცრით, ფენა-ფენად და შეღებილია წითლად (წითლად იყო შეღებილი კედლის შემორჩენილი ფრაგმენტებიც). კერა შუა ოთახშია. მის უკან გადახურვის საყრდენის — „დედაბოძის" ორმოა. კედლის გასწვრივ იატაკზე მოლესილი წრიული შემაღლებებია (სიმ. 0,03-0,04 *მ*). მათზე დამხობილია სხვადასხვა ზომის ტოლჩები და სასმისები. ოთახებს სარდაფტით ნაგები წრიული გარშემოსავლელი (სიგ. 1 *მ*) აქვს ზოგიერთ ნაგებობაში წრიული გარშემოსავლელი შეცვლილია ოთხკუთხა დერეფნით. სავარაუდოა, რომ შენობას ერდოიან-ბანური გადახურვა ჰქონდა. ამ ფენაში მოპოვებული ჭურჭელი (ჯამი, კათხა, ქვაბქოთანი, ტაფის მსგავსი ჭურჭელი, ბადია, სასმისი და სხვ.) ფორმით განსხვავდება წინა ფენის ჭურჭლისაგან (პირი ფართოდაა გადაშლილი, ცილინდრული ყელი წელშია გამოყვანილი და თანაბრად გადადის მხრებზე, მუცელს შემოვლებული აქვს წიბო) და ხასიათდება სინატიფით. ჭურჭელი უმეტესად სარჩულიანია და გაპრიალებულია შავად, რუხად და წაბლისფრად.

შემდეგი ფენა (ძვ წ. III ათასწლ. I მესამედი) სამი დონითაა წარმოდგენილი. პირველი დონის ნაგებობებს ჩვენამდე არ მოუღწევია. მეორე დონის ნაგებობათა უმრავლესობა მეგარონებია. გადმონაშთის სახით გვხვდება წრიული ნაგებობებიც. მშენებლობის ტექნიკა იგივეა. გამარტივებულია იატაკის გაწყობა, დადასტურებულია ღია სადგომებიც. მესამე დონის შენობები პრიმიტიული „დარბაზული" ტიპის ნაგებობებს წარმოადგენს. მათი გეგმარება და კონსტრუქცია იგივეა, რაც წინა დონის ნაგებობებისა, მხოლოდ რთულდება იატაკის გაწყობა — უკანა კედლის გასწვრივ ჩნდება შემაღლება. წრიული დერეფნები იცვლება ოთხკუთხა დერეფნებით. ზოგიერთ დერეფანს აქვს ტიხარი. წინა დონის მსგავსად კერა შვერილებიანია. ამ დონის ჭურჭლის ფორმები შეცვლილია; სამყურა ჭურჭლის ტანი ბიკონუსურია და დაბალი წიბო აქვს შემოვლებული. მაღალი ზურგქედიანი ყურები მიძერწილია მუცლის ცენტრში წიბოსა და ქვედა ტანზე. იგივე ფორმისაა ცალყურა ქილები. წითლად გამომწვარი თხელკეციანი სასმისების ყელი დაბალია, პირი ოდნავ გაშლილი, მუცელი გამობერილი, ძირი ბრტყელი, ყური მიძერწილია პირსა და მუცლის წიბოზე. ამავე დონეში გვხვდება ლითონის ნივთები — ბრინჯაოს ნამგალი, ისრისპირი, სპილენძისა და ვერცხლის პატარა ხვიები; აგრეთვე, კაჟის ნამგლის ჩასართები და ისრისპირები. მიკვლეულია თიხისგან ნაკვეთი ურმის თვლის მოდელები, ზოომორფული და ანთროპომორფული თიხის ფიგურები.

შემდეგი, ზედა III ფ ე ნ ი ს (ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანები) ნამოსახლარის ტერიტორიაზე შენობები მჭიდროდაა განლაგებული, მაგრამ ჩანს დაგეგმარების გარკვეული პრინციპები — ნაგებობები ქარის ძირითადი მიმართულების საწინააღმდეგოდაა ორიენტირებული, მათ შორის დატოვებულია მცირე მანძილი ჰაერის ცირკულაციისათვის. საცხოვრ. სახლები გეგმით თითქმის კვადრატულია (20-25 *კვ მ*), კუთხეები მომრგვალებული აქვთ და კონსტრუქციულად არ განსხვავდებიან წინა ფენის შენობებისაგან. ამ ფენის შაკრიალა (იშვიათად წაბლისფერი), ვარდისფერ ან მონაცრისფრო სარჩულიანი ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი. ამავე ფენაში ნაპოვნია მამაკაცის იტიფალური ქანდაკება, ყალიბის ნატეხები, ბრინჯაოსა და ობსიდიანის სამკუთხა და ოთხწახნაგა ქუსლამოღარული და ყუნწიანი ისრისპირები, კაჟის ნამგლის ჩასართები, ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი საკინძი, თიხისაგან ნაძერწი ცხვრის ქანდაკებები და სხვ.

ნ. ხ. გ. თავისებური შერწყმაა მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის, დას. საქართველოსა და ჩრდ. კავკასიის ადრინდ. ბრინჯაოს ხანის კულტურებისა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა შიდა ქართლის ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ლოკალური კულტურა.

განათხარი მასალა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმში. ძ. დაკონსერვებულია.

*ბიბლ.:* 130 *ირ. შ.*

165. **ნაქალაქარი ურბნისი**, ისტ., არქეოლ., არქიტ. ძ. ნ.უ-ის ცენტრ. და აღმ. ნაწილი ახლანდ. სოფ. ურბნისს უჭირავს; დას-ით მდებარე ტერიტორია საუკუნეების განმავლობაში ხელშეუხებელი იყო და ამიტომ გადარჩა ძვ ზღუდის მონაკვეთი და არქეოლ. მასალა.

ნ. უ-ზე პირველად 1893 წ. პ. უვაროვამ ამოიღო სასინჯი თხრილები. მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია მოსკოვის ისტ. მუზეუმში. იქვე ინახება ორი სხვა ნივთიც (პ. ი. შჩუკინის კოლექცია) ურბნისიდან.

XX ს-ის 50-იანი წლების დასაწყისიდან ნ. ბერძენიშვილის თაოსნობით ურბნისში ტარდებოდა გეგმაზომიერი, სისტემატური არქეოლ. კვლევა. გათხრებს აწარმოებდნენ ИАЭ ინტ-ისა (1956 წ-მდე) და საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ექსპედიციები.

1952 წ. ჩატარდა სადაზვერვო სამუშაოები, ხოლო 1953, 1954, 1956 წწ. (ხელმძღვ. გ. ლომთათიძე, მოადგილე პ. ზაქარაია), 1955, 1957 წწ. (ხელმძღვ. ნ ბერძენიშვილი, მოადგილე პ. ზაქარაია) და 1963 წ. — გათხრები. მუდმივი კონსულტანტი იყო გ. ჩუბინაშვილი. სულ მოეწყო 11 ექსპედიცია.

ნ. უ-ის ალმ. მონაკვეთში ნაპოვნია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის (ა) ს ა მ ა რ ხ ე ბ ი, რ-ებიც ქრონოლოგიურად ხიზანაანთ გორის სამარხებს უკავშირდება. გამოირჩევა ძვ. წ. VI-V სს. მდიდრული სამარხები, სადაც აღმოჩნდა მაღალი ოსტატობით დამზადებული ოქროსა და ვერცხლის ნივთები.

ნ. უ-ის ტერიტორიაზე შემდეგი ძეგლებია: გალავანი (ძვ წ. IV-III — ახ. წ. VII სს.), აბანო (III ს.), მარანი (VI-VII სს.), წყალსადენი, სამეურნეო წყლის არხები, ბაზილიკა — ურბნისის სიონი (V-VI სს. მიჯნა), სამრეკლო (XVIII ს.) და სხვ.

(ბ) გ ა ლ ა ვ ა ნ ი. ქალაქი ურბნისი მდ. მტკვრის მხრიდან ბუნებრივად იყო დაცული. დანარჩენი სამი მხრიდან, გაშლილი ვაკის მხარეს, შემოვლებული ჰქონდა ზღუდე. გათხრებმა გამოავლინა ქალაქის გამაგრების სამი პერიოდის სისტემა: ანტ. ხანის, ადრინდ. ფეოდალურისა და ქალაქის გადაწვის შემდგომი ხანის. ქალაქს ორი მთავარი შესასვლელი ჰქონდა: ერთი ჩრდ-ით, ცენტრში, დაბლობიდან, ხოლო მეორე — სამხრ-ით, მტკვრის მხარეს, პატარა ხევიდან (მდინარეში შემორჩენილია ქვის ხ ი დ ი ს ბურჯები).

ანტ. ხანაში ქალაქს უვლიდა რიყის ქვით ნაგები სქელი (4 მ) კედელი (ფრაგმენტი შემორჩენილია ქალაქის დას. მონაკვეთში). ამ კედლის გარე პირი ვერტიკალურია, ხოლო შიდა — დაქანებული. დამწვარი რიყის ქვები მოწმობს, რომ კედელი ძლიერი ხანძრის შედეგად დანგრეულა.

მეორე პერიოდის (VI ს-ის შუა წლები ან II ნახ.) კედელი ალიზისაა (0,52X X0,52X0,12 მ). კედლის პერიმეტრია 2 კმ, შემოზღუდული ტერიტორიის ფართ. 23 ჰა, კედლის სისქე 4,5 მ. მიუხედავად დაზიანებისა შესაძლებელი გახდა გალავნის გეგმის აღდგენა. მდინარის მხარეს 20-25 მ სიმაღლის ფლატეს მხოლოდ კედელი გასდევს. დანარჩენ სამ მხარეს კედელში, ყოველ 60-65 მ-ზე, ჩართულია კოშკი ნახევარწრიული შვერილით. სავარაუდოა მთელ პერიმეტრზე 18 ასეთი კოშკი იყო. მათგან მხოლოდ სამხრ-დას. და სამხრ.-ალმ. კუთხეების კოშკები იყო დიდი (5-5 სათავსი), დანარჩენი კი უფრო მომცრო (2-2 სათავსი). კოშკებს ჰქონდათ რადიალურად განლაგებული სამზერები, ხოლო პარაპეტიანი საბრძოლო ქონგურებით შემოსაზღვრულ გალავანს ზევით საბრძოლო ბილიკი გასდევდა.

მესამე პერიოდის (მურვან ყრუს დალაშქვრის შემდგომ) გამაგრების სისტემა წარმოადგენს მიწაყრილს თხრილით. დიდი ხანძრისა და ალიზის კედლების განადგურების შემდეგ კედლის ირგვლივ ამოუღიათ თხრილი (სიღრმე 8-10 მ, სიგ. 30-40 მ). აქედან ამოღებული მიწით კი ალიზის ზღუდეა დაფარული. ძ. დაკონსერვებულია.

(გ) ა ბ ა ნ ო (18,2X11,4 მ) მდებარეობდა ანტ. ქალაქის ჩრდ-დას. ნაწილში. თარიღდება III ს-ით. მის ნანგრევებს ფარავს მოგვიანო ხანის (VI-VII სს.) (დ) მ ა რ ა ნ ი. აბანო ძირითადად ნაგებია ნატეხი ქვით, გამოყენებულია აგურიც. შედგება ანფილადურად განლაგებული სამი სათავსისაგან. გეგმა ირეგულარულია. სათავსები წაგრძელებულია, ბოლოში მომრ-



165. ალიზის ზღუდის რეკონსტრუქცია







165. კოშკი 1, კოშკი 2, კოშკი 3 ინტერიერების რეკონსტრუქცია (პ. ზაქარაიას მიხედვით)



165(გ) გეგმა




გვალებული გადახურვა ყველგან კამაროვანი იყო. პირველი სათავსი გასახდელ-მოსაცდელია ცივი აუზით, მეორე თბილი აბანოა, ხოლო მესამე — ცხელი. საქვაბე ცხელი სათავსის გარეთ იყო, დას-ით. მიკვლეული მასალა მოწმობს აბანოს ქვედა სართულში კალორიფერების სისტემის არსებობას.

აბანო გვიანდ. ანტ. ხანის ტიპური ნაგებობაა. ძ. დაკონსერვებულია.

165(ბ) 1. დას., 2 ჩრდ.-დას. კოშკების სართულების გეგმა

(ე) წ ყ ა ლ ს ა დ ე ნ ი  დ ა  ს ა რ წ ყ ა ვ ი  ა რ ხ ე ბ ი. ნ. შ-ის ტერიტორია მარაგდებოდა სასმელი და სამეურნეო წყლით კირის მკვრივ დუღაბში ჩადგმული წყალსადენის სხვადასხვა ზომის კერამ. მილების ფრაგმენტები მიკვლეულია ნაქალაქარის მთელ ტერიტორიაზე. საიდან იყო გამოყვანილი სასმელი წყალი დაუდგენელია.

ჯერ კიდევ ანტ. ხანიდან ურბნისი და მიმდებარე ტერიტორია სამეურნეო წყლით მარაგდებოდა მდ. ლიახვიდან გამოყვანილი მაღალი საინჟინრო ხელოვნებით ნაგები არხით (სიგრ. 20 კმ). ამ საირიგაციო სისტემის დიდი ნაწილი დღესაც მოქმედებს. არქეოლ. გათხრებით მიკვლეულია სხვადასხვა ხასიათის სამი არხი-გვირაბის ნაშთი. I გ ვ ი რ ა ბ ი აღმოჩნდა დას-ით, დეგოთების წისქვილებისაკენ მიმავალ გზაზე (უბანი II). გაითხარა გალავნის ქვეშ გამავალი, დიდი ზომის კარგად გათლილი და ურთიერთს მორგებული ქვითა და კირის ხსნარით ნაგები გვირაბის დაზიანებული ნაწილები (სიგრ დაახლ. 13 მ, კვეთი 0,4X X0,5 მ). გვირაბიდან გამოსული წყალი ღია ქვის არხში მიედინებოდა. II გ ვ ი რ ა ბ ი (სიგ. ძირში 0,2 მ, ზემოთ 0,15 მ, სიმ. 0,2 მ) გაითხარა ალიზის გალავნის ქვეშ (უბანი XX), კოშკის ჩრდ-ით. ნაგებია დიდი ზომის აგურით (0,3X0,3X0,06 მ) გვირაბის ძირზე კირის ხსნარზე დაგებულია აგურის ერთი ფენა. კედლები ამოყვანილია აგურის სამ-სამი რიგით, კედლები სიმაღლით ერთმანეთს უახლოვდება და გადახურულია აგურის ორი რიგით. გვირაბი დაქანებულია ქალაქისაკენ. მისი ბოლოები ორივე მხარეს 0,25-0,3 მ-ით გამოშვერილია ალიზის კედლიდან. III ა რ ხ ი-გ ვ ი რ ა ბ ი ს ნაშთი გაითხარა ნაქალაქარის ჩრდ.-აღმ მონაკვეთში. არხი გრძელი ყოფილა (შემორჩენილია 50-60 მ-ის სიგრძეზე). არხის ძირზე დაგებულია გვერდებაკეცილი კრამიტი (სიგრ. 0,41, განიერი მხარი 0,26, ვიწრო 0,16 მ), ხოლო კედლები და გადახურვა ქვის ფილებისაა, დუღაბი — კირის. გვირაბს დაქანება არა აქვს (?). ამ ნაგებობების დანიშნულება იყო წყლის გატარება ქალაქის გალავნის ქვეშ. ძ. დაკონსერვებულია.

(ვ) უ რ ბ ნ ი ს ი ს  ს ი ო ნ ი დგას ნაქალაქარის აღმ. მონაკვეთში. არქეოლ კვლევის დროს (ხელმძღვ. პ. ზაქარაია) გაიწმინდა ნაწილობრივ მიწით დაფარული ეკლესიის ინტერიერი, აიყარა გვიანდ აგურის იატაკი, დადგინდა იატაკის თავდაპირველი დონე, გამოვლინდა ბოძებისა და პილასტრების პირვანდელი ბაზისები; იატაკის აყრის შემდეგ აღმოჩნდა რამდენიმე არქიტ. ფრაგმენტი (მ. შ პირვანდელი ეკლესიის რელიეფების — ე. წ ბოლნური ჯვრების, ლავგარდნებისა და სხვ. ფრაგმენტები) და სამარხები (აგურის აკლდამები, ქვაყუთები); მოიხსნა XIX ს-ის გაჯის შელესილობა; ტაძრის გარშემო აღმოჩნდა დამატებითი ნაგებობების ნაშთი და სხვ. 1958-60 წწ. ძ-ზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (ხელმძღვ. რ. გვერდწითელი).

ურბნისის ტაძარი სტილისტ. ნიშნებით, აგრეთვე ჩრდ. ფასადის ასომთ. წარწერის პალეოგრაფიული შესწავლის საფუძველზე, V-VI სს-ის მიჯნით თარიღდება. აღნიშნულ წარწერაში, რ-იც ერთ-ერთი შეკეთების დროს ჩრდ. ფასადზე ჩაუდგამთ, მოხსენიებულია ეკლესიის მშენებლები ვინმე კონსტანტი და მამა მიქელი. დანარჩენ სამ სხვადასხვა დროის წარწერაში ეკლესიის აღდგენაზეა ლაპარაკი. აღმ. ფასადის ორ ერცელ ასომთ. წარწერაში ნათქვამია, რომ სანახევ-



165(დ) ჩრდ.-დას მონაკვეთის რეკონსტრუქცია

როდ დანგრეული ტაძარი აღუდგენია ურბნელ „ებისკოპოსს“ თეოდორე ლუკას ძეს ვინმე კონსტანტინე მიქელის ძის „თანაშეწევნით“ და ქავთარისა და მისი ოჯახის წევრების დახმარებით. ეს წარწერები ამოუკვეთია ვინმე აბიათარს. პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერები შეიძლება დათარიღდეს IX ს-ის II ნახ-ით ან X ს-ით. სამხრ. კარის ტიმპანის მხედრ წარწერაში კტიტორი, ვახტანგ V-ის მეუღლე, დადიანის ასული მარიამ დედოფალი გვაუწყებს. „... აღვაშენეთ ძირითურთ აღმოფხვრული ტაძარი...“ ეს მოხდა 1668 წ. როგორც ძ-ის შესწავლამ გვაჩვენა, ამ დროს ტაძრის აღსადგენად დიდი სამუშაოები ჩაუტარებიათ. არის კიდევ რამდენიმე ცუდად შემონახული წარწერის ფრაგმენტები.



165(ვ) ხედი დას-დან (პერსპექტივა)

ურბნისის სიონი სამნავიანი ბაზილიკაა (32,1X22,4 მ), მისი გეგმა, სივრცითი გადაწყვეტა და გარე მასები ბაზილიკისათვის დამახასიათებელ მკაფიო ნიშნებს ატარებს. ეკლესიის ინტერიერში და ფასადებზე ნათლად იკითხება პირვანდელი (VI-VII სს-ის მიჯნა) და შემდგომი (IX ს-ის II ნახ. ან X ს. და 1668 წ.) შეკეთება-აღდგენის სამშენ. ფენები. ადრინდ. ნაწილები ამოყვანილია კარგად გათლილი და ურთიერთმორგებული ქვიშაქვის კვადრებით, ქვები სხვადასხვა ზომისაა, მაგრამ რიგების ჰორიზონტალობა დაცულია. მომდევნო პერიოდებში აღსადგენად სხვადასხვა ფორმის ქვაა გამოყენებული, წყობა ირეგულარულია; XVII ს-ში ტაძრის ზედა ნაწილები მთლიანად, აგრეთვე ბოძებისა და პილასტრების ნაწილი, აგურით აღუდგენიათ და გვერდის ფასადებზე აგურისავე ორ-ორი კონტრფორსი მიუშენებიათ.

ტაძარში სამი შესასვლელია. პირველი სამშენ. ფენიდან მხოლოდ სამხრ-ის შესასვლელზეა შემორჩენილი არქიტრავის ქვის ჩამონატეხები და ნალისებრი ლუნეტის ნაშთი. XVII ს-ში ლუნეტი ამოუვსიათ წარწერიანი ქვებით, ხოლო ღიობი დაუვიწროებიათ. დას-ის ულაზათო, მაღალი შესასვლელი გვიანდელია. იგი ქვემოდან ზემოთ არათანაბრად ვიწროვდება. გვიანდელია აგრეთვე ჩრდ-ის პატარა არქიტრავული შესასვლელი (ამოშენებულია), რ-იც გაჭრილია ჩრდ. კედლის აღმ. კუთხესთან, სამკვეთლოს წინ.



ეკლესიის ინტერიერში ნავები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ოთხი წყვილი, გეგმით ჯვრისებრი ბოძით. ბოძები და მათზე დაყრდნობილი ნახევარწრიული აგურის საბჯენი თაღები შუა ნავის სივრცეს ხუთ, თითქმის ტოლ მონაკვეთად ჰყოფს. ნავი გადახურულია აგურის ნახევარწრიული კამარით. ასევე ხუთ მონაკვეთად არის დაყოფილი გვერდის ნავების გარე გრძივი კედლები. აქ ორსაფეხურიან პილასტრებს ეყრდნობა მეოთხედი წრის ფორმის აგურის კამარის საბჯენი თაღები, ხოლო პილასტრების ქვედა საფეხურის იმპოსტებზე დეკორატ. თაღები გადადის. შუა ნავი, რ-იც ღრმა აფსიდით მთავრდება და ორჯერ განიერია გვერდის ნავებზე. აფსიდი გადაკეთებულია, სავარაუდოა, ნალისებრი იყო. მისი კედლის



165(ე) აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



165(ე). აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



165(კ). სამხრ. ფასადი

სამხრ. მხართან იწყება საფეხური, რ-იც თანდათან ვიწროვდება და კედლის ხაზს უსწორდება. საკურთხევლის იატაკი ერთი საფეხურით იყო ამაღლებული. აფსიდის ღერძზე გაჭრილი სარკმლის ქვეშ დიდი ზომის ტრა-/პეციული სატრაპეზო ქვა დგას (ეკლესიის გაწმენდის დროს იგი აფსიდის ჩრდ. პილასტრის წინ იდგა). აფსიდის სარკმელი მაღალია, ერთ მთლიან ქვაშია გამოჭრილი, აგურის თაღი აქვს და შიგნიდან გარეთ ვიწროვდება. თითო ასეთივე სარკმელია სამივე ნავში, დას-ით (შუა მკლავის სარკმლის ქვედა, აგურით ამოშენებული ნახევარი ქვისაა, ზედა ნახევარი — აგურის). შუა ნავის გრძივ კედლებში, ხუთივე მონაკვეთში შიგნით განიერი, გარეთ ვიწრო თითო თაღოვანი სარკმელია. თითო ოთხკუთხა სარკმელი გვერდის ნავების გრძივი კედლების ყოველ მონაკვეთშია. აფსიდის კონქი ისრული მეოთხედსფერული კამარითაა გადახურული. შეისრული სატრიუმფო თაღი ეყრდნობა იმპოსტებს, რ-ებიც იმეორებენ თავდაპირველი ბოძების კაპიტელების პროფილს. აფსიდის გვერდებზე თითო ოთხკუთხა, თითქმის ტოლი, მაღალი, აგურის ცილინდრული კამარით გადახურული სათავსი — სამკვეთლო და სადიაკვნეა. ორივე სათავსის აღმ. კედელში თითო სარკმელი მოგვიანებითაა გაჭრილი. სადიაკვნეში სარკმლის ქვემოთ, კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა. სამკვეთლოში აგურის სატრაპეზოს ნაშთია. სადიაკვნის და სამკვეთლოს აგურის ისრული თაღებით დასრულებულ შესასვლელ ღიობებს გადაკეთების კვალი აჩნია. გვიანდელია სადიაკვნის ზემოთ გაჭრილი კარი და მცირე სათავსი სახურავის ქვეშ. ამ სათავსიდან ან სამხრ. ნავის სახურავიდან კედელში გაჭრილი მცირე კარით საკურთხევლის კონქის ზემოთ არსებულ სათავსში შეიძლება მოხვედრა.

შუა ნავის სამხრ. ბოძების რიგმა და მათზე გადაყვანილმა თაღებმა პირვანდელი სახით მოაღწია. თაღების მარტივპროფილიანი იმპოსტები მთლიან ოთხკუთხა ქვაშია გამოკვეთილი, ბაზისები კი კუბურია. აღდგენისას უცვლელად დაუტოვებიათ ჩრდ-ის ბოძების განლაგებაც. საკურთხევლთან მდებარე ორი ბოძი მთლიანად აგურისაა, ხოლო დანარჩენი — ქვის. აღდგენილი ბაზისები ბოძების ჯვრულ გეგმას იმეორებს.

ტაძრის აღმ. ფასადზე, შუა ნავის ზედა შუა ნაწილში, ერთადერთი გვიანდ. დეკორ. ელემენტია — აგურით გამოყვანილი მარტივი ჯვარი, რ-ის მკლავების გადაკვეთაზე ოდნავ ამოწეული კვადრ. მასაა. ასეთივე ჯვარია დას-ის ფასადზე. აღმ. ფასადის დიდი სარკმლის თავზე პატარა სწორმკლავებიანი ჯვარი, ხოლო მარჯვ. სარკმლის ზემოთ, წრეში ტოლმკლავებიანი ჯვარია ჩასმული. ჩრდ. ფასადის დას. მონაკვეთში, სარკმლის ქვეშ ქვაა ჯვრის გამოსახულებით (გვერდზეა გადაწვენილი), კიდევ ქვემოთ კი ცხენის გამოსახულებაა (ეს ქვები აქ შემთხვევით არის ჩადგმული 1668 წ. შეკეთების დროს). ეკლესიას აგურის კბილანა ლავგარდანი აქვს. სახურავი კრამიტისაა.

ტაძარს სამხრ-ით და ჩრდ-ით, მთელ სიგრძეზე, მ ი ნ ა შ ე ნ ე ბ ი ჰქონდა. სამხრ-ის მინაშენი, რ-იც აღმ-ით ე გ ვ ტ ე რ ი თ მთავრდება, პირვანდელი ნაგებობის თანადროულია (მოგვიანებით რამდენიმეჯერ გადაუკეთებიათ). მინაშენების დანარჩენი ნაწილები გვიანდელია. მათში ეკლესიის ფრაგმენტებია ჩაშენებული. ტაძარს დას-ითაც ჰქონია მინაშენი — გამოვლენილია კედლების ნაშთი ეკლესიიდან 2,5 მ-ზე.

ურბნისის სიონი ადრინდ. ფეოდ. ხანის საქართველოს დიდ ბაზილიკების ჯგუფს მიეკუთვნება (ანალოგები — კაწარეთის სამება, ხირსა).

(ზ) ს ა მ რ ე კ ლ ო დგას ტაძრის დას-ით, თხუთმეტიოდე მეტრზე. დას-ის ფასადის ვრცელი წარწერის თანახმად, აგებულია 1706 წ. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ბრძანებით. სარქარი ყოფილა მეფის ბებიდასშვილი ურბნელი „ეფისკოპოზი" ქრისტეფორე ფალავანდიშვილი.

სამრეკლო (9,1X10,2 მ) სამსართულიანია, ნაგებია ნატეხი ქვით, გამოყენებულია აგურიც. ორი ქვედა სართული ერთიანი კუბური მასაა, ხოლო მესამე — ღია თაღოვანი ფანჩატური. I სართულზე, შუა კამაროვანი გასასვლელის ორივე მხარეს, სხვადასხვა დანიშნულების სათავსებია. სამხრ. კედელში დატანებული კიბე



165(ზ). განაკვეთი, აღმ. და დას. ფასადები, სართულების გეგმები

II, საცხოვრ. სართულზე ადის. ამ სართულს აღმ-ით, მთელ სიგრძეზე, განიერი აივანი გასდევს, ხოლო დას-ის მხარეს ოთახები და კიბის უჯრედებია. კედლებში სარკმლები, ბუხარი, ნიშები და სათოფურებია. III სართულზე, ცენტრში რვაგვერდა, ნახევარწრიულთაღებიანი აგურის ფანჩატურია. ღიობებს შემოვლებული აქვს უწყვეტი თაღოვანი ლილვები; დას-ით, შუა ღიობის ღერძზე, ზემოთ, პატარა ჯვარია გამოყვანილი. ფანჩატური გადახურულია მაღალი კონუსური აგურის გუმბათით. დას-ის ფასადს საზეიმო იერი აქვს — შესასვლელის ორი ერთმანეთში ჩამჯდარი ისრული თაღი სწორკუთხედებშია მოქცეული. აღმ-ის ფასადის წამყვანი ელემენტებია მაღალი თაღოვანი ჭიშკარი და II სართულის ღია აივანი. ეს უკანასკნელი ელემენტი განასხვავებს ურბნისის სამრეკლოს ამ ტიპის სხვა თანადროული ნაგებობებისაგან. სამრეკლოს თავდაპირველად ბანური გადახურვა ჰქონდა, ამჟამად გადახურულია თუნუქით.

ბიბლ.: 96; 139; 239; 254; 269; 337
ზ. პ.

ურბნისის სიონი და სამრეკლო, იხ. ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ი ურ ბ ნ ი ს ი.

## ფცა

(სოფსაბჭოს ცენტრი)

166. კოშკი, არქიტ., ისტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, მდ. ფრონის მარცხ ნაპირზე. ერთი ხელნაწერი საბუთის ცნობით, კ აგებულია 1799-1800 წწ.

კ. ცილინდრულია (დიამ. 10,2 მ), ნაგებია რიყის ქვით, ზოგან გამოყენებულია აგური. შემორჩენილია სამი სართული. ერთადერთი შესასვლელი II სართულზეა. I სართული (დამხმარე სათავსი) შიგნით წრიულია (დიამ. 5,6 მ) და გადახურულია კონუსური კამარით. კედლებში დატანებულია კიბე, ნახევარწრიული ბუხარი, სამი სწორკუთხა ნიში და სამი სარკმელი. II სართული საცხოვრებელი და სათავდაცვოა. იგი რვაგვერდაა და გადახურულია რომბებით მორთული შეკრული კამარით, რ-ის ძირში ორი სარკმელია. კედლებში, კარისა და ბუხრის გარდა, დატანებულია სათოფურები, ოთხ წახნაგში კი ნიშებია ორმაგი სათოფურებით. III სართულიც წრიულია, გადახურვა ხის ჰქონდა. კედლებში ბუხარი და პატარა სწორკუთხა ნიშებია ცალმაგი და ორმაგი სათოფურებით. ჩრდ. ფასადზე, კარის თავზე გამოსახულია ჯვარი.

ბიბლ.: 32:25; 302
ზ. პ.

167. ნასახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს საშ. სკოლის ეზოში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლისა და ქვევრის ნამტვრევები, წყალსადენის თიხის მილები, რიყის ქვით ნაგებ შენობათა საძირკვლის ნაშთები
ნ. ა.

168. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ქვედაუბანში. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XVIII-XIX სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (6X10 მ), ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ით ჰქონია, სარკმლები აღმ-ით, დას-ით და სამხრ-ითაა. ამჟამად ორივე შესასვლელი ამოშენებულია და აღმ-ით, სარკმლის ადგილას კარია გაჭრილი. დარბაზის გრძივი კედლები და ცილინდრული კამარა დანაწევრებულია წყვილი პილასტრით და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით. ეკლესიაში ძვ. დონიდან 0,5 მ სიმაღლეზე ხის იატაკია დაგებული. ფასადები დასრულებულია აგურის თაროსებრი ლავგარდნით. ეკლ. გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით. შეკეთებისას ეკლესიის დას. კედლის ზედა ნაწილი აგურით აღუდგენიათ და ზედ აგურის პატარა ს ა მ რ ე კ ლ ო დაუშენებიათ.
მ. გ.

169. წმ. ნიკოლოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, ზემო უცის უბანში, სოფლის სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,2X5,8 მ), ნაგებია აგურით და რიყის ქვით — აგურის 6-7 რიგს რიყის ქვის 0,3 მ სიმაღლის წყობა ცვლის. აფსიდის კონქი, საბჯენი თაღი და ცილინდრული კამარა აგურისაა. შესასვლელი სამხრ-დანაა. ოთხივე კედელში თითო სარკმელია. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის გვერდებზე თითო ნიშია. დარბაზის გრძივი კედლები და ცილინდრული კამარა დანაწევრებულია წყვილი პილასტრით და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით. ფასადები დასრულებულია აგურის ლავგარდნით.
მ. გ.

## ქვაცხელები,

იხ. სოფ. ურ ბ ნ ი ს ი, ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი ქ ვ ა ც ხ ე ლ ე ბ ი

## ქვემო ხვედურეთი

(ზემო ხვედურეთის სოფსაბჭო)

170. საცხოვრებელი სახლი, არქიტ., ისტ. ძ. დგას სოფლის შუა უბანში, საშ. სკოლის მახლობლად. ამ სახლში 1888 წ. დაიბადა ქართ. კონიაკის ცნობილი სპეციალისტი ვახტანგ დავითის ძე ც ი ც ი შ ვ ი ლ ი (გარდ. 1965 წ.).

სახლი გადაკეთებულია: ფლიგელის II სართული განახლებულია; II სართულზე ასასვლელი ძვ. ორმარშიანი კიბის ნაცვლად ფლიგელზე მიშენებულია ერთმარშიანი კიბე; მოშლილია ჩრდ. ფასადის ხის აივანი; აღმ. ფასადზე მიშენებულია კლუბისათვის საჭირო სათავსები. ამჟამად სახლში მოთავსებულია კლუბი, ბიბლიოთეკა და სატელეფონო სადგური.

ს. ს. (23,2X18,5 მ) ორსართულიანია, ნაგებია კვადრ. აგურით. სამხრ-ით ხის განიერი რიკულებიანი აივანია, რ-იც ფლიგელთან მთავრდება. II, საცხოვრებელ სართულზე ოთახები აივნის პარალელურად ორ რიგადაა განლაგებული. ჩრდ. მხარეს, შენობის მთელ სიგრძეზე ერთი გრძელი და დიდი (109 კვ მ) ოთახია. დანარჩენი სამი ოთახი და ორი დერეფანი აივანზე გამოდის. განაპირა დას. დერეფნის დას. კედელში გასასვლელის



166. ჩრდ. ფასადი, II სართ. გეგმა, განაკვეთი



170. გეგმა



170. სამხრ. ფასადი

კვალია, რ-ითაც, ადგილ. მცხოვრებთა ცნობით, სახლი ს ა ბ რ ძ ო ლ ო  კ ო შ კ ს (დანგრეულია) უკავშირდებოდა. დიდი ოთახის ჩრდ. კედლის შუა ნაწილში იყო კარი, რ-იც ხის აივანზე (მოშლილია) გადიოდა. ამავე კედელში, კარის ორივე მხარეს, ოთხოთხი ფანჯარაა. ფლიგელში ერთი ოთახია, რ-შიც აივნიდან შეიძლება შესვლა. ქვედა, I სართული სამეურნეო დანიშნულებისა იყო. აქ მეორდება ზედა სართულის გეგმარება. დიდ სათავსში მარანი იყო. მის გრძივ კედლებში შეისრულთაღიანი ნიშებია. სახლი გადახურულია ხის ნივნივებზე გაწყობილი კრამიტის სახურავით. *მ. გ.*

## ᲓᲝᲦᲔᲗᲘ

(ფცის სოფსაბჭო)

171. ᲙᲕᲘᲠᲐᲪᲮᲝᲕᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ. ნაწილში. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XVIII-XIX სს-ით. ეკლ. დარბაზულია (7,1X4,8 *მ*), ნაგებია ქვიშაქვითა და რიყის ქვით. სამხრ-ით არქიტრავით გადახურული კარი და ერთი სწორკუთხა სარკმელია. თითო ასეთივე სარკმელი აღმ-ით და დას-ითაა. ეკლესიას სწორკუთხა საკურთხეველი აქვს. ფასადები დასრულებულია მარტივი თაროსებრი ლავგარდნით.

172. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას. ჩრდ-ით, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XVIII-XIX სს. დაზიანებულია — ჩანგრეულია გადახურვა და კამარა. ეკლ. დარბაზულია (5X7,3 *მ*), ნაგებია ქვიშაქვითა და რიყის ქვით. შესასვლელი სამხრ-დან და დას-დანაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის გვერდებზე თითო პატარა კვადრ. ნიშია. ერთი სწორკუთხა სარკმელი დას-ითაა. დარბაზი გადახურული იყო ცილინდრული კამარით. დას-ის ფასადზე, კარის თავზე, მოყვითალო შირიმის ქვაზე თანაბარმკლავებიანი ჯვარია ამოკვეთილი. *გ. ქ.*

## ᲧᲘᲜᲬᲕᲘᲡᲘ

(ზღუდრის სოფსაბჭო)

173. ᲒᲘᲒᲝᲡ ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲘ, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სოფელში, მდ. ძამის ხეობაში, მაღლობზე. თარიღდება XVII ს-ით. დაზიანებულია: კამარა ჩაქცეულია, სამხრ-ის კედელი დანგრეულია, ჩრდ-ის კედლის ნაწილია დარჩენილი; ინტერიერს ეტყობა შეკეთების კვალი.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია ნატეხი ქვით, სარკმლისა და შესასვლელის წირთხლები თლილი ქვისაა. შესასვლელი დას-დანაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, რ-ის ჩრდ-ით მცირე ნიშია. მეორე სარკმელი დას-ითაა, შესასვლელის თავზე. დარბაზის გრძივი კედლები და ცილინდრული კამარა დანაწევრებულია წყვილი პილასტრითა და საბჯენი თაღით.

დას. ფასადზე შესასვლელის შეისრული თაღი მორთულია ფიგურულრელიეფური კომპოზიციით. ცენტრში გამოსახულია შარავანდმოსილი ნახევარფიგურა. მას ცალ ხელში სახარება უჭირავს, მეორეთი კი აკურთხებს. თავთან, ორივე მხარეს, მრგვალი მედალიონებია; მარცხ. მედალიონში ანგელოზის ნახევარფიგურაა, მარჯვენა შეუვსებელია. კომპოზიციის ქვემოთ ფრინველთა რელიეფებია. აღმ-ის სარკმლეთან გველეშაპი, ხოლო დას-ის სარკმლის ქვემოთ ირემია გამოსახული (პარალელი — ანანურის დიდი ტაძარი, 1679 წ.).

*ბიბლ.:* 235 *ანდღ. ნ., ჭ. გ.*

174. ᲧᲘᲜᲬᲕᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ, ყ ი ნ ც ვ ი ს ი ს  კ ო მ პ ლ ე ქ ს ი, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით 2-3 *კმ*-ზე, ხეობაში.

კომპლექსში შედის: წმ. ნიკოლოზის, ღვთისმშობლისა და მცირე ეკლესიები, გალავანი, კოშკი-სამრეკლო.

ყ. ძ. დაზიანებულია. შემორჩენილია: ღვთისმშობლის ეკლესიის საკურთხეველი, გალავნის ნაშთი და მასში ჩართული კოშკი-სამრეკლოს ორი სართულის კედლები. უკეთაა მოღწეული წმ. ნიკოლოზის და მცირე ეკლესიები.

სარესტ. სამუშაოები ჩატარდა რამდენიმეჯერ: 1938 წ. — ზერელე. 1939-40 წწ. აღდგა წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სამხრ-ის, დას-ისა და ჩრდ-ის დაზიანებული გარე კედლების ზედაპირი, შეიცვალა ქვის ლავგარდნები; აღდგა და დაკონსერვდა მინაშენები; გადაეწყო გუმბათის კონუსური გადახურვის დაზიანებული ქვის ლორფინები; ჩატარდა ძ-ის მიმდებარე ტერიტორიის არქეოლ. შესწავლა. დამზადდა და ჩამოიკიდა ცულით გათლილი ძველის მაგვარი ხის კარები; მოეწყო წყალგამტარი კიუვეტები; დაკონსერვდა ეზოში შესასვლელი ნაგებობა (ჭიშკარი); დას-ის მინაშენი და მცირე ეკლესია გადაიხურა ღარიანი, თანამედროვე კრამიტით; ხის საყრდენი გაუკეთდა ავარიულ თაღს დას-ის მინაშენის სამხრ. სათავსში; სარკმლებში ჩაიდგა მავთულისბადეებიანი ალათები. 1953-57 წწ. წმ. ნიკოლოზის ეკლ. გადაიხურა თანამედროვე ღარიანი კრამიტით; სახურავის ქანობებზე გაკეთდა წყალმიმღები ღარები და წყალსავალი მილები; ღვთისმშობლის ეკლესიის ნახევრად დანგრეული კამარა გადაიხურა, ხოლო დას-ის ორი კედელი დაკონსერვდა. 1964 წ. ჩატარდა წმ. ნიკოლოზის ეკლესიის რესტავრაცია. 1964-66 წწ. გაიწმინდა და გამაგრდა წმ. ნიკოლოზის ტაძრის მხატვრობა (რესტავრატორები შ. აბრამიშვილი, კ. ბაკურაძე).

(ა) წმ. ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს  ე კ ლ ე ს ი ა ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობაა 19,7 (მინაშენის გარეშე) — 24,5 (მინაშენიანად)X14 (მინაშენების გარეშე) *მ*, სიმ. გუმბათის ქვეშ 24,3 *მ*), ნაშენია აგურით. თარიღდება XII-XIII სს-ის მიჯნით. სამხრ-ის და ჩრდ-ის კარიბჭეები მიშენებულია XIV ს-ში.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: დას-ით, სამხრ-ით და ჩრდ-ით. კვადრ. საფუძველზე აღმართული გუმბათი საკურთხევლის კუთხეებსა და დას-ის ორ ბოძს ეყრდნობა. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრიულ ყელზე გადასვლა განხორციელებულია აფრებით. გუმბათის ცილინდრულ ყელში თორმეტი სარკმელია. საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდის წინ ღრმა ბემა ისრული კამარითაა გადახურული. კონქი მეოთხედი სფეროა. აფსიდში სამი სარკმელი და ერთი ნიშია. შუა სარკმლის ღერძზე აგურის სატრაპეზოა. საკურთხეველი ერთი საფეხურით შემაღლებულია. მოგვიანებით ნაგები (XVI-XVII სს.) აგურის კ ა ნ კ ე ლ ი საკურთხევლის საზღვრებიდან წინაა წამოწეული. კანკელის ცენტრში თაღოვანი აღსავლის კარია, გვერდებზე ერთ ხაზზე განლაგებულია სამ-სამი თაღი. განაპირა თაღები ხატის შესანახი ნიშებია. საკურთხევლის ორივე მხარეს ორსართულიანი სათავსებია. პირველ

სართულზე აფსიდიანი, ცილინდრული კამარით გადახურული სადიაკვნე და სამკვეთლოა, რ-ებიც ეკლესიის ძირითად სივრცეს კარებით უკავშირდებიან. სათავსებს აღმ-ით თითო სარკმელი აქვთ. II სართულზე ასეთივე გეგმის თითო საიდუმლო ოთახია. ამ ოთახებში მოხვედრა შეიძლება ქვედა სართულის გადახურვაში დატოვებული ხვრელიდან მისადგმელი კიბით.

ეკლესიის ჩრდ-ის და სამხრ-ის მკლავები მოკლე და თითქმის თანაბარია. დას-ის მკლავი ოდნავ წაგრძელებულია. მკლავები ისრული კამარითაა გადახურული. დას-ის მკლავში მაღლა ერთი სარკმელია, გვერდის მკლავებში კი სამ-სამი (ორი ქვევით და თითო ზევით). სარკმლებს ნახევარწრიული გადახურვა აქვთ. ვიწრო და გრძელი გვერდის ნავები ცილინდრული კამარითაა გადახურული. მათ განივ კედლებში თითო სარკმელია.

ეკლესიის (ბ) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ა შესრულებულია XIII ს-ის დასაწყისში თამარის პირველი ვეზირის ანტონ გლონისთავისძის დაკვეთით. ქტიტორი მოხსენიებულია სამხრ. მკლავის სამხრ. კედლის ძლიერ დაზიანებულ წარწერაში. ყველა სცენის შინაარსს თუ წმინდანის ვინაობას განმარტავს ქართ. ასომთ. წარწერები. მხოლოდ ჯვარცმის კომპოზიციაში და ნართექსში, გასასვლელი კარის წირთხლებზე, ვხედებით ბერძ. წარწერებს. ტაძრის გუმბათი, ოთხივე მკლავი, მკლავებშორისი სამხრ.-დას. და ჩრდ.-დას. სივრცის კედლები მთლიანად იყო მოხატული. დას. მკლავისა და კამარების მოხატულობის დიდი ნაწილი არ შემორჩენილა.

გუმბათში გამოსახულია ძვირფასი ქვებით შემკული ჯვარი, ქვემოთ, სარკმლების თავზე *ვედრების* კომპოზიციაა განვითარებული იკონოგრაფიული რედაქციით (ქრისტე, ღვთის-





174(ბ). ჩრდ. კედელი – II რეგისტრის მოხატულობის სქემა; მოხატულობის ფრაგმენტი




მშობელი, იოანე ნათლისმცემელი და ცხრა მთავარანგელოზი); სარკმლებს შუა ფიგურები განლაგებულია ორ რიგად: პირველ რიგში ალმ. სარკმლის ჩრდ-ით გამოსახულია მამამთავარი აბრაამი, ამავე სარკმლის სამხრ-ით — წინასწარმეტყველები ელია, ზაქარია, იერემია, მალაქია, ეზეკიელი, ესაია; მეორე რიგში — წმინდანები: სოზონ, მინა, აბიბოს, პლატონ, ფლოროს, ლავროს, მუკი, ანდრია სტრატილატი, გორია, სამონა, იაკობ დაჭრილი და ონსიფორე. გუმბათის აფრებში გამოსახული მახარებლები, რ-ებსაც სახარება უჭირავთ ხელში, ჩასმულია მედალიონებში, ხოლო აქეთ-იქით კი ალმ-ისკენ მიბრუნებული მფრინავ ანგელოზთა ორ-ორი ფიგურაა.

საკურთხეველის მხატვრობა სამ რეგისტრად იყოფა. ზედა რეგისტრში გამოსახულია ღვთისმშობელი მჯდომარე ოდიგიტრიას სახით, მის გარშემო ანგელოზთა ფიგურებია (ორი კონქში, ოთხი ბემის კამარაში). ბემის თაღის ცენტრში წრეში ჩახაზული ჯვარია გამოსახული, მეორე რეგისტრში ბემის კედლებზე — *მოციქულთა ზიარება*. აბსიდის სარკმლებს შუა

174. გეგმა· 1 გალავანი, 2. წმ. ნიკოლოზის ეკლესია, 3. მცირე ეკლესია, 4 ღვთისმშობლის ეკლესია



174(ა). გეგმა

ორი წმინდანია: ჩრდ-ით — წმ. ნიკოლოზი, სამხრ-ით — წმ. სილიბისტრო. მესამე რეგისტრში გამოსახულია თორმეტი მღვდელმთავარი: ჩრდ-ით — იოანე ოქროპირი, ხარლამპი, ნიკოლოზ, კვირილე ალექსანდრიელი, გრიგოლ საკვირველმოქმედი და პეტრე ალექსანდრიელი; სამხრ-ით — გრიგოლ ღვთისმეტყველი, ბაგრატი, ბასილი, ათანასე, გრიგოლ ნოსელი და მიტროფანე. საკურთხევლის სარკმლის წირთხლებზე დიაკვნების ტიმონის, ტიმოთეს, ტიტეს, სტეფანეს, პარმენისა და პროქორის გამოსახულებებია. შუა სარკმლის ქვემოთ, ნიშში, მაცხოვრის წელზედა ფიგურაა. ტაძრის სამხრ-ისა და ჩრდ-ის მკლავებში მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ცხოვრების სცენებია: სამხრ. მკლავის პირველ რეგისტრში, სამხრ-ის კედელზე — *ხარება*, ალმ-ით — *ღვთისმშობლის შობა*, დას-ით — *ტაძრად მიყვანება*; მეორე რეგისტრში, სამხრ-ით — *ქრისტეს შობა*, ალმ-ით — *ამაღლება*, დას-ით — *სული წმიდის მოფენა*; მესამე რეგისტრში, სამხრ-ით — *მკერდისა განხილვა ქრისტესი თომასაგან*, ალმ-ით — *ღვთის-*

*მშობლის მიძინება*, დას-ით — *საიდუმლო სერობა;* ჩრდ-ის მკლავის პირველ რეგისტრში, ჩრდ-ის კედელზე — *ლაზარეს აღდგინება*, აღმ-ით — *ნათლისღება* (დას-ით ნალესობა ჩამოცვენილია); მეორე რეგისტრში, ჩრდ-ით — *იერუსალიმს შესვლა*, აღმ-ით — *ჯვარცმა*, დას-ით — *ფერისცვალება*; მესამე რეგისტრში, ჩრდ-ით — *დედანი მაცხოვრის საფლავთან*, აღმ-ით — *ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა*, დას-ით — *ქრისტეს დატირება*.

ორივე მკლავის ქვედა რეგისტრებში წარმოდგენილნი არიან ისტ. პირები: ჩრდ-ით — გიორგი III, თამარი და მეფისწული გიორგი ლაშა; სამხრ-ით — მწიგნობართუხუცესი ანტონ გნოლისთავისძე ეკლესიის მოდელით ხელში. აქვეა შემორჩენილი ვრცელი ისტ. წარწერის ნაშთები. ქტიტორის გვერდით გამოსახულია სამი მეომარი (უშუალოდ მის გვერდით წმ. გიორგია). ისტ. პირთა გამოსახულებებს შუა საუკუნეების ქართ. ტრადიციის მიხედვით ყველაზე თვალსაჩინო ადგილი აქვთ დათმობილი (შესასვლელის მოპირდაპირე მხარე, ქვედა რეგისტრი).

ტაძრის დას. მკლავის დას. კედელზე მხატვრობის ექვსი რეგისტრია. ზემოთ ფრაგმენტულად არის შემორჩენილი წმ. ნიკოლოზის ცხოვრების სცენები, რ-ებიც გრძელდება ამავე მკლავის სამხრ-ის კედელზეც. აქ გაირჩევა *წმ. ნიკოლოზის მღვდლად კურთხევა*, მისი *მღვდელმთავრად კურთხევა* და *კერპების დაქცევა*. დას. კედლის მეორე რეგისტრის სცენები დაზიანებულია. მესამე რეგისტრში წარმოდგენილია *სამი ყმაწვილი ცეცხლის სახმილში*. მომდევნო სამი რეგისტრი დათმობილი აქვს ცალკეულ წმინდანთა ფიგურებს. მ. შ. უშუალოდ პატრონიკეში შესასვლელის სამხრ-ითა და ჩრდ-ით გამოსახული წმინდანები იოანე ზედაზნელი და დავით გარეჯელია (მთელი ტანით). დანარჩენ ორ რეგისტრში, დას. კედლის მთელ სიგრძეზე წელზევით გამოსახულია მარტვილები (იკითხება მხოლოდ რამდენიმე წმინდანის სახელი). სამხრ-ით, მეხუთე რეგისტრის მესამე ფიგურა წმ. ბარბარაა, ქვემოთ, ნართექსში, გასასვლელის ჩრდ-ის მხარეს — წმ. კვირიკე და წმ. ივლიტა.

სამხრ.-დას. მკლავებშორისი სივრცის კედლებზე გამოსახული იყო წმ. გიორგის ცხოვრების სცენები. დას. კედელზე შემორჩენილია *წმ. გიორგი კირის ორმოში*. აქვე, სამხრ. კედელზე — *იესეს ძელი*.

სარკმლის წირთხლებზე და გუმბათქვეშა ბურჯებზე ცალკეულ წმინდანთა ფიგურებია. ასომთ. წარწერების მიხედვით ხერხდება მხოლოდ რამდენიმე წმინდანის სახელის დადგენა. სამხრ. მკლავის აღმ. სარკმლის წირთხლზე გამოსახულია წმ. სვიმეონ მესვეტე, ამავე კედლის დას. სარკმელში — წმ. კოზმა, გუმბათქვეშა სამხრ.-დას. ბურჯის აღმ. და სამხრ. მხარეს — წმ. მეომრები არტემი და მერკური. ყველა თაღისა თუ კამარის ცენტრში გამოსახულია წრეში ჩახაზული ჯვარი.

ტაძრის მოხატულობაში დიდი ადგილი ეთმობა დეკორატ. ელემენტებს. გუმბათქვეშა ბურჯებისა და კედლების ქვედა ნაწილი სხვადასხვა ფერის ვერტ. ზოლებითაა შემკული. გუმბათის ყელის სარკმლების და თაღების საფეხურები შევსებულია მცენარეული ორნამენტით. ქვემოდან მხატვრობა მოჩარჩოებულია ორმაგი ორნამენტული ზოლით. მცენარეული ორნამენტის ფრაგმენტები საკურთხევლის კანკელზე XVII ს-ისაა.

მოხატულობას განუმეორებელ იერს ანიჭებს ოქროსფერ და მოწითალო ოქრასთან, ღია მწვანე, ცისფრისა და თეთრ ფერებთან შეხამებული ლაჟვარდი. კონტურის დენადი ხაზი და წმინდანთა სახეების რბილი მოდელირება (ოქროსფერ ოქრას ლაქებთან შემდნარი გამჭვირვალე მწვანე ჩრდილები) შესრულების დახვეწილ ოსტატობაზე მეტყველებს. კომპოზიციები, რ-ებიც იშლება მთიანი თუ არქიტ. პეიზაჟის ფონზე, მონუმენტურია, ფიგურათა მოძრაობა — მშვიდი, სახის გამომეტყველება — რბილი და შთაგონებული. მოხატულობის საერთო კომპოზიციური აგება თავისუფალი და დინამიკურია, რაც დამახასიათებელია XII-XIII სს. მიჯნაზე შემუშავებული კედლის მხატვრობის სისტემისათვის.



174(ა). გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ

ყინწვისის მოხატულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართ. და საერთოდ შუა საუკუნეების მონუმენტური მხატვრობის განვითარების ისტორიისათვის.

174(ა). ჩრდ. ფასადი



ეკლესიის ფასადები, გარდა აღმ-ისა, წარმოადგენს საფეხურებიან ცოკოლზე აღმართულ ერთ მთლიან სადა სიბრტყეს. ჯვრის მკლავები სივრცეში მკვეთრადაა გამოყოფილი. მათ გადაკვეთაზე აღმართულია კონუსური გუმბათის ყელი. აღმ-ის ბრტყელი ფასადი ქვის სწორკუთხა ორსაფეხურიან ცოკოლზე დგას. ჯვრის მკლავის არეში ორი მაღალი და განიერი, გეგმით სამკუთხა ნიშია.

დას. ფასადის ცენტრში მოურთავი სარკმელია. უფრო რთულია ფასადის წინ წამოწეული ნაწილი. აქ ძირითადად ერთი სიბრტყეა, რ-საც ცენტრში ოდნავ აწეული ფრონტონი და გვერდის ჰორიზონტალები ამთავრებს. ქვედა ნაწილში სამი თაღია. მათგან შუა (თაღის ქვედა ნახევარი ამჟამად ამოშენებულია) მაღალი, ვიწრო და გახსნილია. გვერდის დაბალი და განიერი თაღები ღრმა ნიშებს ქმნიან. ნიშების ზედა ნაწილში თითო მაღალი სარკმელია. თაღები ნახევარწრიულია, ოდნავ ნაწეული რელიეფით. ზედა ნაწილში სამი დიდი სარკმელია: გვერდებზე — თანატოლი, შუაში — მაღალი და განიერი (ამჟამად იგი თითქმის მთლიანად ამოქოლილია).

ჩრდ. და სამხრ. ფასადები ერთნაირია. სამხრ-ის ფასადზე ოთხი სარკმელი და ერთი კარია. კარი მარცხ. მონაკვეთის აღმ. ნაწილშია, ხოლო სარკმლებიდან ერთი ვიწრო და მაღალი ჯვრის მკლავის ცენტრშია, ხოლო სამი ქვემოთ, ერთ ჰორიზონტალზე (ორი ჯვრის მკლავის მონაკვეთში, ხოლო ერთი მის მარცხ. ნაწილში). ჩრდ-ის ფასადზე კარ-სარკმლები ასევეა განლაგებული გარდა მარჯვ. მონაკვეთის სარკმლისა. ფასადებს ამთავრებს მარტივპროფილიანი ქვის ლავგარდანი.

174(ა). ხედი სამხრ.-დას-იდან



გუმბათის ყელზე თორმეტი უწყვეტი დეკორატ. თაღია, რ-ებიც სარკმლების არეებს საზღვრავენ. გუმბათის ლავგარდანი თავისებურია: ქვემოთ აგურის წყობის სხვადასხვა კომბინაციით მიღებულია რთული არშია, ზემოთ კი პროფილირებული ქვაა. ეკლ. გადახურული იყო მოჭიქული კრამიტით (ამჟამად შეცვლილია ახალი კრამიტით).

ეკლესიის დას-ის მხარე, მთელ სიგრძეზე, ნ ა რ თ ე ქ ს ს (ძ) უჭირავს. მას ქვემოთ გარე მხარეს ღია თაღები აქვს, ხოლო ზემოთ ზედა სართულის პატრონიკეს სარკმლებია. ნართექსი სამი სათავსისაგან შედგება და აგებულია ეკლესიასთან ერთად (შიდა კედლები ჩაშენებულია ზაზა ფანასკერტელის დაკვეთით XV ს. II ნახ-ში).

ნართექსი მთლიანად იყო მოხატული. ამჟამად (დ) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ნაწილი დაღუპულია (უმთავრესად სამხრ-ისა და ჩრდ-ის სათავსებში). მხატვრობა შესრულებულია გვიანდ. ფეოდ. ხანის სხვადასხვა პერიოდში. შუა სათავსის ჩრდ. კედლის ზედა ნაწილში წარმოდგენილია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით და მისკენ მიბრუნებული ორი მთავარანგელოზი. ქვემოთ, ამავე კედლის აღმ. მონაკვეთზე, გამოსახულია XV ს-ის II ნახ-ის ცნობილი მოღვაწე ზაზა ფანასკერტელი. შეიმჩნევა მხატვრობის ორი ფენა. გამოსახულების ქუდი, სახე და მარცხ. მხარი ადრინდელია. დაზიანებული კედელი მოგვიანებით შეულესავთ და კვლავ მოუხატავთ. ზაზა ფანასკერტელის მარგალიტებით გაწყობილი მუქი მოწითალო-შინდისფერი ვიწრომაჯებიანი კაბა და მოსასხამი ამ პერიოდისაა. ბათქაშის ქვედა ფენაზეა შესრულებული წმ. ნიკოლოზის წელზედა ფიგურაც, რ-იც საერო პირისკენაა მიბრუნებული. მოხატულობის ამავე რეგისტრში, კედლის დას. მონაკვეთზე მოცემულია მოციქული პეტრე. აქვე, ნართექსის ჩრდ. სათავსში გასასვლელის ტიმპანში წარმოდგენილია *ხატი მანდილისაი*. შუა სათავსის სამხრ. კედელზე, ზემოთ, ცენტრში, სამხრ-ის სათავსში გასასვლელის თავზე გამეორებულია *ხატი მანდილისაი*, მისგან აღმ-ით გამოსახულია იოანე ნათლისმცემელი, წინასწარმეტყველი (ახლავს ასომთ. ასო Ⴃ) და ეკლესიის მამა; დას-ით — ღვთისმშობელი და წმინდანი (ქალის ფიგურა); ქვემოთ, კედლის აღმ. მონაკვეთზე წარმოდგენილია ექვსფრთედი, მეომრის ტანსაცმელში გამოწყობილი მთავარანგელოზი მიქაელი, მოციქული პეტრე გასაღებით ხელში; დას-ით მოციქული პავლე; ამავე სათავსში, მთავარ ტაძარში გასასვლელის ტიმპანის ორი-

ვე მხარეს, სამკუხთა მონაკვეთზე გამოსახულია წმ. დედანი

ნართექსის სამხრ. სათავსის მოხატულობის მეტი ნაწილი *განკითხვის დღის* კომპოზიციას ჰქონდა დათმობილი. ამ სათავსის სამხრ. კედელზე, ზემოთ წარმოდგენილია *ვედრება*. ქვემოთ, კედლის დას. კუთხეში შერჩენილია ჯოჯოხეთის სცენის ფრაგმენტი. ამავე სათავსის ალმ. კედელზე ორ რეგისტრად მოცემულია წმინდანთა ჯგუფები: წმ. ქალწულნი, წმ. მღვდელმოძღვარნი და წმ. მოწამენი. ქვემოთ, თაღით შემოსაზღვრულ არეზე, ჩრდ. მონაკვეთზე გამოსახულია იოანე ნათლისმცემლისა და წინასწარმეტყველ ზაქარიას წელზედა ფიგურები ერთიმეორის ქვეშ. აქვე, სამხრ. მონაკვეთზე, წმინდანთა ფიგურების ფრაგმენტებია შერჩენილი. ამავე თაღის გვერდით, მისგან ჩრდით ორ რეგისტრად მოცემულია: ზემოთ — ანგელოზისა და წმ. პავლეს ფიგურები, ქვემოთ — ეკლესიის მამა მთელი ტანით. ამავე სათავსის ჩრდ. კედელზე, ზემოთ სამი წმინდანის წელზედა ფიგურებია: ცენტრში — წმ. ბარბარა, ალმ-ით წმ. ირინე; ქვემოთ, კედლის ალმ. მონაკვეთზე წარმოდგენილია წმ. გიორგი კაპადოკიელი (კლავს გველეშაპს), დას-ით — წმ. თევდორე მთელი ტანით.

ნართექსის ჩრდ სათავსის მხატვრობა გაჭვარტლულია და ძნელი გასარჩევია. ალმ. კედელზე, ზემოთ წარმოდგენილია *ვედრება*, ქვემოთ — *წმ. მსხვერპლი* და მის გარშემო ოთხი ეკლესიის მამა (თითოეული მხრიდან ორ-ორი ფიგურაა). ამავე სათავსის სამხრ. კედელზე, ზემოთ გამოსახულია *ქრისტეს შობა*, ქვემოთ, კედლის ალმ. მონაკვეთზე — თაღნარის ქვეშ ეკლესიის მამები მთელი ტანით. წმინდანთა კონტურები ამავე კედლის დას მონაკვეთზეც გაირჩევა.

ნართექსის გასასვლელის წირთხლები, პილასტრების მხრები, თაღების სოფიტები შემკულია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით. ნართექსის კამარებზე, შუა და სამხრ. სათავსებში, წარმოდგენილია ანგელოზები და მჯდომარე მოციქულები. ზოგიერთ გამოსახულებას ახლავს ასომთ. წარწერა.

ნართექსის სამხრ. სათავსის სამხრ. და ალმ. კედლების მოხატ. ხასიათდება უშუალო გამომსახველობით. კოლორიტში გაბატონებულია ზურმუხტისფერი მწვანე, ღია ცისფერი, ყვითელი და თეთრი ფერები. დანარჩენი მოხატულობის მეტი ნაწილი მდარეა. ნახატი სქემატურია, ხისტი. კოლორიტი მღვრიე ფერებისგან შედგება (შავი, მონაცრისფრო-ცისფერი, ყავისფერი, ყვითელი, ვარდისფერი, მონაცრისფრო-თეთრი).

ყინწვისის ტაძარი საქართველოს განვით. ფეოდ. ხანის გუმბათოვანი ტაძრების ტიპური ნიმუშია, თუმცა აქ „ტრადიციული" სამშენ. მასალის — ქვის ნაცვლად გამოყენებულია აგური.

(ე) ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა დარბაზული ნაგებობაა (11,2X X7,8 *მ*), დგას წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ჩრდ.-დას-ით, მდ. ძამის ნაპირთან, ფერდობზე. თარიღდება XII-XIII სს-ის მიჯნით. ეკლესიის ძირითადი ნაწილი (დარბაზი) მთლიანად დანგრეულია, შემორჩენილია საკურთხევლის ნაწილი და გრძივი კედლების ნაშთი. სამხრ-ით ჩანს კარის წირთხლებიც. ძლიერ დაზიანებულია საკურთხევლის კედლები და სახურავიც.

ეკლ. (ე) მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა. შემორჩენილია მხოლოდ საკურთხევლის მოხატულობა, სადაც ფერადოვანი შრე გადარეცხილია და გამოსახულებათა დიდი ნაწილი კონტურების სახითაა შემონახული. მხატვრობა დაყოფილია სამ რეგისტრად (რეგისტრის ხაზი მოწითალო-ყავისფერია). კონქში გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით და ორი მთავარანგელოზი. ღვთისმშობელი საქართველოში საკმაოდ გავრცელებული იკონოგრაფიული ტიპის — მჯდომარე ოდიგიტრიას სახითაა წარმოდგენილი. ქვემოთ, მეორე რეგისტრში ოთხი სცენაა: საკურთხევლის სარკმლის ჩრდით და სამხრ-ით *ზიარების* ორი კომპოზიციაა, ხოლო ამავე რეგისტრის კიდეებში — მაცხოვრის სასწაულთა ორი სცენა: ჩრდ-ით — *ქარომხალი ტიბერიადის ტბაზე*, ხოლო სამხრეთით — *იაიროს ქალიშვილის განკურნება*. სარკმლის წირთხლებზე გამოსახულია ორი დიაკვანი — წმ. სტეფანე და წმ. პროქორე. მათი ფიგურები თაღნარითაა მოჩარჩოებული. სარკმლის თაღში მედალიონში ჩასმული ჯვარია გამოსახული. მოხატულობის მესამე რეგისტრში სარკმლებისაკენ ხამი მეოთხედით მიბრუნებული ეკლესიის მამებია. ამავე რიგში, სარკმლის ქვემოთ, რეგისტრის ხაზით გამოყოფილ სწორკუთხა მონაკვეთზე მაცხოვრის წელზედა ფიგურა იყო.

მხატვრობის კოლორიტი ნათელია. უმთავრესად ღია მწვანე, ოქროსფერი ოქრა, მოწითალო-ყავისფერი და მოწითალო აგურისფერია გამოყენებული. ეხვდებით, აგრეთვე ლაჟვარდოვან-ცისფერს (ფონი, ტანსაცმელი), რაც ამ ეკლესიის მოხატულობას წმ. ნიკოლოზის ტაძრის მოხატულობას უახლოვებს. მსგავსება შეიმჩნევა ღვთისმშობლის გამოსახულებებშიც, რ-ებიც ამ ეკლესიების საკურთხევლის კონქს ამკობს. წერის მანერა მთავარი ტაძრის მოხატულობასთან შედარებით უფრო ხაზოვანია. თავისებურია აგრეთვე საკურთხევლის მხატვრობაში სახარების სცენათა შეტანა და ქრისტეს განმეორებითი გამოსახულება *ზიარების* კომპოზიციაში (ზიარების ორივე სცენაში მაცხოვრის სამი ფიგურაა). მოხატულობა XIII ს-ის II ნახ-ით თარიღდება.

ნახევარწრიულ საკურთხეველში ერთი დიდი სარკმელი და ოთხი ნიშია. ეკლესიის ფასადები ნაგებია ოდნავ დამუშავებული ქვით; სახურავი ლორფინისა ყოფილა.

(ზ) მ ც ი რ ე ე კ ლ ე ს ი ა დგას წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დას-ის კედელთან. აგებულია გვიანდ. ფეოდ. ხანაში. ეკლ. დარბაზულია (5,1X4,5 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის თლილი ქვის კვადრებით (აგური გამოყენებულია მხოლოდ ინტერიერში კარ-სარკმლის თაღებზე). შესასვლელი სამხრეთანაა. აფსიდი უსწორო მოყვანილობისაა და დარბაზის გრძივი კედლებისაგან არ არის გამოყოფილი. საკურთხევლის სამხრ. და ჩრდ. კედლებში თითო სწორკუთხა ნიშია. ალმ-ით და სამხრ-ით თითო მცირე, ხოლო დას-ით ერთი დიდი სარკმელია (სავარაუდოა, გვიანაა გაჭრილი ან გაგანიერებულია) დარბაზის (აფსიდიანად) გადახურვა უსწორო წაკვეთილი პირამიდის მსგავსია.

ეკლ. დგას ორსაფეხურიან დაბალ ცოკოლზე. ალმ. ფასადის სარკმლის თავზე გამოსახულია ცალმკლავა რელიეფური ჯვარი.

ბიბლ.: 13გ:270-274: 87:745-752; 105; 218:15; 274; 285:241-244; 286

დ. ფ., ზ. პ.

174(ე). ალმ. და სამხრ. ფასადები, გეგმა, განივი განაკვეთი ალმ-კენ



## ცერონისი

(ავლევის სოფსაბჭო)

**175. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-ალმ-ით. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (6X4,5 *მ*). ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით, წყობა ირეგუ-

ლარულია. დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა და კონქი, დანგრეულია კედლებიც. შესასვლელი დას-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ფართო თაღოვანი სარკმელია, რ-იც გარეთ მკვეთრად ვიწროვდება. სარკმლის ორივე მხარეს თითო მცირე სწორკუთხა ნიშია. ასეთივე ნიშია ჩრდ. კედელშიც. კიდევ ერთი სარკმლის კვალი შემორჩენილია სამხრ-ით. ფასადები დასრულებულია თაროსებრი ლავგარდნით. ეკლესიას სამხრ-ით ჰქონია პატარა სწორკუთხა მ ი ნ ა შ ე ნ ი (შემორჩენილია მცირე ნაწილი), რ-საც შესასვლელი დას-დან ჰქონია. *დე. თ.*

**176. მაცხოვრის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, აღმ-ით. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (8,3X5,6 *მ*), აგებულია ძვ. ნაეკლესიარზე, ნაშენია ნატეხი ქვიშაქვით, დას-ის საბჯენი თაღი კარგად გათლილი ქვიშაქვისაა. მოგვიანებით განახლებულ ნაწილებში გამოყენებულია აგური. დაზიანებულია: გაბზარულია აღმ. და დას. კედლები, კონქი, ამოცვენილია საპირე ქვები. 1970-იან წლებში სოფლის მცხოვრებლებმა ეკლ. შეაკეთეს — კედლებს ზედა ნაწილში რკინაბეტონის სარტყელი შემოავლეს და შენობა კრამიტით გადახურეს.

შიგნიდან სწორკუთხოვანი, გარედან თაღოვანი შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ბრტყელი ზედანით გადახურული თაღოვანი სარკმელია. სარკმლის ჩრდ-ით ორი, ხოლო სამხრ-ით ერთი ნიშია. საკურთხეველში აგურით ნაგები სატრაპეზო დგას. საკურთხევლის კონქის რამდენადმე დეფორმირებული თაღი სამი ლილვისაგან შედგენილი ქვიშაქვის იმპოსტებს ეყრდნობა. მსგავს იმპოსტებზეა დაყრდნობილი დას. კედლის შეკიდული საბჯენი თაღიც, რ-იც შეკეთების დროს კამარის წყობაში მოუქცევიათ. თითო სარკმელი დას-ით და სამხრ-ითაა. დარბაზი ცილინდრული კამარითაა გადახურული. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია. აქ არსებული საფლავის ქვების წარწერით ირკვევა, რომ ეკლ. ფალავანდიშვილებს ეკუთვნოდათ.

აღმ. ფასადზე, სარკმლის ზღუდარზე ჯვარია ამოკაწრული. ორი ასეთი ჯვარია დას. სარკმლის ზღუდარზეც. ეკლესიის დას-ით, სახურავის კეხზე ადგას აგურის პატარა ს ა მ რ ე კ ლ ო — ოთხივე მხარეს ოდნავ შეისრული თაღებით გახსნილი ფანჩატური, რ-იც გადახურულია პირამიდული სახურავით. *დე. თ.*

**177. სამარხი**, არქეოლ. ძ. აღმოჩნდა 1973 წ. სოფლის საშ. სკოლის ეზოში. მიწის სამუშაოების დროს. თარიღდება ანტ. ხანით. მიცვალებული ესვენა ხელფეხმოკეცილი, მარცხ. გვერდზე, თავით ჩრდ.-დას-კენ. ს-ში აღმოჩნდა წითლად გამომწვარი წმინდაკეციანი თიხის მაღალყელიანი სფერულტანიანი პატარა სასმისი და მინის მაღალყელიანი ბრტყელგვერდებიანი სანელსაცხებლე. მასალა დაცულია ცერონისის საშ. სკოლის მხარეთმც. კუთხეში. *ნ. ა.*

**178. ქვასამარხი**, არქეოლ. ძ. აღმოაჩინეს სოფლის დას-ით 500 *მ*-ზე, ადგილ ხოდაბუნებში. თარიღდება ფეოდ. ხანით. შედგენილია ფილაქვებისაგან. ძ-ში თავით დას-კენ, ზურგზე გაშოტილი სამი მიცვალებული ესვენა. *ნ. ა.*

**179. ქვევრსამარხები**, არქეოლ. ძ. აღმოაჩინეს სოფლის დას-ით 500 *მ*-ზე, ადგილ ხოდაბუნებში. თარიღდება ანტ. ხანით. მიწაში ჰორიზონტულად ჩაფლულ ორ ქვევრსამარხში მიცვალებულები ესვენა ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდ.-დას-კენ. *ნ. ა.*

**180. ღვთისმშობლის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას დაბა აგარიდან ზნაურისაკენ მიმავალი საავტ. გზის პირას, სასაფლაოზე. ეკლ. XIX ს-ით თარიღდება. სამრეკლო აგებულია მოგვიანებით.

ეკლ. დარბაზულია (13,3X7,6 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით, კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია კარგად გათლილი ქვიშაქვა. ეკლ. დაზიანებულია: გაბზარული და დეფორმირებულია კამარა, გაბზარულია აღმ. კედელი, შემოცლილი აქვს გადახურვა. ორივე მხრიდან თაღოვანი შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდის ღერძზე ფართო სარკმელია, რ-ის გვერდებზე დაბალი თაღით გადახურული თითო ნიშია. ნახევარწრიული, არდაბაგით წინწამოწეული საკურთხევლის ბაქანი ერთი საფეხურითაა შემაღლებული. ერთი სარკმელი დას. კედელშია, ორ-ორი — გრძივ კედლებში. დარბაზის გრძივი კედლები და ნახევარწრიული კამარა ორსაფეხურიანი პილასტრებით და საბჯენი თაღებით სამ ნაწილად იყოფა. შუა ნაწილი განაპირა ნაწილებზე ფართოა. პილასტრების პირველ საფეხურებზე გადაყვანილია ზემოდან გაბრტყელებული კედლის თაღები. თაღების ქუსლებთან მარტივი იმპოსტებია. ეკლესიის ორივე შესასვლელს მარტივი მოჩარჩოება აქვს. აღმ. ფასადის ფრონტონის წყობაში ჩასმულ ქვიშაქვის სწორკუთხა ქვაზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი. კედლები დასრულებულია თაროსებრი ლავგარდნით.

180 აღმ. ფასადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა



ეკლესიას დას-ით მიშენებული აქვს აგურით ნაგები, კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით მოპირკეთებული კვადრ. ორსართულიანი (ა) ს ა მ რ ე კ ლ ო (3X3 *მ*). შემორჩენილია მხოლოდ ცილინდრული კამარით გადახურული I სართული, რ-ის კამარის ღერძი აღმ-დან დას-კენაა მიმართული. სამრეკლოს სამხრ. კედელში ფართო თაღოვანი შესასვლელია, დას. კედელში კი სარკმელი (ზედა ნაწილი ჩამონგრეულია). *ბ. მ.*

# ციხისგვერდი

ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი მდებარეობს სოფ. გ ვ ე რ ძ ი ნ ე თ ი ს დას-ით 4-5 *კმ*-ზე, მაღალ მთაზე.

**181. სხლების ციხე-დარბაზი**, არქიტ. ძ. მდებარეობს ნასოფლარ ციხისგვერდის დას-ით დაახლ. 3 *კმ*-ზე, მდ. ძამის მარცხ. მაღალ ნაპირზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ციხე კარგადაა მორგებული რელიეფს, ჩრდ-ით და აღმ-ით ციცაბო კლდეს გადაჰყურებს და სათვალთვალოდ მოხერხებული მდებარეობა აქვს. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. ჩანს, აქ ფეოდალის ციხე-დარბაზი იყო. ამჟამად ძლიერ დაზიანებულია, ნაგებობის უმეტესი ნაწილი ფრაგმენტების სახითაა მოღწეული.

ს. ც-დ-ში შესასვლელი მის აღმ. ნაწილში იყო — საბრძოლო კ ო შ კ ს ა და გ ა ლ ა ვ ა ნ ს შორის. ციხის (ა) წ ი ნ ა ე ზ ო ს (ფართ. 500 *კვ მ*) სამი მხრიდან გარს არტყია გეგმით უსწორო გ ა ლ ა ვ ა ნ ი, რ-იც რელიეფს მიჰყვება. წინა ეზოს ჩრდ-ით ესაზღვრება (ბ) შ უ ა ც ი ხ ი ს (ფართ. 250 *კვ მ*) კედელი (შემორჩენილია დაახლ. 5 *მ*-ის სიმაღლეზე). კედლის აღმ. ნაწილში კარია გაჭრილი, ხოლო შუა ნაწილში გეგმით ნახევარწრიული შვერილია. ეს (გ) ნ ა გ ე ბ ო ბ ა (სასახლე?) ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. მის შუა ნაწილში კოშკი იყო ჩართული. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე იყო გამართული. II სართულზე ციხის ეზოსკენ მიმართული ორი სათოფურია. ასეთივე სათო-





181. სამხრ. ფასადი, გრძივი განაკვეთი აღმ-კენ, საერთო ხედი სამხრ-იდან

ფურია შვერილის აღმ. სწორ კედელ-ში. შვერილის დას. მხარეს, საკმაოდ მაღლა კარის ღიობის კვალი ჩანს. ამ ნაგებობის პირველი სართულის ქვევით, მიწაში (დ) წ ყ ლ ი ს რ ე-ზ ე რ ვ უ ა რ ი ა, რ-შიც წყალი კერამ. მილებით ჩადიოდა. შუა ციხის დას-ის კედლის ნაწილიღაა შემორჩენილი, ხოლო აღმ. კედლის მხოლოდ კვალი შეიმჩნევა. შუა ციხეს ჩრდ-დან მესამე ზღუდე, კლდის პირზე ამოყვანილი, გეგმით სწორკუთხედს მიახლოებუ-ლი (ე) კ ო შ კ ი იცავდა. კოშკში შე-სასვლელი სამხრ. კედლის აღმ. ნა-წილშია. ჩანს კოშკი სათავდაცვო და საცხოვრებელი, მრავალსართულიანი ნაგებობა იყო. შედარებით კარგადაა შემორჩენილი კონტრფორსით გამაგ-რებული სამხრ-ის კედელი. კონტრ-ფორსის დას-ით სწორკუთხა ნიში და შუა ციხისკენ მიმართული სათოფუ-რია. კოშკის ჩრდ -აღმ. კუთხე მომრგ-ვალებული უნდა იყოს.

*დე. თ., ზ. პ., მ. გ.*

## ძამის კომპლექსი,

იხ. სოფ. ი მ ე რ ხ ე ვ ი, ძ ა ძ ე ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ი

## წვერი

(ბრეთის სოფსაბჭო)

182. 1919 წ. 15 დეკ. სოფ. წვერის გლეხობა შეიკრიბა სოფლის ცენტრ-ში და უარი განუცხადა გორის მაზ-რის საადგილმამულო ბანკის მმართ-ველობას უკანონოდ შეწერილი გა-დასახადის გადახდაზე.

ბიბლ.: 421:ფონდი 17, საქ. 6615, ფ. 5-7 *ქ. ქ.*

183. ნასახლარები და ნაეკლესია-რი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. აღმ. ფრონის ჩრდ.-აღმ-ით, შემაღლებულ ადგილზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ფართ. 1,5 ჰა. ნ ა ს ა ხ ლ ა რ ე ბ ზ ე (გადახნული და დათესილია) იპოვე-ბა თიხისა და კრამიტის ნატეხები. თხემის თავზე შემორჩენილია ე კ ლ ე-ს ი ი ს ნანგრევები (წ ვ ე რ ი ს ს ა-მ ე ბ ა) . გ ა ლ ა ვ ნ ი თ შემოზღუდულ ეკლესიის ეზოში სასაფლაო იყო. *ლ. მ.*

184. ყორღანი, არქეოლ. ძ. მდება-რეობს სოფლიდან 3 *კმ*-ზე, დედოფ-ლის მინდვრის განაპირას, ჩრდ-ით, კვერნაქის სერზე. ამ ადგილს ს ი ს ხ-ლ ი ს ჯ ვ ა რ ს უწოდებენ. თარიღ-დება ბრინჯაოს ხანით. ბორცვს შე-მოვლებული აქვს უხეშად ნატეხი რი-ყის მოზრდილი ქვებით ნაგები წრიუ-ლი ზღუდე. *ლ. მ.*

## ჭანდრები

(ზემო ხვედურეთის სოფსაბჭო)

185. კვირაცხოვლის ეკლესია, არ-ქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფ-ლის დას-ით, მთის ფერდობზე. ამჟა-მად ეკლ. თითქმის მთლიანადაა დანგ-რეული, შემორჩენილია საკურთხევ-ლის ნაწილი (სარკმლის ძირის დო-ნემდე) და დას-ის კედელი (დაახლ. 2-3 *მ*-ის სიმაღლეზე). შენობის გრძი-ვი კედლები მიწით და ნანგრევები-თაა დაფარული.

ეკლ. დარბაზულია (11,5X6,2 *მ*), ნა-გებია ღია ფერის ქვიშაქვის სხვა-დასხვა ზომის ნატეხი ქვით, წყობა ირეგულარულია. წყობაში ჩართულია სხვადასხვა ფერის (უმთავრესად მწვა-ნე) ქვები; კონსტრ. ადგილებში გა-მოყენებულია შირიმიც.

შესასვლელი სამხრ-დან ყოფილა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმლის კვალია. დარბაზის გრძი-ვი კედლების შუა მონაკვეთში პი-ლასტრები ჩანს.

ეკლესიის სამხრ.-დას. კუთხესთან აღმოჩნდა მიწაში ჩაფლული, ძლიერ დაზიანებული ქვიშაქვის მოზრდილი ორნამენტირებული ქვა (შეწყვილე-ბული ლილვის ქვემო ნაწილი). სავა-რაუდოა, რომ იგი აქ ადრე (განვით. ფეოდ. ხანა) არსებული ეკლესიის ფრა-გმენტია. ირგვლივ სხვა ორნამენტი-რებული ქვების ფრაგმენტებიცაა. *დე. თ.*

186. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ჩრდ.-დას-ით, სოფ. ორ-ხევისაკენ მიმავალი გზის პირას, შემაღლებულ ადგილზე. კ. სწორ-კუთხაა (9X8 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყისა და ქვიშაქვის ნატეხი ქვებით. ძლიერ დაზიანებულია, შე-მორჩენილია სამხრ.-დას-ის კუთხის წყობა (დაახლ. 2-3 *მ*-ის სიმაღლე-ზე), ჩრდ.-დას-ის კუთხის ნაწილი და კედლის კვალი (სისქე 1,3 *მ*) მთელ პე-რიმეტრზე. *დე. თ.*

187. მწვანე საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან 5 *კმ*-ზე, ნასოფლარ ც ი-ლ ი ს წ ყ ა რ ო ს ჩრდ-ით, ჭანჭრო-ბისა და სანახშირე ხევებს შორის. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XII ს-ით. დაზიანებულია: ჩანგრეულია ცილინდრული გადახურვის და კონ-ქის დიდი ნაწილი, მონგრეულია კედ-ლების ზედა ნაწილი, გამოფიტულია საპირე ქვები, ჩამოცვენილია ორნა-მენტების დიდი ნაწილი, დანგრეუ-ლია ეკლესიის დას-ისა და სამხრ-ის მინაშენები (გაირჩევა მხოლოდ გეგმა).

ეკლ. დარბაზულია (9,6X6,2 *მ*), ნა-გებია კირქვითა და შაბიამნისფერი ტუფით (სავარაუდოა, აქედან მომდი-ნარეობს ეკლესიის სახელწოდება). გარედან ტიმპანით, ხოლო შიგნიდან თაღით გადახურული შესასვლელი სამხრ-ითაა. აფსიდის ღერძზე სარკ-მელია, რ-ის ორივე მხარეს თითო ნიშია. სამხრ-ის ნიში წრის სამი მეოთხედის ფორმისაა, ჩრდ-ისა სწორ-კუთხა. ერთი სარკმელი დას-ითაა, ორი — სამხრ-ით. სარკმლები თაღო-ვანია. დარბაზის გრძივი კედლები და კამარა ორსაფეხურიანი წყვილი პი-ლასტრით და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით ორ ნაწილად იყოფა. გრძივ კედლებზე თითო წყვილი დე-კორატ. თაღია. ეკლესიას მთელ პე-რიმეტრზე ლილვიანი საფეხური მიუყ-ვება. ფასადის დეკორი ძირითადად მოყვითალო ფერის ქვაზეა ამოკვეთი-ლი. სარკმელთა საპირეები მსგავსი ხერხით არის შესრულებული — მთლი-ანად ფართო ჩუქურთმიანი არშიითაა გარშემორტყმული. არშიის ჩარჩოს ორმაგი ლილვი აქვს შემოვლებული. ქვემოთ, კუთხეში ორნამენტირებუ-ლი სწორკუთხედებია. აღმ-ისა და დას-ის სარკმელთა საპირეების ქვე-და შემკრავი ლილვები ფასადის ღერძ-ზე ვერტიკალურად ეშვება და ეყრდ-ნობა ეკლესიის საფეხურს. აღმ-ის ფასადზე, სარკმლის მოჩარჩოების

თაღოვან ნაწილზე სიმეტრიულად განლაგებულია სამი გირჩი. სარკმლის საპირესა და გირჩებს გარედან შემოელებული აქვს შეწყვილებული გრეხილი ლილვების ერთსაფეხურიანი დეკორატ. თაღი, რ-იც ორნამენტირებულ სწორკუთხა ფილებს შეწყვილებული ბურთულებით ეყრდნობა. დას. ფასადზე სარკმელს სწორკუთხა ორნამენტირებულ ფილებზე დაყრდნობილი გრეხილი ლილვებითა და ფართო ორნამენტირებული არშიით შეკრული თაღი აქვს. სამხრ. ფასადის სარკმლები მოჩარჩოებულია ორნამენტირებული არშიით. ამ ფასადზე შესასვლელ კარს შემოუყვება ორი გრეხილი ლილვი და ფართო ორნამენტირებული არშია, რ-იც ეყრდნობა ორნამენტირებულ სწორკუთხა ფილას. ეკლესიას გრეხილი ლილვისა და ორნამენტირებული წრეთარგისაგან შედგენილი ლავგარდანი ჰქონდა.

ფასადებზე ორნამენტი სხვადასხვა ხასიათისაა. ხშირად გვხვდება ლათინური „ს"-ს ნახატი. კვეთა უმთავრესად ორღარიანია. *დე. თ. მ. გ.*

188. ფაფელაანთ საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 1 კმ-ზე, ხ ი მ ო ნ ი ს  ვ ე ლ ი ს პირას, ტყეში. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ძლიერ დაზიანებულია: თითქმის მთლიანად დანგრეულია სამხრ. და ჩრდ. კედლები; გადარჩენილია საკურთხევლის ნაწილი და დას. კედელი.

ეკლ. დარბაზულია (6,3X4,1 მ), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით; წყობაში ჩართულია სხვადასხვა ფერის (ღვინისფერი, მომწვანო, ღია იასამნისფერი და სხვ.) ქვები; შენობის კუთხეები, სარკმლის წირთხლები ამოყვანილია შირიმით. ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-დან ყოფილა (კართან ახლოს ბალავრის ქვა გდია). შებრტყელებულ ნახევარწრიულ აფსიდში, ღერძიდან ოდნავ სამხრ-ით ვიწრო სარკმელია. აქვეა ორი სწორკუთხა ნიში. კონქი დამრეცია. ერთი სწორკუთხა, ბრტყელი ზღუდარით გადახურული სარკმელი დას. კედელშია. დარბაზის გრძივ კედლებს ცილინდრული კამარა ეყრდნობოდა (მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი დას. კუთხეში). *დე. თ.*

189. ქაშვეთის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-ალმ-ით 2-2,5 კმ-ზე, მთაში, სოფ. კოშკებისაკენ (გორის რ-ნი) მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს 300 მ-ზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება ფეოდ. ხანის გარდამავალი პერიოდით. ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა, კონქის უმეტესი ნაწილი, თითქმის მთლიანად დანგრეულია სამხრ. კედელი, ამოცვენილია საპირე ქვები, ინტერიერი დაახლ. 1 მ-ის სიმაღლეზე ნანგრევებითა და მიწითაა ამოვსებული; დას. და სამხრ. გვიანდ. მინაშენების კედლების კვალია შემორჩენილი.



189. ალმ ფასადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა

ეკლ. დარბაზულია (7,2X5,5 მ), შვერილაფსიდიანი, ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით, წყობა ირეგულარულია; შენობის კუთხეები, აფსიდის კიდეები, კონქის გადახურვა (შემორჩენილია ჩრდ. ქუსლის ქვა), დას. კედლის კუთხის პილასტრები ამოყვანილია შირიმით. შესასვლელი სამხრ-ით ყოფილა (შემორჩენილია დას. მხარის წყობა). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. მის ქვემოთ, კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა. საკურთხეველში ორი ნიშია. ერთი ნიში ჩრდ. კედელშია, აფსიდის კუთხესთან. კონქი დამრეცი იყო (შემორჩენილია დას-ის წყობა). დას. კედლის თაღის ძირში გაჭრილია ერთი თაღოვანი სარკმელი. დარბაზის კედლებზე გაირჩევა შელესილობის ორი ფენა. ცილინდრული კამარა ეყრდნობოდა დარბაზის გრძივ კედლებს, დას-ის დეკორატ. თაღს და სატრიუმფო თაღს. დას. ფასადის წყობაში ჩართულია დიდი ზომის (სიგრ. 2,4, სიმ. 1,4 მ) ქვები. საკურთხეველს ორფერდა სახურავი ჰქონდა. შენობა დასრულებული იყო თაროსებრი ლავგარდნით.

ეკლესიის პატარა ეზოს შემოვლებული ჰქონდა ნატეხი ქვით ნაგები გ ა ლ ა ვ ა ნ ი. *დე. თ.*

190. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-ალმ-ით, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. 1983 წ. ადგილ. მოსახლეობამ ნაგებობა შეაკეთა — კედლების დანგრეული ნაწილები განახლებულია ბეტონის საფუძველზე (სიმ. 1 მ) ამოყვანილი პემზაბეტონის ბლოკებით. თავდაპირველი ნაგებობიდან შემორჩენილია მხოლოდ დას-ის და ალმ-ის კედლების ფრაგმენტები.

ეკლ. დარბაზულია (9X4 მ), ნაგები იყო ნატეხი ქვით. ხის ძელებით გადახურული შესასვლელი დას-ითაა. შებრტყელებული ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო თაღოვანი სარკმელია. ასეთივე სარკმელია დას-ით. საკურთხეველში ერთი შეისრულთაღიანი ნიშია. *დე. თ.*

191. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 100 მ-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კედლების ზედა ნაწილები, კამარა, მთლიანად დანგრეულია ჩრდ. კედლის დას. ნაწილი, სამხრ-ის სწორკუთხა მინაშენი.

ეკლ. დარბაზულია (11,2X5,4 მ), ნაგებია ქვიშაქვის დიდი ზომის კვადრებით. დას-ით შეისრულთაღიანი შესასვლელია. სამხრ-ის შესასვლელი შიგნიდან და გარედან თაღოვანია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. შესასვლელების ზემოთ თითო სარკმელია. ალმ. ფასადზე, სარკმლის ზედანის შუა არეში რელიეფია — ჯვრის გვერდებზე ზემოთ ანგელოზებია გამოსახული, ქვემოთ — ადამიანი. *გ. კ., დე. თ.*

192. ჭეშმარიტას ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, მდ. ხევდრულის მარჯვ. ნაპირზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება ფეოდ. ხანის გარდამავალი პერიოდით. ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, კონქის მნიშვნელოვანი ნაწილი, დანგრეულია გრძივი კედლებისა და დას. კედლის ზედა ნაწილები, ამოცვენილია საპირე ქვები, ინტერიერში ხეები და ბუჩქებია ამოსული; ეკლესიის თანადროული მინაშენიდან შემორჩენილია ჩრდ. კედლის და კამარის საყრდენი თაღების ნაწილები, გაირჩევა გეგმის კონტურები (სავარაუდოა მინაშენი სამხრ-ითაც იყო).

ეკლ. დარბაზულია (10,9X4,6 მ), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით, წყობა ირეგულარულია; აფსიდის კუთხეები, კარ-სარკმლის ლიობები მოპირკეთებულია შირიმით. სამხრ-ით გარედან არქიტრავით გადახურული, შიგნიდან თაღოვანი შესასვლელია, დას-ის შესასვლელი სწორკუთხაა. ეკლესიის საკმაოდ წაგრძელებული დარბაზი ალმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. სარკმლის ორივე მხარეს ღრმა სწორკუთხა ნიშებია. კონქი დამრეცია. ორი სწორკუთხა სარკმელი



192. აღმ. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ.-კენ. გეგმა

სამხრ. კედელშია. ნახევარცილინდრული კამარა დარბაზის გრძივ კედლებს და სატრიუმფო თაღს ეყრდნობოდა. აღმ ფასადის ფრონტონის კეხზე შემორჩენილია თაროსებრი ლავგარდნის ორი ქვა.

ნაგებობის კედლებში ჩატანებულია რამდენიმე მხატვრულად საინტერესო ქვა. ინტერიერში ჩრდ-ის კედლის წყობაში ჩასმულია ქვიშაქვის (ა) სტელა (მოჩანს ერთი გვერდი და მისი წიბოები). ჩანს ძლიერ დაზიანებული, ვიწრო განივი ზოლით გაყოფილი ორი კომპოზიციის ფრაგმენტები: ზედა მონაკვეთზე ორი ფეხზე მდგომი ფიგურა იყო გამოსახული (დარჩენილია ტანის ქვედა ნაწილები), ქვედაზე შემორჩენილია ორი შარავანდიანი თავის გამოსახულება. წიბოები დამუშავებულია ორ ვიწრო ლილვს შორის მოქცეული ჩაჭრილი სამკუთხედებით (პარალელი — ხანდისის რელიეფები, VI ს. II ნახ.). დარბაზის სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში და სამხრ. ფასადზე ჩასმული ღვინისფერი ქვები შემკულია რელიეფური ჯვრედებით. *დვ. თ.*

## ჭვრინისი

(ბრეძის სოფსაბჭო)

193. წმ. იორამის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-დას-ით. აგებულია XIX ს-ის დასასრულს. ძლიერ დაზიანებულია: არა აქვს სახურავი, ჩამონგრეულია აღმ-ის და ჩრდ-ის კედლები. ეკლ. დარბაზულია (5,5X4,4 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, კონსტრ. ნაწილები ამოყვანილია თლილი ქვის თანაბარი წყობით. შესასვლელი სამხრ-ითაა. დას-ით ერთი სწორკუთხა სარკმელია. ინტერიერი და ფასადები შელესილი და შეთეთრებულია. ეკლ. გადახურული იყო ღარიანი კრამიტით. *ნ. ა.*

## ხეობა

(ზემო ხევდურეთის სოფსაბჭო)

194. ივანე მახარებლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XVII-XVIII სს-ით. ეკლ. დარბაზულია (7,4X4,9 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის კვადრებითა და აგურით. შესასვლელი სამხრ-დანაა. დარბაზს პილასტრებზე დაყრდნობილი საბჯენი თაღი ჰქონია, მაგრამ გადახურვის აღდგენის დროს თაღი აღარ ამოუყვანიათ და ამჟამად ჩრდ. და სამხრ. კედლების შუა ნაწილში მხოლოდ პილასტრებია დატოვებული. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც დას. კედელსა და კონქის თავზე გადადის. *გ. ქ.*

195. მთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით დაახლ. 800-900 *მ*-ზე, მთის ძირში. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (5,2X4 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით, წყობა ირეგულარულია, შენობის კუთხეები შედარებით მოზრდილი ქვებითაა ამოყვანილი. შესასვლელი ჩრდ-ითაა, გადახურული ყოფილა ხის ძელებით (შემორჩენილია ბუდეები). ღრმა (თითქმის დარბაზის სიგრძის) ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ბრტყელი ქვით გადახურული ვიწრო სარკმელია, რ-ის ღიობი ქვემოდან ზემოთ ვიწროვდება. დას-ით შიგნიდან შეისრული ვიწრო სარკმელია. საკურთხევლის კედელში ორი ნიშია: ჩრდ-ით იატაკის დონეზე, სამხრ-ით იატაკიდან 1 *მ*-ის სიმაღლეზე. ჩრდ-ის ნიშში, რ-ის ქვემოთ, მიწის სიღრმეში 1,6 *მ*-ის სიმაღლის სამალავია, უფრო ღრმაა და მოხრილი. სამხრ. კედელშიც მცირე სწორკუთხა ნიშია. საკურთხევლის სარკმლის ქვემოთ, კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა. ეკლესიის ნახევარწრიული სხმული კამარა დარბაზის გრძივ კედლებს და სატრიუმფო თაღს ეყრდნობა. ორფერდა სახურავი გადახურული იყო ღარიანი კრამიტით. *დვ. თ.*

196. ღვთისმშობლის ეკლესია და წმ. ბარბარეს ნიში, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, მთის ფერდობზე, მუხნარში. ეკლ. თითქმის მთლიანად დანგრეულია — შემორჩენილია საკურთხევლის ნაწილი (6 *მ*-ის სიმაღლეზე). ნაგებია რიყის ქვით. ნაეკლესიარის დას-ით, 40-50 *მ*-ზე, წმ. ბარბარეს ნიშია — მიწაში ჩადგმული შირიმის ერთი მოზრდილი კვადრი. მასზე ამაგრებდნენ ანთებულ სანთლებს. *დვ. თ.*

## ხიზანაანთ გორა,

იხ. სოფ. ურბნისი, ნამოსახლარი ხიზანაანთ გორა.

## V. ხაშურის რაიონი




● დასახლებული პუნქტი, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი



დაბა ᲡᲣᲠᲐᲛᲘ. სურამის ციხე (V.111)



V. **ხაშურის რაიონი** მდებარეობს საქ. სსრ ცენტრალურ ნაწილში. ჩრდილოეთით ესაზღვრება საჩხერის და ზნაურის, დასავლეთით — ორჯონიკიძის, სამხრეთით — ბორჯომის, აღმოსავლეთით — ქარელის რაიონები. რაიონის ყველაზე მაღალი ადგილია ქართის მთა — 2000 *მ*, ყველაზე დაბალი — სოფელი გომი — 650 *მ* ზ. დ. ფართობი — 585 *კვ კმ;* მოსახლეობა — 64 800. 1917 წლამდე ახლანდელი ხაშურის რაიონის ტერიტორია ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა. 1921 წლიდან საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ისევ გორის მაზრაშია. 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია. რაიონული ცენტრი — ქალაქი ხაშური.

რაიონში შედის: 1 საქალაქო (ხაშური), 1 სადაბო (სურამი) და 11 სასოფლო საბჭო (ალი, გომი, ოსიაური, ფლევი, ქვიშხეთი, ცოცხნარა, ცხრამუხა, წაღვლი, წრომი, ხალები, ხცისი), 81 სოფელი.

რაიონის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მთიანი რელიეფით ხასიათდება, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში შიდა ქართლის ვაკეა შემოჭრილი. რაიონის 26 410 *ჰა* ფართობი ტყეს უჭირავს. მთავარი მდინარეებია: მტკვარი, სურამულა, ტილიანა, ჭერათხევი და ძამა. მდ. მტკვრის ტერასებზე გავრცელებულია ალუვიური კარბონატული ქვიშნარი და თიხნარი ნიადაგები. ქ. ხაშურის ახლო ტერიტორიაზე გვხვდება შავმიწისებრი ნიადაგები, ხოლო ლიხის ქედისა და თრიალეთის ქედის კალთებზე — ტყის ყავისფერი ნიადაგები, ლიხის ქედის აღმოსავლეთ და თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე მოიპოვება კირქვები, არის აგრეთვე კვარცის, სილისა და ცარცის საბადოები სურამში.

ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურაა 9,7°C. იანვრის — 1,9°C, ივლისის — 20,5°C; ნალექების რაოდენობა — 565 *მმ*.

სამრეწველო საწარმოები ძირითადად თავმოყრილია ქ. ხაშურში. აქ არის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა, საკონსერვო, მექანიკური, მუშის, ღვინის ქარხნები და სხვ.; გომში — სპირტის ქარხანა, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი და სხვ.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: მემინდვრეობა, მევენახეობა-მეხილეობა, მესაქონლეობა. რაიონში 3 საბჭოთა მეურნეობა, 5 კოლმეურნეობა, მეფრინველეობის ფაბრიკა და 3 სამეურნეობათაშორისო საწარმოა.

რაიონში არის 55 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 2 მუსიკალური, 2 ქალაქის პროფტექნიკური და 1 სოფლის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი; მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ქ. ხაშური), ლ. ქურაინკას ბიბლიოთეკა-მუზეუმი (დაბა სურამი), 7 კულტურის სახლი, 37 კლუბი და 49 ბიბლიოთეკა; გამოდის რაიონული გაზეთი „გამარჯვების გზა".

რაიონში 7 საავადმყოფო, 9 საექიმო ამბულატორია, 16 საფერშლო და საფერშლო-სამეანო პუნქტია. ხაშურის რაიონშია რესპუბლიკური მნიშვნელობის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი — სურამი, სადაც 1 მოზრდილთა და 2 ბავშვთა სანატორიუმია.

რაიონის ტერიტორიაზე ადამიანის უწყვეტი ცხოვრების კვალი დასტურდება ქვის ხანიდან.

001. ხაშური, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი, ხაშურის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი, ისტ. ძ. მდებარეობს თბილისის დას-ით 120 კმ-ზე. ქალაქი 1921 წ-დან. სახელი, სავარაუდოა, მომდინარეობს იმ მლაშე სამკურნალო წყლის სახელწოდებიდან, რ-იც გამოდის ღარიბა ღელეზე, ქალაქის ჩრდ.-აღმ-ით (სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ხაშური" ნიშნავს „მლაშე წყლის მარილს"). 1872 წ., იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმის მიხეილის მეფის მეფისნაცვლად დანიშვნის 10 წლისთავზე, ხაშურს მიხაილოვო უწოდეს. 1918 წ-დან მას ხაშური ეწოდებოდა, 1928-34 წწ. სტალინისი, ხოლო 1934 წ-დან ისევ ხაშური.

ხ-ის ზრდა-განვითარება დააჩქარა ტფილის-ფოთის რკინიგზის გაყვანამ. პირველი მატარებელი აქ 1872 წ მოვიდა. 80-იან წლებში ქალაქში გაიხსნა საწარმოები: ხაორთქმავლო დეპო, ვაგონშემკეთებელი სახელოსნო, ნავთობსაქაჩი და სხვ. ყოველწლიურად იზრდებოდა მუშათა რიცხვი. 1881 წ. გაზეთი „დროება" წერდა: „ხაშურში მარტო რკინიგზის სახელოსნო სახლში მუშაობს 100-ზე მეტი უცხო ხალხი" (იგულისხმება საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მუშები).

ამავე ხანებში ქალაქში საზ. ცხოვრება საკმაოდ გააქტიურდა. XIX ს-ის ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე და XX ს-ის დასაწყისში მოწინავე ქართვ. ინტელიგენციის ხელშეწყობით მიხაილოვოში რამდენიმე საინტერესო კულტ.-საგანმ. ღონისძიება ჩატარდა. ჩამოყალიბდა (ა) სცენის მოყვარულთა დასი. პირველი წარმოდგენა, ზ. ანტონოვის პიესა „ხუთი ცოლის ქმარი", გაიმართა 1876 წ. სექტ-ში. დასმა დასაბამი მისცა სახალხო თეატრს. სცენის მოყვარულთა სპექტაკლებში მონაწილეობდნენ: ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, კ. მესხი, უ. ჩხეიძე, ნ. გოცირიძე და სხვ. (ბ) 1881 წ. აკ. წერეთელმა მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი საზოგადოების მიერ გამართულ საქველმოქმედო კონცერტში.

XIX ს-ის 90-იანი წწ-დან მიხაილოვოში ყალიბდება პირველი მუშათა მარქსისტული წრეები. ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოს, მუშათა მოძრაობაში არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რასაც ხაშურელი მუშები არ გამოხმაურებოდნენ, არ მიეღოთ უშუალო მონაწილეობა.

(გ) 1898 წ. 12 დეკ. აქ მოხდა მუშათა პირველი პოლიტიკური გამოსვლა — ამიერკავკასიის რკინიგზის ტფილისის მთავარი სახელოსნოების გაფიცულ მუშებთან სოლიდარობის ნიშნით გაიფიცნენ მიხაილოვოს რკინიგზის სადგურის მუშები.

(დ) 1903 წ. 13-15 იანვ. ჩატარდა მიხაილოვოს რკინიგზის დეპოს მუშათა კრება, რ-ზეც ჩამოყალიბდა მიხაილოვოს სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა არა მარტო მუშათა, არამედ ამ რეგიონის გლეხთა რევ. მოძრაობას. იმავე წლის აპრ-ში ჯგუფმა მიმართა მუშებსა და გლეხებს მოწოდებით მოეწყოთ 1 მაისის დემონსტრაცია. (ე) 27 აპრილს კი მიხაილოვოში, ისე როგორც სურამში, ცხინვალში, მთელ გორის მაზრაში სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების ხელმძღვანელობით მოხდა გლეხთა მასობრივი რევოლუციური გამოსვლები.

(ვ) 1903 წ. 24 ივლ., ორშაბათს, ტფილისის მუშების საყოველთაო გაფიცვასთან ერთად, მოხდა მიხაილოვოს მუშების გაფიცვა, რ-იც გადაიზარდა დემონსტრაციაში. გაფიცვას ხელმძღვანელობდნენ რსდმპ-ის კავკასიის კავშირის ტფილისის კომიტეტის მიერ გამოგზავნილი მუშა-რევოლუციონერები. დილიდან დეპოს, რკინიგზის სადგურის და გზის შემკეთებელი მუშები არ გამოვიდნენ სამუშაოზე. გაფიცულებმა აღმართეს წითელი დროშა, შემოიარეს დაბა მიხაილოვო შეძახილებით: „ძირს თვითმპყრობელობა!", მოითხოვეს ყველა მაღაზიისა და დუქნის დახურვა. რკინიგზის სადგურზე დაბრუნების შემდეგ დემონსტრანტთა რიცხვი 500-მდე გაიზარდა. მუშებს შეუერთდა მიხაილოვოსა და ახლო მდებარე სოფლების გლეხებიც. გაფიცულებმა რკინიგზის ადმინისტრაციას წაუყენეს მოთხოვნები (8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება, დათხოვილი მუშების სამუშაოზე აღდგენა, ხელფასის 25%-ით მომატება და სხვ.), აიძულეს ტელეგრაფის მოსამსახურეები შეეწყვიტათ მუშაობა, არ გადაეცათ ცნობა გაფიცულთა წინააღმდეგ ჯარის ნაწილების გამოგზავნის შესახებ, შეაჩერეს მოძრაობა რკინიგზის მთავარ ხაზზე. დემონსტრანტებმა თავი მოიყარეს ხურამულას რკინიგზის ხიდთან. რკინიგზის ადმინისტრაციამ გამოითხოვა სურამიდან სამხ. ნაწილი. გაფიცულები არ დაემორჩილნენ რაზმის უფროსის ბრძანებას, არ დაიშალნენ. სამხ. ნაწილმა სროლა აუტეხა დემონსტრანტებს. შეტაკების დროს მოკლულ იქნა 14, დაიჭრა 15 მუშა. დააპატიმრეს 15 გაფიცული. 15 რაზმელმა მიიღო სხეულის დაზიანება (გაფიცულებმა სამხ. რაზმს ქვები დაუშინა). ეს გაფიცვა-დემონსტრაცია გაზეთმა „ისკრამ" შეაფასა, როგორც დიდი პოლიტ. მოვლენა.

აქტიურად იბრძოდნენ მიხაილოვოს მუშები, აგრეთვე ახლო სოფლების გლეხები, რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. მიხაილოვოში იყო რევოლუციონერთა ერთ-ერთი მთავარი კონსპირაციული თავშესაფარი.

(თ) 1905 წ. მარტში რკინიგზის სადგურის მახლობლად შე-



001 რკინიგზის სადგური XIX ს-ის 80-იანი წწ ფოტო



001. რსდმპ ბორჯომისა და მიხაილოვის ორგანიზაციის პროკლამაცია. 07.07.1907 წ.

იკრიბა დეპოს მუშები. იმსჯელეს სოციალურ უსამართლობაზე, დასახეს ადმინისტრაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

(ი) 1905 წ. ნოემბ. გ ა ი ფ ი ც ნ ე ნ მიხაილოვოს რკინიგზის მუშები. შეიქმნა საგაფიცვო ბიურო. მოხდა შეტაკება ბოლშევიკების მიერ შექმნილ წითელ რაზმსა და მეფის ჯარის ნაწილებს შორის. 12 ნოემბ. მუშები, მოსამსახურეები, ახლო სოფლების გლეხები, სულ 3000 კაცი, შეიკრიბა მ ი ტ ი ნ გ ზ ე. მოითხოვეს 9 ნოემბ. მოსახლეობის აწიოკებაში მონაწილე დამნაშავეთა დასჯა. (კ) 30 დეკ. ს. ბუაჩიძის (1882-1919 წწ.) ხელმძღვანელობით გ ა ნ ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი ქ ნ ა დ ა მ ს ჯ ე ლ ი პ ო ლ კ ი.

მიხაილოვო, როგორც რევ. მოძრაობის ერთ-ერთი კერა, ხელისუფალთა დიდ შეშფოთებას იწვევდა. 1906 წ. იანვ. ბორჯომის გარნიზონის უფროსი თავის მოხსენებაში წერდა: „გაცნობებთ, რომ ახლობელი ცენტრებიდან მთავარი კერა იმყოფება მიხაილოვოში, რომელიც ასაზრდოებს ბორჯომის უბანსაც და აგრეთვე დირიჟორობს ყველა საწინააღმდეგო მოძრაობის მოქმედებას აღნიშნულ რაიონში".



001 ყოფ. სახალხო თეატრის შენობა (გ. ტაბიძის ქ., 68)

1905-07 წწ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეპრესიების მიუხედავად, მიხაილოვოში გრძელდება რევ. მოძრაობა. 1910 წ. 8 აპრ. ტფილისის გუბერნატორი აცნობებს ზემდგომ ხელისუფლებას: „ტფილისის გუბერნიის ფარგლებში არის ორი კერა, რომელიც თავს უყრის დამნაშავე ელემენტებს, ქ. ტფილისი და ა. კ. რკინიგზის სადგური მიხაილოვო, რომელიც ტფილისის, როგორც რევოლუციონერთა თავშესაფარის დაცემის შემდეგ, გახდა ცენტრი არა მარტო სალიანდაგო გზის კავშის და რკინიგზის სახელოსნოებისა, არამედ გორის მაზრის დასავლეთ რაიონებისაც".

მიხაილოვო რომ რეაქციის წლებში აღმ. საქართველოს რევ. მოძრაობის ცენტრს წარმოადგენდა, ერთი ფაქტიც



001. დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნის მემორიალი

ადასტურებს — (ლ) 1911 წ. აქ გაჩხრიკეს ვ. ძ ნ ე ლ ა ძ ი ს წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა და აღმოაჩინეს 400 ც. აკრძალული წიგნი, მათ შორის კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის ნაშრომები.

1917 წ. თებერვლის რევოლუციას მიხაილოვოს მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ: (მ) 9 მარტს რ კ ი ნ ი გ ზ ი ს ს ა დ გ უ რ ი ს ს კ ვ ე რ-



001 რკინიგზელთა კულტურის სახახლე (არქიტ. მ. კალაშნიკოვი, 1927 წ.)



ში შეიკრიბნენ მუშები, ახლო სოფლების გლეხები, სამხ. გარნიზონის ჯარისკაცები. ხალხმრავალმა მიტინგმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს. (ნ) მარტის შუა რიცხვებში ჩამოყალიბდა ქალაქის აღმასრულებელი საბჭო 28 კაცის შემადგენლობით. მი-



001. საბაჟშეო რკინიგზის ერთ-ერთი სადგური

ხაილოეოში აღდგენილ იქნა ბოლშევიკური უჯრედები.

(ო) 1918 წ. 17 თებერვალს ხ-ის და ახლო სოფლების მშრომელები ჯარისკაცებთან ერთად თავს დაესხნენ არსენალს და ხელთ იგდეს იარაღი.

(ტ) 1932 წ. 16 აგვისტოს საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირში პირველი მაღალმთიანი რკინიგზის ელექტრიფიცირებული უბანი ხაშური-ზესტაფონი (63,1 კმ). ელექტროწევაზე გადაეიდა აგრეთვე ხაშურ-სურამის განშტოება (4,3 კმ), ხოლო 1940 წ. ხაშურ-ბორჯომის განშტოება (31,1 კმ). ამჟამად ხ. ერთ-ერთი მსხვილი საკვანძო რკინიგზის სადგურია ამიერკავკ. რკინიგზაზე. უკანასკნელ წლებში გაიხსნა კულტურისა და დასვენების პარკი, გაიყვანეს საბავშეო რკინიგზა და სხვ. ხ. აქვს ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის პროექტი (1980 წ., ავტორი არქიტ. ვ. ფრანგიშვილი).

ბიბლ.: 76; 77; 123; 201გ, დ, ე, 202; 266:231-232; 298:22, 124, 126-128, 402:1917 წ., 15,22 მარტი, № 1, № 7; 403:1905წ., 15,16 ნოემბერი, № 206, № 207; 404:1920 წ., 8 ივნისი, № 5; 404:1921 წ. 18, 24 მარტი, № 14, № 18; 410:1963 წ. 24 ოქტომბერი ვ. შ., კ. ე., კ. კ., ჩ. მ.

ბერძნების ეკლესია, იხ. წმ. გიორგის ეკლესია.

002. გორათის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას შინდარას უბანში, ხასაფლაოზე, ხაშურ-სურამის საავტ. გზის მარცხ. მხარეს, 400 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. შეკეთებულია XIX ს-ში.



002. დას. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

ეკლ. დარბაზულია (10,8X7,7 მ), ნაგებია ქვიშაქვით და რიყის ქვით. სამხრ-ით და დას-ით თითო შიგნიდან შეისრულთაღიანი, გარედან არქიტრავული შესასვლელია. სწორკუთხა საკურთხეველი არ არის გამოყოფილი დარბაზისაგან. აღმ. კედლის ღერძზე და მის მარცხ. ნაწილში შიგნიდან შეისრულთაღიანი, გარედან ოთხკუთხა ორი სარკმელია. თითო მსგავსი სარკმელია დანარჩენ სამ კედელში. აღმ. კედლის ქვედა ნაწილში შეისრულთაღიანი ნიშია. ეკლესიის დარბაზის გრძივ კედლებზე პილასტრებია, რ-ებსაც ეყრდნობა კამარის საბჯენი თაღები. პილასტრებს თლილი ქვის კაპიტელები აქვს. დას-ის ფასადზე, შესასვლელის ღერძზე, ერთ ვერტიკალზე მონაცვლეობენ ერთნაირი ფორმის და ზომის ორი ჯვარი და ორი წრე. ზედა ჯვარი და წრეები რელიეფურია, ხოლო ქვედა ჯვარი ამოკვეთილია არქიტრავის ქვაზე და კედლის სიბრტყეს არ სცილდება. ფასადის ფრონტონი წვერთან წაკვეთილია. აქ, სახურავზე, სამრეკლოს ფუძის ქვებია შემორჩენილი. ეკლესიას ორი ლილვისა და მათ შორის შეზნექილი მრუდისაგან შედგენილი ქვის ლავგარდანი აქვს. დ. თ.

003. იოანე წინასწარმეტყველის ეკლესია, იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ცენტრში. აშენებულია 1911 წ. ეკლ. ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (19X14,65 მ), ნაშენია აგურით, გუმბათი ხისაა. ეკლესიის გეგმა ტოლმკლავა ჯვარია. აღმ-ით ნახევარწრიული შვერილი აფსიდია. მკლავების ღერძზე, დას-ით, ჩრდ-ითა და სამხრ-ით, ფართო და მაღალი თაღოვანი შესასვლელებია. ჩრდ-ის და სამხრ-ის შესასვლელები ამოქოლილია. აღმ. მკლავში ორი ნიში და სამი სარკმელია, ერთი აფსიდის ღერძზეა, ორი — მის გვერდებზე. ორ-ორი სარკმელია ჩრდ-ის, სამხრ-ისა და დას-ის კედლებში, ხოლო თორმეტი — გუმბათის ყელში. საკურთხეველი ხის კანკელითაა გამოყოფილი. ხისაა პატრონიკეც. თორმეტწახნაგა ხის გუმბათი ჯვრის მკლავების კუთხეებზე გადაყვანილ თაღებს ეყრდნობა. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის

003. აღმ. ფასადი,



ყელზე გადასვლა კვადრატის კუთხეებზე გადებული ხის კონსტრუქციების საშუალებით ხდება. სამხრ., დას. და ჩრდ. ფასადებზე სამ-სამი შეღრმავებაა, მ. შ. შუა რამდენადმე მაღალია დანარჩენებზე და საფეხურებიანი ნახევარწრიული თაღით მთავრდება.





003. განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

გუმბათის სახურავი პირამიდულია. მის წვეროზე ხახვის ბოლქვის ფორმის პატარა გუმბათით დასრულებული პრიზმისებური სვეტია აღმართული. ნაგებობას აგურით ნაწყობი დაკბილული ლავგარდანი აქვს. შეერილი აფსიდის ლავგარდანი მარტივია, შედგება ორსაფეხურიანი თაროსაგან. ეკლ. შიგნით და გარეთ შეთეთრებულია. *ლვ. თ.*

**იოანე ნათლისმცემლის ეკლესია** იხ. იოანე წინასწარმეტყველის ეკლესია

004. **კინო-თეატრი**, ისტ. ძ. გ. ტაბიძის ქ., 68. 1932 წ. ოქტ-ში აქ გაიხსნა თეატრის ახ. შენობა (არქიტ. მ. კალაშნიკოვი). საზეიმო საღამოს ორგანიზატორი იყო კ. მარჯანიშვილი, რ-მაც თეატრში დადგა კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა", შ. დადიანის „კაკალ გულში" და სხვ.

ბიბლ.: 41, 154

005. **კოშკი**, არქიტ. ძ. წყაროს ქ., 2. აგებულია XVIII ს-ში. რესტავრირებულია 1959 წ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნოს მიერ.

ოთხსართულიანი კ. ცილინდრულია (დიამ. 9 *მ*). ნაგებია რიყის ქვით. შესასვლელი სამხრ-ითაა, მიწიდან 3 *მ* სიმაღლეზე. კარი თაღოვანია, მისი საპირეები ქვიშაქვისაა. სართულები ერთმანეთს კედელში დატანებული კიბით უკავშირდება. I სართულს ნიშები და 6 სათოფური აქვს. II სართულზე 6 ნიშია, თითოეულში — ორ-ორი სათოფური; ჩრდ-ით ბუხარი და ორი სარკმელია. III სართულზე 8 ნიშია, თითოეულში — ორ-ორი სათოფური. სამხრ-ითა და ჩრდ-ით ბუხრებია. IV სართულზე სათოფურები და ოთხი ნისკარტა სალოდეა. აქ აივნებზე გასასვლელი სამი კარია — აღმ-ით, დას-ით და ჩრდ-ით (შემორჩენილია აივნების ძელების ბუდეები). კ-ის ფასადზე, შესასვლელის თავზე, აგურის წყობაში ცისფერი მოჭიქული ქვებით გამოყვანილია ჩაღრმავებული ჯვარი. *გვან. ჯ.*

006. **ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლი**, მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას ვ. ი. ლენინის მოედანზე. მოქანდ. შ. მიქატაძე, არქიტ. გ. ჯაბუა. გაიხსნა 1976 წ. 22 აპრ. ბრინჯაოს ქანდაკების სიმაღლე 11 *მ*. იგი აღმართულია გრანიტის ფილებით მოპირკეთებულ სადა სწორკუთხა კვარცხლბეკზე.

008. **პირველი საბჭოთა ელმავალი ვლ 19-01**, ისტ. ძ. დგას რკინიგზის სადგურის დას. მხარეს, ქვით მოპირკეთებულ კვარცხლბეკზე, დამზადდა 1932 წ. იგი მოსკოვის კიროვის სახ. ქ-ნა „დინამოსა" და ქ. კოლომნის კუიბიშევის სახ. ქ-ნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა მიუძღვნეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის XV წლისთავს. ელმავალი ამიერკავკ. რკინიგზის პარკში 1933 წ. მაისში ჩაირიცხა. ჩამოიწერა 1972 წ. 23 ნოემბ. წონა 11 *ტ*, მაქს. სიჩქარე 85 *კმ სთ.* ელმავალს აქვს მემორ. დაფა რუსულ ენაზე. 1935 წ. 16 იენ. პირველმა საბჭ. ელმავალმა თბილისიდან წაიყვანა სახალხო მატარებელი № 52, რ-იც ხაშურში გრაფიკით დადგენილ დროზე ადრე ჩავიდა. *ჯ. ზ., კ. ე.*

009. **საცხოვრებელი სახლი**, არქიტ. ძ. ბორჯომის ქ., 93. აშენებულია XX ს-ის დასაწყისში. 1954 წ. შეკეთებული და რეკონსტრუირებულია (გადიდებულია სამზარეულო და შეცვლილია სახურავი). შენობა ორსართულიანია. რიყის ქვითა და აგურით ნაგები ქვედა სართული ნახევრად მიწაშია ჩამჯდარი. ამ სართულის დას. ნაწილი ორ მხარეს გახსნილი სათავსია, აღმ-ით კი მარანია. ღია სათავსს ქუჩიდან აქვს შესასვლელი. მარანში გადახურვის ხის კოჭი ერთ სვეტს ეყრდნობა. დას. კედელში გაჭრილია სარკმელი და კარი. შესასვლელთან ახლოს, ჩრდ.-დას. კუთხეში ქვის ბუხარია. აღმ. კედელთან სხვა-

008. საერთო ხედი



დასხვა ზომის ქვევრებია ჩაფლული. ს.ს-ის ზედა სართული ფიცრულია. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებს ეყრდნობა. ამ სართულზე ორი საცხოვრებელი ოთახი (თითოეული 30 *კვ მ*) და სამზარეულოა. ეზოდან ხის კიბე ადის II სართულის უკანა აივანზე, საიდანაც ერთი კარი ოთახში შედის, ხოლო მეორე — სამზარეულოში.

სახლის მთავარი ფასადი ქუჩაზე გადის. ქვედა სართულის ყრუ კედელში შესასვლელია გაჭრილი, ზედა სართულზე კი ღია აივანია. აივანზე ორი კარი და ოთხი ფანჯარა გამოდის. აივანი ხვეული კიბით ქორედს უკავშირდებოდა (ამჟამად ქორედის სართული შეცვლილია თუნუქის სახურავით და კიბე სხვენზე ადის). აივნის გადახურვა ეყრდნობა ხის შეიდ სვეტს, რ-თა შორის ჭვირული ელემენტით შემკული მოაჯირია, ხოლო ზედა ნაწილი მორთულია ხის დეკორატ. ელემენტით. *დვ. თ.*

009. მთავარი ფასადი, სართულების გეგმები



010. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, ბ ე რ ძ ნ ე ბ ი ს  ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას შინდარას უბანში, ძვ. სასაფლაოზე. ეკლ. დარბაზულია (8,3X4,5 *მ*), ნაგებია მოწითალო ქვიშაქვით. დანგრეულია, შემორჩენილია 2,5 *მ* სიმაღლის ჩრდ. კედელი. 1970 წ. მოსახლეობამ ჩრდ. კედლის საპირე წყობის ნაწილი აღადგინა, დას-ით პემზაბეტონის კედელი ამოიყვანა და დარბაზის დას. ნაწილი თუნუქის ბრტყელი სახურავით გადახურა. ეკლესიას შესასვლელი სამხრ-ით ჰქონია. აღმ-ით სწორკუთხედში ჩაწერილი ნახევარწრიული საკურთხეველია. დარბაზის ჩრდ. კედელზე შემორჩენილია ორი ორსაფეხურიანი პილასტრი, ერთი — კედლის აღმ ნაწილში, მეორე — დას. კედლის კუთხესთან. ჩრდ. კედელზე სარკმლის კვალიც ჩანს. *დვ. თ.*

011. ᲬᲛ. ᲛᲐᲠᲘᲜᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას ქალაქის აღმ. ნაწილში, მდ. სურამულას მარცხ. ნაპირზე, ძვ. სასაფლაოზე. აშენებულია XVI-XVII სს. შეკეთებულია გვიანდ. ფეოდ. ხანაში. დაზიანებულია — არა აქვს სახურავი და ლავგარდანი.

ეკლ. დარბაზულია (10,4X6 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. აქვს ორი სწორკუთხა შესასვლელი, სამხრ-ით და დას-ით. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. მის ღერძზე აგურისთაღიანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს ხუთი სწორკუთხა ნიშია (სამი ჩრდ-ით და ორი სამხრ-ით). საკურთხევლის ბაქანი და არდაბაგი ერთი საფეხურით შემაღლებულია. საკურთხევლის იატაკის აღმ. ნაწილში შემორჩენილია ქვის ფილები. აფსიდის მხრებზე აგურით ნაწყობი სატრიუმფო თაღი გადადის. კონქიც აგურით არის ნაწყობი. დას. კარის თავზე და ჩრდ.-ისა და სამხრ-ის კედლებში, აფსიდის მხრებთან ახლოს, თითო აგურისთაღიანი სარკმელია. დარბაზის დას. კედლის კუთხის პილასტრებს აგურით ნაწყობი საბჯენი თაღი ეყრდნობა. აგურითაა ნაწყობი ეკლესიის ცილინდრული კამარაც. თაღების ქუსლებთან ქვის მარტივი იმპოსტებია. ეკლ. შიგნიდან შელესილი იყო.

ფასადებზე მკაფიოდ ჩანს დიდი ნატეხი ქვით ნაწყობი ორი პარალელური სარტყელი კედელი მიწიდან სარტყლამდე რიყის ქვისაა, ხოლო მის ზემოთ ნატეხი ქვის. შენობის კუთხეები ამოყვანილია დიდი ზომის უხეშად დამუშავებული ნატეხი ქვით. სამშენი მასალის მონაცვლეობა და განსხვავებული წყობა ორი სამშენ. ფენის არსებობაზე მეტყველებს. აღმ. და დას. ფასადებზე, სარკმლებს ზემოთ, აგურის წყობაში გამოყვანილია თითო ჯვარი. დას. ფასადზე ჯვარი კედლის სიღრმეშია, ხოლო აღმ-ისაზე პირიქით, ამოწეულია კედლის სიბრტყიდან. ჯვრების ორივე მხარეს აგურის წყობით შექმნილია რელიეფური ზოლები. *ბ. ფ.*

011. ხედი დას-იდან





011. გეგმა

012. ᲬᲛ. ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, ჭ ა ლ ი ს  ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას ქალაქის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ჭალის უბანში. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XIX ს-ით. ამჟამად გამოყენებულია პურის საცხობად. 1957 წ. ეკლესიაზე დას-დან მიშენებული სამრეკლო დაანგრიეს და ეკლესიას ყოველი მხრიდან საცხობისათვის საჭირო სათავსები მიაშენეს. მიუხედავად ამისა, ეკლესიას თავდაპირველი სახე შენარჩუნებული აქვს. ე. თაყაიშვილის ცნობით ამ ეკლესიაში ინახებოდა ვახუშტი ბატონიშვილის ცოლის ანუკა ბატონიშვილის საეკლესიო ნივთები (მზითვი), რ-იც ამჟამად დაკარგულია.

ეკლ. დარბაზულია (16,9X8,6 *მ*), ნაგებია აგურით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე მაღალი თაღოვანი სარკმელია. ორი სარკმელი სამხრ. კედელშია, სამი — ჩრდ-ისაში, ერთი — დას. კედელში. დარბაზის გრძივ კედლებზე სამი წყვილი მარტივი პილასტრია, რ-ებზეც ეყრდნობა ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღები. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია პილასტრების აღმ. წყვილითა და საბჯენი თაღით.

აღმ. ფასადის ფრონტონზე გამოსახულია შეღრმავებული ჯვარი. ნაგებობას თაროთი და დახრილი სიბრტყით შედგენილი ლავგარდანი და თუნუქის ორფერდა სახურავი აქვს. *დვ. თ*

ᲭᲐᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, იხ. ᲬᲛ. ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ

## აგარების ეკლესია,

იხ. სოფ. გ ო მ ი

## ალექსანდრესწყარო

(ხალების სოფსაბჭო)

013. ძამის ეკლესია, არქიტ., არქეოლ. ძ. დგას სოფლიდან 5-6 კმ-ზე, ნ ა ხ ო ფ ლ ა რ ძ ა მ ა ს სამხრ.-დას-ით, ხახაფლაოზე, ფიჭვნარში. ეკლ. დარბაზულია (8,3X5 მ), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია დას. კედელი 2,5 მ სიმაღლეზე და საკურთხევლის ნაწილი 1 მ სიმაღლეზე. შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონია. აფსიდი ნახევარწრიულია. *დვ. თ.*

## ალი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

014. ალი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. ჭერათხევის ნაპირზე, ქ. ხაშურის ჩრდ.-აღმ-ით 25 კმ-ზე. ა. აღმ. და დას. საქართველოს ისტ. გზასაყარზე მდებარეობდა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის სავაჭრო-ეკონ. ცხოვრებაში, რამაც ხელი შეუწყო XII ს-ში მის გაქალაქებას. ქალაქს ჩრდ-იდან ა ლ ი ს ც ი ხ ე იცავდა, ხოლო სამხრ-იდან — ნაბახტევისა. მონღოლთა ბატონობის პერიოდში ა. დაკნინდა. XVIII ს-ში კვლავ დაწინაურდა. ამ ხანებში იგი ზემო ქართლის ერთ-ერთი მთავარი, სამეფო ქალაქი იყო და მოურავი ჰყავდა. 1803 წ. საუფლისწულო მამულების აღწერის მიხედვით აქ სულ 7 კომლი სახლობდა.

(ა) სოფ. ალის საშ. სკოლაში სწავლობდა საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი იოსების ძე პაპუაშვილი (1919-1944 წწ.). ს კ ო ლ ა ატარებს გმირის სახელს. სოფელში დადგმულია გ. პაპუაშვილის ძ ე გ ლ ი (ბიუსტი ბრინჯაოსია). იხ. სოფ. დ უ მ ა ც ხ ო ვ ო.

ბიბლ.: 41, 154; *ცქ. გ.*

015. ალის განძები, არქეოლ. ძ. (ა) პ ი რ ვ ე ლ ი გ ა ნ ძ ი აღმოჩენილია 1925 წ. სოფელში. ჩამარხული უნდა იყოს XV ს-ის დასაწყისში (1401 წლის შემდეგ). განძში შედის 471 ვერცხლის მონეტა: ოქროს ურდოს ჯუჩიდები (1310-84 წწ.) — 204 ც., ჯალაირიდები (1356-82 წწ.) — 7 ც., იოანე II ტრაპიზონელის (1280-97 წწ.) ასპრის ქართ. მინაბაძი (კირმანეული) — 1 ც., ამმედ ჯალაირისა და საქართველოს მეფე გიორგი VII-ის სახელით XIV ს-ში მოჭრილი მონეტა — 249 ც., გაურკვეველი ქართული — 10 ც. განძი დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

(ბ) მ ე ო რ ე გ ა ნ ძ ი, ვერცხლის მონეტებით სავსე კოჭობი, აღმოჩენილ იქნა გომი-საჩხერის გზასთან ახლოს 1971 წ. მიწის სამუშაოების დროს. თარიღდება XV-XVI სს-ით. განძში შედის 6 ც. ანონიმური შირვანული მონეტა, მოჭრილი ხალილულა I-ის (1417-1462 წწ.) მეფობაში, 53 ც. ფარუხ-იესარის (1462-1500 წწ.) დაკნინებული თანგი, უძველესი მონეტა 834 წ. ჰ. არის მოჭრილი, უახლესი — 848 წ. ჰ.

55 ც. მონეტა დაცულია ხაშურის მხარეთმც. მუზეუმში, ხოლო 4 ც. — საჩხერის რ-ნის სოფ. ქორეთის საშ. სკოლის მუზეუმში.

ბიბლ.: 120; 295 *ჯ. ი.*

016. ღვთისმშობლისა, ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 800 მ-ზე, მთის ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9X6,2 მ), ნაგებია რიყის ქვითა და ქვიშაქვით. ძლიერ დაზიანებულია — საბჯენი თაღი და კონქის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამონგრეულია. გადახურვა ცილინდრული ჰქონია. შესასვლელი სამხრ-იდანაა. ერთი სარკმელი საკურთხეველშია, მეორე — ჩრდ. კედელში. ნახევარწრიული აფსიდი დარბაზის სიგანისაა და მისგან გამოყოფილია პილასტრებზე დაყრდნობილი თაღით. *მ. გ.*

017. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. აშენებულია 1810-20 წწ. 1977 წ. ადგილ. მოსახლეობას შეუკეთებია.

ეკლ. გუმბათოვანია (14,35X10,62 მ) ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. სამხრ.-დას-ით მიშენებული აქვს ეგვტერი და სამრეკლო. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — დას-ით (ამოქოლილია) და სამხრ-ით, კედლის დას. მონაკვეთში. ეკლესიის შიდა სივრცეს ჯვრის ოთხი მკლავი და მათ გადაკვეთაზე აღმართული გუმბათი ქმნის. ჯვრის მკლავები სხვადასხვა სიღრმისაა: სამხრ. და ჩრდ. მკლავები მოკლეა, დას-ისა შედარებით ღრმაა, აღმ-ისა აფსიდით და ბემით მთავრდება. გუმბათქვეშა კვადრატი საკურთხევლის შვერილებსა და დას-ის ორ ბოძს ეყრდნობა. გრძივი კედლების ნახევარწრიული თაღები პილასტრების იმპოსტებსა და გუმბათქვეშა ბურჯებზე გადადის. აფსიდში და სამივე მკლავში თითო სარკმელია, გუმბათის ყელში — 12. აფსიდში სარკმლის ორივე მხარეს ღრმა თაღოვანი ნიშებია. საკურთხევლის ჩრდ-ით და სამხრ-ით პატარა სწორკუთხა სათავსებია — სადიაკვნე და სამკვეთლო. სამკვეთლოს აღმ. კედელში თაღოვანი სარკმელია, სამხრ-ისაში — მცირე ზომის სწორკუთხა ნიში. სადიაკვნის სამხრ. კედელში სწორკუთხა, ხოლო ჩრდ-ისაში პატარა ნახევარწრიული ნიშია. ამ სათავსში აღმ-ით ერთი თაღოვანი სარკმელია. ორივე სათავსი დას. კედელში გაჭრილი სწორკუთხა კარით ეკლესიის დარბაზს უკავშირდება.

ეკლესიის აღმ. ფასადზე, სარკმლის თავზე დიდი რელიეფური ჯვარია გამოსახული, დას. ფასადზე, კედელში დატანებულ ქვიშაქვის კვადრებზე — რელიეფური ხელი; აქვეა მხედრ. სამშენ. წარწერაც. ცილინდრული გუმბათის ყელი თორმეტწახნაგაა. წახნაგებს შორის თაღოვან შეღრმავებებში გაჭრილია სწორკუთხა სარკმლები. წახნაგების წიბოებს ერთმანეთთან თაღებით დაკავშირებული მსხვილი ლილვები დაუყვება. თაღებს ზემოთ შემორჩენილია ორი რელიეფური ჯვარი.

(ა) ე გ ვ ტ ე რ ი ს (6,7X3,88 მ) აღმ. კედელში გაჭრილი შესასვლელი უსწორო თაღით არის გადახურული. შიგნით ეგვტერი შელესილი და შეთეთრებულია. დას. კედელში განიერი სწორკუთხა ნიშია, ხოლო სამხრ. კედელში — ვიწრო თაღოვანი სარკმელი. სამხრ. კედელს მთელ სიგრძეზე საფეხური (სიმ. 0,4 მ) გასდევს.

(ბ) ს ა მ რ ე კ ლ ო (3,45X2,33 მ)

017 აღმ. ფასადი





017. გეგმა

ორსართულიანია, ნაგებია აგურით. იგი ეკლესიის სამხრ.-დას. კუთხეზეა მიდგმული. I სართული სამ მხარეს გახსნილია თაღოვანი მალებით. თაღები ეგვტერის დას. კედელსა და ორ თავისუფლად მდგომ სვეტს ეყრდნობა. II სართული ოთხივე მხარეს გახსნილია თაღებით და გადახურულია პირამიდული სახურავით. *დვ. თ.*

**018. ნაქალაქარი** (კ ო მ პ ლ ე ქ ს ი), არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს მდ. ჭერათხევის ზედა ნაწილში, სოფლის ჩრდ-ით. ნაგებობები სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XVI-XVII სს-ით. შემორჩენილია ღვთისმშობლის გუმბათოვანი ეკლ., უსანეთის ბაზილიკური ეკლ. და სამრეკლო.

(ა) ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა დგას ნ-ის დას. ნაწილში. დაზიანებულია — სახურავი, კედლების ნაწილი, ლავგარდანი ჩამონგრეულია.

ეკლ. გუმბათოვანია (14,5X10,9 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. შესასვლელი ორი აქვს — სამხრ-ით და დას-ით. გუმბათი საკურთხევლის კუთხეებს და დას-ის ორ თავისუფლად მდგომ ბოძს ეყრდნობა. გუმბათქვეშა და დანარჩენი თაღები და კამარები ისრულია. სამი საფეხურით ამაღლებული ღრმა საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის გვერდებზე კვადრ. ნიშებია, ხოლო მათ ზემოთ — საიდუმლო სათავსებში ასასვლელი ხვრელები. ეს სათავსები მაღალია, გეგმით სწორკუთხა. მათ ქვეშ ასევე სწორკუთხა სამკვეთლო და სადიაკვნეა. დას-ის მკლავის კამარა დაკიდულ პილასტრზე გადასულ თაღზეა დაყრდნობილი. ჩრდ. კედლის ნიშში სანათლავია. აფსიდის ღერძზე და სამივე მკლავში თითო სარკმელია, გუმბათის ყელში — თორმეტი. ეკლესიის ინტერიერი შეთეთრებულია.



018(ა). გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

018(ა). აღმ. ფასადი



ეკლესიის ცოკოლი ერთი საფეხურითაა გამოწეული. ფასადებზე კარ-სარკმლის საპირეები ამოყვანილია აგურით. სამხრ. ფასადზე უსწორო ქვაზე მზის საათია ამოკვეთილი. აღმ. ფასადზე მარცხ. სარკმლის ქვემოთ გამოსახულია მარტივი ჯვარი. აგურის თორმეტწახნაგა პირამიდული გუმბათის წახნაგები გაწყობილია უწყვეტი თაღედით.

(ბ) უ ს ა ნ ე თ ი ს ე კ ლ ე ს ი ა მდებარეობს ნ-ის განაპირას, ჩრდ-ით, ფერდობზე. ეკლ. სამნავიანი ბაზილიკაა (15,2X10,6 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, კონსტრ. ნაწილებში ნახმარია თლილი ქვა. დაზიანებულია — ჩამონგრეულია სახურავის და კედლების დიდი ნაწილი, ლავგარდანი. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. ნავები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ორი წყვილი ბოძითა და მათზე გადაყვანილი სამ-სამი თაღით. კამარები, კონქი და თაღები ყველგან ისრულია. თლილი ქვით გამოყვანილი თაღები პილონების მარტივ ქვის იმპოსტებს ეყრდნობა. საკურთხეველი ამაღლებულია. ნახევარწრიულ აფსიდში დიდი სწორკუთხა სარკმელია. აფსიდის გვერდებზე სამკვეთლო და სადიაკვნეა, რ-ებიც აფსიდს ღიობით უკავშირდება, ხოლო დარბაზს მაღალი თაღებით. ეკლესიის შუა ნავის დას. კედელში ერთი ოთხკუთხა სარკ-



018(ბ). სამხრ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა

მელია. სამხრ. ნავში და შუა ნავის ზედა ნაწილში — სამ-სამი. სამკვეთლოსა და სადიაკვნეს თითო სარკმელი აქვს. ჩრდ. კედლის ნიშში სანათლავია.

უსანეთის ეკლესიაზე ალმ-იდან მიდგმული ორსართულიანი (ვ) ს ა მ რ ე კ ლ ო (4.2X4,2 მ) ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. ქვედა სართული სამ მხარეს გახსნილია თაღებით. პროფილირებული იმპოსტები და მათზე დაყრდნობილი ისრული თაღები ამოყვანილია აგურით. II სართული პირამიდული გუმბათით გადახურული ექვსწახნაგა ფანჩატურია. ზარების დასაკიდი გადახურულია კონუსური გუმბათით. ფანჩატურის მასიურ ბოძებს მარტივი კაპიტელები და ბაზისები აქვს. აგურის ლავგარდნის ოთხი მჭრიჟიდან ორი დაწყობილია კბილანებად. ზ. პ.

018(ა). ფასადი, განაკვეთი, სართულების გეგმები



019. ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას მდ. ჭერათხევის ხეობაში. სამხრ. შესასვლელის თავზე მოთავსებული სამშენ. მხედრ. წარწერის თანახმად, ეკლ. აგებულია 1871 წ. ალექსი კველიევის (კველიშვილი) შემწეობით ადრე აქ არსებული ულუმბის მონასტრის ადგილზე.

ულუმბის მონასტერი ერთ-ერთ ასურელ მამათაგანს მ ი ქ ე ლ  უ ლ უ მ ბ ე ლ ს დაუარსებია (დასაფლავებულია იქვე). XIV ს. ულუმბის მონასტერი თემურლენგის ლაშქარს დაუნგრევია. ამ ადგილის მფლობელს ქუცნა ამირეჯიბს მონასტერი აღუდგენია. XVIII ს-ის I ნახ-ში ულუმბის მონასტერი ისევ მოქმედი იყო. XIX ს-ში კი უკვე დაზიანებული მონასტრის ნაგებობები, რ-ის კედლებზე შემორჩენილი იყო ქუცნა ამირეჯიბისა და მისი ოჯახის წევრების პორტრეტები, ისევ დაუნგრევიათ და მის საძირკველზე ახლანდ. ეკლ. აუშენებიათ.

ეკლ. დარბაზულია (15,95X9,33 მ), ნაგებია ნატეხი ქვითა და ქვიშაქვის კვადრებით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ით აქვს. სამხრ-ის თაღოვანი კარი (ძველი ეკლესიისაა) ამოქოლილია. აფსიდი ნახევარწრიულია. ალმ-ით, აფსიდში, და დას-ით თითო სარკმელია, სამხრ-ით და ჩრდ-ით — ორ-ორი. დარბაზის გრძივი კედლების პილასტრებზე გადადის საბჯენი თაღები, რ-ებსაც ეყრდნობა ცილინდრული კამარა. სამხრ. და ჩრდ. კედლებზე კედლის დეკორატ. თაღებიცაა. აფსიდის საძირკველში ქვიშაქვაზე შემორჩენილია XI ს-ის მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული ძეგლი, ასომთ. წარწერის ფრაგმენტი: „ქრისტე ადიდე შენ მიერ დამყარებული შენ მიერ გჳრგჳნოსანი სამოთხველად ცამდე ამაღლებული უძლეველი გიორგი მეფე ყოვლისვე აღმოსვლისაეე..."

ბიბლ.: 132; 154 გვას. ჯ.

020. ჯანიაურების ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის გარეუბანში. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XVIII ს-ით. ძლიერ დაზიანებულია — კედლების ზედა ნაწილი და გუმბათი ჩამონგრეულია.

ეკლ. გუმბათოვანია (14,3X10,4 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ით ჰქონდა. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ჩრდ-ით მაღალი ისრულთაღიანი ნიშია, აფსიდის ზედა სამხრ. ნაწილში საიდუმლო ოთახში გასასვლელი ხვრელია. აფსიდის გვერდებზე სწორკუთხა სადიაკვნე და სამკვეთლოა. ორივე სათავსს თითო სარკმელი აქვს და ეკლესიის დარბაზს ღიობით უკავშირდება. მათ თავზე საიდუმლო ოთახებია. სამივე მკლავში თითო სარკმელია. ეკლესიის თაღები და კამარები ისრულია.

სამხრ. ფასადზე შესასვლელი შემოსილია ქვით, რ-ზეც გრეხილი ლილვებია გამოყვანილი, გვერდებზე ამოკვეთილია ექვსქიმიანი ვარსკვლავები. ზ. პ.

020. გეგმა, სამხრ. ფასადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ





# ახალსოფელი

(ოსიაურის სოფსაბჭო)

021. ნამოსახლარი და მაცხოვრის ეკლესია, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 1 *კმ*-ზე. (ა) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. გამოვლინდა შენობათა რიყის ქვით ნაგები საძირკვლის ნაშთები და ფეოდ ხანისათვის დამახასიათებელი წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ჩაკირული დიდი ზომის ქვევრის პირ-გვერდის ნამტვრევები და სხვ.

ნამოსახლარზე ამჟამად დგას გვიანდ. ფეოდ. ხანის დარბაზული (ბ) მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, რ-იც ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. *ნ. ა.*

022. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით 1 *კმ*-ზე, საავტ. გზის მარცხ. მხარეს. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე გამოვლინდა შენობათა რიყის ქვით ნაგები საძირკვლები და წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. მდინარის ფლატეში ჩანს დიდი ზომის ქვევრები, თონეები და სხვ. *ნ. ა.*

023. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 1 *კმ*-ზე, მოქმედი სასაფლაოს ტერიტორიაზე, ე. წ. გორაკზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. 1947 წ მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა რამდენიმე ორმოსამარხი. მიცვალებულები დაკრძალულია ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდ.-დას-კენ. სამარხებში აღმოჩნდა შავად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭელი. ზედაპირულად იპოვება ანალოგიური ჭურჭლის ნამტვრევები, რ-ებიც სამარხეული ინვენტარის ნაწილი უნდა იყოს. მასალის ნაწილი დაკარგულია *ნ. ა.*

# ბელლეთი

(ქვიშხეთის სოფსაბჭო)

024. ნამოსახლარი და წმ. გიორგის ეკლესია, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით 200 *მ*-ზე, ბელლეთის გორაზე, სასაფლაოზე. (ა) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი (ფართ. 40X25 *მ*) თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. გორის სიმაღლე 50 *მ*-ია. ზედაპირი ხელოვნურადაა მოსწორებული. იპოვება შავად და ნაცრისფრად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ზოგიერთ მათგანზე კარგად შეიმჩნევა ნაკაწრი ორნამენტი.

ნამოსახლარზე დგას (ბ) წ მ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა. თარიღდება XX ს. დასაწყისით. ეკლ. დარბაზულია (6,1X3,6 *მ*), ნაგებია კირქვის კვადრებით და რიყის ქვით. შიგნით და გარეთ შელესილია. შესასვლელი ორი აქვს, დას-ით და სამხრ-ით. ნახევარწრიულ აფსიდში, აგრეთვე დასისა და სამხრ-ის კედლებში, თითო სარკმელია. *ნ. ა.*

025. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XIX ს-ით. ეკლ. დარბაზულია (7,4X5,2 *მ*), ნაგებია ქვიშაქვით, კამარა და კონქი ხისაა. შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავული. შესასვლელი ორია — სამხრ-ით და დას-ით (ამოქოლილია). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რ-ის გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშია. ეკლესიის დანარჩენ კედლებშიც თითო ფართო თაღოვანი სარკმელია. კონქის საყრდენი ხის თაღი მარტივი პროფილის ქვის იმპოსტებს ეყრდნობა, ხოლო დას-ისა კუთხის კრონშტეინებს.

ეკლესიის ფასადები შელესილი და შეთეთრებულია. სამხრ-ის ფასადზე შესასვლელი შეღრმავებულ სწორკუთხედშია ჩასმული, ხოლო არქიტრავის თავზე პატარა თაღოვანი შეღრმავებაა. არქიტრავზე გამოსახულია პატარა ჯვარი. კედლები დასრულებულია ქვიშაქვის მარტივპროფილიანი ლავგარდნით. ეკლესიას თუნუქის ორფერდა სახურავი აქვს. *დვ. თ.*

025. სამხრ. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



# ბიჯნისი

(სურამის სადაბო საბჭო)

026. წმ. მარინეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (11,2X6,95 *მ*), ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვიშაქვით. წყობა ირეგულარულია. ეკლ. თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი კედლების სიმაღლე დაახლ. 0,6-0,8 *მ*-ია. შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონია (შემორჩენილია ორი წირთხლი). ნახევარწრიულ აფსიდში სატრაპეზო ქვა დგას. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო ორსაფეხურიანი პილასტრია, ხოლო დას. კედლის ჩრდ. კუთხესთან შემორჩენილია ასეთივე პილასტრის ფრაგმენტი. *დვ. თ.*

# ბრილი

(ალის ხოფსაბჭო)

027. ბრილის ჯვარი, დ ა ე ი თ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი, ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. აღმოჩენილ იქნა 1898 წ. სოფლის ცენტრში, ადგილ. გლეხის, ქართველიშვილის მარნის (ამჟამად არ არსებობს) კედელში. ჯვარი (სიგრ. 27,2 *სმ*; სიგ. 16,2 *სმ*) ფეოდ. ხანის ქართ. ჭედური ხელოვნების ნიმუშია. ინახება საქართვ. ხელოვნ. მუზეუმში *კ. კ.*

028. ეკლესია ბერისა, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირა უბანში, ჩრდ-ით, სასაფლაოზე. ეკლ. დარბაზულია (7,8X5,6 *მ*), ნაგებია დიდი ზომის (3X1 და 2,2X1,2 *მ*) კირქვით ეკლ. დანგრეულია — შემორჩენილია 0,8 *მ*-ის სიმაღლის კედლები და ნახევარწრიული აფსიდის ჩრდ-ის გვერდი მხართან ერთად. შესასვლელი ეკლესიას სამხრ-ით ჰქონია. *დვ. თ*

029. სომხების საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით 1,5 *კმ*-ზე, დიდი წიფლის ღელის მარცხ. ნაპირზე, ტყეში. ეკლ. დარბაზულია. (6,6X4,6 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის კირქვითა და ბაზალტის ქვით. დანგრეულია — შემორჩენილია 3 *მ* სიმაღლეზე საკურთხევლის და დარბაზის კედლების მცირე ნაწილი. შესასვლელი სამხრ-ით ჰქონია. აფსიდი ნახევარწრიულია. ეკლესიის სამხრ.-აღმ. კუთხესთან შემორჩენილი კედლის ნაწილი აღმ-ით მდებარე ბაქნის საყრდენ კედელს წარმოადგენს. *დვ. თ.*

030. ქვაბთაკერის წმ. ნინოს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას. ნაწილში, ქვაბთაკერის ღელის ნაპირას. დას. კედელში ჩატანებული ცხრასტრიქონიანი მხედრ. საამშენ. წარწერის თანახმად, აშენებულია



030. გეგმა

ერეკლე I მეფობაში (1688-1703 წწ.) დიასამიძის მიერ.

ეკლ. დარბაზულია (8,3X5,6 მ), ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით და აგურით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია სახურავი, სამხრ. კედელი მთლიანად და ჩრდ. კედლის ზედა ნაწილი, ამოცვენილია საპირე ქვები. ეკლ. 0,5 მ-ის სიმაღლეზე მიწით არის ამოვსებული, დარბაზში ხეა ამოსული. კონქი და ორივე სარკმლის თაღები შეკეთების დროს აგურით ამოუყვანიათ.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს, სამხრ-ით და დას-ით. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის გვერდებზე მაღალი თაღოვანი ნიშებია. ასეთივე სარკმელია დას. კედლის ზედა ნაწილში. დას. შესასვლელს ორი თლილი ქვისგან შედგენილი ოდნავ შეისრული თაღი აქვს.

*ბიბლ.:* 154 *დვ. თ.*

031. ღვთაების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XI ს-ით. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ეკლ. გადაუკეთებიათ და მისთვის სამხრ-იდან კარიბჭე მიუშენებიათ.

ეკლ. დარბაზულია (8,7X5,5 მ). პირველი საშენ. ფენა ნაგებია კირქვით და ბაზალტის ქვით, ხოლო მეორე (კამარა, კონქი, კარ-სარკმლის წირთხლები და თაღები) — კვადრ. აგურით. შესასვლელი ორი აქვს; დას-ისა შიგნიდან სწორკუთხაა, გარედან გადახურულია შეისრული თაღით, სამხრ-ის ფართო და თაღიანი შესასვლელი კარიბჭეში გადის. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. თითო ფართო თაღოვანი სარკმელია დანარჩენ სამ კედელშიც. აფსიდის ჩრდ. მხართან და სარკმლის გვერდებზე თითო თაღოვანი ნიშაა. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია აფსიდის ფართო მხრებზე დაყრდნობილი შეისრული სატრიუმფო თაღით. თაღის ქუსლებთან თაროსა და შეღრმავებული სიბრტყისაგან შედგენილი ბაზალტის იმპოსტებია. დარბაზის შეისრული კამარის საბჯენი თაღი თაროს, ლილვისა და დახრილი სიბრტყისაგან შედგენილი ბაზალტის კრონშტეინებზეა დაყრდნობილი. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია. ეკლესიის დას. კედელზე და საკურთხეველში ნალესობის ქვეშ შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები, რ-იც XVII ს-ით თარიღდება. საკურთხევლის მხატვრობა სამ რეგისტრადაა დაყოფილი. კონქის კომპოზიცია დალუპულია. მის ქვემოთ შემორჩენილი ორი რეგისტრიდან ზედა შედარებით ვიწროა. მეორე რეგისტრში ერთ მწკრივად განლაგებულია ექვსფრთედები. შემდეგ რეგისტრში ეკლესიის მამათა ფრონტალური ფიგურებია. თითოეულ მათგანს ერთ ხელში წიგნი უჭირავს, მეორე ხელით აკურთხებს (ხელი ზოგს გვერდზე აქვს გაწვდილი, ზოგს მკერდთან მიტანილი). ზოგიერთი მამის სამოსი ჭადრაკისებრი ორნამენტითაა შემკული. არის პამატებში ჩასმული ჯვრებიც. წმიდა მამათა ფიგურები შედარებით მცირე ზომისაა და მოჩარჩოებულია თაღნარით. ფიგურებს ახლავს ასომთ. წარწერები, რ-ებიც ძლიერ დაზიანებულია. წმინდანთა სახეებზე გაირჩევა ყავისფერი ჩრდილები, წვრილი მონაცრისფრო-თეთრი და ყავისფერი ხაზებით დამუშავებული წვერი და თმა. მხატვრობა დასრულებულია სქემატური ყვავილოვანი ორნამენტით. კოლორიტი აგებულია ყვითელი, ყავისფერი, ღია და მუქი მოწითალო-ყავისფერი, შავი, მონაცრისფრო-თეთრი და მუქი ლურჯი ფერების შეხამებაზე.

031. აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა







(ბ) კ ა რ ი ბ ჭ ე (3,9X4 მ) სამი მხრიდან გახსნილი იყო ფართო ნახევარწრიული თაღებით, რ-თაგან ორი ამოშენებულია. კარიბჭეს სამხრ-ით სწორკუთხა შესასვლელი აქვს. იგი გადახურულია აგურით ნაწყობი ვარსკვლავა კამარით.

კარიბჭის სამხრ. ფასადზე ფრონტონის წყობაში ჩასმულია ეკლესიის ძვ. კანკელის სტილიზებული მცენარეული ორნამენტით მოჩარჩოებული ქვიშაქვის დაზიანებული ფილა, რ-იც სტილისტ. ნიშნებით XI ს-ის I ნახ-ით თარიღდება. ფილაზე *ფერისცვალების* რელიეფური კომპოზიციაა წარმოდგენილი. შუაში გამოსახულია ქრისტე ჯვრული შარავანდით, მისგან მარცხნივ მოსეა, მარჯვნივ — ილია. ორივე ქრისტესკენაა გადახრილი. ილიას და ქრისტეს შორის რთულ მოძრაობაში გამოსახულია ერთ-ერთი მოციქულთაგანი. მოციქულის ატანა კომპოზიციის ზედა ნაწილში, ქრისტეს გვერდით, უჩვეულოა ფერისცვალების კანონიკური იკონოგრაფიისათვის. ფილის თავისუფალ არეზე შემორჩენილია ამოკაწრული ასომთ. წარწერები (დაზიანებულია) და საღებავით შესრულებული ასომთ. წარწერის ფრაგმენტები.

ეკლესიისა და კარიბჭის ფასადები დასრულებულია აგურის ლავგარდნით. შენობას კრამიტის ორფერდა სახურავი აქვს. *დვ. თ., დ. ფ.*

032. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 2 კმ-ზე, დიდი წიფლისა და ნამყენების ღელეების მაღალ წყალგამყოფ სერზე, ციხის დანგრეული გალავნის აღმ. კიდეში. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება IX-X სს-ით. ეკლ. დაზიანებულია: დანგრეულია კამარა, კონქისა და ჩრდ. კედლის ნაწილი, სამხრ. კედელი აფსიდის მხართან, ამოცვენილია საპირე ქვების დიდი ნაწილი. შესასვლელი დას-იდანაა (შემორჩენილია არქიტრავის ბუდეები).

ეკლ. დარბაზულია (6,2X5 მ), ნაგებია კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით, პორიზ. ნაკერების სწორხაზოვნება მკაცრადაა დაცული. ეკლესიის აფსიდის ნაწილი გალავნის სწორკუთხა შვერილზეა აგებული, ხოლო დას. მონაკვეთი, რ-იც გალავნის შიგნითაა მოქცეული, ქვიშაქვის ერთსაფეხურიან ცოკოლზე დგას. ეკ-



032. ალმ. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

ლესიაში შესასვლელი სამხრ-იდანაა. ოდნავ ნალისებრი აფსიდის ღერძზე გაჭრილია დაბალი თაღით გადახურული სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო მცირე სწორკუთხა ნიშია. ჩრდ-ით შემორჩენილია საკურთხევლის კონქის თაღის თაროთი და შეწყვილებული ლილვით შედგენილი იმპოსტი. თითო თაღოვანი სარკმელი სამხრ-ის და დას-ის კედლებშია. დარბაზის გრძივი კედლები ორსაფეხურიანი პილასტრებით გაყოფილია ორ ნაწილად. შემორჩენილია სამხრ-ის პილასტრი და თაროთი და ორი შეწყვილებული ლილვით შედგენილი იმპოსტი. გრძივი კედლების ნაწილებიდან დასავლეთისა ორნახევარჯერ მეტია აღმოსავლეთისაზე და შემოფარგლულია კედლის დეკორატ. თაღით, რ-იც დაყრდნობილია პროფილირებულ კრონშტეინებზე. დარბაზის დას. კედლის შუიდული საბჯენი თაღი ასეთივე კრონშტეინებს ეყრდნობა.

ეკლესიის სამხრ-ის ფასადზე გრეხილი ლილვით მოჩარჩოებული თაღოვანი სარკმელია. შესასვლელი თაღოვან შეღრმავებაშია. მისი მოჩუქურთმებული საპირის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი. ეკლესიის შესასვლელთან აღმოჩენილ იქნა ქვიშაქვის ფრაგმენტი ასომთ. წარწერით, რ-იც პალეოგრაფიული ნიშნებით IX-X სს-ით თარიღდება. ფრაგმენტი ინახება ხაშურის მხარეთმც. მუზეუმში. *დვ. თ.*

033. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით 2 *კმ*-ზე, სურამბრილის გზის მარჯვ. მხარეს, მუხნარში. ნაგებია არაწესიერი ფორმის ქვიშაქვით. დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. კედლის 2,5 *მ* სიგრძის მონაკვეთი. *დვ. თ.*

## ᲑᲣᲚᲑᲣᲚᲘᲡᲪᲘᲮᲔ

(ქვიშხეთის სოფსაბჭო)

034. ᲥᲕᲘᲨᲮᲔᲗᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან სამხრ.-დას-ით 1,5 *კმ*-ზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. აგებულია რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია: ჩრდ. და აღმ. კედლები დანგრეულია. შემორჩენილია ნახევარწრიული გოდოლის ნაშთი დას. ნაწილში და სამხრ-ის სათოფურებიანი კედელი (სიმ. 5 *მ*, სიგრ. 35 *მ*; კედლის სისქე ზედა ნაწილში 1,2 *მ*, ქვედაში — 2 *მ*). ძ. ც. მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო აღმ. და დას. საქართველოს დამაკავშირებელ გზაზე. *გვას. ჯ., ზ. პ., ნ. ა.*

034. ხედი ალმ-იდან



## ᲑᲣᲓᲐᲣᲠᲐ

(სურამის ხადაბო საბჭო)

035. ᲬᲛ. ᲛᲐᲠᲘᲜᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრ. ნაწილში, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,6X5,3 *მ*), ნაგებია უხეშად დამუშავებული დიდი ზომის ქვიშაქვით. დანგრეულია — შემორჩენილია მხოლოდ 1 *მ* სიმაღლის კედლები, რ-ებიც გარედან დაფარულია მიწით. შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონია. სწორკუთხა საკურთხევლის აღმ. კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა, რ-ის ქვედა ნაწილში ჩაღრმავებული ჯვარია გამოსახული. ჩრდ. კედლის შუა მონაკვეთში შემორჩენილია ერთსაფეხურიანი პილასტრის ძირი. *დვ. თ.*

## ᲒᲐᲚᲐᲜᲫᲘᲠᲘ,

ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი, იხ. სოფ. ქ ვ ი შ ხ ე თ ი, ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი გ ა ლ ა ნ ძ ი რ ი.

## ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡᲣᲑᲐᲜᲘ

(სურამის ხადაბო საბჭო)

036. ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 500 *მ*-ზე, ამაღლებულ ადგილას. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (11X6 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-ით აქვს. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და ერთი ნიშია. დანარჩენ სამ კედელშიც თითო სარკმელია. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო პილასტრი და ორ-ორი დეკორატ. თაღია. ეკლესიას ცილინდრული კამარა და შიფერის (გვიანდელია) ორფერდა სახურავი აქვს. *გვას. ჯ.*

## ᲒᲝᲚᲐᲡ ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲘ,

იხ. სოფ. მ ი წ ო ბ ი, წ მ. ს ტ ე ფ ა ნ ე ს ე კ ლ ე ს ი ა

## ᲒᲝᲛᲘ

(სოფსაბჭოს ცენტრი)

037. სოფ. გ ო მ შ ი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში მოხდა მშრომელთა რამდენიმე რევ. გამოსვლა.

(ა) 1905 წ. მარტში გლეხებმა გამართეს ყ რ ი ლ ო ბ ა, რ-ზეც დაადგინეს სოფლის თვითმმართველობის დაწესება და მემამულეთა მიწებით უსასყიდლოდ სარგებლობა.

(ბ) იმავე წლის 13 ნოემბ. რ კ ი ნ ი გ ზ ი ს ს ა დ გ უ რ თ ა ნ ახლო სოფლების 600-მდე გლეხი შეიკრიბა მ ი ტ ი ნ გ ზ ე. მიღებულ იქნა რეზოლუცია, რ-შიც გლეხები მოითხოვდნენ საუფლისწულო უწყების, ხაზინისა და მემამულეთა მიწების ჩამორთმევას და გლეხებისათვის გადაცემას.

(გ) 1906 წ. შემოდგომაზე გომის რ კ ი ნ ი გ ზ ი ს ს ა დ გ უ რ ი ს მახლობლად ცხენოსან პოლიციასთან უთანასწორო ბრძოლაში მოკლულ

იქნა რხლმა გორის მაზრის ორგანიზაციის წევრი მაქრო ვალიევი.

ბიბლ.: 266; 298; 413:1905 წ., 15 ნოემბერი. № 2950 *ანთ. ი., ვ. შ.*

038. აბარების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, სოფ. გომსა და სოფ. სატივეს შორის, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ძლიერ დაზიანებულია. ეკლ. დარბაზულია (10,6X6,07 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი ორი აქვს, დას-ითა და სამხრ-ით. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო ნიშია. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია ხის კანკელით. კანკელზე გადაკრულია მოხატული თუნუქის ფირფიტები. კონქზე შემორჩენილია მოხატულობის ოდნავ შესამჩნევი ფრაგმენტები. ორსაფეხურიანი სატრიუმფო თაღის საყრდენი პილასტრები წაკვეთილია იატაკიდან 1,6 *მ*-ზე.

ფასადებიდან გადარჩენილია მხოლოდ აღმ-ისა, რ-საც თლილი ქვიშაქვით ამოყვანილი კუთხეები და აგურის შვერილი ლავგარდანი აქვს. ფრონტონში ჩასმულ სწორკუთხა ქვაზე ამოკვეთილია ორნამენტი. *გ. კ.*

038 გეგმა



039. კოშკი, არქეოლ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით 1 *კმ*-ზე, სარწყავი არხის პირას. სწორკუთხა ძ. ნაგებია ქვიშაქვით და რიყის ქვით. დანგრეულია — შემორჩენილია მხოლოდ ერთი კუთხის ნაწილი. *დე. თ.*

040. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით 1 *კმ*-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (6,95X4,55 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით. ნახევრად დანგრეულია — კედლები 3 *მ* სიმაღლეზეა შემორჩენილი. მოგვიანებით შეუკეთებიათ რიყის ქვით. შესასვლელი სამხრ-ითაა. აფსიდი ნახევარწრიულია. *გვას. ჯ.*

## გორგოტი,

ნამოსახლარი, იხ. სოფ. ტკოცა

## დამჩხრეულა

(ცხრამუხის სოფსაბჭო)

041. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 300 *მ*-ზე, სასაფლაოზე. დანგრეულია — შემორჩენილია მხოლოდ ქვიშაქვით ნაგები დას. კედლის ფრაგმენტი და გრძივი კედლების კონტურები. ნაეკლესიარზე ამჟამად ხის პატარა ეკლესია დგას. *დე. თ.*

## დიდი ბეკამი

(სურამის სადაბო საბჭო)

042. სოფ. ბ ე კ ა მ შ ი 1858 წ. ბოლოს მოხდა გლეხების აგრარულ-რევ. ხასიათის გამოსვლა ფეოდალ ს. აბაშიძის წინააღმდეგ. გლეხებმა უარი განაცხადეს გადასახადზე. გამოსვლის მოთავეები დააპატიმრეს. 1860 წ. 6 მაისს სოფელში ჩააყენეს სამხ. ეგზეკუცია. გლეხები იძულებული გახდნენ დროებით შეეწყვიტათ ბრძოლა. გლეხთა გამოსვლას უშედეგოდ არ ჩაუვლია — დაშინებულმა ფეოდალმა ფულადი გადასახადები თითქმის ერთი მესამედით შეამცირა. *ჩ. თ.*

043. ეკლესია კვართა, წ მ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 1 *კმ*-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,1X4,6 *მ*), ნაგებია თლილი ქვით. შესასვლელი ორი აქვს, სამხრ-ითა და დას-ით (გაუქმებულია). ნახევარწრიულ აფსიდში სარკმელი და ორი ნიშია. თითო სარკმელი გრძივ კედლებშია. აღმ. ფასადზე სარკმელთან ამოკაწრულია: „შე...შ" (შემიწყალე). *ნ. ა.*

044. სავანეთის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XVIII ს-ით. XIX ს-ში შეკეთებული და გადაკეთებულია. დას-ის კედელი გადაწეულია დას-ით და შენობა დაგრძელებულია. აღმ-ის კედელზე დაშენებულია სამრეკლო. ეკლესიას სამხრ-ით და ჩრდ-ით ჰქონია მინაშენები, რ-ებიც ეკლესიის შიდა სივრცეს ფართო თაღოვანი გასასვლელებით უკავშირდებოდნენ. 1940-იან წლებში მინაშენები მოუნგრევიათ და გასასვლელები ამოუშენებიათ. შემორჩენილია ჩრდ. მინაშენის მცირე ფრაგმენტი. 1980 წ. ეკლ. შეაკეთეს და ბეტონის ორფერდა სახურავით გადახურეს.

ეკლ. დარბაზულია (13,8X5,2 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვითა და აგურით. აქვს ორი სწორკუთხა შესასვლელი, დას-ით (ამოქოლილია) და სამხრ-ით. „კოეზისმაგვარი" კონქით გადახურული ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილია ვიწრო სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის გვერდებზე ორი მცირე თაღოვანი და ორი დიდი სწორკუთხა ნიშია. თითო თაღოვანი სარკმელი დას. და ჩრდ. კედლებშია. სამხრ-ის პარალელურწირთხლებიანი ფართო სწორკუთხა სარკმელი გადაკეთებულია. ეკლესიის დარბაზის შეისრული კამარა ოთხ შე-



044 გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა

კიდულ საბჯენ თაღს ეყრდნობა. აღმ-ის თაღი საკურთხევლის აფსიდის სატრიუმფო თაღის დანიშნულებას ასრულებს. დარბაზის დას. ნაწილში ხის პატრონიკეა.

ფასადები შელესილია. აღმ-ის და დას-ის ფასადზე აგურის წყობით გამოყვანილია შეღრმავებული ჯვრები. სამხრ. ფასადზე სარკმლის თავზე აგურის ორსაფეხურიანი ფრიზით დასრულებული პატარა სწორკუთხა ნიშია ამავე ფასადზე სარკმლის ღიობის კვალი ჩანს.

ს ა მ რ ე კ ლ ო ოთხ მხარეს ნახევარწრიული თაღებითაა გახსნილი და დასრულებულია პირამიდული სახურავით. *დე. თ.*

045. სარკოფაგი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 1 *კმ*-ზე. ეკლ. კვართას აღმ-ით 100 *მ*-ზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ს-ს ქვიშაქვის ნავისებური ხუფი აქვს. ხუფის ერთ ბოლოზე ჯვარია ამოკვეთილი. ს. ერთი ქრისტ. მიცვალებულისათვისაა განკუთვნილი. ს-ის ძირითადი ნაწილი დატოვებულია ადგილზე; ხუფი ინახება ხაშურის მხარეთმც. მუზეუმში. *ნ. ა.*

## დიდი თხინალა

(ხცისის სოფსაბჭო)

046. ნაეკლესიარი (ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა), არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, სასაფლაოზე. ეკლესიის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. გეგმის კონტურის გარჩევა არ ხერხდება. ნ-ზე ამჟამად პატარა ნიში დგას. *დე. თ.*

## დიდი სატივე

(გომის სოფსაბჭო)

047. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 500 *მ*-ზე. აშენებულია XIX ს-ის შუა წლებში

ა. ი. ბაგრატიონ-დავითაშვილის (დავიდოვის) დაკვეთით. ეკლ. დარბაზულია (10,4X6,16 მ), ნაგებია ქვიშაქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში და დარბაზის სამხრ. და დას. კედლებში თითო სარკმელია. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს ნიშებია. საკურთხევლის წინ დგას კ ა ნ კ ე ლ ი. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია. ეკლ. გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-ის საბჯენი თაღი გრძივი კედლების პილასტრებს ეყრდნობა. ინტერიერში ჩრდ. კედლის დას. ნაწილში ჩასმულ მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილია სამშენ. წარწერა, დას. ფასადის კარის გასწვრივ კედელში ჩატანებულ ქვაზე — ჯვარი.

დას-ით ეკლესიაზე მოგვიანებით მიშენებული მაღალი პროპორციების აგურით ნაგები ს ა მ რ ე კ ლ ო ა (3,2X3,2 მ). I სართული ოთხივე მხარეს გახსნილია თაღებით და დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნით. II სართული ფანჩატურია. იგი I სართულთან შედარებით ვიწროა. ორივე სართულს გუმბათოვანი გადახურვა აქვს. დე. თ.

## დიდი ფლევი

(ფლევის სოფსაბჭოს ცენტრი)

048. წმ. გიორგის დიდი ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, სასაფლაოზე. აგებულია XIX ს-ის ბოლოს. დაზიანებულია — ხის კამარა და კონქი არ არის შემორჩენილი.

ეკლ. დარბაზულია (14,6X8,7 მ), ნაგებია თლილი კირქვით, ნატეხი ქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა (ამოშენებულია). კარები შიგნიდან აგურის თაღებითაა გადახურული, გარედან — კირქვით. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე მოზრდილი თაღოვანი სარკმელია. სარკმლის გვერდებზე თითო ნახევარწრიული თაღოვანი ნიშია. აფსიდის მხრებით დარბაზისგან გამოყოფილი საკურთხევლის ბაქანი ამაღლებულია და წინ არდაბაგი ეკვრის. გრძივ კედლებში ორ-ორი სარკმელია. ყველა სარკმელს აგურით ამოყვანილი ნახევარწრიული თაღი აქვს. გრძივ

048. გეგმა







048. ხედი სამხრ.-დას-იდან, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ

კედლებზე წყვილი პილასტრია, დას-ით — კუთხის პილასტრები. დას-ის ფასადზე, კარის თავზე აგურის წყობით გამოყვანილია ჯვარი. ეკლესიას ხის კონსტრუქციის ორფერდა სახურავი აქვს. დე. თ.

049. წმ. გიორგის მცირე ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, სასაფლაოზე, დიდი ეკლესიის გვერდით. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. ნაგებობა დაზიანებულია.

ეკლ. დარბაზულია (7,4X8 მ), აგებულია თლილი კირქვით. ჩრდ-ით ჰქონდა მ ი ნ ა შ ე ნ ი, რ-ის კამარა

049. გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა





ეკლესიის ჩრდ. კედელს გადაბმული წყობით უკავშირდებოდა. ამჟამად მინაშენის კამარის მხოლოდ ქუსლია შემორჩენილი. ეკლესიის თაღოვანი შესასვლელი ჩრდ-ითაა. იგი ადრე მინაშენში გადიოდა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. ახეთივე სარკმელია სამხრ. კედლის დას. ნაწილში. საკურთხეველი, რ-იც კონქით იყო დასრულებული, დარბაზისგან აფსიდის მხრებითაა გამოყოფილი. გრძივი კედლები წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრით ორ პატარა თანაბარ სათავსად (კომპარტიმენტად) იყოფა. პილასტრების პირველი საფეხურის თაროსებრ იმპოსტებს კედლის დეკორატ. თაღები ეყრდნობა, მეორეს — კამარის საბჯენი თაღი. დას. კედელზე ორსაფეხურიანი პილასტრებია. ინტერიერი შელესილია. კედლებზე მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტების კვალი ჩანს. დას. ფასადზე შემორჩენილია თლილი ქვების სწორხაზოვანი წყობა. ო. ა., ბ. მ.

## დიდი ყელეთი

(წრომის სოფსაბჭო)

050. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 400-500 მ-ზე, ლადიჯვრის ეკლესიასთან ახლოს. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ძ. ნაგებია ქვიშაქვით. შემორჩენილია სამხრ. კედელი, სამხრ.-დას. კუთხე დაახლ. 3 მ სიმაღლეზე, აღმ. კედლის ნაწილი და ჩრდ. კედლის 1,3 მ სიმაღლის დას. მონაკვეთი. მიწით ამოვსებული I სართულის სამხრ. კედელში ერთი სწორკუთხა ნიში ყოფილა, დას. კედელში — ორი. II სართულის შემორჩენილ დას. ნაწილში ორი თაღოვანი სარკმლის ნაშთია. სამხრ. კედელში შემორჩენილია სარკმლის წირთხლის აგურით ნაწყობი ნაწილები. დე. თ.

051. ლადიჯვრის ეკლესია და სამრეკლო, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, გორაკზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. დაზიანებულია — ჩანგრეულია ეკლესიის კამარა, აფსიდის კედელი და სამხრ-იდან მიშენებული სამრეკლოს ნაწილი.

ეკლ. დარბაზულია (10,5X6 მ), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით და აგურით. შესასვლელი სამხრ-იდანაა, შემორჩენილია კარის წირთხლის ნაწილი. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი შეისრული სარკმელი და ორი ახეთივე ნიშია. ერთი შეისრული სარკმელი დას-ითაა. სარკმლის ქვეშ თაღოვანი ნიშია. დარბაზის გრძივი კედლები სამ-სამ თაღოვან მონაკვეთად იყო დაყოფილი. აღმ. ნაწილში შემორჩენილია ორი მონაკვეთი, რ-ებშიც თითო სარკმელია.



051. დას. ფასადი, განივი განაკვეთი დას-კენ, გეგმა

ეკლესიაზე სამხრ-ით მიშენებულია სამრეკლო, რ-ის I სართული ეკლესიის კარიბჭე იყო. ამ სართულს სამხრ-ით თაღოვანი შესასვლელი ჰქონია, შემორჩენილია მხოლოდ წირთხლის წყობა და თაღის ქუსლის ნაწილი. კარიბჭის აღმ. კედელში ფართო ნიშია, დას. კედელში — II სართულზე ასავლელი კიბე. I სართულს აგურის კამაროვანი გადახურვა ჰქონია, შემორჩენილია მცირე ნაწილი. II სართული აგებულია ქვიშაქვით კვადრ. ბაქანზე, იგი ოთხივე მხარეს ნახევარწრიული თაღებით იყო გახსნილი. შემორჩენილია მხოლოდ დას. კუთხის სვეტები და თაღის ქუსლის ნაწილი ჩრდ.-დას-ის სვეტზე. ეკლ. დასრულებული იყო თაროსებრი ლავგარდნით, რ-ის ფრაგმენტი შემორჩენილია სამხრ. კედელზე. *დე. თ.*

052. ჭვერსაყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 2-3 *კმ*-ზე, მაღალ მთაზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. დაზიანებულია: აცვენილია კრამიტის სახურავი, სამხ. და დას. კედლები დაბზარულია, ამოცვენილია საპირე ქვები.

ეკლ. დარბაზულია (7,7X5,4 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით, წყობა ირეგულარულია. დას-ით სწორკუთხა შესასვლელი ჰქონდა. აფსიდის ღერძზე ვიწრო თაღოვანი სარკმელია. მისგან მარცხნივ პატარა სწორკუთხა ნიშია. საკურთხეველი გადახურულია მეოთხედსფერული კონქით, რ-ის სატრიუმფო თაღის ქუსლებთან ქვიშაქვის მარტივპროფილიანი იმპოსტებია. სამხრ-ით და დას-ით თითო თაღოვანი სარკმელია.

ეკლესიის დას. ფასადზე სარკმელი გარედან ერთ ქვაში ამოჭრილი შეისრული თაღითაა გადახურული. ფასადები დასრულებული იყო ქვიშაქვის თაროსებრი ლავგარდნით, შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტები. ეკლესიას კრამიტის ორფერდა სახურავი ჰქონდა. *დე. თ.*

053. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით, გორაკზე, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (11X6,5 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით. დაზიანებულია: დანგრეულია კამარა, კონქი, სამხრ. კედლის დიდი ნაწილი, ჩრდ. კედლის დას. კუთხე, გარღვეულია აღმ კედელი, გადახრილია აფსიდის სამხრ. ნაწილი და ჩრდ. კედლის დას. ნაწილი. შესასვლელი სამხრ-იდანაა (შემორჩენილია მხოლოდ წირთხლების თითო ქვა). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. მის გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშია. დას-ის კედელში ბრტყელი ზღუდარით გადახურული ერთი სარკმელია. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო მარტივი პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღია გადაყვანილი. თაღის ქუსლთან მხოლოდ ჩრდ-ის მარტივი იმპოსტებია შემორჩენილი. *დე. თ.*

## დიდი ხავლეთი

(წრომის სოფსაბჭო)

054. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 100-150 *მ*-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7X4,1 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, კონქი, ჩრდ. კედლის უმეტესი ნაწილი, გარღვეულია აღმ. კედელი, დას-ისა და სამხრ-ის კედლები 2,5 *მ* სიმაღლეზეა შემორჩენილი. ნახევარწრიულ აფსიდში ორი პატარა სწორკუთხა ნიშია. დას. კედელზე შემორჩენილია სარკმლის წირთხლის ფრაგმენტი, ხოლო სამხრ. კედელზე, მიწიდან 1,8 *მ*-ის სიმაღლეზე, — შეკიდული საბჯენი თაღის კრონშტეინი. *დე. თ.*

055. წმ. მარინეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ნასოფლარ დიდი ხავლეთის აღმ-ით 300-400 *მ*-ზე, ცაცხნარში. თარიღდება ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,8X5,9 *მ*), ნაგებია ქვიშაქვით. თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია დაახლ. 0,7 *მ* სიმაღლეზე ნახევარწრიული აფსიდის სამხრ. გვერდი და დარბაზის სამხრ. კედლის აღმ. ნაწილი. ირგვლივ მობნეულია საპირე ქვები, ერთ-ერთი დიდი ზომის ქვა სარკმლის ღიობის ძირია. *დე. თ.*

## დიდი ხალები

(ხალების სოფსაბჭოს ცენტრი)

056. მაცხოვრის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 500-600 *მ*-ზე, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, კონქი, ჩრდ. კედლის და მინაშენების მნიშვნელოვანი ნაწილი, საკურთხევლისა და დას-ის კედლები დაბზარულია.

ეკლ. დარბაზულია (8,2X5,5 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით. სამხრ-ით და დას-ით გვიანდ. სწორკუთხა მინაშენები აქვს. სამხრ-ის მინაშენი ეკლესიაზე მოკლეა. შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრ-ითაა, ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ბრტყელი ზღუდარით გადახურული ვიწრო სარკმელია. სარკმლის ორივე მხარეს თითო ფართო და მაღალი თაღოვანი ნიშია, ორივე იატაკიდან იწყება. ნიშების თავზე, კონქის შუბლის დონეზე, კედელში პატარა სამალავებია მოწყობილი. კონქში ჩასმულია სამი პატარა სარეზონატორო ქვევრი. სამხრ-ისა და დას-ის კედელში თითო სარკმელია. სამხრ-ის სარკმელი სწორკუთხაა, დას-ისა რამდენადმე ფართოა და გადახურულია წრიული თაღით. დარბაზის გრძივ კედლებზე და დას. კედელთან, კუთხეებში, თითო მარტივი პილასტრია, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობოდა. თაროს, ლილვისა და ცერად ჩამოკვეთილი სიბრტყისაგან შედგენილი ქვიშაქვის იმპოსტებისაგან შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. პილასტრისა და საკურთხევლის თაღის იმპოსტი.

ინტერიერში აფსიდის სარკმლის ქვეშ მოხატულობის (ა) ფრაგმენტებია. აქ წარმოდგენილია *ხატი მანდილისა.* მხატვრობა გვიანდ. ფეოდ. ხანას განეკუთვნება. გამოსახულება დაზიანებულია. გაირჩევა ქრისტეს სახის მოგრძო ოვალი, დიდი თვალები, გრძელი წარბები, დანაოჭებული შუბლი. სახის ძირითადი ტონი ოქროსფერი ოქრაა. თეთრი ქსოვილი, რ-ზეც მაცხოვარია გამოსახული, შემკულია სქემატური გეო-

მეტრიული მოტივით — მოწითალო-ყავისფერ პატარა წრეში სხივისებურად განლაგებულია ოთხი პატარა ხაზი, რ-თა შორის წერტილებია. ქსოვილის კიდეების ნახატი სიმეტრიულია. კედლის მონაკვეთი კომპოზიციის ქვედა კიდესა და სატრაპეზო ქვას შორის შემკულია მოწითალო-ყავისფერი და შავი ტალღისებრი ხაზებით (მარმარილოს იმიტაცია). ასეთივე ორნამენტი აქვს საკურთხევლის მთელ მხატვრობას, ორნამენტის ნაშთი შემორჩენილია კედლის ქვედა ნაწილში და სატრაპეზო ქვის გასწვრივ. სარკმლის ჩრდ. წირთხლზე სქემატური მცენარეული ორნამენტის ფრაგმენტია.

სამხრ-ის მინაშენისაგან შემორჩენილია მხოლოდ 1,3 მ სიმაღლის კედლები. მინაშენს შესასვლელი დას-დან ჰქონია აღმ-ისა და სამხრ-ის კედლებში თითო სწორკუთხა სარკმელია. ნაგებობა ნახევარწრიული კამარით იყო გადახურული. დას-ის მინაშენი თითქმის მთლიანადაა დანგრეული. მას შესასვლელი სამხრ-დან ჰქონია. *დე. თ., დ. ფ.*

057. **ქართის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით 1, 5 *კმ*-ზე, სოფლებს კრისხევსა და დიდ ხალებს შორის, მაღალ სერზე, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება IX-X სს-ით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კონქი, ეკლესიისა და მინაშენის კამარა, ჩრდ-ისა და სამხრ. კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი, ჩამოცვენილია საპირე ქვები.

ეკლ. დარბაზულია (10,3X4,5 *მ*), ნაგებია თლილი ქვიშაქვითა და შირიმის ქვით. ეკლესიის სამხრ.-დას. კუთხესთან გვიანდ. მინაშენია, რ-ისგან მხოლოდ 2,3 *მ* სიმაღლის კედელია შემორჩენილი.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-ით და ჩრდ-ით (აფსიდის მხართან ახლოს) ჰქონდა. ჩრდ-ისა ამოქოლილია, გადაკეთებულია ნიშად. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო თაღოვანი სარკმელია. ასეთივე სარკმელია დას. კედელში. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო პატარა სწორკუთხა ნიშია. დარბაზის გრძივ კედლებზე კამარის საბჯენი თაღის საყრდენი თითო ორსაფეხურიანი პილასტრია. ფასადები ოსტატურადაა ნაწყობი კარგად გათლილი შირიმის კვადრებით.



057. გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა



057 აღმ. ფასადი

ქვიშაქვით ნაგებ მინაშენს (5,5X6,5 *მ*) შესასვლელი სამხრ-დან ჰქონია, შემორჩენილია წირთხლის ფრაგმენტი. კედლებში თითო ვიწრო სწორკუთხა სარკმელია. ჩრდ. და სამხრ. კედლებზე შირიმით ნაწყობი საბჯენი თაღის ქუსლის ქვებია შემორჩენილი. მინაშენი გადახურული იყო არაწესიერი ფორმის ნახევარწრიული კამარით *დე. თ.*

## დუმაცხოვო

(ალის სოფსაბჭო)

058. სოფ. დუმაცხოვოში დაიბადა საბჭ. კავშირის გმირი გიორგი იოსების ძე პაპუაშვილი (1919-1944 წწ.). იხ. სოფ. ალი. *კ. კ.*

059. **კვირიკეს ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება IX-X სს-ით. ეკლ. დარბაზულია (9,5X5,4 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. ქვის წყობა ირეგულარულია. ეკლ. შეკეთებულია და გადახურულია კრამიტის ახალი სახურავით, კედლები გამაგრებულია ლითონის მჭიმებითა და ინტერიერში აგებული მაღალი ბურჯით. შესასვლელი სამხრ-ითაა. კარს შიგნით და გარეთ თაღი და არქიტრავი ჰქონდა. ამჟამად დავიწროებულია, თაღოვანი ნაწილი ამოლესილია, ხოლო არქიტრავის კვალიღაა შემორჩენილი. დაახლ. ნალისებრი მოხაზულობის აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია (სარკმლის გარეთა ღიობი შეკეთების დროს გაუფართოებიათ). სარკმლის ორივე მხარეს თითო მაღალი ზევით შევიწროებული ნახევარწრიული ნიშია. სარკმლის ქვემოთ კედელზე სატრაპეზოა მიშენებული. თითო სარკმელი სამხრ-ისა და დას-ის კედლებშია (შეკეთების დროს ეს სარკმლები რამდენადმე გაუფართოებიათ). დარბაზის გრძივ კედლებზე თითო ორსაფეხურიანი პილასტრია. პილასტრები და იმპოსტებზე დაყრდნობილი ვიწრო დეკორატ. თაღები ამ კედლებში შეღრმავებებს ქმნის. იმპოსტების პროფილს თარო და უმნიშვნელოდ შეღრმავებული ზედაპირი შეადგენს. დარბაზი ნახევარწრიული კამარითაა გადახურული. *დე. თ.*

059. აღმ. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



## ელიას ეკლესია,

იხ. სოფ. საკანიხუბანი, წმ. გიორგის ეკლესია

## ვაყა

(გომის ხოფსაბჭო)

060. სოფ. ვაყაში 1905 წ. 7 მარტს ჩატარდა გლეხთა კრება. კრებამ გადაწყვიტა უსასყიდლოდ ესარგებლათ მემამულეთა მიწებით და შეეწყვიტათ მათთვის გადასახადების გადახდა, ბოიკოტი გამოეცხადებინათ სამღვდელოებისათვის, აერჩიათ ათისთავები და ასისთავები. შემოეღოთ სოფლის თვითმმართველობა.

ბიბლ.: 46 *ქ. ქ.*

061. ღედაღვთისას ეკლესიის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, სამხრ-ით. კომპლექსში შედის ორი ეკლესია, ეგვტერი, სათავდაცვო და დამხმარე ნაგებობები. ერთი ეკლ. ბანურსახურავიანი ორსართულიანი კოშკური ნაგებობაა. მას სამხრ-ით ეკვრის დარბაზული ეკლ., ხოლო დას-ით — ორსართულიანი ეგვტერი სათავდაცვო ნაგებობითურთ. დარბაზულ ეკლესიაზე, დას-ით, მთელი ეგვტერის სიგრძეზე მიშენებულია სათავსი. კოშკური და დარბაზული ეკლესიები სტილისტ. ნიშნებით XVI-XVII სს-ს განეკუთვნება. სხვა ნაგებობები უფრო გვიან არის აშენებული. სოფ. ვაყას ბეგთაბეგოვების მფლობელობაში გადასვლის შემდეგ (XVIII ს.) ეკლ. სომხურად გადაკეთდა.

(ა) ორსართულიანი კოშკური ეკლესია (6,5X6 *მ*) ნაგებია თლილი ქვის ფილებით. ორივე სართულს შესასვლელი დას-დან, ეგვტერიდან აქვს. I სართულზე აღმ-ით სარკმელი და ორი ნიშია, ჩრდ-ით — სარკმელი და ნიში. II სართული მომრგვალებულაფსიდიანი პატარა ეკლესიაა. აფსიდის

061. აღმ. ფასადი, განივი განაკვეთი დას-კენ





061. სართულების გეგმები

ჩრდ-ით სამკეეთლოა, ხოლო სამხრ-ით — ღრმა ნიში. საკურთხეველში და ეკლესიის ჩრდ. და სამხრ. კედლებში თითო სარკმელია. სამხრ.-დას. კუთხეში მიშენებული ვიწრო კიბე ბანზე ადის. დარბაზის გრძივ კედლებში თითო ნიშია. ჩრდ. კედლის ნიში პატარაა და აღმ. კუთხესთანაა, ხოლო სამხრ-ის ფართო და ღრმა ნიშს კედლის შუა ნაწილი უჭირავს.

(ბ) ორსართულიანი ეგვტერი ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. I სართულზე, აღმ. და სამხრ. კედლებში თითო ნიშია. II სართულზე ნიშები ყველა კედელშია. II სართულზე დას. კედელში სამი სარკმელია გაჭრილი, სამხრ-ისაში ორი. გადახურვისათვის გამოყენებულია შენობის შუა მძლავრი საბჯენი თაღი და განივი კედლების საბჯენი თაღები.

ჩრდ-იდან ეგვტერზე მიდგმულია ორსართულიანი (გ) სათავდაცვო ნაგებობა, რ-ის გადახურვა სიმეტრიულად განლაგებულ ორ საბჯენ თაღს ეყრდნობოდა. ზედა სართულის კედლები ჩამონგრეულია, შემორჩენილია ჩრდ. კედელში გაჭრილი სათოფურები. I სართულის აღმ. კედლის ნიშში ჯვარია (ხაჩქარი) ჩადგმული. ჩრდ. კედელში გაჭრილია ფართო შესასვლელი, ხოლო სამხ. კედელში ეგვტერში გასასვლელი. კარის თავზე ჩასმულ ორ ფილაქვაზე ამოკვეთილია მხედრ. სამშენ. წარწერები.

(დ) დარბაზული ეკლესიის (7,7X6 *მ*) ნახევარწრიული აფსიდის ორივე მხარეს კედელში სწორკუთხა სათავსებია, რ-თაგან სამხრ-ისას პატარა სარკმელი აქვს აღმ-ით; თითო სარკმელი საკურთხეველში და სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. დას. კედელში გაჭრილი გასასვლელით ეკლ. (ე) დიდ სათავსს უკავშირდება. ამ სათავსის ჩრდ. კედელში გაჭრილი ორი კარი კი ეგვტერში გადის. სათავსის დას. კედელში ფართო სარკმელია, სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში პატარა ნიში. კამაროვანი გადახურვა საბჯენი თაღისა და გრძივი კედლების მძლავრ პილასტრებს ეყრდნობა.

დარბაზული ეკლესიის აფსიდში და მის სამხრ.-აღმ. და ჩრდ.-აღმ. სათავსებში გადარჩა (ვ) მოხატულობის ფრაგმენტები. აფსიდის კონქის ჩრდ. მხარეს გაირჩევა მოწითალო მიწა და მთავარანგელოზის ტანსაცმლის ნაწილი, მეორე რეგისტრში — ორნამენტული ზოლი და წმინდანის გამოსახულება. სამხრ.-აღმ. სათავსი მთლიანად მოხატულია. სარკმელს გვერდებზე უხეში ორნამენტი გასდევს; სარკმლის ქვემოთ წმინდა მეომრის ფიგურაა, სამხრ. კედელზე გამოსახულია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ჩვილით, ღვთისმშობლის თავთან ორი ანთებული სანთელია; კომპოზიციის მარჯვ. ზედა კუთხეში მედალიონში ჩასმული ფიგურისაგან მხოლოდ კურთხევის გამომსახველი ხელია შემორჩენილი; მედალიონის ქვემოთ გამოსახულია ღვთისმშობლისაკენ მიბრუნებული საერო პირი; ჩრდ. კედელზე წმინდანია. კედლის თავისუფალი ადგილები და ჭერი შევსებულია უხეში ორნამენტით და ჯვრებით. მხატვრობა პრიმიტიულია, სახე და ტანსაცმელი სქემატურად არის დამუშავებული, გრაფიკული გამოსახულებები ბრტყელია. კოლორიტში ჭარბობს ყავისფერი, მუქი შინდისფერი, მოშავო, მოწითალო და ყვითელი ფერები. ჩრდ.-აღმ. სათავსის მხატვრობის ნახვა შეუძლებელია, რადგან სათავსთან დამაკავშირებელი ღიობი ამოშენებულია.

კოშკური ეკლესიის ფასადები მოპირკეთებულია თლილი ქვის ფილებით. აღმ-ით ერთ ვერტ. ღერძზე განლაგებულია ორი სარკმელი, რ-თა საპირეები სწორხაზოვანი ფიგურებითაა მოჩუქურთმებული. ჩრდ. კედელში ჩატანებულია ასეთივე ჩუქურთმიანი ქვის ფილა. სამხრ. ფასადზე ამოკვეთილია მზის საათი.

ბიბლ.: 154 *გვაძ. ჯ. მ. ი.*

062. სომანეთის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 1,5 *კმ*-ზე, ნასოფლარ სომანეთზე. თარიღდება XIX ს-ით. დაზიანებულია: დაბზარულია კედლები, ჩამონგრეულია კამარის დას. ნაწილი, სახურავზე კრამიტი აცვენილია.

ეკლ. დარბაზულია (7,8X5,3 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით, რიყის



062 გეგმა

ქვითა და აგურით ძვ. ნაეკლესიარზე, რ-ის მხოლოდ ნაშთია შემორჩენილი. დას-ით სწორკუთხა შესასვლელია. არაწესიერი ფორმის ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია. მსგავსი სარკმლებია სამხრ-ით და დას-ით. აფსიდში სამი პატარა ნიშია. საკურთხევლის დამრეც კონქში ჩასმულია ოთხი პატარა სარეზონატორო ქვევრი. დარბაზის ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღები გრძივი კედლების და დას-ის კუთხის მარტივ პილასტრებს ეყრდნობა. აღმ. ფასადის ფრონტონზე აგურის წყობით გამოყვანილია შეღრმავებული ჯვარი. სამსაფეხურიანი აგურის ლავგარდნის ფრაგმენტებია შემორჩენილი. *დე. თ.*

063. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით 200 *მ*-ზე, სასაფლაოზე (კოშკურ ეკლესიასთან ახლოს). თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. დაზიანებულია: მორღვეულია ფასადების ზედა ნაწილი, დანგრეულია აღმ. კედელზე მოგვიანებით დაშენებული აგურის სამრეკლო, აცვენილია სახურავის კრამიტი.

ეკლ დარბაზულია (8,5X5 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით, რიყის ქვითა და ნაწილობრივ აგურით. სამხრ. ფასადი 1,2 *მ*-ის სიმაღლეზე დაფარულია მიწით. შესასვლელი ჩრდ-ით და დას-ითაა. დას. შესასვლელი შიგნიდან სწორკუთხაა და გარედან შეისრული თაღითაა გადახურული. ჩრდისა გადაკეთებულია და ამჟამად ხის

063 გეგმა



ბრტყელი ზღუდარი აქვს. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილია შიგნიდან სწორკუთხა და გარედან თაღოვანი სარკმელი. ასეთივე სარკმლებია დას-ითა და ჩრდ-ით. აფსიდში ჩრდ-ით პატარა თაღოვანი ნიშია. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო მარტივი პილასტრია, რ-ებზეც კამარის შეისრული საბჯენი თაღია გადაყვანილი. შეისრული ფორმისაა რიყის ქვით ნაწყობი კამარა და კონქიც.

აღმ და დას. ფასადებზე შემორჩენილია აგურის საფეხურებიანი ლავგარდნის ფრაგმენტები. *დე. თ.*

064. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. ჰერათხევის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება გვიანდ ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7,9X5,3 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, რიყის ქვითა და აგურით. ვიწრო არქიტრავით გადახურული შესასვლელი დას-ითაა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია. მის ორივე მხარეს სწორკუთხა თაღოვანი ნიშებია. თითო სარკმელია დას-ით, კარის თავზე, და სამხრ-ით (ამოქოლილია). დარბაზის გრძივ კედლებზე თითო მარტივი პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღი გადადის. კონქი ოდნავ შეისრულია. აღმ. ფრონტონზე ჩაღრმავებული ჯვარია გამოსახული. ეკლესიას ორფერდა სახურავი აქვს. *ჯობ. გ.*

064. გეგმა



## ზემო აძვისი

(ალის ხოფსაბჭო)

065. ნაეკლესიარი (ს ა მ ე ბ ი ს ე კ ლ ე ს ი ა), არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით 300-400 *მ*-ზე. ეკლ. ნაგები იყო ქვიშაქვითა და რიყის ქვით. შემორჩენილია მხოლოდ საკურთხევლის ნანგრევები *დე. თ.*

## ზემო ბროლოსანი

(წაღვლის ხოფსაბჭო)

066. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, წმ. გიორგის ეკლესიიდან 50 *მ*-ზე. აგებულია 1915 წ.



066. გეგმა

დაზიანებულია. შეკეთების დროს სარკმლები ამოუშენებიათ, დას-იდან მიდგმული სამრეკლო დაუნგრევიათ და ეკლესიის კედლების ქვედა ნაწილები შეულესავთ.

ე. დარბაზულია (17,7X9,3 *მ*), ნაგებია აგურით, ნატეხი ქვიშაქვითა და ხით. ეკლესიას სამხრ-ითა და დას-ით (ამოქოლილია) თაღოვანი შესასვლელები აქვს. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილია ფართო და მაღალი შიგნიდან თაღოვანი სარკმელი. ორ-ორი ასეთი სარკმელია სიმეტრიულად განლაგებული ჩრდ-ით და სამხრ-ით. დარბაზის გრძივი კედლები უშუალოდ ერწყმის აფსიდს. სამხრ. კედლის აღმ. კიდეში ფართო სწორკუთხა ნიშია. დას-ით ხის პატრონიკეა, რ-იც დას. კედელში გაჭრილი კარით სამრეკლოს უკავშირდებოდა. ფასადების კიდეებში სწორკუთხოვან ბაზისებზე მდგარი ფართო პილასტრებია, რ-ებიც დასრულებულია აგურით ნაწყობი საფეხურებიანი კაპიტელით. ფართო სწორკუთხა სარკმლები გლუვზედაპირიანი ქვის ჩარჩოებშია ჩასმული. აღმ. ფასადზე სარკმლის თავზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი. შენობა დგას ქვიშაქვის რუსტებად დამუშავებულ ცოკოლზე და დასრულებულია აგურის საფეხურებიანი ლავგარდნით. *ბ. მ.*

067. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 500 *მ*-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. გადაკეთებულია, გადახურულია შიფერით, შიგნიდან და

067. გეგმა



გარედან შელესილი და შეთეთრებულია, სამხრ-იდან მიდგმული აქვს ხის სათავსი.

ეკლ. დარბაზულია (7,2X4,2 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. სამხრ-ით და დას-ით ოთხკუთხა შესასვლელები აქვს. ღრმა შებრტყელებული ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. თითო სარკმელია დანარჩენ სამ კედელში. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო სწორკუთხა ნიშია. საკურთხეველი, ცენტრში წინწამოწეული არდაბაგით, ერთი საფეხურით შემაღლებულია და დარბაზისგან ხის კანკელითაა გამოყოფილი. დარბაზის გრძივ კედლებს დაბალი საფეხური გასდევს. იატაკზე მოგებულია ქვის ფილები. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით. შენობა დგას ქვიშაქვის ცოკოლზე. *ბ. მ.*

## ზემო ოსიაური

**(ოსიაურის სოფსაბჭოს ცენტრი)**

068. ზღუდერის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ. ნაწილში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (10,3X X5,8 მ). ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო ნიშია დას-ით, სამხრ-ითა და ჩრდ-ით თითო სარკმელია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-ის საბჯენი თაღი პილასტრებს ეყრდნობა. ეკლ. შიგნიდან და გარედან შელესილია. აღმ. ფასადზე სარკმლის ზემოთ გამოსახულია ქვის რელიეფური ცხერის თავი, ხოლო უფრო ზევით — რელიეფური ჯვარი. ეკლესიას კრამიტის ორფერდა სახურავი აქვს.

ეკლესიის სამხრ.-დას-ით 8 მ-ზე დგას ქვიშაქვის კვადრებით ნაგები, ცილინდრული კამარით გადახურული (ა) სამრეკლო (3,9X3,9 მ), რ-საც აღმ-ით და დას-ით თაღიანი შესასვლელები აქვს. *გვან. ჯ.*

069. ციხე, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. აშენებულია XVII-XVIII სს-ში. ნაგებია ნატეხი ქვით. გეგმით კვადრატული (10X10 მ) ც-ის გალავანში ნახევარწრიული სათოფურებია. შესასვლელი ჩრდ-ითაა. გალავნის ოთხივე კუთხეში თითო გოდოლი დგას. *გვან. ჯ.*

## თაგვეთი

**(ცხრამუხის სოფსაბჭო)**

070. არალეგალური სტამბა, ისტ. ძ. მდებარეობდა თრიალეთის ქედზე, ხელოვნურ ე. წ. ღამურა კლდის გამოქვაბულში (8X3 მ). აქ 1906-07 წწ. ხაშურის (მიხაილოვო) სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის თაოსნობით მოქმედებდა არალეგალური ბოლშევიკური სტამბა. მის მოწყობაში მონაწილეობა მიიღეს რევოლუციონერებმა: ძმებმა ს. და მ. ჯაფარიძეებმა, ვ. და ლ. ხოზზერიძეებმა, ლ. განჩიალაძემ, ო. ჩუბინიშვილმა. მათ ჯერ ხაშურში, ვ. და ლ. ხოზზერიძეების ბინაზე, სცადეს სტამბის გამართვა, შემდეგ სოფ. ცხრამუხაში, ა. ბირკაძის ოჯახში, მაგრამ საქმის მოგვარებას ხელი შეუშალა ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის თარეშმა. ამიტომ ძნელად მისადგომ ადგილზე, კლდეში გამოკვეთეს ხელოვნური გამოქვაბული, ნაწილ-ნაწილ გადაიტანეს შრიფტი და სხვა მოწყობილობა და მოაწყვეს სტამბა. ა.ს-ში დაბეჭდილი ლიტერატურა და პროკლამაციები ვრცელდებოდა ხაშურში, ბორჯომში, ქარელსა და გორში. სტამბამ 1907 წ-მდე იარსება. სტამბაში დაბეჭდილი მასალა ინახება ხაშურის მხარეთმც. მუზეუმში.

*ბიბლ.:* 63 *კ. ე.*

071. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფ. თაგვეთსა და სოფ. ქაშვეთს შორის, ადგილ ნასოფლარზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. შედგება რამდენიმე ნასახლარი ბუდისაგან. ნ-ზე გამოვლინდა შენობების რიყის ქვით ნაგები საძირკვლის ნაშთები. იპოვება დიდი რაოდენობით წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ზომის ქვევრის ფრაგმენტები, წყალსადენის თიხის მილები და სხვ. *ნ. ა.*

072. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით 300-400 მ-ზე, მუხნარში. თარიღდება ფეოდ. ხანით. ეკლ. დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ ნახევარწრიული აფსიდის სამხრ-ის მხარე. ამჟამად ნაეკლესიარზე ახალი ეკლ. დგას. ღ. ე. დარბაზულია (8X5,2 მ). ეკლესიის მახლობლად აღმოჩნდა ქვიშაქვის ორნამენტირებული ფილა — ძვ. ეკლესიის კანკელის ნაწილი. ფილაზე სიბრტყეში შეღრმავებით ორ გლუვ ლილვს შორის მოქცეული ჩუქურთმაა ამოკვეთილი. ორნამენტი შედგენილია ნასკვებით გადაბმული წრეებით, რ-ებშიც ვარდულია ჩასმული. სტილისტ. ნიშნებით ფილა IX-X სს-ით თარიღდება (პარალელი — გარბანის ეკლესიის კონსოლებისა და იმპოსტების ორნამენტირებული თაროები). *დე. თ.*

## იტრია

**(სურამის სადაბო საბჭო)**

073. კოშკი, საჯვარე, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 100 მ-ზე. აგებულია XVI-XVII სს. ქ. ოთხკუთხაა (4,45X4,3 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. კუთხეების წყობაში გამოყენებულია თლილი ქვიშაქვა. დაზიანებულია: ჩამონგრეულია სახურავი, სართულებს შორის გადახურვა, კედლები, შემორჩენილია ოთხი სარ-

073. აღმ. ფასადი, განაკვეთი სამხრ-კენ, II სართ. გეგმა







თული. კარი ქ-ს აღმ-ით, II სართულზე ჰქონდა. სართულებს შორის ძელური გადახურვა იყო (შემორჩენილია საძელე ბუდეები). I სართულის ჩრდ. კედელში მოზრდილი ბუხარია, დას. და სამხრ. კედლებში თახჩები. II სართულის ბუხარი I სართულის ბუხრის ღერძზეა. კედლებში ორ-ორი სათოფურია. სათოფურები III სართულის კედლებშიცაა. სამხრ. კედელზე მიშენებულია III სართულზე ასასვლელი ქვის კიბე. *გვას. ჯ.*

**074. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ**, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში. თარიღდება XVI-XVII სს-ით. შეკეთებულია XIX ს-ში. 1969 წ. სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ. კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ტაძარი, სამრეკლო და გალავანი.

(ა) ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ტ ა ძ ა რ ი დგას გალავნით შემოზღუდული ეზოს აღმ. ნაწილში. აგებულია XVI ს-ის ბოლოს კათალიკოს დოროთეოზის დაკვეთით. მშენებლობის პროცესში „ურუმთ დაუწვავთ", მაგრამ კათალიკოსს მონასტრის მშენებლობა მაინც დაუმთავრებია და მრავალი საეკლესიო ნივთიც შეუწირავს მისთვის. 1645 წ. ქართლის მეფე როსტომს (1632-1658 წწ.) და მის მეუღლეს მარიამს იტრიის მონასტრისათვის ყმები და მიწები უბოძებიათ.

ღვთისმშობლის ტაძარი სამნავიანი ბაზილიკაა (19,95X13,3 *მ*), ნაგებია თლილი ქვიშაქვის კვადრებით. წყობაში გვხვდება აგურიც. აქვს ორი შესასვლელი — სამხრ-ით და დას-ით. ნავები ერთმანეთისაგან გამოყოფილია წყვილ-წყვილი ოთხკუთხა ბოძით, რ-ებსაც მარტივი კვადრ. კაპიტელები აქვს და კუთხეებში ლილვები აუყვება. ნახევარწრიულ აფსიდში სამი სარკმელია. შუა სარკმლის ქვეშ დიდი ნიშია (საწინამძღვრო ტახტი), რ-ის გვერდებზე ერთსაფეხურიანი ჩამოსაჯდომებია. აფსიდი შუა ნავის სივრცეს ფართო ბემით უკავშირდება. ხატებითა და ჯვრებით მორთული ხის კ ა ნ კ ე ლ ი ძლიერ დაზიანებულია. აფსიდის გვერდებზე პატარა სამკვეთლო და სადიაკვნეა. ორივე სათავსს ნახევარწრიული გადახურვა და აფსიდები აქვს. აფსიდებში აღმ-ით თითო სარკმელია, მათ თავზე — ხამალავი საკნები. სამკვეთლო ოთხკუთხა კარით უკავშირდება ბემს. შუა ნავი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-იც სამ საბჯენ თაღს ეყრდნობა. კამარა გამაგრებულია კედლებში ჩაშენებული ხის კოჭებით (ეკლესიის თანადროულია). ამ ნავის გრძივ კედლებში სამ-სამი თაღოვანი ფანჯარაა. გვერდის ნავების გრძივ კედლებშიც სამ-სამი სარკმელია. ტაძარი შიგნიდან შელესილი და შეთეთრებულია.

ნაგებობა დგას თაროსა და ლილვებისაგან შედგენილ ცოკოლზე. დას. ფასადზე რელიეფური ლილვებით შემკული ფართო თაღოვანი პორტალია, ხოლო მის ორივე მხარეს მასიური დეკორატ. კრონშტეინები. ფასადის ცენტრში ლილვებით მოჩარჩოებული ოთხკუთხა ფანჯარაა, მის თავზე მოზრდილი რელიეფური ჯვარია, კიდევ უფრო ზევით, ფრონტონის კეხის ქვეშ — პატარა ჯვარი. სამხრ. ფასადის დას. ნაწილში გაჭრილია დას. შესასვლელის მსგავსი კარი, რ-ის ორივე მხარეს აქაც დეკორატ. ორნამენტიანი კრონშტეინებია. ჩრდ. ფასადზე წყვილი ლილვით მოჩარჩოებული სამი თაღოვანი ფანჯარაა. ნაგებობის ლავგარდანი ვიწრო თაროს,

074. გენგეგმა: 1. გალავანი, 2. სამრეკლო, 3. კოშკი, 4. შესასვლელი, 5. ღვთისმშობლის ტაძარი.




074(ა). დას. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, გეგმა



წრეთარგისა და ლილვისაგან შედგება. სახურავი კრამიტისაა.

(ბ) ს ა მ რ ე კ ლ ო აგებულია 1656 წ. ბეჟან ჩხეიძისა და ეკლესიის წინამძღვრის ნიკოლაოზის დაკვეთით. იგი ზევით შევიწროებული, კოშკისებრი სამსართულიანი ნაგებობაა (6,25X4,95 მ), აშენებულია უხეშად დაკუთხული თლილი ქვის კვადრებით. XIX ს-ის ბოლოს სამრეკლო შეუკეთებიათ და სახურავზე სამხრ. კუთხეში პატარა ფანჩატური დაუშენებიათ. ფანჩატური და III სართული დაზიანებულია. სამრეკლოს I სართული, რ-იც თავდაპირველად მონასტრის ეზოს შესასვლელი იყო (გაუქმებულია), ორ მხარეს მთელ სიგანეზე გახსნილია ერთნაირი თაღებით და გადახურულია ნახევარწრიული არაწესიერი მოხაზულობის კამარით. მის კედლებში დატანებულია ღრმა ნიშები. ჩრდ. კედელში ბუხარიცაა. ჩრდ. ფასადზე მიშენებული იყო II სართულზე ასავალი ქვის კიბე. II სართულის დაბალი სათავსი კამარითაა გადახურული, კედლებში ნიშებია. III სართული შედარებით პატარაა და დას-ით გახსნილია ორმაგთაღიანი ღიობით. სამრეკლოს თავზე დაშენებული ორმხრივ გახსნილი ფანჩატური გადახურულია პირამიდული სახურავით და ნახევარწრიული თაღებით გაერთიანებულ მარტივკაპიტელებიან მრგვალ ბოძებს ეყრდნობა. ორფერდა სახურავი თაროს, წრეთარგისა და ლილვისაგან შედგენილ ლავგარდანს ეყრდნობა. დას. ფასადზე III სართულის ორმაგთაღიანი ღიობის შუა ბოძი შემკულია რელიეფური ჯვრითა და პრიმიტიული ორნამენტით. ფრონტონის კეხის ქვეშ ორმაგი თაღის ზევით გამოსახულია დეკორატ. ჯვარი.

074(ბ). დას. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ, სართულების გეგმები



(გ) გ ა ლ ა ვ ა ნ ი (40X25 მ; მაქს. სიმ. 2 მ) აშენებულია 1656 წ. კირქვის კვადრებით. წყობა ირეგულარულია. გალავანი ფერდობის რელიეფს მიჰყვება. შესასვლელი გალავნის სამხრ.-აღმ. კუთხეში გაჭრილია XX საუკუნის დასაწყისში. აქ, ფერდობზე შემორჩენილია თლილი ქვის კიბის ნაშთი. გალავნის სამხრ. კედელში ჩაშენებული იყო კ ო შ კ ი, რ-ის მხოლოდ 1,5 მ სიმაღლის 3 კედელია გადარჩენილი. გალავანზე მიშენებული ყოფილა აგრეთვე ს ე ნ ა კ ე ბ ი.

ბიბლ.: 108 *მვ. მ., ს. თ.*

## კვერცხობის ეკლესია,

იხ. სოფ. ნ ა ბ ა ხ ტ ე ვ ი

## კლდისწყარო

(ალის სოფსაბჭო)

075. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, სასაფლაოზე. აგებულია 1894 წ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია ხის კამაროვანი გადახურვა, კედლების ზედა ნაწილი და ლავგარდანი. ეკლ. დარბაზულია (13X7 მ), ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით. სწორკუთხა შესასვლელი სამხრ-ით (გაგანიერებულია) და დას-ითაა. დას. შესასვლელს პატარა ცრუ ტიმპანი აქვს. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ფართო თაღოვანი სარკმელია. დარბაზის გრძივ კედლებში ორ-ორი ასეთივე სარკმელია. ეკლესიის კამარა და კონქი ხის იყო. შემორჩენილია კარგად გათლილი ქვის იატაკის ნაწილი. აღმ. და დას. ფასადებზე ფრონტონის წყობაში გამოსახულია ჯვარი. აღმ-ით, ჯვრის მარცხ. მკლავის ქვემოთ ეკლესიის აგების თარიღია ამოკვეთილი. სამხრ-ის შესასვლელის თავზე აგურის წყობით გამოყვანილია ტოლმკლავა ჯვარი. კედლები დასრულებული იყო სამსაფეხურიანი ლავგარდნით. *დვ. თ.*

## კლდისწყარო

(წაღვლის სოფსაბჭო)

076. ნაეკლესიარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 500-600 მ-ზე, მუხნარში. ეკლ. ნაგები იყო ქვიშაქვით. ნაგებობის კონტურები არ იკითხება. *დვ. თ.*

077. წმ. მარიამის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, წყაროსთან. ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია დას. კედელი 3 მ-ის, აღმ. კედელი 1,5 მ-ის სიმაღლეზე, გრძივი კედლების ნაწილი. შესასვლელი სამხრ-დან ჰქონია. ღრმა ნახევარწრიულ აფსიდს ქვემოთ დაბალი საფეხური გასდევს. დარბაზის ჩრდ. კედელზე ორსაფეხურიანი პილასტრია. პილასტრების ფრაგმენტებია შემორჩენილი დას. კედლის კუთხეებში. *დვ. თ.*

## კრისხევი

(ხცისის სოფსაბჭო)

078. ეკლესია ძველი ჭეშმარიტი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სახაფლაოზე, გზის პირას, ფერდობზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, კონქის მნიშვნელოვანი ნაწილი და კედლების ზედა ნაწილები. აღმ. და დას. კედლები გადახრილია ჩრდ-ით. ეკლ. დარბაზულია (9,6X6 მ), ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვიშაქვითა და შირიმის ქვით. შიგნიდან თაღოვანი და გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელები სამხრ-ითა და დას-ითაა (ამოქოლილია). ოდნავ შებრტყელებული ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. თითო ასეთივე სარკმელია დანარჩენ სამ კედელშიც. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. სამხრ. ნიშის თავზე პატარა სამალავია. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო მარტივი პილასტრია, რ-ებსაც ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობოდა. ფასადის გრძივ კედლებზე შემორჩენილია თაროსებრი ლავგარდნის თითო ქვა. *დვ. თ.*

078. გეგმა



079. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 100 მ-ზე, ადგილ კოშკის ძირებზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ. მთის ფერდობზეა გაშლილი. შენობათა საძირკვლები ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. ნ-ზე მიკვლეულია წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის

ნამტვრევები. არქეოლ. მასალა დაცულია ხაშურის მხარეთმც. მუზეუმში. ნ. ა.

## ლადიჯვრის ეკლესია.

იხ. სოფ. დიდი ველეთი

## ლუბრუმის ღვთისმშობლის ეკლესია.

იხ. სოფ. ქემფერი

## მთაწმინდის ეკლესია.

იხ. სოფ. ქვიშხეთი

## მიწობი

(ხცისის სოფსაბჭო)

080. ნაეკლესიარი (კვირაცხოვლის ეკლესია), არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, სახაფლაოზე. ეკლ. დანგრეულია, გეგმა არ იკითხება. ნ-ზე ყრია ქვიშაქვის დიდი ლოდები. ამჟამად აქ პატარა ნიში დგას. დე. თ.

081. ნაეკლესიარი (ნათლისმცემლის ეკლესია), არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით 200 მ-ზე, მდ. მიწობელას მარცხ. ნაპირზე. ეკლ. ნაგები იყო ქვიშაქვის არაწესიერი წყობით. შემორჩენილია მხოლოდ ალმ. კედლის მცირე ნაწილი. ამჟამად აქ სანთლის დასანთები მცირე ნიში დგას. დე. თ.

082. ნაეკლესიარი (წმ. გიორგის ეკლესია), არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ალმ-ით 100 მ-ზე, ფერდობზე. ნაგებობის გეგმა არ იკითხება. დე. თ.

083. ნაეკლესიარი (წმ. მარინეს ეკლესია), არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ალმ-ით, ფერდობზე. გეგმა არ იკითხება. ეკლესიის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. ნ-ზე ხეები და ბუჩქებია ამოსული. ირგვლივ რამდენიმე ქვიშაქვაა, რ-თაგან ერთი გამოყენებულია ნიშად. დე. თ.

084. წმ. სტეფანეს ეკლესია, გოლას საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 1,5 კმ-ზე, მთის ფერდობზე. სტილისტ ნიშნებით თარიღდება IX-X სს-ით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, კონქი, დანგრეულია კედლების ზედა ნაწილი, ჩრდ. კედლის ნაშთები დაფარულია მიწით. ეკლ. დარბაზულია (9,7X



084. ალმ. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა, ხედი ალმ-იდან, ფრაგმენტი



X5,8 მ), ნაგებია ნატეხი ქვითა და ქვიშაქვის კვადრებით. ეკლესიას სამი თაღოვანი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით, დას-ითა და ჩრდ-ით. ნალისებრი აფსიდის ღერძზე ფართო თაღოვანი შეწყვილებული სარკმელია. სარკმლის გვერდებზე მიჯრით ორ-ორი მაღალი თაღოვანი ნიშია, რ-თაგან ხამში კიდევ თითო პატარა სწორკუთხა ნიშია. აფსიდის ჩრდ. ნაწილში ნიშებს ზემოთ კედლის სისქეში მოწყობილია პატარა სამალავი. დარბაზის გრძივი კედლების ალმ. ნაწილში და დას. კედლის კუთხეებში კრონშტეინებზე დაყრდნობილი ორსაფეხურიანი შეკიდული პილასტრებია. გრძივი კედლების დას-ის მონაკვეთი ორჯერ მეტია ალმ-ისაზე; პილასტრების პირველ საფეხურზე კედლის დეკორატ. თაღები იყო გადაყვანილი, ხოლო მეორეზე კამარის საბჯენი თაღები.

ფასადებზე წყობის ნაკერების ჰორიზონტალურობა ნაწილობრივაა დაცული. ალმ. ფასადზე სარკმლები მოჩარჩოებულია გრეხილი ლილვითა და სამკუთხედების ზოლით შემკული გადაბმული თაღებით. ჩრდ. კუთხეში ქვემოთ პატარა შეღრმავებული ჯვარია. დას. ფასადზე, სწორკუთხა შესასვლელის თავზე, პატარა სწორკუთხა შეღრმავებაში გამოსახულია სამსაფეხურიან ბაზისზე დადგმული რელიეფური ჯვარი. სამხრ. ფასადზე შესასვლელი გადახურულია დიდი ზომის ნახევარწრიული ქვით, რ-იც ზემოდან შემოფარგლულია გრეხილი ლილვით. ლილვის ბოლოები დასრულებულია მცენარეული ორნამენტით. ზღუდრის ქვედა კიდეს ჩაჭრილი სამკუთხედების მწკრივი გასდევს. დე. თ.

## მონასტერი

(ქვიშხეთის სოფსაბჭო)

085. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 1 კმ-ზე, ძვ. სასაფლაოზე. თარიღდება VIII-IX სს-ით. დაზიანებულია: დანგრეულია შუა ნავის ჩრდ. კედელი, სამხრ. ნავის აფსიდის ნაწილი და ჩრდ. კედელი, გარშემოსავლელის გადახურვა და დას. კედელი. შეკეთების შედეგად ეკლესიას სახე შეცვლილი აქვს. ნაგებობა სამეკლესიანი ბაზილიკაა გარშემოსავლელით (14,7X X12,5 მ), ნაგებია დიდი ზომის კირქვებით. მთავარი შესასვლელი სამხრ-დან ჰქონია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილი ფართო და მაღალი სარკმელი გადახურულია მთლიან ქვაში გამოკვეთილი თაღით. სარკმლის გვერდზე სამკუთხა ნიშია. აფსიდს ძირში მთელ პერიმეტრზე



085. ალმ. ფასადი, განივი განაკვეთი ალმ-კენ, გეგმა

გასდევს პატარა საფეხური, რ-იც შუაში უფრო ფართოა, ვიდრე ბოლოებში. შუა ეკლესია სამხრ. კედელში გაჭრილი სწორკუთხა კარით სამხრ-ის ნავს უკავშირდება. სამხრ-ის ნავი აფსიდით დასრულებული ვიწრო და გრძელი სათავსი იყო. მოგვიანებით, გადაკეთების დროს, ამ ნავის ალმ. მონაკვეთი გაუგანიერებიათ და ფართო უსწორო ნახევარწრიული აფსიდით დასრულებულ სათავსად გადაუქცევიათ. თავდაპირველი აფსიდის ჩრდ. გვერდის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი.

ჩრდ-ის ნავი სამხ-ის ნავზე ოდნავ ფართოა და ალმ-ით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. აფსიდის ღერძზე ვიწრო სწორკუთხა სარკმელია. დას. კედელში გაჭრილი სწორკუთხა კარი გარშემოსავლელში გადის. დას-ის გარშემოსავლელი გვერდის ნავებთან შედარებით განიერია და მთავარ ნავს კარით უკავშირდება. გვერდის ნავების კამაროვანი გადახურვა შუა ნავის შესაბამისი კედლების შესქელებულ საფეხურს ეყრდნობოდა.

ფასადებზე ქვების წყობა სწორხაზოვანი და ჰორიზონტალურია. ჩრდ. ნავის ალმ. კედელზე თაროთი და ოდნავ შეზნექილი სიბრტყით შედგენილი ქიმაქის ლავგარდნის ფრაგმენტია შემორჩენილი. *დე. თ.*

## მცხეთისჯვარი

(ალის სოფსაბჭო)

086. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას გომი-საჩხერის საავტ. გზის პირას, სოფ. კლდისწყაროს (წაღვლის სოფსაბჭო) გადასახვევთან. აგებულია XIX ს-ის ბოლო წლებში. ამ ადგილზე გადმოტანილია XX ს-ის 70-იან წლებში (შენობის ქვედა, ქვით ნაგები სართული ადგილზე დატოვეს). სახლი ერთოთახიანია (3,5X3,5 *მ*), ნაგებია მუხის ხის ძელებით, რ-ებიც კუთხეებში დაკავშირებულია ჭდობით. დას-ით მთავარი ფასადის მხარეს ყრუმოაჯირიანი (გვიანდელია) ღია აივანია, რ-ის სვეტებს შორის ზემოთ ჭვირული გეომეტრიული ორნამენტით მორთული დეკორატ. თაღებია ერთი შესასვლელი აივნიდანაა, მეორე ბუხრის ადგილზეა გაჭრილი. ოთახს ორი სარკმელი აქვს, ორივე აივანზე გადის. სახლს ხის ნივნივებზე გამართული კრამიტის ორფერდა სახურავი აქვს. *დე. თ.*

087. წმ. მარინეს ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფელში, გზის პირას. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ძლიერ დაზიანებულია: სახურავი და ჩრდ. კედელი ჩამონგრეულია. ეკლ. დარბაზულია (5,55X3,6 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-ით აქვს. აფსიდი ნახევარწრიულია. *გვან. ჯ.*

## ნაბახტევი

(ალის სოფსაბჭო)

088. დედაღვთისა, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით, ხელოვნურად მოეაკებულ ფერდობზე, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XVIII-XIX სს-ით. ეკლ. დარბაზულია (5X3,8 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით და ქვიშაქვით, განახლებული ნაწილები, ალმ. და დას. ფასადების ფრონტონები და ჩრდ. სარკმლის წირთხლები აგურითაა ამოყვანილი. შესასვლელი დას-დანაა. კარს შიგნიდან სამი ქვისაგან შედგენილი ტრაპეციული გადახურვა აქვს, ხოლო გარედან არქიტრავული. ოთხკუთხა საკურთხევლის ბაქანი 0,5 *მ*-ითაა ამაღლებული. მის ალმ. კედელში, რ-იც ბლაგვი კუთხით უერთდება ჩრდ. კედელს, ერთ ვერტიკალზე ორი სარკმელია გაჭრილი. ქვედა თაღოვანია, ზედა — პატარა და კვადრატული. საკურთხევლის ჩრდ. კედელში თაროა. დარბაზის ჩრდ. კედელში ერთი ფართო სარკმელია (ამჟამად შემინულია). დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით. დას. ფასადზე კარის არქიტრავზე გამოსახულია ჩაღრმავებული აყვავებული ჯვარი. ჯვრის მარჯვნივ სომხური წარწერაა, ხოლო მარცხნივ — სამი პატარა ჯვარი. ფასადის ზემო ნაწილშიც ერთი ჯვარია გამოსახული. ეკლესია სომხურია. *დე. თ.*

089 იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, შემაღლებულ ადგილას, მაისურაძეების უბანში. თარიღდება XVIII ს-ით. მოგვიანებით გადაკეთებულია, დაგრძელებულია დას-ის მიმართულებით. ძლიერ დაზიანებულია: კამარა გაბზარულია, დეფორმირებულია საბჯენი თაღები, დაზიანებულია საპირე წყობა, ლავგარდანი და სახურავი. ეკლ. დარბაზულია (13,7X6,3 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის ტლანქად დამუშავებული სხვადასხვა ზომის კვადრებით. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: ერთი დას-ით (მიშენებული კედლის ღერძზეა გაჭრილი), ორი — სამხრ. კედლის ძვ. და ახ. ნაწილებში. დას. შესასვლელი დაბალია, შიგნიდან თაღითაა გადახურული, ხოლო გარედან სწორკუთხაა. სამხრ-ის ორივე შესასვლელი შიგნიდან და გარედან სწორკუთხაა (ამჟამად ორივე ამოქოლილია). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. დარბაზის გრძივ კედლებში ორ-ორი ფართო თაღოვანი სარკმელია, ხოლო ერთი წრიული სარკმელი დას. კედლის ზედა ნაწილშია. საკურთხეველი გადახურულია დამრეცი კონქით, რ-ის თაღის ქუსლებთან მარტივი იმპოსტებია. ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღები დარბაზის კედლების ორ წყვილ მარტივკაპიტელებიან პილასტრს ეყრდნობა. პილასტრების დას. წყვილი ამოყვანილია გადაკეთების დროს.

ეკლესიის დას. ფასადზე სწორკუთხა შესასვლელის თავზე ოთხი ქვისაგან შედგენილი რელიეფური ტოლმკლავა ჯვარია, რ-ის ზემოთ მრგვალ სარკმელს რელიეფური საპირე აქვს. ეკლესიას ქვიშაქვის ლავგარდანი ჰქონდა. გადახურული იყო კრამიტით. *დე. თ.*

090. კვერცხობის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში. გორაკზე, მდ. ჭერათხევის მარცხ. მხარეს. თარიღდება განვით. ფეოდ. ხანით. დაზიანებულია: ალმ. ფასადს პერანგი შემოცლილი აქვს, ჩამონგრეულია სარკმლის ქვემოთ კედელი ძირამდე, საბჯენი თაღები და კონქი. ჩრდ. კედელზე აქა-იქ შემორჩენილია ბათქაში.

ეკლ. დარბაზულია (10,35X5,56 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის მოყვითალო კვადრებით. შესასვლელი სამხრ-დან აქვს. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და ორი მაღალი თაღოვანი ნიშია. მეორე სარკმელი სამხრ. კედლის ზედა ნაწილშია. დარბაზის გრძივი კედლების შუა ნაწილში წყვილი

ორსაფეხურიანი პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობოდა კამარის საბჯენი თაღი. გრძივ კედლებზე დეკორატ. თაღები გადადის, მათი იმპოსტები პილასტრების პირველ საფეხურს ეყრდნობა. დას-ის ფასადზე კარის ღიობი გადახურულია ნახევარწრიული ქვით, რ-საც პროფილირებული არქივოლტი აქვს შემოვლებული. მის შუა არეში გამოსახულია ტოლმკლავა ჯვარი. *ძ. ლ.*



090 სამხრ. ფასადი, გეგმა

**091. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ**, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-აღმ-ით, მთაზე. აგებულია ფეოდალის ქუცნა ამირეჯიბის დაკვეთით XV ს-ის დასაწყისში. დაზიანებულია: სახურავი და კონქის გადახურვის გარეთა ნაწილი ჩანგრეულია, ლავგარდანი აღარა აქვს, ფასადების საპირე ქვები ამოცვენილია, კედლები დაბზარულია, იატაკი ნანგრევებითა და მიწითაა დაფარული.

ეკლ. დარბაზულია (14,5X9,35 *მ*), ნაგებია მონაცრისფრო ქვის თლილი კვადრებით. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — დას-ით (ამოშენებულია) და ჩრდ-ით. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და ორი ნახევარწრიული ნიშია. საკურთხეველში ორი სატრაპეზო ქვა დგას, ერთი — ცენტრში, მეორე კი მასზე მიდგმულია მოგვიანებით ჩრდ-დან. ეკლესიის დას. კედელში ერთი სარკმელია, გრძივ კედლებში — თითო. ინტერიერში უჩვეულო ელემენტს წარმოადგენს აფსიდის წინ აღმართული კედელი, რ-იც მთლიანად ფარავს საკურთხევლის ჩრდ. ნაწილს, ხოლო სამხრ-ით სატრიუმფო თაღში გადადის. დარბაზის გრძივ კედლებზე ორსაფეხურიანი სამი პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღები. ეს კედლები პილასტრებზე გადაყვანილი დეკორატ. თაღებით სამ თანაბარ ნაწილად იყოფოდა.

ეკლესიის (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ა შესრულებულია 1412-31 წწ. იგი ძლიერ დაზიანებულია. ზოგიერთი კომპოზიცია (მ. შ. მეფე ალექსანდრე I დედოფალთან ერთად და ქუცნა ამირეჯიბი, რ-საც ეკლესიის მოდელი უჭირავს ხელში, ოჯახითურთ) საქართვ. ხელოვნ. მუზეუმშია გადატანილი. აფსიდის კონქში შემორჩენილია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობლის გამოსახულება ორივე მხარეს წმინდანების ფიგურებით. სატრიუმფო თაღში წარმოდგენილი იყვნენ მღვდელმთავრები და წინასწარმეტყველნი. დარბაზისა და საკურთხევლის გამყოფი კედლის მოხატულობა დაყოფილია სამ რეგისტრად. ზედა რეგისტრში გამოსახულია *ფზიზელი თვალი*, მეორეში *აბრაამის სტუმართმოყვარეობა* (აქვე იყო იოანე ნათლისმცემლის ფიგურა, რ-იც საქართვ. ხელოვნ. მუზეუმშია გადატანილი), ხოლო მესამეში წარმოდგენილი არიან ეკლესიის მამანი და სვიმეონ მესვეტე. დარბაზში შემორჩენილია სხვადასხვა სახის ორნამენტის ფრაგმენტები. დას. და ჩრდ. კარის ტიმპანის ქვებზე გამოსახულია განედლებული ჯვრები. მოხატულობას ახასიათებს პალეოლოგთა ხანის მხატვრობის თავისებურებანი — ტეხილი ხაზი, ფერწერული მოდელი-

091. გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა



091. დას. ფასადი, განივი განაკვეთი აღმ-კენ



რება. სიერცობრივი მომენტების ხაზგასმა, რეგისტრების აბსოლუტური ზომები წინა საუკუნის მხატვრობასთან შედარებით შემცირებულია, ნათელ კოლორიტში ჭარბობს მწვანე, ოქრა, მოყავისფრო-წითელი და თეთრი ფერი, ფიგურები მოძრავია და თხელი წაგრძელებული პროპორციები აქვთ.

აღმ. ფასადზე აფსიდი ცხრაწახნაგაა. დეკორისაგან გადარჩენილია მხოლოდ შუა წახნაგში მდებარე ლილვებიანი საპირე წნულით შემკული სარკმლის ქვედა ნაწილი. სამხრ. და დას. ფასადებზე გამოირჩევა მხოლოდ საპირეშემოვლებული სარკმლები. დას. ფასადზე კარი გადახურულია სადა ბლოკებისაგან შედგენილი არქიტრავით. განიერი წნულით მორთულ კარის საპირეებს შეწყვილებული გრეხილი ლილვები ხაზღვრავს. მის ზემოთ ფასადის ღერძზე აღმართულია წნულით შემკული დიდი ჯვარი, რ-ის მკლავების ქვეშ გრეხილლილვშემოვლებული თითო ორნამენტიანი გირჩია. ჩრდ. კარის არქიტრავის გასწვრივ კედელში დატანებულია დეკორატ. როზეტი, ჩრდ. საპირესთან ორი ჯვარია ამოკვეთილი.

ეკლესიაზე ჩრდ-დან მიშენებულია გეგმით ოთხკუთხა ორსართულიანი (ბ) სამრეკლო (4,5X4,85 მ), რ-ის ქვედა სართული ამჟამად ეკლესიის კარიბჭეა.

ბიბლ.: 143 მგ. მ., მ. ი., ს. თ., ქ. თ.

## ნადარბაზევი

(წრომის სოფსაბჭო)

092. დედაღვთისა, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დასით 1,5 კმ-ზე, მთის კალთაზე, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება IX-X სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (8X5 მ), ნაგებია ქვიშაქვით. დაზიანებულია: აღმ. კედლის შუა ნაწილი დანგრეულია, დანარჩენი კედლები მხოლოდ 0,7 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. ეკლესიას ერთი შესასვლელი დას-ით აქვს. მეორე, საკურთხევლის კუთხესთან ახლოს გაჭრილი შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავული ჩრდ-ის შესასვლელი ამოქოლილია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმლის წირთხლების ფრაგმენტებია, რ-ის გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშია. მათ ქვეშ კედელში დატანებულ სამალავებში შესასვლელი პატარა სწორკუთხა კარია გაჭრილი. სამხრ. კედელზე შემორჩენილია კამარის საბჯენი თაღის საყრდენი ორსაფეხურიანი პილასტრის ფრაგმენტი. *დე. თ.*

## პატარა თხინალა

(ხცისის სოფსაბჭო)

093. წმ. გიორგის ეკლესია, ყურაქედის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 800-900 მ-ზე, ხცისი-თხინალას გზაზე, ე. წ. ყურა ქედზე, სახაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება VIII-IX სს-ით. ძლიერ დაზიანებულია: თითქმის მთლიანად დანგრეულია ჩრდ. კედელი, შემორჩენილია დას. კედლის მხოლოდ შუა ნაწილი, სამხრ. კედლის ნაწილი და საკურთხევლის სამხრ. ნაწილი.

ეკლ. დარბაზულია (4,92X7,2 მ), ნაგებია ქვიშაქვისა და შირიმის ქვის უხეშად დამუშავებული ძალიან დიდი კვადრებით. შესასვლელი სამხრ-დანაა. კარი შიგნიდან დამრეცი თაღითაა გადახურული, გარედან შირიმის ქვის დიდი არქიტრავით (2,46X0,86 მ). ნალისებრი აფსიდის ღერძზე სარკმლის ღიობის კვალი ჩანს. აფსიდში სამხრ-ით მცირე სწორკუთხა ნიშია, რ-ის ქვემოთ კედელში ბრტყელი ქვით გადახურული სამალავია. საკურთხევლის მხრების სამხრ. კუთხე ამოყვანილია ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებით.

ეკლესიის აღმ-ით, 2-3 მ-ზე, ნანგრევებში აღმოჩნდა ქვიშაქვის სწორკუთხა ფრაგმენტი (0,92X0,23X X0,17 მ), რ-ზეც ამოკვეთილია ოთხი ერთმანეთზე გადაბმული რელიეფური რგოლი. ყოველ რგოლში თითო რელიეფური ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული. დამუშავებული გვერდის კუთხეები ჩამოკვეთილია და ირიბი ღარებითაა დასერილი. მოპირდაპირე გვერდზე პატარა სწორკუთხა ღრმულია ამოკვეთილი, ხოლო დანარჩენი გვერდები გლუვია. *დე. თ.*

## პატარა ფლევი

(ფლევის სოფსაბჭო)

094. სამყვირალოს წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-დას-ით 3 კმ-ზე, ადგილ სამყვირალოზე. გადმოცემით, საჭიროების დროს აქედან საყვირებით უხმობდნენ ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებთ. სტილისტ. ნიშნებით ეკლ. გვიანდ. ფეოდ. ხანით თარიღდება. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, კონქი, დანგრეულია გრძივი კედლების უმეტესი ნაწილი და დას. კედლის ფრონტონი.

ეკლ. დარბაზულია (8,6X5,3 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვიშაქვით ორი შესასვლელი აქვს — დას-ისა შიგნიდან თაღოვანია, ხოლო გარედან გადახურულია ქვიშაქვის დიდი არქიტრავით (2,5X1,2 მ); სამხრ-ის შესასვლელისაგან შემორჩენილია მხოლოდ დას-ის წირთხლი და თაღის ქუსლის წყობა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე მაღალი თაღოვანი სარკმელია, რ-ის გვერდებზე თითო პატარა სწორკუთხა ნიშია. დარბაზის გრძივი კედლების შუა ნაწილში და დას. კედლის კუთხეებში ორსაფეხურიანი პილასტრებია. *დე. თ.*

095. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება VIII-IX სს-ით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, კონქი, სამხრ. ფასადზე ამოცვენილია საპირე ქვები.

ეკლ. დარბაზულია (8,2X4,9 მ), ნაგებია კირქვის დიდი ზომის თლილი კვადრებით. შესასვლელი სამხრ-დანაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა ქვით გადახურული პატარა სარკმელია. მეორე სარკმელი სამხრ. კედელში აფსიდის მხართან ახლოს იყო გაჭრილი. აფსიდის სარკმლის გვერდებზე თითო ღრმა და სწორკუთხა ნიშია. საკურთხეველი დარბაზისგან აფსიდის მხრებით და მათზე გადაყვანილი სატრიუმფო თაღით იყო გამოყოფილი. შემორჩენილია აფსიდის კონქის ქუსლის რამდენიმე ქვა. კამარის საბჯენი თაღი დარბაზის გრძივი კედლების შეკიდულ პილასტრებს ეყრდნობოდა. *ბ. მ., ო. ა.*

## პატარა ხალები

(ხალების სოფსაბჭო)

096. ნაეკლესიარი (წმ. გიორგის ეკლესია), არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 3-4 კმ-ზე, ნასოფლარ ლანძილების ჩრდ-ით, სასაფლაოზე. ეკლ. დანგრეულია, შემორჩენილია ნახევარწრიული აფსიდის მცირე ნაწილი, გრძივი კედლების კონტურები და დას. კედლის პატარა მონაკვეთი. ნ-ზე ხეებია ამოსული. დარბაზული (5X3,8 მ) ეკლ. ნაგები იყო ნატეხი ქვიშაქვით. *დე. თ.*

097. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 3-4 კმ-ზე, ნასოფლარ ღუდას სამხრ-ით 200-300 მ-ზე, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ძლიერ დაზიანებულია — შემორჩენილია მხოლოდ საკურთხევლისა და დას. კედლის ნაწილი.

ეკლ. დარბაზულია (10X6,2 მ), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვითა და აგურით. დას-ით შიგნიდან თაღოვანი და გარედან სწორკუთხა შესასვლელი აქონია. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს კედელში არსებული პატარა სათავსები საკურთხეველს სწორკუთხა შესასვლელებით უკავშირდებიან. *დე. თ.*

098. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 3-4 კმ-ზე, ნასოფლარ ღუდას სამხრ-ით 200-300 მ-ზე, გორაკზე. ძლიერ დაზიანებულია: კედლები შემორჩენილია 0,5 მ სიმაღლე-

ზე. ეკლ. დარბაზულია (8,1X5,2 მ), ნაგებია დიდი ზომის ქვიშაქვით. შესასვლელი დას-ით აქონია. დვ. თ.

## რბონა

(ცხრამუხის სოფსაბჭო)

099. ნაეკლესიარი (იოანე ნათლისმცემლის ეკლესია), არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით; 200 მ-ზე, სასაფლაოზე. ეკლ. მთლიანად დანგრეულია. ნ-ზე ამჟამად დგას აემზაბეტონის ბლოკებით ნაგები ეკლესია. დვ. თ.

099,ა. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემო უბანში. ეკუთვნის ვ. ხაჩიძეს. აგებულია XIX ს-ის მიწურულში; ამ ადგილზე გადმოტანილია XX ს-ის 20-იან წლებში. ს. ს. (11,1X8,8 მ) ორსართულიანია. I სართული ნაგებია რიყის ქვითა და ნატეხი ქვიშაქვით, გარედან შელესილია. აქ თანაბარი ფართობის გომური და მარანია. მარანში შესასვლელი მთავარი ფასადიდანაა, გომურში — გვერდის ფასადიდან. მარანში ბუხარი და მოზრდილი თახჩაა. I სართული მეორეს უკავშირდება ხის ერთმარშიანი კიბით, რ-იც მოქცეულია I სართულის აივნის ფარგლებში და ადის II სართულის აივანზე. II სართული ხისაა. კედლის ფიცრები კუთხეებში ჭდობითაა დაკავშირებული. აქ ორი ოთახია. მათი კარ-ფანჯრები გამოდის ხის ღია აივანზე. რ-იც მთელ სიგრძეზე გასდევს ფასადს. აივანი I სართულის ხის სვეტებს ეყრდნობა. აივნის მოაჯირი და სვეტებშორისი თაღოვანი მალები მორთულია ჭვირული ორნამენტით. შენობას ყავრის ოთხფერდა სახურავი აქვს. დვ. თ.

099(ა). მთავარი ფასადი, განივი განაკვეთი, გეგმა



100. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით 300-400 მ-ზე. აგებულია 1893 წ. ალექსანდრე გვარამაძის მიერ. აღმ. კედელი და გრძივი ფასადები მიწაყრილითაა დაფარული.

ეკლ. დარბაზულია (6,35X4,5 მ), ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით. მისი აღმ. ნაწილი მთის ფერდობშია შეჭრილი. დას-ით სწორკუთხა შესასვლელი აქვს. ნახევარწრიული აფსიდის კედლები უშუალოდ ერწყმის გრძივ კედლებს. საკურთხეველში სატრაპეზო ქვა დგას. დარბაზის ჩრდ. კედელში, აფსიდთან ახლოს თაღოვანი ნიშია. ბრტყელი ზღუდარით გადახურული პარალელურწირთხლებიანი ერთადერთი სარკმელი დას-ითაა. დარბაზი ხის კამარითაა გადახურული, საკურთხეველი — ხის კონქით. დას. ფასადზე შესასვლელის არქიტრავზე გამოსახულია შეღრმავებული ჯვარი. არქიტრავის მარჯვნივ სამსტრიქონიანი სამშენ. წარწერაა. დვ. თ.

## რუსაანთუბანი

(ქვიშხეთის სოფსაბჭო)

101. წმ. ანდრიას ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, ფერდობზე, მუხნარში, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანის დასაწყისით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა და კედლების ზედა ნაწილი, დარბაზში ორი დიდი ხეა ამოსული.

ეკლ. დარბაზულია (12X5,9 მ), ნაგებია ტლანქად დამუშავებული, არაწესიერი ფორმის ქვიშაქვითა და შირიმის თლილი კვადრებით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ით აქვს. სამხრ. შესასვლელი შიგნიდან არქიტრავითაა გადახურული, გარედან შირიმის კვადრებით ნაწყობი თაღით. ღრმა ნახევარწრიული აფსიდი, რ-ის ღერძზე ბრტყელი ზღუდარით გადახურული სწორკუთხა სარკმელია, ფართო მხრებითაა (0,55 მ) გამოყოფილი დარბაზისაგან. აფსიდის სარკმლის





101. ბარელიეფი – „დანიელი ლომების ხაროში", სამხრ-ის შესასვლელი

მარცხნივ ერთ მთლიან ქვიშაქვაში გამოკვეთილი შეისრულთაღიანი ნიშია. სარკმლის ქვემოთ სატრაპეზო ქვა დგას. ეკლესიის ჩრდ. კედელში 1,2 მ სიმაღლეზე ჩაშენებულ ფილაზე დაბალი რელიეფური კომპოზიციაა — დანიელი ლომების ხაროში. შენობა დგას ცოკოლზე, რ-იც თითქმის მთლიანად მიწითაა დაფარული. დვ. თ

## სავანეთის წმ. გიორგის ეკლესია.

იხ. სოფ. დიდი ბეკამი

## სავანისუბანი

(ქვიშხეთის სოფსაბჭო)

102. წმ. გიორგის ეკლესია, ელიას ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. სამშენ. წარწერის თანახმად, აგებულია 1856 წ. სავანელების, ელისაშვილების, მარ-



102. გეგმა

გელაშვილების, რომაშვილების, რეეაზიშვილების, ციუელაშვილებისა და ორთოიძეების საგვარეულოთა დაკვეთით. 1975 წ. ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. შეაკეთა და გადახურა თუნუქით.

ეკლ. დარბაზულია (12,1X7 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით. შიგნიდან თაღოვან შეღრმავებებში ჩასმული შესასვლელი ორია — სამხრ-ით და დას-ით. აღმ-ით, ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე, და დას-ით თითო თაღოვანი სარკმელია. ორ-ორი ასეთივე სარკმელი გრძივ კედლებში ერთმანეთის სიმეტრიულადაა განლაგებული. აფსიდში სამი ნიშია, თითო სწორკუთხა ნიში გრძივი კედლების აღმ. ნაწილშია, სარკმლებს ქვემოთ. დარბაზის გრძივი კედლები პილასტრებითა და მათ კაპიტელებზე დაყრდნობილი კედლის თაღებით სამ ნაწილადაა დაყოფილი. კაპიტელებს ზემოთ კრონშტეინებია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღია გადაყვანილი. დას-ით კედლის შეკიდული საბჯენი თაღია.

ფასადებზე საპირე ქვიშაქვის თლილი კვადრების პორიზ. ნაკერების სწორხაზოვნება მკაცრადაა დაცული. აღმ., ჩრდ. და სამხრ. სარკმლებს პროფილირებული მოჩარჩოება აქვთ, ხოლო დას. სარკმელი სწორკუთხა შეღრმავებაშია ჩასმული. შესასვლელები მორთულია სწორკუთხა პროფილირებული არქივოლტით. სამხრ. შესასვლელის არქიტრავზე ჯვარია ამოკვეთილი, ხოლო მოჩარჩოების თაღოვან არეში შეიდსტრიქონიანი მხედრ. სამშენ. წარწერაა. ეკლესიას წრეთარგისა და ლილვისაგან შედგენილი ქვიშაქვის ლავგარდანი აქვს, სახურავი ორფერდაა. დას. ფრონტონზე დაშენებულია თაღებით გახსნილი და პირამიდული სახურავით დასრულებული პატარა სამრეკლო. *დვ. თ.*

## სათივე

(ქვიშხეთის სოფსაბჭო)

103. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით. აგებულია XIX ს-ში. ეკლ. დარბაზულია (4,6X3 *მ*), ნაგებია თლილი ხის ძელებით აქ ადრე არსებული, რიყის ქვით ნაგები ეკლესიის საძირკველზე. აღმ. კედელში ოთხკუთხა სარკმელია. ფასადების ძელური წყობა თარაზულია. კუთხეები შეკრულია კონტრფორსებით. შენობაზე დას-დან მიდგმულია კარიბჭე (3X2 *მ*), რ-ის სამხრ. კედელში გაჭრილია ეკლესიაში შესასვლელი კარი. *ნ. ა.*

## სამყვირალოს წმ. გიორგის ეკლესია.

იხ. სოფ. პატარა ფლევი

## სარმანიშვილისკარი

(ქვიშხეთის სოფსაბჭო)

104. ნაეკლესიარი (ღვთისმშობლის ეკლესია), არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე. რიყის ქვით ნაგები დარბაზული ეკლესიის ნანგრევებზე 1960 წ. ახალი ეკლესია ააგეს. ნ-თან შემორჩენილია ქვევრები. *დვ. თ.*

105. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 2 *კმ*-ზე, სარმანიშვილის ხევის მარჯვ. მხარეს, ფერდობზე. შემორჩენილია მხოლოდ საკურთხევლის და გრძივი კედლების ნაწილი. ეკლ. დარბაზულია (18X9,4 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით. აფსიდი ღერძზეა განგრეული, მისი ფორმა გაურკვეველია. *დვ. თ.*

## სომანეთის ღვთისმშობლის ეკლესია.

იხ. სოფ. ვაყა

## სურამი

(სადაბო საბჭოს ცენტრი)

106. სურამი, დაბა, ისტ. ძ. მდებარეობს ქ. ხაშურის ჩრდ.-დას-ით 4 *კმ*-ზე, ორი მნიშვნელოვანი გზის შესაყარზე, რ-თაგან ერთი მიემართება ლიხის გადასასვლელით დას. საქართველოსაკენ, ხოლო მეორე ბორჯომის ხეობით სამხრ. საქართველოსაკენ.

ხელსაყრელი გეოგრ. მდებარეობის გამო ს. უძველესი დროიდან მჭიდროდ იყო დასახლებული. ფეოდ. საქართველოს გაერთიანების დასაწყისისათვის და მომდევნო საუკუნეებშიც ს. სავაჭრო ცენტრი იყო. ურთიერთობა ჰქონდა თბილისთან, განჯასთან, ერევანთან, ქუთაისთან და ამიერკავკ. სხვა ქალაქებთან. XII ს-დან, მას შემდეგ, რაც ქართლის ერისთავობა სურამელთა საგვარეულოს წარმომადგენლებს (მსახურთუხუცესი გრიგოლ სურამელი, ბეგა სურამელი და სხვ.) გადაეცა, ს. ქართლის ერისთავთა რეზიდენციად და აღმ. ცენტრად იქცა. მონღოლთა ბატონობის დროს დუმნებად დაყოფილ საქართველოში მეორე დუმნის — ქართლის მმართველი გრიგოლ სურამელი იყო. XIII-XVII სს-ში ქართლის სხვა ქალაქებთან ერთად ს. მრავალჯერ ააოხრეს, მაგრამ XVII ს-დან ისევ ქალაქად არის მოხსენიებული, ხოლო XVIII ს-ში, როგორც სამეფო ქალაქი, მეფის მოურავის გამგებლობაშია. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ქვეყნის პოლიტ. ცხოვრებაში განსაკუთრებით იზრდება სურამის ციხის მნიშვნელობა. იგი მთავარი სათაედაცვო ბაზა და საიმედო ხიმაგრე იყო ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში. მას დიდხანს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ერეკლე II-ის მიერ გამაგრებულ მნიშვნელოვან ციხეებს მიეკუთვნება.

XIX ს-ში ხაშური და ს. შეადგენდნენ სურამის საბოქაულოს, რ-შიც 32

106. გ. გაგარინი. სურამის ციხე



სასოფლო საზოგადოება შედიოდა. ს-ის ზრდა-განვითარებაზე გავლენა მოახდინა ტფილის-ფოთის და ხაშურ-სურამის რკინიგზის გაყვანამ (1872 წ.). ხაშურისა და ს-ის საზოგადოებას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან. ს-ში თავს იყრიდნენ მოწინავე ადამიანები. 1885 წ. აქ ისვენებდა აკ. წერეთელი. აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სამკურნალოდ ჩამოსული უკრაინელი მწერალი ქალი ლესია უკრაინკა (ლარისა კოსაჩი). 80-იანი წლებიდან, ხაშურთან ერთად, ს-იც ჩაება აქტიურ საზ. მოძრაობაში. ასევე 1905-07 წწ-ის რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ს. რეგიონში რევ. მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრია (იხ. ხ ა შ უ რ ი).

(ა) 1903 წ. 27 აპრილს ს-ში (აგრეთვე მიხაილოვოში, ცხინვალში და სხვ. სოფლებში) მოხდა გ ლ ე ხ ე ბ ი ს მასობრივი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი გ ა მ ო ს ვ ლ ა, რ-საც ხელმძღვანელობდა გორის მაზრის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია.

(ბ) 1904 წ ნოემბრის დასაწყისში ს-ში რუსეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებით ჩატარდა მ უ შ ა თ ა და გ ლ ე ხ თ ა ს ა პ რ ო ტ ე ს ტ ო მ ი ტ ი ნ გ ი, რ-ზედაც გაავრცელეს რსდმპ კავკასიის კავშირის ტფილისის კომიტეტის პროკლამაციები.

(გ) 1905 წ. მარტში აქ მოხდა ს-ისა და ახლო სოფლების გ ლ ე ხ ე ბ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი გ ა მ ო ს ვ ლ ა. გლეხებმა მოითხოვეს უფასო სავალდებულო ხწავლების შემოღება, წოდებათა გაუქმება. მათ ცეცხლი წაუკიდეს მემამულეთა სახლებს. მოხდა შეტაკება სამხ. ნაწილთან.

1938 წ. 1 ხექტ. ს-ში გაიხსნა გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი ს ს ა ხ. უ დ ე დ მ ა მ ო ბ ა ვ შ ვ თ ა ს ა ხ ლ ი. აქ დიდი სამამულო ომის წლებში ყოველწლიურად 300-400 ობლად დარჩენილი ბავშვი ნახულობდა თავშესაფარს. ამჟამად აქ შექმნილია ინტერნაციონალური კლუბი, რ-საც დამყარებული აქვს კავშირი სსრ კავშირის მრავალ საბავშვო სახლთან.

1948 წ. ს. რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად გამოცხადდა. სამკურნალოდ იყენებენ ბუნებრივი გოგირდის მინერალურ წყლებს. მუშაობს სანატორიუმები, ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბანაკები, დასასვენებელი სახლი.

დაბა — კურორტის განაშენიანება წარმოებს გენერალური გეგმის პროექტის მიხედვით (1985 წ., არქიტ-ები მ. გელაშვილი, ვ. ფრანგიშვილი, ჯ. ხვედელიძე).

ბიბლ.: 76; 100:65-68; 201გ.დ.ე.ვ. 233; 298:124, 172; 403:1905 წ., 15 მარტი, № 27 *აფრ. გ., ჩ. თ.*

107. ამაღლების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას დაბის დას-ით 1,5 *კმ*-ზე, შემაღლებულ ადგილზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (10,7X5,9 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის დიდი კვადრებით. იგი შელესილი და შეთეთრებულია. შესასვლელი ორი აქვს, დას-ით (ამოშენებულია) და სამხრ-ით. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, მეორე სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთშია. დარბაზის გრძივი კედლები დანაწევრებულია ორ-ორი ნახევარწრიული კედლის დეკორატ. თაღით. თაღებს შორის მოთავსებულ თაროსებრკაპიტელებიან პილასტრებზე გადაყვანილია ნახევარწრიული კამარის



107 გეგმა



106. ერთ-ერთი უბანი, XIX ს-ის 90-იანი წწ. ფოტო

ხაბჯენი თაღები. სამხრ. კედელში, შესასვლელთან, იატაკიდან 1 მ-ის სიმაღლეზე პატარა ნიშია. აღმ. ფასადის სარკმლის თავზე ლილვებით გამოყვანილია ჯვარი. ეკლესიას ორფერდა სახურავი აქვს. მ. ბ.



108. ხაერთო ხედი სამხრ.-დას-დან

108. გუმბათოვანი ეკლესია და სამრეკლო, არქიტ. ძ. დგას დაბის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, აღმ. და დას. საქართველოს დამაკავშირებელი გზის პირას. თარიღდება XVIII-XIX სს-ით. 1968 წ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ეკლესიას რესტავრაცია გაუკეთა და მოთუთიებული თუნუქით გადახურა.

108. ჩრდ. ფასადი, გეგმა





ეკლ ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (11,5X17,2 მ), რ-საც დას-ით სამრეკლო ეკვრის. ნაგებია აგურით და ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. შიდა ჯვაროვანი სივრცე იქმნება ცენტრ. გუმბათქვეშა კვადრატიდან ოთხივე მხრივ გაწვდილი მკლავებით. აღმ. მკლავი დასრულებულია ნახევარწრიული ღრმა აფსიდით და ბემით. დანარჩენი მკლავები ოთხკუთხაა. სამხრ. და ჩრდ. მკლავები მოკლეა, დას-ისა შედარებით გრძელი. მკლავები თითო ფართო შეისრული თაღით უკავშირდება გვერდის მონაკვეთებს. აფსიდის ღერძზე ერთი მაღალი სარკმელია, რ-ის გვერდებზე თითო თაღოვანი ნიშია. საკურთხევლის ბაქანი შემაღლებულია და ბემის საზღვრებს სცილდება. გვერდებზე კიბეები აქვს. საკურთხევლის ცენტრში სატრაპეზო ქვა დგას. საკურთხევლის ჩრდ-ით და სამხრ-ით ორსართულიანი სათავსებია. ქვედა სართულის სწორკუთხა სათავსები, სამკვეთლო და სადიაკვნე, ეკლესიის ძირითად სივრცესთან დაკავშირებულია კარით და ცილინდრული კამარითაა გადახურული. ამ სათავსების გრძივ კედლებში გაჭრილია თითო სარკმელი. ზედა სართულის სათავსებში ასასვლელი ვიწრო კიბეები ბემის შესაბამის კედლებშია დატანებული. ორივე ზედა სათავსი გადახურულია დამრეცი კამარით და ნათდება აღმ-ის სარკმლიდან. ეს სათავსები ასაძრომით უკავშირდებიან აფსიდის კონქის ზედა სივრცეს (სამალავს). ეკლესიის გრძივ კედლებში გაჭრილია ორ-ორი სარკმელი, ხოლო გუმბათის ყელში თორმეტი დიდი თაღოვანი სარკმელია. ეკლესიის შიდა სივრცის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს კვადრ. საფუძველზე დამყარებული გუმბათი, რ-იც ბემის შვერილებსა და დას-ით ორ თავისუფლად მდგომ ბოძზე დაყრდნობილ ნახევარწრიულ თაღებზეა აღმართული. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება. აფრებში ჩადგმულია თითო სარეზონატორო ქვევრი. დას. კედლის კიდეებში დატანებულია ადრე არსებული ხის პატრონიკეზე ასასვლელი ვიწრო კიბეები. ეკლესიის ინტერიერი შელესილი და მოხატულია.

ეკლ. ორსაფეხურიან მაღალ ცოკოლზე დგას. ჯვრის მკლავების ორფერდა სახურავების გადაკვეთაზე აღმართულია პირამიდულსახურავიანი მაღალი თორმეტწახნაგა გუმბათი. გუმბათის ყელის სარკმლები უწყვეტი თაღედითაა მოჩარჩოებული. აღმ. ფასადზე, საკურთხევლის მაღალი ოთხკუთხა სარკმლის ზემოთ, ფრონტონის არეში გამოსახულია ჯვარი, მის ორივე მხარეს რომბისებრი გამოსახულებებია. ამ ფასადის ცენტრ. ნაწილის კიდეებში თითო პილასტრია. სამხრ. ფასადის აღმ. ნაწილში ჯვრის მკლავის კედელი შესქელებულია და მის კიდეებზე თითო პროფილირებული პილასტრია. მკლავის ღერძზე, სარკმლის ზემოთ მედალიონია. პილასტრების რთულპროფილიანი კაპიტელები ანალოგიური პროფილის ლავგარდანს ერწყმის. ლავგარდანი მთელ სიგრძეზე გასდევს ფასადს. ლავგარდნის ზემოთ, სამხრ მკლავის ფრონტონის ცენტრში გამოსახულია რელიეფური ჯვარი. მის ირგვლივ კლასიკური არქიტ ფორმების სტილიზებული ელემენტებია განლაგებული. ამ ფასადის განაპირა მონაკვეთების სარკმლების თავზე პორიზ. პროფილირებულ ზოლებს შორის რიტმულად ჩამწკრივებული ნახევარსვეტებით შექმნილია ფრიზი. ჩრდ-ის ფასადი სამხრ-ის ანალოგიურია. დას. ფასადის ცენტრ. ნაწილს სამრეკლო ეკვრის, განაპირა ნაწილებში კი სარკმლებია, ქვემოთ — თაღოვანი, ზემოთ — მრგვალი.

(ა) სამრეკლო ეკლესიის თანადროული ოთხსართულიანი ნაგებობაა. შესასვლელი დას-ითაა, ეკლესიის კარის ღერძზე. ყოველ კედელში თითო თაღოვანი შეღრმავებაა, ჩრდ. და სამხრ. კედლებში კი თითო სარკმელი. II სართულის ჩრდ., სამხრ. და დას. კედლებში თითო მრგვალი სარკმელია. I და II სართული გუმბათოვანი კამარითაა გადახურული. III სართული სამ მხარეს გახსნილია თაღე-

108 განივი განაკვეთი აღმ-კენ



ბით. მისი გადახურვის ცენტრში დატოვებულია ზარების თოკის ჩამოსაშვები ღიობი. IV სართული პირამიდული სახურავით დასრულებული, თაღებით გახსნილი რვაწახნაგა ფანჩატურია, რ-ის გუმბათის წყობაში გადებულია ზარების ჩამოსაკიდი ხის ძელები. სამრეკლოს ქვიშაქვის პროფილირებული ლავგარდანი აქვს. ეკლესია სომხურია. *დე. თ.*

109. ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკა და ძეგლი, ისტ., მონუმენტ. ხელოვნ. ძ. გურამიშვილის ქ., 2. ლესია უკრაინკა (ლარისა პეტრეს ასული კოსაჩი, 1871-1913 წწ.), უკრაინელი მწერალი სამკურნალოდ საქართველოში (თბილისში, თელავში, ხონში, ქუთაისში) იმყოფებოდა 1903 წ-დან. 1913 წ. ივნის-ივლისში (გარდაცვალებამდე) მწერალი ცხოვრობდა სურამში.

1952 წ., ლესია უკრაინკას დაბადებიდან 80 წლისთავის საზეიმო დღეებში, სახლში, სადაც მწერალმა გაატარა სიცოცხლის ბოლო დღეები, გაიხსნა მისივე სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკა და ძეგლი.

(ა) მ უ ზ ე უ მ ი ს შენობა ორსართულიანია, აშენებულია აგურით. ცოკოლის სართულში სარდაფია. სახლის რვა ოთახიდან სამ ოთახში ბიბლიოთეკაა, ხუთში — მუზეუმი. ლესიაობის პირველსავე წელს მუზეუმ-ბიბლიოთეკასთან დაარსდა სახალხო უნ-ტი.

(ბ) ლესია უკრაინკას ძ ე გ ლ ი დგას მუზეუმ-ბიბლიოთეკის ეზოში, სკვერში. გაიხსნა 1952 წ. 1 აგვ. მოქანდ. თ. აბაკელია, არქიტ. ვ. ალექსი-მესხიშვილი ბრინჯაოს ბიუსტი დგას სწორკუთხა (1,3X1,02X0,6 *მ*) კვარცხლბეკზე, რ-ზეც ქართ., რუს., უკრაინულ ენებზე ამოკვეთილია: „ლესია უკრაინკა“. პოეტი ქალი წარმოდგენილია ფრონტალურად, წელზევით, სახე დამუშავებულია ზოგადი მასებით. მკაფიოდ არის გადმოცემული სახის დამახასიათებელი ნაკვთები. ტანსაცმლის ნაკეცთა თავისუფალი განლაგება ქმნის შუქ-ჩრდილის ეფექტს. *ბერძ. ც., დ. ფ.*

109,ა. მიხეილ მურვანიშვილის საცხოვრებელი სახლი, არქიტ., ისტ. ძ. 1 მაისის ქ., 92. ქართვ. საზ. მოღვაწემ, მეტყევე მიხეილ მურვანიშვილმა (1875-1959 წწ.) თავისივე პროექტით 1916-17 წწ ააგო საკუთარი საცხოვრებელი სახლი. სახლი ამჟამად გადაკეთებული და სახეშეცვლილია (ნახაზზე აღდგენილია პირვანდელი სახე). საცხოვრებელი ნაწილი (13X13 *მ*) ნაგებია აგურით, მიწიდან ამაღლებულია 1,2 *მ*-ზე. სახლის სამხრ.-აღმ. ნაწილი ერთსართულიანი ფლიგელია (სასადილო, სამზარეულო, საკუჭნაო), ხოლო ჩრდ.-დას. — ორსართულიანი. I სართულზე 4 ოთახი



109(ა). მთავარი ფასადი, გეგმა, საერთო ხედი, XX ს-ის 20-იანი წწ. ფოტო

109. საერთო ხედი





და ფართო თაღოვანი მალებით გახსნილი. ქუჩისაკენ მიმართული ლოჯიაა. ლოჯიას აგურის ხუთსაფეხურიანი კიბე აქვს (მთავარი შესასვლელი). II სართულზე 2 ოთახია. აქაც მთავარი ფასადის მხარეს ფართო თაღოვანი მალით გახსნილი ლოჯიაა. კედლები დასრულებულია საფეხურიანი ლავგარდნითა და ქონგურების მწკრივით.

მ. მურვანიშვილმა სურამის სატყეო მეურნეობაში დირექტორად მუშაობის პერიოდში (1934-15 წწ.) ბულაურაზე სატყეო სანერგე (3,2 ჰა) მოაწყო, გააშენა ახალი წიწვოვანი ტყეები სურამის შემოგარენში, ნუნისის ზეარეში აღადგინა გაპარტახებული ტყეები (131 ჰა) და სხვ. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. საცხოვრებელი სახლის II სართულზე იყო სატყეო მეურნეობის კანტორა. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები.

სურამის ზემოთ, ბაიანთხევში, მეტყევის მიერ გაშენებულ ფიჭვნარში (ა) მ. მ უ რ ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ს ა ფ ლ ა ვ ი ა.

*ბიბლ.:* 166 *დე. თ., კ. ს.*

110. დავით სულიაშვილის სახლი, ისტ. ძ. 1 მაისის ქ., 43. სახლი ამჟამად გადაკეთებული და სახეშეცვლილია. აქ დაიბადა და ცხოვრობდა ქართვ. რევოლუციონერი და მწერალი დავით სულიაშვილი (1884-1964 წწ.). *ჭყ. თ.*

111. სურამის ციხე, არქიტ., ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. მდებარეობს დაბის სამხრ. ნაწილში, მდ. სურამულას მარჯვ. ნაპირზე, კლდოვან გორაკზე. კომპლექსში შედის: გალავანი, ციხე, წმ. გიორგის ეკლესია, სასახლე. ციხე აგებულია XII-XIII სს-ში, სურამელთა საერისთავოს დაფუძნებასთან დაკავშირებით. კაპიტალურად შეკეთდა XVI ს-ის II ნახ-ში. ამ პერიოდის კედლის ნაშთები შემორჩენილია გალავნის ჩრდ.-დას. კუთხეში. დანარჩენი ნაწილები აღდგენილია XVII და XVIII სს-ში.

ისტ. წყაროებში, როგორც სტრატეგიული პუნქტი, ს. ც. მოხსენიებულია 1625 წ., როდესაც იგი გ. სააკაძემ გაამაგრა ირანელთაგან თავის დასაცავად. 1692 წ. ს. ც. თურქების ხელშია: 1701 წ-დან მას მეფისწული ვახტანგი ფლობს და ისევ „ძლიერ კოშკთა" შორის მოიხსენიება. 1742-45 წწ. ირანელთა წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში ს. ც. ზემო ქართლის სადროშოს უფროსის გივი ამილახვრის ძირითადი დასაყრდენი გახდა. პოლიტ. სიტუაციის შეცვლასთან დაკავშირებით აჯანყებულები თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდნენ, რ-თაც შაჰი



111. დას. ფასადი, გეგმა 1. შესასვლელი, 2. გალავანი, 3. ქვედა ეზო, 4. შიდა ციხე 5. კოშკი, 6. წმ. გიორგის ეკლესია, 7. სასახლე

უჭერდა მხარს. ხანგრძლივი ბრძოლისა და მოლაპარაკების შედეგად ამილახვარი დანებდა და ს. ც. შაჰის ბრძანებით დანგრეულ იქნა. იგი 1756 წ. აღადგინეს. ამ დროს აქ ერეკლე II-ს ქიზიყის მოურავი თამაზი ჰყავდა დატყვევებული. ს. ც. ქართველთა მფლობელობაში 1783 წ-მდე იყო. შემდეგ აქ რუს. გარნიზონი ჩააყენეს. 1791 წ. ერეკლე II-ის „ანდერძში" ს. ც. საქართვ. უმაღლეს ციხეთა შორის არის მოხსენიებული. 1801 წ. წყაროებით ციხე ისევ მოქმედია. XIX ს-ში მან საქართვ. სხვა ციხეებთან ერთად თანდათან დაკარგა მნიშვნელობა.

(ა) გ ა ლ ა ვ ა ნ ი რელიეფს მიჰყვება. ნაგებია ნატეხი და თლილი ქვით. გაირჩევა რამდენიმე სამშენ. ფენა. შესასვლელი ჩრდ. კედლის შუა ნაწილშია. აქ კლდეში ამოკვეთილია საფეხურები. გალავნის ამ მონაკვეთის ზედა ნაწილში ვიწრო სათოფურებია, ჩრდ.-დას-ით ყრუ კედელია. გალავნის დას. ნაწილი დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ 8 *მ* სიგრძის და 2 *მ* სიმაღლის კედელი, რ-ზეც ეზოს მხრიდან სასახლე იყო მიშენებული. გალავანში აღმ-ით ჩართულია შიდა ციხის კედელი, რ-იც ნაკლებადაა დაზიანებული. გვიანდ. სამშენ. ფენა (XVIII ს.) თხელია, მის აღმ. კედელში ერთ რიგად განლაგებულია სათოფურები. ციხის თავდაპირველი კედლების ქონგურები გამოყვანილია უხეშად და განაწილებულია არათანაბრად; უფრო გვიან ნაშენი კედლებისა კი პირიქით ხშირი, ვიწრო და მომრგვალებულია და განლაგებულია თანაბრად.

(ბ) ც ი ხ ე (ფართ. 1200 *კვ მ*) შედგება ორი ნაწილისაგან: შიდა ციხისა (ციტადელი) და ქვედა ეზოსაგან. შიდა ციხეს უჭირავს მთის ზედა ნაწილი, ქვედა ეზოს კი მთის ფერდობები. შიდა ციხე გეგმით არასწორი მრავალგვერდაა (52,4X29,3 *მ*). შედგება გალავნისა და პირამიდული კოშკისაგან (21,2X12,7 *მ*). მისი ტერიტორია ნანგრევებითაა დაფარული. (გ) კ ო შ კ ი ს მხოლოდ ორი სართულია შემორჩენილი. ორივე სართულს ეზოდან აქვს შესასვლელი. II სართულის სქელ კედ-

ლებში ვიწრო სარკმლებია. ნაგებობა მოპირკეთებულია თლილი ქვით.

(დ) წმ. გიორგის ეკლესია დგას ქვედა ეზოს სამხრ.-აღმ. ნაწილში. აგებულია XI-XII სს-ში. ეკლ. დარბაზულია (5,9X6,1 მ), ნაგებია თლილი ქვით. შესასვლელი ორი აქვს — დას-ით და ჩრდ-ით. ეკლ. ორნაწილიანია, ორივე ნაწილი თანაბარია. სამხრ. ნაწილი აფსიდიანია, ჩრდ. ნაწილი — სწორკუთხა. დარბაზები ერთმანეთთან დაკავშირებულია განიერი თაღით. ორივე ნაწილი გადახურულია ერთი ცილინდრული კამარით, რ-იც მათ ერთ დიდ დარბაზად აერთიანებს. თითოეულ დარბაზში თითო სარკმელია აღმ-ით და დას-ით.

111(დ). დას. ფასადი, გეგმა





ინტერიერში შემორჩენილია ფეოდ. ხანის (ე) მოხატულობის დაზიანებული ფრაგმენტები. საკურთხევლის კონქში *ვედრების* კომპოზიციაა; მის ჩრდ. კუთხეში ღვთისმშობლისა და ექვსფრთედის ფიგურებია, ქვემოთ — *მოციქულთა* ზიარება. ასევე ცალკეული ფრაგმენტებია შემორჩენილი დარბაზში: კამარის ჩრდ. მხარეს, თაღის თავზე *ამაღლების* კომპოზიციის ნაწილი; ქვემოთ, ჩრდ.-დას. კუთხეში წმინდანთა მჯდომარე ფიგურებია; დას. კედლის ჩრდ. მონაკვეთი, ზემოთ, *ლაზარეს აღდგინებას* უჭირავს: ჩრდ. ნავის კამარაში ჩანს მხოლოდ ანგელოზთა ფრთები: ქვემოთ, სამხრ. და ჩრდ. კედლების აღმ. ნაწილში მთავარანგელოზთა ორ-ორი ფიგურაა. მოხატულობისათვის დამახასიათებელია გამოსახულებათა მცირე ზომები და შესრულების გრაფიკულობა. კოლორიტში ჭარბობს მოწითალო-აგურისფერი, მუქი ლურჯი, მოწითალო-ყავისფერი, მონაცრისფრო-თეთრი და ყვითელი ფერები. ეკლესიის ფასადებზე დეკორის ფრაგმენტები ჩანს. სარკმლების მორთულობიდან შემორჩენილია თაღების და რელიეფური ღილაკის ფრაგმენტები. სახურავი ორფერდაა. ეკლესიაზე ჩრდ-დან მიშენებულია კამარით გადახურული პატარა (2X3 მ) სათავსი, რ-საც შესასვლელი დასდან აქვს. კარის თავზე გაჭრილია სარკმელი.

(ვ) სასახლე მდებარეობდა ქვედა ეზოს დას. მონაკვეთში. იგი ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია მხოლოდ ორი სართულის ნანგრევები. გადახურვა კამარული ჰქონია. სასახლის აღმ. კედელში ღრმა ნიშები და თაღების ფრაგმენტებია. გაირჩევა რამდენიმე სამშენ. ფენა.

გალავნის დას. კედელზე, რ-ზეც მიშენებული იყო სასახლე, შეინიშნება ორი სათავსის ფრაგმენტი.

ბიბლ.: 85; 89; 97; 98; 301 დ. ფ., ზ. ჰ.

112. ღვთაების ეკლესია, არქიტ. ძ. კომკავშირის ქ. აშენებულია 1831 წ. ადრე აქ არსებული ეკლესიის ნანგრევებზე ძმები ნებიერიძეების დაკვეთით. შეკეთებულია 1972 წ.

ეკლ. დარბაზულია (12,2X5,6 მ), ნაგებია ქვის დიდი კვადრებითა და რიყის ქვით, შეკეთებულია აგურით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ით აქვს. აფსიდი ნახევარწრიულია. აღმ., დას. და სამხრ. კედლებში თითო სარკმელია. დარბაზის გრძივ კედლებზე ორ-ორი პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა ცილინდრული კამარის საბჯენი თაღები. აღმ. და დას. ფასადებზე აგურის წყობაში გამოყვანილია თითო ჩაღრმავებული ჯვარი. სამხრ. ფასადზე სპილენძის ფირფიტაზე სამშენ. წარწერაა. ეკლესიის აღმ. კიდეზე დაშენებულია აგურის ითხსვეტიანი სამრეკლო. გვას. ჯ.

112. გეგმა



113. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს დაბის ჩრდ. ნაწილში, საავტ. გზის პირას, გუმბათოვანი ეკლესიის გვერდზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. თითქმის მთლიანად დანგრეულია: 3,5 მ სიმაღლეზე შემორჩენილია მხოლოდ ეკლესიის სამხრ.-დას. ნაწილი და კუთხის პილასტრები. დარბაზული ეკლ. ნაგები იყო რიყისა და ნატეხი ქვით. შესასვლელები დას-ით და სამხრ-ით ჰქონია (შემორჩენილია სამხრ. კარის დას. წირთხლის ნაწილი და მარტივი პილასტრი კარის მარჯვ. მხარეს). დვ. თ.

114. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას დაბიდან დას-ით, ადგილ ქეცუმთან. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,1X6 მ), ნაგებია რიყის ქვით და კირქვის კვადრებით. შესასვლელი სამხრ-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე პატარა სარკმელია. ასეთივე სარკმელია სამხრ-ით და დას-ით. სახურავი ორფერდაა. ნ. ა.

## ტაშსას ეკლესია.

იხ. სოფ. ტაშისკარი, წმ. გიორგის ეკლესია

## ტაშისკარი

(ქვიშხეთის სოფსაბჭო)

115. 1609 წ. ივნ-ში ქართლში ოსმალთა მრავალათასიანი არმია შემოიჭრა, რ-თა შორის ორიათასამდე ყირიმელი თათარი იყო. მტერმა სწრაფად განვლო ჯავახეთი, თრიალეთი და მანგლისს მიადგა. მისი მიზანი იყო შიდა ქართლში შეჭრა, მისი აოხრება და ქართლის მეფის ლუარსაბის შეპყრობა, რ-იც მცირე ამალით ხაზაფხულო რეზიდენციაში — ცხირეთში იმყოფებოდა. გიორგი სააკაძის გეგმის მიხედვით ქართველებმა მტერს პირველი ბრძოლა სხერტის ჭალაში გაუმართეს. ციხელი შეტაკების შედეგად შეშფოთებული მტერი სოფ. ბრბონას დაეცა, დაარბია, გადავიდა მტკვარზე და ტაშისკარში დაბანაკდა. ქართველთა ჯარი გ. სააკაძის მეთაურობით ახალდაბას ჩავიდა და მტერს ახალციხისაკენ გასასვლელი გზა მოუჭრა. გარიჟრაჟზე დაწყებული ე. წ. ტაშისკარის ბრძოლა დაბინდებისას ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. ტაშისკარში, იმ ადგილას, სადაც ორი დიდი წაბლის ხე დგას, გადმოცემით, ქართველებს ამ გამარჯვების აღსანიშნავად დიდი ზეიმი გაუმართავთ. აფრ. გ.

116. ჩიქორის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხ.-აღმ-ით, ხაშურბორჯომის რკინიგზის მარჯვ. მხარეს, ძვ. სასაფლაოზე. ხტილისტ. ნიშნებით თარიღდება XVIII-XIX სს-ით. ეკლ. დარბაზულია (7X4,9 მ), ნაგებია რიყის ქვით, ქვიშაქვის კვადრებითა და აგურით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა და კედლების ზედა ნაწილი. სამხრ-ით თაღოვანი შესასვლელია, აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდი, რ-ის ღერძზე სარკმელია გაჭრილი. სარკმელი მოგ-

ვიანებით გაუფართოებიათ და ამჟამად თანამედროვე აგურით ნაწყობი შეისრული თაღითაა დასრულებული. სარკმლის გვერდებზე თითო თაღოვანი ნიშაა. საკურთხევლის აგურით ამოყვანილ კონქში ორი რეზონატორი იყო ჩასმული. დას-ით, ჩრდ-ითა და სამხრ-ით თითო თაღოვანი სარკმელია. დარბაზი ცილინდრული კამარით ყოფილა გადახურული. აღმ. ფასადზე სარკმლის მარცხ. მხარეს შემორჩენილია წყობაში ჩასმული პატარა ქვევრის ნაწილი, ხოლო ფრონტონზე — ქვიშაქვის თაროსებრი ლავგარდნის ფრაგმენტი. *დვ. თ.*

117. **წმ. გიორგის ეკლესია**, ტ ა უ ს ა ს ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, აკვანას სერის ძირში, სასაფლაოზე. აგებულია 1897 წ. აქ ადრე არსებული სამნავიანი ეკლესიის (შემორჩენილია უმნიშვნელო ფრაგმენტები) ადგილზე. დაზიანებულია: დარბაზისა და საკურთხევლის ხის თავდაპირველი გადახურვა არ არის შემორჩენილი.

ეკლ. დარბაზულია (11X6,2 მ), ნაგებია ნატეხი ქვითა და უხეშად დამუშავებული ქვიშაქვის კვადრებით. დას-ით (ამოქოლილია) და სამხრ-ით შიგნიდან თაღოვანი, ხოლო გარედან სწორკუთხა შესასვლელებია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილია შიგნიდან თაღოვანი გარედან სწორკუთხა სარკმელი. ორი ასეთივე სარკმელი სამხრ-ის, ხოლო თითო ჩრდ-ისა და დას-ის კედლებშია. აფსიდში სარკმლის გვერდებზე თითო თაღოვანი ნიშაა. საკურთხეველი და არდაბაგი ერთი საფეხურითაა ამაღლებული. საკურთხევლის სარკმლის წინ სატრაპეზო ქვა დგას.

აღმ. ფასადზე ფრონტონში ქვიშაქვის კვადრზე ამოკვეთილია რელიეფური ჯვარი და ეკლესიის აგების თარიღი. სამხრ-ის შესასვლელი ორლილვიან თაღოვან ჩარჩოშია ჩასმული, კარის არქიტრავზე გამოსახული ჯვრის მარცხნივ ამოკაწრულია ეკლესიის აგების თარიღი, ხოლო მარჯვნივ გამოსახულია ხელის გაშლილი მტევანი. ქვიშაქვის ლავგარდნის ქვები ჩამოღებულია და ეკლესიაში დევს. ეკლესიას შიფერის ორფერდა სახურავი აქვს. *გ. გ.*

## ტეზერი

(ქვიშხეთის სოფსაბჭო)

118. **პატარა გორა**, ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მჭედლიშვილების უბანში, მთის თხემისაგან საურმე გზით გამოყოფილ მოსწორებულ ბორცვზე (25X12 მ). თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. იპოვება შავად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ნამგლის დაკბილული კაჟის ჩასართები, ხელსაფქვავის ქვედა ქვა და სხვ. *ნ. ა.*

119. **ხახუტის ღვთისმშობლის ეკლესია**, არქიტ. ძ., დგას სოფლის სასაფლაოზე. აგებულია XIX ს-ში. ეკლ. დარბაზულია (13,5X8 მ), ნაგებია თლილი ქვიშაქვის კვადრებით, კამარა, კონქი და საბჯენი თაღები ხისაა. თაღოვანი შესასვლელები სამხრ-ით და დას-ითაა (ამოქოლილია). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ფართო თაღოვანი სარკმელია. ჩრდ. და სამხრ. კედლებში ორ-ორი, ხოლო დას-ისაში ერთი ასეთივე სარკმელია. აფსიდში სარკმლის მარცხ. მხარეს ორი თაღოვანი ნიშაა. საკურთხევლის იატაკი შემაღლებულია და შუაში ნახევარწრიული არდაბაგი აქვს. დარბაზის დას. ნაწილში ხის პატრონიკეა, ხოლო ჩრდ.-დას. კუთხეში — პატრონიკეზე ასასვლელი ხისავე კიბე. დარბაზის გრძივი კედლების თაღები პილასტრების თაროსებრ კაპიტელებს ეყრდნობა, კამარა — შეკიდულ საბჯენ თაღებს ეკლესიის იატაკზე ქვის კვადრებია მოგებული. ინტერიერი შელესილია. ფასადებზე შესასვლელები და სარკმლები მუქი ბაზალტის ქვითაა ნაწყობი. სამხრ. შესასვლელს შემოვლებული აქვს პროფილირებული ჩარჩო. კარის არქიტრავზე გამოყოფილია მცირე სამკუთხედი, რ-ის თავზე ხატის ჩასადგმელი თაღოვანი ნიშია. მსგავსი ნიშია კარის მარჯვნივ, 1 მ-ის სიმაღლეზე. შენობა დასრულებულია წრეთარგითა და ლილვით შედგენილი ლავგარდნით.

მოგვიანებით ეკლესიისათვის მიუშენებიათ ს ა მ რ ე კ ლ ო, გამოყენებულია ლითონის კონსტრუქციები. სამრეკლო დაზიანებულია. *დვ. თ.*

## ტკოცა

(ფლევის სოფსაბჭო)

120. **გორგოტი**, ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან ჩრდ.-დას-ით 600 მ-ზე, ხელოვნურად მოსწორებულ გორგოტას ბორცვზე (27X14 მ). თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. იპოვება შავად, ნაცრისფრად და რუხად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. *ნ. ა.*

121. **ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით 1 კმ-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,8X5,7 მ), ნაგებია ქვის დიდი კვადრებით. შესასვლელი სამხრ-დან და დას-დანაა. ნახევარწრიული აფსიდის თაღოვანი სარკმლის გვერდებზე ღრმა ნიშებია. მსგავსი სარკმლებია სამხრ. და დას. კედლებში. ეკლესიის კონქში სამი სარეზონატორო ქვევრია ჩადგმული. დარბაზი გადახურულია აგურის ცილინდრული კამარით, რ-ის საბჯენი თაღი გრძივი კედლების პროფილირებულკაპიტელებიან პილასტრებს ეყრდნობა. აღმ. ფასადზე, სარკმლის თავზე, ქვაში ამოკვეთილია რელიეფური ჯვარი. მის ზემოთ სამი წრეა. ეკლესიაზე დას-დან მიდგმულია მაღალი ს ა მ რ ე კ ლ ო. *გვას. ჯ.*

122. **სამაროვანი გორგოტის ძირებში**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, გორანამოსახლარ გორგოტის სამხრ.-დას-ით 100 მ-ზე. თარიღდება ბრინჯაოს ხანით. აკრეფილი არქეოლ. მასალიდან აღსანიშნავია წიწვოვანი ორნამენტით შემკული ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი, ბოლოებგახსნილი მასიური სამაჯურები და სხვ. მასალა დაცულია სოფ. ფლევის რვაწლიანი სკოლის მხარეთმც. კუთხეში. *ნ. ა.*

## ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესია,

იხ. სოფ. ა ლ ი

## ურთხვა

(სურამის სადაბო საბჭო)

123. **წმ. გიორგის ეკლესია და სამრეკლო**, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფ-

123 აღმ. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



ლის ჩრდ-ით 2 *კმ*-ზე, მაღალი მთის ფერდობზე, სასაფლაოზე. აშენებულია X-XI სს-ში. ეკლ. დარბაზულია (11,5X6,6 *მ*), ნაგებია კირქვის სხვადასხვა ზომის თლილი კვადრებით. შეკეთებულია აგურით. შესასვლელი ორი აქვს. სამხრ-ის შესასვლელი, რ-იც შიგნიდან თაღიანი იყო, ხოლო გარედან არქიტრავით გადახურული, გადაკეთების დროს რამდენადმე გაუფართოებიათ და ერთიანი თაღით გადაუხურავთ. აფსიდის კუთხესთან ახლოს გაჭრილი ჩრდ-ის თაღოვანი შესასვლელი გადაკეთებულია ნიშად. აფსიდი არასრული ნახევარწრეა. აფსიდის ღერძზე გაჭრილია სარკმელი, რ-ის ორივე გვერდზე თითო თაღიანი ღრმა ნიშია. ორი სარკმელი სამხრ-ითაა, ერთი — დას-ით, კედლის ზედა ნაწილში. დარბაზის გრძივი კედლები წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრით ორ-ორ თაღოვან შეღრმავებადაა დაყოფილი. პილასტრის პირველ საფეხურს კედლის შეღრმავებული ნაწილის თაღები ეყრდნობა, ხოლო მეორეს — ეკლესიის ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი. ყველა თაღის, მ. შ. სატრიუმფოს, ქუსლებთან ორსაფეხურიანი იმპოსტებია, რ-თა ზედა თაროები მორთულია ამოღარული სამკუთხედების და წრეების რიგით. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია. (ა) მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი დ ა ნ აფსიდის კონქში მხოლოდ მაცხოვრის გამოსახულების კვალი ჩანს. შემორჩენილია ქვის კ ა ნ კ ე ლ ი ს ორი ფილა (ინახება საქართვ. ხელოვნ. მუზეუმში). ერთ ფილაზე მოციქულთა კურთხევის კომპოზიციაა, მეორეზე გამოსახულია *წმ. გიორგის ტრიუმფი დიოკლეტიანეზე* X-XI სს.).

ალმ. ფასადზე სარკმელი გადახურულია ბრტყელი ზღუდარით და მორთულია რელიეფური პორიზ. ნაკეცებით დასრულებული თავსართით. შენობას წრეთარგიანი ლავგარდანი და კრამიტის ორფერდა სახურავი აქვს.

(ბ) ს ა მ რ ე კ ლ ო (3,5X3,5 *მ*) ეკლესიიდან სამხრ-ით 20 *მ*-ზე დგას. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამოქცეულია გუმბათოვანი გადახურვა, შემორჩენილია მხოლოდ სვეტები და მათზე გადაყვანილი აგურის შეისრული თაღები. სამრეკლოს ალმ. და სამხრ. ღიობები ამოშენებულია ნატეხი ქვით.

*ბიბლ.:* 154:147-151

*გვას. ჯ., დვ. თ.*

## ᲣᲡᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ,

იხ. სოფ. ა ლ ი, ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ი

## ᲣᲬᲚᲔᲕᲘ

(ალის სოფსაბჭო)

124. ᲜᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲠᲘ, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 2 *კმ*-ზე, ფურნეების ღელის პირას, ფერდობზე. დანგრეულია, შემორჩენილია 1 *მ* სიმაღლის კედლები.

დარბაზული ეკლ. (7,8X5,3 *მ*) ნაგები იყო არაწესიერი ფორმის მოზრდილი ქვებით. შესასვლელი სამხრ-ით ჰქონია. ნახევარწრიული აფსიდის სამხრ. მხარეს პატარა სწორკუთხა ნიშია.

*დვ. თ.*

125. ᲜᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲠᲘ (ჭ ო შ ო რ ა ს წ მ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა), არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 6-7 *კმ*-ზე, ნ ა ს ო ფ ლ ა რ ჭ ო შ ო რ ა ს ალმ. ნაწილში, მუხნარში, სასაფლაოზე. ამჟამად დანგრეულია, შემორჩენილია ალმ. კედლის კუთხეების ორი ქვა. დარბაზული ეკლ. (4,7X8,5 *მ*) ნაგები იყო ქვიშაქვით.

*დვ. თ.*

126. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ალმ-ით 200 *მ*-ზე, გზის მარჯვ. მხარეს, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. შეკეთებულია: აქვს აგურის ახალი ლავგარდანი და გადახურულია კრამიტით. ეკლ. დარბაზულია (5,6X9 *მ*), ნაგებია ქვიშაქვით. სამხრ-ით და დას-ით სწორკუთხა შესასვლელებია. არაწესიერი ფორმის ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რ-საც დაქანებული ძირი აქვს. მსგავსი სარკმლებია სამხრ-ით და დას-ით. აფსიდის სარკმლის ჩრდ-ით მაღალი თაღოვანი, ხოლო სამხრ-ით შედარებით მცირე სწორკუთხა ნიშია. საკურთხეველი დარბაზისგან გამოყოფილი იყო ხის კ ა ნ კ ე ლ ი თ (დაზიანებულია). საკურთხევლის ბაქანი ერთი საფეხურითაა შემაღლებული და შუაში წინწამოწეული არდაბაგი აქვს. ინტერიერი შელესილია. იატაკზე ქვიშაქვის კვადრებია მოგებული. დარბაზი ნახევარწრიული კამარითაა გადახურული, აფსიდი — კონქით. ფასადები შელესილი და შეთეთრებულია. სარკმლები და შესასვლელები მოჩარჩოებულია ქვიშაქვის გლუვი თაღოვანი საპირეებით. ალმ-ით, ფრონტონის წვეროში, დას. ფასადის ფრონტონზე და სამხრ. შესასვლელის თავზე გამოსახულია თითო პატარა რელიეფური ჯვარი.

*ბ. მ.*

## ᲥᲐᲠᲢᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ,

იხ. სოფ. დ ი დ ი ხ ა ლ ე ბ ი

## ᲫᲐᲨᲕᲔᲗᲘ

(ცხრამუხის სოფსაბჭო)

127. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-ალმ-ით 500 *მ*-ზე, სასაფლაოზე. აგებულია XIX ს-ის ბოლო მეოთხედში სურამელი ჯობაძეების მიერ. ეკლ. დარბაზულია (12,8X7,2 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით, კამარა და კონქი ხისაა. სამხრ-ით და დას-ით სწორკუთხა შესასვლელები აქვს. ნახევარწრიულ აფსიდში ზღუდარით გადახურული ფართო სწორკუთხა სარკმელია. თითო ასეთივე სარკმელია დანარჩენ სამ კედელშიც. აფსიდის კედლები დარბაზის გრძივ კედლებს უშუალოდ ერწყმის. საკურთხევლის სარკმლის ჩრდ-ით ორი ნიშია, სამხრ-ით ერთი. ასეთივე მცირე ზომის ნიში სამხრ. კედლის ალმ. ნაწილშია. საკურთხეველი, რ-ის იატაკი ერთი საფეხურითაა ამაღლებული და წინ წაკვეთილკუთხეებიანი არდაბაგი აქვს, დარბაზისგან გამოყოფილია ხის კ ა ნ კ ე ლ ი თ. ეკლესიის ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია. ხის კამარა და კონქი შეღებილია მწვანედ. იატაკზე მოგებულია ქვიშაქვის კვადრები.

ფასადებზე შემორჩენილია შელესილობის კვალი. სამხრ. ფასადზე შესასვლელი მორთულია სამი ლილვით შემოსაზღვრული კბილანების მოტივით და არქიტრავზე გადაყვანილი თაღით, რ-ხაც რელიეფური ჯვარი ადგას. თაღის ქვემოთ, ლილვით შემოხაზული წრის ორივე მხარეს პატარა ანგელოზებია გამოსახული. და-

127. სამხრ. ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ-კენ, გეგმა



ნარჩენ თავისუფალ არეზე სამშენ. წარწერაა. დას-ის ფასადზე სარკმლის ზემოთ ფრონტონზე ქვიშაქვის წყობაში გამოყვანილია რელიეფური ჯვარი. ლილვით მოჩარჩოებული კარის არქიტრავზე ამოკვეთილი წარწერის მიხედვით, მშენებლობისათვის ფული შეუწირავს ვინმე პეტრე აბაიძის ქერივს. *ბ. ზ.*

## ქემფერი

(ცოცხნარის სოფსაბჭო)

128. ლუბრუმის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 2 *კმ*-ზე, ნ ა ს ო ფ ლ ა რ ლუბრუმის სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (9,8X5,5 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, რიყის ქვითა და ქვიშაქვის კვადრებით. 1981-82 წწ. ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. შეაკეთა და რკინა-ბეტონის ბრტყელი სახურავით გადახურა. ეკლესიას შესასვლელი სამხრ-ით აქვს. კარი შიგნიდან სწორკუთხაა, გარედან ერთ მთლიან ქვაში ამოკვეთილი დაბალი თაღი აქვს. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია (გადაკეთებულია). სარკმლის ორივე გვერდზე თითო პატარა ნიშაა (ჩრდ-ისა თაღოვანია, სამხრ-ისა — სწორკუთხა). ჩრდ. და სამხრ. კედლებში თითო სარკმელია (გადაკეთებულია). დარბაზის გრძივი კედლები წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრით ორ თანაბარ ნაწილად იყოფოდა. პილასტრების პირველ საფეხურსა და დას. და აღმ. კუთხის პილასტრების იმპოსტებს ეყრდნობოდა კედლის დეკორატ. თაღები, ხოლო გრძივი კედლების პილასტრების მეორე საფეხურს — კამარის საბჯენი თაღები. *დე. თ.*

129. ნაეკლესიარი (წ ე რ ი ა ნ ა ს ს ა ყ დ ა რ ი), არქიტ. არქეოლ. ძ. დგას სოფლის უბან ნარვანის სამხრ.-აღმ-ით 300-400 *მ*-ზე, მუხნარში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ საკურთხევლის ნაწილი (2,5-3 *მ* სიმაღლეზე). დარბაზული ეკლ. (6,7X X4,8 *მ*) ნაგები იყო ნატეხი ქვიშაქვით. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ფართო და მაღალი სარკმელია, რ-ის გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშაა. *დე. თ.*

130. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 500-600 *მ*-ზე, მთაზე, სასაფლაოზე. აგებულია 1880 წ. 1982 წ. შეაკეთა ადგილ. მოსახლეობამ. ეკლ. დარბაზულია (7,7X X5,2 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით. აქვს ორი სწორკუთხა შესასვლელი — სამხრ-ით და დას-ით (ამოქოლილია). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია, სარკმლის მარცხნივ ორი მცირე სწორკუთხა ნიშაა. საკურთხევლის ბაქანი წინწამოწეულია, ნახევარწრიული არდაბაგითაა დასრულებული. თითო სწორკუთხა სარკმელი სამხრ-ით და დას-ითაა. დარბაზის გრძივ კედლებზე ორ-ორი მარტივი პილასტრია, რ-ებსაც ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. აღმ-ის წყვილი პილასტრი და მათზე დაყრდნობილი თაღი საკურთხეველს გამოყოფს დარბაზისგან. საბჯენი თაღების ქუსლებთან მარტივი პროფილის იმპოსტებია. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია.

აღმ. ფასადზე სარკმლის ზემოთ გამოსახულია რელიეფური ჯვარი. თითქმის ასეთივე ჯვარია სამხრ. შესასვლელის თავზეც. ჯვრის ბაზისზე ეკლესიის აგების თარიღია ამოკვეთილი. შენობა დასრულებულია ქვიშაქვის ლავგარდნით, რ-ის პროფილს თაროსა და ლილვს შორის მოქცეული ქუსლი შეადგენს. შენობას კრამიტის ორფერდა სახურავი აქვს. *დე. თ.*

## ქვაბთაკერის წმ. ნინოს ეკლესია,

იხ. სოფ. ბ რ ი ლ ი

## ქვემო აქვისი

(გომის სოფსაბჭო)

131. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, კონქის ნაწილი და სამხრ. კედლის დიდი მონაკვეთი, ჩრდ. კედელს დას. მონაკვეთში ფართო ბზარი დაუყვება, დას. კედელი გადახრილია დას-ით.

ეკლ. დარბაზულია (10,2X5,8 *მ*), ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვიშაქვით. შესასვლელები სამხრ-დან (დანგრეულია) და დას-დანაა. დას-ის შესასვლელი ამოშენებულია და მის ადგილზე 3 პატარა სათოფურია გაკეთებული. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე შიგნიდან შეისრული, ხოლო გარედან ნახევარწრიული თაღით გადახურული სარკმელია. სარკმლის ჩრდ-ით სწორკუთხა, ხოლო სამხრ-ით თაღიანი ნახევარწრიული ნიშაა. თითო სარკმელია დას-ის კედლის ღერძზე და სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთში. დარბაზის გრძივ კედლებზე და დას. კედლის კუთხეებში ორსაფეხურიანი პილასტრებია. პილასტრების პირველ საფეხურს კედლის დეკორატ. თაღები (შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. კედელზე) ეყრდნობა, ხოლო მეორეს — დარბაზის ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი, რ-ის ქუსლის ქვა შემორჩენილია ჩრდ. პილასტრზე. თაღების ქუსლებთან მთლიანი ქვიშაქვის იმპოსტებია, რ-თა პროფილს თარო და უმნიშვნელოდ შეზნექილი სიბრტყე შეადგენს.

აღმ-ის ფასადზე სარკმელი ოთხლილვიან ჩარჩოშია ჩასმული. მის მარჯვნივ გეომეტრიული ორნამენტით შემკული ქვიშაქვის ფილაა. დას-ის შესასვლელი დასრულებულია რელიეფური არქივოლტით. დას. ფრონტონის ჩრდ. ქანობზე და გრძივ კედლებზე შემორჩენილია თაროსებრი ლავგარდნის ფრაგმენტები. *ბ. ზ.*

131. აღმ. ფასადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა



## ქვემო ბროლოსანი

(წაღვლის სოფსაბჭო)

132. ნაეკლესიარი (წ მ. ე ლ ი ა ს ე კ ლ ე ს ი ა), არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, ბარბაქაძეების უბანთან, მუხნარში. დანგრეულია, აღმ-ით შემორჩენილია ნახევარწრიული აფსიდი 1,5 *მ* სიმაღლეზე. დარბაზული ეკლ. (6,6X4,8 *მ*) ნაგები იყო სხვადასხვა ზომის ქვიშაქვით. შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონდა. *დე. თ.*

## ქვიშხეთი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

133. ქ ვ ი შ ხ ე თ ი ს ე ე ლ ზ ე 1290 წ. აღმ. საქართველოს დიდებულები დავით ნარინს და მის შვილს ვახტანგს

შეეგებნენ. ნარინი დაბრუნდა იმერეთს, ხოლო ვახტანგი დიდებულების თანხლებით გაემართა მცხეთას, სადაც იგი აკურთხეს მეფედ.

(ა) სოფ. ქ ე ი შ ხ ე თ ს და მის შემოგარენს 1757 წ. შემოესია ლეკთა 1000-კაციანი რაზმი. დაარბიეს ავალიშვილების მამული, ხოფელი ჭ ო ბ ი ს ხ ე ე ი და ყ ე ი ბ ი ს ი ს ციხე. მეფე ერეკლე II-ის რაზმმა ამილახვრის სარდლობით ბრძოლა გაუმართა ლეკებს და უკუაგდო.

*ბიბლ.:* 186; 201გ *ჩ. თ.*

134. ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, კოშკის უბანში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (11,6X8,65 *მ*), ნაგებია რუხი ქვიშაქვის კვადრებით. შესასვლელი სამხრ-ითა და დას-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილი თაღოვანი სარკმლის გვერდებზე ნიშებია. სამხრ. კედელში ორი სარკმლიდან ერთი მრგვალია, ჩრდილოეთში სამი თაღოვანი სარკმელია. დარბაზის ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი გრძივი კედლების კაპიტელიან პილასტრებს ეყრდნობა. სამხრ. და ჩრდ. კედლებზე სამ-სამი კედლის დეკორატ. თაღია. დას. კედელში დატანებულია კიბე, რ-იც პატრონიკეზე ადის და კიდევ უფრო ზევით გრძელდება (სავარაუდოა, სამრეკლოსკენ).

სამხრ. ფასადზე შესასვლელს შემოელებული აქვს სამმაგლილვიანი ჩარჩო, რ-ის გვერდითი მკლავები ქმნის ჯვარს. ზედა ლილვს თავზე სწორკუთხედში ჩასმული ჯვარი ადგას. *გვას. ჯ.*

134. გეგმა



135. ᲙᲝᲨᲙᲘ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში, რომაშვილების უბანში. აგებულია XVII ს-ში. ძ. ცილინდრულია (დიამ. 7,6 *მ*), ნაგებია ძირითადად რიყის ქვით, ფასადებზე გამოყენებულია თლილი ქვა, ინტერიერში — აგური. ზედა ნაწილი დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ ოთხი სართული. I სართული შიგნით ცილინდრულია, ზედა სართულები — ოთხკუთხა. ძ-ს შესასვლელი II სართულზე აქვს. I სართულზე 3 სარკმელი, 2 თახჩა და 6 ცალმაგი და ორმაგი სათოფურია. ჩრდ.-აღმ. კედელში დატანებულია ნახმარი წყლის გადასაღვრელი კერამ. მილი, რ-საც წინ ამოღარული შვერილი ქვა აქვს მიდგმული. მეორე კერამ. მილი, სავარაუდოა, ღვინისა და წყლისათვის იყო განკუთვნილი. იატაკში ჩაფლული ყოფილა ქვევრები. II და III სართული საცხოვრებელი და სათავდაცვო სათავსებია. II სართულზე ბუხარი, ნიშები და ორი სარკმელია, III სართულზე — ბუხარი და სათოფურები. IV სართულის დანგრეულ კედლებში შეიმჩნევა თითო სარკმლისა და სათოფურების კვალი.



135. ხედი ჩრდ-იდან

*ბიბლ.:* 94 *ზ. პ., ნ. ა.*

136. ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 3-4 *კმ*-ზე, ადგილ მთაწმინდაზე. აგებულია XIX ს-ში. ეკლ. დარბაზულია (5X3,1 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით, გარედან შემოსილია მუქი ქვიშაქვის თლილი კვადრებით. სწორკუთხა საკურთხეველში ერთი სარკმელია, სამხრ. კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელი (ამოშენებულია) და კარი. ეკლ. ერთსაფეხურიან ცოკოლზე დგას. სამხრ. ფასადზე კარის თავზე ამოკვეთილია ჯვარი. *გ. კ., ნ. ა.*

137. ᲜᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲠᲘ (წ მ. მ ა რ ი ნ ე ს ე კ ლ ე ს ი ა), არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, ლაცაბიძეების უბანში, სასაფლაოზე. დანგრეულია, შემორჩენილია დას. კედლის კონტური, ჩრდ. და სამხრ. კედლების მცირე ნაწილები და ჩრდ.-აღმ-ის კუთხე 0,3 *მ*-ის სიმაღლეზე. დარბაზული ეკლესია (8,2X6,1 *მ*) ნაგები იყო ნატეხი ქვიშაქვით. ამჟამად მის ადგილზე პემზაბეტონის ბლოკებით ნაშენი ეკლესია დგას. *დვ. თ.*

138. ᲜᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲠᲘ (წ მ. მ ა რ ი ნ ე ს ე კ ლ ე ს ი ა), არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას. უბანში, ქვიშხეთ-ბელლეთის გზის პირას, სასაფლაოზე. დანგრეულია, შემორჩენილია 2,4 *მ* სიმაღლის დას. კედელი, საკურთხევლის კონტური და ჩრდ.-აღმ. კუთხის ნაწილი. დარბაზული ეკლესია (7,2X4,3 *მ*) ნაგები იყო რიყის ქვით. შესასვლელი სამხრ-დან ჰქონია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის კედელი უშუალოდ ერწყმის გრძივ კედლებს. *დვ. თ.*

139. ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ ᲑᲐᲚᲐᲜᲫᲘᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს ჭალისუბანში, ხელოვნურად მოსწორებულ ბორცვზე (სიმ. 10 *მ*, ფართ. 30X20 *მ*). თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. ნამოსახლარზე აიკრიფა შავად და ნაცრისფრად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ბრინჯაოს ორი ჭვირული ბალთა. მახლა დაცულია სოფ. ქვიშხეთის საშ. სკოლის მხარეთმც. კუთხეში. ბორცვზე შემორჩენილია გვიანდ. ფეოდ. ხანის (ა) ც ი ხ ე-დ ა რ ბ ა ზ ი ს ნაშთი, აგრეთვე XIX ს-ის ნაგებობა — (ბ) ს უ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი ს ა ხ ლ ი, რ-შიც ამჟამად სოფლის კლუბია. *ნ. ა.*

140. ᲬᲘᲠᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას. ნაწილში, სასაფლაოზე. თარიღდება ადრინდ. და შუა ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (8,1X5 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის თლილი კვადრებით და რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია — შემორჩენილია ეკლესიის აღმ. კედელი ნახევარწრიული აფსიდით, ჩრდ. და დას. კედლების ქვედა ნაწილი, ინტერიერში

140. ხედი ჩრდ-დას-იდან



ცისფერი ტუის პერანგის ნაწილი და ჩრდ. კედლის თლილი ქვის წყობა. შესასვლელი ეკლესიას დას.-დან ჰქონდა. *ნ. ა.*

ქვიშხეთის ციხე, იხ. ს ო ფ. ბ უ ლ ბ უ ლ ი ს ც ი ხ ე

141. დიმიტრი ყიფიანის სახლი, ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში, შემაღლებულ ადგილას. აგებულია XIX ს-ში. შენობა XX ს-ის გადაკეთება-შეკეთების შედეგად სრულიად სახეშეცვლილია. ეზოს ფართ. 1 ჰა. ქვითკირის სახლი ორსართულიანია. II სართული შემკულია ხის ჭვირული ორნამენტით. ამ სართულზე 4 ოთახია. ყოფილ სამუშაო ოთახში კედელზე კიდია გ. გაბაშვილის მიერ შესრულებული გამოჩენილი ქართვ. საზ. მოღვაწის დ. ყიფიანის (1814-87 წწ.) პორტრეტი. აქ დ. ყიფიანის ხშირი სტუმრები იყვნენ ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და სხვ. დ. ყიფიანის სიკვდილის შემდეგ სახლს ფლობდნენ დ. ყიფიანის ვაჟი ცნობილი მსახიობი კოტე ყიფიანი და მისი მეუღლე მწერალი ნინო ხუმბათაშვილი-ყიფიანი, რ-მაც 1933 წ. სახლი საქ. სსრ მწერალთა კავშირს გადასცა. ამჟამად აქ სსრკ ლიტ. ფონდის საქართველოს განყ-ბის მწერალთა შემოქმედებითი სახლია. *ბერძ. ც.*

142. ალექსანდრე ციმაკურიძის სახლი, ისტ. ძ. დგას სოფლის დას. ნაწილში. აგებულია XIX ს. ხის ოროთახიან სახლს მთელი ფასადის სიგრძეზე გასდევს ღია აივანი. აქვს შიფერის ორფერდა სახურავი. სახლზე მემორიალური დაფაა წარწერით: „აქ, მშობლიურ ქვიშხეთში, 1882 წ. დაიბადა გამოჩენილი ქართველი მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ალექსანდრე გრიგოლის ძე ციმაკურიძე. გარდაიცვალა ქ. თბილისში 1954 წ".

მხატვარმა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დიდი ნაწილი აქ გაატარა. აქ არის შექმნილი მისი ცნობილი ნაწარმოებები: „ქვიშხეთი და მიდამოები" (1922 წ.), „სიმინდის რჩევა" (1927 წ.), „აგარაკზე" (1939 წ.), „ქვიშხეთი" (1935 წ.), „ქვიშხეთის მიდამოები" (1941 წ.) და სხვ.

*ბიბლ.:* 287 *ბერძ. ც.*



142. ა. ციმაკურიძე. ქვიშხეთის ერთ-ერთი კუთხე. ზეთი. საქ. სსრ ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი

143. წმ. გიორგის ეკლესია და კოშკი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით 300-400 მ-ზე, ადგილ ფერისცვალებაზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დანგრეულია, შემორჩენილია 1,8 მ სიმაღლის კედლები და საკურთხევლის კედლის ნაწილი.

ეკლესია დარბაზულია (8,5X6,2 მ), ნაგებია ძირითადად თლილი შირიმის კვადრებით, ნაწილობრივ მუქი ფერის ქვიშაქვით, წყობა სწორხაზოვანია. შესასვლელი დას.-დანაა. კარი შიგნიდან თაღოვანია, ხოლო გარედან გადახურული იყო მუქი ქვიშაქვის ბრტყელი ზღუდარით, რ-ის მცირე ნაწილია შემორჩენილი. ფართო ნახევარწრიულ აფსიდში ჩრდ.-ით მარტივი რელიეფური თავსართით მორთული პატარა ნიშია. საკურთხევლის წყვილი პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი თაღით იყო დარბაზისგან გამოყოფილი. ამ პილასტრების და დარბაზის გრძივი კედლების პილასტრების მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი. დას. ფასადზე შესასვლელს გლუვი ლილვებით შემკული საპირეები აქვს. კარის ღიობი დასრულებულია შირიმის ქვის კრონშტეინებზე დაყრდნობილი შირიმისავე სადა არქივოლტით.



141. საერთო ხედი

კ ო შ კ ი (7,2X6,9 მ) დგას ეკლესიის სამხრ.-დას.-ით 30-40 მ-ზე. ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით. ოთხსართულიანია, ზემოთკენ ვიწროვდება. II სართულს ჩრდ-ით სწორკუთხა შესასვლელი აქვს. I სართულის დიდი ნაწილი ნანგრევებითაა ამოვსებული. კედლებში რამდენიმე სწორკუთხა ნიშია. II სართულის აღმ. კედელში ნახევარწრიული ბუხარია, რ-ის გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშია. ასეთივე ნიშებია სამხრ-ით და დას-ით. III სართული ძლიერაა დაზიანებული. მის ოთხივე კედელში თითო სწორკუთხა სარკმელია, რ-თა გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშია. IV სართულის მხოლოდ 1 მ სიმაღლის კედლებია შემორჩენილი. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე იყო გამართული. ფასადი შემოსილია ჰორიზ. რიგებად დაწყობილი ნატეხი ქვიშაქვით. კოშკის ჩრდ.-დას. კუთხესთან შემორჩენილია ადრე აქ არსებული ბაქნის საყრდენი კედლის ნაწილი. *დვ. თ.*

144. წმ. ელიას ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. შეკეთებულია, კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი განახლებულია, გადახურულია რკინა-ბეტონის ორფერდა სახურავით. ეკლ. დარბაზულია (7,8X4,3 მ), ნაგებია რიყის ქვითა და ნატეხი ქვიშაქვით. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. ასეთივე სარკმელია დას-ით. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. საკურთხეველში შემორჩენილია თლილი ქვიშაქვით ამოყვანილი კონქის თაღის ქუსლების თითო ქვა. *დვ. თ.*

## ქინძათი

(ალის სოფსაბჭო)

145. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ., არქეოლ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-

ალმ-ით, დაახლ. 1,5 კმ-ზე, მუხნარში. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. დანგრეულია: შემორჩენილია მხოლოდ გაბზარული საკურთხევლის ნაწილი. ეკლ. დარბაზულია (6,8X4,3 მ), ნაგებია არაწესიერი ფორმის ქვიშაქვით. შესასვლელები სამხრ-ით და დას-ით ჰქონია, შემორჩენილია სამხრ. შესასვლელის დას. წირთხლი და დას. შესასელელის წირთხლის ქვები. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ფართო თაღოვანი სარკმელია, რ-იც გარეთ მკვეთრად ვიწროვდება.

დარბაზში, სამხრ-ის კედელთან, ნანგრევებში აღმოჩნდა (ა) ქვის სტელის ბაზისის ქვა (0,47X0,44 მ, სიმ. 0,52 მ), რ-ის სამი გვერდი ირიბადაა ჩამოკვეთილი, ხოლო მეოთხე ბრტყელია. ბრტყელი გვერდის მოპირდაპირე გვერდზე ჩაჭრილი სამკუთხედების მწკრივით შედგენილ წრიულ ჩარჩოში (დიამ. 0,27 მ) ჩასმულია ბოლნური ჯვარი. ბაზისს ზედა ზედაპირზე წრიული ბუდე (დიამ. 0,2 მ) აქვს გაკეთებული. ქვა ადრინდ. ფეოდ. ხანას განეკუთვნება. *დე. თ.*

## ღართა

(ხალების სოფსაბჭო)

146. სოფ. ღართას მიდამოებში 1625 წ. ქართლის სამეფო ლაშქარმა გიორგი სააკაძის სარდლობით ამოწყვიტა ყიზილბაშთა ლაშქრის ჭარბი ძალები და შეაჩერა მტრის სვლა თბილისისაკენ.

(ა) 1778 წ. სოფ. მუხრანიდან მომავალმა ქეთევან დედოფლის მხლებლებმა, 300-კაციანმა მორიგე ჯარის რაზმმა სოფ. ღართასთან სასტიკად დაამარცხა და უკუაგდო 500-კაციანი ლეკთა რაზმი და დარბევას გადაარჩინა ახლო მდებარე სოფლები. ბიბლ.: 85; 201დ *ჩ. თ.*

147. ნაეკლესიარი, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, მთაზე, სოფ. ალექსანდრესწყაროსაკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, სასაფლაოზე. შემორჩენილია კედლების მცირე ნაწილი. ეკლესია დარბაზულია (8,2X6,3 მ), ნაგები ყოფილა დიდი ზომის ქვიშაქვითა და ნატეხი ქვით, ზოგან შირიმის ქვაც იყო გამოყენებული. შესასვლელი სამხრ-ით ჰქონია. აფსიდი სწორკუთხა იყო. *დე. თ.*

## ღვრიაწყალი

(ხალების სოფსაბჭო)

148. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 1 კმ-ზე, თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. ხელოვნურად მოსწორებული ბორცვი (ფართ. 40X30 მ, სიმ. 10 მ) დაფარულია ტყით. ეს ადგილი ითვლება წმინდა ადგილად, მოსახლეობა უფრთხილდება და არ კაფავს. ჰუმუსოვანი ფენით დაცული ნ-ის ზედაპირზე მიკვლეულია შავად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. მასალა დაცულია კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *ნ. ა.*

149. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 1 კმ-ზე. პატარა მდინარის მარჯვ. ნაპირზე, ხელოვნურად მოსწორებულ ბორცვზე (ფართ. 20X10 მ, სიმ. 20 მ). თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. ნ-ზე აიკრიფა შავად გამომწვარი უხეშკეციანი ჭურჭლის ნამტვრევები, დოქის მრგვალგანივკვეთიანი სახელურები და სხვ. მასალა დაცულია კასპის მხარეთმც. მუზეუმში. *ნ. ა.*

## ყიფიანთუბანი

(ქვიშხეთის სოფსაბჭო)

150. ნაეკლესიარები (ამაღლების ეკლესიები), არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ძვ. სასაფლაოზე. შემორჩენილია ორი ერთმანეთის გვერდით აგებული ეკლესიის ნაშთი. ჩრდ-ით მდგომი ეკლ. უფრო ადრინდელია, ნაგები იყო რიყის ქვით. შემორჩენილია მისი ჩრდ-ის კედელი და ნალისებრი აფსიდის ჩრდ-ის გვერდი. მეორე ეკლ. სტილისტ. ნიშნებით გვიანდ. ფეოდ. ხანას მიეკუთვნება, ნაგები იყო რიყის ქვითა და აგურით. შემორჩენილია მხოლოდ დას-ის კედელი, რ-ის ღერძზე გაჭრილია ფართო სწორკუთხა სარკმელი, სარკმლის ქვეშ ორი შეისრული ნიშია. ამ ეკლესიაში ოთხი საფლავის ქვა დევს. 1983 წ ადგილ. მოსახლეობამ ეკლესიების ნანგრევებზე დაიწყო ახალი შენობის აგება. ძველი ეკლესიების შემორჩენილი კედლები მოქცეულია ახალი ნაგებობის შიგნით. *დე. თ.*

## ყურაქედის ეკლესია,

იხ. სოფ. პატარა თხინალა, წმ. გიორგის ეკლესია

## შლუყურის ეკლესია,

იხ. სოფ. ხციხი, შლუყურის წმ. გიორგის ეკლესია.

## ჩიკორის ეკლესია,

იხ. სოფ. ტაშისკარი

## ჩუმათელეთი

(სურამის სადაბო საბჭო)

151. სოფ. ჩუმათელეთის მახლობლად, წვრილმანას ტყეში 1905 წ. მარტში შეიკრიბნენ რევოლუციურად განწყობილი ახლო მდებარე სოფლების გლეხები. აირჩიეს თავკაცები, წამოაყენეს პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები. *ანთ. ი.*

152. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 1 კმ-ზე, გორაკზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (10,15X6,5 მ), ნაგებია კირქვის ნატეხი ქვითა და თლილი კვადრებით. შესასვლელი დას-ით აქვს. ნახევარწრიულ აფსიდში თაღოვანი სარკმელი და ორი თაღოვანი ღრმა ნიშია. ორი სწორკუთხა სარკმელი სამხრ. კედელშია, თითო — დას-ისა და ჩრდ-ისაში. დას. ფასადზე არქიტრავით გადახურული კარი მოჩარჩოებულია ორმაგი ნახევარწრიული ლილვით. ეკლ. ცილინდრული კამარით იყო გადახურული. ამჟამად შიფერის ორფერდა სახურავი აქვს. კედლები დასრულებულია ქვიშაქვის პროფილირებული ლავგარდნით. *გვან. ჯ.*

## ცედანი

(ცოცხნარის სოფსაბჭო)

153. სამების ეკლესია და სამრეკლო, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, სასაფლაოზე. ეკლ. აგებულია XIX ს-ის ბოლოს, სამრეკლო — 1910 წ. ეკლ. დარბაზულია (10,3X6,7 მ), ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვით, კამარა და კონქი ხისა იყო. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. სარკმლის გვერდებზე თითო ნახევარწრიული თაღოვანი ნიშია. შემაღლებული საკურთხევლის ბაქანს ორდაბაგი ეკვრის. თითო თაღოვანი სარკმელია სამხრ-ით და ჩრდ-ით. დას-ით ხის პატრონიკე იყო (შემორჩენილია ფრაგმენტები). იგი პატარა კარით უკავშირდებოდა სამრეკლოს. ეკლ. შიგნით და გარეთ შელესილია. ამჟამად ეკლესიას ხის კონსტრუქციის ორფერდა სახურავი აქვს.

(ა) სამრეკლო დას-დანაა ეკლესიაზე მიშენებული, ნაგებია აგურით. იგი ორსართულიანი კვადრ. ნაგებობაა. დგას ოთხ. მძლავრ კვადრ. ბოძზე. ბოძები ერთმანეთთან დაკავშირებულია ნახევარწრიული თაღებით. სვეტისთავები ნაწყობია აგურით. სამ მხარეს გახსნილი I სართული კარიბჭეა, რ-იც გადახურულია დამრეცი კამარით. II სართული სამი მხრიდან ორ იარუსად შეწყვილებული თაღედით გახსნილი ფანჩატურია. ფასადებს იარუსებს შორის საფეხურებიანი სარტყელი გასდევს. I სართულს აგურის ლავგარდანი აქვს. ორფერდა სახურავს ლითონის ჯვარი ადგას. კარიბჭის სამხრ.-დას. სვეტის სამხრ. მხარეზე აგურის რელიეფური ჯვარია გამოსახული, ხოლო პირველი იარუსის თაღებს შორის აგურის წყობით გამოყვანილია სამრეკლოს აშენების თარიღი. *ბ. მ., ო. ა.*

## ცოცხნარა

(სოფსაბჭოს ცენტრი)

154. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას,

სამხრ.-აღმ-ით, შემაღლებულ ადგილზე. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. დაზიანებულია: დანგრეულია დას. ნაწილი, შემორჩენილია აფსიდის აღმ. კედლის სამხრ. ნაწილი 4-5 *მ* სიმაღლეზე და სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთი.

ეკლ. დარბაზულია (7,4X5,18 *მ*), ნაგებია კარგად გათლილი ქვიშაქვის დიდი კვადრებით. შესასვლელი სამხრ-დან ჰქონდა (შემორჩენილია აღმ. წირთხლის კვალი და დიდი ზომის ტიმპანის ქვა). ნახევარწრიულ აფსიდში ფართო და მაღალი თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე გვერდზე თითო სწორკუთხა ნიშია. ეკლესიის დარბაზი დაახლ. კვადრ. ფორმისაა. სამხრ. კედელზე ერთსაფეხურიანი პილასტრის ფრაგმენტია. *დვ. თ.*

155. ᲬᲛ. ᲛᲐᲠᲘᲜᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 200 *მ*-ზე. აშენებულია XIX ს-ში. დაზიანებულია: გადახურვა და ჩრდ. კედლის ერთი მესამედი ჩამონგრეულია.

ეკლ. დარბაზულია (13X7 *მ*), ნაგებია ტლანქად დამუშავებული ქვიშაქვის კვადრებით. შესასვლელი დას-ითა და სამხრ-ითაა. აფსიდი ნახევარწრიულია. აღმ., სამხრ. და ჩრდ. კედლებში ორ-ორი მოზრდილი სარკმელია. სამხრ. შესასვლელის თავზე ჯვარია ამოკვეთილი. ეკლესიას ორფერდა სახურავი აქვს. *გვახ. ჯ.*

## ᲪᲮᲠᲐᲛᲣᲮᲐ

(სოფსაბჭოს ცენტრი)

156. ᲙᲝᲨᲙᲘ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. აგებულია XVIII ს-ში. ძ. გეგმით ცილინდრულია (დიამ. 7,5 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. შემორჩენილია ოთხი სართული. შესასვლელი ჩრდ-ით და სამხრ-ითაა. ყველა სართულს სათოფურები აქვს. *გვახ. ჯ.*

156. ჩრდ. ფასადი, განაკვეთი, სართულების გეგმები



157. ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (12,6X X7,8 *მ*), ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. შესასვლელი ორი აქვს — სამხრ-ითა და დას-ით. ნახევარწრიული აფსიდის თაღოვანი სარკმლის ორივე მხარეს ნიშებია. სამხრ. და ჩრდ. კედლებში ორ-ორი სარკმელია. დარბაზი გადახურულია ოდნავ შეისრული კამარით, რ-ის საბჯენი თაღები გრძივი კედლების პილასტრებს ეყრდნობა. დას-ით ხის პატრონიკეა ხისავე კიბით. ეკლ. გარედან შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიაზე დას-იდან მიშენებულია (ა) ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-ის I სართული თაღებით გახსნილი და დაბალი გუმბათით გადახურული ოთხსვეტიანი კ ა რ ი ბ ჭ ე ა. II სართულს შესასვლელი (ამჟამად ამოშენებულია) ეკლესიის პატრონიკედან აქვს. გადახურულია ოდნავ შეისრული კამარით. დას-ით მრგვალი სარკმელია. იატაკში გაჭრილი ხვრელი ამ სართულს მის ქვეშ მოთავსებულ ოთხკუთხა სათავსთან (სამალავი) აკავშირებს. III სართული ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილი, გუმბათიანი პატარა ფანჩატურია, რ-იც დაშენებულია ქვედა სართულის ორფერდა სახურავზე. მისი თაღები მარტივი პროფილისაა და აგურის თაროსებრ კაპიტელებს ეყრდნობა. სამრეკლოს ფასადები შელესილი და შეთეთრებულია. II სართულის ქვედა ნაწილში დეკორატ. ფრონტონი შევსებულია აგურის წყობაში გამოყვანილი ჯვრით. *მ. გ.*



157. გეგმა

## ᲫᲐᲛᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ,

იხ. სოფ. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს წ ყ ა რ ო

## ᲬᲐᲑᲚᲝᲕᲐᲜᲐ

(ცოცხნარის სოფსაბჭო)

158. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, ფერდობზე. თარიღდება XIX ს-ით. ეკლ. დარბაზულია (10,2X6,8 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით და თლილი კირქვით, კამარა, კონქი და გადახურვა ხისაა. შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორ-



158. სამხრ. ფასადი, აღმ. ფასადი, გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა

კუთხა შესახვლელები სამხრ-ით და დას-ითაა (ამოშენებულია). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა სარკმელია, მის გვერდებზე ასევე თაღიანი ნიშებია. თითო თაღიანი სარკმელია ჩრდ-ით, სამხრ-ითა და დას-ით (კარის თავზე). საკურთხევლის ბაქანი შემაღლებულია და არდაბაგი ეკვრის. საკურთხეველი ეკლესიის დარბაზისგან გამოყოფილია აფსიდის მხრებზე დაყრდნობილი ხის სატრიუმფო თაღით. დას-ით ხის პატრონიკეა, რ-ზეც ხის კიბე ადის. დარბაზის კამარა შიგნიდან შეფიცრულია. იატაკზე არაწესიერი მოხაზულობის ბაზალტის დიდი ზომის ფილებია მოგებული.

სამხრ. ფასადზე კარს და ტიმპანს შემოვლებული აქვს ნახევარწრიული რელიეფური ლილვი. აღმ. ფასადზე, ფრონტონის წვეროსთან, ქვის სწორკუთხოვან ფილაზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი. *ბ. მ., ო. ა.*

## ᲬᲐᲦᲕᲚᲘ

(სოფსაბჭოს ცენტრი)

159. სოფ. წ ა ღ ვ ლ შ ი დაიბადა საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ იოსების ძე ს ა მ ხ ა რ ა ძ ე (1917-1945 წწ.). *კ. კ.*

160. ᲜᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, ადგილ ბარბაციკარში. თარიღდება ფეოდ. ხანით. ნაგებობის გეგმა არ იკითხება. *რ. ა.*

161. ᲜᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲠᲘ, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 150 *მ*-ზე, ადგილ ჩოჩქოლიკარზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ნატეხი ქვიშაქვით ნაგები დარბაზული ეკლესიისგან შემორჩენილია სამხრ. კედლის პატარა ნაწილი პილასტრთან (სიმ. 4 *მ*) ერთად და ჩრდ. კედლის ნაწილი. ეკლესიის სიგანე 6,2 *მ*-ია. კარი დას-ით ჰქონია. ნანგრევები დაფარულია მიწით. იკითხება მხოლოდ დას. კედლის კონტური. *დვ. თ., რ. ა*

162. **ნაეკლესიარი**, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 0,5 *კმ*-ზე, ადგილ ცაცხეებში. თარიღდება ფეოდ. ხანით. შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის (5X3,5 *მ*) ნაშთი. ნაგები ყოფილა ქვიშაქვით. გეგმა მთლიანად არ იკითხება. მოჩანს დას. და ჩრდ. კედლების ნაშთი და აღმ. კედლის კონტური. ეკლესიას კარი ჩრდ-ით ჰქონია. *დვ. თ., რ. ა.*

163. **ნამოსახლარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით 1 *კმ*-ზე, მდ. წაღვლურის მარცხ. ნაპირზე, ადგილ გალავნებში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინისა და ფეოდ. ხანით. ნ. განლაგებულია ბორცვზე (50X30 *მ*). იპოვება წნელისანაბეჭდიანი ბათქაშისა და ლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები. მდინარის პირას ფლატეში ჩანს სქელი ნაცროვანი ფენები *რ. ა.*

164 **ნამოსახლარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით 2,5 *კმ*-ზე, მდ. წაღვლურ.ს მარცხ. ნაპირზე, ლაშეს ღელის დას-ით 300 *მ*-ზე, ადგილ ძეძვებში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინისა და ანტ. ხანით. გამოვლინდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. *რ. ა.*

165. **ნამოსახლარი**, არქეოლ ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 2 *კმ*-ზე, სოფ. წაღვლსა და სოფ. კლდისწყაროს დამაკავშირებელი გზის აღმ-ით, ადგილ პირაღმა ვენახებში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის, ანტ. და ფეოდ. ხანით. ნ-ის ზედაპირზე იპოვება თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. *რ. ა.*

166. **ნამოსახლარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ -აღმ-ით, მდ. წაღვლურის შენაკადის კლდისწყაროს მარჯვ. ნაპირზე, ადგილ ნალობიერში. თარიღდება ფეოდ. ხანით. ნ-ზე იპოვება თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. *რ. ა.*

167. **ნამოსახლარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მდ. წაღვლურის მარჯვ. ნაპირზე, ზეგანზე, ადგილ წეღვერში. თარიღდება ანტ. ხანით. ნ-ზე იპოვება ანტ. ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები. მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა წითლად გამომწვარი თიხის დოქი და მძივები. *რ. ა.*

168. **ნამოსახლარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მდ. წაღვლურის მარჯვ. ნაპირზე, ადგილ ბესას ტყეში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. მდინარის მიერ ჩამორეცხილ ფერდზე ჩანს გაშიშვლებული კულტ. ფენები, რ-ებიც უხვად შეიცავს შავპრიალაზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხებს. მოპოვებული მასალა ინახება ხაშურის რ-ნის არქეოლ. ექსპედიციის ფონდებში. *რ. ა.*

169. **ნამოსახლარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 2 *კმ*-ზე, ე. წ. საციხურის გორაზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის, ანტ. და ფეოდ. ხანით. 1980 წ-დან არქეოლ. სამუშაოებს ატარებს აკც-ის ხაშურის ექსპედიცია (ხელმძღვ. ა. რამიშვილი). ნ. მდებარეობს ბორცვზე (30X15 *მ*). კულტ. ფენები მოჩანს ბორცვის ჩრდ-ით და აღმ-ითაც, დაბლობში. ნ-ის ბორცვს სამხრ-დან ჰქონია სათავდაცვო თხრილი, რ-იც მოქმედებდა ადრინდ. ფეოდ. ხანამდე. თხრილის სიღრმე მიწის ახლანდ. ზედაპირიდან 8 *მ*-ია. ნ-ზე გამოვლინდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ნაგებობათა იატაკის ფრაგმენტები და ნიადაგში ჩაჭრილი ორმოები. *რ. ა.*

170. **ნამოსახლარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 1,5 *კმ*-ზე, სოფ. კლდისწყაროსაკენ მიმავალი გზის დას-ით. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის, ანტ. და ფეოდ. ხანით. ნ. სამოსახლო ბორცვებისაგან შედგება, რ-თაგან ერთი ბუნებრივ გორაკზეა (ადგილი დანგრეულები), ხოლო ოთხი ამ გორაკის ჩრდ-ით, ხელოვნურ ბორცვზე (ადგილი რეზოს მიწები). ნ-ზე აიკრიფა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ზოომორფული კერამ. გამოსახულებები, კაჟის ნამგლის ჩასართები, ბათქაშის ფრაგმენტები, ბრინჯაოს თავხვია საკინძი. მასალა ინახება სოფ. წაღვლის საშ. სკოლის მხარეთმც. კაბინეტში. *რ. ა.*

171. **ნამოსახლარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, მდ. წაღვლურასა და პატარა ხევს შორის, ადგილ გოროკოზე. თარიღდება ადრინდ. რკინის, ანტ., გვიანდ. ბრინჯაოს და ფეოდ. ხანით. ნ-ზე იპოვება თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. *ირ. შ., რ. ა.*

172. **ნამოსახლარი და სამაროვანი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით 3 *კმ*-ზე, მდ. წაღვლურის მარჯვ. ნაპირზე, ადგილ ლეკიკალიაზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის, ანტ. და ფეოდ. ხანით. (ა) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ზ ე აიკრიფა თიხის ჭურჭლისა და ბათქაშის ნატეხები, რკინის თავხვია საკინძი და სხვ. ტერასის ჭრილში ჩანს ნაცროვანი ფენები და თიხის ჭურჭლის ნატეხები

ნამოსახლარის ჩრდ.-დას. ნაწილში, შემაღლებულ ადგილას (ბ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი ა. აქ მიწის სამუშაოების დროს იპოვება ბრინჯაოს ნივთები, მძივები და ადამიანის ძვლები. მასალა ინახება სოფ. წაღვლის საშ. სკოლის მხარეთმც. კაბინეტში. *ირ. შ., რ. ა.*

173. **ნამოსახლარი და სამაროვანი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 700-800 *მ*-ზე, ადგილ ოსანაძეების ახოზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინისა და ფეოდ. ხანით. 1976 წ. მიწის სამუშაოების დროს აქ აღმოჩნდა ადამიანის ძვლები, ბრინჯაოს იარაღი, თიხის ჭურჭლის ნატეხები, აგრეთვე ღუღაბით ნაგები საწნახელი (დანგრეულია) და ქვევრები. *რ. ა.*

174. **ნამოსახლარი და სამაროვანი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით 3 *კმ*-ზე, მდ. წაღვლურ.ს მარცხ. ნაპირზე, პატარა ლაშეს ღელის ორივე მხარეს, ვენახებში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინისა და ანტ. ხანით. (ა) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ზ ე აიკრიფა თიხის ჭურჭლის ნატეხები. (ბ) ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ზ ე იპოვება ადამიანის ძვლები და ბრინჯაოს ნივთები. მასალა დაცულია სოფ. წაღვლის საშ. სკოლის მხარეთმც. კაბინეტში. *ირ. შ., რ. ა.*

175. **სამაროვანი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 1 *კმ*-ზე. ვენახებში, ადგილ ჩოჩქოლიკარში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის ხანით. ს-ზე შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს შუბის პირები, კაჟის ნამგლის ჩასართი და ზოომორფული ფიგურები. მასალა დაცულია სოფ. წაღვლის საშ. სკოლის მხარეთმც. კაბინეტში. *რ. ა.*

176. **სამაროვანი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 1,5 *კმ*-ზე, სოფ. წაღვლისა და სოფ. კლდისწყაროს დამაკავშირებელი გზის აღმ--ით, ვენახებში, ადგილ ჟურილაკარში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანით. ს-ზე შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს შუბისპირი, ორთითი, კაჟის ნამგლის ჩასართი, ჯვირისტავი და სხვ. მასალა ინახება სოფ. წაღვლის საშ. სკოლის მხარეთმც. კაბინეტში. *რ. ა.*

177. **სამაროვანი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით 2 *კმ*-ზე, მდ. წაღვლურ.ს მარცხ. ნაპირზე, ადგილ მიქელაანთ ვენახებში. თარიღდება შუა ბრინჯაოს ხანიდან გვიანდელზე გარდამავალი პერიოდით და გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. გაითხარა 93 სამარხი, რ-თა უმრავლესობა ინჰუმაციურია, არის კენოტაფიც. ინჰუმაციური სამარხებიდან ერთში დაკრძალულია ორი მიცვალებული, ხოლო დანარჩენი ინდივიდუალურია (ერთ-ერთ ინჰუმაციურ სამარხში მჯდომარე მიცვალებული ესვენა). მიცვალებულები დამარხულია მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, ხელფეხმოხრილი, თავით ჩრდ-ის ან სამხრ-ისაკენ. აღმოჩენილია: ბრინჯაოს 4 სატევარი, 8 შუბისპირი, ობსიდიანის 14 ისრისპირი, ბრინჯაოს 100 საკინძი, 50 საკიდი, 12 სამაჯური, რამდენიმე ასეული სარდიონის, ანთიმონის, პასტისა და სხვ. მასალის მძივები; 332 თიხის ჭურჭელი, რ-იც

დამზადებულია წვრილმინარევიანი თიხისაგან. აქვს მეტნაკლებად უხვნადი კეცი, შავპრიალა ზედაპირი და რუხი-მოწითალო შიდა მხარე. არის დიდი და ხაშ. ზომის დერგები, ქოთნები, კოჭობები, ღრმა ცალყურა ბადიები, ყურიანი და უყურო სასმისები და სხვ. შუა ბრინჯაოს მიწურულის და გვიანდ. ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის ინვენტარი თითქმის ერთმანეთის მსგავსია. ჭურჭელი დამზადებულია ცუდად გარჩეული თიხისაგან, გამომწვარია რუხმოწითალოდ და დაღარულია უსისტემოდ, რაც დამახასიათებელია გარდამავალი პერიოდისათვის. მოპოვებული მასალა ინახება ხაშურის მხარეთმც. მუზეუმში.

ბიბლ.: 326 — რ. ა.

178. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ქვედა უბანში. აგებულია 1921 წ. კუთვნის აბრამ გელაშვილს. ს. ს. ორსართულიანია, ნაგებია ქვიშაქვით. ქვედა სართული ნახევარსარდაფია. აქ მარანია, რ-ის გადახურვა გამაგრებულია ორი ხის სვეტით. მარნის უკანა კედელში ბუხარია ჩაშენებული. მარნის წინ დაბალმოაჯირიანი აივანია. ხის ერთმარშიანი კიბე ზედა სართულის აივანზე ადის. აქ ერთი საცხოვრებელი ოთახია, რ-ის კარი და ორი სარკმელი აივანზე გამოდის. ოთახის უკანა კედელში კიდევ ერთი სარკმელია. ოთახისა და აივნის ჭერი შეფიცრულია. აივანს ექვსი პროფილირებული სვეტი აქვს. სვეტებს შორის, ზევით ჭვირულორნამენტიანი თაღებია. გადახურვის შვერილ კოჭებს შორის არე შევსებულია კვეთილორნამენტიანი ფიცრით. აივნის მოაჯირი ყრუა. სახლს ნივნივებზე დაწყობილი კრამიტის სახურავი აქვს. — დვ. თ.



178. აივნის ფრაგმენტი

178. მთავარი ფასადი, გეგმა





179. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზედა უბანში. აგებულია XX ს-ის დასაწყისში. კუთვნის შაქრო კაპანაძეს. სახლი ორსართულიანია, ნაგებია ქვითა და აგურით. ქვედა სართული ნახევარსარდაფია. აქ მარანი და ერთი ოთახია. ორივე სათავსის კარ-სარკმელი გადის ეზოსკენ, აივანზე. გარედან მიდგმული ხის ერთმარშიანი კიბე ზედა სართულის აივანზე ადის. აქ ორი ოთახია. ოთახებში შესასვლელი აივნიდანაა. აივანზე გამოდის ოთახების სარკმლებიც. ერთ-ერთ ოთახს გვერდზე კიდევ ერთი სარკმელი აქვს. კარ-სარკმელი გარედან დასრულებულია რკალური თაღით. ოთახები ერთმანეთს ტიხარში დატანებული კარით უკავშირდება.

ეზოს მხრიდან სახლს მთელ სიგრძეზე საკმაოდ განიერი ხის აივანი გასდევს. ქვედა სართულის აივანს პქონია კვადრ. კვეთის მასიური სვეტები, რ-ებიც ქვის ბალიშებს ეყრდნობოდა. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ერთი სვეტი, დანარჩენები შეცვლილია ლითონის მილებით. ზედა სართულის აივანს შვიდი რვაწახნაგა სვეტი აქვს. მოაჯირი შემკულია ჭვირული ორნამენტით. სვეტებს შორის, ზევით ჭვირულორნამენტიანი თაღებია. გადახურვის შვერილ კოჭებს შორის არე შევსებულია კვეთილორნამენტიანი ფიცრით. კრამიტის სახურავი ნივნივებზეა მოწყობილი.

მოგვიანებით სახლისათვის კიდევ ორი სათავსი მიუშენებიათ და გადახურვაც განუახლებიათ. — დვ. თ.

179. მთავარი ფასადი, გეგმა, საერთო ხედი







180. ციხე-დარბაზი, არქეოლ., არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით 1,5 კმ-ზე, მდ. წაღვლურის მარჯვ. ნაპირზე, ადგილ გალავნებში, ნასოფლარ წაღველისთავის ტერიტორიაზე. თარიღდება ფეოდ. ხანით. ისტ. წყაროების მიხედვით, დავით აღმაშენებელს წაღელისთავში ჰქონია ციხე-დარბაზი, ე. წ. მცირე სასახლე („და იყო მაშინ საზღვარი მთა მცირე ლიხთა და სადგომი სამეფო წაღულის თავი"). ც.-დ. 1910 წ. ძლიერ იყო დაზიანებული და დანგრეული. 1930-იან წწ-ში მოსახლეობას ციხის შემორჩენილი კედლები დაუშლია და ქვა საშენ მასალად გამოუყენებია. ამჟამად შემორჩენილია სამხრ., დას. და აღმ. კედლების საძირკვლის ნაშთი. ც.-დ. გეგმით აღმ-დან დას-კენ წაგრძელებული სწორკუთხა ნაგებობაა (40X X30 მ), რ-საც ოთხივე კუთხეში ცილინდრული კოშკები ჰქონდა. შემორჩენილია მხოლოდ სამხრ.-აღმ. და სამხრ.-დას. კოშკების (დიამ. 3,8 მ) კვალი.

*ბიბლ.*: 89; 251 *ანთ. ი., დე. თ.*

181. წაღვლის განძი, არქეოლ. ძ. აღმოაჩინეს წაღელი-სანხერის საავტ. გზის პირას, მიწის სამუშაოების დროს, 1965 წ. განძი ჩამარხული იყო XVIII ს-ის I ნახ-ში. (1735 წ. შემდეგ).

შემორჩენილია სპილენძის 21 მონეტა: ანონიმური ტბილური ნახევარბისტიანი (1112 წ. ჰ. — ახ. წ. 1700-01 წწ.) — 1 ც., მეფე ვახტანგ VI ნახევარბისტიანი (1120 წ. ჰ. — ახ. წ. 1708-09 წწ.) — 1 ც., მეფე სვიმონის მონეტები (1124 წ. ჰ. — ახ. წ. 1712 წ.) — 6 ც., მეფე ბაქარის ნახევარბისტიანები (1130 წ. ჰ. — ახ. წ. 1717 წ.) — 18 ც. და მონეტები (1131 წ. ჰ. — ახ. წ. 1718-19 წწ.) — 12 ც., ტბილური ნახევარბისტიანები (1148 წ. ჰ. — ახ. წ. 1735-36 წწ.) — 1 ც. განძი დაცულია ხაშურის მხარეთმც. მუზეუმში. *ჯ. ი.*

182. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 0,5 კმ-ზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით.

ეკლ. დარბაზულია (9,15X6,15 მ), ნაგებია ქვიშაქვითა და ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-ითა და დას-ით (გაუქმებულია) ჰქონდა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, ხოლო სამხრ. კედელში — ორი. ეკლესიაზე ჩრდ-დან მიშენებული იყო აფსიდის მაგვარი (ა) ეგვტერი, რ-ის მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი. ეკლესიის ჩრდ. კედელში დატანებულია სვეტი, რ-ზეც თაღები გადადიოდა; ეს თაღები ეკლესიის დარბაზს ჩრდ. სათავსისაგან გამოყოფდა. მოგვიანებით ჩრდ-ით თაღების ღიადები ამოუშენებიათ. *გვას. ჯ.*

## წვერიანას საყდარი,

იხ. სოფ. ქემფერი, ნაეკლესიარი

## წვერსაყდარი,

იხ. სოფ. დიდი ყელეთი

## წვიმოეთის ეკლესია,

იხ. ხცისი, ნათლისმცემლის ეკლესია

## წრომი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

183. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 1 კმ-ზე ადგილ ბოსლებში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ს ტერიტორიაზე ჩანს ნასახლართა ბუდეები. შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები შენობების საძირკვლის ფრაგმენტები. იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ზომის ქვევრის ფრაგმენტები და სხვ. *ნ. ა.*

184. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 1 კმ-ზე, ე. წ. კუდა ტყესთან. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. მიწის ჰუმუსოვანი საფრის ქვეშ შემონახულია რიყის ქვით ნაგები შენობათა საძირკვლის ნაშთები. შენობებთან აღმოჩნდა მარცვლეულის შესანახი რამდენიმე ორმო — ხარო. იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ზომის ქვევრის ფრაგმენტები. *ნ. ა.*

185. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 400 მ-ზე, სასაფლაოზე და მის მიდამოებში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ზე შემორჩენილია შენობების ნაშთი, რ-თა საძირკვლები რიყის ქვითაა ნაგები. ჩანს წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. *ნ. ა.*

186. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრ. ნაწილში, საშ. სკოლის მახლობლად. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ის ტერიტორიაზე, რ-იც ამჟამად დასახლებულია, მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა დიდი ზომის ქვევრები. ამ მიდამოებში იპოვება ცისფრად მოჭიქული და წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. აქვეა წყალსადენის თიხის მილები და სხვ. *ნ. ა.*

187. სამეთუნეო სახელოსნო, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით 200 მ-ზე, მდ. წრომულის ფლატეში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. აღმოჩენილია სამეთუნეო ქურის ნაშთი, ნახშირის გროვები და წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. *ნ. ა.*

188. წმ. მარინეს ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით 2 კმ-ზე წრომ-ახალსოფლის გზის მარჯვ. მხარეს, ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ძლიერ დაზიანებულია: შემოცლილი აქვს საპირე ქვები, დანგრეულია შესასვლელის გადახურვა, ჩამონგრეულია კამარის სამხრ. დიდი ნაწილი, აღმ. და დას. კედლები დაბზარულია, ეკლ. დაახლოებით 0,7 მ სიღრმეზე მიწაში ზის.

ეკლ. დარბაზულია (7,1X5,3 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-დანაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რ-ის გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშია. დას. კედელშიც ერთი სარკმელია. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით. ჩრდ. ფასადზე შემორჩენილია ქვიშაქვის თაროსებრი ლავგარდნის ფრაგმენტები. *დე. თ.*

189. წრომის ტაძარი, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. მდებარეობს რკინიგზის სადგ. გომიდან 3 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, სოფელში. აგებულია 626-634 35 წწ. ერისმთავარ სტეფანოზ II-ის დაკვეთით. წ. ტ. რამდენიმეჯერ დაზიანდა და გადაკეთდა: XI და XII სს. შორის და XVI-XVII სს-ში; 1731 წ. 24 ხექტ. ლეკთა შემოსევის დროს დაინგრა გალავანი; 1940 წ. 8 მაისს მიწისძვრამ ძალზე დააზიანა ტაძრის მნიშვნელოვანი ნაწილი: დაინგრა გუმბათი, გუმბათქვეშა კვადრატის კედლები, ნართექსისა და დას. და სამხრ. მკლავების ცილინდრული თაღების დიდი ნაწილი, გადაიხარა დას-ის კედელი. მიუხედავად ამისა წ. ტ-ის თავდაპირველი გეგმა და საერთო კომპოზიცია უცვლელი დარჩა.

საქც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (ხელმძღვ. ლ. ხიმშიაშვილი), შემდგომ კი გაერთიანებამ ჩაატარა სარესტ. სამუშაოები: 1949 წ. დას. კედლის გასამაგრებლად გაკეთდა სპეც. დამჭერი კონსტრუქციები: 1959 წ. გასწორდა დას-ის გადახრილი კედელი; 1974-75 წწ. ტაძრის გუმბათის ყელის ფუძემდე ამოიყვანეს ტრომპები და ტაძარს დაადგეს საცდელი ხის გუმბათი.

189. რეკონსტრუქცია (*გ. ხიმშიაშვილის მიხედვით*)



წ. ტ. ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (25.6X19.85 მ). ნაშენია კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით (ნაწილობრივ გამოყენებულია მუქი ნაცრისფერი და მოყვითალო პორფირიტი), რ-თა დაწიბოებული ნაკერები ჰორიზონტალური და სწორხაზოვანია.

ტაძარს სამი შესასვლელი აქვს დას-ით, ჩრდ-ით და სამხრ-ით. ოთხი ცალკე მდგომი ბოძი მკვეთრად გამოყოფს გუმბათქვეშა კვადრატს, რ-ზეც აღმართულია რვაწახნაგა გუმბათის ყელი. კვადრატიდან რვაწახნაგზე გადასვლა ოთხი დიდი ნახევარკონუსური ტრომპის მეშვეობით ხდება. გუმბათი მდებარეობს ნაგებობის ცენტრში, მის ოთხივე მხარეს ჯვრის მკლავებია, რ-თა ფორმა ხაზგასმულია ურთიერთპერპენდიკულარული მძლავრი ცილინდრული კამარებით. შენობის ინტერიერში გამოკვეთილია სიგრძივი (აღმ.-დას.) ღერძი, რომლის აღმ-ით აფსიდია, დას-ით კი პატრონიკე, რ-იც დას. მკლავს სიგრძით უთანაბრებს აღმ-ისას და აწონასწორებს მთელ შინაგან სივრცეს. პატრონიკეს ქვეშ მდებარეობს წაგრძელებული ნართექსი, რ-ის შუა ნაწილი გადახურულია ცილინდრული კამარით, ხოლო გვერდითები — ჯვაროვნით. ნართექსიდან სამი შესასვლელია ტაძარში. პატრონიკეზე ასასვლელი ოთხმარშიანი კიბის ყოველი მარში თაღზეა დამყარებული. სამხრ.-დას-ით ორსართულიანი სათავსია, რ-ის აღმ-ით გახსნილი ქვედა სართული საქალებო იყო, ხოლო II სართული — დიდებულთა სადგომი. აფსიდის ორივე მხარეს ოთხკუთხა სათავსებია — სადიაკვნე და სამკვეთლო. ჩრდ.-აღმ-ისას ჯვაროვანი კამარა აქვს, სამხრ.-აღმ-ისას — ვარსკვლავისებრი. ამ სათავსებში აღმ-ით, პატარა აფსიდების სარკმლების ორივე მხარეს, სწორკუთხა ნიშებია. მკლავების თითო დიდი სარკმელი, გუმბათის ყელის ოთხი სარკმელი და რამდენიმე მრგვალი სარკმელი განათების მხატვრულად გააზრებულ სისტემას ქმნიან.



189. გეგმა



189. ხედი სამხრ-დას-დან



189. მოზაიკის კომპოზიციის სქემა





189. ინტერიერის სამხრ.-დას. კუთხე. ფრაგმენტი, რეკონსტრუქციამდე, რეკონსტრუქციის შემდეგ

(ა) მოხატულობა და (ბ) მოზაიკა წ. ტ-ის საკურთხევლის კონქი შემკული იყო მოზაიკით (VII ს. I ნახ.), რ-ის უმეტესი ნაწილი განადგურებულია (გადარჩენილი ფრაგმენტები გადატანილია საქართვ. ხელოვნ. მუზეუმში). კონქში შემორჩენილია მოსამზადებელი ნახატი, რ-ის მიხედვით იყო აწყობილი მოზაიკა. აქ წარმოდგენილია ქრისტეს დიდების კომპოზიცია, რ-იც, მეორე რეგისტრის ფრესკული გამოსახულებების გათვალისწინებით, ამაღლების თემას უკავშირდება. კონქის ცენტრში ქრისტეს დიდი ფიგურაა. მას მარცხ. ხელში გაშლილი გრაგნილი უჭირავს, მარჯვენით აკურთხებს გრაგნილზე შეიდსტრიქონიანი ასომთ. წარწერაა. ქრისტეს ორივე მხარეს გაირჩევა ანგელოზთა გამოსახულებანი. მეორე რეგისტრში სავარაუდოა (ე. ლაზარევი, ზ. სხირტლაძე), რომ გამოსახულია ღვთისმშობელი ორანტას პოზაში. აქვე შემორჩენილია მოციქულთა ფიგურების ფრაგმენტები. მოციქულებს აცვიათ პიმატიონები და ქიტონები. ერთ-ერთს აქვს წარწერა „პეტრე“. საკურთხევლის სარკმლის თაღში სამი მედალიონია. ცენტრალურში ჯვარია გამოსახული, ხოლო დანარჩენებში — მარტვილთა ბიუსტები. მედალიონების ქვემოთ აკანთის ორნამენტის ზოლია. ფრესკის კოლორიტი აგებულია მოცისფრო-ფირუზისფრის, სოსანისფრის, მოყვითალო და მოვარდისფრო ფერთა შეხამებაზე. ტაძრის დანარჩენი კედლები და კამარა მოუხატავი იყო.

ტაძარი ორ-საფეხურიან ცოკოლზე დგას. ფასადები მკაცრი და მონუმენტურია. აღმ. ფასადი სამნაწილიანია: ფრონტონით დასრულებული შუა ამაღლებული სიბრტყე შეესატყვისება საკურთხეველს, მის ორივე მხარეს ცალფერდასახურავიანი კუთხის დაბალი სათავსებია, რ-ებსაც თითო სარკმელი აქვთ. იქ, სადაც აუსიდი გვერდის სათავსებს (სადიაკვნესა და სამკვეთლოს) ემიჯნება, კედელში ამოკვეთილია ორი ღრმა სამკუთხა ნიში. ამ ნიშების შექმნა ნაკარნახევია კონსტრ. (კედელი გათავისუფლებულია ზედმეტი მასისაგან) და აღმ. ფასადის მხატვრული გადაწყვეტის თვალსაზრისით. ამ ხერხმა განვითარება ჰპოვა შემდგომში ქართ-

189. განაკვეთი აღმ-კენ



189. ინტერიერის სამხ.-დას. კუთხე





189. აღმ. ფასადი

ლიზმის ეპოქის ქართ. საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში. ფასადის ნიშები ერთმანეთთან დაკავშირებულია სამმაგი თაღედით. შუა ბრტყელ ნიშს ლენტისებური ორნამენტი აქვს შემოვლებული. გვერდის სამკუთხა ნიშების სიღრმეში კედელზე მიდგმულია კაპიტელებიანი და ბაზისებიანი შეწყვილებული სვეტები. მათ ზემოთ, კონქისებრ მომრგვალებაში შემორჩენილია სალებავით შესრულებული სხივები (სვეტების თავზე, სავარაუდოა, ქანდაკებები იდგა). დას-ის, სამხრ-ისა და ჩრდ-ის მკაცრი მონუმ. ფასადები დანაწევრებულია მხატვრულად გააზრებულად განლაგებული კარ-სარკმლებით. სამივე ფასადს მსგავსი შუა ღერძი აქვს: სწორკუთხა შესასვლელი თაღოვანი ტიმპანით, მის თავზე, პატრონიკეთა დონეზე, ფართო თაღოვანი სარკმელი და ფრონტონში მრგვალი სარკმელი. ეს ლეიტმოტივი ანათესავებს სამივე ფასადს.

დას. ფასადზე, შუაში, შეწყვილებული სვეტებით მორთული ფართო შესასვლელია. იგი გადახურულია ტიმპანის ქვით, რ-ზეც გამოსახულია მაღალი საფეხურებიანი ჯვარი. შესასვლელის ზემოთ ჰორიზონტალურ-გადანაკვეცებიანი სათაურით და ორნამენტით მორთული დიდი სარკმელია. გრძივი ფასადები თითქმის ერთნაირია. მათი გვერდითი ფრთები ქმნიან სხვადასხვა სიმაღლის გამოშვერილ ნაწილებს. ამ ფასადების შუა ნაწილში ორნამენტით შემკული ხვრელობებია. შესასვლელის ტიმპანებს და შუა სარკმლებს შემოვლებული აქვს თაღი და არშია. სამხრ. ფასადის შესასვლელის ტიმპანზე გამოსახულია ჯვარი. ფრონტონის ქვეშ განედლებული ჯვრის რელიეფია, მის ზემოთ, ლავგარდნის ქვებზე, — როზეტები და ფოთლოვანი რელიეფური გამოსახულებები. შუა სარკმლის მარცხნივ ასომთ. წარწერაა, რ-შიც მოხსენიებულია ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ II ადარნასეს ძე. ტაძარი გადახურულია კრამიტით და ქვის ლორფინებით (გვიანდელია).

189. სამხრ. ფასადი



ც. ტ-ის არქიტექტურისათვის დამახასიათებელია ჰარმონიული პროპორციები, მასების მკაფიო წონასწორობა, ოსტატურად ნაშენი კედლის სიბრტყე და სხვ. აქ განვითარება ჰპოვა ახალმა ხუროთმოძღვრულმა პრინციპებმა, რ-ებმაც ბევრად განსაზღვრეს ფეოდ. ხანის ქართ. ხუროთმოძღვრების შემდგომი განვითარება.

ბიბლ.: 35; 263; 264; 331; 347; 354

*ანდღ. ნ., მ. ი.*

## ჭალის ეკლესია,

იხ ქ. ხაშური, წმ. ნიკოლოზის ეკლესია

## ჭოშორას წმ. გიორგის ეკლესია,

იხ. სოფ. უწლევი, ნაეკლესიარი (ჭოშორას წმ. გიორგის ეკლესია)

## ხახუტის ღვთისმშობლის ეკლესია,

იხ. სოფ. ტეზერი.

## ხცისი

(სოფსაბჭოს ცენტრი)

190. ნაეკლესიარი (ღეთაების ეკლესია), არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 200 *მ*-ზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (7X5 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: სამხრ-ისა და დას-ის კედლები მთლიანად დანგრეულია, აღმ-ისა და ჩრდ-ის ნაწილობრივ. *გვას. ჯ.*

191. ნათლისმცემლის ეკლესია, წვიმოეთის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით 1,5 *კმ* ზე. სამშენ. წარწერის მიხედვით, ეკლესიის აშენება 1002 წ. დაუწყია გურანდუხტ დედოფალთან დაახლოებულ პირს, ძლიერ ფეოდალს ანანია მთაეარეპისკოპოსს. დაზიანებულია: კამარა ჩანგრეულია, შემორჩენილია აფსიდის კონქის ფრაგმენტები; განსაკუთრებით დაზიანებული იყო სამხრ. ფასადი, სამკვეთლო და კარიბჭე, რ-ებიც ამჟამად ნაწილობრივ შეკეთებული და აღდგენილია.

ეკლ. დარბაზულია (14,3X15,5 *მ* მინაშენებიანად), ნაგებია კარგად მოსწორებული მოყვითალო და მონაცრისფრო ქვის კვადრებით. სამხრ-ით და ჩრდ-ით მინაშენებია — სამკვეთლო და კარიბჭე. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — სამხრ-ით (კარიბჭიდან) და დას-ით. ჩრდ. კედელში გაჭრილია სამკვეთლოში გასასვლელი კარი. აღმ., სამხრ. და დას. კედლებში თითო სარკ-



191. გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ

მელია, აფსიდის სარკმლის გვერდებზე — წყვილი მაღალი ნახევარწრიული ნიში. დარბაზის გრძივი კედლების მაღალი დეკორატ. თაღები სამსაფეხურიანი პილასტრების პირველ საფეხურს ეყრდნობა. დანარჩენ ორ საფეხურზე კამარის საბჯენი თაღებია გადაყვანილი.

ალმ. ფასადზე სამი თაღია. შუა თაღი ამაღლებულია. ასეთივე თაღებია დას. და ჩრდ. ფასადებზეც. ჩრდ. ფასადი გადაკეთებულია (უცვლელად შემორჩენილია მხოლოდ კრონშტეინზე დაყრდნობილი თაღი ალმ. მონაკვეთში), თაღები, ლავგარდნები, სვეტისთავები, სარკმელთა და შესასვლელთა საპირეები ორნამენტითაა შემკული.

ალმ. ფასადზე ასომთ. წარწერაა: „სახელითა ღმრთისაითა მე გლახაკმან ანანია ვიწყე შენებად წმიდასა ამას ეკლესიასა საყოფელსა წმიდაისა ნათლისმცემლისასა სალოცველად ადიდენ ღმერთმან ძლიერისა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და ძისა მათისა გიორგი უფლისწულისა და მეფისა ჩუენისა და სახსრად ცოდვილისა სულისა ჩემისათვის და მოსახსენებლად სულისა მშობელთა და მამათა ჩემთათვის ქორონიკონი იყო სკბ". დას. ფასადზე სამი ასომთ. წარწერაა: „წმიდაო ნათლისმცემელო შეიწყალე და ადიდე გურანდუხტ დედოფალი ორთავე შინა ცხოვრებათა ქ. უფალო იესო ქრისტე შეიწყალე და ადიდე შენ მიერ დამყარებული ბაგრატ აფხაზთა... და ყოველი კურაპალატი მოეც ძლევაი მტერთა ზედა ხილულთა და უხილველითა": „ქრისტე შეიწყალე ანან მთავარ ეპისკოპოსი": „უფალო იესო ქრისტე ძეო ღმთისა ცხოველისაო და წმიდაო ნათლისმცემელო შეიწყალე იოვანე".

ეკლესიის სამხრ. მინაშენი — ცილინდრული კამარით გადახურული



191. ალმ. ფასადი



191. გეგმა



191 განივი განაკვეთი ალმ-კენ

(ა) კ ა რ ი ბ ჭ ე — სამხრ-ით გახსნილია ორი თაღით; იგი მთავარ შესასვლელს წარმოადგენდა. მის აღმ. ნაწილში აფსიდიანი კვადრ. სათავსია. კარიბჭის კამარა სამ საბჯენ თაღს ეყრდნობა.

ჩრდ. მინაშენი — (ბ) ს ა მ კ ვ ე თ ლ ო — გეგმით სწორკუთხაა, გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-ის საბჯენი თაღები კრონშტეინებს ეყრდნობა. მინაშენს აღმ-ით და ჩრდ-ით ვიწრო სარკმლები აქვს. ჩრდ.-დას. ნაწილში მცირე კვადრ. სათავსია.

ბიბლ: 35; 355 — *ანდ. ნ.*

**192. ნასოფლარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით 1 *კმ*-ზე, ადგილ ხარვებში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ნ-ის მიდამოებში შემორჩენილია რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები შენობების საძირკვლის ნაშთები; იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ზომის ქვევრის ფრაგმენტები და სხვ. — *ნ. ა.*

**193. ნასოფლარი და ნაეკლესიარი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე, ადგილ არაკაანთხევში. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. (ა) ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი შედგება რამდენიმე ნასახლარი ბუდისაგან. შემორჩენილია რიყის ქვით ნაგებ შენობათა ნაშთები და (ბ) წმ. ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ე კ ლ ე ს ი ი ს ნანგრევები. დარბაზული ეკლ. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. კედლები მოპირკეთებულია ქვიშაქვის კვადრებით. — *ნ. ა.*

**194. ქვაჯუთი**, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 500 *მ*-ზე, ადგილ ვარცლებში. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. აღმოაჩინეს 1946 წ. შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს. ძ. შედგენილია კარგად გათლილი ფილაქვებისაგან. მიცვალებული ესვენა გაშოტილი, თავით დასავლ. სამარხეული ინვენტარი დაკარგულია. — *ნ. ა.*

**195. შლუყურის წმ. გიორგის ეკლესია**, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, 2 *კმ*-ზე, ნ ა ს ო ფ ლ ა რ შ ლ უ ყ უ რ ი ს სამხრ-ით, სასაფლაოზე. სტილისტ. ნიშნებით თარიღდება XIX ს-ით. ეკლ. დარბაზულია (11,5X6,5 *მ*), ნაგებია ქვიშაქვით, ნატეხი ქვითა და ხით. შეკეთების დროს ხის კამარა და კონქი ორფერდა სახურავით შეუცვლიათ. ეკლესიას სამხრ-ით და დას-ით ფართო და მაღალი თაღოვანი შესასვლელები აქვს. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ფართო თაღოვანი სარკმელია. ორ-ორი ასეთივე სარკმელი ჩრდ. და სამხრ. კედლებშია. კარ-სარკმელს შიგნიდან აგურის, ხოლო გარედან ქვის სხივისებურად ნაწყობი თაღები აქვს. აფსიდში ჩრდ-ით მცირე ზომის



195. სამხრ ფასადი, გრძივი განაკვეთი სამხრ.კენ, გეგმა

თაღოვანი ნიშია. საკურთხევლის ბაქანი და ნახევარწრიული არდაბაგი ერთი საფეხურითაა ამაღლებული. აფსიდის სარკმლის ქვემოთ სატრაპეზო ქვა დგას. საკურთხევლის კედლები უშუალოდ ერწყმის დარბაზის გრძივ კედლებს. საკურთხეველი დარბაზისგან გამოყოფილი ყოფილა ხის კ ა ნ კ ე ლ ი თ. გრძივ კედლებში შემორჩენილია ხის პატრონიკეს ძელების ბუდეები. პატრონიკე თაღოვანი გასასვლელით ეკლესიაზე დას-იდან მიშენებულ სამრეკლოს II სართულს უკავშირდებოდა. ეკლესიის ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია. იატაკზე ქვიშაქვის თლილი კვადრებია მოგებული.

(ა) ს ა მ რ ე კ ლ ო (2,5X2,5 *მ*) ორსართულიანია. ორივე სართული სამ მხარეს გახსნილია ნახევარწრიული თაღებით, რ-ებიც ეკლესიის დას. კედლის ორ პილასტრს და ორ თავისუფლად მდგომ ბოძს ეყრდნობა. I სართული ხის ბრტყელი სახურავითაა გადახურული. ანალოგიურია II სართული. სამრეკლოს თუნუქის პირამიდული სახურავი აქვს.

ეკლესიის სამხრ. შესასვლელის წინ სამ მხარეს თაღებით გახსნილი და კრამიტით გადახურული კ ა რ ი ბ ჭ ე ა. კარიბჭის და სამრეკლოს თაღების ქუსლებთან მაღალი რთულპროფილიანი იმპოსტებია. — *ბ. მ.*

**196. თომა ციციშვილის სასახლე**, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, აღმ-ით. სამშენ. წარწერის მიხედვით, აგებულია 1872 წ. გადაკეთებულია რამდენიმეჯერ. 1920 წ-დან სხვადასხვა დროს შენობაში მოთავსებული იყო დაწყებითი სკოლა, სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობის კანტორა, კლუბი და მედპუნქტი. 1930 წ. სასახლის ნაწილი დაიწვა. აღდგენის შემდეგ, 1974 წ-მდე შენობაში სკოლა იყო. ამჟამად გამოუყენებელია.

სასახლე ორი ნაგებობისაგან შედგება: ერთი (12,5X23,5 *მ*) ადრინდელია, მისი ფასადი ჩრდ-კენაა მიმართული, მეორე (6,6X16,3 *მ*) — უფრო გვიანდელი ნაგებობები კუთხით ერწყმის ერთმანეთს. სამხრ-ით ეზოს მხარეს ორივე შენობას გაერთიანებული ღია აივანი აკრავს. სასახლე ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით, გადაკეთების დროს გამოყენებულია თანამედროვე აგური.

სასახლის ძირითად ორსართულიან შენობას, რ-საც ჩრდ-ით ღია აივანი აქვს, წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმა აქვს. თითოეულ სართულზე ორ რიგად განლაგებული ექვსი ოთახია, რ-ებიც ერთმანეთს კარებით უკავშირდება. მთავარი შესასვლელი ჩრდ-ითაა. ერთმარშიანი კიბე II სართულის ღია აივანზე ადის. I სართულის დას. ნაწილში ვიწრო კორიდორია, რ-იც ეზოში გადის. ორივე სართულის ოთახების გრძივ კედლებში გაჭრილია ფანჯრები. კედლებში ბუხრები და ღუმლებია. მეორე, გვიანდ. ნაგებობა სამსართულიანია. I სარ-



196. მთავარი ფასადი

თულზე მარანია (ამჟამად თითქმის ამოვსებულია მიწით). მარანში ჩასასვლელი გაჭრილია ჩრდ-ით, ნაგებობების თანხვედრის კუთხესთან. მარნის გრძივ კედლებზე ოთხი წყვილი პილასტრია, რ-ებსაც ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. კედლებში რამდენიმე ნიში და სარკმელია. სარკმლების ძირი შიგნიდან გარეთ მაღლდება. შენობის II და III სართული გადაკეთებულია და ერთიან წაგრძელებულ სათავსებს წარმოადგენს. ჩრდ. კედელში დატანებულია საკანალიზაციო მილი.

მტკვრის ხეობისაკენ მიმართული ჩრდ-ის ფასადი სიმეტრიულადაა დანაწევრებული ორ იარუსად განლაგებული ფანჯრებით, რ-ებსაც რიყის ქვითა და აგურით ნაწყობი თაღები აქვთ. *დვ. თ.*

197 წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. აგებულია XIX ს-ში. დას-დან ეკლესიას თანადროული სამრეკლო ეკვრის.

ეკლ. დარბაზულია (17,5X6,7 *მ*), ნაგებია აგურით. შესასვლელები სამხრ-ითა და დას-ითაა. აღმ-ით სამწახნაგოვანი შვერილი აფსიდია. აფსიდის შუა წახნაგში თაღოვანი სარკმელია, ხოლო გვერდით წახნაგებში — თითო მაღალი თაღოვანი ნიში. ერთი თაღოვანი ნიში ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია. დარბაზის გრძივ კედლებში ორ-ორი სარკმელია. ნიში და სარკმლები ერთ დონეზეა და ერთნაირია. საკურთხევლის საფეხურით ამაღლებული ბაქანი თავისი არდაბაგით მიახლოებულია დარბაზის გრძივი კედლების პილასტრების აღმ. წყვილთან გრძივი კედლები ორი წყვილი მარტივი პილასტრით დაყოფილია სამ არათანაბარ ნაწილად, რ-თაგან აღმ-ისა დანარჩენებზე რამდენადმე დიდია. ამ პილასტრებს კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. დას-ით პატრონიკეა, რ-იც ჩრდ.-დას. კუთხეში არსებული ხის კიბით ერთის მხრივ დარბაზს უკავშირდება, ხოლო მეორეს მხრივ დას. კედელში გაჭრილი კარით — სამრეკლოს II სართულს. ინტერიერი და ფასადები შელესილი და შეთეთრებულია.



196. გეგმა

აღმ-ის სამწახნაგა ფასადის გვერდით წახნაგებზე თითო შეღრმავებული ჯვარია გამოსახული. ეკლესიას კბილანა ფრიზი და ორსაფეხურიანი თაროსებრი ლავგარდანი აქვს, რ-იც სამრეკლოს I სართულის ფასადზეც გადადის გრძივი კედლების ფასადებზე პილასტრებია. მათ შორის შემოხაზულია ფართო სამი სწორკუთხედი. სამხრ. ფასადზე, შუა სწორკუთხედში კარია გაჭრილი და ზედ სამი მხრიდან თაღებით გახსნილი კარიბჭეა მიშენებული. გვერდით სწორკუთხედებში თითო ვიწრო თავსართიანი სარკმელია, მ. შ. აღმ-ისა ცრუ სარკმელია.

(ა) სამრეკლო ნაგებია აგურით, შეულესავია. მისი I სართული კარიბჭეა. II სართული სამი მხრიდან თაღებით გახსნილი ფანჩატურია, რ-საც პირამიდული სახურავი აქვს. სამრეკლოს შემოვლებული აქვს წრეთარგიანი ლავგარდანი, რ-ის ქვემოთ სამკუთხედებად დაკბილული ფრიზია. ლავგარდანს ზემოთ სახურავის წახნაგები მორთულია ორი ნახევარწრითა და მათ შორის მოქცეული სამკუთხედით. სამკუთხედის არეში გამოსახულია ჯვარი. *დვ. თ.*

# ბიბლიოგრაფია


1. აბრამიშვილი გ., ატენის სიონის რელიეფი (დავით გარეჯელის ცხოვრების სიუჟეტი), „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, № 9.
2. აბრამიშვილი გ., ატენის სიონის საქტიტორო წარწერა, „ძეგლის მეგობარი“, 1969, № 19.
3. აბრამიშვილი გ., სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977.
4. აბრამიშვილი გ., ვაჩეიშვილი ქ., უფლისციხის „მიუვალი“ კომპლექსი, „ძეგლის მეგობარი“, 1964, № 3.
5. აბრამიშვილი რ., რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV — VI სს.), „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1961, ტ. 22 B.
6. აბრამიშვილი რ., სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1957, ტ. 19 A და 21 B.
7. აბრამიშვილი რ., ნიკოლაიშვილი ვ., რამიშვილი ა., არქეოლოგიური გათხრები დიღმის ხეობაში, „მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1971, № 2.
8. აბრამიშვილი რ., ნიკოლაიშვილი ვ., რამიშვილი ა., დიღმის ხეობაში 1971 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების წინასწარი ანგარიში, კრ.: არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბ., 1972.
9. ალადაშვილი ნ., მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთის ფასადის რელიეფი, „ძეგლის მეგობარი“, 1971, № 26.
10. ალადაშვილი ნ., ქანდაკება ძველ საქართველოში (V—XI სს.), „საბჭოთა ხელოვნება“, 1974, № 7.
11. ალანია ნ., ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, თბ., 1962.
12. ალექსიძე ზ., ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.
13. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ.:
    ა) 1944
    ბ) 1961
    გ) 1971
    დ) 1974
14. აფაქიძე ა., ანტიკური წყაროების Σευσαμορα — წიწამური, „ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები“, 1958, ტ. 4, ნაკვ. 1.
15. აფაქიძე ა., ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.
16. აფაქიძე ა., მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959.
17. აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, [წგ.] 1,თბ., 1963.
18. აფაქიძე გ., ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი, „ძეგლის მეგობარი“, 1973, № 33.
19. ახობაძე მ., ბერშუეთის გლეხთა ანტიბატონყმური გამოსვლა, „მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1972, № 1.
20. ახობაძე მ., გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60—90-იან წლებში, თბ., 1970.
21. ახობაძე მ., საბატონო ყმების მოძრაობა გორის მაზრაში ბატონყმობის გაუქმების წინ (1857—1864 წწ.), „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყ-ბის მოამბე“, 1962, № 1.
22. ბადრიაშვილი მ., არქეოლოგიური ძეგლები სოფელ სათოვლედან, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1953, ტ. 17 B.
23. ბარამიძე მ., კასპის სამაროვანი, „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, 1965, ტ. 4.
24. ბარამიძე მ., შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან („წარჩინებული მეომრის“ სამარხეული კომპლექსი სოფ. ალაიანიდან), „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, 1974, ტ. 6.
25. ბარნაველი თ., არმაზის მონასტრის წარწერის თარიღისათვის, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1960, ტ. 24, № 5.
26. ბარნაველი თ., ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957.
27. ბარნაველი თ., მაჩხაანის ეკლესიის წარწერები, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1962, ტ. 29, № 5.
28. ბარნაველი ს., ატენის ახალი წარწერები , „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1946, ტ. 7, № 1—2.
29. ბაქანიძე ო., ლესია უკრაინკა საქართველოში, „მნათობი“, 1971, № 2.
30. ბერაძე ე., ადრეანტიკური ხანის ორმოსამარხები „ქასრაანთ მიწების“ სამაროვნიდან, კრ.: კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980.
31. ბერიძე ე., მაღალაანთ ეკლესია, „ქართული ხელოვნება“, 1959, ტ. 5.
32. ბერიძე ვ., XVI—XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. 1, თბ., 1983.
33. ბერიძე ვ., მცხეთის კათედრალი „სვეტიცხოველი“ და „ქართლის მოქცევის“ სიუჟეტები მის ფრესკებში, „საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1948, ტ. 15 B.
34. ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.
35. ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.
36. ბერიძე ვ., წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა XVI—XVIII [XVII—XVIII] სს., „საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1947, ტ. 14 B.
37. ბერიძე ვ., წინარეხი — გომისჯვარი —

სასხორი, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1943, ტ. 4, № 6.
38. ბერიძე რ., ქართული ტაძრების ინტერიერები. ალბომი, თბ., 1983.
39. ბერიძე ს., გეგეშიძე ზ., საითიძე გ., საქართველოს ისტორიულ-რევოლუციური ადგილები, თბ., 1975.
40. ბერძენიშვილი ი., გორი. გზამკვლევი, თბ., 1966.
41. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.
42. ბერძენიშვილი ნ., ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, 1960, [ტ.] 1.
43. ბერძენიშვილი ნ., XVII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1944, ნაკვ. 1.
44. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ.:
ა) წგ. 1, 1964
ბ) წგ. 2, 1965
გ) წგ. 3, 1966
დ) წგ. 4, 1967
ე) წგ. 5, 1971
ვ) წგ. 6, 1973
ზ) წგ. 7, 1974
თ) წგ. 8, 1975
45. ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1937, ნაკვ. 1.
46. ბოლშევიკური ორგანიზაციები და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში (მნიშვნელოვან მოვლენათა მატიანე). 1883—1921, თბ., 1974.
47. ბოხოჩაძე ა., არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისში, თბ., 1981.
48. ბოხოჩაძე ა., მასალები დაბა მცხეთის არქეოლოგიური რუკისათვის, „ძეგლის მეგობარი“, 1975, №39.
49. ბოხოჩაძე ა., მასალები მცხეთის რაიონის არქეოლოგიური რუკისათვის, „მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1977, №4.
50. ბოხოჩაძე ა., მასალები შუაფეოდალური ხანის მცხეთის ისტორიისათვის, კრ.: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, [ტ.] 1, თბ., 1969.
51. ბოხოჩაძე ა., ნასტაკისი, სარკინე, ძალისი (არქეოლოგიური კვლევის შედეგები), „ძეგლის მეგობარი“, 1973, № 33.
52. ბოხოჩაძე ა., ძველი მცხეთის ლოკალიზაციის საკითხები, კრ.: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, [ტ.] 3, თბ., 1978.
53. ბურთიკაშვილი ა., გიორგი არადელი-იმხნელი, თბ., 1954.
54. ბუჩუკური ა., მეხილეობა საქართველოში, თბ., 1940.
55. ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, თბ., 1965.
56. გაბიძაშვილი ე., რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978.
57. გაგოშიძე ი., ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.
58. გაგოშიძე ი., ბატილუმები არადეთიდან, „ძეგლის მეგობარი“, 1973, № 33.
59. გაგოშიძე ი., ელინისტური ხანის მასალები სამადლოდან, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1967, ტ. 27 B.
60. გაგოშიძე ი., წარმართული სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე, კრ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, [ტ.] 5, თბ., 1977.
61. გაგოშიძე ი., წარმართული ტაძარი დედოფლის მინდორზე (ქარელის რაიონი), „ძეგლის მეგობარი“, 1974, № 35.
62. გაფრინდაშვილი გ., ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყ-ბის მოამბე“, 1961, № 1.
63. გეგეშიძე ზ., საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური სტამბები (1900—1920), თბ., 1965.
64. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.
65. გვასალია ჯ., ელინისტური ხანის საკულტო ხასიათის არქეოლოგიური მასალა სოფ. ხოვლედან, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ 1972, ტ. 16—17.
66. გვასალია ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, 1967, [ტ.] 3.
67. გვერდწითელი რ., ნემსაძე თ., ატენის სიონის გუმბათის სახურავის პირვანდელი ფორმის დადგენის ცდა, „ძეგლის მეგობარი“, 1968, № 17.
68. გვეტაძე ჯ., საყარაულო სერის ნასახლარი, „ძეგლის მეგობარი“, 1979, № 49.
69. გვრიტიშვილი დ., გვიანფეოდალური ქართლის სოციალური ურთიერთობიდან, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1951, ნაკვ. 29.
70. გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, თბ., 1954.
71. გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან:
ა) (XIII—XIV სს.), თბ., 1962
ბ) (XV—XVII სს.), [ტ.] 2, თბ., 1965
გ) ტ. 3, თბ., 1968
72. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.
73. გვრიტიშვილი დ., ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქ და სპარს დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII ს. პირველ ნახევარში (გივი ამილახვრის აჯანყება), „მიმომხილველი“, 1953, [ტ.] 3.
74. გვრიტიშვილი დ., ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე, თბ., 1960.
75. გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952.
76. გოგოლაძე გ., ხაშურის რაიონი. გზამკვლევი, თბ., 1970.
77. გოგოლაძე გ., ხაშურის რაიონის მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის ის-

ტორიიდან (1900—1907 წწ.), „მაცნე", 1967, № 5.
78. გომელაური ი., ერთაწმინდის ტაძრის არქიტექტურა, თბ., 1976.
78 ა. გომელაური ი., ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ ხოვლეში, „ძეგლის მეგობარი", 1964, № 3.
79. გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., „საისტორიო მოამბე", 1925, წგ. 2.
80. დავლიანიძე ც., 1961 წელს შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი მცხეთაში, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე", 1967, ტ. 27 B.
81. დედდარიანი ფ., ანჩისხატის გულანის შემკეთი — კათალიკოსი ნიკოლოზ ამილახორი, „ძეგლის მეგობარი", 1981, № 57.
82. დვალი თ., სოფელ ცხვარიჭამიის ეკლესია, „მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია", 1983, № 2.
83. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, [ტ.] 1, თბ., 1940.
84. დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა და კომენტ. დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976.
85. ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.
86. ელიზბარაშვილი ი., ბზიანის წმ. გიორგის ეკლესია, „ძეგლის მეგობარი", 1984, № 67.
87. ვაჩეიშვილი კ., ყინცვისის მშენებლის გამოსახულების შესახებ, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", 1963, ტ. 32, № 3.
88. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.
89. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.
90. ვირსალაძე თ., იდლეთის ნათლისმცემლის ეკლესიის მხატვრობის ფრაგმენტები, „ქართული ხელოვნება", 1950, ტ. 3.
91. ზამთარაძე მ., ნასახლარი ნოსტე — გიორგი სააკაძის რეზიდენცია, „მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია", 1973, № 1.
92. ზაქარაია პ., არქიტექტურული ძეგლი ქსოვრისში, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", 1949, ტ. 10, № 10.
93. ზაქარაია პ., დიღომი. XI ს. პირველი მეოთხედის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე", 1953, ტ. 17 B.
94. ზაქარაია პ., თავდაცვით ნაგებობასთან მარნის კავშირის საკითხისათვის გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", 1959, ტ. 22, № 6.
95. ზაქარაია პ., XVI—XVIII საუკუნეების სასახლეები, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე", 1963, ტ. 24 B.
96. ზაქარაია პ., ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965.
97. ზაქარაია პ., სამილახოროსა და ზემო ქართლის სადროშოს XVI—XVIII სს. ციხე-სიმაგრეები, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", 1958, ტ. 20, № 1.
98. ზაქარაია პ., სამშობლოს გუშაგები, თბ., 1965.
99. ზაქარაია პ., საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, თბ., 1960.
100. ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973.
101. ზაქარაია პ., საციციანოს XVI — XVIII სს. ციხე-სიმაგრეები, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", 1957, ტ. 19, № 6.
102. ზაქარაია პ., სკრის ხეობის რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე", 1959, ტ. 20 B.
103. ზაქარაია პ., ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, თბ.:
ა) წგ. 1, 1975
ბ) წგ. 2, 1978
გ) წგ. 3, 1981
104. ზაქარაია პ., ქსნის, მჭადიჯვრის და მუხრანის ციხე-სიმაგრეები, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე", 1954, ტ. 18 B.
105. ზაქარაია პ., შუა საუკუნეების ქართული გუმბათოვანი არქიტექტურის ზოგიერთი საკითხისათვის (ყინცვისი და ტიმოთესუბანი), „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე", 1961, ტ. 22 B.
106. თავაძე ფ., საყვარელიძე თ., აბესაძე ც., დვალი თ., სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული რკინის საბრძოლო იარაღის ქიმიური, მეტალოგრაფიული და ტექნოლოგიური შესწავლა, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე", 1959, ტ. 18 B.
107. თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ. 1, ტფ., 1907.
108. თაყაიშვილი ე., სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ., 1890.
109. თოლორდავა ვ., მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. III—I სს. (ქვევრსამარხები აღმოსავლეთ საქართველოში), „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის", 1963, ტ. 3.
110. იაკობ გოგებაშვილი (საიუბილეო კრებული), თბ.:
ა) 1940
ბ) 1960
111. იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის გამოკვლევითა და რედ., თბ., 1939.
112. იოსელიანი ა., საქართველოს ისტორიის ქრონიკები (XVII—XIX სს.), თბ., 1980.
113. იოსელიანი პ., დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება, თბ., 1973.
114. ირემაშვილი შ., ნაბადრების ბრინჯაოს სარტყელი, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", 1981, ტ. 102, № 1.
115. ირემაშვილი შ., პირველად არქეოლოგიაში, „ძეგლის მეგობარი", 1975, № 39.

116. კაკაბაძე ს., საბუთი ზემო ქართლის სასარდლოს შესახებ, „საისტორიო მოამბე“, 1925, წგ. 1.

117. კალანდაძე ა., გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში, წგ.: საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

118. კალანდაძე ა., ბოხოჩაძე ა., არაგვის კარი, „ძეგლის მეგობარი“, 1968, № 15.

119. კანდელაკი ბ., ზედაზენი, თბ., 1959.

120. კაპანაძე დ., ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისათვის, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, 1941, ტ. 11 B.

121. კაპანაძე დ., XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი, „საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1940, ტ. 10 B.

122. კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969.

123. კარბელაშვილი ლ., საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, თბ., 1973.

124. კაჭარავა ი., პირველი სახალხო რევოლუცია საქართველოში, თბ., 1975.

125. კეკელიძე მ., გორის სამასწავლებლო სემინარია, თბ., 1955.

126. კეცხოველი ნ., არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია, თბ., 1974.

127. კვეზერელი-კოპაძე ნ., გზათა მშენებლობა საქართველოში, თბ., 1974.

128. კვეზერელი-კოპაძე ნ., მცხეთის ძველი ისტორიული ხიდი მდ. მტკვარზე, „ძეგლის მეგობარი“, 1968, № 14.

129. კვეზერელი-კოპაძე ნ., საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972.

130. კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (XIX ს.), თბ., 1954.

131. კიკვიძე ი., ხიზანაანთ გორის (ურბნისის) ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972.

132. კიპაროიძე ტ., ულუმბის ძეგლის შესწავლისათვის, „ძეგლის მეგობარი“, 1974, № 50.

133. ლემლეინი გ., მინისსაბერი წარმოების ნაშთები კარსანში, მცხეთის მახლობლად, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1945, ტ. 6, № 9.

134. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

135. ლეჟავა გ., ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, თბ., 1979.

136. ლეჟავა კ., კონსტანტინე მიხეილის ძე ამირაჯიბი, თბ., 1970.

137. ლომთათიძე გ., არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბ., 1945.

138. ლომთათიძე გ., ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, თბ., 1974.

139. ლომთათიძე გ., ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევის დასაწყისი, „მაცნე“, 1964, № 2.

140. ლომთათიძე გ., ციციშვილი ი., ახლადაღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1951, ტ. 12, № 10.

141. ლომინაძე ბ., შიომღვიმე, თბ., 1953.

142. ლორთქიფანიძე ი., მერაბ ბერძენიშვილი. ალბომი, თბ., 1972.

143. ლორთქიფანიძე ი., ნაბახტევის მხატვრობა, თბ., 1973.

144. ლოსაბერიძე ა., საქართველოს ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, კრ.: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938.

145. მაისურაძე ზ., ქართული შორენკეცების საკითხისათვის, „ქართული ხელოვნება“, 1950, ტ. 3.

146. მაკალათია ს., 1920—24 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, 1927, ტ. 4.

147. მაკალათია ს., არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში: სოფ. საკობიანოში, დაბლა-გომში და აღაიანში, „საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1941, ტ. 11 B.

148. მაკალათია ს., ატენის ხეობა, თბ., 1957.

149. მაკალათია ს., თეძმის ხეობა, თბ., 1959.

150. მაკალათია ს., კავთურას ხეობა, თბ., 1960.

151. მაკალათია ს., ლეხურას ხეობა, თბ., 1964.

152. მაკალათია ს., ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1943.

153. მაკალათია ს., ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, 1928, ტ. 5.

154. მაკალათია ს., ფრონის ხეობა, თბ., 1963.

155. მაკალათია ს., ქსნის ხეობა, თბ., 1968.

156. მაკალათია ს., ძამის ხეობა, თბ., 1961.

157. მანჯგალაძე გ., მანჯგალაძე ი., გიუნაშვილი გ., ღლონტი ნ., სამარხ ნაგებობათა ახალი სახეობა მცხეთაში, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1980, ტ. 99, № 3.

158. მარუაშვილი ლ., შიომღვიმის გამოქვაბულები, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, 9 იანვ., № 1.

159. მასხარაშვილი გ., მცხეთის სვეტიცხოვლის ახლადგახსნილი მხატვრობის ფრაგმენტი, „ძეგლის მეგობარი“, 1969, № 18.

160. მაჩაბელი კ., ძველი საქართველოს ვერცხლი, თბ., 1983.

161. მახარაძე ფ., 1905 წელი ამიერკავკასიაში, გამოც. მე-2, თბ., 1932.

162. მელიქსეთ-ბეგი ლ., არქეოლოგიური მოგზაურობიდან კავთურის ხეობაში 1923 წელს, ტფ., 1925 (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, V).

163. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ.:
ა) ტ. 1, ნაკვ. 1, 1961

ბ) ტ. 1, ნაკვ. 2, 1962
გ) ტ. 2, 1980
164. მეტრეველი რ., დიდნი საქმენი (XI ს. მეორე ნახევრისა და XII ს. პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი), თბ., 1978.
165. მეტრეველი რ., კვალი განათლებული. ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1975.
166. მეფისაშვილი რ., VIII—IX საუკუნეების სამეკლესიიანი ბაზილიკა სოფ. ცხვარიჭამიაში, „ძეგლის მეგობარი", 1983, № 62.
167. მირიანაშვილი ნ., არქეოლოგიური ძეგლები ალაიანიდან, კრ.: არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1977.
168. მირიანაშვილი ნ., ელინისტური ხანის ადგილობრივი მოხატული კერამიკა ალაიანიდან, კრ.: არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1982.
169. მირიანაშვილი ნ., თიხის სარკოფაგები ალაიანიდან, „მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია", 1980, № 2.
170. მირიანაშვილი ნ., შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ალაიანის არქეოლოგიური ძეგლები): ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, [ტ.] 2, თბ., 1983.
171. მურვანიშვილი მ., მეტყევის ჩანაწერები (კრებული), თბ., 1976.
172. მუსხელიშვილი დ., „მთა ქართლის" ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის, კრ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.
173. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ.:
ა) [ნაწ.] 1, 1977
ბ) [ნაწ.] 2, 1980
174. მუსხელიშვილი დ., ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978.
175. მუსხელიშვილი ლ., მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქიზედეკ კათალიკოსის ანდერძთან, „ქართული ხელოვნება", 1942, ტ. 1.
176. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ.:
ა) ტ. 1, 1955
ბ) ტ. 2, 1978
გ) ტ. 3, 1980
დ) ტ. 4, 1980
ე) ტ. 5, 1981
ვ) ტ. 6, 1982
ზ) ტ. 7, 1985
177. ნადიმაშვილი ს., გუდაბერტყაციხიაგორა, „ლიახვი", 1963, № 3.
178. ნავდარაშვილი დ., ილია წინამძღვრიშვილი, თბ., 1973.
179. ნანიკაშვილი ლ., დაუშვილი ა., ხარბედია მ., ზაჰესის ისტორია, თბ., 1977.
180. ნიკოლაიშვილი ვ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება „დიდი მცხეთის" ტერიტორიაზე, „მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია", 1977, № 1.
181. ნიკოლაიშვილი ვ., ახლადაღმოჩენილი ძეგლები ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე, „ძეგლის მეგობარი", 1983, № 36.
182. ნიორაძე გ., დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება, „საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე", 1947, ტ. 14B.
183. ნიორაძე გ., ზემო ავჭალის სამარე, „საქართველოს მუზეუმის მოამბე", 1931, ტ. 6.
184. ნიორაძე გ., კარსნის-ხევის სასაფლაო, „საქართველოს მუზეუმის შრომები", 1926, ტ. 4.
185. ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი, წგ.: საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., ტფ., 1913.
186. ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1981.
187. ოქროპირიძე ნ., მუხრანის ველის არქეოლოგიური ძეგლები ძვ. წ. XVII—VII სს., „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის", 1965, ტ. 4.
188. ოქროპირიძე ნ., ნარეკვავის სამაროვანი, „ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები", 1964, ტ. 7.
189. ჟორდანია თ., ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი" ვაჰხანის ქვაბთა, ტფ., 1896.
190. ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897.
191. რამიშვილი რ., კამარახევის სამაროვანი, „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის", 1959, ტ. 2.
192. რამიშვილი რ., სოფელ ნიჩბისის სამაროვანი, „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის", 1959, ტ. 2.
193. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში, თბ., 1961.
194. რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), [თბ.], 1955.
195. რჩეულიშვილი ლ., ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესია, „ქართული ხელოვნება", 1942, ტ. 1.
196. რჩეულიშვილი ლ., ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, „ქართული ხელოვნება", 1948, ტ. 2.
197. საგინაშვილი მ., მარტაზისხევში აღმოჩენილი IV ს-ის სამარხი, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე", 1967, ტ. 27 B.
198. საგინაშვილი მ., ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი. კატალოგი, თბ., 1970.
199. სანიკიძე თ., საქადაგიანო, „ძეგლის მეგობარი", 1971, № 27—28.
200. სანიკიძე თ., უფლისციხე, თბ., 1982.
201. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ.:
ა) ტ. 1, 1970
ბ) ტ. 2, 1973
გ) ტ. 3, 1979
დ) ტ. 4, 1973
ე) ტ. 5, 1970
ვ) ტ. 6, 1972
ზ) ტ. 7, 1976
თ) ტ. 8, 1980

202. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971.
203. საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის გამოც., ტ. 3, ტფ., 1910.
204. საყვარელიძე თ., ნიჩბისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დათარიღებისათვის, „ძეგლის მეგობარი“, 1975, № 38.
205. სვეტლოვი ი., გაბედული აზრი, ხორცშესხმის სილამაზე, „საბჭოთა ხელოვნება“, 1982, № 4.
206. სიხარულიძე ა., აბუთიძე ვ., მოგვთაკარის სამაროვანი, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1980, ტ. 99, № 2.
207. სონღულაშვილი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (დიდმის ხეობა), წგ. 1, თბ., 1969.
208. სონღულაშვილი ჯ., ძველი საირიგაციო ნაგებობები დიდმის ხეობაში, „მაცნე“, 1968, № 1.
209. სოხაშვილი გ., სამთავისი (მასალები ტაძრის ისტორიისათვის), თბ., 1973.
210. სურგულაძე თ., სიხარულიძე ა., Κυρια Καλή მცხეთის მოგვთაკარიდან, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1978, ტ. 89, № 2.
211. ტატიშვილი თ., მასალები ტანას ხეობის ისტორიული გეოგრაფიისათვის, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, 1964, [ტ.] 2.
212. ტყეშელაშვილი ო., ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან (ახ. წ. IV—VIII სს.), „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1956, ტ. 19 B.
213. უგრელიძე ნ., ადრეულ შუა საუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967.
214. უგრელიძე ნ., მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961.
215. უგრელიძე ნ., ამირანაშვილი ჯ., მარტაზისხევის 1969 წლის ექსპედიციის მუშაობის შედეგი, კრ.: არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971.
216. ფირალიშვილი ო., ბობნევის მოხატულობა და რეალისტური ტენდენციის შესახებ XVII საუკუნის ქართულ მხატვრობაში, თბ., 1952.
217. ფირალიშვილი ო., თამარ აბაკელია, თბ., 1956.
218. ფირალიშვილი ო., ყინწვისის მოხატულობა, თბ., 1979.
219. ფხაკაძე გ., მეტეხის ნამოსახლარი, „მაცნე“, 1967, № 2.
220. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ.:
ა) ტ. 1, 1955
ბ) ტ. 2, 1959
გ) ტ. 4, 1973
221. ქიქოძე მ., გივი ამილახვრის პოლიტიკური მოღვაწეობა, თსუ ასპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წგ. 1, თბ., 1950.
222. ქიქოძე მ., ქართლის სათავადოების ისტორიიდან XI—XVIII სს. (საამილახორო), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1963, ნაკვ. 35.
223. ქორიძე დ., ერთი ქვაყუთის სამარხეული ინვენტარი ზემო ავჭალიდან, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1956, ტ. 19 B.
224. ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.
225. ღამბაშიძე ო., გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები სოფ. დოღლაურიდან, „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, 1974, ტ. 6
226. ღვინჯილია ჯ., გიორგი საააძის პიროვნება, გამოც. მე-2, თბ., 1983.
227. ღლონტი ა., მცხეთის ტოპონიმია, თბ., 1975.
228. ყაუხჩიშვილი თ., ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951.
229. ყაუხჩიშვილი თ., წილკნის აკლდამის ბერძნული წარწერა, „მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1982, № 2.
230. ყაუხჩიშვილი ს., არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1941, ტ. 2, № 1—2.
231. ყუბანეიშვილი ს., ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი (მასალები), თბ., 1961.
232. შანიძე ლ., ქართული საბჭოთა ქანდაკება, თბ., 1975.
233. შარდენი ჟ., მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
234. შმერლინგი რ., ატენის სიონის კედლის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1947, ტ. 8, № 4.
235. შმერლინგი რ., XVII საუკუნის დეკორაციული შემოქმედების ნიმუში — გიგოს საყდარი სოფ. ყინწვისში, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1949, ტ. 10, № 9.
236. შონია მ., მიხეილ მამულაშვილი, თბ., 1973.
237. ჩუბინაშვილი გ., რუისის ტაძრის ისტორიისათვის, „ენიმკის მოამბე“, 1940, ტ. 5—6.
238. ჩუბინაშვილი გ., სვეტიცხოვლის გალავანში XI საუკუნის კარიბჭის გახსნა, „ძეგლის მეგობარი“, 1964, № 1.
239. ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, ტფ., 1936.
240. ჩუბინაშვილი გ., სევეროვი ნ., ქართული არქიტექტურის გზები, ტფ., 1936.
241. ჩუბინიშვილი ტ., გოსტიბეს ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1950, ტ. 16 B.
242. ჩუბინიშვილი ტ., მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1957.
243. ჩხარტიშვილი ა., დიდების მონუმენტი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1980, № 5.
244. ცინცაძე ვ., თელოვანის ჯვარპატიოსანი (XVIII—XIX ს. ძეგლი), „ქართული ხელოვნება“, 1959, № 5.
245. ცინცაძე ვ., იდლეთის ნათლისმცემლის გუმბათოვანი ეკლესია, „ქართული ხელოვნება“, 1950, ტ. 3.

246. ცინცაძე ვ., მცხეთის ჯვარის ტაძარი. აღდგენა-კონსერვაციის პირველი რიგის სამუშაოების პროექტი და მოსაზრება ძეგლის მეცნიერული დაცვის შესახებ, „ძეგლის მეგობარი“, 1976, № 40.
247. ცინცაძე ვ., საცხოვრებელი სახლის ერთი სახის დახასიათებისათვის საქართველოში (კოშკი სოფ. ხეითში), „ქართული ხელოვნება“, 1955, ტ. 4.
248. ციციშვილი ი., ანტიკური დროის აკლდამა ბაგინეთში, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1950, ტ. 11, № 3.
249. ცქიტიშვილი გ., კავთისხევის „ციხია გორა“, „ძეგლის მეგობარი“, 1977, № 46.
250. ცქიტიშვილი კ., ჩინჩილაკაშვილი ტ., საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან, თბ., 1977.
251. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.
252. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგ. 1, თბ., 1963.
253. წერეთელი გ., არმაზის ბილინგვა, „ენიმკის მოამბე“, 1942, ტ. 13.
254. ჭილაშვილი ლ., ნაქალაქარი ურბნისი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), თბ., 1964.
255. ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, თბ.:
ა) [ტ.] 1, 1968
ბ) [ტ.] 2, 1970
256. ხაზარაძე ნ., ცქიტიშვილი გ., ციხია-გორას კრამიტი, „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, 1980, [ტ.] 6.
257. ხახუტაიშვილი დ., ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყ-ბის მოამბე“, 1963, № 2.
258. ხახუტაიშვილი დ., იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.
259. ხახუტაიშვილი დ., კლდეში ნაკვეთი ქალაქი, თბ., 1965.
260. ხახუტაიშვილი დ., უფლისციხე. 1957—1969 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ.:
ა) [ტ.] 1, 1964
ბ) [ტ.] 2, 1970
261. ხეცურიანი ლ., მუხათგვერდი I. ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი, კრ.: არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1982.
262. ხიდაშელი შ., სხალტბა-შიომღვიმის 1202 წლის წყალსადენი, კრ.: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938.
263. ხიმშიაშვილი ლ., რესტავრაციის ზოგიერთი საკითხი (წრომი, ბედია), „ძეგლის მეგობარი“, 1968, № 14.
264. ხიმშიაშვილი ლ., წრომის ტაძრის გუმბათის აღდგენის საკითხისათვის, „ძეგლის მეგობარი“, 1979, № 50.
265. ხორგუაშვილი გ., მღუმარე მოწმე, „ძეგლის მეგობარი“, 1967, № 13.
266. ხუციშვილი ი., რევოლუციური მოძრაობის განვითარება საქართველოში 1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, კრ.: 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955.
267. ჯავახიშვილი ა., ღლონტი ლ., ურბნისი, ნაკვ. 1 — ქვაცხელების (ტვლეპია-ქოხის) ნამოსახლარზე 1954—1961 წწ. ჩატარებული გათხრები, თბ., 1962.
268. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, თბ.:
ა) წგ. 1, 1960
ბ) წგ. 2, 1965
გ) წგ. 3, 1966
დ) წგ. 4, 1967
269. ჯავახიშვილი ქ., ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972.
270. ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964.
271. ჯაფარიძე ო., ჩუბინიშვილი ტ., ახლადაღმოჩენილი ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის კულტურული კერა ქართლში, „საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1948, ტ. 15 B.
272. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.
273. Абрамишвили Г., Два строительных периода Атенского Снона, „მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1972, № 1.
274. Алибегашвили Г. В., Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979.
275. Алибегашвили Г. В., Четыре портрета царицы Тамары, Тб., 1957.
276. Амиранашвили Ш. Я., История грузинского искусства, М., 1950.
277. Апакидзе А. М., Каландадзе А. Н., Николаишвили В. В. и др., Большая Мцхета 1976, в сб.: Археологические открытия 1976 года, М., 1977.
278. Барнавели Т., О дате исполнения росписи Атенского Сиона, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1956, ტ. 17, № 3.
279. Беридзе В. В., Грузинская архитектура „раннехристианского“ времени IV—VII вв., Тб., 1974.
280. Беридзе В. В., Некоторые аспекты грузинской купольной архитектуры со второй половины X в. до конца XIII в. Доклад на международном симпозиуме по грузинскому искусству в г. Бергамо (Италия), 29 июня 1974 г., Тб., 1976.
281. Беридзе В. В., Вирсаладзе Т. Б., Джанберидзе Н. Ш., Кинцурашвили С. Ш. и др., Грузинская ССР, в кн.: Искусство стран и народов мира, т. 1, М., 1962, с. 599—643.
282. Беридзе В. В., Езерская Н. А., Искусство Советской Грузии. 1921—1970, М., 1975.
283. Бохочадзе А., Настакиси, Саркинэ, Дзалиси — города Иберии античной эпохи, „Краткие сообщения Ин-та археологии АН СССР“, 1977, в. 151.

284. Вирсаладзе Т. Б., Искусство Грузии, в кн.: История искусства народов СССР, т. 3 — Искусство XIV—XVII веков, под ред. Н. А. Езерской и О. И. Сопоцинского, М., 1974.
285. Вирсаладзе Т. Б., Монументальная живопись. Искусство Грузии, в кн.: История искусства народов СССР, т. 2 — Искусство IV — XIII веков, под ред. Н. А. Езерской и О. И. Сопоцинского, М., 1973.
286. Вирсаладзе Т. Б., Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхварниши, „ქართული ხელოვნება", 1955, ტ. 4.
287. Вирсаладзе Т. Б., Цимакуридзе, М., 1959.
288. Гагошидзе Ю. М., Раскопки храма I в. до н. э. в Дедоплис Миндори (Восточная Грузия), «Краткие сообщения Ин-та археологии АН СССР», 1977, в. 151.
289. Гагошидзе Ю. М., Самадло (Археологические раскопки), Тб., 1979.
290. Гагошидзе Ю. М., Самадло. Каталог археологического материала, Тб., 1981.
291. Гвердцители Р., Мцхета, Тб., 1962.
292. Гвердцители Р., Долидзе В., Тбилиси, Мцхета, Гори, Тб., 1977.
293. Девдариани Ф., Иллюстрации мастера Саба в Анчисхатском Гулани и связи их с группой памятников монументальной и миниатюрной живописи второй половины XVII века, „მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია", 1978, № 4.
294. Джавахишвили А. И., Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V — III тыс. до н. э., Тб., 1973.
295. Джалагания И. Л., Дундуа Г. Ф., Обращение Ширванских монет XV века в Грузии, „Известия АН Азербайджанской ССР. Серия истории, философии и права", 1973, № 4; 1974, № 1.
296. Джанберидзе Н. Ш., Мачабели К. Г., Тбилиси—Мцхета, М., 1981.
297. Джанберидзе Н. Ш., Цицишвили И. Н., Архитектура Грузии от истоков до наших дней, М., 1976.
298. Джанджгава В. С., Революционное движение крестьян в Грузии в 1895—1904 годах, Тб., 1985.
299. Долидзе В. О., Шмерлинг Р. О., Военно-Грузинская дорога, Тб., 1956.
300. Закарая П. П., Древние города и крепости Грузии, Тб., 1982.
301. Закарая П. П., Древние крепости Грузии, Тб., 1969.
302. Закарая П. П., Крепостные сооружения Картли, Тб., 1968.
303. Закарая П. П., Памятники Восточной Грузии, М., 1983.
304. Закарая П. П., Фортификационные сооружения Шида-Картли, „Краткие сообщения Ин-та истории материальной культуры АН СССР", 1952, № 46.
305. Иоселиани П., Города, существовавшие и существующие в Грузии, Тфл., 1850.
306. Капанадзе Д. Г., Клад монет XII—XIII вв. из сел. Ничбиси, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე", 1969, ტ. 28 B.
307. Квезерели-Копадзе Н., Древний Мцхетский мост, Тб., 1947.
308. Кинцурашвили С. Ш., Архитектура Советской Грузии, М., 1974.
309. Лежава Г. И., Архитектурные памятники Грузии античного периода, Тб., 1979.
310. Ломтатидзе Г. А., Археологические раскопки в древне-грузинской столице Мцхета, Тб., 1955.
311. Мачабели К. Г., Серебро древней Грузии, Тб., 1983.
312. Мгалоблишвили Н., Шилакадзе Т., Махарашвили Т., По дороге дружбы, Тб., 1983.
313. Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.
314. Меликсет-Беков Л. М., Армазии. Историко-археологический очерк, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", 1938, ნაკვ. 2.
315. Меликсет-Беков Л. М., Пещерный город Квахврели, „Известия Кавказского музея", 1918, т. 11, в. 3—4.
316. Мелитаури К. Н., Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, Тб.:
ა) [т.] 1, 1969
ბ) [т.] 2, 1971
317. Меписашвили Р. С., Памятники архитектуры X—XI веков в сел. Кабери и Гостибе, „ქართული ხელოვნება", 1979, ტ. 8 (სერია A).
318. Меписашвили Р. С., Цинцадзе В. Г., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии — Шида-Картли, Тб., 1975.
319. Мцхета. Результаты археологических исследований, т. 3 — Иващенко М. М., Самтаврские погребения первых трех веков н. э., Тб., 1980.
320. Натроев А., Мцхета и его собор Свети-Цховели, Тфл., 1900.
321. Немсадзе Г. М., Погребения иберийской знати из Згудери, „Краткие сообщения Ин-та археологии АН СССР", 1977, в. 151.
322. Очерки истории Коммунистической партии Грузии, ч. 1. 1883—1921, Тб., 1982.
323. Привалова Е. Л., Павниси, Тб., 1977.
324. Привалова Е. Л., Роспись церкви Георгия Калоубанского близ Мцхета, „ქართული ხელოვნება", 1979, ტ. 8 (სერია A).

325. Пчелина Е., Отчет о раскопках близ деревни Сагурамо, „საქართველოს მუზეუმის მოამბე", 1926, ტ. 3.
326. Рамишвили А. Г., Археологические раскопки в с. Цагвли, в сб.: Полевые археологические исследования, Тб.:
ა) в 1977 году, 1980
ბ) в 1978 году, 1981
გ) в 1979 году, 1982
327. Революция 1905—1907 гг. в Грузии (Сборник материалов), Тб., 1956.
328. Северов Н. П., К вопросу реконструкции барабана Самтависского храма, „ქართული ხელოვნება", 1963, ტ. 6 (სერია A).
329. Северов Н. П., Памятники грузинского зодчества, М., 1947.
330. Северов Н. П., Самцевриси, „ქართული ხელოვნება", 1948, ტ. 2.
331. Смирнов Я. И., Цромская мозаика, Тфл., 1935.
332. Сумбадзе Л. З., Архитектура грузинского народного жилища Дарбази, Тб., 1984.
333. Сумбадзе Л. З., Гори, М., 1950.
334. Сумбадзе Л. З., Грузинские дарбази, Тб., 1960.
335. Текст к альбому исполнительных чертежей Земо-Авчальской гидро-электрической станции имени Ленина (ЗАГЭС), Тфл., 1930 (Авт. статей: Ш. Элиава, В. Чичинадзе, Л. Конюшевский, А. Чиковани, Э. Капеллер).
336. Толмачевская Н. И., Фрески древней Грузии, Тфл., 1931.
337. Уварова П., Урбниси, „Материалы по археологии Кавказа", 1894, в. 1.
338. Церетели Г. В., Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита, „Эпиграфика Востока", 1948—49, кн. 2—3.
339. Цицишвили И. Н., Гробница у станции Мцхета, „Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Ин-та истории материальной культуры", 1954, в. 54.
340. Цкитишвили Г. Г., Результаты работ на „Цихиа-гора" (1971—1974 гг.), „Краткие сообщения Ин-та археологии АН СССР", 1977, в. 151.
341. Чубинашвили Г. Н., Архитектура Грузии, в кн.: Всеобщая история архитектуры, т. 3, М., 1966.
342. Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.
343. Чубинашвили Г. Н., Вопросы истории искусства. Исследования и заметки, т. 1, Тб., 1970.
344. Чубинашвили Г. Н., К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII—IX века, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", 1952, ტ. 13, № 7.
345. Чубинашвили Г. Н., К вопросу о первоначальных формах Мцхетского кафедрала Свети-Цховели, „ქართული ხელოვნება", 1959, ტ. 5.
346. Чубинашвили Г. Н., Памятники типа „Джвари", Тб., 1948.
347. Чубинашвили Г. Н., Цроми. Из истории грузинской архитектуры первой трети VII века, М., 1969.
348. Чубинашвили Г. Н., Северов Н. П., Пути грузинской архитектуры, Тб., 1936.
348а. Чубинашвили Н. Г., Двани, храмы Грузии типа „Croix Libre" и „вписанного в прямоугольник креста" в VI и VII вв., в сб.: Средневековое искусство — Русь, Грузия, М., 1978.
349. Чубинашвили Н. Г., Зедазени, Кликис-Джвари, Гвиара, „ქართული ხელოვნება", 1971, ტ. 7 (სერია A).
350. Чубинашвили Н. Г., Уплис-Цихе, Тб., 1961.
351. Чубинашвили Н. Г., Хандиси, Тб., 1972.
352. Чубинашвили Н. Г., Церовани, Тб., 1976.
353. Шевякова Т. С., Дата росписи первого слоя храма Телованн, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", 1964, ტ. 34, № 1.
354. Шевякова Т. С., Монументальная живопись раннего средневековья Грузии. Альбом, Тб., 1983.
355. Шмерлинг Р. О., Древний Цвимоетский храм близ сел. Хциси, „ქართული ხელოვნება", 1955, ტ. 4.
356. Шмерлинг Р. О., К вопросу о времени возведения храма в монастыре Армази близ Мцхета, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყ-ბის მოამბე", 1961, № 1.
357. Шмерлинг Р. О., К вопросу характеристики стилистического различия двух сходных памятников разных эпох XI—XVII вв., „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", 1942, ტ. 3, № 6.
358. Шмерлинг Р. О., Купольный храм в Икви, „ქართული ხელოვნება", 1971, ტ. 7 (სერია A).
359. Шмерлинг Р. О., Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962.
360. Шмерлинг Р. О., Самтавро — памятник XI века, „ქართული ხელოვნება", 1942, ტ. 1.
361. Шмерлинг Р. О., Долидзе В. Г., Барнавели Т. В., Окрестности Тбилиси, Тб., 1960.
362. Alpago-Novello A., Architecture géorgienne. La peinture monumentale dans les églises de Géorgie, Louvain-la-Neuve, 1978.
363. Alpago-Novello A., Beridze V., Lafontaine-Dosogne J., Art and architecture in medieval Georgia... With the cooper. of E. Hybsch, G. Jeni, N. Kauchtshishvili. Preface by prof. T. Hackens... Transl. by N. Holloway, Louvain-la-Neuve, 1980.
364. Altgeorgische Kunst. Kalender für das Jahr 1979, Berlin, 1978.
365. Architettura georgiana, Roma, 1979.
366. Architettura georgiana, Istituto di Materie Umanistiche della Facolta di Archi-

tettura del Politecnico di Milano. Istituto di Storia dell' Arte della Georgia. Tbilisi, 1974 (ქ. ბერგამოში 1974 წ. გამართული გამოფენის კატალოგი).
367. Au pays de la toison d'or. Art ancien de Géorgie soviétique. 17 avril — 26 juillet, 1982. [Catalogue], Paris, 1982.
368. Belting-Ihm Chr., Die Programme der christlichen Apsismalerei vom vierten Jahrhundert zur Mitte des achten Jahrhunderts. Mit 56 Abb. auf 27 Taf. und 27 Textabb., Wiesbaden, 1960.
369. Beridze V., Georgia, In: Encyclopedia of World Art, v. 14, New York, 1967.
370. Beridse W., Neubauer E., Die Baukunst des Mittelalters in Georgien vom 4. bis zum 18. Jahrhundert. Mit Aufnahmen von K. G. Beyer, Berlin, 1980 (2. Aufl.: Wien — München, 1981).
371. Blankoff J., Regard sur la Georgie, Bruxelles, 1972.
372. Brosset M.-F., Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469 de J. C., St. Petersbourg, 1851.
373. Brosset M.-F., Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847—1848, livr. 1—3, St. Petersbourg, 1849—51.
374. Canard M., Les seines de Géorgie dans l'histoire et la légende musulmanes, Paris, 1969 (Extrait de la „Revue des Études Islamiques", № 1).
375. Djobadze W., The sculptures on the eastern façade of the Holy Cross of Mtzkheta, „Oriens Christianus", 1960, Bd. 44—45 (ამონაბეჭდი).
376. Elbern V. H., Einige Werke liturgischer Kunst in Georgien und ihre Besonderheiten, In: Otto von Simson zum 65. Geburtstag, Würzburg, 1977.
377. Flemming J., Der lebengebende Baum in der ältesten georgischen Chronik und die georgische Kunst. Beiträge zur Ethnolinguistik, Jena, 1980.
378. Georgia. Treasures, towers and temples. Text by Erzsébet Csemegi-Tompos, Budapest, 1975 (უნგრულ ენაზე — Corvina Kiado, 1973).
379. Georgien. Fotos von K. Gink. Text von E. Tompos, Hanau — Main, 1975.
380. Georgische Kunst. November 1969 bis Januar 1970. [Katalog], Dresden, 1969.
381. Herrmann J., Programme der georgischen Monumentalmalerei aus dem 6. bis 11. Jahrhundert, "Acta historiae artium Academiae Scientiarum Hungaricae", 1970, t. 16.
382. Kincuraszwili Sz., Architektura Gruzji, In: Sztuka gruzinska (malarstwo, rzezba, grafika) i architektura Gruzji [Katalog], Warszawa, [1959].
383. Kintsurashvili S., Georgian architecture, Tbilisi, 1973 (იგივე, ფრანგ. ენაზე).
384. Kinzuraschwili S., Architektur Georgiens, „Deutsche Architektur", 1970, № 10, S. 620—628.
385. Lexikon der Kunst, Bd. 3, Leipzig, 1975.
386. Major M., Architektur Georgiens, In: Geschichte der Architektur, Bd. 2, Berlin, 1979.
387. Mepisaschwili R., Zinzadse W., Die Kunst des alten Georgien. Übersetzt aus dem Russischen von B. Donadt, Leipzig, 1977.
388. Neubauer E., Altgeorgische Baukunst, „Bildende Kunst", 1969, № 11.
389. Neubauer E., Altgeorgische Baukunst. Felsenstädte, Kirchen, Höhlenklöster, Leipzig, 1976.
390. Neubauer E., Gruzie. Od bájné Kolchidy po dnešek, Praha, 1981.
391. Nioradze G., Der Verwahrfund von Kvemo-Sasirethi, "Eurasia Septentrionalis Antiqua", Helsinki, 1932, v. 7.
392. Ricerca sull' architettura georgiana. Bibliografia. A cura di V. Beridze, A. Alpago-Novello, F. Bianchi, Milano — Tbilisi, 1973.
393. Tesori della Georgia. G. Alibegascvili, V. Beridze, A. Volskaja, L. Xuskivadze, Milano, 1984.
394. Thierry N., La peinture médiévale géorgienne (Hahouli, Kinzvissi, Lychni, Martvili, Chio Mgvimé), „Corso di culture sull' arte Ravennate e Bizantina", 1973, v. 20.
395. Tschubinaschwili G., Art of Georgia, In: Encyclopedia of World Art, v. 6, New York, Toronto, London, 1962 (იგივე იტალიურად: Enciclopedia universale tout court, Roma, 1969).
396. Tschubinaschwili G., Georgien, In: Propyläen Kunstgeschichte, Bd. 3, Berlin, 1968.
397. Tschubinaschwili G., Die Schiomghwime-Lawra. Ein Beitrag zur Architekturgeschichte Georgiens, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე", 1925, ტ. 5.
398. Tschubinaschwili G., Smirnov J., Georgische Baukunst, Bd. 2 — Die Kirche in Zromi und ihr Mosaik, Tiflis, 1934 (Tl. 1 — Die Kirche in Zromi. Von G. Tschubinaschwili, Tl. 2 - Das Mosaik in Zromi. Von J. Smirnov).

## გაზეთები

399. „ახალგაზრდა კომუნისტი"
400. „დროება"
401. „ელვა"
402. „ერთობა"
403. „ივერია"
404. „კომუნისტი"
405. „ლიტერატურული საქართველო"
406. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი"
407. „სამშობლო"
408. „სასოფლო გაზეთი"
409. „სახალხო განათლება"
410. „სოფლის ცხოვრება"
411. „სოციალ-დემოკრატი"
412. „ჩვენი ცხოვრება"

413. „ცნობის ფურცელი“
414. „Кавказ“
415. „Кавказский вестник“
416. „Новое обозрение“

## საარქივო მასალები

417. თეატრის, კინოს და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმი
418. კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
419. ლადო კეცხოველის სახლ-მუზეუმი
420. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის პარტიული არქივი
421. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი
422. საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი



აგვ. — აგვისტო
ადგილ. — ადგილობრივი
ადმ. — ადმინისტრაციის, ადმინისტრაციული
ადმ.-ტერ. — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული
ადმ. ც. — ადმინისტრაციული ცენტრი
ადრინდ. — ადრინდელი
ავტონ. — ავტონომიური
ათ. — ათასი
ათასწლ. — ათასწლეული
ამბულ. — ამბულატორია
ამიერკავკ. — ამიერკავკასიისა
ამხ-ბა — ამხანაგობა (სახელწოდებასთან)
ანტ. — ანტიკური
აო — ავტონომიური ოლქი (სახელწოდებასთან)
აპრ. — აპრილი
არაბ. — არაბული
არამ. — არამეული (მსაზღვრელად)
არქ. — არქაული
არქეოლ. — არქეოლოგიური, არქეოლოგიისა
არქიტ. — არქიტექტორი (გვართან), არქიტექტურისა, არქიტექტურული
ასომთ. — ასომთავრული
ასსრ — ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
ატმ. — ატმოსფერული
აღმ. — აღმოსავლეთი (მსაზღვრელად)
ახ. — ახალი
ახლანდ. — ახლანდელი
ახ. წ. — ახალი წელთაღრიცხვით (თარიღთან)
ბერძნ. — ბერძნული
ბიბლ. — ბიბლიოგრაფია
ბიზანტ. — ბიზანტიელი, ბიზანტიისა, ბიზანტიური
ბ-კა — ბიბლიოთეკა
ბურჟ. — ბურჟუაზიისა, ბურჟუაზიული
გაზ. — გაზეთი (სახელწოდებასთან)
განვით. — განვითარებული
განმათ. — განმათავისუფლებელი
განყ-ბა — განყოფილება
გეოგრ. — გეოგრაფიისა, გეოგრაფიული
გვაროვნ. — გვაროვნული
გვიანდ. — გვიანდელი
გრაფ. — გრაფიკისა, გრაფიკული
გუბ. — გუბერნია (სახელწოდებასთან)
დაახლ. — დაახლოებით
დას. — დასავლეთი (მსაზღვრელად)
დასახლ. — დასახლება, დასახლებული
დაწყ. — დაწყებითი (სკოლა)
დეკ. — დეკემბერი
დეკორატ. — დეკორატიული
დეკორაც. — დეკორაციული
დემოკრ. — დემოკრატიული
დიამ. — დიამეტრი
დოც. — დოცენტი
დრამ. — დრამატული
ეგზ. — ეგზემპლარი
ეთნ. — ეთნოგრაფიული
ეკლ. — ეკლესია (მხოლოდ სახელობით ბრუნვაში)
ეკონ. — ეკონომიკისა, ეკონომიური, ეკონომიკური
ელინისტ. — ელინისტური
ეროვნ. — ეროვნული
ექსპედ. — ექსპედიცია, ექსპედიციისა
ვერტ. — ვერტიკალური
ზ. დ. — ზღვის დონიდან (ციფრობრივ მონაცემებთან)
ზოგადსაგანმან. — ზოგადსაგანმანათლებლო (სკოლა)
თბილ. — თბილისის
თებ. — თებერვალი
თესი — თბოელექტროსადგური
თეცი — თბოელექტროცენტრალი
იანვ. — იანვარი
ივლ. — ივლისი
ივნ. — ივნისი
ილ. — ილუსტრაცია
ინდუსტრ. — ინდუსტრიისა, ინდუსტრიული
ინჟ. — ინჟინერი (გვართან)
ინ-ტი — ინსტიტუტი
ისტ. — ისტორიისა, ისტორიული
კავკ. — კავკასიელი, კავკასიისა, კავკასიური
კათოლ. — კათოლიკური
კაპიტ. — კაპიტალური
კაპიტალ. — კაპიტალისტური
კერამ. — კერამიკისა, კერამიკული
კვადრ. — კვადრატული
კოლ-ბა — კოლმეურნეობა
კოლექტ. — კოლექტიური
კოლხ. — კოლხური
კომპლ. — კომპლექსი
კომპოზიც. — კომპოზიციური
კონსტრ. — კონსტრუქციისა, კონსტრუქციული
კულტ. — კულტურული (საზღვრულთან), კულტურისა
კულტ.-საგანმ. — კულტურულ-საგანმანათლებლო
ლათ. — ლათინური
ლიტ. — ლიტერატურა (ბიბლიოგრაფიაში)
ლიტ-რა — ლიტერატურა (ტექსტში)
მარცხ. — მარცხენა
მარჯვ. — მარჯვენა
მაქს. — მაქსიმალური
მდ. — მდინარე (სახელწოდებასთან)
მემორ. — მემორიალური
მეცნ. — მეცნიერებისა, მეცნიერული
მინერ. — მინერალური
მინიმ. — მინიმალური
მონუმ. — მონუმენტური

მოსახლ. — მოსახლეობა
მოქ. — მოქალაქე (გვართან)
მოქანდ. — მოქანდაკე (გვართან)
მოხატ. — მოხატულობა (მხოლოდ სახ. ბრუნვაში)
მრეწვ. — მრეწველობა, მრეწველობისა
მუზ. — მუზეუმი
მუს. — მუსიკალური (სკოლა)
მცხ. — მცხოვრები
მწვ. — მწვერვალი (სახელწოდებასთან)
მხარეთმც. — მხარეთმცოდნეობა, მხარეთმცოდნეობის
მხედრ. — მხედრული
ნამდვ. გვარი — ნამდვილი გვარი
ნახ. — ნახაზი
ნახ. — ნახევარი (I ნახ., II ნახ.)
ნოემბ. — ნოემბერი
ოქტ. — ოქტომბერი
პარტ. — პარტიული
პედ. — პედაგოგიკისა, პედაგოგიური
პლასტ. — პლასტიკური
პოლიტ. — პოლიტიკური
პოლიტექ. — პოლიტექნიკური
პრ. — პროსპექტი
პრიმიტ. — პრიმიტიული
პროგრ. — პროგრესული
პროლეტ. — პროლეტარული
პროფ. — პროფესორი (გვართან)
პროფ. — პროფესიული
ჟურნ. — ჟურნალი (სახელწოდებასთან)
რ. — რუკა
რ-ებიც — რომლებიც (მოკლდება ყველა ბრუნვაში)
რეგ. — რეგიონი
რევ. — რევოლუციისა, რევოლუციური
რეკონსტრ. — რეკონსტრუქცია, რეკონსტრუქციისა
რელიგ. — რელიგიისა, რელიგიური
რესპ. — რესპუბლიკა, რესპუბლიკისა, რესპუბლიკური
რ-იც — რომელიც (მოკლდება ყველა ბრუნვაში)
რკ.-გზ. სდგ. — რკინიგზის სადგური
რ-ნი — რაიონი
რ-ნული — რაიონული
რ-შიც — რომელშიც
რ. ც. — რაიონის ცენტრი
ს., სს. — საუკუნე, საუკუნეები (თარიღთან)
საავტ. — საავტომობილო
საბჭ. — საბჭოთა
საგანმან. — საგანმანათლებლო
სადგ. — სადგური (საკუთარ სახელთან)
საეკლ. — საეკლესიო
საზ. — საზოგადო, საზოგადოებრივი
საზ-ბა — საზოგადოება
საკავშ. — საკავშირო
საკოლმ. — საკოლმეურნეო
სამედ. — სამედიცინო
სამეცნ. — სამეცნიერო
სამეცნ.-კვლ. — სამეცნიერო-კვლევითი
სამრეწვ. — სამრეწველო
სამშენ. — სამშენებლო
სამხ. — სამხედრო
სამხრ. — სამხრეთი (მსაზღვრელად)
სამხრ.-აღმ. — სამხრეთ-აღმოსავლეთი (მსაზღვრელად)
სამხრ.-დას. — სამხრეთ-დასავლეთი (მსაზღვრელად)
სარესტ. — სარესტავრაციო
სას.-სამ. — სასოფლო-სამეურნეო
სასულ. — სასულიერო
სასწ. — სასწავლო, სასწავლებელი
სატრანსპ. — სატრანსპორტო
საქ. — საქართველოს (სსრ-თან)
საქართვ. — საქართველოსი
საშ. — საშუალო
საცხოვრ. — საცხოვრებელი
სახ. — სახელობისა
სახელმწ. — სახელმწიფო (საზღვრულთან)
სახვ. — სახვითი (საზღვრულთან)
ს.-დ. — სოციალ-დემოკრატიული (პარტია, ჯგუფი)
სექტ. — სექტემბერი
სიგ. — სიგანე (რიცხობრივ მონაცემებთან)
სიგრ. — სიგრძე (რიცხობრივ მონაცემებთან)
სიმ. — სიმაღლე (რიცხობრივ მონაცემებთან)
სოფ. — სოფელი (სახელწოდებასთან)
სოფ. მეურნ. — სოფლის მეურნეობა
სოფსაბჭო — სასოფლო საბჭო
სოც. — სოციალური
სოციალ. — სოციალისტური
სპეც. — სპეციალური
სრესი — სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური
სტილისტ. — სტილისტური
სუბალპ. — სუბალპური
სუბტროპ. — სუბტროპიკული
სურ. — სურათი
ტემპ-რა — ტემპერატურა
ტერიტ. — ტერიტორია, ტერიტორიული
ტექ. — ტექნიკისა, ტექნიკური
ტრად. — ტრადიციისა, ტრადიციული
ტრანსპ. — ტრანსპორტი, ტრანსპორტისა
ტფ. — ტფილისი, ტფილისის
უნ-ტი — უნივერსიტეტი
უღელტ. — უღელტეხილი
უცხ. — უცხოური
ფ. — ფოტოსურათი
ფ-კა — ფაბრიკა
ფართ. — ფართობი
ფედერ. — ფედერაციისა, ფედერაციული
ფეოდ. — ფეოდალური
ქ. — ქალაქი (სახელწოდებასთან)
ქართ. — ქართული
ქართვ. — ქართველი
ქ-ნა — ქარხანა
ქრისტ. — ქრისტიანული
ქრონოლ. — ქრონოლოგიური
ქუთ. — ქუთაისი, ქუთაისის
ყოფ. — ყოფილი
ჩრდ. — ჩრდილოეთი, ჩრდილო (ჩრდილო კავკასია) (მსაზღვრელად)
ჩრდ.-აღმ. — ჩრდილო-აღმოსავლეთი (მსაზღვრელად)
ჩრდ.-დას. — ჩრდილო-დასავლეთი (მსაზღვრელად)
ც. — ცალი
ცენტრ. — ცენტრალური
ძ. — ძეგლი
ძვ. — ძველი
ძვ. წ. — ძველი წელთაღრიცხვით (თარიღთან)
წ., წწ. — წელი, წლები (თარიღთან)

წლ. — წლიური
წმ. — წმინდა (სახელთან)
წყალსაც. — წყალსაცავი (სახელწოდებასთან)
წ. ჰ. — წელთაღრიცხვა ჰიჯრით (თარიღთან)
ხალხ. — ხალხური
ხელმძღვ. — ხელმძღვანელი
ხელოვნ. — ხელოვნების
ჰესი — ჰიდროელექტროსადგური
ჰორიზ. — ჰორიზონტალური

## სიდიდეთა ერთეულების შემოკლებები

კვ კმ — კვადრატული კილომეტრი
კვ მ — კვადრატული მეტრი
კვტ — კილოვატი
კვტ. სთ. — კილოვატ-საათი
კმ — კილომეტრი
კუბ მ — კუბური მეტრი
მ — მეტრი
სმ — სანტიმეტრი
ც. ძ. — ცხენისძალა
ჰა — ჰექტარი

## სახელმწიფო და სამეცნიერო დაწესებულებების სახელწოდებათა შემოკლებები

აკც — ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის რესპუბლიკური არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ენიმკი — აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი

თბილ. ისტ.-ეთნ. მუზეუმი — ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

იაე ინ-ტი — ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

იკბძ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმ. — საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო.

კაე — ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კასპის არქეოლოგიური ექსპედიცია

მაე — ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (1937 წ-იდან 1974 წ-მდე)

მმაე — ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია (1974—1977 წწ.), 1977-იდან ამავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია

მცხეთის მუზეუმი—მცხეთის ხელოვნებისა და ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი

ნაე — ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია

საქართვ. სახელმწ. მუზეუმი — ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანება — საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანება (1978 წ-იდან)

სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნო — სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნო (1950—54 წწ. ექვემდებარებოდა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს, 1954—78 წწ. საქ. სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის სამმართველოს)

ქხი ინ-ტი — გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი



# საძიებლები

## პირთა

### ა


აბაიძე პეტრეს ქერივი, ეკლესიის აშენებელი, XIX ს. – 450*
აბაკელია თამარ, მხატვარი (1905-1953) – 445
აბაღა, მონღოლთა ყაენი (1265-1282) – 45
აბაშიძე ვასო, მსახიობი (1854-1926) – 172,417
აბაშიძე ვახუშტი, პოლიტიკური მოღვაწე, XVIII ს. – 191
აბაშიძე კოტე, კრიტიკოსი (1870-1917) – 174,202
აბაშიძე ს., ფეოდალი, XIX ს. – 428
აბიბოს ნეკრესელი, ასურელი მამა, VI ს. – 254,406
აბრაამი, წმ. – 109, 216, 231, 266, 321, 406, 439
აბრამიშვილი გურამ, ხელოვნებათმცოდნე – 58
აბრამიშვილი როსტომ, არქეოლოგი – 288,293
აბრამიშვილი შალვა, მხატვარ-რესტავრატორი (1903-1973) – 193, 262, 404
აბრიაა, იბერიის პიტიახში, II ს. – 231
ადამი და ევა, ბიბლიური – 216
ადარნასე, ძამელი მთავარი, ძამის ხეობის გამგებელი, X ს. – 19, 381, 383
ადარნერსე, სტეფანოზ ერისმთავრის ძმა, VI-VII სს. – 249, 252
ავალიშვილები, ქართლის ფეოდალები, XVII ს-დან – 21, 112, 360
ავალიშვილი, თავადი, ბოქაული (მოკლეს 1905) – 34
ავალიშვილი ბიძინა, მოქანდაკე – 244
ავალიშვილი დომენტი, მწიგნობარი, XVI-XVIIსს. – 384
ავგიორგი, გიორგი II, კახეთის მეფე (1511-1513) – 45,297,302,326,327
ავგუსტუს, რომის იმპერატორი (ძვ.წ. 27-ახ წ. 14) – 16,233,284
ავრელიუს აკოლისი, მცხეთის მხატვარი და ხუროთმოძღვარი, IV ს. – 231
ათანასე, წმ. – 406
აინინა და დაინინა, ქართული წარმართული ღვთაებები – 14,231
ალაზნისპირელი ა., ქ.გორის დრამატული თეატრის პირველი რეჟისორი – 36
ალექსანდრე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, XIX ს. – 285
ალექსანდრე I, დიდი (1412-1442) – 36, 208,262,320,360,385,439
ალექსანდრე I, კახეთის მეფე (1476-1511) – 174,302,303
ალექსანდრე II, იმერეთის მეფე (1484-1510) – 32,355, 378
ალექსანდრე II, კახეთის მეფე (1574-1605) – 272
ალექსანდრე II, რუსეთის იმპერატორი (1818-1881) – 23,417
ალექსანდრე III, იმერეთის მეფე (1639-1660) – 379
ალექსანდრე მაკედონელი (ძვ.წ. 356-323) – 15,139,313
ალექსანდრე სევერუსი, რომის იმპერატორი (222-235) – 373
ალექსი-მესხიშვილი ვლადიმერ (ლადო), არქიტექტორი (1915-1978) – 445
ალექსი-მესხიშვილი ტარასი, ქვათახევის არქიმანდრიტი, XIX ს-ის 50-70-იანი წწ., მთარგმნელი, კალიგრაფი, მწერალი – 200
ალექსიძე ზაზა, ისტორიკოსი – 58
ალი-მირზა, ალექსანდრე ბატონიშვილი, კახეთის მეფის დავით II-ის ვაჟი – 268
ალი-ხან ავღანი, ყიზილბაშთა სარდალი, XVIII ს. – 46
ალიხანოვ-ავარსკი მაქსუდ (1846-1907), მეფის რუსეთის სამხედრო მოღვაწე – 434
ალფ-არსლანი, თურქ-სელჯუკთა სულთანი, XI ს. – 74,377
ამაზასპი, ქართლის მეფე, II-III სს. – 302
ამაშუკელი ელგუჯა, მოქანდაკე – 36
ამბაკუმ წინასწარმეტყველი – 59,194, 266,406
ამილახვარი ამირინდო, ქართლის ფეოდალი, XVIII ს – 202,205
ამილახვარი ანდუყაფარ, ქართლის ფეოდალი, XVII, ს. – 205
ამილახვარი ბარძიმ, ქართლის ფეოდალი, XVI ს – 74,129
ამილახვარი გაიანე, ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის და, ამირინდო ზედგინიძე-ამილახვრის მეუღლე, XV ს. – 192, 196.
ამილახვარი გივი ანდუყაფარის ძე, პოლიტიკური მოღვაწე, ზემოქართლის სადროშოს სარდალი, გორის მოურავი (1689-1754) – 21,46,61,191,202, 203,207,316,320,322,446
ამილახვარი გივი იოთამის ძე, ზემოქართლის სადროშოს სარდალი, გორის მოურავი (1656-1696; გარდ. 1700) – 322
ამილახვარი ერასტი, ქართლის ფეოდალი, XVIII ს. – 202
ამილახვარი იოთამ, ქართლის ფეოდალი, XVII ს. – 155, 207
ამილახვარი ნიკოლოზ, კათალიკოსი (1678-88, 1691-96) – 262,265, 336,
ამილახვარი ნინო, მცხეთის სამთავროს ქალთა მონასტრის წინამძღვარი, XIX ს. – 255
ამილახვარი რევაზ, ქართლის ფეოდალი, XVIII ს. – 202
ამილახვარი სიაოშ, ამირინდო და გაიანე ამილახვრების ვაჟი, XV – XVI სს.–192
ამილახვრები, თავადთა საგვარეულო ქართლის სამეფოში, საამილახვროს მფლობელები – 22,23,48,112,129,151, 192,196,199,202,205,298,319,320,360
ამირანაშვილი შალვა, ხელოვნებათმცოდნე (1899-1975) – 83,91
ამირა დიავარი, (?), IX ს. – 277
ამირადოვი მ., მემამულე – 33
ამირეჯიბები, თავადთა საგვარეულო ქართლის სამეფოში – 21,23,353,393
ამირეჯიბი იოვანე, XIX ს. – 355
ამირეჯიბი კონსტანტინე, მეცნიერი სოფლის მეურნ. დარგში (1869-1948) – 160,354
ამირეჯიბი რამინ, ქუცნა ამირეჯიბის ვაჟი, XV ს. – 393
ამირეჯიბი ქუცნა, პოლიტიკური მოღვაწე, XIV-XV სს – 393,424,439
ანა, წმ. – 57
ანა დედოფალი, კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის მეუღლე, XV ს – 174
ანანია მთავარეპისკოპოსი, X-XI სს. – 460,461
ანანია, წმ. – 193
ანდრეევი მ., ინჟინერი – 281,282.
ანდრეოლეტი ანჯელო, მეწარმე, – 24,313
ანდრია სტრატილატი, წმ. – 406
ანტონ გლონისთავისძე, იხ. ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი – 405,407
ანტონ I, კათალიკოსი, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, მეცნიერი (1720-1788) – 191
ანტონ II, კათალიკოსი, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, საეკლესიო მოღვაწე, ერეკლე II-ის ვაჟი (1764-1827) – 268,269
ანტონ მროველი, IX-X სს – 384
ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, გლონისთავისძე, პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწე, XII-XIII სს. – 192, 319,324
ანტონიუს პიუსი, რომის იმპერატორი (138-161) – 373
ანტონოვი ზურაბ, დრამატურგი (1820-1854) – 417
ანუკი ბატონიშვილი, ვახუშტი ბაგრატიონის მეუღლე, XVIII ს – 421
აპოსტოლე, მხატვარი, XVII ს. – 216
არაგველები – 158
არადელ-იშხნელი გიორგი, მსახიობი (1882-1920) – 356
არზამესი, იბერიის პიტიახში – 231
არიადნე, მითოლოგიური – 308,330
არმაზი, ქართული წარმართული ღვთაება – 14,16,231,239,241
არსენ I, არსენ დიდი, არსენ საფარელი, საეკლესიო მოღვაწე, მწერალი (დაახლ. 820/830-877/887) – 232
არსენ II, საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, ქართლის კათალიკოსი (დაახლ. 955-988) – 232,319
არსენ იყალთოელი, საეკლესიო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფი, XI-XII სს. – 320
არსენ ჟამამთავარი, კტიტორი, XI ს. – 166
არსენი, ისტორიკოსი, XI-XII სს. – 320
არსოკ I, ქართლის მეფე, ძვ.წ. II ს. – 231
არსოკ II, ქართლის მეფე, ძვ. წ. I ს. – 129
არსუკისძე, ხუროთმოძღვარი, XI ს. – 21,262
არტაგი, ქართლის მეფე, ძვ.წ. I ს. – 15, 231
არჩილ სტეფანოზის ძე, ქართლის ერისმთავარი, VIII ს. – 32
არჩილი, ბაგრატ მუხრანბატონის შვილი, XVI ს. – 302
ასად სანივაჯის ძე, ეკლესიის აშენებელი, XI ს. – 150
ასპარუგი, იბერიის პიტიახში, III ს. – 231


------

* ყველგან მითითებულია გვერდი, სადაც ნახსენებია პიროვნება

ასურელი მამები, სასულიერო მოღვაწეთა ჯგუფი, VI ს. — 18,284,319,322
აშაქიძე ანდრია, არქეოლოგი — 229,232,235,239,241,242,245,246,247,253258,261,269,288,298,296,302,306,307,333,338,339,346,347
აღა-მაჰმად ხანი, ირანის შაჰი (1742-1797) — 174
აღლაძე ნიკოლოზ, ქვისმთლელ-რესტავრატორი — 262
აღნიაშვილი ლადო, საზ. მოღვაწე (1860-1904) — 40
აშოთანი, მუხრანბატონი, მუხრანბატონების სახლის უფროსი, შიდაქართლის სადროშოს სარდალი (გარდ. 1561) — 297
აჯი-ხანი, ყიზილბაშთა სარდალი, XVIII ს. — 46
აჰმედ ჯალაირი, ჯალაირიდების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი (გარდ 1410) — 422

ბ

ბაგრატ III, ერთიანი საქართველოს მეფე (975-1014) — 20,45,461
ბაგრატ III, იმერეთის მეფე (1510-1565) — 45,378
ბაგრატ IV, ერთიანი საქართველოს მეფე (1027-1072) — 45,61,198,276,319,339
ბაგრატ IV, ქართლ-იმერეთის მეფე (1466-78) — 36,192
ბაგრატი, ქართლის მეფის დავით X-ის ძმა, XVI ს. — 297,326
ბაგრატი, წმ — 406
ბაგრატიონ-დავითაშვილი ა., ეკლესიის აშენებელი, XIX ს. — 429
ბაგრატიონები, საქართველოს სამეფო დინასტია (IX ს.-1801 წ.) — 91,288
ბაგრატიონი გრიგოლ, იხ. გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელი
ბაგრატიონი ელიმერ, არქიტექტორი — 232
ბაგრატიონი ნიკო, ნიკო ბური (1868-1933) — 298
ბაგრატიონ-მუხრანბატონები, ფეოდალური საგვარეულო ქართლში, ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს ერთი შტო, XVI-XIX სს. — 297
ბაგრატიონ მუხრანსკი, მემამულე, XIX-XX სს. — 276
ბაიერნი ფრიდრიხ, ავსტრიელი ბუნებისმეტყველი, მოყვარული არქეოლოგი, (1817-1886) — 257
ბაქურაძე კარლო, მხატვარ-რესტავრატორი — 55,193,404
ბანგუა ორბელიშვილი, გივი ამილახორის მეუღლე, XVIII ს. — 320,322
ბარათაშვილები, თავადთა საგვარეულო, XV-XIX სს. — 293
ბარათაშვილი ვლადიმერ, ინჟინერ- ეკონომისტი — 232
ბარათაშვილი ნიკოლოზ (1817-1845) — 26,36
ბარამიძე მ., არქეოლოგი — 131
ბარბარე, კონსტანტინე მუხრანბატონის მეუღლე, XVIII ს. — 297
ბარბარე, წმ. — 407,409
ბართლომე, წმ. — 193
ბასილი, წმ. — 406
ბასილი ჰაჩეს ძე კათალიკოსი, ისტორიკოსი XI ს. — 320
ბატქუაშვილი ხეხმან, ერთაწმინდელი, მწერალი (1890-1944) — 157
ბაქარ მეფე, მირიანის ძე, IV ს — 340
ბაქრაძე დიმიტრი, ისტორიკოსი (1826-1890) — 229,239
ბალვაშები, ფეოდალთა საგვარეულო, კლდეკარის ერისთავები, IX-XIII სს. — 53,319
ბალვაში რატი, იხ რატი ლიპარიტის ძე
ბაყათარ ოსი, V ს. — 132
ბევრაზურია, ავრელიუს აქილისის მეუღლე, IV ს. — 231
ბელაძორი, არაბი ისტორიკოსი — 316
ბეჟანი, თაყა ამილახორის ძე, XV ს. — 322
ბერი ეგნატაშვილი, იხ. ეგნატაშვილი ბერი
ბერიძე გივი, არქიტექტორი, — 133
ბერიძე რევაზ, არქიტექტორი — 232
ბერუაშვილი რევაზ, დიდი სამამულო ომის მონაწილე — 371
ბერძენი ოსტატები — 51
ბერძენიშვილი მერაბ, მოქანდაკე — 135,344
ბერძენიშვილი ნიკო, ისტორიკოსი (1895-1965) — 198,223,291,295,313,333,399
ბეშქენ სტეფანოზის ძე, ეკლესიის ქტიტორი (?), X ს. — 112
ბიძინაშვილი მ., გორის მოქალაქე, XX ს. — 36
ბოსტანაშვილი შოთა, არქიტექტორი — 298
ბოხოჩაძე ალექსანდრე, არქეოლოგი, — 136,139,307,313,329,342
ბურდუხან დედოფალი, თამარ მეფის დედა — 385
ბურსუმა, იბერიის პიტიახში — 231
ბურცოვი ივანე, დეკაბრისტი, სამხედრო მოღვაწე (1794-1824) — 36
ბურჯანაძე ემირ, მოქანდაკე — 298

გ

გაბაშვილები, თავადები, XV ს-მდე სოფ. თხინვალის მფლობელები — 289
გაბაშვილი გიორგი (გიგო), მხატვარი (1862-1936) — 452
გაბაშვილი ეკატერინე, მწერალი (1851-1938) — 26,140
„გაბრიელ გალატოზი", X ს. — 155
გაბრიელ მთავარანგელოზი — 252
გაბრიელ წინამძღვარი, IX ს. — 285
გაგარინი გრიგოლ, მხატვარი, არქიტექტორი, მეცნიერი (1810-1893) — 231
გაგოშიძე იულონ, არქეოლოგი — 313,314,334,359, 363
გამრეკელ-თორელები, საქართველოს დიდი ფეოდალები, XII-XIII სს-ში ძამის ციხის გამგებლები — 383
გამრეკელ-თორელი, ძამის ციხის გამგებელი, XIII ს — 381,383
გედევანიშვილები, მცხეთის აზნაურები — 253
გედევანიშვილი იოანე, სასულიერო მოღვაწე (1737-1821) — 384
გედევანიშვილი იოსებ, მწერალი, საზოგადო, პოლიტიკური მოღვაწე (1873-1939) — 242
გედენიძე მ., არქიტექტორი — 232
გედეონ წინასწარმეტყველი — 194,266
გელაშვილი აბრამ, საცხ. სახლის პატრონი — 456
გელაშვილი მარიამ, არქიტექტორი — 443
გერმანოზი, წმ. — 110
გვარამაძე ალექსანდრე, ეკლესიის მშენებელი, XIX ს. — 441
გვერდწითელი რუსუდან, არქიტექტორ-რესტავრატორი — 37,55,181,248,356,400
გიგაურები, ეკლესიის მშენებლები — 48
გიგოლაშვილი გაიოზ, არქიტექტორი — 35
გიორგი, ეკლესიის მშენებელი, X ს. — 311
გიორგი, ეკლესიის მშეკეთებელი, XVII ს. — 322
გიორგი, ეპისკოპოსი, XI ს. — 385
გიორგი I, საქართველოს მეფე (1014-1027) — 150,461
გიორგი, წმ. — 110,146,167,190,215,218,244,266,286,309,352,368,387,407,449
გიორგი II, საქართველოს მეფე (1072-1089) — 310,384
გიორგი II, იხ. აგგიორგი
გიორგი III, საქართველოს მეფე (1156-1184) — 20,73,192,311,407
გიორგი IV ლაშა, საქართველოს მეფე (1210-1222) — 242,311,407
გიორგი V ბრწყინვალე, საქართველოს მეფე (1314-1346) — 32,158,192,262,319
გიორგი VII, საქართველოს მეფე (1393-1407) — 422,383
გიორგი VIII, საქართველოს მეფე (1446-1466) — 36
გიორგი X, ქართლის მეფე (1601-1606) — 61
გიორგი XI, ქართლის მეფე (1676-88; 1703-1709) — 184,297,363
გიორგი XII, ქართლ-კახეთის მეფე (1798-1800) — 264,320
გიორგი გორელი, მწიგნობარი, XIX ს. — 33
გიორგი კაპადოკიელი, წმ. — 409
გიორგი მეფე, XI ს. (ეპიგრაფიკული წარწერიდან) — 424
გიორგი „მეფეთ მეფე" (ეპიგრაფიკული წარწერიდან) — 196
გიორგი მრუჩველი, მწიგნობარი, XII—XIII სს. — 384
გიორგი უფლისწული, ლევან კახთა მეფის ვაჟი, XVI ს. — 333
გიუნაშვილი კ., საცხოვრ. სახლის პატრონი — 111
გლურჯიძეები, ქართლის ფეოდალები, XVI ს-დან — 316
გნოლიძეები, ციხის პატრონები, XVII — XVIII სს. — 74
გობეჯიშვილი გერმანე, არქეოლოგი (1912-1973) — 229
გოგებაშვილი ანდრია, ს.გოგებაშვილის ვაჟი — 66
გოგებაშვილი ზაქარია, იაკობ გოგებაშვილის ძმა — 66
გოგებაშვილი იაკობ, პედაგოგი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე (1840-1912) — 24,26,40,66,163,343
გოგეაშვილი ს., სოფლის მღვდელი — 66
გოგელია ანა, არქიტექტორ-რესტავრატორი — 37,38
გოგიჩაიშვილი ფილიპე, მეცნიერ-ეკონომისტი (1872-1950) — 163
გოთუა ლევან, მწერალი (1905-1973) — 243
გორდიანე, რომის იმპერატორი (238-244) — 373
გორია, წმ. — 406
გორის ფაშა, ოსმალთა სარდალი, XVIII ს. — 61
გორნიჩი ოლღა, მცხეთაში ქალთა მონასტრის დამაარსებელი, XIX ს. — 243
გოტარზე, რომის იმპერატორი, ძვ.წ. I ს. — 284,373
გოცირიძე ვერა, არქიტექტორი — 232
გოცირიძე ნიკო, მსახიობი (1872-1949) — 417
გრბნელი, ატენის ციხისთავი, XI ს. — 53
გრიგოლ სურამელი, მანდატურთუხუცესი, XII ს. — 442

**გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელი**, მწიგნობარი, XVIII-XIX სს. — 297
**გრიგოლ**, წმ. ნოსელი — 406
**გრიგოლ**, წმ. ატელია — 193
**გრიგოლ**, წმ. საკვირველმოქმედი — 406
**გრიგოლ**, წმ., ღვთისმეტყველი — 406
**გუარამი**, ქართლის ერისმთავარი (545-586). — 248,249
**გუგუნავა** მერაბ, არქიტექტორი — 232
**გულჯავარაშვილი** გრიგოლ, მხატვარი, XVII ს. — 265
**გუნია** ვალერიან, მსახიობი, საზოგადო მოღვაწე. (1862-1938) — 172
**გურამიშვილები**, ფეოდალური საგვარეულო კახეთში — 272,303,346
**გურამიშვილი** დავით (1705-1792) — 174,303
**გურამიშვილი** ოლღა, ილია ჭავჭავაძის მეუღლე (1842-1927) — 305
**გურანდუხტ** დედოფალი, ბაგრატ III-ის მეუღლე. X-XI სს. — 460,461
**გურიელი** მამია, XVI ს. I ნახ — 379
**გუცკოვი** კარლ, გერმანელი მწერალი (1811-1878) — 419

## დ

**დადიანი** შალვა (1874-1959) — 158,419
**დავიდოვი** დავით, მღვდელი — XIX ს. — 60
**დავით II**, იმამყული-ხანი, კახეთის მეფე (1709-1722) — 202,207,303
**დავით VI**, ნარინი, საქართველოს მეფე (1230-1293) — 37, 450
**დავით VII**, ულუ, საქართველოს მეფე (1247-1270) — 45
**დავით VIII**, საქართველოს მეფე (1293-1311) — 383
**დავით X**, ქართლის მეფე (1505-1525) — 33,45,297,326,379
**დავით XI**, დაუთ-ხანი, ქართლის ხანი, ზოგიერთი წყაროს მიხედვით ქართლის მეფე (1569-1578) — 276
**დავითაია** ვახტანგ, არქიტექტორი — 36, 398
**დავით IV**, აღმაშენებელი (1073-1125). ერთიანი საქართველოს მეფე (1089-1125) — 20,32,45,73,272,285, 297,303,319,320,322,339,346,384,457
**დავითაშვილები**, ქართლის თავადები, XVII ს-დან — 21,74
**დავითაშვილი** მიხეილ, რევოლუციონერი (1877-1916) — 207
„**დავით გალატოზი**", ეკლესიის მშენებელი, X-XI სს. — 151
**დავით გარეჯელი**, ასურელი მამა, VI ს. — 58,407,
**დავით ულისწული**, გიორგი ბრწყინვალის ვაჟი, XIV ს. — 158
**დავით წინასწარმეტყველი** — 193,194
**დავითი**, წმ. — 199
**დათუნაშვილი** ლ., არქიტექტორი — 329
**დამანტოვიჩი**, ინჟინერი — 281
**დამიანე**, მონაზონი, ეკლესიის მშენებელი, XV ს. — 198
**დანიელ წინასწარმეტყველი** — 58,59, 189,194,216
**დაჩი**, ვახტანგ გორგასლის ძე, VI ს. — 231
**დაჩი სხვილოსელი**, X ს. — 207
**დედანი**, წმ. — 185,186,190
**დეკანოზისძე** ათანასე, დეკანოზი — 336
**დემეტრე**, წმ. — 147,167,244,266,309
**დემეტრე**, სტეფანოზ ერისმთავრის ძმა, VI-VII სს. — 249,252
**დემეტრე**, ბაგრატ IV-ის ნახევარძმა — 45
**დემეტრე**, აფხაზთა მეფე (967-975) — 383
**დემეტრე II**, თავდადებული, საქართველოს მეფე (1271-1289) — 45
**დვალიშვილი** ფილა (ფრიდონ), რევოლუციონერი (1893-1962) — 136
**დიასამიძე**, ეკლესიის აღმშენებელი, XVII ს. — 426
**დიასამიძე** დიმიტრი, გორისციხის გარნიზონის უფროსი (მინბაში), XVIII ს. — 82
**დიასამიძე** ევდემონ, კათალიკოსი, XVII ს. — 155
**დიასამიძე** იოანე, კათალიკოსი (1688-1691; 1696-1700) — 266
**დიასამიძე** ლევან, ინჟინერ-ჰიდრავლიკოსი (1882-1969) — 281
**დიასამიძეები**, ფეოდალური საგვარეულო სამცხე-საათაბაგოში, XV ს-დან — 21
**დიდებულიძე** ალექსანდრე, ინჟინერ-ენერგეტიკოსი (1882-1951) — 281
**დიდებულიძე** ციალა, არქიტექტორი — 232
**დიოკლიტიანე**, რომის იმპერატორი (284-305) — 368
**დიონისე**, ძვ.ბერძნული მითოლოგიური ღვთაება — 16,308,330
**დიონისე**, ეკლესიის აღმშენებელი, XV ს. — 199
**დიონისე არეოპაგელი**, წმ. — 193
**დიუბუა დე მონპერე**, შვეიცარიელი მეცნიერი (1798-1850) — 91
**დომენტი IV** (ერისკაცობაში დამიანე ლევანის ძე ბაგრატიონი, აღმ.საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ვახტანგ VI-ის ძმა (1705-1741) — 285,334
**დომენტი**, ქართლის კათალიკოსი (1660-1676) — 379

## ე

**ეგნატაშვილი** ბერი, ისტორიკოსი, XVIII ს. — 295
**ეგნატე**, წმ. — 193
**ევაგრე**, წმ. — 319,322
**ევდემონ არქიეპისკოპოსი**, მწიგნობარი, XVII ს. — 191
**ევსტათი**, წმ. — 266
**ეზეკიელი**, ძვ.ებრაელთა ერთ-ერთი წინასწარმეტყველი — 194,216,406
**ეკატერინე**, წმ. — 186,266
**ელენე**, წმ. — 50,203,264
**ელენე**, ნიკოლოზ მაღალაძის დედა — 215
**ელია** წინასწარმეტყველი — 406
**ელიავა** შალვა, საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე — 281
**ელიზბარაშვილები**, ქართლის ფეოდალები, XVI ს-დან — 316
**ელიოზი**, მცხეთელი ებრაელი, IV ს. — 261
**ელისაბედი**, წმ. — 57
**ელისაშვილები**, ეკლესიის აღმშენებლები, XIX ს. — 441
**ერეკლე I**, ქართლის მეფე (1688-1703), კახეთის მეფე, ნაზარალი-ხანი (1703-1709) — 184,363,426
**ერეკლე II**, კახეთის მეფე (1744-62, ქართლ-კახეთის მეფე (1762-1798) — 21,37, 66,84,184,264,268,295,297,303,320, 351,353,367,446,451
**ერთაწმინდელი**, იხ. ბატკუაშვილი ს.
**ერისთავები** — 23,49,61,65,67,73,111,112, 199,236,237
**ერისთავი** გიორგი, მწერალი, თეატრის მოღვაწე (1813-1864) — 26,36
**ერისთავი** მირმანოზ, მანანა ორბელიანის მამა,XVIII-XIX სს. — 62
**ერისთავი** ნინო თორნიკეს ასული, ალექსანდრე ორბელიანის დედა, იოანე ორბელიანის მეუღლე, XVIII ს. — 174
**ერისთავი** რაფიელ, მწერალი, საზოგადო მოღვაწე (1824-1901) — 305
**ერისთავ-ხოშტარია** ანასტასია, მწერალი, საზოგადო მოღვაწე (1868-1951) — 37, 63
**ესაია წინასწარმეტყველი** — 194,217,406
**ესტატე**, წმ. — 157,167,266

## ვ

**ვალიევი** მაქრო, რევოლუციონერი, — 428
**ვაჟა-ფშაველა**, ლუკა რაზიკაშვილი (1861-1915) — 24,40,94,305
**ვარლამი**, ქსნის ერისთავის ძე, საქართველოსა და მცხეთის ეგზარქოსი, XIX ს. — 262
**ვარსიმაშვილი** ირმა, არქიტექტორ-რესტავრატორი — 356
**ვასილიევი** ვ., ინჟინერი — 281
**ვაჩე ყანჩაელი**, ეპისკოპოსი, XI ს. — 192
**ვაწაძე** ი., ინჟინერი — 282
**ვახტანგ II**, დავით ნარინის ძე, საქართველოს მეფე (1289-1293) — 450
**ვახტანგ IV**, საქართველოს მეფე (1442-1446) — 36
**ვახტანგ V** შაჰნავაზი, ქართლის მეფე (1658-1675) — 21,297,401
**ვახტანგ VI**, ქართლის მეფე (1716-1724) — 33,397,303,316,333,402,457
**ვახტანგ გორგასალი**, ქართლის მეფე (დაახლ. V ს. 40-იანი წწ -502) — 17, 68,129,132,191,231,253,261,264,297,385
**ვახტანგ მუხრანბატონი**, იხ. ვახტანგ V
**ვახტანგი**, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ძმა, XVI ს. — 379
**ვახუშტი ბატონიშვილი** (ბაგრატიონი), გეოგრაფი, ისტორიკოსი, კარტოგრაფი (1696-1757) — 73,90,129, 132,140,184,202,297,303,340,367,386, 421
**ვეზირიშვილი**, მემამულე XIX ს. — 221
**ვესპასიანე**, რომის იმპერატორი, ახ.წ. I ს. — 231
**ვიტე** ს.ი., რუსეთის სახელმწ. მოღვაწე (1849-1915) — 276

## ზ

**ზაალ არაგვის ერისთავი**, XVIII ს. — 155
**ზავალიშინი**, ინჟინერი — 282
**ზადენი**, ქართული წარმართული ღვთაება — 15,16,231
**ზაზიაშვილი** გიორგი (გიგო), მხატვარი (1868-1952) — 323
**ზაზუნიშვილი** ნიკოლოზ, არქიტექტორ-რესტავრატორი — 164,321
**ზასოსაშვილი** ხაჩინო, საცხ. სახლის პატრონი — 394
**ზაქარაია** პარმენ, ხელოვნებათმცოდნე — 181,399,400
**ზაქარია, ეკლესიის აღმშენებელი**, XIX, ს. — 276
**ზაქარია**, ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი, X ს. — 285
**ზაქარია წინასწარმეტყველი** — 406,409
**ზაქარიაშვილი** ვანო, მოქალაქე — 164
**ზედგენიძე** იოანე, XVIIს. — 310
**ზედგენიძე-გურამიშვილები**, ქართლის ფეოდალები — 285
**ზედგენიძეები**, ზევდგინიძეები, ფეოდალთა საგვარეულო აღმ.საქართველოში — 208

ᲖᲔᲕᲐᲮᲘ, ჯ ა ვ ა ხ ი, იბერიის პიტიახში – 231
ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔ გურამ, ქართლის ფეოდალი, XV-XVI სს – 303
ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔ თაყა, ქართლის ფეოდალი, XV ს. – 173,322
ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔ-ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲕᲐᲠᲘ, ქართლის ფეოდალი, XIV ს. – 207,319
ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔ-ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲕᲐᲠᲘ ამირინდო, ქართლის ფეოდალი, XV ს. – 192
ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔ-ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲕᲠᲔᲑᲘ, ფეოდ.საგვარეულო აღმ.საქართველოში – 192
ᲖᲣᲖᲣᲛᲐᲜᲘ ა., მრეწველი, XIX-XX სს. – 24,46
ᲖᲘᲝᲠᲘᲙᲘᲜᲘ ნ., ინჟინერი – 281,282
ᲖᲣᲑᲣᲚᲘᲫᲔ ბაგრატ, საბჭოთა კავშირის გმირი – 26
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ, XVII ს. – 207,302

## Თ

ᲗᲐᲕᲐᲫᲔ შალვა, არქიტექტორი (1907-1989) – 35,36
ᲗᲐᲗᲔ სტეფანწმინდელი, ასურელი მამა, VI ს. – 18,284
ᲗᲐᲛᲐᲖ I, ირანის შაჰი, XVI ს. – 276
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲙᲐᲠᲔᲚᲘ, ციხის მეპატრონე, XVIII ს – 88
ᲗᲐᲛᲐᲖ, ქიზიყის მოურავი, XVIII ს. – 446
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, გივი ამილახორის მეუღლე – 192,320,323
ᲗᲐᲛᲐᲠᲘ, ერთიანი საქართველოს მეფე (1184-1210) – 20,37,112,303,311,319, 324,404,407
ᲗᲐᲛᲐᲠᲘ, იოანე ზედგენიძის სახლთუხუცესის შიოშის მეუღლე, XVII ს. – 310
ᲗᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ – 73
ᲗᲐᲠᲮᲐᲜ ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑᲘ, XVIII ს. – 316
ᲗᲐᲠᲮᲐᲜ-ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ ᲘᲝᲐᲜᲔ, XIX ს – 200
ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ქართლის ფეოდალები, XVII ს-ის 30-იანი წწ-დან ახალქალაქის მოურავები – 21,23,140,144,148, 156,172,180 293
ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ნიკოლოზ (ნიკო) – სოფ. ხოვლეს სკოლის ხელმძღვანელი, XIX ს-ის II ნახ. – 221
ᲗᲐᲥᲗᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ქართლის ფეოდალები XVII ს-დან – 21,393
ᲗᲐᲫᲗᲐᲫᲘᲫᲔ, მემამულე, XIX ს. – 70
ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ ექვთიმე, ისტორიკოსი (1863-1953) – 115,334,239,421
ᲗᲔᲓᲝ, ხუროთმოძღვარი XIX ს. – 276
ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔ ᲡᲢᲠᲐᲢᲘᲚᲐᲢᲘ, წმ. – 147, 167,244,266,277,309,409
ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔ ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ, თ ე ვ დ ო რ ე  კ ვ ე ლ თ ე ლ ი, სახალხო გმირი XVII ს. – 199
ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔ, ეკლესიის აშმენებელი, XV ს.– 199
ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ I, კახეთის მეფე (1606-1648), ქართლ-კახეთის მეფე (1625-1632) – 45,155,207,346
ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ II, კახეთის მეფე (1709-1715), კახეთის გამგებელი (1733-1744), ქართლის მეფე (1744-1762) – 21,33,84, 203,302,367,446
ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲑᲐᲢᲝᲜᲘ, მუხრანბატონების სახლის უფროსი, შიდა ქართლის სადროშოს სარდალი (1580-1625) – 297
„ᲗᲔᲝᲥᲔᲡᲢᲘᲐ“ (წარწერაში მოხსენიებული) – 250
ᲗᲔᲛᲣᲠᲚᲔᲜᲒᲘ, მხედართმთავარი, ამირი (1336-1405) – 21,151,184,199,231, 262,263,297,320,383,385,424
ᲗᲔᲓᲝᲠᲔ ᲚᲣᲙᲐᲡ ᲫᲔ, ურბნელი ეპისკოპოსი IX-X სს. – 401
ᲗᲔᲝᲓᲝᲡᲘ, დემეტრე უსინათო მეფის ძმა, X ს. – 383
ᲗᲕᲐᲣᲠᲘ გიორგი, საბჭოთა კავშირის გმირი – 26
„ᲗᲝᲓᲝᲡᲐᲙ ᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ“ (წარწერაში მოხსენიებული) – 58
ᲗᲝᲓᲣᲐ ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ, მხატვარ-რესტავრატორი – 262
ᲗᲝᲗᲘᲑᲐᲫᲔ გივი, არქიტექტორი – 130,351
ᲗᲝᲛᲐ, წმ. – 193
ᲗᲝᲠᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲒᲕᲐᲠᲔᲣᲚᲝ, მსხვილი ფეოდალები, XII-XIV სს – 151
ᲗᲝᲠᲔᲚᲘ კახა, მსხვილი ფეოდალი, ახალქალაქის ერისთავთ-ერისთავი, XII ს. – 111
ᲗᲝᲠᲔᲚᲘ კახა, მსხვილი ფეოდალი, ახალქალაქის ერისთავთ-ერისთავი, მეჭურჭლეთუხუცესი, XIII ს – 151,184
ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲘ – 119
ᲗᲝᲦᲣᲠᲘᲫᲔ არჩილ, მოქანდაკე – 40
ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ავთანდილ, მწიგნობარი, XIX ს – 33
ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ გიორგი, მწიგნობარი, XIX ს. – 33
ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ დიმიტრი, მწიგნობარი, XIX ს. – 33
ᲗᲣᲛᲐᲜᲝᲕᲘ (თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი) მანუჩარ, ეკლესიის აშმენებელი – 51
ᲗᲣᲗᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ჯემალ, მოქანდაკე – 172, 225,243

## Ი

ᲘᲐᲙᲝᲑᲘ, წმ. – 193,266
ᲘᲐᲙᲝᲑ ᲓᲐᲕᲠᲘᲚᲘ, წმ. – 406
ᲘᲐᲛᲐᲖᲐᲡᲞᲘ, იბერიის დედოფალი – 231
ᲘᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ თამაზ, ინჟინერ-რესტავრატორი – 103
ᲘᲔᲠᲔᲛᲘᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ – 134, 266,406
ᲘᲔᲠᲝᲗᲔᲝᲡᲘ, წმ. – 193
ᲘᲕᲐᲜᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜ-ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲑᲐᲢᲝᲜᲘ, XIX-XX სს. – 297,298
ᲘᲕᲐᲜᲔ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲑᲐᲢᲝᲜᲘ, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1809-1895 წწ.) – 299
ᲘᲕᲐᲜᲔ ᲡᲮᲕᲘᲚᲝᲡᲔᲚᲘ, X ს. – 207
ᲘᲕᲐᲜᲝᲕ-ᲨᲐᲓᲠᲘ ი., მოქანდაკე (1887-1941) – 284
ᲘᲕᲐᲨᲩᲔᲜᲙᲝ მ., არქეოლოგი (1881-1946) – 229,258
ᲘᲕᲚᲘᲢᲐ, წმ. – 147,407
ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲜᲔᲚᲘ, ტაძრის აშმენებელი, XI ს. – 192,194
ᲘᲚᲘᲐ, კალიგრაფი, XVI ს. – 191
ᲘᲚᲘᲐ, წმ. – 426
ᲘᲚᲘᲐ, მწიგნობარი, XVI ს. – 191
ᲘᲛᲐᲛᲧᲣᲚᲘ-ᲮᲐᲜᲘ, იხ. დავით II, კახეთის მეფე
ᲘᲝᲐᲙᲘᲛᲔ, წმ. – 57
ᲘᲝᲐᲜᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ბაგრატიონი, გიორგი XII-ის შვილი, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერ-ენციკლოპედისტი (1718-1830) – 174
ᲘᲝᲐᲜᲔ ᲖᲔᲓᲐᲖᲜᲔᲚᲘ, ასურელ მამათა მეთაური, VI ს. – 18,284,285,286,319, 340,407
„ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲔᲛᲚᲕᲘᲛᲔ“ (წარწერაში მოხსენიებული), – 322
ᲘᲝᲐᲜᲔ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ – 50,187,189 190,193,254,286,319,321,325,408 409,439
ᲘᲝᲐᲜᲔ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘ, წმ. – 406
ᲘᲝᲐᲜᲔ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲜᲔᲚᲘ, ეპისკოპოსი, XVIIIს. – 192,196
ᲘᲝᲐᲜᲔ ᲢᲐᲢᲐᲜᲔᲚᲘ, რუისის სახარების გადამწერი, X ს. – 397
ᲘᲝᲐᲜᲔ II ᲢᲠᲐᲞᲘᲖᲝᲜᲔᲚᲘ, ტრაპიზონის მეფე (1280-1297) – 422
ᲘᲝᲓᲛᲐᲜᲒᲐᲜᲘ, ეზოსმოძღვარი იბერიაში – 231
ᲘᲝᲕᲔᲚ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ – 194,406, 407
ᲘᲝᲜᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ – 406
ᲘᲝᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ ნ., ზაკესკომის თავმჯდომარის მოადგილე – 281
ᲘᲠᲘᲜᲔ, წმ. – 266,409
ᲘᲝᲡᲔᲑ ᲗᲑᲘᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔ, მწერალი, თბილისის მიტროპოლიტი (1620-1689) – 50
ᲘᲝᲡᲔᲑᲘ, წმ – 57
ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲫᲔ თინა, დიდი სამამულო ომის გმირი (1920-1945) – 73
ᲘᲡᲐᲮᲐᲜ ᲧᲝᲠᲩᲘᲑᲐᲨᲘ, შაჰ-აბასის შვილიშვილი, XVII ს. – 205
ᲘᲡᲔ (ი ე ს ე) ᲬᲘᲚᲙᲜᲔᲚᲘ, ასურელი მამა, VI ს – 338,340
ᲘᲡᲘᲓᲝᲠᲔ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲜᲔᲚᲘ, ასურელი მამა, VI ს. – 18,191
ᲘᲣᲓᲐ, წმ – 193
ᲘᲣᲨᲙᲔᲠᲝᲕᲘ ნ., საბჭოთა კავშირის გმირი – 26

## Კ

„ᲙᲐᲑᲠᲘᲐ“ (ბერძნული წარწერა ბეჭდის თვალზე) – 373
ᲙᲐᲕᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ გიორგი, არქიტექტორი – 243
ᲙᲐᲕᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ილარიონ, არქიტექტორი – 172
ᲙᲐᲙᲡᲐᲫᲔ გრიგოლ, მღვდელი, სოფ.ხოვლეს სკოლის ხელმძღვანელი, XIX ს-ის II ნახ. – 221
ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ ალექსანდრე, არქეოლოგი (1909-1976) – 131,229,235,239,242, 244,246,258,259,267,337,346,347
ᲙᲐᲚᲐᲨᲜᲘᲙᲝᲕᲘ მიხეილ, არქიტექტორი (1886-1969) – 419
ᲙᲐᲚᲒᲘᲜᲘ ანატოლი, არქიტექტორი (1875-1943) – 257,282
ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ თეიმურაზ, არქიტექტორი – 264
ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ ალექსანდრე (სანდრო), სპორტსმენი, (1892-1959) – 244
ᲙᲐᲙᲐᲜᲐᲫᲔ შაქრო, საცხოვრებელი სახლის პატრონი – 456
ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲚᲐ, რომის იმპერატორი (211-217) – 373
ᲙᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ დავით, მწერალი, მეცნიერი, გაზეთების „ქართლი“ (1912-13) და „ახალი ქართლის“ (1914-1915) რედაქტორი (1862-1927) – 25
ᲙᲐᲠᲔᲚᲘᲜᲘ ი., არქიტექტორი – 253
ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲘ, იბერიის პიტიახშის ზევახის მეუღლე – 231
ᲙᲐᲡᲢᲔᲚᲘ დ ო ნ  ქ რ ი ს ტ ო ფ ო რ ო  დე, იტალიელი მისიონერი XVIII ს. – 32
ᲙᲐᲮᲐᲑᲔᲠ, რაჭის ერისთავი, XIII ს. – 45
ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲥᲝᲠᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲔᲑᲘ, კახეთის მთავრები, VIII-IX სს. – 297
ᲙᲐᲮᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ი., – საცხ. სახლის პატრონი – 41
ᲙᲔᲕᲚᲘᲔᲕᲘ (კ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი) ალექსი, ეკლესიის აშმენებელი, XIX ს. – 424
ᲙᲔᲚᲐᲢᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ სერგო, ტრაქტორისტი – 160
ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ მ., ხალხოსანი – 94
ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔᲔᲑᲘ, რაჭიდან ხოვლეში XIX ს-ის II ნახ-ში გადმოსახლებული გვარეულობა – 66

კეცხოველი ზაქარია, ლადო კეცხოველის მამა – 87
კეცხოველი ლადო (ვლადიმერ), რევოლუციონერი (1876-1903) – 26,40,87
კვერცხიშვილი თენგიზ, არქიტექტორი – 61
კვიპრიანე სამთავნელი, მწიგნობარი, XVII-XVIII სს. – 191
კვირიკე, წმ. – 147,266,407
კვირიკე, კახთა ერისთავი, X ს. – 207
კვირიკე, კახთა მეფე, Xს.-XI ს. დასაწყისი – 285
კვირიკე ამბა ალავერდელი, XV ს. – 199
კვირინე წმ. ალექსანდრიელი – 406
კიკნაძე ა., ზაკესკომი-ს წევრი – 281
კიკაროიძე ტარიელ, არქიტექტორ-რესტავრატორი – 321
კლდიაშვილი სიმონ, არქიტექტორი (1865-1920) – 44
კლემენტოსი, კათალიკოსი, VIII ს. – 285
კობახიძე თეიმურაზ, არქიტექტორი (1919-1983) – 238
კოზანოვი ს. საბჭოთა კავშირის გმირი – 26,393
კოზლოვსკი რ., მოქანდაკე – 298
კოზმა, წმ. – 50
კონსტანტინე, წმ. – 50,203,264
კომოდუსი, რომის იმპერატორი (180-192) – 373
კონიუშევსკი ლ., ზაკესკომი-ს წევრი – 281
კონსტანტინე, წმ. – 50,203,264
კონსტანტინე, ეკლესიის აშენებელი V-VI სს. – 400
კონსტანტინე II, ერთიანი საქართველოს მეფე (1479-1505) – 32,36,289,355
კონსტანტინე დიდი, რომის იმპერატორი (285-337) – 139
კონსტანტინე მიქელის ძე, ტაძრის აღმდგენელი, IX-X სს. – 401
კონსტანტინე მუხრანბატონი, მუხრანბატონების სახლის უფროსი, შიდა ქართლის სადროშოს სარდალი (1735-1756), სახლთუხუცესი, ტფილისის მოურავი (გარდაიცვალა 1776) – 297, 300,327
კოჟევნიკოვი, ინჟინერი – 282
კორინთელნი, ქართლის ფეოდალ-აზნაურები – 20
კოსტინი ბ., ზაკესკომი-ს წევრი – 281
კრიმ-გირეი, რუსეთის მეფის მოხელე – 34

## ლ

ლავრენტი, წმ. – 193
ლაზარე, წმ. – 50,193,203,216,217,324,407
ლაზარევი ვ., ხელოვნებათმცოდნე – 459
ლაითაძე მიხეილ, არქიტექტორი – 244
ლაისტი არტურ, მწერალი (1852-1927) – 305
ლარაძე ლეონიდე, ეპისკოპოსი, XVI ს. – 384,386
ლაშა-გიორგი, იხ. გიორგი IV ლაშა
ლაშა-გიორგის მემატიანე – 242
ლევან ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, ერეკლე II-ის ვაჟი (1756-1781) – 148,295
ლევან, კახეთის მეფე (1520-1574) – 333
ლევან მუხრანბატონი, XVIII ს. – 300
ლენინი ვ.ი. (1870-1924), ძეგლები – 133,284,420
ლემლეინი გიორგი, გეოლოგი, გათხარა მინის სახელოსნო ხოფ.კარსანში (1918წ.) – 291
ლეონ, აფხაზთა მეფე (957-967) – 297
ლეონ მუხრანბატონი (მოღალატე),XVIIIს – 324
ლეონიძე გიორგი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე (1900-1966) – 202
ლეონიძე ნიკო, გიორგი ლეონიძის მამა – 202
ლეონტი, წმ. – 185
ლეონტი მროველი, საეკლესიო მოღვაწე, რუისის ეპისკოპოსი, XI ს. – 129, 173,340,377,384
ლეონტიევი, გორის მაზრის უფროსი, XX ს-ის დასაწყისი – 34
ლეონტიევი კ., ინჟინერ-არქიტექტორი, ზაკესი-ს დამპროექტებელი – 282
ლეჟავა გიორგი, არქიტექტორი (1903-1977) – 15,16,108,109,233,306,307
ლესია უკრაინკა, ლარისა კოსაჩი, მწერალი (1871-1913) – 443,445
ლექვითაძე დავით, არქიტექტორი – 241
ლავროსი, წმ. – 406
ლიზიმაქე, მაკედონიის მეფე (ძვ. წ. 285–281) – 139
ლიპარიტ IV ლიპარიტის ძე, კლდეკარის ერისთავი, XI ს. – 45,198
ლიტკინენკო, პოლიციის ოფიცერი გორში (მოკლეს 1905 წ.) – 34
ლომთაძე ანზორ, არქიტექტორი – 232
ლომთათიძე გიორგი, არქეოლოგი – 229, 232,235,333,398
ლომოური ნიკო, მწერალი (1852-1915) – 26,37,40,44,94
ლორთქიფანიძე ბეჟან, არქიტექტორი (1908-1969) – 35
ლუარსაბ I, ქართლის მეფე (1534-1556) – 33,45,53
ლუარსაბ II, ქართლის მეფე (1606-1614) – 180,199,243,311,447
ლუკიანე, საეკლესიო მოღვაწე, VI ს. – 58
ლუკიანოვი ი., ტრაქტორისტი – 160

## მ

მაისურაძე ზაქარია, მხატვარი (1912-1971) – 252
მაკალათია სერგი, ეთნოგრაფი (1893-1974) – 36,88
მაკარი, წმ. – 189
მალაქია წინასწარმეტყველი – 406
მამაცაშვილი, აზნაური – 64
მამები, წმ. – 199,244
მამია I გურიელი, გურიის მთავარი (1512-1534) – 379
მამუკა მუხრანბატონი, ქართლის ფეოდალი – XVIII ს. – 300
მამულაშვილი მიხეილ, მებაღე-დეკორატორი (1873-1973) – 245,344
მამქანი, თაყა ზედგინიძის მეუღლე, XV ს. – 322
მარგველაშვილები, ეკლესიის აშენებლები, XIX ს. – 441,442
მარგიშვილი ირაკლი, არქიტექტორი – 61
მართა, სიმეონ მესვეტის დედა – 321
მარიამ დედოფალი, ქართლის მეფის როსტომის მეუღლე – 262,264,268, 386,435;
მარიამ დედოფალი, ვახტანგ V-ის მეუღლე – 401
მარიამ დედოფალი, დადიანის ასული, XVII ს. – 356
მარიამ დედოფალი, სახელმწიფო მოღვაწე, გიორგი I-ის მეუღლე, ბაგრატ IV-ის დედა, XI ს. – 385
მარიამ ეგვიპტელი, წმ. – 186
მარიამი, კონსტანტინე მუხრანბატონის მეუღლე, XVIII ს. – 297
მარიამი, წმ. – 57
მარიდაშვილები, მარნის პატრონები – 148
მარიდაშვილი სოფიო, სოციალისტური შრომის გმირი – 148
მარინე წმ – 266
მარკოზ მახარებელი, წმ. – 193
მარჯანიშვილი კონსტანტინე (კოტე), რეჟისორი (1872-1933) – 419
მასხარაშვილი ირაკლი, არქიტექტორი – 232
„მატრონა“ (ბერძნული წარწერა ბეჭდის თვალზე) – 373
მაძარაშვილი ი., საცხოვრებელი სახლის პატრონი – 44
მაღალაძე ადამ, XVII ს. – 217
მაღალაძე გიორგი, XVII ს. – 217
მაღალაძე ზურაბ, XVII ს. – 217
მაღალაძე იუსტინე, XIX ს. – 386
მაღალაძე მამუკა, XVII ს – 217
მაღალაძე ნიკოლოზ, სვეტიცხოვლის ქადაგი, კალიგრაფი, XVII ს. – 214,217, 267
მაღალაძე ნიკოლოზ, პროტოპაპ-მდივან-ქადაგი, XVIII ს – 309
მაღალაძე პაატა, XVII ს. – 217
მაღალაძე პაპუა, კალიგრაფი, XVII ს. – 214,217
მაღალაძე რევაზ, სახლთუხუცესი, XVII ს.– 216,217
მაღალაძე სოლომონ მდივან-მწიგნობარ-კალიგრაფი, XVII-XVIII სს. – 214
მაღალაძეები, აზნაურები, მწიგნობარ-კალიგრაფები – 22,214,232
მაჩაბელი ელენე, მოქანდაკე (1906-1987) – 241
მაჩაბელი მიხეილ, თავადი XIX ს. II ნახ. – 375
მაჩაბლები, ფეოდ. საგვარეულო ქართლში – 112
მაცხოვარი – 110,142,185,186, 189,199, 213,215,286,409,430
მაჭავარიანი მიხეილ, არქიტექტორი (1886-1951) – 282
მახარაშვილი გ., მოქალაქე – 139
მახვილაძე ბლასა, XVIII ს. – 353
მგალობლიშვილი სოფრომ, მწერალი, ხალხოსანი (1851-1925) – 24,36,40,368
მდეურნი, ქართლის ფეოდალ-აზნაურები – 20
მელითაური კონსტანტინე, არქიტექტორი – 258,260
მელიტონ სამთავნელი, მხატვარი, XVII ს. – 192
მელიქ-ფაშაევი ო., ინჟინერი – 281,282
მელქაძე გივი, არქიტექტორი (1925-1981) – 257
მელქისედეკ, კათალიკოს-პატრიარქი (1010-1033) – 21,150,253,262,268,269
მენაბდე თეიმურაზ, არქიტექტორი – 232
მენელსაცხებლე დედანი – 57
მერაბიშვილი კონსტანტინე, მოქანდაკე – 38
მესვეტე – 185
მესხი კოტე, მსახიობი (1857-1914) – 417
მთავარანგელოზი – 56,57,199,213,216
მთავარანგელოზი მიქაელი – 186,408
მეტცამი, ინჟინერი, XX ს-ის დასაწყ. – 282
მითრა, ინდო-ირანული ღვთაება – 17
მითრიდატე, იბერთა მეფე, ახ.წ. I ს. – 231
მინა, წმ. – 406
მირანდუხტი, ვახტანგ გორგასლის და, V ს. – 129,132
მირიან, ქართლის მეფე, IV ს. – 136,231, 254,255,261,265,266
მიტროფანე, წმ. – 406

ᲛᲘᲥᲐᲔᲚ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ – 68
ᲛᲘᲥᲐᲔᲚ ᲛᲔᲛᲚᲕᲘᲛᲔ, X ს. – 210
ᲛᲘᲥᲐᲔᲚ-ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘ – 186,252
ᲛᲘᲥᲐᲔᲚ ᲣᲚᲣᲛᲑᲔᲚᲘ, ასურელი მამა, VI ს. – 18,427
ᲛᲘᲥᲐᲔᲚ, ქართლის კათალიკოსი, XIII ს. – 192
ᲛᲘᲥᲐᲔᲚᲘ, შიომღვიმის წინამძღვარი (1072-1123) – 322
ᲛᲘᲥᲐᲔᲚᲘ, ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი, IX ს. – 285
ᲛᲘᲥᲐᲢᲐᲫᲔ შოთა, მოქანდაკე (1905-1979) – 42
ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ ბ., ინჟინერ-მშენებელი – 253
ᲛᲘᲥᲔᲚᲘ, მამა მიქელი, ურბნისის ეკლესიის აშენებელი, V-VI სს. – 400
ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘ, მეფისნაცვალი (1832-1909) – 417
ᲛᲝᲠᲑᲔᲓᲐᲫᲔ დავით, არქიტექტორი – 61
ᲛᲝᲡᲔ, წმ. – 50,217,254,266,426
ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲔᲑᲘ, – 199,203
ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲜᲘ, წმ. – 409
ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ რომანოზ, სვეტიცხოვლის დეკანოზი, XIX ს. – 261
ᲛᲣᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ ნ., საცხოვრებელი სახლის პატრონი – 325
ᲛᲣᲙᲘ, წმ – 406
ᲛᲣᲠᲐᲓᲝᲕᲘ დ., რევოლუციონერი (მოკლეს 1905 წ.) – 33
ᲛᲣᲠᲕᲐᲜ-ᲧᲠᲣ, ომანიანთა დინასტიის უკანასკნელი ხალიფა (744-750) – 19,129,231,333,396
ᲛᲣᲩᲐᲘᲫᲔ ი., რევოლუციონერი (მოკლეს 1905 წ.) – 33
ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘ, ფეოდალური საგვარეულო აღმ.საქართველოში, XVI-XIX სს. – 199,297,298,301
ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲑᲐᲢᲝᲜᲘ ბაგრატ, ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, საგვარეულოს ფუძემდებელი, შიდა ქართლის (მემარცხენე) სადროშოს სარდალი, XVI ს. I ნახევარი – 297,302,326,327
ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲑᲐᲢᲝᲜᲘ ქაიხოსრო (გარდაიცვალა 1629), მუხრანბატონების სახლის უფროსი, შიდა ქართლის სადროშოს სარდალი (1625-1626) – 297
ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲗᲛᲝᲫᲦᲕᲐᲠᲜᲘ, წმ. – 409
ᲛᲪᲮᲔᲗᲝᲡᲘ, ქართველთა ეთნარქი – 129,229,396
ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ლილი, არქიტექტორი – 61
ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ ნადირ, ეკლესიის აშენებელი, XVII ს. – 336
ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ პეტრე, ეკლესიის აშენებელი, XVII ს. – 336

## Ნ

ᲜᲐᲕᲠᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ გიორგი, მხატვარი – 145
ᲜᲐᲓᲘᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ სერგო, არქეოლოგი – 83,398
ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ ე., საცხოვრებელი სახლის პატრონი – 366
ᲜᲐᲓᲘᲠ-ᲨᲐᲰᲘ, ირანის შაჰი (1736-1747) – 33,320
ᲜᲐᲜᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ, მირიან მეფის მეუღლე, IV ს. – 245,254,265
ᲜᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ვლადიმერ, საბჭოთა კავშირის გმირი (1903-1978) – 26
ᲜᲐᲮᲣᲪᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ კიაზო, არქიტექტორი – 36
ᲜᲔᲑᲘᲔᲠᲘᲫᲔᲔᲑᲘ, ეკლესიის აშენებლები XIX ს. – 447
ᲜᲔᲙᲠᲐᲡᲝᲕᲘ, გორის პოლიციის ოფიცერი – 34
ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲔ თამარ, არქიტექტორ-რესტავრატორი – 55,185
ᲜᲔᲐᲠᲘᲜᲪᲔᲕᲘ მიხეილ, არქიტექტორი (1877-1962) – 42
ᲜᲔᲠᲔᲘᲓᲐ, დელფინზე, ძვ.ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი – 373
ᲜᲔᲡᲢᲐᲜ-ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ, ქართლ-კახეთის დედოფალი, ლუარსაბ მეფის დედა – 45
ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲘ, წმ. – 167
ᲜᲘᲐᲜᲘᲐ ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ, დიდგვაროვანი ფეოდალი, X-XI სს. – 285
ᲜᲘᲙᲝ ᲑᲔᲠᲘ, იხ. ბაგრატიონი ნიკო
ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔ იაკობ, მოქანდაკე (1876-1951) – 346
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘ, XVIII ს. – 436
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘ, წმ. – 216,406,407,408
ᲜᲘᲜᲝ, წმ., IV ს. – 136,231,253,254,255,261,265,302,396
ᲜᲘᲝᲠᲐᲫᲔ გიორგი, არქეოლოგი (1886-1951) – 229
ᲜᲘᲥᲝᲖᲔᲚᲘ, ჯვარის მამა, ეპისკოპოსი (XVII-XVIII სს.) – 367

## Ო

ᲝᲚᲘᲜᲙᲔᲕᲘᲩᲘ ა., ზედაზნის კანკელის რესტავრატორი, XX ს. – 285
ᲝᲛᲐᲜᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ომანიანთა (დამასკო) სახალიფოს მმართველთა დინასტია, VII-VIII სს. – 88
ᲝᲜᲘᲡᲘᲤᲝᲠᲔ, წმ. – 406
ᲝᲜᲝᲤᲠᲔ, წმ. – 189
ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ ალექსანდრე, მწერალი, ისტორიკოსი, ერეკლე II-ის შვილიშვილი (1802-1869) – 174
ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ ანასტასია, ივ. ჯავახიშვილის მეუღლე (1884-1969) – 174
ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ ვახტანგ, მწერალი, ერეკლე II-ის შვილიშვილი, (1812-1890) – 174
ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ იოანე, სოფ.ლამისყანაში ორბელიანების სასახლის პირველი მშენებელი, XVIII ს. – 174
ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ მანანა, საზოგადო მოღვაწე, (1808 – 1870) – 62
ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ ნიკოლოზ, მღვდელთმთავარი (1672-1732) – 384,386
ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ პაპუნა, ისტორიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე, XVIII ს. – 202
ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲣᲚᲮᲐᲜ-ᲡᲐᲑᲐ, მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე (1658-1725) – 417
ᲝᲠᲑᲔᲚᲐᲫᲔ ვაჟა, არქიტექტორი – 174
ᲝᲠᲗᲝᲘᲫᲔᲔᲑᲘ, ეკლესიის აშენებლები, XIX ს. – 442
ᲝᲠᲛᲝᲪᲘ ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲐᲛᲔ – 50
ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ილია, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პედაგოგი (1838-1898) – 239,344
ᲝᲫᲠᲝᲙᲘᲠᲘᲫᲔ ალექსანდრე, ეპისკოპოსი, XIX ს. – 285,321,323
ᲝᲥᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ არსენა, სახალხო გმირი – 241

## Პ

ᲞᲐᲕᲚᲔ, წმ. მოციქული – 189,254,309,408,409
ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ კ., საცხოვრებელი სახლის პატრონი – 49
ᲞᲐᲚᲔᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘ, ბიზანტიის იმპერატორები – 22
ᲞᲐᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ნეკზარ, არქიტექტორი – 40
ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ გიორგი, საბჭოთა კავშირის გმირი, (1913-1944) – 26,431
ᲞᲔᲢᲠᲔ, წმ., მოციქული – 167,193,309,408
ᲞᲔᲢᲠᲔ, წმ., ალექსანდრიელი – 406
ᲞᲘᲠᲝᲡ ᲑᲠᲔᲗᲔᲚᲘ, ასურელი მამა, VI ს. – 13,360
ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘ, ქვისმჭრელი – 231
ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘ, წმ. – 406
ᲞᲘᲢᲘᲐᲮᲨ-ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲔᲑᲘ – 16
ᲞᲝᲛᲞᲔᲣᲡᲘ, რომაელთა სარდალი, ძვ.წ. I ს. – 15,231,253
ᲞᲘᲢᲘᲐᲮᲨᲔᲑᲘ – 231
ᲞᲘᲩᲘ ი., მხატვარ-რესტავრატორი XIX ს. – 262
ᲞᲠᲝᲙᲝᲠᲔ, წმ. – 254,409
ᲞᲢᲝᲚᲔᲛᲔ ᲤᲘᲚᲝᲞᲐᲢᲝᲠᲘ („მამის მოსიყვარულე"), ელინისტური ეგვიპტის მმართველი (ძვ.წ.221-205/204) – 15
ᲞᲩᲔᲚᲘᲜᲐ ე., არქეოლოგი, XIX ს-ის დასაწყისი – 304

## Რ

ᲠᲐᲖᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ თედო, მწერალი, ვაჟა-ფშაველას ძმა (1869-1922) – 40,122
ᲠᲐᲖᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ნიკო, ბაჩანა, მწერალი, ვაჟა-ფშაველას ძმა (1866-1928) – 40
ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ ალექსანდრე, არქეოლოგი – 455
ᲠᲐᲢᲘ ᲚᲘᲙᲐᲠᲘᲢᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲐᲦᲕᲐᲨᲘ, კლდეკარის ერისთავი, X-XI სს. – 19,20,45,60
ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ ალექსანდრე, მოქანდაკე – 284
ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ქართლის ფეოდალები, XVI ს-დან – 316
ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ ზურაბ, ეკლესიის დამკვეთი XVIII ს. – 316,318
ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ეკლესიის აშენებლები, XIX ს. – 442
ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ სოლომონ, XVIII ს. – 353
ᲠᲘᲙᲐᲠᲓᲘ, არქიტექტორ-რესტავრატორი, XIX ს. – 192,262,340
ᲠᲝᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ალექსანდრე, ფოტოგრაფი (1846-1898) – 229
ᲠᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ეკლესიის აშენებლები – 442
ᲠᲝᲡᲢᲔᲕᲐᲜ, ეკლესიის და კანკელის შემკეთებელი – 46
ᲠᲝᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ შოთა, საბჭოთა კავშირის გმირი (1924-1945) – 26
ᲠᲝᲡᲢᲝᲛ, ქართლის მეფე (1632-1658) – 21,33,37,45,53,140,155,180,207,262,264,268,320,435,367
ᲠᲝᲢᲘᲜᲝᲕᲘ ა., ინჟინერი, გორის ხიდის აშენებელი (1908) – 42
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ, XIV ს. – 303
ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲛᲔᲤᲔ, საქართველოს მეფე (1222-1245) – 311
ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ მ., სოფ.ქვემო ჭალის სკოლის (გაიხსნა 1881 წ.) პირველი მასწავლებელი – 202

## Ს

ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔ გიორგი, დიდი მოურავი, პოლიტიკური, სამხედრო მოღვაწე (1580-1629) – 21,168,180,199,211,243,293,295,347,446,447
ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔ პაატა, გიორგი სააკაძის ვაჟი (სიკვდილით დასაჯეს 1625 წ.) – 157
ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔ სიაუშ, გიორგი სააკაძის მამა (გარდაიცვალა 1606) – 180
ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔᲔᲑᲘ, ქართლის აზნაურები – 22,157,180
ᲡᲐᲑᲐ, წმ. – 182,183
ᲡᲐᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ვახტანგ, არქიტექტორი – 232

სააკანელები, ეკლესიის აშენებლები, XIX ს. — 441
საზუერელნი, ფეოდალ-აზნაურები — 20
სამადაშვილი ვასილ, მღვდელი, ხალხოსანი (დაბ. 1850-გარდ. ?) — 87
საპარიტელი კალი — 264,266
სამსონი, ბიბლიური — 58
სანიხარაძე გრიგოლ, საბჭოთა კავშირის გმირი (1927-1945) — 26,454
სანიკიძე თამაზ, ხელოვნებათმცოდნე — 91
სატუნცი სტეფანე, არქიტ. (1910-1985) — 35
საურმაგ I, ქართლის მეფე, ძვ.წ. III ს. — 231
საფურცლელი მოწამეები, IV ს. — 302
სევეროვი ნიკოლოზ, არქიტექტორი (1887-1957) — 248
სერაფიტა, ზევახისა და კარპაკის ასული — 231
სერგეევი ა. ვ., რევოლუციონერი — 34
სვიმონ I, იხ. ს ი მ ო ნ I, ქართლის მეფე
სვიმეონ მესვეტე, წმ. — 190,193,321,322, 325,407,439
სიამარდიშვილები, ქართლის ფეოდალები, XVII ს-დან — 21
სიდონია, მცხეთელი ებრაელის ელიოზის და, IV ს. — 261
სილიბისტრო, წმ. — 406
სიმონ I, ქართლის მეფე, ლუარსაბ I-ის ძე (1537-1611; მეფობის წლები — 1556-69, 1978-1599) — 21, 33,74,129,207,297,302, 320,333
სიმონ II, ქართლის მეფე (1619-1631) — 199
სიმონა, წმ. — 406
სიმონი, ვახტანგ VI-ის ძმა — 33
სინატრუკი, პართიის მეფე (ძვ.წ. 77-70) — 139
სოზონი, წმ. — 406
სოლომნიშვილი ანატოლი, არქიტექტორი — 329
სოლოღაშვილი ანა, ეკლესიის დამკვეთი, ზურაბ რატიშვილის მეუღლე — 318
სოფონია წინასწარმეტყველი — 194,406
სოფრონი, ბედიელი მთავარეპისკოპოსი, XI ს. — 150
სტალინი ი. (1879-1953) — 26,35,41,42
სტამბოლევა ნატალია, რევოლუციონერი, გორის მოქალაქე (1905) — 34
სტაროსელსკები (საგვარეულო სახელი) — 304
სტაროსელსკი დიმიტრი, საზოგადო მოღვაწე, ი. ჭავჭავაძის ქვისლი (1832-1884) — 344
სტეფანე, წმ., პ ი რ ვ ე ლ მ ო წ ა მ ე — 110, 185,193,409
„სტეფანე" (ეპიგრაფიკული წარწერიდან) — 322
სტეფანე, დიაკვანი, VI-VII ს — 252
სტეფანოზ II, ერისმთავარი, VII ს. — 457, 460
სტეფანოზ, ქართლის ერისმთავარი (536 / 587-604 / 605) — 17,32,249,252
სტრაბონი, ძვ.ბერძენი ისტორიკოსი, გეოგრაფი (დაახლ.ძვ.წ. 64/63-ახ.წ. 23/24 — 15,16
სუბაშვილები, ციხის პატრონები (?), XVII-XVIII სს. — 75
სულეიმან, ახალციხის ფაშა, XVIII ს. — 82,351
სულიაშვილი დავით, რევოლუციონერი, მწერალი (1884-1964) — 446
სულხანიშვილი, მემამულე (1902) — 85
სულხანოვა (ს უ ლ ხ ა ნ ი შ ვ ი ლ ი) სალომე, მანუჩარ თუმანოვის (თუმანიშვილის) ასული, ეკლესიის აშენებელი, (?), XIX ს. — 51
სულხანოვი (ს უ ლ ხ ა ნ ი შ ვ ი ლ ი) დავით, ეკლესიის აშენებელი XIX ს. — 87
სუმბათაშვილ-ყიფიანი ნინო, მწერალი — 452
სუმბაძე ლონგინოზ, არქიტექტორი (1908-1984) — 35
სურამელაშვილი გრიგოლ, საბჭოთა კავშირის გმირი — 26
სუხიშვილი ვ., ზაკესკომი-ს თავმჯდომარის მოადგილე — 281
სხვილოსელნი, ქართლის ფეოდალ-აზნაურები — 20
სხირტლაძე ზაზა, ხელოვნებათმცოდნე — 459

ტ

ტიგრან II დ ი დ ი, სომხეთის (არმენიის) მეფე (ძვ.წ. 95-56) — 15
ტულუკაშვილი დავითი, მწიგნობარი XIX ს — 33

უ

უბრელიძე ნინო, არქეოლოგი — 245,311
უვაროვა პ., არქეოლოგი, ალექსი უვაროვის მეუღლე (1840-1924) — 398
უზუნ ჰასანი, ჰ ა ს ა ნ-ბ ე გ ი, აყ-ყოინლუს თურქმანთა სახელმწიფოს გამგებელი, სახელმწიფო, სამხედრო მოღვაწე (დაახლ. 1423-1478) — 32
უორდროპი მარჯორი სკოტ, ინგლისელი მთარგმნელი (1869-1909) — 305
უფლოსი მცხეთოსის ძე, ქართველთა ეთნარქი — 90,129,396

ფ

ფადლონი, განძის ამირა, XI ს. — 276,339
ფავლენისშვილი ბარნაბა, თბილელი მთავარეპისკოპოსი, XVI ს. — 218
ფავლენიშვილები, ქართლის ფეოდალები, XVII ს-დან — 21
ფალავანდიშვილები, ქართლის ფეოდალები, XVII ს-დან — 21,378
ფალავანდიშვილი ქრისტეფორე, ურბნელი ეპისკოპოსი, XVIII ს. — 402
ფანასკერტელი ზაზა, იხ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი-ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ზაზა
ფანასკერტელი ზაქარია, სამხრ.საქართველოს წარჩინებული ფეოდალი, XII-XIII სს, — 110
ფანასკერტელ-ციციშვილები, წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო, XVI-XVII სს. — 381,383,390
ფანასკერტელ-ციციშვილი ევსტათის ძე, ეკლესიის მშენებლობის დამკვეთი, XIX ს. — 351
ფანასკერტელ-ციციშვილი ზაზა, პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი (XV ს) — 383,408
ფარნავაზი, ქართლის მეფე, ძვ წ. IV-III სს. — 14,229,231,239,241,278
ფარნაჯომი, ქართლის მეფე, ძვ.წ.II ს. — 231,246
ფარულავა ოთარ, მოქანდაკე — 133
ფარუს იესარი (1462-1500) — 422
ფატალი-ხანი, სპარსელთა გაერთიანებული ლაშქრის სარდალი, XVIII ს. — 202,207
ფაუსტინა (141-176) — 373
ფაფერაშვილი ვახტანგ, არქიტექტორი (1914-1982) — 232
ფუმანგიშვილი სტეფანე, მწიგნობარი, XIX ს. — 33
ფირალიშვილი ხ., ზაკეს-ის მშენებლობის უფროსის მოადგილე — 281
ფლავიოს დადე, იბერთა მეფე, ახ.წ. II III სს. — 231
ფლოროს, წმ. — 406
ფრანგიშვილი ვიტალი, არქიტექტორი — 419,443
ფოლადაშვილი შაქრო, საცხოვრებელი სახლის პატრონი — 149
ფორაქიშვილი-სოკოლოვა ქეთევან, არქიტექტორი (1905-1988) — 35
ფურცელაძე ანტონ, მწერალი (1839-1913) — 44,78,94
ფურცელაძე ისაია, საზოგადო მოღვაწე (1851-1924) — 79
ფხვენელნი, ქართლის ფეოდალ-აზნაურები — 20

ქ

ქადაგიშვილები, საეკლესიო აზნაურები — 198
ქავთარაძე გივი, არქიტექტორი — 184
ქალწულნი, წმ — 409
ქართველიშვილი, გლეხი (ბრილიდან) — 425
ქართლოსი, ქართველთა ეთნარქი — 239
ქარუმიძე თინათინ, არქეოლოგი, არქიტექტორ-რესტავრატორი (1909-1980) — 89,91
ქარუმიძე პაპუა, სახლთუხუცესი, XVIII ს. — 203
ქარქუსაშვილი თომა შალვას ძე, ეკლესიის აშენებელი, XIX ს — 210
ქებაძე გ., საცხოვრ.სახლის პატრონი — 47
ქეთევან დედოფალი, წმ., XVIII ს. (წამებით გარდ. 1624 წ.) — 453
ქერიმ-ხანი მოჰამედ, ირანის გამგებელი, XVIII ს. — 202,207
ქერუბინები — 189
ქვარიანი ნონა, რესტავრატორი (1936-1986) — 256
ქობული, სტეფანოზ ერისმთავრის ოჯახის წევრი, VI-VII სს. — 252
ქობულია ვასილ, არქიტექტორი — 244
ქორძაძე გიგა, ხურო-ხელოსანი, XX ს-ის დასაწყისი — 41
ქოქოშვილი გიორგი, საცხოვრებელი სახლის პატრონი — 363
ქრისტე, 50 (პ ა ნ ტ ო კ რ ა ტ ო რ ი), 56 (ყ ო ვ ე ლ ი ს მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი), 161, 167,185,193,194 (ყ ო ვ ე ლ ი ს მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი), 203,216,217 (ყ ო ვ ე ლ ი ს მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი), 252,254,261,264,265, 266 (ყ ო ვ ე ლ ი ს მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი), 267 (მ ა ც ხ ო ვ ა რ ი), 269,271,311,321,322, 334,341,356,369,388,395,405,407,409, 426,430,461
ქრისტეფორე, წმ. — 262
ქსეფარნუგი, იბერთა დიდი მეფე, II ს. — 231
ქსნის ერისთავები, წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო — 174
ქუთათელაძე დ., არქეოლოგი — 239
ქუმსიშვილი ნიკო, მომღერალი (1892-1942) — 344
ქურდიანი არჩილ, არქიტექტორი (1903-1988) — 35,42
ქურდიანი ზაქარია, არქიტექტორი (1909-1983) — 42
ქურდიანი ნადეჟდა, არქიტექტორი (1909-1978) — 42,61

ღ

ღამბაშიძე ნიკო, არქეოლოგი — 307
ღვთისმშობელი — 56,57,187,189,190,194,

199,215,221,254,264,265,321,395,405, 406,407,408,409,432,439
ღვინიაშვილი თენგიზ, მოქანდაკე – 36

ყ

ყაზბეგი ალექსანდრე, მწერალი (1848-1893) – 172
ყანჩაელნი, ქართლის ფეოდალ-აზნაურები – 20
ყარაშვილი მანუჩარ, არქიტექტორ-რესტავრატორი – 170
ყარჩიხა-ხანი, შაჰ-აბასის სარდალი – 136
ყვარყვარე II ჯაყელი, სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი (1451-1498) – 36,355
ყიფიანი დიმიტრი, საზოგადო მოღვაწე (1814-1887) – 452
ყიფიანი კოტე, მსახიობი (1449-1921) – 417
ყორღანაშვილი მერაბ, მეფისკარის მდივანი, XVII ს. – 140

შ

შავიშვილი მიხეილ, არქიტექტორი (1894-1965) – 35,346
შაიშმელაშვილი გია, არქიტექტორი – 232
შალვა „ბალატონი" – 386
შალიკაშვილები, ქართლის ფეოდალები, XVII ს-დან – 77
შალიკაშვილი, კტიტორი – 115
შალიკაშვილი ელიმერ, ეკლესიის ამშენებელი, XVII ს. – 78
შალუტაშვილი ალექსანდრე, მოქანდაკე – 40
შანშე ქსნის ერისთავი, პოლიტიკური მოღვაწე (XVII ს-ის მიწურული-1753) – 191
შარაშენიძე ირინა, არქიტექტორ-რესტავრატორი – 174
შარდენი ჟან, ფრანგი მოგზაური (1643-1713) – 33
შატბერაშვილი გიორგი, მწერალი (1910-1965) – 163,172
შატბერაშვილი ზებედე, არქეოლოგი – 152,179
შაქარაშვილი, ეკლ. ამშენებელი – 148
შაჰ-აბას I, ირანის შაჰი, XVII ს. – 33, 136,205,207,320
შაჰ-თამაზ, ირანის შაჰი, XVI ს. – 33, 45,53,276
შაჰ-ნადირი, იხ. ნადირ-შაჰი
შაჰ-სეფი, (1629-1642) – 140
შერვაშიძეები, დიდი ქართველი ფეოდალები, სოფ.სახირეთის წმ.გიორგის ეკლესიაში სავარაუდოა ამ საგვარეულოს საძვალე, XIX ს-ის II ნახ. – 140,198
შიო, წმ., შიო მღვიმელი, ასურელი მამა, VI ს. – 18,210,319,322
შიო მღვიმელი, ქუჩუკაშვილი, მწერალი (1866-1933) – 360
შიოში, იეანე ზედგენიძის სახლთუხუცესი, XVII ს. – 310
შიუკაშვილი ნიკოლოზ (ნიკო), დრამატურგი (1870-1938) – 36
შჩუკინი პ., კოლექციონერი – 398

ჩ

ჩადუნელი მარიამ, მეჭარხლე – 164
ჩარიკოვი (ჩარიკაშვილი), გენერალი, ეკლესიის ამშენებელი, XIX ს. – 302
ჩერკასოვი, რუსეთის პოლიციის ოფიცერი გორში, მოკლეს 1905 წ. – 34
ჩერნიშოვი სერგეი, არქიტექტორი (1881-1963) – 284
ჩოლოყაშვილი ელენე, ეკლესიის ამშენებელი – 205
ჩომახიძე ლერი, არქიტექტორი – 225
ჩუბინაშვილი გიორგი, მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე (1885-1973) – 248, 285,340
ჩუბინაშვილი დავით, მეცნიერი (1814-1891) – 305,340
ჩუბინაშვილი ნიკოლოზ, მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე – 166,268,285,340, 367
ჩუბინაშვილი ტარიელ, არქეოლოგი – 151
ჩხეიძე კონსტანტინე, არქიტექტორი – 40
ჩხეიძე ნიკოლოზ, ქვათახევის წინამძღვარი, XVII ს. – 200
ჩხეიძე სეხნია, ისტორიკოსი, XVIII ს – 202
ჩხეიძე უშანგი, მსახიობი (1898-1953) – 417
ჩხიკვაძე მიხეილ, არქიტექტორი (1903-1986) – 35,36,38

ც

ციმაკურიძე ალექსანდრე, მხატვარი (1882-1954) – 452
ცინცაძე ვახტანგ, არქიტექტორ-რესტავრატორი – 200,242,243,245,248,254, 262,316,386,457
ცინცაძე ვლადიმერ, არქიტექტორი – 35
ციყელაშვილები, ეკლესიის ამშენებლები, XIX ს. – 442
ციციშვილები, ქართლის ფეოდალური საგვარეულო – 22,53,289,311,351,363
ციციშვილი ვახტანგ, ქართული კონიაკის წარმოების სპეციალისტი (1888-1965) – 403
ციციშვილი ზაზა, XVII ს. პოლიტიკური მოღვაწე, სომხით-საბარათიანოს მეწინავე სადროშოს სარდალი – 199
ციციშვილი თომა, სოფ. ხცისში სასახლის პატრონი – 462
ციციშვილი ი., სოფ.ხოვლეს სკოლის ხელმძღვანელი, XIX ს-ის II ნახ – 221
ციციშვილი ი., XX ს – 351
ციციშვილი ლევან, XX ს. – 34
ციციშვილი მერაბ, სოფ.სამწევრისის მიდამოების მფლობელი, მისი დაკვეთით შეუკეთეს სამწევრისის წმ. გიორგის ეკლესია (XV-XVI სს-ის მიჯნა) – 389, 390
ციციშვილი მერაბ, სოფ.ქვემო ნიჩბისის მფლობელი (1615 წ-დან) – 311
ციციშვილი ნოდარ, პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე (გარდ. 1658 წ.) – 53,155
ციციშვილი ფარსადან, პოლიტიკური მოღვაწე, მოკლე ხნით ხაციციანის მფლობელი, XVII ს-ის მიწურული – 363
ციციშვილი ქაიხოსრო, სოფ. ქვემო ნიჩბისის მფლობელი (1615 წ-დან), ხაციციანის გამგებელი (XVII ს-ის მიწურულიდან) – 311,363
ციციშვილი ციცი, ხაციციანის მფლობელი (?-1695) – 363
ცქიტიშვილი ზურაბ, არქიტექტორი (1914-1987) – 35
ცქიტიშვილი გიორგი, არქეოლოგი – 118,134,147,155,157,158,169,172,198
ცხვედაძე ალექსანდრე, ნიკოლოზ (ნიკო) ცხვედაძის ძმა, ავტორი კომედიისა „ბედნიერი ქორწილი", XIX ს. – 172
ცხვედაძე იოსებ, სოფ.ხოვლეს სკოლის ხელმძღვანელი (1855-1934) – 221
ცხვედაძე ნიკოლოზ (ნიკო), საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, (1845-1911) – 63,343,344

ძ

ძაგანი, მსხვილი ფეოდალი, XII ს. – 319
ძაგანისძე მოდესტო, ფეოდალი, XI ს. – 339
ძაგანისძეები, ერისთავები – 297,339, 346

წ

წერეთელი აკაკი (1840-1915) – 24,305, 417,443,452
წილკნელი ეპისკოპოსი – 316,339
წილოსანი ვლადიმერ, არქიტექტორი (1885-1971) – 166
წინამძღვრიშვილი გიორგი, ილია წინამძღვრიშვილის ბიძა – 344
წინამძღვრიშვილი ილია, საზოგადო მოღვაწე (1834-1920) – 305,343,344
წინასწარმეტყველები – 56
წერუაშვილები – 155
წულაძე აპოლონ, საზოგადო მოღვაწე – 344

ჭ

ჭავჭავაძე ილია (1837-1907) – 24,26, 129,172,239,305,343,344,346,452
ჭეიშვილი გურამ, არქიტექტორი, მხატვარ-რესტავრატორი – 55,59
ჭიაბერი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, XII ს. – 303
ჭიაურელი მიხეილ, კინორეჟისორი (1894-1974) – 280
ჭიკაიძე ასმათ, არქიტექტორ-რესტავრატორი – 59
ჭილაშვილი ლევან, არქეოლოგი – 313
ჭიჭინაძე ბესარიონ, ინჟინერ-ჰიდრომშენებელი (1887-1937) – 281, 284
ჭიჭინაძე ი., სოფ.ხოვლეს სკოლის ხელმძღვანელი, XIX ს-ის II ნახ. – 221

ხ

ხაბელაშვილი გ., რევოლუციონერი, XX ს. – 34
ხალხოსნები – 24
ხარლამპი, წმ. – 406
ხარიძე ე., სახლის პატრონი – 441
ხახუტაიშვილი დერსენ, არქეოლოგი – 89,90,91
ხახუტაშვილი ი., ეკლესიის ამშენებელი – 63
ხერხეულიძე იოანე, XVIII ს. – 367
ხერხეულიძეები, ქართლის ფეოდალები, XVII ს-დან – 21
ხვარამანი, ნიკოლოზ მღვდლის და, XVIII ს. – 309
ხვედელიძე ჯემალ, არქიტექტორი – 443
ხიდირბეგიშვილები, ქართლის ფეოდალები, XVII ს-დან – 21
ხიმშიაშვილი ლევან, არქიტექტორ-რესტავრატორი (1920-1980) – 55, 390
ხმალაძე ილია, საბჭოთა კავშირის გმირი (1911-1941) – 26,155
ხმიადაშვილი გ. – რევოლუციონერი, XX ს. – 34
ხომასურიძეები, ეკლესიის ამშენებლები – 81
ხოშტარია ნინო, არქეოლოგი (1901-1969) – 229
ხურსიმე, წმ., მოციქული – 193
ხუბუა თემურაზ, არქიტექტორ-რესტავრატორი – 175

ჯ

ჯაბადარი, ისტატი – 172
ჯაბუა გრიგოლ, არქიტექტორი – 420
ჯავახი, იხ. ზ ე ვ ა ხ ი
ჯავახიშვილები, ქართლის ფეოდალების საგვარეულო, XIV-XIX სს. – 184, 289
ჯავახიშვილები, გამრეკელ-თორელების განაყოფი გვარი, ძამის ციხის პატრონები, XIV ს. – 383
ჯავახიშვილი ალექსანდრე, არქეოლოგი, – 397,398
ჯავახიშვილი ვახტანგ, ეკლესიის ამშენებელი, XV ს. – 82
ჯავახიშვილი ზ., სოფ.ხოვლეს სკოლის ხელმძღვანელი – XIX ს-ის II ნახ. – 221
ჯავახიშვილი ივანე, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე (1876-1940) – 24, 26,36,53,174,225,229,258,324
ჯავახიშვილი მიხეილ, მწერალი (1880-1937) – 344
ჯავახიშვილი ქეთევან (ქეთო), სოფ.ხოვლეს სკოლის ხელმძღვანელი (1872-?), XIX ს-ის II ნახ. – 221
ჯამბაკურ-ორბელიანი მარიამ (1852-1941) – 174
ჯანაშია ნიკოლოზ (ნიკო), საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პედაგოგი (1872-1918) – 40
ჯანაშია სიმონ, მეცნიერი, ისტორიკოსი (1900-1947) – 29,239,258
ჯანდიერისშვილები, კახეთის თავადები – 272
ჯაფარიძე გოგი, არქიტექტორი – 135, 242
ჯაში პაატა, არქეოლოგი – 91
ჯობაძეები, ეკლესიის ამშენებლები, XIX ს. – 449
ჯორჯაძე ზ., მეღვინე, XIX ს. – 299
ჯუანშერი, ისტორიკოსი, XI ს. – 32,37, 68
ჯუანშერ ს პ ა ს პ ე ტ ი, V ს. – 17
ჯულაშვილი ბესარიონ – 41
ჯულაშვილი იოსებ (ს ტ ა ლ ი ნ ი) – 40

ჰ

ჰალილ ალა I (1417-1462) – 422
ჰაუპტი კარლ ლემან, აღმოსავლეთმცოდნე – 305
ჰაჯიბეკოვი უზეირ აბდულ ჰუსეინ ოღლუ, კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე (1885-1948) – 40
ჰომამ კიტრის ძე, ეკლესიის ამშენებელი, IX ს. – 277

## გეოგრაფიული და ეთნიკური სახელებისა

ა

აბანო – 351,361*
აბისი – 23,350,353
აბრეშუმის გზა – 229
აბულეთის ბორცვი (სოფ. სათოვლე) – 306
აბუხალო – 354
აბარა(სადაბო საბჭოს ცენტრი) – 354
აბარა (დასახლება) – 155
ადუანთხევი(უფლისციხე) – 88,89
ავალიშვილების სათავადო – 360
ავკეთი – 43
ავლევი – 350,354
ავნევის ქედი – 280
აზერბაიჯანის სსრ – 269
ალანები – 302
ალბანეთი (ისტ.) – 15,229
ალექსანდრესწყარო – 422
ალი – 21,416,422
ამიერკავკასია – 12,282,297,417
ამიერკავკასიის რკინიგზა – 30,228
ამილახორთა სათავადო – 379
ანანური – 404
არაბები – 19,91,239,316,324
არაგვი, მდ. – 12,21,228,229,231,232,233, 239,242,248,257,269,282,294,295,303, 346,347
არაგვის გზა – 12
არაგვის საერისთავო – 21
არაგვის ხეობა – 12,241,305
არადეთი – 15,355,363,378
არადეთის ორგორა – 355
არაკაანთხევი (სოფ. სციხი) – 462
არაშენდა (გორის რ-ნი, ვარიანის სოფსაბჭო) – 43,82
არაშენდა (მცხეთის რ-ნი, გალავნის სოფსაბჭო) – 270
არბო – 26,37,44
არმაზი – 229,241
არმაზის მთა – 240,265
არმაზისწყალი, მდ – 234
არმაზისხევი – 16,235,242
არმაზციხე (ქ. მცხეთა) – 15,229,231
არუხლო – 282
არცევი – 85
ატენი – 21,24,25,30,45,65
ატენის ხეობა – 18,180
ატოცი – 357
აქემენიდთა ირანი – 241
აქლემის გზა – 229
აღაიანი – 15,128,129,136,198,302
აღაიანის ველი – 136
აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზა – 427
აღმოსავლეთის პროვინციები – 231
აღმოსავლეთ საქართველო – 14,30,128, 228,232,247,269,297,450
აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო – 229,237
აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო – 229
აშურიანი – 13,90,180
აშურიანის ველი – 12,152,180
ახაბეთისხევი – 17
ახსუმეთი – 17
აძვი – 46
აწყური – 384

------

*ყველგან მითითებულია გვერდი, სადაც ნახსენებია გეოგრაფიული ან ეთნიკური სახელი

ახალგორი – 302
ახალდაბა (ბორჯომის რ-ნი) – 447
ახალდაბა (გორის რ-ნი, ვარიანის სოფსაბჭო) – 47
ახალდაბა (მცხეთის რ-ნი, ლისის სოფსაბჭო) – 270
ახალი არმაზი – 247
ახალი ნიჩბისი – 310
ახალსოფელი (მცხეთის რ-ნი, საგურამოს სოფსაბჭო) – 270
ახალსოფელი (ქარელის რ-ნი, სოფსაბჭოს ცენტრი) – 350,359,383
ახალსოფელი (ხაშურის რ-ნი, ოსიაურის სოფსაბჭო) – 425
ახალსოფელი (სოფ. აღაიანის უბანი) – 139
ახალუბანი (გორის რ-ნი, სოფსაბჭოს ცენტრი) – 30,48
ახალუბანი (მცხეთის რ-ნი, მისაქციელის სოფსაბჭო) – 271
ახალქალაქი (წითელქალაქი) – 21,33,140, 142
ახალქალაქ-წინარეხის გზა – 162
ახალშენი – 142
ახალციხე (კასპის რ-ნი, სოფსაბჭოს ცენტრი) – 128,129,142
ახალციხე (მესხეთის) – 21,447
ახალციხის ხევი – 142,156
ახლო აღმოსავლეთი – 184
ახრისი – 48

ბ

ბაგინეთი – 15,16,32,238,239,241
ბაგინეთის მთა – 231
ბაზალეთი – 17,280,297,339
ბამბები (უფლისციხე) – 88,91
ბანა – 252
ბარბაციკარი (სოფ წალვლი) – 454
ბარბიყარიას მინდორი (სოფ. ძეგვი)– 333
ბარნაბიანთკარი – 143
ბატონის საყდარი (სოფ. ფლავისმანი)– 111
ბაქო – 87
ბალები (სოფ. დიღომი) – 278
ბაღვაში რატის საერისთავო – 20
ბაბყალა (სოფ. თელოვანი) – 288
ბებნისი – 13,27,112,359
ბებნისი (ნასოფლარი) – 220
ბევრეთი 271
ბექამი – 428
ბელაანთკარი (სოფ. დვანი) – 366
ბერბუკი – 30,48
ბერიკლდეები (სოფ. ბებნისი) – 359
ბერუათხევი (სოფ. სათოვლე) – 307
ბერშუეთი – 48
ბერქნაული – 360
ბერქნები – 246
ბერძნულ-რომაული სამყარო – 91
ბესას ტყე (სოფ. წალვლი) – 455
ბეღლეთი – 425
ბეღლეთის გორა (სოფ. ახალსოფელი, ხაშურის რ-ნი) – 425
ბიზანტია – 21,45
ბიისი (სოფ. ბობნევი) – 49
ბიწმენდი – 272
ბიჭვინთა – 238
ბიჯნისი – 425
ბნავისი – 49
ბობნევი – 23,49
ბოგირები (სოფ. გლდანი) – 247
ბოკერაანთ უბანი (სოფ. გუდალეთი) – 155
ბოლოვინი – 272
ბორცვისჯვარი – 319

ბორჯომი – 25,418,434
ბორჯომის რ-ნი – 30,350,416
ბორჯომის ხეობა – 378,393,442
ბოსლები (სოფ. წრომი) – 457
ბოტისისწყლები, მდ. – 212
ბოშური – 23,30
ბრბონა – 447
ბრეთი – 23,350,360
ბრეთის ხევი – 360
ბრეძა – 350,361
ბრილი – 425
ბრილისი (ქვის ხანის სადგომი) – 179
ბროწლეთი – 51
ბუზიანთ უბანი (სოფ. წინარეხი) – 212
ბულბულისციხე – 427
ბულგარეთი – 298
ბუღაურა – 427


## გ


გადასახედი კლდე (სოფ. სათოელე) – 307
გაიაზური (სოფ. ერთაწმინდა) – 156
გაიჩაანთუბანი – 51
გალავანი – 228,272
გალავნები (სოფ. წაღვლი) – 455
გალავნის უბანი (სოფ. მუხრანი) – 298
გალანძირი (სოფ ქვიშხეთი) – 451
გამდლისწყარო – 12,143,207
განჯა – 442
გარბანი – 434
გარბალი (ნასოფლარი) – 156
გარდაბნის რ-ნი – 228
გარდატენი – 52
გარე კახეთი – 346
გარე უბანი (ქ. გორი) – 33
გარიყულა – 143
გარიყულას ხევი – 145
გერმანია – 282
გველდესი (ნასოფლარი) – 180
გვერდისძირი – 17
გვერდისუბანი – 427
გვერძინეთი – 350,362,388,410
გვირგვინა – 361
გლდანი – 228,272
გლდანის ხევი – 274
გომი (ქარელის რ-ნი, სოფსაბჭოს ცენტრი) – 128,147
გომი (ხაშურის რ-ნი, სოფსაბჭოს ცენტრი) – 416,427,428
გომი-საჩხერის გზა – 422,438
გომისჯვარი – 148
გორაკა (ქვ. ჭალის სოფსაბჭო) – 149, 207
გორაკა (სოფ საქაშეთი) – 82
გორანა (სოფ. საქაშეთი) – 82
გორგოტას ბორცვი (სოფ ტკოცა) – 448
გორგოტის ძირები (სოფ. ტკოცა) – 448
გორება (სოფ ქსოვრისი) – 318
გორი, ქალაქი – 12,21,24,25,26,30,31,32, 33,34,55,91,310,333,378,384,434
გორის გუბერნია – 23
გორის ვაკე – 30
გორის მაზრა – 23,30,61,128,129,151,207, 221,411,416,428
გორის რ-ნი – 12,26,30,85,128,350
გორის რ-ნის რუკა – 28
გორისუბანი (სოფ. საგურამო) – 304,305
გორის (ქალაქის) ძეგლების რუკა – 31
გორი-ცხინვალის რკინიგზა – 30,38
გორიჯვარი – 30,31
გოროვანი – 275
გოსტიბე – 26,128,150
გოსტიბესწყალი, მდ. – 150
გოჩაანთკარი (სოფ. ზღუდერი) – 373
გოხის გორა (სოფ. ულუმისმანი) – 111
გრაკალი (გარკალი) – 151,152,155
გრემისხევი – 280
გრძლეები (სოფ ტინისხიდი) – 85
გუგულაანთ უბანი (სოფ. მეტეხი) – 179
გუდაბერტყა (სოფ. სევენეთი) – 13,83
გუდალეთი – 152
გუდამაყარი – 339
გურამიშვილების სათავადო – 303,346


## დ


დამაალა – 302
დამაალო (სოფ. ვაზიანი) – 280
დამჩხრეულა – 428
დარბაძიანთ ზაოზები (სოფ. ატოცი) – 358
დარიალ-არაგვის გზა – 295
დარიალის გზა – 12
დასავლეთ ევროპა – 12
დასავლეთ საქართველო – 12,16,184,229, 442
დაჭრილები (სოფ. კავთისხევი) – 171
დაჭრილები (სოფ. ნიგოზა) – 180
დგვრისი – 25
დედაბერას უღელტეხილი – 12
დედოფლის მინდორი – 15,16,355,363, 365,366,411
დემურაანთ უბანი (სოფ. ტინისხიდი) – 86
დვანი – 17,350,366
დიდგორა (სოფ. ჩარდახი) – 325
დიდგორ-ბელიყარა-სამადლოს გზა – 276
დიდგორი – 20,276

დიდგორის მთა – 276,277,278,288
დიდვაკე (სოფ. გლდანი) – 274
დიდი ატენი – 46,55
დიდი გეკამი – 428
დიდი გარეჯვარი – 61,73
დიდი თხინალა – 428
დიდი კამარახევი – 346
დიდი ლიახვი, მდ. – 85
დიდი მეჯვრისხევი – 37,61,85
„დიდი მცხეთა“ – 15,229,231,242,297,307
დიდი სატივე – 428
დიდი ფლევი – 429
დიდი ჯალეთი – 429
დიდი წერეთი – 64
დიდი წიფლის ღელე (სოფ. ბრილი) – 426
დიდი ხავლეთი – 430
დიდი ხალები – 430,431
დიდი ხურვალეთი – 64,85
დიდმანიანი (სოფ გლდანი) – 274
დიდრიყე (სოფ. სათოელე) – 307
დირბი – 350,367
დირბის [illegible] – 367
დიღმის [illegible]
დიღმის[illegible]
დიღმის ხევი [illegible]
დიღმის ხეობა – 270
დიღმურა, მდ. – 271,293
დიღომი – 228,276
დიცი – 23,25,30,65,85
დოესი – 25,128,155
დონეცკის ოლქი – 42
დოღლაურა – 355
დოღლაურის ველი – 12
დრე – 65
დუბე (სოფ. ხოვლე) – 222
დუმაცხოვო – 431
დურა-ევროპოსი – 16
დუშეთ-ანანურის მაზრა – 23
დუშეთი – 25,339
დუშეთის მაზრა – 228,232,242,350
დუშეთის რ-ნი – 12,128,228


## ე


ებნისი – 280
ებრაელები – 261,396
ეგვიპტე – 15,16
ეგრის-აფხაზეთის სამეფო – 19
ეგრისი – 14
ევროპა – 18
ევფრატი, მდ. – 56
ეზატი – 155
ელბაქიანთკარი (სოფ. ელბაქიანი) – 370,371
ელბაქიანი – 370
ელიას მთა – 347
ელინიზებური იბერიელები – 246
ერგნეთი – 65
ერედა – 280,329
ერედის ხევი – 280
ერევანი – 442
ერთაწმინდა – 156,191
ერუშეთი – 85
ერწო – 339


## ვ


ვაზიანი – 280
ვაკე – 158,207
ველიაანთ-უბანი (სოფ. ბნავისი) – 49
ვარიაგები (ვარანგები) – 198
ვარიანი – 25,26,27,30,65,66,82
ვარცლები (სოფ. ხცისი) – 462
ვაყა – 432
ვაყას ხეობა – 378
ვედრება – 371
ვერე, მდ. – 53,54
ვერეს ხეობა – 52
ვეჯინის ხევი – 273,274
ვირიტაშა (სოფ. ახალდაბა, გორის რ-ნი) – 47


## ზ


ზადენციხე – 15
ზარდიანთკარი – 67
ზარიძეებისწყალი, მდ. – 306
ზარიძიანთ უბანი (სოფ. ხცორძა) – 347
[illegible] – 281
[illegible] (სოფ. საციხური) – 393
[illegible] (სოფ. გლდანი) – 274
ზედაზენი – 232,284,297,305,319
ზედაზნის მთა – 284
ზედა უბანი (სოფ. ულუმბო) – 354
ზედაჯვარი (ნასოფლარი) – 143
ზემო ავჭალა – 27,282
ზემო აძვისი – 433
ზემო ბოშური – 67
ზემო ბროლოსანი – 433
ზემო იმერეთი – 13
ზემო ნიქოზი – 68
ზემო ნიჩბისი – 287,310
ზემო ოსიაური – 434
ზემო რენე – 158
ზემო სობისი – 69
ზემო უბანი (სოფ. დიღომი) – 279
ზემო უბანი (სოფ. ხასირეთი) – 198

ზემო ფცის უბანი (სოფ. ფცა) – 403
ზემო ქართლი – 12,333,378,422
ზემო ქართლის მემარჯვენე სადროშო – 151
ზემო ქართლის სადროშო – 360,379
ზემო ჭიოვრისი – 70
ზემო ნიქოზი – 158
ზემო ხანდაკი – 128,160
ზემო ხევსურეთი – 350,371
ზემო ხვითი – 70
ზემო ჯვარ-კორტოხის უღელტეხილი – 12
ზენა ჭალა (სოფ. გლდანი) – 274
ზენა სოფელი – 12,14
ზენაჯვარი (სოფ. დირბი) – 368
ზერტი – 70,85
ზეღდულეთი – 30,72,85
ზირთი (ნასოფლარი) – 209
ზირთის მთა – 209
ზნაურის რ-ნი – 416
ზღუდერი – 16,350,372

## თ

თაბაეთი – 417,434
თამარიანთ უბანი (სოფ. კუდილეთი) – 154
თათარ-მონღოლები – 32
თამარაშენი – 374
თამარ დედოფლის გორა (სოფ. კავთისხევი) – 168
თბილისი – 12,19,20,32,33,229,231,276,281,282,297,302,303,305,320,333,351,442,453
თბილისის საამირო – 53,276
თედოწმინდა – 72
თეზამი – 228,272,329
თეზი – 23,161,174,136,302
თეზმის ხევი – 303
თეთრაძიანი (ნასოფლარი) – 278
თეთრიწყაროს რ-ნი – 128,228
თეთრობიანთ მინდორი (სოფ. ღვანი) – 366
თეკუპლა (ნასოფლარი) – 209
თელათგორი – 162
თელოვანი – 288

თეძამი, მდ. – 12,30,110,121,128,145,184,188,199,209,219
თეძმის ხეობა – 12,140,180,184,189,198,199
თვალადი – 163
თვალიუბანი – 82
თიანეთის მაზრა – 272
თიანეთის რ-ნი – 228
თოპრაქყალა – 241
თორთიზა – 73
თრელიგორები – 14
თრეხვი – 375

თრიალეთი – 19,184,189,199,225,297,326,338, 447
თრიალეთის, ანუ არაგვის გზა – 12
თრიალეთის ქედი – 12,30,128,180,241,289,293,333,350,362,416,434
თრიალეთ-მანგლისის და შიდა ქართლის დამაკავშირებელი გზა – 140
თურქები – 199,339
თურქ-სელჩუკები – 20,73,74,285,319
თუშფი – 241
თხინვალი – 289
თხინვალიანთ უბანი (სოფ. კავთისხევი) – 168
თხოთის მთა – 136,138,231

## ი

იბერია – 14,15,16,139,229,231,297,335
იგოეთი – 164
იდლეთი – 165
იერუსალიმი – 57,167,216,261,263,367
იკვი – 166
იმერეთი – 133,136,378,450
იმერეთის სამეფო – 21
იმერლები – 136
იმერხევი – 372,377
ინდოეთ-დასავლეთ ევროპის გზა – 12
ინდოეთი – 12
იორამის გორა (სოფ. კავთისხევი) – 169
იორდანე, მდ. – 56
ირანი – 17,21,33,91,276,295,334
იტრია – 434

## კ

კავთისხევი – 14,18,23,24,25,128,168,169,171,172
კავთისხევ-ნოსტეს გზა – 179
კავთურა, მდ. – 12,128,155,168,172,209,212,214
კავთურის ხეობა – 12,199
კავკასიის მთები – 32
კავკასიონის მთავარი ქედი – 128
კავკასიონის ცენტრალური ქედი – 128
კაზაკები – 34,73,221
კალოები (სოფ. გლდანი) – 274
კამარახევი (წიწამური) – 346
კაპადოკია – 139
კავრაშიანი – 173
კარალეთი (ძვ. ნაჭარმაგევი) – 30,73
კარბი – 74
კარმირ ბლური (სომხეთი) – 240
კარსანი – 241,289
კარსნის ხევი – 240,289,291
კასპი, ქალაქი – 19,26,74,128,129,130,131,134,180,191,221
კასპის ზღვა – 92
კასპის რ-ნი – 12,26,30,126,128,129
კასპის რ-ნის რუკა – 126
კასპის სასპასალარო – 129
კაჭაანთ უბანი (სოფ. ჩხავერი) – 210
კახეთი – 272,284,297,303 339,346
კახეთის სამეფო – 21,285,303
კახეთის სამთავრო – 19,272,303
კახეთ-ჰერეთი – 12,20
კახეთ-ჰერეთისა და ტაო-კლარჯეთის დამაკავშირებელი გზა – 12
კახელები – 136
კევლიანი – 292
კეხიჯვარი – 23,350,378
კეხურას ველი (სოფ. ატოცი) – 358
კვარხითი – 75,123
კვასრიკასეულები (სოფ. ზემო ხობისი) – 70
კველთა – 199
კვერნაქის სერი – 12,128,129,365,411
კვერნაქის ქედი – 30,88,89,90
კიევი – 87
კიკანათბერი – 180
კიმერიელები – 366
კიოტი – 49
კირბალი – 76,85
კლდეკარი – 45,198,319
კლდისთავი (სოფ გლდანი) – 274
კლდისწყარო (ალის სოფსაბჭო) – 436
კლდისწყარო (წაღვლის სოფსაბჭო) – 436,438,455
კლდის წყარო (უფლისციხე) – 89
კლდისწყარო, მდ. – 455
კნოლევი – 378
კოდა – 378
კოდისწყარო – 128,173,207
კოდმანი – 378
კოდმანი (მცხეთის გარეუბანი) – 253,269,270
კოდმანის ჰაკობი (ქ მცხეთა) – 257
კოლომნა, ქალაქი – 420
კოლხეთი – 15,139
კორათხევი (სოფ. თელოვანი) – 288
კორაოღლა 361
კორუშე ტყე (ქეიხ ხანის სადგომი) – 183
კოტორაანთკარი – 293
კოშკები – 76
კოშკის უბანი (სოფ. ქვიშხეთი) – 451
კოშკის ძირები (სოფ. კრისხევი) – 436
კოწახურის ხევი (ქ. კასპი) – 130,133,134,179
კოხიარა (სოფ. სათოვლე) – 306
კრასნოიარსკი – 42
კრისხევი – 431, 436
კუდა ტყე (სოფ. წრომი) – 457
კუდუხაანი (ნასოფლარი) – 206

## ლ

ლავრისხევი – 173
ლალაანთხევი (უფლისციხე) – 89
ლამისყანა – 12,22,128,129,136,174
ლამისყანის მიწები (სოფ. ლამისყანა) – 174
ლამეთხევი (უფლისციხე) – 89,91
ლაშის ღელე-455
ლაცაბიძეების უბანი (სოფ. ქვიშხეთი) – 451
ლაჯიანხევი, მდ. – 183
ლეკები – 23,61,73,82,84,88,162,174,181,202,207,276,295,303,311,316,320,339,351,353,367,368,451,453,457
ლელისთავი – 82
ლელობი – 228,293,306
ლენინგორი, ქ. (ძვ. ახალგორი) – 174
ლენინგორის რ-ნი – 128
ლენინგრადი – 282
ლეხურა, მდ – 12,128,129,131,133,134,191,202
ლეხურის ხეობა – 128,132,149,207
ლიახვი, მდ. – 12,30,32,35,37,65,68,70,80,112,117,397
ლიახვის ხეობა – 12
ლისი – 228,293
ლისის ტბა – 228,289,293
ლიხის ქედი – 12,361,416,442
ლომისა (სოფ. დიდი მეჯვრისხევი) – 64
ლოპანისწყალი, მდ. – 353
ლოშინი – 248

## მ

მადათოვის კუნძული – 282
მაისურაძეების უბანი (სოფ. ნაბახტევი)– 438
მამდალაანთ უბანი (სოფ. დიღომი) – 278
მამკოდა – 294
მანგლისი – 168,189,199,447
მანგლისიდან რკონისაკენ თეძმის ხეობით მიმავალი გზა – 189
მარანა – 78
მარტაზის ხევი ანუ სანგრისხევი (ქ. მცხეთა) – 245,253
მარტვილი – 252
მახაანთუბანი (სოფ. გარდატყენი) – 54
მელიების გორა (სოფ. გორაკა) – 149
მელიების გორა (სოფ. მუხრანი) – 298
მერეთი – 30,78,375
მესხები – 229,276
მესხეთი – 229
მესხური მოსახლეობა – 16

მეტეხი — 13,25,128,177,180,191,192
მეფის რუსეთი — 23
მეფის ქალაქი, იხ. სოფ. ახალქალაქი
მექანარიანთ უბანი (სოფ. თეა... ი) — 164
მეღვრეკისი — 79
მეჯვრისხევი — 25,26,30,79,129,302,310
მეჯუდა, მდ — 30,37,61
მზვარები (სოფ ხათოულე) — 30...
მთა-ქართლი (ქ. მცხეთა) — 19,24
მთაწმინდა (სოფ. ქვიშხეთი) — 451
მთიულეთ-გუდამაყარი — 339
მთიულთუბანი — 179
მისალოცავი (სოფ დიღომი) — 27
მისაქციელი — 228,294,339
მიქელაანთ ვენახები (სოფ. ... ვლი) — 455
მიწობელა, მდ. — 437
მიწობი — 437
მიხაილოვო (ხაშური) — ...418,443
მოგვთაკარი (ქ. მცხეთა) —
მოგვთა უბანი (ქ. მცხ... ) — 229,231
მონასელიანთ უბანი (სოფ. კავთისხევი) — 168
მონასტერი — 437
მონასტრის ხევი — 248
მონღოლები — 21, 32,91,297,383,422,442
მოსკოვი — 258,299,420
მოურავი (ქ მცხეთა) — 246
მოურავის გორა (სოფ. ქვემო ... ხი) — 311
მოხისი — 350,378
მროველის სამწყსო — 367
მსხალდიდი — 295
მსხლები — 207
მტკვარი — 12,15,30,32,8... 128,133, 134,152,169,172,198,... 1,228,229, 231,232,233,235,238,... 248,253, 281,282,291,296,307,... 326,333, 334,335,350,351,359 ... 399,416, 447,457
მტკვრის მარცხენა ნა... ე გამავალი გზა — 12
მტკვრის მარჯვენა ნა... ი გამავალი გზა ხიდისთავ-... -ნიჩბის-ძეგვის გავლით — 1...
მტკვრის სამხრეთით ... არე ქვეყანა — 19
მტკვრის, ძამის, ტანის, თეძმის, კავთურის, ნიჩბისისა და ძეგვის ხეობებზე გამავალი გზ...ბი — 12
მტკვრის ხეობა — 12,30 ...0,136,241,463
მუნის წყარო (სოფ. კ... ისხევი) — 169
მუხათგვერდი — 26,276,2... 33
მუხაური (ნასოფლარი) —
მუხილეთი — 380
მუხრანბატონთა სათავ... — 316
მუხრანი — 12,22,228,229 ... 302,326
მუხრანის დაბლობი — ...
მუხრანის ვაკე — 128,31...
მუხრანის ველი — 12,1... 297,329
მუხრანის სათავადო -
მუხრანის ქვეყანა — ...
მუხრან-საგურამოს ... 228, 272
მღებრიანი — 30, 79
მღებრისუბანი (ნასო... რი) — 181
მშრალი ხევი (სოფ. ...ოსტე) — 181
მშრალი, მონასტრის ხევი (ქ. მცხეთა) — 244
მცირე აზია — 12,16,91,233,238
მცხეთა — 11,12,14,15,19,25,26,229,231, 232,235,239,242,246,248,253,261,262, 269,272,280,302,303,310,334,375,396, 450
მცხეთის რ-ნი — 12,26,128,228,229
მცხეთის რაიონის რუკა — 226
მცხეთის საკათალიკოსო სენიორია — 17
მცხეთის (ქალაქ-მუზეუმი) ძეგლების რუკა — 230
მცხეთისჯვარი — 438
მძოვრეთი (ზოვრეთი) — 21,380,381 383
მჭადიჯვარი — 280,297


## ნ


ნაბაკარი (სოფ. სათოულე) — 307
ნაბაღრები (სოფ სათოულე) — 306
ნაბაღრები (სოფ. წინამძღვრიანი) — 346
ნაბაღრევი — 13
ნაბახტევი — 438
ნადაბური (ნასოფლარი) — 171
ნადარბაზევი (გორის რ-ნი, შავშვების სოფსაბჭო) — 80,85
ნადარბაზევი (ხაშურის რ-ნი, წრომის სოფსაბჭო) — 440
ნავდარაანთკარი — 301
ნავთლუღი — 326
ნაზვრევი (სოფ ძვ. ქანდა) — 337
ნალიანის ხევი (სოფ ზემო ქსოვრისი) — 70
ნალოგიერი (სოფ წალელი) — 455
ნამგალა გორა (ქ. კასპი) — 133
ნამყენების ღელე (სოფ. ბრილი) — 426
ნაოფრების ფერდა (სოფ. მოხისი) — 379
ნარეკვავი (ქ. მცხეთა) — 14,326
ნარეკვავი, მდ. — 228,329,339,342
ნარეკვავის ხევი — 329
ნასოფლარი, ადგილი (სოფ. თაგვეთი) — 434
ნასაარსევის ხევი — 313
ნასტაკისი — 15,307
ნასტაკისის ველი — 313
ნატახტარი — 302
ნატბეური (სოფ. ქვემო ნიჩბისი) — 311
ნატუსები (სოფ. გლდანი) — 274
ნატუსების სერი (სოფ. თელოვანი) — 288
ნაფუძარები (სოფ. დირბი) — 368
ნაქალაქიანთ ხევი — 164
ნაძვრიმის ხევი — 345
ნაქულბაქევი, ურიათუბანი (ქ. მცხეთა) — 231
ნაყში-რუსთამი (ირანი) — 334
ნაცარგორა (ქ. კასპი) — 133
ნაცარგორა (ქ. მცხეთა) — 14
ნაჭარმაგევი (სოფ. კარალეთი) — 73
ნახშირგორა (სოფ მსხალდიდი) — 295
ნიაბი — 179,199
ნიგოზა — 180
ნიგოზას ხევი — 180
ნილოსი, მდ. — 56
ნიქოზი — 25,30
ნიქოზის საეპისკოპოსო — 17
ნიჩბისი — 84,198,228,310
ნიჩბისის ხეობა — 12
ნიჩბურა, მდ. — 309,310,311,312
ნოსტე — 22,23,180
ნოსტურა, მდ. — 181
ნოქალაქევი — 238
ნული — 65
ნუნისი — 446


## ო


ობოლკლდე (მწვერვალი) — 128
ოთარაშენი — 80
ოკამი — 128,136,183,302
ოლოზი — 80
ონოფრიანთ უბანი (სოფ. თეალედი) — 164
ორთუბანი — 380,381
ორთუბნისწყალი, მდ. — 370
ორმოცი — 81
ოსანაძეების ახო (სოფ. წალელი) — 455
ოსები — 32,129,207,383
ოსეთი — 297
ოსიაური — 416
ოსმალები — 21,33,72,162,199,207,293,297, 320,324,442,447
ოსმალეთი — 12,21
ოსმალო — 33,61,72,199
ოქრომიწები (სოფ. კავთისხევი) — 171
„ოქროს მთა" — 32
ოქროსოფელი — 383,389
ოძისი — 174,302
ოძისი (ნასოფლარი) — 181
ოძრხე — 14,129
ოხერასხევი (სოფ. ქვემო ნიჩბისი) — 311
ოხერახევი (სოფ. ქვემო ხანდაკი) — 209


## პ


პანტიანი — 183
პარასკევას გორა (დედოფლის მინდორი) — 365
პარატისი (ნასოფლარი) — 171
პარატისისა და ქვათახევის გზა — 212
პართია — 15,139
პასარგადი — 241
პატარა ატენი — 46
პატარა გარეჯვარი — 73,81
პატარა თხინალა — 440
პატარა კამარახევი — 346
პატარა ლაშეს ღელე (სოფ. წალელი) — 455
პატარა ლიახვი, მდ. — 30,75,88
პატარა მანიანი (სოფ. გლდანი) — 274
პატარა მეჯვრისხევი — 81,85
პატარა ფლევი — 440
პატარა ხალები — 440
პატარახევი, მდ. — 307,455
პერანგას უღელტეხილი — 12
პერსეპოლისი — 241
პირაღმა ვენახები (სოფ. წალელი) — 455
პლევნა, ქალაქი (ბულგარეთი) — 298
პოლონეთი — 82
პონტოს სამეფო — 15,139
„პოსელენიე" (ქ. გორი) — 33


## ჟ


ჟინვალი — 247
„ჟინოვანის ქვეყანა" — 303


## რ


რაზმითის მთა — 180
რბონა — 441
რენე — 13
რიკოთის უღელტეხილი — 12
რიყიანების ველი (ალაიანი) — 139
რკონი — 184
რკონი (ნასოფლარი) — 184,189
როკის უღელტეხილი — 12
რომაელები — 15,231
რომაშვილების უბანი (ქვიშხეთი) — 451
რომი — 15,17,139,231
რომის რესპუბლიკა — 139
რომის სამეფო — 15

რუისი — 12,24,192,350,378,384
რუისის საეპისკოპოსო — 17,351,367,386
რუსაანთუბანი — 441
რუსები — 379
რუსეთი — 12,25,184,232,344,417,427
რუსთავი — 247
რუს უბანი (ქ. გორი) — 33

## ს

საამილახვრო — 21,302
საგურამო — 24,25,228,272,302,303,305
საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალი — 228
საგურამოს ქედი — 228,272,346
საეპისკოპოსოები — 17
საერისთავოები — 17
სავანეთის ქედი — 307,313
სავანისუბანი — 441
სათერძე (ნასოფლარი) — 388
სათერძისწყლის ხეობა — 388
სათივე — 442
სათოვლე — 13,306,347
სათოვლის მთა — 271
საკვირიკე (სოფ. დვანი) — 366
საკორინთლო — 190,207
საკურთხისი (ნასოფლარი) — 218
სალიზვარი, კლდის ვენახი (უფლისციხე) — 89
სალომიასწყალი, მდ. — 151
სამადლო (ნაქალაქარი) — 15,334
სამადლოსხევი, მდ. — 335
სამება (სოფ. ჩხავერი) — 210
სამების მთა (სოფ. ვედრება) — 371
სამთავისი — 12,128,191,192,203,207
სამთავისის საეპისკოპოსო — 17
სამთავრო — 225,253,326
სამთავროს ველი — 257, 260
სამთავროს მინდორი — 258
სამთავროს ნასახლარები — 14
სამთავროს საეპისკოპოსო — 17
სამოყალო (ნასოფლარი) — 189
სამუხრანბატონო — 21,297
სამყვირალო (სოფ. პატარა ფლევი) — 440
სამცხე-საათაბაგო — 12
სამცხის სამთავრო — 21
სამწევრისი — 22,380,389
სამხრეთ საქართველო — 12,442
სანაირო (ციციშვილთა სადროშო) — 363
სანახშირე ხევი (სოფ. ჭანდრები) — 411
სანგრისხევი, იხ. მარტაზისხევი
სანებელი — 392
სანიორე ქედი (სოფ ხოვლე) — 223
საპიტიახშო (ქ. მცხეთა) — 229,231
სარატოვის გუბერნია — 82
სარკინე (ქ. მცხეთა) — 14,15,129,231,307, 313
სარკინეს მთა — 319,326
სარკის გორა (სოფ. სანებელი) — 392
სარმანიშვილისკარი — 442
სარმანიშვილის ხევი — 442
სასანური ირანი — 17
სასირეთი — 25,112,198
სასირეთის ჭალა — 198
საპასპეტოები — 17
სასხორი — 308
სატივე — 428
საუფლისწულო მამულები — 422
საფარა — 262
საფრანგეთი — 299
საფურცლე, იხ. ნატახტარი
საქადაგიანო — 136,198
საქალაქო გზა — ახალგორი-ოძისი-ქსოვრისი-დამაალო-წილკანი-ნატახტარი — 302,316
საქართველო — 12,18,21,32,40,91,113,198, 232,238,249,252,253,262,267,272,276, 282,297,305,313,319,322,325,344,346, 350,360,378,383,390,400,409,416,417, 420
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა — 25
საქართველოს სამხედრო გზა — 228,257, 302
საქაშეთი — 82,112
საქორეთის მთა (სოფ. ზემო სობისი) — 70
საღოლაშენი — 25,378,393
საყავრე — 30,82
საყარაულო სერი (სოფ. კავთისხევი) — 171
საყდრიანის ხევი (ქ. კასპი) — 130
საყდრისფერდი (სოფ. გლდანი) — 274
საყინულე (სოფ. გლდანი) — 274
საჩხერის რ-ნი — 416
საციციანო — 21,351,363,380,383
საციხური — 393
საციხურის გორა (სოფ. წაღვლი) — 455
საჯავახო (საერისთავო) — 21
სბის ულელტეხილი — 12
სერები (სოფ. დირბი) — 368
სერები (სოფ. რუისი) — 385
სვენეთი — 83,85
სვეტიცხოვლის სენიორია — 231, 272, 288,294,297,302,303,333
სიმონის ველი (სოფ. ჭანდრები) — 412
სირია — 18,238
სისხლის ჯვარი (სოფ. წვერი) — 411
სისხლის ჯვარი, ცეცხლის ჯვარი (სოფ. არადეთი) — 355
სკვირეთი — 19
სკრა — 30,84
სკრა, მდ. — 84
სკრის ხეობა — 70,77,84,115
სოლოფერდა (სოფ. დვანი) — 366
სომანეთი (ნასოფლარი) — 432
სომეხ-თათრები — 276
სომხები — 311
სომხეთი — 14,15,91,139,229,238,240
სომხითი — 184
სოროთხევი (სოფ. თრეხვი) — 375
სოფია — 298
სპარსეთი — 18,180,207,231,246
სპარსლები — 17,33,207,231,346
სპეთი — 262
სსრ კავშირი — 297
სტალინისი — 417
სულუხი (ქ. გორი) — 33
სურამი — 20,21,25,416,417,442
სურამის ულელტეხილი — 12
სურამულა, მდ. — 378,416,417,421
სუსი (აქემენიდთა ირანი) — 241
სუქანაანთუბანი — 393
სუქითი — 383,393
სუქითის მთა — 359
სხალტბა — 310,319,324,325
სხალტბის ქედი — 228,338
სხერტის ჭალა — 199,447
სხვილო — 202
სხვილო, ცხვილო (ნასოფლარი) — 207

## ტ

ტაბარუკი — 310
ტამბოვის გუბერნია — 82
ტანა, მდ. — 12,30,45,46,49,54,55,59
ტანასწყლის ხეობა — 180
ტანისხევი — 17
ტანის ხეობა — 12,45,53,54,109
ტაო-კლარჯეთი — 12
ტაო-კლარჯეთის სამთავრო — 19
ტაშისკარი — 365,384,447
ტახტიზურგა მთა — 366
ტახტისძირი — 394
ტეზერი — 448
ტვლეპიაქოხი (ნამოსახლარი) — 397
ტიგროსი, მდ. — 56
ტილიანა, მდ. — 416
ტინისხიდი — 30,85
ტირიფონის ვაკე — 128
ტირიფონის ველი — 12, 180,207
ტირძნისი — 30,85
ტკოცა — 448
ტკოცურას ხევი — 353
ტონთიოს მთა — 32
ტუიაქოხორა (ქ. მცხეთა) — 269
ტუხალდის ხევი (სოფ. წინამძღვრიანთკარი) — 342
ტფილისი — 417,418
ტფილისის გუბერნია — 23,30,128,151, 228,272,350,416
ტფილისის მაზრა — 228,350
ტფილისის ოლქი — 228,350
ტფილის-ფოთის რკინიგზა — 417,442
ტყემალა — 394
ტყემლოვანა — 394
ტყვიავი — 23,24,25,26,27,30,87

## უ

უკულმა საყდარი (სოფ.კეხიჯვარი) — 378
ულევი — 449
ურარტუ — 91,241
ურარტუელები — 14
ურბნიანი (ქვის ხანის სადგომი) — 211
ურბნისი — 12,14,15,16,19,129,247,350, 360,396,398
ურბნისი (ნაქალაქარი) — 129,398
ურბნისის საეპისკოპოსო — 17
ურთხვა — 448
ურიათუბანი (ქ. მცხეთა) — 231
ურმიხელი (სოფ.ატოცი) — 358
ურულის ხეობა — 43
ურუმნი — 435
უფლისციხე — 14,19,25,30,32,88,90,91, 92,113,129
უფუფიანთ უბანი (სოფ.წინარეხი) — 218
უჯარმა — 231

## ფ

ფანასკერტელ-ციციშვილების დენცია — 129
ფარავნის ტბა — 12
ფარეხების გორა (სოფ.ძვ.ქანდა) — 337
ფასარგადე (ირანი) — 334
ფაშიანი — 199
ფეიქრიანთ სათიბი (სოფ.ზემო ნიჩბისი) — 288
ფელი — 180
ფერისცვალება (სოფ. ქვიშხეთი) — 452
ფეტვისხევი — 109
ფიქრის გორა (ქ.მცხეთა) — 253
ფიცესი — 110
ფლავი — 25,27,111
ფლავისმანი — 111
ფლევი — 416
ფრონე,მდ. — 12,350,351,353,354,355,359, 361,363,367,368,378,393,402,411
ფრონის ხეობა — 361
ფურნევების ღელე (სოფ.ულევი) — 449
ფშუტიანი ქედი (სოფ.ქსოვრისი) — 318
ფცა — 350,403
ფხვენისი — 23,82,112

## ქ

ქარაქსი-აიტოდორი — 16
ქარელაანთ უბანი (სოფ. ტყიავი) — 87
ქარელი — 23,25,351,366,372,375,384, 393,434
ქარელის რ-ნი — 12,26,30,348,350,416
ქარელის რ-ნის რუკა — 348
ქართველები — 72,84,199,202,248,276, 333,367,379,447
„ქართველთა სამეფო" — 19
ქართლის მთა — 416
ქართლელები — 333
ქართლი — 15,16,17,18,19,20,21,32,53,129, 155,199,229,231,284,297,310,319,339, 447
„ქართლი" (ძვ. მცხეთა) — 239
ქართლის ერისთავთა რეზიდენცია (XII-XIII სს.) — 20
ქართლის ვაკე — 367
ქართლის საერისთავთერისთავო — 366
ქართლის საერისთავო — 129
ქართლის სამეფო — 21,297,308,367
ქართლის სამეფოს სადროშოები (XVI ს.) — 21
ქართლის ქედი — 228,239
ქართლ-კახეთი — 333,339
ქართლ-კახეთის სამეფო — 272,297
ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულები — 294
ქაშვეთი — 434
ქედები (სოფ. კირბალი) — 76
ქემწერი — 450
ქვაბთაკერის ღელე — 425
ქვაბთაღელე, მდ. — 361
ქვათახევი — 199
ქვაცხელები (ტელეპიოქრხი) — 13,396,397
ქვახვრელი — 30,113
ქვემო აქვისი — 450
ქვემო ახალსოფელი — 123
ქვემო გომი, იხ. გომი
ქვემო და ზემო ქართლის შემაერთებელი გზა — 129
ქვემო დიდგორის მთა — 278
ქვემო ნიქოზი — 114
ქვემო ნიჩბისი — 310
ქვემო რენე — 202
ქვემო რიეთი — 115
ქვემო ქართლი — 12,14,207,225,333
ქვემო ჭალა — 22,25,128,129,149,202,203, 207,208
ქვემო ხანდაკი — 208
ქვემო ხვედურეთი — 403
ქვეში — 85
ქიშხეთ-ბეღლეთის გზა — 451
ქიშხეთი — 416,450
ქიშხეთის ველი — 450
ქინძათი — 452
ქიწნისი — 116
ქორდი — 117
ქორეთი — 422
ქსანი — 313
ქსანი, მდ. — 12,14,21,128,136,174,198,228, 229,307,313,316,326,337
ქსნის ერისთავთა სათავადო — 366
ქსნის საერისთავო — 21
ქსნისხევი — 17
ქსნის ხეობა — 128,174,181,207,316
ქსოვრისი — 22,174,228,302,316
ქუთაისი — 442

## ღ

ღამბარეული (ქ. გორი) — 32
ღამურა კლდე (სოფ. თაგვეთი) — 434
ღანძილეთი (ნასოფლარი) — 440
ღართა — 453
ღართისკარი — 261
ღართისკარის ხევი — 261
ღარიბა ღელე (ქ. ხაშური) — 417
ღვრიაწყალი, მდ. — 453
ღოღეთი — 404
ღრე — 23
ღუდა (ნასოფლარი) — 440

## ყ

ყათლანისხევი (უფლისციხე) — 89,91
ყარაღაჯი — 25,128
ყელქცეული — 82,118
ყვიბისი — 451
ყვირილა, მდ. — 361
ყიზილბაშები — 46,61,66,191,202,203, 207,276,293,302,333,339,347,353
ყინწვისი — 404
ყირიმელი თათრები — 21,140,199,447
ყირიმი — 16,344
ყიფიანთუბანი — 453
ყორნისი — 25
ყორული (სოფ. კავთისხევი) — 169
ყურა ქედი (სოფ. პატარა თხინალა) — 440

## შ

შავი ზღვა — 22
შავი ზღვა-კასპიის ზღვის დამაკავშირებელი გზა — 92
შავშები — 30,85,118
შავწყალა, მდ. — 171
შალიკაანთ უბანი (სოფ. კოშკები) — 76
შვეცია — 282
შიდა ქართლი — 12,13,14,15,32,61,73,91, 128,184,188,225,326,333,335,338, 384,416,447
შიდა ქართლიდან ბორჯომის ხეობისაკენ მიმავალი გზა — 378,393
შიდა ქართლის ვაკე — 61,65,85,350, 366,378,393
შიდა ქართლის ისტორიული რუკა — 14,17,20,22
შიდა ქართლის თრიალეთთან დამაკავშირებელი გზა — 188,189
შიდა ქართლის საქართველოს სამხრეთ პროვინციებთან დამაკავშირებელი გზა — 12,46,184
შიდაციხე, არმაზციხე (მცხეთა) — 229
შინდარას უბანი (ქ. ხაშური) — 419,421
შინდიანი (სოფ. ზაქარო) — 281
შინდისი — 25,30,82,112,118
შიომღვიმე — 318,269
შიომღვიმის მონასტრის სენიორია — 297,303,310,313,319,320
შიოსუბანი (სოფ. მუხრანი) — 297,299,300
შირვანი — 319
შლუყური (ნასოფლარი) — 462
შუა ქართლი — 12
შუხუთი — 238

## ჩ

ჩადრისთავი (სოფ.წინარეხი) — 212
ჩარდახი — 325
ჩარუბეთი — 184,209
ჩერნიგოვის გუბერნია — 82
ჩობალაური — 210
ჩოჩეთის უბანი (სოფ. კავთისხევი) — 169,172
ჩოჩქოლიკარი (სოფ. წაღვლი) — 454,455
ჩრდ. კავკასია — 12,14,229,269
ჩრდ. კავკასიის ხალხები — 18
ჩრდილოშავიზღვისპირეთი — 233
ჩუმათელეთი — 453
ჩხავერი — 210

## ც

ცარციქიანთ გორა (სოფ. ფლევი) — 354
ცაცხვები (სოფ. წაღვლი) — 454
ცაცხვიანი (სოფ. ზაქარო) — 281
ცაცხვის გორა (სოფ. წინამძღვრიანთკარი) — 344
ცედანი — 453
ცემჯენა (სოფ. ნიგოზა) — 180
ცერონისი — 409
ცილისწყარო (ნასოფლარი) — 411
ციხედიდი — 14,336
ციხედიდის ხევი — 336
ციხიაგორა (სოფ.კავთისხევი) — 15,16,83, 169
ციხიანა — 361
ციხიანას ბორცვი (სოფ. აბანი) — 351
ციხისგვერდი (ნასოფლარი) — 410
ციხისუბანი (ქ. გორი) — 33
ციხისუბანი (სოფ. დირბი) — 369
ციხისუბანი (სოფ. კავთისხევი) — 172
ციხისძირი — 326
ციხისძირის უღელტეხილი — 12
ცორცორის მთა (სოფ. დიღომი) — 279
ცოცხები (სოფ. ხაქამეთი) — 82
ცოცხნარა — 416,453
ცუცუბანი (სოფ. ერთაწმინდა) — 156
ცხვარიჭამია — 228,328
ცხვრის გზა — 12,229,272
ცხინვალი — 85,417,443
ცხირეთი — 21,156,180,199,210,447
ცხირეთი (ნამოსახლარი) — 210
ცხირეთის გორა — 210
ცხირეთის ხევი — 221
ცხრამუხა — 23,416,434,454
ცხრაძმა — 17

## ძ

ძალისი — 16,238,280,297,329
ძალისის გორა — 329
ძალის-წილკნის გზა — 294
ძამა, მდ. — 12,350,362,363,370,371,372,378, 380,381,392,409,416
ძამა (ნასოფლარი) — 422
ძამის ხეობა — 12,371,372,382
ძეგვი — 198,228,242,333
ძეგვისწყალი, მდ. — 336
ძეგვის ხეობა — 12
ძევერა — 27,30,120
ძეძვები (სოფ. წაღვლი) — 455
ძვ.ილტოზა — 174
ძვ.მცხეთა — 244
ძვ.ქანდა — 337
ძვ.შუამთა — 252
ძლევისჯვარი — 82
ძუკათა (სოფ. დიდი ხურვალეთი) — 64

## წ

წაბლოვანა — 454
წალკა — 189
წალკის რ-ნი — 30,128
წაღვლი — 416,454
წაღვლისთავი (ნასოფლარი) — 457
წაღვლურა, მდ. — 455,457
წედისი — 121
წერეთის ქედი (სოფ. ღრე) — 65
წეროვანი — 228,302,338
წეროვნის მინდორი — 337
წეროს ხევი — 46
წელვერი (სოფ. წაღვლი) — 455
წვერი — 411
წვერწვერა (სოფ. დიღომი) — 278

წვრილი სათავადოები – 21
წითელქალაქი – 33,129,140
წითლობი (ნასოფლარი) – 181
წილკანი – 191,228,280,295,297,302,339, 340
წილკნის საეპისკოპოსო – 17,297
წილკნის სამწყსო – 316,339
წინა აზია – 16
წინა უბანი (სოფ. დვანი) – 367
წინა აღმოსავლეთი – 18
წინამძღვრიანთკარი – 24,342,344
წინარეხი – 22,24,25,128,199,212,214
წიფორი – 219
წიწამური – 15,32,231,282,303,346,347
წიწამურის გზა – 305
წიწამურის გორა – 347
წიწამურის ველი – 346,347
წიწამურის მთა – 231
წიწამურ-სევსამორა – 15
წიწილასწყარო (სოფ. ქვემო ნიჩბისი) – 311
წლევა-თხოთის ქედი – 228
წლევი (მწვერვალი) – 128
წმ.გიორგის ხევი – 334
წნელისი – 361
წოდორეთი – 347
წოვინარი – 241
წრომი – 416,457
წრომულა,მდ. – 457
წყრუთი (ნასოფლარი) – 219

ჭ

ჭალა – 23
ჭალისუბანი (ქვიშხეთი) – 451
ჭალის უბანი (ხაშური) – 421
ჭანდაგორა (სოფ. ტინისხიდი) – 85
ჭანდრები – 411
ჭანჭრობის ხევი – 411
ჭაური (სოფ. მუხრანი) – 298
ჭარ-დაღესტნელები – 303
ჭერათხევი, მდ. – 316,416,422,423,433,438
ჭერათხევის ხეობა – 424
ჭვრინისი – 413
ჭიმიაანთ ვენახები (სოფ. კავთისხევი) – 171
ჭილურტი – 280
ჭობისხევი – 451
ჭოტია გორა (სოფ. ხასირეთი) – 198
ჭომორა (ნასოფლარი) – 449
ჭყოვიანი – 219

ხ

ხალები – 416
ხანდაკი – 25,128
ხანდისი – 413
ხარვები (სოფ. ხცისი) – 462
ხარის გორა (სოფ. ტყვიავი) – 88
ხატინათხა (სოფ. საქაშეთი) – 82
ხატისუბანი (სოფ. წიფორი) – 219
ხაშილაურები (სოფ. მერეთი) – 79
ხაშური, ქალაქი – 24,25,26,33,384,416 417,422,434
ხაშურის რ-ნი – 12,26,27,350,414,416,417,420
ხაშურის რ-ნის რუკა – 414
ხევი – 339
ხევძმარა, მდ. – 274
ხეკორძი – 306,347
ხეკორძულა, მდ. – 293,306,307,347
ხელთუბანი – 13,25,73,85,122,123
ხეობა – 413
ხერკი – 303
ხეფინისხევი – 21
ხეხველა, მდ. – 221,222,223
ხვავია გორა (ქ. კასპი) – 133
ხვარაზმელები – 319
ხვედრელიანთ უბანი (სოფ. წინარეხი) – 218
ხვედრულიანთ უბანი (სოფ. კავთისხევი) – 172,173
ხვედრულა, მდ. – 375,412
ხვითი – 23,220
ხიდისთავი – 30,125,198
ხიზანაანთ გორა – 13,396,398
ხირსა – 400
ხოდაბუნები (სოფ. ცერონისი) – 410
ხოდაბუნი (სოფ. გლდანი) – 274
ხოვლე – 14,23,25,26,128,155,184,221,225, 262,347
ხოვლეგორა – 13,14,222,223
ხრამი, მდ. – 282
ხრიაკები (სოფ. კოდისწყარო) – 173
ხურვალეთი – 85
ხურვალეთი, მდ. – 64
ხცისი – 416,460

ჯ

ჯავახეთი – 12,184,199,276,447
ჯავახიშვილების უბანი (სოფ.ხოვლე) – 222
ჯარიაშენი – 125
ჯებირაანთ უბანი (სოფ.გარდატენი) – 54
ჯვარის ხევი – 274
ჯოხთანის ხევი – 274
ჯოჯოხეთის ხევი – 307,324

ჰ

ჰერეთის სამთავრო – 19


## ძეგლთა
(სახელიანი ძეგლები)


ა

აბისი, სოფელი – IV.010*
აბულეთის სამონასტრო კომპლექსი – III 163
აგარების ეკლესია – V 038
აგიას საყდარი – I.297 ა
აგურის საყდარი – III.157
აზრატის ციხე, იხ.ვერეს ციხე
ალავერდის ტაძარი – გვ.167
ალი, სოფელი – V.014
ალის ციხე – V.014
ამაღლების ეკლესია – II 177; V.036,107, 150
ანტიოქია (ეკლესია) – III.003
არადელ-იშხნელის საფლავი – IV.025
არმაზის ხევი, არმაზის ციხე – III. 005,006
არსენას ძეგლი – III.008
ატენი, სოფელი – I.032
ატენის სიონი (ტაძარი) – გვ.21,30,45,60; I.032,069,073
ატენის ციხე – II.033
აღაიანის ველი – II 023
აღდგომის ეკლესია – V.134
ახალი ჯვრის ეკლესია – I 042
ახალქალაქი (წითელქალაქი) – II.035
ახალციხის ეკლესია – II.042

ბ

ბაგრატის ტაძარი – გვ.167
ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი – I. 003
სეხმან ბატქუაშვილის (ერთაწმინდელის) საფლავი – II 095 (გ)
ვანო ბახტაძის სახლი – II.280
ბებრის ციხე, ბელტის ციხე – III.011, გვ.232
ბერების საყდარი – III.240
ბესთამანია – III.012(ა)
ბზიანის კომპლექსი – III.045
ბიისის ეკლესია – I.053
ბნელა საყდარი – III.123
ბორათის ეკლესია – V.002
ბორას საყდარი – III.214
ბრეთი,სოფელი – IV 047
ბრეთის მონასტერი – IV.047(ა)
ბრეძა,სოფელი – IV 050
ბრეძის კომპლექსი – IV.051
ივანე ბურცოვის საფლავი – I.004

გ

ეკატერინე გაბაშვილის სახლი – II.036
გალავანი (ბოკოწინი), სოფელი – III. 051
გალისხევის ეკლესია – I.193
იოსებ გედევანიშვილის სახლი – III.012
გვერძინეთი, სოფელი – IV.053
გიგოს საყდარი – IV.173
გიორგი XII-ის საფლავი – III.073(ა)
გლდანი,სოფელი – III.053
გნოლიძეების ციხე – I.138
იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი – I.102


------

*მითითებულია ან გვერდი, სადაც ნახსენებია ძეგლი ან რაიონის ნომერი (რომაული ციფრი) და ძეგლის ნომერი (არაბული ციფრი)

იაკობ გოგებაშვილის ძეგლი – I.005
ლევან გოთუას სახლი და საფლავი – III.013(ა),(ბ)
გორგასლისეული ტაძარი (Vს.) – გვ. 21
გორი, ქალაქი – I.001
გორის ციხე – გვ.22, I.010
გორის ციხის ეკლესია – I.010(ბ),015
გორისჯვარი – I.012
გრაკალი, გ ა რ კ ა ლ ი, სოფელი – II.070
გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია – III.148(ე)
გუგომის, ტ ყ ე მ ლ ო ვ ა ნ ი ს კომპლექსი – IV.160
გუდალეთის ტაძრის კომპლექსი – II.074
გულისყურის საყდარი – II.221
დავით გურამიშვილის წყარო – მემორიალი – II. 171

## დ

დავაალას ციხე-გალავანი – III.097
დებცხის ეკლესია II 245
დედაღვთისას ეკლესია – I.200; V.016, 088,092
დედაღვთისას ეკლესიის კომპლექსი – V.061
დიდგორი, სოფელი – III.073
დირბი, სოფელი – IV.078
დირბის ციხე – IV.078(ა)
დიდოეი, სოფელი – III.074
დოესის მინდორი – II.085
დრე, სოფელი – I.099
დრისის ჯავახაანთ ციხის კომპლექსი – II.277

## ე

ეკლესია ზერისა – V.028
ეკლესია საწყალი – I.151
ელიას ეკლესია – II.262; IV.032,121; V.144
ერედა, სოფელი – III.095
ერეკლე II-ის საფლავი – III.037(ა)
ერთაწმინდის ტაძრის კომპლექსი – II.095
გიორგი ერისთავის ძეგლი – I.014
ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სახლ-მუზეუმი – I.082

## ვ

ვანთების ეკლესია – III.108
ვარიანი, სოფელი – I.101
ვახტანგ გორგასლის საფლავი – III.037(ა)
ვერეს ციხე – გვ. 21, I.062
ვეჯინის კომპლექსი – III.056

## ზ

ზაჰესი – III.103
ზედაზნის კომპლექსი – III.106
ზედაჯვრის ეკლესია – II.043
ზეიო რენეს ეკლესია – II.097
ზოვრეთის ციხე-დარბაზის კომპლექსი, იხ. მძოვრეთის ციხე-დარბაზის კომპლექსი
ზღუდერი (ზ ო რ ე თ ი). სოფელი – IV.098
ზღუდერის ეკლესია – IV.051(ა)

## თ

თავკავთის კომპლექსი – II.264
თეთრახევის მამების მონასტერი – II.003
თელეთის საყდარი – II.222
თელოვანის ჯვარპატიოსნის ეკლესია – გვ.21
თხინვალი, სოფელი – III.117
თხოთის მთა – II.025

## ი

იდლეთის ეკლესია – გვ. 21
იკვის ეკლესია – გვ. 21
იკორთის ეკლესია – გვ. 21
იოანე ნათლისმცემლის (მ ა ხ ა რ ე ბ ლ ი ს), ი ო ა ნ ე ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ს ეკლესიები – I. 054, 073,162, 245,255,264,283,288,294; II. 058,089, 132, 191(ბ), 205 (კ); III. 106(ა), 153, 171,191,196 (ბ); IV. 011(ე), 017,045, 088,114(გ), 175,194; V.003,081,089,105, 191
თინა იოსებიძის სახლი – I.131
ისიდორიანთ საყდარი – II.281

## კ

კაბერის მცირე ეკლესია – II.064
კავთის ღვთისმშობლის ეკლესია – II. 118
კავთისხევი, სოფელი – II.137
ანატოლი კალგინის საფლავი – III.030 (თ)
კალობანის ეკლესია – II.107
კალოუბნის ეკლესია – III.001
სანდრო კანდელაკის ძეგლი – III.016
კარალეთი, სოფელი – I.134
კარალეთის ციხე – I.134
კასპი, ქალაქი – II. 001
კაციაანთ ეკლესია – II.075
კევის ეკლესია – I.055
ლადო კეცხოველის სახლ-მუზეუმი – I.206
კეხიჯვრის ეკლესია – III.231
კვერცხობის ეკლესია – V.090
კვირაცხოვლის ეკლესიები – I.056,070, 083,092,112,148,201,261,282; II.007,076, 112,133,178,252; III.050,078,100,124, 149,154,177; IV.052,052(ა),107,134,171, 185; V. 017,080,154
კვირიკეს ეკლესია – V 059
კვირიკე წმინდის ეკლესია – IV.135
კიკილაანთ ეკლესია – I.212
კიკოლაანთ საყდარი – II.180
კლდემაღალას ციხე, ა რ ს ე ნ ა ს ც ი ხ ე – II.008
კლიკის ჯვრის ეკლესია – I.164
კოდისწყარო, სოფელი – II.164
კომკების ეკლესია – I.054
კოჯრის კაბენის ეკლესია – გვ.21
კუდუხაანთ ციხე – II.230

## ლ

ლავრა – II.167
ლამისყანა, სოფელი – II.170
ლადიჯვრის ეკლესია – V 051
ლენინის ვ. ი. ძეგლი – I.017, II.009, III. 103(ე); V 006, გვ. 11
ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკა და ძეგლი – V. 109(ა). (ბ)
ლისი, სოფელი – III.129
ლომისის ეკლესია – II.141

## მ

აზნაურ მამაცაშვილის სახლი – I.093
მამა პიროსის ეკლესია – IV.049(ბ)
მამკოდის კომპლექსი – III.134
მიხეილ მაეულაშვილის სახლი, ბაღი და საფლავი – III.019.019(ა).
სოფიო მარიდაშვილის სახლი – II.057
მაროდიშის ეკლესია – III.226
მაღალაანთ ეკლესიის კომპლექსი – II. 266
მაყვლიანის წარმართული ტაძარი – I. 232
მაჩხაანის ეკლესია – III.079
მაცხოვრის ეკლესიები – II.010; IV. 089, 132,176; V.021(ბ). 056;
მგალობლიანთკარის ეკლესია – III.021
მეფეთსადგომის ეკლესია – II.120
მეჯვრისხევი, სოფელი – I. 079
მთავარანგელოზის ეკლესიები – I 028, 045,048,109,273; II 011,047,077(ბ),239; III 173 IV. 033,195
მთაწმინდის ეკლესია – V.136
მისაქციელი, სოფელი – III. 135
მიქელგაბრიელის ეკლესია – II.134
მოხისი, სოფელი – IV. 123
მიხეილ მურვანიშვილის სახლი და საფლავი – V.109,ა, 109, ა(ა).
მუხრანი, სოფელი – III.142
მღვიმე-ეკლესია, III.196
მცხეთა, ქალაქი – III.001
მცხეთის ჯვარი – გვ.11,231; III.024,039;
მძოვრეთი, ზ ო ვ რ ე თ ი, სოფელი – IV. 129
მძოვრეთის ციხე-დარბაზის კომპლექსი – IV. 128
მწვანე საყდარი – I.063; IV.187

## ნ

ნაბახტევის ეკლესია – გვ. 22
ნაბახტევის ციხე – V.104
ნაბელიანთ საყდარი – II.285
ნატახტარი, სოფელი – III.152
ნაბარმაბევი – I.134
ნახშირგორის ეკლესია – III. 138
ნიჩბისი, სოფელი – III.179
ნოსტე, სოფელი – II.190

## ო

ორბელიანების ეკლესია – გვ. 60, III. 242
ორბელიანთა სასახლის კომპლექსი – II.174
ორბელიანის ციხე, იხ. ატენის ციხე
ორთუბნის ციხე, იხ. ძამას ციხე
ორთვალას ეკლესია – III.242
ოქროაანთ საყდარი – I.074
ომკის ტაძარი – გვ. 167

## პ

პეტრე მოციქულის ეკლესია – I.298; III. 104
პეტრე-პავლეს ეკლესია – IV. 157

## რ

რკონი, რ კ ო ნ ი, სოფელი – II.204
რკონის კომპლექსი – II. 205,206
რკონის მონასტერი – გვ. 151; IV. 133(ა)
რკონის ციხის კომპლექსი – II.206
რუისი, სოფელი – IV.133
რუისის ღვთისმშობლის ეკლესია – IV. 133(ა)

### ს

სააკაძეების საძვალე — II.095(ა)
პაატა სააკაძის მოკვეთილი თავის საფლავი — II.095(ბ)
გიორგი სააკაძის ძეგლი — II.019(ა)
საბოლიის ეკლესია — II.249
საგურამო, სოფელი — III.156
საკურთხის წმ. გიორგის ეკლესია — II. 268
სალარიანი საყდარი IV. 028
სალომიის ლომისის საყდარი — II.068
სამთავისი, სოფელი — II. 213
სამთავისის ტაძრის კომპლექსი — გვ.22; II,214
სამთავროს კომპლექსი — გვ. 21; III.030
სამწევრისის ეკლესია — გვ.21
სასირეთი, სოფელი — II.214,ა
სოფ. საქაშეთი, სოფელი — I.175
საქრისის ეკლესია — II.163
სოფ. სადოლაშენი, სოფელი — IV.150
საყდარი საქოლავი — II.246(ბ)
საცივის ციხე, იხ. ატენის ციხე
სვეტიცხოვლის კომპლექსი — გვ. 21,22, 232; გვ. 20; II.001; III.023(ა), (დ),037;IV.123
ი.ბ. სტალინის სახელმწიფო სახლ-მუზეუმი, ვაგონი და ძეგლი — I.024, 024(დ), 025
დავით სულიაშვილის სახლი — V.110
სუმბათაშვილების სახლი — I.139(ბ)
სუმბიანის ეკლესია — III.099
სურამი, დაბა — V.106
სურამის ციხე — გვ. 21,22; V.111
სხერტის ჭალა — II.220
სხვილო, ცხვილო, სოფელი — II.232
სხვილოს (ცხვილოს) ციხე-დარბაზის კომპლექსი — II.234
სხლების ციხე-დარბაზი — IV.181

### ტ

ტაშისკარი, სოფელი — V.115
ტრიკონქის ტიპის ეკლესია — III.192
ტყუვის ეკლესია — I.153

### უ

უკუღმა ეკლესია — III.174
უმზეურას ეკლესია — III.107
ურბნისი, სოფელი — IV.162
ურბნისის სიონი — IV.165(გ)
უსანეთის ეკლესია — I.084; V.018(ბ)
უფლისციხე — I.222
უფლისწულის ეკლესია — I.238

### ფ

ფაფელაანთ საყდარი — IV.188
ფერისცვალების ეკლესიები — I.029,063; V.140,გვ. 321
ანტონ ფურცელაძის საფლავი — I.159
ისაია ფურცელაძის საფლავი — I.160

### ქ

ქალთა მონასტერი — III.014(ა) 030
ქარელი, ქალაქი — IV.001
ქარის საყდარი — II.212
ქარტის ეკლესია — V.057
ქაშვეთის ეკლესია — IV.189
ქვათახევის ეკლესია — გვ. 21;II.223ა; გვ. 320
ქვათახევის კომპლექსი — II, 223
ქვემო ნიჩბისი — III.179
ქვემო ჭალა — II.226
ქვიშხეთის ციხე — V.034
ქსნის ციხე, მტკვრის ციხე, მტკვერის ციხე, კონსტანტილაბათი — III.203
ქსოვრისი, სოფელი — III.191

### ღ

ღვთაების ეკლესია — I.110(ა); V.031, 112,190
ღვთაების ეკლესიის კომპლექსი — I.110
ღვთისმშობლის ეკლესია — I.034(ა),040, 058,061,064,065,075,078,085,086,087, 091,094,098,105,106(ა), 114,115,121,125 126,132,136,143,154,155,169,171,173, 179(ა),183,186,187,188,192,200,207,218, 257,267,270,274,279,285,291;II.021,037 ა, 074(ა), 102,129,175,196(ა), 200,205(ა), 241,248(ა),250,257(ა),260(ა), 266(ა),271; III.004,014,040,042,046,055, 056(ბ),072, 090,118(გ),121,125,134(ა), 136,159,175, 179,184,186,187,188,196(ი), 215,222, 238; IV.002,021,037,038,082(ა), 095,105 (ა) 113,127(ა),130,137,138,139(ა) 150, 152,160,168,172,174(ე),180,190,196; V.016,018(ა),019,032,040,046,054, 062, 063,072,074(ა),085,088,091,092,095,097, 103,113,119,126,128,131
ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსები — II.037,179,271;III.238;IV.082,127,139; V.061,074
ღვინიაანთ საყდარი — I.303

### ყ

ყვავის საყდარი — IV.058
ყველაწმინდას ეკლესია — I.095; 271;III. 217; IV.083
ყინწვისის კომპლექსი — გვ. 21; IV.174
დიმიტრი ყიფიანის სახლი — V.141

### შ

შალიკაშვილების ეკლესია I.155
გიორგი შატბერაშვილის სახლი და ძეგლი — II.122,159
შინდიანის ხატი — III.101
შიომღვიმის კომპლექსი — III.196
შიომღვიმის მონასტერი — გვ. 21,173
შიოს სასაფლაო-ეკლესია — III.196(თ)
შუბნიშნის ეკლესია — II.002

### ჩ

ჩადრისთავის საყდარი — II.272
მარიამ ჩადუნელის სახლი — II.130
ჩიქორის ეკლესია — V.116

### ც

ცაცხვიანის ხატი — III.102
ალექსანდრე ციმაკურიძის სახლი — V.142
მერაბ ციციშვილის საძვალე — IV.144
ციხედიდის კომპლექსი — III.223
ციხიაგორას მზის ტაძარი — II.147(გ)
ნიკო ცხვედაძის სახლი — II.123
ცხირეთის ციხე — გვ.21;II.259(ბ)
ცხრაკარას ციხე — I.010(ა)
ცხრაკარას ციხე-დარბაზი — IV.131

### ძ

ძამის ეკლესია — V.013
ძამის ციხე — გვ.21;IV.131
ძაძვის კომპლექსი, ძამის კომპლექსი — IV.114.
ძეგვი. ძაგუი, ძეგუი, სოფელი — III.212
ძელი ჭეშმარიტის ეკლესია — 078
ძუძუხატის ეკლესია — II.261

### წ

წედისის ეკლესია — I.066(ბ)
წედისის ციხე — I.066(ა)
წეროს ეკლესიის კომპლექსი — I.034
წვერიანას საყდარი — V.129
წვერსაყდარი — V.052
წითელი საყდარი — II.131,288
წილკანი, სოფელი — III.236
წინამძღვრიშვილების ეკლესია — III. 245
ილია წინამძღვრიშვილის ძეგლი და საფლავი — III.243
წიწამური, სოფელი — III.248
წოდორეთი, სოფელი — III.256
წმ.ანდრიას ეკლესია — V.101
წმ.ბარბარეს (ბარბარეთის) ეკლესია — I.076,275,III.010
წმ.ბარბარეს ნიში — IV.196
წმ.გიორგის ეკლესია — I.031,031(ა), 036, 041,057,059,060,077,096,116,120,122, 123,133,147,150,165,170,172,174,182, 184,194 (გომარეთის), 195(ელენთის), 209,244(საორბისის), 259,262,268,276, 278,289,301,304; II.034,040,048,054 (ფავნისის), 061, 065(ა),(ბ),079,083 (ჰოტისუბნის), 087 (წეროაანთ), 091(გარგარის), 104,110, 113,117,119 (კავთის), 124,128 (ფუნაგისის), 136(იკვის), 140 (კატაულას), 160 (ძლევის ქედის), 161, 174(დ), 185,192(ბ), 194(ბ) (ნასოფლარ ოძისის), 201,202,207,218,225,234(ე), 236,246(ა),247,253(ა),258,264(ბ), 268 (საკურთხისის, უმზეურა), 276(ბ),278, 289; III.015(კალოუბნის),043,044,045 (ბ),055,075(ზეგარდის), 076(თეთრი გიორგის), 077 (კავთის), 082(ნაქულბაქევის), 083(ონადირის), 083(ჰოტისუბნის), 092,096,114(ა) (ჯოიანის), 118(ბ), 126,132,134(ბ),150,163(ა),176, 246; IV. 008,022,030,040,049 (ა), 057(ა), (ტემენოსი,ნიში), 059,077 (კოხიჯვრის, კვართისა), 068 (ზედაჯვრის), 092,097,103 (სარკის), 106,115 (ძაძვის), 117, 118 (გომარეთის), 126,142, 144,146 (სამწევრისის), 149,154,191; V. 010 (ბერძნების), 024(ბ),025,033,041, 043 (კვართის), 044 (სავანეთის), 048, 049,053,064,067,068 (ზღუდერის), 075, 082,093,094 (სამყირალოს), 098,100, 102,111(დ),114,117,123,125,127,130,143, 145,158,182,195,197
წმ.გიორგის ნიში — I.088,168; III.056(დ),151; IV.057(ა)
წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველის ეკლესია — II.071.
წმ.დემეტრეს ეკლესია — II.219; III. 041; IV.140
წმ.ესტატეს ეკლესია — II.080,095(დ)
წმ.ესტატეს ტაძრის კომპლექსი — II.095

წმ. თევდორეს ეკლესია — I.130; II.038, 094,111,166,234(ე),235,273,290; III.224; IV.087
წმ. თევდორეს ეკლესიის კომპლექსი — II. 022.
წმ. იორამის ეკლესია — IV 193
წმ. მარიამის ეკლესია — I.243, II.081, III.206,223(ბ); IV. 111; V.077
წმ. მარინეს ეკლესია — I. 144; II. 082; III. 093; IV. 009,009(ა),012,041,042, 051(ბ),141 V. 011,026,035,055,083,087, 137,138,155,188
წმ. ნიკოლოზის ეკლესია — I. 287; II. 125, 162,210; III. 186,247; IV. 169,174(ა); V. 012,193(ბ)
წმ. ნინოს ეკლესია — I. 067; II. 025,030; III. 030(გ), 115, 122(ბ); V. 030,157
წმ. საბას ეკლესია — IV. 029(ბ)
წმ. სამების ეკლესია — I. 037,043,049,119, 145,202,266,269,299. II 069,105,108, 121,196(ზ),224,254(ა),259(დ); III. 029, 220,221,235, IV. 110,156,183; V. 047, 065,153
წმ. სტეფანეს ეკლესია — I. 284; II. 198; V. 084
წმ. ჯვრის ეკლესია — II. 045
წრომის ტაძარი — V. 189
წყრუთის საყდარი — II. 274

ჭ

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი და ობე-ლისკი — III.162,251
ჭეშმარიტას ეკლესია — IV.192
ჭიათას ეკლესია — I.295
მიხეილ ჭიაურელის სახლ-მუზეუმი — III.094
ბესარიონ ჭიჭინაძის ძეგლი — III.103(ზ)

ხ

ხაშური, ქალაქი — V.001
ხვედელას ეკლესია — I.292
ხის აირჩელი ეკლესია მცხეთაში — გვ 231
ილია ხმალაძის სახლი — II.088
ხოვლე, სოფელი — II.279
ხოვლეს ეკლესია — გვ.21

ჯ

ჯავახაანთ ციხე, იხ. ღრისის ჯავახაანთ ციხის კომპლექსი
ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი და ძეგლი — II.292(ა),(ბ)
ჯანიაურების ეკლესია — V.020
ჯებირის ეკლესია — I.068
ჯვარპატიოსნის ეკლესია — II 203,227, (ა,2),275; III.203
ჯვრის ამაღლების ეკლესია — III.196(ბ)

## ქრონოლოგიური

### ქვის ხანა
(ძვ. წ. 8000 წლამდე)

არქეოლოგიის ძეგლები

II.184,197,259(ზ);*
III.006
IV.057(ფ)

### ადრინდელი ბრინჯაოს ხანა
(ძვ. წ. IV-III ათასწლეულები)

არქეოლოგიის ძეგლები — I. 185,210,216, 248;II 028,062,086,147,147(ა, 180,244; III. 023,031,140,144,198; IV. 004,018, 024(ა),(ბ),(გ),043,044(ა),(ბ),060,163

### შუა ბრინჯაოს ხანა
(ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარი-II ათასწლეულის I ნახევარი)
არქეოლოგიის ძეგლები — I.300; II.070, 073(ა), 183(ა), (ბ), 291(ა); III 031,031(ა), 155,190,230; IV. 024(ა),(),(გ),043,044 (ა),(ბ),162,163

### შუა ბრინჯაოდან გვიან ბრინჯაოზე გარდამავალი ხანა

არქეოლოგიის ძეგლები — II. 073,073(ა), (ბ),(გ); IV. 044(ბ); V 177

### გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანა
(ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარი — I ათასწლეულის I ნახევარი)

არქეოლოგიის ძეგლები—I.039,050(ა),(ბ), 107,135,177,185,219,246,248,249,250; II. 004,005,012,013,020,029,031,041,044 (ა),049,062,063,067(ბ),070,092,098,100, 109,115(ა),(ბ),116,127,142,144,145,147, 147(ა),(ბ),(გ),155,156,163(ე),181,181(ა), (ბ),182,186,188,189,199,216,217,224, 259(ა),291(ა),(ბ),(გ); III. 006(ა),020,031, 031(ა),(ბ),057(რ),058,059,061,061 (ა),(ბ),098,140,144,145,155,163(გ),(ე), (ე),166,169,190,197,198,199,213,213(ა), 218, 228,229,230,232,233,234,234(ა),239, 253,254 IV.003,004(ა),(ბ),018,019,024, 024(ა),(ბ),(დ),(ე),036,043,044(ა),(ბ), 057(ტ),059(ა),060,061,062(ა),(ბ),(გ), 063 (ა),(ბ), 072,079,102,102(ა),119,153,162, 165(ა); V. 023,024(ა),118,120,139,148, 149,163,164,165,168,169,170,171,172, 173,174,175,176,177,187
არქიტექტურის ძეგლები— I. 010,222
ისტორიის ძეგლები — II. 217

### ბრინჯაოს ხანა

არქეოლოგიის ძეგლები — I. 180,181; II. 062,194(ა); III. 006,070,189; IV. 184; V. 122

### ადრინდელი ანტიკური ხანა
(ძვ. წ. VI-IV სს.)

არქეოლოგიის ძეგლები — I. 230; II. 018 (ა),029,032,033,067(ბ), 147(ა),(ბ),(გ),187, 172,291 (ა),(ბ); III. 031,140,189,190,190 (ბ),218,218(ა),237,264; IV. 004(ბ), 057(უ),165(ა)
არქიტექტურის ძეგლები—I. 230; III.007, 218(ა)
ისტორიის ძეგლები — III. 007

### ელინისტური ხანა
(ძვ. წ. IV ს. IV მეოთხედი—I ს. დასაწყისი)

არქეოლოგიის ძეგლები—I. 211,223,225, 226,230,231,231(ა),(ბ),(გ),(დ),(ე),232, 233,234,237,239,240,241,241(ა),(ბ),242, 242(ა),(ბ),(გ);
II. 032,032(დ), 115(ბ),(გ),147(ა),(ბ),(დ), 148,153(ბ),217,244,287; III. 007,007(ა), (ბ),(ე),(თ), 020,023,023 (ა),(გ),031(ბ),(გ), 032,119(ბ),122(ა),140,170,188,189,190, 190(ა),(ბ),210,211, 218(ბ),(გ),223, 249,255; IV. 057(ე),(ზ),(თ),(ლ),(პ),(რ); 075,076,162,163,165(ა),(ბ)

არქიტექტურის ძეგლები

გალავანი — III.007(ა); IV.165(ბ)
დარბაზი — I. 230,241,241(ა),(ბ); III. 007(ბ)
კოშკი — III. 170
ნაგებობა — I. 240,242(გ); III. 007(თ), 163(დ);
მარანი — II.147(ა); III.007(გ)
სასახლე — IV.057(ზ)
საცხოვრებელი სახლი — I.223,225, 226,231,231(ა),(ბ),(გ),(დ),(ე);233,234, 237,239,242,242(ა),(ბ),
ტაძარი — I. 232; II. 147(ა),(გ)
ციხე — I. 001,010

### გვიანდელი ანტიკური ხანა
(ძვ. წ. I ს. — ახ. წ. IV ს.)

არქეოლოგიის ძეგლები

I. 211,229; II. 018(ბ),026,029,032,032(ა), (ბ),(გ),(დ),067(ბ),098,115(ბ),(გ),126,147 (გ), 152(გ),168,211,224,233,287; III.002, 006,006(ა),(გ),(დ),(ე),(ვ),(ზ),(თ),(ი),(კ); 007,007(ა),(დ),(ე),(ზ), 009,017(გ), 018, 018(ა),(ბ),022,022(ა),(ბ),023,023,ა, 023, ა,(ა),(ბ),(გ),(დ),025,027,031,031(გ),105, 119,119(ა),(ბ),(გ),155,160,170,188,189, 190,190(ა),(ბ),193,208,211,211(ა),(ბ),(გ), (დ),(ე),(ვ),(ზ), 213(ბ),(გ),238(დ): IV.057, 057(ა),(ბ),(გ),(დ),(ე),(ვ),(ზ),(თ),(ი),(მ), (პ),(უ), 102(ბ),163,165(გ),(ვ)

არქიტექტურის ძეგლები

აბანო: — III. 007(გ); 211(დ),(ზ); IV. 165(გ)
აკლდამა — II. 001(ა); III.002
გალავანი — III.007(ა); IV. 057(ე)
დარბაზი — I. 229,235
კარიბჭე — IV. 057(დ)
მარანი — I.211; III.006(ზ),031(გ)
ნაგებობა.— III.006(დ),(ე),(ვ),(ი),211 (ე): IV.057(ვ)
ნაქალაქარი — I.222
სასახლე — III.211(გ)
ტაძარი — III.211(ა),(ვ); IV.057(ბ),(გ)
ხიდი — III.027
ციხე — III.007


* ყველგან მითითებულია რვეულის ნომერი (რომაული ციფრი) და ძეგლის ნომერი არაბული ციფრით

ისტორიის ძეგლები

I.222; III. 006,007,027

მონუმენტური ხელოვნების ძეგლები

III.211(ბ).(დ)

## ანტიკური ხანა

არქეოლოგიის ძეგლები

I. 178,215,219,234(გ).235,236,236(ა).(ბ), (გ).(დ).(ე).(ვ).(ზ), 238,242(დ),(ე); II. 077 (ა),092,115(ა).143,146.147,148,168,174 (ა); III. 011,189,190(ე),218, IV. 018,024, 024(ა).057(რ).109,162,165(ბ),177,179, V. 164,165,167,169.170,171,172,174.

არქიტექტურის ძეგლები

დარბაზი – I. 235,236,236(ა),242(ე)
მარანი – II. 174(ა)
გალავანი – IV. 165(ბ).
ნაგებობა – I.236(ბ),(გ),(დ),(ე),(ვ),(ზ), 242(დ)
ტაძარი – III. 163(გ)

## ადრინდელი ფეოდალური ხანა
(IV-X სს)

არქეოლოგიის ძეგლები

I. 219,222,235,238,260. II. 014,016,017, 026,029,032,033,077(ა),(დ),098,099,146, 148,151,151(ა),(ბ),152,152(ა),(ბ),153(ბ), 165,165(ა),(ბ),169,224,233,240(ა),270 III. 006(ა),(ბ),007,007(ა),009,011,017, 017(ა).(ბ),018(ბ),020,023,023ა(ა),(ბ), (გ),(დ),028,031,031(გ),037,038,039,060, 062,065,066,079,091,108(ა),(ბ),109,111, 113,122(ა),139,155,163(გ),(დ),(ე),(ვ),166, 168,169,188,189,190(ა),(ბ),(გ),(დ),(ე),(ვ) 192(ბ),193,210,211,237,237(ა),238,250, 253; IV. 024,024(ა),057(ზ),(ი),(კ),(მ),(ნ), (ო),(ხ),112,125,161,162,163,165(ა),(ბ), (დ); V. 194

არქიტექტურის ძეგლები

აბანო – III.190(ბ)
აკლდამა – II. 001(ა)
გალავანი – II. 080,259(ბ),278; III. 007 (ა),017,192,196(ხ),224; IV. 051,161, 165(ბ)
გამოქვაბული – I. 260; III.196(ო); IV.112
დარბაზი – I. 228,235
*ეკლესია:*
*ბაზილიკა* – I. 061,110(ა); II. 203,205(ა); III. 003,106(ა), 108,190(გ), 238; IV. 082, 099,163(ე),
*ბაზილიკა სამეკლესიანი* – I.164,192, 238; II. 140; III. 071,123,157(ბ),161,190 (დ),204; IV. 099,146; V.085; *გუმბათოვანი* – I. 069,075,109; II. 030,132,167,214(ა); III. 024(ბ),030(გ),196(ბ); IV.077,139(ა), 146; V. 189
*დარბაზული* – I.036,040,060,066,154, 184,243,289,293,295; II. 030,054,080, 104,105,128,129,141,184,191(ბ),245,250, 268,273,278,289; III. 003 024(ა),037,045 (ა).055,056(ბ),(გ),(დ),079,080,082,083, 090,101,106(ა),125,150,157(ა),168,174, 180,200,205,214,224,231,238; IV. 030, 033,049(ა),(ბ),051(ბ),052,052(ა),086,095, 101,106,114(ა),132,141,145(ბ),156,160 (ა),(ბ); V. 032,057,059,084,092,093,111 (დ),123,140,154
*ტრიკონქის ტიპის* – III.192;
*დაუდგენელი ტიპის* – I.260(გ), II.025,240(ბ); III.012,ა.
კოშკი: II. 008,234(გ); IV.033(ა), 131(ე),(ზ)
მარანი: III. 006(ზ),122(ა), 190(ბ); IV. 165(დ)
ნაგებობა: I. 235(ბ),(გ), 260(ბ),(დ); III. 006(დ),(ე),(ვ),196(გ),(დ),(ლ); IV. 165(ე)
ნაქალაქარი: I 222
სამრეკლო: I 289; IV.049(გ)
სასახლე: III. 056(ა)
საცხოვრებელი სახლი: IV.170
ციხე: I 033,062; II.008,234,259(ბ); III. 007,011; IV 131.

ისტორიის ძეგლები

I. 222,260; II.008,234, III. 001,007,011, 024,106,196(თ),(ე),(რ),238; IV. 131, 131(ა), 162(ა),(ბ); V 027

მონუმენტური ხელოვნების ძეგლები

I. 061,066(),069(ა), 184(ა); II.140; III. 024(გ), 079,192(ა); IV.033; V.027

## განვითარებული ფეოდალური ხანა
(XI-XV სს)

არქეოლოგიის ძეგლები

I. 006,106(ბ),166(ბ) 217,228; II. 065(ა), 068(ა),077(გ),173,225,259(ვ); III.006, 023,023,ა, 023,ა(ა),(ბ),(გ), 031,120,128, 163(გ),(დ),(ე),(ვ),164,166,169,182,183, 196,196(რ),209,226(ბ); IV 006,007,049 (დ),112,143, V. 015(ა),(ბ),181

არქიტექტურის ძეგლები

გალავანი: II. 077,095(ე),136(ა),223(ბ), 277(ა); III.005(ა),037(დ); IV. 114(დ), 160(ი)
გამოქვაბული: IV.112
დარბაზი:I.228
ეკლესია:
*ბაზილიკა* – II. 194(ბ),
*ბაზილიკა სამეკლესიანი* – I 164,192,238
გუმბათოვანი: I.034(ა); II. 074(ა),095(დ), 136,179(ა),214(ა),223(ა), III. 030(ა), 037(ა),196(ი),238; IV.139(ა),174(ა)
*დარბაზული*: I.010(ბ),027,028,031,041, 043,053,058,058(ა),(ბ),063,065,070,073, 077,086,091,094,096,106(ა),125,131,151, 155,169,183,207,243,244,257,274,279,282 283,288,294; II. 002,065(ბ),069,079,094, 111,131,160,162,179,202,205(კ),206(ბ), 207,214(ე),219,222,225,234(ე),236,247, 261,262,264(ბ),274,277(ბ); III. 004,010, 014,015,029,041,043,045(ბ);075,092,132, 133,138,159,163(ა),175,196(ტ),235; IV. 005,008,012,045,047(ა),089(ა),105(ა),115, 127(ა), 137,142,160(გ),(ვ),174(ე),185, 187; V. 002,031,043,049,056,090,091,111, 123,140,187,191;
*დაუდგენელი ტიპის*: I. 068,284; III. 104, 196(ა); IV.059(ა), 152
კარიბჭე: II.205(გ); III 004,030(ბ), 037(ა),(ე), 196(ე); IV. 139(დ), 160(ე); V. 031(ბ)
კოშკი:I. 062,089,090,176; II. 095(ე),101, 196(ბ), 223(ბ), 277(დ); III. 005(ბ),029 (ა), IV. 054,105(ბ),127(ბ); V. 111
მარანი: III. 037(გ), 128,203;IV.112
ნაგებობა: II.205(დ),(ე); III.163(გ), 196 (გ),(ზ),(ლ),(რ), 236(გ),(დ),(ე),(ზ);IV. 114 (გ), 174(გ)
ნაქალაქარი: I. 222
სამრეკლო· I. 043; II. 095(ზ); III. 030(ე); IV. 114(ბ),137; V. 002
სასახლე: I.110(გ), II.214(დ), 277(ბ); III. 037(გ)
საცხოვრებელი სახლი: I.236(ე)
ციხე: I. 010, II.231(ბ), 264(ა), 277; III.005; V. 111(ბ)
ხიდი: II. 205(ბ)

ისტორიის ძეგლები

I. 137,222; II. 095,136,214,214ა(ა), 223; III. 014,014(ა), 030,037,073,183,196(ე), 236(ა); IV. 023, 112,131(ა),(ბ),(ბ),(დ), 133(ა),(ბ),162(გ)

მონუმენტური ხელოვნების ძეგლები

I. 065(ა), 069(ა),073(ა),091,155,192,243, 244(ა); II. 030(ა),054(ა),094,132(ა),205 (ბ),(ე),206(გ),207 (ა), 223,227(ა),(ე),247 (ა),264(დ),289(ა); III. 015,037(ბ),045(გ), 159,196(უ),214ა; IV. 085,086(ა),114(ბ), 123(ა),139(ე), 160(დ),174(ბ),(დ),(ე); V. 049,091(ა),111(ე),123(ა)

## გვიანდელი ფეოდალური ხანა
(XVI-XVIII სს.)

არქეოლოგიის ძეგლები

I.038,051(ა),103(ბ),104,129,167,196,224, 227,234(ა),235,242,290, II. 004,014,015, 039,045,053,060,077(დ), 093,093,(ა),135, 138,149,150,153(ა),(ბ),154,187,192 (ა),193,194(ა),195,196,231,232, 248,251,253,254,255,256,263,266,267, 286; III.023,ა,023,ა(ბ), 037(გ),081,163 (გ),(დ),(ე),(ვ),165,166,169,209,219, 223,251, IV. 004,011(დ),013,020,026,027, 028,034,035,039,(ბ),051(დ),057(უ),067, 068,069,070,071,073,080,102,102(გ),136, 143,167; V. 018,021(ა),022,028,079,129, 139(ა),145,150,181,183,184,185,186,192, 193(ა),(ბ)

არქიტექტურის ძეგლები

აბანო: I.013;II.196(ე),227(ე);III.185(გ); IV. 129(დ)

გალავანი: I. 012,057,110(ბ),193; II.021, 022(ბ),112,174(ბ),179(ბ), 196(ა),206(ა), 214(გ), 227(ა,1),(ბ,1),(გ,1),231(ა),249, 271(დ),III.024(დ),030(ე),037(დ),096(ა), 097,148(ა),(დ),185(ა),195(ა),201(ა),(ბ), 203,238,(ბ);IV. 029(ა),128(ა),129(ა),139 (ზ),145(გ); V. 069,074(გ),111(ა);
გამოქვაბული: IV. 013;
ეკლესია:
ბაზილიკა – II. 194(ბ); III. 196(ი); V. 018(ბ),074(ა); IV. 082(ა);
გუმბათოვანი – I. 031(ა); III.099,186,196 (ი);IV.103,149;V.018(ა),020,108
დარბაზული – I. 029,049,051(ბ),053,054, 055,056,057,058,058(მ),064,067,068,070, 074,078,081,083,087,088,092,095,098, 106(ა),112,114,119,120,123,125,126,130, 133,143,144,145,147,148,150,153,162, 165,172,174,179,182,186,187,188,193, 194,195,209,212,243,245,255,261,262, 264,266,267,268,273,274,275,276,278, 285,287,291,292,297(ა),298,301,303;II; 003(ა),007,010,011,037,037(ა),038,040, 043,045,047,048,058,060,(გ),061,064 071,072,075,076,077(ბ),081,089,090,091, 102,107,108,112,117,118,120,126,133,

134,161,163,166,174(ა),175(ა),177,178, 192(ბ),194(ბ),196(ზ),(ი),198,200,201,210, 212,221,224,227(ა,2),(დ),229,231(გ), 235 239,241,246(ა),248(ა),249,252,260(ა), 266(ა); 269,271,272,275,276,281,282,285, 288,290; III 021,040,042,043,046,050, 052(ბ),093,096,100,102,107,115,116(ა), 118(ბ),(გ),121,122(ბ),124,126,127,137, 148(ბ),149,158,171,173,176,177,195(ბ), 201(ა),(ბ),207,215,216,217,220,221,222, 223(ბ),225,226(ა),238,240,241,242,246
IV. 009,011(გ),021,028,029(ბ),037,038,041, 042,048(ა),058,088,090,092,095,097,100, 107,110,117,118, 121,128(ბ),130,134, 135,144,145(ბ),154,157,160(ე),(თ),168, 169,171,172,173,174(ზ),175,176188, 190,191,193,194,195; V.011,016,021(ბ), 026,030,035,036,038,040,044,051, 052,053,054,061,061(ა),(დ),063,064, 067,068,078,088,089,094,097,101, 113,114,116,121,128,129,131,134,143, 144,145,152,157,182,190,193(ბ)
დაუდგენელი ტიპის: I. 224; II. 087,175(ბ), 246(ბ), III.044, IV. 013; V.113,150,188
კარიბჭე: III.003,030(ბ),046,081(გ),106 (ბ),118(ბ),137,177
კოშკი: I.010,044,047,071,072,081(ბ),089, 103(ა),118,123,128,138,140,141,142,147, 152,156,157,161,163,166,167,176,189, 203,208,252,254,265,272, II.008,011 (ბ),022(გ),027,037(გ),044(ბ),052,055,059 060(ბ),066,074(ბ),095(ე),101,103,124(გ), 174(ბ),179(ბ),196(ბ),206(დ),(ე),214(გ), 215,226(ე),227(ა,4),(ბ,1),230,237,238, 266(ე),271(ბ),283,284; III.024(დ),037(ა), (დ),052(ა),097,148(ა),(დ),172,185,185(ბ) 195(ა),223(ა),233,238(ბ). IV.011(ბ),048, 055,057(ე),084(ბ),(გ),122,124,128(დ), 139(ე),166; V. 005,050,073,074(გ),111(გ), 135,143,156
მარანი: I. 056; II. 080(ა). III 148(გ)
ნაგებობა. I. 081(დ); II 055, 196(ე),208, 234(ზ); III.030(ზ), 106(დ),196(ლ); IV. 082(გ), 084(ა), 144; V. 061(ბ), (ე). IV. 160(ზ); V. 182(ა)
სამრეკლო: I. 098,110(ბ), 119,120 133,143,174,179,255,266,267,268; II.003 (ა), 037(). 047,048,089,102,134,166,203 (ა), 205(თ) 214(ე), 266(გ), (დ), 271(გ), 278(ა), III. 004(ბ), 096(ბ), 192,196(ე), 215,220,223(გ); IV. 021(ა), 082(დ),110, 128(გ),135,157,165(ზ); V. 018(გ),044,051, 061(გ),068(ა), 074(ბ), 123(),157(ა)
სასახლე. I. 081; II.060(დ). 174,196 (გ), 206(ე), 227(ა,5), (გ,2), 231(ა); III.037(ე), 118(ა); IV.029(გ),145(დ)
საცხოვრებელი სახლი: I. 080; II. 196,196(დ),265; III. 037(გ), 196(ე), IV. 126(ე)
ციხე: I. 010,066(ა),081(ა),134,138,139 146,161,203,208,252,286; II.008,037(გ), 044(ბ),074(ბ),081,174(ა),230,227(ა),(ბ), (გ),231(ბ); III. 052(ა),097,106(გ),148, 185,195,203; IV. 011(ა),029,039(ა),084, 128,145. V.069
ხიდი: III: 219

ისტორიის ძეგლები

I. 012,035,079,081,127,175,191; II. 023, 114,137(ა),170(ა),(ბ),171,174,196,206, 213(ა),220,227,260(ბ),266,266(ზ); III. 073,074(ა),(ბ),129(ა),135(ბ),142(ა),156 (ა),(ბ),(გ),203,212(ა),(ბ),219,248(ა),256; IV. 001(ა),010,023,053(ა),078(ა),(ბ),123 (ა); V. 115,133(ა),(გ),146,146(ა)

მონუმენტური ხელოვნების ძეგლები

I.054(ა); II 011(ა),043(ა),095(ე),111(ა), 128,196(თ),205(თ),208(ა),214(),227(ა), (ვ),231(დ),266(ე),275(ა),281(ა); III.030 (ბ),(დ),037,(ბ),096,101(ა),106(ბ),173(ა), 238(ა); IV. 009(ა),013(ა),029(ბ),030,082 (ბ),092,132(ა),140(ა),144(ა),173,174(ბ), (დ); V. 031(ა),038,056(ა),061(ე).

## ფეოდალური ხანა

(IV-XVIII სს)

არქეოლოგიის ძეგლები

I.113,124,149,198,213,214,227,234,234 (ბ),(გ),(დ),235,236,253,256,297(ბ); II. 003(ბ),060,060(ა),(ბ),(გ),(დ),(ე),065,078, 090,091(ა),257(ბ),259(ბ); III.026,047, 048,057,061(ა),(ბ),063,064,067,068,069, 079,080,084,085,086,087,088,098,110, 112,114,116(ბ),130,131,167,178,202,228, 253,257,258,259,260; IV. 004(გ),005,014, 046,052(ბ),064,065,066,074,081,082(ე), 093,094,116,147,148,151,178,183; V. 150, 160,161,162,163,165,166,169,170,171, 172,173,180

არქიტექტურის ძეგლები

გალავანი: I. 070; II.234(ბ); III. 045,071,196(ს); IV. 046(ბ),051(ე),082(ე), 111(ა),181(ა)
დარბაზი: I. 234
ეკლესია:
*გუმბათოვანი* – I.110(ა);
*დარბაზული:* I. 034(ბ),136,269; II. 021, 022(ა),065,065(ა),079,082,097,129,257(ა) III.104,154, IV. 032,046(ა),111,140,189, 192; V. 014;055,072,082(ა),094,107,161, 162
*კლდეში ნაკვეთი:* I.218
*დაუდგენელი ტიპის*: II. 093(ა), 259(დ); III. 047; IV. 059(ა),151,183; V. 150.
კარიბჭე: III. 196(ბ), IV. 146(ა); V. 191(ა)
კოშკი: II. 022(გ),205(ზ),234(გ),(დ); III.011,037(ა),(გ), 073,106(გ); IV. 084 (ბ),(გ),131(ე),(ზ),(კ), 145(ა), 181(ე)
მარანი: III.023,192(ბ),246;
ნაგებობა: II.205(ი),223(დ), III. 106(დ), 196(მ),(ნ); IV. 089(ბ),129(გ),181(გ),(დ); V. 191(ბ)
სამრეკლო: I. 070,260(ა);III. 092, 196 (ე); IV.082(დ), V. 091(ბ)
სასახლე: I.066(ა), V. 111(ე)
საცხოვრებელი სახლი და ნაგებობა: I. 227,234: II.234(ე),259(ბ); IV.129 (ბ),131(ლ),234,234(ბ),(გ),(დ)
ციხე: I. 010(ა); IV.004(გ),078(კ),131(ე), 145,181,181(ბ), V.034,111(ბ),180
ხიდი: II 264

ისტორიის ძეგლები

I. 253; II. 266(ზ); III.144; IV. 027,145

მონუმენტური ხელოვნების ძეგლები

I.154,155,234,238; II. 065(გ),077(ე),079, 094,104,128,129(ა),140(ა),167(ა),191(გ), 219(ა),250(ა),259(ე),266(ბ); III. 004(ა), 041,079,106(ბ),143,180,196(ლ); IV. 030, 051(გ),132(ა),139(ბ),140(ა),192(ა); V. 049,111(ე)

## XIX საუკუნე

არქეოლოგიის ძეგლები

III. 227

არქიტექტურის ძეგლები

აბანო: II. 051(ბ)
გალავანი: I. 059; II.113;III.134(გ)
ეკლესია:
*ბაზილიკა* – I. 121;
*გუმბათოვანი* – I. 015,299; III. 134(ბ), 148(ე); 245; IV.040,138;V.017
*დარბაზული* – I. 037,042,045,048,059, 084,105,122,132,158,171,173,200,201, 202(ა),259,270,271,304; II.034,038,042, 110,113,119,121,124,153,161,174(დ),218, 253(ა),258; III.029,049,054,072,076,077, 078,093,134(ა),(ბ),136,148(ე),184,206; IV. 002,022,083,087,110,117,126,180, 193; V. 012,019,025,047,048,062,075,083, 087,098,100,102,103,112,117,119,127, 130,136,153,155,158,195,197
*დაუდგენელი ტიპის* II. 253(ა)
კარიბჭე: III. 148(ბ),(ე),153; IV.110(ა)
კოშკი: II.147;IV.166
მარანი: II.265; III. 162(ა)
სამრეკლო: I 042,084,259,270,271,278; II.034,113,119,179(გ),223(გ); III.049, 072,134(ა),136,153,184
IV. 110(ა). 126(ა). 152,180(ა); V 017(ბ), 047,108(ა),121,153(ა).195(ა), 197(ა)
სასახლე: II. 051,174(გ); III. 146,147, 195(გ), V. 196
საცხოვრებელი სახლი: I. 023ა, 023 ბ, 023 გ. 030(ა),(ბ),093,225; II. 050, 223(ე),228; III. 033,162,244; IV. 104,120. 159,170; V. 086,099,ა
ნაგებობა: IV. 091: 152(ა); V. 017(ა)
ციხე V. 139(ა)
ხიდი: I. 001(გ)

ისტორიის ძეგლები

I. 022,023,026,046(ა),052,099(ა),(ბ), 108, 117,251(ა); II.137(ბ),158,190,ა, 226(ა). 228,260(ბ),266(ბ),279(ა),(ბ). III. 147, 243; IV. 001(ბ),010(ა),016,078(დ),108, 170; V. 001(ა),(ბ),(გ),042

მონუმენტური ხელოვნების ძეგლები

II. 051(გ),113,124(ა),258(ა); III. 037,072, 078,092,196(ბ),(კ),(ლ); IV. 009(ა)

## XX საუკუნე

არქიტექტურის ძეგლები

გალავანი: IV. 040(ბ)
ეკლესიები: *გუმბათოვანი* – IV.040; V. 003; *დარბაზული* – V.024(ბ),066,112; *დაუდგენელი ტიპის* – V.104
ნაგებობა: I. 002,008,009,024(ბ),(გ); III. 103,103(ა),(ბ),(გ),(დ),(ე), 141,143; IV. 040(ა)
სამრეკლო: I. 203(ა); IV.040(ა), V.153(ა)
საცხოვრებელი სახლი: I. 023,ა,ბ; 024,030(ა); IV.056,159; V.009,109,ა, 178, 179
ხიდი: I. 001(რ), 026(ბ)
მონუმენტური ხელოვნების ძეგლები:
I.005; II.019(ბ); III. 143

## დაუთარიღებელი

### არქეოლოგიის ძეგლები

II. 067(ა), 149,242,243; III. 030(ზ),181, IV. 017,185, V. 013,028,033,039,046,065,076, 080,081,082,083,096,098,099,104,124, 125,137,138,147;

### არქიტექტურის ძეგლები

გალავანი: I. 116
ეკლესია: *დარბაზული* – I.115,116,168, 170,263; II. 254(ა); III. 107,163(ბ),247; IV. 017,113,158,185; V. 010,013,028,029, 077,098,105,124,125,138; *დაუდგენელი ტიპის* – II. 086(ა), 187(ა); IV. 131(ი), 196;
V. 033,041,065,150
კოშკი: IV. 186;
ნაგებობა: I. 235(გ), III. 196(მ), (ნ)
სამრეკლო: V. 102,112,157(ა)
სასახლე: V. 111(ვ)
საცხოვრებელი სახლი: IV. 128(ვ)

# სტატიების ავტორების გვარისა და სახელის მიღებული შემოკლებები

| | |
|---|---|
| აბ. ა. | აბუთიძე ა. |
| ანდღ. ნ. | ანდღულაძე ნ., ხელოვნებათმც. კანდიდატი |
| ანთ. ი. | ანთელავა ი., ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| ართ. ვ. | ართილაკვა ვ., ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| აფ. ა. | აფაქიძე ა. საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი |
| აფრ. გ. | აფრასიძე გ., ისტ. მეცნ. დოქტორი |
| ბ. ა. | ბოხოჩაძე ა., ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| ბ. გ. | ბერაძე გ. |
| ბ. ე. | ბერაძე ე. |
| ბ. ზ. | ბაქრაძე ზ. |
| ბ. თ. | ბიბილური თ. |
| ბ. ლ. | ბალხამიშვილი ლ. |
| ბ. მ. | ბარამიძე მ., ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| ბ. ნ. | ბახტაძე ნ., ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| ბაგრ. გ. | ბაგრატიონი გ. |
| ბაქრ. მ. | ბაქრაძე მ. |
| ბეგ. ლ. | ბეგლარიშვილი ლ. |
| ბერ. ც. | ბეროზაშვილი ც. |
| ბერძ. ც. | ბერძენიშვილი ც. |
| გ. გ. | გაფრინდაშვილი გ., არქიტ. კანდიდატი |
| გ. თ. | გაგოშიძე თ. |
| გ. ი. | გაგოშიძე ი., ისტ. მეცნ. დოქტორი |
| გ. კ. | გიორგობიანი კ. |
| გ. ნ. | გოძიაშვილი ნ. |
| გ. რ. | გურამიშვილი რ. |
| გვ. რ. | გვერდწითელი რ. |
| გვ. ჯ. | გვეტაძე ჯ. |
| გვას. ჯ. | გვასალია ჯ., ისტ. მეცნ. დოქტორი |
| გოგ. თ. | გოგოლაშვილი თ. |
| გომ. ი. | გომელაური ი., ხელოვნებათმც. კანდიდატი |
| გრძ. ვ. | გრძელიძე ვ. |
| დ. გ. | დუნდუა გ., ისტ. მეცნ. დოქტორი |
| დ. თ. | დევიშვილი თ. |
| დ. ფ. | დევდარიანი ფ., ხელოვნებათმც. კანდიდატი |
| დ. შ. | დედაბრიშვილი შ., ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| დ. ც. | დავლიანიძე ც. |
| დვ. თ. | დვალი თ. |
| დოლ. ვ. | დოლიძე ვ., ხელოვნებათმც. კანდიდატი |
| ვ. შ. | ვანიშვილი შ., ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| ზ. პ. | ზაქარაია პ., საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი |
| ირ. შ. | ირემაშვილი შ. |
| კ. ა. | კალანდაძე ა., ისტ. მეცნ. დოქტორი |
| კ. ბ. | კუპრეიშვილი ბ. |
| კ. ე. | კუპატაძე ე., ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| კ. კ. | კახაძე კ., ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| კ. მ. | კახრაძე მ. |
| კ. ს. | კინწურაშვილი ს. |
| კ. ჯ. | კერესელიძე ჯ. |
| კალმ. გ. | კალმახელიძე გ. |
| კედ. ს. | კედია ს. |
| კვ. რ. | კვიტაიშვილი რ. |
| ლ. მ. | ლომხაძე მ. |
| მ. გ. | მარსაგიშვილი გ. |
| მ. დ. | მახარობლიშვილი დ. |
| მ. თ. | მაისურაძე თ. |
| მ. ი. | მამაიაშვილი ი. |
| მ. მ. | მამულაშვილი მ. |
| მ. ნ. | მარჯანიძე ნ. |
| მგ. მ. | მგალობლიშვილი მ., ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| მენ. მ. | მენაბდიშვილი მ. |
| მინდ. გ. | მინდიაშვილი გ. |
| მირ. ნ. | მირიანაშვილი ნ. |
| მუსხ. დ. | მუსხელიშვილი დ., ისტ. მეცნ. დოქტორი |
| ნ. ა. | ნუცუბიძე ა., ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| ნ. ვ. | ნიკოლაიშვილი ვ. |
| ნ. თ. | ნემსაძე თ. |
| ნ. შ. | ნათაძე შ.. |
| ო. ა. | ოსეფაიშვილი ა. |
| ონ. ნ. | ონიანი ნ. |
| რ. ა. | რამიშვილი ა., ისტ. მეცნ. დოქტორი |
| რ.-ჩ. მ. | როდე-ნიჟავაძე მ. |
| ს. ა. | სიხარულიძე ა., ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| ს. ვ. | სადრაძე ვ. |
| ს. თ. | სანიკიძე თ., ხელოვნებათმც. კანდიდატი, |
| ს. ლ. | სუმბაძე ლ., არქიტ. კანდიდატი |
| ქ. თ. | ქარუმიძე თ. |
| ქ. ი. | ქორიძე ი. |
| ყაზ. ლ. | ყაზახიშვილი ლ. |
| შ. ზ. | შატბერაშვილი ზ. |
| შ. ი. | შარაშენიძე ი. |
| შ. ტ. | შევიაკოვა ტ. |
| შაიშმ. ი. | შაიშმელაშვილი ი., გენერალ-მაიორი |
| ჩ. თ. | ჩიმაკაძე თ. |
| ც. ი. | ციციშვილი ი., ხელოვნებათმც. დოქტორი |
| ცქ. გ. | ცქიტიშვილი გ. ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| ძ. ლ. | ძიძიგური ლ. |
| ძ. მ. | ძნელაძე მ. |
| ჭ. გ. | ჭეიშვილი გ. |
| ჭ. თ. | ჭანიშვილი თ. |
| ჭ. ლ. | ჭელიძე ლ., ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| ჭ. მ. | ჭელიძე მ. |
| ჭყ. თ. | ჭყონია თ. |
| ხ. დ. | ხახუტაიშვილი დ., საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი |
| ხ. ლ. | ხეცურიანი ლ. |
| ხ. ც. | ხმალაძე ც. |
| ხატ. ო. | ხატისკაცი ო. |
| ხუბ. გ. | ხუბუტია გ. |
| ჯ. ალ. | ჯავახიშვილი ალ., საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი |
| ჯ. ბ. | ჯორბენაძე ბ., ისტ. მეცნ. კანდიდატი |
| ჯ. გ. | ჯინჯიხაშვილი გ. |
| ჯ. ზ. | ჯამბურია ზ. |
| ჯ. ი. | ჯალაღანია ი., ისტ. მეცნ. დოქტორი |
| ჯოხ. გ. | ჯოხაძე გ. |
| ჯღ. თ. | ჯღარკავა თ. |

# შემჩნეული შეცდომების გასწორება

| გვ. | სვეტი | ზემოდან | ქვემოდან | არის | უნდა იყოს |
|---|---|---|---|---|---|
| 19 | II | 25 | | 736-738 წწ. | 735-737 წწ. |
| 20 | I | 8 | | სხვილსხელნი | სხვილოსელნი |
| 21 | III | 25 | | საყრდენ ბასტიონად გორის | საყრდენ ბასტიონად ტფილისთან ერთად გორის |
| 21 | III | | 29 | ცხირეთის | ტაშისკარის |
| 23 | I | 16 | | გაუქმდა | მოიშალა |
| 27 | I | 4-6 | | ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი (დაარსდა 1947 წ.) | ეკონომიკური ინსტიტუტი (ყოფ. ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი. დაარსდა 1947 წ.) |
| 33 | I | 7 | | ამავე საუკუნის 80-იან წლებში | 1578 წელს |
| 36 | III | 14 | | 007. გორის პედაგოგიური ინსტიტუტი | 007. გორის ეკონომიკური ინსტიტუტი |
| 37 | I | ნახაზის წარწერა | | 010(ბ), გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა | 010. გენგეგმა: 1. ცხრაკარა, 2. ციხის ეკლესია |
| 37 | III | ნახაზის წარწერა | | 010. გენგეგმა: 1. ცხრაკარა, 2. ციხის ეკლესია | 010(ბ). გრძივი განაკვეთი ჩრდ-კენ, გეგმა |
| 42 | II-III | ფოტოსურათის წარწერა | | 026,ბ საერთო ხედი | 024. კომპლექსის ხედი ზემოდან |
| 47 | III | 13 | | ეყრდნობა. | ეყრდნობა. პილასტრების გვერდებზე შეღრმავებული კედლის სიბრტყეები ნალისებრი თაღებით არის მოფარგლული. |
| 56 | III | | 25 | მოხატულობის | გუმბათის მოხატულობის |
| 59 | II | | 3 | განვით. ფეოდ. ხანის გარდამავალი პერიოდით | გარდამავალი ხანით. |
| 59 | III | | 10-9 | მ ო ხ ა ტ უ ლ ი (ა). | მ ო ხ ა ტ უ ლ ი(ა) (XIII ს. I ნახ.). |
| 66 | III | | 2 | ალმ. სარკმლის | ალმ. |
| 67 | II | 27 | | სადიაკვნეში | სამკვეთლოს ქვემოთ |
| 67 | II | | 5 | მცირე სარკმლის | სადიაკვნის |
| 83 | I | | 2 | ველში. | ველში (განვით. ფეოდ. ხანა). |
| 113 | III | | 8 | აქვს | აქვს — დას-ით და სამხრ-ით. |
| 113 | III | | 7 | კარი გაჭრილია | სწორკუთხა ღიობი |
| 113 | III | | 5 | მეორე სამხრ. | სამხრ. კარი |
| 131 | I | | 4 | ეკლესიის დას. | მინაშენის დას. |
| 131 | II | 4 | | ჩრდ. კედელში | სამხრ. კედელში |
| 142 | III | 35 | | მოციქულის | წმინდანის |
| 152 | I | 23 | | აფსიდის ჩრდ. | ჩრდ. |
| 157 | II | | 25 | მომწვანო | სახის მომწვანო |
| 171 | III | მე-2 ფოტოს წარწერა | | | 147(გ). ქვევრსამარხი |
| 176 | II | | 11 | მარცხნივ | მარჯვნივ |
| 183 | III | 10 | | ჩრდ. და სამხრ. ფასადებზე | ჩრდ. ფასადზე ოთხი, ხოლო სამხრ. ფასადზე — სამი |
| 183 | III | | 13 | შესასვლელი | არქიტრავით გადახურული შესასვლელი |
| 190 | I | 13 | | სარკმელია, | სარკმელია, რომლის ქვეშ სატრაპეზო ქვა დგას. |
| 190 | | 13-15 | | მის ორივე მხარეს — მცირე ზომის სწორკუთხა ნიში | სარკმლის ორივე მხარეს მცირე ზომის სწორკუთხა ნიშებია. |
| 190 | | 16-17 | | სარკმელია, რ-ის ქვეშ სატრაპეზო ქვა დგას. | სარკმელია. |
| 199 | II | 8 | | თეთრად | თეთრას |
| 205 | III | 11 | | შაჰ აბასის შვილიშვილის | შაჰ აბასის შვილიშვილი |
| 206 | I | | 33 | ზ. პ., ქ. ქ. | დ. ფ., ზ. პ., ქ. ქ. |
| 209 | I | 9 | | მრავალპროფილიან | მარტივპროფილიან |
| 209 | II | 1 | | 1947 წ. | 1974 წ. |
| 209 | II | | 18 | 145 | 245 |
| 209 | II | | 3 | 146 | 246 |
| 216 | I | 10 | | ყრმანი | ძმანი |
| 217 | II | | 21 | ორ | ოთხ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 218 | II | | 29 | 268. საკურთხის მაცხოვრის ეკლესია, | 268. საკურთხის წმ. გიორგის ეკლესია, უ მ ზ ე უ რ ა, |
| 218 | II | | 3 | 269. საკურთხის წმ. გიორგის ეკლესია, უ მ ზ ე უ რ ა | 269. საკურთხის წმ. ღვთისმშობლის ეკლესია, |
| 218 | II | | 1 | დგას სოფლიდან 10 კმ-ზე | დგას |
| 219 | III | | 11 | განვით. | გვიანდ. |
| 223 | II | 15 | | 290. წმ. თევდორეს ეკლესია, | 290. წმ. კვირიკეს ეკლესია, |
| 232 | II | 12-13 | | ა. გოცირიძე | პ. გოცირიძე |
| 235 | II | 1 | | ალმანდილი | ალმანდინი |
| 243 | I | | 2 | გ. კოტიაშვილი | ი. კოტიაშვილი |
| 281 | III | | 6-7 | ლ. დიდებულიძე | ა. დიდებულიძე |
| 351 | I | | 10 | გ. თოდაძე | გ. თოთიბაძე |
| 370 | III | 20 | | რ-ებიც ერთ ქვაშია | რომელთა თავები ერთ ქვაშია |
| 370 | III | | 29 | მინაშენის | მინაშენს, |
| 371 | II | | 3 | გათლილი მოხაპირკეთებელი | გათლილი |
| 374 | III | 1 | | IX-X სს-ით. | გვიანდ. ფეოდ. ხანით. |
| 375 | I-II | 1 | 1 | ფეოდ. ხანის გარდამავალი პერიოდით | გვიანდ. ფეოდ. ხანით. |
| 378 | III | 20 | | ფილაქვის | ფიქალის |
| 392 | II | 6 | | ეკლ. ჯვარ-გუმბათოვანია | ეკლ. თავისუფალი ჯვრის ტიპის, ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა |
| 393 | III | | | 156. სამების ეკლესია | სტატია ამოსაღებია (იხ. |
| 394 | I | | | | ოქროსოფელი. 132. მაცხოვრის ეკლესია (გვ. 383-384) |
| 400 | I-II-III | ნახაზის წარწერა | | 165(ბ). ჩრდ-დას. მონაკვეთის რეკონსტრუქცია | 165(ბ). ჩრდ-დას. მონაკვეთის რეკონსტრუქცია (პ. ზაქარაიას მიხედვით) |
| 411 | III | 3 | | მოზრდილი | მოზრდილი (0.67X0.55 მ) |
| 412 | II | 15 | | დას. მხარის | დას. წირთხლის |
| 412 | II | 22 | | (შემორჩენილია დას-ის წყობა). | (შემორჩენილია დას-ის წყობის 3 / 4). |
| 412 | წარწერა ხაშურის რაიონის რუკაზე (მარცხნივ, ქვემოთ) | | | ორჯონიკიძის რაიონი | ხარაგაულის რაიონი |
| 416 | I | 4-5 | | ორჯონიკიძის | ხარაგაულის |
| 422 | II | | 5-6 | ფარუსიესარის | ფარუს იესარის |
| 423 | III | | | | ნახაზზე სამხრ. ფასადი შებრუნებითაა დაბეჭდილი |
| 426 | I | | 26 | XI ს-ით. | განვ. ფეოდ. ხანით. |
| 429 | III | 14 | | წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრით ორ პატარა თანაბარ ხათაუხად (კომპარტიმენტად) იყოფა | თითო ორსაფეხურიანი პილასტრით ორ-ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. |
| 430 | I | | 3 | სამხრ. კედელზე. | სამხრ. და დას. კედლებზე. |
| 430 | II | | 19 | მარტივი | მარტივპროფილიანი |
| 430 | III | | 29 | შუბლის | ქუსლის |
| 431 | II | | 4-3 | კარს შიგნით და გარეთ თაღი და არქიტრავი აქონდა | კარი შიგნიდან თაღით, გარედან კი არქიტრავით იყო გადახურული. |
| 437 | III | | 10 | სამეკლესიანი | სამეკლესიიანი |
| 437 | III | | 2 | სარკმლის გვერდზე | სარკმლის მარცხნივ |
| 438 | II | | 12 | ოთხკუთხა | სწორკუთხა |
| 438 | II | | 23-24 | ხელოვნურად მოვაკებულ ფერდობზე | კლდოვან ფერდობზე ხელოვნურად მოვაკებულ პატარა ფართობზე, |
| 440 | II | 22 | | კვალი ჩანს | კვალი არ ჩანს |
| 441 | II | 31 | | კედლები | კედელი |
| 442 | II-III | სურათის წარწერა | | 106. გ. გაგარინი. სურამის ციხე | 106. გ. გაგარინი. სურამის ციხე. 1847 წ. |
| 447 | II | | 6-7 | გვერდზე | გვერდით |
| 449 | I | | 22 | ნაკვეცებით | გადანაკვეცებით |
| 449 | III | 6-7 | | კედლები | კედელი |
| 450 | I | 28 | | ორივე გვერდზე | ორივე მხარეს |
| 450 | II | | 26 | ქუსლი | შეზნექილი ქუსლი |
| 453 | I | | 12 | აფსიდი სწორკუთხა იყო | საკურთხეველი სწორკუთხა იყო |
| 453 | II | | 28 | ქვეშ | ქვემოთ |
| 457 | III | ნახაზის წარწერა | | 180. რეკონსტრუქცია (გ. ხიმშიაშვილის მიხედვით) | 180. რეკონსტრუქცია (რ. მეფისაშვილისა და ვ. ცინცაძის მიხედვით) |
| 462 | II | 7-8 | | კედლები | კედელი |
| 463 | I | 3 | | ჩრდ-ით | დას-ით |

## შინაარსი


რედაქციისაგან 5

შესავალი 11

გორის რაიონი 28

კასპის რაიონი 126

მცხეთის რაიონი . 226

ქარელის რაიონი . 348

ხაშურის რაიონი . 414

ბიბლიოგრაფია 464

შემოკლებები 475

საძიებლები 478

მეხუთე წიგნზე მუშაობდნენ რედაქციის თანამშრომლები

— ყამარ ბლიაძე, მანანა გვარამია (ლიტერატურული რედაქცია, კასპის რაიონი), მარინე დვალიშვილი (ქარელის რაიონი), ლალი მოწონელიძე (მცხეთის რაიონი), მირა პაპავა (ხაშურის რაიონი), თამარ რუსიშვილი (გორის რაიონი), ზაირა სტურუა (კასპის რაიონი), თამაზ ჭელიძე (გორის რაიონი), ცირა შანიძე
წიგნის ცალკეული მონაკვეთების რეცენზირებაში და რედაქტირებაში რედაქციას დახმარება გაუწიეს მილიცა აბაშიძემ, ლევან ბოლქვაძემ, შოთა ვადაჭკორიამ.

ძეგლები აზომეს, ნახაზები შეასრულეს ან გაანახლეს:

ნოდარ ბახტაძემ, ცეზარ ბეროზაშვილმა, გივი გაფრინდაშვილმა, კაცია გიორგობიანმა, თენგიზ გოგოლაშვილმა, თეიმურაზ დევიშვილმა, თამაზ დვალმა, თეიმურაზ დიდმამიშვილმა, ნინო კაიშაურმა, გულნარა კალმახელიძემ, მერაბ კასრაძემ, სალომე კედიამ, გიორგი მარსაგიშვილმა, მერაბ ნათაძემ, შოთა ნათაძემ, გიორგი ოქროპირიძემ, ნუგზარ სვანიძემ, ანზორ ქალდანმა, თინათინ ქარუმიძემ, გურამ ჯოხაძემ, ირინე შარაშენიძემ და სხვ.

ფოტოები გადაიღეს და მოამზადეს:

ნიკოლოზ ანდრონიკაშვილმა, თამაზ ბარამიძემ, ვსევოლოდ ბონდირევმა, სერგო დარჩინიანმა, ზურაბ დაუშვილმა, თამაზ დვალმა, თენგიზ ვარდოსანიძემ, ვალენტინ თულაშვილმა, სიმონ კინწურაშვილმა, მიხეილ კოზლოვსკი-ყუშიტაშვილმა, გოჯი ნახუცრიშვილმა, თამაზ ქიქავამ, ლია ღვინჯილიამ და სხვ.

გამოყენებულია აგრეთვე ფოტო-მასალა, რომელიც დაცულია:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ძეგლთა ფოტო-ფიქსაციის ლაბორატორიის, საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივის, საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის, საქინფორმის ფოტოქრონიკის საცავებში და სხვ.

რუკა-სქემები შეასრულეს:

რეგიონის ისტორიული რუკები (გვ. გვ. 14, 17, 20, 22) — ჯონდო გვასალიას მიერ მოპოვებული და მოწოდებული მასალის მიხედვით ზოია გოლოვატენკომ; ადმინისტრაციული რაიონებისა (გვ. გვ. 28,

126, 226, 347, 414) — რედაქციის მიერ მიწოდებული მასალის მიხედვით — ზოია ბოლოვატენკომ და ელზა წიკლაურმა; რესპუბლიკისა (გვ. 11) და რეგიონებისა (გვ. გვ. 30, 128, 228, 350, 416) — რედაქციის მიერ მიწოდებული მასალის მიხედვით — ზოია ბოლოვატენკომ; ქ ა ლ ა ქ ე - ბ ი ს  გ ო რ ი ს ა (გვ. 32) და მ ც ხ ე თ ი ს (გვ. 230) — ზურაბ ბაქრაძემ. რეტუში — ზოია ბოლოვატენკოსი (ნახაზები) და რომან მახარაძისა (შავ-თეთრი ფოტოები);
რეგიონის ტერიტორიაზე ნაპოვნი მონეტების ნიმუშების ტაბულა (გვ. 18) შეადგინა ირინე ჯალაღანიამ
ბიბლიოგრაფიის სისტემატიზაცია და რედაქტირება ეკუთვნის ნოდარ ბიომშვილს;
საძიებლები შეადგინეს ზაქარია ცინცაძემ და ზურაბ ჯინორიამ. ფერადი სლაიდები მოიჭრა ქ. მოსკოვის სანვენებელ სტამბაში; ბიბლიოგრაფია და შემოკლებები აიწყო ქ. თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში;

მეხუთე წიგნი დაისტამბა ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკაში.

მხატვრები: თამაზ ვარვარიძე (ტიტული, კონტრტიტული, ყდა, ყუა), რომან მახარაძე, ვაჟა ორბელაძე

ტექნიკური რედაქცია და მაკეტი ბეჟან ასათიანისა

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა

წ ი გ ნ ი  V

გადაეცა წარმოებას 24.09.84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.01.89. ქაღალდის ზომა 70×100¹/₁₆. ქაღალდი ოფსეტური. ბეჭდვა ოფსეტური. გარნიტურა აკადემიური. ნაბეჭდი თაბახი 31,5. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 40,64. პირობითი საღებავგატარება 110,61. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 71,44. ტირაჟი 50. 000. შეკვეთა № 2268

ფასი 8 მან.

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია. თბილისი. აკად. გ. წერეთლის გასასვლელი № 1.

Главная научная редакция Грузинской Энциклопедии. Тбилиси, прос. акад. Г. Церетели. № 1.

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა. გრიგოლ რობაქიძის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, пр. Гр. Робакидзе № 7.